



რაკვალთაკვი

ქ ტ ზ ც ზ ც ზ ზ



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI
2015

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

გამოცემა ეძღვნება **ზაზა ალექსიძის** დაბადების 80 წლისთავს



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი ზაზა ალექსიძე ქართველ მეცნიერთა ე. წ. 60-იანელების თაობის გამორჩეული სახეა, რომლის ნაშრომებმა პრობლემათა მასშტაბური ხედვით, ფართო კვლევითი დიაპაზონით და უზადო პროფესიონალიზმით იმთავითვე მიიპყრო სამეცნიერო წრეების ყურადღება. ზაზა ალექსიძის სამეცნიერო ინტრესებისათვის უცხოა ვიწრო პროფესიონალიზმი, რაც აგრერიგად დამახასიათებელია ჩვენი დროის მკვლევართათვის. ფართო ერუდიცია – წყაროთმცოდნეობითი, ფილოლოგიური და საენათმეცნიერო დისციპლინების მეთოდთა სრულყოფილი ფლობა მას საშუალებას აძლევს ზედმინევენითი სიზუსტით შეისწავლოს ნებისმიერი წერილობითი ტექსტი – იქნება ეს პალიმფსესტური ხელნაწერის ფრაგმენტი თუ ქვაზე კვეთილი წარწერა – მოაქციოს ის კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში და გამოიყენოს უფრო დიდი ისტორიული მოვლენის რეკონსტრუქციისათვის. ზაზა ალექსიძე, როგორც ისტორიკოსი-არმენოლოგი, როგორც ფართო პროფილის წყაროთმცოდნე და ფილოლოგი, ერთნაირი სიღრმით იკვლევს კავკასიური პოლიტიკის, საეკლესიო-კონფესიური განხეთქილებებისა და კულტურული იდენტობების ურთულეს საკითხებს.

სამეცნიერო საქმიანობა ზაზა ალექსიძისათვის შემოქმედებითი პროცესია, რის გამოც მისი მკითხველი მუდმივად ცოცხალ მეცნიერულ აზროვნებასთან შეხვედრის მოლოდინშია. სააზროვნო სივრცე, რომელსაც ზაზა ალექსიძის გამოკვლევები ქმნის, ძლიერ იმპულსებს აწვდის მის მოწაფეებს, რომელთაც სწორება უწევთ მათივე მასწავლებლის მიერ დამკვიდრებულ მაღალ სამეცნიერო სტანდარტზე.

წელს ზაზა ალექსიძეს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. სამეცნიერო ჟურნალ „მრავალთავის“ რედკოლეგია, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, ულოცავს მას საიუბილეო თარიღს და უსურვებს მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

„მრავალთავის“ მორიგ, 24-ე ტომში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება ხელნაწერთმცოდნეობის, ფილოლოგიური, ისტორიული და კულტუროლოგიური საკითხების, აგრეთვე წყაროთმცოდნეობით, ეპიგრაფიკულ და არქეოგრაფიულ კვლევებს და ხელნაწერის კონსერვაციასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას. მკითხველს აგრეთვე შესაძლებლობა ეძლევა იხილოს 2011-2015 წლებში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამოცემათა ნუსხა და გაეცნოს მათ ანოტაციებს.

სარედაქციო კოლეგია

ცისანა აბულაძე, ზაზა ალექსიძე (მთავარი რედაქტორი),
ქეთევან ბეზარაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი, ნინო მელიქიშვილი,
თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე

ტომის რედაქტორები: თამარ ოთხმეზური, მზია სურგულაძე

EDITORIAL BOARD

Tsisana Abuladze, Zaza Alexidze (editor-in-chief), Ketevan Bezarashvili,
Darejan Kldiashvili, Nino Melikishvili, Tamar Otkhmezuri,
Maia Raphava, Mzia Surguladze

Editors of the volume: Tamar Otkhmezuri, Mzia Surguladze

ISBN 02 34-7385 (საერთო)

ISBN 978-9941-9415-8-0 (ტომი 24)

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2015

შინაარსი

ფილოლოგია

თამარ აბულაძე

სამეცნიერო შინაარსის ქართული ხელნაწერები და აღმოსავლური
კულტურული ტრადიცია 15

ზაზა ალექსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

ქართულ-სომხური პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის
საცავებში: აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“ 31

ქეთევან ბეზარაშვილი

კორიდეთის ოთხთავის ისტორიისათვის 44

ეკა დულაშვილი

იადგარში ასახული ადრებიზანტიური ჰიმნოგრაფია 55

ირინა ნაცვლიშვილი

ბიბლია – ხელნაწერთა ტექსტის გამართვისა და შესწორების
მნიშვნელოვანი წყარო..... 67

თამარ ოთხმეზური

ძველი ტექსტების გამოცემის მეთოდები – დიპლომატიკური და
ტექსტუალურ-კრიტიკული გამოცემები 73

მანია რაფავა

გრიგოლ ნაზიანზელის საღვთისმეტყველო კონცეპტები XI საუკუნეში 99

ალექსი ოსტროვსკი

„დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის დათარიღებისა
და შედგენილობისათვის 110

ლიანა სამყურაშვილი

X-XIII საუკუნეების ქართული სამედიცინო ძეგლები და მათი არაბული
წყაროები 129

ნესტან სულავა

ვნების კვირის საგალობლების სახისმეტყველება და
დავით გურამიშვილი..... 138

ქეთევან ტატიშვილი

ანტონ I კათალიკოსისეული სადღესასწაულო.....	155
ნანა ჩიკვატია	
ანასტასი სინელის „წინამძღუარი“ დაცული ერთი იკონოგრაფიული გამოსახულების შესახებ.....	160
თინა ცერაძე, ლელა ხოფერი	
ვახუშტი ბაგრატიონის გალექსილი ბიბლია.....	166
ლელა ხაჩიძე	
მცირე ფორმის საგალობლები VIII-X საუკუნეების ბიზანტიურ, ქართულ და სლავურ ჰიმნოგრაფიაში („მარხვანების“ მიხედვით).....	175
ცირა ხახვიაშვილი	
ლარგვისის ზატიკში (A-25) ასახული ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება....	187
სერგეი კიმი	
ათონის სიმონოპეტრას ხელნაწერ №18-ის ძველი ქართული ფრაგმენტი	209

ისტორია

ცისანა აბულაძე	
ორიენტალისტური კვლევა-ძიებანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში	217
ია გაჩეჩილაძე	
ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი – ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე	247
თეონა კაპანაძე	
ელიზბარ ბიჩინაშვილი – უცნობი სახელი ქართული ემიგრაციის ისტორიაში	252
ლია კიკნაძე	
შტრიხები აკაკი წერეთლის ბიოგრაფიისათვის	258
ნიკოლოზ ჟღენტვი	
თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა იმერეთის სამეფო კარის მდივან- მნიგნობართა საგვარეულო.....	271
ელენე ცაგარეიშვილი	
არმენოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.....	292
თამარ ჭუმბურიძე	
ჭუბერტ ქაუფჰოლდი და მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობა.....	296

ნიკოლოზ ჟღენტი, მიხეილ დარჯანია	
ძველი ქართული ხელნაწერის შექმნისთვის საჭირო იარაღების სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია-რეკონსტრუქცია ხელნაწერთა მინიატიურების მიხედვით	463

ნესტან ჩხიკვაძე მანია კარანაძე	
უძველესი ქართული ყდები სვანური კოლექციიდან.....	481

რესტავრაცია-კონსერვაცია

ასმათ გვაზავა	
ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით.....	494

იზოლდა ჯიქიძე	
ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ძველნაბეჭდი ნიგნების მდგომარეობა ქალაქის „დაბერების“ თვალსაზრისით და მათი რესტავრაცია-კონსერვაცია	503

კულტუროლოგია

მაღზაზ თორია	
ისტორიული ნარატივის ტიპები და შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნება.....	512

ინფორმაცია

იზოლდა ჯიქიძე, შორენა თაყაიძე	
მარტვილის გ. ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რამოდენიმე ექსპონატის დიაგნოსტიკა-რესტავრაციის შესახებ.....	526

რეცენზია

მზია სურგულაძე	
რეცენზია გიული ალასანიას ნაშრომზე: „ქართველები და ისლამადელი თურქები“, თბილისი, 2008.....	528

2011-2015 წლების გამომცემები.....	538
-----------------------------------	-----

მომონება	566
----------------	-----

CONTENTS

PHILOLOGY

TAMAR ABULADZE

Georgian Scientific Manuscripts and Eastern Cultural Tradition 15

ZAZA ALEKSIDZE, DALI CHITUNASHVILI

Georgian-Armenian Palimpsest at the National Centre of Manuscripts:
Agathangelos, “The History of the Armenians” 31

KETEVAN BEZARASHVILI

For the History of the Korideti Four Gospels 44

EKA DUGHASHVILI

Byzantine Hymnography in the 10th Century Georgian
Hymnbook Iadgari 55

IRINA NATSVLISHVILI

Bible as an Important Source of the Arrangement of Manuscript Texts
and Correction. To the Understanding of one Episode of the
“Centennial Chronicle” 67

THAMAR OTKHMEZURI

Methods of Editing Ancient Texts – Edizione Diplomatica and Critica Testuale 73

MAIA RAPHAVA

The Theological Concepts of Gregory of Nazianzus in Literature
of the Eleventh Century 99

ALEXEY OSTROVSKY

On the Dating and the Content of the Manuscript S-1463 110

LIANA SAMKURASHVILI

Georgian Medical Manuscripts from 10th-13th cc. and Their Arabic Sources 129

NESTAN SULAVA

Tropology (image language) of the Hymns of the Passion Week and
Davit Guramishvili 138

KETEVAN TATISHVILI

The Feast Hymn Book By Anthon I Catholicos 153

NANA CHIKVATIA

Regarding a Certain Iconographic Image, Preserved in “The Hodegos”
by Anastasios of Sinai 160

TSERADZE TINA, KHOPERIA LELA

Versified Bible by Prince Vakhushti Bagrationi 166

LELA KHACHIDZE

Small – Size Hymns in the 8th-10th Century Byzantine, Georgian and Slavonic
Hymnography (According to the “Triodion”) 175

TSIRA KHAKHVIASHVILI

The World Church Council of Nicaea Illustrated in the Largvisi Zatiki (A-25) 187

SERGEY KIM	
A Georgian Fragment from Mount Athos, Simonopetra N18.....	209

HISTORY

TSISANA ABULADZE	
The main Trends of Triental research and Studies at the National Center of Manuscripts.....	217
IA GACHECHILADZE	
Luarsab Andronikashvili (Father's name – Nikoloz) – Lawyer and Public Figure.....	247
TEONA KAPANADZE	
Elizbar Bichinashvili – Unknown Name in the History of Georgian Emigration	252
LIA KIKNADZE	
Some Traits for Akaki Tsereteli Biography.....	258
NIKOLOZ ZHGENTI	
Imeretian Royal Secretary Ancestral of Tavakalashvili/Tavakarashvili	271
ELENE TSAGAREISHVILI	
From the History of Georgian Armenology at the National Centre of Manuscripts.....	292
TAMAR TCHUMBURIDZE	
Hubert Kaufhold and His Toil in Kartvelology	296

EPIGRAPHY

SHEBL EBAID	
A Monumental Inscription On The Fences Of Tbilisi – An Archaeological and Historical Study.....	304

SOURCE CRITICISM

TAMAR MESKHI	
Tuward The Interpretacion of One Obscure of the Petritsoni Monastery Typikon	311
MZIA SURGULADZE	
Two Documents of Mtskheta of the Period of Ottomans Rule.....	321
TEMO JOJUA	
Two Different 15Th Century Manuscripts Bound Into One, 15 th -18 th Century Volume (H-375): Lenten Triodion (H-375a), Property Of The Feudal Family Of An Unknown Eristavi Of Tao Giorgi Kavkasidze (1535/1536-1545), And Easter Triodion (H-375b) Commissioned By An Unknown Bishop Jerasime Of Ishkhani And Copied In Ishkhani.....	338
DAREJAN KLDIASHVILI	
The Colour Engraving with the Portraits of the Empress Catherine I and the EMPEROR Peter I the Great from the National Centre of Manuscripts	397

ARCHAEOGRAPHY

RUSUDAN GVARAMIA, NANA KANCHAVELI	
National Centre of Manuscripts, Tbilisi, Georgia Collection of Central Asian Arabic Manuscripts from the National Centre of Manuscripts.....	411

GIORGI KAVTARADZE	
The Georgian Manuscripts from Torre del Greco.....	419
TAMAR CHUMBURIDZE, NINO KIMERIDZE	
German language Manuscripts in the Georgian National Centre of Manuscripts.....	431
ART OF BOOK MANUSCRIPT	
NINO ABAKELIA	
Towards the Interpretation of Some Vegetative and Zoomorphic Decorative Images in Georgian Illuminated Medieval Manuscripts	437
ELENE MATCHAVARIANI	
Payment for Manuscript Books in the Medieval Centuries.....	452
ELENE MATCHAVARIANI	
The History of the Study of Georgian Illuminated Manuscripts	459
NIKOLOZ ZHGENTI, MIKHEIL DARJANIA	
Three-dimensional Visualization-Reconstruction of Tool of Old Georgian Manuscript (according to manuscript miniatures)	463
NESTAN CHKHIKVADZE, MAIA KARANADZE	
Oldest Georgian Covers from Svanetian Collection.....	481
RESTORATION – CONSERVATION	
ASMAT GVAZAVA	
The Features of the Parchment Restoration in the Medieval Georgian Manuscripts	502
IZOLDA JIKIDZE	
State of Old Printed Books in Terms of Paper “Aging” in the National Centre of Manuscripts and Their Restoration and Conservation.....	511
CULTUROLOGY	
MALKHAZ TORIA	
The Types of Narratives and Historical Consciousness in Medieval Georgia.....	512
INFORMATION	
IZOLDA JIKIDZE, SHORENA TAVADZE	
On the Diagnostic and Restoration Processes of Several Items of G. Eliava Local-history Museum of Martvili.....	526
REVIEW OF A BOOK	
MZIA SURGULADZE	
Giuli Alasania, Georgians and Pre-islamic Turks (Review).....	528
PUBLICATIONS IN 2011-2015	538
REMEMBERING	566

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

- ბიეშ სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- სცსა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
- სიეშ სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- სჰიშ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ქიეშ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
- ხმ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
- ხეც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
- ზიეშ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი

თამარ აბულაძე

**სამეცნიერო შინაარსის ქართული ხელნაწერები
და აღმოსავლური კულტურული ტრადიცია¹**

ტრადიციულად, ისლამური მეცნიერება უძველესი ცოდნისა და მეცნიერული მიღწევების შემკრებ ფენომენად განიხილება (Russel 1945). მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით (რობერტ ბრიფოლტი, ვილ დურანი, ქაზემ აჯრამი, მუჰამედ იყბალი, ფილდინგ ჰ. გარისონი და სხვები), მუსლიმმა სწავლულებმა საფუძველი დაუდეს თანმედროვე მეცნიერებას ადრეული მეცნიერული მეთოდების განვითარების, მეცნიერების მოთხოვნებთან ემპირიული და რაოდენობრივი მაჩვენებლებით მაქსიმალურად მიახლოების საფუძველზე (როზანა გორინი). ევროპული მეცნიერება კი, რომელიც დაეფუძნა სხვადასხვა ცივილიზაციის მონაპოვარს, წარმოადგენს შუა საუკუნეების ტექნოლოგიებისა და ბერძნული ნააზრევის ერთგვარ ნაზავს (Lach 1977: 397).

ამ შეხედულებათა გამაერთიანებელ თეზად შეიძლება მივიჩნიოთ ედვარდ გრანტის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, ზოგადად, თანამედროვე მეცნიერება შეიქმნა ელინური, ისლამური და ლათინური ცივილიზაციების მიღწევათა შეჯვარების საფუძველზე (Grant 1966).

მეცნიერების სისტემატიზაციისა და ცოდნის სხვადასხვა კულტურაში ტრანსფორმაციის თვალსაზრისით განსაკუთრებული როლი შეასრულეს შუა საუკუნეების მოაზროვნეებმა, რომელთა ფუძემდებლურმა შრომებმა გააერთიანეს ცივილიზაციათა მონაპოვარი და მისცეს ბიძგი „ახალი მეცნიერების“ განვითარებას.

შუა საუკუნეების მეცნიერება ამ პერიოდში შექმნილი „კომპლექსური ცივილიზაციის“ (Stock 1980: 236) განუყოფელი, პროგრესული და დინამიკური ნაწილია. ამ პერიოდში მეცნიერული აზრის მთავარი მიმართულება და უმთავრესი მიღწევაც ემპირიზმისა და ექსპერიმენტული სულის დამკვიდრებაა, რაც, უპ-

¹ მოხსენება ნაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ირველესად, მუსლიმური აღმოსავლეთის „ოქროს ხანას“, მუსლიმი მეცნიერების ნაშრომებს უკავშირდება (Briffault 1928: 190-200), მეცნიერების სხვადასხვა დარგს განეკუთვნება და წარმოადგენს ხიდს ძველ და თანამედროვე ცოდნას შორის (Lodge 1893).

ამ პერიოდის მუსლიმური მეცნიერება დასავლურ-აღმოსავლური კულტურული მემკვიდრეობის გამაერთიანებელი ფენომენია, რომლის შექმნა რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული: ითარგმნებოდა ბერძნული ტექსტები ეგვიპტიდან და ბიზანტიიდან, სანსკრიტული ტექსტები – ინდოეთიდან და ფალაური – ირანიდან, რაც ქმნიდა ნაყოფიერ ნიადაგს მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის; საკმაოდ დიდ გეოგრაფიულ არეალში გამოიყენებოდა ერთი საკომუნიკაციო ენა – არაბული, რაც აადვილებდა სხვადასხვა რეგიონის მეცნიერთა ნააზრევის ათვისებას მთელ აღმოსავლეთში; მუსლიმური ჰაჯი მექაში თავს უყრიდა მთელი ისლამური სამყაროს მოაზროვნებს, ხელს უწყობდა იდეათა გავრცელებასა და მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობას (Science in Asia and Africa).

შუა საუკუნეების ორიგინალურ არაბულენოვან შრომებში, აგრეთვე თარგმანებსა და გადამუშავებებში აისახება ბერძენ ავტორთა – არისტოტელეს, ევკლიდეს, პტოლომეს, გალენის, აგრეთვე ირანელი და ინდოელი მეცნიერების თხზულებების მკაფიო კვალი. ამ შრომებს დასავლეთი გაეცნო XI-XII საუკუნეებში არაბულიდან შესრულებული ლათინური თარგმანების საშუალებით, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ახალი, „ტექნოლოგიური“ მეცნიერების განვითარებაში და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს ევროპული რენესანსი (Виппер 1947: 129-130).

შუა საუკუნეების მეცნიერების კვლევისას ევროპელ და მუსლიმ მეცნიერთა შრომებში, ფაქტიობრივ, არ არის გათვალისწინებული ქართული მეცნიერების, როგორც ამ ურთიერთგავლენების ამსახველი მოვლენის, თავისებურებები: ამ პერიოდის ქართული მეცნიერება ემყარებოდა მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციას და, პოლიტიკური ანტაგონიზმის მიუხედავად, შემოქმედებითად ითვისებდა ელინურ-ბიზანტიურ და აღმოსავლურ კულტურათა მიღწევებს; მან მოიცვა, შეითვისა და შემოინახა მეცნიერული აზრის განვითარების ყველა ძირითადი, საეტაპო მნიშვნელობის ფაქტი და ასახა დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა შერწყმისა და ურთიერთგამდიდრების შედეგები, რაც არაერთხელაა აღნიშნული ქართველ მეცნიერთა შრომებში (ლ. კოტეტიშვილის, მ. შენგელიას, რ. ჩაგუნავას, ე. ხარაძის, ა. ჩხენკელის, დ. ცხაკაიას და სხვათა შრომები).

გვიან შუა საუკუნეებში ძირეულად შეიცვალა საქართველოს ისტორიული განვითარების ხაზი. კონსტანტინოპოლის, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის დედაქალაქის, დაცემას მოჰყვა წინა აზიასა და ევროპას შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობათა სრული გარდაქმნა. საქართველო დროებით მოწყვეტილი აღმოჩნდა ევროპისაგან და ისლამური სამყაროს გავლენის ქვეშ მოექცა (ბერძენიშვილი 1974: 237). ზემოთქმული უპირველესად

ქვეყნის უახლოეს მეზობელთან, ირანთან, ურთიერთობას გულისხმობს. გავლენებმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართველი ერის კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს – ლიტერატურულს, ენობრივს, მხატვრულსა და მეცნიერულს.

აღმოსავლური და დასავლური მეცნიერების კვალი ჩანს ქართულ სამეცნიერო თხზულებებში, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ თარგმანს, ხოლო ზოგი – „გარდათქმა“ – გადამუშავებას წარმოადგენს. მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული მეცნიერება შუა საუკუნეებში ისტორიული ბედუკუდმართობისა და მისგან გამონეული შედეგების გამო ჩამორჩა მსოფლიო მეცნიერების დონეს, ზოგიერთმა დარგმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა. XVI-XVIII საუკუნეებში, „ქართული განმანათლებლობის“ პერიოდში, უაღრესად აქტუალური გახდა ქართული მეცნიერების აღორძინება არსებულ ტრადიციებზე დაყრდნობით, მათი გამდიდრებით, საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილში ზოგადი თეორიული საფუძვლების შეტანითა და გარკვეული პრაქტიკული ჩვევების აღდგენით. ივ. ჯავახიშვილი ამ პერიოდს „ენციკლოპედიურ ხანას“ უწოდებს, როდესაც „ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იქითკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი... ცოდნა გადაეცათ“ (ჯავახიშვილი 1937: 399).

აღნიშნული ტენდენციები თვალსაჩინოდ აისახება ქართულ სიძველეთსაცავებში დაცულ ქართულ ორიგინალურ და აღმოსავლური წყაროებიდან მომდინარე სამეცნიერო თხზულებებში, ხელნაწერებში, რომელთა მნიშვნელობა, როგორც პირველწყაროებისა, უაღრესად დიდია. ქართველ მოღვაწეთა ეს შრომები შეიცავს მდიდარ მასალას ქართულ-აღმოსავლური კულტურული ურთიერთობების შესასწავლად, წარმოაჩენს ქართველი მოაზროვნეების, მთარგმნელებისა და „გარდამთქმელების“ როლს შუა საუკუნეების მეცნიერული აზრის ფორმირებაში და მათ საგანმანათლებლო მიზანდასახულობას. მათი კვლევა მეცნიერების და, ზოგადად, კულტურის ისტორიის კუთხით ნათლად წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთის ერთიანი კულტურული არეალის განვითარების ზოგად მიმართულებებს.

შუა საუკუნეებში შექმნილი ქართული თარგმანები და გადამუშავებები განეკუთვნება მეცნიერების სხვადასხვა დარგს და, ხშირ შემთხვევაში, სპარსულ წყაროებს, ცნობილი აღმოსავლელი სწავლულების (უღულებგის, ნასირ ედ-დინ ტუსის, არ-რაზის და სხვ.) შრომებს და იმ პერიოდში მიღებულ აღმოსავლურ სქემებს უკავშირდება. ისინი შემდეგ დარგებს განეკუთვნება: ასტრონომია/ასტროლოგია, კოსმოგონია, კალენდარული მასალა; მედიცინა/ბიოლოგია/ფარმაცევტიკა; ქიმია, ფიზიკა, მათემატიკა; მინერალოგია, გეოლოგია; გეოგრაფია.

XVI საუკუნიდან იქმნება შერეული ტიპის ხელნაწერი კრებულები, ე. წ. „სამაგიდო წიგნები“, რომლებიც შეიცავს, ერთი შეხედვით, შეუთავსებად მასალას როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე წარმომავლობის მხრივ. მაგალითად, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XVIII საუკუნის ხელნაწერი

კრებული H-1283, რომელიც სასულიერო პირის, ამვროსი ნეკრესელის (1728-1815 წწ., მიტროპოლიტი, ცნობილი მქადაგებელი, მისიონერი და მოღვაწე), კრებულის სახელითაა ცნობილი, შეიცავს როგორც ჰაგიოგრაფიულ მასალასა და ბიბლიურ თხრობებს, აგრეთვე ვარსკვლავთმრიცხველობის წიგნს, საეტლო-სამთვარიოსა და სამკურნალო რჩევა-დარიგებებს, რომლებიც აღმოსავლურ სქემაზეა აგებული. ამ ტიპის კრებულებია: H-2955, A-1448, აგრეთვე ყანჩაეთის ჟამნ-გულანი (H-1452) და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართული კურთხევანი აღნიშნული თვალსაზრისით. ამ მრავალი თავისაგან შემდგარ ლიტერატურულ კრებულებში თითოეული თავი კურთხევას, ანუ დალოცვას, წარმოადგენს. დალოცვა ეხება ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მომენტს, მათ შორის – სნეულთა განკურნებას, აგრეთვე შინაური პირუტყვისა თუ ბაღ-ბოსტნის კურთხევას, ლოცვებს სტიქიური უბედურებისაგან დასაცავად და მოსავლიანობისა და სასურველი ამინდის გამოსათხოვად (კოჭლამაზაშვილი 2007: 359-361). შესაბამისად, ამ სარიტუალო შინაარსის ტექსტებს ბუნებრივად ერთოდა სამეცნიერო, ხშირად მაგიური დანიშნულების მონაკვეთები. ეს ძირითადად ეხება გამოკრებილ კურთხევანს, რომლებიც იქმნებოდა სხვადასხვა მიზანდასახულობით, რაც მათ დიდ მრავალფეროვნებას განაპირობებდა (ეროვნული ცენტრის ხელნაწერები: H-1332, A-1110, A-294, A-306, Q-611).

არსებობდა შერეული, საღვთისმეტყველო და სამეცნიერო ტექსტების შემცველი სპარსული კრებულებიც. ერთ-ერთი ასეთი ხელნაწერია ეროვნული ცენტრის აღმოსავლური კოლექციის ნუსხა – უცნობი ავტორის (ავტორთა) თხზულებების შემცველი ბუხარული ხელნაწერი კრებული PAC-575, სადაც წარმოდგენილია მოკლე მათემატიკური შინაარსის სტატიები და, ამავე დროს, თეოლოგიური მასალაც – ლექსები და სტატიები. ასევე, კრებული PAC-752, რომელიც 13 ნაწილისაგან შედგება და შეიცავს 'ანსარის, ზაქარია არ-რაზის (ქიმიური შინაარსის პარაგრაფები), 'ამად ედ-დინ მაჰმუდ შირაზის, იუსუფ ყარაბაღლის, მოლა ჯამისა და სხვა ავტორთა საერო (მათ შორის, სამეცნიერო) და სასულიერო შინაარსის თხზულებებს, ნაწყვეტებს ამავე ტიპის თხზულებებიდან.

ასტრონომია-ასტროლოგია და კალენდარული მასალა

ქართულ-აღმოსავლური კულტურულ-სამეცნიერო ურთიერთობების შესწავლის კუთხით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ასტრონომიულ-ასტროლოგიური შინაარსის ცალკეული თხზულებები და კრებულები – კალენდარული და ზოგადკოსმოგონიური ხასიათის, აგრეთვე შერეული ტიპის კრებულები, რომლებიც შეიცავს მომიჯნავე დისციპლინების (მათემატიკის, გეოგრაფიის) მასალასაც. მათი დიდი ნაწილი აღმოსავლური წყაროებიდანაა თარგმნილ-გადმოკეთებული და უძველესია თავისი წარმოშობით; ისინი საერთო კულტურ-

რული არეალის თანადროულ ცოდნას ასახავს. ამ მხრივ გამორჩეულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერ A-65-ში მოთავსებული ასტროლოგიური შინაარსის თხზულება, რომელიც XII საუკუნით თარიღდება და არაბულიდანაა გადმოკეთებული („ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“, შანიძე 1975). იგი ეხება ციურ ეტლთა დახასიათებას, მთვარის მოძრაობას, მოძღვრებას შვიდი მნათობის შესახებ. ხელნაწერი უაღრესად საყურადღებოა მოხატულობის თვალსაზრისითაც და დიდ მსგავსებას იჩენს სპარსულ სამინიატიურო ხელოვნებასთან (ალიბეგაშვილი 1951: 369-378). აღორძინების ხანაში (XVII-XVIII სს.) ხელნაწერი ქართველ განმანათლებელთა (ქართლის მეფე ვახტანგ VI, მეფე არჩილი) ყურადღების საგანიც იყო.

ცნობილია, რომ ისლამური ასტროლოგია ადრეულ მუსლიმებს უკავშირდება და გარკვეულად მოიაზრებს ასტრონომიასაც. შუა საუკუნეების წყაროებში ასტრონომია და ასტროლოგია უკვე გამოიჯნულია; ასტროლოგიურმა მოძღვრებამ, „ასტრონომიის ცოცხალმა და დაკვირვებითა ეტაპმა“, რომელიც მოითხოვდა სათანადო ცოდნას მნათობთა მდებარეობისა და მათი მოძრაობის გასარკვევად, მნიშვნელოვნად განაპირობა ასტრონომიის განვითარება. ამას ხელი შეუწყო პტოლომეს ფუძემდებლური შრომის არაბულმა თარგმანმა, რომელიც, თავის მხრივ, სირიულიდანაა შესრულებული. იგი შემდგომში ლათინური თარგმანის მეშვეობით სწორედ არაბული დასახელებით – „ალ-მაგესტი“ – გავრცელდა დასავლეთში. X საუკუნეში მუსლიმმა ასტრონომებმა მოახდინეს პტოლომეს სისტემის „რევიზია“, შეიტანეს ცვლილებები და შესწორებები მისი გეოცენტრული მოდელის ფარგლებში. მოგვიანებით ალ-ბატანის, ავეროესისა და სხვათა შრომებმა ნაწილობრივ მოამზადეს ნიადაგი კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემისთვის (Jachimovich 1975: 144).

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ნასირ ედ-დინ ტუსის შრომათა შემცველი სპარსული და ქართული ხელნაწერები, რომლებიც შუა საუკუნეებით თარიღდება.

ნასირ ედ-დინ ტუსი XIII საუკუნის ცნობილი სწავლული, ენციკლოპედიური განათლების მქონე მრავალმხრივი მეცნიერია. მან თარგმნა და კომენტარები გაუკეთა ევკლიდეს, არქიმედესა და ავიცენას ზოგიერთ ნიგნს, პტოლომეს „ალ-მაგესტს“. ჰულაგუ-ხანის მმართველობის დროს ტუსიმ აავო ობსერვატორია მერაღაში, თავრიზის მახლობლად. როგორც ცნობილია, იქ ინახებოდა ასტრონომიული ხელსაწყოების კოლექცია და მდიდარი ბიბლიოთეკა, შვეროვილი ხორასანში, სირიაში, ბაღდადში და სხვ. საინტერესოა, რომ სხვა მეცნიერთა შორის ამ ობსერვატორიაში მინვეული იყო თბილისელი ასტრონომი ფაზრ ედ-დინ იხლათი (Мемеднели 1951: 9). თორმეტწლიანი დაკვირვებების შედეგად მან ამ ობსერვატორიაში შეადგინა ასტრონომიული ცხრილები („ილხანის ცხრილები“), რომელიც ითარგმნა ლათინურად 1652 წელს. როგორც ცნობილია, XV საუკუნის დიდმა შუააზიელმა ასტრონომმა, ულუღბეგმა, შემდგომში სწორედ ამ

„ცხრილების“ გადამუშავების, შევსებისა და შესწორების საფუძველზე შეადგინა თავისი განთქმული „ზიჯი – ვარსკვლავთა კატალოგი“.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლურ კოლექციებში (შუაზიურ, ყაჯართა და ადგილობრივ კოლექციებში) დაცულია 5 ხელნაწერი, რომლებიც შეიცავს ნასირ ედ-დინ ტუსის ასტრონომიული შინაარსის თხზულებებს. მათგან განსაკუთრებით საყურადღებოა ასტრონომიული კრებული PAC-534 ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუაზიური კოლექციიდან, რომელიც შეიცავს ტუსის თხზულებებს: „რჩეულ აიათსა“ და „კალენდრის მოკლე/გამოკრებილ აღწერას (ოცდაათი კარი)“, აგრეთვე აბულხეირ მუჰამედ ბენ ალ-ფარსის შრომას „გამოკრებილი რისალე“, ამავე ტიპის კრებულია ყაჯართა კოლექციის ხელნაწერი PK-31, რომელშიც წარმოდგენილია ტუსის ზემოთ ნახსენები „ოცდაათი კარი“, აგრეთვე XV საუკუნის ცნობილი ასტრონომის, ‘ალი ყუშჩის, თხზულება „ჰაიათე ფარსი“, ამ უკანასკნელმა, ულუღბეგის სიტყვებით, დაასრულა სხვა ასტრონომთა მიერ დანყებული ასტრონომიული ცხრილების შედგენა. კრებულში შესულია მისი მონაფის, რუიანი ლაჰიჯის, ტრაქტატიც კალენდრის გამოთვლის შესახებ.

ჩვენ მიერ ქართულ-სპარსული სამეცნიერო შინაარსის თხზულებების შემცველ ხელნაწერებზე მუშაობისას გაირკვა, რომ აღნიშნული ხელნაწერის, PAC-534-ის, ძირითადი ნაწილის თარგმანი შედის ქართულ ხელნაწერ H-457-ში, მათ შორის „სტროლაბის სასწავლებელი ნიგნი,“ რომელიც წარმოადგენს ტუსის თხზულების „ოცი თავის“ თარგმანს. იგი ასტროლაბის განმარტებებს, მისი ხმარების წესებს ეხება. თარგმანი ეკუთვნის ქართლის მეფეს ვახტანგ VI-ს, ცნობილ განმანათლებელს, დიდ კულტურულ მოღვაწეს, მეცნიერსა და მთარგმნელს, რომელმაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ქართული მეცნიერების აღორძინებას. ეს, დიდწილად, შუა საუკუნეების სპარსული ასტრონომიული, სამედიცინო, ქიმიური შინაარსის თხზულებების თარგმნითა და გადამუშავებით გახდა შესაძლებელი. ხსენებული ხელნაწერი თვალნათლივ ასახავს მთარგმნელისა და რედაქტორის ტექსტზე მუშაობის მთელ ლაბორატორიას. ხელნაწერში სპეციფიკური ტერმინები ქართული შესატყვისით ან აღწერითი ტერმინებით არის შეცვლილი თავად ვახტანგის ხელით (აბულაძე 1990: 24-25).

ვახტანგ VI-მ ტუსის შრომების გარდა თარგმნა ულუღბეგის „ზიჯი“. იგი ბრწყინვალე ქართული ხელნაწერთაა შემონახული (S-161). თარგმანებში საკმაოდ დიდია მთარგმნელის წვლილი როგორც უშუალოდ საკუთარი ჩანარებისა და ცალკეული მეცნიერული დებულებების ინტერპრეტაციის, ისე სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნის თვალსაზრისით.

ტუსის კრებულის სპარსული ხელნაწერის პირველი თხზულება „რჩეული აიათი“, როგორც კვლევის შედეგად გავარკვიეთ, წარმოადგენს ვახტანგ VI-ის სტამბაში 1721 წელს დაბეჭდილი თხზულების – „აიათი/ქმნულების ცნობა“ –

უშუალო წყაროს (აბულაძე 1990: 29-35). ეს თხზულება აგებულია შუა საუკუნეებში მიღებული სქემის მიხედვით.

გეომეტრიული, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური და ასტრონომიული მონაკვეთები შედიოდა ცნობილი „ზიჯების“ შემადგენლობაში, მაგალითად, გეოგრაფიული მონაკვეთები, რომლებიც პრაქტიკული ასტრონომიის, მათემატიკის განვითარების გარკვეულ ეტაპამდე ემყარებოდა პტოლომეს გეოგრაფიას (ალ-ხორეზმის, ალ-ბატანის შრომები). მოგვიანებით ასეთი შრომები გამდიდრდნენ მეცნიერული მონაცემებითა და გაანგარიშებებით, რომლებიც განკუთვნილი იყო გამოთვლითი გეოგრაფიის, ასტრონომიის რიგი საკითხების გადასაწყვეტად. შუა საუკუნეების აღმოსავლეთში იქმნება სწორედ ამგვარი თხზულებები, რომელთა ავტორები არიან ცნობილი აღმოსავლელი სწავლულნი: ალ-ბატანი, იაყუთი, ალ-ყაზვინი და სხვები.

სპარსელი მეცნიერების, ასტრონომების პოპულარული თხზულებების ქართული თარგმანები ასახავენ მეცნიერული აზრის განვითარების „კომპლექსურ“ მიმართულებას; წარმოაჩინენ აღმოსავლელ მოაზროვნეთა მიღწევების პოპულარობას ახლო აღმოსავლეთის მთელ რეგიონში და, ზოგადად, ამ ცოდნის ტრანსფორმაციის გზებსა და შედეგებს.

მედიცინა, ფარმაცოლოგია

საკმაოდ მდიდარი და ხანგრძლივი ისტორიის მქონე ქართული სამედიცინო აზროვნება, რომელიც ეროვნულ-ხალხურ ტრადიციებს ემყარებოდა. ამას ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები, აგრეთვე ძველი მსოფლიოს ისტორიკოსთა შრომებში (მაგ., სტრაბონი), ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში დადასტურებული ცნობები. მან შემოინახა სატაძრო, მაგიური, ხალხური და საერო ცოდნა (დავით ბაგრატიონი 1985: IX). შუა საუკუნეებში იგი ისევე, როგორც მეცნიერების სხვა დარგები, განიცდის ძლიერ არაბულ-ირანულ გავლენას – პოპულარული ხდება აღმოსავლურ სქემებზე აგებული სამედიცინო თხზულებები და კრებულები, კარაბადინები, რომლებიც ეხება როგორც ზოგადსამედიცინო, ისე ანატომიის, ფიზიოლოგიის, ფარმაციის, დიაგნოსტიკის ცალკეულ საკითხებს და შეიცავს „ძველ“ და „ახალ“ სამედიცინო ცოდნას.

არაბული მედიცინა ისევე, როგორც არაბული ფილოსოფია, ემყარებოდა არისტოტელეს გადამუშავებებსა და კომენტარებს და, ორთოდოქსული თეოლოგიისაგან განსხვავებით, თავისუფლად ვითარდებოდა. მან შემოინახა მეცნიერების მთელი წინა ისტორია და ასახა ზოგადკულტურული გავლენები. ცენტრის სპარსულ ხელნაწერთა კოლექციებში წარმოდგენილია IX-XVI საუკუნეების ცნობილი აღმოსავლელი სწავლულების, მედიკოსების ალ-‘ათერის, ბენ იუსუფის, ალ-ხორეზმის, ალ-ჯორჯანის, ზაქარია არ-რაზის და სხვათა შრომები, რომლებიც საეტაპო მნიშვნელობის მქონე თხზულებებია შუა საუკუნეების მედიცინის ისტორიაში.

შუაზიურ და ყაჯარის კოლექციებში დაცულია XII საუკუნის დიდი სწავლულის, ალ-ჯორჯანის, განთქმული „ზახირე ხორეზმშაჰის“ – ზოგადი მედიცინის პოპულარული, 9 ნიგნისაგან შედგენილი ენციკლოპედიური ტიპის სახელმძღვანელოს, მისი ცალკეული ნაწილების, აგრეთვე მისი შემოკლებების, გადამუშავებებისა და მათ საფუძველზე შექმნილი ვერსიების შემცველი ხელნაწერები; მანსურ ბენ მუჰამედ ბენ იუსუფ ბენ ალ-იას შირაზის (VIII-IX სს.) თხზულება „ქაფაიე მანსური“, რომელიც მოიცავს თანადროული მედიცინის მთელ ცოდნას და შედგება ზოგადთეორიული ნაწილისა და რთულ (შედგენილ) წამალთა დახასიათებისაგან; შირაზის მუზაფერედდინის შაჰ-მუჯას (1359-1384 წწ.) კარის ექიმის ალი ბენ ჰოსეინ... ალ-‘ათერის „ეხთიარათე ბადი‘ი“ („რჩეული გამოკრებილი“), რომელშიც აღწერილია სამკურნალო საშუალებათა დამზადებისა და შენახვის ტექნოლოგია, შესაბამისი ჭურჭელი, მათი დანიშნულება კონკრეტული დაავადებების მკურნალობისათვის. ამ თხზულების ერთ-ერთი რედაქცია (ბოდლეანის კოლექციიდან) ემყარება ზემოთ ხსენებულ „ზახირე ხორეზმშაჰს“.

ჩვენს კოლექციებში წარმოდგენილია ენციკლოპედიური ტიპის კრებულებიც. მაგ.: „ჩაჰარ მაყალეს“ ერთი ხელნაწერი – PAC-428, ვრცელი ენციკლოპედია, რომელიც 4 ნიგნს შეიცავს და წარმოგვიდგენს სხვადასხვა დაავადების დახასიათებას ადამიანის ორგანოთა მიხედვით, აგრეთვე სამკურნალო საშუალებათა ნუსხასა და სპეციალური ტერმინების ჩამონათვალს (სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი 1977). ანალოგიური შინაარსისა და აგებულების თხზულება, რომელიც ინდოელი, რუმის, არაბი ავტორების კომპილაციის საფუძველზეა შედგენილი, აღწერილია ჰ. ეთეს მიერ (ბოდლეანური ხელნაწერი N1614). საინტერესოა, რომ აღნიშნულ ხელნაწერს ერთვის V თავი, სადაც სამკურნალო საკითხებთან ერთად განიხილება ასტროლობის, გლობუსის აგებულება და გამოყენება, VI თავში კი მოცემულია თხრობა მთების სტრუქტურის, მინერალების, ქვეყნის საოცრებების, დროისა და სივრცის შესახებ.

სამედიცინო-სამკურნალო ხასიათის ქართული თხზულებები, რომელთა უმეტესობა შუა საუკუნეებშია შექმნილი, ამ პერიოდის აღმოსავლურ ტრადიციასთან და ცნობილი აღმოსავლელი ავტორების თხზულებებთან პოულობს პარალელებს. თავის მხრივ, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფეოდალური ეპოქის ქართული სამედიცინო თხზულებების შემდეგი სახეობები გამოიყოფა: ანატომიურ-ფიზიოლოგიური ტრაქტატები, პრაქტიკოს ექიმთათვის განკუთვნილი სამკურნალო წიგნები – კარაბადინები, სასწავლო-საექიმო წიგნები – სახელმძღვანელოები, საოჯახო წიგნები – კარაბადინები, მოკლე კარაბადინები – ცნობარები (შენგელია 1981: 180).

ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა მდიდარია ამ ტიპის მასალით. გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს ინტელექტუალური ვექტორი მთლიანად მუსლიმური სამყაროსკენაა გადახრილი, იცვლება გემოვნება და საზოგადოებრივი დაკვეთა; ხდება მეცნიერული თუ მხატვრული აზროვნების „ირანიზაცია.“ ამ პერიოდის ძველი ქართული სამედიცინო თხზულებების გამომცემელი ლ. კო-

ტეტიშვილი XII-XV საუკუნეების სამედიცინო თხზულებებს „ირანულ-არაბული პერიოდის“ ძეგლებად თვლის.

საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ის ქართულ-სპარსული სამედიცინო კრებულები, რომლებიც უკავშირდება ქართულ ენაზე შექმნილ ცნობილ სამედიცინო თხზულებას, „იადიგარ დაუდს“. ძეგლი XVI საუკუნეშია შესრულებული და ეკუთვნის ლუარსაბ პირველის შვილს, საქართველოს მეფეს, დავითს, შემდგომში დაუდ-ხანს. მან განათლება მიიღო საქართველოსა და ირანში. თხზულება დაიწერა 1579-1588 წლებში თბილისსა და სტამბოლში. ძეგლში წარმოდგენილ კონცეფციას ემყარებოდა ქართული მედიცინა 400 წლის განმავლობაში.

თხზულება შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: ზოგადი მედიცინა, დიეტეტიკა, კერძო პათოლოგია და თერაპია. იგი ეფუძნება ჰიპოკრატეს ჰუმორალურ-პათოლოგიურ სისტემას, რომელიც განავითარეს გალენმა, შემდგომში კი – არაბმა მეცნიერებმა. იგი ორგანული გახდა ქართული სამედიცინო აზროვნებისა და ყოფისათვის (იადიგარ დაუდი 1985: 39-40).

გალენის ცნობილი მარტივი პრეპარატები (ნიაღისეული წარმოშობის, ცხოველური და მცენარეული), რომლებიც ჰიპოკრატედან იღებს სათავეს, I საუკუნიდან ივსება რთული ნივთიერებებით – სიროფებით, აბებით, გამოხდილი ნივთიერებებით. ისინი არაბების საშუალებით გაიცნეს ევროპელებმა. შუა საუკუნეებში, როდესაც მიმდინარეობს ბრძოლა პარაცელსისა (ალქიმიურ-სამედიცინო მიმართულება) და გალენის მომხრეებს შორის, გალენისტები ქმნიან ახალ პრეპარატებს – დისტილირებულ წყლებს, ცხოველური წარმოშობის ახალ პრეპარატებს, სიროფებს (Medieval Islamic Civilization 2006: 607-609). „იადიგარ დაუდში“ აისახება სამედიცინო აზროვნების აღნიშნული პერიოდი.

თხზულების შესავალში მისი შემდგენელი და „გარდამთქმელ-გადმომთარგმნელი“ დავით ბაგრატიონი წერს, რომ სტამბოლში ყოფნისას იგი ერთ ფილოსოფოსს და მცოდნე კაცს შეხვდა, რომელმაც სახლში წაიყვანა, სადაც მან ბევრი „საკვირველი“ სააქიმო წიგნი დაათვალიერა. „საქრისტიანოშიგა ამისთანა და ამგვარი ქართული წიგნი სააქიმო არ იყო“. – წერს დავითი. ავტორი საერო მედიცინის კარგი მცოდნეა, პრაქტიკოსი და განსწავლული ექიმი. მისი ნაშრომი საკმაოდ რთული მუშაობის შედეგია. მას გადმოუთარგმნია ორი წიგნი – „მუნთახაბი შაფა“ და „იადიგარ შარიფი“ „ორსა ბრძენსა და ფილოსოფოსთა კაცთაგან“. ამავე დროს შეუტანია მასში თავისი საკუთარი დაკვირვებები და შედგენილ წამალთა რეცეპტები და სხვ.

ეროვნულ ცენტრში დაცული სამეცნიერო შინაარსის სპარსულენოვან თხზულებებზე მუშაობისას შუააზიურ კოლექციაში მივაკვლიეთ ერთ ხელნაწერს PAC-432, რომელიც აერთიანებს ორ თხზულებას – „შიფა ალ-ალილ-ს (ავადმყოფის განკურნება) და სამკურნალო კარაბადინს. პირველი თხზულების ავტორია ‘უბაიდ ოლლა ბენ იუსუფ ‘ალი ალ-ქაჰჰალი (8r). ეს ხელნაწერი XIX საუკუნეშია გადაწერილი, თავბოლონაკლულია.

თხზულების ავტორი ცნობილი ექიმი-ოკულისტია, რომელმაც შეადგინა თავისი ნაშრომი არაბული და სპარსული კრებულების საფუძველზე მუჰამედ დერვიშ-ბაჰადურ-ხანის ბრძანებით. „იადიგარ დაუდის“ წყარო უნდა იყოს უშუალოდ ეს თხზულება ან მისგან „გამოკრებილი“ (მონთახაბ), რომელიც, შესაძლოა, ამავე სახელწოდებით არსებობდა სპარსულ ენაზე – მონთახაბ აზ შიფა. ჩვენი სამედიცინო თხზულება მე-7 კარიდან უშუალოდ მიჰყვება იუსუფ ‘ალის თხზულებას შედგენილობის თვალსაზრისით; ამასთან, ქართული ტექსტის ფრაზეოლოგია ქართულია, თუმცა ტერმინოლოგია, ფაქტიობრივად, არაბულ-სპარსულია.

იუსუფ ‘ალი ალ-ქაჰჰალის ეს თხზულება დაცულია უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდშიც – №609, რომელიც XVII საუკუნით თარიღდება (Семёнов 1952: 271-272).

ჩვენი შესწავლის ობიექტი იყო აგრეთვე ცხოველთა კარაბადინებიც – ცხენის, ფრინველთა, რომელთა პრაქტიკული საჭიროება იყო ქართულ ყოფაში. მათგან ზოგიერთი ვახტანგ VI-ის სახელს უკავშირდება (Q-281, S-14). დავით და იოანე ბატონიშვილების ხელნაწერ კრებულში S-3728 შესულია ცხენის კარაბადინი, რომელზედაც ანდერძში ნათქვამია, რომ ეს თხზულება დანერილი იყო არაბულად, შემდგომში კი ის „სპარსულად გადმოსწერეს“ ალექსანდრე მეფისათვის. აღნიშნული კარაბადინი შედის ქუთაისურ ხელნაწერშიც (№N200). ამ ძეგლებში ამკარაა აღმოსავლური წყაროების ცოდნისა და პრაქტიკული გამოყენების კვალი. სპარსული ორიგინალის მოძიების კუთხით მუშაობა გრძელდება.

ქიმია და ტექნოლოგია

ეროვნული ცენტრის შუაზიურ ფონდში (PAC) დაცული შერეული ტიპის ზოგიერთ კრებულში, რომელიც შეიცავს მკურნალობასთან დაკავშირებულ მასალას, პოეტური და თეოლოგიური შინაარსის ტექსტებთან ერთად შედის ქიმიის პარაგრაფებიც. ამგვარ კრებულთაგან აღსანიშნავია PAC-752, რომელიც 13 ნაწილისაგან შედგება. იგი წარმოგვიდგენს ‘ანსარის, ზაქარია არ-რაზის, ‘ამად ედ-დინ მაჰმუდ შირაზის, იუსუფ ყარაბალის, მოლა ჯამისა და სხვა ავტორთა თხზულებებსა და ნაწყვეტებს თხზულებებიდან. განსაკუთრებით საინტერესოა ქიმიური შინაარსის პარაგრაფები, რომლებიც ცნობილ აღმოსავლელ ენციკლოპედისტს, ექიმსა და ფილოსოფოსს, ზაქარია არ-რაზის, ეკუთვნის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დიდი სწვლულის შემოქმედება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი X-XIII საუკუნეებში ითარგმნა ლათინურად, თავად ასახავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ ურთიერთკავშირს.

ამავე შუაზიურ კოლექციაში დაცულია უაღრესად საყურადღებო ხელნაწერი PAC-509, სრული ენციკლოპედია, რომელიც შეიცავს 33 თავს ქიმიისა და ალქიმიის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების დარგების მიმოხილვას. ყაჯართა კოლექციაში კი ინახება ალქიმიური შინაარსის თხზულების ორი ხელნაწერი, ორი ტომი – PK-111, PK-114, რომლებიც ასახავს შუა საუკუნეების ცოდნას

ძვირფას მეტალთა მიღების კუთხით, ძვირფას ქვათა თვისებებსა და აგრეთვე გამოკრებილ ცნობებს არაბი და სპარსი ავტორების თხზულებებიდან ქიმიისა და ალქიმის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სამეცნიერო შრომები ქიმიის შესახებ მსოფლიო მასშტაბითაც კი მცირეა, ჩვენს ფონდებში დაცული ხელნაწერები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ.

ერთ-ერთი ასეთი ქართული თხზულებაა „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერაა შედგენილი. მასში აშკარაა აღმოსავლური, რუსული და ლათინური წყაროების კვალი. რამდენიმე პარაგრაფი თხზულებაში არ-რაზის „საიდუმლოებათა საგანძურდანაა“ შეტანილი. არ-რაზის მსგავსად ავტორი ქიმიურ ნივთიერებათა სამყაროს სამ ნაწილად ყოფს – მინერალური, მცენარეული და ცხოველთა. საერთოა მათ შორის მარილთა ჯგუფების, მეტალთა დადნობისათვის გამოყენებული ხელსაწყოების აღწერილობა, „ბრძნული თიხისა“ და ჟანგაროს დამზადების წესი და სხვ. ამავე დროს მასში წარმოდგენილია რუსული *Травники*-სა და *Лечебники*-ს მასალა და ლათინური წყაროები. ავტორის მიერ თხზულებაში შეტანილია ორიგინალური პარაგრაფებიც. ძეგლს მაღალ შეფასებას აძლევენ თანამედროვე მეცნიერები / გამომცემლები – თ. ენუქიძე და ვ. კოკოჩაშვილი; (ვახტანგ VI 1981), აგრეთვე რ. ჩაგუნავა (Чагунава 1984), მ. შენგელია (შენგელია 1980), მ. ჩართოლანი (ჩართოლანი 1960). იგი ასახავს შუა საუკუნეების მეცნიერულ მიღწევებსა და კულტურათა ურთიერთგამიდრების შედეგებს.

მინერალოგია, გეოლოგია

ქართული სამეცნიერო-მინერალოგიური ხასიათის თხზულებების ერთი ნაწილი ცალკე ძეგლებადაა წარმოდგენილი, ნაწილი კი შედის სამეცნიერო შინაარსის ან შერეული ტიპის ხელნაწერ კრებულებში. ამ ტიპის მასალა ხშირად ერთვის კარაბადინებს, სხვა მომიჯნავე დარგების თხზულებებსა და ენციკლოპედიურ (მიმოხილვით) ნაშრომებს (მაგ.: „ქიმიას“, „კალმასობას“). სპეციალური მინერალოგიურ-გეოლოგიური ტერმინული ერთეულები წარმოდგენილია ლექსიკოგრაფიულ შრომებში („სიტყვის კონა“), კარაბადინებსა და სხვა ძეგლებზე დართულ მცირე ზომის განმარტებებში.

უძველესი ქართული მინერალოგიური ხასიათის თხზულება ეპიფანე კვიპრელის ტრაქტატის ქართული თარგმანია, რომელიც შატბერდის კრებულშია მოთავსებული (X ს.). იგი ეხება ბიბლიურ ქვებს, მათ სამკურნალო და სხვა თვისებებს.

უფრო გვიანი ხანის თხზულებებში სხვა სახის მასალაა წარმოდგენილი. შუა საუკუნეებში შექმნილ ამ დარგის ნაშრომებზე დიდი გავლენა იქონია არისტოტელეს „მეტეოროლოგიის“ IV თავის თარგმანებმა. იგი IX საუკუნეში ითარგმნა არაბულად და აქედან გავრცელდა ევროპასა და მუსლიმურ სამყაროში. განსაკუთრებით პოპულარული იყო ფსევდო-არისტოტელეს „ქვათა ნიგნი“, რომლის

კვალიც აშკარაა როგორც სპარსულ-არაბულ, ისე გვიანი შუა საუკუნეების ქართულ ძეგლებში.

ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული და უაღრესად საინტერესო თხრობა-ლეგენდა უკავშირდება აღმასის აღმოჩენას. ამ ლეგენდის შექმნა, გავრცელება და სახეცვლილებანი უშუალოდ ასახავენ სხვადასხვა ეპოქაში ამ მინერალის შესახებ არსებულ ცოდნას, მისი ხმარების სიხშირესა და პოპულარობას სოციალურ წრეებში. აღმასის შესახებ არის საუბარი ჰეროდოტესთან (თუმცა ის არ ასახელებს უშუალოდ აღმასს, მაგრამ მიუთითებს ქვაზე, რომელიც არაბებმა (სინდბადმა) იპოვეს ფრინველთა ბუდეებში). ამ ლეგენდას ეხმაურება ეპიფანე (IV ს.), ფილოსტრატე, პლინიუსი, X საუკუნის სწავლული არ-რაზი.

IX საუკუნიდან აღმასის ლეგენდა დაუკავშირდა ალექსანდრე მაკედონელს, მისი აღმოჩენა კი – ინდოეთს (არაბული წყაროები ლეგენდას ფსევდო-არისტოტელეს უკავშირებენ). შემდეგ, XII საუკუნეში, ისტორია გაიმეორა ნიზამიმ „ისკანდერ ნამეში“. სხვადასხვა წყარო (არაბული, სპარსული, სომხური, ჩინური) აღმასის სამშობლოდ ასახელებს ხორასანს, ქაშმირს, ყირგიზეთს, სკვითების მიწას, ცვილონს (არაბი ისტორიკოსი ყაზვინი, XIII ს.) (Laufer 1915).

IX-XI საუკუნეებში აღმოსავლელმა ავტორებმა – ალ-ჯაჰიზიმ, არ-რაზიმ, ალ-ქინდიმ, იბნ-სინამ და ალ-ბირუნიმ – მოახდინეს ქვებისა და მინერალების კლასიფიკაცია; ამავე პერიოდში გამოიკვეთა მინერალოგიის ძირითადი მიმართულებებიც, რომელთა შორის სანყისი აღწერითი, გენეტიკური და რეგიონული მიმართულებებია (Medieval Islamic Civilization 2006). შესაბამისი მასალა ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ ძეგლებშიც. მათი უმეტესობა სპარსულ-არაბულ წყაროებსა და ტრადიციას უკავშირდება.

ამ თვალსაზრისით ტიპურია H-758. ამ ნუსხაში შედის მოკლე კარაბადინი, რომელსაც ერთვის „თულთაი“. იგი „სპარსთაგან გარდმოწერილი არის“, ეხება 12 ძვირფას ქვას, მათ ისტორიას, სამკურნალო და სხვა თვისებებს. უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებაში „აღმასის კარი“ ჩართულია სპარსულ-არაბული ძეგლებით ცნობილი ზემოთ ხსენებული ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმასის აღმოჩენის შესახებ. იგი უშუალოდ მიჰყვება „ისკანდერ-ნამეში“ მოთხრობილ ამბავს. ხელნაწერის ანალოგია ქუთაისური ნუსხა N242.

ცნობილია ამავე ტიპის სპარსულ ენაზე დაცული ტრაქტატები ძვირფას თვალთა შესახებ, მაგ.: ანონიმი ავტორის ანალოგიური ხასიათის თხზულება – „მოხთასერ“/ „შემოკლებული“/, 12 თავისაგან შედგენილი ტრაქტატი; მიმდევრობა იგივეა – თხრობა აღმასის, იაკინთის, ლალის, მარგალიტის შესახებ და ა. შ.

ლექსიკონები და განმარტებები

ქართული სამეცნიერო თარგმანები და გადამუშავებები შეიცავს მდიდარ მასალას ქართულ-აღმოსავლური ენობრივი ურთიერთობების კვლევის კუთხით. გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც ქართული ენა „სხვათა სიტყვათაგანაა

აღრეული“ და სპარსულ-არაბულ ტერმინულ ერთეულთა დიდი ნაწილი დამკვიდრებულია ენაში, მათი ხმარება პოპულარულ „საეტიმოლოგიაში“ და კარაბადინებში სრულიად ბუნებრივია. ამავე დროს, ჩვენი მწიგნობრები ცალკეულ ქართულ სამეცნიერო თარგმანებსა და კრებულებს ურთავენ სპეციალურ ლექსიკონებსა და განმარტებებს, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული პრაქტიკული და საგანმანათლებლო მიზანდასახულობა აქვთ. ამ ტიპის სალექსიკონო და განმარტებითი მასალა წარმოდგენილია ასტრონომიულ-ასტროლოგიური, სამედიცინო, მათემატიკური, მინერალოგიური ხასიათის თხზულებებში. მათში შეტანილია როგორც პირდაპირი ტერმინული შესატყვისები, ასევე განმარტებები და, რიგ შემთხვევაში, საზოგადო-სახმარი სიტყვებიც.

ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ვახტანგ VI-ისა და მისი მასწავლებლის, სულხან-საბა ორბელიანის, როლი. მათ ფაქტიობრივად შექმნეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია ზოგიერთი დარგისათვის (ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია), გამიჯნეს ქართული და უცხოენოვანი ლექსიკა, განმარტეს და პრაქტიკულად სახმარი გახადეს დამკვიდრებული თუ ახლად შემოტანილი აღმოსავლური წარმომავლობის ერთეულები.

ლექსიკოგრაფიული მასალა ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ ხელნაწერებში ცალკეული ლექსიკონების, შრომებზე დართული ტერმინთა ნუსხებისა და განმარტებების სახით:

- ასტრონომიულ-ასტროლოგიურ ტერმინთა ლექსიკონები (ვახტანგ VI-ის „ზიჯი“, S-161), განმარტებები, ზოგიერთ შემთხვევაში – გამოსახულებებით (დავით თუმანოვის კრებული, A-1580);
- სამედიცინო და ბიოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონები, რომლებიც შეიცავს წამალთა და სამკურნალო მცენარეთა აღმოსავლურ დასახელებებსა და მათ ქართულ შესატყვისებს (დაუთხანის „იდიგარ დაუდის“ შემცველი ხელნაწერები, H-343, S-19, N69 /გორი/; ცხენის კარაბადინი, H-414, ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი“, Q-887);
- მინერალოგიური ტერმინები, ძვირფას ქვათა დასახელებები ქართული შესატყვისებით (შერეული კრებული, H-2955);
- მათემატიკური ტერმინები (აღმოსავლური და ევროპული წარმომავლობის), განსაკუთრებით, ტრიგონომეტრიული მასალა, რომელიც ერთვის „ზიჯსა“ (S-161) და ვახტანგის მიერ შედგენილ „მათემატიკას“ (S-167 და სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის იოანე ბატონიშვილის კოლექციის ხელნაწერი N313).

სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნუსხა N69, რომელიც წარმოადგენს დაუთხანის კარაბადინს. იგი იოანე მღვდლის მიერაა გადაწერილი მოზდოკში 1792 წელს. ხელნაწერს ერთვის გადამწერისა და მთარგმნელის ანდერძები; წამალთა აღმოსავლური სახელები ქართული შესატყვისებით; სიცოცხლის წრეების სქემა, პურის, ხორცის, რძის თაბიათები /ბუნება/; ფერად-ფერადი მალამოების დამზადება, მაჯუნების /წა-

მალთა ნარევი, კონფორტაცივი/ ნუსხა, საძიებელი. აქ ჭარბობს აღმოსავლური ლექსიკა. გადამწერი მიუთითებს, რომ მან მასალა ამოიღო მირიან და დავით ბატონიშვილების კარაბადინებიდან.

ამგვარი ლექსიკონები ერთვოდა ანალოგიური ტიპის ცალკეულ სპარსულ-არაბულ თხზულებებსა და კრებულებსაც. არსებობდა **სპეციალური სამედიცინო ლექსიკონებიც**. ეს იყო დაავადებებისა და სამკურნალო საშუალებების აღფაბეტური ჩამონათვალი განმარტებებით, სადაც მითითებული იყო ცალკეული ტერმინის წარმომავლობაც. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სპარსულ ხელნაწერთა შუააზიურ ფონდში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერის, XV საუკუნის ცნობილი ავტორის, მოჰამედ ბენ იუსუფ ალ-თაბიბ ალ-ჰარავის, თხზულების, „მარგალიტა ზღვის“ (PAC-397), სრული სათაურიც: „მარგალიტა ზღვა არაბულიდან, ლათინურიდან და ბერძნულიდან აღებული ტერმინების შესასწავლად“. ასეთივე ნუსხები და განმარტებითი მასალა წარმოდგენილია ენციკლოპედიური ხასიათის სპარსულ-არაბულ შრომებშიც, მაგ.: „ჩაჰარ მაყალეს“ ვრცელ ენციკლოპედიაში (PAC-428) და ბოდლეანური ხელნაწერი N1614 (Ethe 1930).

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე 1990**: აბულაძე თ., ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბ., 1990.
2. **ალიბეგაშვილი 1951**: ალიბეგაშვილი გ., შუა საუკუნეების ორი ასტრონომიული ტრაქტატის ილუსტრაციები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XII, თბ., 1951.
3. **ბერძენიშვილი 1974**: ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1974.
4. **შანიძე 1975**: ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის, თხზულება გამოსცა, წინასიტყვაობა და ენობრივი მიმოხილვა დაურთო ა. შანიძემ, თბ., 1975.
5. **ვახტანგ VI 1981**: ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, გამომცემლები თ. ენუქიძე და ვ. კოკოჩაშვილი, თბ., 1981.
6. **დავით ბატონიშვილი 1985**: დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., 1985.
7. **კოჭლამაზაშვილი 2007**: კოჭლამაზაშვილი ე., კურთხევანი, კრებ. „თამარ გამსახურდია – 70“, თბ., 2007.
8. **შენგელია 1980**: შენგელია მ., ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1980.
9. **ჩართოლანი 1960**: ჩართოლანი მ., სვანური სევადი და მისი ადგილი ქართულ ოქრომჭედლობაში, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XXIII, თბ., 1960.
10. **ჯავახიშვილი 1928**: ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928.

11. **სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი** 1977: სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (AC კოლექცია), შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბ., 1977.
12. **Briffault** 1928: Briffault R., The making of Humanity, G.Allen & Unwin Ltd., 1928.
13. **Ethe**, 1930: Ethe H., Catalogue of the Persian, Turkish, Hindustani and Pushtu Manuscripts in the Bodlean Library, Oxford: 1930.
14. **Grant** 1966: Grant Ed., The foundations of Modern Science in the Middle Ages: Their Religios, Institutional and Intellectual Contex, Cambridge Univ. Press, 1966.
15. **Jachimovich** 1975: Jachimovich E., Islamic Cosmology; Ancient Cosmologies, edited by C. Blacer, M. Loewe, London: Georg Allen Unwin, Ltd, 1975.
16. **Lach** 1977: Lach Donald, Asia in the Making of Europe. A century of wonder, Vol. 2, Book 3, Univ.of Chicago Press, 1977.
17. **Laufer** 1915: Laufer Bertold, The Diamond. Astudy in Chinese and Hellinistic Folk-Lore, vol.15, issue I, Field Museum of Natural History, 1915.
18. **Lodge** 1893: Lodge, Oliver Josef, Pioneers of science, (wikipedia, on-line encyclopedia), availablefrom <http://en.wikipedia.org/wiki/Islamic-of-sciences/index.html>;Internet.
19. **Medieval** 2006: Medieval Islamic Civilization, editor Josef W. Meri, vol.2, New York, London: Routledge, taylor & Francis group, 2006.
20. **Russel** 1945: Russel Bertrand, History of Western Philosophy, book 2, part 2, chapter X; New York: Simon & Schuste, inc., 1945.
21. **Sarton** 1975: Sarton, George, History of Islamic Science based on the book “Introduction to the History of Science” by George Sarton, 1975; available from <http://www.levity.com/alchemy/islam/index.html>; Internet.
22. **Science in Asia:** Science in Asia and Africa, Islamic science (wikipedia, on-line encyclopedia),last modified 21 September 21, 2007; available from <http://en.wikipedia.org/wiki/History-of-science-in-the-Middle-Ages/index.html>;Internet.
23. **Stock** 1980: Stock, Brian, Science, Technology and Economic Progress in the Early Middle Ages, Journal of the History of medicine and Allied Sciencis, 1980, XXXV (2).
24. **Виппер** 1947: Виппер, Р. Ю., История средних веков, М., 1947.
25. **Чагунава** 1984: Чагунава Р. В., Вахтагн Багратиони и его труд по химии, Тб., 1984.
26. **Семёнов** 1952: Собрание восточных рукописей Академии Наук Уз. ССР под редакцией и при участии проф. А. А. Семёнова, I, Ташкент: издательство АН Уз. ССР, 1952.
27. **Мемедбейли** 1951: Мемедбейли Г., Выдающийся азербайджанский учёный (М. Насиреддин), Изв. АН Азерб. ССР, №9, 1951.

Tamar Abuladze

GEORGIAN SCIENTIFIC MANUSCRIPTS AND EASTERN CULTURAL TRADITION

SUMMARY

The Medieval science, first of all, is connected with the “Gold Age” of the Muslim East and the fundamental works of the Muslim scholars.

The Georgian translations of that period belong to different branches of science (astronomy/astrology, cosmogony and calendar material; medicine/biology, pharmaceuticals; chemistry, physics, mathematics; mineralogy, geology, geography) and in frequent cases are connected with the Persian sources, the works of renowned Eastern scholars, and the Eastern schemes accepted in that period.

The volumes of the Georgian manuscripts, involving the works of scientific content, represent the following typological volumes: the collections of scientific information, thematically diverse, united collections, involving at the first glance the incompatible material both from the content and origin viewpoint (the collection of Amvrosi of Nekresi, Zham-Gulani of Kanchaeti, Kurthkhevani (Blessings), etc) and the textbooks of different types.

Parallel study of the Georgian and Persian scientific collections and separate works from the language viewpoint enabled to determine the direct connection between the Medieval Georgian translations and variants with the Persian sources: the Persian originals were revealed of the Georgian translations of “Strolabi” of Nasir al-Din Tussi, “Zijj” of Ulughbeg, made by Vakhtang VI Bagrationi and “Ayat – Kmnulebis Tscnoba”, published in the printing house of Vakhtang VI, David Bagrationi’s “Yadigar Daudi”; also the primary Eastern scheme of Georgian mineralogical work “Tualtai”, which is connected with “The Book of Stones” of pseudo-Aristotle.

The Georgian scientific translations and the revised versions involve rich material from the viewpoint of research of the Georgian-Persian/Arabic language relations, lexical-terminological references. The Georgian men of letters add to the scientific translations and collections the special vocabularies, explanations, which are of clearly expressed practical educational purposes. They present the picture of literary language of a concrete period and the contributions of the translators and re-translators of the eastern language material to the formation and enrichment of the Georgian scientific language.

ზაზა ალაქსიძე, დალი ჩიტუნაშვილი

ქართულ-სომხური პალიფესტატი სელნანართა ეროვნული ცენტრის საცავებში: აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“

აგათანგელოსი პირობითად ითვლება „სომხეთის ისტორიის“ ავტორად. იგი ნაწარმოებში თავს აცხადებს ამბების თვითმხილველად, სამეფო კარის მდივან რომაელ მწერლად, რომელმაც კარგად იცოდა ლათინური და ბერძნული და რომიდან ჩამოყვანილი იყო თრდატ მეფის მიერ მისი და მამამისის (ხოსროს) გმირული თავგადასავლის აღსაწერად. გვიანი ხანის წყაროშიც („კავშირის წიგნი“) იგი მოხსენებულია როგორც თრდატ მეფის კარის მდივანი, რომელიც ოქმებს ბერძნულ ენაზე წერდა (წაუასნგ ჟილიქ 1695).

„აგათანგელოს“ გამჭვირვალე ბერძნული კომპოზიტია და ნიშნავს „კეთილის მაცნეს“ (აგათოს+ანგელოს), ამიტომ იყო მოსაზრება, რომ სახელი „აგათანგელოს“ მიემართება არა ავტორს, არამედ ნაწარმოებს (ზუსტი ანალოგიაა ბერძნ. „ევანგელოს“-ისა).

აგათანგელოსს თითქმის არ იხსენიებენ ქრონოლოგიურად უფრო ახლოს მოღვაწე სომეხი ავტორები. მას წყაროდ ასახელებს მხოლოდ მოსე ხორენელი, როდესაც ვრცლად საუბრობს გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობისა და შესაბამისი ისტორიული გარემოს შესახებ (Մուկես Խորենացի 1897: 172-173).

იგი მას წყაროდ ასახელებს, აგრეთვე, ნმ. ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით Մուկես Խորենացի 1897: 201), თუმცა აგათანგელოსის თხზულების არც ერთი ჩვენამდე მოღწეული ვერსია ამ ცნობას არ ადასტურებს (ჩხარტიშვილი 1987: 23-34; აფციაური 1987).

ასეა თუ ისე, დღეს არმენოლოგიაში მიღებულია, რომ აგათანგელოსის თხზულება არ მიეკუთვნება მასში აღწერილ დროს და შექმნილია V საუკუნის მეორე ნახევარში.

აგათანგელოსის „სომხეთის ისტორია“ რამდენიმე ნაწილისაგან შედგება: 1. წინასიტყვაობა; 2. ისტორია; 3. გრიგოლ განმანათლებლის ქადაგება, რომელიც შუაში ერთვის ისტორიას; 4. ისტორიის გაგრძელება და დასასრული.

აგათანგელოსის „ისტორია“ იწყება ირანში სახელმწიფო გადატრიალების თხრობით. 224 წელს გამეფდება არდაშირი და სათავეს დაუდებს სასანიანთა დინასტიას. სომხეთის მეფე ხოსრო ირანის სამოქალაქო ომში მხარს უჭერდა პართული წარმოშობის არშაკიდთა დინასტიას. არდაშირსა და სომხეთის მეფეს ხოსროს შორის ომი იწყება. პართელი ანაკი ღალატით კლავს ხოსროს და სომხეთში სასანიანები იმარჯვებენ. სომხები სიკვდილით სჯიან ანაკს, ხოლო ირანელები მის შვილს გრიგოლს გადახვეწენ კესარიის კაპადოკიაში. აქ გრიგოლი ქრისტიანულ გარემოში იზრდება და ქრისტიანობაზეც მოიქცევა. თავის მხრივ, ხოსროს ძეს, უფლისწულ თრდატს, რომში გააპარებენ და იქ იმპერატორის (გვიანი სომხური ტრადიციით დიოკლეთიანეს) კარზე იზრდება.

რომის იმპერატორი ჭაბუკ თრდატს აღადგენს სომხეთის სამეფო ტახტზე, ხოლო გრიგოლიც თრდატთან ერთად ბრუნდება სომხეთში. როდესაც გრიგოლი უარს განაცხადებს მეფესთან ერთად თაყვანი სცეს ქალღმერთ ანაჰიტის კერპს და მისი ქრისტიანობა გამჟღავნდება, თრდატის ბრძანებით მას აწამებენ. ამასობაში თრდატი შეიტყობს, რომ გრიგოლი არის მისი მამის მკვლელის შვილი და მას სამუდამოდ ხაროში ჩააგდებს.

გაივლის დაახლოებით ათი წელი. იმპერატორი დიოკლეთიანე ეძებს ცოლს და თვალს დაადგამს რომაელ მონაზონ რიფსიმეს. რიფსიმე თავის გამზრდელთან და მოყვასებთან ერთად გაიქცევა სომხეთში. აქ იგი თრდატის ყურადღებას მიიპყრობს და როდესაც მეფე მას ვერ დაიმორჩილებს, რომიდან გამოქცეულ ყველა ქალწულს წამებით სიკვდილით დასჯის.

ჩადენილი დანაშაულის გამო თრდატი დაისჯება: ნადირობისას ტახის სახეს მიიღებს. მის დას აქვს ძილში გამოცხადება, რომ ამ განსაცდელისგან მეფის ხსნა მხოლოდ გრიგოლს შეუძლია. ხაროში ჩაგდებული გრიგოლი ცოცხალი აღმოჩნდება, განკურნავს მეფეს, რომელიც თავის სახლეულთან ერთად ქრისტიანობას მიიღებს.

მის შემდეგ მოდის გრიგოლ განმანათლებლის საკმაოდ ვრცელი „სწავლანი“, ანუ ქადაგებები.

„ისტორიის“ ბოლო ნაწილი ეძღვნება გრიგოლ განმანათლებლის სამისიონერო მოღვაწეობას. მასში აღწერილია გრიგოლის ხელდასხმა კაპადოკიის კესარიისაში, სომხეთში წარმართულ ტაძართა ნგრევა, სომეხი ხალხის მონათვლა, სომხეთში ეკლესიების აგება და საეპისკოპოსოების დანესება. მისი მგზავრობა რომში კონსტანტინე დიდთან შესახვედრად, მარტომყოფად განდგომა და მისი ვაჟის დატოვება სომხეთის უმაღლეს იერარქად.

აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ ჩვენამდე მოღწეულ სომხურ ვერსიას მრავალ ვერსიაში ორიენტაციის გასაადვილებლად მინიჭებული აქვს Aa (Aგათანგელოსი, ასომხური) ლიტერი (Ագաթանգեղոս 1909).

ამ ვერსიის კრიტიკული გამოცემა დაიბეჭდა თბილისში 1909 წელს. ეს გამოცემა უცვლელად გამეორდა კვლავ თბილისში, ხოლო ახალ სომხურ ენაზე გამოქვეყნდა ერევანში 1983 წელს.

დღემდე აგათანგელოსის „ისტორიის“ ყველაზე ადრინდელ ხელნაწერად ითვლებოდა ვენის მხითარისტა „მატენადარანის“ პალიმფსესტის (N56) ქვედა ტექსტი, რომელსაც პალეოგრაფიულად X ს-ზე ადრინდელი ხანით ათარილებენ (Suzsán 1891: 41ხსნა).

IX-X სს-ით ათარილებენ ერევნის „მატენადარანის“ N1235 ფრაგმენტს. ქრონოლოგიურად მომდევნოა (X-XI სს.) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სომხური ფონდის N18-ის დამცავი ფურცელი. არის სხვა ფრაგმენტებიც, რომლებიც უფრო მოგვიანო ხანით თარიღდება (Մուրադյան 1982).

ყველაზე ადრინდელი სრული ხელნაწერები მიეკუთვნება XII-XIII სს-ს. დანარჩენები მნიშვნელოვნად გვიანდლებია.

გრიგოლ განმანათლებლის „ცხოვრების“ ორი ბერძნული ვერსიიდან ერთი, უფრო გვიანდელი, წარმოადგენს სომხური ეროვნული ვერსიის (Aa) თარგმანს (Lafontaine 1973). იგი აღნიშნულია Ag ლიტერით. ამ ვერსიიდან უშუალოდ მომდინარეობენ ლათინური, არაბულ-კობტური, სირიული და ეთიოპიური ვერსიები.

არის ჯგუფი აგათანგელოსის „გრიგოლ პართელის ცხოვრებისა“, რომლებიც, სპეციალისტების აზრით, მომდინარეობენ აგათანგელოსის თხზულების ჩვენამდე მოუღწეველი ვერსიიდან. ესენი არიან ესკორიალისა (1107 წ.) და ოქრიდის (X ს.) ხელნაწერები (Vg, Vo) (Garitte 1965: 233-290). ამ ბერძნული ვერსიიდან მომდინარედ ითვლებიან სინას მთაზე აღმოჩენილი არაბული ვერსიები: Sin.455 (XII-XIII სს) (Տեր-Ղևիძյան 1973: 209-228) და Sin.460 (IX ს) (Mapp 1905). მათი ლიტერებია Var და Va.

ძველი ქართული მწერლობა არ იცნობს აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიას“, მაგრამ ცალკე-ცალკე შემონახული აქვს მისი ნაწილების თარგმანები: „გრიგოლ პართელის ცხოვრება“, „რიფსიმეანთა მარტვილობა“ და, როგორც ჩანს, „სარწმუნოებისათვის“.

„გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების“ ქართული ვერსიები დაცულია შემდეგ ხელნაწერებში: 1. ათონის ივირონის მონასტრის №20 (1089 წ.), საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტი) S-384 (XI-XII სს), ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის № (1565 წ.), სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის №91 (XIVს.). ქართული ვერსიები შესწავლილი და გამოცემულია რამდენჯერმე (ცხორებაა წმიდისა გრიგოლ პართელისა 1920; Меликсет-Беков 1915; ლვალაძე 1973: 90-100; Մուրադյան 1982; გოგუაძე 1986: 468-478, 529-530).

არის კიდევ რამდენიმე ხელნაწერი, დაცული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ახალციხისა და თელავის მუზეუმებში, რომლებიც XIX ს-ში არიან თარგმნილი გვიანი ხანის სომხური ტექსტებიდან.

„საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელნაწერთა საცავში დაცული „გრიგოლის ცხოვრების“ (S-384) შესახებ ვრცელი გამოკვლევა 1915 წელს (Меликсет-Беков 1915: 155-170), სრული ტექსტი კი 1920 წელს გამოაქვეყნა ლ. მელიქსეთ-ბეგმა. მისი აზრით, „გრიგოლის ცხოვრების“

ქართული ვერსია თავისუფალი თარგმანი უნდა იყოს ბერძნული მეტაფრასული რედაქციიდან გიორგი მთანმიდლის მონაფის თეოფილე მღვდელ-მონაზონის მიერ კონსტანტინეპოლში, ტრიანტაფლუს მონასტერში.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის A ფონდში (N491) დაცულია პალიმფსესტური ხელნაწერი, რომლის ზედა ტექსიც წარმოადგენს „სადღესასწაულოს“ და პალეოგრაფიულად XIII-XIV სს-ით არის დათარიღებული. ხელნაწერი ეკუთვნოდა სვეტიცხოველს. იგი შედგება 108 ეტრატზე ნაწერი ფურცლისგან. ტექსტის სათაურები და დასაწყისები შესრულებულია სინგურით. ზომები: 23,4X18. ხელნაწერი დაზიანებული და დალაქავებულია. ჩვენამდე მან მოაღწია უყდოდ, დაშლილმა და ნაკულმა. მისი გადამწერია ვინმე ლატავრი. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ხელნაწერის 5, 6, 38, 40, 41, 45, 48, 49, 50, 55, 57, 58, 60, 63, 65, 66, 68, 71, 73, 74, 76, 77, 79, 81, 82, 85, 86, 89, 90, 96, 97, 100, 101, 107, 108 ფურცლები წარმოადგენს პალიმფსესტს.

სომხური ტექსტი განლაგებულია ქართულის პერპენდიკულარულად. ქართული ხელნაწერის ორი ფურცელი წარმოადგენს სომხური ტექსტისათვის ერთ ფურცელს. სომხური ხელნაწერი დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, დაახლოებით 46 X 24, აშიები დაახ. 5 სმ. ტექსტი ნაწერია მსხვილი მრგვლოვანი ერკათაგირით ორ სვეტად, სვეტის სიგანე 8,5 სმ. სვეტებს შორის მანძილი 2 ზოგჯერ კი 2,5 სანტიმეტრია, სტრიქონებს შორის 1 ან 1,5 სმ. ასოების სიმაღლეა 0,8, სიგანე 0,5; ტექსტის სიძველეზე მიუთითებს როგორც ასოთა მოზახულობა, ასევე ხელნაწერში გამოყენებული განკვეთილობის ნიშნებიც: სიტყვებს შორის წერტილი. ციტაციის დროს (მაგალითად გრიგოლის წერილისა) ტექსტს სიგრძეზე მიჰყვება წერტილები, როგორც ეს გვაქვს ქართულ ხელნაწერებში საღმრთო წერილის ციტირებისას. ზოგჯერ ხელნაწერში სიტყვებს შორის დატოვებულია მანძილი, რათა ტექსტი ჩაჯდეს სვეტში. ქვესათაურები დაწერილია უფრო წვრილი ასოებით, ვიდრე ძირითადი ტექსტი, ისე როგორც ეს გვაქვს ძველ სომხურ ლექციონარებში. ხელნაწერის სიძველეზე მიუთითებდეს დაქარაგმების ნესიც: ქარაგმდება მხოლოდ საპატიო სიტყვები. პალეოგრაფიულთან ერთად, ეს მონაცემები გვაძლევს უფლებას ხელნაწერი IX ს-ით დავათარილოთ.

დღეისათვის ამოკითხული და იდენტიფიცირებულია პალიმფსესტის 10 გვერდი. ნაკითხული მასალა აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ კრიტიკული გამოცემის 781 პარაგრაფიდან 874 პარაგრაფის ფარგლებში ექცევა. აღმოჩნდა, რომ „სომხეთის ისტორიის“ სხვადასხვა ხელნაწერთან მიმართებაში ის ყველაზე მეტ სიახლოვეს იჩენდა ხელნაწერთა იმ ჯგუფთან, რომელიც კრიტიკულ გამოცემაში α , β , γ , A, P ლიტერებით არის აღნიშნული (Ազգայնագիտ. 1909: 40), თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი ტექსტი განსხვავდება როგორც გამოცემის ძირითადი ტექსტის, ასევე სქოლიოში ჩატანილი ჩვენებებისგანაც. ტექსტის აღდგენისას გათვალისწინებულ იქნა ერთ სტრიქონზე გრაფემათა რაოდენობა. ჩვეულებრივ პალიმფსესტში ერთ სტრიქონზე 17 გრაფემა არის განთავსებული, თუმცა გვქონდა შემთხვევები 12, 14 და 15 გრაფემისაც.

წინამდებარე გამოცემაში ტექსტი იბეჭდება ორ სვეტად, ისევე, როგორც ხელნაწერშია. მთავრულით არის ის მასალა რაც იკითხება, ნუსხურით კი აღდგენილი ტექსტი. ტექსტი აღდგენილი და სასვენი ნიშნებით გამართულია 1909 წლის კრიტიკული გამოცემის ძირითადი ტექსტისა და ვარიანტების გათვალისწინებით. ყოველი წაკითხული გვერდის წინ მითითებულია გამოცემის გვერდი და სტრიქონი, თუ გვერდი იწყება რომელიმე სიტყვის დაბოლოებით, რომლის დასაწყისიც არ იკითხება, მაშინ მთლიანად სიტყვა შესაბამისად ჩატანილია სქოლიოში.

107-108r (406,7-407,4)

1	ԱՄՆԵՆՔԻՆ. ԻՍԿ ՄԵԻԱ	ՍՈՒՐՈՒԹԵԱՆ ԵԿԵՂԵ
2	ԳՈՒՆԴ ԴԻՒԱՅՏԱՆ	ՅԻՈՅՆ. ԵԻ
3	ԵՐԵՒՈՅԹ ԵՂԵԱԼ, ԶՔՈ	ԱՌ ՀԱՄԱՐԱԿ ԱՄՆԵՆՏ
4	ՏԵԱԼՔ ԽՆԵՂՈՅՆ Ի	ուն սերմանեալ աստուածԱ
5	ԲՐԵԻ ԶԾՈՒԻՆ պակասԵ	ՊԱՇՏՈՒԹԵԱՆ ԲԱՆ
6	ՅԱՆ: ԻՍԿ ՄԱՐԴԿԱ	ԵԻ ԶԱՄՆԵՆՄԵԱՆ Ի Տեառն
7	նն հասեղց ան	ՀԱՆԱՊԱՐՀԻՆ ԿԱՅՈՒՅ
8	Դեն քանդեալ	ԱՆԷՐ գիտուն լինել
9	գիմունս մնացեալս	պատուիրանաց
10	աւերէին աղբատաց և	ԱրարչՈՒԹԵԱՆՆ: և յամենս
11	տարապելց	ՅՆ ՔԱՂԱՔՄ
12	որբց և այրեաց	հայց և յաւանս և
13	և չքաւորաց, Ե ?	ՅԱԳԱՐԱԿՄ ԵՐԵԻ (Յ)
14	Ի ԳԱՆԺԻ	ՈՒՅԱՆԷՐ գտեղիս
15	ց մերթեալս`	ՏԱՆ ԱստուծոՅ. ԲԱՅՅ ոչ
16	հանէին: ԵԻ ԶԴԱՍՏԱ	առնէր յայտ հիմնարկ
17	Կերտան ԵԻ ՍՊԱՄ	ՈՒԹԵԱՆ գիտ, և
18	ԱԻՈՐՄ ՔՐՄԱԻՔՆ ՀԱՆԴ	ՈՉ ՄԵՂԱՆ ուր
19	ԵՐԶ ԵԻ ՆՈՅԻՆ ԳԵՏ	ԵՔ ՅԱՆՈՒՆ աստուծոյ ուղղեալ
20	նովք ԵԻ ՄԱՀՄԱՆԱԻՔ	Յանուն աստուծոյ, զի չունէր
21	ԾԱՌԱՅՈՒԹԻՒՆ ՍՊԱ	զպատիւ քահանայութեան.

107-108 (407,4-408,1)

1	ԱՅՂ լոկ Պարապէր	զամենայն ոգի ջանայր
2	քաղաքորով գտեղիան	լերկլիրել հասուցանել
3	և կանգնէր գնշան տերուն	ի գտութիւն ճշմարտու
4	ական խաչին: նոյնպէս	Թեան: եւ յորժամ
5	և յելս ի մուտս ճանապարհացն	այնպէս լի առնէր ընդ
6	փողոցս և ի հրապարակս	ամենայն տեղիս գտուրք
7	ԵԻ Ի ճանապարհակից	Աւետարանն տեառնն, և ամենեցուն
8	ՊԱԿ և ապաւեն ԶԵՐ	զգուշացուցեալ անմեղութեամբ
9	ԿՐՊԱԳԵԱԼՆ ԱՄՆԵՆՅՈՒ	զճանապարսի կենաց վարելոյ

10	სე გივი სუან ყალყსე:	აყა ამნენგონ ცაი
11	აიიიი აიიიი	ჩნეჩ ი მთი, ეი თნანი
12	ყარყსიონსე	ასთთიიი იონსე მიაი
13	თიიი იონსე	ნეჩიი ყაგენს, ს
14	ქარქა ქარქაქსე	ინა მიაი აყა
15	იონსე აყა	თარქს:
16	იონსე. იონსე	აიი იონსე აყა
17	აიი. აიი	ნე გიიი ამნეაყა
18	იონსე	იონსე. აიი. აიი
19	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
20	აიი. აიი. აიი	აიი. აიი. აიი
21	აიი. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი

89-90r (408,1-14)

1	ეი სე კიიი	იონსე აიი. აიი. აიი
2	ამნეაყა	იონსე. აიი. აიი. აიი
3	აიი. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
4	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
5	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
6	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
7	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
8	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
9	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
10	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
11	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
12	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
13	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
14	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
15	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
16	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
17	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
18	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
19	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
20	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
21	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი

89-90v (408,14-409,12)

1	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
2	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
3	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
4	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი
5	იონსე. აიი. აიი	იონსე. აიი. აიი

¹ ი საყააიი. აიი. აიი

6	ესა, ხე ვამნენს	საღრავს, ჯამრს ას
7	ესან ჯასთოდაყაჟთოჟ	ნინასესა, ეჩენს ამ
8	ჩინ ყრბესა, ირ	ენაჟნი: ს ანთ ჟანც
9	ვამსნიჟ ხსლ ქნასკაგ	ინაჟ ცთქონისაჟ
10	გამამონ სჯასჟ	ას სჯასს, ხე ჟამ
11	სხედასხეჟ ხეჩესესა,	ას ასრავასამჟ ხა
12	ყერჟასქერაჟ სსასნი	ასრხეჟ ხე ოსონისნი
13	ბესაჟ ჩინას ჟა	ჩინ ხეჩესენს
14	ხსსამას ლინქინ	სინჩინქინ:
15	ასყასეს ლ ყინჟასს	ეს აჟაჟ ვეს ამსინჩ
16	ხარესამ. ხე ჩინჩე	ხსსამასამ
17	ღონსა. ხეს ჯასსინქ	ვ გამამონ ვეჩეს
18	ამა ხეჩესა, ჯასსინქ	ესასეს ხე ასა ხე
19	ჯამორ სეჩინ ვასნი	ხესესა ჩინას ხე სხე ხე
20	ასესა, სეჩინ ვასნი,	ჩინ ჩინ მხესინას ჯამ
21	ჩინ ოსამინჩინჩინჩინ ყას	ნვ ოსამინჩინ, ჩინ სე

96-97 (412,15-413,15)

1	ინაჟარაჟ ს აგასჟ, ოსათორჟ ს	ეს ქასან ანჟაქასქაჟ
2	ს ვარაქარაჟ, ს ხასესაჟ	ქარაქარაქანას ვარქაჟ.
3	ქაჟინ ანაჟი ოსათორჟინ	ქინ ანაჟათონ ქ აჟა
4	ხორხორჟ ხ მლე ანინჟ	აჟათი ქრქათათათორ
5	ოსათორჟინ რნჟ ამნესინ,	ქათანას ანაჟინორჟი
6	ქინქესა ხასანქაჟ ქარესაგ	ესან, მჩენორჟ ქაჟ ლს ² ასთონად
7	კორბონგ ოსათორჟინ ქინქესა:	ს რნჟ მარქინქ. აჟა ვარქ
8	ესაჟაჟ, ასქ დესაჟინქაჟ ვაჟა ანაჟინორჟ	ამინქ ხინქესაჟ ვსეს:
9	ქინასგ მერნგ თონქაჟ მესა ასთონად	ს ანქეს თესქ, სქეს
10	კორბონგ ხინქესაჟ ქინქესაჟ	ქესი ჟასთონქესაჟ ხესესაჟ ოსამინჩ
11	ქინ ლინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ჩინ თესასესაჟ ვსეს
12	სქინქესაჟინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ქასქ ასთონქესაჟ ქინ ქინქესა
13	სინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ქესი სინ, ოს ოსეს
14	ნინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	კინქესაჟ ქინქესა
15	ნვ სინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ხესინჩინჩინჩინჩინჩინჩინ
16	არარქინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ვამინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ
17	ჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ამინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ
18	ვამს ვასქინ, ანინქ	სინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ
19	ვამს ოსათორჟინჩინჩინჩინჩინჩინ	ინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ
20	ნინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	კინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ
21	ქინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ	ქინჩინჩინჩინჩინჩინჩინჩინ

96-97 (413,15-414,13)

1	ესეს ² ჩინ ოსეს, ქას	ყამ ოსესინჩინჩინჩინჩინ
---	---------------------------------	------------------------

² ხქესეს

2	ათელ ქაანს აყნრ ვჩ	ააყათოიქანს,
3	ჩ ვრჩათოანს აშრ ჴრამაყელ,	ჩინგეროიქ `ჩქასან
4	ასელ: ჩსყ სან ხაიანსაყ	აყარაყათოიქანს,
5	ვარვარაყარ ვარყარ	ვარაყარ ხაიივ აქსარჩინ.
6	ხას, ასელ, იხ ვასჴ ასოიიი	ვსგეროიქ `ჩქასანს ლოიოიქავ
7	ლათარესჩინ:	აქსარჩინ.
8	ჩსყ იოვასჩინიქ ვაიქ	ესეროიქ `ჩქასანს იი
9	არასჩინ ჩინიიიქ	ჩავ აქსარჩინ.
10	ხჩ სხეასჩინ ჩინიქსამ	ინიხინიქ `ჩხასს ვინ
11	ჩინიქსას ვინიქსას	ვარას ახინიქსას,
12	ავ ვიქსათრე სან	ინ სჩინ ანოიანს
13	არავნს ს ვინიქსას	აქ ვიქსას.
14	ახინიქსას.	ჩინინიქ `ჩხასს
15	ანანინ `ჩხასს	ინინინიქსას ახინიქსას.
16	ანინ თან,	სასსეროიქ `ჩქასან
17	ხინინიქ `ჩხასს არ	სინიქსას აქსარჩინ.
18	სას, ინ ხჩ ჩინიქსას.	სხსასინიქ `ჩქასანს
19	ხინინიქ `ჩხასს სარქ	ახინსავ აქსარჩინ.
20	ხთოიქსას,	ესლითასინიქ `ჩქასანს
21	ინინიქ `ჩხასს იოვას	იანიქსას აქსარჩინ.

71-76 (414,14-415,12)

1	ხინიქსასინინიქ `ჩქას	ვინიქსას. იჩ სარსაყ ვიქ
2	ან ინსასჩინს აქსას	ვიქსას. ჴასანსაყ
3	ჩჩინ. ვიქ	აქსას ვასინიქსას ჩინიქსას
4	[S]ასინინიქ `ჩქას	აქსარჩინ. ხს ხანქერ
5	ინინინიქ ხჩ სქ (!)	ესან ჩეს აქსას ინიქ
6	ვასარჩინ. ჩჩინიქსას	იანსარას:
7	სასინინიქ `ჩხასანს	ხს ხრანსას ვინ ვინ
8	ინიქსასინიქსას თანს.	ჩინიქსასას აქსას.
9	ვსგთასინიქ `ჩქასანს არიქსას	აქსასინს ჩინიქსას
10	ასს ჩქასანს ჩინინიქ,	ჩ ვაქსასინს ხსინ ლი
11	ლიასსაყ, ლიქ	ლიასსაყ, სვითოიქსამ
12	ასას, ჩინიქსას,	სინიქსას აქსას,
13	ჩინიქსას ჩ სხ ჩინ	ინიქსასარასსაყ
14	ასასას ახინიქ	აქსას, აქსას,
15	სანს იიქსას, ვინ	იქ ვარსასაყ ჩინ
16	ვინიქსას იქსას	ხჩ, ჩინინიქ, სვასს,
17	სიქსას ხს არასს	ვარსასას არინინიქ
18	ინიქსას, ჩ ლიქსასს ლიქ	იქსას თესასინიქ. აქ
19	სავსას, ჩ ვაქსას	სინიქსას ჩინინიქსას,
20	ვინიქსასას ვინ	ქ, ჩ ინიქ
21	ჩინინიქსასს ჩინინიქ	იქსას:

18	Առողջությանը գնալ	Ունականս՝ ՍՊԻՏԱԿ
19	Ի ճանապարհս նորա և	ԱԶԻԳ ջորոցն: ԵՒ ԱՄՏԵ
20	Ձեր սերն ողջոյն եկ	ՆԱՅՆ ԻՇԽԱՆՔ ԳՈՒՄԱ
21	ԵԱԼ ՀԱՆԻԿԷ առ մեզ:	ԸՆԵԱԼՔ ընդ նմա

100 (437,4-438,1)

1	ԵՒ հրաման տԱՅՐ ՆՈՅԱ՝ Ի	ԵՒ ԶԺԱՆԳՆ ԶՇԱՐԱԻ
2	հաւատարիմ առաջ	ԱՀՈՏ ԴԻՒԱՅՆ ԵՒ
3	նորոյութեամբ վերակացու	ստորագործ պաշ
4	լինել լուսաւոր	Տամանց Ի ԲԱՅ
5	ԱՊԷՍ հաւտին քրիստոսի:	քերէր: և այնչափ
6	ՆՈՅՆՊԷՍ հաւանեՑՈՒ	անջատեր ի հաՅԲՆՆԱԳՆ
7	ՅԱՆԷՐ Զթագաւորն,	բնակաց իւրեա
8	ԶԻ Ի ԳԱԻԱՐաց գաւարաց	նՅ՝ ՄԻՆԶԵԻ
9	Ի ԿՈՂՄԱՆՑ կողմանց Ի	ԱՍԵլ նոցա, թե մոռա
10	ՏԵՂԻՍ տեղիս ժողով	ցայ զժողովուրդ և զտուն
11	ԵՍՅԵՆ ԲԱԶՄՈՒԹԻՒՆ	հար իմոյ:
12	մանկտոյ, առ ի նիւ	և ի տեղաց տեղաց սահ
13	ԹՎԱՐԴԱՊԵՏՈՒԹԵ	մանացն հայոց՝ տայր
14	ԱՆ, ԵՒ գազանամ	հրաման թԱԳԱ
15	ԻՏ ՎԱՅԲՆԵՆԱԳՈՅՆ Զ	տորն տրդատ՝ իւրոՅ ԻՇ
16	ՃԻՒԱՂԱԲարոյ ԱՇԽ	խանութեանն յաշ
17	ԱՐԱԲՆԱԿանանս. զորս	խարհաՅ ԵՒ ԳԱԻ
18	ԱՌԵԱԼ ԱՐԿԱՆԷՐ Ի բով	առաց բազմութիւն
19	ՍՆ ՎԱՐԴԱպետութեան,	Մատաղ մանկտոյ
20	ԵՒ ՀՈԳԵՆՈՐ սիրոյն	ածել յարուեստ
21	ԷՆԱՆԴամբ գաղտն	դպրութեան,

57-58v (452,2-15)

1	ՄԵՆԱԻՈՐԱՍՏԱՆԻն.	ԹԱԳԱԻՈՐԻն՝ ինքնին
2	ԱՊԱ ՈՉ Հաւաներ ի	ՆՈՔԱԻՔ Հանդերձ ի
3	ԶԱՆԵԼ ՅԱՆԱՊԱՏԷ ԱՆ	ԽՆԴԻՐ ԵԼԱՆԷՐ սրբոյն
4	ՏԻ. ԵԹԵ ՈՉ եղև ժողով	ԳՐԻԳՈՐԻ՝ ՈՒՐ ԵՒ ԳՏՅԷ:
5	ԲԱԶՄՈՒԹԵԱՆ ՔՐԻՍՏ	Եւ եկեալ գտանէին ի դար
6	ՈՆԷԻՅ, ՈՐՔ ՀԱԻԱՆԵ	անաղեաց գաւառին, ի
7	ՅՈՒՅԱՆԵԱԼ ԶՆա	լերինն որ կոչի մանե
8	գնալ անտի. զի լաւ է,	ԱՅ ԱՅՐՔ, ՅԱՆԱՊԱՏԻՆ:
9	ասեն, քեզ գործ մշակու	ԱՊԱ ԱՂԱԶԵԱՅ երանե
10	ԹԵԱՆ Ա(ՍՈՒԾՈ)Յ քան գայդ	ԼԻ թագաւորն տրդատ
11	ՄԻԱՅՆԱԻՈՐՈՒԹԻՒՆ	ԶՍՈՒՐԲՆ ԳՐԻԳՈՐԻՈՍ,
12	բնակութեան յանապա	զի ՓՈՒՆԱՆԱԿ ԶԻ
13	ՊԱՏԻՍ ԱՅԴԻ: ԶՈՐՍ ԱՅ	ՈՉ ՀԱԻԱՆԵՅՄԱՆ ՆԱ ԿԱԼ
14	ՆՈՒՀԵՏԵՒ յուղարկե	ԵՒ ՇՐՁԵԼ ԸՆԴ ՆՄԱ, Էւ սի
15	ՅԻՆ ԶՆՈՍԱ անտի: իսկ	ԸՆԵԱԼ ԶՄԻԱՅՆԱԻՈՐՈՒԹ

16	სიჲს ხეჲს ჳაჲსიჲს ქერ	ხას ხესანა` ჳხონ
17	ყირს ჳსჳიჳ, ჳსსრჲ	სრრხსჳჲ ხე სსსჲ სნა ხ
18	სსს ირსხერს აჳხესსს	რრსყიიიიიიიიიიიიიიიი
19	ხეყიიიიიიიიიიიიიიიი	რრს ხიი, ჳიი ხს აჳჲ
20	ყირყიიიიი, ათაჲი ჲა	რსჲს` ჳსიიიიიიიიიიიი:
21	ყსიიიიიი. ჳიიიი აიიესს	ღიი ჳხონსრრრხს
22		

38-43r (459,15-460,13)

1	სე ჲე ჳინიორასკან ჳიიიიიიიი	ხან: სე აჲი რაჳიიიიი
2	ჳახხერჲესი ჲიიიი თაჳარჲიი ირ რჲჲეაჲჲ	სსსსსს სე სეჲსანა
3	სეჲიი.ჳათაჲიიიიიიიიიიიი	სსსსსს ხაჳარაი რსიიი
4	ჲიიასკანჲი ჳიიიიიიიი, სე	ღსიიიიიიიიიიიიიი
5	ჳერჲიიიიიიიიიიიიიიიი	რრრრ` ჲსაჲაჲიიიი
6	ჳათრესთანესაჲიი ჳიიიიიიიი,	ჳაჲიარათ ჳაიარჲ
7	სე ჳერჲიიიიიიიიიიიი	რ რჲაჲარჲაჲაჲს
8	სიიიიიიიი, ჳაიიიიიიიი` ჲე მსაჲჲ	ჲსსსსსსს` ანესანეს
9	სე ჳიიიიიიიი. ჳი	რ სსსსსსსს სიიიიიი:
10	ხე ჲეჲსანს ანესეს	ღანეს ათსერ ჳრჳაჳიი
11	სსს, ხე ჳჲსსს	სსსსსსსსსსსს მესაი
12	რჲიი ასაჲესი, სე ჳ	იიიიიიიიიიიიი:
13	სე სსსსსსსსსს სსს,	ხე რ რსღიიიიი რსსსსს
14	ხე ჳიიიიიიიიიიიიიიიი,	ჳათრასთიიიიიიიიიი
15	სე ჳიიიიიიიიიიიიიიიი,	რსთ რჲაჲარჲაჲი
16	ხე ჳიიიიიიიიიიიიიიიი,	რჲაჲესეს სე ჲსანსაჲ
17	ხე სსსსსსსს	ჳათრახესესეს, ჳთანესეს:
18	ესეს ათანს სე	მესარანს რსიიიიიიიი:
19	ღჳახაჲაჲიიიიი	რსთ რსაჲეს სე რსთ ჳიი
20	რჲესესესეს, სე ჳი	ჲიიესესესეს აჳაჲარჲესეს
21	ესესესესესესესესესეს	მესეს რესესესესესესეს

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აფციაური** 1987: აფციაური ნ., კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების წყაროთ-მცოდნეობითი საკითხები, თბ., 1987.
2. **გოგუაძე** 1986: გოგუაძე ნ., სექტემბრის საკითხავები, ძველი ქართული მეტაფრა-სული კრებულები, თბ., 1986.
3. **ღვალაძე** 1973: ღვალაძე ლ., ცხორება და მოქალაქობა ამისსა შემდგომად წამე-ბაა წმიდისა მღვდელმონამისა გრიგოლ პართელისაჲ, ქართული ხელნაწერები და მათი ურთიერთმიმართება, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, თბ., 1973.
4. **ჩხარტიშვილი** 1987: ჩხარტიშვილი მ., ცხორება წმიდისა ნინოასი, ქართული ჰა-გიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, თბ., 1987.
5. **ცხორებაა წმიდისა გრიგოლ პართელისაჲ** 1920: ცხორებაა წმიდისა გრიგოლ პართელისაჲ, ტფ., 1920.
6. **Март** 1905: Март Н., Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием. – Записки Восточного Отделения Русского Археологического общества, т. 16, вып. 2-3, 1905.
7. **Меликсет-Беков** 1915: Меликсет-Беков Л., Грузинская версия Агафангелия и ее значение для грузинской историографии, Христианский Восток, т., Петроград, 1915.
8. **Garitte** 1965: Garitte G., La vie grecque inedite des saint Grégoire d'Arménie (ms. 4 d'Ochrida). – *Analekta Bollandiana*, 83, 1965
9. **Lafontaine** 1973: Lafontaine G., la Version grecque ancienne du livre arménien d'Agathange, Louvain, 1973.
10. **ჩაუანგ ლილი** 1695: ჩაუანგ ლილი, ჟენსიხი, 1695.
11. **შიქსე ლილი** 1897: შიქსე ლილი, ლილილილი ლილი, 1897.
12. **საქსანდელი** 1909: საქსანდელი ლილილილი ლილი (სიქსე), 1909.
13. **საქსან** 1891: საქსან ს., ლილილილი ლილილილი, N56 ჟენსიხი, 1891.
14. **საქსანდელი** 1911: საქსანდელი ს., საქსანდელი ლილილილი ლილილილი. – ლილილილი, 1911.
15. **სიქსე** 1982: სიქსე ს., საქსანდელი ლილილილი ლილილილი ლილილილი. – ლილილილი, 1982.
16. **სერ-ლილილილი** 1973: სერ-ლილილილი ს., საქსანდელი ლილილილი ლილილილი ლილილილი ლილილილი. – ლილილილილილილილილილილი ლილილილი, 1973.

Zaza Aleksidze, Dali Chitunashvili

**GEORGIAN-ARMENIAN PALIMPSEST AT THE NATIONAL CENTRE
OF MANUSCRIPTS: AGATHANGELOS, “THE HISTORY OF THE
ARMENIANS”**

SUMMARY

Agathangelos is considered the author of “The History of the Armenians”. Until today, the earliest version of his “History” has been considered the lower text of palimpsest of the Mekhitarist Monastery of Vienna, dated by a period earlier than 10th century. The fragment N1235 of the Yerevan “Matenadaran” is dated by 9th-10th centuries. The flyleaves’ text preserved at the Armenian Found on the Georgian National Center of Manuscripts (N18) is a later (9th-10th c.) period. The earliest complete manuscripts belong to 12th-13th centuries. Other manuscripts are of much later period.

Georgian National Centre of Manuscripts has preserved a palimpsest manuscript (N491), the upper text of which is a Georgian Feastal Menology dated by 13th-14th cc. 45, 48, 49, 50, 57, 58, 60, 63, 65, 68, 71, 73, 74, 76, 77, 79, 81, 82, 85, 86, 90, 96, 97, 100, 101, 107, 108 folios are palimpsests. The lower layer is Armenian Agathangelos and is located perpendicularly to the Georgian one.

Till now, 10 pages of the palimpsest have been identified and deciphered. The deciphered text embrace paragraphs 781-874 of “The History of the Armenians” by Agathangelos. It turned out that out of various manuscripts of “The History of the Armenians”, it is closer to the group marked by letters u, p, a, b, U, F, in the critical edition. However, in certain cases, the palimpsest text differs from the main text of the academic edition as well as from the variants given in the footnotes. Palaeographical features make it possible to date the palimpsest text by 9th c.

In presenting publication the Armenian text is published in two columns according to the original. The visible text is given *Erkathagir* (capital letters), reconstructed in *bologor* (minuscule letters).

ქათავან ბაზარაშვილი

კორიდეთის ოთხთავის ისტორიისათვის

ხელნაწერის აღმოჩენისა და გამოცემის ისტორია

კორიდეთის სახარების ბერძნულ და ქართულ მინაწერთა მიხედვით ირკვევა შემდეგი: X საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე ფოკას მეფობის დროს (963-969), კერძოდ, 965 წელს (იხ. ბერძნ. საბუთ. 5), ხელნაწერი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (აჭარაში) ინახებოდა, მდ. ჭოროხის მარცხენა შესართავის, მდ. მურღულის ნაპირას მდებარე სოფელ კორიდეთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. 1914 წლამდე კორიდეთი მიეკუთვნებოდა ბათუმის ოლქის ართვინის მხარეს (დღეს ეს ტერიტორია თურქეთის საზღვრებშია). XI საუკუნეში ხელნაწერი შემოსა ვინმე პიტირიონმა (იხ. შენ. 8, 9: f. 73v), ხოლო XII საუკუნეში ხელახლა შემოსა ბეშქენ ერისთავთ-ერისთავმა (იხ. ქართ. საბუთ. 3: f. 74rv). მტერთა შემოსევის გამო ეკლესიიდან წაღებული ხელნაწერი უკანვე დააბრუნა საჭურველმტვირთველმა ამირსპასალარმა და ამირახორმა იოანე ჭიასძემ/ყან ჩიასძემ (იხ. ქართ. საბუთ. 8: ff. 2r-7r; 1266-1280 წწ.-ში დაწერილი იქვე მოხსენიებული ტრაპიზონის კეისარ გიორგი I კომნენოსისა და დავით V ნარინის დროს). ხელნაწერი კორიდეთში ინახებოდა XIV-XV საუკუნეებამდე (კორიდეთის თემში შესრულებული ხელნაწერის ბერძნულ-ქართული მინაწერები X საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნეს მოიცავენ). XIV-XV საუკუნეებიდან ხელნაწერი აღმოჩნდა ზემო სვანეთში სოფ. კალაში და დაცული იყო კვირიკესა და ივლიტას ეკლესიის (სვანურად „ლაგურკა“) საკურთხეველში (კალას თემში შესრულებული ქართული მინაწერი ამ პერიოდისაა, იხ. ქართ. მინაწ. 12, ff. 187v-188r).

1853 წ. ხელნაწერი ლაგურკაში აღმოაჩინა ეთნოგრაფმა ა. ბართოლომეოსმა (Bartolomey 1855: 163-164). 1860 წელს ლაგურკაში ხელნაწერი ნახა აგრეთვე დ. ბაქრაძემ,¹ ხოლო 1869 წელს ბერნუვილმა (Bernouville 1873). 1869 წელს ქუთაისის გუბერნატორმა გრაფმა ვ. ლევაშოვმა ხელნაწერი ს. პეტერბურგში წაიღო,

¹ 1869 წელს დ. ბაქრაძემ ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა, სადაც კორიდეთის ხელნაწერის მინაწერებში ნახსენები ტოპონიმები დაადასტურა. ამით კი ოთხთავის წარმოშობის პრობლემა გადაიჭრა (Bakradze 1887).

სადაც იგი გრაფი პანინის ხელთ აღმოჩნდა. პეტერბურგში პროფ. მარი ბროსემ შეისწავლა იგი და მისცა მას პირველი სამეცნიერო შეფასება (Brosset 1870: 269-286). შემდგომში გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძისა) და ლევან დადეშქელიანის მოთხოვნით ხელნაწერი დაბრუნდა საქართველოში და გადაეცა გელათის მონასტერს, სადაც ინახებოდა 1901 წლამდე. 1901 წელს იგი ხელახლა იქნა აღმოჩენილი ეპისკოპოს კირიონის (საქართველოს საეგზარქოსოს დროებითი მმართველის) მიერ და გადაეცა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციას თბილისში, სადაც ხელნაწერს მიენიჭა ნომერი №993 (Kirion 1905).

მას შემდეგ, რაც საეკლესიო მუზეუმი შეუერთდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხელნაწერი მოთავსდა მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში და მიეცა ნუმერაცია A-993. 1958 წლიდან კორიდეთის ოთხთავი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ახალი შიფრით – Gr.-28.²

კირიონის შემდგომ ხელნაწერი სამუშაოდ გადაეგზავნა ლაიპციგში პროფ. რ. გრეგორის და ბერლინში პროფ. ზოდენს. 1904 წ. მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიურმა საზოგადოებამ ხელნაწერის გამოცემა გადაწყვიტა, რისთვისაც საზოგადოების თავმჯდომარემ გრაფინია პრასკოვია უვაროვამ იგი გერმანიიდან თბილისში დააბრუნებინა. გამოქვეყნდა ივ. ევსეევის გამოკვლევა და ზოდენის შესავალი წერილი რუსულად და გერმანულად, რომლებიც დაერთო მარკოზის სახარების ფოტოტიპურ/ფაქსიმილურ გამოცემას 1907 წ. (Uvarova 1907: c. III, 2; c. XVI). 1913 წ. ლაიპციგში გამოიცა კორიდეთის ოთხთავის მთლიანი ტექსტი და დაერთო წინასიტყვა, შენიშვნები და კომენტარები – ისტორიული და პალეოგრაფიული გამოკვლევა ბერმანისა და გრეგორის მიერ (Beermann 1913).

კორიდეთის ხელნაწერის დეტალური აღწერა ეკუთვნის გრიგოლ წერეთელს გერმანულ ენაზე ქართული და რუსული რეზიუმით. იქვეა შესწავლილი ოთხთავის ბერძნული მინაწერები (Zereteli 1937). გაკვრით ეხებიან ამ ხელნაწერს ე. გრანსტრემი და ფონკიჩი (Granstrom 1950: 223, ris. 3; 1959: s. 191-192; 1956: s. 290-291; 1968: s. 234-238; Fonkič 1974: 135-136, ris. 4-7).

რედაქციის სახეობა და მისი მნიშვნელობის შეფასება

თავდაპირველადვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერებაში გამოიყოფა სახარების ტექსტების რამდენიმე ძირითადი რედაქცია. ესენია: ალექსანდრიული, დასავლური, კესარიული, ბიზანტიური და შუალედური ტიპები. ალექსანდრიულ ტიპს

² ხელნაწერის ისტორიის ტოპონიმები და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა უცხოურ პუბლიკაციებში ხშირად ერთმანეთში არის აღრეული. მაგ., ვებ-გვერდებზე მიჩნეულია, რომ ხელნაწერის სახელწოდება მომდინარეობს იმ ქალაქიდან, სადაც იგი იქნა ნაპოვნი (კორიდეთის მონასტერი მიჩნეულია უკეთეს შემთხვევაში შავი ზღვის პირას მდებარე ბათუმის მახლობელად; უარეს შემთხვევაში კასპიის ზღვის ახლოს მდებარედ (Mecger 1996: 56).

მიეკუთვნება ცნობილი უადრესი ხელნაწერები: სინური და ვატიკანური (A01: cod. Sinaiticus, s. IV; B 03: cod. Vaticanus, s. IV), აქედან ვატიკანურს სხვა კლასიფიკაციით ნეიტრალურ ტიპსაც აკუთვნებენ; დასავლურს მიეკუთვნება ცნობილი ბეზეს კოდექსი (D 05: cod. Bezae Cantabrigiensis, s. V); კესარიულს მიეკუთვნება კორიდეთის ოთხთავი (Q 038: cod. Coridethianus, s. IX); ბიზანტიურს წარმოადგენს ცნობილი ალექსანდრიული ხელნაწერი და სხვ. (A 02: cod. Alexandrinus, s. V; N: cod. Petropolitanus Purpureus, s. VI), ალექსანდრიულ ხელნაწერს სხვა კლასიფიკაციით ანტიოქიურ ტიპსაც აკუთვნებენ; შუაღმდურია იმ ტიპის ხელნაწერი, რომლის წყარო სხვადასხვა ოჯახის ტექსტებია: დასავლური, ბიზანტიური, კესარიული, ალექსანდრიული (W 032: cod. Freerianus, s. V). ეს არის ძირითადად ყველაზე ცნობილი ხელნაწერები. ამათ გარდა აღნუსხულია სხვა მრავალი ხელნაწერი.³ ამ ჯგუფებს შორის ურთიერთმიმართება ოდნავ განსხვავებულია სხვადასხვა თეორიის მიხედვით, მაგრამ ძირითადად იქმნება ერთიანი სურათი (ყველა კლასიფიკაციაში კორიდეთის ოთხთავი ერთსულოვნად კესარიული ტიპის უმნიშვნელოვანეს ნიმუშად არის დასახელებული). შევეცდებით წარმოვადგინოთ ძირითადი მოსაზრებები და კორიდეთის უნციალური ხელნაწერის ადგილი მათ შორის.

კორიდეთის ოთხთავი თავიდანვე გამორჩეულად იქნა შეფასებული სახარების 3000-მდე ხელნაწერს შორის. მისი ტექსტი უძველესთან ახლოსმდგომად იქნა მიჩნეული. იგი საუკეთესო ნუსხად და აუცილებლად ითვლებოდა კრიტიკული ტექსტის დასადგენად (მ. ბროსედან მოყოლებული). თავდაპირველადვე მიუთითებდნენ მის სიახლოვეს სახარების უადრეს ხელნაწერებთან: cod. Bezae D (cod. Cantabrigiensis 2.41, s. V/VI), აგრეთვე cod. Petrop. Purpur. 53, s. VI და სხვ. ევსევის აზრით, კორიდეთული მარკოზის სახარების ტექსტი სახარების პირველ ათეულ ტექსტებს შორის თავსდება; ზოდენი კორიდეთის სახარების ტექსტს მიიჩნევდა ბერძნული ახალი აღთქმის ე. წ. კესარიულ ტექსტად, ანუ სახარების ერთ-ერთ უადრეს ტექსტთან ახლოსმდგომად; ზოდენისაგან განსხვავებით, რ. ბლეიკი კორიდეთის ტექსტს იერუსალიმურ და სინურ ხელნაწერებთან აახლოებდა; თუმცა მისივე შრომით დამკვიდრდა ახალი აღთქმის „კესარიული“ ტექსტის აღიარება და კვლევაში შემოტანა, როგორც ორიგენეს მიერ ეგვიპტიდან მიტანილისა კესარიაში, საიდანაც იგი იერუსალიმში უნდა გავრცელებულიყო (Lake... 1923: 267-286; Lake, 1928: 19; Blake, 1928: 288; Mecerp 1996: 210-211). გ. წერეთლის აზრით, კორიდეთის სახარებების ტექსტი მიანიშნებს ბერძნული სახარების დასავლური და ნეიტრალური ტიპის კომბინაციას (წერეთელი 1937: 43-45).

აღსანიშნავია, რომ ამ ხელნაწერის მათეს, ლუკას, იოანეს სახარებები ბიზანტი-

³ უნციალური ხელნაწერებისათვის (იხ. Mecerp 1996: 40-59, 166, 293; van Cangh... 2005: 35; Hatch 1938: table XLIV).

ურ ზოგად ტიპს მიეკუთვნება, მარკოზის სახარება – ხან ალექსანდრიულად, უმეტესად კი კესარიულ ვერსიად არის მიჩნეული (საყურადღებოა, რომ ზოგიერთი ვარაუდით, კესარიული დასავლურისა და ალექსანდრიულის შერევად მიიჩნევა Mecrep 1996: 56-57, 211).

კორიდეთის სახარების მნიშვნელობა ხან უმაღლესად, ხან კი ნაკლებად მნიშვნელოვნად არის შეფასებული ორიგინალური ტექსტის დასადგენად (იხ. აღწერილობაში დასახ. ლიტერატურა და ვებ-გვერდი: (Meeger 1996: 57, 293). ყველა შემთხვევაში იგი მიჩნეულია დამოუკიდებელი იკითხვისებისა და განსხვავებული თვისებების მქონედ.

საყურადღებოა, რომ ასეთი სხვადასხვა აზრის არსებობას თავისი ახსნა აქვს. ეს კარგად დადასტურდა უკანასკნელ ხანს თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა ბიბლიური ტექსტების გამოცემას და რომელზედაც შეჯამდა უკანასკნელი დროის სამეცნიერო დასკვნები.⁴

ბერძნული ოთხთავის ტექსტობრივი საკითხის კვლევის ისტორია დაახლოებით ასეთ სურათს იძლევა:

კორიდეთის ნუსხის ტექსტობრივ მონაცემებს მკვლევარნი ხშირად იმონებენ მიკროფილმებისა და ფოტოასლების საშუალებით ბერმანისა და გრეგორის XX საუკუნის დასაწყისის გამოცემის პარალელურად (1913 წ.). კორიდეთის ხელნაწერი (Q 038) ტექსტობრივ ტრადიციას ავლენს ოთხთავის ორ ოჯახთან (f¹ და f³) და განსაკუთრებით f³-თან. იგი წარმოადგენს განსხვავებულ ტექსტობრივ მონაცემებს (განსაკუთრებით, როგორც ვთქვით, მარკოზის სახარებასთან დაკავშირებით). ეს ტექსტობრივი ტრადიცია ცნობილი იყო ორიგენესათვის, როცა იგი პალესტინის კესარიაში 230-250 წლებში ცხოვრობდა, ამიტომ ამ ტიპს „კესარიული“ ეწოდება არა წარმომავლობის მიხედვით, არამედ იმის გამო, რომ ამ ტიპის ტექსტის პირველი დამონმება ლოკალიზებულია პალესტინის კესარიაში. ეს ტიპი დადასტურებულია ბიბლიის IV საუკუნის ცნობილ ბერძნულ ხელნაწერებამდე უფრო ადრე (Amphoux 2007); ეს ცნობილი ხელნაწერები კი – სინური და ვატიკანური (Ⲁ 01: cod. Sinaiticus, s. IV; B 03: cod. Vaticanus, s. IV) ახალი აღთქმის გამოქვეყნებული ტექსტის საფუძველს წარმოადგენს (Aland... 1994; Nestle 1901). კესარიული ტექსტის სათავეებთან, როგორც ზემოთ ვნახეთ, „დასავლური“ ტიპის ტექსტსაც ასახელებენ. ეს არის 400 წლის მახლობლად გადაწერილი ორენოვანი (ბერძნული და ლათინური) ე. წ. ბეზეს

⁴ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ბიბლიის ტექსტი და მისი გამოცემა“ (ოთხთავისა და ფსალმუნთა ტექსტის თანამედროვე კვლევები), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორია „ორიონი“; საფრანგეთის ექს-ე-პროვანსის უნივერსიტეტი, პოლ-ალბერ ფევრიეს ცენტრი, 18-19 სექტემბერი, თბ., 2007 (Colloque International „Le texte biblique et son édition Recherches sur les Evangeles et les Psaumes, Centre Paul-Albert Février (Aix, France), Laboratoire Orioni (Tbilisi, Géorgie), Tbilisi, 18-19 septembre, 2007).

კოდექსი (რომელიც მცირე აზიიდან მომდინარედაც მიიჩნევა). მასთან ახლოს დგას ირინეოს ლიონელთან დადასტურებული II საუკუნის ლათინური ტექსტი და ამდენად, იგი კესარიულზე ადრეულ დამონმებად ითვლება (D 05: cod. Bezae Cantabrigiensis, s. V. Amphoux, 2007). დასავლურის შემდგომ რედაქტირებული შუაღელდური ტექსტია W 032: cod. Freerianus, s. V. კესარიული ტექსტის პარალელურად ორიგენესათვის ასევე ცნობილ ალექსანდრიულ რედაქციასაც მოიაზრებენ. ალექსანდრიული ტექსტს 300 წლისათვის დასავლურის რედაქტირებად (B 03: cod. Vaticanus; κ .01: cod. Sinaiticus) და ხმელთაშუა ზღვის ქალაქებში გავრცელებულად მიიჩნევენ. კესარიულმა ტექსტმა (რომელიც ანტიოქიური ტექსტის პირველადი ფორმა უნდა ყოფილიყო ლუკიანეს რეცენზიამდე 310 წელს, რამაც დასაბამი მისცა ბიზანტიურს) ადგილი დაუთმო ლუკიანეს რედაქციას და საბოლოოდ ბიზანტიური ტექსტი მოგვცა (A 02: cod. Alexandrinus, s. V). ბიზანტიური არის სავარაუდოდ 380 წლის ტექსტი, რომელიც შუა საუკუნეებში ვრცელდებოდა. იგი Γ^3 ოჯახთან შეხების მქონედ ითვლება.⁵

მიიჩნევენ, რომ Q 038-ისა და Γ^3 -ის დამონმებათა უმრავლესობა ბიზანტიურ ვარიანტს შეიცავს; იგი ახლოსაა ნაწილობრივ κ BDW ხელნაწერებთანაც, გარდა A-სი (cod. Alexandrinus, s. V); ამტკიცებენ W ხელნაწერის (ანუ შუაღელდური რედაქციის) ადგილს კესარიული ტექსტის ნიაღში. მარკოზის განსაკუთრებული ტექსტი, რომელიც ცნობილი იყო პალესტინის კესარიაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ფართოდ გავრცელდა და კავკასიის კარიბჭემდე კორინდეთის კოდექსით მოაღწია (Didier Lafleur 2007). კესარიული ტიპის ტექსტს, როგორც ვთქვით, „დასავლურთან“ დაახლოებულადაც თვლიან, ხოლო ალექსანდრიულისაგან – დამოუკიდებლად; კესარიულს უწოდებენ დასავლური ტექსტიდან გამოსული ტექსტის სტადიას, რომელიც IV საუკუნის ბერძნულ სამყაროში ნაკლებად გამოიყენებოდა, ხოლო სომხური და ქართული ვერსიებისათვის V საუკუნეშიც კი მოდელს წარმოადგენდა; კესარიულს მიიჩნევენ აგრეთვე შუაღელდურად დასავლურ და ბიზანტიურ ტექსტებს შორის. ალექსანდრიულ ტექსტთან მას პირდაპირი კავშირი არ გააჩნია, მაგრამ თვლიან, რომ პარალელურ განვითარებას წარმოადგენს და გზას უხსნის ალექსანდრიული ტექსტის ეტაპს (Amphoux 2007).

ამ ინფორმაციის ფონზე ძალზე საინტერესოა, თუ რომელ რედაქციას მიეკუთვნება კორინდეთის თანამედროვე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, მეორე – IX საუკუნის სახარება (Gr. 27), რომელიც ამ თვალსაზრისით ჯეროვანობით შეუსწავლელია.

⁵ უნდა ითქვას, რომ სხვა მოდელით, ლუკიანეს ვერსია ალექსანდრიულის, კესარიულის და დასავლურის ერთიან გადამუშავებად ითვლება და ბიზანტიურის წყაროდ რჩება (Amphoux 2007).

გადაწერის ადგილი და დრო

გამოკვლეულია, რომ კორიდეტის ბერძნული ოთხთავის ძირითადი ტექსტი და ასევე მისი ბერძნული მინაწერები შესრულებულია იმ ენობრივ წრეში, რომელიც უნდა ყოფილიყო ჭიროხის ხეობის სოფ. კორიდეტში; მათ ქართული ენობრივი ფორმების იერი დაჰკრავს. ის გარემო, რომელშიაც ტრიალებდნენ კორიდეტელები, განეკუთვნება ე. წ. პონტოს დიალექტის სამყაროს. შესაბამისად, ენობრივი ფორმებიც ბერძნული ენის პონტოს დიალექტის დამახასიათებელია (წერეთელი 1937: 15). არაბერძენის (ამ შემთხვევაში ქართველის) მიერ გადაწერილ ამ ტიპის ხელნაწერს ქართული დუქტუსი (ხელწერა) ეწოდება (Granstrom 1950: 223).

ქართველი გადამწერი ბერძნულ ენასა და დამწერლობაში განაფული არ არის და უშვებს ორთოგრაფიულ, სტილისტურ, კალიგრაფიულ შეცდომებს ქართული ენისა და პალეოგრაფიის გავლენით.⁶

გ. წერეთელი უნციალური კალიგრაფიის თავისებურების მიხედვით კორიდეტის ხელნაწერს IX საუკუნეზე ადრეულად არ მიიჩნევდა (წერეთელი 1937: 33, 55). ჯერ VIII, ხოლო შემდგომ IX საუკუნით ათარილებდა მას ე. გრანსტრემი (Granstrom 1959: 192.) (კირიონი ათარილებდა V-VII საუკუნეებით, გრეგორი – VI-IX საუკუნეებით – იხ. გ. წერეთლის გამოკვლევა).

ბერძნული და ქართული მინაწერი საბუთები და მათი მნიშვნელობა

ბერძნული სახარების ფურცლებზე, როგორც რელიკვიაზე, საბუთების მოთავსება წესად მიღებული ჩვეულების გამოხატულებაა.⁷ კორიდეტის ოთხთავის მინაწერი ბერძნული და ქართული ისტორიული საბუთები ზოგჯერ თანადროულნი არიან და ერთსა და იმავე პირებს ასახელებენ.⁸ ამის მიზეზად მიიჩნევენ იქ არსებულ ეთნიკურ სიტუაციას, ადგილობრივი ქართული და ბერძნულ-ბიზანტიური მოსახლეობის შერევას, X-XI საუკუნეებში ბიზანტიის ძლიერ პოლიტიკურ გავლენას საქართველოს ამ კუთხეზე. საბუთები მცირე მოცულობის ტერიტორიას – ერთ სასოფლო თემს, ერთ ეკლესიას და მის სამფლობელოებს უკავშირდება. კორიდეტის ხელნაწერის ბერძნული მინაწერების კვლევაში უდიდესი

⁶ ეს საკითხი დაწვრილებით აქვს შესწავლილი გ. წერეთელს (წერეთელი 1937).

⁷ საბუთების მოთავსება ხელნაწერი ნიგნების, განსაკუთრებით სახარების ხელნაწერების ფურცლების ამიებზე საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ საქართველოში, განსაკუთრებით სვანეთში, სამხრეთ საქართველოში და მრავალმა ისტორიულმა საბუთმა სწორედ ამ სახით მალნია ჩვენამდე (სილოგავა 1986; შარაშიძე 1982; სილოგავა 1989: 5).

⁸ ს. ყაუხჩიშვილი მიიჩნევდა, რომ ქართული და ბერძნული მინაწერების კვლევა განცალკევებულად კი არა, პარალელურად უნდა წარმართულიყო (ყაუხჩიშვილი 1967: 12).

წვლილი მიუძღვის გ. წერეთელს, რომელმაც შეასწორა წინა გამოცემების ნაკითხვები, აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც კიდევ უფრო დააზუსტა გ. წერეთლის გამოცემის ნაკითხვები და ხელახლა სრულყოფილად გამოსცა მინაწერი საბუთები ისტორიულ-ენობრივი კომენტარებით. წინამდებარე აღწერილობაში ეს უკანასკნელი გამოცემა გამოყენებული.

ბერძნულ მინაწერში დასახელებულია ქრონოლოგიურად უადრესი დამონმება – ნიკიფორე II ფოკა (963-969); საბუთი, რომელშიაც იგი არის მოხსენიებული (იხ. ბერძნ. საბ. 5: f. 140v) მისი მეფობის ერთი წლით არის დათარიღებული (965 წ. „ზეობასა უფლისა ჩუენისა იმპერატორის ფოკასი, თვესა თებერვალსა, ინდიქტიონსა 8“). შემდგომ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფლებად დასახელებულია როგორც საქართველოს მეფე (დავითი, სავარაუდოდ ულუ ან ნარინი), ისე ბიზანტიის იმპერატორი და ტრაპიზონის კეისარი (გიორგი I კომნენოსი – ქართ. საბ. 8: ff. 2r-7r; მხედრული; 1266-1270/1280 წწ.). ბერძნულ მინაწერში (2: ff. 72v-73r) ხსენებულია ნიკიფორე III ბოტანიატის (1078-1081) სახელით ნოდებული მონეტა *botanata*, რომელიც ქართულ მინაწერშიც ამავე ფორმით არის მოხსენიებული „ბოტანატი“ (იხ. ქართ. საბ. 9: ff. 76v-78r). პილიგრიმის მინაწერში (ბერძნ. მინაწ. 3: f. 132v); მოხსენიებულია ანდრონიკე მეფე. გ. წერეთლის აზრით, იგი უნდა იყოს ტრაპიზონის იმპერატორი ანდრონიკე I გიდონი (1222-1235 წწ.) და არა ბიზანტიელი იმპერატორი ანდრონიკე კომნენი (1183-1185 წწ.), რადგან მინაწერის ასოთა მოხაზულობა XIII საუკუნისაა (წერეთელი 1937: 48-49).

ეს იმაზე მიუთითებს, რომ ტრაპიზონის გავლენა ტაოში ჯერ კიდევ XIII საუკუნეში შეიმჩნეოდა. ბერძულენოვანი ისტორიული საბუთების არსებობა განპირობებული იყო ამ რეგიონში, როგორც ბიზანტიის იმპერიის სასაზღვრო ზოლში, შერეული მოსახლეობის და ეკლესიის შერეული (ქართულ-ბერძნული) მრევლის არსებობით, ასევე თავისებური (ანუ ბერძულენოვანი) ლიტურგიკული პრაქტიკის არსებობით (სილოგავა 1989: 22-24).

ამ რეგიონში საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის გავრცელება IX საუკუნიდან იწყება, რის გამოც საღვთისმსახურო პრაქტიკიდან ბერძნული ენა იდევნება⁹ და ბერძულენოვან ლიტურგიკულ წიგნებს პრაქტიკული დანიშნულება ეკარგებათ. ვარაუდობენ, რომ კორინდეთის სახარებამ ტრაპეზიდან სანიგნობელში გადაინაცვლა, რის გამოც მისი ფურცლების ცარიელ ადგილებზე იურიდიული დოკუმენტებისა და დაფიცების ტექსტების შეტანა დაიწყო. XIV-XV საუკუნეებში საქართველოს სამხრეთ ნაწილს ისლამური თურქეთისგან პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ექსპანსიის საფრთხე დაემუქრა, რის გამოც საეკლესიო საგნებისა და წიგნების დიდი ნაწილი შედარებით უსაფრთხო ადგილებში,

⁹ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბერძნული ლიტურგიკული პრაქტიკის IX საუკუნიდან ქართულით შეცვლის შესახებ აშკარად მეტყველებს გიორგი მერჩულის ცნობილი ფორმულა.

კერძოდ, ზემო სვანეთში გადაიტანეს. ამას ადასტურებს კორიდეთის ხელნაწერის მინაწერი, რომელიც შესრულებულია კალის თემში XIV-XV საუკუნეებში (იხ. ქართ. საბუთ. 12: ff. 187v-188r). სვანეთში (საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მთიანეთში) ხელნაწერმა საკრალური ფუნქცია შეიძინა და კულტმსახურების საგნად იქცა (პაპუაშვილი 2007: 58).

რაც შეეხება ამ პერიოდის სამხრეთ საქართველოს, XV-XVI საუკუნეების ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ჟამისწირვის ბერძნულ ენაზე წარმართვის გამო გამოვლინდა პონტოური დიალექტის თავისებურებების კვალი ეკლესიურად საქართველოსგან მონყვეტილ მხარეში, რაც შედეგი იყო ოსმალური პოლიტიკისა – საეკლესიო ღვთისმსახურების ენა მართლმადიდებელთათვის ბერძნული ყოფილიყო.¹⁰

ამგვარად, კორიდეთის ხელნაწერის მინაწერები საყურადღებოა ისტორიული, ეთნოგრაფიული, ეთნოგეოგრაფიული, ენათმეცნიერული, ფილოლოგიური, ლიტურგიკული თვალსაზრისით. მასში დაცულია იურიდიული საბუთები, მეფეთა, მთავართა და მღვდელმოდვართა სახელები; ასევე ძვირფასი მასალა ქართული და ბერძნული ენების ისტორიული დიალექტოლოგიისათვის.

ბერძნული მინაწერების ენობრივი და ლექსიკური თავისებურებები

ბერძნული მინაწერები ავტორთა არასაკმარისი განათლებით გამოწვეულ სიძნელეებს შეიცავენ, რაც გამოიხატება მცდარ ორთოგრაფიაში, აზრის ნათლად გადმოცემის ნაცვლად მის გაბუნდოვანებაში და ა. შ. მაგ., ბუნდოვანია სიტყვა *oknio~* (დედანშია *oknh*), რაც უნდა ნიშნავდეს „მოგზაურს“ (ბერძნ. საბუთ. 3: f. 132v) (ყაუხჩიშვილი 1967: 5). ასევე გამოიყენება საკმაოდ იშვიათად ხმარებული *caow* – „წარწყმედა“ (ბერძნ. მინან. 7/9). (ნერეთელი 1937: 54).

მინაწერთა ავტორებმა იციან მაშინდელი ლიტერატურული ენა, რადგან სწორ ლიტერატურულ ფორმებსაც ხმარობენ (მაგ., *progegram menwn*) – ბერძნ. მინან. 2: ff. 72v-73r), მაგრამ ამათ გვერდით გვხვდება სალაპარაკო ენის ფორმები (მაგ., *diagramenwn*, ნაცვლად *diagegrammenwn*-ისა – ბერძნ. მინან. 5: f. 140v) (ყაუხჩიშვილი 1967: 15-16).

მინაწერებში შეინიშნება X-XI საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში გავრცელებული სასაუბრო ბერძნული ენა: პონტოური დიალექტის ფორმები. მაგ., *oij adikoi* (შდრ. პონტოური ბერძნულის *oij lutzoi = oij lukoi*) (Thumb 1910: 62); *eureqen* (*ebreqen K*; პონტოური ბერძნულის 3 sing. aor. pass.). ბერძნული ენის პონტოს დიალექტს ახასიათებს *tz* კომპლექსით ჩ, ჯ ბგერების გამოხატვა. ასეთივეა *Dourstza* (კორიდეთის სამხრეთით მდებარე სოფელს ამჟამად ჰქვია დურჩა);

¹⁰ ეს დასტურდება XV-XVI საუკუნეების ხელნაწერის S-3475 (იოანე ოქროპირის ლიტურგიის ძველი ქართული თარგმანის) ბერძნული ტრანსკრიპციური მინაწერების ლიტურგიკული საჭიროებით (მახარაძე 2003: 59-61).

Fatzou~, Wtzaaka (იხ. ბერძნ. მინან. 7/8: f. 197v); ასევე საკუთარი სახელები ...tzeba~, Kourtzekh~ უნდა გამოხატავდეს ჩ, ც, ჯ, ძ, ზგერებს (ბერძნ. მინან. 2: f. 72v-73r) (ყაუხჩიშვილი 1967: 15).

ხალხური ფორმებიდან აღსანიშნავია: yema (i.e. ხალხური ფორმა სიტყვი-სა yeuჲma – ტყუილი); stekei (steku K; ხალხური ფორმა ზმნისაგან Iϥthmi, eϥthka – sthkei (ბერძნ. მინან. 7/8: f. 197v); Signo არის ხალხური ფორმა სიტყვისა signon, i.e. signum, დასაწყისი სიტყვა შუა საუკუნეების საბუთებში საბუთის შემდგენელი პირების ხელმოწერების აღსანიშნავად (ყაუხჩიშვილი 1967: 7, 9).

ახალბერძნული დანერილობა გამოიყენება კლასიკურის ნაცვლად, მაგ., იხმარება Felariu ნაცვლად Febrouariu-სი (ბერძნ. მინან. 5: f. 140v); ასევე ახალი ბერძული სიტყვის აჰიფი-ს გავლენით არის დანერილი სიტყვა anufeოჲ (= აჰეუიოჲ), სადაც სიტყვის შუაში მოთავსებულია ი ზგერა, რომლის არსებობა ამ სიტყვაში მრავალჯერ დასტურდება მოგვიანო ხანის ძეგლებით, ქრისტიანული წარწერებით დაწყებული (ბერძნ. მინან. 6: f. 155r); ასეთივეა აჰეიოჲ (aniyeo" – anuyeo" K), შდრ. თ: anhyi, oI აჰიჰიოჲ ახალბერძნულში, რაც ძმისწულს ნიშნავს (წერეთელი 1937: 52; ყაუხჩიშვილი 1967: 7); იჰრეჲ ნიშნავს იჰრეუ" (ბერძნ. მინან. 1: f. 72v), შდრ. ახალ ხალხურ ბერძნულში შენიშნული სიტყვა basileჲ (= basileuჲ). ახალი ხალხური ბერძნულიდან მომდინარეობს თანდებულ აჰიოჲს ხმარება აკუზატივის ბრუნვასთან: აჰი: ton ჯwannah (Acc. sic!) = იოანესგან (ბერძნ. მინან. 2: ff. 72v-73r) (ყაუხჩიშვილი 1967: 3).

გარდა პონტოური ხალხური ფორმებისა, ბერძნულ მინანერებს ემჩნევა ადგილობრივი ქართული ფორმების კვალი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **მახარაძე 2003:** მახარაძე ნ., ბიზანტიური ბერძნულის ფონეტიკის საკითხები, II, თბ., 2003.
2. **პაპუაშვილი 2007:** პაპუაშვილი ნ., ახალი აღთქმა და მისი ქართული თარგმანი, თბ., 2007.
3. **სილოგავა 1986:** ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები, სვანეთის წერილობითი ძეგლები X-XVII სს., I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986.
4. **სილოგავა 1986:** სილოგავა ვ., კორიდეთის საბუთები (X-XIII სს.), თბ., 1989.
5. **ყაუხჩიშვილი 1967ა:** ყაუხჩიშვილი ს., კორიდეთის ოთხთავის ბერძნული მინანერები, გეორგიკა, VII, თბ., 1967.

6. **ყაუხჩიშვილი 1967ბ:** ყაუხჩიშვილი ს., კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერების დათარიღებისათვის, გეორგიკა VII, თბ., 1967.
7. **შარაშიძე 1982:** სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XIII-XV სს.), ქრ. შარაშიძის გამოცემა, თბ., 1982.
8. **წერეთელი 1937:** წერეთელი გ., კორიდეთის ხელნაწერი და მისი ბერძნული მინაწერები, ტფ., 1937.
9. **Aland 1994:** The Greek New Testament, Former Editions edited by K. Aland, M. Black, C.M. Martini, B.M. Metzger, A. Wikgren, Fourth revised Edition edited by B. Aland, K. Aland, J. Karavidopoulos, C. M. Martini, B. M. Metzger, in cooperation with the Institute for New Testament Textual Research, Münster/Westpalia, United Bible Societies, Stuttgart, 1994.
10. **Amphoux 2007:** Amphoux C. B., “Qu’est-ce que le type de texte “césaréen”?”, in: Colloque international «Le texte biblique et son édition: Recherches sur les Evangiles et les Psaumes», Tbilissi, 18-19 septembre, 2007.
11. **Beermann... 1913:** Beermann G., Gregory C.R., Die Koridethi-Evangelien Q 38, Leipzig, 1913, mit 12 Tafeln und 2 Karten (800 pp.).
12. **Blake 1928:** Blake R.P., The Caesarean Texts of the Gospel of Mark, in: The Harvard Theological review, XXX, 4 (1928).
13. **Brosset 1870:** Brosset M., Note sur un manuscrit grec des quatre Evangiles, rapporté du Souaneth-Libre et appartenant au comte Panin, in: Mélanges Asiatiques, t. VI, Octobre 1870.
14. **Cangh... 2005:** van Cangh J.M., Toumpsin A., L’Evangile de Marc. Un original hébreu? (Langues et cultures anciennes, 4), Bruxelles, 2005 (p. 35: manuscripts en onciale. Q: codex Coridethianus, IX^e siècle, catégorie II).
15. **Didier Laffleur 2007:** Didier Laffleur, Le codex de Koridethi (Q. 038) et la famille 13: une nouvelle collation de l’évangile de Marc, in: Colloque international «Le texte biblique et son édition: Recherches sur les Evangiles et les Psaumes», Tbilissi, 18-19 septembre 2007.
16. **Hatch 1938:** Hatch W., The Principal Uncial Manuscripts of the New Testament, Chicago, 1938, table XLIV.
17. **Lake... 1923:** Lake K., Blake R.F., The Text of the Gospels and the Koridethi-Codex, in: The Harvard Theological Review, XVI, 3, July, 1923.
18. **Lake 1928:** Lake K., The Text of the New Testament, London, 1928.
19. **Nestle 1901:** Nestle E., Introduction to the Testual Criticism of the Greek New Testament, London, 1901 (351 pp.), English translation from 2nd German ed. By W. Eadie.
20. **Zereteli 1937:** Zereteli G., Der Koridethi-Kodex und seine griechische Beischriften, Tb., 1937.
21. **Бакрадзе 1861:** Бакрадзе Д., Сванетия, Записки Кавказского Отдела Императорского русского географического общества, Bd. 6 (1861).

22. **Бакрадзе** 1887: Бакрадзе Д., Статьи по истории древностей Грузии, С-Пб, 1887.
23. **Бартоломей** 1853: Бартоломей А., Поездка в волной Сванетии 1853 года, Записки Кавказского Отдела Императорского русского географического общества, 3 (1855).
24. **Гранстрем** 1950: Гранстрем Е., О связи кирилловского устава с византийским унциалом, Византийский временник, III, М., 1950.
25. **Гранстрем** 1959: Гранстрем Е., Греческие рукописи Государственного Музея Грузии им. акад. С.Н. Джанашия, Вестник Государственного Музея Грузии, XX-V, 1959.
26. **Гранстрем** 1956: Гранстрем Е., Греческие рукописи в собраниях Советского Союза, Византийский временник, XI, 1956.
27. **Гранстрем** 1968: Гранстрем Е., Унциальный период Византийской письменности, Византийский временник, XXIX, М., 1968.
28. **Фонкич** 1974: Фонкич В. Л., Заметки о греческих рукописях Советских хранилищ, Византийский временник, 36, 1974, рис. 4-7.
29. **Кирион** 1905: Кирион, Греческий пергаментный манускрипт четвероевангелия найденный мною между рукописями в Гелатском монастыре, Сборник Орловского Церковно-Археологического комитета, т. 1, 1905.
30. **Месгер** 1996: Месгер В. М., Текстология Нового Завета, М., 1996.
31. **Уварова** 1907: Евангелие от Магга из Коридетской рукописи, фототип. изд. Зодена, И. Евсеева, Материалы по археологии Кавказа под редакцией графини Уваровой, вып. XI, 1907 (=МАК).
32. **Церетели** 1937: Церетели Г., Коридетская рукопись и ее греческие приписки, Тб., 1937.

Ketevan Bezarashvili

FOR THE HISTORY OF THE KORIDETI FOUR GOSPELS

SUMMARY

The article is about the 9th century famous Greek codex written in uncial script – so-called Korideti Four Gospels which is kept at the National Centre of Manuscripts in Tbilisi. It concerns the intriguing adventure of the manuscript, the history of study and edition of the codex, the significance of this manuscript, especially, of the Gospel by Marc which is of Caesarean type, for the study of the text history of the Four Gospels.

The article also deals with Georgian and Greek documentary inscriptions that were placed in the margins of the manuscript during the centuries and their significance for historical, social, ethnological etc. studies.

აკა დულაშვილი

იადგარში ასახული ადრეპიზანტიური ჰიმნოგრაფია¹

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მკვლევარნი (კ. კრუმბახერი, ს. ევსტრატია-დესი, ნ. ტომოდაკისი, თ. დეტორაკისი, პ. ტრემბელა, პ. ხრისტოსი, ე. უელესი) ჰიმნოგრაფიის ისტორიაში გამოყოფენ პალესტინურ, ანუ ადრეპიზანტიურ, პერიოდს (VII-IX სს.) ეს ეპოქა შემოქმედებითი სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეულია. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა და ღვთისმსახურებაში დამკვიდრდა ძლისპირ-ტროპარის რიტმულ-მელოდიურ თანაფარდობაზე დამყარებული ჰიმნოგრაფიული კანონი. სახელწოდება „პალესტინური“ მიუთითებს, რომ საგალობელი ელემენტი ჩაისახა, განვითარდა და საბოლოო სახე მიიღო პალესტინაში, კერძოდ, საბა განწმენდილის ლავრაში, სადაც ცნობილი ჰიმნოგრაფები და მელოდოსები მოღვაწეობდნენ. მათგან ყველაზე სახელგანთქმულნი და ავტორიტეტულნი არიან ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი, სტეფანე საბანმინდელი. ამ ჰიმნოდთა სახელებს უკავშირდება საეკლესიო საგალობლის საბოლოო, სრულყოფილი ფორმის, ჰიმნოგრაფიული კანონის შექმნა და ლიტურგიაში მტკიცედ დამკვიდრება (Wellesz 1962: 206). ბერძნულმა ლიტურგიკულმა ხელნაწერებმა (VIII-XIII სს.) და უფრო გვიანდელმაც, ტროპოლოგიონებმა, თვენებმა, პარაკლიტონებმა, პენტეკოსტარიონებმა შემოინახეს ზემოთ დასახელებულ ავტორთა საგალობლები, როგორც კანონები, ისე მცირე ფორმის სტიქარონები.

სამეცნიერო ლიტერატურაში საბანმინდელ ჰიმნოდთა შემოქმედება მრავალმხრივ არის შესწავლილი (ს. ევსტრატიადესი, ნ. ტომოდაკისი, თ. დეტორაკისი, პ. ტრემბელა, პ. ხრისტოსი, ა. ლუთი), მაგრამ ზოგიერთი საგალობლის ავტორობის საკითხი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია, რადგან ხელნაწერები ერთმანეთისგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ. მიუხედავად დღეისთვის რამდენიმე უპასუხოდ დარჩენილი კითხვისა, მკვლევართა საერთო მოსაზრებით, საბანმინდური ჰიმნოგრაფია გახდა შემდგომი ეპოქის სასულიერო პოეზიის ცენ-

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ტრების (მაგ., სტუდიელთა მონასტერი კონსტანტინოპოლში, IX ს.) გამრავლების საფუძველი. საბანმინდური მონასტრული გალობის მოდელი უნივერსალურად იქცა არასამონასტრო კათედრალეზშიც; მაგ., აია სოფიასა და თესალონიკში XVI საუკუნემდე (Louth 2001: 256).

მოკლედ რომ ვთქვათ, საბანმინდური ჰიმნოგრაფია ბიზანტიურ და, ზოგადად, აღმოსავლურ ეკლესიაში ძირითად საგალობელ რეპერტუარად იქცა.

ქართული საეკლესიო ტრადიცია, როგორც ცნობილია, იერუსალიმური წარმომავლობისაა და დიდხანს ინახავდა ღვთისმსახურების იერუსალიმურ წესს. პირველი ქართული სამონასტრო კოლონიებიც სწორედ პალესტინაში საბა განმმენდილის ლავრაში და სინის წმ. ეკატერინეს მონასტრებში ჩამოყალიბდა. ამ კერებში შეიქმნა და გადაინერა უძველესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული ხელნაწერები. მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იადგარი. ქართული ხელნაწერი ტრადიცია ამ კრებულის ორ რედაქციას – „უძველეს“ და „ახალ“, ანუ „დიდ“ იადგარს იცნობს (ინგოროყვა 1954: 756-758) – უძველესი იადგარი IX-X საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა და სტროფულ რიტმიკაზე დამყარებულ თარგმანებს შეიცავს, ხოლო ახალი იადგარი მთელი X საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა (უძველესი იადგარი 1980: 699).

ჩვენ შევჩერდებით სწორედ დიდ იადგარსა და მასში დადასტურებულ საბანმინდური ჰიმნოგრაფიის ქართულ თარგმანებზე. ეს კრებული საინტერესოა იმით, რომ იგი შედგენილია ადრებიზანტიური რიტმული პოეზიის ნიმუშების-უძველესი ქართული თარგმანებით, რომელთა გარკვეული ნაწილი, როგორც საუკეთესო და ავტორიტეტული, უცვლელად არის გადასული მოგვიანო პერიოდის ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში (თვენში, პარაკლიტონში, ზატიკში (XI-XII სს.).

ქართული იადგარები მოღწეულია სინური ნუსხებით (Sin. 34, Sin.1, Sin.4, Sin.59, Sin.64-65), ერთ-ერთ პალესტინურ კერაში შექმნილი ნვირმისა და იელის (ხევსურიათი 2000: 16-22) და შატბერდში გადაწერილი (978-988 წწ.) მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერებით. ეს უკანასკნელი ნუსხა, დღეისთვის ნაკლულად მოღწეული, ყველაზე სრული უნდა ყოფილიყო, როგორც მასზე დართული ანდერძები მიუთითებს (ინგოროყვა 1954: 01-08).

იადგარის შემორჩენილი ნუსხები ნაკლული ნაწილების შევსების საშუალებას იძლევა და თვალწინ გვაქვს X საუკუნის ჰიმნოგრაფიული კრებული, რომლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს საბანმინდური ჰიმნოგრაფიის თარგმანები (იადგარში თარგმანთა გვერდით დადასტურებულია ქართველ ავტორთა რამდენიმე საგალობელიც).

კრებულის ყველა ნაწილში სათვეო, მარხვან-ზატიკისა და აღდგომის დასდებლებში წარმოდგენილია იოანე დამასკელის, კოზმა იერუსალიმელის, ანდრია კრეტელის, სტეფანე საბანმინდელის საგალობლები.

ქართული იადგარის წარმომავლობის კვლევისას მთავარ სირთულეს ქმნის ის ფაქტი, რომ მისი უშუალო დედანი დღეისთვის შემორჩენილ IX-X საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერებში (სინურ კოლექციაში, სადაც, სავარაუდოა, რომ ყო-

ფილიყო) არ ჩანს. შესაძლებელია იმის დაშვებაც, რომ ქართულ იადგარს ერთი დედანი არ ჰქონდა და სხვადასხვა ხელნაწერიდან ითარგმნებოდა და ივსებოდა. ჩვენთვის ხელმისაწვდომ IX საუკუნის ტროპოლოგიონთან იადგარის შედარებამ წარმოაჩინა, რომ ქართული იადგარი საგალობელთა განლაგებით (სერობის, მწუხრის სტიქარონები, ცისკრის სტიქარონი, კანონი და ა. შ.) იმეორებს სინური ხელნაწერის ტრადიციას, მაგრამ შედგენილობით განსხვავებულია (იხ. დანართი).

ქართული იადგარის ნუსხების ერთმანეთთან შედარებამ, თარგმანების დედნებთან მიმართების კვლევამ იადგარის ჩამოყალიბების საინტერესო სურათი წარმოაჩინა.

საბანმინდური რიტმული გალობის სათარგმნად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ირმოსების, ანუ ძლისპირების, რაც კანონის ოდის რიტმულ-მელოდიური მოდელია, თარგმნა და შემდეგ ამ მოდელის მიხედვით თავად საგალობლის ტექსტის გადმოღება ქართულად. „ხმეან“ რიტმულ გალობას ქართველები ეცნობიან და ქართულ ენაზე თარგმნას იწყებენ საბანმინდის სავანეში. X საუკუნის შუა წლებისთვის უკვე რიტმულმა პოეზიამ ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში დაიკავა უპირატესი ადგილი და განდევნა ძველი სტროფულ რიტმიკაზე დამყარებული გალობანი“ (მეტრეველი 1971: 053). ასე რომ, ქართული იადგარები იწყება ძლისპირთა თარგმანებით, ძლისპირთა კრებულებით.

ქართული ხელნაწერები მისდევენ შესაბამისი ეპოქის მოთხოვნებს, იადგარებში ოდებად დალაგებული ძლისპირები, ანუ OdO ტიპის ირმოლოგიონის თარგმანები გვაქვს (მეტრეველი 1971: 011) იადგარში, ბერძნულისგან განსხვავებით, ძლისპირებთან ერთად წარმოდგენილია „ღვთისმშობლისები“, ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ტროპარები. ბერძნულ ტრადიციაში „Θεοτόκισ“ -ები ცალკე კრებულად არსებობდა. ქართულ იადგარში კი ძლისპირებთან ერთად არის წარმოდგენილი.

ყოველ ძლისპირს ახლავს თავის წყვილი ღვთისმშობლისა, რომელიც ძლისპირის მარცვალთაოდენობას იმეორებს. ძლისპირთა და ღვთისმშობლისათა ქართული თარგმანების შედარებისას აღმოჩნდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში მათ შორის თანაფარდობა დაცულია და მაქსიმალური სხვაობა 6-7 მარცვალია. თუ გავითვალისწინებთ ძლისპირთა და ღვთისმშობლისათა რეპერტუარის მოცულობას, მარცვალთა ამგვარი სხვაობა ნამდვილად წარმატებულ თარგმანად შეიძლება ჩავთვალოთ.

იადგარების ძლისპირთა თარგმანებზე დაკვირვებამ და მათმა შედარებამ ბერძნულ დედნებთან წარმოაჩინა ორგვარი შემთხვევა: 1) თარგმანი ტექსტობრივად და ფორმით ახლოს დგას დედანთან; 2) ზოგჯერ კი მეტრულ სიზუსტეს ეწირება ტექსტობრივი მხარე.

მაგ., ზუსტი თარგმანი:

1) Τό στερῶμα
τῶν ἐπὶ σοί πεποιθόντων
στερέωσον, Κύριε, τῆς ἐκκλησίας
“ἦν ἐκτίσω τιμὴν σοὶ “αιματι

მოსავთა შენთა
დამამტკიცებელი ღმერთო,
დამამტკიცე ეკლესიაჲ
შენი, რომელი
მოიციდე სისხლითა შენითა წმიდითა

*კოზმა იერუსალიმელი. მიგებების კანონი. IV ოდა.
მარცვალთრაოდენობა ბერძნ. 5 8 12 12
ქართ. 5 8 8+5 13*

2) დედნის მარცვალთრაოდენობის დაცვას ენირება ტექსტობრივი მხარე:

Σὺν τῷ θαυμασίῳ στάς Ἀββακούμ
ἐπὶ τῆς Θείας φυλακῆς σου, Γρηγόριε
καὶ τὸν ἐπὶ ἡμῶν χερουβὶμ κατανόησας
τῆς παγκοσμίου γέγιουας
μυητῆς σωτηρίας
ἀεὶ κραυγάζων,
Κύριε, δόξα τῇ δυναμεί σου

უსხეულოთა თანა დგა ამბაკუმ
სახუმილავსა მას სულიერსა, და იხილა
ქერობინთა ზედა მჯდომარე და ქადაგა
მოსლვაჲ მაცხოვრად ერისა
და ჴსნად ცხებულთა თვსთა,
ღალადებდა: უფალო, დიდებაჲ ძალსა შენსა.

*კოზმა იერუსალიმელი. გრიგოლ ღმრთისმეტყველისადმი
მიძღვნილი კანონი. IV ოდა*

ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართული თარგმანი დედნისგან მნიშვნელოვნად სხვაობს. ბერძნული ძლისპირი კოზმას აკოლუთიის შემადგენელია (მეტრეველი 1971: 41) და მიძღვნილია გრიგოლ ღმრთისმეტყველის დღესასწაულისადმი, ამიტომ იხსენიება გრიგოლი. ქართულ თარგმანში კი თვალში საცემია ის ფაქტი, რომ გრიგოლის ხსენება არ არის. ელ. მეტრეველი ამ მოვლენას შემდეგნაირად ხსნის: „ოდებად დალაგებულ ბერძნულ და ქართულ ძლისპირთა კრებულებში აკოლუთიები დაშლილი სახითაა წარმოდგენილი და ამიტომ იკარგება მითითება იმაზე, თუ ვის ან რას მიეძღვნა აკოლუთია. ამით

უნდა აიხსნას ისიც, რომ ძლისპირის ქართულ თარგმანში არ ჩანს ბერძნულ ირმოსში მოხსენებული გრიგოლი“ (მეტერეველი 1971: 216).

ეს შემთხვევა აშკარა მაგალითია იმისა, რომ კანონის მთარგმნელი სარგებლობს ძლისპირთა კრებულებში შეტანილი თარგმანით.

ტექსტობრივად ქართული თარგმანი განსხვავებულია დედნისგან. მაგ.,

και τον ἐπ’ ἄμασιν χερουσίμ

κατανοήσας τῆς παγκοσμίου γεγινάς

და იხილა

ქერობინთა ზედა მჯდომარე და ქადაგა

მოსლვაჲ მაცხოვრად ერისა

τῆς παγκοσμίου γεγινάς – ფრაზა, საერთოდ, ამოღებულია ქართულ თარგმანში.

დედანსა და თარგმანს შორის მარცვლთაროდენობა ასეა განაწილებული:

ბერძნ. 10 13 13 8 7 5 10 – 66

ქართ. 11 14 13 8 7 14 – 67

ქართულ იადგარს კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს ძლისპირებთან დაკავშირებით. ბერძნული სტიქარონები ქართველი მთარგმნელის მიერ შერჩეულ ძლისპირებზეა განყოფილი და თარგმნილი, მაშინ, როცა დედანში ამგვარი მცირე ფორმის საგალობლები „თვითავაჯებია“.

ძლისპირთა ქართიული თარგმანების დედნებთან შედარებისას შევნიშნეთ ერთი საინტერესო შემთხვევა.

კოზმა იერუსალიმელის ფერისცვალების კანონის VII ოდის ქართული თარგმანი:

აბრამეანთა ყრმათა

ბაბილოვნისა ცეცხლი

სარწმუნოებით მოაუძღურეს

და ესრეთ ღალადებდეს:

მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ მარადის

Ἄβραμιαῖοι ποτέ

ἐν βαβυλῶνι πᾶδες

τῷ Θεῷ πυρπολοῦμενοι ζήλω

τυράννου καὶ φλογὸς ἀπειλήν

ἀνδρείως κατεπάτησαν

καὶ μέσσοι πυρὸς ἐμβληθέντες

δροσιζόμενοι ἕψαλλον

εὐλογοῖτε πάντα τὰ ἔργα

Κυριῷ τὸν Κύριον (მეტერეველი 1971: 51).

კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული კანონების ერთ-ერთ გამოცემაში მივაკვლიეთ სხვა ძლისპირს (Ловягин 1875: 87).

Ἄβραμᾶισι ποτέ
ἐν βαβυλῶνι παίδες
καμίνοῦ φλόγα κατεπάτησαν
ἐν ἕμοις κραυγάζοντες,
ὁ τῶν πατέρων ἡμῶν Θεός
ἐςλογιτός εἰ.

იადგარში დადასტურებული თარგმანი სწორედ ამ ირმოსის თარგმანად მიგვაჩნია. თარგმანი ტექსტობრივადაც ზუსტად მისდევს დედანს და რიტმულადაც თანხვედბა მას. ბერძნ. 7 7 10 7 9 5 = 45

ქართ. 7 7 17 14 = 45

ძლისპირთა თარგმანების შემდეგ საინტერესოა, თუ როგორ არის წარმოდგენილი იადგარებში საბანმინდური ჰიმნოგრაფიის ნიმუშები. იადგარის ნუსხების შესწავლის საფუძვლზე მათში დავადასტურეთ შემდეგი ავტორების საგალობლები.:

იოანე დამასკელის: შობის, განცხადების, აღდგომის, ამალღების, სულიწმინდის, ფერისცვალების, ღმრთისმშობლის მიძინების, ღმრთისმშობლის შობის, ბასილი დიდის, მაქსიმე აღმსარებლის, ეპიფანე კვიპრელ ეპისკოპოსისადმი მიძღვნილი კანონები.

კოზმა იერუსალიმელის: შობის, განცხადების, მიგებების, ფერისცვალების, ღმრთისმშობლის მიძინების, წმ. გიორგის, დავით და იაკობის, მინა, ბიქტორ და ბიკენტი მონამეთა, გრიგოლ ღმრთისმეტყველის, ბზობის კვირიაკის, სულიწმინდის, ვნების კვირის ორსაგალობლები და სამსაგალობლები, ხუთშაბათის, პარასკევის, შაბათის სრული კანონები.

სტეფანე საბანმინდელის: მამათა დამწვართა, კვირიაკოზ პალავრელის, იოანე დამასკელისა და დიდმონამე ბარბარესი.

ანდრია კრეტელის: შობის წინა დღესასწაულის კანონი და სტიქარონი. იადგარის თარგმანთა ბერძნული დედნების მოძიებას ამჟამადაც ვაგრძელებთ. ჩვენი კვლევის პარალელურად მიმდინარეობს სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთა შესწავლა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ბერძენი კოლეგების შემწეობით მივაკვლევთ სხვა დედნებსაც. დღეისთვის ჩვენ ხელთ არსებული ბერძნული ხელნაწერების მიხედვით დაძებნილია მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ საგალობელთა ორიგინალები. ეს თარგმანებიც საკმარის წარმოდგენას გვიქმნიან იადგარის ქართული თარგმანების თავისებურებათა შესახებ.

თარგმანების შედარებამ შესაბამის ბერძნულ დედნებთან დაგვანახვა, რომ თითოეული მათგანი თავისებურია და ვლინდება მთარგმნელის ინდივიდუალური მიდგომა ორიგინალთან. მიუხედავადამისა, იადგარის თარგმანებისთვის ზოგიერთი საერთო მახასიათებელი ნიშნები გამოიკვეთა:

1. აშკარაა, რომ საუფლო დღესასწაულებზე დაწერილი კანონები და სტიქარონები ორიგინალთან მეტი ტექსტობრივი და რიტმულ-მეტრული სიზუსტით გამოირჩევიან;

2. წმინდანებისადმი მიძღვნილი კანონების თარგმანებში თვალში საცემია ტექსტობრივი თავისუფლება. ქართველი მთარგმნელი ხშირად ორი კანონის კომპილაციას იძლევა. მაგ., კოზმა იერუსალიმელისა და იოანე დამასკელის დავით და იაკობისადმი მიძღვნილი და წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი კანონები. ამგვარი შემთხვევები განპირობებულია ძლისპირთა გამარტივებით. სხვადასხვა ძლისპირიან საგალობელს ქართველი მთარგმნელი ერთი ძლისპირის მიხედვით თარგმნის. ეს ასეა დავით და იაკობის კანონის შემთხვევაში. რაც შეეხება წმინდა გიორგის კანონს, ეს საგალობელი კომპილაციური სახით ჩნდება ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერშიც, ამიტომ კომპილაციას ქართველ მთარგმნელს ვერ მივანერეთ.

3. დედნის აკროსტიქიანი საგალობლები უმეტესწილად უაკროსტიქოდ არის თარგმნილი. ერთ-ერთი შემთხვევაა იოანე დამასკელის მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი კანონი. მისი აკროსტიქია: ὁ παμμέγιστος Μάξιμος διέδέξαται. ქართულად თარგმნილია: „დიდებულსა მაქსიმოსს უგალობდეთ“ (sin. 64 33r-35r). იოანე დამასკელის იამბიკური კანონები (განცხადების, სულიწმინდის) ქართულად იამბიკოდ არის თარგმნილი და მაქსიმალურად დაცულია რიტმულობა.

4. ქართულ თარგმანებში დედნისეული ძლისპირები უმრავლეს შემთხვევაში შენარჩუნებულია და არ არის შეცვლილი.

5. ქართველი მთარგმნელისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა დედნის ფორმის, ძლისპირ-ტროპარს შორის მარცვალთრაოდენობის დაცვა და ამ პირობას ბევრჯერ წარმატებით ახორციელებს. აღნიშნული მოვლენის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ კოზმა იერუსალიმელის ღმრთისმშობლის მიძინების კანონის ორი თარგმანი: ერთი – პოეტური პროზით თარგმნილი, რომელიც უძველეს იადგარშია დადასტურებული და ამ კრებულის გვიანდელი ჩანართია, მაგრამ ძლისპირ-ტროპარის მარცვალთა თანაფარდობა არაა გათვალისწინებული (უძველესი იადგარი 1980: 547-550) და მეორე, დიდი იადგარისეული თარგმანი.

Ὑαρχικὴν δε πηγὴν εἰργασατο τῆς θεοτόκου

φθορὰν θανάτου καὶ ἕως ἄρτι βλαστάνουσιν τοῖς μέλποισι (VII ოდა).

და ყო ღმრთისმშობელი თავად წყარო ცხორებისად და განმკრწნელად სიკუდილისა და აღმომაცენებლად ცხორებისა, რომელნი ვლალადებთ (უძველესი იადგარი 1980).

და ყო ღმრთისმშობელი წყაროდ

უკრწნელად უკუდავებისად მათთვის,

რომელნი ესე ლალადებენ (დიდი იადგარი).

დედანში 31 მარცვალა, თარგმანში – 29. ტექსტობრივად უფრო ზუსტია უძველესი იადგარის თარგმანი, მაგრამ დიდი იადგარის თარგმანი ფორმითაც და შინაარსობრივადაც ბერძნული ორიგინალის ადეკვატურია.

6. საუფლო დღესასწაულებისა და წმინდანების სახელზე დაწერილ კანონთა თარგმანები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვაობს ერთმანეთისგან, მაგრამ ტექსტობრივი დაცელება თითქმის ყველა შემთხვევაში ე. წ. Sensus de sensu თარგმანი ორიგინალის თეოლოგიურ შინაარსს არ ცვლის.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

Ἄνειμένωσιν πόλοις παμφάσιν πτυχῶσιν

Μύστυς ὀργὴ πρὸς Πατρὸς ἔξακουμένοι,

Ἐπελθὸν ὡς πέλειαν ἀφράστω τρόπῳ,

Δήμοις τε φαίνει προσδραμῆν τῷ Δεσπότη

იოანე დამასკელის განცხადების კანონის VI ოდის II ტროპარი.

ტროპარის სიტყვასიტყვითი თარგმანი ასეთია (როცა გაიხსნა ცის კიდენი, საიდუმლოს მხილველი (Μύστυς) ხედავს მამისაგან უბინო სიტყვაზე მტრედის სახით გადმომავალ სულს აუხსნელად (ἀφράστω τρόπῳ) და ანიშნებს ხალხს, მიუახლოვდნენ მეუფეს). გამოყოფთ ტროპარის სიტყვებს: „Μύστυς“ „საიდუმლოს მცოდნე“, „საიდუმლოს მხილველი“, და „ἀφράστω τρόπῳ“, „გამოუთქმელად, გამოუთქმელი საშუალებით“, ამ სიტყვებით არის დედანში გადმოცემული სულიწმინდის გადმოსვლა მაცხოვარზე. ეს თეოლოგიური სახე ცხადია, სახარებიდან მომდინარეობს: „რომელსა ზედა იხილო სული გარდამომავალი და დადგრომილი მის ზედა, იგი არს, რომელმან ნათელი გცეს სულითა წმიდითა და მე ვიხილე და ვინამე, რამეთუ ესე არს ძეჲ ღმრთისაჲ“ (იო. 1, 34).

Μύστυς-ში იგულისმება იოანე ნათლისმცემელი. დედნის ორივე სიტყვა ქართულ თარგმანში გამოტოვებულია და Μύστυς-ის აზრობრივი ეკვივალენტი „იოვანე“ გვხვდება.

რაჟამს განიხუნეს ცანი,

მიხედა იოვანე

მამისა სულსა გარდამოსრულსა

და დადგრომილსა სიტყუასა ზედა – ღმერთსა

სახით ტრედისაჲთა,

უჩუენა ერსა და ძნოლით კმა-ყო: ესე არს მომავალი.

ჩანს, რომ ქართული თარგმანი ზუსტად არ მიჰყვება დედანს. მთარგმნელი გვთავაზობს ე.წ აზრობრივ თარგმანს, თუმცა დედნის თეოლოგიური შინაარსი და პოეტური სახე არ იცვლება. ტროპარის ქართულ თარგმანში მარცვლები შემდეგნაირად ნაწილდება:

ქართ. 8 7 10 12 6 6 12. სხვაობა ერთ მარცვალშია.

ერთი შეხედვით, თითქოს უფრო მეტი ტექსტობრივი დაცელება შეინიშნება იოანე დამასკელისვე სულიწმინდის კანონის VII ოდის I ტროპარში:

Φανήν προφητόφθειγκτον ἡγιοηκότες,
Ἐφασκον οἰνότευκτον ἄφρονες μέθην,
Ῥήσεις ξειηκούσθησεν ἄς Ἀποστόλων,
Οἱ εὐσεβείς δέ σοι βωῶμεν ἐνθάς·
Νεουργέ τους σύμπαντος,
εὐλογητός εἶ.

ტროპარის სიტყვასიტყვითი თარგმანია: ვინც არ შეისმინა წინასწარმეტყველის სიტყვები და უცხო ენებზე ალაპარაკებულ მოციქულებს უსმენდა, ამას ღვინისგან თრობად მიიჩნევდა. ჩვენ კი, მორწმუნენი, ღვთიურად გადიდებთ: განმაახლებლო სამყაროსო, კურთხეულ ხარ.

ახლა ვნახოთ, როგორია იადგარისეული თარგმანი:
რაჟამს განკურდეს ერნი
მონაფეთათჳს,
ვინაჲ უგულისხმონი
მყის ბრძენ იპოვნეს,
ნუუკუე ტკბილისაგან
სავსე არიან,
ხოლო იგინი იტყოდეს პირველთქუმულთა,
რომელმან განმაახლენ, კურთხეულ ხარ შენ.

დედანი ტექსტობრივად საკმაოდ რთული გასაგებია იოანე დამასკელის ენისთვის დამახასიათებელი რთული გრამატიკული ფორმების გამო, ამიტომაც მთარგმნელი ამარტივებს მას. „Νεουργέ τους σύμπαντος“ – თარგმნის, როგორც „რომელმან განმაახლენ“, οἰνότευκτον μέθην, „ნუუკუე ტკბილისაგან სავსე არიან“, მიუხედავადამგვარი აზრობრივი ეკვივალენტებისა, ქართულ თარგმანში ადეკვატურად არის გადმოცემული დედნის თეოლოგიური შინაარსი და ექსპრესიულობაც. რაც შეეხება მარცვალთრაოდენობას, ეს მხარეც ზუსტად არის დაცული:

ქართ. 7 5 7 5 7 5 13 12.

მრავლადაა ისეთი მაგალითები, როცა ქართული თარგმანი ზუსტად მიჰყვება დედანს ფორმითაც და ტექსტობრივადაც:

Βεθλεέμ εὐφραίνου,
ἡγεμόνισα Ἰουδα ἢ βασιλεία τόν Ἰσραήλ γάρ ὁ ποιμαίνω,
Χερουβίμ ὁ επ' ἡμῶν, ἐκ σὸν προελθών Χριστός ἐμφανῶς,
καὶ ἀνψῶσας τό κέρασ ἡμῶν, πάντων ἐβασίλευσεν
კოზმა იერუსალიმელის შობის კანონის III ოდის III ტროპარი.

იხარებდ, ბეთლემო,
მეუფეო მთავართა იუდაესთაო,
რამეთუ მწყემსი ისრაჴლისაჲ, ქერობინთა

ზედა მჯდომარე, შენგან გამოგზბრწყინდა ქრისტე,
რომელმან აღამალლა რქაჲ ჩუენი,
ჩუენ ყოველთა მეუფე.

ბერძნულში 61 მარცვალა, ქართულში – 64.

ქართული თარგმანების დასახასათებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჩვენ შევარჩიეთ ყველაზე ტიპური ნიმუშები.

ზოგადად, იადგარის თარგმანების შესწავლა სხვადასხვა ასპექტით და მათი შედარება დედნებთან, როგორც ვნახეთ, წარმოაჩენს მთარგმნელის თავისებურ მიდგომას ადრებიზანტიურ ჰიმნოგრაფიასთან. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ქართველი მთარგმნელები ძირითადად დედნის ადეკვატურ და ბუნებრივი ქართულით გადმოღებულ თარგმანს იძლევიან. დედნის ფორმისა და შინაარსის დაცვისას ცდილობენ, არ დაკარგონ ორიგინალის თეოლოგიური სახეები და თარგმანში ასახონ ორიგინალის ესთეტიკურ-შემეცნებითი და რიტმულ-მელოდიური მოდელი. თარგმანთა ურთიერთშედარების მიხედვით მაინც ძნელია, გამოვყოთ ცალკეული მთარგმნელის ხელწერა და ესა თუ ის თარგმანი ერთ მთარგმნელს მივაკუთვნოთ. ვფიქრობთ, პალესტინური ჰიმნოგრაფიის იადგარისეული თარგმანები უნიკალურია, პირველ ყოვლისა, სიძველის გამო და, რაც მთავარია, სრულიად განსხვავებულია თავისებური მთარგმნელობითი სტილით (შდრ. სლაფურ სიტყვასიტყვით თარგმანებს). ქართულ თარგმანთა უკან დგანან მთარგმნელი-პოეტები და მუსიკოსები, მეხელები, რომელთა თარგმანებით არის შექმნილი X საუკუნის კრებული იადგარი. ამ თარგმანებმა მისცა ბიძგი ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის შექმნას (იოანე მინჩხი, იოანე მტბევეარი, ეზრა, კურდანი და სხვ). სამწუხაროდ, იადგარის არც ერთმა ნუსხამ არ შემოინახა მეხელთა სახელები. მეხელთა ღვანლისა და იადგარის თარგმანების შესაფასებლად საკმარისია საქართველოს სულიერი კულტურის გამოჩენილი მოღვაწის, დიდი საეკლესიო მამის, ბიზანტიური ლიტერატურის გამორჩეული მთარგმნელის, გიორგი მთაწმინდელის, სიტყვები: „მეხელნი ჩემსა უფრო არავის უყუარან და მოძღუარად მყვანან და ღმერთშემოსილად“ (ჯღამაია 2007). ამიტომაც მან იადგარის თარგმანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ხელახლა არ თარგმნა და უცვლელად გადაიტანა მოგვიანო პერიოდის ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში. სწორედ იადგარში დადასტურებულმა თარგმანებმა შემოინახეს ქართულად პალესტინური ჰიმნოგრაფიის გამორჩეული ნიმუშები. ამ თარგმანებმა საუკუნეებს გაუძლო და თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაშიც წარმატებით სრულდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **გიორგი მთანმინდელი** 2007: გიორგი მთანმინდელი, თვენი (სექტემბერი) გამოსცა, გამოკვლევა, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო ლ. ჯღამაიამ, თბ., 2007.
2. **ინგოროყვა** 1966: ინგოროყვა პ., გიორგი მერჩულე, თხზულებათა კრებული, III, თბ., 1966.
3. **მეტრეველი** 1971: ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI საუკუნეების ხელნაწერების მიხ. გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971.
4. **უძველესი იადგარი** 1980: უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს და გამოკვლევა დაურთეს ე. მეტრეველმა, ლ. ხევსურიანმა, ც. ჭანკიევმა, თბ., 1980.
5. **ჯღამაია** 2007: ჯღამაია ლ., ხევსურიანი ლ., იადგარის ახალი ნუსხის შესახებ, ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2007.
6. **S ფონდის აღწერილობა** 1959: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.
7. **Louth** 2001: Louth J., St. John Damascene, Oxford, University Press, 2001.
8. **Wellesz** 1962: Wellesz A., History of Byzantine Music and Hymnography, 1962.
9. **Ловягин** 1875: Ловягин Е., Богослужбные Каноны, 1875.

Eka Dughashvili

BYZANTINE HYMNOGRAPHY IN THE 10TH CENTURY GEORGIAN HYMNBOOK IADGARI

SUMMARY

The earliest Georgian translations of Byzantine Hymnography (troparions) are attested for the first time in a manuscript reflecting the Jerusalem Church practice, in the Jerusalem canonarion (7th c.), then in the Earliest Iadgari (Hymnbook 10th c.) and the Great Iadgari. More translations of the Hymnographic Canons and stikhera of the Hymnographers John Damascene, Cosmas of Jerusalem, Stephen of Mar Saba – occur in the Great Iadgari of the 10th c. (in the Iadgari of Mikhael Modrekili and Iadgarises of the Monastery of st. Catherine on mount Sinai).

As to its structure (the Vespers stichera, the Matin Canons, troparion of the Thotokos), the hymns repertoire presented in the Iadgari is close to the 8th-10th cc. Greek tropologions, The translations of the Iadgari, the Greek originals of which are ascertained, manifest many peculiarities.

- The translations of the hymns of the Twelve Great Feasts and the Thotokos are closest textually to the original;

- The metric form of the original (number of the syllables between heirmoses and troparia) as also preserved as far as possible;
- The translations of the Canons of the Saints are notable for more textual freedom;
- Words of the theological meaning are translated appropriately, the Greek phrases difficult to understand are simplified;
- Greek acrostic hymns are translated into Georgian sometimes with acrostic, some times without it;

By these features the Georgian Iadgari is a unique monument and it represents Byzantine hymnography in a peculiar way.

ირინა ნაცვლიშვილი

ბიბლია – ხელნაერთა ტექსტის გამართვისა და შესწორების მნიშვნელოვანი წყარო

„ასწლოვანი მათიანის“ ერთი ეპიზოდის გაგებისათვის¹

ბიბლია მედიევალური კულტურის არა მხოლოდ იდეოლოგიური, არამედ მხატვრული აზროვნების უნივერსალური წყაროა. შესაბამისად, ამ პერიოდის მწერლობის ეთიკურ-ესთეტიკური სამყარო ბიბლიურ სახეობრივ სისტემას ეფუძნება, რომლის კვალობაზეც შინაარსდება ესა თუ ის ტექსტი. ამგვარ შემოქმედებით-სააზროვნო მოდელს ემორჩილება შუა საუკუნეების ქართული ჟამთააღმწერლობაც, რომელიც ჩვენი ეროვნული მწერლობის ერთიანი პროცესის განუყოფელი ნაწილია. ამასთანავე, ის იმ სპეციფიკურ ისტორიზმს ავლენს, რომელიც შუასაუკუნეების ქრისტიანულმა მსოფლხედვამ შეიმუშავა. ისტორიის თეოლოგიური ფილოსოფიის მიხედვით, რომელიც სათავეს ნეტარი ავგუსტინედან იღებს, კაცობრიობის ცხოვრებაში ღვთის ჩარევის თითოეული აქტი ქმნის ისტორიის კონკრეტულ ეტაპს და, ამდენად, რეალური ფაქტები რელიგიურ ფასეულობას იძენენ. შუასაუკუნეების აზროვნება ყოფითი მოვლენის კონკრეტულ-მიზეზობრივ ახსნას კი არ ეძებდა, არამედ ესწრაფოდა მისი სიმბოლური კავშირის დანახვას მსოფლიო ისტორიული დრამის არქეტიპებთან, რამეთუ, იმჟამინდელი გააზრებით, ეროვნული ისტორია სიმეტრიულად შეესატყვისებოდა ბიბლიურს ისევე, როგორც ახალი აღთქმა – ძველს. მიწიერ ისტორიას არ ჰქონდა თავისთავადი ღირებულება. ის საკრალური ისტორიის ანარეკლად მიიჩნეოდა და საზრისს მხოლოდ მასში ჩართვით იძენდა.

ეროვნული ისტორიის მსოფლიო ისტორიის ნაწილად აღქმა სისხლხორცეულია შუა საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფისთვისაც, რომელიც ქვეყნის ცხოვრებას საღვთისმეტყველო ტიპოლოგიის კვალობაზე წარმოაჩენს. ამ

¹ მოხსენება ნაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

თვალსაზრისით ძალზე საინტერესო მასალას იძლევა XIV საუკუნის უცნობი ჟამთააღმწერლის „ასნლოვანი მატიანე“. ქართველი ერის ცხოვრების ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა აქ ზედროულ განზომილებას იძენს და ბიბლიური კატეგორიების საშუალებით აიხსნება. კონკრეტული სამყარო სიმბოლურად გაორებულია ბიბლიური არქეტიპების ძიების ხარჯზე. საქართველოს ისტორია მონოდებულია, როგორც ზედროული ისტორიის დროში გამოვლენა და მასთან ალეგორიული შესატყვისობა. პერსონაჟთა სახეები განზოგადებულია ბიბლიური იდეალის კვალობაზე და ესთეტიკურად ღირებულნი არიან იმის მიხედვით, თუ რამდენად გამოხატავენ ისინი ადამიანური არსებობის ქრისტიანულ საზრისს. ასე რომ, ბიბლია უცნობი ჟამთააღმწერლის ისტორიოგრაფიული თუ ეთიკურ-ესთეტიკური აზროვნების საფუძველია. ეს კი განაპირობებს თხზულების ტექსტში არა მხოლოდ ბიბლიური ციტატების ჩართვას, არამედ საღვთო წერილიდან უხვად მოხმობილ შედარება-პარალელებსაც, რომელთა საფუძველზედაც ისტორიკოსი ცდილობს ამა თუ იმ მოვლენის სიღრმისეული ასპექტების წარმოჩენასა და მონათხრობში საკრალური შინაარსის შეტანას.

„ასნლოვანი მატიანის“ ერთ-ერთი ამგვარი პასაჟია მეფე დემეტრე II თავდადებულის (1259-1289) მხილება მთანმინდიდან ღვთისმშობლის ჩვენებით მოსული ბასილი მონაზვნის მიერ. ეს ეპიზოდი საკმაოდ დატვირთულია ბიბლიური სახეებით, რომლებიც ავტორისეული სათქმელისა და სააზროვნო კონტექსტის ამოცნობაში გვეხმარება. დასასრულს კი თავისი მორალური პოზიციის გასამყარებლად ბასილი მონაზონი ასე მიმართავს ქართველ ხელისუფალთ: „უკეთუ მე ჩემებით რასმე ვიტყვ, ვითარცა ცრუ წინასწარმეტყველი, შემაცთუნებელი კაცისა ღმრთისა, რომელი მიივლინა რობოამისსა, ძისა ნაბოტიანისსა, და არა ყოვლად-წმინდისა ღვთისმშობელისა მიერ წარმოვლინებულ ვარ, ვითარ ცრუდ სჯულისა გარდამავალი შემრაცხეთ“ (ჟამთააღმწერელი 1959: 283).

ჟამთააღმწერლის თხზულების ეს ეპიზოდი ამგვარივე სახით (არის მხოლოდ მცირე, არაარსებითი ხასიათის სხვაობანი) იკითხება „ასნლოვანი მატიანის“ სხვა გამოცემებშიც (ქართლის ცხოვრება 1849: 419; ქართლის ცხოვრება 1897: 611; ქართლის ცხოვრება 1906: 731; ჟამთააღმწერელი 1987: 173-174).

დამონმებულ ამონარიდში ყურადღებას იქცევს ბიბლიური შედარება, რომელიც ჩართულია უშუალოდ ბასილი მონაზვნის სიტყვაში და ამ კონკრეტულ შემთხვევაში არა მსგავსებას, არამედ განსხვავებას წარმოაჩენს. პირველწყაროს ძიებამ გამოავლინა ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი მცდარი იკითხვისი. კერძოდ, „ასნლოვანი მატიანის“ თავდაპირველ ტექსტში **რობოამის** ნაცვლად უნდა ყოფილიყო **იერობოამი** (ან იერობუამი, იორობოამი, იორობუამი – ზოგიერთ ბიბლიურ წიგნში ეს სახელი ასეთი დანერილობითაც გვხვდება). ცნობილია, რომ „ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტმა გადაწმერთა მიერ დაშვებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით და ნაკლულად მოაღწია

ჩვენამდე“ (ჟამთააღმწერელი 1987: 30). ბიბლიური პერსონაჟის სახელის ამგვარი სახეცვლილებაც (საწყისი ორი ასოს ჩავარდნა), ალბათ, უნდა აიხსნას ძეგლის გადამწერთა დაუკვირებლობით ან დაზიანებული დედნით სარგებლობის შედეგია, რადგან, ჩვენი აზრით, სრულიად გამორიცხულია ავტორისეული შეცდომა. ჟამთააღმწერელს, რომელიც საღვთო წერილის შესანიშნავ ცოდნას ავლენს, არ შეეძლო, მითითებულ კონტექსტში რობოამი მოეხსენებინა. ეს სახელი (სხვა ნაკითხვით – რობუამი) ოცდაათზე მეტჯერ გაიჟღერებს სხვადასხვა ბიბლიურ ნიგნში (III მეფ., I ნეშტ., II ნესტ., მათ., ზირ.) და ყველგან სოლომონის ვაჟს უკავშირდება, რომელმაც მემკვიდრეობად მამის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის შეცოდების გამო ღვთისგან განყოფილი ისრაელის ორი ნაწილი მიიღო (იუდეა). თანაც, ჟამთააღმწერლის მიერ მინიშნებული ბიბლიური ამბავი რობოამის თავგადასავლის არც ერთ ეპიზოდს არ მოგვგვგონებს. ისტორიკოსის მიერ ბიბლიიდან მოხმობილი შედარების წყაროდ უნდა მივიჩნიოთ მეფეთა III ნიგნში მოთხრობილი იერობოამ ისრაელის მეფის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. ეს იერობოამი (პარალელური ნაკითხვით – იერობუამ, იორობოამ, იორობუამ) სწორედ ნაბატის ძეა – ჟამთააღმწერლის მიხედვით, ნაბოტიანი (-იან სუფიქსი, როგორც წარმომავლობის სახელთა მანარმოებელი, ქართულში საკმაოდ გავრცელებულია, რაც დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალ ძეგლთა მაგალითზეც), თუმცა უფრო მართებული იქნებოდა, მათიანის ტექსტში „ნაბოტიანის“ ნაცვლად ყოფილიყო „ნაბოტიანი“, თანაც „ძე“ სიტყვის გარეშე, რომლის მნიშვნელობა თავისთავად იგულისხმება სახელის -იან სუფიქსიან ფორმაში.

ბიბლიის მიხედვით, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ორად გაყოფილი ისრაელის ერთი ნაწილის მეფე, ღვთის ამორჩევით, იერობოამი ხდება. პარალელურად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეორე ნაწილში მეფობს სოლომონის ძე რობოამი. იერობოამთან უფლის ჩვენებით მიდის „კაცი ღმრთისა“, რომელიც მეფისა და ხალხის წინაშე რამდენიმე სასწაულს აღასრულებს. იერობოამი მას სახლში მიიპატიჟებს და საბოძვარსაც დაჰპირდება, მაგრამ „ჰრქუა კაცმან მან ღმრთისამან მეფესა: დაღათუ მომცე ზოგი სახლისა შენისა, არა შევიდე შენ თანა და არა ვჭამო პური და არა ვსუა წყალი ადგილსა ამას, რამეთუ ესრე მამცნო მე უფალმან სიტყვთა და მრქვა: არა სჭამო პური და არცა სუა წყალი და არცა მიიქცე მასვე გზასა, რომელსაცა მიხვედ. და წარვიდა სხვთ გზით და არა მიიქცა მასვე გზასა, რომელსაცა მივიდა ბეთელად“ (III მეფ. 13, 8-10). ეს ამბავი შვილებმა უამბეს ერთ მოხუც ბეთელელ წინასწარმეტყველს. იგი გაედევნა „ღვთის კაცს“, იპოვა მუხის ქვეშ მჯდომი და თავისთან მიიპატიჟა. უარი რომ მიიღო, მაშინ ბეთელელმა მოხუცმა უთხრა მას: „მეცა წინასწარმეტყველივე ვარ, ვითარცა – ეგე შენ და ანგელოზი უფლისა მეტყოდა მე სიტყვთა უფლისათა და მრქუა: მოაქციე ეგე შენ თანა სახიდ შენდა, ჭამოს პური და სუას წყალი. და უტყუა მას“ (III მეფ. 13, 18). ღვთის კაცმა დაუჯერა და გაჰყვა,

მაგრამ იმისათვის, რომ „განამწარა სიტყუაჲ იგი უფლისა“ და „არ დაიმარხა მცნება იგი“, რომელიც ამცნო მას ღმერთმა, სასტიკად დაისაჯა – გზად მიმავალს შეხვდა ლომი, რომელმაც მოკლა ის. როცა ბეთელელმა წინასწარმეტყველმა ეს ამბავი შეიტყო, მიხვდა თავის დანაშაულს, წავიდა, იპოვა ღვთის კაცის ცხედარი, წამოიღო თავის ქალაქში, წესისამებრ იგლოვა და დაკრძალა; შვილებს კი დაუბარა, რომ გარდაცვალების შემდეგ ისიც თავისი სულიერი ძმის გვერდით დაემარხათ.

ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა, რომ ბასილი მონაზვნის სიტყვები სწორედ ამ ბიბლიურ ეპიზოდს ეხმიანება და შედარებას, რომელიც ამჯერად უარყოფითი შინაარსისაა, სავსებით ლოგიკური საფუძველი აქვს. ცოდვიანი გზის არდატევების შემთხვევაში ბასილი მონაზონი მეფე დემეტრეს ღვთიურ სასჯელს უწინასწარმეტყველებს. შუასაუკუნეობრივი მსოფლხედვიდან გამომდინარე, ბუნებრივია ჟამთააღმწერლის მცდელობა, რომ ასეთ შემთხვევაში ბიბლიურ ავტორიტეტს მიმართოს. მოხმობილი შედარებით ბასილი მონაზონი კი არ ემსგავსება, არამედ ემიჯნება ბიბლიურ პერსონაჟს საკუთარი სიმართლის მის სიცრუესთან შეპირისპირების კვალობაზე. ჟამთააღმწერელი სწორედ ამ ფაქტს წამოსწევს წინ. მართალია, ბასილი მონაზვნის წინასწარმეტყველება სიტყვასიტყვით ახდა საქართველოს სინამდვილეში, როგორც შემდგომ თხრობაში საცნაურდება, მაგრამ ბიბლიური პერსონაჟის გახსენებით ეს არ არის აქცენტირებული. წმინდა წერილი ჩვენ არ გვანვდის არანაირ ცნობას იმის შესახებ, თუ რამდენად აცხადდება ხოლმე ბეთელად მცხოვრები მოხუცის ნანინასწარმეტყველები, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ იგი წინასწარმეტყველად იწოდება, რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებას კი არ გამოორიცხავს, არამედ, პირიქით, ადასტურებს. „ასწლოვან მატთანში“ ამ ბიბლიური პერსონაჟის ცრუ წინასწარმეტყველად მოხსენიება განპირობებულია მის მიერ იერობოამისადმი მივლენილი ღვთის კაცის მოტყუებით („უტყუა მას“ – III მეფ. 13, 18). ამ სიცრუის შედეგად იუდეველი არღვევს უფლის მცნებას (ამიტომაც უწოდებს ჟამთააღმწერელი ბეთელელ წინასწარმეტყველს „შემაცდუნებელს კაცისა ღმრთისა“) და მიჰყვება მოხუცს სახლში. არადა, ტყუილი იყო, თითქოს მიპატიჟების მიზეზად ღვთის ანგელოზის ჩვენება იქცა. სწორედ ამის გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი შედარების (უფრო სწორად, დაპირისპირების) იდეური შინაარსის ამოცნობა. ჟამთააღმწერელი, რომელიც ცდილობს, მეტი დამაჯერებლობა შემატოს ბასილი მონაზვნის მხილებასა და სწავლას, დაჟინებით ამტკიცებს მისი ღვთისმშობლისაგან მოვლინების ფაქტს (შესაბამის კონტექსტში იგი ოთხგზის აღნიშნავს ამას). სწორედ ამისთვის დასჭირდა მას ბიბლიიდან ბეთელელი წინასწარმეტყველის სახის მოხმობაც, რათა დამატებითი „ამტკიცებულებით“ გაემყარებინა ბასილი მონაზვნის ჭეშმარიტად ღვთიური მისია.

ვფიქრობთ, აღნიშნული პასაჟი და მისი ბიბლიური წყაროს ძიება ცხადყოფს, რომ ქართული მწერლობის ძეგლების ბიბლიურ-სახისმეტყველებითი თვალსაზრისით შესწავლა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტუროლოგიური რიგის ამოცანა როდია. ხშირ შემთხვევაში ის დიდად წაადგება დაზიანებულ ან გვიანდელი ნუსხებით მოღწეულ ხელნაწერთა ტექსტის სათანადო გამართვასა და უზუსტობათა შესწორებას, რაც მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი საქმეა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **დაბადება** 1884: დაბადება (ბიბლია), დაიბეჭდა საქართველო-იმერეთის უნივერსიტეტის სინოდის კანტორის განკარგულებით, ტფ., 1884.
2. **მცხეთური ხელნაწერი** 1981: მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981.
3. **მცხეთური ხელნაწერი** 1982: მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982.
4. **მცხეთური ხელნაწერი** 1983: მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1983.
5. **მცხეთური ხელნაწერი** 1985: მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1985.
6. **მცხეთური ხელნაწერი** 1986: მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1986.
7. **ჟამთააღმწერელი** 1959: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
8. **ჟამთააღმწერელი** 1987: ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.
9. **ქართული ოთხთავი** 1979: ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1979.
10. **ქართლის ცხოვრება** 1849: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. I, თარგმნილი და გამოცემული ღვანლითა უ. ბროსე, სპბ., 1849.
11. **ქართლის ცხოვრება** 1879: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ტ. I, ნიგ., II, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, ტფ., 1897.
12. **ქართლის ცხოვრება** 1906: ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1906.

Irina Natsvlishvili

**BIBLE AS AN IMPORTANT SOURCE OF THE ARRANGEMENT
OF MANUSCRIPT TEXTS AND CORRECTION**

TO THE UNDERSTANDING OF ONE EPISODE OF THE “CENTENNIAL CHRONICLE”

SUMMARY

The ethical-aesthetic world of the “Centennial Chronicle” is based on the biblical tropological system. At the same time, it manifests specific historicism remarkable for a Christian worldview and shows the country’s life in terms of religious typology.

From this viewpoint in one episode of the Chronicle special attention in the word of the Monk Basil came from the Holy Mountain deserves the comparison which as a result of correlation with biblical primary sources clearly demonstrates the incorrect reading of the manuscripts. Namely, in the original text of the “Centennial Chronicle” instead of **Roboam** (the son of Solomon) there must have been **Ieroboam** (the king of Israel). With this comparison the chronicle responds just to the biblical events connected with it. The study of old Georgian written monuments from biblical and tropological viewpoint will be extremely useful for proper arrangement and correction of inaccuracies of the damaged and came down by later records manuscript texts.

თამარ ოთხმეზური

ქველი ტექსტების გამოცემის მეტოდები – დიპლომატიკური და ტექსტუალურ-კრიტიკული გამოცემა

გრიგოლ ღვთისმეტყველის 23-ე საკითხავის
ეფრემ მცირისეული თარგმანი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს IV საუკუნის კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავის – „დასამშვიდებელი მეორის“ (*Oratio 23*) ქართული თარგმანის გამოცემას, რომელიც XI საუკუნის ელინოფილ მწიგნობარს, ეფრემ მცირეს ეკუთვნის, ასევე, იმ პრობლემური საკითხების მიმოხილვას, რომლებიც ამ თხზულების და, ზოგადად, გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანების გამოცემასთან დაკავშირებით დაისვა გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგურული მემკვიდრეობის ქართული თარგმანების გამომცემელთა წინაშე.¹

როგორც ცნობილია, გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების ქართულ თარგმანებზე მუშაობა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო საერთაშორისო პროექტით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტი პროფ. ჟუსტინ მოსეს თაოსნობით და რომლის მთავარი მიზანი იყო გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ბერძნული ტექსტების კრიტიკული გამოცემის (*Editio critica maior*) მომზადება; ამავე პროექტის ფარგლებში, ბერძნული ვერსიის ტექსტუალური ისტორიის შესვებისა და გაღრმავების მიზნით, დაიგეგმა ამ ავტორის თხზულებების სხვადასხვაენოვანი (სირიული, არაბული, ქართული, სომხური, სლავური და სხვ.) ვერსიების დეტალური შესწავლა და გამოცემა (ბეზარაშვილი... 2007: 41-64). ხელნაწერთა

¹ გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების ეფრემისეულ თარგმანთა გამოცემაზე მუშაობენ: მ. რაფავა, ნ. მელიქიშვილი, ქ. ბეზარაშვილი, თ. ოთხმეზური. ჯგუფში ბოლო დრომდე მუშაობდა ც. ქურციკიძე.

ეროვნული ცენტრის ჯგუფმა მოამზადა გრიგოლის 16 ლიტურგიკული საკითხავის წინათონური, ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირის თარგმანების კრიტიკული გამოცემა, რომელიც ეფუძნება კვლევის შედეგად სპეციალურად შერჩეულ ოცდაათამდე ხელნაწერს.² ამჟამად დღის წესრიგში დგას გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების გამოსაცემად მომზადება.

გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების ეფრემ მცირის თარგმანები ერთი გვიანდელი ხელნაწერით არის ჩვენამდე მოღწეული. ეს არის A-292 – 1800 წლით დათარიღებული გრიგოლ ღვთისმეტყველის საკითხავების კრებული (ბრეგაძე 1988: 167-183), რომლის გადამწერია იოანე ოსეს ძე (1750-1801 წწ.), ცნობილი კალიგრაფების, მიქაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი. ქართული აზროვნების ისტორიაში XVIII საუკუნის II ნახევარი საქართველოს იმდროინდელი კათოლიკოსის, ანტონ I-ის ეპოქადაა წოდებული. იგი იყო არაერთი საღვთისმეტყველო, ფილოსოფიური, ისტორიული თუ ლინგვისტური ნაშრომის ავტორი; ამ პერიოდის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრება საქართველოში მთლიანად მის სახელთან არის დაკავშირებული. ანტონ I-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო ქართული ენის რეფორმის გატარება, რომლის მიზანს ქართულ სამწერლობო ენაში ერთიანი გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმების გატარება წარმოადგენდა, რაც დიდი მნიშვნელობის კულტურულ-პოლიტიკური მოვლენა იყო იმდროინდელი ქართული სახელმწიფოსათვის. თუმცა რეფორმამ, რომელიც XVIII საუკუნის ქართულში საკმაოდ ხელოვნური ორთოგრაფიულ-გრამატიკული ნორმების დამკვიდრებას ეფუძნებოდა, საკმაოდ დაამძიმა და ხელოვნური გახადა ამ პერიოდის ქართული სამწერლობო ენა (ბაბუნაშვილი... 1991). იოანე ოსეს ძე იყო ანტონ I-ის მოწაფე და მისი ენობრივი რეფორმის გამტარებელი (ჟორდანია 1967: 306, 320; ქავთარია 1977: 201). მის მიერ გადამწერილი ხელნაწერები თუ მისი რედაქტორობით გამოცემული ტექსტები ანტონ I-ის რეფორმის კვალს ატარებს. ეს ნორმები თანამიმდევრულად არის გატარებული გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ეფრემისეული თარგმანების შემცველ კრებულში, A-292-ში.

ამგვარად, გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანის გამომცემელთა წინაშე დადგა საკითხი: გამოცემის რომელ ტექნიკას უნდა მიმართოს გამომცემელმა, როდესაც გამოსაცემი ტექსტი განეკუთვნება ადრეულ ეპოქას და ერთი, გვიანდელი, თანაც სპეციფიკური ენობრივ-ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით გამართული ხელნაწერით არის მოღწეული. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ, რა ალტერნატივის წინაშე დგას ტექსტოლოგი მსგავს შემთხვევებში,

² გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ქართული თარგმანების დიდი ნაწილი უკვე გამოცემულია: Gregorii Nazianzeni Opera: 1998, 2000, 2001, 2004, 2007, 2013; უახლოეს მომავალში გამოვა კიდევ ერთი ტომი, რითაც დასრულდება სამუშაოს პირველი ეტაპი.

მოკლედ მიმოვიხილავთ ტექსტის სამეცნიერო გამოცემის იმ სახეებს (Лихачев 1962; Maniaci 1996: 240-241), რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული ამგვარ ვითარებაში (აქ არ შევეხებით კრიტიკულ გამოცემას, რადგან გამოცემის ეს სახეობა ტექსტის პუბლიკაციას ერთზე მეტი, რამდენიმე ხელნაწერის მიხედვით გულისხმობს). შესაბამისად, არჩევანი უნდა გაკეთდეს გამოცემის შემდეგი სახეობებიდან:

დიპლომატიკური გამოცემა (*edizione diplomatica*) ეფუძნება ერთ ხელნაწერს და გულისხმობს გამოცემაში ამ ხელნაწერის ყველა დეტალის სკრუპულოზურ ასახვას, ხელნაწერისეული ორთოგრაფიის, პუნქტუაციის, დიაკრიტიკული ნიშნების, აბრევიატურების და ა. შ. გადმოტანას, არაფერი რომ არა ვთქვათ ტექსტის ენობრივ თავისებურებათა ზუსტ გადმოცემაზე. გამოცემის ამ სახეობას მიმართავენ ავტოგრაფული ხელნაწერების შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ხელნაწერი მისი შემცველი ტექსტის შექმნის თანადროულია, ავტორისა თუ მთარგმნელის წრეში, მისი უშუალო ზედამხედველობით არის გადანერილი. ამგვარ გამოცემას, სხვათა შორის, მიმართავენ მაშინაც კი, როდესაც ტექსტი რამდენიმე ხელნაწერთაა წარმოდგენილი, მაგრამ მათ შორის არის ერთი, განსაკუთრებული ხელნაწერი, რომლის ცალკე გამოცემა და კვლევა მეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. დიპლომატიკურ გამოცემაში წარმოდგენილია ტექსტის განვითარების ერთი რომელიმე ეტაპი, უმეტესად – უადრესი; მასში არ არის ასახული ტექსტის განვითარების სრული, ერთიანი სურათი, მთელი ტექსტუალური ისტორია, რაც კრიტიკული გამოცემის პრეროგატივაა.

დიპლომატიკურ-ინტერპრეტაციული გამოცემა (*edizione diplomatico-interpretativa*) – ახლოს დგას დიპლომატიკურთან, მაგრამ გამომცემელი ამ შემთხვევაში შედარებით თავისუფალია; მაგალითად, მის მიერ გაშლილია ქარაგმები, გასწორებულია შეცდომები და მისთ. ეს ტექნიკა ტექსტში გამომცემლის მინიმალურ ჩარევას გულისხმობს.

ტექსტუალურ-კრიტიკული გამოცემა (*critica testuale*) – ამ დროს გამომცემელი ტექსტის ინტერპრეტატორია; ის აღადგენს ტექსტის შესაძლო, ჰიპოთეტურად სწორ ფორმებს, იმ ფორმებს, რომლებიც, დიდი ალბათობით, შეიძლება ყოფილიყო ავტოგრაფში. შედეგად, ჩვენ წინაშეა რეკონსტრუირებული ვერსია – ტექსტი, როგორც, სავარაუდოდ, შეიძლება ყოფილიყო ორიგინალი. ამ დროს გამომცემელს აუცილებელად უნდა ჰქონდეს გააზრებული ტექსტის ისტორიის რომელი ეტაპის რეკონსტრუქცია აქვს მიზნად დასახული. ყველაზე ხშირად ეს არის ხოლმე ადრეული ეტაპი, რომლის აღდგენისას უნდა მოიხსნას ტექსტის ზედნადები შრეები და აღდგეს თავდაპირველი ტექსტი ძველი ენობრივი ნორმების მიხედვით. ამისათვის გამომცემელს მოეთხოვება იმ ენობრივი გარემოს ზედმინწვნითი ცოდნა, რომელშიც ტექსტია შექმნილი და რომელშიც ამ ტექსტის შემცველი ხელნაწერია გადანერილი.

დაბოლოს, არჩევანის გაკეთებისას გამომცემელს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი გამოცემის მიზანი, ასევე ის, თუ ვინ არის მის მიერ გამოცემული ტექსტის ადრესატი და როგორ, რა მიზნით გამოიყენებს ის ამ გამოცემას.³

ამ სამი, ფაქტობრივად, ორი (დიპლომატიკური და დიპლომატიკურ-ინტერპრეტაციული თითქმის ერთი ტიპის გამოცემებია) სახეობიდან გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების გამომცემლებმა არჩევანი ტექსტულურ-კრიტიკულ გამოცემაზე გააკეთეს. მათ მიზნად დაისახეს 1800 წელს გადაწერილი ტექსტიდან აღედგინათ მისი თავდაპირველი სახე – როგორი შეიძლება ყოფილიყო ის XI საუკუნის ბოლოსათვის, როდესაც ეფრემ მცირემ თარგმნა გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავები (Otkhmezuri 2010: 469-475). გამომცემლებმა გაითვალისწინეს ქართული ტექსტის გამოცემის მიზანი – მისი მნიშვნელობა ბერძნული კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის, და ადრესატი – მკვლევარი, რომელიც შეისწავლის გრიგოლ ღვთისმეტყველის ქართულ ტექსტებს ბერძნულთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, უკავშირდება ისეთი საკითხების კვლევას, როგორიცაა ქართველ მწიგნობართა მთარგმნელობითი მეთოდები, შუა საუკუნეების მთარგმნელობითი სკოლები და მისთ.

დღეისათვის შესწავლილია გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების ტექსტუალური ისტორია, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ლიტურგიკული საკითხავების ეფრემისეულ თარგმანებს შინაარსობრივი ცვლილებები არ განუცდიათ; არ შეინიშნება რედაქტირების, გვიანდელ მწიგნობართა ჩარევის (ტექსტის შინაარსობრივი გადაკეთება, ჩანართები) კვალი.⁴ საერთოდაც, პატრისტიკული ტექსტები ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში საკმაოდ მყარი ტექსტუალური ტრადიციით გამოირჩევიან. შესაბამისად, საფიქრელია, რომ გრიგოლის არალიტურგიკული საკითხავების თარგმანს ლიტურგიკული საკითხავების ანალოგიური ტექსტუალური ისტორია ჰქონდეს; მათი ტექსტი მდგრადი, სტაბილური, რედაქციულად ავთენტური ჩანს (მაგალითად, იოანე ოსეს ძის შენიშვნით, მას „უცვალებელად“ აქვს გადმოტანილი ტექსტი მის ხელთ არსებული დედნიდან; საფიქრელია, რომ ტექსტმა იოანემდეც მეტ-ნაკლებად უცვლელი სახით მოაღწია), რაც ვალიდურს ხდის რეკონსტრუირებულ ტექსტს ქართულ-ბერძნული მიმართებების კვლევისათვის.

³ ადრესატის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლიხაჩოვი. ის გამოყოფს, ერთი მხრივ, ლიტურგურათმცოდნეთა, ისტორიკოსთა, წყაროთმცოდნეთა ჯგუფს და, მეორე მხრივ, ლინგვისტებს; მისი აზრით, ჰუმანიტარ მკვლევართა ამ ორი ჯგუფისათვის საჭიროა სხვადასხვა ტიპის გამოცემის მომზადება (Лихачев 1962: 468-469).

⁴ იხ. Gregorii Nazianzeni Opera 1998, 2000, 2001, 2004, 2007, 2013 – გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკული საკითხავების გამოცემათა სამეცნიერო აპარატი, რომელშიც წარმოდგენილია კითხვა-სხვაობები როგორც ადრინდელი, ისე გვიანდელი (მათ შორის A-292) ხელნაწერებიდან.

ამ ტიპის კვლევაში მეცნიერი მუდმივად ოპერირებს ტექსტებით; ასეთ დროს დიპლომატიურად გამოცემული – უმარცვლო უ-თი, ზედმეტი პრეფიქსებითა და დიაკრიტიკული ნიშნებით გადატვირთული ტექსტი მოუხერხებელია გამოსაყენებლად, ციტირებისა და ილუსტრირებისათვის. იმავეთვე ცხადია, რომ ეფრემისეული თარგმანის რეკონსტრუირებული ტექსტი არ არის განკუთვნილი ლინგვისტური კვლევებისათვის – XI-XII საუკუნეების ძველი ქართული ენის თავისებურებების შესწავლისათვის. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ, თავის მხრივ, გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების დიპლომატიკური გამოცემა A-292 ხელნაწერის მიხედვით ფასდაუდებელი მასალა იქნებოდა ანტონ I-ის ენობრივი ექსპერიმენტის კვლევით დაინტერესებული ლინგვისტისათვის და ამ მიზნით A-292-ში დაცული ტექსტების გამოცემა ნამდვილად საშური საქმეა.

ტექსტუალურ-კრიტიკულ გამოცემაში დიდი დატვირთვა ენიჭება გამოცემის კვლევით ნაწილს, რომელშიც დეტალურად უნდა იყოს აღწერილი დასამუშავებელი ტექსტის თავისებურებები და ის ცვლილებები, რომელიც განიცადა ტექსტმა რეკონსტრუქციის დროს.

წარმოვადგენთ გრიგოლ ღვთისმეტყველის არალიტურგიკული საკითხავების ეფრემისეული თარგმანის იოანე ოსეს ძის ტექსტის თავისებურებებს (შანიძე 1964):

– A-292-ში უმარცვლო უ-ს თავზე სისტემატურად ვხვდებით დიაკრიტიკულ ნიშანს [^]. ანტონმა ეს ნიშანი სომხურიდან შემოიტანა, რათა უმარცვლო -უ- გარჩეული ყოფილიყო მარცვლიანისაგან (როგორც ცნობილია, ძველ ქართულ ხელნაწერებში უმარცვლო და მარცვლიანი -უ- დაწერილობით არ იყო გამიჯნული ერთმანეთისაგან). -უ- დიაკრიტიკული ნიშნით ტექსტში გვხვდება შემდეგ შემთხვევებში: თუ უმარცვლო -უ-ს მოსდევს ა ან ე (მაგ. სიტყვა); თუ უმარცვლო -უ- მოთავსებულია თანხმოვნებს შორის (მაგ. სიკუდილი) და -უე კომპლექსში, რომელიც XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული სისტემატურად -უჴ- ფორმითაა წარმოდგენილი (მაგ., გუჴლი). ამ ორთოგრაფიული თავისებურების დამკვიდრებას მოჰყვა ტექსტში სხვა, ასევე ორთოგრაფიული ხასიათის ცვლილებები და აღრევებიც: -ვ-ს უმარცვლო -უ-თი ჩანაცვლების შედეგად ნათესაობით (ნიშანი -ის) და მოქმედებით (ნიშანი -ით) ბრუნვებში გაჩენილია -კ- (მაგ. ლოცკსა, ლოცკთა); იქ, სადაც ძველი ქართული ნორმების მიხედვით, მოსალოდნელი იყო უმარცვლო -უ- ან -უე-, არის -ვ- და -ვე- (მაგ. მარჯვენა, გვაყვედრებს). უმარცვლო -უ- საერთოდ დაკარგულია ისეთ სიტყვებში, როგორცაა: უკეთუ, უკანა, უკანასკნელ, სადაც, ძველი ქართული ნორმების მიხედვით, ეს გრაფემა სისტემატურად იხმარებოდა.

– A-292-ში, ანტონის გრამატიკული ნორმების მიხედვით, ზმნებში დასმულია პრეფიქსები: ჰ-, ჰს-. თუ ზმნა იწყება ტ დ თ, წ ძ ც, ჭ ჯ ჩ თანხმოვნებით, მათზე დართულია პრეფიქსი ჰს- (მაგ. ვ-ჰს-თესე). ჰ- ერთვის დანარჩენი თანხმოვნებით დაწყებულ ზმნებს ყველა პირსა და სერიაში (მაგ. ჰ-შუენის). ამ პრეფიქსებს

ფუნქცია არა აქვს, ისინი ერთვის ზმნის ყველანაირ ფორმას, სადაც კი არის მათი გამოთქმის საშუალება. ამ მოვლენის ანალოგიით, ჰ- პრეფიქსი გაჩენილი აქვს სჯულ- ფუძის მქონე სახელებსაც (მაგ. *ჰსჯული, ჰსჯულისდება*).

- ბერძნულიდან ტრანსკრიფციით გადმოტანილი -ო-- დაბოლოებიანი სახელები ძველ ქართულში გადმოდიოდა ხან -ოს, ხან -ოზ დაბოლოებით. A-292-ში ასეთი სიტყვები გადმოტანილია სისტემატურად -ოს-ით (მაგ. *ანგელოსი*).

- ანტონის „გრამატიკის“ ნორმების მიხედვით, საკუთარი სახელი Grhgorio~, ისევე როგორც margarith~, r-ს დისიმილაციის გარეშეა გადმოტანილი ქართულად: *გრიგორი, მარგარიტი*.

- სიტყვა *ekklhsia* გადმოტანილია ორი -კ-თი: *ეკკლესია, grammatiko~* - ორი -მ-თი: *გრამმატიკოს*.⁵

- ბერძნულიდან ტრანსკრიფციით შემოტანილ სახელებში ასო f-ს შესატყვისად, ბერძნულის ანალოგიით, ვხვდებით f-ს. მაგალითად, *ფილოსოფოსობა*.

- ქართულ ენაში კბილბაგისმიერი სპირანტი -ვ- ძირითადად იკარგება ლაბიალური უკანენისმიერი -ო-ს წინ. ტექსტში -ო-ს წინ -ვ- შენარჩუნებულია, რის შედეგადაც *პატივ ფუძიდან ნანარმოები სახელები გვაქვს ფორმით: პატივოსანი, უპატივო*.

- ნაცვალსახელი *ურთიერთარს* ყველგან დაწერილია რ-ს ჩართვით. ამ მოვლენას ადრეულ ტექსტებშიც ვხვდებით - გადამწერი ამ ნაცვალსახელის ბოლო სამ ბგერას არს ზმნას უკავშირებს და -რ-ს, როგორც ჩანს, ამიტომაც ურთავს.

- სიტყვაში *ღმრთეება* -ე- ჩანაცვლებულია -ა-თი და გვაქვს ფორმა *ღმრთაება*.

- A-292-ის ტექსტების პუნტუაცია ამგვარია: ერთწერტილი (.) და ორწერტილი (:), რომლებიც ასრულებენ წერტილის ფუნქციას სხვადასხვა ხანგრძლივობის შესვენებით; რთულ ქვეწყობილ წინადადებაში დასტურდება მძიმე (,) მძიმეს ვხვდებით ძალიან ხშირად და კავშირის წინ. კითხვითი წინადადების ბოლოს დასმულია თანამედროვე ფორმის კითხვის ნიშანი (?).

- ტექსტში ხშირად არის გამოყენებული მთავრული გრაფემები. მთავრული გრაფემით იწყება სიტყვა ორწერტილის, ანუ ვრცელი შინაარსობრივი მონაკვეთის (პარაგრაფის) დასრულების შემდეგ, ახალი მონაკვეთის, ხშირ შემთხვევაში, აზვაციის დასაწყისში. მთავრული ასოთი იწყება საკუთარი სახელები, აგრეთვე საეკლესიო, საღვთისმეტყველო ხასიათის ტერმინები, შინაარსობრივად საკვანძო სიტყვები და მისთ.

- მკვეთრი მახვილი დასტურდება უარყოფით ნაწილაკებზე, შორისდებულეზზე, ზოგ შემთხვევაში - ზმნის ბოლო მარცვალზე.

⁵ ანტონ კათალიკოსი ცდილობდა ამ წესის მკაცრად დამკვიდრებას ქართულ წერილობით ძეგლებში. მაგალითად, საკუთარი გრამატიკული ნაშრომის შესავალში სიტყვა გრამატიკა 11-ჯერ არის ნახსენები და 11-ჯერვე ორი მ-თი.

- ტექსტში ვხვდებით დიაკრიტიკულ ნიშანს, რკალს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს. ეს ნიშანი გვხვდება რთულ სახელებში, რთულ ზმნებში, დამხმარე (ყოფნა) ზმნასთან. ეს ნიშანი A-292-ში ყოველთვის თანამიმდევრულად გამოყენებული არ არის.

23-ე საკითხავის ეფრემისეული თარგმანის გამოცემისას ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, გავნმინდეთ ანტონისეული ორთოგრაფიისაგან, კერძოდ, ამოვიღეთ ბერძნული დანერილობის გრაფემა *f*, ასევე დიაკრიტიკული ნიშანი უმარცვლო უ-ს თავზე; გავასწორეთ უმარცვლო უ-სა და ვ-ს, ჯ-ს და ვი-ს აღრევის, ჯ-ს, აგრეთვე ჰ-, ჰს- პრეფიქსების ხმარების შემთხვევები; ცალკეული სიტყვები, შორისდებულები და საკუთარი სახელები ტექსტში წარმოვადგინეთ ძველი ორთოგრაფიით: უპატივო - უპატიო, ღმრთაება - ღმრთეება, უფროს - უფროსს, სადა - სადაჲთ, აქათ - აქაჲთ, უიჭუელად - უეჭუელად, ბარსალიკონი - ვასილისკო (basilikon), აჰა - ეჰა, ჭე - ჰე, იესო - იესუ. ტექსტში გავასწორეთ რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომლებიც აშკარად გადამწერს ეკუთვნოდა.

ამის შემდეგ ტექსტი გავმართეთ XI-XII საუკუნეების ნორმების მიხედვით. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ქართულ სამწერლობო ენაში ძველი ქართული ენის კლასიკური ნორმები უკვე ზედმინევენით დაცული აღარ არის, ერთმანეთის გვერდით გვხვდება ძველი და ახალი როგორც ორთოგრაფიული, ისე გრამატიკული ფორმები. ამ სირთულის გადასაჭრელად მივმართეთ ეფრემ მცირის ავტოგრაფულ ნუსხას, S-1276-ს (XI საუკუნის 90-იანი წლები) (მეტრეველი 2007: 109-126), რომელიც დაგვეხმარა რამდენიმე პრობლემის გადაჭრაში, კერძოდ:

- სჯ-შჯ ჯგუფი, რომელიც ერთმანეთის პარალელურად გვხვდება XI-XII საუკუნეების ხელნაწერებში სიტყვაში *სჯ/შჯული*, A-292-ში წარმოდგენილია ჰსჯ- კომპლექსით. ეფრემის ავტოგრაფში ეს კომპლექსი გვხვდება შჯ- სახით. შესაბამისად, ჰსჯულ-ი და ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები ტექსტში წარმოდგინეთ შჯულ- ფორმით.

- XI-XII საუკუნეების ხელნაწერებში ერთმანეთის პარალელურად დასტურდება ფორმები *ზეშთა* და *ზესთა*. ეფრემის ავტოგრაფში ეს სიტყვა წარმოდგენილია *ზეშთა* ფორმით. შესაბამისად, წაკითხვა *ზესთა* გავასწორეთ *ზეშთა*-თი.

- ფორმები *გულისწმისყოფა* და *გულისხმისყოფა* ქართულ ხელნაწერებში უძველესი დროიდან ერთმანეთის პარალელურად დასტურდება. ეფრემის ნუსხაში სისტემატურად ვხვდებით ფორმას *გულისწმისყოფა*. ამ მონაცემის მიხედვით, *გულისხმისყოფა* შევცვალებთ *გულისწმისყოფით*.

- განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა *ჟ*-ს მართლწერის საკითხი. როგორც ცნობილია, XI-XII საუკუნეების ხელნაწერებში *ჟ* გრაფემის ხმარების წესი უკვე საკმაოდ დარღვეულია. *ჟ*-ს ვეღარ ვხვდებით იქ, სადაც ის ნორმების მიხედვით იყო მოსალოდნელი, კერძოდ, -ა, -ო, -უ ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელებში სახელობითი ბრუნვის ნიშნად (-აჟ, -ოჟ, -უჟ) და ნათესაობით

და მოქმედებით ბრუნვაში ჩაყენებულ სახელებში ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ასოდ (-ასა, -ათა). მეორე მხრივ, ა-ს ვხვდებით ისეთ შემთხვევებში, სადაც ძველი ნორმების მიხედვით მისი ადგილი არ არის. ნიშანდობლივია, რომ ასეთივე ჭრელი სურათია ეფრემის ავტოგრაფშიც. ამგვარ ვითარებაში მხოლოდ ერთი გამოსავალი დავინახეთ – ტექსტებში ა-ს ხმარების წესი გავატარეთ კლასიკური ქართული ენის ნორმების მიხედვით.

– ტექსტიდან ამოვიღეთ მთავრული გრაფემები და მახვილები.

– ტექსტიდან ამოვიღეთ, ასევე, დიაკრიტიკული ნიშანი – კომპოზიტის შემადგენილი ნაწილების შემაკავშირებელი რკალი; კომპოზიტების დიაკრიტიკული ნიშნებით გამოსახვა ეფრემ მცირის თარგმანების შემცველი ხელნაწერებიდან იღებს სათავეს. XI-XII სს. ხელნაწერებში რკალთან ერთად კომპოზიტის გამოსახულებაში გამოყენებულია კიდევ ორი ნიშანი: აპოსტროფი (') და მკვეთრი მახვილი (') კომპოზიტის მეორე კომპონენტის ბოლოდან მეორე მარცვალზე. არსებობს ეფრემის მარგინალური შენიშვნა, რომელშიც ეფრემი იძლევა ნიშანთა ამ სისტემისა და მათი ფუნქციის განმარტებას (ოთხმეზური 1992: 105-117; ოთხმეზური 2011: 150-165). ეს ნიშნები გარკვეული ვარიაციით შავი მთის სკოლიდან იმემკვიდრა გელათურმა მწიგნობრულმა სკოლამ, ხოლო მოგვიანებით – ანტონმა. თანამიმდევრულად, სისტემატურად ეს წესი XI-XII საუკუნეების ხელნაწერებშიც კი არ არის გატარებული, არაფერი რომ არა ვთქვათ გვიანდელ ხელნაწერებზე. ასე რომ, ქართულ ხელნაწერებში დადასტურებული ეს ნიშნები, არათანამიმდევრული ხასიათის გამო, მხოლოდ ისტორიული გრამატიკის კუთხითაა საყურადღებო. შესაბამისად, კომპოზიტთა მართლწერის საკითხის გადაჭრისას ვიხელმძღვანელებთ შესაბამისი ბერძნული ტექსტის მონაცემებით, ასევე, გავითვალისწინებთ ძველი ქართული ტექსტების ილ. აბულაძის, ა. შანიძის, მზ. შანიძის, ც. ქურციკიძის და სხვ. გამოცემები – ამ მკვლევართა მიდგომა კომპოზიტების მართლწერის საკითხის მიმართ.⁶

– A-292-ში დაცული ტექსტები გავმართეთ თანამედროვე ქართულში დამკვიდრებული პუნქტუაციური ნორმების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ეფრემ მცირე „გარდამოცემის“ წინასიტყვაობაში საუბრობს პუნქტუაციის ოთხნიშნის სისტემაზე (*ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი, ექუსწერტილი*), რომელსაც ის უნდა იყენებდეს თავის თარგმანებში, ჩვენ რეკონსტრუქციას ამ შემთხვევაში თავი ავარიდეთ, რადგან არ ვიცით, როგორი იყო ეფრემისეული პუნქტუაციის პრაქტიკული გამოყენება ხელნაწერებში; ეფრემის ავტოგრაფული

⁶ სამწუხაროდ, თეორიული ნაშრომი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება მართლწერის საკითხები ძველ ქართულ ტექსტებში, დღემდე არ არსებობს. ძველი ქართული ტექსტის გამომცემელს, თუ გამომცემელთა ჯგუფს, ცალკეული ტექსტის გამომცემისას თავად უწევს ამ ტიპის საკითხების გადაწყვეტა, რის შედეგადაც ძველი ქართული ტექსტების გამომცემებში, მართლწერის კუთხით, ძალიან არაერთგვაროვანი სურათია.

ნუსხა ამ თვალსაზრისით არ იძლევა ნათელ სურათს. რაც შეეხება A-292-ში წარმოდგენილ პუნქტუაციას, ის თავითსავე საყურადღებოა ანტონის ეპოქის პუნქტუაციური ნორმების შესწავლისათვის.

საზოგადოდ, საკითხი, უნდა იყოს თუ არა ძველი ტექსტების გამოცემებში ასახული ხელნაწერისეული პუნქტუაცია, ბოლო წლებში საკმაოდ აქტუალურად დგას მედიევისტა წინაშე.⁷ როგორც ცნობილია, ძველი ტექსტები – ბერძნული, ლათინური, სირიული, ასევე, ქართულიც – გამომცემელთა მიერ ძირითადად გამართულია თანამედროვე პუნქტუაციური ნესებით, შესაბამის ენათა ნორმების მიხედვით. ხელნაწერისეული პუნქტუაცია გამომცემელთა მიერ უგულვებელყოფილია. ბოლოდროინდელი გამოკვლევების მიხედვით დადგინდა, რომ ძველ ტექსტებში, რომლებიც, უმეტესწილად, აუდიტორიის წინაშე საკითხავად იყო განკუთვნილი, პუნქტუაციის ნიშნები, ტექსტის სინტაქსურ მონესრიგებასთან ერთად, ხშირ შემთხვევაში ტექსტის რიტმულ ორგანიზაციასაც უზრუნველყოფდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო დროს ჩამოყალიბდა ამგვარი მიდგომა: შუა საუკუნეების ხელნაწერთა პუნქტუაციის შესწავლა მედიევისტური კვლევების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად უნდა იქცეს, თუმცა მისი შეტანა ძველი ტექსტების გამოცემებში (გამონაკლისების გარდა, როდესაც ხელნაწერი ავტოგრაფს წარმოადგენს, ან რომელიმე გრამატიკოსის მიერაა გადაწერილი) არ არის მიზანშეწონილი იმ ცვლილებათა და ვარიაციათა გამო, რომელსაც ეს სისტემა განიცდის ხელნაწერიდან ხელნაწერში გადასვლისას.⁸

21-ე საუკუნის ტექსტოლოგია მნიშვნელოვანი გამომწვევების წინაშე დგას. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება ძველი ტექსტების გამოცემის ახალი გზების ძიებებისა და ძველის გადასინჯვის წინაშე აყენებს ძველი ტექსტების მკვლევრებსა და გამომცემლებს.⁹ იმედია, ეს სიახლეები უახლოეს მომავალში მსგავსი პრობლემების გადაწყვეტის უფრო ოპტიმალურ გზებს შესთავაზებს ტექსტოლოგებს.

იმ ცვლილებების საჩვენებლად, რომელიც განიცადა ტექსტმა რეკონსტრუქციის დროს, ერთმანეთის პარალელურად წარმოვადგენთ 23-ე საკითხავის დიპლომატიკურ და ტექსტუალურ-კრიტიკულ გამოცემებს.

⁷ ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია *Textual Criticism and Editorial Practice for Byzantine Texts* (Vienna, 10–11 December 2009) და ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მოხსენებები (Giannouli... 2011).

⁸ შუა საუკუნეების როგორც ბიზანტიელი, ისე ქართველი მწიგნობრები თავიანთ კოლოფონებში ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ მათ მიერ საკუთარ ტექსტსა თუ თარგმანში დასმული პუნქტუაციის ნიშნები მცდარადაა გადატანილი გადამწერთა მიერ ხელნაწერებში (ოთხმეზური 2011: 196).

⁹ 2013 წელს ჩატარებულ ბერძნული პალეოგრაფიის მე-8 საერთაშორისო კოლოქვიუმზე VIII^{ème} Colloque International de Paléographie Grecque. *Griechische Handschriften: gestern, heute und morgen* (Hamburg, 22-28 September 2013), მუშაობდა ცალკე სესია *Paläographie und moderne Technik*, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა.

**ბნსკჰყფოღღუღი ჰიღჰი. ჴიღღღღღ-
სღღღღ, ჰღღღღღ
ჴყღღღღ ჴყღღღღღღღღ ჴღღღღღღღღღღღ
ღღღღ, ჰღღღღღღღღღღღღღღღღღღღღ**

**დასამშვდებელი მეორე.
ერთობისათვის, რომელი
ვყავთ შემდგომად განწვალებისა
ჩუენ, მართლმადიდებელთა**

მჭურვალე არს შური. მშვდ სული. და კაცთმოყუარე სიყვარული. უფროსლა თვთ ზაცთმოყუარება, და სულგრძელ არს სასობეა, შური ალაგზებს. სული დაამშვდებს, სასობეა იპყრობს, და არა უტევეებს განქარვებად ჩწ შწ მყოფსა კეთილსა, დალაცათუ განქარვებადისანი ვართ ბუნებისანი. ხწ სიყუარული შეჰკრავს, და სამივე ერთარს, ჰსდგას თუ ჰგიეს, იძრვოდეს თუ ჰსდგეს, წარვიდეს თუ მოიქცევის, ვწ ნერგნი იგი მძლავრებითა ჴელთათა მიდრეკილნი, და შწ განტევეებისა თვსადვე თავად კწდგებულნი, რწ აჩუწნებდიან მძლავრებითსა მიდრეკასა, და არა მძლავრებითსა განმართებასა, რწ ბუნებით მალი არს სიბოროტე, წყალ შთალმართსა შთამდინარ, ანუთუ ლელწამ რაამე ქართა მიერ, და ნაკვერცხალისა, და თვთ თანავე განლელულ ნაშობისა თვსისა, რწ ცეცხლი ნივთისა ნაშობ არს და განმლევცა ნივთისა, ვწ სიბოროტე მოქმედთა ბწრტისათა, და საზრდელსავე თვსსა თანა წარჰყვეების:

მჭურვალე არს შური, მშვდ – სული და კაცთმოყუარე – სიყუარული, უფროსლა – თვთკაცთმოყუარება, და სულგრძელ არს სასობეა. შური ალაგზებს, სული დაამშვდებს, სასობეა იპყრობს და არა უტევეებს განქარვებად ჩუენ შორის მყოფსა კეთილსა, დალაცათუ განქარვებადისანი ვართ ბუნებისანი. ხოლო სიყუარული შეჰკრავს და სამივე ერთ არს, დგას თუ ჰგიეს, იძრვოდეს თუ დგეს, წარვიდეს თუ მოიქცევის, ვითარცა ნერგნი იგი მძლავრებითა ჴელთათა მიდრეკილნი და შემდგომად განტევეებისა თვსადვე თავად კუალადგებულნი, რომელნი აჩუენებდიან მძლავრებითსა მიდრეკასა და არამძლავრებითსა განმართებასა. რამეთუ ბუნებით მალი არს სიბოროტე, წყალ შთალმართსა შთამდინარ, ანუთუ ლელწამ რაამე ქართა მიერ და ნაკუერცხალისა, და თვთ თანავე განლელულ ნაშობისა თვსისა. რამეთუ ცეცხლი ნივთისა ნაშობ არს და განმლევცა ნივთისა, ვითარცა სიბოროტე – მოქმედთა ბოროტისათა, და საზრდელსავე თვსსა თანა-წარჰყვეების.

ხოლო უკუეთუ ვინმე ჩვეულებით განითვსვიდეს კეთილსა რასმე, და მის მიერ განპოხნებოდეს, მიერითგან უძნელეს უჩწნ განწვებაჲ მისგან უფროს ვწ დასაბამსა მოგებაჲ ზეთილისა. ვინათგან ყწვე ჟამეულად და სიტყვერად დამტკიცებული კეთილი, ბუნებად

ხოლო უკუეთუ ვინმე ჩვეულებით განითვსვიდეს კეთილსა რასმე და მის მიერ განპოხნებოდეს, მიერითგან უძნელეს უჩწნ განწუებაჲ მისგან უფროს, ვიდრე დასაბამსა მოგებაჲ კეთილისაჲ. ვინათგან ყოველივე ჟამეულად და სიტყვერად დამტკიცებული კეთილი ბუნებად შეექმნების, ვითარ-ესე არს

შეექმნების, ვერ ესე არს ჩნ შს სიყუარული, რისა თანამსახურვართ ბეშმარიტისა მის სიყუარულისა, ჯი იგი შევიყუარეთ, და ყა ცხრბასა შს ნინანარვიძლუანეთ.

სადა უკუე არიან, რნი იგი ჩნსა ყსა მოსწრაფებით განმცდელარიან-ა, კეთილ თუცა არა სხვებრ აქუნდა ესე, გარნა ამისთვის აქვსთ. არა რათა განარჩიონ, ად რა განაბოროტონ, არცა რა ჩნ თანა უხაროდეს, რა კეთილისა ცილისდამნამებელ, ხ ბრტისა განმაქიქებელიქმნენ, და სიტყვსსაგებელად თვსთა ბრტთა აქუნდენ მოყუასთა ცთომილებანი. ჭე თუმცა სამართალითა ბჭობითა რათამცა იყო რამე ნალელისაგანცა სარგებელი თქმულისა მისებრ იგავისა, და შიშისა თვს მტერთასა შეგვემატებოდა უუცთომელესობა, ხ ან მტერობისავე თანა და დაბნელებულებისა გონებათაჲსა, არცალა თვთ ძაგებაჲ იგი მათი არს ღირს დარწმუნებისა: სადა არიან ან რომელთა სწორებით მოუძაგებვიართ იწება და ჩუენ? რ ესე არს უფროს დიდად შუწნიერი შემთხვევათა შა ჩნთა, რ იწა თანა გვევნების, სადა არიან ჩდა სიმშკდით მსჯელნი თვსთა საქმეთანი და ზედამინევნით გამომწულილველნი უცხოთა ცთომილთანი? რ აქაცა სადმე ცილისმნამებელექმნენ ბეშმარიტებასა. სადა არიან ჩდა, რთა წყლულებანი ჰქონან თვთ, და ნაგუჴმთათვს მაყვედრებენ ჩნ? რნი ბრკმასა გვბასრობენ, და თვთ დაცემათა შემთხვევითა არა დაიქენჯნებიან? რნი მწკრესა ინწუბებიან, და მცირესა ბინსა ჩსა ზედა მოხარულქმნებიან,

ჩუენ შორის სიყუარული, რომლისა თანა მსახურ ვართ ჭეშმარიტისა მის სიყუარულისა, რომელი-იგი შევიყუარეთ და ყოველსა ცხორებასა შორის ნინანარვიძლუანეთ.

სადა უკუე არიან, რომელნი-იგი ჩუენსა ყოველსა მოსწრაფებით განმცდელ არიან-ა? კეთილ, თუცა არა სხვებრ აქუნდა ესე, გარნა ამისთვის აქუს, არა რათა განარჩიონ, არამედ რათა განაბოროტონ, არცა რათა ჩუენ თანა უხაროდეს, რათა კეთილისა ცილისდამნამებელ, ხოლო ბოროტისა განმაქიქებელ იქმნენ, და სიტყვსსაგებელად თვსთა ბოროტთა აქუნდენ მოყუასთა ცთომილებანი. ჰე, თუმცა სამართალითა ბჭობითა! რათამცა იყო რამე ნალუელისაგანცა სარგებელი, თქმულისა მისებრ იგავისა, და შიშისათვს მტერთაჲსა შეგვემატებოდა უუცთომელესობაჲ. ხოლო ან მტერობისავე თანა და დაბნელებულებისა გონებათაჲსა არცალა თვთ ძაგებაჲ იგი მათი არს ღირს დარწმუნებისა. სადა არიან ან, რომელთა სწორებით მოუძაგებვიართ ღმრთეებაჲ და ჩუენ? რამეთუ ესე არს უფროს დიდადშუენიერი შემთხვევათა შინა ჩუენთა, რამეთუ ღმრთისა თანა გუევნების. სადა არიან ჩუენდა სიმშკდით მსჯელნი თვსთა საქმეთანი და ზედამინევნით გამომწულილველნი უცხოთა ცთომილთანი? რამეთუ აქაცა სადმე ცილისმნამებელ ექმნენ ჭეშმარიტებასა. სადა არიან ჩუენდა, რომელთა წყლულებანი ჰქონან თვთ და ნაგუჴმთათვს მაყვედრებენ ჩუენ, რომელნი ბრკუმასა გუბასრობენ და თვთ დაცემათა შემთხვევითა არა დაიქენჯნებიან, რომელნი მწკრესა ინწუბებიან და მცირესა ბინსა ჩუენსა ზედა მოხარულ იქმნებიან,

რწნი დვრეებითა ბრმა არიანა და წე-
ელსა ჩწნსა განმაქიქებელ ექმნებთან,
რწნი იგი არცა ზედადებისათვს
სამძიმარარს, არცა ძნელ განსაგდებ-
ელად, და ნაბერვით ხწ თუალთაგან
განსათხეველად:

ჰოვედით მიიღეთ საიდუმლოთა
ჩწნთაგან, რწ მოგიწოდთ თქწნ ჰე-
საკრებელსა ამას, და მოძულეზულ-
ნი პურისმტე-გიყოფთ მტერთა. ეჰა
ღონისძიებასალა, გინათუ კადნიერ-
ებასა, რწა ნარჰხვდეთ ძლეულნი
და სირცხვლეულნი. რაჲ არს ამისა
უსაკრველესი, რწ გასწავებთ რწ გას-
წავებ (sic) თქწნ სიმრთელესა მას,
ვინა ჩწნ სწეულ ვიქმნენით, ვინაჲთგან
არა იწაებისათვს განვიყვენით, აწდ
კეთილად წესიერებისათვს მოღუა-
წე ვიქმნენით: და ყწდ არცა ერთი-
სა რას ბოროტთაგანისა აღრჩევაჲ
სათნო-გვიჩნდა გინა შემრეველთა
იწთისათა, აწუთუ განმწვალებელთა
და განმყოფელთა ძისათა, გინათუ
სულისათა, ოდენ საღწოჲსა იწთაებ-
ისაგან, გინათუ ძისათაცა სულისა
მიმართ, აწუ ერთთა მიერ ნაწილთა,
გინათუ ორკერძოვე სრულთა უღწოე-
ბითა. რწ ესე არს რეცა ჭავად ჭავად
წარმოთქმაჲ აწინდელთა სწეულებათა,
ვინაჲთგან აღსავალი გულთა თვსთა
დაუძს. არათუ წღმსარებლობისა, აწდ
უარმყოფელობისა, არცა იწსმეტყუწ-
ლებისა აწდ იწსმგმობელობისა, რწ
სხუა სხვასა უმეტეს პატივისმყოყ
არე არს სიმდიდრესა ზწა უღწობი-
სასა, ვწა მოშიწნი არა უღწოე-
ბად, აწდ სხვასა უზომიერესრე
კაცთმოყუარებად. ხოლო ჩწნ არა
ეგრეთ ვართ, აწდ იწთაებისათვს

რომელნი დვრეებითა ბრმა არიან-ა და
წეულსა ჩუენსა განმაქიქებელ ექმნები-
ან, რომელი-იგი არცა ზედადებისათვს
სამძიმარ არს, არცა ძნელ განსაგდებ-
ლად და ნაბერვით ხოლო თუალთაგან
განსათხეველად?

მოვედით, მიიღეთ საიდუმლოთა
ჩუენთაგან, რამეთუ მოგიწოდთ თქუენ
შესაკრებელსა ამას და მოძულეზულ-
ნი პურისმტე-გიყოფთ მტერთა (ეჰა,
ღონისძიებასალა, გინათუ კადნიერ-
ებასა!), რაჲთა ნარჰხვდეთ ძლეულნი
და სირცხვლეულნი (რაჲ არს ამისა
უსაკრველესი?), რამეთუ გასწავებთ
თქუენ სიმრთელესა მას, ვინაჲ ჩუენ
სწეულ ვიქმნენით. ვინაჲთგან არა
ღმრთეებისათვს განვიყვენით, არა-
მედ კეთილად წესიერებისათვს მოღუა-
წე ვიქმნენით; და ყოვლად არცა ერ-
თისა რაჲს ბოროტთაგანისა აღრჩევაჲ
სათნო-გვჩნდა, გინა შემრეველთა
ღმრთისათა, აწუთუ განმწვალებელთა
და განმყოფელთა ძისათა, გინათუ
სულისათა ოდენ საღმრთოჲსა ღმრთე-
ებისაგან, გინათუ ძისათაცა სულისა
მიმართ, აწუ ერთთა მიერ ნაწილ-
თა, გინათუ ორკერძოვე სრულთა
უღმრთობითა. რამეთუ ესე არს რეცა
თავად-თავად წარმოთქუმაჲ აწინდელ-
თა სწეულებათა, ვინაჲთგან აღსავალი
გულთა თვსთა დაუძს, არათუ აღმსა-
რებლობისა, არამედ უარმყოფელო-
ბისა, არცა ღმრთისმეტყუელები-
სა, არამედ ღმრთისმგმობელობისა.
რამეთუ სხუაჲ სხვასა უმეტეს პა-
ტივისმყოყარე არს სიმდიდრესა ზედა
უღმრთობისასა, ვითარცა მოშიწნი
არა უღმრთობაჲ, არამედ სხვასა
უზომიერესრე კაცთმოყუარებად.
ხოლო ჩუენ არა ეგრეთ ვართ, არამედ

ერთნება და ერთჯამავართ, არა უდარეს რაოდენ თვთ იწთაება თავისა მართ თვისისა, უკეთუ ოდენ არა დიდარს ესე სიტყუად. და ვქმნენით ერთენა და ერთსიტყუა, წინაუკმო პირველ გოდლისმაშენებელთა მათ, რ იგინი ბრტსა ზა ერთნებაობდეს, ხ წინდა უმჯობესარს ყლთასა ერთობაჲ ესე, რა ერთბამად ერთითა პირითა ვადიდებდეთ ჭამასა და ძესა და წასა სულსა. ვინაჲცა ესეცა ითქმის ჩინთვის, ვდ ნამდვლვე იწი თქნ შუს არს, შემაერთებელი შემაერთებელთა, და მადიდებელი მადიდებელთა თვსთა, და არა ხ ითქმის, ად ირწმუნებისცა: წდ სხუა არს რლისათვს განვიყვენით, მასცა ზა არავე კეთილად, ად ბოროტად, რ არა უარ-გჰყოფ, ვინაჲთგან არა ჯერ-იყო, არცა ერთითა რაჲთ გზა-ცემა ბრტისა, არცა თავისუფლებისა ბოროტთა მათ ენათასა, გარნა არავე ეგოდენ, რაოდენ ჰგონეს შემასმენელთა ჩინთა. რ ჩინცა შეგკვანდა ცოდვად რაჲთმე ვა ნამდვლვე კაცთა. და ესე არს რომელ ვჰცოდეთ, რ ფდ რაჲმე მწყემსთმოყუ არე ვიქმნენით, და ვერ ვიპოვეთ ორთა კეთილთაგანსა რასმე უმეტეს აღრჩევაჲ, ვემდის ზოგად შემოვკერბით, ორნივე სწორად განკრვებულნი. ესე არს ბრალი ჩნი. ამისთვის მაბრალეზდინ, გინა შემინდობდინ ჩნ ყი მნებებელი. ესე არს სიმტკიცე მწუალებელთა, და ესე არა რაჲ არს რაოდენცა ვის ფდ ენებოს შენივთება მისი. მწერნი განჰწყუნინან ზეთსაო იტყვს მეტყველი იგი სიკუდილითა და განხრწნითა მას შა, და ეგრეთვე შური კეთილთასა მნებებელ არს, ად ვერ შეძლებელ (sic) არს, რ ვრ ესე უზრაჲსდა და ჩემდა

ღმრთეებისათვს ერთნება და ერთჯამავართ, არა უდარეს, რაოდენ თვთ ღმრთეებაჲ თავისა მიმართ თვისისა, უკეთუ ოდენ არა დიდ არს ესე სიტყუად, და ვქმნენით ერთენა და ერთსიტყუა, წინაუკმო პირველ გოდლის მაშენებელთა მათ. რამეთუ იგინი ბოროტსა ზედა ერთნებაობდეს, ხოლო ჩუენდა უმჯობეს არს ყოველთაჲსა ერთობაჲ ესე, რაჲთა ერთბამად ერთითა პირითა ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა. ვინაჲცა ესეცა ითქუმის ჩუენთვის, ვითარმედ ნამდვლვე ღმერთი თქუენ შორის არს, შემაერთებელი შემაერთებელთა და მადიდებელი მადიდებელთა თვსთა. და არა ხოლო ითქუმის, არამედ ირწმუნებისცა. არამედ სხუაჲ არს, რომლისათვს განვიყვენით. მასცა ზედა არავე კეთილად, არამედ ბოროტად, რამეთუ არა უარ-გჰყოფ (ვინაჲთგან არა ჯერ-იყო არცა ერთითა რაჲთ გზა-ცემაჲ ბოროტისაჲ, არცა თავისუფლებისა ბოროტთა მათ ენათასა), გარნა არავე ეგოდენ, რაოდენ ჰგონეს შემასმენელთა ჩუენთა. რამეთუ ჩუენცა შეგკვანდა ცოდვად რაჲთმე, ვითარცა ნამდვლვე კაცთა. და ესე არს, რომელ ვცოდეთ, რამეთუ ფრიად რაჲმე მწყემსთმოყუ არე ვიქმნენით და ვერ ვიპოვეთ ორთა კეთილთაგანსა რაჲსმე უმეტეს აღრჩევაჲ, ვიდრემდის ზოგად-შემოვკერბით ორნივე სწორად განკრვებულნი. ესე არს ბრალი ჩუენი, ამისთვის მაბრალეზდინ, გინა შემინდობდინ ჩუენ ყოველი მნებებელი. ესე არს სიმტკიცე მწვალებელთაჲ და ესე არარაჲ არს, რაოდენცა ვის ფრიად ენებოს შენივთებაჲ მისი. მწერნი განრყუნინან ზეთსაო, – იტყვს მეტყუელი იგი, – სიკუდილითა და განხრწნითა მას შინადა, ეგრეთვე შური კეთილთაჲსა მნებებელ არს,

საგონებელ არს, ყნასა უძლიერეს არს ბტება.

ტნ უკვე ჩნ, ჩნი ყი ადგიცენით თქნ და ადგიცენათცა, რ არა ესრეთ შეგვირაცხიეთ ჩნ ვა შვლნი ბრტდ ჭამისმოსაჯულნი, ამას თანა ზოგადად შუამდგომელობითა სამებისაჲთა, რლისა თანა ვიბრძოლებით, და რლისათს არა მბრძოლვიქმნნეთ, რ მე ვარ თავსმდე მშვდობისა, მცირე ესე ესოდენისა საქმისა, ვინაჲთგან მდაბალთა მიჰსცემს აწი ჭადლსა, ხ დაამდაბლებს ცოდვლთა მიწადმდე, გარნა თქნდა რაჲ არს ესე, ზოგთადთა ჩნდათა დამგებელთადა, რ დამაგებელ ხართ, დაღაცათუ უნებლიეთ მოგემადლების თქნ ესე, რარცალა თქნ იწისმსახურეყუნეთ უკეთუ ჩნ დიდითა გინა მცირითა ბოროტ ვიყუნეთ, ანდ ჩნ არა საქებელვიყუნეთ სიბოროტისათს, დაღაცათუ კინოდენცა ვჰსცეთ, ხ თქნ არა რაჲთ უნაკლულევანეს უღო იყუნეთ. დაღაცათუ ჩნ ვჰცოდვიდეთ, გინათუ უმეტესცა ჩნსა ცოდვლ იქმნეთ, რაოდენ უმეტესად დამშჯელვიქმნებით ცთომათა ჩნთა, და რა მიხილნეთ ჩნ ყითურთ თანამზრახველად თქნდა, და ამით ისწავოთ, ვდ თანამზრახველვიყუნეთ მარადის. ესე გარნმუნოს თქნ ვრ ვჰგონებ ჭამამან კეთილნებამან, და ჰკლმან კეთილადმორწმუნემან, ურთიერთარს თანამსხდომარეობითა, და თანა მშვეწვარებითა რა რაჲცა რა დაშთომილიყო თქნ შს ნაბერწყალი ერთგულებისა და ერთსულობისა,

არამედ ვერ შემძლებელ არს, რამეთუ ვითარ-ესე ეზრახდა და ჩემდა საგონებელ არს, ყოვლისასა უძლიერეს არს ჭემმარიტებაჲ.

ან უკუე ჩუენ ჩუენი ყოველი ადგიცენით თქუენ, და ადგიცენათცა. რამეთუ არა ესრეთ შეგვრაცხიეთ ჩუენ, ვითარცა შვილნი ბოროტად მამის მოსაჯულნი, ამას თანა ზოგადად შუამდგომელობითა სამებისაჲთა, რომლისა თანა ვიბრძოლებით და რომლისათს არა მბრძოლ ვიქმნეთ. რამეთუ მე ვარ თავსმდე მშვდობისა, მცირე ესე ესოდენისა საქმისა, ვინაჲთგან მდაბალთა მისცემს უფალი მადლსა, ხოლო დაამდაბლებს ცოდვითა მიწადმდე. გარნა თქუენდა რაჲ არს ესე ზოგთადთა ჩუენდათა დამგებელთადა? რამეთუ დამაგებელ ხართ, დაღაცათუ უნებლიეთ მოგემადლების თქუენ ესე. რამეთუ არცალა თქუენ ღმრთისმსახურ იყვნეთ, უკუეთუ ჩუენ დიდითა გინა მცირითა ბოროტ ვიყვნეთ, არამედ ჩუენ არა საქებელ ვიყვნეთ სიბოროტისათს, დაღაცათუ კინოდენცა ვსცეთ, ხოლო თქუენ არარაჲთ უნაკლულევანეს უღმრთო იყვნეთ, დაღაცათუ ჩუენ ვცოდვიდეთ, გინათუ უმეტესცა ჩუენსა ცოდვილ იქმნეთ, რაოდენ უმეტესად დამშჯელ ვიქნებით ცთომათა ჩუენთა. და რაჲთა მიხილნეთ ჩუენ ყოვლითურთ თანამზრახველად თქუენდა და ამით ისწავოთ, ვითარმედ თანამზრახველ ვიყვნეთ მარადის. ესე გარნმუნოს თქუენ, ვითარ ვგონებ, მამამან კეთილნებამან და შვილმან კეთილადმორწმუნემან ურთიერთას თანამსხდომარეობითა და თანაშუენიერებითა, რაჲთა რაჲცა რაჲ დაშთომილ იყო თქუენ შორის ნაბერწყალი ერთგულებისა და ერთსულო-

კვდ ალაგზნეს. ამას თანა გარნმუნოს სიტყუამანცა რწმე, რწი იგი გესმა პლ, რწლისა საკვრველად აღჩენაჲ, მერმეცა ჰვმოზს ყურთა შა ჩემთა, და უწყი ვდ უმეტეს არს იგი თქნდა უფროს ჰაერად განბნევადისა მის, შეზავებული სულთა შა თქნთა, და კვდ რწლიმე კვდცა გესმას ჩწგან, უკეთუ ოდენ კვდცა გსურის, და არა კმა არიან მრავალგზის წარმოთქმულნი იგი, და უფროსლა წარმოჩინებულნი განცდანი და ქოლვანი, რაოდენნი თავსგესხმიან, და რაოდენთა თავსდებად განმზადებულვართ, რომელთა არათუ ვნებაჲ, ავდ არა ვნებაჲ დაჭირვებად შეგვრაცხიეს, და ესოდენ უფროს რაოდენ ჰშუენის გემოსმხილველსა ქწესთვს შემთხვეულთა ჭირთასა, რწლისა ნაყოფად რჩეულად მოგვისთულიეს ერისა ამის თანაალორძინებაჲ:

ჩაჲმე უკვე ვნებავს, გრწამსა ესე? და არა რაჲსა მოქენე ხართ ჩწგან საქმისა. არცა მეორისა იწსმეტყუწლებისა, და ჰრიდებთ უძღურებასა ჩემსა, რწლი ძლით გეტყვ ამათცა სიტყუათა, ანუ ჯერარს, ვა სასმენელთა მწრთ მიძიმეთა, მისვე ერთისა სიტყვსა მრავალგზის ჰმოზა, რწა ჰმითა თავისუფლად განტევებულითა ვეტყოდეთ ყურთა სასმენელთასა, ვინაჲცა ვგვონებ, ვდ სიტყუად მიმიწოდთ მე მყუდროებითა, რწდუმილი თანადნებებასა მოასწავებს თქმულისა მისებრ იგავისა, ამისთვსცა მიითუაღეთ სიტყუა ორთავე ერთისაგან სულისა, ვა ერთითა პირითა აღმოთქმული. გარწა მწუხარე ვარ, რწ

ბისაჲ, კუალად ალაგზნეს. ამას თანა გარწმუნოს სიტყუამანცა რომელმანმე, რომელი-იგი გესმა პირველ, რომლისა საკვრველად აღჩენაჲ მერმეცა ჰმოზს ყურთა შინა ჩემთა. და უწყი, ვითარმედ უმეტეს არს იგი თქუენდა უფროს ჰაერად განბნევადისა მის, შეზავებული სულთა შინა თქუენთა, და კუალად რომელიმე კუალადცა გესმას ჩუენგან, უკუეთუ ოდენ კუალადცა გსურის. და არა კმა არიან მრავალგზის წარმოთქმულნი იგი და უფროსლა წარმოჩინებულნი განცდანი და ქოლვანი, რაოდენნი თავს-გესხმიან, და რაოდენთა თავსდებად განმზადებულ ვართ, რომელთა არათუ ვნებაჲ, არამედ არავნებაჲ დაჭირვებად შეგვრაცხიეს. და ესოდენ უფროს, რაოდენ ჰშუენის გემოსმხილველსა ქრისტესთვს შემთხვეულთა ჭირთასა, რომლისა ნაყოფად რჩეულად მოგვსთულიეს ერისა ამის თანაალორძინებაჲ.

რაჲმე უკვე ვნებავს? გრწამს-ა ესე და არარაჲსა მოქენე ხართ ჩუენგან საქმისა, არცა მეორისა ღმრთისმეტყუელებისა, და ჰრიდებთ უძღურებასა ჩემსა, რომელი ძლით გეტყვ ამათცა სიტყუათა? ანუ ჯერ-არს, ვითარცა სასმენელთა მიმართ მიძიმეთა მისვე ერთისა სიტყვსა მრავალგზის ჰმოზა, რაჲთა ჰმითა, თავისუფლად განტევებულითა, ვეტყოდეთ ყურთა სასმენელთასა. ვინაჲცა ვგონებ, ვითარმედ სიტყუად მიმიწოდთ მე მყუდროებითა, რამეთუ დუმილი თანად-ნებებასა მოასწავებს თქმულისა მისებრ იგავისა. ამისთვსცა მიითუაღეთ სიტყუა ორთავე ერთისაგან სულისა, ვითარცა ერთითა პირითა აღმოთქმული. გარწა მწუხარე ვარ, რამეთუ არა მთად მალ-

არა მთად მაღლად აღსრულ ვარ, არცა მომიღიეს ჳმა შემსგავსებული წადიერებისა, რამცა ესრეთ ვარქუ ზოგად ყნთა ბრტდ მზრახვალთა, ვა ზოგადსა შა სახილველსა ყნისა სოფლისასა:

ქენო ზაცთანო ვემდის გულმძიმე ხარ, რად გიყუარს ამოება და ეძიებთ სიცრუესა? რასა არა ერთსა მარტივსა ბუნებასა იწთაებისასა ჰქადაგებთ, ად სამთა, რეცა უცხოქმნილთა და განჭრილთა ურთიერთარს? არა საკვრველარს თქმად, თუ მბრძოლთაცა ურთიერთარს, აღმატებითა და მოკლებითა, ანუთუ ვდ ერთსა სადმე, ად იწროსა რასმე, და მცირედშუწნიერსა, ვრმცა არა აქუნდა დიდთამიზეზყოფა ვა ვერ შემძლებელსა, ანუ არ მნებებელსა, და ესეცა ორსახედ, ანუ შურისათვს, ანუ შიშისათვს. ერთი იგი ამისთვს, რა არა შემოიყუანნეს სხუანი ურთპატივნი ჰისთანა, და მეორე ამისთვს, რა არა ექმნენ მას მტერ, და მბრძოლ, ად ესე ნუ იყოფინ, რა რაოდენ უდიდებულეს არს იწი ზაცთა, და წამბადებელი წაბადებულთა, ესოდენ უფროს წიდებულება არს შლისა მის მიზეზისა რა იწთაებისა იყოს ჰიზეზ, ველა აგებულთა და ქმნულთა, და ესრეთ იწთაებისა მიერ შს შემოვიდოდეს დაბადებულთა მრთ, ველა წინაუკმო ამათსა რამე შეემთხვეოდეს იწთაებასა ვრ იგი ჰგონეს ფდ გამომეძიებელთა მათ და მაღლისმეტყუწლთა.

ჰ უკეთუ გვეგულეობდა რწ ჩისა და სულისა სატივისა აღმსარებელთა, ანუ უმიზეზოდ წოდება მათი. ანუ სხვსა მიზეზისაგანად

ლაღ აღსრულ ვარ, არცა მომიღიეს ჳმა, შემსგავსებული წადიერებისა, რაათამცა ესრეთ ვარქუ ზოგად ყოველთა ბოროტადმზრახვალთა, ვითარცა ზოგადსა შინა სახილველსა ყოველისა სოფლისასა.

ქენო კაცთანო, ვიდრემდის გულმძიმე ხართ? რად გიყუარს ამოება და ეძიებთ სიცრუესა? რასა არა ერთსა მარტივსა ბუნებასა ღმრთეებისასა ჰქადაგებთ, არამედ სამთა რეცა უცხოქმნილთა და განჭრილთა ურთიერთას, არა საკვრველ არს თქუმად, თუ მბრძოლთაცა ურთიერთას აღმატებითა და მოკლებითა. ანუთუ ვითარმედ ერთსა სადმე, არამედ იწროსა რასმე და მცირედშუწნიერსა, ვითარმცა არა აქუნდა დიდთა მიზეზ-ყოფა, ვითარცა ვერ შემძლებელსა, ანუ არ მნებებელსა; და ესეცა ორსახედ: ანუ შურისათვს, ანუ შიშისათვს; ერთი იგი ამისთვს, რაათა არა შემოიყუანნეს სხუანი ერთპატივნი მის თანა, და მეორე ამისთვს, რაათა არა ექმნენ მას მტერ და მბრძოლ. არამედ ესე ნუ იყოფინ, რამეთუ რაოდენ უდიდებულეს არს ღმერთი კაცთა და დამბადებელი დაბადებულთა, ესოდენ უფროს დიდებულება არს პირველისა მის მიზეზისა, რაათა ღმრთეებისა იყოს მიზეზ, ვიდრელა აგებულთა და ქმნულთა. და ესრეთ ღმრთეებისა მიერ შორის შემოვიდოდეს დაბადებულთა მიმართ, ვიდრელა წინაუკმო ამათსა რამე შეემთხუეოდეს ღმრთეებასა, ვითარ-იგი ჰგონეს ფრიად გამომეძიებელთა მათ და მაღლისმეტყუელთა.

რამეთუ უკუეთუ გუეგულეობდა ჩუენ, ძისა და სულისა პატივისა აღმსარებელთა, ანუ უმიზეზოდ წოდება მათი, ანუ სხვსა მიზეზისაგანად

თქმაჲ, საშიშ იყო, ნუ უკუჭ, უპატივო იქმნეს ინი, ანუ შეემთხვოს ჩნი მიერ წინააღმდეგომთა ღთთა შემოყუანებაჲ. ხუ უკეთუ რაოდენცა აღიყუანნე ძე და სული, ვერ ზესთაჰყოფ ჰამისა, ვერცა უცხო ჰიზეზისაგან ჰათისა. ად მუნვე აღიყუანებ ზეთილისა მის ჰობისა, და საკრველისა ლამოსლვისა მრთ: ლკითხო შენ ჰ ფდ უშობელობისმოყუ არეო, და დაუსაბამოებისმოყუარეო, რამე უფროს უპატივოჰყოფს ინი, რლი ესეკერთა მიზეზ უნოდდეს მას. ვრ ეგე შენ იტყვ, ანუ რლი არა ეგეკითართა, ად სნორთა ლუნებითა, და ჰისტანა ერთითა სატივითა, ვრ ესე ჰნებავს სიტყუასა ჩნსა? ად შენ-და დიდ პატივ არს ძე შენი, და ესოდენ უფროს, რაოდენ უფროს გემსგავსებოდეს მამასა, და უქცეველხატიკოს მშობელისა თვისსა, და არაოდეს აღირჩი ბევრეულთა მონათა უფალყოფაჲ, ერთისა ძისა მამაყოფასა. ხუ ინისათვს რამცა უმეტესი იყო სხუაჲ? თვნიერ რომელ ჰამა იყოს ძისა, რი არა მოკლება, ად შემატება არს ზიდებისა ჰისისა, ვ რ იგი ლამოსლვაეცა სულისა: ლნუ უმეცარ ხარ-ა, ვდ შენ აგებულთა დასაბამჰყოფ დასაბამობასა ჰისისა? ვიტყვ უკუე ჰამისასა ძისათვს და სულისა, არცა მიზეზსა პატივჰსცემ და უპატივოჰყოფ მიზეზისა მისგანთა. ერთსა მას რ მცირედთა დასაბამჰყოფ, და არა ღირსთა ინებისათა. ხუ სხუათა მათ, რ მცირედ არა ხ დაბადებულად, ად დაბადებულთა ყთა უუპატივოესად, რაჟამს ჰსთქუა, ვდ მათთვს შეიქმნნეს იგინი, და ოდესმე შდ ჟამთა ვა ორღანონი რაესამე ჰელოვნებისანი, რნი არა აქუნდეს ჰლთა ჰელო-

თქუმაჲ, საშიშ იყო, ნუუკუე უპატიო იქმნეს ღმერთი, ანუ შეემთხვოს ჩუენ მიერ წინააღმდეგომთა ღმერთთა შემოყუანებაჲ. ხოლო უკუეთუ რაოდენცა აღიყვანნე ძე და სული, ვერ ზეშთაჰყოფ მამისა, ვერცა უცხო მიზეზისაგან მათისა, არამედ მუნვე აღიყვანებ კეთილისა მის შობისა და საკრველისა გამოსლვისა მიმართ. გკითხო შენ, ჰ ფრიად უშობელობისმოყუარეო და დაუსაბამოებისმოყუარეო, რამე უფროს უპატიო-ჰყოფს ღმერთსა, რომელი ესევითართა მიზეზ უნოდდეს მას, ვითარ-ეგე შენ იტყვ, ანუ რომელი არა ეგევითართა, არამედ სნორთა ბუნებითა და მის თანა ერთითა პატივითა, ვითარ-ესე ჰნებავს სიტყუასა ჩუენსა? არამედ შენდა დიდ პატივ არს ძე შენი, და ესოდენ უფროს, რაოდენ უფროს გემსგავსებოდეს მამასა და უქცეველ ხატ იყოს მშობელისა თვისსა. და არაოდეს აღირჩი ბევრეულთა მონათა უფალყოფაჲ ერთისა ძისა მამაყოფასა. ხოლო ღმრთისათვს რამცა უმეტესი იყო სხუაჲ, თვნიერ რომელ მამა იყოს ძისა, რომელი არა მოკლება, არამედ შემატება არს დიდებისა მისისაჲ, ვითარ-იგი გამოსლვაეცა სულისაჲ. ანუ უმეცარ ხარ-ა, ვითარმედ შენ აგებულთა დასაბამ-ჰყოფ დასაბამობასა მისსა? (ვიტყვ უკუე მამისასა, ძისათვს და სულისა), არცა მიზეზსა პატივ-სცემ და უპატიო-ჰყოფ მიზეზისა მისგანთა ერთსა მას, რამეთუ მცირედთა დასაბამ-ჰყოფ და არაღირსთა ღმრთეებისათა; ხოლო სხუათა მათ, რამეთუ მცირედ არა ხოლო დაბადებულად, არამედ დაბადებულთა ყოველთა უუპატიოესად. რაჟამს სთქუა, ვითარმედ მათთვს შეიქმნნეს იგინი და ოდესმე შემდგომად ჟამთა, ვითარცა ორღანონი რაესამე ჰელოვნებისანი, რომელნი არა აქუნდეს პირველთა ჰელოვანთა, არცალა ოდეს ყო-

ვანთა, არცაღა ოდეს ყოფილიყუნეს, არათუმცა ან დაებადნეს იგინი ჭამასა დაბადებისათს დაბადებულთასა. რე ყი რლი რახსათსმე შეიქმნა, უუპატიოეს არს მისა რლისათს შეიქმნა, და ამას შენ იტყვ:

ხოლო მე ღაებისა მიზეზ-ვჰყოფ ჭამასა, უჟამოდ განუშორებულად და უსაზღვროდ. რლითა სწორად პატივ-ვსცემ მიზეზსა და მიზეზისაგანთა. ჭას რ, ვითარი ჭვთ არს, ეგევითართავე მიზეზარს. ხე წმათ რე ესე ვწრნივე არიან, და ესოდენნივე, და ესევითარისაგანივე. არა დაკლებულნი მისგან, არცა ოდესობითა, გინა ბუნებითა, ანუ პატივითა. რე ურთარს სამება განუყოფელად, და შეიერთების განყოფასა შა, დაღაცათუ განსაკვრვებულარს თქმაჲ ამისი. არა უდარეს საქებელარიან ურთიერთარს ერთობისათს, რაოდენ თითოეული თსაგან ცნობისა და გულისხმისყოფისათს, სამება სრული სამთაგან სრულთა, ერთობად აღმატებული სიმდიდრისათს, და ორობად გარდამატებული, რე ზესთა არს იგინივთა და სახეთა, რომელთაგან არიან უჟამნი, სამებად განსაზღვრებულნი სრულებისათს. ურთობაჲ იგი ორთათანა სრულყოფად აღემატების, და არღარა გარდამატების, რა არცა იწრო იყოს იწთებაჲ, არცა უზომოდ გარდაერეოდეს, რე ერთი იგი სიკნინე არს, ხე მეორე უზომოება, იგი ყდ უურიებრ, ხე ესე წარმართებრ, და მრავალღმრთაება.

ფილ იყენეს, არა თუმცა ან დაებადნეს იგინი მამასა დაბადებისათს დაბადებულთასა. რამეთუ ყოველი, რომელი რახსათსმე შეიქმნა, უუპატიოეს არს მისა, რომლისათს შეიქმნა, და ამას შენ იტყვ.

ხოლო მე ღმრთეებისა მიზეზ-ვჰყოფ მამასა უჟამოდ, განუშორებულად და უსაზღვროდ, რომლითა სწორად პატივ-ვსცემ მიზეზსა, და მიზეზისაგანთა – მას, რამეთუ ვითარ თვთ არს, ეგევითართავე მიზეზ არს; ხოლო – ამათ, რამეთუ ესევითარნივე არიან და ესოდენნივე და ესევითარისაგანვე, არა დაკლებულნი მისგან არცა ოდესობითა, გინა ბუნებითა, ანუ პატივითა. რამეთუ ერთ არს სამებაჲ განუყოფელად და შეიერთების განყოფასა შინა, დაღაცათუ განსაკვრვებულ არს თქუმაჲ ამისი, არა უდარეს საქებელ არიან ურთიერთას ერთობისათს, რაოდენ თითოეული თსაგან ცნობისა და გულისხმისყოფისათს. სამებაჲ სრული სამთაგან სრულთა, ერთობად აღმატებული სიმდიდრისათს და ორობად გარდამატებული, – რამეთუ ზეშთა არს იგი ნივთთა და სახეთა, რომელთაგან არიან გუჟამნი, – სამებად განსაზღვრებულნი სრულებისათს; ერთობაჲ იგი ორთათანა სრულყოფად აღემატების და არღარა გარდამატების, რახთა არცა იწრო იყოს ღმრთეებაჲ, არცა უზომოდ გარდაერეოდეს. რამეთუ ერთი იგი სიკნინე არს, ხოლო მეორე – უზომოება. იგი – ყოვლად ჰურიებრ, ხოლო ესე – წარმართებრ და მრავალღმრთეება.

ღულისხმა ვყოფ ამასცა, ნუ უკვე არა უსწავლელად, არცა განუსწავლელად, ან ფდვა გამოძიებულად, ვდ შენდა არცა ერთი ჭირი არს ზობილად ქადაგება ძისა. რა არა რა ევნოს ზობითა ჰისითა დვობელსა მამასა, ნივთიერთაგანი რაჲმე და ჯორციელთა, რა არცა ჯორცი არს, ვინაჲცა ამის ჯერისათჳს უქმარიან ზოგადნი იჭუნი იწისათჳს. რად გვეშინის შიში, სადა არა არს შიში, და ამაოდ უღთოებთ, ვა იგი თქმულ არს. ხა ჩემდა ზღვევა არს დაჭირვება იწისა, უკეთუ შევინყნარო აგებულობა ჰისი. რა არა ღთ არს აღგებული, არცა მეფე არს ჩემთანაჲ მონაჲ, დაღაცათუ სირველობაჲ მოაქუნდეს მონებისა მის და აღგებულებისა, და ამით ხა პირველობითა კაცთმოყუარე ექმნებოდე გინებულსა მას, რა რაღი თანამდებისა სატივისაგან დაკლებულ ვყოფდეს, არა ეგოდენ პატივსცემს მიცემულთა, რაოდენ გინებულ ვყოფს დაკლებულთა, ვღათვთ კერძოჲცა იგი სატივი ჩემებულადვე შეირაცხების:

ტნ უკვე მოგვდებოდეს თუ შიში, შენ ზობილობისათჳს, და მე აღგებულობისათჳს, რა აღგებულთაგანი არა რაჲ უვნებელად აღგებულ არს. ხა უკეთუ არცა შობილ არს, არცა აღგებულ გინა დაბადებულ, მიითჳლე ნეშტი სიტყჳსა შენისა, რაღი ეგე პღ მცირედისა სწორად ჰამისა იკადრებდი თქმასა ძისასა, სახელისდებითა დაბადებულებითა, რა შენდა არა რაჲ უკადრ არს, არცა რაჲ ველუყოფელ ბოროტებით გვრგვონისა, და ღთაებისა შეურაცხისმყოფელისადა, რა არცა

გულისხმა ვყოფ ამასცა, ნუ უკვე არა უსწავლელად, არცა განუსწავლელად, არამედ ფრიადცა გამოძიებულად, ვითარმედ შენდა არცა ერთი ჭირი არს შობილად ქადაგებაჲ ძისაჲ. რამეთუ არარაჲ ევნოს შობითა მისითა უშობელსა მამასა ნივთიერთაგანი რაჲმე და ჯორციელთაჲ, რამეთუ არცა ჯორცი არს, ვინაჲცა ამის ჯერისათჳს უქმარიან ზოგადნი იჭუნი ღმრთისათჳს. რად გუშინის შიში, სადა არა არს შიში, და ამაოდ უღმრთოებთ, ვითარცა იგი თქმულ არს? ხოლო ჩემდა ზღვევა არს დაჭირვებაჲ ღმრთისაჲ, უკეთუ შევინყნარო აგებულობაჲ მისი. რამეთუ არა ღმერთ არს აღგებული, არცა მეფე არს ჩემთანაჲ მონაჲ, დაღაცათუ პირველობაჲ მოაქუნდეს მონებისა მის და აღგებულებისაჲ, და ამით ხოლო პირველობითა კაცთმოყუარე ექმნებოდე გინებულსა მას. რამეთუ რომელი თანამდებისა პატივისაგან დაკლებულ ვყოფდეს, არა ეგოდენ პატივსცემს მიცემულთა, რაოდენ გინებულ ვყოფს დაკლებულთა, ვიდრელა თვთკერძოჲცა იგი პატივი ჩემებულადვე შეირაცხების.

ან უკვე მოგვდებოდეს თუ შიში, შენ – შობილობისათჳს და მე – აღგებულობისათჳს, რამეთუ აღგებულთაგანი არარაჲ უვნებელად აღგებულ არს. ხოლო უკეთუ არცა შობილ არს, არცა აღგებულ გინა დაბადებულ, მიითჳლე ნეშტი სიტყჳსა შენისაჲ, რომელი-ეგე პირველ მცირედისა სწორად მამისა იკადრებდი თქმასა ძისასა სახელისდებითა დაბადებულებითა. რამეთუ შენდა არარაჲ უკადრ არს, არცა რაჲ ველუყოფელ, ბოროტებით გვრგვონისა და ღმრთეებისა შეურაცხისმყოფელისადა; რამეთუ არცა რაჲ

რამ სხუა გაქუნდა ღონე, სხვებრ სათნოყოფისა, ანუ შორს განჯდისა ორისა ჭეუფებისა, ვერ ესე აქაცა უყოფენ უმძლავრესნი უუძღურესთა. ხმე ერთი ესელა აღმოვჰსთქვა ჳმან, და შემოკლებულად:

სამარს, ვა ჭტდ სამარს სამება ძმანო, ხ სამარს არა უსწოროთა საქმეთა აღრიცხვთა. რ ესრეთ თუმცა იყო, რამე ყენება იყო, ათად და ასად და ბევრად სახელისდებად მისსა, შემატებითა უსწოროთა საქმეთათა, რ მრავალარიან აღსარიცხვავანი, და უმრავლეს ამათსა, ად სწორთა და ორთქატივთაგან არს შეკრება იგი წმათი. რაჟამს შეიერთებოდეს სახელისდება იგი ორთობისათჳს ლუნებისა, რლი იგი არა უტევებს მას განქარვებად რიცხვსათჳს დამჯსნელისა, ყდ დაუჯსნელთა მათ. ესრეთ ვჰქადაგებთ, და ესრეთ ჴნყით ესე, ვდ თუ ვრი აქვს ამათ ურთიერთარს თჳსება და განწესება. ჴვთ ჰას ჰხოლოსა სამებასა ოდენ განეკუთნების ამისი ცნობა, და მათცა რლთა სამებამანვე გამოუცხადოს კეთილად განწმედილთა ჰისმიერ. გინათუ ან, გინათუ უკუანასკნელ. ამათ ერთი და იგივე უწყიან ლუნება ოთაებისა, წაუსაბამოდ ცნობილი ჰობასაცა შა და ლამოსლვასაცა, ვერ ესე არს ჩინ შს ლონება და სიტყუა და სული. რაოდენ ოდენ შეეტყვების ლრძნობადთაგან საცნაურთა, და ჰცირეთაგან წილთა, ვინათგან უკვე არცა ერთი სახე მიჰსწნუთების ბტებისა მრთ. ჴვთ იგი ჴავადი აცნობს ჴავსა ჴვსსა მარადის ერთსა და მასვე, მარადის

სხუა გაქუნდა ღონე სხუებრ სათნოყოფისა, ანუ შორს განჯდისა ღმრთისა მეუფებისა, ვითარ-ესე აქაცა უყოფენ უმძლავრესნი უუძღურესთა. ხოლო მე ერთი ესელა აღმოვთქვა ჳმან და შემოკლებულად:

სამ არს, ვითარცა ჭეშმარიტად სამ არს სამება, ძმანო. ხოლო სამ არს არა უსწოროთა საქმეთა აღრიცხვთა (რამეთუ ესრეთ თუმცა იყო, რამე ყენება იყო ათად და ასად და ბევრად სახელისდებად მისა შემატებითა უსწოროთა საქმეთათა? რამეთუ მრავალარიან აღსარიცხვავანი და უმრავლეს ამათსა), არამედ სწორთა და ერთბატივთაგან არს შეკრება იგი ამათი, რაჟამს შეიერთებოდეს სახელისდება იგი ერთობისათჳს ბუნებისა, რომელი იგი არა უტევებს მას განქარვებად რიცხვსათჳს დამჯსნელისა ყოვლად დაუჯსნელთა მათ. ესრეთ ვქადაგებთ და ესრეთ უწყით ესე, ვითარმედ თუ ვითარი აქუს ამათ ურთიერთას თჳსება და განწესება, თვთ მას მხოლოსა სამებასა ოდენ განეკუთნების ამისი ცნობა, და მათცა, რომელთა სამებამანვე გამოუცხადოს კეთილად განწმედილთა მის მიერ გინათუ ან, გინათუ უკუანასკნელ. ამათ ერთი და იგივე უწყიან ბუნება ღმრთეებისა, დაუსაბამოდ ცნობილი შობასაცა შინა და გამოსლვასაცა, ვითარ-ესე არს ჩუენ შორის გონება და სიტყუა და სული (რაოდენ შეეტყუების გრძნობადთაგან საცნაურთა და მცირეთაგან დიდთა, ვინათგან უკუე არცა ერთი სახე მისწუთების ჭეშმარიტებისა მიმართ). თვთ იგი თავადი აცნობს თავსა თჳსსა, მარადის ერთსა და მასვე, მარადის სრულსა, ურომელოსა, ურავდენოსა, უჟამოსა,

სასა, რ~ რომელთა მონება ესოდენ არს, რაოდენ არს თვთ ჭეუფება ჭათი? და უკეთუ შემეცნება ოდენ ნეტარება არს, რაოდენ იყოს ცნობილი იგი?

ესე ესრეთ ჰნებავს ჩნსა ამა საიდუმლოსა, ესე არს ჭამისა მართ და ძისა და სულისა წნისა ზოგადისა მის სახელისა რწმუნებაჲ, და აღმოშობაჲ, უარის-ყოფაჲ უღწობისა და აღსარებაჲ ღთაებისა, რ~ ესე არს ზოგადი სახელი. ველა უპატივო-ყოფაჲ, ანუ განყოფაჲ რაჲსაცა სამთავანისა, უპატივობაჲ არს აღსარებისა, რწლითამე აღმოშობისა, და რწლითამე წთაებისა, რწლითამე განღობისა, და რწლითამე სასოებისა. ჰხედავთა ვრსა ჩიჭსა მომადლებს ჩწ სული. რაჟამს იღწიმეტყჸ ჭლებოდეს, და რაოდენსა დაგვაჭირვებს, რაჟამს უარქმნებოდეს, რწმეშინის თქმად შიშსა მას ქადაგებული-სა რისხვისასა, არა პატივისმცემელთა, აწ მაგინებელთათჳს:

ესე უკვე მცირედი წარმოვჰსთქჸ, ჰსჯულისდებით არა წინააღმდეგობით, მეთევზურებრ, არა წრისტოტელებრ, სულიერებით, არა ბოროტად გამოძიებით, საეკლესიოდ, არა საუბნოდ, სარგებელად, და არა საჩვენებელად, რწა ჰსცნათ ერთნება-ყოფაჲ ჩწნი თქწ, რწნი ეგე მჰსცხრებით და კრებათა ჰყოფთ ჩწ ზწ, და ამას ოდენ ზწ ერთნება ხართ, ზოგად-აღმომჰვნველ და ერთსულქმნილთათჳს, რწლი ესე რაჟამს გეუწყოს, არღარა ვწ მომყმარნი თესლისმკრებელ-იყუნეთ, მცირეთა მათ ჩწნთა ზწ, გინათუ ცთომად ჯერ-არს წოდება, გინა სამღერელად, ვინაჲცა მწვერვალ ბოროტად

სა. რამეთუ რომელთა მონებაჲ ესოდენ არს, რაოდენ არს თვთ მეუფებაჲ მათი? და უკეთუ შემეცნებაჲ ოდენ ნეტარება არს, რაოდენ იყოს ცნობილი იგი?

ესე ესრეთ ჰნებავს ჩუენსა ამა საიდუმლოსა, ესე არს მამისა მიმართ და ძისა და სულისა წმიდისა, ზოგადისა მის სახელისა რწმუნებაჲ და აღმოშობაჲ, უარის-ყოფაჲ უღმრთოებისაჲ და აღსარებაჲ ღმრთეებისაჲ. რამეთუ ესე არს ზოგადი სახელი. ვიდრელა უპატივო-ყოფაჲ ანუ განყოფაჲ რაჲსაცა სამთავანისა, უპატიობა არს აღსარებისა, რომლითამე აღმოშობისა, და რომლითამე ღმრთეებისა, რომლითამე განღმრთობისა, და რომლითამე სასოებისა. ჰხედავთ-ა, ვითარსა ჩიჭსა მომადლებს ჩუენ სული, რაჟამს იღმრთისმეტყუელ-ებოდეს, და რაოდენსა დაგვაჭირვებს, რაჟამს უარ იქმნებოდეს? რამეთუ მეშინის თქმად შიშსა მას ქადაგებული-სა რისხვისასა, არა პატივისმცემელთა, არამედ მაგინებელთათჳს.

ესე უკვე მცირედი წარმოვთქჸ უჯულისდებით, არა წინააღმდეგობით, მეთევზურებრ, არა არისტოტელებრ, სულიერებით, არა ბოროტად გამოძიებით, საეკლესიოდ, არა საუბნოდ, სარგებელად, და არა საჩვენებელად, რაჲთა სცნათ ერთნება-ყოფაჲ ჩუენი თქუენ, რომელნი-ეგე განსცხრებით და კრებათა ჰყოფთ ჩუენ ზედა და ამას ოდენ ზედა ერთნება ხართ ზოგად აღმომჰვნველ და ერთსულ ქმნილთათჳს; რომელი-ესე, რაჟამს გეუწყოს, არღარა, ვითარცა მომყმარნი, თესლისმკრებელ იყვნეთ მცირეთა მათ ჩუენ ზედა, გინათუ ცთომად ჯერ-არს წოდება, გინა სამღერელად, ვინაჲცა მწუერვალ ბოროტად ეშ-

ემპაკეულებისა არს, რა არა თვისა ძლიერებასა ზა გაქუნდეს სიმტკიცე, ანდ სხუათა უძღურებასა. აჰა ესერა მარჯვენესა მივჰსცემთ ურთიერთარს წე სახედველთა თქნთა. აჰა სამე-ბისა საქმენი, ზოგად ჩნ მიერ შიდე-ბულისა და თაყნისცემულისანი. ომანვე გყვენინ თქნ უმჯობეს და უმართლმადიდებელეს. ჭე თუმცა სასმენელ იქმნა ესე ჩნდა, და იქმ-ნა დღე იგი ჩნდა ჩინებულ წმიდა, არა სიტყვსგებისა, ანდ ფართოებისა, არა საჯსენებელად განსაცდელისა, ანდ ზღესასწაულად ძღვევისა, რა ჩ-ნითა მით ერთზრახვაობითა, კნინდა და ყი სოფელი ერთზრახვაიქმნეს, რლისა რლიმე ნანილი, ანვე მიმღებელ იქმნილ არს, ხ რლსამე უწყიეს განმრთელებად, და ესეცა თქნ გექმნენინ მიზეზ ცხრბისა და კდაბადებისა.

ჰ სამებაო ჩო, და თყნისსაცემელო და სულგრძელო, რ სულგრძელ ხარ ესოდენსა ამას ზა თავსდებასა შენთა განმკუჭთელთასა. ჰ სამე-ბაო, ჰლისა მე ღირსვიქმენ მსახ-ურ და ქადაგყოფად, მრავალთა შს თვალუხზავად? ჰ სამებაო რლი ოდესმე ყთა შს საცნაურ იქმნე, რლთამე შს გამობრწყინვებითა, ხ რლთამე მტანჯველობითა. შეინყნარენ ესეცა თაყნისცემელად, რნი ან მაგინებელ არიან, და ნუცამცა ერთი დაგვჭირდების უუნდოესთაცაგანი, დაღაცათუ მე რამე დამჭირდებოდეს მადლისაგანი, რ ვერ მკადრე ვარ ესოდენსა რასმე სიტყუად, რაოდენ ჰო-ციქულმან ჰსთქუა:

მაკეულებისა არს, რათა არა თვისა ძლიერებასა ზედა გაქუნდეს სიმტკიცე, არამედ სხუათა უძღურებასა. ეჰა ეს-ერა, მარჯვენესა მივსცემთ ურთიერ-თას წინაშე სახედველთა თქუნთა! ეჰა სამებისა საქმენი, ზოგად ჩუნ მიერ დიდებულისა და თაყუანისცე-მულისანი! ამანვე გყვენინ თქუნ უმ-ჯობეს და უმართლმადიდებელეს. ჰე, თუმცა სასმენელ იქმნა ესე ჩუნდა, და იქმნა დღე იგი ჩუნდა ჩინებულ წმიდა, არა სიტყვსგებისა, არამედ ფართოე-ბისა, არა საჯსენებელად განსაცდელი-სა, არამედ დღესასწაულად ძღვევისა, რათა ჩუნითა მით ერთზრახვაობითა კნინდა და ყოველი სოფელი ერთზრახ-ვა იქმნეს, რომლისა რომელიმე ნანი-ლი ანვე მიმღებელ ქმნილ არს, ხოლო რომელსამე უწყიეს განმრთელებად, და ესეცა თქუნ გექმნენინ მიზეზ ცხორე-ბისა და კულადბადებისა.

ჰ სამებაო წმიდაო და თაყუანის-საცემელო და სულგრძელო, რამეთუ სულგრძელ ხარ ესოდენსა ამას ზედა თავსდებასა შენთა განმკუჭთელთასა! ჰ სამებაო, რომლისა მე ღირს ვიქმენ მსახურ და ქადაგყოფად მრავალთა შორის თუალუხზავად! ჰ სამებაო, რომელი ოდესმე ყოველთა შორის საცნაურ იქმნე, რომელთამე შორის გამობრწყინვებითა, ხოლო რომელთამე – მტანჯველობითა! შეინყნარენ ეს-ეცა თაყუანისცემელად, რომელნი ან მაგინებელ არიან, და ნუცამცა ერთი დაგვჭირდების უუნდოესთაცაგანი, დაღაცათუ მე რამე დამჭირდებოდეს მადლისაგანი, რამეთუ ვერმკადრე ვარ ესოდენსა რასმე სიტყუად, რაოდენ მოციქულმან თქუა.

ონუ არა ესრეთ საყუარელ არსა ესე თქნდა? ანუ განგეჭრებისა ენაჲ და ელმის სიტყვსგებად. ვიხილოთ იგიცა ოდესმე, ანუ იგინიცა რომელთა მართ არს უმეტესი ნურთაჲ თქნი. ვიცნნეთ მჭევრობითნი იგი თქნნი ნაშობნი, გინათუ მოგდებულნი, ვინათგან კვერცხსა ასპიტასა განაპებთ, გინა შემუსრავთ სიტყვთა ფიცხელითა და წინააღმდგომითა, ამისთვისცა ვამხილოთ განსანქრეველობაჲ, და ქართა წარსატაცებელობა მათი და მათ შუა დამალული იგი ღარსალიკონი უღთოებისა შუა შემოვიყუანოთ. რ იგი დაღაცათუ ღარსალიკონ არს, ანუ მკუდარვე და უსრულ და უძრავარს. საშოსავე შუა მომკუდარ, და პლშობისა არა ყოფილ, სიტყვსაებრ თქნისა, რთა მცირედ რაჲმე თქნცა გახარო, უფროს მოძაგებულ მუცლადღებისათს, ველა სანყალობელ მოლოდებისათს. ამისი ქმნაჲ უწყი ვან მომცეს ჩინ მან, რინ მოგუცა ოსპიტსა და ღასალიკონსა ზან სლვაჲ, და დათრგუნვაჲ გველთა ზან და ღრიანკალთა. რინ იგი მსწრაფლ შემუსრის სატანან ფერჯთა ქუჭმე ჩინთა, გინათუ ვან ელვაჲ ზეცით გარდამოვრდომილი ძველისა მისთვის ღრწყინვალეებისა, ანუთუ ვან გველი მლტოლვარე, უკანასკნელისა მისთვის გულარძნილებისა, და ქუჭმეთრევად შეცვალეებისა, რან მცირედრე განვთავისუფლდეთ ბრტისაგან წარვდომითა ყოვლისავე მნუხარებისა და სალმობისათა ან და უკუანასკნელ ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ანუ არა ესრეთ საყუარელ არსა ესე თქუენდა? ანუ განგეჭრებისა ენაჲ და ელმის სიტყვსგებად? ვიხილოთ იგიცა ოდესმე, ანუ იგინიცა, რომელთა მიმართ არს უმეტესი ნურთაჲ თქუენი. ვიცნნეთ მჭევრობითნი იგი თქუენნი ნაშობნი, გინათუ მოგდებულნი, ვინათგან კუერცხსა ასპიტასა განაპებთ, გინა შემუსრავთ სიტყვთა ფიცხელითა და წინააღმდგომითა. ამისთვისცა ვამხილოთ განსანქრეველობაჲ და ქართა წარსატაცებელობაჲ მათი, და მათ შორის დამალული იგი ვასილისკო უღმრთოებისაჲ შორის შემოვიყუანოთ. რამეთუ იგი დაღაცათუ ვასილისკო არს, არამედ მკუდარვე და უსრულ და უძრავ არს, საშოსავე შინა მომკუდარ და პირველ შობისა არა ყოფილ, სიტყვსაებრ თქუენისა, რათა მცირედ რაჲმე თქუენცა გახარო, უფროს მოძაგებულ მუცლადღებისათს, ვიდრელა სანყალობელ მოლოდებისათს. ამისი ქმნაჲ, უწყი, ვითარმედ მომცეს ჩუენ მან, რომელმან მოგუცა ასპიტსა და ვასილისკოსა ზედა სლვაჲ, და დათრგუნვაჲ გუელთა ზედა და ღრიანკალთა; რომელმან-იგი მსწრაფლ შემუსროს სატანა ფერჯთა ქუეშე ჩუენთა, გინათუ ვითარცა ელვაჲ ზეცით გარდამოვრდომილი ძუელისა მისთვის ბრწყინვალეებისა, ანუთუ ვითარცა გუელი მლტოლვარე უკუანასკნელისა მისთვის გულარძნილებისა და ქუემეთრევად შეცვალეებისა, რათა მცირედრე განვთავისუფლდეთ ბოროტისაგან წარვდომითა ყოვლისავე მნუხარებისა და სალმობისათა ან და უკუანასკნელ ქრისტე იესუს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ბაბუნაშვილი...** 1991: ბაბუნაშვილი ე., უთურგაძე თ., ანტონ I-ის „ქართული ლრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, თბ., 1991.
2. **ბეზარაშვილი...** 2007: ბეზარაშვილი ქ., ოთხმეზური თ., გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებისა და მათი კომენტარების კვლევა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, ბიზანტინოლოგია საქართველოში, რედ. ნ. მახარაძე, თ. დოლიძე, თბ., 2007.
3. **ბრეგაძე** 1988: ბრეგაძე თ., გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1988.
4. **მეტრეველი** 2007: მეტრეველი ე., ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ე. მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი I, თბ., 2007.
5. **ოთხმეზური** 1992: ოთხმეზური თ., ერთი გრამატიკული ხასიათის შენიშვნის შესახებ ძველ ქართულ მწერლობაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბ., 1992.
6. **ოთხმეზური** 2011: ოთხმეზური თ., კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, თბ., 2011.
7. **ჟორდანია** 1967: ჟორდანია თ., ქრონიკები III, თბ., 1967.
8. **ქავთარია** 1977: ქავთარია მ., XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977.
9. **შანიძე** 1964: შანიძე ა., ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964.
10. **Giannouli...** 2011: From Manuscripts to Books, Proceedings of the International Workshop on Textual Criticism and Editorial Practice for Byzantine Texts (Vienna, 10–11 December 2009), A. Giannouli – E. Schiffer (eds.), 2011.
11. **Gregorii Nazianzeni Opera** 1998: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. I (1998) = Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. I: Orationes I, XLV, XLIV, XLI, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava, M. Chanidze (Corpus Christianorum. Series Graeca, 36. Corpus Nazianzenum, 5), Turnhout-Leuven, 1998.
12. **Gregorii Nazianzeni Opera** 2000: Sancti Gregorii Nazianzeni Opera. Versio iberica. II: Orationes XV, XXIV, XIX, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, M. Dolakidze, Ts. Kourtsikidze, M. Matchavariani, N. Melikichvili, M. Raphava, M. Chanidze (Corpus Christianorum. Series Graeca 42, Corpus Nazianzenum 9), Turnhout, 2000.
13. **Gregorii Nazianzeni Opera** 2001: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. III: Oratio XXXVIII, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava (Corpus Christianorum. Series Graeca, 45. Corpus Nazianzenum, 12), Turnhout-Leuven, 2001.
14. **Gregorii Nazianzeni Opera** 2004: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. IV: Oratio XLIII (Corpus Christianorum. Series Graeca, 52. Corpus Nazianzenum, 17), ed. a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, T. Othkhmezouri, M. Raphava, Turnhout-Leuven, 2004.

15. **Gregorii Nazianzeni Opera** 2007: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. V: Orationes XXXIX et XL (Corpus Christianorum. Series Graeca, 58. Corpus Nazianzenum, 20), ed. a B. Coulie, H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, M. Raphava, Turnhout-Leuven, 2007.
16. **Gregorii Nazianzeni Opera** 2013: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica. VI: Orationes XI, XXI et XLII (Corpus Christianorum. Series Graeca, 78. Corpus Nazianzenum, 26), ed. a B. Coulie, H. Metreveli† et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze†, N. Melikichvili, M. Raphava, Turnhout, 2013.
17. **Maniaci** 1996: Maniaci M., *Terminologia del libro manoscritto*, 1996.
18. **Otkhmezuri** 2010: Otkhmezuri Th., The Liturgical Sermons of Gregory of Nazianzus. On the Date of the Georgian Translation by Ephrem Mtsire, *Studia Nazianzenica* II, A. Schmidt ed., (Corpus Christianorum, Series Graeca, 73, Corpus Nazianzenum, 24), Turnhout: Brepols, 2010, p. 469-475.
19. **Лихачев** 1962: Лихачев Д. С., Текстология, На материале русской литературы X-XVII вв., Москва – Ленинград, 1962.

Thamar Otkhmezuri

METHODS OF EDITING ANCIENT TEXTS – EDIZIONE DIPLOMATICA AND CRITICA TESTUALE

EPHREM MTSIRE'S TRANSLATION OF GREGORY THE THEOLOGIAN'S *ORATIO* 23

SUMMARY

Gregory the Theologian's non-liturgical sermons translated by the 11th century Georgian scholar Ephrem Mtsire are preserved only in one late manuscript (*cod.* A-292) which is dated to 1800. The manuscript is copied by the well-known scribe Ioane Osesdze, representative of Anton I the Catholicos' literary school. Anton I the Catholicos (1720-1788) hellenized the orthography of Georgian manuscripts inserting into the texts additional graphemes, diacritical signs and etc. All the orthographical norms invented by Anton I the Catholicos are reflected in *cod.* A-292.

The article represents the edition of the Georgian translation of Gregory the Theologian's non-liturgical sermon – *Oratio* 23 – in two different forms: (1) *edizione diplomatica* – scrupulous reproduction of the text of *cod.* A-292 with abbreviations, capital letters (*mtavruli*), diacritical signs and orthographical features; (2) *critica testuale* – restoration of the text of the sermon as near as possible to its original, the 11th century textual form. The principles of reconstruction are explained in the introduction.

მანია რაფაეა

გრიგოლ ნაზიანზელის საღვთისმეტყველო კონცეპტები XI საუკუნეში

დიდი კაპადოკიელი მოძღვრის, გრიგოლ ნაზიანზელის ღვთისმეტყველებამ უდიდესი როლი შეასრულა არა მხოლოდ ბიზანტიის, არამედ ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა სააზროვნო-კულტურული ფასეულობების განვითარების საქმეში. ნაზიანზელის მოძღვრება საუკუნეებს გასწვდა და შემდგომი დროის ქრისტიან მოღვაწეთათვის თითქმის ყველაზე პოპულარული გახდა. გამოთქმულია აზრი, რომ ბიზანტიურ ეპოქაში (VII-XIII სს.), ბიბლიის შემდეგ, ყველაზე ცნობილი და ყველაზე მეტად ციტირებული ავტორი გრიგოლ ნაზიანზელია (Noret 1983: 259-266).

გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედებითი მემკვიდრეობა როგორც უშუალოდ (თარგმანების სახით), ისე გაშუალებულად (სხვა ავტორების მიერ მისი თხზულებების ციტირებით და კომენტარებით) უაღრესად ფართოდ არის წარმოდგენილი ძველ ქართულ მწერლობაში. ნაზიანზელის თხზულებები ითარგმნა დროის დიდ მონაკვეთში (VI-XII სს.), ითარგმნა 6 ქართველი მოღვაწის მიერ, ითარგმნა გეოგრაფიულად ერთმანეთისგან დაშორებულ რეგიონებში: ტაო-კლარჯეთში (გრიგოლ ოშკელი და დავით ტბელი, X ს.) და გელათში (ანონიმი მთარგმნელი XII ს.), ათონზე (ეფთვიმე მთაწმიდელი, XI ს.), შავ მთაზე (ეფრემ მცირე, XI ს.).

ჩემი მიზანია, წარმოვაჩინო გრიგოლ ნაზიანზელის შემოქმედების გავლენა XI საუკუნის ბიზანტიურ და ქართულ საღვთისმეტყველო აზროვნებაზე, კერძოდ, ბიზანტიელი მწერლის, ნიკიტა სტითატისა და ქართველი ათონელი მოღვაწის, ეფთვიმე მთაწმიდელის შემოქმედებაზე.

XI საუკუნის ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაზე გრიგოლ ნაზიანზელის გავლენის ხასიათისა და მასშტაბების ნათელყოფის მიზნით განსაკუთრებით შედეგიანი აღმოჩნდა ნიკიტა სტითატის სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ მიმართული თხზულება, რომელიც ხუთი ტრაქტატისგან შედგება. იგი იშვიათი ნიმუშია იმისა, თუ როგორ იქნა გამოყენებული გრიგოლ ნაზიანზელის საღვთისმეტყველო დებულებები ეკლესიათა გაყოფის ბოპოქარ და ერესებთან მწვავე პოლემიკის პროცესებში.

შეიძლება ითქვას, რომ თავის პოლემიკურ ხუთ სიტყვაში ნიკიტა სტი-თატი გრიგოლ ნაზიანზელის შეხედულებათა უბრალო ციტირებას კი არ ახ-დენს, არამედ მათ თავისი საღვთისმეტყველო შეხედულებების იდეურ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად იყენებს. ხუთსავე სიტყვაში ყოველი ცალკეული საკითხი განხილულია გრიგოლ ნაზიანზელის მოსაზრებებთან კავშირში. ნი-კიტა სტითატის მიერ გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებით სარგებლობა იშვიათი ნიმუშია იმისა, თუ როგორ იქნა შეხამებული ადრეული ქრისტიანული საეკლესიო-საღვთისმეტყველო დებულებები გვიანი პერიოდის კონფესიონალურ პოლემიკასთან დაკავშირებულ საკითხებთან. გავლენა იგრძნობა როგორც კონ-ცეპტუალურ-დოგმატური საკითხების ანალიზთან, ისე საეკლესიო-რიტუალური წესების განხილვასთან დაკავშირებით.

ნიკიტა სტითატი საყვედურობს სომეხ მონოფიზიტებს, რომ ისინი თავი-ანთ თავს გრიგოლ ღვთისმეტყველის მოძღვრების მიმდევრებად აცხადებენ.¹ სინამდვილეში კი, ეს ასე არ არის. ავტორი ცდილობს, გააბათილოს სომეხთა მხრივ გრიგოლ ღვთისმეტყველის მოძღვრებით სპეკულირება, რასაც შესანიშნა-ვად ახერხებს თვით ღვთისმეტყველის თხზულებათა მოშველიებით. პირველ ყოვ-ლისა, ასეთია მისი ხუთი პოლემიკური სიტყვა სომეხ მონოფიზიტთა წინააღმდეგ.

I სიტყვა: „*შემრევლობითისა ორთა ბუნებათა ქრისტესთაჲსა მადიდებლობი-სა, მგმობრისა მის წვალებისა სომეხთაჲსა... ვინებე რაჲ განქიქებაჲ, სამართლად შევჰრაცხე თანამოქმედად ანუ თანამბრძოლად სიტყვსა მიყვანებაჲ ღმრთისმ-ეტყუელთა შორის დიდისაჲცა და ჳმაგანსმენილისა გრიგოლისი, დასამჳობელად ესევეთარისა მის უღმრთოჲსა წვალებისა*“ – როდესაც გადავწყვიტე ქრისტეს ორი ბუნების შემრევულ სომეხთა ერესის განქიქება... სამართლიანად მივიჩ-ნიე თანამოქმედად და თანამოსაჯულედ მიმემართა ღმრთისმეტყველთა შორის განთქმული დიდი გრიგოლისთვის, რათა დავამხო ეს უღვთო წვალება (S-1463, 256r I).

II სიტყვა: „*პირველი სიტყუაჲ აღვინერეთ თქვენ, ჳ ბრძენო და უაღრესნო სხუათა სომეხთანო, რომელსა შინა ღმრთისმეტყუელისაჲცა და მამისა გრიგო-ლის თანამოსაჯულად ჳუმევითა გამოვაჩინეთ... თუ რაჲ არს გამოუთქუმელისა შობისა მისისა დღესასწაული, რომელიც სხუაჲ არს გარეშე დღესასწაულისა მის ნათელთაჲსა*“ – პირველი სიტყვა დაგინერეთ თქვენ, ბრძენო და სხვა სომეხებზე აღმატებულებო, ღვთისმეტყველი მამის, გრიგოლის დახმარებით ვაჩვენე... თუ

¹ სტითატის ეს მოსაზრება რომ უსაფუძვლო არ იყო და რეალურ მონაცემებზე იყო დაყრდნობილი, წერილობით დასტურდება ისეთი უძველესი კრებულით (VII ს.), როგორიცაა *κλήρη των αγίων* რომელიც სომხური მონოფიზიტური მრწამსის გადმოცემას წარმოადგენს და რომელშიც სხვა, როგორც ბერძენი, ისე სომეხი საეკლესიო მამების გვერდით ხშირად არის წარმოდგენილი და დამონმებული ექსცერპტები გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებებიდან.

— გრიგოლ ნაზიანზელის საღვთისმეტყველო კონცეპტები XI საუკუნეში

როგორია მისი გამოუთქმელი შობის დღესასწაული, რომ სხვაა ქრისტეს შობის დღესასწაული და სხვა – ნათლისღების დღესასწაული (258r II).

III სიტყვა: „ან კულად მესამესა სიტყუასა სამნმიდაობისათჳს ვჰყოფთ თქუენდა მიმართ... ვითარცა იტყჳს ღმრთისმეტყუელთა შორის დიდი გრიგოლი, ... დიდცა იგი ღმრთისმეტყუელთა შორის გრიგოლი ესრეთ იტყჳს“ — ახლა მესამე სიტყვას სამნმიდაობის შესახებ ვიტყვი თქვენს მიმართ, ... როგორც ამბობს ღვთისმეტყველთა შორის დიდი გრიგოლი... ღვთისმეტყველთა შორის დიდი გრიგოლი ამგვარად ამბობს (260v I).

IV სიტყვა: ასევე იწყება გრიგოლ ნაზიანზელის იმ გამონათქვამის პერიფრაზირებით, რომელიც დასტურდება მის Or. 43-ში (PG 36, col. 493-605)– „ცხოვრება და შესხმაა დიდისა ბასილისი“ (ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი) // „ეპიტაფიად დიდისა ბასილისთჳს“ (ეფრემ მცირის თარგმანი), რომელშიც ბიზანტიელი მწერალი სომეხთა არც თუ მთლად სახარბიელო დახასიათებას იძლევა: „მოედით უკუ და ზღჳსკლდეობისათჳს საცთურისა თქუენისა და წვალებისა, რომელი იგი... გიპყრიეს, ვთქუათ რამე მცირედი და ესეცა თქუენი დაფარული და ზღჳსკლდეობითი დაფარულთა მაგათ და ზღჳსკლდეთა განვაქიქოთ წვალება“ – მოდით და თქვენი ზღვის რიფივით დაფარული საცთურისა და წვალების შესახებ, რომელსაც... მისდევთ, მცირე რამე ვთქვათ და ეს თქვენი ზღვის რიფივით დაფარული წვალება განვაქიქოთ (260v I). სომეხი მონოფიზიტები შედარებული არიან ზღვაში დამალულ რიფებს (PG 36, col. 517 B 5). სომეხი მონოფიზიტების ზღვისკლდეობითი წვალებებია: ექჳრისტიანოში უცომო პური, წყლით გაუზავებული ღვინო, ღვთისმშობლის გალობების გამოტოვება და სხვა.

უპირველესი საკითხი, რომლის შესახებ სტიტატი ეკამათება სომეხ მონოფიზიტებს, ეხება ქრისტეს ორბუნებოვნების დოგმას. ამასთან არის დაკავშირებული მეორე საკამათო საკითხიც: საუფლო დღესასწაულების, შობისა და ნათლისღების, შინაარსისა და კალენდრის გარკვევა. ორივე საკითხი საკმაოზე მეტად მწვავე იყო XI საუკუნის ბიზანტიის მართლმადიდებლური წრეებისთვის. ნიკიტა სტიტატი ამ საკითხებზე პოლემიკისას მთელ თავის არგუმენტაციას აგებს გრიგოლ ღვთისმეტყველის მოძღვრებაზე. სტიტატის მტკიცებით, საღვთო სიტყვის განხორციელებისას მოხდა არა ოცნებითი ანუ მოჩვენებითი, არამედ ჭეშმარიტი, არსებითი შეერთება. ამ შეერთებას ახალი და საკვირველი უწოდა გრიგოლ ღვთისმეტყველმა: „ესე უკუე ახალი და გამოუთქმელი შეერთება და შერწყმა ღმრთისმეტყუელსაცა გრიგოლის დაუკრდა რაა, განცკბრებით თქუა: „წ შერწყმაა ახალი, წ შეზავება საკრველი“ (256v I). ეს არის ცნობილი გამონათქვამი ღვთისმეტყველისა, რომელიც მონოფიზიტებმა გამოიყენეს ქრისტეში ერთი შეზავებული ბუნების საქადაგებლად. მათ სანინალმდეგოდ, ნიკიტა სტიტატი ამტკიცებს „შეზავებისა“ და „შერწყმის“ ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ გაგებას. მისი განმარტებით, გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვები შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: შეერთების შემდეგ ქრისტეში ორი ბუნებისგან მოხდა

ერთი შეზავებული ბუნების ჭეშმარიტად შეერთება ისე, რომ თითოეულმა ბუნებამ დაიცვა თავისი არსებითი თვისებები და განსხვავებები.

ნიკიტა სტიტატს ორი ბუნების „ახალი“ და „საკურველი“ შეერთების ღვთისმეტყველისეული გაგება სჭირდება იმისთვის, რომ უარყოს აზრი, თითქოს ქრისტეს ჯვარცმისას ღვთაებრივი ბუნებაც ევნო. სტიტატი ღვთის უვნებელობის დამტკიცების მიზნით, ციტატებს იშველიებს გრიგოლ ღვთისმეტყველის Or. 38-დან (Sancti Gregorii Nazianzeni 2007: 2-219).

ქრისტეს შობასთან დაკავშირებით, საყურადღებოა სტიტატის მიერ ღვთისმეტყველის სიტყვების „ქრისტე იშვების“ – ის ინტერპრეტაცია. ავტორი გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვების შემდეგ განმარტებას იძლევა: „*აწინდელი ესე სიტყუაჲ [Or. 38] მხოლოდ ქრისტეს შობისათჳს ოდენ აღწერა საღმრთოჲმან გრიგოლი... რამეთუ ჩუენებაჲ შენი ჰუნებაჲს, ვითარ-იგი სხუაჲ არს ქრისტეს შობისა დღესასწაული, ვითარ-იგი არს ბუნებაჲ კაცებისა მისისაჲ, და სხუაჲ – ნათლისღებისაჲ, ვითარ-იგი სხუაჲ არს ბუნებაჲ ღმრთეებისა მისისაჲ*“ (257v II).

გრიგოლ ღვთისმეტყველის Or. 39 იწყება სიტყვებით: „*კუალად იესუ ჩემი*“. ნიკიტა სტიტატი თავის ოპონენტებს მიუთითებს, რომ ღვთისმეტყველმა იქ [ანუ Or. 38-ში] სიტყვებით „*ქრისტე იშვების*“ *კაცობრივი ბუნების შობა წარმოაჩინა*“, ხოლო აქ [Or. 39] სიტყვებით „*კუალად იესუ ჩემი და კუალად საიდუმლოჲ*“ აჩვენა იესოზე წმიდა და თანაარსი სულის გარდამოსლვა (256r I).

კიდევ ერთი საკითხი, რომელთან კავშირში ნიკიტა სტიტატი მიმართავს გრიგოლ ღვთისმეტყველის დამოწმებას, ეხება ლიტურგიაში სამწმიდაობით გალობას. ავტორი აკრიტიკებს სომეხი მონოფიზიტების მიერ ამ გალობის გავრცობას სიტყვებით: „*რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს*“, რის გამო ჯვარცმულად ცხადდება წმ. სამების ყველა წევრი. იგი იმომბებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ცნობილ განსაზღვრებას წმ. სამებისა, რომელიც მოცემულია Or. 39-ში: „*ხოლო ჩუენდა ერთ არს ღმერთი მამაჲ, რომლისაგან არს ყოველი, და ერთ არს უფალი იესო ქრისტე, რომლისა მიერ არს ყოველი, და ერთ არს სული წმიდაჲ, რომლისა მიმართ არს ყოველი*“ [ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანი] (Sancti Gregorii Nazianzeni 2007: 70). ეს განსაზღვრება გამორიცხავს სამებაში მეოთხე წევრის შემოყვანას, ან მთელი სამების ჯვარცმულად გამოცხადებას.

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნიკიტა სტიტატს გრიგოლ ღვთისმეტყველის ციტატები ზუსტად გადმოაქვს, ან პერიფრაზირებას მიმართავს, იგი პოლემიკის დროს სისტემატურად იმომბებს გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელს (S-1463, 257r I; v II; 258r II და სხვ.).

ძველი ქართული მწერლობისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ნიკიტა სტიტატის პოლემიკურ სიტყვებში დაცული გრიგოლ ღვთისმეტყველის ციტატების არსენ იყალთოელის თარგმანის სახით ხელთა გვაქვს ღვთისმეტყველის ჰომილიების ფრაგმენტების ისეთი ქართული თარგმანი, რომელიც ქრონოლოგიურად გაგრძელებაა წინარე თარგმანებისა, ხოლო თვისობრივად იმ მთარგმნელობითი

ხაზის განვითარებაა, რომელიც დაიწყო ეფრემ მცირემ და საბოლოოდ დაგვირგვინდა გელათის ლიტერატურული სკოლის მოღვაწეთა მიერ.

II. გარდა აღნიშნული ანტიმონოფიზიტური სიტყვებისა, ნიკიტა სტითატი თავის ერთ-ერთ სხვა თხზულებაში საკმაოდ ვრცლად განიხილავს გრიგოლ ნაზიანზელის მოძღვრების კიდევ ერთ საკითხს. მხედველობაში გვაქვს გრიგოლ ნაზიანზელის მოსაზრება „ზეციური ძალების“ ანუ ანგელოზთა დასების შესახებ.

ცნობილია გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ჩამოყალიბებული იერარქია ზეციური ძალებისა. მის ერთ-ერთ თეოლოგიურ სიტყვაში „ღმრთისმეტყველებისათვის, თავი მეორე“ (Or. 28) ანგელოზთა დასების ასეთი წყობაა მოცემული: „რათა უწყოდდით ჩუენ სახელით ოდენ ანგელოსნი რანიმე და მთავარანგელოსნი, საყდარნი და უფლებანი, მთავრობანი და ჴელმწიფებანი, ბრწყინვალეხანი და აღსავალნი, საცნაურნი ძალნი გონიერნი, გინა გონებანი, წმიდანი ბუნებანი და შეუმწიკულებელნი და ყოლადვე აღუძრველნი ბოროტის მიმართ, გინა ძნიად [აღსაძრ]ველნი, რომელნი-იგი მარადის პირველსა მას მიზეზსა ყოველთასა გარემოჲს იხარებენ მწყობრნი“ (A-87,157v; PG 36, col.72 A-B). ამ ჩამონათვალში მოხსენიებული არ არის ქერუბინები და სერაფიმები.

თქმა იმისა, რომ გრიგოლ ნაზიანზელი საერთოდ არ იცნობს ამ ანგელოზებს, არ შეეფარდება სინამდვილეს, რადგან კაპადოკიელი მოძღვარი სხვაგან არაერთგან მოიხსენიებს მათ. ქერუბინები და სერაფიმები უმაღლესი რანგის ანგელოზებად ჰყავს წარმოდგენილი გრიგოლ ნაზიანზელს, რაზეც იგი სხვა ანგელოზების იერარქიისაგან დამოუკიდებლად, ცალკე მსჯელობს იმავე ჰომილიის სხვა ადგილას (A-87, 148r-v). კონტექსტის მიხედვით, პირველმა, ესაიამ იხილა ღმერთი და მისი ხილვა ექვსფრთიანი ანგელოზის მიერ არის დაცული. მეორემ კი, ებეკიელმა, ღმრთის საყდარი ქერუბინები გამოხატა. უეჭველია, რომ ამ კონტექსტში სერაფიმიც და ქერუბინიც, ორივე უმაღლესი რანგის ანგელოზებად არიან გამოცხადებული.

ამავე დროს, როგორც ჩანს, გრიგოლ ნაზიანზელისთვის სერაფიმებისა და ქერუბინების იერარქიული ადგილი განსაზღვრული არ არის. სამწმიდაობით გალობაში გრიგოლ ნაზიანზელის ცნობილი განმარტება, რომელიც ემყარება ესაიას ერთ ადგილს (ესაია 6, 2-3), Or. 38-ის მიხედვით ასეთია: „ესრეთ უკუე არს წმიდაჲ იგი წმიდათაჲ, რომელსაცა სერაბინნი დაეფარვიან და ადიდებენ სამითა სინმიდითა“ (ეფთვიმე მთანმიდელის თარგმანი), „ესრეთ უკუე არს წმიდაჲ წმიდათაჲ, რომელი სერაფიმთადაცა იფარვის და იდიდების სამითა წმიდაობითა“ [ეფრემ მცირის თარგმანი] (Sancti Gregorii Nazianzeni 2007: 76-77). აღნიშნულ კონტექსტში, როგორც ვხედავთ, სამი სინმიდის ხილვას სერაფიმები ფარავენ. სხვაგან კი, კერძოდ, Or. 28-ში, ამ პატივით გრიგოლ ნაზიანზელი ქერუბინებს მოიხსენიებს. გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოგიაში სერაფიმები და ქერუბინები უმაღლესი რანგის ანგელოზები არიან, მაგრამ ანგელოზთა წყობაში იგი მათ არ ასახელებს.

გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დასახელებულ ანგელოზთა იერარქიასთან დაკავშირებით ერთგვარი გაურკვეველობა არსებობს თანამედროვე მკვლევართა შორის და როგორც შემდგომ ვნახავთ, არსებობდა XI საუკუნეშიც. ფრანგი მკვლევარი რენე როკი დიონისე არეოპაგელის „ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“ ბერძნული ტექსტის გამოცემაზე დართულ თავის ვრცელ წინასიტყვაობაში მიმოიხილავს რა ანგელოზთა დასების შესახებ ბიზანტიელ მწერალთა მოსაზრებებს დიონისე არეოპაგელამდე, გრიგოლ ნაზიანზელის ზემოხსენებულ იერარქიასთან დაკავშირებით გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამს. ჯერ ერთი, იერარქიის იმ წევრებს, რაც თითქმის ყველა ავტორთან მეორდება, როგორიცაა: ანგელოზნი (Ἄγγελοι), მთავარანგელოზნი (Ἀρχαγγελοί), საყდარნი (θρόνοι), უფლებანი (κυριοι ἑτε~), მთავრობანი (ἸἈρχαί), ჴელმწიფებანი (Ἐξουσία). გრიგოლ ნაზიანზელი უმატებს რამდენიმე სახელდებას. ესენია: ბრწყინვალებანი (ἡ ἰσοχ λამπροτῆα~), აღსლვანი (αἰαბασει~), ძალნი გონიერნი (Noeraς δυσამეი~), წმიდა და უზადო ბუნებანი (καqara~ fusei~ kai; აკიბდῆი~). გაუგებარია, ეს სახელდებანი ანგელოზთა განსხვავებული დასების აღმნიშვნელი ცნებებია, თუ ისინი მხოლოდ ეპითეტებია მათი. ამ გაურკვეველობასთან ერთად, როგორც რ. როკი შენიშნავს, კიდევ ერთი კითხვა იბადება: გრიგოლ ნაზიანზელის მიერ დასახელებული გონისმიერი ძალები ანუ გონებანი (νοερα΄ δυσამεიς) ორ განსხვავებულ დასს წარმოადგენენ, თუ მხოლოდ ერთს? მსგავსი სახის გაუგებრობათა გამოჭირს დაზუსტება გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ჩამოყალიბებული ანგელოზთა დასების რაოდენობისა (Roques 1970: LVIII).

ნაზიანზელის ანგელოზთა დასებთან დაკავშირებული მსგავსი ხასიათის გაურკვეველობა, რომელიც თანამედროვე მკვლევართა დაეჭვებას იწვევს, როგორც ირკვევა, XI საუკუნის ღვთისმეტყველთა შორისაც ანალოგიურ ეჭვებს ბადებდა. ერთ-ერთი ასეთი ანალოგია შეიძლება დავინახოთ ნიკიტა სტითათის მიერ გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოგიის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში.

გრიგოლ ნაზიანზელის კონცეპტს ანგელოზთა დასების იერარქიასთან დაკავშირებით ნიკიტა სტითათი ეხება ერთ თავის ეპისტოლეში (ეპისტოლე 4; Nicetas Stéthatos 1961: 235-245), რომლის ადრესატია მისი თანამოსახელე მოღვაწე ნიკიტა ხარტოფილაკსი და სვინკელოსი კორონიდი. სხვა საკითხებთან ერთად, ნიკიტა სტითათი მას განუმარტავს გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოგიის ზოგიერთ მახასიათებელს.

ნიკიტა სტითათის კომენტარი ეხება ანგელოზთა დასებს შორის განსხვავებული განათლებისა და მადლის არსებობას, რაც გაპირობებულია მათი წესით (რანგით) და პატივით. იგი აღნიშნავს, რომ ამ კონცეპტთან მიმართებით არსებობს გრიგოლ ღვთისმეტყველის „იჭუნეულობა“ ანუ ეჭვები, მეწყეობა. ნიკიტა სტითათის აღნიშნულ სიტყვებს მისი თხზულებების, მათ შორის აღნიშნული ეპისტოლის, გამომცემელი ჟ. დარუხესი შემდეგ კომენტარს უკეთებს; „როგორც შენიშნულია, ღვთისმეტყველის ეჭვი ეხება უფრო მეტად წყობის და განათლების ტერმინებს შორის არსებულ მიმართებას“ (Nicetas Stéthatos 1961: 237).

ვფიქრობთ, რომ ეჭვსა და ბუნდოვანებას ნაზიანზელის ტერმინებში განაპირობებს სწორედ ზემოთ ნახსენები, ყველასგან განსხვავებული შენამატები: ბრწყინვალებანი, აღსავალნი, წმიდა და უზადო ბუნებანი. ეჭვს ასევე განაპირობებს ისიც, რომ ნაზიანზელის მიერ ნაჩვენები არ არის ანგელოზებს შორის რანგების მიხედვით არსებული განსხვავებები, ნაჩვენები არ არის იერარქიის საფეხურები. სწორედ ამიტომ, ნიკიტა სტითატი გრიგოლის „იჭუნეულობის“ განმარტების მიზნით შესადარებლად მიმართავს დიონისე არეოპაგელის ანგელოზთა დასებს, რადგან მათ გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოგიასთან შედარებით სისტემატიზირებული და ჩამოყალიბებული სახე აქვთ. ნიკიტა სტითატის შენიშვნით, ანგელოზების რანგის, ძალებისა და გამობრწყინვებათა მკვლევარებისაგან ზედმინევნით ვისწავლეთ და მათთან დათანხმება უეჭველად გვმართებს, როგორც უფრო ადრინდელ მოღვაწეებთან და ქრისტეს მსახურებად განწესებულებთან, ვიდრე საღმრთო მამა გრიგოლთან. ვინ არიან ისინი? მესამე ცამდე ამაღლებული პავლე, რომელმაც იქ არსებული სახილველი ყოველივე აღიქვა, უთქმელი სიტყვები მოისმინა, და დიონისე არეოპაგელი, მისი მოწაფე, რომელსაც პავლემ ყოველივე, რაც იხილა და ისმინა, საიდუმლოდ გამოუცხადა და მათი აღწერა უბრძანა. როგორც ვხედავთ, ნიკიტა სტითატი ანგელოზთა იერარქიაში სრული და გარკვეული სურათის წარმოდგენის პრიორიტეტს პავლე მოციქულსა და დიონისე არეოპაგელს ანიჭებს.

კომენტარებისას ნიკიტა სტითატი ზუსტად ასახელებს თავის წყაროს ანუ: „ზეცათა მღვდელმთავრობისათვის“ მე-4 და მე-10 თავებს, სადაც მისი სიტყვებით, ზეციური იერარქიის (მღვდელმთავრობის) პრინციპები დადგენილია უზენაესი იერარქის მიერ: თითოეულ იერარქიას პირველი და საშუალო და უკანასკნელი აქვს რანგი და ძალი (S-1463, 276v). სამი წყობის ანგელოზები უზენაეს დასაბამთან სიახლოვის შემდეგი პრინციპით არიან დაყოფილნი: საღმრთო ზიარებაში პირველი ანუ ზენა რანგის ანგელოზები ხელმძპვრობელ (დამხმარე) არიან საშუალოთა, ეს უკანასკნელნი – უდარესთა ანუ დაბალი რანგის ანგელოზებისა. უმაღლესი თავის მომდევნოს გადასცემს საღვთისმეტყველო [საიდუმლო] ცოდნას. ანგელოზთა მსგავსი პრინციპით გამოყოფილი ტრიადები დიონისე არეოპაგელის კონცეპტია.

ნიკიტა სტითატი ანგელოზთა დასების პარალელურად საეკლესიო ტრიადოლოგიურ წყობებსაც იძლევა: ზეციური იერარქიის შესატყვისი კაცობრივი ანუ საეკლესიო იერარქია სპეციალურად განხილულია ნიკიტა სტითატის მიერ თავის ნაშრომში: „იერარქიის შესახებ“.²

² სამწუხაროდ, ნიკიტა სტითატის ტრილოგიის ეს ნაწილი არსენ იყალთოელს ქართულად არ უთარგმნია.

ზეციური და საეკლესიო იერარქიის ტრიადები ასეთია:

- საყდარნი (Qronoi) ————— პატრიარქნი (patriarchai)
 ქერუბინნი (Ceroubim) ————— მიტროპოლიტნი (metropolitai)
 სერაფიმნი (Serafim) ————— მთავარეპისკოპოსნი (archiepiskopoi)
 უფლებანი (Kuriotthe-) ————— ეპისკოპოსნი (episkopoi)
 ძალნი (Dunamei-) ————— მღვდელნი (presbuteroi)
 ჯელმნიფებანი (Exousiai) ————— დიაკონნი (diakonoi)
 მთავრობანი (Ἱercai) ————— ჰიპოდიაკონნი (hypodiakonoi)
 მთავარანგელოზნი (ἹArcaggeloi) ————— მკითხველნი (ἵanagnwstai)
 ანგელოზნი (ἸAggeloi) ————— მონაზონნი (monacoii)

თითოეულ ზეციურ და საეკლესიო იერარქიას თავ-თავისი აქვს: პირველი და საშუალო და დასასრული დასნი და ძალნი. თითოეულ ამ ნყოფას, ანგელოზთა ნყოფის შესატყვისად, საღმრთო ზიარების თავისი ხარისხი აქვს. დიონისე არეოპაგელის ანგელოზთა დასების რაოდენობა და იერარქიის პრინციპები ნიკიტა სტითატისთვის სრულიად ნათელი და მისაღებია. დიონისე არეოპაგელის, როგორც „ღვთის სიტყვის მსახურის“, სისტემატიზირებული იერარქია აღმოჩნდა ისეთი მოტივაცია, რომლითაც ნიკიტა სტითატმა შესაძლებლად სცნო გარკვეულობა და ახსნა შეეტანა იმ „იჭუნეულობაში“, რომელსაც გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოზთა იერარქიაში ხედავდნენ XI საუკუნეში და ხედავენ დღესაც.

ზეციური და საეკლესიო იერარქიული დასების შესახებ, განმარტების მიზნით, ადრესატისადმი მიწოდებული ინფორმაცია სტითატის მიერ შეჯამებულია დასკვნითი მსჯელობით იმის შესახებ, რომ „სიტყვის მსახური“ (υπερηχτου Λογου) დიონისე არეოპაგელის მოძღვრების გაცნობის შემდეგ, მკითხველებს აღარ ეეჭვებათ ანგელოზთა დასების ნყოფისა და პრინციპების გაგება. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ღვთისმსახურნი საღმრთო მამის, გრიგოლის, ანგელოზთა დასებში „იჭუნეულობის“ გამო, მის მოძღვრებას აკნინებენ. „*ნუ იყოფინ, არა ესოდენ ცნობავნებულ ვართ, არამედ ვითარცა მათთა შემომღებელთა, რომელნი ღმრთისმეტყუელებათა მისთასა უმოხუცებულეს და სიტყვსა ღმრთისა მონაფეთანი და მის მიერ საღმრთოთა და კაცობრივთა უსრულესობით განსწავლულთანი არიან*“ (ნიკიტა სტითატი 2013: 361). ანუ დღევანდელი ქართული რომ ვთქვათ: ღმერთმა დაიფაროს, იმდენად არ ვართ ცნობიერებიდან გადასული. მათ იმიტომ მივმართეთ, რომ ისინი [ჰაველე მოციქული და დიონისე არეოპაგელი] გრიგოლ ღვთისმეტყველზე ადრე იყვნენ და პირველობა საღმრთო და კაცობრივი რაობების შესახებ ღვთისმეტყველებაში მათ ეკუთვნით.

როგორც ვხედავთ, ნიკიტა სტითატის აზრით, გრიგოლ ღვთისმეტყველის ანგელოზთა დასების მიმართ არსებული „იჭუნეულობა“ რაიმე არსებითი უზუსტობით კი არ არის გაპირობებული, არამედ ნაკლები სრულყოფილებით, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნაზიანზელის მიერ არ არის მითითებული

ანგელოზთა შორის რანგებით გაპირობებული განსხვავება.

გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოგია რომ გარკვეულად პრობლემატური იყო შუა საუკუნეებში, ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ გრიგოლამდეც და შემდგომი პერიოდის ღვთისმეტყველთა შრომებშიც განხილულია ანგელოზთა იერარქია, მაგრამ მათგან მხოლოდ ნიკიტა სტითატის მხრივ გახდა განსჯისა და სპეციალური განმარტების ობიექტი გრიგოლ ნაზიანზელის კონცეპტი ანგელოზთა იერარქიის შესახებ მისი დაზუსტებისა და სწორად შეფასების მიზნით. ეს გარემოება კიდევ ერთი საბუთია გრიგოლ ნაზიანზელის მოძღვრებით დაინტერესებულობისა და მისი, როგორც უდიდესი ღვთისმეტყველის, ავტორიტეტის აღიარების სასარგებლოდ.

III. გრიგოლ ნაზიანზელის ზეციური ძალების პრობლემებით დაინტერესებამ ძველ ქართულ მწერლობაშიც იჩინა თავი. ქართულ ღვთისმეტყველებაში ანგელოზების შექმნის საკითხებზე ყურადღება გაამახვილა ეფთვიმე მთანმიდელმა თავის საღვთისმეტყველო ნაწარმოებში „წინამძღუარი“. როგორც ცნობილია, ეფთვიმე მთანმიდელს „წინამძღუარი“ ძირითადად შედგენილი აქვს იოანე დამასკელის „გარდამოცემის“, ანასტასი სინელის „წინამძღურისა“ და ნაწილობრივ, სხვა ავტორთა ნაშრომების საფუძველზე. მაგრამ კომპილაციის ის მეთოდი, რომლითაც შედგენილია ეს თხზულება, იმდენად ორიგინალურია და ქართველი მოღვაწის საკუთარი მოსაზრებებით გაჯერებული, რომ მიღებული აზრის თანახმად, იგი ეფთვიმეს ნახევრად ორიგინალურ შრომად არის აღიარებული (წინამძღუარი 2007: 9-139).

ეს მოსაზრება, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ სხვა მრავალ ტექსტობრივ მონაცემთან ერთად, თავის დადასტურებას პოულობს გრიგოლ ნაზიანზელის ანგელოგიის მიმართ ეფთვიმეს დამოკიდებულების ფაქტშიც. მიუხედავად იმისა, რომ ანგელოგიის პრობლემების განხილვისას ეფთვიმე მთანმიდელი თავის ძირითად წყაროს, იოანე დამასკელის „გარდამოცემას“, ეყრდნობა, ზეციური ძალების შექმნის საკითხის განხილვისას იგი გრიგოლ ნაზიანზელის ანალოგიური პრობლემის შემცველ ტექსტთან მეტ სიხლოვეს ავლენს, ვიდრე „გარდამოცემასთან“. ვნახოთ ეს ტექსტების შედარებით:

- გრიგოლ ნაზიანზელი: „პირველ მოიგონნა ანგელოზთა იგი ძალნი ზეცისანი, და მოგონებაჲ მისი საქმე იყო, სიტყვათა აღსრულებული და სულითა სრულქმნილი“ (Sancti Gregorii Nazianzeni 2001: 28, 37, 38).
- იოანე დამასკელი: „პირველად მოიგონნა ანგელოზებრნი ძალნი და ზეციერნი, და მოგონებაჲ საქმე იყო“ (იოანე დამასკელი 2000: 79).
- ეფთვიმე მთანმიდელი: „პირველ უკუე სხუათა დაბადებულთასა მოიგონნა ანგელოზნი, და მოგონებაჲ მისი საქმე იყო, სიტყვათა აღსრულებული და სულითა სრულქმნილი“ (წინამძღუარი 2007: 183).

მოყვანილ კონტექსტში აშკარაა თანხვედრა გრიგოლ ნაზიანზელის ტექსტსა და ეფთვიმეს „წინამძღუარს“ შორის. ხაზგასმული ფრაზა არის ნაზიანზელისა

და ეფთვიმეს ტექსტებში, არ არის იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“. ღმერთის მიერ პირველად გონიერი არსებების შექმნა, შემდეგ – გრძნობადისა და ბოლოს, ადამიანის შექმნა – მსჯელობათა მთელი კონტექსტი „წინამძღუარში“ „გარდამოცემისგან“ განსხვავებით, ნაზიანზელის შობის ჰომილიასთან (Or. 38) თანხვედრას ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ „წინამძღურის“ მთავარი წყარო ეფთვიმესთვის არის დამასკელის „გარდამოცემა“, ანგელოზების შექმნის საკითხის განხილვისას აშკარად იგრძნობა, რომ ეფთვიმე უშუალოდ ნაზიანზელის ჰომილიითაც სარგებლობს.

გარდა ტექსტობრივი სიახლოვისა, „წინამძღუარში“ დამასკელის „გარდამოცემისგან“ განსხვავებით, ორჯერ არის დამონმებული ნაზიანზელის აზრი ანგელოზების სხვა აგებულებზე უწინარეს შექმნის შესახებ. ქართველი მწერლის მიერ ნაზიანზელის მოსაზრების ორჯერ დამონმება თავისთავად მეტყველებს იმის შესახებ, თუ რამდენად ანგარიშგასანევია მისთვის კაპადოკიელი ღვთისმეტყველის შეხედულება. ეფთვიმეს „წინამძღურის“ სიახლოვე უშუალოდ გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიასთან მოულოდნელი არ არის, რადგან, როგორც ცნობილია, ეფთვიმეს თავად აქვს თარგმნილი ნაზიანზელის ჰომილიები.

ჩვენს მიერ მოხმობილი მასალა, ვფიქრობთ, თვალნათლივ ავლენს იმ აღიარებასა და გავლენას, რაც გრიგოლ ნაზიანზელის ღვთისმეტყველებას ჰქონდა XI საუკუნეში როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ მწერლობაში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **იოანე დამასკელი** 2000: წმ. იოანე დამასკელი, ზედმიწევნითი გადმოცემა მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაჲ, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ძველი ქართული ტექსტები, გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ედ. ჭელიძემ, თბ., 2000.
2. **ნიკიტა სტითატი** 2013: ნიკიტა სტითატი, დოგმატიკონი, II, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მაია რაფავამ, ლექსიკონი დაურთო ნანა ჩიკვატიამ, თბ., 2013.
3. **წინამძღუარი** 2007: წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თ. ჭყონიამ და ნ. ჩიკვატიამ, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ, თბ., 2007.
4. **Noret** 1983: Noret J., Grégoire de Nazianze, L'auteur le plus cité, après la Bible, dans la Littérature ecclésiastique byzantine, Studien zur Geschichte und Kultur der Altertums 2, band II, Symposium Nazianzenum, 1983.
5. **Roques** 1970: Roques R., Introduction, dans: Denis I' Areopagite, La Hierarchie celeste, SC 58, Paris, 1970.
6. **Sancti Gregorii Nazianzeni** 2001: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica III, Oratio XXXLIII ed. H. Metreveli et al, Turnhout-Leuven, 2001.

7. **Sancti Gregorii Nazianzeni** 2007: Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica V, Orationes XXXIX et XL, ed. H. Metreveli et al, Turnhout-Leuven, 2007.
8. **Nicetas Stéthatos** 1961: Nicetas Stéthatos, Opuscules et letters, Introduction, texte critique, traduction et Notes par J. Darrouzes, A. A., Paris, 1961.

Maia Raphava

THE THEOLOGICAL CONCEPTS OF GREGORY OF NAZIANZUS IN LITERATURE OF THE ELEVENTH CENTURY

SUMMARY

Both Georgian and Byzantine literature of the eleventh century reveal many traces of the theological influence of Gregory of Nazianzus (an author from the fourth century). This article discusses some concepts of Nazianzen in works of the Byzantine writer Nicetas Stethatos and the Georgian clergyman Euthymius of Athos.

The theological views of Gregory of Nazianzus on the dual nature of Christ (according to homilies Or.38 and Or.39) served as an ideological and methodological basis for the five words of Nicetas Stethatos against Armenian Monophysitism. The use of St. Gregory's works by Nicetas becomes obvious, if one notice how Stethatos combines early Christian ecclesiastical and theological propositions with later views on confessional polemics.

The influence of Gregory of Nazianzus also reveals itself in Epistle IV by Nicetas Stethatos, in which he discusses skepticism on the hierarchy of Angels, revealed by Gregory of Nazianzus in his first theological homily (Or.28). Comparing the words of Paul the Apostle on the hierarchy and data from Pseudo-Dionysius the Areopagite's work "Celestial Hierarchy", Nicetas Stethatos tries to reveal the true essence of the hierarchy of Angels.

An echo of the same Gregory of Nazianzus' concept on the hierarchy of Angels can be found in "The Guide" by Euthymius of Athos. Euthymius used John of Damascus' "Exposition of the Orthodox faith" as the main source for "The Guide", but in his discussion of the heavenly forces Euthymius reveals more affinity to works of Gregory of Nazianzus than to John of Damascus.

ალექსი ოსტროვსკი

„დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის დათარიღებისა და შედგენილობისათვის

არსენი იყალთოელის „დოგმატიკონის“ ყველაზე მნიშვნელოვან ნუსხას წარმოადგენს S-1463 ხელნაწერი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). პირველად ხელნაწერი დაათარიღა თ. ჟორდანიამ, რომელმაც ის მასალის (ქალაქი) და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XII-XIII სს. მიაკუთვნა (ჟორდანიას 1892: 309). იგივე დათარიღება გაიზიარა ა. ბაქრაძემ S კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობაში (S ფონდის აღწერილობა 1961: 213). შემდგომში, კოდიკოლოგიური მონაცემებისა და მარგინალების საფუძველზე, ი. ლოლაშვილმა ხელნაწერი XII საუკუნის 20-30-იანი წლებით დაათარიღა (ლოლაშვილი 1978: 144), ხოლო ლ. ქაჯაიამ, ემყარებოდა რა S-1463 ხელის მსგავსებას Q-37 ხელნაწერის ერთ-ერთ ხელთან, S-1463 XI საუკუნის დასასრულისა – XII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერად გამოაცხადა (ქაჯაია 1969: 180). მიუხედავად ლ. ქაჯაიას და ი. ლოლაშვილის მყარი არგუმენტებისა, S-1463 ხელნაწერის ყველაზე მიღებულ დათარიღებად დღემდე რჩება „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის“ თარიღი – XII-XIII სს.

თ. ჟორდანიას მიერ S-1463 ხელნაწერის დათარიღების შემდეგ ქართულ პალეოგრაფიაში არსებითი პროგრესი იქნა მიღწეული. წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ S-1463-ის პალეოგრაფიულ თავისებურებებს და შევეცდებით წარმოვადგინოთ მათგან გამომდინარე დასკვნები ხელნაწერის დათარიღებასთან დაკავშირებით, ასევე ვეცდებით გამოვავლინოთ ხელნაწერის რამდენიმე კოდიკოლოგიური თავისებურება, რომლებიც ნათელს ფენენ S-1463-ის შედგენილობასა და ისტორიას.

ზოგადი ცნობები

მოგვაქვს ხელნაწერის გამოქვეყნებული აღწერილობა მთლიანად:

„**არსენ ვაჩეს ძე. დოგმატიკონი. XII-XIII.** 312 ფ.; 34,2×25,2; ეტრატი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; აქვს ზემო და ქვემო ყდის საცავი ფურცლები; ნუსხური, სათაურები სინგურით; დაწერილია ორ სვეტად; [XII-XIII ს.ს.]; მთარგმნელი არსენ ვაჩეს ძე (1r, 39v, 103r); შემოწირული იასონ

— „დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის დათარიღებისა და შედგენილობისათვის

დავითის ძე ციციშვილის მიერ (ზემო ყდის საცავი ფურცელი)“ (S ფონდის აღწერილობა 1961: 213).

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ხელნაწერის მასალა არის ქალღი და არა ეტრატი. კორექტივი შეგვაქვს მთარგმნელის სახელშიც – **არსენი ვაჩესძე** (იხ. ff. 102v, 223r *marg.*, 228r *marg.*).

პალეოგრაფიული ანალიზი

S-1463 ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ხელს:

- S-1463/a (ff. 1r-312v) – ხელნაწერის ძირითადი ხელი. ნუსხური; განიერი კალამი.
- S-1463/b (f. 3rb_{23-33/51})¹ – ანასტასი სინელის „წინამძღურის“ მეორე თავის დასაწყისის ფრაგმენტის ხელი. ნუსხური კურსივი; განიერი კალამი.
- S-1463/c (f. 54ra-b₁₋₃) – იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ დასაწყისის ხელი. ნუსხური; განიერი კალამი ან ფრთა.
- S-1463/d (f. 276ra_{7-36/59}) – ნიკიტა სტითატის „სამოთხისათვის“ ფრაგმენტის ხელი. ნუსხური, კურსივის ელემენტებით; განიერი კალამი.
- S-1463/e (f. 310ra_{37-58/58}-b) – „ვსენებაჲ სიტყვს გებისაჲ და სასჯელისაჲ შჯულისათჳს ქრისტეანეთაჲსა და სარკინოზთა“ ფრაგმენტის ხელი. ნუსხური; განიერი კალამი. ძალიან ჰგავს S-1463/d ხელს, მაგრამ მისი იდენტური არ არის (განსხვავდება **ა**-ს დახრა და **გ**-ს მოხაზულობა).
- S-1463/z (f. 312vb_{20-43/43} და იმავე ფურცლის მარგინალიები) – ბოლო ფურცლის მინანურების ხელი. ნუსხური; წვეტიანი კალამი. ახლოს არის ხელნაწერის ძირითად ხელთან (S-1463/a), მაგრამ z ხელის ინსტრუმენტი და სტილი განსხვავებულია S-1463/a ხელისაგან, ამიტომ მთლად ნათელი არ არის, z ხელი წარმოადგენს თუ არა a ხელის სწრაფწერას, თუ ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა ხელთან.

S-1463 ხელნაწერი შესრულებულია ნუსხური ხელით (S-1463/a), რომელიც აშკარად არ სცილდება XI-XIII საუკუნეების ფარგლებს. ი. აბულაძის პალეოგრაფიული ნიმუშებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ამ პერიოდის ნუსხურის დასათარიღებლად ყველაზე მნიშვნელოვან გრაფემებს წარმოადგენენ **ჩ** და **ა**, რომელთაც XI-XIII საუკუნეებში თვალსაჩინო ცვლილებები ახასიათებთ (აბულაძე 1973: XII-XIII). იმ პერიოდში **ჩ**-ს ფორმა არსებითად იცვლებოდა (სურ. 1): ძველი ფორმები, რომელთაც ერთადერთი ჰორიზონტალური ელემენტი აქვთ (ან ადა [I.a],² ან ფხით (კალმის წვრილი გაკვრით) [I.b]), ნიმუშების მიხედვით, თან-


¹ აქაც და შემდგომშიც პეტიტით მითითებულია სტრიქონთა ნომრები. წილადების ხაზით ვუჩვენებთ სვეტში სტრიქონების საერთო რაოდენობას.

² აქაც და შემდეგაც, **ჩ**-ს ფორმებთან მოცემულია შესაბამისი ნომერი სურ. 1 მიხედ-


დათან იცვლებოდა გარდამავალი ფორმებით (ამოზნექილი [II.a], სწორი [II.b] და ჩაზნექილი [II.c] კიდურებით), რომლებიც შემდეგ შეიცვალა **F**-ს ახალი ფორმებით (ან ჩამოყალიბებელი, შეუნყობელი კიდურებით [III.a], ან სრულიად ჩამოყალიბებული, ორი ერთმანეთთან შენყობილი ჰორიზონტალური ელემენტით [III.b]). იმავე პერიოდში **ა** ვარირებდა ღიაობის (გახსნის) კუთხით (სურ. 3), რომელიც იცვლებოდა 180°-დან 90°-მდე [9:00-12:00] (სურ. 2).³

ქვემოთ, თუკი წყარო მითითებული არ არის, გრაფემების თავისებურებების აღწერისას ჩვენ შემდეგ თარიღიან ხელნაწერებს ვეყრდნობით:

- XI საუკუნის დასასრული – XII საუკუნის დასაწყისი: Q-37 (1091 წ.), S-4999 (XII ს. პირველი მეოთხედი).
- XII საუკუნის შუა ხანები: H-1661 (1156 წ.) და Ven.4 (1161 წ.);
- XII საუკუნის დასასრული – XIII საუკუნე: A-65 (1188/1210 წ.), Q-907 (1195 წ.), H-1791 (1213/1216 წ.), Q-902 (1300 წ.) და H-1344 (1304 წ.);⁴



სურ. 1. **F** ნიმუშები.



სურ. 3. **ა** ღიაობის კუთხე.



სურ. 2. **ა** ნიმუშები.

F. XI საუკუნის ხელნაწერებისთვის დამახასიათებელია **F**-ს ძველი ფორმა, უფრო ხშირად ფხით [I.b] (ხაჭომია 1953: 60), ხოლო უკვე XI საუკუნის შუა ხანებიდან გვხვდება გარდამავალი ფორმები [II.a-c] (*ibid.* 128; ტაბ. XXIV). XI საუკუნის დასასრულისა და XII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერებში **F**-ს აქვს ამოზნექილი გარდამავალი ფორმა [II.a]. XII საუკუნის შუა ხანებში შეიმჩნევა გარდამავალი ფორმებიდან [II] ახალ ფორმებზე [III] გადასვლა. ასე, Ven.4 ხელნაწერში **F**-ს აქვს ჩაზნექილი გარდამავალი ფორმა [II.c], რომელიც ახლოს არის ახალ შეუნყობელ ფორმასთან [III.a]; ხოლო H-1661 ხელნაწერში **F**-ს ფორმა

ვით.

³ თვალსაჩინოების მიზნით, ღიაობის კუთხის საჩვენებლად, ჩვენ ვიყენებთ კუთხის გრადუსის ზომას საათის ციფერბლატზე ისრის მდებარეობის შესაბამისად (სურ. 3).

⁴ ჩვენი მოსაზრებით, 1300 და 1304 წლების ხელნაწერები ადეკვატურად გამოხატავენ XIII საუკუნის დასასრულის გრაფემების პალეოგრაფიულ ნიშნებს. (1220-1299 წლებით დათარიღებული ხელნაწერები არ მოგვეპოვება).

დამოკიდებულია სემანტიკაზე: რიცხვებში გამოიყენება მთავრული ამოზნექილი ან სწორი გარდამავალი ფორმები [II.b,c], ხოლო სიტყვებში ასოსთვის – ახალი ფორმებია [III.a,b].⁵ XII საუკუნის დასასრულისა და XIII საუკუნის დათარიღებულ ხელნაწერებში **F**-ს აქვს უკვე ახალი ფორმები – როგორც ჩამოყალიბებული [III.a], ასევე სრულიად ჩამოყალიბებული [III.b]. S-1463-ში დასტურდება **F**-ს ამოზნექილი გარდამავალი ფორმა [II.a]. რადგანაც ეს ფორმა არ გვხვდება XII საუკუნის დასაწყისის შემდეგ, ამ თავისებურების გამო ხელნაწერი უნდა დავათარიღოთ XI საუკუნის დასასრულით – XII საუკუნის დასაწყისით.

ა. XI საუკუნეში **ა**-ს ახასიათებს თითქმის ჰორიზონტალური ღიაობის კუთხე 180-150°-ზე [9:00-10:00], უპირატესად გახსნილი 150°-ზე XI საუკუნის შუა ხანიდან [10:00] (ხაჭომია 1953: 128; ტაბ. XXIV). XI საუკუნის დასასრულისა და XII საუკუნის დასაწყისის ხელნაწერებში **ა** გახსნილია უკვე 150-135°-ზე [10:00-10:30]. XII საუკუნის შუა ხანებში **ა**-ს ღიაობის კუთხე ზემოთკენ კიდევ უფრო იზრდება – 135-105°-მდე [10:30-11:30], და XII საუკუნის დასასრულსა – XIII საუკუნეში გრაფემა უკვე გახსნილია თითქმის ვერტიკალურად – 105-90°-ზე [11:30-12:00]. S-1463-ში **ა** გახსნილია 150-143°-ზე [10:00-10:15], რაც მიუთითებს, რომ იგი უნდა დათარიღდეს XI საუკუნის შუა ხანით – XII საუკუნის დასაწყისით.

ზემოთქმულის საფუძველზე S-1463 ხელნაწერის საბოლოო თარიღად უნდა მივიღოთ XI საუკუნის დასასრული – XII საუკუნის დასაწყისი. ხელნაწერის პალეოგრაფიული თავისებურებები არ იძლევა საშუალებას იგი XII საუკუნის შუა ხანით ან უფრო გვიანდელი პერიოდით დავათარიღოთ. XI საუკუნის დასასრულითა და XII საუკუნის დასაწყისით დათარიღებას მხარს უჭერს S-1463-ის სხვა დანარჩენი ხელიც: S-1463/z-ის პალეოგრაფიული ნიშნები იდენტურია S-1463/a-სი, S-1463/b ხელი იმავე ნიშნების მიხედვით უნდა დათარიღდეს XI საუკუნის ბოლოთი, ხოლო S-1463/c, S-1463/d და S-1463/e ხელი – XII საუკუნის დასაწყისით.

S-1463-ის დათარიღების აბსოლუტურ ქვედა ზღვარს წარმოადგენს 1080 წელი – „დოგმატიკონში“ ჩართული ნიკიტა სტიტატის თხზულებათა კოლექციის შედგენის თარიღი, რომელიც დადგენილია ნიკიტას კოლოფონის კორექტირებული ნაკითხვის შედეგად (Ostrovsky... 2014: 388). ამკარაა, რომ ეს თარიღი არსენის თარგმანისთვის წარმოადგენს *terminus ante quem non*-ს. ვფიქრობთ, რომ მინაწერები, რომლებიც მოიხსენიებენ არსენს, როგორც გარდაცვლილს (ff. 264v, 304v), არ წარმოადგენს მყარ საფუძველს S-1463-ის დათარიღებისათვის, რადგანაც ჩვენ ზუსტად არ ვიცით არც არსენის გარდაცვალების წელი, არც ის, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა მუშაობა S-1463-ზე,⁶ არც ის, მარგი-

⁵ H-1661: ff. 12v, 15v, 59v, 125r; 137r, 138v, 13r. სიტუაცია, როდესაც გრაფემების არქაული ფორმები დაცულია რიცხვების აღსანიშნავად, საკმაოდ ჩვეულებრივი მოვლენაა (e.g. ბერძნულ დამწერლობაში დიგამა ანბანიდან გაქრა ბევრად ადრე, ვიდრე იგი რიცხვით ნოტაციაში სტიგმით შეიცვლებოდა).

⁶ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ S-1463 წარმოადგენს „დოგმატიკონის“

ნალიები თანადროულია თუ არა ხელნაწერის ძირითადი ტექსტისა. სრულიად სარწმუნოდ ჩანს, რომ მარგინალების ნაწილზე მუშაობა მიმდინარეობდა ჯერ კიდევ არსენის სიცოცხლეში (ლოლაშვილი 1978: 143).

S-1463-ის მიმართება Q-37 ხელნაწერთან

S-1463 ხელნაწერის შედარებითი კვლევისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ნუსხად უნდა მივიღოთ ხელნაწერი Q-37 (Q ფონდის აღწერილობა 1957: 43-44), რომლის ხელი ძალიან ჰგავს S-1463-ის ხელს. პალეოგრაფიის თვალსაზრისით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია Q-37-ის შემდეგი სამი ნაწილი:

- Q-37/a (ff. 1r-324v) – ხელნაწერის ძირითადი ნაწილი, რომელიც შეიცავს „ფსალმუნთა თარგმანებას“. ეს ნაწილი მთავრდება კოლოფონით, რომელშიც მოცემულია დაწვრილებითი ცნობები Q-37/a-ს შესახებ: ხელნაწერი გადაწერილია 1091 წელს იოანე მთავარაიძის მიერ, კასტანას მონასტერში, შავ მთაზე (ანტიოქიაში).
- Q-37/b (ff. 325r-333r) – ხელნაწერის დამატებითი ნაწილი, რომელიც შეიცავს ტექსტს „გალობაჲ მოსესი წიგნისაგან გამოსლვათაჲსა...“. b ხელი ძალიან ჰგავს a ხელს და გამორიცხული არაა, რომ ისინი ერთსა და იმავე პირს ეკუთვნოდეს.
- Q-37/z (f. 333rb) – მინაწერი, რომელიც დასტურდება Q-37-ის ბოლო ფურცლის მეორე სვეტში. z ხელის სტილი და ინსტრუმენტი განსხვავებულია a და b ხელისაგან, ამიტომ ძნელია თქმა იმისა, როგორ შეეფარდება ეს ხელი წინა ორ ხელს.

ლ. ქაჯაიას შენიშვნით, S-1463/a ხელი „ძალიან ჰგავს“ Q-37/b ხელს, ხოლო Q-37/z ხელი – ეფრემ მცირის ხელს (ქაჯაია 1969: 180).⁷

Q-37/a, Q-37/b და S-1463/a ხელების შედარების მიზნით ჩვენ ავიღეთ:

- Q-37/a (იოანე მთავარაიძის) ხელის ერთი ნიმუში (f. 85r);
- Q-37/b ხელის სამი ნიმუში (ff. 325r, 331r, 333r);
- S-1463/a ხელის სამი ნიმუში, რომლებიც ასახავენ ხელნაწერის დასაწყისის (ff. 2r, 8v), შუა ადგილის (ff. 154r-v) და დასასრულის (f. 308v) ხელს.

Q-37/a, Q-37/b და S-1463/a ხელის შედარება წარმოდგენილია I ტაბულაში (იხ. გვ. 114-115).

ერთ-ერთ ძირითად ნუსხას, რომელიც მნიშვნელობით თითქმის უტოლდებოდა ავტოგრაფს. S-1463-ის მარგინალებზე რედაქტორული მუშაობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო დიდ ხანს, საკუთრად ხელნაწერის დასრულების შემდეგაც.

⁷ ტექსტში, როგორც ჩანს, აღრევაა: Q-37/b ხელი შედარებულია ეფრემის ხელს, ხოლო Q-37/z ხელი – S-1463-ს.


S-1463/a ხელის (ტაბ. I.V-VII) დამახასიათებელი თავისებურებები ასეთია:

- **Ⴀ** ამოზნექილი გარდამავალი ტიპისა [II.a];
- **Ⴁ** გახსნილია 150-143°-ზე [10:00-10:15];
- სწორი **Ⴂ**, რომლის ზედა ნაწილი T-ს მსგავსი მოხაზულობისაა – ჰორიზონტალური ელემენტისა და ვერტიკალური შემაერთებული შტრიხის გაზნექის გარეშე, ამავე დროს ჰორიზონტალური ელემენტის ბოლოები ან სწორია, ან მოხრილია ქვემოთკენ;
- **Ⴃ**-ს ფორმების მერყეობა, როცა ძირითად შტრიხს ზედა ნაწილი ხშირად მოკლე აქვს, რაც იწვევს **Ⴃ** და **Ⴃ** შორის მცირე სხვაობას;
- **Ⴄ**-ის ისეთი ფორმის გამოყენება, რომელსაც აქვს მარყუჟი რბილი მოხრით და მცირე ღიაობით;
- **Ⴅ**-ისა და **Ⴆ**-ის იდენტური კიდურები, მცირე გაზნექით;
- **Ⴇ** ფართო ფორმისა, რომლის ფეხი სწორია (გაზნექილი არ არის) და მიმართულია მარჯვნივ;
- **Ⴈ**-ის დირე მოთავსებულია სტრიქონის შუაში.

Q-37/b ხელს უბრალოდ მხოლოდ ის თავისებურებები კი არ გააჩნია, რაც S-1463/a-ს, არამედ პრაქტიკულად იდენტურია „დოგმატიკონის“ ხელისა. გამონაკლისს წარმოადგენს: **Ⴉ**-ის ჰორიზონტალური ხაზი, რომლის ბოლოები S-1463-ში ჩვეულებრივ სწორია; **Ⴊ**-ის ფეხის უფრო დიდი გაზნექა; და მთელი რიგი ასოების შედარებით დიდი დახრილობა მარჯვნივ. ეს განსხვავება შეიძლება აიხსნას ინდივიდუალური ხელის დროთა ვითარებაში ცვლილებით. ასე, S-1463-ის დასაწყისში რეგულარულად გვხვდება **Ⴉ**-ის ფორმები, რომლებიც იდენტურია Q-37/b-ს ფორმებისა, მაშინ, როცა ხელნაწერის დასასრულს, სურათი იცვლება (ე. ი. Q-37/b უფრო ადრეა გადაწერილი, ვიდრე S-1463). იგივე სიტუაციაა **Ⴊ**-თან დაკავშირებით: Q-37/b-ს დასასრულის გამარტივებული ფორმები იდენტურია S-1463-ის ფორმებისა (და ისევ, Q-37/b უფრო ადრინდელი უნდა იყოს S-1463-ზე). კალმის სტრიქონთან მიმართებით დახრილობის კუთხე ორივე ხელისთვის ასევე ერთნაირია – 30°-ის ახლოსაა (**Ⴃ**, **Ⴄ** და **Ⴅ** ასოების დასაწყისში, და **Ⴇ** ასოს დასასრულში). ჩვენ ვფიქრობთ, რომ S-1463/a ხელი ეკუთვნის იმავე პიროვნებას, ვისაც ეკუთვნის Q-37/b ხელი.

Q-37/a ხელი (ტაბ. I.I), როგორც ჩანს, სავსებით იდენტურია Q-37/b ხელისა (ტაბ. I.II-IV). ერთი შეხედვით, გამონაკლისს წარმოადგენს **Ⴋ**, რომელსაც Q-37/a-ში ოდნავ გრძელი დაბოლოება აქვს, ვიდრე ეს არის Q-37/b-ში, მაგრამ **Ⴋ**-ს იგივე ვარიანტი უცხო არ არის Q-37/b-თვისაც (ტაბ. I.III). ჩვენ ვფიქრობთ, რომ Q-37/b-სა და Q-37/a-ს გადამწერი ერთი და იგივე პირია.

a) 

b) 

სურ. 4. **Ⴋ**-ის ფორმები.

Q-37/a, Q-37/b და S-1463/a ხელის დამახასიათებელ ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ **ჟ**-ის კუდის სპეციფიკური v-მსგავსი მოხაზულობა (სურ. 4.a),⁸ რომელიც წარმოადგენს მომდევნო ასოს დასაყრდენს. ჩვეულებრივ, **ჟ**-თვის დამახასიათებელია კუდის სხვაგვარი, z-მსგავსი მოხაზულობა (სურ. 4.b). ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ **ჟ**-ის იგივე ფორმა აქვს Q-37/z ხელის ინიციალებშიც.

ჩვენი მოსაზრებით, შეიძლება ვილაპარაკოთ S-1463/a, Q-37/b და Q-37/a ხელის იდენტიურობის შესახებ, ე. ი. ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ მათი გადამწერი – ერთი და იგივე პირია. ამ დასკვნას მხარს უჭერს ხელნაწერში არსებული მითითებაც იმაზე, რომ S-1463-ის გადამწერის სახელი, როგორც ჩანს, იყო სწორედ **იოანე**: 294r გვერდის ბოლოს დასტურდება მინაწერი „ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდე“, რომელსაც მარგინალიაზე ახლავს მითითება „არსენ[ი]“, და მინაწერი იქვე გრძელდება „უნდომან მეცა მ(იე)რვე ვამეორე“ და იქვე ახლავს მითითება „ი(ოა)ნე“ (S-1463, f. 294rb; იხ. აგრეთვე: ლოლაშვილი 1978, 143).

ზემოთქმულის საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ S-1463-ის გადამწერი უნდა იყოს იოანე მთავარაისძე, რომელიც XI საუკუნის ბოლო მეოთხედში მოღვაწეობდა შავ მთაზე, ანტიოქიაში (რაფავა 2009: 129-130).

S-1463-ის გადამწერის ამ იდენტიფიკაციის სასარგებლოდ ლაპარაკობს Q-37 ხელნაწერის რვეულებრივი პაგინაცია (Q-37 ff. 141r, 149r, 173r, 181r, etc.), რომელიც ხელის, გაფორმებისა და ფურცელზე მდებარეობის მიხედვით მთლიანად ემთხვევა S-1463-ის ff. 103-312 პაგინაციას. მეტიც, რვეულების ნომრები წერია არა მხოლოდ რვეულების პირველ ფურცლებზე, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა, არამედ რვეულების ბოლო ფურცლებზეც, რაც შედარებით იშვიათად გვხვდება (ჯავახიშვილი 1949: 63; დანელია, სარჯველაძე 1997: 297; დანვრილებით იხ. ქვემოთ, S-1463 პაგინაციის განხილვისას).

იმავეს მონიშნავს ხელნაწერის მასალაც – ქალაქი, მაშინ, როცა უფრო მოსალოდნელი იყო ეტრათი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში დაცული XI-XII საუკუნეების 197 ხელნაწერიდან, ქალაქზე შესრულებულია მხოლოდ 31)⁹. მაგრამ ქალაქი სრულიად ჩვეულებრივი იყო ეფრემის სკოლისათვის: ქალაქდზეა დაწერილი საკუთრივ S-1276 (რომელშიც დაცულია ეფრემის ავტოგრაფი), Q-37, A-24 და სხვ. XI-XII საუკუნეების ქალაქზე შესრულებული 8 ხელ-

⁸ სურ. 4.a-ზე წარმოდგენილია **ჟ**-ის ფორმები თანმიმდევრულად Q-37/a, Q-37/b და S-1463/a ხელის მიხედვით.

⁹ ინფორმაცია მოვაქვს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების ყველა გამოქვეყნებული აღწერილობის მიხედვით (A, H, Q და S ფონდები). ჩამოთვლაში არ შედის ხელნაწერები A-601-1040 (რომელთა აღწერილობა ჯერ გამოცემული არ არის) და თვით ხელნაწერი S-1463.

— „დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის დათარიღებისა და შედგენილობისათვის

ნაწერიდან, რომელთა წარმოშობა ჩვენთვის ცნობილია,¹⁰ 5 გადაწერილია შავ მთაზე (კიდევ 2 – ბერთაში და 1 – შატბერდში). სირია იმ დროს წარმოადგენდა ქალაქის წარმოების მნიშვნელოვან ცენტრს, ხოლო ქალაქის ერთი მთავარი ფაბრიკა განთავსებული იყო ჰამაში, მდინარე ორონტესზე (ამავე მდინარეზე მდებარეობს ანტიოქიაც) (Bloom 2001: 51, 56-57). ქალაქთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა ეფრემ მცირის ერთი მინაწერი Jer.13 ხელნაწერში, რომელშიც პირდაპირ მითითებულია იოანე მთავარაიძეს ქალაქის გამოყენებასთან დაკავშირებით: „ლოცვა ყავთ იოვანესთვის ხუცისა მთავარაიძისა, რომელმან არა დაგვჭურვა თვისი ქალაქი სასურველად¹¹ და პური საზრდელად, თანადგომითურთ თვისით“ (Jer.13, f. 250r; გრიგოლ ნაზიანზელი 1988: 163).

S-1463-ის „შავიმთისეულ“ წარმოშობას მონიშნავს S-1463-ის ძირითადი ხელის (S-1463/a) დიდი მსგავსება ეფრემ მცირის სკოლის წარმომადგენელთა ხელთან. ამასთან, S-1463-ის ბოლო ხელი (S-1463/z) ძალიან ჰგავს S-1276 ხელნაწერის ხელს, რომელიც ასევე ეკუთვნის ეფრემ მცირის სკოლას და შეიცავს მის ავტოგრაფს (S ფონდის აღწერილობა 1961: 136-142). ამასვე მონიშნავს S-1463-ის ფურცელთა დიდი ნაწილის დახაზვა, რომელიც სავსებით იდენტურია შავი მთის ხელნაწერების S-384 და Q-37 (ნაწილის) დახაზვისა.

ნებისმიერ შემთხვევაში, რომც არ გავიზიაროთ S-1463-ის გადამწერის იდენტიფიკაცია იოანე მთავარაიძესთან, Q-37-ისა და S-1463-ის ხელის თითქმის სრული იდენტურობა გამორიცხავს იმას, რომ S-1463 დავათარილოთ დროით, რომელიც არსებითად განსხვავებულია Q-37 შექმნის თარიღისაგან (1091 წ.). ამდენად სრულიად მართებულად მიგვაჩნია ლ. ქაჯაიას მოსაზრება S-1463-ის დათარიღებასთან დაკავშირებით (ქაჯაია 1969: 180). S-1463 ხელნაწერის წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს ეფრემ მცირის სკოლასთან.

S-1463-ის პაგინაცია

S-1463 ხელნაწერის დაწვრილებითი კოდიკოლოგიური შესწავლა მეტ ინფორმაციას იძლევა ხელნაწერის შესახებ, აქ ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ხელნაწერის პაგინაციაზე. S-1463 შეიცავს რვეულებისა და ფურცლების ცხრა განსხვავებულ პაგინაციას.

A – რვეულთა ნუმერაცია, დაწერილი სიტყვებით ნუსხურად (ff. 1-102; ყავისფერი მელანი, განიერი კალამი). მოთავსებულია რვეულის პირველი ფურცლის recto-ზე, ზედა ამიის ცენტრში და რვეულის ბოლო ფურცლის verso-ზე, ქვედა ამიის ცენტრში. რვეულების ნომრები დაწერილია ნუსხურად სიტყვებით

¹⁰ იხ. წინა შენიშვნა.

¹¹ var. საწერელად (რაფავა 2009: 130).

(*ე.გ. შილაძეჩი, შიყაძეჩი, შიჯოთასიძეჩი* და ა. შ.) და ოთხივე მხრიდან შემოვლებულია სამწერტილით (:). შესრულებულია ხელნაწერის ძირითადი ხელით (S-1463/a). წყობა: 1-12⁸ 13⁶.¹²

B – რვეულთა ნუმერაცია ასომთავრული ასოებით (ff. 103-312; ყავისფერი მელანი, განიერი კალამი). მოთავსებულია რვეულის პირველი ფურცლის recto-ზე, ზედა აშის ცენტრში და რვეულის ბოლო ფურცლის verso-ზე, ქვედა აშის ცენტრში. რვეულების ნომრები დაწერილია ასომთავრული ასოებით და ოთხივე მხრიდან შემოვლებულია სამწერტილით (:). შესრულებულია ხელნაწერის ძირითადი ხელით (S-1463/a).¹³ წყობა: 1-26⁸ 27² (ნაკლულია).

H – რვეულთა და ფურცელთა ნუმერაცია სომხური ნუსხური ასოებით (ff. 1-312, ხელნაწერი მთლიანად; ყავისფერი მელანი, წვეტიანი კალამი). მოთავსებულია ფურცლების ქვედა აშიაზე, ჩვეულებრივ ცენტრში. რვეულის პირველი ფურცლის recto-ზე დასმულია რვეულის ნომერი სომხური ნუსხური ასოებით ქარაგმით (*ე.გ. Բ*); ბიფოლიოს მარცხენა ფურცლების verso-ზე მიწერილია მათი ნომრები (*ე.გ. Բ, ԲԱ, ԲԱԱ* და *ԲԱԱ-*); რვეულის ბოლო ფურცლის verso-ზე ისევ დასმულია რვეულის ნომერი (*ე.გ. Բ*); ცალკეულ შემთხვევებში ნომერი შესაძლებელია დასმული იყოს ასევე ბიფოლიოს მარჯვენა ფურცლის recto-ზე. პალეოგრაფიული ნიშნებით H პაგინაციის აბსოლუტური საზღვრები არის 1400-1700 წლები (Stone... 2002: 532-535), ხოლო ყველაზე მისაღებ თარიღად – XVI საუკუნის დასასრული.¹⁴ წყობა: 1-12⁸ 13⁶ 14-39⁸ 40² (ნაკლულია).

C – 16-ფურცლიან ბლოკებში ფურცელთა ნუმერაცია მხედრული ასოებით (ff. 1-24; ყავისფერი მელანი, წვეტიანი კალამი). მოთავსებულია recto-ზე, ქვედა აშიაზე, ჩვეულებრივ ცენტრში ან მის გვერდით (ff. 8, 24 – verso-ზე). ფურცლის ნომრები დაწერილია მხედრული ასოებით 1-დან 16-მდე (*ა-ივ*), შემდეგ ნუმერაცია ხელახლა იწყება 1-დან. ხელი XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის უნდა იყოს.¹⁵

D – რვეულთა ნუმერაცია მხედრული ასოებით (ff. 1-40; ყავისფერი მელანი, წვეტიანი კალამი). მოთავსებულია რვეულის პირველი ფურცლის recto-ზე, ქვედა აშიაზე (ჩვეულებრივ ცენტრში). რვეულთა ნომრები დაწერილია მხედრული ასოებით. შესრულებულია იმავე ხელით, რომლითაც პაგინაცია C. წყობა: 1-5⁸.

¹² წყობაში მითითებულია რვეულთა ნომრები, და პეტიტით – რვეულში ფურცელთა რაოდენობა.

¹³ მიუხედავად მასალის სიმცირისა, ამაზე მიუთითებს **Գ** (f. 111r), **Գ** (f. 119r), **Ծ** (f. 127r) და **Ի** (f. 159r) ასოთა ფორმები.

¹⁴ ასოების ფორმები ყველაზე ახლოა შემდეგ სომხურ ხელნაწერებთან: M2964 (1562 წ.), M1253 (1590 წ.) და V582/446 (1596 წ.) (Stone... 2002: 412-413, 420-421, 424-425; ტაბ. 148, 152, 154).

¹⁵ ასოების ფორმები ძალზე ახლოა შემდეგი საბუთების ხელთან: ხეც, Hd-1638 (1695-1700 წწ.; ქართული ისტორიული დოკუმენტები 2014: 85) და სეა, 1448-5011 (1697 წ.; გარეჯის ისტორიული დოკუმენტები 2011: ტაბ. 33-36). შდრ. ასევე Hd-15059 (1692 წლის ახლო პერიოდი; ქართული ისტორიული დოკუმენტები 2014: 84).

M – რვეულთა ნუმერაცია მხედრული ასოებით და არაბული ციფრებით (ff. 1-134; ყავისფერი მელანი, წვეტიანი კალამი). მოთავსებულია რვეულის პირველი ფურცლის recto-ზე, ქვედა აშიაზე (ჩვეულებრივ მარჯვნივ ან ცენტრთან ახლოს). რვეულთა ნომრები დაწერილია მხედრული ასოებით და არაბული ციფრებით. ხელი XVIII საუკუნის შუა ხანის უნდა იყოს.¹⁶ გამორიცხული არ არის, რომ მხედრული ასოებით და არაბული ციფრებით ნუმერაციები განსხვავებული პაგინაცია იყოს (f. 127-ზე ნომერი მითითებულია მხოლოდ არაბული ციფრებით). წყობა: 1-12⁸ 13⁶ 14-17⁸.

Q – რვეულთა ნუმერაცია არაბული ციფრებით (ff. 1-312, ხელნაწერი მთლიანად; ყავისფერი მელანი, კალამი (?)). მოთავსებულია რვეულის პირველი ფურცლის recto-ზე, ქვედა აშიაზე (ჩვეულებრივ ცენტრში). რვეულთა ნომრები დაწერილია არაბული ციფრებით ქარაგმით (**ق**). დათარიღება ძნელია, მაგრამ საფიქრებელია რომ M პაგინაციის შემდეგ დროინდელია. წყობა: 1-2⁸ 3⁹ 4⁶ 5⁹ 6⁸ 7⁹ 8⁶ 9¹⁰ 10⁶ 11² 12⁶ 13⁹ 14⁶ 15⁹ 16⁸ 17⁶ 18² 19⁶ 20⁹ 21-28⁸ 29⁶ 30¹⁰ 31-41⁸ 42².

F – ფურცელთა ნუმერაცია არაბული ციფრებით (ff. 1-312, ხელნაწერი მთლიანად; მელანი, ფრთა). მოთავსებულია recto-ს ზედა აშიაზე, ჩვეულებრივ ცენტრში ან მის გვერდით. ფურცელთა ნომრები დაწერილია არაბული ციფრებით როგორც «**ف**» ან «**ف**». შეიძლება ახლდეს P პაგინაცია (იხ. ქვემოთ). ხელი XIX-XX საუკუნეების გარდამავალი ხანისა ჩანს, და, სავარაუდოდ, ეკუთვნის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ან საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს.

P – გვერდების ნუმერაცია არაბული ციფრებით და «**ا**» ასოთი (ff. 1-312, ხელნაწერი მთლიანად; ფანქარი). მოთავსებულია ჩვეულებრივ ზედა აშიაზე, recto-ზე – ცენტრში ან მის მარცხნივ, verso-ზე – ცენტრში ან მის მარჯვნივ. ფურცელთა ნომრები დაწერილია არაბული ციფრებით, recto-ზე – როგორც «**ا**» ან «**ا**», verso-ზე – როგორც «**ب**» ან «**ب**»; ნომერი შეიძლება გამეორებული იყოს როგორც «**ا**» (ჩვეულებრივ recto-ზე ზემო მარჯვენა კუთხეში, verso-ზე კი – ზემო მარცხენა კუთხეში). თანამედროვე ხელი, XX საუკუნისა, და, სავარაუდოდ, არის ხელნაწერთა ინსტიტუტისა.

S-1463 ხელნაწერის ყველაზე ადრინდელი პაგინაციები არის, აშკარად, ავტორისეული პაგინაციები A და B (XII საუკუნის დასაწყისი). რვა ფურცლისაგან შემდგარი რვეულები, ცალკეული ფურცლების ნუმერაციის გარეშე, შუა

¹⁶ ასოების ფორმები ძალზე ახლოა H-1736 (1756 წ.) და H-345 (1762 წ.) საბუთების ხელთან (აბულაძე 1973: 313, 315; ტაბ. 156, 157) და თითქმის იდენტურია Sd-237 (1749 წ.) და Hd-2226 (1750 წ.) საბუთების ხელისა (ქართული ისტორიული დოკუმენტები 2014: 113-114). ციფრების ფორმები ძალზე ახლოა ბაქარ მეფის კანცელარიის ხელთან (იხ. აბულაძე 1973: 327, 329; ტაბ. 163, 164), მაგრამ 1, 2 და 5-ის ფორმები შედარებით უფრო არქაულად გამოიყურება.

საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების სტანდარტული შედგენილობა (ჯავახიშვილი 1949: 63). ამასვე ადასტურებენ, მაგალითად, ფრაგმენტები ff. 160|165, 161|164, 162|163 (q. B8),¹⁷ 169|172 და 170|171 (q. B9), დღევანდლამდე შემონახულია ბიფოლიოს სახით. უნდა აღინიშნოს, რომ რვეულების ნომრების მითითება რვეულის უკანასკნელ გვერდზეც, როგორც ამას ადგილი აქვს A და B-ში, უფრო იშვიათი მოვლენაა ქართულ ხელნაწერებში (ჯავახიშვილი 1949: 63; დანელია... 1997: 297).

XVI საუკუნის დასასრულის H პაგინაცია პრაქტიკულად უზადოდ მიჰყვება A და B პაგინაციებს, მხოლოდ თანმიმდევრობით ნომრავს რვეულებს 1-დან 41-მდე. უნდა ვიფიქროთ რომ H პაგინაციის მითითების დროს ხელნაწერი კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომელიც გამორიცხავდა ფურცლების აღრევას. ნუმერაციის სისტემატური მითითება მხოლოდ ბიფოლიოს მარცხენა ფურცლებზე (და მისი გამოტოვება მარჯვენა ფურცლებზე) იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროისთვის ყველა (ან თითქმის ყველა) ბიფოლიოს შენარჩუნებული ჰქონდა მთლიანობა.

ქრონოლოგიურად H-ის მომდევნო C და D პაგინაციები, რომლებიც XVII საუკუნის დასასრულის კუთვნილებაა, აზუსტებენ A1-A5 რვეულების და A1-A3 რვეულებში ფურცლების თანმიმდევრობას. როგორც ჩანს, ხელნაწერის პირველი რვეულების მდგომარეობა ამ დროისთვის რამდენადმე გაუარესებული იყო და საჭირო გახდა ff. 1-40 თანმიმდევრობის დაზუსტება.

M პაგინაცია მოიცავს უკვე ff. 1-134 და, ალბათ, მიუთითებს ხელნაწერის გამოყენების მომდევნო ეტაპს და S-1463-ის პირველი ნახევრის მდგომარეობის გაუარესებას, რადგანაც XVIII საუკუნის შუა ხანებისთვის საჭირო გამხდარა რვეულთა qq. A1-A13 და qq. B1-B4 თანმიმდევრობის დაზუსტება.

Q პაგინაცია, რომლის დათარიღება ნათელი არ არის, შეიცავს მრავალრიცხოვან შეცდომას რვეულებში ფურცლების განლაგების თვალსაზრისით. როგორც ჩანს, ბიფოლიოები საკმაოდ ხშირად დაცილებული იყო და მათი პირველი და ბოლო ფურცლები მიეკუთვნებოდა მეზობელ რვეულებს (e.g. qq. Q3-Q5, Q7-Q9), და ცალკეული, ერთმანეთის მომდევნო ფურცლები ცალკე რვეულად ერთიანდებოდა (e.g. qq. Q10-Q12, Q17-Q19).

დღესდღეობით ხელნაწერი რესტავრირებულია და ხელახლა არის აკინძული – ფურცლები ერთმანეთს მიწებებულია ახალ „ბიფოლიოებად“ და ხელნაწერმა ახალი რვეულებრივი დაყოფა S მიიღო.¹⁸ წყობა: f.1 1-5⁶ 6¹⁰ 7² 8⁴ 9¹⁰ 10-14⁶ 15¹⁰

¹⁷ აქაც და შემდგომშიც ჩვენ ვიყენებთ q. და qq.-ს (ლათ. quaternum) რვეულთა ნომრების საჩვენებლად. კონკრეტული პაგინაციის რვეულების ჩვენებისას რვეულის ნომრის წინ მითითებულია პაგინაციის კოდი (e.g. q. H12).

¹⁸ დღეს დღეობით ძნელია თქმა სად და როდის არის შესრულებული ხელნაწერის ახალი აკინძვა – წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თუ ხელნაწერთა ინსტიტუტში (ახლანდელი ხელნაწერთა

— „დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის დათარიღებისა და შედგენილობისათვის

16⁴ 17² 18⁶ 19¹⁰ 20⁶ 21¹⁰ 22⁶ 23¹⁰ 24⁷ 25-27⁸ 28⁹ 29⁶ 30⁴ 31² 32-34⁴ f.216 35⁴ f.221 36⁶ 37⁵ 38⁴ 39-40⁶ 41⁷ 42-43⁶ f.268 44-45⁶ 46-47⁴ 48⁶ 49⁹ 50⁶ ff.310-312.¹⁹ ფურცელთა ახალი „ბიფოლიოები“ ძალიან ხშირად განსხვავდება ორიგინალური ბიფოლიოსაგან და S-1463 თანამედროვე რვეულებრივი დაყოფა S სრულიად არ ემთხვევა ავტორისეულს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სამი რვეული – qq. S25–S27 (qq. B8, B9, B10).

S-1463 ხელნაწერის შედგენილობა

ფორმით დამოუკიდებელი და განსხვავებული ff. 1-102 (qq. A1-A12) და ff. 103-312 (qq. B1-B25) რვეულების ნუმერაციები, რომლებიც შესრულებულია S-1463/a ძირითადი ხელით, აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ S-1463 შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან, რომლებიც წარმოადგენდნენ ცალ-ცალკე ხელნაწერებს მათი S-1463 წიგნში გაერთიანებამდე (შემდგომში ამ ნაწილებს აღვნიშნავთ როგორც S-1463_A და S-1463_B). ამასვე მიუთითებს მთელი რიგი კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ხასიათის მონაცემი, რომლებიც თავს იჩენენ ხელნაწერის A და B ნაწილების მიჯნაზე.

ასე, პირველი ნაწილის ბოლოში (f. 102v) არსებული მინაწერი იუწყება იოანე დამასკელის შრომათა კოლექციის დასრულებას: *„დასასრული შრომათა იოვანე მანსურისთაჲ :: ხ(ოლო) ითარგმნა არსენისგან ვაჩესძისა“*. მაგრამ, f.103r-ზე მოთავსებული არის მარგინალია *„თ(ა)რგმნ(ი)ლი მამისა არსენისი“*, რომელიც ხელახლა იმეორებს, რომ მთარგმნელი არის არსენი და იქვე გრძელდება დამასკელის კიდევ 5(!) თხზულება (ff. 103r-183r). ჩვენი აზრით, ეს მიუთითებს იმაზე, რომ თავდაპირველად f.102 და f.103 ეკუთვნოდა სხვადასხვა ხელნაწერს.

უფრო მეტიც, XVIII საუკუნემდე „დოგმატიკონის“ არც ერთი სხვა ნუსხა არ შეიცავს იოანე დამასკელის „დიალექტიკასა“ და „გარდამოცემას“ (ჩიკვატია 2003: 81, 84-85; ტაბ. I-III), რაც სულ ცოტა გასაოცარი იქნებოდა, ეს თხზულებები ერთ ხელნაწერში რომ ყოფილიყო (რადგან ამ შემთხვევაში მოსალოდნელი და პრიორიტეტული იყო, რომ პირველ რიგში გადაეწერათ დამასკელის ეს უმნიშვნელოვანესი შრომები).

ამავე ფაქტზე მიუთითებენ კოდიკოლოგიური მონაცემებიც. S-1463_A-ში ყოველი ნაწარმოები იწყება ახალი გვერდიდან (ff. 1r, 39v, 40v, 54r) მაშინ, როცა S-1463_B-ში თხზულებებს შორის რაიმე დაშორებას ადგილი არა აქვს და ყოველი მომდევნო ნაწარმოები იწყება უშუალოდ წინამავალი თხზულების გაგრძელებით.

ეროვნული ცენტრი).

¹⁹ Q. S24: f. 158 მიწებებულია ff. 152|157 ბიფოლიოსთან; q. S28: f. 190 მიწებებულია ff. 184|189-თან; q. S35: f. 218 და 219 არ არის მიწებებული; q. S36: ff. 226|227 მიწებებულია ff. 222-225 ბინიონთან; q. S37: f. 228 მიწებებულია ff. 229|232-თან; q. S41: f. 253 მიწებებულია ff. 251|252-თან; q. S49: f. 301 არ არის მიწებებული.

ბაზე (ff. 116v, 128r, 138v, 183r და ა. შ.). ამასთან ერთად იცვლება ფურცლების დახაზვის სტილი: S-1463_A-ში სვეტები ჩვეულებრივ დახაზულია თითო-თითო ხაზებით, სტრიქონების დახაზვის გარეშე (ეგრეთნოდებული დახაზვა „უკანონავად“; იხ. ხაჭომია 1949; Шмерлинг 1967: 46), ხშირად სვეტების ზედა და ქვედა ჰორიზონტალური შემოსაზღვრების გარეშეც კი; S-1463_B-ში სვეტები ვერტიკალურად დახაზულია ორმაგი ხაზებით (2.5–5.0 მმ ინტერვალით), სტრიქონები დახაზულია 7 მმ ინტერვალით, 38 სტრიქონით ერთ გვერდზე. ბოლო S-1463_A რვეულიდან (q. A13) S-1463_B-ის პირველ რვეულამდე (q. B1) გადასვლისას დახაზულობის პარამეტრები და კოდიკოლოგიური მონაცემები ასევე არსებითად იცვლება, თვითონ ფურცლის ზომები კი უცვლელი რჩება (≈25.5×33.5 სმ):²⁰

	რვეულის საშუალო პარამეტრები		ფურცლის პარამეტრები	
	q. B13	q. A1	f.102	f.103
სტრიქონთა რაოდენობა სვეტში	4-56	38-40	46-48	38
სვეტის სიგანე (მმ; a, b)	82.0, 90.5	76.5, 76.0	82.5, 90.5	76.5, 76.0
სვეტის სიმაღლე (მმ)	267	256	268	255
სვეტებს შორის ინტერვალი (მმ)	13.5	20-22	13.5	22
სტრიქონებს შუა მანძილი (მმ)	5.3	7.0	5.7	7.0
შიდა აშია (მმ)	34-35	31.5	36	32
გარეთა აშია (მმ)	40.5	55-56	38	56
ზედა აშია (მმ)	14	32	14.5	33
ქვედა აშია (მმ)	54	48	53	46

ხელნაწერი გადამწერის მიერ მკაცრად არის დაყოფილი რვაფურცლიან რვეულებად. მაგრამ პირველი ნაწილის ბოლო რვეული (q. A12, ff. 97-102) შედგება 6 ფურცლისაგან (3 ბიფოლიო), რასაც ადასტურებს სომხური პაგინაცია H და გვიანი დროის ქართული მარგინალია „სამი ფურცელია“ (S-1463, f.97r *margin.*). ეს ამოვარდნილია რვეულების შედგენილობის საერთო სურათიდან, მაგრამ სრულიად ლოგიკურია, თუ დავუშვებთ, რომ თავდაპირველად ff. 97-102 იყო S-1463_A ხელნაწერის ბოლო რვეული.

ამრიგად, უეჭველია, რომ S-1463_A (ff. 1-102) და S-1463_B (ff. 103-312) იყო ორი სხვადასხვა ხელნაწერი, რომელთა გაერთიანება შემდგომ მოხდა S-1463 ნიგნში.

S-1463_A-ს რვეულებრივი პაგინაცია განსხვავდება S-1463_B და Q-37-ის რვეულებრივი პაგინაციებისაგან, რაც შეიძლება მონიშნავდეს იოანე მთავარაიძის

²⁰ რა საკვირველია, ეს პარამეტრები მთელი ხელნაწერის მანძილზე იცვლება, მაგრამ ეს ხდება თანდათანობით, და არა ნახტომით, როგორც ეს არის f.102 და f.103 შორის.

— „დოგმატიკონის“ S-1463 ხელნაწერის დათარიღებისა და შედგენილობისათვის

თავდაპირველ განზრახვას, ერთ ხელნაწერად გააერთიანებინა ორივე ნაწილი, S-1463_A მოეთავსებინა S-1463_B-ს წინ (ამ შემთხვევაში, არეულობის თავიდან ასაცილებლად, მართლაც, გაჩნდა აუცილებლობა S-1463_A-ში გამოყენებინა რვეულების პაგინაცია, განსხვავებული ჩვეულებრივი სისტემისაგან). მაშინ, მინაწერი „დასასრული შრომათა იოვანე მანსურისთა“ (f. 102v) რატომ არ ითვალისწინებს იოანე დამასკელის მომდევნო თხზულებებს, რომლებითაც იწყება S-1463_B? ჩვენი აზრით, ამ მდგომარეობას გარკვეული ახსნა ეძებნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სინამდვილეში f.102v-ზე ჩვენ საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ მინაწერთან. პირველი მინაწერი „დასასრული შრომათა იოვანე მანსურისთა“ ეკუთვნის არსენი იყალთოელს და უნდა მომდინარეობდეს მისი ავტოგრაფიდან. ხოლო მეორე მინაწერი „*ხ(ოლო) ითარგმნა არსენისგან ვაჩესძისა*“ ეკუთვნის უკვე იოანე მთავარაიძეს (ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს პუნქტუაცია და მეორე მინაწერის მხატვრული გაფორმება). ასე რომ, როგორც ჩანს, S-1463_A თავდაპირველად გამოვიდა არსენის ხელიდან როგორც ცალკე ხელნაწერი და იოანე მთავარაიძემ არსენის მინაწერი ხელუხლებლად დატოვა, და სრულიად ლოგიკურად S-1463_A მოათავსა S-1463_B-ს წინ.

ყურადღებას იქცევს ერთი ზემოთნახსენები ფაქტიც, რომ „დოგმატიკონის“ ქართული ნუსხები XVIII საუკუნემდე არ შეიცავენ იოანე დამასკელის „დიალექტიკას“ და „გარდამოცემას“ (ჩიკვატია 2003: 81, 84-85; ტაბ. I-III). ამავე დროს, „დოგმატიკონის“ რამდენიმე შრომის სომხურ თარგმანებს შორის, რომლებიც შესრულებულია სიმეონ პლინძაჰანეცის მიერ XIII საუკუნეში ლორეს მხარეში, დასტურდება დამასკელის ორივე შრომა (იხ. აბულაძე 1938). ჩვენი აზრით, ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ხელნაწერი S-1463 XIII საუკუნის შუა ხანებისთვის სომეხ ქალკედონიტთა გარემოში მოექცა. რამდენადაც XII საუკუნის პირველ ნახევარში (სიცოცხლის ბოლო წლებში?) იოანე მთავარაიძე ტაოში ბერთის მონასტრის წინამძღვარი ჩანს (რაფავა 2009: 136), სომეხ მოღვაწეთა ხელში ხელნაწერი შეიძლება მოხვედრილიყო ბერთაში, მალევე იოანეს გარდაცვალების შემდეგ (ზოგიერთი ნიშნების მიხედვით, რომლებიც დადასტურდა S-1463-ის იოანესეულ ხელში, გვაფიქრებინებს, რომ ის ხელნაწერზე მუშაობდა ღრმა სიბერემდე). საფიქრებელია, რომ სულ ცოტა, XVI საუკუნის ბოლომდე (ხელნაწერის სომხური პაგინაციის შექმნის დრო), ხელნაწერი რჩებოდა სომეხი ქალკედონიტების გარემოში. ქართულ კულტურულ გარემოში S-1463 უნდა დაბრუნებულიყო არა უგვიანეს XVII საუკუნისა (C და D პაგინაციების შექმნის დრო).

დასკვნა

- S-1463 უნდა დავათარილოთ XI საუკუნის დასასრულითა და XII საუკუნის დასაწყისით, არა უადრეს 1080 წლისა და არა უგვიანეს XII საუკუნის დასაწყისისა;

- S-1463 გადანერილი უნდა იყოს იოანე მთავარაიხის ხელით და, ნებისმიერ შემთხვევაში, იგი უკავშირდება ეფრემ მცირის სკოლას;
- S-1463 წარმოადგენს არსენი იყალთოელის თარგმანების კრებულს, რომლის შემდგენელ რედაქტორად უნდა მივიღოთ იოანე მთავარაიხი;
- S-1463 შედგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან, რომლებთაც ცალ-ცალკე პროტოგრაფი ჰქონდათ;
- XIII-XVI საუკუნეების მანძილზე ხელნაწერი იმყოფებოდა ქართული კულტურული გარემოს გარეთ (სომეხი ქალკედონიტების გარემოში).

ყოველივე ზემოთქმულს საფუძველზე, ხელნაწერის შესწორებული აღწერილობა ასეთია:²¹ „**არსენი ვაჩესძე. დოგმატიკონი. XI-XII.** 312 ფ.; 34,2×25,2; ქალაქი; ტვიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; აქვს ზემო და ქვემო ყდის საცავი ფურცლები; ბოლონაკლულია (?); ნუსხური, სათაურები სინგური; დაწერილია ორ სვეტად; გადამწერის რვეულებრივი პაგინაციით, შეიცავს ორ ნაწილს – ff. 1–102 (რვეულები 1-13) და ff. 103-312 (რვეულები ა-კზ); [XI ს. დასასრული – XII ს. დასაწყისი]; მთარგმნელი არსენი ვაჩესძე (1r, 39v, 102v, 103r, 223r, 228r); [გადამწერი: იოანე მთავარაიხი]; შემონირული იასონ დავითის ძე ციციშვილის მიერ (ზემო ყდის საცავი ფურცელი)“.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე** 1938: აბულაძე ი., რუსთაველის ხანის ქართულიდან ნათარგმნი ძველი სომხური მწერლობის ძეგლები, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938.
2. **აბულაძე** 1973: აბულაძე ი., ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი (მეორე შეესებული გამოცემა), თბ., 1973.
3. **გარეჯის დოკუმენტები** 2011: გარეჯის ისტორიული დოკუმენტები XIII-XVIII სს., ნაკვეთი 2, გამოსაცემად მოამზადეს დ. ლომიძემ, მ. ჭუმბურიძემ და ზ. სხირტლაძემ, თბ., 2011.
4. **გრიგოლ ნაზიანზელი** 1988: გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ხელნაწერები აღწერა, შესავალი და საძიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1988.
5. **დანელია...** 1997: დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997.
6. **ლოლაშვილი** 1978: ლოლაშვილი ი., არსენ იყალთოელი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1978.

²¹ ხაზგასმულია შესწორებული ან ჩამატებული ფრაგმენტები.

7. **ჟორდანია** 1892: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1892.
8. **რაფავა** 2009: რაფავა მ., იოანე მთავარაისძე, შავი მთის ქართველი მოღვაწე, ნახნავი – ფილოლოგიურ კვლევათა ნელინდეული, თბ., 2009, №1.
9. **ქართული ისტორიული დოკუმენტები** 2014: ქართული ისტორიული დოკუმენტები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბ., 2014.
10. **ქაჯაია** 1969: ქაჯაია ლ., პუნქტუაცია V-XII საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში, სადისერტაციო შრომა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1969.
11. **ჩიკვატია** 2003: ჩიკვატია ნ., „დოგმატიკონის“ ხელნაწერი კრებულები (S 1463 ნუსხასთან მათი მიმართების ცხრილი), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
12. **ხაჟომია** 1949: ხაჟომია თ., ერთი პალეოგრაფიული ტერმინის განმარტებისათვის, მიმომხილველი, I, თბ., 1949.
13. **ხაჟომია** 1953: ხაჟომია თ., XI საუკუნის ნუსხური დამწერლობის გარდამავალი ხელი, სადისერტაციო შრომა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1953.
14. **ჯავახიშვილი** 1949: ჯავახიშვილი ი., ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია (მეორე გამოცემა), თბ., 1949.
15. **Q ფონდის აღწერილობა** 1957: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, ტ. II, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957.
16. **S ფონდის აღწერილობა** 1961: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექციისა, ტ. II, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველისა და მზ. შანიძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1961.
17. **Bloom** 2001: Bloom J. M., Paper Before Print: The History and Impact of Paper in the Islamic World, Yale, 2001.
18. **Ostrovsky...** 2014: Ostrovsky A., Raphava M., Notes on Georgian Translations of the Works of Nicetas Stethatos, *Scrinium: Journal of Patrology, Critical Hagiography and Ecclesiastical History*, Vol. 10 : Syrians and the Others: Cultures of the Christian Orient in Middle Ages, Gorgias Press, 2014.
19. **Stone...** 2002: Stone M. E., Kouymjian D., Lehmann H., *Album of Armenian Paleography*, Aarhus, Aarhus University Press, 2002.
20. **Шмерлинг** 1967: Шмерлинг Р., *Художественное оформление Грузинской рукописной книги IX-XI вв.*, I, Тб., 1967.

Alexey Ostrovsky

ON THE DATING AND THE CONTENT OF THE MANUSCRIPT S-1463

SUMMARY

The most important copy of Arsen Iqaltoeli's *Dogmatikon* is the manuscript S-1463 (National Centre of Manuscripts, Georgia, Tbilisi). Since its first description in 1892, the manuscript was dated to the 12th-13th centuries. Despite several strong arguments that pointed to earlier dating of S-1463, the dating of the manuscript to the 12th-13th centuries remained the prevailing opinion until nowadays.

From analysis of paleography features of S-1463 we conclude that the manuscript has to be dated to the period from the end of the 11th century to the beginning of the 12th century.

The hand of S-1463 is identical to the second hand of the manuscript Q-37 (1091), while, as we have demonstrated, both parts of Q-37 are written by the same hand. This allows us to conclude that the scribe of S-1463 and Q-37 is Ioane Mtavaraidsze – a Georgian clergyman from the school of Ephrem Mtsire (the Black mountain, Antioch). A note in S-1463 that names the manuscript scribe *Ioane*, the same style and hand of quire numbers in both manuscripts (S-1463 and Q-37), and the material of the manuscript (paper) support the same conclusion.

Analysis of the original quire numbering, as well as codicological features of S-1463 leads us to the conclusion that initially the codex had been formed of two different manuscripts; the first of them contains “Guide...” by Anastasius of Sinai and “Dialectic” and “Exposition...” by John of Damascus (ff. 1-102), while the second one contains the rest of the codex (ff. 103-312). Until the 17th century S-1463 had been residing outside of the Georgian cultural space.

ლიანა სამყურაშვილი

X-XIII საუკუნეების ქართული სამედიცინო კვლევები და მათი არაბული წყაროები¹

X-XIII საუკუნეებში შექმნილი ქართული სამედიცინო ძეგლებიდან, რომლებიც შემოგვინახა ხელნაწერებმა, ცნობილი სამია, ესენია: ქანანელის ავტორობით ცნობილი „უსწორო კარაბადინი“, „ხუარაზმშაჰის საუნჯის ქართული ვერსია“ და ხოჯაყოფილის მიერ თარგმნილი „ნიგნი სააქიმოა“.

1. ქანანელის ავტორობით ცნობილი „უსწორო კარაბადინი“ ჩვენამდე ორი ნუსხით (თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q-26, XIII ს. და პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის K-13(23), XVII ს.) არის მოღწეული. ამ ნუსხათა საფუძველზე ქართული მედიცინის მკვლევარმა ლ. კოტეტიშვილმა 1940 წელს გამოსცა აღნიშნული ძეგლი (ქანანელი 1940; განმეორებით 1997 წელს გამოსცა დ. კუხიანიძემ).

„უსწორო კარაბადინი“ სამი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგენილი სამედიცინო კრებულია. პირველ ნაწილში მოცემულია ზოგადი ცნობები ანატომიო-ფიზიოლოგიის, ბიოლოგიის, ემბრიოლოგიის, გინეკოლოგიის დარგებში; ცნობები სიცხიანი დაავადებების შესახებ. მეორე ნაწილი 24 კარს შეიცავს და ეხება კერძო პათოლოგიასა და თერაპიას, მათ მოკლე აღწერასა და მკურნალობას. მესამეში განხილულია გარეგანი (ტრავმული და კანის) სნეულებანი: მოტეხილობა, დამწვრობა, გველისა და ძაღლის ნაკბენები, ავხორცი სნეულებები, კეთრი და სხვ. შემდეგ მოსდევს ზოგადი ჰიგიენურ-დიეტეტიკური რჩევები და მთავრდება მარტივი წამლებით, რომლებიც დალაგებულია ანბანის რიგზე.

„უსწორო კარაბადინი“, როგორც ჩანს, იმ დროისათვის დიდი პოპულარობით სარგებლობდა სამედიცინო წრეებში. იგი გამოუყენებიათ სომხური ვერსიის (მატენადარანი, N412, XVII ს.) წყაროდ, რომელიც, ქართულის მსგავსად, სამი ძირითადი ნაწილისგან შედგენილი სამედიცინო კრებულია. სომხური და

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ქართული ტექსტების ურთიერთშედარების საფუძველზე დადგენილია სომხური ვერსიის ქართულზე დამოკიდებულების ფაქტი (აბულაძე 1985: 68-72).

„უსწორო კარაბადინის“ ტექსტში მოხსენიებულია სხვადასხვაენოვანი ავტორები: „ბაბილოგენლი ბრძენი“, ბერძენი და არაბი ავტორები. აღნიშნულია, რომ მათი შრომები გამოყენებულია „გამოკრებით“, „შემოკლებით“, „გამორჩევით“... რათა ნაშრომი „ერთობ არ გაგრძელებულიყო“, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სამედიცინო კრებულის შემდგენელი მისდევს ქართულ სასულიერო მწერლობაში იმ დროს დამკვიდრებულ ტრადიციას: „ჩვენში თავიდანვე განმტკიცებული ყოფილა ტრადიცია თავისუფალი თარგმანისა. თეორია „შემატება-შემოკლებისა“ მარტო ექვთიმე ათონელის თარგმანებში როდი იჩენდა თავს, ის ამა თუ იმ საზომით სხვების მუშაობასაც წარმართავდა“ (კეკელიძე 1956: 185-186). აქედან გამომდინარეა, ალბათ, რომ შემდგენელმა ძეგლს სახელად „უსწორო“, ანუ უბადლო, განუმეორებელი უწოდა, ვინაიდან იგი ერთი რომელიმე კონკრეტული ავტორის ნაშრომით კი არ სარგებლობდა, არამედ რამდენიმეთი, როგორც ეს ჩამონათვალიდან ჩანს.

„უსწორო კარაბადინის“ ადრეული ნუსხა Q-26, დათარიღებული XIII საუკუნით, ავტოგრაფს არ წარმოადგენს. გამომცემელთა არგუმენტაციით, მისი დედანი გაცილებით ადრე, X-XI საუკუნეებში, დაინერა. გამომცემელთა მტკიცებულებებს შეიძლება დაეფუძვლოს ტექსტში გამოვლენილი არქაული ენობრივი თავისებურებები (სახელთა ბრუნების ადრეული გავრცობილი ფორმების დადასტურებული ნიმუშები მოთხრობით, მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვებში, გამოსვლითი ბრუნვის ნიმუშები, მსაზღვრელ-საზღვრულის სრული შეთანხმება ბრუნვასა და რიცხვში, არქაული ფორმით ნაწარმოები რთული რიცხვითი სახელები, მეშველზმნიანი არქაული ფორმები და სხვ.), რომლებიც მხარს უჭერს ძეგლის X-XI საუკუნეებით დათარიღებას.

ტექსტში მოხსენიებული ბერძენი ავტორების სახელთა არაბიზებული ფორმები – **ბაგრატ** (ჰიპოკრატე) მკურნალი, **ჯალდნოხი** (გალენი); არაბულენოვანი ავტორები **მაჰმად ზაქარიაშვილი** (მუჰამად ბ. ზაქარია არ-რაზი, X ს.), ევროპულ წყაროებში ცნობილი სახელით რაზესი და **იბნ სინა/ხოჯალ სინან**, X საუკუნის მოღვაწე, ევროპულ წყაროებში ცნობილი სახელით ავიცენა – გვაფიქრებინებს, რომ „უსწორო კარაბადინის“ შემდგენელი წყაროდ იყენებდა ამ ავტორთა შრომების არაბულ დედნებს.

აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია ტექსტში არაბიზმების არსებობა, რაც ტექსტოლოგიური კვლევის დროს დასტურდება კიდევ. კვლევამ გამოავლინა, პირველ რიგში, უხვი არაბული სამედიცინო ლექსიკა: ა) სნეულებათა სახელები (**ბარსი, ბურანი, დაულფილი, ვარამი, ვაჯალმაფასილი, ლოზათენი, ჯუზამი, ჯუალბაყარი, ხუნაყი...**); ბ) სამკურნალო ნამღებების ფორმათა სახელები (**აბი, კურსი, მათბუხი, მაჯუნი, შარბათი, ტლე** და სხვ.); გ) განსაკუთრებით საინტერესოა სამკურნალო საშუალებათა წარმომავლობის სახელები, გადმოცემული არაბიზებული ფორმით (აკარკარა შამი, ალილა **ქაბული**, აფიონი **ფარსი**, შაბი

იამანი, მაჯუნი რუმი, ზიბიბი ხვარასანი ...); დ) გვხვდება არაბული ძირებიდან შექმნილი გაქართულებული ლექსიკური ერთეულები (ნედლი საჭმელი იფარეზოს. ძარღვები გახალვათდეს. მახმურსა უშველის. ჯუმლად დანაყე, შეაჯუმლე. ესე მათბუხი თამამად შექენ.); ე) გარდა არაბული ლექსიკისა, ტექსტში ფიქსირდება ისეთი სტილისტური თავისებურებები, რომლებიც არაბული ენისთვის არის დამახასიათებელი: წინადადების დანყება გამოთქმით იცოდე, რომე, მაერთებელი და კავშირის ხშირი ხმარება. შეინიშნება უშემასმენლო სახელადი წინადადებები; ვ) გვხვდება ფრაზეოლოგიური კალკები: სენის უფალი, ცხროსა უფალი, ხუნაყისა უფალი, პულსის სახეობები: ქურციკისა ხლტომა, ჯინჭულისა ძურომა და სხვ.

თვითონ სიტყვა კარაბადინი, რომელიც ჩვენი საკვლევი ძეგლის სახელწოდებაშია, არაბულიდან არის შემოსული. იგი პირველად ამ ძეგლში იქნა გამოყენებული და აქედან მოკიდებული XVIII საუკუნემდე სამედიცინო შინაარსის ხელნაწერთა სახელად იხმარებოდა.

ენობრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი უხვი არაბული ლექსიკა, ტექსტის სტილური თავისებურებანი, აგრეთვე მასში მოხსენიებული არაბი ავტორები და მათი შრომები, არაბიზებული ფორმით გადმოცემული ბერძენ ავტორთა სახელები „უსწორო კარაბადინის“ არაბულ წყაროზე დამოკიდებულების მაჩვენებელია.

2. მნიშვნელოვანი სამედიცინო ძეგლია აგრეთვე „ხუარაზმშაჰის საუნჯის ქართული ვერსია“. ეს თხზულება დღეისათვის ცნობილია ერთადერთი, XV საუკუნის, ხელნაწერით, რომელიც დაცულია ერევანში, მატენადარანის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში შიფრით: მატენადარანი, „უცხო ფონდი“, N№18.

აღნიშნული ხელნაწერის შესახებ პირველ ცნობებს ქ. შარაშიძე გვანჯდის: „ხელნაწერმა (მატენადარანი, „უცხო ფონდი“, N18), დიდი ხანია, მიიპყრო პროფესორ ილია აბულაძის ყურადღება, რომლის დასკვნით, ძეგლი XV საუკუნის კრებულს უნდა წარმოადგენდეს. ეს კრებული არ მისდევს ჩვენს ხელნაწერთა საცავებში დაცულ არც ერთ სამკურნალო წიგნსა და კარაბადინს. იგი განცალკევებით მდგომია“ (შარაშიძე 1986: 120).

ხელნაწერი თავ-ბოლონაკლულია. 243 ფურცელს შეიცავს. ნაწერია ქალღმერთზე, არეული სახით არის აკინძული, რაც აძნელებს მისი თავისა და ბოლოს, ასევე შინაგანი თანამიმდევრობის დადგენას. ტექსტის დალაგების შემდეგ გაირკვა, რომ ხელნაწერი თავდაპირველად 30 რვეულისაგან შედგებოდა, რომელშიც სრული რვეულები 12-ფურცლიანია. თუ ჩავთვლით, რომ 30-ე რვეულით მთავრდებოდა ხელნაწერი, მაშინ გადამწერს 360-ფურცლიანი თხზულება უნდა გადაეწერა. დღეს კი იგი 243 ფურცელს შეიცავს. გამოდის, რომ თხზულების თითქმის ერთი მესამედი დაკარგულია. ხელნაწერი, არსებული და დამატებითი პალეოგრაფიული და ორთოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, XV საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

ტექსტის დალაგების შედეგად გაირკვა ასევე, რომ ძეგლი I-II წიგნისაგან შედგენილი ერთი მთლიანი დამოუკიდებელი თხზულება არის, რომელსაც ერთ-

ვის მესამე – ფარმაკოლოგიური ცნობების შემცველი – ნაწილი უშუალოდ მოსდევს მეორე წიგნს და ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი (სულ 17 ფ.). თხზულების შემადგენელი I-II წიგნები, თავის მხრივ, დაყოფილია ქვეთავებად: **ნათქომი**, **ჯუზვი** და **კარი**. ავტორის ხელიდან გამოსული I წიგნი 6 **ნათქომს** შეიცავდა; შემორჩენილი ნაწილი კი **IV ნათქომის I ჯუზვის VIII კარიდან** იწყება, რომელშიც დანვრილებით არის გადმოცემული ცნობები ადამიანის ანატომიიდან ძვლოვანი, კუნთოვანი, ნერვული და სისხლძარღვების სისტემების შესახებ. დეტალურად არის აღწერილი ადამიანის გარეგანი და შინაგანი ორგანოები, მათი ფუნქციები და მამოძრავებელი ძალები. II წიგნი 9 **ნათქომისგან** შედგება, აქაც ვრცლად არის განხილული მემკვიდრეობითი თუ შეძენილი სნეულებანი, გადმოცემულია სადიაგნოსტიკო მეთოდები პულსის, შარდის, ნახველისა და სხვათა ნაირსახეობის საფუძველზე. ამდენად, შინაარსის მიხედვით, „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია არის მედიცინის დარგში იმ დროისათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომი. იგი იმ სამედიცინო წიგნებს განეკუთვნება, რომლებიც სასწავლო დანიშნულებისთვის იყო განკუთვნილი.

ვინაიდან ხელნაწერი ნაკულია, დაკარგულია თხზულების ავტორისეული სახელწოდებაც. თუმცა მისი რაობის დადგენაში გვეხმარება თხზულებაშივე, კერძოდ, II წიგნის დასაწყისსა და დასასრულს მოტანილი ერთი და იგივე ცნობა, რომლის თანახმად, თხზულება მომდინარეობს „ხორაზმშაჰისა დახირასაგან“. შემდგომმა კვლევამ ცხადი გახადა, რომ ეს არის XII საუკუნის სპარსი ექიმის, ისმაილ ჯურჯანის, ენციკლოპედიური ხასიათის სამედიცინო თხზულება „ზახირაჲ ხუარაზმშაჰი“, რაც ქართულად „ხუარაზმშაჰის საუნჯეს“ ნიშნავს. ასე რომ, ქართულ ვერსიაში შემონახულია თხზულების ორიგინალის სახელი. აქედან გამომდინარე, საკვლევ თხზულებას „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია ვუწოდეთ (სამყურაშვილი 1999: 173-176).

„ზახირაჲ ხუარაზმშაჰი“ თარგმნილია არაბულ, თურქულ ენებზე. ცნობილია ასევე მისი მოკლე რედაქციის ებრაული თარგმანი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის (Spuler 1970: 161) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თხზულების ორიგინალისა და ქართული ვერსიის ურთიერთმიმართებაზე. სპარსული ორიგინალი 10 წიგნისგან შედგება, დაახლოებით 450000 სტატიას შეიცავს. „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია კი ორი წიგნისა და მესამე ფარმაკოლოგიური ნაწილისგან შედგება, სადაც ჩვენამდე მოღწეული ტექსტის I-II წიგნები 180 კარს შეიცავს, ხოლო ფარმაკოლოგიური ნაწილი – 25 პარაგრაფს. ქართული ტექსტი, მართალია, აგებულია არ მისდევს ორიგინალის არც ერთ (ვრცელ და მოკლე) რედაქციას, მაგრამ იმეორებს ვრცელი რედაქციის კომპოზიციურ მოდელს, რომელი მოდელითაც ხდებოდა ქართული სამედიცინო წიგნების აგება XII-XVII საუკუნეებში. სპარსული ორიგინალის მე-10 წიგნი არის კარაბადინი, რომლის ორი ნუსხა – PK-96 და PAC-430 (არაბულ, თურქულ, სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი: 1969 და სპარ-

სულ ხელნაწერთა კატალოგი: 1977) ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში, კერძოდ, კაჯარისა და შუააზიურ კოლექციებშია დაცული. ეს ნუსხები და ქართული ვერსიის (მატენადარანი, „უცხო ფონდი“, N18) მესამე, ფარმაკოლოგიური, ნაწილი ერთმანეთს შეუდარა ირანისტმა მ. მამაცაშვილმა და დაადგინა მათი სხვადასხვაობა.

ტექსტში ყურადღებას იქცევს თხზულების მესამე, ფარმაკოლოგიური, ნაწილის დასაწყისი ფრაზა: „სხუა ნიშანი, **მანსურისაგან** გამოღებული, სნეულობისა ცნობისა“, რომელიც ლიტერატურულ წყაროზე მინიშნებას ჰგავს. ტექსტის ეს ნაწილი თითქმის იდენტურია „უსნორო კარაბადინის“ ტექსტის დასაწყისისა. მასში მოხსენიებული მაჰმად ზაქარიაშვილი იგივე მუჰამად ბ. ზაქარია არრაზი (X ს.) ავტორია სამედიცინო ნაშრომისა – **მანსურის მედიცინის წიგნი**. გამოდის, რომ ამ ორი სამედიცინო ძეგლის – „უსნორო კარაბადინისა“ და „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის – ავტორ-შემდგენლები სარგებლობდნენ ერთი და იმავე დედნით, რომელიც არრაზის **მანსურის მედიცინის წიგნის** ქართული ტექსტი უნდა ყოფილიყო.

„ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის ტექსტოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა მასში უთარგმნელად დატოვებული აღმოსავლური სიტყვები, რომელთაგან განსაკუთრებული სიჭარბით გამოირჩევა არაბული სიტყვები. ისინი უმთავრესად სამედიცინო ლექსიკას გადმოსცემენ და კარგად შემუშავებული ქართული სამედიცინო ლექსიკის პარალელურად იხმარებიან. უთარგმნელად დატოვებული არაბული სიტყვები ტექსტს აღმოსავლურ – არაბულ ელფერს აძლევენ და გვახსენებენ ეფრემ მცირის მთარგმნელობით თეორიას, რომელიც, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავდა, უცხო სიტყვის „დაგდებას ან გამოტოვებას ისევ უთარგმნელად მიღებას ამჯობინებდა“ (კეკელიძე 1956: 253-254). ეს, რა თქმა უნდა, განპირობებული იყო სათარგმნი ტექსტის სპეციფიკურობით. მისი მეცნიერული, ამ შემთხვევაში, სამედიცინო შინაარსი მოითხოვდა დედანთან ზედმიწევნით დაახლოებას, ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვას, რაც უნებურად იწვევდა არაბული ლექსიკის სიჭარბეს.

ენობრივი ანალიზის შედეგად გამოვლენილი არაბიზმები – ანატომიური, ფიზიოლოგიური, ბიოლოგიური, სადიაგნოსტიკო, ასევე არასამედიცინო ლექსიკა და გრამატიკული კატეგორიების კვალი (გაუხმოვნებელი ძირები, „ალ“ არტიკლით განსაზღვრული ლექსიკა, სნორი და ე. წ. „მსხვრეული მრავლობითის“ ფორმები), თარგმნისას გაპარული სიმპტომატური ნონსენსები, ტექსტის სტილისტური თავისებურებანი – ადასტურებენ „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის ლიტერატურულ წყაროდ სპარსული ორიგინალის არაბული თარგმანის – „ზახირათ ხუარაზმშაჰის“ – გამოყენებას (სამყურაშვილი 2003: 223-235).

ისტორიულ-კულტურული კონტაქტების გათვალისწინებით და ენობრივი ანალიზის საფუძველზე „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსია, შესაძლოა, XII საუკუნის დასასრულით დათარიღდეს (სამყურაშვილი 2001: 87-95).

„ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის ტექსტი მომზადებულია გამოსაცემად გამოკვლევითა და ლექსიკონით ლ. სამყურაშვილის მიერ.

3. შემდეგი მნიშვნელოვანი ძეგლი არის ხოჯაყოფილის თარგმნილი „ნიგნი სააქიმო“, რომელმაც ჩვენამდე ასევე ერთადერთი ნუსხით მოაღწია და იგი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში S-1274 (XV ს.) ნომრით. აღნიშნული თხზულება გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ლ. კოტეტიშვილმა (კოტეტიშვილი 1936). თხზულების დასაწყისში მოცემული საინტერესო ანდერძი გვამცნობს, რომ იგი თარგმნილია ხოჯაყოფილის მიერ მნიგნობართუხუცეს ქყონდიდელის დავალებით ბასიანის ბრძოლის დროს ნადავლად წამოღებული ნიგნიდან. აღნიშნული ცნობის თანახმად, თხზულების ქართული თარგმანი XIII საუკუნის დასაწყისშია შესრულებული.

თხზულება წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს მედიცინაში; გამოირჩევა ავტორთა სიმრავლით, მასში ოცდაორი ავტორია დაფიქსირებული, რომელთაგან ცამეტი არაბი ან არაბულენოვანი ექიმია, შვიდი – ბერძენი და ორიც – რომაელი. თხზულება შედგება ორი დიდი განყოფილებისაგან: 1. ზოგადი ფილოსოფიურ-ექიმური თერაპია. 2. ნერვული, შინაგანი და გარეგანი ორგანოების დაავადებები.

ხელნაწერი ბოლონაკულია. ლ. კოტეტიშვილი ვარაუდობდა, რომ ბოლო, დაკარგული ნაწილი აუცილებლად შეიცავდა ნამლეულობის დამზადების წესებს, რადგან ეს განყოფილება ყველა საექიმო ნიგნის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

თხზულების წარმომავლობის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (სამყურაშვილი 1985: 52-56). ტექსტოლოგიურმა კვლევამ გამოავლინა მასში დაცული არაბული სამედიცინო ლექსიკა, სპეციფიკური არაბიზმები და სტილისტური თავისებურებები (სამყურაშვილი 1985: 56-61), რომლებიც ტექსტში მხოლოდ არაბული წერილობითი წყაროს გავლენით შეიძლება მოხვედრილიყო.

ლ. კოტეტიშვილი ტექსტში დამონშებული ავტორების მოღვაწეობის თარიღების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ ორიგინალი ამ ძეგლისა XI-XII საუკუნეებში უნდა იყოს დანერგილი, იბნ სინას „კანონის“ ზეგავლენით; და ამდენად, მისი ორიგინალი იბნ სინას შემდეგ არის საძიებელი. მან განიხილა ამ პერიოდის არაბი ავტორების შრომები და ვარაუდი გამოთქვა, რომ „ნიგნი სააქიმოს“ ორიგინალი შეიძლება იყოს იბნ რუშდის, იგივე ავეროისის (XII ს.), სამედიცინო ნიგნი „ქითაბ ალ-ქულლიჰა“, თუმცა იქვე დასძინა: „ვიდრე შედარება არ მოხდება, ამის გადაჭრით თქმა ძნელია“ (კოტეტიშვილი 1936: XXII-XXIII).

იბნ რუშდის დასახელებული ნაშრომი, დაცული სანკტ-პეტერბურგში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდში №N124 (Dorn 1852) შევეუდარეთ „ნიგნი სააქიმოს“ ტექსტს. შედარებამ გვიჩვენა ამ ორი ძეგლის სხვადასხვაობა – მათი შემადგენელი ნაწილები განსხვავებული რიგითაა დალაგებული; ერთსა და იმავე დაავადებასთან სხვადასხვა ექიმის მკურნალობის მეთოდებია დამონშებული.

XI-XII საუკუნეები, როდესაც „ნიგნი სააქიმოჲს“ დედანი უნდა შექმნილიყო, ხასიათდება არაბული კულტურის აღმავლობით, რომელმაც მსოფლიო კულტურის, კერძოდ, მედიცინის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ამ პერიოდის არაბულ მედიცინაში ოცდაათამდე ავტორია დაფიქსირებული, რომლებიც საკუთარი თუ ნათარგმნი თხზულებებით ამდიდრებდნენ არაბულ სამედიცინო ლიტერატურას (Brockelmann 1943: 635-644). სავარაუდოა, რომელიმე მათგანის შრომის ქართულ ვერსიას წარმოადგენდეს ხოჯაყოფილის მიერ ქართულად თარგმნილი „ნიგნი სააქიმოჲ“. დედნის მიგნებას ართულებს ქართულ თარგმანში დაცული ძეგლის ზოგადი სახელწოდებაც.

მიუხედავად იმისა, რომ განხილული სამედიცინო ძეგლების შესაბამისი არაბული ორიგინალებიდან დღეს ზოგი არ არის ხელმისაწვდომი, ზოგიც უცნობია, ამ ძეგლების ტექსტოლოგიურმა კვლევამ რელიეფურად გამოავლინა მათში დადასტურებული არაბული ენობრივი თავისებურებები და თვალსაჩინო გახადა მათი შექმნა არაბული წყაროების ნიადაგზე. აღნიშნული თხზულებების სახით ქართულ ლიტერატურაში საფუძველი დაედო ახალ – სამედიცინო – დარგს, რომელიც აღმოსავლური ორიენტაციისაა. ეს ძეგლები ნათარგმნი ლიტერატურის ის ნიმუშებია, რომლებშიც წარმოჩენილია იმდროინდელ ქართველ მნიგნობართა მაღალი სამედიცინო დონე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე** 1985: აბულაძე ი., ძველი ქართულისა და ძველი სომხური სამედიცინო მწერლობის ურთიერთობისათვის, შრომები, IV, თბ., 1985.
2. **კეკელიძე** 1956: კეკელიძე კ., მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები, I, თბ., 1956.
3. **კოტეტიშვილი** 1936: ნიგნი სააქიმოჲ, ხოჯაყოფილის თარგმანი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, ტფ., 1936.
4. **კოტეტიშვილი** 1940: ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1940.
5. **კუხიანიძე** 1977: უსწორო კარაბადინი, ხელახლა გამოსცა, დ. კუხიანიძემ, თბ., 1997.
6. **სამყურაშვილი** 1985: სამყურაშვილი ლ., არაბიზმები „ნიგნი სააქიმოჲში“, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N11, თბ., 1985.
7. **სამყურაშვილი** 1999: სამყურაშვილი ლ., ისმაილ ჯურჯანელის „ხუარაზმშაჰის საუნჯე“ ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში (ელს), პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „მაცნე“, 1-4, თბ., 1999.
8. **სამყურაშვილი** 2001: სამყურაშვილი ლ., ხუარაზმშაჰის საუნჯის ქართული ვერსიის დათარიღებისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N19, თბ., 2001.

9. **სამყურაშვილი** 2003: სამყურაშვილი ლ., არაბიზმები ხუარაზმშაჰის საუნჯის ქართულ ვერსიაში, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
10. **შარაშიძე** 1986: შარაშიძე ქრ., ერევანში მივლინების ანგარიში (1954 წ.), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N13, თბ., 1986.
11. **არაბულ, თურქულ, სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი** 1969: არაბულ, თურქულ, სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K), კოლექცია, შეადგინეს: ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბ., 1969.
12. **მატენადარანი, „უცხო ფონდი“** N18: მესრობ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია, საქმე №18.
13. **სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი** 1977: სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (PAC), კოლექცია, შეადგინა მ. მამაცაშვილმა, თბ., 1977.
14. **Brockelmann** 1943: Brockelmann C., Geschichte der arabischen Literatur, B., I, Leiden, 1943.
15. **Dorn** 1852: Dorn B., Catalogue des manuscrits et xylographes orientaux de la Bibliothèque Impériale publique de St. Petersbourg, St. Pbg., 1852.
16. **Spuler** 1970: Spuler B., Die Medizin im Islam, Leiden-Köln, 1970.

Liana Samkurashvili

GEORGIAN MEDICAL MANUSCRIPTS FROM X-XIII CC. AND THEIR ARABIC SOURCES

SUMMARY

Out of all Georgian medical manuscripts written in 10th-13th centuries that are known to us, only three texts have survived.

1. *The Incomparable (Ustoro) Qarabadini*, believed to be written by the Kananian, was originally composed in 10th-11th centuries, but we are working on the 13th c. manuscript (Q-26). It was first published by L. Kotetishvili in 1940. The text briefly covers topics such as anatomy, physiology, biology, gynecology, and others. It also discusses specific pathologies and the appropriate treatments. Additionally, the author provides general hygienic and dietary advices and concludes with the alphabetic list of simple drugs.

2. Georgian version of the *Treasure of Khorezm-Shah* by Al-Jurdjhani. We do not know who translated it in Georgian, but we do know that it was done in the end of the 12th c. The only copy of the manuscript that has reached us is dated to 15th c. (Matenadaran, 'Foreign Fund' N18). I studied and organized the text for a number of years and prepared it for publishing. It is composed of two parts (books). The first book covers human anatomy, bones and muscle system, nerves and blood supply. Body parts and internal organs of the human body, their functions and the force that makes

them operate are also discussed in details. In the second book we read about hereditary diseases and newly acquired illnesses, diagnostic methodologies using pulsations, urine, phlegm, and others.

3. *The Medical Book* translated by Former Khoja in the 13th c. Again the only copy of the manuscript that has reached us is dated to 15th c. (S-1274). The text was published by L. Kotetishvili in 1936. *The Medical Book* is an encyclopedic type of text. It has 22 authors, out of which 13 were Arabs or Arab-speaking. The book has two parts. First part discusses philosophic-medical therapy, and the other is dedicated to the nerve system and internal and external diseases.

Frequent reference to Arab or Arab-speaking authors and their works (*The Book of Mansur; Kanun, the Dakhira of Khorezm-Shah, the Tashrih of Jalinoz*) and repeated usage of specific Arabisms, stylistic peculiarities, and of Arabic medical terminology revealed by linguistic analysis, demonstrate the heavy reliance of Georgian medical books on Arabic sources.

ნახტან სულავა

ვნების კვირის საბალოლების სახისმეტყველება და ღვთის ბუკამიშვილი

ვნების შვიდეული მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებია, ხოლო ვნების პარასკევი უკანასკნელი დღეა, იესო ქრისტეს ჯვარცმის, გარდამოხსნისა და დაფლვის დღე. ლიტურგიულად, სახისმეტყველებითად იგი ყოველწლიურად მეორდება, რაც ყოველ ქრისტიანს სულიერად აბრუნებს მაცხოვრის ჯვარცმასთან და ხელახლა განაცდევინებს მის მიერ გავლილი გზის მარადიულობას, ყოველი ქრისტიანი იმ სამყაროს ეზიარება, რომელშიც ადამიანად მოვლენილი ძე ღვთისა ისევე იყო კაცობრიობის ნაწილი, როგორც თითოეული ადამიანია ნაწილი კაცობრიობისა.

კვირის თითოეულ დღეს სიმბოლური ფუნქცია აქვს, რადგან სამყაროს შექმნიდან მოყოლებული ყოველი დღე მისტიკურობითაა გაჯერებული და გარკვეული მისიის მქონეა. მაცხოვრის ჯვარცმასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა პარასკევის მნიშვნელობა. ეს კვირის მეექვსე დღეა, ის დღეა, როდესაც ღმერთმა პირველი ადამიანი შექმნა და მას სამოთხეში მიუჩინა სამყოფელი. დროის სიმბოლური გააზრების მიხედვით, პარასკევი დღე შესაქმნის ბოლო ეტაპია გვირგვინი შესაქმნის პროცესისა. რაც აქამდე შეიქმნა სრულყოფილებით, ყველაფერი ადამისთვისაა შექმნილი. ადამის შექმნით განსრულდა შესაქმნის პროცესი, ხოლო ადამმა, როგორც სამყაროს სრულყოფილმა გვირგვინმა, უნდა ატაროს ღვთის ხატი, მისი ხატობა ღვთისა კი ვლინდება მისი სულიერი მისიით – ესაა მიწის უფლობა, პატრონობა, რადგან მიწა და რაც მასშია//მასზეა, ყველაფერი მისთვისაა შექმნილი; ღმერთმა ადამს მიანიჭა საგანთათვის სახელდების უნარი. ამიტომ პარასკევი იმთავითვე განსაკუთრებული, მისტიკური თვისების მქონე დღე იყო. ამ დღეს შექმნა ღმერთმა ადამიანი, ღვთის ქმნილებათაგან უპირველესი, უმთავრესი, ამავე დღეს ჩაიდინა პირველმა ადამიანმა პირველცოდვა, რომელიც პარასკევსვე უნდა გამოსყიდულიყო, კაცობრიობა ამ დღეს უნდა განწმენდილიყო პირველცოდვისაგან, ე. ი. ღვთის განგებით მსხვერპლშენიშვნა პარასკევს უნდა აღსრულებულიყო, ეს კი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ჯვარცმა იყო. პარასკევს შეიქმნა პირველი ადამიანი და მისი

ცხოვრების პირველი პერიოდი პირველცოდვის ჩადენით დასრულდა; მეორე პერიოდი ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნით დაიწყო და ისიც პარასკევ დღეს დაიწყო; პირველცოდვის გამოსასყიდად და კაცობრიობის ცოდვათაგან განსანმენდად ეცვა ჯვარს მაცხოვარი, ძე ღვთისა და ძე კაცისა, რაც, აგრეთვე, პარასკევ დღეზე მოდის. ჯვრის სიმბოლიკა ჰორიზონტალურ-ვერტიკალურია, ვერტიკალურობით იგი ზეცისკენ წარმართავს კაცობრიობის სულიერ მომავალს, ხოლო ჰორიზონტალობით მთელ კაცობრიობას სწვდება წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

კვირის დღეთაგან უდიდესი სულიერი დატვირთვა აქვს ვნების პარასკევს, რომელიც ერთადერთი დღეა ლიტურგიკული წლის განმავლობაში, როდესაც წირვა არ სრულდება, რადგან ყველაზე დიდი შესანიერი მსხვერპლი თავად მაცხოვარი იყო. ამ თემას მიეძღვნა საგალობელთა მთელი ციკლი, რომელშიც, სახარებათა კვალობაზე, ასახულია მაცხოვრის ჯვარცმა, რაც იშვიათი სიმძაფრისა და ტკივილის განცდას ბადებს მსმენელსა თუ მკითხველში. ვნების პარასკევი დღის ლიტურგიკული განგება ვნების ხუთშაბათის განგებაზეა გადანაწილებული, რადგან პარასკევის განგება განსაკუთრებული სირთულით გამოირჩევა, იგი რამდენიმენაწილიანია და უაღრესად დატვირთულია მისტიკურობითა და სიმბოლურობით, რთულია მისი ხატმეტყველება. აქ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა გოლგოთისაკენ მიმავალი იესო ქრისტეს შინაგანი განცდები და სულიერი გამძლეობა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, მისი მონაფეების, მთელი ერის დამოკიდებულება მაცხოვრის ჯვარცმისადმი, რადგან „მცირედნი არიან რჩეულ“, რომელთაც მაცხოვრის თანაგრძნობა ხელენიფებათ.

ვნების ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს პირველშენირულთა ლიტურგია სრულდება და სახარება თავიდან ბოლომდე იკითხება. დიდი ორშაბათის ლიტურგიაში რამდენიმე თემაა წამოწეული, რომელთაგან ერისაგან ღვთის შეუცნობლობა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: „ამხილა დღეს მწსნელმან სიონისამან კრებულსა ჰურიათასა შეურაცხებაჲ იგი ტაძრისა მის სალოცველისაჲ და ჰრქუა: რაჲსათჳს ჰყავთ ესე ქუაბ ავაზაკთა, ან მივსცე იგი წარმართთა და მას შინა მადიდებდეს მარადის“ (ხაჩიძე 2000: 177). ამავე დღეს უნაყოფო ლელვის გახმობის ეპიზოდი აღინიშნება, რადგან იგი იმ ადამიანთა სიმბოლური სახეა, რომელთა სულიერ სამყაროში ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა, სინანულის განცდა ვერ დაინახა, რის შემდეგაც ამხილა ისინი. ამ თემის სიმბოლურობა საგალობლებშიც აისახება: „ვაჲ-მე, რაჲსა ვემსგავსე უნაყოფოსა მას ლელუსა და მეშინის მე წყევისა მისგან და მოკუეთისა, არამედ შენ, ზეცისა მოქმედო, ქრისტე ღმერთო, უნაყოფოჲ სული ჩემი ნაყოფიერად გამოაჩინე, ვითარცა უძღები იგი შვილი შემინყალე და შემინყნარე. განვჰვენ წინაშე შენსა ლოცვასა ჩემსა, რომელსა ძალ-გიც ცხორებაჲ ჩემი, და ვაჩუენოთ ნაყოფი სინანულისაჲ, რაჲთა ღირს ვიქმნეთ შენდობასა ცოდვათასა და დიდსა წყალობასა“ (უძველესი იადგარი 1980: 179); იოანე მინჩხის საგალობელი უნაყოფო ლელვს იუდას სახედ მიიჩნევს, რადგან იუდას ღვთის რისხვა და წყევა დაატყდა თავს:

„უკ-მოიქცა დილათ ქალაქისაგან და მივიდა ლელვსა მის თანა ნაყოფი ხეთაებრ ნაყოფიერთა და ესე სახე ექმნა უნაყოფოსა იუდას, ამისთვის წყევით განაწმო უფალმან“ (ხაჩიძე 2000: 277). ორშაბათის ლიტურგიის სიმბოლური მისია იმას გულისხმობს, რომ ეკლესია მორწმუნეებს შეახსენებს, ერთი მხრივ, ღვთისგან განდგომილ იუდეველთა ხვედრს, მეორე მხრივ, იესო ქრისტეს მიერ აღწერილ ესქატოლოგიურ იდეოლოგიას, აგრეთვე, იერუსალიმის ტაძრის დანგრევასა და სამ დღეში მის აღდგენაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც ამქვეყნიურ ბოროტებაზე გამარჯვებისაკენ, მასზე ამაღლებისაკენ, ლოცვის, სულიერი სიფხიზლის, სიმშვიდისა და მოთმინებისაკენ მოწოდებას მოასწავებს; მაცხოვარმა თავის მოწაფეთა შორის ამპარტავნების ცოდვა აღმოფხვრა და ღვთისმსახურების სიმდაბლის შეგრძნება დანერგა, რათა ღმერთთან ზიარების ღირსნი გახდნენ.

დიდ სამშაბათს მაცხოვრის მეორედ მოსვლისა და კაცობრიობის სულის ხსნის შესახებ მათეს სახარებიდან საკითხავის პარალელურად ათი ქალწულისა და ტალანტის იგავი წარმოითქმის, რითაც ლიტურგიაზე მორწმუნეებს საგანგებოდ მოუწოდებენ სულიერი სიფხიზლისაკენ, მოწყალებისაკენ, ადამიანში ღვთის ძალით დავანებული ნიჭისა და შესაძლებლობების სწორი გამოყენებისაკენ. ყოველივე ეს საგალობლებშიც აისახება და ადამიანის სრულყოფილებისაკენ ლტოლვა გალობით აქცენტირდება: „მსგავსად ბრძენთა მათ თანა ქალწულთა აღვანთნეთ სანთელინი ჩუენნი, აღვიგოთ ზეთი ჭურჭელთა ჩუენთა და მოვეგებვოდით სიძესა მას, რათა შევიდეთ ქორნილსა მას სამეუფოსა. სანთელი იგი, რომელ არს სინმიდეჲ, ზეთი იგი – წყალობაჲ და სიხარული, და სიძე – თავადი ქრისტე, და ქორნილი იგი, რომელ არს სასუფეველი. ქრისტესს მოყუარენო ერნო, მოვედით და მივემსგავსოთ ბრძენთა მათ ქალწულთა მღუიძარებით, რათა ჩუენცა ღირს ვიქმნეთ შესლვად ქორნილსა მას სამეუფოსა“ (უძველესი იადგარი 1980: 181). სახისმეტყველებითი აზრით დატვირთულ გალობის ტექსტში მოხსენიებული ქალწული, სიძე, ზეთი, ლამპარი, ქორნილი მონაშობს მაცხოვრის მეორედ მოსვლის სიმბოლურ არსს, ღირებულებით მნიშვნელობას: „რომელთა საჭუმილი სენტაჲ დაშრიტეთ და ლამპარნი სულთანი აღანთენით, სიძესა ქრისტესა მივეგებვობით ანგელოზთა თანა გალობითა... მეორედ მოსლვასა შენსა განრჩევასა სამწყსოთასა გევედრები ღირს-ყოფად და დადგინებად მარჯუენეთა შენთა თანა...“ (უძველესი იადგარი 1980: 181). მთელი საგალობელი მაცხოვრის მიერ ზეციურ სამსჯავროში კაცობრიობის განსჯისა და კაცობრიობის სულიერი განწმენდის იდეითაა წარმართული.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიდი ოთხშაბათის ლიტურგიული მისია, რადგან იგი მაცხოვრის გაცემის დღეა მისივე მონაფის იუდა ისკარიოტელისაგან: „ერთმან ათორმეტაგანმან განიზრახა მიცემაჲ შენი ურჩულთა მღდელთმოდღუართა, რომლითა დათმენაჲ სულგრძელებისა შენისაჲ იქმნა ჩუენდა ცხორება“ (უძველესი იადგარი 1980: 183); „დღეს შევიდა იუდა წინაშე მღდელთმოდღუართასა და ეტყოდა მათ მიცემასა შენთუის და იგინი აუთქმიდეს მას წარწყმედასა ფასსა სასწორითა“ (უძველესი იადგარი 1980: 184); „ერთმან

ათორმეტათაგანმან ურჩულოთა მღდელთმოდღუართა აუთქუა მიცემაჲ შენი, უფალო, და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა. მათ ექმნა საცთურ, ხოლო ჩუენდა – დიდება და ცხორება“ (უძველესი იადგარი 1980: 185). საგალობელში ერთმანეთს უპირისპირდებიან ცოდვილი მენელსაცხებლე დედაკაცის სიმბოლური ხატ-სახე და გამცემი, რომელსაც საგალობლები გლისპად იხსენიებენ. მენელსაცხებლე დედაკაცის თემა ორ ლიტურგიკულ დღეზეა გადანანილებული, რადგან ხუთშაბათის ღვთისმსახურება დატვირთულია. მენელსაცხებლე დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი შეაზავა და სრულიად უანგაროდ დაასხა თავზე მაცხოვარს, რაც, თავის მხრივ, მაცხოვრის სიტყვებით, მისი მზადებაა დასაფლელად, ამიტომაც ლიტურგიისას შესასრულებელი საგალობლები და წარსათქმელები დედაკაცს განადიდებენ და გმობენ ისკარიოტელის გამცემლობას, ვერცხლისმოყვარეობას: „რომელმან კაცთმოყვარებისათვის პირველ დაფლვისა გამოსახა ცოდვილისაგან სიმდაბლით ნელსაცხებლისა შეწირვითა... ნადიერებით ნელსაცხებლითა შენდა მოილტვოდა ცხებად, რომელი შეინირა, ქრისტე, ცოდვილისაგან სიმდაბლით. მის თანა ჩუენცა მოგუანიჭე შენდობაჲ ცოდვათაჲ და დიდი წყალობაჲ“ (უძველესი იადგარი 1980: 183-184); „ინაწით მჯდომსა მოგიწდა დედაკაცი და ფერწთა შენთა შეუფრდებოდა, მწსნელო, და ნელსაცხებელსა დაგასხმიდა თავსა შენსა, უფალო, ნელსაცხებელსა მაგას ცხორებისასა და შენდობაჲ მიილო...“ (ხაჩიძე 2000: 280); მენელსაცხებლე დედაკაცის პარალელურად იუდას დრკუობასა და გამცემლობას მიუთითებს: „ინუართა დრკუმან მიცემაჲ მოძღურისა მის სახიერისაჲ, რომელმან გუაცხოვნნა ჩუენ“; „უსასყიდლოსა ნელსაცხებელსა – ქრისტეს მეძავი იგი შეჰმურავს დღეს მწურვალედ და შენდობასა ცოდვათასა მიიღებს, და განერების სულმყრალობისა მისგან სულიერისა მადლითა უფლისაჲთა... მეძავი იგი დედაკაცი მიუჰყრობს ნელსაცხებელსა მას სურნელსა უფალსა და შენდობასა ცოდვათასა მიიღებს, ხოლო იუდა მიუჰყრობს განსყიდასა ქრისტესსა მღდელთა და მოიღებს შიშთვილსა“ (ხაჩიძე 2000: 280-281). საგალობლებში წარმოსახული ეპიზოდები დიდი ხუთშაბათის ღვთისმსახურებისათვის სამზადისია და, შესაბამისად, ამ დღის ლიტურგიკული განგების სირთულეც დიდი ოთხშაბათის განგებიდან იღებს სათავეს.

დიდი ხუთშაბათის სიმბოლურობასა და მისტიკურობას სიღრმისეული საფუძვლები აქვს, მისი აქსიოლოგიური მნიშვნელობა უდიდესია, რადგან სწორედ ამ დღეს სრულდება საღვთო საიდუმლო ფერხთბანისა და სერობისა, ამიტომაც ამ დღის ლიტურგიკული განგება რთული და ვრცელია. უწინარეს ყოვლისა, ვნების ხუთშაბათს ცისკრის ჟამნზე თორმეტი ვნების სახარება იკითხება; მათში აღწერილი და ასახულია უფლის ვნება და ტანჯვა ჯვარზე გაკვრამდე და ჯვარზე გაკვრისას. ეს პარასკევის ცისკრის საკითხავებია, ხოლო „თორმეტი სახარება“ ოთხი სახარებიდან ამოკრებილ 12 ნაწყვეტს გულისხმობს, კერძოდ, იგი იწყება საიდუმლო სერობაზე მაცხოვრის უკანასკნელი საუბრით მონაფეებთან, მთავრდება იოსებ არიმათიელის მიერ მაცხოვრის სხეულის დაფლვით ბაღში და რომაელთა მიერ მისი საფლავისათვის მცველების მიჩენით. თითოეული ჟამნი

მაცხოვრის ვნების სხვადასხვა სახეს წარმოადგენს, რაც გეთსიმანიის ბაღში იწყება, მთავრდება გოლგოთაზე მაცხოვრის ჯვარზე გაკვრით, აღსრულებით, გარდამოხსნითა და დაფლვით. ამ დღისადმი მიძღვნილი საგალობლები და ჰომილიები, უწინარესად, იშვიათი სულიერი ძვრების მოწმედ ხდიან მრევლს და, ერთი მხრივ, გამოირჩევიან სინანულის, ადამიანის ტანჯვის მძაფრი აღქმით, ხოლო მეორე მხრივ, ცოდვათაგან განწმენდით, რაც, თავის მხრივ, იმედსაც აღძრავს.

დიდი ხუთშაბათის საგალობლებში უკვე იგრძნობა მოლოდინი წინასწარმეტყველების აღსრულებისა – მაცხოვრის გაცემისა და ვნებისა. მაცხოვრის გაცემის ეპიზოდის არსის წვდომის შესაძლებლობას ჰიმნოგრაფი მსმენელსა თუ მკითხველს კითხვების დასმით აძლევს, რითაც თავის დამოკიდებულებასაც წარმოაჩენს; ყოველივე ამის გააზრება და შეგრძნება, ცხადია, ლიტურგიული ცნობიერების მქონე ადამიანს შეუძლია: „რომლითა სახითა შენ, იუდა, მიმცემელად მაცხოვრისად გამოსჩნდი? ნუთუ კრებულსა მას მოწაფეთასა განგაშორა? ანუ თუ მადლსა მას კურნებათასა ნაკლულევან გყო შენ? ანუ სერობასა მას ტაბლისა მისგან განგაშორა? ანუ სხუათა მათ დაჰბანა ფერწი და შენნი უგულუბელს-გყვნა? ჰ, რავდენთა კეთილთა მოუწყენებლად გამოსჩნდი. შენი უმადლოებით შეინრდების გონებაჲ, ხოლო მისი სულგრძელებაჲ იქადაგების და დიდი წყალობაჲ“ (უძველესი იადგარი 1980: 189). გამცემმა და გლისპმა იუდამ სხვა მოწაფეებთან ერთად სწორედ მაცხოვრის მიერ ფერხთბანის შემდეგ მიიღო უკვდავების საზრდოდ საიდუმლო სერობაზე მაცხოვრის სისხლი და ხორცი, რის შემდეგაც წავიდა გაცემის წინასწარმეტყველების აღსასრულებლად, რაც დავით წინასწარმეტყველის მიერ იყო ნაუწყები, და „განყიდა კრავი იგი ღმრთისაჲ“.

ვიდრე ძველ აღთქმაში დანერილი ეს წინასწარმეტყველება აღსრულდებოდა, მაცხოვრის მიერ უნდა განხორციელებულიყო ფერხთბანისა და საიდუმლო სერობის მისტერიები, რასაც საგალობლები სახისმეტყველებითად წარმოსახავენ: „რომელსა შეემოსა ნათელი, ვითარცა სამოსელი, დღეს გამოუთქუმელითა სიმაბლითა ქორსა მას ზედა საიდუმლოჲსასა სამოსელი მონისაჲ მობრადნად თავს-იდევ... რომელსა თაყუანის-გცემენ დასნი ანგელოზთანი, დამსდაბლდი დაბანად ფერწთა მიწისაგანისათა, განკურნებად ბრჭალთა მათ პირველისა მამისათა... რომელმან საიდუმლოჲ საწსრად განუყავ მოწაფეთა ცხოველსმყოფელი ჯორცი შენი წსნად მომწყუდარნი, გემოჲს-ხილვისა მისისაგან ზიარ მათა მყვენ ჩუენცა, მხოლოო, შეუცოდებელო და მრავალმონყალე უფალო“ (უძველესი იადგარი 1980: 187). აქ დამონმებული საგალობლის თითოეულ ტროპარს სახისმეტყველებით ბუნებას ჰმატებს სხვადასხვა ბრუნვის ფორმით საღვთო ატრიბუტად გამოყენებული მიმართებითი ნაცვალსახელი „რომელი“, იგი ანაფორული კომპოზიციით ქმნის საგალობლის მხატვრულობას და მის სულიერ-ინტელექტუალურ დანიშნულებასაც მიუთითებს. გალობის ტექსტში აქცენტირებული მაცხოვრის სულგრძელობა, რომელსაც დავით გურამიშვილი ესოდენ სიღრმისეულად წარმოაჩენს თავის რელიგიურ თემაზე შექმნილ ლექსებში, დიდი ხუთშაბათის საგალობლის უმთავრეს თემათაგანია, ეს სულგრძელობა გამოვლინდა თვით გამცემის მიმართ-

აც, რომელმაც საკუთარი საქციელის გაცნობიერების შემდეგ სიცოცხლე თავის ჩამოხრჩობით დაასრულა: „უფლისა სულგრძელება უძლებისა მის შვილისაა ნებითა განითქუა. ურჩულო იუდა, მის თანა რაჲ ისერებოდე, ვერცხლისმოყუარებისა ჴელი განითხ, და-რაჲ-იბანენ ფერწნი, შინა-გამცემელად ესენი განმზადენ; ნაცვლად მოშურნებისა შიშთვილი მიიღე. ხოლო ჩუენ, შენ მიერ განბრძნობილი, ვლადებთ: სულგრძელო უფალო, დიდებაჲ შენდა“ (უძველესი იადგარი 1980: 188). საგალობლის იგავთმეტყველებას ქმნის ძველი და ახალი აღთქმის ეპიზოდებზე მინიშნებები, რომელთა სიმბოლოები და ხატ-სახეები ახალ აღთქმაში ტრანსფორმირებული სახით გადადის და ჰიპოდიგმურ-პარადიგმულად გააზრებული ლიტურგიული მისტერიის ნაწილი ხდება: „იგავად თქუმიული წინასწარმეტყუელისაჲ დღეს აღესრულა. სიბრძნემან იშენა თავისა თუისისა სახლი და შეუდგნა მას შუიდნი სუეტნი, და დაუკლა თუისი საკლველი და განზავა ტაკუკთა ღუინოჲ და იტყოდა: მოვედით, ჭამეთ პური ჩემი და სუთ ღუინოჲ, რომელ განგიზადე თქუენ. დაუტევეთ უგუნურებაჲ, რამეთუ ჩემდამო იხარებს მამაჲ და მე ვარ, რომელმან მის თანა ყოველი სოფელი შეეკმენ“ (უძველესი იადგარი 1980: 188).

საიდუმლო სერობის წინასაფხურია მაცხოვრის მიერ მონაფეთათვის ფერხთბანა, მის მიერ გამოჩენილი სიმდაბლე, რომელსაც მაცხოვრის მიმართ მენელსაცხებლე დედა ადასრულებს; საგალობელში დაპირისპირებულია იუდას უბადრუკება და რწმენაზე დამყარებული სიმდაბლე მენესაცხებლე დედისა: „ჰ იუდაჲსი უბადრუკებაჲ. ხედვიდა მეძავსა მას, ამბორისმყოფელსა ფერწთა შენთასა, და განიზრახვიდა ზაკვით მიცემასა ამბორის-ყოფისასა. ესე თმათა თუისთა განიწსნიდა და იგი შურითა შეიკრვოდა. მოაქუნდა ნელსაცხებელისა ნილ მიცემაჲ ბოროტი. რამეთუ შურმან არა უწყინ პატივის მიცემაჲ უმჯობესისაჲ. ჰ იუდაჲსი უბადრუკებაჲ, რომლისაგან იწსენ, ღმერთო, სულნი ჩუენნი“ (უძველესი იადგარი 1980: 192). გაცემის შედეგი იყო მაცხოვრის მიერ სიკვდილის გემოხსნილვა, რაც კაცობრიობის სულიერი ხსნის დასაბამი გახდა, ხოლო მაცხოვრის ჯვარცმით კაცობრიობის სულიერი გადარჩენის, ბოროტებისა და ცოდვის უფსკრულიდან ამოყვანის გზა დაისახა.

საიდუმლო სერობის ტროპარში, რომელიც ზიარებისწინა ლოცვებშია შეტანილი, ლიტურგიკული მსახურების კვალობაზე გახსნილია ზიარების არსი, ერთმანეთთან შეპირისპირებულია იუდა და ქრისტეს რჯულზე მოქცეული ავაზაკი, რომელმაც აღიარა მაცხოვრის ძე ღმერთობა და ირწმუნა სასუფეველში დამკვიდრების შესაძლებლობა: „სერობასა შენსა საიდუმლოსა დღეს, ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ზიარ და ღირს მყავ მე, არა რაჲთა მტერთა შენთა საიდუმლოჲ შენი მიუთხრა, არცა ამბორს-გიყო შენ, ვითარცა იუდა, არამედ ვითარცა ავაზაკმან მან, ვლადატ-ყო: მომიწსენ მე, უფალო, სასუფეველსა შენსა“ (უძველესი იადგარი 1980: 189). ტროპარი ყოველი ლიტურგიული ცნობიერების მქონე ადამიანის შინაგანი სამყაროს გამომხატველად იქცა და მას ყოველი მოზიარე წარმოთქვამს. დიდი ხუთშაბათის საგალობლებში ასახულია ჰურიათა მიერ მაცხოვრის შეუცნობლობა, ფარისევლთა ურჯულობა, პეტრეს სისუსტე და

განმარტებულია მისი რაობა, კაიაფას უსამართლო განკითხვის არსი, პილატეს უსახურობა და უსამართლობა, ბარაბას შეწყალება, ავაზაკთა საპირისპირო სახეები. იესო ქრისტემ მათგან შეინყალა და მსწრაფლ შეუნდო პეტრეს, როგორც კი ამ უკანასკნელმა გულწრფელი სინანული გამოხატა, როგორც კი მან ჭეშმარიტად შეინანა. დიდ ხუთშაბათს მაცხოვარი მონაფეებს შესთხოვს ლოცვას მისთვის, რადგან „უნაყოფო იუდა ზაკუვით მიმცემს ბილნთა ჰურიათა“ (ხაჩიძე 2000: 282). საოცარი სისადავით, სიბრძნითა და სიმშვიდით გამოირჩევა დიდი ხუთშაბათის საგალობელი, რომელშიც მაცხოვარი თავის გამცემს, „წარწყმედისა შვილსა“ იუდას ეუბნება: „ჰ შენდა, მიმცემელო ჩემო, უმჯობეს იყო შენდა ყოლად, თუმცა არაა შობილ იყავ!“ ეშმაკი შევიდა ისკარიოტელისა გულსა და დააბრმო სულით და ჴორციოთ, განაჴა მოციქულთა და განაშორა შემოქმედსა თვსსა. „აღვესრულები მე, რამეთუ მოინია ჟამი, ილოცევდით, მონაფენო ჩემო, უნაყოფო იუდა ზაკუვით მიმცემს ბილნთა ჰურიათა“ (ხაჩიძე 2000: 282).

ვნების პარასკევი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე დღეა, ამ დღეს უსისხლო მსხვერპლშენირვა – წმინდა წირვა არ აღესრულება იმის გამო, რომ საღმრთო განგებულების აღსრულებისას თვით უფალი იყო შეწირული კაცობრიობის სულიერი ხსნისათვის. იოანე მინჩხის საგალობლის მიხედვით, მაცხოვარი უკვე თერთმეტ მონაფეს მიმართავს, რომ მწუხარება მალე სიხარულად გარდაისახება: „ეტიყოდა უფალი ათერთმეტთა მათ: თქუენ სწუხდეთ, ხოლო სოფელსა უხაროდის, არამედ მწუხარებაჲ თქუენი მსწრაფლ გარდაიცვალოს სიხარულად, ხოლო ოდეს მიხილოთ მე, ჯუარსა ზედა მოძღუარი თქუენი, ნუ შესძრწუნდებით, არამედ ილოცევდით, რაჲთა განსაცდელსა არაა შეხვდეთ“ (ხაჩიძე 2000: 282). მაცხოვრის ხატება თვალსაჩინოდ მუდგანდება სამების არსის ჰიმნოგრაფისეული წარმოსახვისას, ვითარცა ნათელი ერთი სამთა მზეთა შორის.

დღის თორმეტ საათზე სიბნელემ მოიცვა მთელი ქვეყანა, დადგა ჯვარცმული იესო ქრისტეს სულის ზეადსვლის დრო, მწუხარებით აღსავსე ზეციურ მეუფეს სხვათა შენდობას ევედრება: „მამაო, მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“ (ლუკა, 23,34), რითაც იშვიათი კაცთმოყვარეობა და შემნდობი ბუნება გამოამჴღავნა. მაცხოვრის ფერხითი მდგარი დედა ღვთისა, ღვთისმშობელი მარიამი, შეჰყურებდა ძის ტანჯვას და ამ ტანჯვით გამონვეული მძაფრი ტკივილი გულს უსერავდა, ტიროდა და გოდებდა, რაც ჯვარზე გაკრულმა იესომ დაინახა, მას შეებრალა დედა და იგი თავის საყვარელ მონაფეს, იოანეს, შეავედრა.¹ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მას ჩააბარა შემდეგი სიტყვებით: „აჰა დედა შენი!“

¹ იოანე მახარებელი მაცხოვრისა და თავისი ურთიერთობის შესახებ განმარტებას თავადვე იძლევა, როდესაც საიდუმლო სერობისას იოანე მახარებელი მიყრდნობილ იყო უფლის მკერდს და ეკითხებოდა, თუ ვინ გასცემდა მას: „და იყო ერთი მონაფეთა მისთაგანი მიყრდნობილ წიაღთა იესუსთა, რომელ-იგი უყუარდა იესუს“ (იოანე, 13, 23). ამ ეპიზოდს სიმბოლური საკამოდ ვრცელი კომენტარი გაუკეთა წმ. იოანე ოქროპირმა ეგზეგეტიკურ თხზულებაში „განმარტებაჲ იოანეს სახარებისა“.

ხოლო თვით იოანეს მიმართა: „დედაო, აჰა ძე შენი!“ (იოანე, 19, 26). ეს ეპიზოდი, კაცობრიობის ისტორიაში ჩადენილი უდიდესი სისასტიკე, დავით გურამიშვილის ლექსებში იშვიათი პოეტური ხატ-სახეებით, ჰიმნოგრაფიული ტრადიციული ხატ-სახეებითაა გადმოცემული. სამყარო შეძრა გაუგონარმა დაუნდობლობამ ადამიანისა. ჯვარცმულმა ღმერთმა და კაცმა სიკვდილის წინ მამა ღმერთს შეავედრა სული (ლუკა, 23, 46). მზის დაბნელება, მინის შეძვრა, საფლავების გახსნა, კრეტსაბმელის განპოზა იერუსალიმის ტაძარში მაცხოვრის ჯვარცმის დასრულების მაუწყებელია, ამიერიდან იგი ზეცად ასული, კაცობრიობას მხსნელად მოველინა. ძე ღვთისა და ძე კაცისა ღმერთს დაშორებული კაცობრიობის სულიერი ხსნისათვის ეცვა ჯვარს, რითაც აღსრულდა ნება ღვთისა, განგება ღვთისა და სიბნელისაგან აღმოიყვანა მართალ ადამიანთა სულები, ღმერთსა და კაცობრიობას შორის განყვეტილი სულიერი კავშირი აღადგინა, მამისეულ ნიაღში დააბრუნა.

მწუხრის ბოლოს საკურთხეველიდან გამოაბრძანებენ წმინდა გარდამოხსნას, რომელსაც წინასწარ გამზადებულ ლუსკუმაზე, ყვავილებით მორთულ სადგამზე დაასვენებენ. სადგამი მაცხოვრის საფლავის სიმბოლური ხატ-სახეა, ხოლო გარდამოხსნა მოხატული ან მოქარგული ქსოვილია, რომელზეც საფლავში ჩასვენებული მაცხოვარია ამოქარგული. გარდამოხსნის გადმოსვენება შუადღისას, დღის ორ საათზე სრულდება, რაც მაცხოვრის აღსრულების დროის მიხედვით მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნის სიმბოლური, ლიტურგიული გამოხატულებაა. ამ დროს, 2 საათზე, აღესრულა ჯვარცმული ქრისტე და ეს სიმბოლურად ლიტურგიაშიც აისახება; ხოლო ვნების შაბათს დილით ადრე, 4 საათზე, გარდამოხსნა შემოტარდება ტაძრის გარშემო, რის შემდეგაც გარდამოხსნის სცენის ამსახველ ნაქარგობას ტაძრის საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ, რაც სიმბოლურად ჯვარცმის ადგილიდან უფლის წმინდა სხეულის მისთვის გამზადებულ საფლავში გადასვენებას ასახავს.

ვნების პარასკევს სრულდება მხოლოდ იესო ქრისტეს ვნებისა და ჯვარცმის ამსახველი საგალობლები. მისი თემატიკა, მართალია, შემოფარგულია, მაგრამ რამდენიმე თემა მაინც შეინიშნება, კერძოდ, ღვთისმშობლისა და მენელსაცხებლე დედათა, პეტრეს სინანული, იოსებ არიმათიელის მიერ უხრწნელი გვამის გარდამოხსნა ჯვრიდან და დაფლვა საფლავში, რის სიმბოლოც ლიტურგიისას გარდამოხსნის საკურთხეველიდან გამოაბრძანება, ტაძრის ირგვლივ შემოტარება და შემდეგ ტაძრის შუაგულში დაბრძანებაა, სადაც სამი დღის განმავლობაში დარჩება, რადგან მაცხოვარი აღდგომამდე სამი დღის განმავლობაში იყო საფლავში.

გოლგოთის მისტიკიას რამდენიმე სიმბოლურ-სახისმეტყველებითი მისია წარმართავს: 1. უწინარესად, კაცობრიობის ისტორიაში იგი ძველი და ახალი აღთქმის ეპოქათა გამყოფია; კაცობრიობის ისტორიის ძველი აღთქმისეული ეპოქა დასრულდა და დაიწყო ახალი აღთქმისეული; 2. ქრისტეს ჯვარცმით ძველი ცხოვრება დასრულდა და დაიწყო ახალი, რომელშიც ადამიანის სული,

საზოგადოდ, კაცობრიობის სული, აღორძინდა; გოლგოთისაკენ მიმავალი გზით კაცობრიობას მიეცა სინანულის საშუალება, რასაც მიჰყავს ადამიანი სულიერი განწმენდისაკენ; 3. გოლგოთაზე დასრულდა ადამის მოდგმის, კაცობრიობის ქრისტიანობამდელი ისტორია, რომელიც პირველცოდვით, ადამისა და ევას პირველცოდვით – „გემოფსილით“ – დაიწყო და მაცხოვრის ჯვარცმამდე, ეპოქალურ სიახლემდე მოვიდა; 4. დაცემული ადამი განახლდა, მოკვდა „ძუელი იგი კაცი“ და იშვა „ახალი იგი კაცი“ [„განიშორეთ თქვენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა **ძუელი იგი კაცი**, განხრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა, და განახლდებოდეთ თქუენ სულითა მით გონებისა თქუენისაჲთა და **შეიმოსეთ ახალი კაცი**, ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სინმიდითა ჭეშმარიტებისაჲთა“ (ეფ. 4: 22-24); „ნუ უტყუით ერთი-ერთსა, **განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი** საქმით მისითურთ. და **შეიმოსეთ ახალი იგი**, განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დაბადებლისა მისისა...“ (კოლას. 3: 9-10)], იესო ქრისტეს ჯვარცმაში სულიერი სიცოცხლის განახლების, ზეცათა მოქალაქობის იდეაა განსახოვნებული, რაც პირველცოდვის წარბოცვით განხორციელდა, ადამიანს მიეცა შესაძლებლობა განღმრთობისა; მაცხოვრის მიერ გავლილი გზა გოლგოთისაკენ ცოდვათა უფსკრულიდან აღმოყვანისა და ბოროტების დათრგუნვის გზაა, იგი ცოდვათაგან და ბოროტებისაგან სულიერი გადარჩენისათვის გადატანილ ტანჯვაზე გადის, რადგან მაცხოვრის ჯვარცმამ სამყარო შეცვალა; 5. ძველი აღთქმა კანონით მოქმედებდა, ახალმა აღთქმამ კანონისა და მადლის, კანონისა და სიყვარულის ერთიანობით დათრგუნა ცოდვა და ბოროტება; ჯვარმა, რომელიც აქამდე სამარცხვინო სასჯელად იყო მიჩნეული, ახალი სიმბოლური აზრობრივი დატვირთვა შეიძინა, დაამარცხა სიკვდილი, რაც უმთავრესი სააღდგომო საგალობლით გამოიხატა: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“, ცოდვა და ბოროტება დათრგუნა; 6. გოლგოთაზე მაცხოვრის ჯვარცმა სიყვარულისა და შურის, სიკეთისა და ბოროტების, ნათლისა და ბნელის, მადლისა და ცოდვის ჭიდილი იყო, რაც სიყვარულის, სიკეთის, ნათლის, მადლის გამარჯვებით დასრულდა; 7. მაცხოვრის ჯვარცმა ღმერთის კაცობრიობასთან შერიგების მოწმობაა, რაც მაცხოვრის სულიერ მისიას, მის აღსრულებას გულისხმობს.

ყოველივე ეს სიმბოლურად და სახისმეტყველებითადაა გააზრებული საგალობლებში, რომელთაგან „უძველეს იადგარსა“ და სხვა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, კერძოდ იოანე მინჩხის „მარხვანში“ დაცულ ვნების პარასკევისთვის განკუთვნილ საგალობლებს დავიმონწმებთ. ამ თემას სისრულით წარმოაჩინს და ასახავს „უძველეს იადგარში“ ვნების პარასკევისთვის განკუთვნილი სამსაგალობელი: ღამითგანსა, აკურთხევდითსა, ადიდებდითსა, რომელსაც მოსდევს გამოავლინე და დასდებელი, ხოლო განასრულებს აქებდითსა. ყოველივე ამას მოსდევს პარასკევის შუადღიდან შესასრულებელი საგალობლები, რომელთა მდიდარი სახისმეტყველება კოსმიური ხილვითაა გაჯერებული. დავიმონწმებთ

სიმბოლოურობით გამსჭვალულ ამ საგალობლებს: „ღამისა წარსლვითა მოგუე-
ახლა დღეა და ნათელი სოფელსა გამოუბრწყინდა. ამისთვისა გიგალობენ წესნი
ანგელოზთანი და დიდებისმეტყუელებს ყოველი დაბადებული, უფალო. ჯუარსა
შენისა აღმართებითა აღმოუბრწყინდა სოფელსა ღმრთის-მცნინერებისა ქად-
აგებაჲ და ამის გამო წსნილნი ვლალადებთ დაუცხომელად და გადიდებთ შენ,
უფალო. ჯუარსა დაემსჭუალე განზრახვით, მონყალე, და გუერდისა შენისა-
გან სისხლი, აღმოუცენე ნათესავსა კაცთასა მოსატყეველად ცოდვათა და
ცხოვრებად საუკუნოდ, სახიერო უფალო. მეუფესა ცათასა და ღმერთსა ქუეყ-
ანისასა მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროსად ამალლებდით მას უკუნისამ-
დე. რომელმან პატიოსნითა ჯუართა ცოდვანი სოფლისანი ავოცნა, მღდელნი
აკურთხევდით, ერნი უფროსად ამალლებდით. **რომელმან ჯუარსა ზედა დამ-
სჭუალვითა ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და ჳელით-წერილი ჩუენი ცოდვაჲ
ჯუართა ავოცა, მღდელნი აკურთხევდით, ერნი უფროსად ამალლებდით**
მას უკუნისამდე. რომელი შორის ავაზაკთასა ჯუარს-ეცუა ჩუენთუის, ქრისტე
ღმერთი და მჳსნელი სულთა ჩუენთაჲ, ვადიდებდით. **რომელმან მოგუანიჭა
ჩუენ უხრწნელებაჲ ჯუართა თუისითა და მოტევებაჲ ცოდვათაჲ მორწმუ-
ნეთა თუისთა, ღმერთსა ჩუენსა ვადიდებდით.** გამოავლინე ჳ ა ბ გ ი განგუა-
ნათლნა ჩუენ ჯუარად აღსლვამან შენმან, უფალო, და დათხევამან სისხლთა-
მან მოგუიტევნა ცოდვანი... რომელსა შეემოსა ნათელი, ვითარცა სამოსელი,
უფალი, განკითხვად მიჰყვანდა; **ყურიმლის-ცემაჲ ნეფსით თავს-იდვა ჳელთა-
გან, რომელიცა შეექმნეს. ერმან ურჩულომან ჯუარსა შემსჭუალეს მეუფეჲ
დიდებისაჲ. მას ჟამსა ეზოჲ იგი ტაძრისაჲ მის განიჰო და მზეჲ დაბნელდა.
რომელთა იხილეს, რწმენა და იტყოდეს: გამოუთქუმელო უფალო, დიდებაჲ
შენდა“** (უძველესი იადგარი 1980: 197-198).

განსაკუთრებული სიმძაფრით გარდამოხსნის ეპიზოდი გამოირჩევა: „დღეს
დამოეკიდების ძელსა, რომელმან ქუეყანაჲ წყალთა ზედა დაჰკიდა; გუირგუინ-
სა ეკალთაგან დაიდგამს ანგელოზთა მეუფეჲ; ტყუვილისა ძონეულსა შეიმოსს,
რომელმან შემოსნა ცანი ღრუბლითა ყურიმლის-ცემასა თავს-იდებს, რომელ-
მან იორდანეს განათავისუფლა ადამ. თაყუანის-ვსცემთ ნებასა შენსა, ქრისტე,
მიჩუენე ჩუენ შენიცა დიდებული ადგომაჲ“ (უძველესი იადგარი 1980: 198-199);
საგალობელში მაცხოვარი მსხვერპლად და კრავად უმანკოდ მიიჩნევა: „ვითარ-
ცა ცხოვარი, კლვად მიიგუარე, ქრისტე მეუფეო, და ვითარცა კრავი უმანკოჲ,
დაემსჭუალე ჯუარსა ურჩულოთაგან ცოდვათა ჩუენთათუის, კაცთმოყუარე“
(უძველესი იადგარი 1980: 199). დასდებულებში ევანგელურ თხრობაზეა დამყარე-
ბული ჯვარცმის სცენის აღწერა, რომელშიც თვით მაცხოვრის სიტყვებით, პირ-
ველ პირში გადმოიცემა ის დეტალები, რომლებიც ჯვარცმას ახლდა: „მანანასა
ნილ მომიპყრობთ მე ნავლელსა, წყლისა მის ნილ – ძმარსა, სიყუარულისა ჩე-
მისა ნილ ჯუარსა ზედა მე დამსჭუალეთ. ან მოუწოდო წარმართთა და მათ მა-
დიდონ მე, და მე მივსცე მათ ცხოვრებაჲ საუკუნოჲ“ (უძველესი იადგარი 1980:
199). რომაელ მხედართა მიერ უფლის კიცხვისათვის ზეცის ძალნი შეძრწუნ-

დებოდნენ, რის შედეგადაც „კიცხვის გვირგვინი“ დაიდგა თავზე (უძველესი იადგარი 1980: 203).

საგალობელში თანმიმდევრულადაა გაცოცხლებული ჯვარცმის სცენა, რომელიც სიმბოლურად წარმოისახება, როგორც ძველი სამყაროს დასასრული-სა და ახალი სამყაროს დასაბამის მაცნე-მაუნყებელი, როგორც მაცხოვრის სისხლით სოფლის ხსნა, როგორც ჯვრით სიკვდილის დათრგუნვა; მაცხოვარმა სოფელში ყოფნისას ადამიანთაგან განიცადა გაცემა, თვისი უბინო, პატიოსანი სისხლის გაყიდვა, ჯვარცმა ვითარცა შეურაცხმა და ბრალის მქონემ. ყოველივე ეს იმის წილ, რა სიკეთეც მაცხოვარმა ამსოფლად ყოფნისას თესა: განრღვეულები განკურნა, მკვდარნი აღადგინა, წიღოვანი განწმიდა, ქანანელი შეიწყნარა და ა. შ. „აჰა კრავი, რომელი თქუენ ჯუარსა-აცუით, დაფლვად მიეცით ერსა, არამედ თუისითა ჳელმწიფებითა აღდგა. ნუ სცთებით, ჰურიანო, რამეთუ ესე არს, რომელმან უდაბნოს გამოგზარდნა და ზღუასა განგარინნა. ესე არს ცხორებაჲ და ნათელი და მშუიდობაჲ სოფლისაჲ“ (უძველესი იადგარი 1980: 200); „საშინელ იყო ხილვაჲ – ცათაჲ და ქუეყანისაჲ შემოქმედი ძელსა დამოკიდებული. მზეჲ დაბნელდა და დღეჲ კუალად ღამედ გარდაიქცა და ქუეყანაჲ დაფარულთა გუამთა განუტევებდა მკუდართა“ (უძველესი იადგარი 1980: 201); „ოდეს ჯუარსა შეჰმსჭუალეს ურჩულოთა მათ მეუფეჲ დიდებისაჲ, ღლატ-ყო მათა: რაჲსა შეგანუხებ თქუენ, ანუ რაჲსა განგარისხებ თქუენ? პირველ ჩემსა ვინ გიჴსნნა თქუენ ჭირისაგან? ან მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა წილ; სუეტისა მის წილ ცეცხლისა ჯუარსა მე დამმსჭუალეთ; ღრუბლისა მის წილ ნათლისა მე საფლავი მითხარეთ; ნაცვალად მანანასა ნავლელი მასუთ მე, წყლისა მის წილ – ძმარი, ან მოუნოდო წარმართთა და მათ მადიდონ მე თანა მამით და სულთ წმიდითურთ“ (უძველესი იადგარი 1980: 201); მაცხოვარი ჯვარსა ზედა დამსჭვალვით ჯვარსა ზედა ამალდა, დაბადებულნი განაახლა, მკვდარნი ვითარცა ძილისაგან აღადგინა და ადამიანები სულიერი წაწყმედისაგან იხსნა.

დიდი პარასკევის საგალობელთა თემატიკა ევანგელურ მონათხრობს ზედმიწევნით მიჰყვება. იოანე მინჩხის „მარხვანში“ ვნების პარასკევის საგალობლებშიც ორიგინალური თვალთახედვითაა წარმოჩენილი მთელი ვნების კვირის სიმბოლური მნიშვნელობა და მაცხოვრის სულიერი მისია – მაცხოვარმა ღმერთთან კაცობრიობის შერიგებას შესწირა თავი. იოანე მინჩხმა კოსმიური თვალხედვით აჩვენა მაცხოვრის ჯვარცმა, რომლითაც შეიძრა ცა და დედამიწა, ოხვრით გოდებენ უფსკრულნი და ძრწიან ცანი ცათანი, საყოველთაო გლოვა მთელ სამყაროს სწვდება; საგალობელში სამყაროში არსებული საგნები, მასში მიმდინარე მოვლენები სულისშემძვრელადაა წარმოსახული, მაცხოვრის ჯვარცმით მნათობებს ბრწყინვალეობა და ძალმოსილება მოაკლდა. მაცხოვრის ჯვარცმა სამყაროს გამყოფია.

ვნების პარასკევის საგალობლებში უდიდესი ტკივილითა და მძაფრი განცდით წარმოისახება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელიც სხვა დედებთან ერთად მიაცილებდა თავის ძეს, ისმენდა პილატეს განცხადებას და გოლგოთაზე უროს

_____ ვნების კვირის საგალობლების სახისმეტყველება და დავით გურამიშვილი

ხმას, როდესაც მაცხოვარი ჯვარს სამსჭვალით მიაღსჭვალეს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დავით გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისა“, რომელშიც მაცხოვრის იშვიათი მოთმინებაა აქცენტირებული, ჯვარცმით შექმნილია სიკვდილისა სიკვდილით დამთრგუნველი მაცხოვრის ხატი და განსაზღვრულია ჯვრის სიმბოლურობის საფუძველი, რადგან ადრე სამარცხვინოდ მიჩნეულმა ჯვარზე გაკვრამ იცვალა ღირებულებითი მნიშვნელობა და მთელი კაცობრიობის სულიერი ხსნის, სულიერი გადარჩენის მისია დაეკისრა. ამ დღისთვის განკუთვნილი ძლისპირის სიტყვები – „ნუ მტირ მე, დედაო“, მაცხოვრის მიერ წარმოთქმული, გვაგულისხმებინებენ იმ იმედის ნაპერწკლის არსებობას, რაც მაცხოვრის ჯვარცმამ მოუტანა კაცობრიობას. დავიმონებ ძლისპირის ტექსტს:

*ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს
მიხილო მე, ძე შენი,
რომელი მშვე უთესლოდ,
საფლავსა დადებულად,
არამედ ან აღვდგე და
ავმალლდე ზეცას
ქებით, ვითარცა ღმერთ ვარ,
და ვიდიდო მე მათგან,
რომელნი ჭეშმარიტად
ღმრთისმშობლად გხადიან (ნევემირებული ძლისპირნი 1982: 595).*

ფრესკებსა და ხატებზე წარმოსახული დატირების სცენასთან პარალელუბით კიდევ უფრო მეტად თვალსაჩინოვდება ვნების პარასკევის მთელი სიმძიმე, რომელიც ყოველწლიურად განახლდება კაცობრიობის სულიერი ზრდის, სულიერი სისრულის, სრულყოფილების მისაღწევად, იგი ადამიანის ღმერთთან ზიარებისა და განღმრთობისაკენ მიმავალი ურთულესი გზაა, რომელიც მხოლოდ სულის სიძლიერით დაიდლება და ღმრთივგანბრძნობილობით მიიღწევა.

საგალობლები წარმოაჩენენ მაცხოვრის ტანჯულ ხატ-სახეს, რომელმაც, „უბრალომ“, ე. ი. ბრალის არმქონემ, კაცობრიობის სულიერი ხსნისათვის ტანჯვა-წამება დაითმინა, წყევისაგან პატიოსანი, უბინო სისხლით გამოიხსნა კაცობრიობა; ვნების პარასკევს აღსრულდა საშინელი, ყოვლად შეუწყნარებელი, უსამართლო სასჯელი: აქამდე სამყაროს არასოდეს ეხილა ასეთი უმანკო განსასჯელი, დაღვრილი პატიოსანი სისხლი და ასეთი მკაცრი, საშინელი მსაჯული. ის, ვინც კაცობრიობის განსაადიდებლად მოვიდა, ვნების პარასკევს დაამცრეს; ის, ვინც ტანჯვისგან კაცობრიობის გასათავისუფლებლად მოვევლინა სამყაროს, ვნების პარასკევს ტანჯეს და ჯვარს აცვეს; ის, ვინც კაცობრიობის მარადიულ ცხოვრებას სათავე დაუდო და ვინც კაცობრიობას სულიერობა მიანიჭა, ვნების პარასკევს გოლგოთის გზა განვლო და სიკვდილს მიეცა. სიცრუით, ღალატით, ვერცხლზე გაყიდულ-გაცემული და შეურაცხყოფილი ნათელი ჭეშმარ-

იტი, მაცხოვარი კაცობრიობისა ვნების პარასკევს ჯვარზე აღესრულა შემდეგი სიტყვებით: „მამაო, ჴელთა შენთა შევჰვედრებ სულსა ჩემსა“ (ლუკა, 23, 46).

დიდი შაბათის საგალობლებში ამავე დღის ღვთისმსახურების თემატიკა აისახება, კერძოდ, მაცხოვრის ჯოჯოხეთს შთასვლა და მართალთა სულების აღმოყვანა, მათი სულიერი ხსნა და გათავისუფლება. ამ დღის საგალობლები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისათვის ამზადებს საფუძველს და მრევლსაც საამისოდ განაწყობს. მაცხოვარმა თავის ვნებით, ჯვარცმით, სიკვდილის დათმენით კაცობრიობას შესაძლებლობა მისცა განღმრთობისა, სამოთხის კარის განღებისა მათთვის: „სულთა საპყრობილემან მწარემან, ჯოჯოხეთმან ბნელმან, წყუდიადისა უფსკრულმან, შურისგებით დამსჯელმან ადამიანთამან, მიიღო მისაგებელად შვდგზის შურისგებაჲ ძლიერებისაგან, რაჟამს შთაჴდა ქუესკენელად, ჴელმწიფებით წარმოტყუენა და აღაოჴრა და ადამ ნათესავითურთ მე აღმო-მიყვანა და ღირს ყო პირველსავე აგებულებასა უხრწნელსა“ (ხაჩიძე 2000: 285). შაბათ დღეს ჯოჯოხეთისაგან დახსნილ იქნა ადამი, პირველცოდვის ჩამდენი, დახსნილ იქნენ ადამიანები მარადიული ტანჯვისაგან; მაცხოვრის ჯვარცმის, უმანკო მსხვერპლის შეწირვის შედეგად ნათელმა გაიმარჯვა და ბოროტება დამარცხდა.

ქრისტიანული მსოფლმხედველობით გამსჭვალული თხზულების ავტორმა დავით გურამიშვილმა ევანგელური მონათხრობის თანმიმდევრულობითა და სახისმეტყველებით წარმოაჩინა ქრისტიანული სამყაროს არსებობის ისტორიაში ყველაზე მძიმე დღე, ჯვარცმის დღე, ვნების პარასკევი. ესაა ე. წ. „ქართლის ჭირში“ ჩართული ლექსები „ჯვარცმის ამბავი“, „მოთქმა ხმითა თავბოლო ერთი“. მათში შეზავებულია თვით ქრისტეს მოძღვრება და ავტორის დამოკიდებულება როგორც მაცხოვრის ჯვარცმის პროცესისადმი, ისე კაცობრიობის მიერ მაცხოვრის ჯვარცმის აღქმისადმი. მთელი ლექსი საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული ნაწარმოებია, რომელშიც ქართველი ერის პასუხისმგებლობაც მოიაზრება. იგი ყოველი ადამიანის აღსარებადაც შეიძლება მოვიაზროთ. მაცხოვრის ჯვარცმაში, როგორც კაცობრიობის ნაწილს, საქართველოსაც აქვს მონაწილეობა მიღებული, როგორც ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრება გვასწავლის: „რამეთუ უკუეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკუდილი სუფევდა ერთისა მისგან, რაოდენ უფროჲს, რომელნი-იგი უმეტესსა მას მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ ცხორებასა შინა სუფევდენ ერთისა მისგან იესუ ქრისტესა. ვითარცა-იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასაშველად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათჳს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებელად ცხორებისა“ (ჰრომ. 5, 17-18).

დავით გურამიშვილის მიერ მაცხოვრის ჯვარცმის ამბის გადმოცემა და დატირების სცენის ასახვა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ ჯვარცმული ძის დატირება და შეილმკვდარ დედათა მიმართ წარმოთქმული გულში ჩამწვდომი სიტყვები კაცობრიობის, შესაბამისად, ქართველი ერის სულიერი განწმენდისაკენ მიმავალი გზის მაუწყებელი უნდა გახდეს, რადგან ჯვარცმა მთელი კა-

ცობრიობის სულიერი კათარსისისათვის განხორციელდა. იგი გოდების, ცოდვათა მონანიების, ვედრების გამოხატულებაა, გულში ჩამწვდომი ტკივილიანი სიტყვებით წარმოთქმული ერთგვარი მონოლოგი-აღსარებაა, რომლითაც შეიძლება ახალი „მეს“, ახალი სულიერი სამყაროს მოპოვება. კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ „ლექსში მთელი სიგრძე-სიგანით გამოხატულია უნუგემო მდგომარეობა// გრძნობა დედისა, რომელიც ხედავს მტერთაგან განგმირულ ერთადერთ შვილს (მაცხოვარს), რომელიც დასტირის უდროოდ დაკარგულ არსებას და აღშფოთებულია ადამიანთა უმადურობით, რომელთაც თავისი კეთილისმყოფელიც კი ვერ შეიშენეს“ (კეკელიძე 1981: 653). ტ. მოსიას სიტყვით: „მაცხოვრის დედის წარმოსახვით დ. გურამიშვილმა გამოხატა თავისი დიდი ადამიანური დამოკიდებულება, სიყვარული და თანაგრძნობა, საერთოდ, დედათა, უწინარესად შვილებდაღუპულ დედათა მიმართ“ (მოსია 1986: 117). რ. ბარამიძემ კი კონკრეტულად მაცხოვრის, როგორც ძის სიკვდილის გამო დედის მძაფრ განცდათა შესახებ განაცხადა, რომ ძალზე მწარეა შვილის დეკარგვა, მაგრამ დედისათვის ასმაგად მძიმეა სხვათა სიკეთისათვის ჯვარცმული შვილის დაკარგვის განცდა (ბარამიძე 1986: 156).

დავით გურამიშვილის ლექსებში ჯვარცმის ამბავი და ამით აღძრული განცდები გადმოცემულია პოეტურად, რეალისტურად, დრამატულად. ჯვარცმულ ქრისტეს მთელი სამყარო გლოვობს, მაგრამ უწინარესად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, რომელიც წარმოჩნდება „როგორც დედა და, ამავე დროს, ზოგადად, როგორც მავედრებელი სუბიექტი“ (უჯმაჯურიძე, 2005: 89). ამ ლექსებში შეზავებულია პოეტური და ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიული ტრადიციები.

დავით გურამიშვილმა, საგალობელთა კვალობაზე, ევანგელური მონათხრობის თანმიმდევრულობითა და სახისმეტყველებით წარმოაჩინა ქრისტიანული სამყაროს არსებობის ისტორიაში ყველაზე მძიმე დღე, ჯვარცმის დღე, ვნების პარასკევი. ესენია „დავითიანში“ ჩართული ლექსები „ჯვარცმის ამბავი“ და „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, ხოლო ლექსში „ღვთისმშობლის ტირილი“ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის გოდება შვილის ჯვარცმის გამო კოსმიურ განცდებამდე აიყვანა. დავით გურამიშვილთან მაცხოვრის ჯვარცმა და აღდგომა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განცდა, ტანჯვა, ტკივილი უჟამო ჟამშია მოქცეული, ე. ი. კონკრეტულ დროში მომხდარიც და ზედროულიც, ამიტომ ყოველივე ეს უჟამო ჟამია. დავით გურამიშვილის მაცხოვრის ჯვარცმისადმი მიძღვნილ ლექსებში თვით პოეტის ლიტურგიული ცნობიერება და აზროვნების ნესი მჟღავნდება, რადგან მაცხოვრის ჯვარცმა, საზოგადოდ, ყოველი ბიბლიურ-ევანგელური მოვლენა და ფაქტი, განიცდება არა მხოლოდ წარსულის გარდასულ კუთვნილებად, არამედ ყოველი დროისათვის აწმყო დროის მიხედვით აღსაქმელად. აქედან გამომდინარე, იგი მარადიულია, ერთდროულადაა კონკრეტულ დროში მომხდარი და ზედროულიც (სირაძე 2005: 60-61). გურამიშვილის ლექსებში შეზავებულია თვით ქრისტეს მოძღვრება და ავტორის დამოკიდებულება როგორც მაცხოვრის ჯვარცმის პროცესისადმი, ისე კაცობრიობის მიერ

მაცხოვრის ჯვარცმის აღქმისადმი, ღვთისმშობლის ტირილით გამოხატა კაცობრიობის სინანული, მონანიების განცდა ცოდვითა გამოსასყიდად. ეს ლექსები ერთმანეთს ემთხვევა განწყობით, ლექსიკით, ფორმით, რაც ქმნის როგორც მათი და მთლიანად „დავითიანის“ კომპოზიციური ერთიანობის, ისე დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობისა და ლირიკული განწყობის შერწყმის საფუძველს. ყოველივე ეს ბიბლიურ-ევანგელურის, პატრისტიკულ-ჰაგიოგრაფიულისა და ჰიმნოგრაფიულის ნაზავია, რომლის მიზანდასახულობა სულიერი განწმენდა, ზესთასოფელში დამკვიდრება, სულიერი განახლება და უზენაესთან ზიარებაა.

დავით გურამიშვილის ეს ლექსები საოცარი პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული ნაწარმოებებია, რომლებშიც ქართველი ერის ზნეობრივი პასუხისმგებლობაც მოიაზრება. ისინი ყოველი ადამიანის აღსარებადაც შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც კაცობრიობის ნაწილს, საქართველოსაც აქვს მონაწილეობა მიღებული მაცხოვრის ჯვარცმაში, როგორც ამას ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრება გვასწავლის: „რამეთუ უკუეთუ ერთისა მის შეცოდებითა სიკუდილი სუფევდა ერთისა მისგან, რაოდენ უფროეს, რომელნი-იგი უმეტესსა მას მადლისასა და ნიჭსა სიმართლისასა მიიღებენ ცხორებასა შინა სუფევდენ ერთისა მისგან იესუ ქრისტესა. ვითარცა-იგი ერთისა მის შეცოდებისაგან ყოველთა კაცთა ზედა დასაშველად, ეგრეცა ერთისა მის სიმართლისათეს ყოველთა კაცთა ზედა განსამართლებლად ცხორებისა“ (ჰრომ. 5, 17-18). დავით გურამიშვილს, ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრების, ღვთისმეტყველ მამათა, ჰიმნოგრაფთა კვალობაზე, მიაჩნია, რომ იესო ქრისტეს განწირვაში ჯვარცმისათვის ბრალი ქართველებსაც მიუძღვით, რის გამოც მაცხოვრის წინაშე კაცობრიობის ჩადენილი ცოდვა მათაც უნდა იტვირთონ და გაიზიარონ. პავლე მოციქულის ზემოთ დამონმებული სიტყვები სწორედ ამ თვალსაზრისის მოწმობაა.

მაცხოვრის ცხოვრება მაგალითი იყო მთელი კაცობრიობისათვის, იგი მათ ორ გზას მიუთითებდა – ხორციელს და სულიერს – და არჩევანს სთავაზობდა, მაგრამ ებრაელებმა იგი მაინც ვერ შეიცნეს და უარყვეს:

*ურიათ გმეს და უარყვეს უფალი ტკბილი იესო,
მათ მისი სწავლა-მოძღვრება არარად მიიჩნიესო;
არ ვიცდი, რად ქნეს უგბილთა, ავი რა შეამჩნიესო;
ორსავ გზას ნრფელს წინ უდებდა, ხორციელს და სულიერსო.
ამის მეტს არას ეტყოდა: ესევედით ღმერთს ზეციერსო.
მშვიდათ ცხოვრებდით, ნუ უზამთ ერთმანეთს თქვენ უდიერსო;
გაიკითხვედით გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო.
რასაც კეთილს იქთ, ღმერთი თქვენ მოგაგებთ მის მაგიერსო*

(გურამიშვილი 1980: 76).

დავით გურამიშვილის ლექსებში მაცხოვრის ჯვარცმის ასახვაში ახალი დეტალი არ არის და არც შეიძლებაოდა ყოფილიყო. მაგრამ განწყობილებით, განცდით, გრძნობით ყოველი მკითხველისა თუ მსმენელის მიერ ხელახლა გან-

———— ვნების კვირის საგალობლების სახისმეტყველება და დავით გურამიშვილი

იცდება ჯვარცმის კოსმიური მოვლენა, ამიტომ პოეტის მიერ აქცენტირებული ყოველი დეტალი მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ბოლო დღეებსა და საათებზე პოეტური შინაარსით იტვირთება და ფორმასაც შესაფერისს იძენს. ლექსებს განსაკუთრებულ სიძლიერეს სძენს მაცხოვრის დათმენის ამსახველი სტრიქონების გამეორება: „დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!“ დავით გურამიშვილის ეს ორი ლექსი ერთმანეთს ემთხვევა განწყობით, ლექსიკით, ფორმით, რითაც ქმნის როგორც მათი და მთლიანად „დავითიანის“ კომპოზიციური ერთიანობის, ისე დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობისა და ლირიკული განწყობის შერწყმის საფუძველს. ყოველივე ეს კი ბიბლიურ-ევანგელურის, პატრისტიკულ-ჰაგიოგრაფიულისა და ჰიმნოგრაფიულის ნაზავია, რომლის მიზანდასახულობა სულიერი განწმენდა, ზესთასოფელში დამკვიდრება, სულიერი განახლება და უზენაესთან ზიარებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბარამიძე** 1986: ბარამიძე რ., ქართული მწერლობის შესწავლისათვის, თბ., 1986.
2. **გურამიშვილი** 1980: დავით გურამიშვილი, თხზულებანი, კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო სარგის ცაიშვილმა, თბ., 1980.
3. **კეკელიძე** 1981: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981.
4. **მოსია** 1986: მოსია ტ., დავით გურამიშვილი და ქართული სიტყვიერი კულტურა, თბ., 1986.
5. **ნევმირებული ძლისპირნი** 1982: ნევმირებული ძლისპირნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გულნაზ კიკნაძემ, თბ., 1982.
6. **სირაძე** 2005: სირაძე რ., დავით გურამიშვილის სახისმეტყველება, კრებ.: „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
7. **უძველესი იადგარი** 1980: უძველესი იადგარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელენე მეტრეველმა, ცაცა ჭანკიევმა და ლილი ხევსურიანმა, თბ., 1980.
8. **უჯმაჯურიძე** 2005: უჯმაჯურიძე მ., ელეგიური ნაკადი დავით გურამიშვილის ლირიკაში, კრებ.: „დავით გურამიშვილი – 300“, თბ., 2005.
9. **ხაჩიძე** 2000: ხაჩიძე ლ., ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან, თბ., 2000.

Nestan Sulava

TROPOLOGY (IMAGE LANGUAGE) OF THE HYMNS OF THE PASSION WEEK AND DAVIT GURAMISHVILI

SUMMARY

The Passion Week Good Friday's regulation is distinguished by its specific complexity as it consists of several parts loaded with icon language. Here inner feelings of the Christ, while carrying the cross to Golgotha, grasp our attention together with the attitude of his pupils and whole nation towards the crucifixion of Christ.

In this article we discuss triple hymn: Ghamitgansa (night hymns), Akurtxevditsa (blessing hymns), Adidebditsa (glorifying hymns), which are followed by Gamoavline (... hymns), Dasadebeli (... hymns) and ends up with Akebditsa (appraisal hymns) that are followed by the hymns to be performed as of Friday afternoon. The latter have amazingly rich tropology and they are saturated with the cosmic vision.

The Holly Mother of God is depicted with a tremendously painful sentiment in the Passion Week's hymns, especially, that of Good (Geo. Passion) Friday. In this respect Davit Guramishvili's poems such as: "Crucifixion story", "Lamentation with voice and with one and the same beginning and ending", "Mother of God's Lament" are significant, wherein the patience of Christ is accentuated; the icon of the savior, who conquered death with the death by the crucifixion, is created and the basis for cross symbolism is determined. Hence, the crucifixion, which earlier has been considered as the shame changed its valuable importance and undertook the mission of spiritual salvation and survival of whole humanity.

ქათვან ტატიშვილი

ანტონ I კათალიკოსისეული სადღესასწაულო¹

სადღესასწაულო არის ლიტურგიკული კრებული, რომელშიც გაერთიანებულია ჰიმნოგრაფიული მასალა, ლიტურგიკული მითითებანი და საკითხავები ბიბლიური წიგნებიდან (ქართული სადღესასწაულოს განვითარების ისტორია შეისწავლა მიხეილ ქავთარიამ (ქავთარია 1977: 34-118), მანამდე კი – კ. კეკელიძემ (კეკელიძე 1957: 175-186; კეკელიძე 1980: 361-363; 375-376, 380-381). ქართული სადღესასწაულოს ნუსხები ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში შედის ე. წ. ტრადიციული სადღესასწაულოები, ხოლო მეორეში – რუსული ტიპიკონის მიხედვით შედგენილი. არის ე. წ. შერეული ტიპის სადღესასწაულოც, რომელიც რუსული პროლოგ-სვინაქსარებისა და ქართული ტრადიციული სადღესასწაულოს მასალის გაერთიანებაა, თუმცა ეს რედაქცია არ გავრცელდა (ქავთარია 1977: 118).

ტრადიციულ სადღესასწაულოში თავმოყრილია ჰიმნოგრაფიული მასალა (ისიც არა ყველა დღეზე), ლიტურგიკული მითითებანი და ბიბლიური საკითხავები. სვინაქსარული ცხოვრებანი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება. ტრადიციული სადღესასწაულოს ხელნაწერები იდენტურები არ არიან, არის სხვაობა როგორც კალენდარში, ისე ტექსტშიც. ჰიმნოგრაფიული მასალა აქ შესულია გიორგი მთაწმიდელის თვენიდან, საკითხავები და ტიპიკალური შენიშვნები – შესაბამისი წიგნებიდან, ანუ სადღესასწაულო, როგორც მზა კრებული, არ თარგმნილა ქართულად (ქავთარია 1977: 39).

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია სლავურ-რუსულ ტიპიკონზე განყოფილი სადღესასწაულოები. ეს ჯგუფი კიდევ ორ ქვეჯგუფად იყოფა: ა) რომელსაც საფუძვლად დაედო პროლოგ-სვინაქსარების მასალა (XVII საუკუნის ბოლო – XVIII საუკუნის დასაწყისი); ბ) საფუძვლად დაედო რუსული სადღესასწაულო და თვენი (XVIII საუკუნის II ნახევარი).

სწორედ რუსული სადღესასწაულოს გავლენით შეადგინა თავისი კრებული ანტონ I კათალიკოსმა. კორნელი კეკელიძის აზრით, „ანტონიმ ის მოინდომა,

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

რაც მეთერთმეტე საუკუნეში ათონელმა მამებმა ჩაიდინეს. როგორც ათონელებმა მოაცილეს ჩვენს ლიტურგიკულ პრაქტიკას „ალმოსავლური“ ელფერი და ის ბიზანტიის საღვთისმსახურო პრაქტიკას დაუახლოეს, ისე ანტონიმ მოინდომა მიეცა მისთვის, ბიზანტიურის ნაცვლად, რუსული ფიზიონომია“ (კეკელიძე 1980: 380). თუმცა მისი სადღესასწაულო, პირველ რიგში, იმითაა აღსანიშნავი, რომ მასში თითქმის სრულადაა წარმოდგენილი ქართული ეკლესიის წმინდანთა ხსენება-განგებანი. საერთოდ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ეროვნული ტენდენცია გაძლიერდა ქართულ სასულიერო მწერლობაში. ამან კი გამოიწვია ეკლესიის მესვეურებისგან ქართველ წმინდანთა მოღვაწეობის ახალი თვალსაზრისით შეფასება და მათი დამსახურების განსაზღვრა ეროვნული ეკლესიის წინაშე. სწორედ ამ თვალსაზრისით გადამუშავდა ლიტურგიკული წიგნები და შიგ შეტანილ იქნა ქართველ წმინდანთა ხსენება-განგებები. ანტონი, რა თქმა უნდა, გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ საკითხისადმი. მან ჯერ კიდევ თავისი მოღვაწეობის პირველ ხანებში (რუსეთში გადასახლებამდე) შექმნა თვენთან მაქსიმალურად დაახლოებული ტრადიციული რედაქციის სადღესასწაულო (A-151). ანტონს ამ კრებულში ყველა დღე აქვს შეტანილი, მაგრამ განგებები არ არის, მხოლოდ ხსენებებია (ქავთარია 1977: 106-107).

რუსეთში ანტონ პირველმა ახალი რედაქციის სადღესასწაულო შეადგინა, რომლის ავტორიზებული ნუსხაც – S-1464 – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. იგი გადანერილია (ნაწერია მხედრულად) 1759-1760 წლებში მიხაილ იოანეს ძის მიერ ვლადიმირში, ბოგოლუბოვოს მონასტერში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შესწირა იასონ დავითის ძე ციციშვილმა. ამ სადღესასწაულოში თითქმის ყოველი დღის განგებაა მოცემული, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ანტონის რედაქციის სადღესასწაულო გავრცელდა და კანონიკური მნიშვნელობა შეიძინა. სამწუხაროდ, არ არსებობს მისი სამეცნიერო გამოცემა. მეცხრამეტე საუკუნეში დაბეჭდილია სამჯერ, ისიც მოკლე ვარიანტი.

სადღესასწაულოზე დართული წინასიტყვაობიდან (კეკელიძე 1957: 175-186) ჩანს, რომ ეს კრებული გამოირჩევა კალენდრის სისრულით, აყვანილია თვენის პრინციპამდე და თითქმის ყველა დღის განგებაა მოცემული. სრულადაა წარმოდგენილი როგორც მსოფლიო ეკლესიის, ისე ქართველი წმინდანებიც. ანტონმა რიგ შემთხვევაში შეცვალა ხსენების დღეები (მაგ.: დავით აღმაშენებლის ხსენება 25 იანვრიდან გადაიტანა 26 იანვარს; 2 დეკემბერს საერთოდ გააუქმა პეტრე იბერის ხსენება და მის ნაცვლად იმ დღეს განაწესა ისე წილკნელის განგება). მთლიანად ახლად შეადგინა ქართველ წმინდანთა განგებანი და ზოგჯერ თავიდან დაწერა საგალობლები. ანტონი, რა თქმა უნდა, იყენებს უკვე არსებულ ჰიმნოგრაფიულ მასალას, მაგრამ უპირატესობას არ ანიჭებს მას. ზოგად ნაწილში მან ცალკეული ადგილები თარგმნა რუსულიდან და ძველი ქართული თარგმანი შეცვალა. ახალი თარგმანის აღსანიშნავად კიდევ დასვა რგოლი. ანტონმა არათუ თითქმის ყველა ქართველი წმინდანის ხსენება შეიტანა, არამედ დაამატა კიდევ ერთი წმინდანის, კერძოდ, ნეოფიტე ურბნელის ხსენება. იგი

იყო პირველი ჰიმნოგრაფი, რომელმაც შეადგინა დავით აღმაშენებლის, გრიგოლ ხანძთელისა და ნეოფიტე ურბნელის განგებები. მანამდე არ არსებობდა ამ წმინდანების კანონები მცირე ფორმის საგალობლებითურთ (ტატიშვილი 2005: 15). მთლიანად ანტონმა დაწერა კანონები შემდეგი ქართველი წმინდანებისა: 1. ქეთევან დედოფლის (13 სექტემბერი); 2. ბიძინა ჩოლოყაშვილის (18 სექტემბერი); 3. შალვა და ელიზბარ ერისთავების (18 სექტემბერი); 4. დავითის და კონსტანტინესი (2 ოქტომბერი); 5. გრიგოლ ხანძთელის (4 ოქტომბერი); 6. ნეოფიტე ურბნელის (28 ოქტომბერი); 7. კონსტანტინე მთავრის (10 ნოემბერი); 8. მიქაელ-გობრონის (17 ნოემბერი); 9. ილარიონ ქართველის (19 ნოემბერი); 10. აბიბოს ნეკრესელის (29 ნოემბერი); 11. ისე წილკნელის (2 დეკემბერი); 12. წმინდა ნინოს (14 იანვარი); 13. ანტონ მარტყოფელის (19 იანვარი); 14. დავით აღმაშენებლის (26 იანვარი); 15. იოანე ზედაზნელის (7 მაისი); 16. ექვთიმე მთაწმიდელის (13 მაისი); 17. არჩილისა და ლუარსაბის (21 ივნისი); 18. არჩილისა და ლუარსაბის მეორე კანონი (21 ივნისი); 19. გიორგი მთაწმიდელის (27 ივნისი); 20. იოანე ათონელის და გაბრიელის (12 ივლისი); 21. ევსტათი მცხეთელის (29 ივლისი); 22. რაჟდენ პირველმონაშის (3 აგვისტო); 23. შუშანიკ დედოფლის (28 აგვისტო); 24. გარეჯელ მონაშეთა (ბრწყინვალე კვირიაკის შემდეგ ოთხშაბათს); 25. დავით გარეჯელის (ამაღლების შემდეგ ხუთშაბათს). ანტონი, ჩვეულებრივ, მცირე ფორმის საგალობლებსაც წერდა კანონებთან ერთად და სხვა უკვე არსებულ ჰიმნებთან ერთად შეჰქონდა თავის კრებულში. თუმცა ზოგჯერ მხოლოდ მცირე ფორმის საგალობლებს წერდა, კანონი კი სხვა ჰიმნოგრაფს ეკუთვნოდა, მაგ.; დოდო გარეჯელის (ავტორი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი) და იოსებ ალავერდელის (ავტორი მარიამ-მაკრინა ბატონიშვილი) კანონებს ერთვის ანტონ კათალიკოსისეული მცირე ფორმის საგალობლები.

მიუხედავად იმისა, რომ აღორძინების ხანის სხვა ჰიმნოგრაფებიც წერდნენ ქართველი წმინდანების საგალობლებს (გრიგოლ დოდორქელი, მარიამ-მაკრინა, სულხან-საბა ორბელიანი, ნიკოლოზ მაღალაშვილი, იესე ერისთავი და სხვანი), ასეთი ნაყოფიერი არც ერთი არ იყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ანტონ პირველი თითქმის ყოველთვის უთითებს საგალობელთა (არა მარტო კანონის, არამედ მცირე საგალობლების) ავტორების ვინაობას. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი შეუმონებლად არასოდეს წერდა რამეს, ცხადი გახდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ცალკეულ ჰიმნოგრაფთა შემოქმედების შემსწავლელთათვის სადღესასწაულოს ანტონისეული რედაქცია.

მ. ქავთარია წერს, რომ „ანტონს ტექნიკურადაც განუსხვავებია თავისი შრომა ძველი რედაქციის ნუსხებისაგან. ტიპიკალური შენიშვნები – ეგზომ აუცილებელი სადღესასწაულოსათვის, მან დაურთო განგებებს ბოლოს, მაშინ როდესაც ძველ რედაქციებში, როგორც წესი, განგების თავშია“ (ქავთარია 1977: 116). ეს მართლაც ასეა ტრადიციული ჯგუფის სადღესასწაულოებში, მაგრამ, რადგან ალექსი მესხიშვილიც განგებებს ბოლოს ურთავს ტიპიკალურ შენიშ-

ვენებს და თან მისი სადღესასწაულო S-1464-ის პარალელურად იწერებოდა, იმის თქმა, რომ ანტონ კათალიკოსი პირველია და ერთადერთი ქართველ ლიტურგისტა შორის ამ თვალსაზრისითაც, სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს. ამ ორ დიდ მოღვაწეს, ფაქტობრივად, ერთდროულად დაუწყია მუშაობა, მაგრამ სამშობლოდან გაძევების გამო ანტონმა რუსეთში დაასრულა კრებული, ხოლო ალექსი მესხიშვილმა – საქართველოში. მისი ნაშრომის ავტოგრაფული ნუსხა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (A-1093, 1758 წ). ვინაიდან ანტონისეული რედაქცია კანონიკური გახდა, „თითქმის არ მოიპოვება მეორე ნუსხა, რომელიც A-1093-ის პირი იყოს“ (ქავთარია 1977: 101).

ამრიგად, ანტონ პირველის სადღესასწაულო ძალიან მნიშვნელოვანი ლიტურგიკული კრებულისა. იგი ანთოლოგიაა, როგორც ორიგინალური ქართული, ისე ნათარგმნი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობისა. მართალია, იგი რუსულ სადღესასწაულოს ეყრდნობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანტონმა თითქმის სრულად წარმოადგინა ქართველ წმინდანთა ხსენება-განგებანი, რაც მანამდე არც ერთ ლიტურგისტს არ გაუკეთებია, ვნახავთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს კრებული არა მარტო ლიტურგიკული კრებულების ისტორიის შემსწავლელთათვის და, საერთოდ, ჰიმნოგრაფიის (როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური) მკვლევართათვის, არამედ ქართული ეკლესიისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **კეკელიძე 1957:** კეკელიძე კ., ანტონ კათალიკოსის სალიტურდიკო მოღვაწეობიდან, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957.
2. **კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
3. **ტატიშვილი 2005:** ტატიშვილი ქ., ანტონ I კათალიკოსის ორიგინალური ჰიმნოგრაფია, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერის უფლებით, თბ., 2005.
4. **ქავთარია 1977:** ქავთარია მ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან XVII-XVIII, თბ., 1977.

Ketevan Tatishvili

THE FEAST HYMN BOOK BY ANTHON I CATHOLICOS

SUMMARY

Feast Hymn books is a Liturgical book, which unites hymns, liturgical notes, texts from Bible books and in some cases synaxarion material. This book has very interesting development as well as other liturgical books. The issue of having hymns new edition in Georgian Church became relevant in 18th Century since in the 18th century the national-patriotic theme became most significant. That is why hymnographers created Rites (hymnographic Canon and Sticharions) dedicated to Georgian Saints- this was the principal demand of the strong national stream in Georgian clerical poetry of the late feudal time.

The outstanding role in the fiction of late feudal period was played by Anthon I Catholicos. He began editing of Feast Hymn Book, which in the first place implied expanding and enriching the hymnographic part. He presented his conceptual views and revealed himself as Anthon the hymnographer, Anthon the reformist of Liturgical books and Anthon the preacher of national spirit. Due to this fact new clerical hymns were created about every Georgian Saint. Simultaneously he represented old clerical hymns as well. Thus, Feast Hymn Book under Anthon's editorship is an anthology of not only Anthon's hymns but of the whole heritage of Georgian hymnography.

ნანა ჩიკვატია

ანასტასი სინელის „წინამძღუარი“ დაცული ერთი იკონოგრაფიული გამოსახულების შესახებ¹

ძველ ქართულ მწერლობაში ფართოდ არის წარმოდგენილი პოლემიკური ნაწარმოებები უცხო რელიგიებისა და ქრისტიანული ერესების წინააღმდეგ. სიტყვიერი პოლემიკისა და დისკუსიის ფორმით ორთოდოქსული ეკლესიის წარმომადგენლები და საეკლესიო მწერლები განმარტავდნენ და იცავდნენ მართლმადიდებლურ დოგმატებსა და სარწმუნოებრივ კრედოს. ლიტერატურული ძეგლებისა და წერილობითი დოკუმენტების პარალელურად ქრისტიანული ხელოვნება, ქრისტიანული იკონოგრაფიაც მართლმადიდებლურ-სარწმუნოებრივი კანონიკურობის დაცვას ისახავდა მიზნად. ძველ ქართულ საღვთისმეტყველო-პოლემიკურ მწერლობაში დადასტურებულია ერთი ფაქტი, როცა პოლემიკური მიზანდასახულობა აკისრია იკონოგრაფიულ გამოსახულებას.

ეს არის ჯვარცმის გამოსახულება ანასტასი სინელის, VII საუკუნის ბიზანტიელი მწერლის, ცნობილ ნაწარმოებში, რომლის სახელწოდებაც „წინამძღუარი“.

საერთო მიმართულება ადრექრისტიანული ხელოვნებისა და იკონოგრაფიისა ჯვარცმის თემას არ ცნობდა. ამ ხელოვნების ხასიათი საზეიმოა. საქმის სიდიადე, აღსრულებული სამყაროს მხსნელის მიერ, მისი სასწაულები – აი, ჩვეულებრივი თემები, არჩეული სახარების მხატვართაგან. ჯვარცმის თემასთან დაკავშირებით კი ქრისტიანები გაორებულნი იყვნენ. ჯვარცმა ხომ სამარცხვინო სასჯელი იყო მძიმე დამნაშავეებისა. ჯვარცმული ქრისტეს თაყვანისცემა იუდეველთა და წარმართთა თვალში უგუნური თაყვანისცემა იყო სიკვდილმისჯილი დამნაშავეის, ჯვრის თაყვანისცემა კი – დასჯის უბრალო იარაღისა. პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში (I კორინთ. 1, 23) ნათქვამია, რომ ჯვარცმული ქრისტეს განდიდებას იუდეველები ცდუნებად, ხოლო წარმართები სიგიჟედ თვლიდნენ. იულიანე იმპერატორი აღნიშნავდა, რომ ადამიანები, რომ-

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ლებმაც დატოვეს მარადიული ღმერთები და ჯვარცმულ მკვდარ იუდეველს მიუბრუნდნენ, მხოლოდ ზიზლსა და თანაგრძნობას იმსახურებენ. ამიტომ იყო, რომ ჯვარცმული მაცხოვრის გამოსახვა ქრისტიანთა სინდისს აცბუნებდა.

მაგრამ, იმავდროულად, ქრისტიანების შეგნებაში მნიფდებოდა აზრი, რომ არ შეიძლებოდა, მიჩქმალული ყოფილიყო იმ მსხვერპლის სიდიადე, რომელიც მაცხოვარმა მათი ხსნისთვის გაიღო. ამიტომაც თავიდანვე იგულისხმებოდა, რომ იკონოგრაფიული ციკლის საკმარისი განვითარების ყამს ეს თემა აუცილებლად იჩენდა თავს და მას უნდა ჰქონოდა თუნდაც მინიშნებითი, არაპირდაპირი გამოსახულება.

ჯვარცმა წერილობით ძეგლებსა და ხელოვნებაში თანადროულად ჩნდება V-VI საუკუნეებში. ხელოვნებაში ჯვარცმა შემორჩენილია რომში – საბინას კარზე – და ბრიტანეთის მუზეუმში. წერილობით ძეგლებში ჯვარცმაზე მსჯელობაა ჰორაციუსთან, გრიგოლ ტურსკელთან და ჩვენთვის საინტერესო VII საუკუნის ბიზანტიელი მწერლის, ანასტასი სინელის, „წინამძღუარში“.

„წინამძღუარი“ შეიცავს მართლმადიდებლურ ღვთისმეტყველებასა და პოლემიკას სხვადასხვა ერესთან, ძირითადად, მონოფიზიტობასთან. ქრისტოლოგიური დოგმატების ლოგიკურ-ცნებითი და ტერმინოლოგიური ანალიზის დროს ანასტასი სინელის მიერ ერთგან მოცემულია ჯვარცმის იკონოგრაფიული გამოსახულება, რომლის მიზანია მონოფიზიტების ცთომილების მხილება. როგორც ა. პოკროვსკი შენიშნავს, ეს იშვიათი და უნიკალური ფაქტია ქრისტიანულ ხელოვნებაში, როცა იკონოგრაფიული გამოსახულება პოლემიკის ფუნქციას ატარებს. ანასტასი სინელის ჯვარცმის ხატი მიმართულია მონოფიზიტური ერესის თეოფასხიტური მიმართულების წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქრისტეს ჯვარცმისას ღვთაება ევნო. ანასტასი სინელი უარყოფს ამ შეხედულებას და ამტკიცებს, რომ ევნო მხოლოდ კაცი და არა ღმერთი. ყურადსაღებია ის, რომ თავისი მსჯელობის არგუმენტირებას იგი იკონოგრაფიული გამოსახულებით ახდენს. მას ტექსტში ჩაურთავს ჯვარცმის გამოსახულება და მასზე გაუკეთებია წარწერები განხორციელების აქტში ჩართული კომპონენტების აღსანიშნავად: ფიცარზე, ზემოთ არის წარწერა: „ესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათაჲ“, ხოლო მაცხოვრის მკლავებს ქვეშ: „ღმერთი სიტყუაჲ ჯუარსა ზედა და სული სიტყუერი და ჴორცნი“. ანასტასი სინელი თავისი ჯვარცმით ეუბნება ერეტიკოსებს: „აი, ძე ღვთისა ჰკიდია ჯვარზე. აი, ღმერთი სიტყვა, სული, სხეული. აქედან სხეულმა განიცადა სიკვდილი და დათმო სიცოცხლე. თქვენ არ გრცხვენიათ, – ასკენის ანასტასი, – იმღეროთ თქვენს ღმერთზე: „ჯვარცმულო ჩვენთვის“ (ეს დამატებაა, რომელიც ანტიოქიის პატრიარქმა მონოფიზიტთა ბელადმა პეტროს მკანრვალმა სამწმიდაობის საგალობელში ჩართო). ანასტასის უნდოდა, ეჩვენებინა, რომ სამწმიდაობის საგალობლისთვის ამ ფრაზის მიმატება რყენიდა მართლმადიდებლურ სწავლებას, რადგანაც გულისხმობდა ღვთაების წამებას, თუ სამებისას არა, უკიდურეს შემთხვევაში – ძე ღვთისას. ეს არის თვალნათელი წარმოჩენა ქრისტეს კაცობრივი და საღვთო ბუნებისა. ჯვარზე

ღმერთკაცია, მაგრამ ენამება და კვდება კაცი. უბრალო შეხედვას ჯვარცმულსა და ჯვარზე აღსრულებულ ქრისტეზე უნდა შეესუსტებინა აზრი მის ერთბუნებოვნებაზე. ქრისტეს ერთბუნებოვნება ხომ გულისხმობდა ღვთის სიკვდილს ჯვარზე. ამ მეთოდით ანასტასი სინელი ცდილობს, თვალნათელი გახადოს ქრისტეს ორბუნებობა, ჯვარზე ღმერთკაცია, მაგრამ ენამება და კვდება კაცი. ანასტასი სინელის მიერ ვერბალური და ვიზუალური მასალის გაერთიანება მიზნად ისახავს ერთი ქრისტოლოგიური დოგმატის, ძე ღმერთის განხორციელების, ორთოდოქსული შინაარსის დაცვას. ანასტასი იმასაც განმარტავს, თუ რატომ დაურთო ტექსტს ჯვარცმის გამოსახულება. იგი თვლის, რომ სიტყვის საქმით გაცხადება უფრო ძლიერია, ვიდრე წიგნში წაკითხვით, რადგან საქმით გამოჩენილს სიცრუედ ვერ ჩათვლიან, ტყუილით ვერ შეცვლიან. მრავალი შემთხვევაა, როცა ბოროტი ნების ადამიანებმა შეცვალეს ნაწერი. მაგალითად მოჰყავს საკუთარი თვალით ნანახი: როგორ გადააკეთეს იერემია წინასწარმეტყველის წმინდა წერილი. ანასტასი სინელი მსჯელობს, თუ წმინდა წერილს შეჰბედეს ამგვარი რამ, სამოძღვრო სიტყვებს ხომ, მით უმეტეს, შერყვნიანო. „მწვალებლები ცდილობენ, – განაგრძობს იგი, – სიტყვა ღმერთი ჯვარზე ვნებულად გამოაცხადონ“. ამიტომაც იგი საჭიროდ თვლის მათთან საბრძოლველად საქმიითი ნიმუშის შემოღებას. ამისთვის დასახა ფიცარზე ჯვარცმული მეუფე, გაუკეთა წარწერები და ფიცით მოსთხოვა გადამწერებს, არ გამოეტოვებინათ და არ შეეცვალათ ეს გამოსახულება, ვინაიდან ყოველგვარი ცვლილება სულის ძლიერი დრტივივის დროს და სუბიექტური ღვთისმეტყველური სიბრძნე ზიანს მოიტანდა. ამ მეთოდით ანასტასი სინელი ცდილობს, თვალნათელი გახადოს ქრისტეს ორბუნებობა. რამდენად წარმატებული იყო ამგვარი პოლემიკა ერეტიკოსებთან მიმართებაში, უცნობია, მაგრამ მას შეეძლო, დამამშვიდებლად ემოქმედა მართლმადიდებელთა გრძნობაზე.

ანასტასის ჯვარცმის ორიგინალმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ამიტომ „წინამძღუარის“ ბერძნული ტექსტის გამომცემელმა, ჯ. გრეტცერმა, ტექსტს დაურთო ჯვარცმის ორი გამოსახულება დასავლეთევროპულ იკონოგრაფიულ სტილში, ძალიან გვიანდელი, XV-XVI საუკუნეებში შექმნილი. ითვლება, რომ ეს არაა VI საუკუნის ჯვარცმა. ოღონდ გამომცემელი იმეორებს იმ წარწერებს, რომლებიც ანასტასი სინელის ჯვარცმაზე დასტურდება.

რა ვითარებაა „წინამძღუარის“ არსენ იყალთოელის ქართულ თარგმანში? შეიძლება ითქვას, რომ ქართულ თარგმანშიც ასევე უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რადგან ანასტასი სინელის ჯვარცმა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდე არაა მოღწეული, ხოლო ის იკონოგრაფიული გამოსახულება, რომელიც ბერძნული ტექსტის გამოცემაშია, მკვლევრების მიხედვით, გვიანდელი აღდგენილია, იგი XV-XVI საუკუნეებს განეკუთვნება. ასეთ ვითარებაში განუზომლად დიდია ქართული თარგმანის ტექსტში დაცული ჯვარცმა, რადგან იგი დასტურდება XII-XIII საუკუნეების ხელნაწერებში.

ქართველ მთარგმნელს, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯვარცმის გამოსახულება ტექსტში აქვს შეტანილი. ყველა ქართულ ხელნაწერში ჯვარცმაა. მაგრამ, როგორც ჩანს, არსენის ავტოგრაფში სადაგი ჯვარი ყოფილა. ეს ჩანს იქიდან, რომ „დოგმატიკონის“ ყველაზე ადრეულ ნუსხაში, S-1463-ში, ჯვარცმასთან არის არსენის მინაწერი: აქ სადაგი ჯვრის ნაცვლად ჯვარცმა უნდა იყოს. მაგრამ მან, მხატვრობაში განუსწავლელმა, ეს ვერ შეძლო. ამიტომ ის ითხოვს, ვისაც ძალი და ხელოვნება შესწევს, ჯვარცმა გამოსახოს. აღნიშნავს, რომ ბერძნულ ხელნაწერებში ყველგან, ერთის გარდა, სადაგი ჯვარი იყო. ხატის დამწერს იგი მოუწოდებს, რომ მხოლოდ ჯვარცმა გამოსახოს (როგორც ამას ითხოვდა ავტორი, ანასტასი სინელი), მარჯვნივ მელახვრე ლახვრითა და გვერდის გუმერით სისხლისა მდინარით, მარცხნივ – მემომარი ძმრითა და ნავლით, სველი ღრუბლით და სხვა არავინ. წარწერები უნდა იყოს მაცხოვრის მკლავებქვეშ.

არსენის მინაწერს მოსდევს მეორე მინაწერი, საფიქრებელია, გადამწერისა: „ამ სიტყვებს თვით წმინდა ამბობს და ვაფიცებ ამის გადამწერს, ჯვარცმა ასე გამოსახოს“.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელი საჭიროდ თვლის გაფრთხილებას ჯვარცმის კომპოზიციის უცვლელად გადატანის აუცილებლობის შესახებ. „წინამძღუარის“ ქართული თარგმანი ჩვენამდე მოღწეულია 16 ხელნაწერით. აქედან 7-ში (S-1463 (XII), A-205 (XIII), K-23 (XIII), K-65 (1188-1210), K-15 (XIV), S-312 (1541), H-601 (1746)) დაცულია ჯვარცმის კომპოზიცია. ქართული ხელნაწერები იმეორებენ ჯვარცმის გამოსახულებაში ჩაქსოვილ პოლემიკურ მიზანდასახულობას. უაღრესად მნიშვნელოვანია არსენ იყალთოელის თარგმანის ტექსტში არსებული კომპოზიცია, რადგან, როგორც ვთქვით, მასში ადრინდელი ვითარებაა წარმოდგენილი: ყველა ხელნაწერში ჯვარცმული ბიზანტიურ სტილშია. მუქი წვერებით, შარავანდედით, გრძელი თმა კულულებად ეცემა მხრებზე. თვალები დახუჭული აქვს. ხელებსა და ფეხებზე 4 ლურსმანია, წელს ქვემოთ მოგრძო ქსოვილი აქვს შემოხვეული. გამომეტყველება მწუხარეა. თავი გადახრილი აქვს მარჯვნივ. დასავლურ ძეგლებში ჯვარცმულის ფიგურა სწორადაა და თავიც სწორად აქვს (აქ გვახსენდება იოანე 19, 30: „მიიღრია თავი და განუტევა სული“).

საერთოსთან ერთად ხელნაწერებში გარკვეული განსხვავებებია (ოლონდ არა დოგმატის მართლმადიდებლური გაგების ხარჯზე). S-1463-ში, A-205-ში, K-23-ში (ანუ უძველეს ხელნაწერებში) დაცულია ყველა ის პირობა, რომლებსაც არსენი მოითხოვს. A-65-ში (რომელიც ასევე ძველია, თარიღდება 1188-1210 წლებით) არ ჩანს ორი მემომარი, ისინი არ ჩანან არც გვიანდელ S-312-ში, 1746 წლის ხელნაწერში H-601-ში, დანარჩენ კრებულთაგან განსხვავებით, არ ჩანს ლურსმნები, ჯვრის ქვემოთ თავის ქალაა და ძვლები, ხოლო უკან ჩანს ქალაქის კონტურები. ამაში არაფერია მოულოდნელი, რადგან იკონოგრაფიაში ჯვარცმის სცენის

გამოსახვისას ყოველთვის არ იმეორებდნენ ერთსა და იმავე სცენას, ხდებოდა ვარირება.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმის შესახებ, თუ რომელ მხარეს უნდა ყოფილიყო მელახვრე. ბიზანტიურ და რუსულ იკონოგრაფიაში მელახვრე მარჯვნივაა, გამონაკლისია ბრიტანეთის ჯვარცმა. ეს ეთანხმება ჩვენს პროსკომიდიას. აქ ეს შემთხვევა უკავშირდება ევქარისტიული კრავის მარჯვენა გვერდის განგმირვას. ქართულ ხელნაწერებშიც მელახვრე ყოველთვის მარჯვნივაა. არაფერია ნათქვამი ჯვრის ფორმაზე.

პირველი ჯვარცმა ხელოვნებაში გაჩნდა მას მერე, როცა ქრისტიანთა ხსოვნაში ჯვარზე, როგორც დასჯის იარაღზე, წარმოდგენა წაიშალა. ცხადია, ქრისტიან ხატმწერებს არ შეეძლოთ, ესარგებლათ ცოცხალი ნიშნით ან ზუსტი გადმოცემით. მახვილი იკონოგრაფიულ ძეგლებში ყველგან ორლესულია, ჩვეულებრივი ფორმა ბერძნულ-რომაული ხმლისა. გვერდიდან მოდის მხოლოდ სისხლი, იშვიათად – სისხლი და წყალი. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივია XVIII საუკუნის ძეგლებში, ქართულ ხელნაწერებში მხოლოდ სისხლი ჩანს.

ასე რომ, არსენის მიერ მოწოდებული გამოსახულება ბევრად ადრინდელია ბერძნულ გამოცემაში არსებულ გამოსახულებასთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ არსენის ელინოფილურ პრინციპებს, მის სიტყვებს (მრავლითა შრომითა და ჭირითა დამიწერია და უნაკლულად ძალისა ჩემისაებრ შემინამებია. არცა რა ბერძულისგან დამიგდია და არცა რა ზეპირით დამირთავს), რომლებიც სწორედ „წინამძღუარის“ ანდერძში გვხვდება, აგრეთვე იმასაც, რომ S-1463 არსენისეულის ავტოგრაფთან ახლოს მდგომ ნუსხად ითვლება, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ „წინამძღუარის“ ქართულ თარგმანში დაცული ჯვარცმის გამოსახულება ბევრად უფრო მიახლოებულია ანასტასი სინელის არქეტიპთან, ვიდრე ეს „წინამძღუარის“ ბერძნული ტექსტის გამოცემაშია.

Nana Chikvatia

REGARDING A CERTAIN ICONOGRAPHIC IMAGE, PRESERVED IN “THE HODEGOS” BY ANASTASIOS OF SINAI

SUMMARY

Polemic works against pagan philosophy and Christian heresies are widely presented in old Georgian literature. The representatives of the Orthodox church and its writers interpreted and defended Orthodox Christian dogmas and religious creed with verbal polemics and discussion. Alongside literary monuments and written documents Christian art, Christian iconography aimed at defending Orthodox – Christian religious canons.

There is a fact in old Georgian theological – polemic literature when the iconographic image plays a polemic role.

It is a picture of a crucifix , in the well-known work of Anastasios of Sinai, a 7th century Byzantine writer; the title of the work is “The Hodegos”. “The Hodegos” was translated into Georgian by Arsen of Iqalto. It is included into his well – known collection “Dogmaticon.” “The Hodegos” contains Orthodox Christian theology and polemics with various heresies, mainly with monophysites.

While analyzing Christological dogmas logically, conceptionally and terminologically Anastasios of Sinai presents an iconographic image of the crucifix. The aim of this is to expose the monophysites’ mistake. To express the essence of Christ’s realization terms, connected with the concept of realization are written on the crucifix. By joining the verbal and visual material Anastasios of Sinai aimed at defending the Orthodox Christian content of one Christological dogma.

The composition of the crucifix is appended by the author’s idea that the copyists should leave this composition unchanged.

Georgian manuscripts repeat the polemic aim, presented in the picture of the crucifix with certain, differences (but not at the expense of the Orthodox Christian meaning of the dogma). This fact is extremely interesting, for the composition made by Anastasios of Sinai has not reached us in Greek manuscripts, and the composition of the crucifix, used in the Greek publication of “The Hodegos” is restored only with the analogy of the later 15th-16th century iconography. As for the translation of Arsen of Iqalto (11th century), the earlier situation seems to have been presented. According to Arsen of Iqalto, he had seen the composition of the crucifix in only one Greek manuscript. It is clear that the image, presented by Arsen is much earlier than that of the Greek publication and must be closer to the archetype of Anastasios of Sinai.

თინა ცერაძე, ლელა სოფარია

ვახუშტი ბაგრატიონის გალექსილი ბიბლია¹

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ კოლექციაში დაცულია ერთი, დღემდე ნაკლებად შესწავლილი ხელნაწერი – E-99, რომელიც შეიცავს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ გალექსილ ბიბლიას.

აღნიშნულმა ხელნაწერმა ჩვენი ყურადღება მიიქცია 2004 და 2007 წლებში აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ერთი ნაწილის, კერძოდ, სასულიერო შინაარსის ხელნაწერების სამეცნიერო აღწერილობაზე მუშაობისას.

ხელნაწერი აერთიანებს ქალაქის თექვსმეტ ფურცელს, აკინძულს სამი, ერთად გაკერილი რვეულის სახით. ტექსტი ნაწერია XVIII საუკუნის მხედრულით; გაკრული, ძნელად საკითხავი ხელწერით. მას არ ახლავს არც სათაური, არც გადაწერის თარიღი ან ადგილი; მითითებული არ არის არც მისი გადამწერისა თუ ავტორის ვინაობა.

ხელნაწერის ყდად გამოყენებულ ფურცელზე მოთავსებულია მარი ბროსეს მინაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ ხელნაწერი ვახუშტის ავტოგრაფს უნდა წარმოადგენდეს. ამავე ტექსტიდან ვიგებთ, რომ ბროსეს ეს ხელნაწერი 1838 წელს მიუღია პეტრე ქებაძისაგან – „Par Wakhouchti, ceàce qu'il parait de la propre main. Donn e par K ebadze, 1838“. ამავე ფურცელზე დაცულ მეორე მინაწერში კი თხზულების რაობაა დაზუსტებული: „აღთქმა ძუელი და ახალი შაირად“.

ხელნაწერი E-99 თავის დროზე მოკლედ აქვს აღწერილი რუსლან ორბელს თავის გამოუქვეყნებელ აღწერილობაში. ეს უკანასკნელი, ბროსეს მსგავსად, მიიჩნევდა, რომ ხელნაწერი წარმოადგენს ვახუშტის ავტოგრაფს, გადაწერილს XVIII საუკუნის 40-იან წლებში პეტერბურგში (Орбели 1960: 257). ვახუშტის გა-

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ლექსილი ბიბლიის ტექსტს მოკლედ ეხება აგრეთვე ქრისტინე შარაშიძე თავის გამოუქვეყნებელ, მანქანაზე ნაბეჭდ მონოგრაფიაში „ვახუშტი და მისი თარგმანები“ (შარაშიძე 1970: 45-46),² თუმცა ვახუშტისეული ტექსტი აქამდე არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული და არ გამხდარა სპეციალური შესწავლის საგანიც.

თხზულება ჯერჯერობით მხოლოდ ამ ნუსხის მიხედვით არის ცნობილი. მისი პალეოგრაფიული მონაცემები, ვფიქრობთ, სავსებით ადასტურებს მკვლევართა მოსაზრებას ნუსხის ავტოგრაფულობის შესახებ.

ძირითად ტექსტზე დართული ანდერძის თანახმად, მისი გამლექსავი და ქართულად გამწყობიც თავად ვახუშტია: „დავლექსე ქართულ-განყობით ვახუშტიმ, შვილმა მეფისამ“ (E-99, 16-r).

ამ გალექსილი ბიბლიის სახით საქმე გვაქვს განსაკუთრებულ შემთხვევასთან ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ვახუშტის თხზულება აერთიანებს როგორც ძველი, ასევე ახალი სჯულის წიგნებს და სისრულის თვალსაზრისით, ანალოგი არ მოეძებნება ქართულ ლიტერატურაში. ქართულ პოეზიაში ადრეც იყო ცდები ბიბლიის ცალკეული წიგნებისა თუ ეპიზოდების მეტრული პარაფრაზების შექმნისა. პირველი ამგვარი ცდა არჩილ მეფეს (1647-1713 წწ.) ეკუთვნის. თავის თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ არჩილს წარმოდგენილი აქვს მოსეს ხუთწიგნეულის, კერძოდ კი, „გამოსლვათა“ წიგნის ორი ადგილის მეტრული პარაფრაზი (არჩილი 1989: 359-366); ბიბლიის ცალკეული წიგნების ქართული მეტრული პარაფრაზების შექმნა გაგრძელდა არჩილის შემდგომ ეპოქაშიც: XVIII-XIX საუკუნეების მოღვაწეს, პეტრე ლარაძეს, გაულექსავს ძველი აღთქმის წიგნები მეფეების – დავითისა და სოლომონის დრომდე; მეფე ირაკლის მდივანბეგის, დავით ჩოლოყაშვილის, მიერაა გალექსილი იობის წიგნის 40-41 თავები, აგრეთვე წინასწარმეტყველთა წიგნები და 145-ე ფსალმუნი და სხვ. (კეკელიძე 1980: 616).³

² აღნიშნულ ხელნაწერს თავის დროზე გასცნობია აგრეთვე ბატონ მიხეილ ქავთარია პეტერბურგში ქართულ ხელნაწერებზე მუშაობის დროს. წინამდებარე ნაშრომის ავტორებთან საუბრისას გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ბ-ნი მიხეილიც ვახუშტის ავტოგრაფად მიიჩნევს ამ ნუსხას.

³ დავით ჩოლოყაშვილის თხზულებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი, ფაქტობრივად, წარმოადგენს თარგმანს მ. ლომონოსოვის თხზულებისა «Ода, вырнанная из Иова, главы 38, 39, 40 и 41» (რუსხაძე 1960: 306-307). რ. ორბელის სიტყვებით, დ. ჩოლოყაშვილის ტექსტი ნაწილობრივ თარგმანია, ნაწილობრივ – დამოუკიდებელი პოეტური თხზულება, დაწერილი იობის წიგნის მოტივებზე (Орбели 1954: 52). უფრო ადრე მსგავსი აზრი გამოთქმული ჰქონდა ა. ხახანაშვილს (ხახანაშვილი 1919: 415). ჩვენ მიერ დასახელებული თხზულებების გარდა, კ. კეკელიძე ჩამოთვლის აგრეთვე სხვა ქართველი მწერლების – დავით ბაგრატიონის, უცნობი ავტორისა და დავით გურამიშვილის თხზულებებსაც (კეკელიძე 1980: 616). წინამდებარე წერილში ჩვენ არ ვეხებით ამ უკანასკნელებს, რადგან მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს ბიბლიის ცალკეული მცირე ეპიზოდების გალექსილ ვერსიებთან – მაგ., დავით ბაგრატიონის „ადამის სამოთხიდან ექსორიობა“, დავით

როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებული მეტრული პარაფრაზები მეტოქეობას ვერ გაუწევენ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებას მისი სისრულისა და ჩანაფიქრის მასშტაბურობის თვალსაზრისით. ვახუშტისეული ტექსტი, ფაქტობრივად, მოიცავს მთელ წმინდა წერილს – „დაბადებიდან“ „გამოცხადების“ ჩათვლით, თუმცა არასრული სახით – კერძოდ, თხზულება წარმოგვიდგენს ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ცალკეული ადგილების მეტრულ პარაფრაზს, გალექსილს ქართული კლასიკური თექვსმეტმარცვლოვანი შაირით (სულ 257 სტროფს). მეტრული ერთფეროვნების თავიდან ასაცილებლად ვახუშტი ტექსტში ერთმანეთს უნაცვლებს ე. წ. მაღალ (4+4+4+4) და დაბალ (5+3+5+3) შაირებს, რაც, საზოგადოდ, დამახასიათებელია ქართული ტრადიციული შაირისათვის.

ტექსტიდან არ ჩანს, ეს თხზულება ვახუშტის ორიგინალურ ნაშრომს წარმოადგენს თუ თარგმანს რომელიმე უცხოური დედნიდან. ვახუშტის ანდერძიდან მხოლოდ იმას ვგებულობთ, რომ ქართული გალექსილი ბიბლიის შესაქმნელად მას უბიძგა „ლათინთა“ გალექსილი ბიბლიის ტექსტის გაცნობამ. ბატონიშვილის ანდერძის თანახმად, მას იმდენად მოსწონებია („გულზე მოხვედრია“) ეს ტექსტი, რომ გადაუწყვეტია, ასევე გაეღიქსა ქართული ბიბლია:

*„ლათინთ შაირად გაენყოთ ძველთ-ახალთ აღთქმა რჯულთანი,
გულსა მომიხდა, დავლექსე ქართულ-განყობით ქმნათანი“ (E-99, 16-r).*

წმინდა წერილის პარაფრაზების შექმნა მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უძველეს ტრადიციას წარმოადგენს. წმინდა წერილის ვერსიფიცირების უადრესი ნიმუშები IV-V საუკუნეებს განეკუთვნება (მაგალითად, IV საუკუნის პოეტის, იუვენკუსის მიერ ვერსიფიცირებული სახარებები და V საუკუნის ბერძენი პოეტის, ნონოს პანოპოლელის, იოანეს სახარების მეტრული პარაფრაზი, გალექსილი კლასიკური ბერძნული ჰეგზამეტრით). შემდგომ საუკუნეებში სხვადასხვა ევროპულ ენაზე არაერთი ბიბლიის პარაფრაზი შეიქმნა. XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული, დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში ძალზე აქტიურად მიმდინარეობს ბიბლიის სხვადასხვაგვარი პარაფრაზების, ე. წ. პოპულარული ბიბლიების შექმნა; იქმნება როგორც პროზაული, ასევე ვერსიფიცირებული პარაფრაზები. საინტერესოა, რომ ეს პარაფრაზები ფართოდ გამოიყენებოდა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სასწავლო კურიკულუმებში.⁴

გურამიშვილის „გოდოლის აღშენება და ენათა აღრევა“, ან, უბრალოდ, ბიბლიურ მოტივებზე შექმნილ პოეტურ თხზულებებთან (დავით გურამიშვილისავე „გოდება ღვთისმშობლისა“, „ადამის გოდება“ და მისთ., კეკელიძე 1980: 616).

⁴ ასე მაგალითად, „სქოლასტიკური ისტორიის“ შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ოქსფორდის უნივერსიტეტში. ამ უნივერსიტეტის 1253 წლის სტატუტის თანახმად, თეოლოგიის კურსის გასრულება არავის შეეძლო ბიბლიის კანონის, სენტენციათა წიგნის ან სქოლასტიკური ისტორიის წაკითხვის გარეშე (Morey 1993: 6-7).

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს ქართულ გალექსილ ბიბლიას. ვახუშტისეული ტექსტიდან არ ჩანს, მას მხოლოდ უთარგმნია უცხოენოვანი თხზულება თუ თავად გაულექსავს არსებული მოდელის ანალოგიით. აგრეთვე გაურკვეველია, რა ენაზე შექმნილი ვერსიფიკაცია წარმოადგენდა ვახუშტის შთაგონების წყაროს.

როგორც ცნობილია, ვახუშტისათვის და, ზოგადად, ქართული ტრადიციისათვის, ტერმინი *ლათინთა/ლათინური* ცალსახად არ ნიშნავდა მანცდამანც ლათინურენოვან ტრადიციას. სიტყვა „ლათინი“ აღნიშნავდა ფრანგს, იტალიელს, ზოგადად, რომის კათოლიკური ეკლესიის კუთვნილს, მასთან დაკავშირებულს. ცნობილია აგრეთვე, რომ ვახუშტის სიყმანვილეში, ტრადიციული ქართული და ბერძნულ-ბიზანტიური განათლების გარდა, ევროპული განათლებაც მიუღია თბილისში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებისგან და რომ „მან აღასრულა ყოველი სწავლა ლათინთა ფრანგული“ (გაბაშვილი 1969: 16, 23). თბილისში არსებულ კათოლიკე მისიონერთა სკოლაში XVIII საუკუნეში ასწავლიდნენ ლათინურ, ფრანგულ და იტალიურ ენებს. როგორც ცნობილია, ვახუშტიც ფლობდა ლათინურ და ფრანგულ ენებს.⁵ მაშასადამე, მისი გალექსილი ბიბლიის შთაგონების წყარო თუ დედანი, საფიქრებელია, სწორედ ლათინურ და ფრანგულ ენებზე არსებულ ბიბლიის ვერსიფიკაციათა შორის უნდა ვეძებოთ.

ლათინურ ენაზე შექმნილი ადრეული ბიბლიის პარაფრაზები VI საუკუნით თარიღდება – აქ შეგვიძლია დავასახელოთ VI საუკუნეში მოღვაწე გალიელი პოეტის, ავიტუსის, პოემა „დაბადების“ სიუჟეტის მიხედვით, არატორის მიერ მეტრულად გადამუშავებული „საქმე მოციქულთას“ ნიგნი და სხვ.

ლათინურენოვანი ქრისტიანული სამყაროსათვის ბიბლიის ვერსიფიციების თვალსაზრისით კლასიკურ ნაშრომს წარმოადგენდა რეიმსის საკათედრო ტაძრის კანონიკის, XII-XIII საუკუნეების მოღვაწის (დაახლ. 1140-1209), პეტრე (პეტრუს) დე რიგას, მონუმენტური ნაშრომი „ავრორა“, რომელშიც გალექსილია ძველი და ახალი აღთქმის ნიგნების უმეტესი ნაწილი.⁶ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ლათინური ვერსიფიკაცია განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვახუშტის თხზულების წყაროს მოძიების თვალსაზრისით.

ბიბლიის **ფრანგულენოვანი** ვერსიფიკაციების შექმნა XII საუკუნიდან იწყება და ძალზე მდიდარი ისტორია აქვს. მთელი ბიბლიის ფრანგულ ენაზე

⁵ ვახუშტიმ არა მარტო იცოდა ლათინური, არამედ აქტიურად იყენებდა მას სამეცნიერო მუშაობაში, რასაც ადასტურებს „ზოგადი გეოგრაფიის“ ქართული თარგმანის ორიგინალური ნაწილებისთვის დართული ლათინური ტერმინოლოგია.

⁶ თავისი პოპულარობის მიუხედავად, პეტრუს დე რიგას თხზულება სრული სახით დიდხანს რჩებოდა გამოუქვეყნებელი. თავის დროზე თხზულების ფრაგმენტები გამოქვეყნდა მინის პატროლოგიაში (Petrus de Riga 1877: 17-46). ეს მონუმენტური თხზულება სრულად გამოქვეყნდა გასული საუკუნის შუა ხანებში (Petri Rigae 1965). დანვრილებით პეტრუს დე რიგას თხზულების პოპულარობის შესახებ იხ. „ავრორას“ გამომცემლის, პ. ბაიჰნერის, სპეციალურ წერილში (Beichner 1947: 227, შენ. 8).

გამლექსავთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ XII-XIII საუკუნეების მოღვაწეები ჰერმან დე ვალანსიენი (Herman de Valenciennes), ჟეფრუა პარიზელი (Geffroi de Paris), ჟან მალკარომი (Jehan Malkaraume) (XIII ს.), მასე დე ლა შარიტე (Macé de la Charité) და სხვები (Bonnard 1884: 11-91).⁷ მათგან ყველაზე დიდი პოპულარობით სწორედ მასე დე ლა შარიტეს ვერსიფიკაცია სარგებლობდა (XII-I-XIV სს.), რომელიც, სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ლათინურენოვანი „ავრორას“ ტექსტის ფრანგულენოვან თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს (Beichner 1947: 230, 239).

ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ვახუშტის ტექსტი შეგვედარებინა ლათინური და ფრანგული ბიბლიის ვერსიფიკაციების ამ ორ ყველაზე გავრცელებულ რედაქციასთან – პეტრუს დე რიგას ლათინურ „ავრორასა“ და მასე დე ლა შარიტეს თხზულებასთან.⁸ შედარებამ გვიჩვენა, რომ არც ერთი მათგანი ვახუშტისათვის არ წარმოადგენდა უშუალო დედანს – ვახუშტის თხზულება აბსოლუტურად დამოუკიდებელი ხასიათისაა: ცალკეული ბიბლიის ნიგნების ფარგლებში ვახუშტის მიერ გალექსილი ეპიზოდების უმრავლესობა არ ემთხვევა ხსენებულ ლათინურ და ფრანგულენოვან ვერსიფიკაციებში წარმოდგენილ ეპიზოდებს.

ვფიქრობთ, შესაძლებელია, წინასწარი ვარაუდის სახით გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ვახუშტის თხზულება ორიგინალურ ნაშრომს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ჩანს, ამ ჟანრის ვერსიფიკაციათა გაცნობამ ვახუშტის უბიძგა, შეექმნა ამავე ჟანრის ქართული თხზულება („გულსა მომიხდაო“, როგორც გვიხსნის ვახუშტი თავის ანდერძში).

ცხადია, არ უნდა გამოირიცხოს არც იმის შესაძლებლობა, რომ რომელიმე ევროპულ ენაზე გამოვლინდეს ვახუშტის ტექსტის უშუალო დედანი: როგორც ითქვა, ბიბლიის ვერსიფიკაციები დღემდე სრულად გამოქვეყნებული არ არის, ასე რომ, ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა ფრანგულ და ლათინურ ენებზე ბიბლიის მეტრული პარაფრაზების ყველა არსებული ტექსტი.

⁷ ჟ. ბონარი, სხვათა შორის, მოიხსენიებს აგრეთვე ანონიმურ პარაფრაზსაც, თუმცა არ მოჰყავს მისი თარიღი. ნათქვამია მხოლოდ, რომ ამ თხზულებას შეიცავს საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის № 763 ხელნაწერი (Bonnard 1884:85). რამდენადაც ვახუშტის გალექსილი ბიბლია მოიცავს ძველი და ახალი აღთქმის ნიგნებს, წინამდებარე წერილში ჩვენ არ შევეხებით ბიბლიის ცალკეული ნიგნების ფრანგულად გალექსილ ვერსიებს, რადგანაც მათ ვერ მივაკუთვნებთ ვახუშტის თხზულების შესაძლო პროტოტიპების რიცხვს.

⁸ უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობთ პეტრუს დე რიგას ლათინური „ავრორასა“ და სრული ბიბლიის ფრანგული ვერსიფიკაციების ექსცერპტებს. აღსანიშნავია, რომ ლათინური „ავრორას“ ტექსტისაგან განსხვავებით, ბიბლიის ფრანგული ვერსიფიკაციები სრული სახით გამოქვეყნებული არ არის. ამდენად, იძულებული ვიყავით, დავკმაყოფილებულიყავით ზემოთ დამონმებული ავტორების თხზულებათა ცალკეული ექსცერპტებით, რომლებიც გამოქვეყნებული აქვს ჟ. ბონარს (Bonnard 1884).

ვფიქრობთ, აქ უმნიშვნელო არ უნდა იყოს რუსული ლიტერატურული ტრადიციის გათვალისწინებაც, რადგანაც, ფაქტობრივად, ეს იყო ის უშუალო კულტურული გარემოცვა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოდან წასვლის შემდეგ.

ბიბლიის ცალკეული ნიგნების მეტრული პარაფრაზების შექმნა XVIII საუკუნიდან მოყოლებული, ძალზე გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა რუს ლიტერატორთა შორის.⁹ ფაქტობრივად, არ დარჩენილა ამ ეპოქაში მცხოვრები არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რუსი მწერალი, რომელსაც არ ჰქონდეს ბიბლიის ცალკეულ ნიგნებთან დაკავშირებული ნაშრომები – აქ ვგულისხმობთ როგორც ბიბლიის ნიგნების მეტრულ პარაფრაზებს, ისე მათი მიბაძვით თუ ბიბლიის მოტივებზე დაწერილ ნამუშევრებს. ვახუშტის თანამედროვეთაგან აქ შეიძლება დავასახელოთ მ. ლომონოსოვი და ა. სუმაროკოვი. ამისდა მიუხედავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვახუშტის თხზულებისათვის „ბიძგის მიმცემი“ თხზულება არ გვეგულება რუსულ ლიტერატურაში, რადგან ვახუშტის გალექსილ ბიბლიას თავისი სტრუქტურისა და ტექსტის ორგანიზების თვალსაზრისით ანალოგი არ მოეძებნება ვახუშტის თანამედროვე ან მისი წინამავლის პერიოდის რუსულ ლიტერატურაშიც. აქ საუბარი შეიძლება მხოლოდ საერთო, ზოგად ტენდენციებზე.

შეიძლება აგრეთვე ვივარაუდოთ, რომ ვახუშტი განსაკუთრებით დაინტერესდა ბიბლიური თემების ლიტერატურული დამუშავებით მოსკოვში ე. წ. „ბაქარის ბიბლიაზე“ მუშაობისას, ანუ 1840-იან წლებში (როგორც ცნობილია, მისი მონაწილეობით გაიმართა და 1743 წელს დაიბეჭდა ე. წ. „ბაქარის ბიბლია“). ამ პერიოდშივე შეიძლებოდა, მას შეექმნა თავისი გალექსილი ბიბლიაც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახუშტის ტექსტზე მუშაობის მეთოდი – თავის ანდერძში ბატონიშვილი გვაუწყებს, რომ მან ნათელი მოჰფინა („გაცხადა“) ბიბლიის ტექსტში ჩადებულ ზოგიერთ ფარულ აზრს: „...ვაცხადე ზოგი ფარული, რაიც(ა) გაენყო თქმათანი“, – წერს იგი. ვახუშტის თხზულებაში ამას მართლაც საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა. ხშირ შემთხვევებში სტროფის მეოთხე (ან მესამე-მეოთხე) ტაეპი წარმოადგენს ავტორისეულ ჩანართებს, რომლებიც სხვადასხვა კუთხით წამოგვიდგენს წინამავალ ტაეპებში გადმოცემულ ამბავს, შემოაქვს განსაკუთრებული ემოციური მუხტი, მოჰყავს პარალელები (სიმბოლურ-ალეგორიულსა თუ ტექსტობრივს) წმინდა წერილის სხვა ნიგნებიდან. ეს ყველაფერი, ავტორისეული ჩანაფიქრით, ხელს უწყობს წმინდა წერილის ტექსტის უკეთ აღქმასა და გააზრებას. ვახუშტისეული ჩანართები, შინაარსის მიხედვით, რამდე-

⁹ რუსულ ლიტერატურაში ბიბლიურ თემატიკასთან დაკავშირებული პირველი ნიმუშების შექმნა ბერ სიმეონ პოლოცკის (†1680 წ.) სახელთანაა დაკავშირებული. სიმეონ პოლოცკის ეკუთვნის პიესები მეფე ნაბუქოდონოსორისა და უძღვები შვილის შესახებ. მასვე აქვს შეთხზული ფსალმუნთა მეტრული პარაფრაზებიც.

ნიმე ტიპად შეიძლება დავაჯგუფოთ – ზნეობრივ-ეთიკური, ალეგორიული, მორალური, ეგზეგეტიკური; ანაგოგიური, ისტორიული, რიტორიკული შეკითხვები და მიმართვები. მათი სახით, უმეტესწილად, ჩვენ საქმე გვაქვს ეგზეგეტიკურ და თეოლოგიურ ლიტერატურაში კარგად დამუშავებულ და ცნობილ თემებთან, როგორებიცაა, მაგ., იონას ყოფნა ვეშაპის მუცელში სამი დღის განმავლობაში და მისი სასწაულებრივი დახსნის სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა და მისთ.

აქვეა აღსანიშნავი, რომ ვახუშტისეული ჩანართები – სხვადასხვა სახის (ალეგორიული, მორალური, ანაგოგიური თუ ისტორიული) გლოსები კარგად „თავსდება“ დასავლეთ ევროპაში შემუშავებული ამავე ჟანრის ტრადიციაში. ბიბლიის როგორც პროზაულ, ისე ვერსიფიცირებულ პარაფრაზებში უხვად იყო გამოყენებული ამ ტიპის გლოსები.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა არჩილის „თეიმურაზისა და რუსთველის“ გაბაასებაში ჩართული მოსეს „ათი მცნების“ ვერსიფიკაცია – მისი ბოლო სტროფის უკანასკნელი ორი ტაქტი წარმოადგენს სწორედ რიტორიკულ-მორალური შინაარსის გლოსას/ჩანართს (არჩილი 1989: 366). ეს გვაფიქრებინებს, რომ გლოსების არსებობა ყოველთვის არ გულისხმობდა შესაბამისი დედნის არსებობას (არჩილის შემთხვევაში ეს ნაკლებ სავარაუდოა). ჩვენი აზრით, რიგ შემთხვევებში, საქმე უნდა გვექონდეს ჟანრის სპეციფიკურ კანონებთან, რომლებიც მოქმედებდნენ თავისთავად, „თავისით“.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვახუშტის შაირი ცალკეულ შემთხვევებში პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით საკმაოდ „მოიკოჭლებს“ და ნაძალადევობისა და ხელოვნურობის კვალი ატყვია. ის ხშირად ახდენს სიტყვათა დეფორმაციას, რომ გალექსოს ან 16 მარცვალში „ჩატიოს“ სათქმელი, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ფრანგი მეცნიერის, ჟ. ბონარის, მიერ გამოთქმული მოსაზრება – ბიბლიის ფრანგულენოვანი ვერსიფიკაციების შემქმნელებს იგი, არცთუ მაღალი დონის შემოქმედებითი ოსტატობის გამო, უწოდებს არა ჭეშმარიტ პოეტებს, არამედ უბრალო ვერსიფიკატორებს, ბიბლიის ვერსიფიკაციებს კი – გართიმულ და არა გალექსილ ბიბლიას (Bonnard 1884: 9-10). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც საქმე უნდა გვექონდეს ჟანრის სპეციფიკურ, „თავისთავად“ მოქმედ კანონებთან.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მხატვრული ნაკლოვანებები სრულიადაც ვერ აკნინებს ვახუშტის თხზულების მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისით. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ტექსტის წყალობით ქართულ მწერლობაში სრულად წარმოჩნდა ის ტრადიცია, რომელიც წმინდა წერილის მეტრული პარაფრაზების შექმნას მოიპოვებდა და სხვადასხვა ენაზე შექმნილი სასულიერო ლიტერატურის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **არჩილი** 1989: არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა, ქართული მწერლობა, VI, თბ., 1989.
2. **გაბაშვილი** 1969: გაბაშვილი ვ., ვახუშტი ბატონიშვილი, თბ., 1969.
3. **კეკელიძე** 1980: კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1980.
4. **რუხაძე** 1960: რუხაძე ტ., ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI-XVIII სს., თბ., 1960.
5. **შარაშიძე** 1970: შარაშიძე ქ., ვახუშტი და მისი თარგმანები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საარქივო ფონდი, ქრ. შარაშიძის არქივი, N646ა, 1970.
6. **ხახანაშვილი** 1919: ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია მეთვრამეტე საუკუნემდე, თბ., 1919.
7. **Bonnard** 1884: Bonnard J., Les traductions de la Bible en vers français au moyen âge, Paris, 1884.
8. **Beichner** 1947: Beichner Paul E., The Old French Verse Bible of Macè De La Charité, a Translation of the Aurora, Speculum, vol. 22, no. 2 (April), 1947.
9. **Morey** 1993: Morey James H., Peter Comestor, Biblical Paraphrase and the Medieval Popular Bible, JournalSi: Speculum, vol. 68, no. 1 (Jan.), 1993.
10. **Petri Rigae** 1965: Petri Rigae Biblia Versificata, A Verse Commentary on the Bible, ed. by Paul E. Beichner, (Publications in Medieval Studies) Notre Dame, Indiana: University of Notre Dame Press, 1965, vol. I-II.
11. **Petrus de Riga...** 1877: Petrus de Riga et Aegidius Parisiensis, Fragmenta ex Libro Petri de Riga cui titulus: Aurora, variis in locis obiter inserta cum Aegidii Paris. additionibus, Patrologiae Latinae Cursus Completus, t. 212, col. 17-46.
12. **Орбели** 1954: Орбели Р. Собрание грузинских рукописей Института Востоковедения Академии Наук СССР, Ученые записки Института Востоковедения, вып. IX, М-Л, 1954.
13. **Орбели** 1960: Орбели Р., Грузинские рукописи Санкт-Петербургского филиала Института Востоковедения АН России, вып. 2 (გამოუქვეყნებელი, მანქანაზე ნაბეჭდი), 1960.

Tseradze Tina, Khoveria Lela

VERIFIED BIBLE BY PRINCE VAKHUSHTI BAGRATIONI

SUMMARY

Paper discusses the so far unknown example of Georgian literature – versified Bible by Vakhushti Bagrationi, which is preserved in the unique Georgian manuscript E-99 from the collection of St Petersburg Institute of Oriental Studies.

Manuscript once belonged to the renowned scholar M-F. Brocquet, who considered it to be an autograph of the Georgian scholar and men of letters, Prince Vakhushti Bagrationi (XVIII c.); this attribution is also confirmed by the paleographic analysis of the handwriting.

According to his colophon, Prince Vakhushti not only copied the manuscript, but he is also the author of this Georgian versification; in the same colophon Vakhushti explains that he liked Latin versified Bible to such an extent, that decided to create similar versification in Georgian. It is not clear, whether Vakhushti has simply translated existing Latin versification, or he had composed the new versification in Georgian; however comparative analysis of the Georgian text with other well-known versifications in Roman languages (Latin, French) enables us to suppose that most probably Vakhusti, following the example of these versifications had independently created the new versified paraphrase of the Holy Scripture in Georgian.

There exist several Georgian versifications of the separate Biblical episodes, created before Vakhushti. However Vakhushti's composition is unique, as it comprises successive passages from the Old and New Testaments, starting from the Genesis and to the Apocalypses, thus creating abridged and excerpted versification of the whole Holy Scripture.

ლელა ხაჩიძე

მცირე ფორმის საგალობლები VIII-X საუკუნეების ბიზანტიურ, ქართულ და სლავურ ჰიმნოგრაფიაში („მარხვანების“ მიხედვით)¹

მცირე ფორმის საგალობლები ლიტურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. სწორედ ამ ფორმის საგალობლებს უკავშირდება უშუალოდ ჰიმნოგრაფიის წარმოშობა. „ლექციონარში“ შესული მონოსტროფები გახდა სათავე მცირე ფორმის საგალობელთა სხვადასხვა სახეობის ჩამოყალიბებისა. „იერუსალიმის ლექციონარში“ არსებულ ამ მონოსტროფებზე ყურადღება გაამახვილა აკად. კ. კეკელიძემ, „უძველესი იადგარის“ გამომცემლების მიერ კი ამ მხრივ საგანგებო კვლევა ჩატარდა.

ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის აყვავება დაკავშირებული იყო ბიზანტიის ეკლესიის გაძლიერებასთან იუსტინიანე დიდის დროს. იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის ტრადიციებზე დაყრდნობით ამ პერიოდის ბიზანტიელმა ჰიმნოგრაფებმა შექმნეს სპეციფიკური ბიზანტიური სტილი. აღმოსავლური ტრადიცია იქნა გადმოღებული კონტაკიონისა და კანონის პოეტური ფორმების სახითაც (Wellesz 1980: 171).

ბიზანტიური მუსიკისა და ჰიმნოგრაფიის ცნობილი მკვლევრის – ე. უელესის აზრით, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის I პერიოდი და, კერძოდ, ამ პერიოდში შექმნილი მცირე ფორმის საგალობლები გამოირჩევა განსაკუთრებული ესთეტიკური ზემოქმედებითა და მუსიკალური სრულყოფით (Wellesz 1980: 171). ამ სახის საგალობლები წარმოადგენდა ცისკრისა და მწუხრის განგებათა ერთ-ერთ ელემენტს უკვე V საუკუნეში, VI საუკუნიდან კი ისინი სისტემატურად იმკვიდრებენ ადგილს ლიტურგიაში.

¹ მოხსენება ნაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა შესწავლილი „კონტაკონის“ სახელით ცნობილი მცირე ფორმის საგალობელი, რომლის ფართოდ დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება რომანოზ მელიოდოსის სახელს.

უძველესი პერიოდის სხვა მცირე ფორმის საგალობელთა კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მათი ქართული თარგმანები, რომლებიც „უძველეს იადგარშია“ შესული.

„ლექციონარის“ პოეტური მასალის შესწავლას საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა ავსტრიელმა მეცნიერმა – ჰ. ლებმა (Leeb 1970).

VII საუკუნის ბოლოდან განვითარებას იწყებს ახალი პოეტური ფორმა – კანონი, რომელიც თანდათან იმტიციებს პოზიციებს. ამის პარალელურად განვითარებას განაგრძობს მცირე ფორმის საგალობლებიც და უკვე არსებულს ემატება ახალი, ვრცელი რეპერტუარი.

შემდგომ ეტაპზე იწყება „უნივერსალური იადგარის“ დიფერენციაცია სხვადასხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულად. დღეისათვის შესწავლილი მასალების მიხედვით, ერთ-ერთი პირველი კრებული, რომელიც გამოეყო „იადგარს“, იყო „მარხვან-ზატიკის“ შემცველი კრებული.

X საუკუნის სინური იადგარების შესწავლამ ცხადყო, რომ „მარხვანისათვის“ განკუთვნილი მასალა გაცილებით უკეთაა განვითარებული ლიტურგიკული ნლის სხვა პერიოდებთან შედარებით. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პირველი კრებული, რომელიც გამოეყო „იადგარს“ X საუკუნის პირველ ნახევარში, იყო I ქართული „მარხვანი“. როგორც დღეისათვის უკვე ცნობილია, ამ კრებულის რედაქტორი და ერთ-ერთი ავტორი იყო დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი – იოანე მინჩხი (ხაჩიძე 1987: 109).

„მარხვანისათვის“ განკუთვნილი მასალა სწრაფად ვითარდება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაშიც. ბერძნული „მარხვანის“ განვითარებაში გამოყოფენ სამ პერიოდს, რომელთაგან პირველი თეოდორე სტუდიელის (759-826 წწ.) მოღვაწეობის ხანამდე მოდის და შეესაბამება ბიზანტიური სასულიერო პოეზიის I პერიოდს. II პერიოდი მოიცავს თეოდორე სტუდიელის, მისი მემკვიდრეებისა და მიმბაძველების, აგრეთვე IX საუკუნის სხვა ჰიმნოგრაფთა მოღვაწეობას. ეს პერიოდი შეესაბამება კონსტანტინოპოლური ეპოქის პირველ ხანას, როცა შეიმჩნევა ერთგვარი შეფერხება, მაგრამ მაინც იქმნება არაერთი დიდებული საგალობელი. ბერძნული „მარხვანის“ III პერიოდი კი იწყება X საუკუნიდან და გრძელდება XV საუკუნემდე.

ნ. კსანთოპულოს მიხედვით, „მარხვანის“ პირველი რედაქტორები იყვნენ თეოდორე და იოსებ სტუდიელები. ნ. კაპაუნსი კი ბერძნული „ტრიოდიონებისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევაში გამოყოფს სამ ტიპს: იერუსალიმურს, სტუდიურსა და კონსტანტინოპოლურს.

ბიზანტიური სასულიერო პოეზიის I პერიოდის „დავინყებულ“ ავტორთა შორის ყურადღებას იქცევს **ანდრეა პიროსის** „იდუმალებით მოცული“ პიროვნება. ბერძნული და სლავური „მარხვანების“ შესანიშნავი მკვლევრის – ი. კარაბინოვის აზრით, ის იყო თანამედროვე და თანამოაზრე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რე-

ფორმატორების – იოანე დამასკელის და კოზმა იერუსალიმელისა. მკვლევრის აზრით, „ანდრეა პიროსის მოღვაწეობის ხანა ვერ გადასცილდება VIII საუკუნეს“ (Карабинов 1910: 115).

ანდრეა პიროსის შემოქმედების ძირითად ნაწილს წარმოადგენს „მარხვანისათვის“ განკუთვნილი 85 მცირე ფორმის საგალობელი. ეს საგალობლები შექმნილია საგანგებოდ „მარხვანისათვის“ და მოიცავს დიდმარხვის ვრცელ პერიოდს – ხორციელის კვირიაკიდან დანყებულ ბზობის პარასკევის ჩათვლით. ანდრეა პიროსის სახელითაა წარწერილი ბერძნულ ხელნაწერებში ბზობის კვირიაკის სტიქარონი: „მოვედით, უგალობდეთ ახალსა ისრაელს...“.

დიდმარხვის ამ პერიოდის თითოეულ დღეზე, ცისკრისა და მწუხრის განგებებზე, დადებულია ანდრეა პიროსის 2-2 სტიქარონი. გამონაკლისს წარმოადგენს მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათი („შუა მარხვა“), რომელზედაც 3 მცირე ფორმის საგალობელია დადებული.

ანდრეა პიროსის ყველა ეს სტიქარონი „თვთძლისპირია“ – ტექსტებთან ერთად, მათი რიტმულ-მელოდიური საზომებიც ამავე ავტორს ეკუთვნის. ეს საგალობლები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებადაა მიჩნეული. ისინი გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით (Карабинов 1910: 115).

იოანე მერკუროპულოს მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის „ცხოვრება“, დიდმარხვისათვის განკუთვნილი „თვთძლისპირი“ სტიქარონების მთელი ციკლი ეკუთვნის კოზმა იერუსალიმელს და ეს იყო მისი პირველი თხზულებები.

ამ ცნობის საწინააღმდეგოდ ბერძნული „სტიქირარები“ ერთხმად აღიარებენ ანდრეა პიროსს საგალობელთა ამ ციკლის ავტორად.

ანდრეა პიროსი წარმოშობით იერუსალიმიდან უნდა იყოს. იერუსალიმური პერიოდის ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებს ასახავს მისი შემოქმედებაც. ამ ავტორის საგალობლები შექმნილია სახარებისეული საკითხავების **იერუსალიმური სისტემის** მიხედვით. დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდიდან იგი იცნობს მხოლოდ ყველიერის შვიდეულს. ამ შემთხვევაშიც ის იერუსალიმურ ტრადიციას ასახავს, რადგან მეზვერისა და ფარისევლის, აგრეთვე უძღები შვილის კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე აღმოცენდა და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს (Карабинов 1910: 22-23).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია ანდრეა პიროსის საგალობელთა კავშირი წინააღმდეგედ, კერძოდ, ანდრეა კრიტელის შემოქმედებასთან. ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება ამ ორი ავტორის აღრევის შემთხვევებიც.

ანდრეა პიროსს, თავის მხრივ, გავლენა მოუხდენია VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაზე.

ი. კარაბინოვის მიხედვით, ივირონში დაცულ ბერძნულ ხელნაწერში № 954 გვხვდება თომა მოციქულისადმი მიძღვნილი ერთი სტიქარონი, რომლის ტექსტი ანდრეა პიროსს უნდა ეკუთვნოდეს, მელოდია კი – თეოფანე გრაპტოსს (Карабинов 1910: 116).

ანდრეა პიროსის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოუხდენია ანდრეა კრიტიკლის „დიდნი გალობანს“. ეს გარემოება ანდრეა პიროსის მოღვაწეობის პერიოდის დადგენის საშუალებასაც იძლევა.

წარმოვადგენთ ანდრეა პიროსის **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილი „თვითძლისპირი“ სტიქარონის სლავურ და ჩვენ მიერ შესრულებულ პნკარედულ თარგმანს:

Попо.знувшись презрѣшнми, и пленицами созрѣшнѣи связана, о душе что унываете; что льнишися; бнѣай присно якоже Лотъ Содома и Гоморры, нечистоты запаленія. Не возвращайся вспять, и будещи яко столпъ соленый, на горѣ спасайся добродѣтелей, бнѣай присно неми.иосефнагобогатаго, беззутробія горьнія. Въ нѣдра прейди Авраамова яко Лазарь, смиренномудрїемъ возопїи: упованїе мое, и прибнѣжице мое, Господи слава Тебѣ.

ცოდვით დავრდომილო
და ცოდვისა მუხრუჭითა შეკრულო,
სულო ჩემო ბედკრულო,
რაასთვს შემადრწუნებ მე?
რაასთვს მცონარე ხარ?
ილტვოდე მარადის, ვითარცა ლოთი,
უნმინდურებით აღსავსე სოდომისა
და გომორისაგან.

ნუ დაბრუნდები ოდესმე უკან,
რათა არ იქცე მარილის სვეტად,
ხსნას ჰპოვებ მხოლოდ ქველმოქმედებით,
ელტვოდე მდიდარს –
ცოდვილს, უწყალოს,
დაუშრეტელი ცეცხლით რომ იწვის.

შემოუერთდი აბრაამის წიაღს,
როგორც ლაზარე,
და ბრძნად იტყოდ:

„შესავედრებელო ჩემო
და ნავსაყუდებლო ჩემო,
უფალო, დიდებაჲ შენდა!“

დასავლურ და სლავურ „მარხვანებში“ ანდრეა პიროსის სტიქარონები ხშირად წარწერილია, როგორც „αγιαπισιτου“ ან „აღმოსავლური“. ასე მაგ., ბულგარეთში, XI საუკუნეში გადანერილ ხელნაწერში, ე. წ. „ბიტოლის ტრიოდინში“ შესულია რიგი საგალობლებისა, წარწერით: „ВОСТОЧЕН.“

ანდრეა პიროსის შემოქმედების კვლევისათვის უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა ქართული ხელნაწერები, რომლებშიც ანდრეას სახელით წარწერილია მთელი რიგი საგალობლებისა. ესაა მეცნიერებისათვის ჯერჯერობით უცნობი, შეიძლება ითქვას, **უნიკალური მასალა**. საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება ტერმინ „ანატოლიურით“ წარწერილი მცირე ფორმის საგალობლებიც.

ამრიგად, ანდრეა პიროსის სახით ჩვენ თვალწინაა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნაკლებად ცნობილი შესანიშნავი ავტორი, რომელსაც მცირე ფორმის საგალობელთა მთელი ციკლი შეუქმნია ერთ-ერთი უძველესი (იერუსალიმური ტიპის) ბერძნული „მარხვანისათვის“.

ანალოგიურ შემთხვევა დასტურდება ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაშიც. მონოგრაფიაში „იოანე მინჩხის პოეზია“ ჩვენ მიერ ნაჩვენებია ის განსაკუთრებული ღვაწლი, რაც **იოანე მინჩხს** მიუძღვის ქართული „მარხვანის“ ფორმირებაში. დიდმარხვის თითოეული დღისათვის მას შეუქმნია მცირე ფორმის საგალობელთა მთელი ციკლი – 88 სტიქარონი, რაც დიდმარხვის ლიტურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ქმნის.

დიდმარხვის თითოეულ დღეზე, ჩვეულებრივ, დადებულია მინჩხის 2-2 სტიქარონი – ცისკრისა და მწუხრის განგებათათვის. დიდმარხვის კვირიაკეებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე კი მინჩხის 2-ზე მეტი სტიქარონია წარმოდგენილი.

იოანე მინჩხსაც საგალობლები უწერია დიდმარხვის მთელი პერიოდისათვის – ხორციელის შაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით. ეს საგალობლები ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს და ახლებურად განსაზღვრავს ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონესა და შესაძლებლობებს.

მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები, ჩვეულებრივ, ზუსტად შეესაბამება „მარხვანში“ მათთვის მიკუთვნებულ ადგილს და, ანდრეა პიროსის სტიქარონთა მსგავსად, ასახავს საკითხავთა **იერუსალიმურ სისტემას**.

წარმოვადგენთ **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილი იოანე მინჩხის ერთ-ერთი მცირე საგალობლის ტექსტს:

„ნეტარ არს, რომელმან გულისწმა-ყო
გლახაკისა და დავრდომილისაჲ,
უფალმან დაიცვას იგი

და აცხოვნოს იგი
და სანატრელ-ყოს ქუეყანასა ზედა,
რამეთუ თვთ ღმერთი არს
მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ
და გლახაკთა მეგობარი
და მწსნელი ყოველთა დანუნებულთაჲ
და შემწე, რომელნი ხადიან მას,
და ჭეშმარიტად ნეტარ არს კაცი,
რომელი ესავს უფალსა.

წყალობაჲ ღმრთისაჲ ჰფარავს მარადის,
რომელთა ეწყალინ გლახაკნი,
ობოლნი და უღონონი,
ხოლო უწყალო არს
სამართლად საშჯელი უწყალოთათჳს,
იხილეთ მდიდრისაჲ მის,
რომელი მარადის იმოსებოდა
სამოსლითა ბრწყინვალითა
და გლახაკთა არაჲ შეინყალებდა,
ან ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა,
ინუების და არაჲ დაინუების
და არა ოდეს ჰპოვებს განსუენებასა.

მამაო, ტკბილო და მონყალო,
რამცა ვილოცეთ, არა უწყით ჩუენ,
რამეთუ შეგინებულ ვართ
და განმაცკბრებს ჩუენ
ბრალთა და ცოდვათა ჩუენთა სიმრავლე,
არამედ გევედრებით,
დაანთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი
და ნუ დამსჯი საქმეთაებრ,
რამეთუ შენნი დაბადებულნი ვართ
და მარადის მაქებელნი სახელსა შენსა,
ღირს-მყვენ სადგურსა ლაზარეს თანა
და ნუ მდიდარსა მას თანა!“

ქართული ხელნაწერების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ იოანე მინჩხი იყო შემდგენელი და რედაქტორი „იადგარიდან“ ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული „მარხვანისა“, რომელიც შეიცავდა ოთხი ავტორის შემოქმედებას. პირველ მათგანს – ელია იერუსალიმელს – ეკუთვნოდა დიდ-მარხვის საკვირაო კანონები, თეოდორე სტუდიელსა და სტეფანე საბანმიდელს კი – საგალობელთა ორი ციკლი (ხაჩიძე 1987: 23-25). სტეფანე საბანმიდელი ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი ავტორია და სწორედ ქართული თარგმანები იძლევა მისი შემოქმედების აღდგენის საშუალებას.

I ქართული „მარხვანი“ საფუძვლად დაედო ამ კრებულის ახალ რედაქციებს. იოანე მინჩხის შემოქმედებას კი დიდი გავლენა მოუხდენია შემდგომდროინდელი ქართული პოეზიის განვითარებაზე.

როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი – ანდრეა პიროსი და იოანე მინჩხი – უძველესი ტიპის ბერძნული „მარხვანებისთვის“ ქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – სტიქარონულ რეპერტუარს. ორივე ავტორის საგალობლები ჰიმნოგრაფიის შედევრებს წარმოადგენს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ I ქართული „მარხვანის“ ერთ-ერთი ავტორი – სტეფანე საბანმიდელი – კარგად იცნობს ანდრეა პიროსის შემოქმედებას და ერთგვარად მის გავლენასაც განიცდის.

ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლების გვერდით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ X საუკუნის სლავი ჰიმნოგრაფის – **კონსტანტინე პრესლაველის** (პრესლავსკის) – მოღვაწეობა, კერძოდ, მისი ღვანლი სლავური „მარხვანის“ ისტორიაში.

სლავური „მარხვანის“ მეცნიერული კვლევის დაწყება უკავშირდება პროფ. ი. კარაბინოვის სახელს. 60-ზე მეტი ბერძნული და სლავური ხელნაწერის შესწავლის საფუძველზე იგი ახდენს ბერძნულ-სლავური „მარხვანების“ კლასიფიკაციას, რომელსაც საფუძვლად „მარხვანში“ შესულ საგალობელთა განლაგება, ანუ „მარხვანის“ სტრუქტურა, უდევს. უნდა აღინიშნოს, რომ ი. კარაბინოვის ამ ნაშრომს დღემდე არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება.

სლავური „მარხვანებისადმი“ მიძღვნილ გამოკვლევებს შორის ყურადღებას იქცევს გიორგი პოპოვის სტატია, მიძღვნილი ე. წ. „ბიტოლის ტრიოდინისადმი“. „მარხვანის“ შემცველი ეს ხელნაწერი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს ნაკლებად ცნობილი ავტორის – კლიმენტი სტუდიელის – საგალობლებს.

ხელნაწერი ნაკლულია. შეიცავს დიდმარხვის მასალას I პარასკევიდან VI (ბზობის) ოთხშაბათამდე. ხელნაწერში წარმოდგენილი „მარხვანის“ რედაქცია X საუკუნით თარიღდება, თვით ხელნაწერი კი XI საუკუნეშია გადაწერილი. ხელნაწერი გადაუწერია გიორგი გრამატიკოსს კიჩევოს (იგივე სკოპიის) ახლოს, ბულგარეთში.

„ბიტოლის ტრიოდინის“ გამომცემლის, ი. ზაიმოვის, აზრით, მისი ორიგინალი შეიძლება შექმნილიყო ოპრიდაში, რომელიც ბულგარული ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა X-XI საუკუნეებში.

ხელნაწერი ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ შეიცავს **ორიგინალური სლავური საგალობლების მთელ ციკლს – 80-ზე მეტ მცირე ფორმის საგალობელს, რომელთა ავტორია X საუკუნის მოღვაწე კონსტანტინე პრესლაველი.**

კონსტანტინე პრესლაველის მოღვაწეობა ემთხვევა ბულგარეთის ისტორიაში გამორჩეული მეფის – სიმეონ I-ის (893-927 წწ.) – მოღვაწეობის ხანას, რომლის ნებით მოხდა არსებითი ცვლილება ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში – ბერ-

ძნული ლიტურგიის ბულგარულით შეცვლა. მისივე ნებით, 893 წელს ეროვნულმა კრებამ ბულგარული ოფიციალურ ენად ცნო სახელმწიფოსა და ეკლესიისათვის. ამავე წელს სიმეონ I-მა ბულგარეთის ძველ დედაქალაქში – პლისკაში – არსებული ლიტურგურული სკოლა გადაიტანა ქვეყნის ახალ დედაქალაქში – პრესლავში. პრესლავი იქცა ბულგარული ლიტურგურისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრად.

მასთან შეთანხმებითა და მისი მხარდაჭერით სარგებლობდა ამ ეპოქის უმნიშვნელოვანესი მოღვაწე – კონსტანტინე პრესლაველი.

ბულგარეთის ისტორიაში კონსტანტინე პრესლაველი ცნობილია, როგორც მეცნიერი, მწერალი და მთარგმნელი. ის იყო თვალსაჩინო წარმომადგენელი პრესლავის ლიტურგურული სკოლისა IX საუკუნის ბოლოს და X საუკუნის დასაწყისში.

ბულგარული მწერლობის ისტორიაში იგი ცნობილია, ძირითადად, როგორც ავტორი „დიდაქტიკური სახარებისა“. იგი წარმოადგენს ქადაგებათა I კრებულს სლავურ მწერლობაში. საინტერესოა, რომ ამავე კრებულში შესულია კონსტანტინე პრესლაველის „ანბანური (ალფაბეტური) ლოცვები“, რომლებიც სლავური საეკლესიო პოეზიის პირველ ნიმუშებადაა მიჩნეული.

კონსტანტინე პრესლაველი იყო პირველი ავტორი, რომელმაც სლავურ მწერლობაში შექმნა ისტორიული ქრონიკა – კრებული „ისტორიები“. 906 წელს, სიმეონ I-ის დავალებით, მან თარგმნა „ოთხი სიტყვა არიანელთა წინააღმდეგ“, რაც გამონეწეული იყო ამ ერესის გავრცელებით იმდროინდელ ბულგარეთში. მასვე ეკუთვნის ნაშრომი „მსახურება მეთოდოსისთვის“, რომელშიც აღწერს წმ. მეთოდოსის ბრძოლას ძველი სლავური ენის აღიარებისათვის.

კონსტანტინე პრესლაველის კიდევ ერთი ნაშრომია „ქება წმიდა სახარებათა“, რომელშიც ის უარყოფს უცხო ენის, კერძოდ, ბერძნულის პრიორიტეტულობას და ნათელყოფს ძველი სლავური ენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბულგარული კულტურისათვის.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველის სახით X საუკუნის ბულგარეთს ჰყავდა უნივერსალური მოღვაწე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ბულგარული სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგს. მთელი მისი შემოქმედება ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი.

„ბიტოლის ტრიოდონის“ გამოცემამ და შესწავლამ ნათელყო ამ ავტორის მოღვაწეობის მანამდე უცნობი სფერო, მისი ღვაწლი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიული კრებულის – „მარხვანის“ – ფორმირებაში.

„ბიტოლის ტრიოდონში“ შესული აღმოჩნდა კონსტანტინე პრესლაველის მიერ შექმნილი მთელი ციკლი მცირე ფორმის საგალობლებისა – 80-ზე მეტი სტიქარონი, რომლებიც მოიცავს დიდმარხვის თითქმის მთელ პერიოდს. ანდრეა პიროსის საგალობლების მსგავსად, მათი უმრავლესობა „თვთძლისპირია“.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველს შეუქმნია მთელი სტიქარონული ნაწილი სლავური „მარხვანისათვის“. ეს საგალობლებიც ჰიმნოგრაფიის შედეგრე-

ბადაა მიჩნეული. უღრმეს თეოლოგიურ განათლებასთან შერწყმული ლირიზმი ამ საგალობლებს მართლაც შთამბეჭქდავს ხდის.

წარმოვადგენთ ამ ავტორის **ზზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლის ტექსტს:

- 1 ^ⲪⲥⲐⲏ : ^ⲄⲒⲕⲁ : ^ⲁⲁ : Ⲡ
- 2 NE ḲCⲔⲔⲎ MENE Გⲏ·E ΠΛΑΜΕΝΗ ΓΕῶΝḲ
- 3 CⲐE·ᲒⲁKO ᲒE BOPATAGO ΛAZAPḲ ΠPEΔH·
- 4 NK ΠOΔAXḲ MNḲ ΠΛAYEMḲ ΠPOCAYḲḲ·
- 5 KAPΛA ḲΛKAI·OḲENᲒ·EḲ H ΠOMḲH NḲ·IḲ·Ⲡ
- 6 EḲ ΠOPḲΦHPᲒ BOPOTḲKANḲNK CAMO
- 7 APḲXḲHᲒ·H BHCONEḲ NETΛEḲNHᲒ·ḲḲE
- 8 ᲒABḲḲH CᲘ ḲḲE MOᲒ·CBOH CANS ΠOPḲḲEN
- 9 ΛA ECḲ·EᲒATḲCTḲO H ΠHḲᲒ ΓPḲXḲ CTḲO
- 10 PḲH·ΠPEZPḲḲH CBOEΠΛEMENḲNHKA·
- 11 ᲒAKO ΠPEZPḲḲ H NHḲPAGO ΛAZAPḲ BOPATḲ·I
- 12 NK ḲḲ NE C TḲEMḲ MKYḲMA BḲḲEḲH·Ḳ
- 13 ENḲḲAN ḲḲEMḲ·ḲḲENḲABḲOMḲ TḲEE
- 14 PᲘΔH ᲒḲ EZYḲH·NOḲEN ΠOPḲΦHPᲒ ΔOCA
- 15 ᲒENḲHᲒ·ΠPEΔḲ PASCḲATḲEMḲ·H NAᲒḲ NA
- 16 KPḲE PASCḲATḲ MENE PᲘΔH·ḲḲENḲEMḲ
- 17 ḲᲒCTḲA TḲEOEᲒO·Ḳ CTḲḲA BḲYḲAAGO·
- 18 ḲḲḲḲ CᲒCḲ MA·Ⲡ

„ბიტოლის ტრიოდითან“ კონსტანტინე პრესლაველის შემოქმედება სხვა მხრივაცაა დაკავშირებული. ეს კრებული შეიცავს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ცნობილი წარმომადგენლების – კლიმენტი და თეოდორე სტუდიელების – საგალობლებს. თითოეული მათგანის შემოქმედებასთან კონსტანტინე პრესლაველი მჭიდროდაა დაკავშირებული. ი. ზაიმოვის აზრით, ის იძლევა ამ ავტორთა საგალობლების არა ზუსტ, არამედ თავისუფალ თარგმანებს.

ამრიგად, კონსტანტინე პრესლაველი და იოანე მინჩხი თითქმის თანამედროვენი, X საუკუნის I ნახევრის მოღვაწენი არიან. თითოეული მათგანის შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული „მარხვანის“ სახელით ცნობილ კრებულთან. ორივეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ კრებულის შედგენაში. ამასთან ერთად, მათ ეკუთვნით მთელი ციკლი „მარხვანისათვის“ განკუთვნილი მცირე ფორმის საგალობლებსა. ესაა შესაბამისი „მარხვანების“ მთელი სტიქარონული ნაწილი. ორივე ავტორის შემოქმედება გამოირჩევა პოეტური სრულყოფით, და ბოლოს,

ორივეს მოღვაწეობა ემთხვევა ეროვნული სულისკვეთებით გამორჩეული მეფეების – სიმეონ I-ისა და დასავლეთ საქართველოს, „აფხაზეთის“ მეფის – გიორგი I-ის – მოღვაწეობის ხანას.

სახარების საკითხავთა იერუსალიმური სისტემის მიხედვით ამ დღეს დადებულია შემდეგი საკითხავები: 1. ლუკა 16, 19-31 (იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ); 2. მათე 23, 1-39 (იესოს მიერ მნიგნობართა და ფარისეველთა მხილება); 3. იოანე, 9, 1-38 (ბრმად შობილის შესახებ); 4. იოანე, 11, 55-57 (მღდელთ-მოძღუართა და ფარისეველთა განზრახვა).

საინტერესოა, რომ საკითხავთა სწორედ ამ სისტემიდან სამივე ჰიმნოგრაფი ასახავს პირველს – ლუკა 16, 19-31.

მინჩხის საგალობელი მთლიანად ამ იგავითაა შთაგონებული. სახარებისეული საკითხავის მსგავსია საგალობლის სულისკვეთებაც, ზოგადი შინაარსიცა და ფრაზეოლოგიაც. სახარებისეულ საკითხავში მდიდრის ვედრება საგალობელში ასეა გარდათქმული: „დაანთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი“.

ყურადღებას იქცევს III ტროპარის დასაწყისში წარმოთქმული ერთგვარი „აღსარებაც“, რაც გამოწვეულია ცოდვით დაცემის უღრმესი განცდით.

ყურადღებას იქცევს საგალობლის II ტროპარში წარმოდგენილი „სამოსლის“ სიმბოლიკა – მდიდრული, ბრწყინვალე სამოსის ტრანსფორმაცია ჯოჯოხეთის ალად: „ან ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა“.

მინჩხის ამ საგალობლის ბოლო ტროპარს წარმოადგენს ორიგინალური ღმრთისმშობლისანი, რომელშიც ყოვლადწმიდა გააზრებულია პირველქმნილი ედემის განსაახლებლად მოვლენილ „სულიერ სამოთხედ“. ანდრეა პიროსის ამ დღისათვის განკუთვნილ საგალობელში კი თანაბარი ძალითაა ასახული ძველი და ახალი აღთქმის გარკვეული ეპიზოდები. საგალობლის I ნაწილი, სადაც გვხვდება ლოთის, აგრეთვე სოდომის, გომორის, მარილის სვეტის ხსენება, შთაგონებული უნდა იყოს ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანის“ III გალობით (Карабинов 1910: 116).

41-ე ფსალმუნის მსგავსად, ავტორი მიმართავს საკუთარ სულს, რომელიც ცოდვის „მუხრუჭითა“ შებორკილი, მიბაძოს ლოთს, რომელიც განერიდა სოდომისა და გომორის უწმინდურებას და აფრთხილებს, აღარასოდეს გაიხსენოს ის, რაც უარყო, რათა მარილის სვეტად არ იქცეს.

საგალობლის II ნაწილში კი ასახულია ლუკას სახარების იგივე მონაკვეთი, რაც მინჩხის საგალობელში – მდიდრისა და ლაზარეს იგავი.

ავტორი აქაც საკუთარ სულს მიმართავს, რათა განერიდოს სოდომისა და გომორის ტოლფას საფრთხეს – შეუბრალებელი კაცის სიმდიდრეს, რასაც შედეგად დაუშრეტელი ცეცხლი მოსდევს. სახარებაში აღწერილი ლაზარეს ყოფა „წიაღთა აბრაჰამისთა“ მას სულის ხსნად ესახება.

უნწყალო მდიდრისა და ლაზარეს სახარებისეულ იგავზე დაყრდნობით ახდენს კონსტანტინე პრესლაველი თემის ორიგინალურ განზოგადებას. მდიდრული პორფირითა და ბისონით „დამძიმებული“ სულის განწმენდას იგი სინანულის

ცრემლით ცდილობს. მდიდრული სამოსისა და ცხოვრების შესაბამისი სტილის სანინალმდეგოდ, ავტორი იხსენებს ჯვარზე გაკრულ, „განშიშვლებულ“ მაცხოვარს და ევედრება მას მოწყალებას, ლაზარეს მსგავსად.

შეიძლება ითქვას, რომ ანდრია პიროსის საგალობელში ავტორის ინტიმური და მძაფრი ემოციები შესაბამისი ფორმითაა მოცემული. აქ ემოცია თითქოს პირველქმნილი სახითაა გადმოცემული. ამ მხრივ ეს საგალობელი ახლოს დგას ძველი ალექსის ნიგნების მხატვრულ ენასთან დგება. შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელია პასაჟების სიმრავლე ძველი ალექსიდან.

არანაკლებ დრამატულია კონსტანტინე პრესლაველის საგალობელი. კონკრეტული სახარებისეული იგავი ავტორს განზოგადების უმაღლეს დონეზე აჰყავს სხვა ეპიზოდისა და მოვლენის – მაცხოვრის ჯვარცმასთან შეპირისპირებით. ეს მოულოდნელ მხატვრულ ეფექტს ქმნის. აქვე აშკარად იკვეთება ავტორის აზროვნების მასშტაბურობა.

იოანე მინჩხის მხატვრული სახეები, განწყობილებები, ემოციები არ ჩამორჩება ზემოთ აღწერილს, მაგრამ მათი ფორმა გადმოცემისა განონასწორებულია, გონისმიერი. ამ მხრივ ის „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ენას გვაგონებს.

ვფიქრობთ, დიდმარხვის ერთი კონკრეტული დღისათვის განკუთვნილი ეს საგალობლები საკმაო წარმოდგენას გვიქმნის მათ შემოქმედთა სტილისა და შემოქმედებითი პრინციპების შესახებ.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ხაჩიძე** 1987: ხაჩიძე ლ., იოანე მინჩხის პოეზია, თბ., 1987.
2. **ხაჩიძე** 2000: ხაჩიძე ლ., ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან, თბ., 2000.
3. **Leeb** 1970: Leeb H., Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem, vom. 5, bis 8 Jahrhundert, Wien, 1970.
4. **Wellesz** 1980: Wellesz E., A History of Byzantine Music and Hymnography, Oxford, 1980.
5. **Bitola Triodium** 1984: The Kichevo Triodium, also known as Bitola Triodium, Creator J. Zaimov, Sofia, 1984.
6. **Карабинов** 1910: Карабинов И., Постная Триодь, СПб., 1910.
7. **Попов** 1978: Попов Г., Новооткрыта оригинална старобългарска част в текста за Триода, М., 1978.

Lela Khachidze

**SMALL – SIZE HYMNS IN THE 8TH-10TH CENTURY BYZANTINE,
GEORGIAN AND SLAVONIC HYMNOGRAPHY
(ACCORDONG TO THE “TRIODION”)**

SUMMARY

Small – size hymns are one of the most important elements of liturgy. The same is the case in liturgical – hymnographical collections, among them in the “Triodion”.

Unlike the complex hymns – Kanons, small – size hymns have not been sufficiently investigated. For the study of this vast repertoire, Georgian manuscripts deserve particular attention.

In the first part of the 10th century the first Georgian “Triodion” was singled out as a separate collection. The “Triodion” must have been considered particularly important in the Georgian as well as in Byzantine and Slavonic hymnography.

Among the authors who have specially worked on the repertoire of small – size hymns is singled out “A Mysterious Person” – Andrew Pyrrhus, the wonderful hymn-writer. To him belong 85 small – size hymns created for the “Triodion”, all of which are the “Automela”.

The hymns by Andrew Pyrrhus are for the long period of the Lent – from the Apokreos Sunday up to Palm Friday. These hymns are considered masterpieces of the Byzantine hymnography.

The same is the case in the Georgian hymnography. The first Georgian “Triodion” which was singled out from the “Tropologion” as a separate collection, was created by the great Georgian hymnographer – Ioanne Minchkhi. These hymns too are considered the best samples of the christian poetry and are performed during the whole period of the Lent.

The act of compiling the cycle of stichera for the first Georgian “Triodion” (88 small – size hymns) was a rare and successful attempt.

The 10th century Slavonic hymnography, the so called “Bitola Triodion” (11th c.) which was created in Bulgaria, also presents the rare and important event of the same kind. In this collection alongside with the Kanons and “Three – Odes” by famous Byzantine hymnographers is found the whole cycle of the stichera by outstanding 10th century hymn – writer – Konstantin Preslavski. These hymns too are considered the best samples of hymnography.

In this case too “nationalization” of the collection translated from Greek takes place just as it does in the case of Ioanne Minchkhi’s work where the corresponding epochs and surroundings are reflected.

In our work by means of the method of comparative analysis are investigated three hymns created by the three authors for one day (Palm Tuesday) of the Lent.

ცირა ხახვიაშვილი

ლარგვისის ზატიკში (A-25) ასახული ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მსოფლიო საეკლესიო კრების

მსოფლიო საეკლესიო კრება

წინამდებარე სტატია ეძღვნება ლარგვისის ზატიკში ასახულ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახულებას და მიზნად ისახავს ამ გამოსახულების ისტორიულ-ფილოლოგიურ კვლევას. კვლევის მიზანია, ჩვენება იმისა, თუ რით განსხვავდება ეს გამოსახულება ქრისტიანულ აღმოსავლეთში არსებულ კრებათა გამოსახულებებისგან და როგორ ეხმიანება ნიკეის გამოსახულება საქართველოს პოლიტიკურ და ეკლესიის ისტორიაში არსებულ ვითარებას.

ლარგვისის ზატიკი აქამდე მრავალგზის შესწავლილი ძეგლია. პირველი ცნობები ზატიკის შესახებ გამოქვეყნებულია თედო ჟორდანიას ნაშრომში „ქრონიკები“, სადაც თავმოყრილია ის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც მინერილია ხელნაწერში ტექტებზე, აშიებსა თუ მინიატურებზე. სწორედ ეს ისტორიული ცნობები გვაძლევენ ხელნაწერის თარიღის განსაზღვრის საშუალებას (ჟორდანია 1897: 20).

ლარგვისის ზატიკი შესულია ასევე საქართველოს ხელნაწერთა აღწერილობის A კოლექციის I ტომში. აღწერა ეკუთვნის მ. ქუთათელაძეს (A ფონდის აღწერილობა 1973: 86-88).

ჩვენს ხელნაწერს შეეხება ლ. ხევსურიანი, სადაც მეცნიერი შეისწავლის ზატიკის პირველი, გიორგი მთაწმიდელისეული რედაქციის შემადგენლობას და გვიჩვენებს იმ ცვლილებებს, რაც განიცადა ამ რედაქციამ ახალი ე. წ. იერუსალიმური რედაქციის შემოსვლის შემდეგ (ხევსურიანი 2008: 223-348). ხოლო რაც შეეხება ზატიკში ასახულ მინიატურებს, მათი შესრულების სტილსა და თავისებურებებს ეხებიან რ. შმერლინგი „ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები“ (შმერლინგი 1940: 63-64), სადაც მკვლევარი შესავალ ნაწილში ეხება ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათების პრინციპებს. ასევე თინა ვირსალაძე თავის ნაშრომში, „Фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма“, სადაც მკვლევარი გელათის ნარტექსის მსოფლიო საეკლესიო კრება-

თა გამოსახულების გვერდით, ლარგვისის ზატიკში ასახულ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახულებას პარალელურ მასალად მოიხმობს. მკვლევარი გამოსახულებას ათარიღებს XIV საუკუნით, მაგრამ სამწუხაროდ, თავისი მოსაზრების არგუმენტად არაფერი მოჰყავს (Virsaladze 2007: 107).

ლარგვისის ზატიკი მხატვრული თვალსაზრისით აქვს შესწავლილი ნანა კვიციანს. მის ნაშრომში აღწერილია ხელნაწერში ასახული მინიატურების შესრულების სტილი, დამახასიათებელი იკონოგრაფიული თავისებურებები. ასევე ამოკითხული აქვს ჩვენთვის მნიშვნელოვან მინიატურაზე არსებული წარწერები, რომლებიც დღესდღეობით, ხელნაწერის დაზიანების გამო ძლივსა ან საერთოდ აღარ იკითხება (კვიციანი 1991).

„ლარგვისის ზატიკი“ დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში A კოლქციაში 25 ნომრით. ხელნაწერი გადაწერილია XV საუკუნეში ქსნის საერისთაოში, ლარგვისის სამონასტრო კომპლექსში (მენაბდე 1962). ზატიკში არსებული ანდერძ-მინაწერების მიხედვით ხელნაწერის გადამწერია ვინმე ბარნაბა, რომლის შესახებაც სახელის გარდა სხვა არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. (შდრ. „უცბად მჩხრეკელსა ბარნაბას შეუნდევ უფალო ღმერთო, ფრიად ცოდვილსა“. „დედოფალო ღვთისმშობელო, შეინყაღე ყოვლად ცოდვილი ბარნაბა“). (A ფონდის აღწერილობა 1973: 87), ხოლო ხელნაწერის დამკვეთად დასახელებულია ქსნის ერისთავთ-ერისთავი შალვა ქვენიფნეველი. (შდრ: „უფალო ღმერთო იესუ ქრისტე, წარმართე კეთილად საქმე ჴელთა ჩ-ნთაჲ, ადიდენ ღმერთმან ორსავე ცხოვრებასა შინა ერისთავთ-ერისთავი შალვა“, (A ფონდის აღწერილობა 1973: 87; კვიციანი 1991; ხევსურიანი 2008; ხახვიაშვილი 2010)).

ზატიკში, როგორც მნიშვნელოვანი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულში, თავმოყრილია აღდგომის შემდგომი მოძრავი პერიოდის საგალობლები, რომლებიც რვა კვირიაკეზეა განაწილებული: „ინყებთან წმიდანი ზატიკნი წმიდით და განმაცხოველებელით ქრისტეს აღდგომით და სრულ-იქმნებიან კვრიაკესა ყოველთა წმიდათასა; რვანი კვრიაკენი სრულნი ყოვლითურთ“ (A ფონდის აღწერილობა 1973: 86-87) ეს რვა კვირიაკე ასეა განაწილებული:

1. დიდსა შაბათსა მწუხრის-უფალო ღალადყავსა ჴნაჲ. ა. (1r-18r)
2. „დასდებელნი ახალკვრიაკისნი, უფალო ღალადყავსა, ჴმაჲ ა. – რომელი ბჭეთა ჴშულთა მონაფეთა კრებულთა თანა.....“ (19r-25r)¹
3. „აღვსებითგან გ კვრიაკესა მენელსაცხებელთა დედეთაჲ და იოსებ მართლისაჲ, უფალო ღალადყავსა, დასდებელნი აღდგომისანი, ჴმაჲ ბ. პირველ

¹ ხელნაწერში 25r-36v გვერდებზე არის სინგურით დაწერილი შემდეგი კვირიაკე: „ახალკვრიაკისა ორშაბათსა მწუხრი, უფალო ღალადყავსა. – აღ-რაჲ სდევ საფლავისაგან კართა ჴშულთა წარუდეგ“. რადგან ჩვენი თემის კვლევის მიზანი არაა, იმის ჩვენება თუ რა შედგენილობისაა ლარგვისის ზატიკი, ამიტომ მხოლოდ კვირიაკეების აღნიშვნით შემოვიფარგლებით.

———— ლარგვისის ზატიკი (A-25) ასახული ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება

საუკუნეთა მამისაგან შობილსა ღვთისა სიტყვსა, განწორციელებულსა ქალ-
წულისა მარიამისაგან....“ (38r-59r).

4. „მეოთხე კვრიაკესა განრღუჭულისა, უფალო ღალატყავსა, დასდებელნი
აღდგომისანი ჳმა გ – ჯუართა შენითა, ქრისტე მაცხოვარ, დაჰჳსინდა ძალი
სიკუდილისა.....“ (60r-86r);

5. „მეხუთესა კვრიაკესა სამარიტელისაჲ, უფალო ღალადტყავსა, დასდე-
ბელნი აღდგომისანი, ჳმა დ – ცხოველსყოფელსა ჯუარსა შენსა დაუცხრომე-
ლად თაყუანის-ვსცემთ ქრისტე....“ (87r-120r);

6. „მექუთესა კვრიაკესა შობითგან ბრმისაჲ, დასდებელნი აღდგომისანი,
ჳმა გი. – პატიოსნისა ჯუარისა შენისა მიერ, ქრისტე, ეშმაკი სირცხვილეულ
ჰყავ.....“ (121r-146r);

7. „კვრიაკესა ზ სამას ათვრამეტა წმიდათა მამათა ნიკიელთაჲ დასდე-
ბელნი აღდგომისანი, ჳმა ბ, გი. – ძლევა გაქუნდეს ქრისტე ქუჳსკნელს ჯო-
ჯოხეთსაჲ...“ (147r-175r);

8. 90r გვერდზე იწყება ახალი კვირიაკე, რომელსაც არ აქვს მინიატურა.
ეს საგალობელია: „კვრიაკესა მეერგასესა მოსლვაჲსულისა წმიდისა წმიდათა
მოციქულთა ზედა. ნათელი, ნათელი – მეერგასესა დღესა ვდღესასწაულობთ
დამოსლვასა სულისა ცხოველისასა...“.

მინიატურები მოთავსებულია ყოველი ახალი კვირიაკის დაწყების წინა
გვერდზე. ანუ მინიატურა არის ერთგვარი სიმბოლური ხატი, რომელიც მნახ-
ველს ხელნაწერის წაკითხვის გარეშე ამცნობს კვირიაკის რაობას. მხოლოდ
სულთმოფენობის საგალობელია დატოვებული მინიატურის გარეშე (კვიციანი
1991: 22-23).²

ლარგვისის ზატიკი შემკულია შვიდი მინიატურით, რომლებიც შემდეგი თან-
მიმდევრობით არის განლაგებული:

1. 18v გვერდზე გამოსახულია „თომას ურწმუნობა“, რომელსაც მისი რა-
ობის აღმნიშვნელი წარწერა მინიატურაზევე აქვს ლამაზი სინგურით შესრულე-
ბული: „აქა განიხილა თომამ გუერდი უფლისა“;

2. 37v გვერდზე გამოსახულია „მენელსაცხებლე დედათა და იოსებ არიმა-
თიელის“ კომპოზიცია, რომელსაც აქვს წარწერა: „მენელსაცხებელნი და იოსებ
არიმათიელი“;

3. 59v გვერდზე გამოსახულია „განრღვეულის განკურნება“, წარწერით:
„აქა ქრისტემან განრღვეული განკურნა“;

² ნანა კვიციანის ვარაუდობს, რომ შესაძლებელია მინიატურის გამოტოვების მიზეზი იყოს ის რომ ეს საგალობელი verso გვერდზე სრულდება, სადაც ლარგვისის ზატი-
კის მოხატულობის პრინციპიდან გამომდინარე გამოისახებოდა მინიატურა, ანუ
recto-ზე მინიატურის გამოსახვით დაირღვეოდა. ტრადიცია, რომელსაც გადამწერი
ასე გულმოდგინედ იცავდა.

4. 86v გვერდზე გამოსახულია „იესოსა და სამარიტელი დედაკაცის სცენა“, წარწერით: „აქა იესუ სამარიტელისა დედაკაცისაგან წყალსა ითხოვს, იესუ ქრისტე, ჯურღმული, ფოტინე...“;

5. 120v გვერდზე გამოსახულია „ბრმის განკურნება“, მისი ზედწარწერა ასე იკითხება: „აქა აღახილნა უფალმან თუალნი შობითგან ბრმისანი ძე ტიმესი, ბარტემეოს საბანელი“.

6. და ბოლოს 146v გვერდზე გამოსახულია ნიკეის საეკლესიო კრება, ზედწარწერით: „კრებაჲ ნიკისაჲ“.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამაგვირგვინებელი, „ნიკეის კრების“ მინიჭურა, რომლითაც ბოლოვდება ხელნაწერში არსებული მინიატურები (იხ. 1 ილუსტრაცია).

ლარგვისის ზატიკში ნიკეის კრების გამოსახულება შესრულებულია ლურჯ ფონზე,³ რომელსაც სინგური მოჩარჩოება დაუყვება. გამოსახულება ტრადიციისამებრ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილს მთელს სიბრტყეზე ფარავს წმიდა მამათა სამ რიგად განლაგებული გამოსახულებანი. ამათგან ზედა ორი რიგის პერსონაჟების მხოლოდ თავები, იშვიათად მხრებიც მოჩანს. ლარგვისის კრების გამოსახულება განსხვავებულია იმით, რომ აქ არ არის ცენტრში წარმოდგენილი იმპერატორი, როგორც ეს გვხვდება მსოფლიო საეკლესიო კრებათა გამოსახულების უმრავლესობაში (იხ. 2 და 3 ილუსტრაცია). მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლარგვისის ზატიკში ასახული კრების მსგავსი გამოსახულება უჩვეულო იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის ტრადიციისათვის. პირიქით, მასაც ბევრი პარალელი ეძებნება ბიზანტიურ სამყაროში (იხ. 4 და 5 ილუსტრაცია). თუმცა უფრო ტრადიციულია გამოსახულება ცენტრში იმპერატორით (Wallter 1970). ხოლო რაც შეეხება გამოსახულების მეორე ე. წ. რეგისტრს, აქ წარმოდგენილია არა წმინდანთა წინაშე დამხობილი მწვალებელი, როგორც ეს დამახასიათებელია ქრისტიანულ აღმოსავლეთში არსებულ გამოსახულებათა უმრავლესობისათვის (იხ. 6 ილუსტრაცია), არამედ მწვალებელთა წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის იარაღი – წიგნი. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე, ეკლესიის მამებმა ხომ მხოლოდ წმიდა წერილის საშუალებით შეძლეს მწვალებელთა დამარცხება.

ზატიკში წმიდა მამები წარმოდგენილნი არიან სრული სამღვდელო შესამოსელით, საზეიმოდ გამოწყობილნი, ე. წ. „ტიპიზირებული“ გამოსახულებებისაგან რომელთა თავებიც განსხვავებით სხვა მინიატურისაგან⁴ ნათელი

³ იკონოგრაფიაზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლურჯი ფონის როლი, რომელიც ოქროს ჩაენეცვლა. ოქრო რომელიც მინიატურას ბრწყინვალეობას და დიდებას მატებდა, ამ ჩანაცვლებამ გამოსახულება უფრო იდუმალებით მოსილი გადახადა და ოდნავ ინტიმურიც კი გახადა.

⁴ მაგალითად ლარგვისის ზატიკის პირველ მინიატურაში შარავანდედი არის იმავე ფერის როგორც არის არქიტექტურა – მუქი ვარდისფერი

ყვითლითაა შესრულებული და შავი საღებავით – წრით შემოსაზღვრული.⁵ მამათა მზერა ერთმანეთისკენ არის მიმართული. გამოსახულებაში პირველ რიგში მსხდომი ფიგურები განსხვავებით სხვა წმიდა მამებისაგან წარმოდგენილი არიან მთელი ტანით, სხდომნი, რომელთაც ხელში უჭირავთ გადაშლილი გრაგნილები, რითაც ისინი არიან არა მარტო გამოსახულების ნაწილი, არამედ მათ ენიჭებათ კიდევ ერთი მთავარი ფუნქცია: ისინი არიან მაცურებლისთვის ქრისტიანული დოგმის მაუწყებელი. დოგმის გადამცემის ფუნქციური ხაზის თითქოს ერთგვარ გაგრძელებად და თანაც დამაგვირგვინებლად იქცევა, მეორე რიგში სრულად წარმოდგენილი პირველი ფიგურა, რომელიც არ არის დაფარული წინ მდგომი ფიგურისაგან, მომხატველი მასაც აჭერინებს დახურულ გრაგნილს, რითაც ერთგვარად იცავს წესრიგს, აგრძელებს წმიდა მამათა რიგს და საბოლოოდ წარმოგვიდგენს ხუთ წმიდა მამას, რომელთაც ევალებათ მაცურებლისთვის ქრისტიანული დოგმის გადაცემა. წმიდა მამათა რიგი იწყება პირველ რიგში მჯდომი პირველი ფიგურით, რომელსაც ხელში დახურული წიგნი უპყრია, განსხვავებით სხვა მსხდომ მამათაგან, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო ადგილის სიმცირის გამო, და ამასთანავე, ეს ფიგურა რომ არ გამოჩნდეს კომპოზიციის პირველი რიგისაგან ამოვარდნილი იმ ეპისკოპოსთა გვერდით რომლებსაც გადაშლილი გრაგნილები უჭირავთ ხელში, ხელოვანი მასაც დახურულ წიგნს აჭერინებს, რითაც სრულიად კრავს გამოსახულებას, რომელიც კიდევ უფრო მიმზიდველია მაცურებლისათვის.

მსოფლიო საეკლესიო კრებათა ტრადიციული გამოსახულებებისაგან განსხვავებით, ამ წმიდა მამათა „პორტრეტებში“ არ გვხვდება რაიმე ნიშნები, რომლებიც მოგვცემდა მათი იდენტიფიკაციის საშუალებას. მათ არ აქვთ ამ სცენისათვის დამახასიათებელი გამორჩეული იკონოგრაფიული ნიშანი, რაც ასე დამახასიათებელია ბიზანტიურ სამყაროში არსებული გამოსახულებათაგან უმრავლესობისათვის (Wallter 1970; იხ. 7 ილუსტრაცია). ნანა კვიციანი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „მიუხედავად პირობითობისა, ეპისკოპოსებს კონკრეტული ნიშნებიც ახასიათებთ. აქ შეიძლება მთავარ – ხნიერ ეპისკოპოსში წმიდა ალექსანდრე ალექსანდრიელი⁶ და მისი ახალგაზრდა დიაკონი, ასევე გამოჩინებული ნიკეის კრებაზე, წმიდა ათანასე დიდი⁷ ალექსანდრიელი ამოვიცნოთ“ (კვიციანი 1991: 64). მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც, წმიდა ათანასე ალექსანდრიელი ძირითადად იკონოგრაფიული ტრადიციის თანახმად გამოისახებოდა წმიდა იოანე ოქროპირის გვერდით (მარგიშვილი 2003: 10), რომელიც

⁵ განსაკუთრებული დატვირთვა აქვს ყვითელ ფერს, რომელიც არის ფერი – ნათლისა.

⁶ ნიკეის კრების დროს 325 წელს ბიზანტიის ეკლესიის საჭეთმპყრობელი, რომლის თაოსნობითაც იქნა მოწვეული კრება არიოზის წინააღმდეგ.

⁷ ათანასე ალექსანდრიელი, შემდგომში ალექსანდრიის ეპისკოპოსი 328 წლიდან, დიდად წოდებული, იყო მართლმადიდებლობის დამცველი არიოზის წინააღმდეგ მისი სიტყვამ გადამწყვეტი როლი შეასრული კრების დადგენილების გამოტანაზე.

ორი იკონოგრაფიული სახით გამოისახებოდა: 1) კვერცხისებური თავის ფორმითა და მსხვილი აღნაგობით, ან 2) ასკეტის ტიპი – გამოკვეთილი ყვრიმალეებით, მაღალი შუბლითა და ვიწრო ჩავარდნილი ყბებით. მას აქვს მუქი ფერის თმა და წაწვეტებული წვერი (მარგიშვილი 2003: 10). თუ ამ იკონოგრაფიულ ტიპებს გავითვალისწინებთ აშკარა გახდება, რომ ასეთი ტიპი აქ არ გვხვდება.

აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ წარმოდგენილია ე. წ. „ტიპიზირებული“ სახეები. ტიპიზაცია კი თავისთავად გულისხმობს ეპისკოპოსთა არა კონკრეტულ პორტრეტებს, არამედ კრებით გამოსახულებას. ჩვენი აზრით, ეს გამოსახულება საერთოდ პირობითია და ასახავს მწვალებელთა წინააღმდეგ ბრძოლას ნიკეის კრების სახით. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ქრისტიანული ხელოვნება სიმბოლოებით აზროვნებდა და ამა თუ იმ იდეის გამოსახვას უშუალოდ მისი ილუსტრირებით კი არა, ხშირად მსგავი მინიშნებით ახდენდა, ცხადი გახდება, რომ ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება მიჩნეული იყო ყოველგვარი მწვალებლობის წინააღმდეგ მიმართული სიმბოლოდ ასე ცხადია ეს ასე იქნებოდა მასზე ხომ მრწამსი ჩამოყალიბდა. აქედან გამომდინარე, ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახვა ანტიმწვალებლურ შინაარსს ატარებდა, ხოლო არიოზი ყოველი მწვალებლის ერესიარქის სიმბოლო იყო მიჩნეული“ (დიდებულიძე 2006: 53). ამ მოსაზრებით ჩვენი ვარაუდიც გამოსახულების პირობითობის შესახებ უფრო რეალურია.⁸

როცა ნიკეის კრების გამოსახულებაზე ვსაუბრობთ ჩნდება კითხვა, რატომ შევიდა ნიკეის კრების კვირიაკე ზატიკის შემადგენლობაში, აქ ხომ ძირითადად ქრისტეს ცხოვრების ეპიზოდებისადმი განკუთვნილი კვირიაკეებია? ეს განთავსება ლოგიკური იქნება თუ გავითვალისწინებთ ნიკეის კრების ერთ-ერთ კანონს, სადაც გადმოცემულია წესი როდის უნდა ედღესასწაულათ მართლმადიდებელ სამყაროს ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა:⁹ „კრებამ გადაწყვიტა, რომ პასექი უნდა იდღესასწაულებოდეს ყველა ქრისტიანის მიერ ერთდროულად. სახელდობრ, პირველ კვირა დღეს გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარობისას“ (კოჭლამაზაშვილი 2005: 70). აქედან გამომდინარე თითქოს ლოგიკურად უნდა ჩანდეს რომ 146v-ზე გამოსახული კრება უნდა იყოს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, რაც დასტურდება კიდევ მასზე სინგურით შესრულებული წარწერით: „კრებაჲ ნიკესაჲ“, მაგრამ ამ ერთი შეხედვით, განსაზღვრული გამოსახულების მიღმა ჩვენი ვარაუდით წარმოგვიდგენს

⁸ ქართულ საეკლესიო მხატვრობაში იმის მაგალითები, რომ ნიკეის კრების გამოსახულება არის ანტიმწვალებლობის წინააღმდეგ მიმართული სიმბოლო, არის ყინცივის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესია, რომელიც მეცნიერულად იკვლია მარიამ დიდებულიძემ (დიდებულიძე 1991: 160-173; დიდებულიძე 2006; Лордкиფანიძე 1992).

⁹ ზატიკი ხომ შეიცავს აღდგომის შემდგომი პერიოდის საგალობლებს და სწორედ ნიკეის კრებაზე მიიღეს კანონი მისი დღესასწაულობის შესახებ.

XV საუკუნის ეკლესიური ცხოვრების ამსახველ მნიშვნელოვან რეალობას. ამ ვარაუდის საშუალებას გვაძლევს გამოსახულების შუაში სინგური წარწერა „წმიდა იოანე“. ჩვენი მოსაზრების სასარგებლოდ მოვიყვანთ რამდენიმე ვარაუდს: 1) გამოსახულებაზე არ გვხვდება ეპისკოპოსთა ვინაობის აღმნიშვნელი წარწერები, რომლებიც ასე აქტუალური იყო ქრისტიანულ სამყაროში არსებული ნიმუშებისათვის, რომლებიც მოგვცემდა ამ ეპისკოპოსთა ვინაობის დადგენის საშუალებას (იხ. 8 ილუსტრაცია).¹⁰ ერთადერთი ვინაობის აღმნიშვნელი წარწერა რომელიც გვხვდება კომპოზიციაზე არის „წმიდა იოვანე“; 2) წარწერა იოვანეს რომელიმე ეპისკოპოსისადმი მიკუთვნებას ართულებს მისი განთავსების ადგილი გამოსახულებაზე. ის მოთავსებულია ორი ეპისკოპოსის შარავანდებს შორის, რაც ცხადია ართულებს სახელის რომელიმე ეპისკოპოსისადმი მიკუთვნებას; 3) წმიდა იოვანეს იდენტიფიკაციისათვის ასევე საინტერესოა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორია. ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება ჩატარდა 325 წელს, კონტანტინე დიდის იმპერატორობის დროს, რომელიც მიეძღვნა მწვალებელი არიოზის ერესის განხილვას. ამ კრებას ესწრებოდნენ: ალექსანდრიის ეპისკოპოსი ალექსანდრე ალექსანდრიელი, რომის პაპის სილიბისტროს ლეგატები, ცეცილიანე კართაგენელი – აფრიკის ეკლესიის წარმომადგენელი, ოსია კორდუბელი – ესპანეთის წარმომადგენელი, სომხეთის ეკლესიის ეპისკოპოსი არისტავი, იოანე ეპისკოპოსი მთელი სპარსეთისა და დიდი ინდოეთისა, ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი, წმიდა ნიკოლოზი მირინლუკიელი და ა. შ. (კოჭლამაზაშვილი 2005: 69). ამ აღწერილობიდან ჩანს, რომ ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ეპისკოპოსი იოვანე, რომელიც იყო სპარსეთისა და სრულიად ინდოეთის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე კი, გამოსახულებაში თითქოს უჩვეულო არაფერია. მაგრამ ჩნდება კითხვა, რატომ წაანერს მომხატველი მხოლოდ სპარსეთისა და ინდოეთის ეპისკოპოსის სახელს და ტოვებს ისეთი მამების სახელებს, რომლებიც წმინდანებად არიან შერაცხულნი ეკლესიის მიერ: წმიდა ნიკოლოზი, წმიდა ათანასე დიდი, წმიდა ალექსანდრე ალექსანდრიელი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ნიკეის საეკლესიო კრებაზე, არიოზის მწვალებლობის სიმცდარის დამტკიცებასა და არიოზის ხარისხისაგან განკვეთის საქმეში. ყოველივე ამის საფუძველზე ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გამოსახულების უკან იმალებოდეს ზატიკის შექმნის თანადროული ისტორიული რეალობა, ხოლო სახელ იოვანეში იგულისხმებოდეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიერ წარგზავნილი სასულიერო პირი, ფერარა – ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელიც არის დამცველი საქართველოს სარწმუნოებრივი შეურყევლობის.

¹⁰ ბიზანტიისა და ქართული იკონოგრაფიის ყველა ნიმუშებში წმიდა მამათა თუ იმპერატორთა გამოსახულებას თან ახლავს წარწერები, რომელიც არის მათი იდენტიფიკაციის ძირითადი საშუალება.

თუ რა უნდა იმალებოდეს ამ წარწერის მიღმა, ამის ამოცნობის საშუალებას XV საუკუნის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია და ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა მოგვცემს.

XV საუკუნე საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდია. თემურ ლენგისაგან აოხრებულ ქვეყანას კიდევ ერთი დიდი უბედურება დაატყდა თავს, ცენტრალური ხელისუფლების დაუძღვრებით ისარგებლეს ქვეყნის დიდებულებმა, რომლებიც, თუ თვალს გადავაგვლებთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას დავინახავთ, რომ ყოველთვის ცდილობდნენ სამეფოს დაშლა-დაქუცმაცებას და ცალკეულ სამეფოების ჩამოყალიბებას, რომლის ერთპიროვნული მმართველებიც თვითონ იქნებოდნენ. გამონაკლისი არც ეს პერიოდია, მითუმეტეს, რომ დამპყრობელის მიერ აოხრებულ ქვეყანას აღარ შესწევს ძალა შეენინააღმდეგოს დიდებისმოყვარე თავადების ამბიციას. ამას ემატება ისიც რომ ბიზანტიის იმპერიის დაპყრობით 1453 წელს, საქართველო ჩამოშორდა თავის პოლიტიკურსა თუ რელიგიურ პარტნიორს და აღმოჩნდა მარტო მუსულმანთა გარემოცვაში, რითაც საფრთხე შეექმნა არა მარტო სახელმწიფოს არსებობას არამედ სარწმუნოებასაც, რომელიც ქართველთათვის ყოველთვის იყო ძირითადი მაიდენტიფიცირებელი და მითუმეტეს XV საუკუნეში. პერიოდში, როცა საქართველო არის კავკასიაში ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა, რომელიც გარემოცულია მუსულმანთაგან¹¹. ასეთ ვითარებაში კი, იმისათვის, რომ საქართველოს შეენარჩუნებინა ქრისტიანული მესაჭის ფუნქცია უნდა ებრძოლა სარწმუნოების გადასარჩენად, ამის აუცილებელი პირობა კი იყო შეენარჩუნებინა ქვეყნის შიგნით ეკლესიის ერთიანობა, არ მომხდარიყო ეკლესიის დაშლა ისე, როგორც დაიშალა ქვეყანა, მითუმეტეს რომ ამის მცდელობა იყო. როგორც თედო ჟორდანიას აღნიშნავს: ყვარყვარე II, მოქიშპე გიორგისა ცდილობს ეკლესიური განხეთქილებაც მოახდინოს და საათაბაგო ეპისკოპოსებს თვითონ ნიშნავს, ამასთან ის ცდილობს საათაბაგო ეკლესიები მცხეთას მოსწყვიტოს და ანტიოქიის საპატრიარქოს შეუერთოს (ჯაფარიძე 1999: 170).

XV საუკუნეში, როცა შეიქმნა ლარგვისის ზატიკი, საქართულოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1438–1439 წლებში ჩატარებული ფერარა-ფლორენციის კრება, რომელსაც პირობი-

¹¹ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მუსულმანთა გარემოცვაშია, მას უცხოური წყაროები აღიარებენ როგორც დიდ ქრისტიანულ ქვეყანას. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა XV საუკუნის მოგზაურის ბართლომე დე სალინიაგოს ცნობა: „იერუსალიმისი სალოცავად შესვლის დროს ქართველები საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ცხენებსა და აქლემებზე სხედან და გაშლილ-გაფრიალებული დროშებით თავისუფლად შედიან ქალქში და სხვებივით სულთანს ამისათვის დანესებულ გადასახადს არ უხდებიან“ (ჯაფარიძე 1999: 163).

თად მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებას უწოდენ,¹² რომელზეც დიდი პატივით მიიწვიეს ქართული დელეგაცია.

ფერარა-ფლორენციის კრებაზე ძირითადი განსახილველი თემა იყო *filioque*-ს¹³ დოგმის შეტანა მრწამში, რაც გახდა 1054 წლის დიდი სქიზმის უმთავრესი მიზეზი. ასე რომ ამ კრებაზე ორივე მხარე საქრისტიანო სამყაროსი, აღმოსავლეთი და დასავლეთი ამტკიცებდა თავისი რელიგიური მოსაზრების ჭეშმარიტებას, ასე რომ კიდევ ერთხელ გახდა აუცილებელი დაბრუნებოდნენ ნიკეის კრებას და განეხილათ ის საკითხები, რომლებიც აქტუალური იყო ჯერ კიდევ IV საუკუნეში, ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე.

ფერარა-ფლორენციის კრების მოწვევის ძირითადი მიზეზი, თუ მიზანი მსოფლიოს ორი დიდი ქრისტიანული ეკლესიების, დასავლეთისა და აღმოსავლეთის გაერთიანება იყო. მართალია, გაერთიანებას უფრო პოლიტიკური მიზეზი ჰქონდა, რადგან დაუძღვრებულ და მუსულმანთა გარემოცვაში მოქცეულ ბიზანტიას თავის გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებად რომის ეკლესიასთან გაერთიანება მიაჩნდა. ამის დასტური უნდა იყოს ბიზანტიელთა მოქმედება ფერარა-ფლორენციის კრებაზე: „ბიზანტია თანახმაა დასავლეთის მიმართ დოგმატურ და პოლიტიკურ კაპიტულაციასა და გაერთიანებაზე, ოღონდ კი სამხედრო და მატერიალური დახმარება მიიღოს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (დიპლომატიის ისტორია 1998: 26). მაგრამ ჩვენთვის კრების პოლიტიკური მიზეზებზე მეტად მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართული ეკლესიის როლი ამ კრებაზე.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით ფერარა-ფლორენციის კრებაზე წარგზავნილნი იყვნენ გრიგოლი და იოვანე მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსები, რომლებიც დიდი პატივით მიუღიათ და დიპტიხის თანახმად, საპატიო მეექვსე ადგილზე დაუსვამთ, ქრისტიანული აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქების გვერდით (ჯაფარიძე 1998: 250). ფლორენციის საეკლესიო კრების ოქმში დიპტიხის შესახებ წერია: „პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა პატრიარქის სავარძელი... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი... ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესიის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომგზავნილი – იბერიის მიტროპოლიტი... ამათ შემდეგ ისხდნენ ტრაპეზუნდის, რიზეს, ნიკეის, ლაკედემონიის... არქიეპისკოპოსები“ (ჯაფარიძე 1998: 250).¹⁴

¹² დ. ჯილა წერს: „რაც არ უნდა ითქვას, ეს იყო მსოფლიო კრება, რომელმაც შეაფასა და გადაწყვიტა დოქტრინის საკითხები“ (ჯაფარიძე 1999: 249).

¹³ ეს არის მრწამში კათოლიკეების მიერ შეტანილი ცვლილება, რომელიც აღიარებს სულიწმიდის გამოძვრობას მამისაგანაც და ძისაგანაც: „სულიწმიდა გამოვალს მამისაგან და ძისაგან“.

¹⁴ ბიზანტიის იმპერატორი არც თავისი ეპისკოპოსების მოქრთამვაზეც არ ამბობს უარს, ოღონდ კი თავის პოლიტიკურ მიზანს მიაღწიოს (კოპლატაძე 2010; დიპლომატიის ისტორია 1998: 26-28).

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, საქართველოდან წარგზავნილ პირებს უნიაზე ხელი არ მოუწერიათ და კრებაც საერთოდ დაუტოვებიათ. ეპისკოპოსი გრიგოლი საქართველოში წამოსულა, ხოლო იოვანე დარჩენილა, დადიოდა იტალიის ქუჩებში და დაუფარავად ავრცელებდა პაპის პოლოტიკურ მიზნებს. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სიროპულოსის მემოარებში, სადაც ავტორი წერს: „ეპისკოპოსმა სინოდის სესიები მიატოვა, რადგან კარგად გაიგო რომ გაერთიანებას ცუდი ხერხით უწევდნენ პროპაგანდას. პირველად ეპისკოპოსები ფარულად სათითაოდ ჩვენი კაცების შეცდომას უჩვენებდნენ და წამოუყენეს მათ ანტიოქიის პატრიარქის სიგელი, რომელიც მათ უკრძალავდა ლათინებთან შეთანხმებას მერე ვისაც შესანახი ფლორინები ჰქონდა, ფარულად გაიქცა, რათა გადაემალა ისინი. მხოლოდ ტანსაცმელი და სანიადაგო სახმარი რამ დაიტოვა, დანარჩენს ღარიბებს ურიგებდა, თავად კი ხალხის თვალებს ემალებოდა, არც სიტყვის თქმა შეეძლო და არც თავის გამოჩენა უნდოდა. ამასთანავე ცოტა ხნით უბრალო ტუნიკას იცვამდა, ზოგჯერ ტუტუცად ან მანანწალად მოჰქონდა თავი. იგი იტალიის ადგილებსა და ქალაქებში უცნობად დაეხეტებოდა (და ავრცელებდა პაპის პოლიტიკურ მიზნებს) და სრული სამი თვის შემდეგ, ისარგებლა რა ჩვენი თანაგრძნობით, გაქრა უკვალოდ. შემბრალებლობით ნაქეზებულმა ტორნოვის ეპისკოპოსმა, გაიხსენა რა ძველი გაჭირვება, იმ კაცის ძებნას შეუდგა, რომელმაც ის ვენეციაში ჩაიყვანა... მან ნახა ქართველი ეპისკოპოსი მოდენაში და წაიყვანა ის კონსტანტინიპოლში“ (დიპლომატიის ისტორია 1998: 30-31).

ჩვენი ვარაუდით, სწორედ ეს იოვანე უნდა იყოს მოხსენიებული ლარგვისის ზატკიში ასახულ მსოფლიო საეკლესიო კრების მინიატურაზე სინგურით შესრულებული წარწერაში. როგორც წყაროებიდან ირკვევა, იოვანეს თავისი განსწავლულობითაც გაუთქვამს სახელი. მის შესახებ სიროპოლუსი იუწყება: „სინოდის ყრილობაზე უქმე დღეს საზეიმო ლოცვა მოაწყვეს პაპისათვის. სანამ საეკლესიო მსახურების მოვალეობის შემსრულებელი მღვდლები დაესწრებოდნენ, კათედრაზე ავიდა კეთილშობილი კაცი პროტონოტარიუსი იოვანე. ნათლად და ძალიან ფართოდ, ლათინურ ენაზე განმარტავდა ყრილობის მნიშვნელობას. იოვანე ხშირად არისტოტელეს ახსენებდა. ორჯერ სამჯერ მოსმენის შემდეგ იბერმა მარცხენა ხელში წამავლო და მომიჭირა. მე თვალი მივაპყარი მას, თავი დაუჭიქნე, ძლივს მივხვდი თუ რა უნდოდა მას. მან თქვა: „მართლაც და ის არისტოტელე!“ ხოლო როცა სიროპულოსს უკითხავს ვის თვლიდა არისტოტელედ უპასუხია: „წმიდა პეტრე, წმიდა პავლე, წმიდა ბასილი, გრიგოლ თეოლოგი, ქრიზოსტომოსი, ჩვენთვის რაა არისტოტელეო“ (დიპლომატიის ისტორია 1998: 32).

ამ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოდან წარგზავნილი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი ძალზე განათლებული პიროვნებაა. ის კარგად ფლობს ენებს და ქრისტიანულ დოგმატურ საკითხებს.

იოვანეს სახელს ქართველი ერისა და საერთო მართლმადიდებელი ერის წინაშე ამალღებს ისიც, რომ როგორც სიროპულოსის მემუარებიდან ვგებულობთ, სანამ მოლაპარაკების მსვლელობა უკანასკნელ სტადიას მიაღწევდა, იოვანე რომის პაპმა თავისთან მიიწვია და უთხრა რომ უნდა დამორჩილებოდა რომის ეკლესიას: „თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით, კაცი მეტად ნათელი ნიჭით დაჯილდოვებული. ქრისტეს ეკლესია გვასწავლის განათლების მიმდევრებს: „რომის ეკლესია ეკლესიის დედაა... თქვენ უნდა დაემორჩილოთ დედას“, რაზეც ელჩს უთქვამს: „... ჩვენი ეკლესია მოსანონია და ჩვენს დოგმებს ვემორჩილებით, ჩვენი ეკლესია ძალიან მტკიცედ იცავს თითოეულ მცნებას ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, ასევე წმიდა მოციქულთა ტრადიციებს... ამისაგან არასოდეს არ გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია, არაფერი მალულად არ წაგვიღია, წარმოსადგენი მინიმუმიც კი. რომის ეკლესიამ კი მრავალი რამ დაუმატა და საბოლოოდ წმიდა მამების სწავლების საზღვრები გადალახა. ამის გამო თქვენს ეკლესიას ჩვენ ჩამოვშორდით და ორივე გაყრის გზით წავედით“ (დიპლომატიის ისტორია 1998: 31).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ლარგვისის ზატიკის მომხატველი მართალია მინიატურაზე გამოსახავს ნიკეის კრებას, მაგრამ მის მიღმა დაფარულად გადმოგვცემს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების რეალობასაც, რაც ჩვენი აზრით, დასტურდება წმიდა იოვანეს სახელის წარწერით, რომელმაც ამ კრებაზე დაიცვა საქართველოს ღირსება, რომ ჩვენი ეკლესია მოციქულთა მიერ ნაქადაგებელ სარწმუნოებას მტკიცედ და შეურყეველად იცავს.

ლარგვისის ზატიკში ასახული ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახულება, რომ ქვეყნის რეალობის ასახვის მაუწყებელია, ამას კომპოზიციის ჩვენი ქვეყნის კედლის მხატვრობაში გავრცელებული საკურთხეველის მოხატულობასთან მსგავსებაც ადასტურებს, სადაც წმიდა მამათა რიგში წარმოდგენილი არიან 3/4 მობრუნებულნი ეკლესიის მამები, რომელთა დანიშნულებაცაა ქრისტიანული დოგმის გადმოცემა.

ლარგვისის ზატიკის დათვალიერებისას თუ გავითვალისწინებთ ნიკეის კრების მინიატურაზე არსებულ წარწერებს, შესრულებულს გადაშლილ გრაფილებზე და წიგნებზე, ისეთი გრძნობა გვიჩნდება თითქოს ეკლესიის საკურთხეველის წინ ვდგევართ და ვკითხულობთ საეკლესიო მხატვრობაში არსებულ გრაფილთა წარწერებს. თუ გავითვალისწინებთ იმ წარწერებსაც, რომლებიც ხელში უპყრიათ ეპისკოპოსებს, ცხადი გახდება, რომ ლარგვისის ზატიკის ნიკეის კრების გამოსახულება დოგმის გადმოცემით კავშირს ავლენს საკურთხეველის ან გუმბათის მხატვრობასთან,¹⁵ სადაც ტრადიციულად წარმოდგენილი არიან ფრონტა-

¹⁵ გუმბათში წარმოდგენილია ესაია წინასწარმეტყველი, რომელსაც ხელში უჭირავს გრაფილზე დანერილი თავისი წინასწარმეტყველება, რომელიც მოცემულია

ლურად მდგომი ეპისკოპოსები ან წინასწარმეტყველნი გადაშლილი გრაგნილებით ხელში. საკურთხეველში გამოსახულ, ცენტრისაკენ მიმავალ ეპისკოპოსებს ხელში უჭირავთ გრაგნილები ლიტურგიის ტექსტებით დამშვენებული. როგორც რუსუდან მარგიშვილს აქვს აღწერილი, საქართველოს საეკლესიო მხატვრობაში არსებულ წარწერებში ძირითადად გვხვდება ჟამისწირვაში შემავალი ტექსტები და ასამაღლებლები (ყენია 2005: 21-41).

მართალია, ლარგვისის ზატიკში არ გვხვება ჟამისწირვის ტექსტები, მაგრამ გვხვდება ქრისტიანულ-მართლმადიდებლური დოგმათა გამომხატველი ტექსტები, რომლითაც განისაზღვრება გამოსახულების ძირითადი იდეა, ანუ თუ საკურთხეველის მხატვრობაში გამოსახული წარწერები შეეხება ლიტურგიას და ადასტურებს საკურთხეველში ჩატარებული ლიტურგიის ჭეშმარიტებას, ლარგვისის ზატიკის ნიკეის კრების მინიატურაზე არსებული წარწერები გვიდასტურებს ზოგად ქრისტიანულ ჭეშმარიტებას და მის საფუძველზე გადმოგვცემს საქართველოს სარწმუნოებრივ რეალობასაც და უჩვენებს მაყურებელს, რომ ქართველთა სარწმუნოება ურყევია და დაფუძნებულია მოციქულთა ქადაგებაზე და ნმიდა წერილზე.

ჩვენი აზრით, საქართველოში არსებული რეალობის ასახვის კიდევ ერთ ფაქტს უნდა გვიმჟღავნებდეს წარწერები, რომლებიც წარმოდგენილია გადაშლილ გრაგნილებსა და წიგნებში. ამ წარწერების განსაკუთრებულობაზე მეტყველებს მათი განთავსების ადგილი გამოსახულებაში, წარწერები კომპოზიციის პირველ რიგში მსხდომ ეპისკოპოსებს უჭირავთ ხელში როგორც დოგმის შემცველი რომლის წაკითხვასა და დაცვას ავალეებს მკითხველს. აქედან გამომდინარე წარწერები აშკარად მაყურებელზეა გათვლილი. წარწერები შესრულებულია ლამაზად ნაწერი მრგვლოვანით, რომლის საზედაო ასოები შესრულებულია სინგურით.

პირველ გრაგნილზე იკითხება შემდეგი წარწერა: „აჰა ქალწული მიუდგეს: და შვეს ძე: და უწოდინ: – ეს ტექსტი გვხვდება მათეს სახარებაში (1. 23) და ესაიას წინასწარმეტყველებაში (7. 14).

მეორე ახალგაზრდა ეპისკოპოსს ხელთ უპყრია გადაშლილი წიგნი, რომელზეც ასეთი წარწერაა: „ჰქუა უფალმან უფალსა ჩემსა დაჯედ მარჯვენით“. ეს საკითხავი მომდინარეობს 109-ე ფსალმუნიდან (109. 1), რომელიც ასევე არის მოცემული სამ სახარებაში მათე 22. 44) მარკოზი (12. 36) და ლუკა (20. 42)

მეორე გრაგნილზე იკითხება: „დაიკლვის: ტარიგი: ღმრთისა: მამისა: ამენ“. ეს ტექსტი ჩვენ გვხვდება საღვრთო ლიტურგიის დროს, როცა ხდება საზიარებელი პურის კვეთა. ღვთისმსახურებაში არის ასეთი მომენტი: როცა მღვდელთმთავარი ტარიგს ქვევიდან ჯვრის სახედ ჩაჭრის ამ სიტყვებს წრმოთქვამს:

„დაიკლვის ტარიგი ღვთისა აღმღებელი ცოდვათა სოფლისათა და ცხონებად“ (საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1991: 118).

კომპოზიციის ქვემოთ გამოსახულია ექვსი გადაშლილი წიგნი, რომელზეც შემდეგი წარწერები იკითხება:

1. „დასაბამ ქმნა ღმერთმან ცაჲ და ქვეყანაჲ“. დაბადება (1.1.);
2. „პირველითგან იყო სიტყვაჲ და“. იოანეს სახარება (1.1);
3. „წიგნი შობისა იესუ ქრისტესი ძისა“. მათეს სახარება (1.1);
4. აღმოზრწინდეს ვარსკვლავი იაკობისაგან“. რიცხვნი (24.17);
5. მეხუთე წიგნზე წარწერები ძნელად იკითხება და განირჩევა მხოლოდ დასაწყისი ასო შ, ხოლო დანარჩენი ასოები აჩრდილებადლა შემორჩენილი. ეს წაკითხვა კი აღდგენილია ნანა კვიციანის სადიპლომო ნაშრომის მიხედვით: „შ... დევდ და აჰა“ (კვიციანი 1991: 49);¹⁶
6. მეექვსე წიგნის წარწერა სამნუხაროდ მთლიანად დაზიანებულია, დაზიანებულია თვით წიგნის ცალი გვერდიც. აქ დღესდღეობით შემორჩენილი წარწერიდან იკითხება მხოლოდ სინგურით შესრულებული ასო – ა. როგორც ნანა კვიციანი ვარაუდობს, რომ აქ განკითხვის დღესა და სასუფეველზე იქნებოდა მინიშნება (კვიციანი 1991: 50).

ლარგვისის ზატიკის წარწერები, რომლებიც შესრულებულია კომპოზიციის ქვედა ნაწილში გამოსახულ გადაშლილ წიგნებზე თავიდან, მისდევს მრწამსის დებულებას:

1. მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცისა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა.
2. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილო, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღმრთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმილი, ერთ-არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.
3. რომელი ჩუენთვის, კაცთათვის, და ჩვენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით და ხორცი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისაგან განკაცნა (ფსალმუნნი 2000: 225).

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობათა I ტომის, თუ თედო ჟორდანიას „ქრონიკებში“ დაცულ ანდერძ-მინაწერთა წაკითხვისას აღმოვაჩინეთ, რომ ხელნაწერში დაცულ ექვს მინიატურას აქვს წარწერები, რომლებიც შესრულებულია, როგორც გამოსახულებაზე, ასევე მის დაბლა ეტრატის აშიაზე, გამოწკლისი ამ აღწერილობებში აღმოჩნდა მხოლოდ მეშვიდე, ნიკეის კრების მინიატურა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ კანონზომიერ პრინციპს, რომელსაც ლარგვისის ზატიკის შემქმნელი იცავს ხელნაწერის გადანერისა თუ მოხატვის

¹⁶ მეცნიერი ამ მეხუთე წიგნის წარწერაში ვარაუდობს, რომ უნდა ყოფილიყო მართლთა ცხოვრების წესის ამსახველი „შენ მომდევდ მე“ (კვიციანი 1991: 50).

დროს, გვაფიქრებინა, რომ ამ მხრივ გამონაკლისი არც ნიკეის კრების მინიატურა იქნებოდა. ჩვენი ვარაუდი სწორი აღმოჩნდა, როცა ლუპით ხელნაწერს ვათვალიერებდით, კრების საერთო კომპოზიციის დაბლა აღმოვაჩინეთ წარწერა, რომელიც შესრულებულია ნუსხურით და ჰგავს იმავე ხელნაწერს, რომელიც გვხვდება გამოსახულების მაღლა, 146v გვერდის კუთხეში, აშიაზე, „კრება ნიკისა“. მართალია, ანდერძ-მინაწერი დაზიანებულია, მაგრამ გარჩევა მაინც ხერხდება შემდეგი ასოების: „... ნო მამანო, მღვდელმთავარნო, შენე... შენდობას მიბძანებდით თქენ“. თუ რა უნდა იყოს ენეროს დასაწყისში ძნელი სათქმელია, მაგრამ შემდეგი სიტყვების მიხედვით სავარაუდოდ გადამწერი შენევენისა და შენდობის მთხოვნელად გვევლინება.¹⁷

როცა ვსაუბრობთ ლარგვისის ზატიკის გამოსახულებაზე, საინტერესოა რა კავშირი არსებობს გადაშლილ გრაგნილებსა და გადაშლილ წიგნზე არსებულ წარწერებს შორის? რისი თქმა უნდა ამით ხელოვანს?

პირველ გრაგნილზე წერია: „აჰა ქალწული მიუდგეს: და შეეს ძე: და უწოდიან“. ტექსტი, რომელიც განკაცების დოგმის გამომხატველია. ხოლო მის გვერდით არის წარწერა, რომელიც ამოღებულია მრწამსიდან და ამტიკებს მაცხოვრის ღვთაებრიობას: „ჰქუა უფალმან უფალსა ჩემსა დაჯედ მარჯვენით“ ამ ორი წარწერით გადმოცემულია დიოფიზიტა დოგმა, რომლებიც აღიარებდნენ ქრისტეში ორი ბუნების კაცობრივისა და ღვთაებრივის შეერთებას, განსხვავებით მონოფიზიტებისაგან, რომლებიც ქრისტეში მხოლოდ ერთს ღვთაებრივ ბუნებას აღიარებდნენ. აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს წარწერები გარდა იმისა, რომ ზოგად ქრისტიანულ დოგმას გადმოგვცემს, საქართველოს მისი მეზობელი მონოფიზიტი სომხების მიმართ დამოკიდებულებასაც გადამოგვცემს. ამ ვარაუდის კიდევ უფრო გამყარებად მიგვაჩნია მეორე გრაგნილზე წარმოდგენილი წარწერა: „დაიკლვის: ტარიგი ღმრთისაჲ მამისა ამენ“, რომელიც კიდევ ერთი დავის საკითხია მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის. ანუ ამ წარწერებით გადმოცემულია სომეხთა და ქართველთა რელიგიური დაპირისპირება, როგორც დიოფიზიტებისა და მონოფიზიტების. ეს რელიგიური დაპირისპირება ძირითადად ეხებოდა ცალკეულ დოგმატურ საკითხებს. სომხები აღიარებდნენ: ქრისტეს ერთბუნებიანობას, ერთ ნებას, ერთ გონს, ერთ მოქმედებას, ნერწყვის უხრწნელებას, ლიტურგიაში არ უშვებდნენ წმიდა ზიარების პურში საფუარს, ღვინოში წყალს, მირონის ზეთში კეთილსურნელებას და ა. შ. (ჩანტლაძე 1994: 16). სწორედ ამ დოგმების ჭეშმარიტების დამტკიცებას ცდილობდნენ სომხები, რომლებსაც უპირისპირდებოდნენ დიოფიზიტი ქართველები. სწორედ ამ დაპირისპირების გადასაწყვეტად იწვევდნენ საეკლესიო კრებებს, სწერდნენ ტრაქტატებს, ხატავდნენ ეკლესიებს მსოფლიო საეკლესიო

¹⁷ ეს ამ წარწერის პირველი მცდელობა და შეცდომისაგან დაზღვეულნი არ ვართ.

კრებების გამოსახულებით და ა.შ., რომლის საშუალებითაც ორი მხარე ამტკიცებდა თავისი რელიგიის შეურყევლობას და ჭეშმარიტებას.

სომხეთსა და საქართველოს შორის რელიგიური დაპირისპირება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სამხრეთ კავკასიაში არსებული ერთდადერთი რელიგიური დაპირისპირება ორ დიდ ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის, რადგან მუსულმანთა გარემოცვაში მხოლოდ ეს ორი მეზობელი ქრისტიანული ქვეყანა იყო და ისიც დაპირისპირებული. აქედან გამომდინარე ცხადია, რომ კავკასიის ისტორიაში ეს დაპირისპირება აქტუალური იყო წლების განმავლობაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სომხებს თავისი რელიგიური დაპირისპირება არ შეუნყვეტიათ მაშინაც, როცა ისინი პოლიტიკურად საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრებში შედიოდნენ. ცხადია, დაპყრობილი სომხეთისათვის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი საშუალება სწორედ რელიგია იყო. ამიტომაც ისინი უფრო აქტიურდებიან და უპირისპირდებიან ქართველებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია იმავე იარაღით, რომლითაც ქართველები ამტკიცებდნენ თავიანთ სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებას (გედევანიშვილი 2005: 105-115; გაბიძაშვილი 1975; ქართლის ცხოვრება 1955; ქართლის ცხოვრება 1996; ხახვიაშვილი 2010).

რელიგიური დაპირისპირება XI-XIII საუკუნეებში გასაგებია, რადგან სომხეთი შედის საქართველოს შემადგენლობაში. დაპყრობილი ქვეყნისათვის იდენტიფიკაციის ერთერთი საშუალება სწორედ რელიგიაა, მაგრამ რატომ არის მონოფიზიტთა წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ აქტუალური XV საუკუნეში, როცა სომხეთი აღარ შედის საქართველოს იურისდიქციაში და თვით საქართველოც დაშლილია სამეფო – სამთავროებად?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება გ. მაისურაძის წიგნი: „ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, სადაც დაცულია ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ნათელს მოჰყვანს ზატიკის ნიკეის კომპოზიციის საზრისს.

ავტორი აღნიშნავს, მართალია XV საუკუნეში საქართველო არსებული მდგომარეობის გამო მარტო იბრძოდა მუსულმანთა წინააღმდეგ, სომხეთი კი ამ დროს იმედის თვალთ შეჰყურებდა საქართველოს ბრძოლას და მორალურად მაინც უჭერდა მხარს და აღნიშნავს: „მიუხედავად საქართველოში არსებული მდგომარეობისა სომხები საქართველოს მიიჩნევენ საიმედო ქვეყანად და აქ სახლდებიანო“ (მაისურაძე 1982: 118).

უფრო საინტერესოა XV საუკუნეში შედგენილი მემატიანის თომა მენოფეცის ისტორია, რომელშიც ასეთი ცნობაა დაცული: „ლანგ-თემურის შემოსევისას საქართველოს მეფის ბაგრატის წინაპრები წარმოშობით ურიათა გვარიდან იყვნენ, რომლებმაც სომხეთში გრიგოლ განმანათლებლის წყალობით ირწმუნეს ქრისტი და ჩვენს მთავართა შორის ჩაირიცხნენ, შემდგომად უსჯულოებისდა

გამო დევნილნი იყვნენ ქართლში, სადაც განუდგნენ ჭეშმარიტებასა და სარწმუნოებით ქალკედონიტი შეიქნენ“ (მაისურაძე 1982: 118).

ასეთი მტკიცება ხომ არ წარმოადგენს შესაძლო გაერთიანების სამართლიანობის დასაბუთებას და მიზნად ხომ არ ისახავს სომეხთა ფართო მასების მიმხრობას ქართველებთან ერთიანობის იდეის სასარგებლოდ.

ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლარგვისის ზატიკში ასახული ნიკეის საეკლესიო კრების წარწერები, რომლებიც გადაშლილი უჭირავთ ეპისკოპოსებს, წარმოადგენს სომეხთა რელიგიური შეხედულების სანინაალმდეგო დოგმას, რომლებიც ამოღებულია საღვთო წერილიდან და ამცნობენ სომეხებს ქართველთა სარწმუნოების ჭეშმარიტებას. ხოლო მეორე მხრივ კი უნდა აღვნიშნოთ ე. წ. მეორე რეგისტრში წარმოდგენილ წიგნებზე არსებული წარწერებიც, რომელიც მისდევს მართლმადიდებლობის სიმბოლოს – მრწამს, ჩვენი ვარაუდით მიმართული უნდა იყოს კათოლიკეების წინააღმდეგ, რომლებიც „დედა ეკლესიის სახელით“ ცდილობენ თავიანთ ეკლესიის ფარგლებში გააერთიანონ მთელი საქრისტიანო.

ასე რომ ლარგვისის ზატიკზე არსებული წარწერები მიმართულია ორი დიდი განსხვავებული კომფსიების მქონე მონოფიზიტებისა და კათოლიკეების წინააღმდეგ და მიუთითებენ, რომ საქართველო მუდამ იყო დამცველი ჭეშმარიტი სარწმუნოებისა, რომელსაც მოციქულები და წმიდა წერილი ქადაგებდა.

და ბოლოს, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ წმიდა ეპისკოპოსთა გამოსახულებების შესრულების სტილსაც. მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულება შექმნილია XV საუკუნეში, პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულია ხელოვნების ე. წ. „პალეოლოგოსური სტილი“, მომხატველი უფრო ადრეული პერიოდის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ ელემენტებს იყენებს, რითაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის გამოსახულებას. აქ გასახსენებელია ზაზა სხირტლადის მოსაზრებაც. მკვლევარის აღნიშვნით, როდესაც საქართველო აღმოჩნდებოდა თავისი ძირითადი წყაროსაგან – ბიზანტიისაგან მოცილებული, ისევ უბრუნდებოდა თავის მხატვრულ ნიალს და ამით უპირისპირდებოდა მოწინააღმდეგეს (სხირტლადი 2003: 52). XV საუკუნე ხომ სწორედ ასეთი პერიოდი. ეს, თუ შეიძლება ითქვას „რეტროსპექტიულობა“ – ლარგვისის ზატიკის, შემდეგშია გამომჟღავნებული: ა) ლარგვისის ზატიკში ასახული საეკლესიო კრების მინიატურის გამოსახულება სრულებით სიბრტყობრივია, განსხვავებით პალეოლოგოსთა ხელოვნებისაგან, სადაც სივრცეს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა; ბ) ზატიკის მინიატურაში ეპისკოპოსთა სახეები გამოირჩევა დახვეწილობით, სიმწობრით, ზეჟამიერი სიმშვიდით აღბეჭდილი პოზებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია შინაგანი ძალა, ხოლო პალეოლოგოსური ხელოვნებაში უფრო გარეგანი დინამიკა ქარბობს (შდრ. გაგოშიძე 2006; Лордкифანიძე 1992); გ) გამოსახულებისათვის დამახასიათებელია ფერწერული ფენის სისადავე, განსხვავებით პალეოლოგოსური მხატვრობისაგან; დ) ნიკეის კრების ეპისკოპოსთა

გამოსახულებისათვის არ არის დამახასიათებელი დინამიკურობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია პალეოლოგოსური ხელოვნებისათვის (შდრ. გაგომიძე 2006; Лордкиფანიძე 1992); და ე) რაც ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანია ლარგვისის ზატიკის ნიკეის კრების მინიატურა შესრულების სტილით, თავისი სისადავით, მსგავსებას ამჟღავნებს ლარგვისის სახარების მინიატურებთან, რომელიც XIII საუკუნეს განეკუთვნება.

ლარგვისის ზატიკის გამოსახულება ყურადღებას იპყრობს სახეთა მოდელირებით: სახის ტიპი – მრგვალი, მსხვილი ნაკვთებით, ადრეული ტრადიციისამებრ, ერთფერ, ამ შემთხვევაში ნაცრისფერ სარჩულზე შესრულებული, რომელზეც ძირითადი ტონი – ვარდისფერის ნითლისა და თეთრის შერევით არის შესრულებული და დაჩრდილულ და განათებულ მონაკვეთებზეც ამ ფერთაგან ნაცრისფერი ჭარბობს. ეპისკოპოსთა სახეებს ამშვენებს წარბების სწორი რკალი. ნუშისებრი თვალები, ოდნავ კეხიანი ცხვირი, პატარა თხელი ტუჩები, რომელიც ლანვისდარად ნითლად არის დაფერილი. ეს ფერადოვნება უმალ ხვდება მაყურებელს თვალში, რომელთაც განსაკუთრებული განწყობა შემოაქვს სახეთა გამოსახულებაში. ეპისკოპოსთა სახეები გამოირჩევა დახვეწილობით, სიმწობრით, ზეჟამიერი სიმშვიდით აღბეჭდილი პოზებით, რომლისთვისაც დამახასიათებელია შინაგანი ძალა. აბსოლიტურად ბრტყელადაა მოდელირებული თმა: ძირითადად მონაცვლეობს ყავისფერი და თეთრი ფერის თმა, რომელზედაც სამი ხაზი თითქოს უკან ლამაზად გადავარცხნილ თმას აღნიშნავს.

ნიკეის კრების გამოსახულებაზე მხოლოდ ეპისკოპოსთა ომოფორების დეკორატიული ზედაპირებია ნაჩვენები, ქსოვილის ქვეშ კი პირობითი მოდელირებაც არ ხდება. ეს საერთოდ ახასიათებს სახიანი საეპისკოპოსო სამოსელის გადმოცემას. შესამოსელნი შესრულებულია სინგურითა და მელნის მონაცვლეობით, აქა-იქ გინგილებისა და ოლარების გამოსახულებაში ინერგება ლურჯი, ყავისფერი და შავი. ეპისკოპოსთა ომოფორები ჭადრაკული და ჯვრული ორნამენტებით არის მოხატული, რომლებიც სიბრტყიდან ამოჭრილს ჰგავს. ასევე გამოირჩევა ენქერები, რომლებიც ბრტყელი, მარტივი ორნემენტებით არის მორთული, რომელსაც თითო ნითელი ფერის ფოჩი ამკობს. ეპისკოპოსთა შესამოსელის შექმნისას მხატვარი იცავს გარკვეულ წესრიგს, ამის ნათელი მაგალითია ოლარების და ომოფორების მიმართება. თუ ეპისკოპოსს აცვია ყავისფერი ომოფორი, მას აქვს თეთრი ოლარი ნითელი ჯვრით და თუ ნითელი ოლარია აქვს შავი ჯვრები. ხოლო თუ ნითელი ომოფორი, მისი ოლარი არის ლურჯი, ზედ ნითელი ჯვრებით. ძალიან შთამბეჭდავია მსხდომ ეპისკოპოსთა ნითელი ჯამლები, რომელთაც სიმეტრიული გამოსახულებით განსაკუთრებული რიტმულობა შემოაქვს კომპოზიციის საერთო წყობაში.

ამრიგად, ლარგვისის ზატიკში ასახული მსოფლიო საეკლესიო კრების გამოსახულება მნიშვნელოვანია არა მარტო თავისი შესრულების სტილით,


რომელიც სრულიად ქართულ ტრადიციებს ეფუძნება, არამედ გამორჩეულია იმიტაც, რომ ის შეესაბამება საქართველოს ისტორიის რეალურ მომენტებს, იმ პერიოდისას, როცა შეიქმნა გამოსახულება.

ყოველივე ამით კი ლარგვისის ზატიკის ნიკეის კრების გამოსახულება ერთიანდება ქართული ხელოვნების იმ ნიმუშთა გვერდით, რომელიც ემორჩილება ერთ ძირითად ტენდენციას: „სწრაფვა საერთო ქრისტიანული ფასეულობებისადმი, შეძლებისდაგვარად სრული მისადაგება და იმავდროულად, მუდმივი თანაზიარობა ადგილობრივ წინამძღვრებთან. ყოველივე ამის შედეგია ის მხატვრული ტრადიცია, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა თვითმყოფადობითა და ზოგ შემთხვევაში ორიგინალურობითაც კი“ (სხირტლაძე 2008). ქართველი ხელოვანი ხომ სწორედ ამ თავისის წარმოჩენით ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ხელოვნების ქმნილებათა გვერდით და გახდეს ერთი ნაწილი მთელი მართლმადიდებლური სამყაროსი.

ილუსტრაციები



I ლარგვისის ზატიკში ასახული ნიკეის საეკლესიო კრება (ხეც, A-25)



II. I^{er} concile de Nicee Mont-Athos. Lavra (rep. (rep. 49) (49))¹⁸

¹⁸ ილუსტრაციები გამოყენებულია Wallter Ch, L' iconographie des conciles dans la tradition Byzantine, paris 1970. წიგნიდან, რომლის მონოდებისათვის დიდ მადლობას ვუხდით, ქალბატონ ეკატერინე გედევანიშვილსა და ქალბატონ მარიამ დიდებულძეს.




III. II^{er} concile de constantinople. Cozia, Eglise de la St. Trinite. (50)



IV. les saints peres du III concile de constantinople, vat. gr. 115



V. I^{er} concile de Nicee- paris. gr. 1128. (10)



VI. frontispice, II^e concile de nicee menologe del Basile II. (1)



VII. concile d' Ephese.Arbanasi,
Eglise de la Nativite. (40)



VIII. concile d' Ephese.Galata (chypre.)
Eglise de la Narative. (45)

გამოყენებული ლიტერატურა

1. **დიდებულიძე** 1991: დიდებულიძე მ., ზენობანის მაცხოვრის მოხატულობა, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, N1, თბ., 1991.
2. **დიდებულიძე** 2006: დიდებულიძე მ., ყინცვისის წმიდა ნიკოლოზის ტაძრის ფერ-ნერული ანსამბლის მხატვრული სახე, ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია, თბ., 2006.
3. **გაბიაშვილი** 1975: გაბიაშვილი ე., დიდი სჯულის კანონი, თბ., 1975.
4. **გაგოშიძე** 2006: გაგოშიძე გ., ჩიხლაძე ნ., დირბის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი, თბ., 2006.
5. **გედევანიშვილი** 2005: გედევანიშვილი ე., კვლავ ერთი ადგილობრივი იკონო-გრაფიული ტრადიციის შესახებ, საქართველოს სიძველენი №6, თბ., 2005.
6. **კვიციანი** 1991: კვიციანი ნ., XV საუკუნის ლარგვისის ზატიკი, სადიპლომო ნა-მუშევარი, თბ., 1991.
7. **კოპლატაძე** 2010: კოპლატაძე გვ., ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, თბ., 2010.

8. **კოჭლამაზაშვილი 2005:** კოჭლამაზაშვილი ე., ქრისტიანული ეკლესიის ისტორია (მოკლე კურსი), I ნაწილი, თბ., 2005.
9. **მაისურაძე 1982:** მაისურაძე გ., ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982.
10. **მარგიშვილი 2003:** მარგიშვილი რ., ლიტურგიკული ტექსტები სქართველოს ბერძნულ ფრესკულ დანაქარგ წარერებში, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი დისერტაცია, თბ., 2003.
11. **მენაბდე 1962:** მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკ. I, თბ., 1962.
12. **ჟორდანიას 1897:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.
13. **საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1991:** საქართველოს ეკლესიის კალენდარი, წესი და განგება საღმრთო ლიტურგიისა-წირვისა, თბ., 1991.
14. **სხირტლაძე 2003:** სხირტლაძე ზ., VIII-IX საუკუნეების ქართული ეროვნული ფერწერის ძირითადი საკითხები, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2003.
15. **სხირტლაძე 2008:** სხირტლაძე ზ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა, თელოვანის ჯვარპატიოსანი, თბ., 2008.
16. **ფსალმუნნი 2000:** ფსალმუნნი, საპატრიარქოს გამოცემა, თბ., 2000.
17. **ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
18. **ქართლის ცხოვრება 1996:** ქართლის ცხოვრება, გამოსაცემად მოამზადეს, ნინასიტყვაობა და ტერმინთა განმარტება დაურთეს ილ. ანთელავამ და ნ. შოშიაშვილმა, რედ. მ. ლორთქიფანიძე, თბ., 1996.
19. **ქართული დიპლომატია 1998:** ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 1998.
20. **ყენია 2005:** ყენიას მ., ლაღამის მაცხოვრის ეკლესიის თავდაპირველი მხატვრობა: ბოლოდროინდელი აღმოჩენები, ჟურნ. „საქართველოს სიძველენი“, N7-8, თბ., 2005.
21. **შმერლინგი 1940:** შმერლინგი რ., ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშები, თბ., 1940.
22. **ჩანტლაძე 1994:** ჩანტლაძე ნ., მხითარ გომის ტრაქტატი „ქართველთათვის“, დისერტაცია, თბ., 1994.
23. **ხახვიაშვილი 2010:** ხახვიაშვილი ც., ლარგვისის ზატიკში (A-25) ასახული ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრება და საეკლესიო კრებათა გამოსახულებანი შუა საუკუნეების ქართულ მხატვრობაში, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2010.
24. **ხევსურიანი 2008:** ხევსურიანი ლ., ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, N1, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2008.
25. **ჯაფარიძე 1999:** ჯაფარიძე ა., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, III, თბ., 1999.

26. **A ფონდის აღწერილობა** 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973.
27. **Wallter** 1970: Wallter Ch, L' iconographie des conciles dans la tradition Byzantine, paris, 1970.
28. **ვირსაძე** 2007: ვირსაძე Т., Избранные Труды, фрагменты древней фресковой росписи главного гелатского храма, Тб., 2007.
29. **Лордкиფანიძე** 1992: Лордкифანიძე И, Росписи в Цаленджиха, Тб., 1992.

Tsira Khakhviashvili

**THE WORLD CHURCH COUNCIL OF NICAEA ILLUSTRATED
IN THE LARGVISI ZATIKI (A-25)**

SUMMARY

The article deals with the image of World Church Council of Nicaea from the Largvisi zatiki (A-25). The latter represents one of the manuscripts preserved in the national center of manuscripts. Current paper endeavors to take up historical and philological study of this image. The study aims at showing how does the image differ from the images of the councils existing in the Christian Orient and how do the Nicaea image and the inscriptions made on it resemble to the state of Georgian political and church history.

Kim Sergey

Institut de Recherche et d'Histoire des Textes, CNRS, France

Moscow Theological Academy, Russia

A GEORGIAN FRAGMENT FROM MOUNT ATHOS, SIMONOPETRA 18.

The fatal fire of the spring 1891 destroyed the monastery Simonopetra of the Mount Athos. It happened in the absence of its superiors, who were travelling to Russia to collect funds for restorations. The laconic note published in «Ἐκκλησιαστικὴ Ἀλήθεια», the official periodical of the Constantinople patriarchate, announced the ruin of the library in this terms:

...παρανάλωμα τοῦ πυρὸς ἐγένετο ἢ εἰς χειρόγραφα πλούσια βιβλιοθήκη τῆς Μονῆς, κατορθώθη ὅμως ἡ διάσωσις τῶν ἱερῶν ἀμφίων καὶ λοιπῶν σκευῶν κατατεθειμένων ἐν ἀσφαλεῖ τόπῳ (Ἐκκλησιαστικὴ Ἀλήθεια 1891: 122).

"The monastery's library, rich in manuscripts, was consumed in flames, while it was managed to safeguard the sacred habits and vessels which have since been put in a safe place".

A most substantial and rich in emotion account of the fire and of its consequences can be found in the article of A. A. Dmitrievsky who visited the ashes several months after the event (Дмитриевский 1891).

Several years earlier, the Greek scholar Spiridonos Lambros had stayed at Simonopetra and provided a summary description of the manuscript collection of the monastery; the description was published in volume I of his Catalogue (Lambros 1895: 114-129, №1269-1513).

If the building of the library perished with more than two hundred ancient manuscripts, there still remained several dozens of recent one, mainly of musical and liturgical character. These codices might have been conserved in the Katholikon of the monastery and survived with other church utensils, mentioned in the note above; or entered the library later from the dependent *kellia*. Although, not all of these units are of a recent date: the manuscript *Simonopetra* 18 is a fragment of a 14th century Greek manuscript,

while the Georgian bifolium which once used to serve as its cover, dates back to an even earlier period.

As the Georgian bifolium from *Simonopetra* 18 was only described summarily by the Greek scholar Π. Σωτηρούδης (Σωτηρούδης 1994: 232-235; Σωτηρούδης 2012), we decided to give a fuller description of it, on the grounds of the images available online (through the page <http://www.athosmemory.gr>). Later on, I could ascertain difficult readings on to images generously sent to me by Simonopetra's librarian Fr. Polyeuctos and the foundation Μορφωτικό Ίδρυμα Εθνικής Τραπέζης (Athens), whom I thank with pleasure. I would like to thank particularly Mr. David Shengelia (National Center of Manuscripts, Tbilisi), Mr. Marcel Pirard (Belgique) and Rev. Fr. Theologos (monastery of Iviron, Mount Athos, Greece) for their precious help in obtaining images of the other manuscripts necessary for the accomplishment of this study. I'm also grateful to prof. Bernard Outtier (CNRS, France) and Mr. Sergey Akishin (Theological Seminary of Yekaterinburg, Russia) who kindly accepted to read the draft of this article and helped to improve it from the orientalist and liturgical points of view, respectively. I am indebted to Dr. Stig Frøyshov for clarifying certain Georgian liturgical terms.

We signal as well the article by Nikoloz Aleksidze announcing the existence of other Georgian fragments in the collection of Simonopetra, *აღეცხობე* 2008 (especially *აღეცხობე* 2008: 158-161, where photos of at least 4 Georgian fragments are given). The librarian of Simonopetra pointed out to me that these fragments entered the monastery in 1999 from its kellia in Karyai; their photographs have since been sent to the National Center of Manuscripts in Tbilisi for a philological analysis. This Georgian material has not yet received the definite number inside the manuscript collection and does not bear the number 5, as referred to by Aleksidze (*აღეცხობე* 2008: 155). I am embarrassed to say that I did not manage to find any copy of the other article about Simonopetra's Georgian manuscripts by the same author registered in the bulletin of the International Association of Patristic Studies (Bulletin d'information 2011: 80): Aleksidze N. Unknown Georgian Manuscripts from the Monastery of Simonopetra (Mt. Athos), *Mravaltavi* 22 (2008). P. 214-225

Codicological observations

It needs saying at once that the Georgian bifolium Simonopetra 18 had belonged to the manuscript *Iviron georgicus* 51 (described by Blake 1933-1934: 243). We could ascertain it thanks to the photos of the latter codex, which attest exactly the same dimensions, layout, ruling system and writing.

Writing surface. Ruled parchment with brownish spots caused by humidity. Several portions of the surface were wiped out because of its previous use as the cover for a Greek manuscript. Relatively good state of conservation.

Dimensions. 249×196 mm; used surface 162×120 mm. [= *Iviron georgicus* 51].

Layout. 27 lines, 1 column. [= *Iviron georgicus* 51]

Ruling. Type Leroy P2 20D1 = Muzerelle 2-2/0/1-1/J. Capital letters in the asomthavruli fit the space between the left double margin rules. Letters are disposed above the lines for writing. [= *Iviron georgicus* 51]

Date. 11th-12th century. [= *Iviron georgicus* 51]

Quires. The fragment represents a bifolium containing ff. 3[^]6 which had belonged to one of the 28 quaternions lacking in the beginning of *Iviron georgicus* 51 (cf. Blake 1933-1934: 243).

Foliation. Modern pencil foliation in Greek letters on the folios' rectos. We propose to refer to the folios of the bifolium as f. 3*r-v and f. 6*r-v respectively in order to reflect their emplacement inside the quire it had belonged to.

Writing. Anonymous copyist, identical with that of *Iviron georgicus* 51. Careful *nuskhuri* writing, inclined to the right. Black ink; capitals in *asomthavruli* and in red ink; titles in red ink. Extensive use of abbreviations; several often recurring endings of the Στιχηρά are reduced to two or three letters of the first word (e.g., f. 3*r: Ϛს: instead of Ϛს<ნად ჩუენდა ყოვლისაგან ბოროტისა> *ῥυσθῆναι ἡμᾶς ἀπὸ παντὸς κακοῦ).

Annotations. Arithmetical calculations in brown ink on the superior and inferior margins of f. 3*r.

Note. A hypothesis could be ventured concerning the possibility to identify *Simonopetra* 18 with the fragmentary manuscript described as №245 [1513] by Lambros (Lambros 1895: 129). Indeed, the cataloguer speaks of a “φάκελος φύλλων ἀπεσπασμένων καὶ ἀποκομμένων ἐκ διαφόρων κodicων, περιεχομένου ἐκκλησιαστικοῦ” dating of 8th-13th centuries (Lambros 1895: 129); but in absence of any way to ascertain it, it will only remain a hypothesis.

Contents

The Georgian bifolium *Simonopetra* 18 shelters two fragments of the Menaemum office for the 16th of December in the honour of saint Marinus (მარინოს), saint Bacchus (ბაქოს) and saint queen Theophano (თეოფანია).

Thanks to the recent reference book by Enrico Gabidzashvili's on the liturgy and hymnography (გაბიძაშვილი 2011: 306 (№130), 358 (№333), 409 (№533)) we were able to establish the existence of an office in honour of these saints in the manuscript S-4999 of the National Center of Manuscripts, Tbilisi, dated by the 11th-12th centuries. The catalogue of the collection S mentions only the name of prophet Aggeus (S ფონდის აღწერილობა 1969: 317), whose commemoration is also assigned for December, 16, and whose office precedes actually that of the three saints in question (it is worth mentioning that his office differs as well from the one printed in the modern Greek

Menaëa). The consultation of the relevant images of S-4999 confirmed the supposition that they contained the same texts as in the Athonite fragment.

The Georgian text of this office is a translation by Georges Mtatsmindeli (11th c.), as can be deduced from the colophon preserved in S-4999, pp. 662-663, edited entirely in the catalogue (S ფონდის აღწერილობა 1969: 319). The office itself remains inedited, as well as all the other Menaëum offices translated by Georges Mtatsmindeli, with the only exception for the Menaëum of September, published recently by Lali Djghamaia (ჯღამაია 2007). The Greek original has not yet been found and most probably has not survived at all.

The office in honour of the three saints, Marinus, Bacchus and Theophano, of the 16th of December consists of three hymnographical units:

1) Four sets of four Στιχηρά for “Κύριε ἐκέκραξα”; at the head of each set of four Στιχηρά the tone and the abridged *incipit* of the Προσόμοιον are mentioned.

2) Three *tsardgomay* with the mention of the tone, each dedicated to one of the three saints. We are inclined to translate this term as Τροπάριον (or Ἀπολυτίκιον) in spite of its ancient equivalence to Προκείμενον (cf. for example, Leeb 1970: 197-200), or the later equivalence to Κάθισμα (cf., e.g., Кекелидзе 1912: 341). One will see the hymnographical and non-biblical character of the *tsardgomay* of our office while reading the Annex 2 where we give the text of the first *tsardgomay*. Its position at the boundary between Vespers and Matins reflects as well the late function of Τροπάριον.

3) The 9-ode hymnographical canon including the 2nd ode. At the beginning, on the margin, the name of the canon’s author is given: ანასტასი სეკტორისა “of Anastasius Sector” (a misprint in prof. Gabidzashvili’s reference book makes it ანასტასია, which is to be corrected: cf. გაბიძაშვილი 2011: 306 (№130), 358 (№333), 409 (№533)). No hymnograph Anastasius bearing this surname is known, while three canons of December belong to Anastasius *Quaestor* (surnamed also Καμψάκης): that of December, 10 (Schirò 1976: 230-240), December, 15 (Schirò 1976: 310-318) and December, 19 (Schirò 1976: 471-478). It would not be illogical, thus, to suppose a corruption of “Quaestor” into “Sector” on the Georgian or may be already on the Greek ground (on Anastasius Quaestor cf. Krausmüller 2009: 309-312). The odes are introduced a) by the abridged *incipit* of the corresponding biblical ode, b) a mention of the tone (the first ode only); c) the abbreviated *incipit* of the Εἰμῶς.

Our fragment of Simonopetra covers three sets of the Στιχηρά and a half of the first *tsardgomay* (f. 3*r-v) and the odes 3-4 of the hymnographical canon (f. 6*r-v). The exact correspondences are:

Simonopetra 18, f. 3*r-v = S-4999, pp. 233-235 (ff. 117r-118r), and

Simonopetra 18, f. 6*r-v = S-4999, pp. 239-240 (ff. 120r-v).

In Annex 1 hereafter we give the *incipits* of the texts contained in the fragment, collating them with the readings of S-4999 and venturing retroversions into Ancient Greek.

Conclusion

The Georgian fragment *Simonopetra* 18 is a bifolium belonging to the disordered manuscript of which the large part is conserved in *Ivion georgicus* 51. It contains an office for December, 16, for the saints Marinus, Bacchus and Theophano, in the translation of Georges Mtatsmindeli (11th c.), also preserved in *S4999*. The Georgian text remains unpublished and its Greek original is probably lost. The hymnographical canon of the office is to be attributed to Anastasius Quaeator, whereas the codex *S-4999* provides the reading “Sector”.

Annex 1. Incipit.

A – Mount Athos, *Simonopetra* 18, ff. 3*r-v, 6*r-v;

B – Tbilisi, National Center of Manuscripts, *S4999*, pp. 233-235 (ff. 117r-118r), 239-240 (ff. 120r-v).

{**A f. 3*r**}

რომელნი საფლავსა შენსა შევევდრებინ	*Οἱ ἐν τῷ μνήματί σου προσευχόμενοι
რომელი სახიერებით დაგლახაკნა ჩუენთვის	*Ὁ τῆ ἀγαθότητι κενωθεὶς δι' ἡμᾶς
ნათლითა საღმრთოდთა ბნელსა, მბრძოლსა წმიდათასა	*Φωτὶ θεϊκῶ τὸ σκοτός τὸ μαχόμενον τοῖς ἀγίοις

სხუანი. დ. მწნეონი (მწნეო B).	*Ἐτερο. <Ἦχος> δ'. <Εἰς τό> Ὑσχυρέ
განათლებული მადლითა სულისაჲთა	*Φωτισθεὶς τῆ χάριτι τοῦ Πνεύματος
პატივნი სამეფოთნი და დიდება დიდებული	*Τιμὴν βασιλικὴν καὶ μεγαλεῖα ἔνδοξα
ამპარტავანი ზახება და უცხო თესლი	*Υπερήφανον ἐπάγγελμα καὶ ξένον γένος
{ A f. 3*v }	
ულმროთებისა საჯუმილი მსგავსად წმისა მძაფრისა	*Ἄθειον κάμινον ὥσπερ βροχὴν λεπτήν

სხუანი დ (ვმა დ B) გუერდი. ზ სასწაულნი.	*Ἐτερο. <Ἦχος> δ' πλάγιος. <Εἰς τό> Ἦ τῶν θαυμάτων
ნეტარო მონამეო მარინოს, ვითარ ნერგი შუებული	*Μακάριε μάρτυς Μαρίνε, ὥσπερ φυτὸν βλαστήσας
ნეტარო მონამეო მარინოს, არად შეჰრაცხენ ჯორცნი	*Μακάριε μάρτυς Μαρίνε, οὐδὲν ἠγήσω σαρκός

ნარდგომამ. წმამ გ.	*Τροπάριον (ἀπολυτίκιον). Ἦχος γ΄.
ძალითა სულისაჲთა განძლიერებულმან ყოველნივე ტანჯვანი	*Τῇ δυνάμει τοῦ Πνεύματος ἐνισχυόμενος, πάντα τὰ βάσανα

{A f. 6*r}

ნათლის-ღებაჲ ქრისტესი ნათელ-იღე	*Βαπτίσματι Χριστοῦ ἐβαπτίσθης
ჯუარს-აცუ ღირსო, თავი შენი ღმერთსა მოღუანებითა	*Ἐσταυρώθης, ὄσιε, τὸν ἑαυτὸν σου Θεῷ ἐν τῷ ἀγῶνι
გონიერად ადიდე კეთილითა საქმითა შენითა	*Νοερώς ἐδόξασες τῷ ἀγαθῷ ἔργῳ σου
დაუნთქმელად წიაღ-ჰვლენ პერად აღტენილნი ღელვანი	*Ἀκεραίως ἐπέρασες τὰ ἀφῶν μαϊνόμενα κύματα
ღმრთივ-ბრწყინვალე ნათელი და დიდებაჲ რომელ მოიგე	*Θεόλαμπρον φῶς καὶ δόξαν, ἦν ἐδέχθης
შენ რომელი ყოველთა კიდეთა ხედავ	*Σὺ ὁ πάντα πέρατα ἐπιβλέπων

მესმასა. მოხუედ ჩუენდა (მოხუედ B).	*Εἰς τὸ Ἀκήκοα. [=Ode 4] Ἐπιφοίτησον ἡμῖν
შიშად ღმრთისა, რომელი არს დასაბამი სიბრძნისაჲ	*Τῷ φόβῳ Θεοῦ, ὃς ἐστὶν ἀρχὴ σοφίας
{A f. 6*v}	
რომელი <ზის ცათა შინა ვითარცა რაჲ> (according to B, illegible in A) საყდართა	*Ὁ καθέζων ἐν τοῖς οὐρανοῖς, ὡς ἐν τισὶ θρόνοις
ძუელი შვეული ერისა მის თანა ურჩისა დადუმნა	*Ὁ παλαιὸς νόμος ἐπὶ τοῦ λαοῦ ἀνυπακόου ἐσῶπα
ეგ ზებოდე სურვილითა ქრისტეს მეფისაჲთა	*Ἐπυρώθης πτόθω Χριστοῦ τοῦ βασιλέως
საეშმაკოჲ ველურებაჲ და სიცოფე უღმრთოთაჲ	*Δαιμονικὴ ἀγριότης καὶ μανία ἄθεος
ზურგით კერძო ხილვამან ღმრთისამან ადიდა მოსე	*Ἡ ὀπισθεν θέαμα τοῦ Θεοῦ ἐδόξασεν τὸν Μωϋσῆ
უფროჲს მზისა ელვარისა პირისა თქუენისაგან	*Ἦπερ ἡλίου ἀκτίνης τὸ στόμα ὑμέτερον
სანუთროჲსა ნათლად გამომყვანებელი დედაჲ შენი	*Εἰς τοῦ κόσμου τὸ φῶς ἐκφέρουσα ἡ μήτηρ σου

Annex 2. Tsardgomay.

{A f. 3*v; B p. 235 [f. 118r]}. The part inside parentheses is edited according to B.

<p>წარდგომა: ჳმა გ. ძალითა სულისათა განძლიერებულმან, ყოველნივე ტანჯვანი დაითმინენ, მარინოს, და გუემანი ჳორცთან მოუთმენელნი თავს-ისხენ, <ვინაძცა სრულ-ქმნილი ღმრთისა შეინირე მსხუერპლად სულნელად და საკუერთხად წმიდად, მას ევედრე ცხორებისათს სურვილით პატივის- მცემელთა შენთაძსა.></p>	<p>*Τροπάριον (ἀπολυτίκιον). Ἦχος Υ΄. *Τῆ δυνάμει τοῦ Πνεύματος ἐνισχυόμενος, πάντα τὰ βάσανα ὑπέταξες, Μαρίνε, καὶ τὰς πληγὰς σαρκὸς ἀφορήτους ἠνέχθης, ὅθεν τελειωθεὶς τῷ Θεῷ προσηνέγκας ὡς θυσία πνευματικῆ καὶ δωρεὰ ἀγνή, αὐτὸν ἰκέτευσέ σωθῆναι τοὺς πόθῳ τιμῶντάς σε.</p>
---	---

BIBLIOGRAPHY

1. **ალექსიძე** 2008: ალექსიძე ნ., უცნობი ქართული სიძველეები ათონზე: ათონის ავტონომიური სამონასტრო რესპუბლიკა, მნემოსინე: სტუდენტთა შრომები ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში, 3, თბ., 2008.
2. **გაბიძაშვილი** 2011: გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, 5. თბ., 2011.
3. **S ფონდის აღწერილობა** 1969: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, 6, ელ. მეტრეხელის რედაქციით, თბ., 1969.
4. **ჯღამაია** 2007: ჯღამაია ლ., გიორგი მთანმინდელის თვენი, სექტემბერი, თბ., 2007.
5. **Blake** 1933-1934: Blake R., Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos, Revue de l'Orient chrétien, 1933-1934, vol. 9 (29).
6. **Bulletin d'information** 2011: the periodical Bulletin d'information et de liaison, 45 (2011).
7. **Krausmüller** 2009: Krausmüller D., The Encomium of Catherine of Alexandria (BHG 32b) by the Protaescretis Anastasius, a Work of Anastasius "the Stammerer", Analecta Bollandiana, 2009.
8. **Lambros** 1895: Lambros S., Catalogue of the Greek manuscripts on Mount Athos, Vol. I, Cambridge, 1895.
9. **Leeb** 1970: Leeb H., Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem (vom 5. bis 8. Jahrhundert), Wiener Beiträge zur Theologie, 28, Wien, 1970.
10. **Schirò** 1976: Schirò I., Analecta hymnica graeca, Vol. IV, Canones Decembris, Roma, Istituto di studi bizantini e neellenici, 1976.
11. **Ἐκκλησιαστικὴ Ἀλήθεια** 1891: the periodical Ἐκκλησιαστικὴ Ἀλήθεια, 14 Ἰουνίου 1891, ἔτος ΙΑ΄.
12. **Σατηροῦδης** 1994: Σατηροῦδης Π., Παλαιογραφικά ἀπὸ τῆν Ἱερὰ Μονὴ Σίμωνος Πέτρως, Ἐπιστημονικὴ Ἐπετηρίδα τῆς Φιλοσοφικῆς Σχολῆς τοῦ

- Αριστοτελείου Πανεπιστημίου Θεσσαλονίκης, Τεύχος Τμήματος Φιλολογίας, 1994.
13. **Σωτηρούδης** 2012: Σωτηρούδης Π. *Τερά Μονή Σίμωνος Πέτρως, Κατάλογος Ἑλληνικῶν χειρογράφων. Τερά Μονή Σίμωνος Πέτρως*, 2012.
 14. **Дмитриевский** 1891: Дмитриевский А. А., *Пожар в Симоно-Петрском монастыре на святой Афонской горе, Прибавления к церковным ведомостям*, 1891, 30.
 15. **Кекелидзе** 1912: Кекелидзе К. С., *прот. Иерусалимский Канонарь VII века, Грузинская версия, Тифлис*, 1912.

სერგეი კიმი

ათონის სიმონოპეტრას ხელნაწერ №18-ის

ქველი ქართული ფრაგმენტი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია აღწერილობა ერთი ძველქართული ბიბლიოთეკის, რომელიც XI-XII საუკუნეებს განეკუთვნება და რომელიც შემორჩენილია ათონის მთის სიმონოპეტრას მონასტრის ფრაგმენტულ ბერძნულ N18 ხელნაწერში. ეს ძველი დოკუმენტი ერთერთია იმ მცირერიცხოვან დოკუმენტთა შორის, რომლებიც გადაურჩა 1891 წელს მომხდარ დიდ ხანძარს, რომელმაც, პრაქტიკულად, სრულად გაანადგურა სიმონოპეტრას საჯანის ბიბლიოთეკა. აღნიშნული ბიბლიოთეკის კოდოლოგიური და პალეოგრაფიული თვალსაზრისით შევადარეთ ათონის ივირონის N51 ქართულ ნუსხას და დავადგინეთ, რომ ეს ბიბლიოთეკის მომდინარეობს ივირონის N51 ქართული ნუსხის ან დაკარგული, პირველი ნაწილიდან. ძველქართული ბიბლიოთეკის მოიცავს ფურცლებს 3 და 6 კვატერნიონებში.

აღნიშნული ფრაგმენტი მოიცავს ნაწყვეტს გიორგი მთაწმიდელის „თენის“ 16 დეკემბრის მსახურებიდან (რამდენიმე სტიქარონს, ტროპის ნაწილსა და „გალობათა“ ორ კანონს). ეგვე განგება დაცულია, აგრეთვე, ხელნაწერ S-4999-ში. სტატიაში წარმოდგენილია 16 დეკემბრის განგების ჰიმნოგრაფიულ ერთეულთა მოკლე ანალიზი. ქართულ ბიბლიოთეკაში ეს მსახურება მიეწერება ანასტასი სეკტორს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ „სეკტორი“ შეცდომით უნდა იყოს მიღებული ეპითეტიდან „კვესტორი“, ვინაიდან ბერძნულ თეზაურუსში სწორედ ანასტასი კვესტორის 16 დეკემბრისთვის განკუთვნილი სხვა კანონებია შემორჩენილი. სტატიას ერთვის ქართულ ბიბლიოთეკაში შემონახულ საგალობელთა საწყისი მუხლები რეტრო-თარგმანითურთ ძველ ბერძნულ ენაზე და ერთი ტროპარი აღნიშნული მსახურებიდან. ტექსტში გათვალისწინებულია, აგრეთვე, ხელნაწერი S-4999.

ცისანა აბულაძე

**ორიენტალისტური კვლევა-ძიებანი
ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში¹**

ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაერთა ინსტიტუტი) დაცულია 1500-მდე არაბული, 773 – სპარსული, 350 – თურქულენოვანი, 38 – ებრაული, 4 – სირიული, ერთი – ეთიოპური და ერთი – მონღოლური ხელნაწერი წიგნი. აქვეა სხვადასხვა ფორმულარის 510 – სპარსული, 319 – არაბული და 300 – ოსმალური დოკუმენტი.

1958 წელს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაერთა განყოფილების დამოუკიდებელ ინსტიტუტად გარდაქმნის მიზანი იყო აქ დაცული წერილობითი ძეგლების კონსერვაცია და მათი მეცნიერული შესწავლა იმჟამინდელი ტექნიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დონის შესაბამისად. ინსტიტუტი დაკომპლექტდა მიკოლოგ-ქიმიკოს-რესტავრატორებითა და ქართველოლოგებით – ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის მკვლევრებითა და საქართველოს ისტორიის სპეციალისტებით. მათთან ერთად, აღმოსავლური მასალის სრულად გამოვლენისა და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანის მიზნით, ინსტიტუტის შექმნისთანავე მუშაობას შეუდგა ახალგაზრდა ორიენტალისტთა მცირე ჯგუფიც: ცისანა აბულაძე, რუსუდან გვარამია, მაია მამაცაშვილი, ლია მამულია, ნანა ყანჩაველი. მათ გააგრძელეს, ძირითადად კი დაიწყეს, ინსტიტუტის პრობლემატიკის შესაბამისად, მუსლიმური ხელნაწერებისა და დოკუმენტების აღწერა-კატალოგიზაცია, კოდიკოლოგიური შესწავლა და შერჩეული ძეგლების პუბლიკაცია. პარალელურად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული კონტაქტების შესასწავლად მოძიებულ და მოზიდულ იქნა ევროპისა და აზიის სიძველეთსაცავებში შენახული არაბული, სპარსული და ოსმალური წერილობითი ძეგლები. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთ-მცოდნეთა პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იმთავითვე ორ-

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

განული ნაწილი გახდა ინსტიტუტის ერთიანი პრობლემატიკისა. 1988 წლამდე აღმოსავლეთმცოდნეები გაერთიანებულნი იყვნენ არქეოგრაფიის, კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილებაში (ხელმძღვანელი ელ. მეტრეველი), 1988 წლის მარტში კი ელ. მეტრეველის ინიციატივით ჩამოყალიბდა აღმოსავლური განყოფილება და მის გამგედ დაინიშნა მ. მამაცაშვილი. განყოფილებამ დამოუკიდებლობა 2004 წლამდე შეინარჩუნა.

ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ „მრავალთავში“ (ტ. XIV) დაიბეჭდა მ. მამაცაშვილის სტატია „აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქართულ-აღმოსავლური კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში“. სტატია დაწერილია გადამდები ხალისით, კოლეგების წარმატებული მუშაობით აღვსილი სიხარულით. მას შემდეგ კიდევ ერთი 25 წელი გავიდა. პირველმა თაობამ საქმისადმი ჩვეული ინტერესითა და სიყვარულით განაგრძო მუშაობა. მათ თანდათან გვერდით დაუდგნენ ახალგაზრდები, სემიტოლოგები მ. მაისურაძე, ლ. სამყურაშვილი, ირანისტი თ. აბულაძე, ოსმანისტი მ. ილურიძე. შედეგად ადრინდელ საკვლევ თემატიკას ახალი მიმართულებებიც შეემატა, ასე რომ, აღმოსავლეთმცოდნეთა ნამუშაკვეი, არა მარტო რიცხობრივად, არამედ, რამდენადმე, თემატურადაც გაიზარდა.

აქ წარმოდგენილი სტატია ეძღვნება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინსტიტუტის სახით დამოუკიდებელ დაწესებულებად არსებობის 50 წლისთავს და ამ ხნის მანძილზე ორიენტალისტთა მიერ განეული მუშაობის შედეგებს. ამიტომ, ცხადია, მომიხდება მ. მამაცაშვილის სტატიაში აღბეჭდილი რეალიების გამოვლენაც.

ახლად დაარსებულ ინსტიტუტში სამუშაოდ მოწვეულ აღმოსავლეთმცოდნეებს შედარებით დამუშავებული დახვდათ სპარსული მასალა, ე. წ. მუსლიმურ სეიფში დალაგებული იყო სპარსული ხელნაწერები და ვლ. ფუთურიძის მიერ შედგენილი როგორც ხელნაწერების, ისე სპარსული დოკუმენტების პირველადი კატალოგი. უფრო მეტიც, დოც. მ. ხუბუას გამოქვეყნებული ჰქონდა ოთხი სპარსული ფირმანის ქართული თარგმანი (ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940) და ცალკე წიგნად დასტამბული „საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰუქმები“ (ტ. I, თბ., 1949). ვლ. ფუთურიძისა და გ. წერეთლის მიერ გამოცემული იყო – ფ. გორგიჯანიძის „არაბულ-სპარსულ-ქართული ლექსიკონი“ (თბ., 1942) სამეცნიერო მიმოქცევაში იყო შესული ვლ. ფუთურიძის მიერ გამოცემული ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები (თბ., 1955) გ. წერეთელს გამოქვეყნებული ჰქონდა „შამილის წერილები ბარონ ნიკოლაისადმი“ (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. IX B, თბ., 1935-1936 წ.); «Письмо Шамиля из Калуги» (Заметки Института востоковедения АН СССР, т. V, М-Л. 1936; «Вновь найденные письма Шамиля» (Труды первой сессии ассоциации арабистов, М-Л, 1937) და არაბისტ თ. მარგველაშვილის მიერ გამოქვეყნებული ხუნძახის ხანის, ომარის, წერილი ქალაქის მოურავ დავით ციციშვილისადმი („საქართველოსა და დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან დაღესტნური წარმოშობის ერთი არაბულენოვანი საბუთის მიხედვით“, ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები,

აღმოსავლურ ენათა სერია, ტ. II, თბ., 1957); ს. ჯიქიას პუბლიკაციების წყალობით ამ დროისათვის საქვეყნოდ იყო ცნობილი მუზეუმში დაცული „გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დავთრის“ ოსმალური ტექსტი (წიგნი I, თბ., 1947) მისი ქართული თარგმანი (წიგნი II, თბილისი 1941) და გამოკვლევა (წიგნი III, თბ., 1958).

ახალგაზრდა ორიენტალისტებმა (ც. აბულაძემ და ლ. მამულიამ), უპირველესად, მეორე მსოფლიო ომის გამო რეევაკუირებისას ერთმანეთში შერეული არაბული და თურქულენოვანი ხელნაწერები დაალაგეს ენების მიხედვით და გადაიტანეს ე.წ. მუსლიმურ სეიფში. შემდეგ შემოსულობათა კვალობაზე, აქა-იქ გაფანტული დოკუმენტაციისა და ხელნაწერებზე შემორჩენილი ნიშნების მიხედვით, გამოიყო 3 კოლექცია შიფრით – K, L (ადგილობრივი) და AC (შუააზიური). არაბული ხელნაწერების ადგილობრივ კოლექციაში რ. გვარამიამ გამოყო ქვეკოლექციებიც.

ილია აბულაძის ინიციატივით, გ. წერეთელმა, ს. ჯიქიამ და ვლ. ფუთურიძემ შეიმუშავეს აღმოსავლური ხელნაწერების კატალოგიზაციისა და აღწერის პრინციპები. მათ გაითვალისწინეს როგორც პეტერბურგის ორიენტალისტთა, ისე ქართული ხელნაწერების აღწერის გამოცდილება. შემუშავდა კატალოგიზაციის ისეთი მოდელი, რომლითაც ნებისმიერენოვანი სპეციალისტისათვის გასაგები გახდა ხელნაწერის რაობა, ავტორის ვინაობა, თხზულების სათაური, გადამწერი, გადანერის ადგილი, თარიღი, თხზულების დასაწყისი და დასასრული. თითოეული ხელნაწერის აღწერას ზუსტი იდენტიფიკაციისათვის ერთვის ბიბლიოგრაფია, ანუ მითითება მსოფლიოს სხვა ცნობილ სიძველეთსაცავებში შემონახულ ანალოგიური თხზულებების ნუსხებზე.

კატალოგიზაცია მიზნად ისახავდა ინსტიტუტში დაცული მასალის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას და მისი მეცნიერული ღირებულების ჩვენებას. ხელნაწერების სწორი იდენტიფიკაცია დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა და სიძნელეს უქმნიდა აღმოსავლეთმცოდნეებს, რომელთაც ხელნაწერებზე მუშაობის არავითარი ჩვევა არ ჰქონდათ. განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა ირანისტი მ. მამაცაშვილი, რომელსაც დახვდა ვლ. ფუთურიძის მიერ შედგენილი პირველადი კატალოგი. როგორც მ. მამაცაშვილი აღნიშნავს, სწორედ ეს აღწერილობა დაედო საფუძვლად მის მიერ შემდგომ გამოქვეყნებულ კაჯარისა და შუააზიური კოლექციების კატალოგს (I; 2). არაბისტსა და თურქოლოგს კი დახვდა ლაზარდის მიერ შედგენილი საინვენტარო კატალოგი რიცხობრივად მცირე (არაბულ 34 და თურქულ 36) იმ ხელნაწერებისა, რომლებსაც იგი შეცდომით პრინც კაჯარის კუთვნილებად მიიჩნევდა. ეს შეცდომა ჩვენც გავიმეორეთ. სიმართლე კი მარტივად გამოჩნდა. ხელნაწერები ეკუთვნოდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში თბილისში მცხოვრებ ირანელ პრინცს – არდაშირ ავშარ მაჯდ ოს-სოლტანეს. PK174 შიფრში აბრევიატურა K დარჩა, მაგრამ იგი არ გულისხმობს კაჯარს.

პირველად გამოქვეყნდა K კოლექციის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, გ. წერეთლის წინასიტყვაობითა და რედაქციით (I; 1). მას მოჰყვა შუაზიური კოლექციის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (I; 2).

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ უმჯობესი იყო კატალოგში ხელნაწერების განლაგება თემატური ნიშნით. შედეგად ერთბაშად წარმოჩნდა კოლექციის სახე, აღწერილობაც ტექნიკურად უფრო მოქნილი და ეკონომიური გახდა. დაჯგუფდა ერთი და იმავე თხზულების შემცველი ხელნაწერები. სიტყვა „იგივემ“ შეცვალა არა მარტო ავტორის სახელისა და თხზულების სათაურის გამეორება, არამედ თხზულების დასაწყისისა და დასასრულის ჩვენება, ბიბლიოგრაფიაზე მითითება. ყველაფერი ეს მოტანილია ქრონოლოგიურად უძველესი ნუსხის აღწერისას. კატალოგში აღსანიშნავი ერთეულების თემატური პრინციპით განლაგება განსაკუთრებით მიესადაგა არაბულ ხელნაწერებს, სადაც ერთი თხზულება რამდენიმე ათეული ნუსხით არის წარმოდგენილი. ამასთან, გრძელ ჯაჭვს ქმნის ერთი ძირითადი თხზულება მისი კომენტარებით, გლოსებითა და სუპერგლოსებით.

არაბული ხელნაწერების უმრავლესობა კრებულებია – ერთ წიგნად არის შეკრული სხვადასხვა დარგის, სხვადასხვა ავტორისა და სხვადასხვა პირის მიერ გადაწერილი 16-18, ზოგჯერ 25 თხზულება. დარგების მიხედვით ხელნაწერთა აღწერამ გამოიწვია მრავალდარგოვანი კრებულების დაშლა, ერთი ნომრის სხვადასხვა ადგილზე მითითება. ამას უნდა მოჰყოლოდა ხელნაწერის, როგორც კულტუროლოგიური ერთეულის, მთლიანობის დაკარგვა, რაც, საბედნიეროდ, შენარჩუნებულია ცალკე გატანილი კრებულთა საძიებლების წყალობით, სადაც ერთი შიფრითაა მითითებული კრებულის როგორც ტექნიკური აღწერილობა, ისე მისი დარგობრივი შედგენილობა. ამგვარად არის გამოცემული არაბული ხელნაწერების L კოლექციის ორივე ქვეკოლექციის კატალოგი (I; 3, 4).²

ინფორმაციულობით განსაკუთრებით გამოირჩევა დალესტნური წარმომავლობის L კოლექციის ხელნაწერთა კატალოგი, რომელიც, გასაგები მიზეზების გამო, შედგენილია რუსულ ენაზე და, რაც მთავარია, ჩვეულებრივ, კატალოგებში ხელნაწერის გვერდებზე მინაწერის არსებობას თუ მიუთითებენ მხოლოდ, აქ კი ჩვენმა ავტორებმა, შინაარსის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოიტანეს მინაწერების არაბული ტექსტი რუსული თარგმანით (იშვიათადაა მხოლოდ თარგმანი). ამან მნიშვნელოვნად გაზარდა კატალოგის ინფორმაციული მხარე დალესტნის პოლიტიკური და სოციალური ისტორიისათვის. შესაბამისია სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტთა დაინტერესებაც.

დარგობრივი პრინციპით აიგო თურქულენოვან ხელნაწერთა კატალოგიც და ერთ წიგნად შეიკრა სამივე კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა, რამაც

² არაბული ხელნაწერების კატალოგიზაციის პროცესში წლების მანძილზე კოორდინაციის წესით იყო ჩართული გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლია მამულია.

რამდენადმე დაჩრდილა თითოეული კოლექციის თავისთავადობა. ამ ხარვეზს ავსებს საძიებლები. კატალოგი გამოიცა ქართულ და თურქულ ენებზე 2004 წელს. მიეძღვნა ილ. აბულაძისა და ს. ჯიქიას ნათელ ხსოვნას (I; 5). გამოსაცემი რჩება არაბული ხელნაწერების შუააზიური კოლექციისა და ადგილობრივი კოლექციის სპარსული ხელნაწერების კატალოგი, ამით დასრულდება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მუსლიმურ ხელნაწერთა კატალოგების გამოქვეყნება. შემდეგ ეტაპად ივარაუდება კატალოგების ელექტრონული ვერსიის შექმნა.

ხელნაწერთა აღწერილობაზე მუშაობის პარალელურად ც. აბულაძე, რ. გვარამია, მ. მამაცაშვილი, ლ. სამყურაშვილი თბილისში, ერევანში, ბაქოში, ტაშკენტში, აშხაბადსა თუ მოსკოვსა და ბუდაპეშტში გამართულ საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებზე კითხულობდნენ მოხსენებებს და სპეციალისტებს აცნობდნენ ჩვენთან დაცული ძეგლების რაობას, მათ ლიტერატურულ და წყაროთმცოდნეობით ღირებულებას, აღწერის ჩვენეულ პრინციპებს (I; 6, 7, 8, 10, 17, 18). შედეგად, კატალოგების გამოცემამდე სამეცნიერო მიმოქცევაში „თბილისური ნუსხის“ სახელწოდებით შევიდა ხელნაწერები – Tur L22, Tur L140, PK124, Ar K9.

საზოგადოების დაკვეთით ჩვენთან დაცული ხელნაწერების შესახებ ინფორმაციები კატალოგების გამოცემების შემდეგაც სისტემატურად ქვეყნდება (I; 12, 13, 14, 15, 16).

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, როგორც ითქვა, ინახება 510 – სპარსული, 319 – არაბული და 300 – სხვადასხვა ფორმულარის ოსმალური დოკუმენტი. დადგენილია თითოეულის რაობა და შედგენილია კატალოგები. ამათგან სპარსული დოკუმენტებისა – ვლ. ფუთურიძის მიერ, არაბული, რომელიც ძირითადად დაღესტნური წარმომავლობისაა, ნ. ყანჩაველის მიერ (I; 19), ოსმალური კი – ს. ჯიქიასა და ც. აბულაძის მიერ (I; 11, 12).

1999 წელს საქართველოს ეროვნულმა არქივმა სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივიდან მიიღო XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ ცნობების შემცველი 1000-ზე მეტი ოსმალური დოკუმენტის ქსეროპირი შესაბამისი კატალოგის თანხლებით. კატალოგი არქივისათვის ქართულად თარგმნა მ. ილურიძემ. ცალკე, საგანგებო საქალაქებში ეწყო 22 ერთეული, რომლებიც კატალოგში შეტანილი არ იყო. ეს მასალა, არქივის ხელმძღვანელების თხოვნით, შეისწავლა ც. აბულაძემ. აღმოჩნდა: 1. „თბილისის ეიხლეთის თაჰრირ დავთარი“ (ის წყარო, რომლის ამოკითხვაზე რამდენიმე ათეული წელი იმუშავა აკად. ს. ჯიქიამ), ერეკლე II-ის მიერ 1775-1778 წლებში ერზერუმის ვალისთან გაგზავნილი 3 წერილი, 1918 წელს ოსმალეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების შავი – სამუშაო პირი, დანარჩენი კი – დედოფალ სოფიო გურიელისა და მისი შვილების ანტირუსული წერილები სულთან მეჰმედ II-სა და სანაპირო ოლქების ვალიებთან.

თ. აბულაძემ, განსვენებულმა ნ. ხუციშვილმა და მ. მამაცაშვილმა, ირანის მემკვიდრეობის ფონდის დახმარებით, მოამზადეს სპარსული საისტორიო საბუთების კატალოგის ელექტრონული ვერსია. მასში შესულია ქართულ-სპარსული ორენოვანი მოხატული საბუთების ინტერნეტგალერეაც. უძღვის შესავალი, რომელშიც საუბარია XVI-XIX საუკუნების ქართულ-სპარსულ ისტორიულ ურთიერთობებზე.

ასეთია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მუსლიმური ხელნაწერები-სა და საბუთების აღწერა-კატალოგიზაციის დღევანდელი მდგომარეობა.

მეორე ძირითადი საკვლევი მიმართულება არის საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შესწავლა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

აღწერილობაზე მუშაობისას ინსტიტუტის ორიენტალისტები გასაგები ინტერესით ეკიდებოდნენ საქართველოს ისტორიის ჩვენთან დაცულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს. 1971 წელს მ. მამაცაშვილმა გამოსცა K კოლექციის №174 ხელნაწერი. უსათაურო ტექსტს უწოდა „თბილისის აღწერა“, დაურთო ქართული თარგმანი და კომენტარები. თვითმხილველი ირანელი ავტორი ჯამშიდ არდაშირ ავშარ მაჯდ ოს-სოლტანე აღწერს XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის თბილისის კულტურულ-ეკონომიკურ ყოფას, უცხოთ ვეზალით დანახულ რეაღიებს, აბანოებს, ქარვასლას, ბაზარს და ა. შ. (II; 48).

ახალგაზრდა ირანისტმა ნ. ხუციშვილმა გამოსცა შაჰ სულტან ჰუსეინის წერილი ვახტანგ VI-ისათვის ირანის სპასალარისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგობის მინიჭების შესახებ (II; 61). ნ. ხუციშვილი მონაწილეობდა 1985-1988 წლებში გარეჯის უდაბნოში მოწყობილ ეპიგრაფიკულ ექსპედიციაში. მან ამოიკითხა გარეჯის მონასტრის კედლებზე არაბიკათი შესრულებული ნაკანრი წარწერები – ძირითადად, პილიგრიმული ხასიათისა – და დაათარილა XIV-XX საუკუნეებით (II; 60, 62). მანვე გამოაქვეყნა მონოგრაფია ისტორიული და გეოგრაფიული თვალსაზრისით თანაბრად „მაღალი სეისმური“ დაღესტნის ეთნოლინგვისტურ, კულტურულ-რელიგიურ და პოლიტიკური თუ სოციალური ისტორიის საკითხებზე (II; 64).

არაბისტმა ნ. ყანჩაველმა ინსტიტუტში მოსვლისთანავე დაამუშავა ირანისტ ნ.კ. სმირნოვის პირადი არქივი. სამეცნიერო კვლევის საგნად კი იმთავითვე აირჩია დაღესტნური წარმომავლობის არაბული დოკუმენტები და წერილები, საქართველო-დაღესტნის ისტორიულ ურთიერთობას რომ ეხებოდა. ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოაქვეყნა თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის წერილები ნურსალ ბეგისადმი (II; 52, 56). ერეკლეს წერილები დენგალ-ჰაჯი ტინდიელთან (II; 51), ქუსა ქალალიელისადმი (II; 52), დაღესტნური ჯამათებისადმი (II; 51-56, 59), ალაღარხანის წერილები არღუთინსკი დოღგორუკისადმი (II; 49), გამოსცა აბდ-არ-რაჰმან ღაზი ლუმუქის ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება – „1296 წ. (1877 წ.) დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაცემა ოსმალთა წაქეზებით“ (II; 50), მოგვიანებით, მან მუშაობა გააგრძელა ამავე თხზულების ახალ

რედაქციაზე, რომლის ტექსტი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში (II; 57); ე. ვეიდენბაუმის პირად არქივში მიაკვლია მასალებს დალესტინის შესახებ (II; 58). ნ. ყანჩაველის მიერ გამოქვეყნებული წერილებიდან მკაფიოდ ჩანს ერეკლეს სამშვიდობო პოლიტიკა ლეკიანობის შესასუსტებლად, ალაღარხანის წერილებში კი აღწერილია რუსეთის წინააღმდეგ მთიელთა ბრძოლის მძაფრი ეპიზოდები.

ოსმალური დოკუმენტები და ნარატიული ძეგლები მნიშვნელოვანი წყაროა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში ხანგრძლივად თუ დროებით მოხვედრილი ქვეყნების ისტორიისათვის. ბუნებრივია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მომუშავე თურქოლოგი იქ დაცულ მასალას ჩვენი ქვეყნის ისტორიის თვალსაწიერიდან შეაფასებდა. L კოლექციის ხელნაწერების აღწერისას ყურადღება მიიქცია არზრუმის ვილაჟეთის 1592 წლის კანუნ-ნამემ, რომლის ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით ინსტიტუტის შრომებში გამოქვეყნდა (II; 1). ჩვენთან დაცულია XIV საუკუნის ოსმალთა პოეტის, თაჯ-ედ-დინ აჰმედის, ისტორიული პოემა „ისქანდერ-ნამე“ (Tur K5, Tur L55). პოემის ერთი თავი ეძღვნება არღუნ ხანის ლაშქრობას საქართველოში. იგი ქართული თარგმანითა და კომენტარებით გამოიცა (II; 2), დღემდე გრძელდება ოსმალთა სულთნების საქართველოს მეფე-მთავრებსა და ზიმიებთან ფირმანების, ჰუქმებისა და ბერათების, სასაზღვრო ფაშების ბუიურულთუებისა და წერილების გამოქვეყნება (II, 3-7, 9, 12, 23). პუბლიკაციებში ყურადღება მახვილდება დიპლომატიკისა და პალეოგრაფიის საკითხებსა და საკანცელარიო ენის თავისებურებებზეც, სტერეოტიპული გამოთქმებისა და სტანდარტული ფორმულების სიმრავლეში სასაუბრო ენის მცირე ფრაგმენტებზეც.

XVI-XVIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად მდიდარი მასალა აღმოჩნდა ევროპის, თურქეთისა და იერუსალიმის სიძველეთსაცავებში. საბჭოთა ეპოქაში უცხოეთიდან ტექსტის მიღება დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თითოეული ჩვენგანი, ადრე თუ გვიან, მაინც ახერხებდა მათ მოპოვებას, ისევე და ისევე ილ. აბულაძის, ელ. მეტრეველისა და ს. ჯიქიას დახმარებით. 1975 წელს სტამბოლური და ბრიტანული ნუსხების მიხედვით გამოიცა გურჯიზადეს „თბილისის დაპყრობის წიგნი“ თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, კომენტარებითა და შესავლით (II; 8, 18), თვითმხილველი ავტორი დანვრილებით აღწერს 1723-1724 წლებში ოსმალთა მიერ ქართლის ოკუპირებას. პუბლიკაციას გამოეხმაურნენ პოლონელი, ჩეხი და ბულგარელი თურქოლოგები, „წიგნის“ წყაროთმცოდნეობითი ღირებულება შეაფასეს გ. ფუთურიძემ, ვ. ჩოჩიევმა და მ. სვანიძემ. ამავე წყაროზე დაყრდნობით და „ერევნის ალების წიგნის“ მონაცემების გათვალისწინებით, 1984 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა სტატია – „ოსმალთა მიერ 1724 წელს ქართლის დაპყრობა“ (II; 17).

XVII-XVIII საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხების შესასწავლად საკმაოდ მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა სოფიის, კირილესა და მეთოდეს

სახელობის ბიბლიოთეკის აღმოსავლურ განყოფილებაში დაცული ჩილდირის, ტრაპიზონისა და ერზერუმის ჯაბა დავთრები (II; 10, 13, 16). ც. აბულაძემ და მ. სვანიძემ 1979 წელს გამოსცეს ჩილდირის ჯაბა დავთრის ტექსტი, ქართული თარგმანით, გეოგრაფიულ სახელთა იდენტიფიკაციითა და გამოკვლევით (II; 11). წყარო ტიპოლოგიური თვალსაზრისითაც საყურადღებოა ოსმალთა მიერ დაპყრობილი სხვა ქრისტიანული პროვინციების ისტორიისათვის. ალბათ, ამითაც აიხსნება ის გამოხმაურება, რაც „დავთრის“ პუბლიკაციას მოჰყვა სომეხი, ფრანგი, ჩეხი, რუმინელი და იაპონელი ოსმანისტების მხრიდან.

უფსალის უნივერსიტეტისა და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში დაცულია XVII საუკუნის ოსმალთა ავტორის, ნამის, თხზულება „საქართველოს დაპყრობის წიგნი“. მასში აღწერილია ერზერუმის, ყარსისა და ახალციხის ფაშების ლაშქრობა 1663 წელს იმერეთსა და ოდიშში. ოსმალურ ტექსტს ახლავს შვედეთის ელჩის დაკვეთით ლუი დანტანის მიერ შესრულებული ფრანგული თარგმანი, ეს თავისთავად მეტყველებს იმ საერთაშორისო მნიშვნელობაზე, რასაც ანიჭებდნენ თანამედროვენი ოსმალეთის პოლიტიკას დასავლეთ საქართველოს მიმართ XVII საუკუნის მეორე ნახევარში (II, 21, 28).

ათაბაგ ყვარყვარე III-ის დროინდელი სამცხის საშინაო და საგარეო ვითარება დეტალურადაა აღწერილი სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივში დაცულ ოსმალურ დოკუმენტებში (II, 14, 15). მათში ჭარბადაა წარმოდგენილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის მანამდე უცნობი რეალიები: სამცხე-საათაბაგოსა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობა XVI საუკუნის 20-იან წლებში და ქვეყნისათვის დამლუპველი დაპირისპირება ათაბაგებსა და შალიკაშვილების ფეოდალური სახლის წევრებს შორის, მონაცემები სამხრეთ საქართველოს პროვინციების ისტორიული გეოგრაფიის საკითხების დასაზუსტებლად და ა. შ.

განსაკუთრებული ღირებულებისაა წმინდა მინაზე ქართული სამონასტრო თემის ისტორიის ოსმალური საბუთები. ისინი დაცულია იერუსალიმში ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, ფრანცისკელთა კონვენტის არქივში (კუსტოდიია დი ტერრა სანტა), შარიათის სასამართლოს არქივსა და სტამბოლის პრემიერ-მინისტრის არქივში. სულთნის სახელით გამოცემული ბრძანებულებები და ყადიების ჰუჯატები წარმოაჩენენ V-VI საუკუნიდან მოყოლებული წმინდა მინაზე ქართველთა კუთვნილი ეკლესია-მონასტრების, სამწირველო თუ სამლოცველო ადგილების ბერძნების, სომხებისა და ფრანცისკელების მფლობელობაში გადასვლის ისტორიას, რეალობისგან დაშორებულ ოფიციალურ სურათს; საუკუნეების სიგრძეზე წარმატებული თემის ტრაგიკულ ფინალამდე მისვლის პროცესს (II; 19-20, 22, 29-32, 35).

მრავლისმთქმელია ოსმალურ წარატიულ და დოკუმენტურ ძეგლებში ქართული ტოპონიმების გადმოცემის ფორმები – ძირითადად, გათურქულება (II; 26). ჩვენი წახდენის მაჩვენებელია ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი (II; 27).

თურქოლოგმა მ. ილურიძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა 1578-1580 წლებში კავკასიაში ოსმალთა ლაშქრობის მონაწილის აბუ-ბექრ ბინ აბდულაჰის „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნი“ (II; 36, 38). მანვე გამოაქვეყნა იბრაჰიმ რაჰიმი-ზადე ჩავუშის „მურად ხანის გამარჯვებათა წიგნსა“ და „განჯის დაპყრობის წიგნში“ დაცული ცნობები საქართველოს შესახებ (II; 37, 41). 2006 წელს, პარიზული და ვენური ნუსხების მიხედვით ცალკე წიგნად გამოქვეყნდა აბუ-ბექრ ბინ აბდულაჰის „გამარჯვებათა წიგნის“ ოსმალური ტექსტი, ქართული თარგმანით, შესავლითა და კომენტარებით (II; 47). ამგვარადვე გამოიცემა „განჯის აღების წიგნიც“.

იგი აქვეყნებს დოკუმენტებს XVIII საუკუნის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, სარგებლობს 1999 წელს სტამბოლიდან საქართველოს ეროვნულ არქივში გამოგზავნილი ოსმალური დოკუმენტების ქსეროასლებით (II; 45, 46).

ყურადღებას იმსახურებს სტატია „აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის“ (II, 37). ქართულ, სომხურ, სპარსულ, თურქულ ისტორიულ წერილობით ძეგლებში ხშირად იხსენიება აღჯაყალა. ამ სახელწოდებას კი ატარებს 9 გეოგრაფიული პუნქტი საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიებზე, რაც ართულებს მის იდენტიფიკაციას. მ. ილურიძემ სხვადასხვაენოვანი წყაროები შეაჯერა და, ვფიქრობ, სწორად განსაზღვრა თითოეულის მდებარეობა.

1996 წელს მ. სვანიძემ გამოსცა წიგნი „ქართველები თურქეთში“ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ქართველი მუჰაჯირების შესახებ. მ. სვანიძის ნაშრომს ერთვის მ. ილურიძის მიერ თურქულიდან თარგმნილი ისმეთ ზადე დოქტორ მეჰმედ არიფის „ქართული სოფლები“ (II; 40).

ქართველი ხალხის სულიერი ინტერესების, ინტელექტუალური შესაძლებლობისა და ენერჯის, მხატვრული გემოვნების, მეზობელ ხალხებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის გამოხატულებაა ჩვენი ლიტერატურა. XX საუკუნემდე ქართულ სასულიერო და საერო ლიტერატურაში ნათარგმნი ძეგლები სჭარბობს ორიგინალურს. შორს რომ არ წავიდე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერების 90% ნათარგმნი ძეგლებია (ელ. მეტრეველი). ილია აბულაძის ინიციატივით ინსტიტუტის გახსნისთანავე დაიწყო მათი სერუპულოზური შესწავლა. გაგრძელდა ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის ის ხაზი, რომელსაც სათავე დაუდეს ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა, გარკვეულ სიმაღლეზე აიყვანეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ და, საერთოდ, მომდევნო თაობამ, მათ შორის – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერმა თანამშრომლებმაც. როგორც ცნობილია, ქართული სასულიერო მწერლობა კვალდაკვალ მიჰყვებოდა ბიზანტიურს, ამიტომაც ჩვენი თანამშრომლების უმეტესობის კვლევის საგანი, ძირითადად, არის ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების დადგენა, VIII საუკუნიდან ებრაულისა და სომხურის გათვალისწინებით. მაგრამ IX საუკუნეში არაბთაგან შეცვლილ სო-

ციალურ-პოლიტიკურ გარემოში ქართველებმა ორიენტაცია აიღეს აღმოსავლურ ქრისტიანულ მწერლობაზე და დაენაფნენ ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურას. ქართული თარგმანები ადასტურებენ IX-X საუკუნეების სინისა და პალესტინის სკრიპტორიუმებში ქრისტიანული მწერლობის არაბულენოვანი ყალიბით წარმართვის ფაქტებს. ახლა ეჭვი არავის ეპარება, რომ ქრისტიანული არაბულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის გარეშე შეუძლებელია ქართული სასულიერო მწერლობის სრულყოფილი სურათის აღდგენა როგორც უკვე ითქვა, ილ. აბულაძის ინიციატივით, მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებად არსებობის პირობებში მომზადდა არაბისტი რ. გვარამია ქრისტიანული არაბული ლიტერატურის სპეციალისტად. 1968 წელს X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით მან გამოსცა „ალ-ბუსთანი“, იოანე მოსხის პატრისტიკული კრებულის – „ლიმონარის“ – არაბული ვერსია, ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და ქრისტიანიული ტერმინოლოგიის ახსნა-განმარტებით (III; 1, 2). რ. გვარამიამ დაადგინა, რომ „ლიმონარის“ – ქართული ვერსია – „სამოთხე“ – თარგმნილია არაბული „ალ-ბუსთანიდან“, რომელიც თავისთავად მომდინარეობს ბერძნული დედნიდან. ამასთან, რ. გვარამიას აზრით, „ლიმონარის“ ჟანრობრივი თავისებურების გამო, ტექსტს დროდადრო ემატებოდა ისეთი ნოველები, რომელთა წყარო არაბული არ უნდა იყოს (III; 1, 9).

ბერძნულსა და ქართულს შორის ასეთივე შუალედური აღმოჩნდა „სინარაითის მამათა მოსრვის“ არაბული ვერსია. „მამათა მოსრვის“ ქართული თარგმანი შესულია პირველ ქართულ თარიღიან ხელნაწერში – 864 წლის სინურ მრავალთავში. რ. გვარამიას განკარგულებაში აღმოჩნდა თხზულების თითქმის ყველა არაბული ტექსტი, რომელთა შეჯერებით გამოიყო ორი რედაქცია და უძველესთან დადგა ასევე უძველესი ქართული ვერსია. რ. გვარამიამ 1973 წელს გამოსცა კრიტიკული ტექსტი ორივე არაბული რედაქციის მიხედვით და გვერდით დაუყენა ქართული ვერსია (III; 3).

რ. გვარამიამ „პანტელეიმონის წამების“ მანამდე ცნობილ ქართულ ვერსიებს შემატა კიდევ ერთი – მეტაფრასულ ვერსიებამდელი – ტექსტი, რომლის წყარო კვლავ ბერძნულიდან მომდინარე – არაბული თარგმანი აღმოჩნდა (III, 4). არაბული წყაროს მიმართ ანალოგიური მოდელით წარმოჩნდა ბასილი კაპადოკიელის მეორე ეპისტოლეს ქართული თარგმანი (III, 6).

IX-X საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში არაბული ენა გახდა Lingva franca. ამან განაპირობა ქრისტიანული არაბული ლიტერატურის შექმნა წმ. საბასა და ხარიტონის ლავრებში, სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, სნორედ იქ, სადაც და როცა იღვწოდნენ ქართველი სულიერი მამები, მწიგნობრები, მთარგმნელები, გადამწერები, ხელნაწერთა ამკინძავ-შემამკობლები. ქართველებს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ იქ მოღვაწე ქრისტიან არაბებთან. ამის დასტურია, თუნდაც, არაბული პაგინაცია საბანმიდურ და სინურ ქართულ ხელნაწერებზე და ქართული პაგინაცია ამავე წარმომავლობის არაბულ ხელნაწერებზე, არაბული ანბანი, საგანგებოდ ქართველებისათვის შედგენილი და

სხვ. (III; 5). მინაწერებში ცოცხლდება ქართველებისა და ქრისტიანი არაბების თანაცხოვრების დეტალები, ერთ ჭერქვეშ ყოფნის სიკეთეცა და სიავეც: სულიერი ერთობით ნაკარნახევი ლიტერატურული თანამშრომლობა, ხოლო XIII-XIV საუკუნეებში ურთიერთობის გამწვავება – არაბთაგან ქართული სამონასტრო ქონების, ხელნაწერების მისაკუთრებისა და ქართველი ბერების კელიების მითაცვების საშიშროება.

რ. გვარამიამ, 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, 1986 წელს გამოცა „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“ ვრცელი გამოკვლევითა და ლექსიკონით (III, 8). ქართული თარგმანის ბერძნულ და არაბულ ვერსიებთან შედარებისა და შეჯერების შედეგად დაადგინა, რომ ქართულის წყარო არის ბერძნული, ხოლო თარგმანში დადასტურებული არაბული ლექსიკა და, საერთოდ, არაბიზმები შედეგია იმ ცოცხალი პალესტინური გარემოსი, რომელშიც ითარგმნა ძეგლი.

რ. გვარამიამ შემადგამებელი სტატიები გამოაქვეყნა, რითაც კიდევ უფრო დამაჯერებელი გახდა ის ფაქტი, რომ ქრისტიანული არაბული და ძველი ქართული ლიტერატურული ურთიერთობები თავისი მასშტაბურობით სცილდება ქართული სასულიერო მწერლობის საზღვრებს და არსებითი მნიშვნელობა აქვს არაბული ქრისტიანული ლიტერატურის ზოგადი და კონკრეტული საკითხების გასარკვევად. ქართული თარგმანით დადასტურდა რამდენიმე ორიგინალური არაბული თხზულების არსებობა, დადგინდა მათი ავტორების ვინაობა, რედაქციების ურთიერთმიმართება და ა.შ. (III; 10, 13-15).

რ. გვარამია, ისევე, როგორც ც. აბულაძე და მ. ილურიძე, აქვეყნებს წყაროს კრიტიკულ ტექსტს ნუსხების ვარიანტული სხვაობების ჩვენებით რედაქციების დადგენით, რაც აღმოსავლურ ტექსტოლოგიაში უჩვეულობამდე იშვიათი შემთხვევაა.

ქრისტიანული არაბული ლიტერატურის კვლევის საქმეში რ. გვარამიას დამსახურების საერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნიოთ მისი გვარის შეტანა ჯერ კიდევ 1976 წ. ბელგიაში Bulletin D'Arabe Chretien-ის პირველ ტომში ქრისტიანული არაბულის ცნობილ სპეციალისტთა შორის.

ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობების შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში მანანა მაისურაძემ დაიწყო. მან გამოავლინა სირიულიდან თარგმნილი „წმ. დროსის ცხოვრება“. შეისწავლა თარგმანის მიმართება წყაროსთან (III; 16, 17). მანვე იმუშავა ათონის მრავალთავის (X ს.) ისტორიული ლიტერატურულ საკითხებზე, ტექსტის წარმომავლობის დადგენაზე. გაირკვა, რომ მრავალთავის ჰომილეტიკური მასალა გადმოღებულია სხვადასხვა დროს, მაგრამ არა სხვადასხვა ენიდან – მათ შორის სირიულიდან, როგორც ადრე იყო მიღებული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ბერძნულიდან. მ. მაისურაძემ ჰომილეტიკური ტექსტის სირიულიდან მომდინარეობა გამართული მეცნიერული არგუმენტით გამორიცხა, ამასთან, დადგინდა, რომ ქართულ ჰომილეტიკურ კრებულებთან ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდ სიახლოვეს იჩენს VIII-IX საუკუნეების სირიული და X-XI საუკუნეების არაბული კრებულები. 2006 წელს

გამოსცა ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილექტიკური ლიტერატურის კატალოგი (VIII; 15, 16). ცხადყო, რომ ჩვენი წინაპრები სირიულ ძეგლებს შედარებით იშვიათად თარგმნიდნენ.

ზედმეტია შეხსენება იმისა, რომ კლასიკური თუ ალორძინების ხანის ქართული საერო ლიტერატურა, როგორც ჟანრობრივი, ისე მხატვრული სახეების თვალსაზრისით, დიდად არის დავალებული სპარსული ლიტერატურისაგან. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლები და მოარული სიუჟეტები. სპარსული ენის სრულყოფილი ცოდნა სამეფო კარისა და მაღალი ფეოდალური არისტოკრატის აღზრდის თანმხლები პირობა იყო: სიმონ I, გიორგი სააკაძე, სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო I, მეფე-პოეტები არჩილი, თეიმურაზი, ვახტანგ VI, იოანე ბატონიშვილი და სხვ. შესანიშნავად ფლობდნენ სპარსულ ენას და გატაცებული იყვნენ სპარსული ლიტერატურით. შესაბამისად, მდიდარი და ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევას.

მ. მამაცაშვილმა ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობა დაიწყო თეიმურაზ I-ის „ლეილ-მაჯნუნიანის“ სპარსული წყაროების დადგენით. ქართული ვერსია შეუდარა 40-მდე სპარსულ ტექსტს და წარმოადგინა ქართული თარგმანის სავარაუდო სპარსული წყარო. ამასთან, ქართულ ვერსიას შესაბამისი ადგილი მიუჩინა აღმოსავლეთში ასე პოპულარული სიუჟეტის განვითარებისა და გავრცელების შესწავლის საქმეში (III; 23-25). „ვისრამიანის“ მხატვრული სახეებით მოხიბლულმა მკვლევარმა მომდევნო ხანი გორგანის „ვისორამიანის“ და ქართული „ვისრამიანის“ ურთიერთმიმართებისა და ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების კვლევას მოანდომა. ორიგინალის ბეითური წყობა, ფიზიკურად მომცრო წრეებით აღნიშნული, ქართულ ხელნაწერში გამოავლინა. ეს კი, ტექსტობრივ მონაცემებთან ერთად, ძირითადი გზაა სპარსული დედნის თავდაპირველი სახის აღსადგენად (III; 26-28) (რაც კვლავ სამომავლო საქმედ რჩება). 1967 წელს გამოსცა მონოგრაფია „გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“. ნაშრომში, მისივე თქმით, ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის გვერდით მოცემულია პირველი ცდა ქართული „ვისრამიანის“ თეორიული შესწავლისა, ქართველი მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდისა და მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით (III; 29-31, 34-35). მ. მამაცაშვილმა „ამირანდარეჯანიანში“ აღმოსავლური წარმომავლობის დამადასტურებელ რეალიებზე – პოლიგამია, მისალმების რიტუალი, ჯადოსნური ზღაპრის მოტივები, ტოპონიმები, აღმოსავლური ლექსემები, სპარსული მხატვრული სახეები და ხერხები – მითითებით დაასკვნა, რომ იგი არ არის ორიგინალური ქართული თხზულება. მოსე ხონელს ხელთ უნდა ჰქონოდა რამდენიმე სპარსული წყარო რომლებიც უნდა დაიძებნოს საგმირო-სათავგადასავლო ჟანრის თხზულებებში (III; 37). მანვე „ამირანდარეჯანიანის“ მაგალითზე აჩვენა საგმირო ეპოსის რომანულ ჟანრად ჩამოყალიბების გარდამავალი პროცესი, რომელიც სარაინდო ჟანრის შექმნით დასრულდა (III; 36).

ასეთივე ყურადსაღები თეორიული ნაშრომი გამოაქვეყნა ირანისტმა თ. აბულაძემ – „სპარსული სუფიური პოეზიის პროლოგი“. ავტორი ანალიზებს სანას (XI ს.) – „ღვთის მონათა მოგზაურობასა“ და ჯელაღედდინ რუმის „მესნევის“ პროლოგებს, მათ სიმბოლურ-სახეობრივ მონაცემებს (VIII; 3).

ადრე თ. აბულაძემ საგანგებოდ შეისწავლა ვახტანგ VI მთარგმნელობითი საქმიანობა. მხატვრულ თარგმანებზე მუშაობის მისი მეთოდი დაადგინა „ქილია და დამანასა“ და „ამირნასარინის“ პროზაული და პოეტური ვერსიების მიხედვით. მანვე შეისწავლა ვახტანგის სამეცნიერო თარგმანები – ასტრონომიაში, ასტროლოგიაში, მათემატიკაში, ქიმიაში. მიაკვლია სპარსულ წყაროებს – ულუღ ბეგის „ზიჯი“, ასადი ტუსელის „სტროლაბი“, „იათი“, „ჰიდააათ ალ ნუჯუმი“, „ქიმი“, „მათემატიკა“ (IV; 1-5), ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემატიკაში ასე დაედო სათავე საკვლევ მიმართულებას – აღმოსავლური მეცნიერული ლიტერატურის ქართული თარგმანები და მათი წყაროების დადგენა. თ. აბულაძემ შეადგინა სპარსულ სამეცნიერო თხზულებათა ჩვენ სიძველეთსაცავებში შენახული ქართული თარგმანების კატალოგი. ამ კვლევამ წარმოაჩინა ქართულ-სპარსული სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების ასპექტები – მთარგმნელობითი ტენდენციები, საერთოდ, შუა საუკუნეებში აღმოსავლური სამეცნიერო დარგებისადმი ქართველების დამოკიდებულება (IV; 6, 7).

ზოგადად, კარგა ხანია, ცნობილია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებული კარაბადინები და სამედიცინო წიგნები გადმოღებულია არაბულიდან. ლ. სამყურაშვილმა კარაბადინთა ქართული თარგმანების არაბულ წყაროებთან დამოკიდებულების გარკვევა დაისახა მიზნად. მან გამოავლინა „უსწორო კარაბადინისა“ და „წიგნი სააქიმოჲს“ შექმნის განმაპირობებელი ფაქტორები, კონკრეტული მაგალითებით დაადასტურა მათი არაბულიდან წარმომავლობა (IV; 10), ფილოლოგიურ დონეზე შეისწავლა „ხუარაზმშაჰის „საუნჯის“ ქართული ვერსია. ენობრივი მონაცემების საფუძველზე დაასკვნა, რომ „საუნჯე“ თარგმნილია არაბულიდან, არაბული კი მომდინარეობს სპარსულიდან, რომლის ავტორია ისმაილ ჯურჯანი (IV; 8, 9). ლ. სამყურაშვილი აღწერს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბული კოლექციების სამედიცინო ძეგლებს. მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოაქვეყნა ინფორმაცია იბნ სინას (ავიცენა) „სამედიცინო კანონის“ ჩვენთან დაცული ნუსხის შესახებ. (I; 18). მიმოიხილა შუაზიური კოლექციის არაბული სამედიცინო ხელნაწერები (IV; 11).

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების ამსახველ ნერილობით ძეგლებზე მუშაობა, წმინდა ტექსტოლოგიური საკითხების გარდა, ყოველთვის გულისხმობს მასალის ლინგვისტურ ანალიზს – თარგმანის წყაროსთან მიმართების დადგენას, ცალკეული სიტყვებისა თუ შესიტყვებების გადმოტანას (ხშირად კალკებით), ლექსიკონის შედგენას და ა.შ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლეთმცოდნეთათვის ქართულ-აღმოსავლური ენობრივი კონტაქტების გამოვლენა და შესწავლა ცალკე საკვლევ მიმართულებაა.

„ვისრამიანზე“ მუშაობის დროს მ. მამაცაშვილმა დაადგინა არაერთი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა და წარმომავლობა. შედეგად, გასწორდა ქართული თარგმანის რამდენიმე სადავო ადგილი (V; 9, 11). მანვე „ვეფხისტყაოსანში“ დადასტურებულ ირანული წარმომავლობის ლექსემებს შემატა კიდევ ერთი – „ასად“ – ასი. სიტყვა კონტექსტის ორგანული ნაწილი ჩანს და ქმნის სინონიმურ წყვილს ქართულ „ას“-თან (V; 12).

IX-X საუკუნეების არაბული და ბერძნული ლიტერატურული ძეგლების მონაცემების გათვალისწინებით რ. გვარამიამ დაადგინა სიტყვა „სიმყვრტეს“ საბასეული განმარტებისაგან განსხვავებული მნიშვნელობა (V; 6). მ. მაისურაძემ კი „დროსის წამების“ მიხედვით გაარკვია, რომ ტერმინი „ეზოას მოძღუარი“ უნდა აღნიშნავდეს როგორც „მეფის კარის გამგებელს“, ისე „მსახურს“, „მესანოლეს“ (V; 7). ლ. სამყურაშვილმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო წიგნებში ფიქსირებულ არაბიზმებს (V; 13-15).

ნ. ყანჩაველმა გამოაქვეყნა ზაგურსკის წერილები დალესტნური ენების შესწავლის თაობაზე (V; 16).

პროფესიული დონე და ფილოლოგიური კვლევის უნარი გამოავლინა ნ. ხუციშვილმა, მან XII საუკუნის ცნობილ ასტროლოგიურ ტრაქტატზე დაყრდნობით, სწორედ ლინგვისტური ანალიზის შედეგად, გაარკვია ზოდიაქოსა და პლანეტის ურთიერთმიმართება: „სახლი“, და „ვაბალი“, „შერეფ და ხუბუტ“ (V, 17).

2001-2006 წლებში აღმოსავლეთმცოდნეთა ერთი ჯგუფი – ც. აბულაძე, მ. ილურიძე, ლ. სამყურაშვილი, მ. სურგულაძე – XI-XVII საუკუნეების ხელნაწერებიდან იღებდა მასალას პროექტისათვის „აღმოსავლური ტერმინოლოგია ძველ ქართულ მწერლობაში“ (ხელმძღვანელი მ. მამაცაშვილი). ბარათებზე ამონერილი მასალა ყუთებშია ჩალაგებული.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ სიტყვანსა და განმარტებებში შეტანილი თურქული წარმომავლობის ლექსემების ქართულში დამკვიდრების გზებისა და დროის განსაზღვრას, სემანტიკური და ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილებების დადგენას ეძღვნება ც. აბულაძის სტატიები (V; 1, 2). ხოლო მონოგრაფიაში „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები“ შესწავლილია ლექსიკონის თარგმნითი ნაწილი. გამოვლენილია მნიშვნელოვანი მასალა, როგორც თურქული და აზერბაიჯანული ენების ისტორიული დიალექტოლოგიის, ასევე თურქულ-ქართული ენობრივი კონტაქტების შესასწავლად. თურქულენოვანი მასალის ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სემანტიკური თავისებურებანი გამოვლენილია რეტროსპექტულად, თანამედროვე აზერბაიჯანულ და ანატოლიურ თურქულთან მიმართებით (V; 1, 3). ამავე თემატიკის არეალში შემოდის ქართული ანბანის ნიშნებით ტრანსლიტირებული თურქული, აზერბაიჯანული და ოსმალური ტექსტები. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ქართულ-თურქული სასწავლო წიგნები, თარგმნითი და დარგობრივი ლექსიკონები, აღმოსავლეთის კლასიკოსი პოეტებისა და აშუღების ლექსები, ნაწყვეტები „ქოროღლისა“ თუ „ასლიმ და ქერიმის“ პოეტური ვერსიე-

ბიდან და სხვ. (V, 5). მასალა გამოვლენილია და ბარათებზეა გატანილი. ამ სახელდახელოდ შედგენილი კარტოთეკით სარგებლობენ ქართველი და უცხოელი სპეციალისტები. მაგრამ მასალის ლინგვისტური ღირებულება და კულტურათა დიალოგისადმი დღევანდელი დამოკიდებულება გვიკარნახებს ტრანსლიტირებული ტექსტების სრულ გამოვლენას – ლიტერატურის მუზეუმში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და ქუთაისის, ბათუმის, ახალციხის თუ გორისა და ზუგდიდის მუზეუმებში დაცული წყაროების ჩართვით ერთიანი კატალოგის შედგენას.

„ცენტრის“ ორიენტალისტები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას საგრანტო პროექტების დამუშავებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგრანტო პროექტით: 1999-2001 წლები – „საზღვარგარეთის (პალესტინა-ბიზანტია) ქართული სამნიგნობრო კერები“, ხელმძღვანელი ელ. მეტრეველი, მონაწილენი: ც. აბულაძე, რ. გვარამია, მ. ილურიძე.

2000-2001 წლები – აკად. სერგი ჯიქიას არქივის დამუშავება – ც. აბულაძე;

2000-2001 წლები – XIX საუკუნის I ნახევრის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი საარქივო ფონდებიდან პერსონალიის ამონერა, იდენტიფიკაცია და საძიებლის შედგენა – ნ. ყანჩაველი, ხელმძღვანელი მ. ქავთარია.

2002-2003 წლები – XIX საუკუნის II ნახევრის მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი საარქივო ფონდებიდან პერსონალის ამონერა, იდენტიფიკაცია და საძიებლის შედგენა – ნ. ყანჩაველი, ხელმძღვანელი ლ. კიკნაძე.

2003-2004 წლები – „ქართული და ოსმალური სამღივრო წიგნების შედარებითი შესწავლა“ – მ. ილურიძე, ნ. ყანჩაველი (ხელმძღვანელი ც. აბულაძე).

ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი – V-XVIII საუკუნეების ქართველი ისტორიული მოღვაწეები (ვებგვერდი) – თ. აბულაძე, ც. აბულაძე, ხელმძღვანელი მ. სურგულაძე.

2007-2008 წლები – „ქართული ნათარგმნი ჰომილეტიკა“, მ. მაისურაძე, ლ. სამყურაშვილი, ხელმძღვანელი ე. გაბიძაშვილი.

ორიენტალისტთა პირველი თაობა სათუთად ინახავს მასწავლებლებისა და მეცნიერ-ხელმძღვანელების ხსოვნას; თანამედროვეთ უამბობენ მასწავლებელთა პიროვნული ხიბლის, მეცნიერული კვლევის პროცესებისა და შედეგების, მათი საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ. რ. გვარამიამ, ც. ქურციკიძის თანავტორობით, რამდენიმე სტატია მიუძღვნა აკად. ელ. მეტრეველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (VI; 12-14), რედაქტორობა გაუწია ელ. მეტრეველის შრომების გ. შურდიას მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიას. მ. მამაცაშვილი მონაწილეობდა ელ. მეტრეველის პირადი არქივის გარჩევასა და კატალოგის შედგენაში (VIII; 18). ნ. ყანჩაველმა გამოავლინა გიორგი წერეთლის როლი დალესტნური არაბულენოვანი ძეგლების შესწავლის საქმეში (VI; 20). ც. აბულაძემ არაერთი სტატია მიუძღვნა აკად. ს. ჯიქიას მეცნიერულ, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას (VI; 2, 3, 6, 7, 9), დიდებული მოქალაქისა და შესანიშნავი ისტორიკოსის ქ. შარაშიძის ნათელ ხსოვნას (VI; 4, 5).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აღმოსავლეთმცოდნეებს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ და აქვთ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ორიენტალისტურ ცენტრებთან, ევროპისა და აზიის ქვეყნების სპეციალისტებთან. აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ საერთაშორისო სიმპოზიუმების, კონფერენციებისა თუ კონგრესების მუშაობაში – თბილისი, ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, მოსკოვი, პეტერბურგი, ბაქო, ერევანი, აშხაბადი, ტაშკენტი, ანკარა, სტამბოლი, კონია, ბუდაპეშტი, მაინცი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორიენტალისტთა სტატიები იბეჭდებოდა „ცენტრისა“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ გამოცემებში, უცხოურ ჟურნალებსა და თემატურ კრებულებში – პარიზში (III; 34), რომსა და ლუვენში (III; 7, 35, 39; VIII; 8), სტამბოლში, ანკარასა და ჰარვარდში (I; 10, 12; II; 13, 17), ბუდაპეშტში, მოსკოვში, ბაქოსა და ტაშკენტში (I; 6, 7, 9, 14; II; 16, 22, 29, 35; VI; 13).

ჩვენი ორიენტალისტების პუბლიკაციები არაერთხელ მოხვედრილა სპეციალისტთა ფართო წრეების ყურადღების ცენტრში.³

ერთი სიტყვით, აწინდელ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული აღმოსავლური მასალა მთლიანად გამოვლენილია. კვლევა-ძიება წარმართულია სათანადო სამეცნიერო სტანდარტებით და იმ მიმართულებებით, რომელთა საფუძველი აქ დაცული ძეგლები და უცხოეთიდან მოზიდული მასალაა. ჩვენს ცენტრში მომუშავე ორიენტალისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის მაგალითიც კი ადასტურებს კარგა ხნის წინ ცნობილ ფაქტს – აღმოსავლეთმცოდნეობა კომპლექსური მეცნიერებაა.

ამასთან, მათი ინტერესები არ შემოფარგლულა მუსლიმური აღმოსავლეთის წერილობითი ძეგლებით, ქართულ-აღმოსავლური კულტურული და ისტორიული კონტაქტების გამოვლენითა და შესწავლით. თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა თ. აბულაძის სტატიები (VIII; 1, 2, 4-7), სრულიად ბუნებრივია, რომ სინური კოლექციის ქართული ხელნაწერების აღმწერთა შორის არის რ. გვა-

³ Michel van Esbroeck, R. Guaramia, Amoniosis Sina Raitis cmida mamata mosrvis arabul-kartuli versiebi, IX-X, XIII da XVII s.s. helnacerebis mihedvit, edition "mecniereba", Tbilisi, 1973, Bedi Kartlisa, Revue de Kartvélogiue, XXXII, 1974, 299-302; Zdenka Vesela, Gürcüzade, Eithmame-i Tiflis Metni bir Giriş Gürcüceie çevirive Notlarla Yayınlayan Tsisana Abuladze, Tbilisi, 1975, Archiv Orientalni, 2, 45, Praha, 1977; Michail Guboglu, Ts.A. Abuladze – M.H. Svanidze, Defteri Caba-i eyaleti Cildir, REvista de Istorie, Bukurești, 1981, vol. 34, No12; S. Kitagawa, Shi No13. Hokkaido University, 1981; Zdenka Vesela et Velka Kopčan, Defteri Caba-i Gildir 1694-1732 y.y., Archiv Orientalni, 49, Praha, 1981; N. Beldiceani, Turcica, Tome XIII, 1981, Paris-Strasbourg; Zdenka Vesela, Trisana Abuladze, Thurkuli cvaroebi XVI s. Samcche-Saathabagos istoriisathvis, Tbilisi, 1983, Archiv Orientalni, 53, Praha, 1985. N. Kaçarava, Türkçe yazmalar Katalogu Üzerine, Türk Dili, Dil ve Edibiyat Dergisi, №671, Ankara, 2007; Pasa Yavuzarslan, Prof. Dr. Ts. Abuladze ve Dr. M. Iluridze, Türkçe Yazmalar Kataloğu, Tbilisi 2004, 306 s. Türk Dili, №653, Ankara, 2006.

რამია (VIII; 11, 12). მანვე შეადგინა ბიბლიოგრაფია ანტიისლამური პოლემიკის, ან როგორც უწოდებენ, ისლამო-ქრისტიანული დიალოგის შემცველი ქართული ორიგინალური და თარგმნილი ძეგლებისა (VIII; 10). ნ. ყანჩაველი არასოდეს ყოფილა გულგრილი არქივების მიმართ. მან დაამუშავა ქეთევან მაღალაშვილის პირადი საარქივო ფონდი, შეადგინა კატალოგი საძიებლებითურთ და გამოსცა სტატიები როგორც ქეთევან მაღალაშვილის, ისე დიმიტრი შვეარდნაძის შესახებ (VI; 16-19; VIII; 24, 26), ანა ბაქრაძესთან ერთად გამოსცა ცნობილი ბიზანტიისტიკისა და პაპიროლოგის გრიგოლ წერეთლის ეპისტოლარული მემკვიდრეობა (VI; 15, 20; VIII; 22-23). წერილების პუბლიკაციას უძღვის შესავალი, ერთვის კომენტარები და საძიებლები. მანვე XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან გამოაქვეყნა საარქივო მასალა წერეთლების საოჯახო დავის შესახებ (VIII; 24). ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ეპოქალური მნიშვნელობის წერილები, ვრცელი შესავლითა და კომენტარებით გამოაქვეყნა მ. მამაცაშვილმა ან გარდაცვლილ რ. კავილაძესთან ერთად. ნაშრომი სამაგიდო წიგნად იქცა XIX-XX საუკუნეების დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნებისა და ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის (VIII; 18). მანვე მონაწილეობა მიიღო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონის შედგენაში (VIII; 20). მ. ილურიძემ ენათმეცნიერ მ. ნიკოლაიშვილის თანაავტორობით თურქებისათვის შეადგინა ქართული ენის დაჩქარებული მეთოდით შესწავლის სახელმძღვანელო (VIII; 14), 1992 წელს გამოსცა მოკლე თურქულ-ქართული და ქართულ-თურქული სასაუბრო (VIII; 13).

თითოეულ თანამშრომელს თაროზე აქვს შემოდებული დასაბეჭდად თითქმის გამზადებული ან მაგიდაზე გაშლილი, მუშაობის პროცესში მიტოვებული, შრომები, თ. აბულაძეს სტატიები – ისლამური შუა საუკუნეები და ქართული მეცნიერული აზროვნება; სპარსული სამეცნიერო თხზულებები და ქართული ხელნაწერი კრებულები. ც. აბულაძეს ელოდება წმ. მინის ქართული სამონასტრო თემის ისტორიის ოსმალური დოკუმენტების ტექსტის დადგენა, თარგმნა და გამოსაცემად მომზადება; ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნის“ თარგმანის დასრულება. რ. გვარამიას „ოცი საბანძიდური ბერის მარტვილობის“ ქართული ვერსიის გამოქვეყნება, მ. მამაცაშვილს – „ვისრამიანის“ ბეითურ სისტემაზე აგებული ტექსტით სპარსული ორიგინალის აღდგენა, ლ. სამყურაშვილს – ხვარაზმშას „საუნჯის“ ქართული ვერსიის გამოცემა, მ. ილურიძეს – „განჯის ალების“ პუბლიკაცია და ა. შ.

ღმერთმა ქნას, რომ თითოეულმა თავად შეძლოს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

გამოქვეყნებული შრომების სია

I აღმოსავლური ხელნაწერებისა და საბუთების კატალოგიზაცია

1. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ, თურქულ და სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (K კოლექცია), შეადგინეს **ც. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა გიორგი წერეთლის წინასიტყვაობით**, თბ., 1969.
2. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი (AC კოლექცია), შეადგინა **მ. მამაცაშვილმა**, თბ., 1977.
3. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი (L კოლექციის I ნაკვეთი), შეადგინეს **რ. გვარამიამ, ლ. მამულიამ, ნ. ყანჩაველმა**, თბ., 1978.
4. Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе (Коллекция L – выпуск II). Составители **Р.В. Гварамия, Н.Г. Канчавели, Л.И. Мамулия, Л.В. Самкурашвили**, თბ., 2002.
5. თურქულენოვან ხელნაწერთა კატალოგი, შემდგენლები **ც. აბულაძე, მ. ილურიძე**, თბ., 2004.
6. **Абуладзе Ц. А.**, Принципы каталогизации восточных рукописных книг в Институте рукописей АН Гр. ССР. «В сокровищнице рукописей», т.VI, Баку, 1978.
7. **Абуладзе Ц. А.**, Описание и изучение восточных письменных памятников в Институте рукописей АН Гр. ССР, Археографический Ежегодник 1981, М., 1982.
8. **Абуладзе Ц. А.**, Тюркские письменные памятники в древлехранилищах Грузии, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. V, თბ., 1983.
9. **Абуладзе Ц.А.**, Османские грамоты в древлехранилищах Грузии. Тюркологический сборник 1978, М., 1984.
10. **Abuladze Ts.**, Gürcistan eski kitaplıklarında bulunan Türk dilleri ile Yazılı Eserler, Türk dili, Ankara, 2001, Mart.
11. **Абуладзе Ц. А.**, Выявление и изучение османских документов в Грузии и некоторые вопросы османской дипломатики. Восточные историческое источниковедение и специальные исторические дисциплины, Вып. I, М., 1989.
12. **აბულაძე ც.**, თურქულენოვანი ხელნაწერები და ოსმალური საბუთები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, Pirosmani, სტამბოლი, 2008, №4.
13. **აბულაძე ც.**, აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თურქულენოვანი წერილობითი ძეგლები, „მნიგობარი“, 08, თბ., 2008.
14. **გვარამია რ., ყანჩაველი ნ.**, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბული ხელნაწერები და მათი შესწავლა, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N18, თბ., 2000.
15. **Gvaramia R. V., Kanchaveli N. G.**, Kekelidze Institute of Manuscripts Georgian Academy of Sciences Arabic Manuscripts and their Study. ორიენტალისტი, II, თბ., 2003-2004.
16. **გვარამია რ.**, აღმოსავლურ ხელნაწერთა ფონდი (არაბული, ებრაული, სირიული და ეთიოპური ხელნაწერები, „მნიგობარი“, თბ., 2006.
17. **Мамацашвили М. Г.**, Обзор персидских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе, Актуальные проблемы иранской филологии, Тб., 1978.

18. *Самқураишвили Л. В.*, Об одной тбилисской рукописи Ибн Сина, «Известия» ЛН Таджикской ССР, №3, Душанбе, 1980.
19. *ყანჩაველი ნ.*, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულენოვანი დოკუმენტები (მოკლე მიმოხილვა), სემიტოლოგიური ძიებანი, VI, თბ., 2003.

II საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (აღმოსავლური წყაროთმცოდნეობა)

აბულაძე ც.

1. არზრუმის ეიალეთის 1592 წლის კანუნ-ნამე, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. III, თბ., 1961.
2. აჰმედი არღუნ ყაენის საქართველოში ლაშქრობის თაობაზე, კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1961.
3. ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფე სოლომონ II-ის შესახებ, თსუ-ს შრომები, ტ. 121, თბ., 1967.
4. ორი თურქული ფირმანი, მრავალთავი, ტ. I, თბ., 1971.
5. ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან, მრავალთავი, I, თბ., 1971.
6. ოსმალბობის ხანის სამი თურქული ფირმანი, აღმოსავლური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973.
7. XVIII საუკუნის ორი თურქული ფირმანი, მრავალთავი III, თბ., 1973.
8. გურჯი-ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა **ცისანა აბულაძემ**, თბ., 1975.
9. ორი ფირმანი ერასტი მდივანბეგს, მრავალთავი, IV, თბ., 1975.
10. სამხრეთ საქართველოს ისტორიის ახალი თურქული წყარო, მაცნე, ისტორიის სერია, 1977, №4. თანაავტორი მ. სვანიძე.
11. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით, თბ., 1979. თანაავტორი მ. სვანიძე.
12. სიმონ I არზა სულთან მურად III, მრავალთავი, VII, თბ., 1980.
13. Defter-i Caba Eyaleti Çildiria dair ilk Bilgiler, Türk Tarih Kurumu, VIII. Ankara 1981. თანაავტორი მ. სვანიძე.
14. ტოპონიმი ტაო სპარსულ და ოსმალურ წყაროებში, ახლო აღმოსავლური კრებული, თბ., 1983.
15. თურქული წყაროები XVI საუკუნის I მეოთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსცა **ცისანა აბულაძემ**, თბ., 1983.
16. Реестры Трапезундского, Чилдирского и Карсского зялетов 1694-1732 гг. Тюркологический сборник 1978, М., 1984. თანაავტორი მ. სვანიძე.
17. Eine osmanische Quelle des Jahres 1724 über die Eroberung Khartli durch die Turken, jour of Turkish Studies, 7. Harvard, 1984.

18. Османские «Книги» о вторжении Турции в страны восточного Закавказья в 1723-1724 гг. Источниковедческие розыскания, 1982. თბ., 1985.
19. სულეიმან კანუნის ჰუკუმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკელთათვის გადაცემის თაობაზე, მაცნე, ისტორიის სერია, №2, თბ., 1986.
20. ოსმალური სიგელები იერუსალიმისა და სინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, №1, თბ., 1987.
21. ნამის „საქართველოს დაპყრობის წიგნი“, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VII, თბ., 1987. თანაავტორი ნ. შენგელია.
22. Османские документы XVI в. по истории Грузии из архивов Стамбула и Иерусалима, Советское Востоковедение, Проблемы и Перспективы, М., 1988.
23. მეჰმედ IV სიგელი იოანე ბერის მანყვერლად დანიშვნის თაობაზე, თსუ-ს შრომები, ტ. 290, თბ., 1989.
24. სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI საუკუნის 80-იანი წლები), მრავალთავი, XV, თბ., 1989.
25. Османские документальные и нарративные источники XV-VIII вв. по истории Грузии, თბ., 1989.
26. საქართველოსა და მისი პოლიტიკური წარმონაქმნების სახელწოდებანი ოსმალურ წერილობით წყაროებში, კრებული – საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1992.
27. ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. VIII, თბ., 1993.
28. XV–XVIII Yüzyllar arası Türk-Gürcistan ilişkileri hakkındaki Osmanlı Belgeleri, Osmanlı, I c. (ოსმალეთის ისტორიის 12-ტომეული), Ankara, 1999.
29. Нами и его «Книга завоевания Грузии» XVII в. Восточное историческое источниковедение и спец. исторические дисциплины, вып. IV, Москва 1995. თანაავტორი ნ. შენგელია.
30. წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი, მრავალთავი, XIX, თბ., 2002.
31. სელიმ იავუზის სიგელი სინის მთისადმი, „ანამკი“ – ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002.
32. წმინდა მინის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (ოსმალური საბუთების მიხედვით) აკადემია; ტ. 5 (A), თბ., 2003.
33. წმინდა მინის ქართული სამონასტრო თემის ისტორიის ოსმალური დოკუმენტების წყაროთმცოდნეობითი ღირებულება, აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული, ქუთ., 2003.
34. სულთან მურად III ბიუსტი ასპინძიდან, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, თბ., 2005.
35. Османские документы по истории грузинской монастырской общины на Святой Земле, Turcica et Otomanica. Сборник статей в честь 70-летия М.С. Мейера, М., 2006.

ილურიძე მ.

36. აბუ-ბექრ ბინ აბდულაჰი და მისი თხზულება „ოსმან ფაშას გამარჯვებათა წიგნი“, გულანი – ახალგაზრდა მეცნიერ თანაშრომელთა შრომების კრებული, თბ., 1989.
37. აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის, მაცნე – ისტორიის სერია, №2, თბ., 1989.
38. აბუ-ბექრ ბინ აბდულაჰის ცნობები საქართველოს შესახებ, მრავალთავი, XVII, თბ., 1992.
39. იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუშის ცნობები საქართველოს შესახებ, მაცნე – ისტორიის სერია, №1, თბ., 1993.
40. მ. სვანიძე, ქართველები თურქეთში, ისმეთზადე დოქტორ მეჰმედ არიფი „ქართული სოფლები“ (თურქეთში), თბ., 1996.
41. იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუში XVI საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს შესახებ, მრავალთავი, XVIII, თბ., 1999.
42. მურად III დროინდელი ოთხი ოსმალური დოკუმენტი საქართველოს შესახებ, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. III, თბ., 2002.
43. ორი ოსმალური დოკუმენტი XVIII საუკუნის 80-იანი წლების საქართველოს შესახებ, მრავალთავი, XX, თბ., 2003.
44. სოლომონ პირველის დროინდელი დასავლეთ საქართველო, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ. IV, თბ., 2005.
45. XVIII საუკუნის 70-იანი წლების ამიერკავკასია ორი ოსმალური დოკუმენტის მიხედვით, მრავალთავი, XXI, თბ., 2005.
46. სოლომონ მეფის დადიანთან და როსტომ რაჭის ერისთავთან ურთიერთობის ისტორიიდან, მრავალთავი, XXI, თბ., 2005.
47. აბუ-ბექრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა მ. ილურიძემ, თბ., 2006.

მამაცაშვილი მ.

48. მაჯდ-ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მია მამაცაშვილმა, თბ., 1971.

ყანჩაველი ნ.

49. ალალარ-ხანის რამდენიმე წერილი მ. ზ. არლუთინსკი-დოლგორუკისადმი (ტექსტი, თარგმანი, კომენტარები), მრავალთავი, I, თბ., 1971.
50. „დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაცემა ოსმალთა ნაქეზებით 1294 წელს“ (არაბული ტექსტი, თარგმანი, კომენტარები), მრავალთავი, IV, თბ., 1975.
51. ერეკლე II-ის წერილი დენგალ-ჰაჯი ტინდიელისადმი, მრავალთავი, V, თბ., 1975.
52. ერეკლე II-ის წერილი ქუა ქალაქიელისადმი, მრავალთავი, VI, თბ., 1978.
53. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (ერეკლე მეორის ორი არაბული წერილი), მაცნე, ისტორიის სერია, №2, თბ., 1978.
54. ერეკლე მეორის ორი წერილი ნურსალ-ბეგთან, მაცნე, ისტორიის სერია, №4, თბ., 1979.

55. დაღესტნური წარმოშობის სამი არაბული დოკუმენტი, მრავალთავი, VIII, თბ., 1980.
 56. თეიმურაზ II-ის წერილი ნურსალ-ბეგისადმი, მრავალთავი, X, თბ., 1983.
 57. აბდ არ-რაჰმან ლაზილუმუქელის თხზულების „დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაცემის...“ ახალი რედაქცია, მრავალთავი, XI, თბ., 1985.
 58. დაღესტნის შესახებ მასალები ე. ვეიდენბაუმის არქივიდან, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1-4, თბ., 2000.
 59. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (ერეკლე II-ის რამდენიმე წერილი დაღესტნური ჯამაათები-სადმი), მრავალთავი, XIX, თბ., 2001.
- ხუციშვილი ნ.**
60. სამი სპარსული წარწერა დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრიდან, „გულანი“, თბ., 1989.
 61. საბუთი ვახტანგ VI-ისათვის ირანის სპასალარისა და აზერბაიჯანის ბეგლარბეგის ნოდების მინიჭების შესახებ, მრავალთავი XVI, თბ., 1991.
 62. აღმოსავლური გრაფიკები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექტიდან, სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი, თბ., 2001.
 63. ათონის ქართველთა მონასტრისა და სამცხე-საათაბაგოს ურთიერთობის ისტორიიდან: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული, I, გორი, 2001.
 64. დაღესტანი, თბ., 2002.
 65. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მინათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006.

III ქართულ-არაბულ, სირიულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა შესახებ

- გვარამია რ.**
1. ქართული „სამოთხის“ და არაბული „ალ-ბუსთანის“ ერთი სინური ნუსხის მიმართებისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962.
 2. ალ-ბუსთანი X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით არაბული ტექსტი, ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და ქრისტიანული ტერმინების მცირე ლექსიკონით გამოსცა **რუსუდან გვარამიამ**, თბ., 1968.
 3. ამონიოსის „სინა-რაითის მამათას მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები (IX-XI, XIII და XVII სს-ის ხელნაწერების მიხედვით). თბ., 1973.
 4. „პანტელეიმონის წამების“ ქართული ვერსიები და მათი წყაროები, მრავალთავი, VII, თბ., 1980.
 5. ქართული სინური ხელნაწერების არაბული მინაწერები, მრავალთავი, IX, თბ., 1981.

6. ბასილი კაბადოკიელის მეორე ეპისტოლის არაბული ვერსია და მისი მიმართება ადრეულ ქართულ რედაქციასთან, მრავალთავი, X, თბ., 1983.
7. Jean Chrysostome, Le Muséon, t. 99, fasc 3-4, Leonvain la Neuwe, 1986.
8. „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი 968 წლის ხელნაწერის მიხედვით, კრიტიკული ტექსტი ლექსიკონითა და გამოკვლევით, თბ., 1986.
9. ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობანი VIII-X საუკუნეებში, თბ., 1990 (რუსულ ენაზე).
10. საბას ლავრის როლი ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997.
11. „სვიმეონ სალოსის ცხოვრების“ არაბულ-ქართული ვერსიები, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1-4, თბ., 1997.
12. ისევ „ანტონ რევახის ავტობიოგრაფიის“ შესახებ, მრავალთავი, XX, თბ., 2003. თანაავტორი მ. დვალი.
13. ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან, მრავალთავი, XX, თბ., 2003.
14. ზოგი რამ ქრისტიანული არაბულიდან ქართულად თარგმნილი ძეგლების შესახებ, „რელიგია“, №4-5-6, თბ., 2000.
15. ზოგიერთი ცნობა რამდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულების ქართულ-არაბული ვერსიების შესახებ, „მრავალთავი“, XXII, თბ., 2007.
16. ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან („დროსის წამების ქართული ვერსია“), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბ., 1977.
17. აგიოგრაფიული თხზულების „დროსის წამების“ წარმოშობის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 97, №2, თბ., 1980.
18. ათონის მრავალთავის ერთი საკითხავის წყარო, მაცნე №4, თბ., 1986. მ. მამულაშვილი, ა. ღამბაშიძე – თანაავტორები.
19. იოვანე ოქროპირის ერთი საკითხავი ქართული მრავალთავების მიხედვით და მისი წყაროები, ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალგაზრდული კრებული, თბ., 1989. მ. მამულაშვილი, მ. ჩხენკელი – თანაავტორები.
20. ათონის მრავალთავი. იოანე ბოლნელის ქადაგებანი, თბ., 1999. მ. მამულაშვილი, ა. ღამბაშიძე, მ. ჩხენკელი – თანაავტორები.
21. ქართულ ჰომილეტიკურ კრებულთა ტიპოლოგიისათვის, მრავალთავი, XX, თბ., 2005.
22. მცირე ცნობები ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილეტიკური მწერლობის შესახებ (IV-XIX სს.), გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 5, 2006. თანაავტორი ნ. მელიქიშვილი.

მაისურაძე მ.

მამაცაშვილი მ.

23. „ლეილ-მაჯნუნიანის“ სპარსული წყაროს შესწავლისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. 2, თბ., 1960.
24. შეიხ საად-ედ-დინ რაჰაი ხაფელის პოემის „ლეილ მაჯნუნის“ და თეიმურაზ I „ლეილ-მაჯნუნიანის“ ურთიერთობისათვის, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. 3, თბ., 1961.
25. თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნიანის“ სპარსული წყაროები, თბ., 1967.
26. „ვისრამიანის“ ერთი თავისებური ხელნაწერის გამო, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, 39, №2, თბ., 1965.
27. „ვისრამიანის“ ქართულ-სპარსული ტექსტის საკითხები, კრებული „შოთა რუსთაველი“, თბ., 1966.
28. „ვისრამიანის“ ქართულ ხელნაწერთა მიმართებისათვის, მრავალთავი, I, თბ., 1971.
29. გალობა შვიდთა მნათობთადმი ნიზამის „ლეილი და მაჯნუნიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1972.
30. „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის მხატვრული სპეციფიკის შესწავლისათვის, მრავალთავი, III, თბ., 1973.
31. „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების ახალი ხელნაწერი, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, თბ., 1974.
32. „ვის ო რამინ“ – პართული რომანი, მრავალთავი, IV, თბ., 1975.
33. გორგანის „ვის ო რამინ“ და ქართული „ვისრამიანი“, თბ., 1977.
34. Vis et Ramin de Gurgani un roman Parthe Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, XXXV, Paris, 1977.
35. On the centenary of the first edition of Visramiani, Georgica I, Roma. თანაავტორი ჯ. გიუნაშვილი.
36. „ამირანდარეჯანიანის“ უანრის საკითხისათვის, მრავალთავი, XVIII, თბ., 1999.
37. „ამირანდარეჯანიანის“ წარმომავლობის საკითხისათვის, მრავალთავი, XIX, თბ., 2001.

IV არაბულ-სპარსული საბუნებისმეტყველო და სამედიცინო თხზულებების ქართული თარგმანები

აბულაძე თ.

1. ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესწავლისათვის, ასტრონომიულ-ასტროლოგიური ტერმინოლოგია სამეცნიერო თარგმანებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1985.
2. ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობის პერიოდიზაცია, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1986.
3. ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან (ზოგიერთი სამეცნიერო თარგმანის შესახებ), „გულანი“, თბ., 1989.
4. ვახტანგ VI-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობა, თბ., 1990.

5. ზოგიერთი ქართული სამეცნიერო ტერმინის ისტორიისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N16, თბ., 1991.
6. ქართულ-აღმოსავლური ტექნიკურ სამეცნიერო ტერმინოლოგიის შესწავლისათვის (ვახტანგ VI-ის „ქიმის“ მიხედვით), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N19, თბ., 2001.
7. „იადიგარ დაუდის“ სპარსული წყაროს შესახებ, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N21, თბ., 2005.
8. **სამყურაშვილი ლ.** ისმაილ ჯურჯანელის „ხუარაზმშაჰის საუნჯე“ ქართული სამედიცინო ლიტერატურაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1-4, თბ., 1999.
9. „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართული ვერსიის დათარიღებისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N19, თბ., 2001.
10. არაბულ-ქართული სამედიცინო ძეგლების ურთიერთობისათვის, თსუ-ს შრომები №341, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 2002.
11. შუაზიური კოლექციის არაბული სამედიცინო ხელნაწერები, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N22, თბ., 2007.

V ლინგვისტიკა, ენობრივი კონტაქტები

1. **აბულაძე ც.** ს.-ს. ორბელიანის „ქართული ლექსიკონის“ თურქული შესატყვისების შესახებ, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბ., 1960.
2. თურქული ლექსიკური მასალა ს.-ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. IV, თბ., 1962.
3. ს.-ს. ორბელიანის „ლექსიკონი ქართულის“ სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., 1968.
4. По поводу одной статьи В.Л. Гукасяна, მაცნე, 1982, №3, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1982. ნ. ლომოურისა და ვ. ჯანგიძის თანაავტორობით.
5. ქართული ანბანით ტრანსლიტირებული თურქული ტექსტები, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N21, თბ., 2005.
6. **გვარამია რ.** „სიმყვრტე“ სიტყვის განმარტებისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N9, თბ., 1981.
7. **მაისურაძე მ.** ტერმინ „ეზოს მოძღვრის“ მნიშვნელობისათვის „წმინდა დროსის ნამების“ მიხედვით, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N7, თბ., 1980.

- მამაცაშვილი მ.**
8. იოანე პეტრინის „განმარტება“-ს ერთი ადგილის გაგებისათვის, მაცნე, №1, თბ., 1972.
 9. „ვისრამიანის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გასწორებისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N9, თბ., 1981.
 10. გრ. ხანძელის ცხოვრების ტექსტის რამდენიმე ტერმინის დადგენისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N10, თბ., 1982.
 11. „ვისრამიანის“ ლექსიკიდან, თსუ-ს შრომები, 241, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1983.
 12. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გასწორებისათვის, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
- სამყურაშვილი ლ.**
13. არაბიზმები „ნიგნი სააქიმო“-ში, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N11, თბ., 1985.
 14. არაბიზმები შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ნიგნებში, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N18, თბ., 1999.
 15. არაბიზმები „ხუარაზმშაჰის საუნჯის“ ქართულ ვერსიაში, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
- ყანჩაველი ნ.**
16. დალესტნური ენების შესწავლის ისტორიიდან (ლ. ზაგურსკის ნერილები ე. ვეიდენბაუმისადმი), კრებული „ანამკი“, 2002.
- ხუციშვილი ნ.**
17. ეტლთა და შმდთა მნათობთას რამდენიმე ასტროლოგიური ტერმინის შესახებ, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N17, თბ., 1992.

VI პერსონალია

- აბულაძე თ.**
1. ნიკო ხუციშვილი, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N22, თბ., 2007.
- აბულაძე ც.**
2. დიდი ორიენტალისტი, თსუ-ს შრომები, 206, თბ., 1979.
 3. აკადემიკოსი სერგი ჯიქია – სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1984.
 4. წარსულის ქომაგი – ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძე, თბ., 1987.
 5. სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან (XVI ს-ის 80-იანი წლები), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N15, თბ., 1989.
 6. აკადემიკოსი სერგი ჯიქია, ენათმეცნიერების საკითხები, №1, თბ., 1999.
 7. ქართული თურქოლოგიის ფუძემდებელი, „ახალი ხილი“, №2, თბ., 2000.
 8. აკაკი ბაქრაძე და ხელნაწერთა ინსტიტუტი, კრებული „და

- აღვამალღე რჩეული ერისაგან ჩემისა“, თბ., 2002.
- გვარამია რ.**
9. Founder of Georgian – Turkish Studies. ორიენტალისტი, II, თბ., 2003-2004.
 10. ელენე მეტრეველი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №3, თბ., 2003.
 11. მრავალმხრივ გამორჩეული მეცნიერი (ელენე მეტრეველი), გაზეთი „ჩვენი მწერლობა“, №15/145, 2003 წ. აპრილი.
 12. ელენე მეტრეველი (დაბადების 70 წლისთავის გამო), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N15, თბ., 1989. თანაავტორი ც. ქურციკიძე.
 13. ელენე მეტრეველი (დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N18, თბ., 1999. თანაავტორი ც. ქურციკიძე.
 14. Гварамия Р.В., Курцикидзе Ц.И., К юбилею Елены Павловны Метревели, Археологический ежегодник за 1993 г., М., 1995.
- ყანჩაველი ნ.**
15. გრიგოლ წერეთელი (დაბადებიდან 130 წლის გამო), მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №1-4, თბ., 2001.
 16. მხატვარი და საზოგადო მოღვაწე (დომიტრი შვევარდნაძის დაბადებიდან 100 წლის გამო), „საბჭოთა ხელოვნება“, №9, თბ., 1985.
 17. დომიტრი შვევარდნაძე, გაზეთი „ახალი ტალღა“, 17. XII, თბ., 1997. თანაავტორი ი. ლორთქიფანიძე.
 18. მეტეხი გადარჩა, ვერ გადარჩა კაცი, ჟურნალი „საქართველოს ქალი“, №11-12, თბ., 1997. თანაავტორი ი. ლორთქიფანიძე.
 19. დაუღალავი ნიჭი (ქეთევან მაღალაშვილის გახსენება), გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2005 წ. მაისი.
 20. გიორგი წერეთელი – დაღესტნური არაბულენოვანი ძეგლების მკვლევარი, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N22, თბ., 2007.

VII რეცენზიები

- აბულაძე ც.**
1. სერგი ჯიქია, გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958. Acta Ethnographica, ტ. IX, ბუდაპეშტი, 1960.
 2. ს. ჯიქია, თურქული ქრესტომათია, მნათობი, 1966, №1.
 3. Усманов М.А., Жалованные акты Джучиева Улуса XI-XVI вв., კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N11, თბ., 1985.
 4. მ. ჯიქია, თურქული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის მოდელი, ჟურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1987.
 5. ი. გოცირიძე, საკითხავი წიგნი თურქულ ენაში, ჟურნ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1988.
 6. Каталог арабских рукописей Института рукописей им. К.С. Кекелидзе (коллекция L, вып. II). Составители Р.В. Гварамия,

- Н. Г. Канчавели, Л. И. Мамулия, Л. В. Самкурашвили, Тбилиси, 2002, 586 с. კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
- გვარამია რ.** 7. თურქეთის სრული ისტორია ქართულ ენაზე, Perspective – XXI, 7. თბ., 2007.
8. B. Outtyier hes Enseignements des Peres, un resyeil georgien traduit de l'arabe, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N4, თბ., 1975.
- მამაცაშვილი მ.** 9. ტაჯიკური პოეზიის კრებული, მნათობი, №1, თბ., 1957.
10. კრებული რუდაქის შესახებ, მნათობი, №3, თბ., 1958.
11. რუდაქის ლირიკა, ცისკარი, №8, თბ., 1958.
12. სპარსული ქრესტომათია ცისკარი, №4, თბ., 1965.
13. „ვისრამიანის“ ახალი გამოცემის გამო, მაცნე – ენისა და ლიტერატურის სერია, №6, თბ., 1966.
14. რუსთაველის კოსმოგონია, ცისკარი, №6, თბ., 1979.
- სამყურაშვილი ლ.** 15. შენიშვნები ს. სალუქვაძის სტატიებზე – მოსაზრებები „ქართული სამედიცინო საუნჯის“ პირველი ტომის გამოცემის გამო, ფარმაცევტული მაცნე, №4, თბ., 2006.

VIII სხვადასხვა

- აბულაძე თ.** 1. ღვთაება ქართულ პოეზიაში, ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული, თბ., 1997.
2. ცნობები ბალკანეთის შესახებ ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში“, СИБАЛ-ის საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1999.
3. სპარსული სუფიური პოემის პროლოგი, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N19, თბ., 2001.
4. ფილანთროპია საქართველოში – წარსულის, აწმყოს, მომავლის პარადიგმები, თბ., 2002.
5. „სამყარო – ჩვენი სახლი“ (მინიმალური ცოდნის პროგრამა), თბ., 2003. თანაავტორი ნ. ლორთქიფანიძე.
6. ფილანთროპია – თეორია და პრაქტიკა, თბ., 2004. თანაავტორი მ. ცხომელიძე.
7. მინიმალური ცოდნა ბავშვებს, თბ., 2008. თანაავტორი ა. კანჯარაძე.
- აბულაძე ც.** 8. Gürcistan'daki Türkoloji Çalışmaları, Türk Dili, ტ. 87, №625-630, 2004, ანკარა.
9. რაზე მუშაობენ ქართველი თურქოლოგები, ჟურნალი „ფიროსმანი“, №7, 2008, სტამბოლი.
- გვარამია რ.** 10. Bibliographie du dialogue Islamo-chretien, auteurs georgiens des VII^e-XIV^e siecles, Islamochristana, 6, Roma, 1980.
11. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ათონური კოლექცია, ნაკვეთი I, თბ., 1986. შემდგენელთა ჯგუფი.

- ილუზიძე მ.**
12. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი I, თბ., 1988. შემდგენელთა ჯგუფი.
13. მოკლე ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული სასაუბრო, თბ., 1992.
14. Gürcüce Öğreniyorus (Hızlandırılmış kurs), I ნაწილი, თბ. 2004. თანაავტორი მ. ნიკოლაიშვილი.
- მაისურაძე მ.**
15. წმინდა მამათა მოძღვრება უფლის მიგებების (მირქმის) დღესასწაულის შესახებ, თბ., 2002. თანაავტორები მ. მამულაშვილი, მ. ჩხენკელი, ა. ღამბაშიძე.
16. ქართულად თარგმნილი უცხოური ჰომილეტიკური ლიტერატურის კატალოგი, თბ., 2006.
- მამაცაშვილი მ.**
17. სადევჷ ჰედაიეთი, „ჰაჯიალა“, თბ., 1963.
18. ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონწერა (1886-1931 წწ.). გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა, თბ., 1991.
19. აღმოსავლური ხელნაწერებისა და ქართულ-აღმოსავლურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N14, თბ., 1987.
20. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი ენრიკო გაბიძაშვილი (ხელმძღვანელი), მაია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, თბ., 2007.
21. ელენე მეტრეველის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს მაია მამაცაშვილმა და ეთერ ქავთარაძემ, თბ., 2007.
- ყანჩაველი ნ.**
22. «От правды не отступал я никогда», Литературная Грузия, №7, თბ., 1988.
23. Из эпистолярного наследия Григория Филимоновича Церетели. Публикацию писем с предисловием, комментариями и указателей имен подготовили к печати А.К. Бакрадзе и Н.Г. Канчавели, თბ., 2000.
24. XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
25. რაფიელ ერისთავის წერილი ადოლფ ბერჷესადმი, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N21, თბ., 2005.
26. ორი დიდი ხელოვანი და მეგობარი (დიმიტრი შევარდნაძის წერილები ქეთევან მაღალაშვილისადმი), გაზეთი „კავკასიონი“, თბ., 1995 წ. აპრილი.
27. ხელნაწერთა ინსტიტუტის ახალი შენაძენი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბ., 1984 წ. აგვისტო.

Tsisana Abuladze

MAIN DIRECTIONS OF ORIENTALISTS' STUDIES IN THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

SUMMARY

Up to 1500 Arabic, 773 Persian, 300 Turkish (containing 350 compositions), 38 Hebrew, 4 Syrian, one Ethiopian and one Mongolian manuscript books are stored in the oriental collection of the National Centre of Manuscripts. There are as well 510 Persian, 319 Arabic and 300 Ottoman documents. In order to find the materials and bring them to the scientific circulation, Ts. Abuladze, R. Gvaramia, M. Mamatsashvili, L. Mamulia and N. Kanchaveli began to work in this direction since the foundation of the Institute. Later on, after 80-ies, T. Abuladze, M. Maisuradze, L. Samkurashvili and M. Iluridze also joined this team.

The first generation of researchers started manuscript description and catalogue compiling with the respective methods that were especially elaborated for oriental manuscripts. As a result, the following catalogues were published: Catalogue of Arabic, Turkish and Persian manuscripts of K collection (1969), Persian Manuscripts of Central Asia (1977), Arabic Manuscripts of Local collection, part 1 (1978) and part 2 – Dagestan Sub-Collection (2002). In 2004 the unified catalog of Turkish manuscripts of all three collections was published. The catalogues of Arabic manuscripts from Central Asia and Persian manuscripts of local collection are ready for publishing.

The catalogues of historical documents are also compiled. The readers can look through them in the reading hall on the National Centre of Manuscripts.

The oriental sources of Georgian history, documentary and narrative monuments, showing social and political relationship of Georgia with Caucasus and Middle East, are available in the scientific circulation. This material is completely revealed locally and found in old manuscript repositories of Europe and Asia. Original texts, on the basis of manuscripts, equipped with Georgian translation and comments are published; source studies value of this material is defined. Documentary sources are accompanied with facsimile as well.

The study of samples of ecclesiastic and secular literature translated from Arabic-Syrian and Persian into Georgian is an important scientific direction. It includes the source definition, identification of original text with translation, study of the artistic value of translation and importance of Georgian version in reconstruction and study of the original text, role of the places – scriptoriums or cultural centres where the translations were made – in cultural and historical life of Georgia; publication of original alongside with the Georgian translation.

The interest of Georgians towards the medical and natural studies of the oriental countries were clearly testified with the translated texts in 13th-18th centuries. The works in Astronomy, Astrology, Mathematics and Chemistry were translated from Persian, the medical books and karabadin-s from Arabic.

Linguistic contacts between Georgia and oriental countries were taken into consideration as a separated field of studies, particularly, revealing and identification of Persian lexical units in common monuments of literature, Arabic lexical units in medical books, adoption of the Turkish words and Arabic and Persian words via Turkish in the Georgian literature and colloquial language.

The orientologists of the National Centre of Manuscripts, alongside with their main scientific topics, try to introduce the contemporaries with the scientific activities of their teachers – E. Metreveli, Q. Sharashidze, I. Abuladze, S. Jikia, G. Tsereteli – personal charm, the facts from their scientific, social and pedagogical activity. They work over the personal archives of the famous scientists and public figures, preserved at the National Centre of Manuscripts.

ი ა ნ ა ნ ი ა

ლუარსაბ ნიკოლოზის ქ ა ანდრონიკაშვილი – ადვოკატი და საზოგადო მოღვაწე

ლუარსაბ ნიკოლოზის ქ ანდრონიკაშვილი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში (1872-1939 წწ.). დაიბადა სოფელ ოჟიოში (ახმეტის რაიონი, მაშინდელი თელავის მაზრა). უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში. სწავლობდა ფილოსოფიას ჰაიდელბერგისა და სტრასბურგის უნივერსიტეტებში. იყო „პოლიტიკურ დამცველთა“ ჯგუფის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი.

მის მიერ ჩატარებულია არაერთი გახმაურებული პროცესი, რომელიც იურისპრუდენციის ისტორიაშია შესული. ამათგან დავასახელებთ ზოგიერთს:

1. ბათუმის დემონსტრაციის საქმე (1903 წ.);
2. შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა აჯანყების საქმე (1906 წ.)
ლეიტენანტ შმიდტის ხელმძღვანელობით ცატარებული აჯანყება;
3. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესი (1906 წ.);
4. გენერალ ლაუნიცის საქმე. იგი მოკლეს პეტერბურგში რევოლუციონერ-ტერორისტებმა (1907 წ.);
5. გრაფ იგნატიევის მკვლელობის პროცესი (1907 წ.);
6. ნიკოლოზ II-ის მკვლელობის მომზადების საქმე (1907 წ.);
7. ლევ ტოლსტოის გამომცემლების საქმე;
8. ჟურნალ „რუსსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორის – კოროლენკოს საქმე და სხვ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელთან არის დაკავშირებული უმაღლესი იურიდიული განათლების ჩასახვა და განვითარება საქართველოში. 1921 წლის დამლევს იგი დასახლდა თბილისში, სადაც სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობდა იურიდიულ დისციპლინებს:

1. სამართლის ზოგადი თეორია;
2. სამოქალაქო სამართალი;
3. სისხლის სამართალი და სხვ.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელს უკავშირდება ლექციების ორი ახალი კურსი:

1. დანაშაულის ფსიქოლოგია;
2. სიტყვის კულტურა.

1937 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ მის ნაშრომში „ანტიკური სამოსამართლო მჭევრმეტყველება“ ვკითხულობთ: „ადამიანი ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ისევე აგებს პასუხს, როგორც იარაღის ხმარებისას. ყველას უნდა ესმოდეს, რომ გარდა ამა სოფლის მოსამართლისა არსებობს ზეციური მოსამართლეც“.

1930-1931 წლებში საბჭოთა მთავრობამ იგი გააგზავნა აშშ-ში ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით პასუხსაგები დავალებით, რომელიც მან წარმატებით შეასრულა.

ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ლუარსაბ ანდრონიკაშვილის არქივი ასახავს მის არამხოლოდ საადვოკატო მოღვაწეობას, რომელიც თავისთავად უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია, არამედ გადმოგვცემს მის მრავალმხრივ განათლებას, ფართო ინტერესებსა და საუკეთესო პიროვნულ თვისებებს. მისი არქივის გაცნობისას ჩვენ ვეცნობით იმ ეპოქის, იმ წრისა და საზოგადოების ინტერესებსა და სულისკვეთებას, რომელშიაც უხდებოდა ყოფნა ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. როგორ და რა გარემოში ყალიბდებოდა იგი, როგორც პიროვნება და მოქალაქე.

მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი და მომდევნო წლების განმავლობაში ძირფესვიანად შეიცვალა ქართველი ერის ცხოვრების პირობები. „თერგდალეულთა“ იდეების გავლენით გაღვივდა და დამკვიდრდა ქართველი მოწინავე საზოგადოების სხვადასხვა ფენებში მისწრაფებანი ქართველი ერის ღირსებისა და მისი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

სწორედ ამ პერიოდში ყალიბდებოდა ყრმა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შეხედულებები, რომელთაც შემდგომ მის მრავალმხრივ და საინტერესო საქმიანობაში იჩინეს თავი. თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში იგი მჭიდრო მეგობრობით დაუკავშირდა არჩილ ჯორჯაძეს, შემდგომში მათ დაუმეგობრდნენ ივანე ჯავახიშვილი და ზურაბ ავალიშვილი. მათ სიცოცხლის დასასრულამდე შეინარჩუნეს ერთსულოვანი, თანაზიარი მისწრაფებანი ხალხისათვის უანგარო სამსახურის განწესა. ადვოკატის საქმიანობას ლ. ანდრონიკაშვილი საზოგადოებრივ მოღვაწეობად თვლიდა. ამითი აიხსნება, რომ იგი მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაულში ბრალდებული პირების დასაცავად გამოდიოდა, მაშინ, როდესაც დარწმუნდებოდა, რომ ბრალდებული მსხვერპლია სხვა პირების არაკეთილსინდისიერი მოქმედებისა. მის მრავალრიცხოვან გამოსვლებში იგრძნობა პრინციპულობა და მაღალი ზნეობა.

ლ. ნ. ანდრონიკაშვილი იყო ქართული, რუსული და ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგის მცოდნე და ამ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო საჯარო გამოსვლების ავტორი.

მის არქივში დაცულია მის მიერ ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი გუსტავ ფლობერის „ქალბატონო ბოვარი“. საინტერესო იქნებოდა ამ თარგმანის შესწავლა და მისი გამოსაცემად მომზადება.

ასევე არქივში დაცულია მისი ფრაგმენტული ჩანაწერები მჭევრმეტყველების, ენის სპეციფიკის ფილოსოფიის, ლიტმცოდნეობისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

იგი საინტერესო ცნობებს გვანვდის მენანდრეს, არისტოტელეს, დემოსტენეს, ევრიპიდესა და სხვათა შესახებ.

ლ. ნ. ანდრონიკაშვილის არქივში დაცულია მისი ნარკვევი რუსულ ენაზე „ლევ ტოლსტოის გარდაცვალების გამო“, რომელშიაც განხილულია ლ. ტოლსტოის შემოქმედება, მისი ზნეობრივ-რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები. გამოთქმულია აზრი, რომ ლევ ტოლსტოის სახით საზოგადოებას დიდი რელიგიური ძალა ჰყავდა, რომელიც თავისი მნიშვნელობით მან მარტინ ლუთერს შეადარა. ლევ ტოლსტოის მიხედვით სულის ხსნის ერთადერთი გზა არის ჭეშმარიტი რწმენა, რომელსაც ადამიანს აძლევს ღმერთი. სულის აღდგენა, მისი ცოდვებისგან განწმენდა, მისი ამაღლება კვლავ რელიგიაშია, ცოდვათა მონანიებაშია, როგორც ეს მოხდა ლ. ტოლსტოის ნაწარმოების „აღდგომა“-ს გმირებში – ნეხლიუდოვსა და კატიუშა მასლოვას შემთხვევაში.

ნარკვევში გატარებულია აზრი, რომ ლ. ტოლსტოი თავისი რელიგიურ-ფილოსოფიური მრწამსით არა მხოლოდ რუს ხალხს, არამედ მსოფლიოს ეკუთვნის.

ლ. ანდრონიკაშვილის ვაჟის, ელევთერ ანდრონიკაშვილის გადმოცემით მას არასდროს არ ჰქონდა წინასწარ დაწერილი ტექსტი. იგი იყო ტრიბუნი, ხშირად გამოდიოდა როგორც პოლიტიმატიმართა დამცველი და არაერთხელ სიკვდილმისჯილთა გადამრჩენელი. რუსეთში მოღვაწეობისას მას „რუსული ადვოკატურის სინდისი“ შეარქვეს.

თვით ის ფაქტი, რომ რომის მართლმსაჯულების სასახლეში გამოფენილ მსოფლიოს საუკეთესო იურისტთა პროტრეტებს შორის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის პროტრეტიც არის მოთავსებული, ნათლად მონიშნავს, თუ რაოდენ დიდი იყო მისი ავტორიტეტი.

ცნობილია მისი შთამბეჭდავი გამოსვლა მწერლების კოროლენკოსა და ელ-პატიევსკის დამცველის როლში. ორივე მწერალი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებული იყო. ასევე დამცველის როლში გამოდიოდა იგი ლევ ტოლსტოის თხზულებათა გამომცემლების – ბიტნერისა და ჰერციკის სასამართლოსთან დაკავშირებით. მათ ედავებოდნენ ლ. ტოლსტოის თხზულებათა გამომცემის გამო, რადგან თითქოსდა მის ნაწარმოებებში შეურაცხყოფილ იყო მართლმადიდებლობა. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი ლ. ტოლსტოის შეხედულებათა დამცველის როლში გამოვიდა.

ლ. ნ. ანდრონიკაშვილის არქივში ცალკე გამოვყოფთ მის ნაშრომებს თეატრის, კინოსა და მხატვრობის შესახებ.

კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში იგი აღნიშნავს, რომ თეატრი არის სინთეზი არქიტექტურის, მხატვრობის, ქანდაკებისა და მუსიკის საუკეთესო მიღწევების. ლ. ანდრონიკაშვილი განსაკუთრებით გამოყოფს კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის ერთ მხარეს: დამოკიდებულებას მსახიობდა და რეჟისორს შორის და გადმოგვცემს მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობის გოგოლევას მოგონებას,

რომ კ. მარჯანიშვილი მსახიობს რეპეტიციის მსვლელობის დროს არ აძლევდა შენიშვნას, არავითარ მითითებას, იგი მსახიობს თვითგამორკვევის საშუალებას აძლევდა. მხოლოდ რეპეტიციის დასრულების შემდეგ აძლევდა მითითებებს. ასწორებდა გარკვეულ შტრიხებს. არ ზღუდავდა მსახიობს. ლ. ანდრონიკაშვილი ამავე ნაშრომში ცალკე საკითხად განიხილავს პრინციპს, რომლითაც კ. მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა პიესის ტექსტთან და პიესის ავტორთან დაკავშირებით, შეუძლია თუ არა რეჟისორს შეცვალოს, სიახლე შემატოს, შეავსოს ტექსტი და სად არის რეჟისორის უფლების ზღვარი ამ ცვლილებათა შეტანისას. ლ. ანდრონიკაშვილი იქვე პასუხობს ამ კითხვას და აღნიშნავს, რომ კ. მარჯანიშვილი, როგორც დიდი ხელოვანი, ამ ძიებისას, მისებურ დასკვნას აკეთებს – ტექსტში ცვლის ზოგიერთ დეტალს, ზოგჯერ სიტუაცია გადმოაქვს სხვა ქვეყნის გარემოში ან სხვა ეპოქაში, მაგრამ ამას ყველაფერს ისე აკეთებს, რომ პიესის ტექსტს ძლიერ არ შორდება. მაგალითად შექსპირის „ჰამლეტი“ ავტორისეულ ტექსტში მან შეიტანა ცვლილებები: ჰამლეტის მონოლოგი „ყოფნა? არყოფნა?“ მესამედან გადაიტანა პირველ აქტში, რადგან მისი ჩანაფიქრით ჰამლეტის შემდგომი განცდები მისი ფსიქოლოგიური გარდასახვებისათვის უფრო მიზანშეწონილად სცნო.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია აგრეთვე კ. მარჯანიშვილისეული ცვლილებები „ოტელოს“ დადგმისას. აქვე დასძენს ჩვ. წ. აღ.-მდე V-IV საუკუნეების ძველი ბერძენი კომედიოგრაფის არისტოფანეს კომედიები „სისისტრატე“, „ფრინველები“ და „ღრუბლები“ არ შეიძლება ცვლილებების გარეშე ზუსტად გადმოვიტანოთ თანამედროვე მაცურებლის წინაშე, საჭიროა გარკვეული ცვლილებების შეტანა. მაგრამ აქაც ძნელია ზომიერების დაცვა – კ. მარჯანიშვილი, როგორც დიდი შემოქმედი, ინტუიციით აღწევდა ზომიერებას, ავტორისეულ ტექსტს ცვლიდა მისეული ალლოთი და ზომიერების უტყუარი გრძნობით.

არქივში დაცულია აგრეთვე ქართული თეატრის 10 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე ლ. ანდრონიკაშვილის მიერ რეჟისორ სანდრო ახმეტელისადმი წარმოთქმული მისასალმებელი სიტყვა, სადაც განხილულია სანდრო ახმეტელის შემოქმედება.

აქვეა ნარკვევი მხატვარ გიგო გაბაშვილზე.

ყოველივე ეს საინტერესოდ ფა შთამბეჭდავად გადმოცემული, – ლ. ნ. ანდრონიკაშვილის ფართო განათლებასა და მრავალმხრივ ინტერესებს წარმოაჩენს.

ლ. ნ. ანდრონიკაშვილის პატრიოტული განწყობილებისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების საილუსტრაციოდ გადმოგცემთ ერთ ფაქტს მისი ცხოვრებიდან. არქივში დაცულია მისი ვაჟის (რომლის – არ არის მითითებული) მოგონება:

1938 წელს საქართველოში აღინიშნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ 800 წლის იუბილე. ერთ-ერთი საიბილეო სხდომა, რომლის შესახებ საუბარია მისი ვაჟის მოგონებაში, ჩატარდა თბილისში, ხელოვნების მუშაკთა კლუბში. წარმოდგენილ მოხსენებებში მომხსენებლებმა გაატარეს იმ დროს ნიკო მარის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ ასახავს ქართულ სინამდვილეს, იგი „მუსლიმურ“ სამყაროშია შექმნილი და შემდეგ თარგმნილ-

ია ქართულად. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, რომელიც ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი იყო, წამოდგა და დაახასიათა რა მართლმადიდებლური სარწმუნოების მრწამსი, ამ ფონზე განიხილა პოემის გმირთა ეთიკა, ქცევა და დაასკვნა, რომ პოემა მხოლოდ მართლმადიდებლის მიერ არის შექმნილი და რადგანაც სამხრეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში მართლმადიდებელი გარდაქართველებისა სხვა ხალხი არ არის – პოემა უდაოდ ქართველის მიერ არის დაწერილი.

მოგესხენებათ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირში გამეფებული მძვინვარე ათეიზმი, ამასთან 1937-1938 წლების რეპრესიები – ამ დროს ლ. ანდრონიკაშვილის ამგვარი გამოსვლა გმირობის ტოლფასი იყო. დამფრთხალი და დაშინებული საზოგადოება ნელ-ნელა ტოვებდა დარბაზს და მოხსენების დასასრულს ხალხით გადაჭედებულ დარბაზს მხოლოდ რამდენიმე „გაბედული“ მსმენელი შემორჩა.

ასეთი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი – მოქალაქე, პატრიოტი და პრინციპული პიროვნება.

იგი თავის უახლოეს მეგობრებთან – ივ. ჯავახიშვილთან, ზურაბ ავალიშვილთან და არჩილ ჯორჯაძესთან ერთად გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე და მათი მაღალი მისწრაფებების მოზიარარი დარჩა სიცოცხლის ბოლომდე.

ყოველივე ამის გამო, მისი არქივის გამოცემა, მისი მრავალმხრივი საქმიანობის დღის სინათლეზე გამოტანა უაღრესად საჭირო და საინტერესო იქნება როგორც იურისპრუდენციის, ასევე ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული საკიტხებით დაინტერესებულ პირთათვის.

Ia Gachechiladze

LUARSAB ANDRONIKASHVILI (FATHER'S NAME - NIKOLOZ) - LAWYER AND PUBLIC FIGURE

SUMMARY

In National Center of Manuscripts preserved archives of Luarsab Andronikashvili provide interesting facts about his works, as well as about the era, groups of people, public interests and the spirit in which he had to present himself.

His name is connected with the conception and development of higher legal education in Georgia. There are also his works about theater, film and painting in the archives.

Luarsab Andronikashvili was highly educated, true patriot and principled person. The archive will be interesting as to convey the law, as well as for persons interested in our cultural-historical issues.

თეონა კახანაძე

ელიზბარ ბიჩინაშვილი – უცნობი სახელი ქართული ემიგრაციის ისტორიაში

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, 2013 წლის 27 მარტს (შემოს. ნიგნი 1183) კახა აბაშიძის ფინანსური დახმარებით, შეიძინა ელიზბარ ბიჩინაშვილის პირადი არქივი.

ემიგრაციის თემას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართული კულტურა წარმოუდგენელია ემიგრანტთა ღვაწლის შესწავლის და ყველა იმ ღირებულების გათვალისწინების გარეშე, რომლებსაც ისინი სამშობლოში დაბრუნების იმედით ქმნიდნენ. შეუძლებელია ჩვენი ისტორიიდან ემიგრანტთა ღვაწლის ამოშლა (დაუშვილი 2007).

ქართველი ემიგრანტების პირველმა ტალღამ სამშობლო 1921-1939 წლებში დატოვა, მეორე ტალღა კი, ემიგრაციაში 40-50 წლებში, მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა.

ქართველი ემიგრანტების მეორე ტალღის, ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი წარმომადგენელია ელიზბარ ბიჩინაშვილი, რომელიც ემიგრაციაში, სწორედ, მეორე მსოფლიო ომის დროს აღმოჩნდა.

ელიზბარ ბიჩინაშვილის ტრაგიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლით, რის საშუალებასაც მისივე პირადი არქივი და დის – ციალა ბიჩინაშვილის მიერ ნაამბობი ზეპირი ისტორიები გვაძლევს, შეგვიძლია გავითვალისწინოთ, ზოგადად, იმ პერიოდის ქართველი ემიგრანტების ცხოვრების პირობები უცხოობაში, ინტერესები, განცდები, დამოკიდებულება სამშობლოსადმი, როგორ აეწყო მათი ცხოვრება ომის შემდეგ, თუ როგორ უყურებენ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. განსაკუთრებით გამოვყოფ ერთმანეთისადმი დამოკიდებულებას, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ ერთმანეთს შეძლებისდაგვარად მხარში უდგან-

ან, სულიერად, მატერიალურად, წერილების საშუალებით უზიარებენ საკუთარ ფიქრებსა და ოცნებებს, იგონებენ სამშობლოში გატარებულ წლებს.

როგორც ელიზბარის, ისე მისი ქართველი ემიგრანტი მეგობრების წერილებზე დაყრდნობით, ასევე შესაძლებელია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სადაც ისინი ცხოვრობენ: ბრაზილიის, ამერიკის, გერმანიის, ავსტრიის, იტალიის, საფრანგეთის, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე დაკვირვება.

გარდა ამისა, ელიზბარის ცხოვრების კვლევისას იკვეთება სხვა ქართველი ემიგრანტების სახელები; მათი ნაწილი მეტ-ნაკლებად ცნობილია, ნაწილი კი, ისევე როგორც ელიზბარი, დღემდე უცნობია.

ელიზბარ ბიჩინაშვილი დაიბადა, 1920 წლის 26 თებერვალს, თბილისში, საკმაოდ რთული ბავშვობა ჰქონდა. 1930 წელს მამა გააკულაკეს, რაც ძალიან განიცადა. 1965 წლის 2 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, რომელსაც დასწერს, უყვება თუ როგორ ცდილობდა მამის დახსნას:

„თქვენ ძალიან პატარები იყავით და ალბათ არ გეხსომებათ მამის დაულაღვი შრომა, რომელიც უნაზღაურდებოდა ტანჯვით. მე იმდენად მანუხებდა მამის ტანჯვა, რომ იძულებული ვიყავი მომექრათა თიანეთის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები, რათა ადრეულ ასაკში გავეწვიე წითელ არმიის მოხალისედ; მინდოდა ამით შემემსუბუქებინა მამის მძიმე ცხოვრების პირობები. ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ბევრი ვიმოქმედე და მამა დავიხსენი; როგორც იცით ამას მოჰყვა ომი და შევიქენი უდანაშაულო მსხვერპლი. ეს ამბავი დღემდე არავინ იცოდა“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი, №5).

ელიზბარი 19 წლის ნავიდა ჯარში, მსახურობდა ბალტიისპირეთში. 1939 წელს საბჭოთა კავშირი მოახდინა ბალტიისპირეთის ოკუპაცია, ასე აღმოჩნდა ომის მონაწილე. 1943 წელს დაიჭრა, მეგობრებისგან მიტოვებულმა გადაწყვიტა თავად მიეღწია რომელიმე თავის ნაწილისთვის, მივიდა კიდეც ერთ-ერთ ნაწილში, რომელიც აღმოჩნდა გერმანელების მათ რა თქმა უნდა ტყვედ აიყვანეს.

სავარაუდოდ, სწორედ, ტყვეობის დროს აწარმოებდა დღიურს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილია არქივის. ის მოიცავს პერიოდ 1944 წლის 9 იანვრიდან 11 იანვრის ჩათვლით; სულ სამი დღის ამბებია მოთხრობილი, მაგრამ ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი, რადგან დეტალურად არის აღწერილი ბატალიონების გადაადგილება, იმ სოფლის მცხოვრებთა მძიმე პირობები სადაც მოსასვენებლად ჩერდებოდნენ, ის სირთულეები რაც ჯარისკაცებს გზაში ხვდებოდათ. აღწერილი აქვს, როგორც საკუთარი, ისე სხვა ჯარისკაცების განცდები, მოგონებები სამშობლოზე. დასაფასებელია ის ფაქტი, რომ იმ გაუსაძლის ვითარებაში დღიურს აწარმოებდა.

ომის დამთავრების შემდეგ, როგორც დის – ქალბატონ ციალა ბიჩინაშვილის ნაამბობით ვიცით, ელიზბარი ცხოვრობდა გერმანიის, ზალცბურგში, სადაც მეგობართან, ვინმე ნიკალაევთან ერთად ეწეოდა მანქანების შეკეთებას და გაყიდვას. 1948 წელს დაქორწინდა ეროვნებით უკრაინელ ქალზე, ჟენია დემიდენგოზე, რომელიც ასევე ემიგრანტი იყო. გერმანიიდან ბრაზილიაში წასვლა მა-

ლევე გადანყვიტა, საბოლოოდ სან-პაულოში დამკვიდრდა. ჰყავს ორი შვილი, შვილიშვილები და შვილთაშვილები, მეუღლე ცოცხალია, დღემდე სან-პაულოში ცხოვრობენ. და ოჯახით თბილისში ცხოვრობს. ელიზბარი გარდაიცვალა 2004 წლის 4 ნომებერს ფერფლი დაკრძალულია თბილისში.

ელიზბარის პირადი წერილები განმსჭვალულია პატრიოტიზმით; ძალიან განიცდიდა სამშობლოდან შორს ყოფნას. განსაკუთრებით განიცდიდა იმ ფაქტს, რომ შვილებს არ ჰქონდა საქართველოს ნახვის საშუალება. 1971 წლის 28 თებერვლით დათარიღებულ წერილში, რომელსაც დას წერს აღნიშნავს:

„ჩემი შვილები იზრდებიან როგორც სიცოცხლემისჯილი ტყვეები; სად წავლენ, ვისთან მივლენ, ვინ გააჩნიათ?! ჩემი გულისთვის იტანჯებიან, თუმცა არავითარი ბრალი მიუძღვით სამშობლოს წინაშე... მე არავის გავქცევიათ, ჩავვარდი დაჭრილი ტყვედ; თუ დაისმის საკითხი რატომ ფიცი არ შევასრულე და თავი არ მოვიკალი?! იმიტომ, რომ უგონოდ ვიყავი, როცა გონს მოვედი აღმოვჩნდი ტყვეთა ლაგირის ლაზარეთში; თუ კითხვა ჩნდება, ომის შემდეგ რატომ არ დავბრუნდი სამშობლოში სინდისმა არ მომცა საშუალება, რადგან საბჭოთა მთავრობის წესით მე ვითვლებოდი მოღალატედ, ამიტომ საქართველოსკენ მომავალი გზები გადაღობილი იყო. თუ სამშობლოს ვძულვარ არაუშავს, მთავარია, რომ მე ვარ ქრისტიანი რისი საფუძველიც დგას სიყვარულზე და შეუძლებელია ჩემში ვინმემ ნაშალოს სამშობლოს სიყვარული და სიღიადე“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი №12).

როგორც ზემოთ აღვნიშნე საინტერესოა ელიზბარის და მისი ემიგრანტი მეგობრების დამოკიდებულება ქართული და მსოფლიო პოლიტიკის მიმართ. 1992 წლის 7 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელსაც ელიზბარი დათოს, დისშვილს წერს ჩანს მისი პოზიცია საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე: „სამწუხაროდ აპრილის პირველ რიცხვებში ძალიან ცუდი ამბები მოისმა თბილისიდან. დათოს და მის მეგობრებს მინდა ვთხოვო, ამგვარ უთავბოლო საქმეებში არ ჩაერიონ. სანამ საქართველოს დამოუკიდებლობაზე ვიმოქმედებთ უნდა გადავხედოთ რუქას და ვიხილოთ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველო იმყოფება მიჯნაზე მუსლიმანურ ირანსა და თურქეთს შორის. ჩრდილოეთით ქრისტიანული რუსეთია. რუსეთს რომ ჩამოვშორდეთ ვის უნდა მივეკედლოთ, ირანს თუ თურქეთს, ჩვენს დაუძინებელ მტრებს.; გაიღვიძებს ძველი შუღლი სომხეთს და აზერბაიჯანს შორის და გაგვიწყნარა მაშინ ღმერთი, საბჭოთა კავშირიდან ჩვენი მოშორება იქნება საკუთარი ყელის გამოჭრა“ (ხეც, ელ.ბიჩინაშვილის არქივი №53).

ელიზბარის პირადი არქივი შეიცავს, ასევე უცნობი ქართველი ემიგრანტის, ბესარიონ რეხვიაშვილის პირად წერილებს. ბესარიონის შესახებ ჩვენთვის ამჟამად, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა, ტყვედ ჩავარდა და ომის დამთავრების შემდეგ ემიგრაციაში გაატარა ცხოვრება. ჯერ გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ ბრაზილიაში დამკვიდრდა. ახლო მეგობრობა და ნათესაობა აკავშირებდა ელიზბართან. გარდაიცვალა ბრაზილიაში.

გარკვეული პერიოდის მანძილზე ბესარიონი საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობს, აქვს საკუთარი საყასბო ბრაზილაში, არის ერთ-ერთი ქართული „კომიტეტის“ თავმჯდომარე და შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ემიგრანტ ქართველებს, ნაცნობს თუ უცნობს, სხვადასხვა საბუთებისა მონმოებების მიღებაში.

არქივის ამ ნაწილში იკვეთება მიხაკო წერეთლის სახელი, კერძოდ, 1946 წლის 30 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, გივი კობახიძე წერს ბესარიონ რეხიაშვილს:

„მე და მიხეილ წერეთელი მისი რძლით და შვილიშვილით ნელინა დნახევაი ერთად ვიყავით, ამჟამად დავშორდით. ისინი დარჩნენ სოფლად მე კი ცოლით მიუნხენში გადმოვსახლდი, მალე ალბათ ისინიც აქ გადმოვლენ საცხოვრებლად. მისი ვაჟი, ოთარი, იყო გერმანულ ჯარში, 1945 წლის შემდეგ მისი აღარაფერი ისმის დაიკარგა, დარჩა მოხუცი წერეთელი მარტო რძლით და შვილიშვილით; საქმე ის არის, რომ მისმა შვილმა დაქორწინება ვერ მოასწრო, გერმანული კანონის მიხედვით, ცოლ-შვილი, წერეთლობას ვერ მიიღებს. მიხეილს სურს, რომელიმე ქართული დაწესებულების საშუალებით, რაც კი დღესდღეობით ჩვენ გაგვაჩნია, ე.წ „კომიტეტის“ გზით საბუთის მიღება“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი №167).

მოგვიანებით მიხაკო წერეთელი თავად წერს წერილს ბესარიონს აღნიშნულთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი წერილი იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მასში მოიხსენიება იქ არსებული ქართული დაწესებულება კომიტეტი, ჩანს აღნიშნული დაწესებულების არსებობის როლი და მნიშვნელობა.

როგორც ცნობილია სხვადასხვა კომიტეტები და ქართული პოლიტიკური გაერთიანებები, ემიგრაციის პირველივე წლებში იქმნებოდა სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველების მიერ, სადაც დროდადრო იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე, რომელიც ეხებოდა ემიგრაციას, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. ცნობილია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“, „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და სხვა. თუმცა, ამ შემთხვევაში არ არის დაკონკრეტებული რომელ კომიტეტზეა საუბარი.

ამ მხრივ საინტერესოა, ამერიკაში მცხოვრები ლადო შარაბიძის (1900-1975) წერილები ბესარიონ რეხიაშვილისადმი. 1952 წლის 4 ივლისით დათარიღებულ წერილში ლადო შარაბიძე წერს ბესარიონს:

„...აქაური ქართველები კარგად არიან, თუმცა რაც პოლიტიკურად დაინყეს მუშაობა, აქაური ძველი ემიგრანტები კრებაზე აღარ მოდიან. პირველი იმიტომ, რომ მათ ჩვენი ქვეყნის ბედი არ აინტერესებთ, მეორე ის, რომ რუსულად ლაპარაკის უფლებას არ ვაძლევთ, ქართული კი ეკრძალებათ; ეს ხალხი ფიქრობს უმეტესად საკუთარ ინტერესებსა და დოლარებზე ვიდრე ქართულ საქმეზე“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი №205).

საინტერესოა 1951 წლის 26 მარტით დათარიღებული ლადო შარაბიძის წერილი ბესარიონისადმი, რომელშიც საუბარია ნიუ-იორკში ქართულ-ამერიკული ლიგის არსებობის და შექმნის მიზნების შესახებ, აქაც მოიხსენიება ძველი და ახალი ემიგრანტი ქართველები, ამონარიდი წერილიდან:

„...აქ უკვე ბლომად შევიყარეთ ახალი ქართველები. ძველები ძალიან ცოტა მოდიან, ქართული საქმით დაინტერესებული არ არიან. ესენი მაინც არ დაბრუნდებიან სამშობლოში, რომც გათავისუფლდეს. ბევრნი არიან სოსოს თავანისმცემლები. ამ ერთი თვის წინათ შედგა ქართულ-ამერიკული ლიგა, კომიტეტის თავმჯდომარე არის თავადი თეიმურაზ ბაგრატიონი“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი №203).

ასევე, საინტერესოა 1946 წლის 7 თებერვლით დათარიღებული შოთა მარგველაშვილის წერილი ბესარიონისადმი, რომელშიც ჩანს ქართველების მძიმე ცხოვრების პირობები და თავის დამკვიდრების გზების ძიება:

„ბესო, ძალიან მაინტერესებს ზალცბურგის მდგომარეობა, ავინროვებენ თუ არა ქართველებს. აქ ძალიან ცუდი ვითარებაა, მალე გერმანელებს ელოდებიან სხვადასხვა ქვეყნებიდან და თუ მიეცათ ცოტა უფლებები შეგვჭამენ, ხომ იცი როგორ სძულთ გერმანელებს უცხოელები. ზოგიერთმა ამერიკელების დახმარებით წამოიწყო საქმე, მაგრამ ამჟამად გაყინულია, რადგან ესენი გასაქანს არ აძლევენ. აქ არიან კარგი ქართველი ყმანვილები, რომლებიც გერმანელობის საბუთს ატარებენ. ეს გამოიწვია იმან, რომ როდესაც ინგლისელებმა რუსებს გადასცეს, გამოიქცნენ და გერმანელებს შეაფარეს თავი, ახლა სურთ ისევ ქართველებად გადმოენერონ, გთხოვ, დაეხმარე.

თუ შესაძლებელია ქანტურისას გამოუგზავნე ცნობა, თითქოს გამბურგში, საჭიროა ტანსაცმლის მისაღებად“ (ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი №168).

ბამოყენებული ლიტერატურა

1. დაუშვილი 2007: დაუშვილი რ., ქართული ემიგრაცია 1921-1932 წლებში, თბ., 2007.
2. ხეც, ელ. ბიჩინაშვილის არქივი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ელიზბარ ბიჩინაშვილის პირადი საარქივო ფონდი.

Teona Kapanadze

**ELIZBAR BICHINASHVILI – UNKNOWN NAME IN THE HISTORY OF
GEORGIAN EMIGRATION**

SUMMARY

The abovementioned serves as the one more evidence, that the emigration theme despite its big significance is still inexhaustible and we are once again convinced that how important it is to study, analyze and bring to the wide public the life of each emigrant that at a glance may seem unimportant.

The current article shortly narrates the lives and toils of several Georgian expatriates in emigration.

Their aspiration to protect Georgian Language, to retain nationality and traditions are worth of imitation and appraisal.

We aim at delivering the information that we have in our hands to the public. Several questions are still subject to future research, we prefer to refrain from arising question about them at this moment.

ლია კიკნაძე

შტრიხები აკაკი წერეთლის ბიოგრაფიისათვის

„საქართველოს უგვირგვინო მეფე“ – ასე მონათლეს აკაკი სიცოცხლეშივე. „გარეგნობა კი მართლაც მეფური ჰქონდა, სიამაყეც“, – წერდა, ცნობილი პროზაიკოსი თამაზ ქილაძე. „აკაკი უნდა ყოფილიყო არა პოეტების მეფე, როგორც ის იყო ნამდვილად თავის საუკუნეში, არამედ დინასტიური მეფე, მფლობელი საქართველოსი“, – ეს უკვე გალაკტიონის სიტყვებია. ყველა მათგანში, იქნება ეს სიმბოლური გამონათქვამი, სურვილი თუ პოეტის ბიოგრაფიის გამოძახილი არის სიმართლის მარცვალი – აკაკი ხომ იმერეთის მეფის სოლომონ I-ის შთამომავალია, მისი მეხუთე თაობის წარმომადგენელი.

სანამ წარმოვადგენდეთ პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთ საინტერესო ეპიზოდს, უნდა ითქვას შემდეგი: აკაკის ცხოვრება-შემოქმედებაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მათგან განსაკუთრებულია ლევან ასათიანისა და გურამ შარაძის ღვაწლი. მათ ნაშრომებში (ასათიანი 1965; შარაძე 2006ა; შარაძე 2006ბ; შარაძე 2007) თითქმის სრულადაა გადმოცემული პოეტის ცხოვრების პერიპეტიები, მისი წინაპრების როლი იმერეთის სამეფოს ისტორიაში, საინტერესო მომენტები წერეთელთა ფეოდალური საგვარეულოსი და ბოლოს, გენეალოგია პოეტისა. ჩვენ ვაზუსტებთ და ვავრცობთ ზოგიერთ დეტალსა თუ ეპიზოდს აკაკისა და მისი წინაპრების, საკმაოდ ცნობილი ისტორიული პირების შესახებ. ზოგსაც, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილსა თუ უცნობს, ერთმანეთთან ვაკავშირებთ და ვრთავთ აკაკის ბიოგრაფიაში.

წერეთლების ფეოდალურ საგვარეულოს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. წერეთლების ადრინდელი სამკვიდრებელი აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა – ცხოვრობდნენ ზემო ქართლში: გორის სამხრეთით. თრიალეთის მთის ჩრდილოეთ მხარეს არის ქედი, რომელიც წერეთის სახელითაა ცნობილი. მდ. ტანას ხეობაში კი ყოფილა სოფლები – დიდი და პატარა წერეთი. აქაურ წერეთლებს ადგილი უცვლიათ – გადასულან იმერეთში და მდ. ფრონეს ხეობაში,

ცხინვალის მახლობლად (ასათიანი 1965: 11) დასახლებულან. მათ უცხოვრიათ აგრეთვე საინგილოშიც, ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე (სოსელია 1981).

წერეთლები იმერეთში XIV საუკუნეში უნდა გადასახლებულიყვნენ. ქართულ საისტორიო წყაროებში ისინი XVI საუკუნიდან ჩანან, როგორც მფლობელნი საწერეთლოსი. XVII საუკუნეში მათი სამფლობელო იმერეთში საკმაოდ ვრცელია, მომდევნო საუკუნეში კიდევ უფრო გაიზარდა და გაძლიერდა. მასში შედიოდა 2 მცირე ქალაქი (ერთია საჩხერე) და 53 სოფელი. საჩხერე, რომელიც მდებარეობდა ინდოეთიდან და ირანიდან მომავალ დიდ სავაჭრო გზაზე, XVII საუკუნეში კარგად დასახლებული პუნქტი ყოფილა. აქ იმერლებთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები და ებრაელი ვაჭრები. წერეთლებს ნათესაური კავშირები ჰქონდათ სამეფო და სამთავრო სახლებთან (იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეები, დადიანები, გურიელები...), რაც ხელს უწყობდა მათ დაწინაურებას და გაძლიერებას. განსაკუთრებით დაწინაურდნენ წერეთლები სოლომონ I-ისა (1752-1784 წწ.) და სოლომონ II-ის (1789-1810 წწ.) მეფობის პერიოდში. მათ ეჭირათ სამეფოს უმაღლესი სახელოები – სარდლის, სახლთუხუცესის, მოლარეთუხუცესის, მელვინეთუხუცესის, ბოქაულთუხუცესის... რუსული რეჟიმის დამყარების შემდეგ იყვნენ მარშლები, თავად-აზნაურთა წინამძღოლები.

წერეთლებს თავი გამოუჩენიათ დიპლომატიურ ასპარეზზეც: 1784 წ. იმერეთის მეფე დავითმა ეკატერინე II-თან ელჩად მიავლინა ზურაბ წერეთელი, სოლომონ I-მა კი – ქაიხოსრო წერეთელი. წერეთლები შეძლებული ფეოდალები იყვნენ – ფლობდნენ შავი ქვის საბადოებს, ეწეოდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო და სააღმშენებლო მოღვაწეობას, გაიყვანეს პირველი რკინიგზა – ჭიათურა-საჩხერე-კვერეთი, გახსნეს სკოლები, საავადმყოფოები, ბიბლიოთეკები... სოლომონ II-მ 1803 წელს ქუთაისში დააარსა სტამბა, რომლის ზედამხედველად ზურაბ წერეთელი დაინიშნა. 1811 წ. ზურაბმა და მისმა ვაჟმა გრიგოლმა საჩხერეში, თავიანთ სასახლეში გახსნეს სტამბა, რომელშიც 1815 წ. დაიბეჭდა „სამოციქულო“ და „სახარება“ (შარაძე 2006: 66-67).

ნაწილი წერეთლებისა მეფეების ერთგულებაზე დებდა თავს, ნაწილი რუსეთის ხელისუფლებასთან ბრძოლას შეგუებასა და მის ერთგულ სამსახურს ამჯობინებდა.

წერეთლების ფეოდალურ საგვარეულოში XVIII საუკუნეში 2 შტო გამოიყო: საჩხერელი და სხვიტორელი წერეთლები. მათი საერთო წინაპარი ყოფილა სარდალი ქველი წერეთელი, რომლის ვაჟს, ასევე ქველის 2 ძე ჰყოლია: პაპუნა, საჩხერელი წერეთლების წინაპარი და დავითი – სხვიტორელი წერეთლებისა. მე-XVIII საუკუნის შუა ხანებიდან საჩხერელი წერეთლები აღზევებულან. სწორედ საჩხერელი წერეთლის, პაპუნას სახლს უკავშირდება ლეგენდა „მოდინახეს“ ციხის შესახებ.

წერეთლებს აბაშიძეები ექიშპებოდნენ, ასევე ძლიერი და გავლენიანი ფეოდალები, და მამულებს სტაცებდნენ. მოყვრობაც ხშირი იყო ამ ორ გვარს შორის. ასე იყო აკაკის ოჯახის შემთხვევაშიც.

პუბლიცისტურ წერილში „სოფ. სხვიტორი“ აკაკის საინტერესოდ აქვს მოთხრობილი თავისი წინაპრების შესახებ. გენეალოგია კი შეუდგენია აკაკის უფროს ძმას, დავითს.

ეს გენეალოგია ასეთია:



აკაკის მამა, როსტომ როსტომის ძე (1802-1876 წწ.) შორაპნის მაზრის თავადი იყო. ფლობდა სხვიტორსა და კვერეთს (თავისი აბანოებით), ყმები ჰყავდა სხვა 11 სოფელშიც. მას, როგორც ძველი ქართული ფეოდალური არისტოკრატის ტიპურ წარმომადგენელს, ვერ წარმოედგინა ბატონი ყმის გარეშე და დიდი მოწინააღმდეგე იყო ბატონყმობის გაუქმებისა, რაზეც ხშირად კამათიც მოსვლია აკაკისთან. როსტომის პაპა, როსტომი, სოლომონ II-ის მელვინეთუხუცესი, ადრე გარდაცვლილა და შვილისთვის მცირე ქონება დაუტოვებია განსხვავებით მეორე როსტომ როსტომის ძისგან, რომელიც მისი თანამედროვე და სარდალ პაპუნა წერეთლის (1740-1790) შვილიშვილი ყოფილა. მას მამისგან მემკვიდრეობით დიდი ქონება მიუღია (სოსელია 1981: 128).

როსტომს, აკაკის მამას, ძირითადი მამული ს. სხვიტორში ჰქონდა და იქვე ცხოვრობდა მის მიერვე 1834 წ. აშენებულ სახლში, რომელსაც აკაკის სიტყვებით, „სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე ციხისა, მაგრამ არცერთ მათგანს კი არ ჰგავს“ (წერეთელი 1985: 8). როსტომი არ გამოირჩეოდა არც სიმდიდრითა და არც განათლებით, ჭირის დღესავით სძულეობა რუსის მოხელეობა, „ჩინოვნისობა“, ამიტომ არც სახელმწიფო სამსახურით იწუხებდა დიდად თავს. ჰქონდა ყველაზე დაბალი (XIV კლასის) ჩინი კოლეგიის რეგისტრატორისა, შემდეგ – კოლეგიის მრჩევლისა, რომელიც მისთვის მიუნიჭებიათ იმერეთისა და გურიის თავადაზნაურობის უფლებების გამრჩევი კომისიის წევრად ყოფნისას (ასათიანი 1965: 44).

როსტომი „დედისერთა მცირეწლოვანი ობოლი“ ყოფილა, როდესაც მეფე სოლომონ II თურქეთში გადახვეწილა 1810 წელს. მას სხვა წერეთლებთან ერთად როსტომის ბიძა სვიმონიც გაჰყოლია, რომელმაც ბოლომდე უერთგულა მეფეს (სოსელია 1981: 22). 8-9 წლის ბიჭს, რომელსაც დედა, ანა აბაშიძე დედობასაც უწევდა და მამობასაც, ყველა ჩაგრაგდა და ავინროებდა. ქონების დაგროვების ყინით შეპყრობილ დიდ ფეოდალს, იმერეთის სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს მათთვის ეზოში მდგარი ძელქვის სახლი წაურთმევია (დაუშლია და წაუღია) და დამუქრებია: თუ არ გაჩუმდებით, მოზდოკში გაგასახლებთო. გამწარებულ დედას, ანა აბაშიძეს მოძალადისთვის შეუთვლია: „დიდო ზურაბ წერეთელო! გრცხვენოდეს უკადრისი საქციელისო... თუ ღმერთმა ინება და ჩემი მავლი შინ მშვიდობით დაბრუნდა, შენც ასევე მოგივაო“ (წერეთელი 1985: 26). წერეთლის მუქარით შეშინებულ დედას ვაჟი მუდამ გვერდში ჰყავდა, „ამიტომ მამაჩემი შინაკაცად იყო გაზრდილი და მხოლოდ ის იცოდა, რაც დედამისს ესწავლებინაო“, – აღნიშნავს აკაკი. როსტომს ერთხანს მონასტერშიც უვლია, სადაც ასწავლიდნენ ქართულ გრამატიკას, მათემატიკას, ისტორია-გეოგრაფიას. უკვე მონიფულს მონაწილეობა მიუღია სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ბრძოლაში დალესტანში და წმ. გიორგის ჯვარიც დაუმსახურებია, რითიც დიდად ამაყობდა. კეთილი, მაგრამ ახირებული ზნის როსტომს გარჯა არ უყვარდა და სხვების სიზარმაცესაც იოლად ეგუებოდა. ნათელი გონება და ფიცხი ხასიათი ჰქონდა, უყვარდა კითხვა და ჭადრაკსაც რიგიანად თამაშობდა. „სწორედ ბრძენი კაცი იყო საბრალო მამაჩემი, მეტად შორს გამჭვრეტი და გამჭრიახე“ (ასათიანი 1965: 35), – წერდა თავის დას, ანას პოეტი.

როსტომ წერეთელი ორჯერ იყო დაქორწინებული. პირველად 1825 წ. იქორწინა ქართლის თავად ესტატე ციციშვილის ასულ ნინოზე, რომელიც მშობიარობას გადაჰყოლია, და მეორედ – ეკატერინე აბაშიძეზე, აკაკის დედაზე, 1828 წელს.

ეკატერინე აბაშიძის წინაპრების შესახებ საკმაოდ უხვი მასალა არსებობს. აკაკისთვისაც ბევრი რამ ცნობილია, რაც ასახულია კიდევ მის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში. ეკატერინეს მამა, პოეტის ბაბუა ივანე აბაშიძე (?-1822) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იმერეთის სამთავროში XIX საუკუნის პირველ ოცეულში. ივანეს მამა, ქაიხოსრო ჰაპუნას ძე აბაშიძე (?-1810 წ.) იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის სიძე იყო – ცოლად ჰყავდა მისი ასული დარეჯანი (1756-1827). მოგვიანებით ქაიხოსროს, საკმაოდ მდიდარსა და გავლენიან ფეოდალს, სოლომონ II-ის რისხვა დაუმსახურებია და მეფეს მისთვის მამაპაპისეული მამული ჩამოურთმევია. ქაიხოსრო ოსმალეთში გახიზნულა, სადაც მას სულთანმა მუსტაფამ, შემდეგ კი ჰამიდმა პენსია დაუნიშნა (ბერძნიშვილი 1980: 98). მალე მეფემ შეირიგა შერისხული თავადი, იმერეთში დააბრუნა და წართმეული ქონების დაბრუნებასაც შეჰპირდა. როგორც ჩანს, დაუბრუნა კიდევ.

ქაიხოსრო აბაშიძე იმერეთში რუსების გაბატონების აქტიური მონაწილე-დეგე იყო და 1810 წელს სათავეში ჩაუდგა იმერეთიდან მათი განდევნის მოძრაობას. მისი მამული ზემო საქარაში მემამბოხეთა თავშესაფარი გამხდარა. მან

მოახერხა ორი ათასი კაცის შეკრება და მდ. ყვირილას ხეობაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილები დაიჭირა. ამით გზა გადაჭრა თბილისსა და ქუთაისს შორის და საფრთხე შეუქმნა დასავლეთ საქართველოში განლაგებულ რუსის ჯარს. რამდენიმე შეტაკებაც ჰქონია რუსებთან. ერთ-ერთი შეტაკების დროს გენ. როზენის რაზმთან 1810 წლის 26 ივლისს დაღუპულა ცხრანყაროს ეკლესიის ნანგრევებთან თავის სამ ვაჟთან (როსტომ, გიორგი, სიმონი) ერთად (მეტრეველი 1979: 12). ამ დროს ივანე, როგორც ჩანს, მცირეწლოვანი იყო და ვერ შეძლო მამისა და ძმების გვერდში დგომა, თუმცა სულისკვეთება ისეთივე ჰქონდა – იგი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა რუსული რეჟიმის იმერეთში შემოღებას და 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. აჯანყების გამარჯვების შემთხვევაში, მას როგორც სოლომონ I-ის შვილიშვილს, იმერეთის თავადაზნაურობის გადაწყვეტილებით, სამეფო ტახტი უნდა დაეკავებინა (ბერძნიშვილი 1980: 94). მაგრამ აჯანყება ჩაახშვეს. დაიწყო რეპრესიები: იმერეთის მღვდელთმთავრები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გენათელი – აჯანყების აქტიური მონაწილეები, შეიპყრეს და რუსეთის გზას გაუყენეს.¹ დაჭერა არ ასცდებოდა ივანე აბაშიძესაც, მაგრამ მოასწრო და გურიიში გაიქცა ქაიხოსრო გურიელთან, მეუღლის ბიძასთან. მას დასაჭერად დაედევნა იმერეთის ახლადდანიშნული მმართველი ი. პუზირევსკი, ქართველი ხალხის დიდად მოძულე, და გურიიში ჩასდია. ს. შემოქმედთან იგი შეიპყრეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ამის შემდეგ ივანე ისევ იმერეთში გადავიდა, მაგრამ მალე რუსებმა რეპრესიები გაამკაცრეს არა მარტო იმერეთში, გურიიშიც, სადაც აჯანყებამ იფეთქა, და ივანე იძულებული შეიქნა ახალციხეში გახიზნულიყო, აქედან თურქეთში აპირებდა გადასვლას, მაგრამ არ დასცალდა – ვახტანგ ბაგრატიონის (დავით მეფის უკანონო შვილის, როსტომის ძე) მიგზავნილმა კაცმა სიცოცხლეს გამოასალმა 1822 წელს (ბერძნიშვილი 1980: 95). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის პოემაში „ასი წლის ამბავი“, რომელიც სრული სახით უცნობი იყო ქართული საზოგადოებისთვის და მხოლოდ 2001 წ. დაიბეჭდა (უცნობი აკაკი 2001: 64-85), დასახელებულია ივანე აბაშიძის მკვლეელი, ვინმე ჭუმბურიძე.² რა წყაროს ეყრდნობა პოეტი, არ არის ცნობილი. იგი არავითარ კომენტარს არ აკეთებს ამის შესახებ.

¹ დოსითეოსს წინააღმდეგობა გაუწევია რუსი ჯარისკაცებისთვის, რისთვისაც ხიშტით დაუჭრიათ რამდენიმე ადგილას, დაჭრილი ცხენზე შეუსვამთ და ისე უტარებიათ. სისხლისგან დაცლილი დოსითეოსი გარდაცვლილა სურამთან ახლოს. გარდაცვლილი უტარებიათ და ანაწურში დაუსაფლავებიათ.

² მოვიყვანო 2 სტროფს ამ პოემიდან: „მხოლოდ ერთი აბაშიძე/გადუარდათ ახალციხეს,/მან თათრების დახმარებით/მიაშურა მაგარ ციხეს,/ მაგრამ იქაც ვერაგებმა/ჭუმბურიძე შეუჩინეს,/ულალატეს და ურჯულოდ/საუკუნოდ დააძინეს...“ (უცნობი აკაკი 2001: 73).

ივანე აბაშიძის მეუღლე ანუ აკაკის ბებია იყო ელისაბედ (ლიზა) გურიელი, გურიის მთავრის სვიმონ III გურიელის ასული, რომელზეც აკაკის ნაწერებში არავითარი ცნობები არ მოიპოვება, ისევე როგორც ლევან ასათიანის წიგნში.


ივანე აბაშიძესა და ელისაბედ გურიელს ჰყავდათ 3 ასული და 1 ვაჟი. უფროსი იყო ეკატერინე|ეკა (1808-1885), აკაკის დედა.

ივანე აბაშიძის დედა, აკაკის დიდი ბებია, დარეჯან ბატონიშვილი მეუღლის, ქაიხოსრო აბაშიძის დალუპვის შემდეგ 1810 წ. გადაურჩა რეპრესიებს, მაგრამ 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყების დროს შვილის აქტიურობის გამო შეიპყრეს და რუსეთის გზას გაუყენეს. მასთან ერთად გადაასახლეს ივანეს მეუღლე ელისაბედ გურიელი და შვილები – 12 წლის ეკა და 10 წლის გიორგი. გურიის მთავრის, მამია გურიელის თხოვნით, მისი და, ელისაბედი და დისშვილი ეკა გზიდან დააბრუნეს. იმერეთში მათ სახლი აკლებული დახვდათ, ქონება მიტაცებული და მამიამ თავისთან, გურიაში წაიყვანა დედა-შვილი. დარეჯანი და შვილიშვილი გიორგი კი ჯერ ვორონეჟში ჩაიყვანეს, შემდეგ პენზაში. 5 წლის შემდეგ დარეჯანი მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა 1827 წელს. დასაფლავებულია პოკროვსკის (ღვთისმშობლის საფარველის) მონასტერში. მისი საფლავის ეპიტაფია იუნყება: „საქსოვარსა ამას ქვეშე განისვენებს მტვერი ასულისა იმერთა მეფისა, სოლომონ დიდისა, საქართუშლოს თავადისა, ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლისა დარიასი, ჩღნე-ისა წელსა შობილისა, ჩყკზ-სა წელსა იანვრის კდ-სა დღესა აღსრულებულისა“... (ბერძნიშვილი 1980: 92).

რაც შეეხება გიორგი აბაშიძეს, გურამ შარაძის გამოკვლევით, რუსეთში არსებული დანესებულება „სამხედრო ობოლთა განყოფილება“, სადაც „მოღალატეთა“ შვილებს ათავსებდნენ (შარაძე 2006ბ: 96). იქ დანერგილი წესები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ახალგაზრდების გარუსებას. როგორც ჩანს, გიორგი აბაშიძესაც ეს ბედი ერგო.

ეკატერინე|ეკა განშორებას ბებია დარეჯანთან, რომელიც სიყვარულით ზრდიდა და თავს ევლებოდა შვილიშვილს, ძალიან განიცდიდა, თუმცა გურიაში ბიძის, მამია V გურიელის ოჯახში არ აკლდა სითბო და ყურადღება. ამ ოჯახში, სადაც, აკაკის სიტყვებით, „თითქმის შინაკაცებად ითვლებოდნენ ფრანგის პატრები“, ეკატერინემ იმ დროის კვალობაზე, კარგი განათლება მიიღო – შეისწავლა ექიმობა და ოჯახის მეურნეობის გაძღოლა. იყო წიგნიერი, კარგი მეოჯახე, ხელსაქმის მცოდნე, გამრჯე და ჰუმანური, მაგრამ მომთხოვნი ადამიანი. „სასახლეში მისი ყველას ეშინოდა და დიდი ხატრიცა ჰქონდათო“, ნათქვამია აკაკის თხზულებაში (წერეთელი 1985: 25). კეთილ და სამართლიან ეკას „გაჭირვებულის დახმარება რჯულად ჰქონდა დადგენილიო“, – დასძენს პოეტი იქვე.

ეკატერინე აბაშიძის გენეალოგია ასეთია (შარაძე 2006: 86):



როგორც გენეალოგიიდან ჩანს, ეკატერინე||ეკა აბაშიძის წინაპრები დიდად წარჩინებული და ცნობილი ისტორიული პირები ყოფილან: მამის ხაზით – მეფეები ბაგრატიონის გვარიდან, დედის ხაზით – გურიის მმართველი თავადები – გურიელები. აკაკის ბებია ელისაბედ (ლიზა) გურიელი, როგორც უკვე ავლნიშნეთ, იყო გურიის მმართველის, სვიმონ III-ის (1744-1792) ასული, და მამია V-ის³ და. ელისაბედის დედა ანუ აკაკის დიდი ბებია, მარინა ქაიხოსროს ასული წერეთელი მეუღლის, სვიმონ III გურიელის გარდაცვალების შემდეგ ვაჟის, შემდგომში მამია V-ის, მცირეწლოვნების გამო 1792-1805 წლებში გურიის სამთავროს განაგებდა თავის მაზლ ქაიხოსრო გურიელთან ერთად.⁴ უნდა აღინიშნოს, რომ მარინა წერეთელი-გურიელი იყო და იმერეთის დიდი ფეოდალის, ზურაბ წერეთლისა, რომელმაც დაჩაგრა (ძელქვის სახლი წაართვა) მცირეწლოვანი როსტომ წერეთელი, ამ უკანასკნელმა კი ოციოდე წლის შემდეგ ზურაბის დის შვილიშვილი ეკატერინე აბაშიძე შეირთო ცოლად.

მივუბრუნდეთ ივანე აბაშიძეს: იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გურიაში გაქცეულ ივანეს იმერეთში ყმა-მამული და სხვა ქონებაც დარჩა. სოლომონ დიდმა ქალიშვილს, დარეჯანს მზითევეში სოფ. შროშაც უბოძა, რომელიც მემკვი-

³ მამია V სამთავროს ნომინალურად მართავდა 1792 წლიდან, ფაქტობრივად კი – 1809-1826 წლებში (Дворянские роды российской империи 1998: 33).

⁴ ეს ის ქაიხოსროა, რომელსაც შეაფარა თავი იმერეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ივანე აბაშიძემ.

დროებით გადაეცა შვილს. ახალციხეში გადასვლის შემდეგ ივანე აბაშიძეს ჩამოართვეს ეს სოფელი ყმებთან ერთად, რაც ასახულია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ დოკუმენტში (HD 5456). მასში შორაპნის მაზრის უფროსი, შტაბს-კაპიტანი ჭილაძე აფრთხილებს შრომის მოურავს, ივანე მაჭავარიანს: „მუხანათის თავადის, ივანე აბაშიძისგან ჩამორთმეულს ყმასა და მამულს არ მოაკლდეს ზრუნვა და პატრონობა“, წინააღმდეგ შემთხვევაში „გარდახდეს კანონისამებრო“ როგორც ჩანს, მამული და ყმები „ხაზინის“ მფლობელობაში იყო გადასული და ამიტომ ზრუნავდა მათ მოვლა-პატრონობაზე შორაპნის მაზრის უფროსი. ივანე აბაშიძეს, იმერეთის უძლიერეს თავადასა და მეფობის კანდიდატს 1819 წელს, გარდა სოფლების (საქარაც მისი უნდა ყოფილიყო, თუ არ ჩამოართვეს მამის აქტიურობის გამო 1910 წელს) და ყმა გლეხებისა სხვა სახის ქონება არც თუ მცირე უნდა ჰქონოდა, სანამ დაარბევდნენ და დაიტაცებდნენ (მასში შედიოდა დედის, დარეჯან ბატონიშვილის ნაშთითი ძვირფასი ნივთები და ხელნაწერები). მათგან ყველაზე ფასეული ივანეს თან წაუღია გურიაში, ს. შემოქმედში ქაიხოსრო გურიელთან იმერეთიდან გაქცევის დროს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ მათ შორის იყო სოლომონ I-ის ნაქონი „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ხელნაწერი მე-18-ს. I ნახევრისა, ნაწერი სპარსულ ქალაღზე და 87 ფერადი ილუსტრაციით შემკული (ამჟამად დაცულია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, S 5006). ხელნაწერი მნიშვნელოვანია პოემის ტექსტის ისტორიის გასათვალისწინებლად, ისევე როგორც შესანიშნავი მინიატურებით, ამიტომ მასზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს, მეცნიერულად კი შეისწავლა და აღწერა სარგის ცაიშვილმა (ცაიშვილი 1970ა: 186-278; ცაიშვილი 1970ბ: 38-39). სოლომონ II-ის დავალებით შექმნილ ამ ხელნაწერს საინტერესო თავგადასავალი აქვს (თაყაიშვილი 1958: 164-165; ჭუმბურიძე 2000: 301-309). ცალკე ისტორია აქვს ხელნაწერის 10 მინიატიურას, რომელიც ამოჭრეს და საზღვარგარეთ გაიტანეს გასაყიდად, ამჟამად კი ისევ ამშვენებს ხელნაწერს.

როგორც უკვე ითქვა, ეს ხელნაწერი სოლომონ მეფემ მზითვეში გაატანა თავის ქალიშვილ დარეჯანს და ასე მოხვდა იგი ქაიხოსრო აბაშიძის, ივანეს მამის, ოჯახში. როდესაც პუზირევსკის მოკვლის შემდეგ ივანე აბაშიძე დაბრუნდა იმერეთში და რეპრესიების გამო მალევე იძულებული გახდა ახალციხეში გადასულიყო, სადაც იგი მოკლეს 1822 წელს, ხელნაწერი დარჩა ქაიხოსრო გურიელის ოჯახში, ს. შემოქმედში. ივანეს ცოლ-შვილის, რუსეთში გასახლებული და შეწყალებული ელისაბედისა და ეკას თავზე იმდენმა ქართველიმა გადაიარა, რომ, როგორც ჩანს, ხელნაწერის დაბრუნებაზე არც უფიქრიათ. შესაძლებელია, ვერც გურიელის ოჯახმა გაიმეტა დასაბრუნებლად ძვირფასი ხელნაწერი და დაიტოვა როგორც რელიქვია. შემდგომში ხელნაწერი ქაიხოსრო გურიელის მეუღლემ, ელისაბედ ქაიხოსროს ასულმა ერისთავმა (ოსმალეთში გადახვეწილი ქაიხოსრო გარდაიცვალა 1829 წ.) მზითვეში გაატანა თავის ქალიშვილს, პელაგია გურიელს (1823-1885), რომელიც ცოლად გაჰყვა (1843 წ. შემდეგ) ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელს (გარდაიცვალა 1883 წ.), ზურაბ წერეთლის შვილიშ-

ვილს. ამიტომ ეს ხელნაწერი სამეცნიერო წრეებში ცნობილია როგორც „პელაგია წერეთლისეული“. 1880 წ. პელაგია წერეთელმა ხელნაწერი დროებით სარგებლობაში გაუგზავნა პოემის ტექსტის დამდგენ კომისიას. როგორც ცნობილია, ამ და სხვა ხელნაწერთა საფუძველზე მეცენატ გ. ქართველიშვილის დაფინანსებით 1988 წ. განხორციელდა შესანიშნავი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“, დასურათებული მ. ზიჩის მიერ. პელაგიას გარდაცვალების შემდეგ ხელნაწერს ახალი პატრონი გაუჩნდა, გიგო წერეთელი, შემდეგ – ფრიდონ წერეთელი... ხელნაწერმა საკმაო გზა განვლო, სანამ მოხვდებოდა ცნობილი მწარმის, დავით სარაჯიშვილის ხელში, შემდეგ, ექვთიმე თაყაიშვილის დიდი ძალისხმევით, – წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკა-მუზეუმში, აქედან კი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ზურაბ წერეთლის ვაჟი, გრიგოლი, ცნობილი ბიბლიოფილი და კოლექციონერი, ძველი ხელნაწერების მოსაპოვებლად არაფერს ერიდებოდა, უკადრის საქციელსაც კი. როდესაც ივანე აბაშიძე იძულებული შეიქნა იმერეთში მიეტოვებინა ყმა-მამული, სახლ-კარი, სხვა სახის ქონება და ახალციხეში გადახვეწილიყო, გრიგოლს მიუთვისებია მისი კუთვნილი ხელნაწერები (ბერძინიშვილი 1983: 241).⁵ საფიქრებელია, ძვირფასი ნივთებიც. ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, დაადასტურა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ერთ-ერთ ფონდში შემონახულმა ალექსანდრე წერეთლის, გრიგოლის ვაჟის, ქონების ნუსხამ (ხეც, ნ. წერეთლის ფ. NN№233; ყანჩაველი 2003: 338-346), რომელიც 1853 წელს ქუთაისის სასამართლოში წარუდგენია ალექსანდრეს ძმიშვილს, გენერალ ნესტორ დიმიტრის ძე წერეთელს, პელაგია წერეთლის მეუღლეს, ამ ქონების ნილის მიღების მიზნით. ჩამონათვალში ერთ-ერთ ძვირფას ნივთს მითითებული აქვს, რომ იგი მეფის ასულ დარეჯანის კუთვნილება იყო: „ხატი ყოვლის წმინდისა ღმრთისმშობლისა, ოქროთი და თვლებით მოჭედილი, ნაწილებით სავსე, დანაშთენი მეფის ასულის დარეჯანისა“ (ყანჩაველი 2003: 339). მაშასადამე, ეს რელიქვია ივანე აბაშიძის ოჯახიდანაა, დედის, ბატონიშვილ დარეჯანის მზითევში მოყოლილი, რომელიც იმერეთიდან გაქცეულმა ივანემ თან ვერ წაიღო და ოჯახში დატოვა სხვა ძვირფას ნივთებსა და ხელნაწერებთან ერთად. ეჭვი არ არის, რომ ალექსანდრე წერეთლის ქონების ნუსხაში ივანე აბაშიძის ოჯახიდან მიტაცებული სხვაც ბევრი ნივთი თუ ხელნაწერი იქნებოდა, რაზეც სხვა ადგილას არავითარი მითითება არ არის გასაგები მიზეზის გამო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აკაკის სცოდნია, თუ როგორ მოხვდა გრიგოლ წერეთლის ხელში ხელნაწერთა ერთი ნაწილი. იგი გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაში, რომელიც ეხება ალ. წერეთლის ბიბლიოთეკას, უცნობს ქართული

⁵ ხელნაწერის მოპოვებაში მას ეხმარებოდნენ დები: ქეთევანი (იოანე ბატონიშვილის მეუღლე), მართა (ლევან დადიანის მეუღლე) და მამიდა, მარინა წერეთელი-გურიელისა, აკაკის დიდი ბებია.

საზოგადოებისთვის (დროება 1871: 3), წერს: „გამოჩენილის თავადის, გრიგოლ წერეთლის ბედმა ისე იმუშავა, რომ ბევრის შეგროვებული წიგნები იმას ჩაუგდო ხელში“, კერძოდ, ზაქარია არქიმანდრიტის და ანტონ კათალიკოსის წიგნებიო. აკაკიმ იცის აგრეთვე თავისი ბაბუის ბიბლიოთეკის ბედიც: „როდესაც თ. ივანე აბაშიძე გადავარდა ახალციხეს, გრიგოლმა დაირჩინა მისი წიგნები და შეადგინა ძვირფასი ბიბლიოთეკა“ (ყანჩაველი 2003: 3). ამას პოეტი აღნიშნავს ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, თითქოს ივანე აბაშიძე მისი ბაბუა არ იყოს და მიტაცებული ხელნაწერები მისი სავარაუდო მემკვიდრეობა! ასეთი მიმტევებლობა გასაკვირი არ არის თუ გავითვალისწინებთ იმავე წერილიდან აკაკის სიტყვებს, რომ ძველი ქართული ხელნაწერები არა კერძო პირის, არამედ მთელი ქართველი ხალხის საკუთრებაა, ამიტომ აკაკის არც გააჩნდა პრეტენზიები მათზე. იგი, აღშფოთებას არ მალავდა, როდესაც ხალხის საკუთრებას კერძო პირი ითვისებდა როგორც მაგალითად, ზემონახსენები ალ. წერეთელი. და საზოგადოების წევრებს მათი გამოყენების საშუალებას უსპობდა. ცოტათა იმავე წერილიდან: „ძველი ქართული წერილების მითვისება და დამალვა საზოგადოებისაგან არის მითვისება საზოგადოების და შთამომავლობის საკუთრებისა“. აკაკის მიაჩნდა, რომ მწერალი წერს თავისი აზრების მთელი საზოგადოებისთვის გასაზიარებლად და შთამომავლობისთვის გადასაცემად და არა ერთეულებისთვის. ეს რომ ასე არ იყოს, თავს არ შეინუხებდა და შრომას არ გასწევდაო.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ალ. წერეთლის ქონების ზემოთ ნახსენებ ჩამონათვალში დასახელებულია 70-მდე ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი, რასაც ემატება დასახელების გარეშე ერთი ამდენზე მეტი, სულ – 160 ერთეული. მათ შორისაა 3 „ვეფხისტყაოსანი“ – 2 ნაბეჭდი და 1 ხელნაწერი. ეს ხელნაწერი უნახავს და აღუწერია პლატონ იოსელიანს და აღწერილობა დაუბეჭდავს გაზ. *Кавказ*-ში (*Кавказ* 1870: 2-4). იგი ხელნაწერს მოიხსენიებს ასე: „იმერელ თავად, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის კუთვნილი“. წერილში ავტორი განიხილავს სხვადასხვა ოჯახში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ 3 ხელნაწერს, რომელთაგან ერთი იდენტიფიცირებულია (Q-1082, ე. წ. ზაზასეული ხელნაწერი), დანარჩენი 2 იდენტიფიკაციის გარეშეა. სარგის ცაიშვილი შეეცადა მათ ამოცნობას პოემის ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორიდან არც ერთი არ უნდა იყოს პელაგია წერეთლისეული ანუ სოლომონ I-ის ნაქონი და დარეჯან ბატონიშვილის ნამზითვი ხელნაწერი. თუმცა გარკვეული ეჭვი მაინც რჩებაო, – აღნიშნავს მკვლევარი (ცაიშვილი 1970ბ: 18) და დამატებით არგუმენტებს ეძიებს. ვფიქრობთ, ამ არგუმენტად გამოდგება ნესტორ წერეთლის მიერ სასამართლოში წარდგენილი ჩამონათვალი ალ. წერეთლის ქონებისა, რომელშიც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიც იხსენიება. სწორედ ეს ხელნაწერი უნდა ენახა და აღწერა პლატონ იოსელიანს. რომ ეს ასე უნდა იყოს, გვიდასტურებს შემდეგი: 1. პლ. იოსელიანმა ნახა და აღწერა, როგორც თავად ამბობს, „იმერელ თავად, პოლკოვნიკ გრიგოლ წერეთლის კუთვნილი“ ხელნაწერი; მასში არ შეიძლება იგულისხმებოდეს პელაგია წერეთლი-

სეული ხელნაწერი, რომელიც ნესტორ წერეთლის ოჯახში გაჩნდა გრიგოლის გარდაცვალების (1843წ.) შემდეგ, როცა ნესტორმა პელაგიაზე იქორწინა. გ. შარაძის მართებული შენიშვნით, „გრიგოლ წერეთელს თავის ოჯახში არც პელაგია გურიელი უნახავს თვალით და არც მისი ნაქონი „ვეფხისტყაოსანი“, (შარაძე 1973: 62) ამიტომ უდავოა, მის სახელს ამ ხელნაწერს ვერავინ მიანიჭებდა. 2. გაზ. Кавказ-ში გამოქვეყნებული აღწერილობა, თუნდაც შესრულებული ყოფილიყო ზეპირად, მახსოვრობის მიხედვით დათვალელებიდან საკმაო ხნის შემდეგ, არანაირად არ ასახავს პელაგია წერეთლისეული ხელნაწერის (S 5006) რეალურ ვითარებას და 3. რატომ შეიტანდა ნესტორ წერეთელი თავისი ბიძის, ალექსანდრეს სამემკვიდრეო ქონებაში, რომელიც ალექსანდრემ მამისგან, გრიგოლისგან მიიღო, თავისი მეუღლის ნაშთით „ვეფხისტყაოსანს“ და რატომ გახდოდა სადავოდ ხელნაწერს, რომელიც წერეთლების სამემკვიდრეო ქონების ნაწილი არ იყო. მაშასადამე, ეჭვი შესახებ იმისა, რომ პელაგია წერეთლისეული ხელნაწერი შეიძლება ყოფილიყო პლ. იოსელიანის მიერ ნანახი და აღწერილი, სრულიად გაქარწყლებულია. გრ. წერეთლისეული ხელნაწერი კი საძიებელია, თუ დაკარგული არ არის. როგორც ჩანს, აკაკიმ არ იცოდა ბაბუის ნაქონი ამ ხელნაწერის ისტორია, ამიტომ არსად არაფერი აქვს ნათქვამი მის შესახებ, სხვათა შორის, არც იმ ლექსში, რომელიც მიუძღვნია პელაგია წერეთლისათვის.⁶

როგორც ვნახეთ, ივანე აბაშიძის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა დიდად დაზარალდა იმერეთში რუსების გაბატონებისა და ივანეს მკვლელობის გამო და ამ ქონების ერთი ნაწილი შეემატა მომხვეჭელ ფეოდალებს, მათ შორის, მამაშვილ ზურაბ და გრიგოლ წერეთლებს. ამიტომ ივანე აბაშიძის ქონების კვალი საძიებელია გრიგოლის შვილის, ალექსანდრე წერეთლის ქონების ჩამონათვალში, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. ბედის ირონიით გრიგოლ წერეთლის მიერ მიტაცებულ ქონებას ივანე აბაშიძის ოჯახიდან, მათ შორის ხელნაწერებს, გრიგოლის შვილიშვილის, ნესტორ წერეთლის ოჯახში შეემატა მეუღლის, პელაგია გურიელის მზითვის სახით, სოლომონ I-ის ნაქონი და დარეჯან ბატონიშვილის ნაშთითვი „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი ხელნაწერი, რომელიც დიდი ალბათობით ეკატერინე აბაშიძის ანუ აკაკის ოჯახის მშვენიერა უნდა გამხდარიყო.

ეჭვი არ არის, „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეულად დამფასებელი პოეტი, რომელმაც პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საკანდიდატო შრომად წარადგინა თემა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ და რომელმაც 80-იან წლებში საჯარო ლექციების მთელი ციკლი წაიკითხა ქართულად და რუსულად პოემის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში, მას ქართველი ხალხის საკუთრებად გამოაცხადებდა და ადგილს მიუჩინდა მუზეუმში. დღეს ეს ხელნაწერი ცნობილი იქნებოდა არა „პელაგია

⁶ მიძღვნის ობიექტი პოეტს ინიციალებით აქვს აღნიშნული „პ.“ „წ.“ რაც გურამ შარაძემ გაშიფრა როგორც „პელაგია წერეთელი“ (შარაძე 2006ა: 285)

წერეთლისეულად“ არამედ „აკაკისეულად“, რაც კიდევ უფრო განადიდებდა ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის სახელს.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ასათიანი** 1965: ასათიანი ლ., ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965.
2. **ბერძნიშვილი** 1980: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980.
3. **ბერძნიშვილი** 1983: ბერძნიშვილი მ., მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.
4. **დროება** 1871: გაზ. „დროება“, N28, 1971 (17 ივლისი).
5. **თაყაიშვილი** 1958: თაყაიშვილი ექ., მოგონებები, მნათობი, N7, თბ., 1958.
6. **მეტრეველი** 1979: საქართველოს ისტორია (ლექსიკონი), შემდგენელი რ. მეტრეველი, თბ., 1979.
7. **სოსელია** 1981: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1981.
8. **უცნობი აკაკი** 2001: უცნობი აკაკი (ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები), თბ., 2001.
9. **ყანჩაველი** 2003: ყანჩაველი ნ., XIX, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
10. **შარაძე** 1973: შარაძე გ., არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973.
11. **შარაძე** 2006ა: შარაძე გ., აკაკი წერეთელი (ცხოვრება, შემოქმედება, მოღვაწეობა), I, თბ., 2006.
12. **შარაძე** 2006ბ: შარაძე გ., აკაკი წერეთელი (ცხოვრება, შემოქმედება, მოღვაწეობა), II, თბ., 2006.
13. **შარაძე** 2006გ: შარაძე გ., აკაკი წერეთელი (ცხოვრება, შემოქმედება, მოღვაწეობა), III, თბ., 2006.
14. **შარაძე** 2007: შარაძე გ., აკაკი წერეთელი (ცხოვრება, შემოქმედება, მოღვაწეობა), IV, თბ., 2007.
15. **ცაიშვილი** 1970ა: ცაიშვილი ს., ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, თბ., 1970.
16. **ცაიშვილი** 1970ბ: ცაიშვილი ს., ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970.
17. **წერეთელი** 1985: აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, ქართული პროზა, IX, თბ., 1985.
18. **ჭუმბურიძე** 2000: ჭუმბურიძე ზ., ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 2000.
19. **ხეც, ნ. წერეთლის არქივი**: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ნ. წერეთლის პირადი საარქივო ფონდი.
20. **Дворянские роды российской империи** 1998: Дворянские роды российской империи, Князя царства Грузинского, М. 1998.
21. **Кавказ** 1870: გაზ. "Кавказ", N13, 1870.

Lia Kiknadze

SOME TRAITS FOR AKAKI TSERETELI BIOGRAPHY

SUMMARY

In this article we define some details of Akaki Tsereteli biography more precisely and also add some information unknown to us up till now, which on its hand enriches the poet's life peripeties.

The attention is mainly focused on so called Pelagia Tsereteli's manuscript of „The Knight in the Tiger's Skin“, which is currently protected in the Georgian National Center of Manuscripts and earlier belonged to Akaki's grandfather (from mother's side) Ivane Abashidze. If not the famous events that took place in Imereti (rebellion of 1819-1820), the manuscript would not have been found in Guria, in the family of Kaikhosro Tsereteli, from where it was given to Pelagia Gurieli-Tsereteli as dowry. Thus the remarkable illustrated manuscript of “The Knight in the Tiger's Skin” meant to be delivered by inheritance to Ekaterine Abashidze, Akaki's mother, has been instead found in the family of Nestor Tsereteli, a completely different person.

ნიკოლოზ ჟღანტი

თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა იმერეთის სამეფო კარის მდივან-მნიგნობართა საგვარეულო¹

იმერეთის სამეფოს ისტორიული საბუთების შესწავლისას, გამოიკვეთა ერთი საინტერესო ტენდენცია – XV-XVIII საუკუნეების სამეფო დოკუმენტების დამწერთა უმრავლესობა თავაქარაშვილთა გვარის წარმომადგენელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ეს გვარი ნაკლებადაა ცნობილი. ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი მამუკა თავაქარაშვილია. მის კალამს ეკუთვნის 1646 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი რედაქცია (ხეც, H-599), რომელსაც გადამწერის მიხედვით, „თავაქარაშვილისეული“ ეწოდა. ასევე სხვა ხელნაწერები (მის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ).

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ამ საგვარეულოს წარმომადგენლები, ძველი დროიდან, იმერეთის სამეფოს მდივნები ყოფილან და ასახელებს მათგან მხოლოდ ექვს მდივანს თავისი ქრონოლოგიით (კეკელიძე 1952: 243).

მდივან-მნიგნობრებთან დაკავშირებული საკითხების მკვლევარმა ა. ბაქრაძემ ერთ-ერთ ნაშრომში იმერეთის სამეფო კარზე მოღვაწე აღნიშნული საგვარეულოს მხოლოდ სამი წარმომადგენელი – ასლან, გიორგი და თავაქარ მოიხსენია (ბაქრაძე 1960: 72, 75). სხვა ნაშრომში კიაღნიშნავს: „იმერეთის სამეფოს მდივან-მნიგნობართა რაოდენობის დადგენა ძნელდება ცნობათა სიმცირის გამო, მაგრამ უდავოა, რომ აქაც არა ერთი და ორი მდივან-მნიგნობარი იქნებოდა“. ამავე ნაშრომში ავტორი ამბობს, რომ თავაქარაშვილების საგვარეულოში ცნობილია 17 მდივანი, თუმცა, მოცემული რიცხვის გარდა აღარაფერს ამბობს და არც მათ სახელებს გვთავაზობს (ბაქრაძე 1966: 271, 275).

ამ საგვარეულოს ბოლოს ახსენებს ვ. ბერიძე, რომელიც გვთავაზობს ამ საგვარეულოს მდივნების მცირე და არასრულ ჩამონათვალს, ხოლო შემდეგ

¹ მოხსენება ნაკითხული ილია აბულაძის სახელობის მეორე სამეცნიერო კონფერენციაზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 26-27 ნოემბერი, 2014 წ.

ყურადღებას ამახვილებს ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელზე – მამუკა თავაქარაშვილზე (ბერიძე 1967: 93-97).

ა. ბაქრაძე ძირითადად ქართლის სამეფო კარის მდივან-მნიგნობართა საგვარეულოს – თუმანიშვილებს იკვლევდა, რის შედეგადაც, ცნობილი გახდა ამ საგვარეულოს 30 მდივან-მნიგნობარი, მათი მოღვაწეობის თარიღები და გენეალოგია² (ბაქრაძე 1963: 163-178). მათთან შედარებით, თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა მდივან-მნიგნობართა საგვარეულოს წარმომადგენლების შესახებ საბუთებში და რამდენიმე ხელნაწერ ნიგნში დაცულია შედარებით უფრო მცირე ინფორმაცია, რის გამოც, ვერ დგინდება მათი ურთიერთმიმართება და გენეალოგია,³ თუმცა, კვლევის შედეგად, მოხერხდა მათი რაოდენობის და ვინაობის დაზუსტება, რომელიც ნამდვილად აღემატება ა. ბაქრაძის შემოთავაზებულ რიცხვს.

აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი და აქტუალურია ქართული დიპლომატიკისთვის და წყაროთმცოდნეობისთვის, რადგან „*მდივან-მნიგნობრების მიერ არის დანერგილი უმეტესი ნაწილი ისტორიული დოკუმენტებისა, რომლებიც ჩვენ გვანვდიან უხვ და საყურადღებო ცნობებს საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის საკითხებზე. მათ მიერვე არის გადაწერილი მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხელნაწერი ნიგნები. მეტად საინტერესოა საბუთების დამწერთა ვინაობის დადგენა. ვინ წერს საბუთს? არიან ისინი შემთხვევითი თუ სპეციალურად მომზადებული, განსწავლული პირები? ამ შემთხვევაში დგება საკითხი დოკუმენტის შემდგენელთა, ე. ი. მდივან-მნიგნობართა, სკოლების არსებობის შესახებ. მდივან-მნიგნობრის ინსტიტუტის შესწავლას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სახელმწიფო სამართლის თვალსაზრისით. საინტერესოა, რა ფუნქცია-მოვალეობა აკისრიათ მათ, რა მიმართებაში არიან დარბაზის კარის სხვა მოხელეებთან: მსახურთ-უხუცესთან, მდივან-ბეგებთან.*

ამდენად, ქართველი მდივან-მნიგნობრების საკითხის შესწავლას, მათი ვინაობის დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული სახელმწიფო სამართლის და ქართული კულტურის, განსაკუთრებით, ქართული მნიგნობრობის შესწავლის საქმეში.

მდივან-მნიგნობართა ვინაობის დადგენას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნატყუარი საბუთების გამოვლინების, მათი სანდოობა-ეჭვმიუტანლობის დადგენისა და საბუთების დათარიღების საქმეში.

² აღნიშნულ ნაშრომში საუბარია XV-XVII საუკუნეების მდივან-მნიგნობრებზე, ა. ბაქრაძის აზრით, კი თუმანიშვილთა საერთო რაოდენობა XVIII საუკუნის ბოლომდე 42 მდივან-მნიგნობარს ითვლის (ბაქრაძე 1966: 271).

³ ჩვენთვის საინტერესო საგვარეულო, ისევე როგორც სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების მდივან-მნიგნობრების საგვარეულო, მემკვიდრეობით ფლობდა ამ თანამდებობას იმერეთის მეფის კარზე, ამის შესახებ, უფრო ვრცლად, ქვემოთ ვისაუბრებ.

დამწერის სახელის არ დანერა შესაძლოა ყოფილიყო საბუთის სიყალბის აღმნიშვნელი“ (ბაქრაძე 1960: 65).

სადათიერ. 1491 წელს ქართლის მეფე კოსტანტინე II-მ (1465-1505) მთის წმ. გიორგის მონასტერს ულაცის გადასახადი ამოუკვეთა, რის სანაცვლოდ, ალაპიც გაიჩინა⁴ (ქიმ, K-608). ამ კერძო შეწირულობის საბუთის დამწერი არის სადათიერ თავაქალაშვილი, რომელსაც, ამავე საბუთის მიხედვით, კოსტანტინე მეფის კარზე რამდენიმე თანამდებობა ერთდროულად ეკავა (ჟღენტი 2011ბ: 208). იგი იყო მწიგნობარი,⁵ მუშრიბი⁶ და მესტუმრე.⁷ თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სადათიერი ქართლის მეფე კოსტანტინეს კარზე მოღვაწეობდა, ჩემი აზრით, იგი იყო არა ქართლის, არამედ იმერეთის სამეფო კარის მოხელე. აღნიშნული ვარაუდი ემყარება ორ ფაქტს და ერთ მოსაზრებას: 1. ამ გვარის ყველა მომდევნო წარმომადგენელი, რომლებიც საბუთებში და სხვა წერილობით ნყაროებში გვხვდებიან, დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ იმერეთის მეფეთა კარზე, ან კიდევ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა დიდი ფეოდალების მდივან-მწიგნობრებად იხსენიებიან; 2. მთის წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, რაჭა-იმერეთის საზღვარზე, ნაქერა-

⁴ აღნიშნული საბუთის დედანი დაკარგულია, თუმცა, მოგვიანო პერიოდში შესრულებული პირებიდან და საბუთის დედნის XIX საუკუნის ანოტაციიდან ცნობილი ხდება, რომ იგი შესრულებული ყოფილა უფრო ძველი – 1465-1467 წწ-ის (დათარილება ჩვენია, იხ. ჟღენტი 2010: 144-154) მეფე ბაგრატ VI-ის (1455-1478) მიერ იმავე მონასტრისადმი გაცემულ შეწირულობის წიგნზე, ძირითადი ტექსტის და მეფე ალექსანდრე II-ის (1478-1510) დამტკიცების შემდეგ (იხ. ჟღენტი 2011ა: 95-122).

⁵ სრულად მწიგნობრის ფუნქციების, მოვალეობების და სხვა საკითხების შესახებ იხ.: სურგულაძე 1978: 137-144; ბაქრაძე 1966: 269-293; ბაქრაძე 1960: 65-79.

⁶ მუშრიბი (არაბ. მუშრიფ – ზედამხედველი, მეთვალყურე, მწერალი), მოხელე ძვ. საქართველოში. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მუშრიბი მეჭურჭლეთუხუცესს ექვემდებარებოდა და ქ-ებში აკრეფილ ბაჟსა თუ სავაჭრო გადასახადს საჭურჭლის უხუცესებს აბარებდა. XVI-XVIII საუკუნეებში მუშრიბი მოსაქმეობდა სხვადასხვა უწყებაში, სადაც ძირითადად, საანგარიშსწორებო დოკუმენტებს ადგენდა (კეკელია 1984: 226). უფრო სრულად მუშრიბის ფუნქციების, მოვალეობების და სხვა საკითხების შესახებ იხ., სურგულაძე 1978: 78, 145-146; სურგულაძე 1952; ჯავახიშვილი 1982: 309-310.

⁷ მესტუმრე, იყო თანამდებობის პირი, რომელსაც ევალებოდა მოციქულების, სტუმრებისა და მეძღვნეთა მიღება, „სტუმართ მოურავი“ (ორბელიანი 1991: 466). უფრო ვრცლად იხ. ჯავახიშვილი 1982: 301, 328.

ლას ქედზე;⁸ 3. ქართლის მეფე კოსტანტინეს იურისდიქცია 1491 წლისთვის მოიცავდა იმერეთის მნიშვნელოვან ნაწილს.⁹

ამრიგად, ჩვენთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებში, სადათიერ თავაქალაშვილის სახით, საქმე გვაქვს იმერეთის სამეფო კარის მნიგნობართა ამ საგვარეულოს ყველაზე ადრინდელ წარმომადგენელთან.

ალადადი. თავაქალაშვილთა საგვარეულოს მომდევნო მნიგნობარი არის იმერეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1478-1510) კარზე მოღვაწე მდივანი ალადადი, რომლის ხელით შექმნილი ორი საბუთი შემოგვრჩა. ესენია: 1495 წელს ივანე ქერობიძისადმი გაცემული სასისხლო სიგელი (ქიმ, K-1026; ანოტირებული ლექსიკონი 1993: 263)¹⁰ და 1497 წელს დაწერილი სასისხლო სიგელი ადამ ფონჯავიძისადმი (კაკაბაძე 1924: 66-67).

ზურაბი. 1527 წ-ს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) სეფე ჯვარის-მტვირთელ იოსებ ფანჩულიძეს მისცა წყალობის წიგნი, რომლის დამწერიცაა ზურაბ თავაქალაშვილი (ხეც, Sd-2894; კაკაბაძე 1921ა: 8-10).

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კონსტანტინე მეფის მნიგნობარ-მუშრიბი სადათიერი საბუთში იხსენიება როგორც თავაქალაშვილი, ხოლო სამეფო კარის ერთ-ერთი მომდევნო მდივან-მნიგნობარი ზურაბი, როგორც თავაქალაშვილი. ქვემოთ ასეთი სახის განსხვავება მნიგნობართა გვარში (ლ/რ) რამდენჯერმე კიდევ განმეორდება.

მირველი. აღნიშნული საგვარეულოს რიგით მეოთხე წარმომადგენელს ვხვდებით 1558 წლის კოსტანტინე მეფის შეწირულობის საბუთში იერუსალიმის

⁸ ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „სამჯრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არპანისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს ნაქერალას, ველევს...“. მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის სახელწოდებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, იმერეთის და რაჭის საზღვარზე, ნაქერალას ქედზე, მაღალ კლდეზეა აღმართული და თარიღდება დაახლოებით IX საუკუნის II ნახევრიდან X საუკუნის I ნახევრამდე პერიოდით, მთავარი ნავის ჩრდილოეთ მინაშენი X საუკუნის დასასრულით ან XI საუკუნის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით. მონასტრის ჩრდილო-დასავლეთით ხვამლის მთაა აღმართული. სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ნაქერალას მთაა, რომლის გაგრძელებაა წარმოადგენს ლეკნარი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 769; ბოჭორიძე 1994: 85-90; დვალი 1968: 155-165; ბერაძე 1983: 119-120).

⁹ ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ქართლის მეფე კოსტანტინე 1480-იან წლებში ორჯერ იმორჩილებს იმერეთს, ხოლო იმერეთის მეფე ალექსანდრე თავს მთებს აფარებს (ლომინაძე 1979: 733-748). მთის წმ. გიორგის საბუთი კი გვიჩვენებს, რომ 1491 წელს მეფე კოსტანტინე ისევ ფლობს იმერეთს (ჟღენტაძე: 2013: 98-100).

¹⁰ საბუთი მოხატულია (კლდიაშვილი 2011: 71). არაა გამორიცხული მომხატველიც იგივე ალადადი იყოს.

ჯვრის მონასტრისადმი¹¹ (ხეც, Qd-1447; ბურჯანაძე 1958: 16-17), რომლის დამ-
ნერიცაა მირველ თავაქალასშვილი.¹²

ალა. ჩვენამდე შემორჩა მეფე გიორგი II-ის (1565-1583) მიერ 1568-1573 წლებ-
ში გელათის მონასტრისადმი სამი შენირულობის საბუთი, რომელიც შესრულე-
ბულია თავაქარაშვილი ალას მიერ¹³ (ხეც, Sd-2901; კაკაბაძე 1921ა: 17-19; სეა,
1449-267; სეა, 1448-3327;).

თაყა. ზემოხსენებული მეფე გიორგი II-ის კარზე ასევე მსახურობდა კიდევ
ერთი მდივან-მნიგნობარი თავაქარაშვილთა გვარიდან. 1570 წ-ს ეკუთვნის მეფე
გიორგის შენირულობის სიგელი ცაგერის ღვთისმშობლის ტაძრისადმი, რ-
მელიც შესრულებული ყოფილა თაყა თავაქარაშვილის მიერ (ხეც, Qd-9085ბ).¹⁴

¹¹ აღნიშნული საბუთი ძალზედ საინტერესო და უნიკალურია. საქმე ისაა, რომ ქარ-
თული ისტორიოგრაფიისთვის უცნობია ამ პერიოდში მოღვაწე მეფე კოსტანტინე.
ვინ არის ეს პიროვნება და რომელი სამეფოს მონარქად უნდა ვიგულისხმოთ ის?
1558 წლისთვის იმერეთის სამეფოში მეფობს ბაგრატ III, ქართლის სამეფოს
ტახტზეა სვიმონ I (1556-1569; 1578-1599), ხოლო კახეთის სამეფოში ალექსანდრე
II (1574-1605). შენირულობის საბუთში მხოლოდ ერთი გეოგრაფიული პუნქტი –
შენირულობის ადრესატი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრია ნახსენები, ხოლო
შენირულობის სახე – სახელმწიფო შემოსავლის მეოცედია. არსებული მონაცე-
მების მიხედვით, ვერ დგინდება კოსტანტინე მეფის სამეფოს ფარგლები.

აღნიშნულმა საკითხმა ძალზედ დამაინტერესა, რის გამოც ამ ნაშრომის პარალე-
ლურად, შევუდექი ამ პრობლემატური საკითხის კვლევას. უახლოეს მომავალში
სამეცნიერო საზოგადოებას შევთავაზებ ჩემს ნაშრომს კოსტანტინე მეფის ვინაო-
ბის შესახებ. აქ კი გთავაზობთ კვლევის პროცესში მყოფი ამ ნაშრომის წინასწარ
დასკვნას, რომლის მიხედვითაც კოსტანტინე უნდა იყოს იმერეთის სამეფოს უც-
ნობი მონარქი, „პროვინციის მეფე“. სწორედ მისი კარის მდივან-მნიგნობარი იყო
მირველ თავაქალასშვილი, ზემოხსენებული მნიგნობართა საგვარეულოს ჩვენთვის
ცნობილი რიგით მეოთხე წარმომადგენელი.

¹² ა. ბაქრაძე ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც ეძღვნება თუმანიშვილთა გენეალოგიის
დადგენის ცდას, ამავე საბუთის შესახებ აღნიშნავს: რომ „1558 წ. კოსტანტინე
მეფის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის მიცემული შენირულების წიგნი
დანერვილია მდივან ბირთველის მიერ (აღსანიშნავია, რომ ამ წელს კოსტანტინე
მეფე წყაროებით ცნობილი არ არის“, ბაქრაძე 1963: 163-164). როგორც ჩანს, მკვ-
ლევარი, არა მხოლოდ სახელს კითხულობს შეცდომით, არც „ბირთველის“ გვარს
აზუსტებს, რომელიც კარგად იკითხება საბუთში, და ამ მდივან-მნიგნობარსაც
თუმანიშვილად თვლის. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთი აბზაცით ზევით ავტორი
ასახელებს 1482 წ. იოთამ და ორბელ ბარათაშვილების გაყრის წიგნის შემდგენელს
მირველ (!) თუმანიშვილს. ამ მიზეზით უფრო ბუნდოვანია რატომ კითხულობს ა.
ბაქრაძე ჩვენთვის საინტერესო საბუთში არა მირველს, რომელიც დადასტურებუ-
ლია დაახოებით ერთი საუკუნით ადრე თუმანიშვილთა საგვარეულოში, არამედ
ბირთველს. ბირთველ თუმანიშვილი მართლაც იყო ქართლის მეფეთა მდივანი,
ოლონდ XVII საუკუნეში (ბაქრაძე 1963: 175.)

¹³ პირთა ანოტირებულ ლექსიკონში ასევე მითითებულია საბუთი შიფრით 1448-3314
(ანოტირებული ლექსიკონი 1993: 264), თუმცა ამ საბუთში ალა საერთოდ არ იხსე-
ნიება.

¹⁴ საბუთების კრებულის განმარტებითი მინაწერი: „პირნი ცაგერის მონასტრის სამ-
კვიდრებელთა დოკუმენტთა გარდაწერილი ცაგერის მონასტრის არხიმანდრიტის

იგივე პიროვნება სამეფო კარის მდივან-მწიგნობრად ჩანს XVII საუკუნის პირველ მეხუთედშიც. ამჯერად იგი იმერეთის სხვა მეფის – გიორგი III-ის (1604-1639 წწ.) კარზე მოღვაწეობს. მის კალამს ეკუთვნის ზემოთ აღნიშნული მეფის გაცემული 1614 წ-ის წყალობის სიგელი ვინმე დავითისადმი (ხეც, Hd-14631).

ხვაფილანდრა/ხმაფილანდრო. შემდეგი მდივან-მწიგნობარი არის ხვაფილანდრა თავაქარაშვილი, რომელიც 1586 წელს გვევლინება გარდაცვლილი გიორგი მეფის თანამეცხედრის – თამარ დედოფლის გაცემულ გელათის შეწირულობის წიგნის დამწერად (კაკაბაძე 1921ა: 32-34). იმავე პირის კალამს ეკუთვნის როსტომ იმერთა მეფის (1590-1604) მიერ ტყავაძისათვის მიცემული 1601 წლის სასისხლო სიგელი (სეა, 1448-5007). სავარაუდოდ, თავდაპირველად ხვაფილანდრა/ხმაფილანდრო იყო თამარ დედოფლის მდივანი. როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავს, „დედოფალს ცალკე ჰყავდა სამდივნო და მასშიც რამდენიმე მდივანი შედიოდა. თუ საბუთის გამცემი დედოფალია, მოსალოდნელია, რომ საბუთის შემდგენელი დედოფლის კარის მდივანი იყოს“ (ბაქრაძე 1966: 271-272).

ასლან I. თავაქარაშვილთა საგვარეულოს მომდევნო წარმომადგენლის – ასლანის დაწერილია გიორგი III-ის 1604 წ-ის გელათისადმი გაცემული შეწირულობის წიგნი (სეა, 1448-2158; კაკაბაძე 1921ა: 36-37).

პატა/პაატა I. მოგვიანებით, იმავე მეფის კარზე მდივან-მწიგნობრად ჩანს კიდევ ერთი თავაქარაშვილი – პატა. მისი შედგენილია 1627 წლის მეფე გიორგის წყალობის სიგელი პატა აბაშიძისადმი (ხეც, Qd-8965). მისივე დაწერილი უნდა იყოს იმავე მეფის 1630 წ-ის გელათის შეწირულობის წიგნი (სეა, 1448-2159; კაკაბაძე 1921ა: 48-49).¹⁵ გიორგი მეფის კიდევ ორი საბუთის – 1632 წლის წყალობის სიგელის (ხეც, Hd-13782)¹⁶ და 1637 წლის გელათის შეწირულობის სიგელის (ჟორდანიას 1897: 451-452) დამწერია პატა თავაქარაშვილი.

იგივე მდივან-მწიგნობარი მოღვაწეობს იმერეთის მომდევნო მეფის – ალექსანდრე III-ის (1639-1660) კარზე. მისი დაწერილია 1639 წ-ის წყალობის წიგნი ბეჟან წერეთლისადმი (ხეც, Hd-14666; ბურჯანაძე 1958: 28). მისსავე კალამს უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე III-ის მიერ გაცემული 1660 წლის საბუთი, ხონის ტაძრის გლეხების განთავისუფლების შესახებ სახვანთქრო გადასახადისაგან (კაკაბაძე 1921ბ; 172-173).

მამუკა I. თავაქარაშვილთა გვარის სხვა წარმომადგენელთა მსგავსად, მამუკაც იმერეთის მეფის მდივან-მწიგნობარი იყო. მის კალამს ეკუთვნის გიორგი III-ის წყალობის სიგელი ხოხონა ჯაფარიძისადმი, გაცემული 1629 წელს (ხეც, Qd-7988).

ანტონის მიერ 1830 წელსა“.

¹⁵ აღნიშნულ საბუთში დამწერი საკუთარ თავს იხსენიებს როგორც პაატა და არა პატა, თუმცა, ჩემი აზრით, ეს უმნიშვნელო განსხვავებაა და ერთსა და იმავე პიროვნებასთან გვაქვს საქმე.

¹⁶ წყალობის ადრესატი უცნობია, რადგან საბუთის ადგილი, სადაც ის უნდა იხსენიებოდეს, მოხეულია.

ძალზედ საინტერესოა ლევან II დადიანის (1611-1657) 1634 წ-ის შემდგომ პერიოდში დაწერილი განჩინების წიგნი, მიცემული ხონის ტაძრისადმი, სადაც მამუკა თავაქარაშვილი მოწმედ იხსენიება:

„...არიან ამისნი მონამე თავად ლ(მერთ)ი, და კაცთაგან თავად პატრონი ჭყონდიდელი, მეფის ბოქოულთხუცესი კაცია, ჩხეიძე სკმონ, ჩ(ვენი) ბოქოულთხუცესი ჯავახ ჭილაძე, შედან ჩხეიძე, ნულუკიძე პაატა, მეფის მდივანი მამუკა და სხვანი კარის ჩ(ვე)ნისა გამგენი უსესთაესნი და უქუშდაესნი...“¹⁷ (კაკაბაძე 1921ა: 51-52).

აღსანიშნავია, რომ აქ მამუკა იხსენიება მეფის მდივნად, ხოლო როგორც ა. ბაქრაძე აღნიშნავს „მონშეებადაც მდივან-მწიგნობრები ყოველთვის მდივნებად იწოდებიან. არც ერთი შემთხვევა არ არის, რომ მოწმედ დასახელებული მდივან-მწიგნობარი „მწიგნობრად“ იხსენიებოდეს“ (ბაქრაძე 1960: 69).

ქართული მეცნიერება მამუკა თავაქარაშვილს კარგად იცნობს. ცნობილია, რომ 1634 წელს ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) და ლევან დადიანმა კაკას ხიდთან მომხდარ ბრძოლაში დაამარცხეს თეიმურაზ I-სა (1606-1648) და იმერთა მეფე გიორგის ლაშქარი. ბრძოლის ველზე ლევან დადიანმა მრავალი ტყვე ჩაიგდო ხელში და სამეგრელოში წაიყვანა. მათ შორის უნდა ყოფილიყო მამუკა მდივანიც.¹⁸

ამავე საბუთში იხსენიება იმერთა მეფის მეორე მოხელე – მეფის ბოქოულთხუცესი კაცია (იხ. ზემოთ), რომელიც ასევე დადიანის ტყვეთა რიგში უნდა მოვიხზროთ.

მამუკა თავაქარაშვილს ქართული მეცნიერება კარგად იცნობს ე. წ. თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამო¹⁹, რომელიც მეფის მდივან-მწიგნობარმა ლევან დადიანის ტყვეობაში ყოფნისას შექმნა 1646 წელს. ძალზედ საინტერესოა ამ ხელნაწერის ანდერძი:

„[დიდ]ება სრულმყოფელსა ღმერთსა, ყოველთა შემნე-მფარველსა. [ვინცე ე]ს ვეფხისტყაოსანი თიბათვესა ცამეტსა, სრულ [ცყავ თ]ვრამეტსა აგვისტოსა, ქ(ორონი)კ(ონ)სა სამას ოცდაათოთხმეტსა. [თუ რა]მ აკლდეს, ნურავინ დამნ-

¹⁷ როგორც ს. კაკაბაძე აღნიშნავს, „ამ წიგნის ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ პირმა, რომელიც შენახულია ხუტურად 1803 წ. ოსე გაბაონის მიერ გადაწერილ ხონის გუჯრების კრებულში“, აღნიშნულ კრებულს ვერ მივაგენი, რის გამოც ვსარგებლობ ს. კაკაბაძის პუბლიკაციით.

¹⁸ ვრცლად ამ ფაქტის შესახებ იხ.: ჟორდანიას 1897: 451; კეკელიძე 1952: 244; მენაბდე 1962: 556; რეხვიაშვილი 1978: 38-40, 196-197; ბერიძე 1967: 93-97; ჯამბურია 1973: 318.

¹⁹ ვრცლად თავაქარაშვილისეულ ვეფხისტყაოსანზე, მის გადამწერზე და მომხატველზე იხ.: H ფონდის აღწერილობა 1951: 51; კეკელიძე 1952: 241-260; ამირანაშვილი 1963: 319; შერვაშიძე 1955: 487-494; ქვლივიძე 1960: 31-37; მენაბდე 1962: 556-558; ბერიძე 1967: 93-97; გუჩუა 1973: 360; ბერიძე 1973: 381-382.

ყველით, ტყვეობაშიდ ვსწერდი. [ში]გნით ოცდაცხრა რვეული არის, ფურცელი ორას [ოცდათ]ორმეტი“ (ხეც, H-599, 269v).

ამავე ხელნაწერშია მამუკა თავაქარაშვილის ავტოპორტრეტი, რომელსაც ქვემოთ შემდეგი მინაწერი აქვს: „აქა ამისი მწერალი მდივანი მ[ა]მ[უ]კა სწერს და ვინც ეს...“ (ტექსტის დარჩენილი ნაწილი დაკარგულია ფურცლის ცვეთის გამო, ხეც, H-599, 254r).

ძალზედ საინტერესოა გადამწერის კიდევ ერთი მინაწერი, საიდანაც კარგად ჩანს დატყვევებული მდივნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა: „ქ. ღმერთო დაასხენ მძევლები ამ განსაცდელიდამ, აქედან მშვიდობით წაიყვანე თავის ქვეყანასა, ამინ, კირიელისონ“ (ხეც, H-599, 20v).

მამუკა თავაქარაშვილის კულტურული მოღვაწეობა დადიანის კარზე არ შემოფარგლულა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნით“. მის კალამს ეკუთვნის „შაჰ ნამეს“ ერთი ეპიზოდი – „ზააქიანი“, რომელიც მას ქართულად გაუღიქსავს (ბარამიძე 1935: 203-207; კეკელიძე 1952: 242-247). მანვე, 1647 წ-ს, გადანუსხა „უთრუთიან-საამიანი“ (ხეც, S-1594), რომლის ანდერძშიც ვკითხულობთ: „აქა გათავდა ესე ნიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონი ლევანისათა და ხელითა მამუკა თავაქალაშვილისათა... დაინერა ქკსა სამას ოცდა თხუთმეტსა, თვესა ივლისა ოცდა შვიდსა გათავდა“ (ხეც, S-1594; 148v; პუნქტუაცია ჩემია – ნ. ჟ.)

ბოლოს მამუკა თავაქარაშვილი უნდა იხსენიებოდეს ვამეყ დადიანის²⁰ 1661 წ-ის შეწირულობის წიგნში ბიჭვინთისადმი: „დაინერა ნიგნი, ბრძანება და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა სამას მ: თ: ორმოცდა ცხრასა“ (კაკაბაძე 1921ა: 67).

ჩემი აზრით, ქორონიკონის რიცხვებს შორის მოთავსებული ორი გრაფემა – მ: თ: სხვა არაფერია, თუ არა მამუკა თავაქარაშვილის ინიციალები.²¹

ხოსინა/ხოსია. მეფე ალექსანდრე III-ის კარზე, პატა თავაქარაშვილის გარდა, ასევე მოღვაწეობდა მდივან-მწიგნობარი ხოსინა. მის კალამს ეკუთვნის 1639 წლის ბეჟან წერეთლის წყალობის სიგელი (ხეც, Sd-519; ბურჯანაძე 1958: 18); ამავე წლის ფილიპე წერეთლის ყმების წყალობის წიგნი (ქიმ, K-66; ხეც, H-1705, 25v); 1646 წლის წყალობის წიგნი ვინმე თუდარჩისადმი²² (ხეც, Qd-8932). იგივე

²⁰ აღსანიშნავია, რომ საბუთის გაცემის პერიოდში, იმერეთი საშინელმა ანარქიამ მოიცვა, რა დროსაც ვამეყ დადიანი დროებით სამეფო ტახტსაც იკავებს. ამ საბუთსაც ვამეყ დადიანი მეფის ტიტულით გასცემს.

²¹ მ. რეხვიაშვილის მიხედვით, მამუკა თავაქარაშვილი 1657 წლამდე იყო დადიანის ტყვეობაში, თუმცა არ ასახელებს წყაროს (რეხვიაშვილი 1978: 196). შეიძლება იგულისხმება ლევან დადიანის გარდაცვალების თარიღი, მაგრამ, ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია ლევანის გარდაცვალების გამო, მამუკა თავაქარაშვილი ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ. განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როცა „ლიტერატურული ტრადიციები ლევანიდან ვამეყის კარზე გადასულა“ (კეკელიძე 1952: 327).

²² საბუთი ძალზედ დაზიანებულია, რის გამოც დაკარგულია საბუთის გამცემი მეფის სახელი და ადრესატის გვარი, თუმცა, საბუთში მოხსენიებული დედოფლის სახელი შემდეგი სახით აღვადგინე: ნესტა[ნ]-{დარეჯან}. ამრიგად, საბუთის გამცემი

ხოსინა უნდა იხსენიებოდეს 1660 წლის ნიკორწმინდის შეწირულობის წიგნში, რომელსაც ვასცემს ბაგრატ IV (1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681). აღნიშნული საბუთი შემოგვრჩა მხოლოდ ს. კაკაბაძის პუბლიკაციის სახით, რის მიხედვითაც მომყავს ჩვენთვის საინტერესო ტექსტი: „დაინერა წიგნი ესე კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობრის ქ(ორონი)კ(ონ)ს სამას ორმოცდა რვასა ხოსინასითა (sic)“ (კაკაბაძე 1921ა: 64).

როგორც ჩანს, მწიგნობარს მექანიკურად არეგია ბოლო წინადადების წყობა, რადგან თავისი თანამდებობა და სახელი არა მიყოლებით, როგორც ამას სხვა დანარჩენ საბუთებში ვხვდებით, არამედ ცალ-ცალკე შეუსრულებია. ასევე შესაძლებელია, ამ მიზეზითაა გამოტოვებული ხოსინას გვარი, თუმცა, ჩემი აზრით, ამ საბუთში მოხსენიებული ხოსინა გვარად ასევე თავაქარაშვილია და იგივე მდივან-მწიგნობარი ხოსინაა, რომელმაც შეასრულა ზემომოყვანილი ორი საბუთი (ხეც, Sd-519; ხეც, Qd-8932). ჩემი მოსაზრება ემყარება ორ არგუმენტს: 1. ამ უკანასკნელი საბუთის შექმნის თარიღი (1660 წ.) დიდად არაა დაშორებული ზემოთ მოყვანილი ორი საბუთის თარიღებს (1639 წ.; 1646 წ.); 2. XV-XVII საუკუნეებში იმერეთის მეფეთა კარის მდივან-მწიგნობრებად მხოლოდ თავაქარაშვილთა გვარის წარმომადგენლები არიან, როგორც ამას ვხედავთ ზემოთ მოყვანილი საბუთებიდან და ვნახავთ ქვემოთ, სხვა საბუთების განხილვისას.²³

ბაქარ. ალექსანდრე III-ის კარზე მოღვაწეობდა კიდევ ერთი მდივან-მწიგნობარი თავაქარაშვილი – ბაქარი. მისი დანერილია 1647 წლის წყალობის სიგელი ეზია იოსელიანისადმი²⁴ (ხეც, Hd-14742).

მეფე, თარიღის და თანამეცხედრის მიხედვით, ალექსანდრე III-ა.

²³ თუმცა, აღსანიშნავია ერთი გამონაკლისი: იმერეთის მეფის გიორგი II-ის ერთი საბუთის დამწერია ელიზბარ თუმანიშვილი (ხეც, Hd-2270). საბუთი დანერილია გიორგის გამეფებიდან 22-ე ინდიქტიონს. დღეს გაზიარებულია აზრი, რომ გიორგის მამა ბაგრატე გარდაიცვალა 1565 წელს, უფრო ადრე კი მისი გარდაცვალების და გიორგის გამეფების თარიღად მიიჩნევენ 1548 წელს, ამის გამო შ. ბურჯანაძე საბუთს ათარიღებს 1570 წლით (ბურჯანაძემ 1958: 18). პირთა ანოტირებულ ლექსიკონშიც საბუთის თარიღად 1570 წელია მიჩნეული (ანოტირებული ლექსიკონი 1991: 248). მე არ შევეჭიდები ბაგრატის გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენას, რადგან დიდად სავარაუდოა, რომ მას თავისი ძე გიორგი მის სიცოცხლეშივე გამეფებინა. უდავოა, რომ საბუთი ვერ იქნება 1561 წლამდე გაცემული, რადგან გიორგი გარდაიცვალა 1583 წელს (1583-22=1561). საბუთის ზუსტ დათარიღებას ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია ფაქტი, რომ ქართლის მეფეთა მდივან-მწიგნობართა საგვარეულოს ერთ-ერთ წარმომადგენელს იმერეთის მეფის კარზეც უმოღვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენამდე შემორჩენილი საბუთთაგან ელიზბარ თუმანიშვილი მხოლოდ ამ საბუთში იხსენიება.

²⁴ საბუთის დედანი დაკარგულია, ტექსტი შემორჩა XIX საუკუნის პირის სახით; საბუთის გამომცემელი ნ. ბერძენიშვილი, ჩვენთვის საინტერესო ადგილს/პიროვნების სახელს შეცდომით კითხულობს, როგორც „საბაქარისათა“ (ბერძენიშვილი 1940: 473). ჩემი აზრით, პირველი ორი გრაფემა „სა“ მისი გვარის კუთვნილებითი ბოლოსართია და არა სახელის დასაწყისი.

ხუცია. თავაქარაშვილი ხუცია, მისი გვარის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, იმერეთის მეფეთა კარზე მოღვაწეობდა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა იმერეთის სამეფო ტახტს სხვა ქართული სამეფოს მონარქი ან აღზევებული ფეოდალი ფლობდა. ამის კიდევ ერთი დასტურია 1660 წლის წყალობის სიგელი, რომელსაც გასცემს ქართლის მეფე („ვალი“) ვახტანგ V „შაჰნავაზი“ (1658-1675) ქაიხოსრო წერეთლისადმი²⁵ (ხეც, Hd-2457). იმავე მნიგნობარს ვხვდებით ასევე, 1673 წლის ბაგრატ მეფის მიერ ვახტანგ [ავიაშვილისათვის] მიცემული ციხისთავობის და ყმა-მამულის წყალობის ნიგნში, რომლის დამწერიცაა ხუცია (სეა, 1449-59).

ასლან II. XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობს კიდევ ერთი სამეფო კარის მდივან-მნიგნობარი ასლანი, რომლის ხელით შესრულებული 6 საბუთი შემოგვრჩა. ესენია: 1663 წლის იმერეთის ტახტის მფლობელის დიმიტრი გურიელის (1660-1666) წყალობის სიგელი ქაიხოსრო წერეთლისადმი (ხეც, Sd-514; ბურჯანაძე 1958: 34); იმავე წლის ყმების წყალობის ნიგნი გიორგი აბაშიძისადმი, გაცემული ასევე დიმიტრი გურიელის მიერ (სეა, 1450-24/152); 1665 წლის იმერეთის ტახტზე დაბრუნებული მეფე ბაგრატის წყალობის ნიგნი ხოსია ჯაფარიძისადმი (ხეც, Hd-9546; ბურჯანაძე 1958: 36); 1666 წლის ბაგრატ მეფის წყალობის სიგელი ქაიხოსრო წერეთლისადმი (ხეც, Hd-2246); 1673 წლის ბაგრატ მეფის კიდევ ერთი წყალობის სიგელი ქაიხოსრო წერეთლისადმი (ხეც, Hd-9388); უთარილო წყალობის სიგელი ქაიხოსრო წერეთლისადმი, გაცემული მეფის სახლთუხუცესის – სეხნია ჩხეიძეს მიერ²⁶ (ხეც, Hd-2179; ბურჯანაძე 1958: 36).

ბეჟია. ბაგრატ IV-ის კარზე მოღვაწეობდა ასევე მდივანმნიგნობარი ბეჟია თავაქარაშვილი. ჩვენამდე შემორჩა მის მიერ შესრულებული 5 საბუთი. ესენია: 1677 წლის გლეხების წყალობის ნიგნი მიცემული გიორგი აბაშიძისათვის (სეა, 1449-1028); 1679 წლის სვიმონ საყვარელიძისათვის სახელოს წყალობის ნიგნი (ქიმ, K-1395); 1680 წლის წყალობის სიგელი მიცემული ქაიხოსრო წერეთლი-

²⁵ შაჰნავაზის მიერ იმერეთის დაკავების შესახებ იხ., რეზივიაშვილი 1978: 66.

²⁶ სამეფო კარის მდივან-მნიგნობრის შედგენილი საბუთი მეტყველებდა აღნიშნული საბუთის უტყუარობასა და მის მნიშვნელობაზე. ამის გამო, არის შემთხვევები, როდესაც მეფის მდივან-მნიგნობარი ადგენს კათალიკოსის ან რომელიმე თავადის მიერ გაცემულ დოკუმენტს. სეხნია ჩხეიძის შემთხვევაში კი, საქმე სხვაგვარადაა. სეხნია ჩხეიძე არა მარტო დიდი თავადია, არამედ მეფის სახლთუხუცესი. ა. ბაქრაძემ მდივან-მნიგნობრის და სახლთუხუცესის ურთიერთმიმართების საკითხს ცალკე ნაშრომი მიუძღვნა, რის შედეგადაც დაასკვნა შემდეგი: „სამეფო მდივან-მნიგნობრები გარკვეულ მიმართებაში არიან სახლთუხუცესთან. ვინაიდან მდივან-მნიგნობრების საქმიანობა ზოგიერთ დარგში დაკავშირებული არის სახლთუხუცესთან, რომ ისინი სახლთუხუცესთან ერთად ერთი და იგივე გამოსაღებებიდან იღებენ სარგოს, საფიქრებელია, რომ მდივან-მნიგნობრების უფროსად სახლთუხუცესი მივიჩნიოთ და არა მდივან-მნიგნობართ-უხუცესი, რომელიც არაერთხელ არის დადასტურებული XV-XVIII სს. საბუთებში“ (ბაქრაძე 1966: 292).

სადმი (ხეც, Hd-2198);²⁷ 1660-1681 წლის წყალობის სიგელი მიცემული ქაიხოსრო ნერეთლისადმი (ხეც, Sd-516; ბურჯანაძე 1958: 40);²⁸ 1680 წლის წყალობის სიგელი მიცემული ქაიხოსრო ნერეთლისადმი (ხეც, Sd-509; ბურჯანაძე 1958: 39);

პატა II. XVII საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო კარზე მოღვაწეობს კიდევ ერთი მდივან-მწიგნობარი სახელად პატა. რა თქმა უნდა, ეს პიროვნება და 1627-1639 წლებში მოღვაწე პატა ერთი და იგივე ვერ იქნება. როგორც ჩანს, თავაქარაშვილთა გვარში არსებობდა ტრადიცია წინაპრების სახელების განმეორებისა; მდივან-მწიგნობარ პატას ვხვდებით 1678 წლის ბაგრატ IV-ის წყალობის სიგელში კუდანათ ნერეთლისადმი (ხეც, Hd-14781); ასევე მეფეთ-მეფე დადიან-გურიელი გიორგის (1681-1683) 1683 წლის შეწირულობის სიგელში ჯვარის მამა ქრისტეფორესადმი (ხეც, Hd-10274ბ; ბურჯანაძე 1958: 140). არის კიდევ ერთი საბუთი – ქაიხოსრო იაშვილის მიერ ბიჭვინთის საყდრისათვის მიცემული 1639-1657 წლების ყმის შეწირულობის წიგნი (კაკაბაძე 1921ა: 59), სადაც მოწმედ იხსენიება მეფის კარის მდივანი თავაქარაშვილი პატა, თუმცა, იმის გამო, რომ საბუთის ზუსტი თარიღი უცნობია, ძალზედ რთულია ითქვას, რომელ პატა თავაქარაშვილთან გვაქვს საქმე – პატა/პაატა I-თან თუ პატა II-თან.

ელიზბარ. ალექსანდრე მეფის კარზე მოღვაწეობდა თავაქარაშვილი ელიზბარი, რომლის დაწერილიცაა 1685 წლის ბიჭვინთის შეწირულობის წიგნი (სეა, 1448-2144).²⁹ არის კიდევ ერთი საბუთი – ალექსანდრე მეფის მიერ ხონის საყდრისათვის 1683 წელს მიცემული ყმის შეწირულობის წიგნი, რომლის დამწერიცაა მეფის მდივანი თავაქარაშვილი (სეა, 1448-5034). სამწუხაროდ, სახელი გამოტოვებულია და ვერ დგინდება მისი ზუსტი ვინაობა.

მამუკა II. თავაქარაშვილთა გვარში ერთი და იმავე სახელის განმეორებას ვხვდებით ასევე სახელ მამუკას შემთხვევაში. მისი დაწერილია 1687 წლის წყალობის საბუთი, რომელსაც გასცემს დედოფალი თამარი ვინმე მაჭავარიანისადმი (ხეც, Hd-15043).

გიორგი. საინტერესოა, რომ თავაქარაშვილთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი მოღვაწეობდა აფხაზეთის კათალიკოსის და ქუთათელი მიტროპოლიტის სვიმონ ჩხეტიძის კარზეც. გიორგი თავაქარაშვილის კალამს

²⁷ ამ საბუთში ბეჟია არ იხსენიებს გვარს, თუმცა, ქრონოლოგიური ჩარჩოების მიხედვით, იგი უეჭველად თავაქარაშვილია.

²⁸ საბუთში ქორონიკონი წერია „ტკმნ“, შ. ბურჯანაძე კი კითხულობს „ტკზნ“, თუმცა, ნაკითხვაში ეჭვის შეტანის ნიშნად, იქვე დაწერა ძახილის ნიშანი. ორივე ნაირი ნაკითხვის შემთხვევაში, არასწორ თარიღს მივიღებთ (1312+410=1722; 1312+372=1684). ამიტომ, საბუთის გაცემა უნდა განისაზღვროს ბაგრატის გამეფების და მისი გარდაცვალების წლებით, კერძოდ, 1660-1681 წლებით (იმავე აზრისაა შ. ბურჯანაძე).

²⁹ დღესდღეობით, საბუთის დედანს აკლია ბოლო ნაწილი, სადაც იხსენიებოდა ელიზბარი. საბედნიეროდ, ს. კაკაბაძის პუბლიკაციის სახით, შემორჩა საბუთის სრული ტექსტი (იხ. კაკაბაძე 1921ა: 80).

ეკუთენის 1664 წლის წყალობის წიგნი მამისთვალა ივანჯანისშვილისდმი (ქიმ, K-1843). მისივე დაწერილია ალექსანდრე მეფის წყალობის სიგელი ქაიხოსრო წერეთლისადმი, რომელიც 1691 წლის ახლო ხანებში უნდა იყოს შესრულებული (ხეც, Hd-1827; ბურჯანაძე 1958: 26).

ალხაზი. 1691 წლის წყალობის სიგელში, რომელსაც გასცემს არჩილ მეფე (1661-1663, 1678-1679, 1690-1691, 1695-1696, 1698) ქაიხოსრო წერეთლისადმი დამწერად იხსენიება მდივან-მწიგნობარი თავაქარაშვილი ალხაზი (ხეც, Sd-515; ბურჯანაძე 1958: 40-41).

თავაქარ I. მდივან-მწიგნობარი თავაქარ თავაქარაშვილი გვხვდება უკვე XVIII საუკუნეში. იგი არის 1706 წლის წმ. დოდოს მონასტრის, შეწირულობის წიგნის დამწერი, რომელსაც გასცემს ოდიშის მთავარი გიორგი დადიანი (ხეც, Ad-1039; ბურჯანაძე 1958: 152-154). საბუთი გამორჩეულად ლამაზი ხელითაა შესრულებული, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ეს პიროვნება არ გავაიგივოთ თავაქარაშვილთა საგვარეულოს მომდევნო წარმომადგენელთან, რომელიც იმავე სახელს ატარებდა.

თავაქარ II. XVIII საუკუნის 30-იან წლებში ალექსანდრე V-ის (1720-1741, 1741-1746, 1749-1752) კარზე მდივანი თავაქარ თავაქარაშვილი მოღვაწეობდა.³⁰ მის მიერ არის შედგენილი 1730 წლის აბაშიძეების მიერ წერეთლებისათვის მიცემული გლეხების დაგირავების წიგნი (ხეც, Hd-7673), ალექსანდრე მეფის 1734 წ-ის წყალობის წიგნი კაცი ნიჟარაძისადმი (ხეც, Qd-9371), 1736 წ-ის წყალობის წიგნი პაპუნა წერეთლისადმი (ხეც, Hd-1910; ბურჯანაძე 1958: 62), ამავე წლის საფიცრის წიგნი მამუკა ბატონიშვილისა თამარ დედოფლისადმი (ხეც, Hd-2204; ბურჯანაძე 1958, გვ. 63), 1736 და 1737 წ-ის წყალობის სიგელები ხახუტა ასათიანისადმი (ხეც, Hd-2202; Hd-2203), და 1738 წ-ის წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა ნიკოლოზ აბაშიძისადმი (ხეც, Qd-1482; ბურჯანაძე 1958: 69). როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს თავაქარი არ უნდა გავაიგივოთ ამ საგვარეულოს წინა წარმომადგენელთან, რომელსაც ასევე თავაქარი ერქვა. ამისთვის სრულებით საკმარისია მათი ხელწერის შედარება. პირველს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, განსაკუთრებით ლამაზი ხელი აქვს, რასაც ვერ ვიტყვით მეორეზე. უბრალო დაკვირვებითაც აშკარაა, რომ სხვადასხვა კალიგრაფიასთან გვაქვს საქმე.

XVIII საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ, იმერეთის მეფეთა თუ სხვა ფეოდალთა საბუთებში მდივან-მწიგნობარ თავაქარაშვილებს ვეღარ შევხვდით. ხშირად აღნიშნული საბუთების დამწერები იხსენიებენ თავს მხოლოდ სახელით. თუ

³⁰ სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ მდივნისა და მწიგნობრის ფუნქციები იდენტურია. ხოლო აღნიშნული სახელის სახელწოდება დროთა განმავლობაში შემდეგი სახით იცვლებოდა: მწიგნობარი/მდივან-მწიგნობარი/მდივანი. XVIII საუკუნეში ტერმინი „მწიგნობარი“ ჩაანაცვლა „მდივანმა“ (ბაქრაძე 1960: 65-79).

გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ XV საუკუნიდან იმერეთის სამეფო კარზე მხოლოდ თავაქარაშვილები მოღვაწეობდნენ (თუ არ ჩავთვლით ელიზბარ თუმანიშვილის გამონაკლისს, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე), გვარის გარეშე მოხსენიებული მდივნებიც ამავე გვარის წარმომადგენლებად შეგვეძლო მიგვეჩინა. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს არ არის საკმარისი არგუმენტაცია. ჩემი აზრით, არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ XVIII საუკუნის 30-იანი წლების შემდეგ თავაქარაშვილთა გვარი აღარ გვხვდება ისტორიულ საბუთებში. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში აღნიშნულმა გვარმა, ჩემთვის უცნობი მიზეზების გამო, შეწყვიტა თითქმის 250 წლიანი მნიგნობრული მოღვაწეობა, რომელიც ამ საგვარეულოში, სხვა მდივან-მნიგნობართა საგვარეულოს მსგავსად (ბაქრაძე 1966: 275-276),³¹ მემკვიდრებით გადადიოდა შთამომავლობაზე.³²

დავადგინეთ რა თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა საგვარეულოს მდივან-მნიგნობართა ჩვენთვის ცნობილი ყველა წარმომადგენელი, ბუნებრივია, იბადება კითხვები: სხვა რა ვიცი ამ გვარის შესახებ? რატომ განიცადა ამ გვარმა მცირე ცვლილება („ლ“ ჩაანაცვლა „რ“-მ)? საიდან იყვნენ წარმოშობით და რა მამულებს ფლობდნენ ისინი?

³¹ სამწუხაროდ, იმერეთის სამეფო კარის საბუთებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მათი მდივან-მნიგნობრის სახელო მემკვიდრეობითი იყო სწორედ თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა საგვარეულოში, თუმცა, ჩვენ გავაჩნია საინტერესო ფაქტები ქართლის სამეფო კარის მდივან-მნიგნობართა შემთხვევაში. 1724 წლის ბაქარ მეფის სიგელში თუმანიშვილებისადმი აღნიშნულია, რომ ისინი იყვნენ „ძველთგანვე ჩვენთა ნათესავთა მეფეთაგან მკვიდრობით მდივან-მნიგნობრით დადგინებულთა“ საგვარეულო. ხოლო 1726 წლის ვახტანგ VI-ის საბუთში მარტიროზიშვილებისადმი ასევე აღნიშნულია, რომ ისინი იყვნენ „ძველთგანვე ჩვენთა ნათესავთა მეფეთაგან მკვიდრობით მდივან-მნიგნობრად დადგინებულთა“ საგვარეულო (ბაქრაძე 1960: 74). ამ ცნობების მიხედვით, ძალზედ რეალური პარალელის გავლება შეიძლება თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა გვარის მიმართებაზე იმერეთის სამეფო კართან.

³² „რით აიხსნება ის გარემოება, რომ მდივან-მნიგნობრები ერთი და იმავე საგვარეულოებში გვხვდებიან? აქვს თუ არა ამას გარკვეული საფუძველი? ჩვენი აზრით, ყოველგვარი საბუთის უქონლობის შემთხვევაშიც კი შეუძლებელია ეს ფაქტი შემთხვევითად ჩავთვალოთ. მდივნის ამსრულებელი მოხელე განათლებული და მწერლობაში დახელოვნებული პირი უნდა ყოფილიყო, კარგად და საფუძვლიანად უნდა სცოდნოდა სიგელთმცოდნეობის წესები, სიგლების შედგენის იურიდიული მხარეები... რა თქმა უნდა, თაობიდან თაობაზე გადასული მდივან-მნიგნობრის ცოდნა, ჩვევები და გამოცდილება დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდებოდა და განმტკიცდებოდა. ამიტომაც, გასაგებია ის გარემოება, რომ ქართველი მდივან-მნიგნობრები ცნობილი ლიტერატორები და გადამწერებიც იყვნენ“ (ბაქრაძე 1960: 73). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მიუხედავად 250 წლიანი მოღვაწეობისა, ამ გვარში არ ჩამოყალიბებულა კალიგრაფიული სკოლა, მეტიც, მდივან-მნიგნობართა უმრავლესობას არ აქვს გამორჩეული კალიგრაფია.

შემორჩენილი საბუთების მიხედვით, რომლებიც XVI-XVIII საუკუნეებს განეკუთვნებიან, თავაქალაშვილები მხოლოდ გორთან მდებარე სოფ. ტინისხიდში მოსახლეობდნენ.³³

1511 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ ფანასკერტელების ოჯახს უწყალობა მამულები, მათ შორის, „ტინისჯიდა თავაქლიშვილისეული“ მიწა (ხეც, Hd-2118).³⁴ 1590 წელს სვიმონ I-მა გორისჯვარს შესწირა გორის ციხისთავის დემეტრესა და მისი ძმების – ფარსი და ზურაბ თავაქალაშვილების ტინისხიდის მამულები (ხეც, Qd-430).³⁵ 1620 წ-ს ეკუთვნის სვიმონ II-ის (1619-1631) წყალობის წიგნი ტი-

³³ ტინისხიდი. ნასოფლარი, არქეოლოგიური ძეგლი. მდებარეობს ადგილ. გრძელე-ებში. თარიღდება გვიანფეოდალური ხანით. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები ნასახლარები, შენობათა საძირკვლის ფრაგმენტები. აქვე ზედაპირულად იპოვება წითლად გამომწვარი უხეშეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ქვევრები-სა და თონების ფრაგმენტები და სხვ. (ნუცუბიძე: 1990: 85).

³⁴ არის კიდევ ერთი 1527 წლის საბუთი, რომლის მიხედვითაც, ბანდურ ერისთავმა დილოში იყიდა თავაქალაშვილისეული ვენახი (ანოტირებული ლექსიკონი 1993: 262). თუმცა, საბუთის ტექსტში, რომელიც მხოლოდ თ. ჟორდანიას წყალობით შემოგვრჩა, იკითხება არა თავაქალაშვილისეული, არამედ თავაქალასეული ვენახი (ჟორდანიას 1897: 371), რის გამოც, ამ ქონებას ვერ მივაკუთვნებ თავაქალაშვილთა მიწათმფლობელობას.

³⁵ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1587 წელს გორის ციხეში ოსმალური გარნიზონი დგას, ხოლო 1589-1590 წლებში დაიდო ზავი სულთან მურად III-სა და მეფე სვიმონს შორის. ზავი ემყარებოდა Uti possidentis პრინციპს, რის თანახმადაც ოსმალების დაპყრობილ ქართლის ციხე-ქალაქებში მათივე გარნიზონები რჩებოდნენ, ხოლო სვიმონს ეკუთვნოდა დანარჩენი ტერიტორია. ამასვე ადასტურებს ფარსადან გორგიჯანიძეც (სვანიძე... 1966: 223-235; სვანიძე 2003: 138-153). ფერჰად ფაშასთან ზავის დადების შემდეგ, 1589 წ-ს სვიმონ მეფემ მურად III-ს გაუგზავნა არზა, რომლითაც სულთანს სთხოვდა დაემტკიცებინა მისთვის თბილისის, გორის, დმანისისა და ლორეს ციხეების გარშემო მდებარე 106 სოფელი. გორის ციხის სანახებში მეფე ითხოვდა სულ 36 სოფელს, მათ შორის ტინისხიდსაც (აბულაძე 1980: 152-166). ამით სვიმონ მეფეს სურდა, სულთნისაგან მიეღო გარანტია, რომ დაუთ ხანი მას არ შესცილებოდა ამ სოფლების მფლობელობაზე. მით უფრო, რომ 1585 წელს სულთანმა დაუთ-ხანს დაუმტკიცა სვიმონ მეფის მამულები, რომლებიც ოსმალებს ქართლში ჰქონდათ დაპყრობილი (სვანიძე 2003: 149). საინტერესოა, რომ სწორედ ამ პერიოდში, 1590 წელს სვიმონ მეფე სწირავს გორისჯვარს ტინისხიდელი თავაქალაშვილების, მათ შორის გორის ციხისთავის – დემეტრე თავაქალაშვილის ნაქონ მამულებს. სამწუხაროდ, ვერ დგინდება, როდის ან ვინ მიანიჭა დემეტრე თავაქალაშვილს გორის ციხისთავობა, რადგან 1578-1590 წლებს შორის გორის ციხე ხელიდან ხელში გადადიოდა (გუჩუა... 1973: 129-140). აღნიშნული საბუთის შესახებ, მოხსენება წარმოვადგინე პროფესორ ვარლამ ღონდუასადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე „საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის საკითხები – უახლესი კვლევები“, უახლესი შედეგები“, თბილისი, 2014 წლის 29 მაისი. საბუთის ტექსტზე დაყრდნობით ვივარაუდებ, რომ სვიმონ მეფე თავაქალაშვილებზე გამწყარალია, რადგან სვიმონი არა მარტო თავისი ნებასურვილით განკარგავს ტინისხიდელი თავაქალაშვილების მამულებს, არამედ სწირავს ამ მამულებს გორისჯვარს და იჩენს ალაპს, როგორც კერძო

ნისხიდელ თავაქალაშვილებისადმი (სეა, 1449-2090). 1629 წელს როსტომ მეფემ უწყალობა ვახტანგ თავაქალაშვილს სამკვიდრო სახლები (სეა, 1448-83).³⁶ 1631 წელს სამნა, შიომ და ზაქარია ნადირაძეებმა მიჰყიდეს საბოსტნე და ნაფუ-ზარი უმეკა და ნასყიდა ბარაშვილებს, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქარაშვილის ბოსტანს (ხეც, Ad-1567).³⁷ 1632 წლის ნასყიდობის სიგელში, რომლითაც დავითა და ხატისა ჩალაბაშვილებმა უმეკა და ნასყიდა ბახჩიაშვილებს მიყიდეს მიწები (რომელიც ესაზღვრებოდა ატენის მოურავის მიწებს), მოწმეებად დასახელებულნი არიან: ტინისხიდის მამასახლისი აზორბეგა, ბაინდურასშვილი ივანა, ნასყიდაშვილი ბერა, **თავაქალაშვილი დავითა**, ბადრიგულაშვილი ძულია და იოთელაშვილი ზუბია (ხეც, Ad-1568). 1636 წელს გოგბაშვილებმა მიყიდეს ბახრაშვილებს ტინისხიდის სამკვიდრო მამული, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშვილის მიწას. ამავ საბუთის მოწმეა თავაქალაშვილი მამუკა (ხეც, Hd-14888). 1645 წელს საკასშვილებმა ოსკანას და გრიქოლას მიჰყიდეს თავაქალაშვილისეული სახლ-კარი³⁸ (ხახანაშვილი 1891: 173-174). 1664 წ-ს შაჰნავაზმა თუმანიშვილებს უწყალობა ტინისხიდს ზემოხსენებული მამუკა თავაქალაშვილის ობლები (ხეც, Hd-14538). 1664-1675 წლების სიგელში არჩილ მეფე უთვლის თავის ძმებს, რომ დაუბრუნონ მის მდივანს ზურაბ თუმანიშვილს ტინისხიდში მცხოვრები თავაქელაშვილების ერთი კომლი (ხეც, Hd-11016). 1671 წელს ტინისხიდელმა ლალასშვილმა პაპუნამ გორელ ამირლზასშვილებს მიჰყიდა მკვირდი მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალაშვილის მიწას (ხეც, Hd-5270). 1674 წლის ნასყიდობის სიგელის მიხედვით, ბახჩიაშვილების მიწა ესაზღვრებოდა თავაქალაშვილის ყმის მიწას³⁹ (სეა, 1448-10000). 1677 წლის ნასყიდობის

შენიშვნების აქტი მოითხოვდა. ეს კი ნიშნავს, რომ მეფე ცდილობს სამუდამოდ დააკარგინოს ტინისხიდელ თავაქალაშვილებს მათი მამულები, რადგან ეკლესიისათვის შენირული მამულების გამონირვა უკანონოდ მიიჩნეოდა. როგორც ჩანს, ციხისთავი დემეტრე თავაქალაშვილი დაუთ-ხანის მომხრეთა შორის იყო, რამაც გამოიწვია სვიმონ მეფის ანტიპათია მათდამი (მოხსენების პუბლიკაცია იგეგმება ვ. დონდუასადმი მიძღვნილ კრებულში).

³⁶ სამწუხაროდ, ზუსტი ტოპონიმი არ იხსენიება, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა თავაქალაშვილი ტინისხიდში მოსახლეობს, ვახტანგ თავაქალაშვილის სამემკვიდრეო სახლებიც ამ ადგილას უნდა ვიგულისხმოთ.

³⁷ საბუთის ტექსტში არ იხსენიება სოფ. ტინისხიდი, თუმცა, სხვა ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთების მსგავსად, სადაც დაფიქსირებულია ეს ტოპონიმი, ამ საბუთის შესავალშიც იხსენიება გორისჯვარი და ოქონის ხატი.

³⁸ საბუთში არ იხსენიება არც ერთი ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმი, თუმცა ნინასიტყვაობაში ა. ხახანაშვილი აღნიშნავს შემდეგს: „აქ დაბეჭდილი „გუჯრები“ გადმოწერილია „საეკლესიო მუზეუმის“ გუჯრიდგან. ზოგიერთი კი გადმოწერე ქ. გორში კერძო პირების საკუთარ გუჯრებიდან“ (ხახანაშვილი 1891: XXX). ამრიგად, ჩემი აზრით, აქაც ტინისხიდელ თავაქალაშვილებთან გვაქვს საქმე.

³⁹ საბუთი დაზიანებულია, შემორჩენილ ტექსტში არ იხსენიება ტინისხიდი, თუმცა, ეს მიწა რომ ნამდვილად ტინისხიდშია, ადასტურებს ამ საბუთში მოხსენიებული გვარები, რომლებიც სხვა საბუთების მიხედვით, ტინისხიდის მკვიდრები არიან.

ნიგნის მოწმეა თავაქალასვილი მერაბა, რომლითაც ტინისხიდელი მამასახლისი გემანამ მიჰყიდა სიმონგულა მამუკას შვილს თავის სამკვიდრო მამული (ხეც, Hd-5303). 1680 წელს ტინისხიდელმა მეხრიშვილებმა მიჰყიდეს ბახჩასვილებს მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალასვილების მიწას (სეა, 1448-4595). 1681 წელს ტინისხიდელმა შავერდაშვილებმა გოგაჩაშვილებს მიჰყიდეს მიწა, რომელიც ესაზღვრებოდა თავაქალასვილის მიწას (ხეც, Hd-9390). ამავე წელს, ზურაბ თავაქარაშვილს იხსენიებს ბეჟან სააკაძე, როგორც მის აზნაურიშვილს ყორღანაშვილისადმი მიცემულ ნასყიდობის ნიგნში (ბერძენიშვილი 1940: 68-69). XVII საუკუნისაა ასევე ამირღაშვილების ნასყიდობის ნიგნი ენდრონიკაშვილებისადმი, რომელთა ნაყიდი მიწა ესაზღვრებოდა თავაქალასვილის ვენახს და რომლის მოწმეცაა სხვა საბუთებიდან ცნობილი ტინისხიდელი თავაქალასვილი ზურაბა. იგივე პიროვნება იხსენიება ტინისხიდელი ბერია ოთელასვილის მიერ ბეჟუა გასპარაშვილისადმი (ხეც, Hd-5305), ასევე 1715 წლის ნასყიდობის ნიგნში, რომელიც მიცემულია გორისჯვრის დეკანოზის ნიკოლოზ გოგიაშვილის მიერ გიორგი ბარამიშვილისადმი (ხეც, Hd-5338). ტინისხიდელ თავაქალასვილებს 1717 წელს გემანაშვილებმა მიჰყიდეს მიწა (სეა, 1450-48/121). ერთი წლის შემდეგ, 1718 წელს იგივე თავაქალასვილებს ტინისხიდელმა მემანისშვილმაც მიჰყიდა სანისქვილო მიწა (სეა, 1450-48/122). 1734 წ-ს თავაქალასვილი ფარსადან იხსენიება ტინისხიდელი ბერა ბალაჩიასვილის ნასყიდობის ნიგნში (ხეც, Hd-5308). ამის შემდეგ, 1737 წელს, ისევ ტინისხიდელ თავაქალასვილებს მოძღვრიანთ გოგობისშვილებმა მიჰყიდეს მიწა გაძელში (სეა, 1450-48/117). 1738 წელს, ტინისხიდელ თავაქალასვილებს უკვე ფოცხვერიშვილებმა მისცეს ნასყიდობის ნიგნი (სეა, 1450-48/124). ამავე წელს ტინისხიდელ თავაქალასვილებს უკვე ადუაშვილებმაც მიჰყიდეს მიწა (სეა, 1450-48/126). იმავე პიროვნებებს ვხვდებით უთარილო ნასყიდობის ნიგნში, რომლითაც გიგელაანთ თამაზასვილებმა მიჰყიდეს მათ მატეას შავერდაშვილისეული სანანაურის ძირის მიწა (სეა, 1450-48/118). მათვე მიჰყიდა ტინისხიდელმა ბახჩიაშვილმა მამულასვილისეული მიწა (სეა, 1450-48/119). უთარილოა ასევე მათთვის მიცემული ნასყიდობის ნიგნი, მიცემული ჯოხელი ხახანაშვილების მიერ (სეა, 1450-48/125). 1739 წელს თავაქალანთ ზურაბის შვილმა ფარსადანმა გორის მედიქს მისცა ნასყიდობის ნიგნი (ხეც, Hd-5348). ამავე წელს ზაზა ციციშვილის შვილებმა იმავე ტინისხიდელ თავაქალასვილებს მიჰყიდეს რუისელი გლეხები (სეა, 1450-48/115). მათვე იყიდეს შავედრაშვილისეული მამული ვანთელი ადუაშვილებისგან 1740 წელს (სეა, 1450-48/116). 1742 წელს გერმანოზიშვილებმა მისცეს ნასყიდობის სიგელი თავაქალასვილ გიორგის, რომელიც ამავე დროს ერისთავის ნაზირი ყოფილა⁴⁰ (ხეც, Hd-1811 (დ); სეა, 1450-24/12 (პ)). 1752 წელს ედიშერ დავითისშვილმა მის-

⁴⁰ ამ საბუთში არ იხსენიება ტინისხიდი, თუმცა იხსენიება გორისჯვარი, ხოლო დამწერია უფლისციხელი ხუცისშვილი. ამრიგად, ამ შემთხვევაშიც ტინისხიდელ თავაქალასვილზე უნდა იყოს საუბარი.

ცა ნასყიდობის წიგნი თავაქალასშვილ არუთინას (სეა, 1450-46/67). 1759 წელს ტინისხიდეღმა არუთინა თავაქალასშვილმა მისცა ნასყიდობის სიგელი მამაცასშვილ ქაიხოსროს, ხოლო ერთ-ერთი მოწმეა ტინისხიდეღი თავაქალაშვილი თაყა (სეა, 1450-46). ამავე წელს ტინისხიდეღ თავაქალასშვილებს ბერი პაპისშვილმა მიჰყიდა „გაძელა“ მიწა (სეა, 1450-48/120). 1763 წელს ტინისხიდეღმა თავაქალაშვილმა ზურაბმა მისცა ნასყიდობის წიგნი ბაღდასარასშვილს იოსეფს (ხეც, H-1611, 38v). თავაქალასშვილები ტინისხიდეღში ჩანან XIX საუკუნეშიც (სეა, 1449-2090).

აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოხსენებულ საბუთში საქმე გვაქვს თავაქალაშვილებთან, და არა თავაქარაშვილებთან. თუ გადავხედავთ მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიურ სიას, შევამჩნევთ, რომ თავდაპირველად, იმერეთის კარის მდივან-მწიგნობრებიც, ტინისხიდეღში მოსახლე საგვარეულოს მსგავსად, თავაქალასშვილებად იწოდებიან. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული კი, ყველა მდივან-მწიგნობარი უკვე თავაქარაშვილად იწოდება (იხ. ზემოთ). ხოლო, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, თავაქალაშვილთა საგვარეულოს მიწათმფლობელობა, XVI-XVIII საუკუნეების საბუთების მიხედვით, მხოლოდ გორთან მდებარე სოფ. ტინისხიდეღში ფიქსირდება. რით შეიძლება აიხსნას ეს მოვლენა?

XVI საუკუნის პირველი ათწლეულიდან მოყოლებული, არ ჩამცხრალა ქართლის და იმერეთის მეფეთა კონფლიქტი. ქართლის დასავლეთი ნაწილი, გორის მიმდებარე ტერიტორია (მათ შორის ტინისხიდეღი), ვიდრე ლიხის ქედამდე მონაცვლეობით გადადიოდა მათ მფლობელობაში (სურგულაძე 2010: 173-181). ამრიგად, პოლიტიკური საზღვარი ქართლს და იმერეთს შორის ამავე საუკუნის ბოლო მეხუთედამდე მუდმივად იცვლებოდა. ამის გამო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმერეთის სამეფო კარის მოხელე თავაქალასშვილებიც გარკვეულ მამულებს ფლობდნენ ტინისხიდეღში, მანამ, სანამ ეს ტერიტორია საბოლოოდ ქართლის საზღვრებში დარჩებოდა. შესაძლოა, სწორედ ამის გამო თავაქალაშვილთა საგვარეულოს იმერეთში დარჩენილმა განშტოებამ მცირე ცვლილება შეიტანა გვარში და იწოდნენ თავაქარაშვილებად, რადგან გვარის ცვლილებისა და პოლიტიკური საზღვრის საბოლოოდ დადგენის პერიოდიც ემთხვევა ერთმანეთს (XVI საუკუნის ბოლო მეხუთედი).

ჩემ მიერ ნაწილობრივ საბუთებიდან ერთადერთი საბუთი, სადაც ჩანან თავაქარაშვილები, არა როგორც გადამწერები, არამედ როგორც იმერეთში მაცხოვრებელი პირი, არის 1789-1810 წლების სოლომონ მეფის განაჩენი კიკოლა მაჭავარიანსა და ხოსიკა თავაქარაშვილს შორის სასისხლო დავაზე (ხეც, Hd-13770). სამწუხაროდ, საბუთი არ გვაძლევს ცნობებს ამ საგვარეულოს მოსახლეობის თუ მიწათმფლობელობის შესახებ და ეს საკითხიც ღიად რჩება.

ამ ნაშრომის შედეგად, პირველად მოხერხდა იმერეთის სამეფო კარის მდივან-მწიგნობართა საგვარეულოს – თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა ყველა წარმომადგენლის დადგენა, რომელთა რიცხვი, ჩვენამდე შემორჩენილი საბუთების მიხედვით, 22-ს შეადგენს.

**თავაქალაშვილ/თავაქარაშვილთა იმერეთის სამეფო კარის მდივან-
მნიგნობართა საგვარეულოს ქრონოლოგიური სია:**

1. სადათიერი – 1491 წ.
2. ალადადი – 1495, 1497 წწ.
3. ზურაბი – 1527 წ.
4. მირველი – 1558 წ.
5. ალა – 1568-1573 წწ.
6. თაყა – 1570, 1614 წწ.
7. ხვაფილანდრა/ხმაფილანდრო – 1586, 1601 წწ.
8. ასლან I – 1604 წ.
9. პატა/პაატა I – 1627, 1630, 1632, 1637, 1639, 1660 წწ.
10. მამუკა I – 1629-1661 წწ.
11. ხოსია/ხოსინა – 1639, 1646, 1660 წწ.
12. ბაქარი – 1647 წ.
13. ხუცია – 1660, 1673 წწ.
14. ასლან II – 1663, 1665, 1666, 1673 წწ.
15. ბეჟია – 1677, 1679, 1680 წწ.
16. პატა II – 1678, 1683 წწ.
17. ელიზბარ – 1685 წ.
18. მამუკა II – 1687 წ.
19. გიორგი – 1664, 1691 წლის ახლო ხანები.
20. ალხაზი – 1691 წ.
21. თავაქარ I – 1706 წ.
22. თავაქარ II – 1730, 1734, 1736, 1737, 1738 წწ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბულაძე** 1980: აბულაძე ც., სიმონ მეფის არზა სულთან მურად III-ს, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N7, თბ., 1980.
2. **ანოტირებული ლექსიკონი** 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, I, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 1991.
3. **ანოტირებული ლექსიკონი** 1993: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, II, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, თბ., 1993.
4. **ვახუშტი ბატონიშვილი** 1773: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

5. **ბაქრაძე** 1960: ბაქრაძე ა., ქართველ მდივან-მწიგნობრებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960.
6. **ბაქრაძე** 1963: ბაქრაძე ა., თუმანიშვილთა გენეალოგიის დადგენის ცდა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., 1963.
7. **ბაქრაძე** 1966: ბაქრაძე ა., მდივან-მწიგნობრის სახელოს საკითხისათვის, ჟურნ.: „მაცნე“, №6, თბ., 1966.
8. **ბერაძე** 1983: ბერაძე თ., რაჭა, თბ., 1983.
9. **ბერიძე** 1967: ბერიძე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.
10. **ბერიძე** 1973: ბერიძე ვ., ხელოვნება (ხუროთმოძღვრება. სახვითი ხელოვნება), ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში, კრებ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
11. **ბერძენიშვილი** 1940: ბერძენიშვილი ნ., დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წ. 1, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), თბ., 1940.
12. **ბოჭორიძე** 1994: ბოჭორიძე გ., იმერეთის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბ., 1994.
13. **ბურჯანაძე** 1958: ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურიადიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), წიგნი I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1958.
14. **გუჩუა** 1973: გუჩუა ვ., განათლება. ხალხური სიტყვიერება, ქართული კულტურა XVI-XVII საუკუნეებში, კრებ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
15. **გუჩუა...** 1973: გუჩუა ვ., სვანიძე მ., ირან-ოსმალეთის მეორე ომის დაწყება. ქართლის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სიმონ I-ის მეთაურობით. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა, კრებ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
16. **დვალი** 1968: დვალი მ., ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია, ჟურნ.: „მაცნე“, №4, თბ., 1968.
17. **კაკაბაძე** 1921ა: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი I, ტფ., 1921.
18. **კაკაბაძე** 1921ბ: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი II, ტფ., 1921.
19. **კაკაბაძე** 1924: კაკაბაძე ს., სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1924.
20. **კეკელია** 1984: კეკელია მ., მუშრები, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 7, თბ., 1984.
21. **კეკელიძე** 1952: კეკელიძე კ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1952.
22. **კლდიაშვილი** 2011: მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან, დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით, თბ., 2011.
23. **ლომინაძე** 1979: ლომინაძე ბ., საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, კრებ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
24. **მენაბდე** 1962: მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, I, ნაკვეთი მეორე, თბ., 1962.
25. **ნუცუბიძე** 1990: ნუცუბიძე ა., ტინისხიდი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, 5, თბ., 1990.

26. **ჟორდანია** 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ., 1897.
27. **ჟღენტი** 2010: ჟღენტი ნ., მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული XV საუკუნის საბუთის თარიღის დაზუსტებისათვის, ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, №XII, თბ., 2010.
28. **ჟღენტი** 2011ა: ჟღენტი ნ., მთის წმ. გიორგის მონასტრის 1465-1467 წწ-ის საბუთის დედნისა და პირების ურთიერთმიმართებისათვის (საბუთის შემორცენილი პირები, სამეცნიერო გამოცემები და დაკარგული დედნის XIX საუკუნის უცნობი ანოტაცია), კრებ. „საქართველო და ქრისტიანობა“, თბ., 2011.
29. **ჟღენტი** 2011ბ: ჟღენტი ნ., მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია), საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, №4, თბ., 2011.
30. **ჟღენტი** 2013: ჟღენტი ნ., საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის საკითხისათვის (მთის წმ. გიორგის მონასტრის 1491 წლის შეწირულობის საბუთის ანალიზი), II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2013
31. **რეხვიაშვილი** 1978: რეხვიაშვილი მ., დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში, თბ., 1978.
32. **სვანიძე...** 1966: სვანიძე მ., ჯიქია ს., საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან 1588-1590 წწ. ჟურნ. „მაცნე“, N6, თბ., 1966.
33. **სვანიძე** 2003: სვანიძე მ., 1588 წელს ქართლის მეფე სიმონ I-ისა და ოსმალეთის სარდალ ფერჰად ფაშას შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, „ქართული დიპლომატია“ (წელიწდეული), 10, თბ., 2003.
34. **სულხან საბა ორბელიანი** 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკლვევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991.
35. **სურგულაძე** 1952: სურგულაძე ი., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1, თბ., 1952.
36. **სურგულაძე** 1978: სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
37. **სურგულაძე** 2010: სურგულაძე მ., ეპიზოდები XVI საუკუნის საქართველოს შიდა პოლიტიკური ცხოვრებიდან, ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები, კრებ. „მრავალთავი“, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, N23, თბ., 2010.
38. **ქვლივიძე** 1960: ქვლივიძე მ., ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის, თბ., 1960.
39. **ხახანაშვილი** 1891: ხახანაშვილი ა., გუჯრები (საისტორიო მასალა), გამოცემა დეკ. დ. ლამბაშიძისა, ქუთ., 1891.
40. **ჯავახიშვილი** 1982: ჯავახიშვილი ივ., თხზულებები თორმეტ ტომად, VI, თბ., 1982.
41. **ჯამბურია** 1973: ჯამბურია გ., საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII საუკუნის 30-90-იან წლებში, კრებ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.

42. **Н ფონდის აღწერილობა** 1951: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (Н კოლექცია), ტ. II, შედგენილია და დასაბუთდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1951.
43. **Амиранашвили** 1963: Амиранашвили Ш., История грузинского искусства, М., 1963.

Nikoloz Zhgenti

**IMERETIAN ROYAL SECRETARY ANCESTRAL OF TAVAKALASHVILI/
TAVAKARASHVILI**

SUMMARY

During the process of work on historical documents of Imereti kingdom (western Georgia) I noticed an interesting tendency – the calligraphers are mostly the representatives of Tavakalashvili/Tavakarashvili family.

The most famous representative of this ancestral was Mamuka Tavakarashvili – the royal secretary of Imereti king Giorgi III. He was imprisoned after the battle of 1634 year and continued his activities in the prison of Odishi duke Levan II Dadiani, where he rewrote and painted the oldest survived copy of Shota Rustaveli poem „A Knight in the Panther’s Skin“. Apart from manuscript books, Mamuka, as other members of the Tavakalashvili/Tavakarashvili family, was writing royal documents.

Scientific literature makes us fully aware about the royal secretary ancestral of Tumanishvili from Kartli kingdom (eastern Georgia). We know the chronological list and even genealogy of Tumanishvili ancestral, who had been the royal secretaries for more than 350 years.

So far, there was no article specially dedicated to Tavakalashvili/Tavakarashvili ancestral.

After the research I revealed 22 representatives of this family as the secretaries of Imereti royal court for more than 250 years (15th-18th c.) and composed their chronological list. I also tried to find their origin homeland and presented the opinion about the transformation of the family name from Tavakalashvili to Tavakarashvili.

ელენე ცაგარეიშვილი

არმენოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიიდან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში¹

საქართველოში არმენოლოგიურ კვლევა-ძიებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. სომხურმა საისტორიო მწერლობამ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიიპყრო საქართველოს ისტორიის სპეციალისტ მკვლევართა ყურადღება. აკად. მარი ბროსემ პირველმა მიჰყო ხელი სომხური წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნას საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესასწავლად და არმენოლოგიური პრობლემების კვლევას მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა.

როგორც ქართველოლოგიის, ასევე არმენოლოგიის მთელი რიგი პრობლემების მეცნიერული შესწავლისა და ფართო მასშტაბით კვლევის საქმეში განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს ქართული არმენოლოგიის პრობლემების თვალსაჩინო მკვლევრებმა ნ. მარმა, ა. შანიძემ, ივ. ჯავახიშვილმა, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, ილია აბულაძემ.

აკად. ივანე ჯავახიშვილის სახელთან დაკავშირებულია ქართულ არმენოლოგიაში ახალი მეცნიერული კვლევის ეტაპის დამკვიდრება.

პროფ. ილია აბულაძე კი ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში ახალი ეტაპის ფუძემდებლად ითვლება. მან განაგრძო ქართულ-სომხური ფილოლოგიური ძიების ძველი ტრადიციები, თავის ნაშრომებში ნათელყო ქართულ-სომხური ლიტერატურული, ენობრივი, ისტორიული კავშირისა და ურთიერთობათა არსებობა, დაარღვია ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული მრავალი მცდარი მოსაზრება და მართებული, სწორი ახსნა-განმარტება მოუძებნა მათ. ამ ხასიათის ნაშრომთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა მისი „იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ და მონოგრაფია „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში“.

ილია აბულაძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში დიდი ადგილი ეთმობა წმინდა ქართულ-სომხური ენათმეცნიერული საკითხების კვლევას.

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ილია აბულაძის მეცნიერული კვლევის სფეროში საქართველოსა და სომხეთის როგორც ისტორიის, ასევე ისტორიოგრაფიის ბევრი საინტერესო საკითხია მოქცეული. ფასდაუდებელია მკვლევრის ღვაწლი „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის ტექსტის, მისი მთარგმნელის ვინაობისა და მოღვაწეობის ხანის დადგენის საქმეში. ილია აბულაძე სომხური დიალექტოლოგიის საკითხებსაც იკვლევდა. დიდა ილია აბულაძის ღვაწლი ქართულ-სომხური ლექსიკოლოგიის განვითარებაში. ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები (ც. ქურციკიძე, მ. რაფავა, ე. ცაგარეიშვილი) გამოსაქვეყნებლად ამზადებენ მისი მრავალწლიანი, ფასდაუდებელი შრომის ნაყოფს „ძველ ქართულ-სომხურ დოკუმენტირებულ ლექსიკონს“, რომელსაც საფუძვლად უდევს V-XI საუკუნეების როგორც გამოქვეყნებული, ასევე ხელნაწერების სახით შემორჩენილი ქართული და მისი შესაბამისი სომხური ძეგლებიდან ამოკრებილი და შერჩეული მრავალმხრივ საყურადღებო მასალა.

ილია აბულაძის თაოსნობით საქართველოს ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ბაზაზე 1958 წლის ზაფხულში მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ახალი ინსტიტუტი, თავდაპირველად პალეოგრაფიის ინსტიტუტის სახელწოდებით, რომელსაც შემდეგ ეწოდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი (დღევანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი). აქ ილია აბულაძემ შექმნა როგორც ქართველოლოგთა, ისე არმენოლოგთა სკოლა, სადაც არმენოლოგიური მუშაობა წარიმართებოდა (და დღესაც მიმდინარეობს) ტექსტოლოგიის (მ. რაფავა, დ. ჩიტუნაშვილი) და წყაროთმცოდნეობის (ზ. ალექსიძე, ლ. ჯანაშია, ე. ცაგარეიშვილი) მიმართულებით.

დღიდან ხელნაწერთა ინსტიტუტში მოსვლისა მათა რაფავა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის მთელ რიგ საყურადღებო პრობლემებს იკვლევს. მის მრავალწლიან სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულიდან სომხურად ნათარგმნი დოგმატიკურ-ფილოსოფიური და პოლემიკური მწერლობის ძეგლების კვლევას. მეორე ძირითადი პრობლემა, რომელსაც ასევე საფუძვლიანად იკვლევს მათა რაფავა, არის „ძველ ქართულ მწერლობაში არსებული პოლემიკური თხზულებები სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ“. III პრობლემა კი გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმანებს ეხება.

ზაზა ალექსიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა (ისტორიული, ფილოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური და ეპიგრაფიკული გამოკვლევები (მათ შორის 13 მონოგრაფია) მალალი მეცნიერული დონით გამოირჩევა. მან თავის ნაშრომში „ეპისტოლეთა წიგნი“ ნათლად დაასაბუთა, რომ ცნობა მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის გამოგონების შესახებ არ შეესაბამება სინამდვილეს, იგი სომხურ წყაროებში გვიანდელ ინტერპოლაციას წარმოადგენს. „ეპისტოლეთა წიგნის“ ცნობების შესწავლისა და მათი საფუძვლიანი კრიტიკის შედეგად მან დაამტკიცა, რომ VII საუკუნის დამდეგს, სომეხ ქართველთა საეკლესიო განხეთქილებამდე ქართული ეკლესია ავტოკეფალური იყო. ასევე

მაღალ შეფასებას იმსახურებს ზ. ალექსიძის ნაშრომი „უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“.

როგორც ზაზა ალექსიძის შრომათა ბიბლიოგრაფიიდან ჩანს, მის სამეცნიერო შემოქმედებაში გარკვეული ადგილი ეთმობა ქრონოლოგია-გენეალოგიის, სოციალური ტერმინების, ქართულ და სხვა ენათა (ძირითადად სომხურ, სირიულ) ლექსიკური ურთიერთობის, წერილობით წყაროებში ტერმინების, ტოპონიმების, ქართულ-სომხური კულტურული, დიპლომატიური ურთიერთობების, ტექსტოლოგიურ-ქრონოლოგიური და სხვა მრავალი საკითხის კვლევას.

ილია აბულაძის მიერ დაფუძნებული არმენოლოგიური სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიაც, რომლის მეცნიერული ინტერესების წრე საკმაოდ ფართო და მრავალმხრივი იყო. ლაშა ჯანაშიას მეცნიერულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი ეთმობა არმენოლოგიის საკითხებს. მის ნაშრომთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც 1962 წელს წიგნად გამოქვეყნდა: „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ“ და 1980 წელს გამოქვეყნებული „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი მონოგრაფია „შუშანიკის ნამება“.

ლ. ჯანაშიას მიერ გამოქვეყნებული ყველა სომხური წყარო, თან დართული გამოკვლევები და შენიშვნები ფართოდ არის გამოყენებული სპეციალისტების მიერ და შესაბამისადაა ასახული „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რეატიომეულსა და „ქართულ ენციკლოპედიაში“.

ე. ცაგარეიშვილის არმენოლოგიური ნაშრომების უმეტესი ნაწილი ეძღვნება შუა საუკუნეების გარკვეული პერიოდის (ძირითადად, VIII-XIII სს.) ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლების შესწავლას, და ქართულ და სხვა უცხოენოვან წყაროებთან მიმართებით საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების კვლევას.

ე. ცაგარეიშვილის მიერ ქართულად თარგმნილი და მონოგრაფიულად შესწავლილია VIII-XIII საუკუნეების სომეხი ისტორიკოსების (ლევონდი, თომა არწრუნი, ანონიმი არწრუნი, იოანე დრასხანაკერტეცი, სტეფანოს ტარონეცი, ფსევდო შაპუჰ ბაგრატიუნი, არისტაკეს ლასტიკერტეცი, სტეფანოს ორბელიანი) ნაშრომები.

აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მიერ ჩატარებული არმენოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები გამოქვეყნებულია აგრეთვე სტატიების სახით პერიოდულ გამოცემებსა და სხვადასხვა კრებულში.

სომხური საისტორიო მწერლობის ცალკეულ ძეგლებს უფრო ფართოდ გაეცნო ქართული სამეცნიერო საზოგადოება XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან შეიქმნა „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია“. რომლის სომხური წყაროების სერიის რედაქტორი იყო ილია აბულაძე, შემდეგ – ლაშა ჯანაშია, ხოლო ამჟამად მას ხელმძღვანელობს ზაზა ალექსიძე.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოღვაწე არმენოლოგებს მეცნიერული კონტაქტები აქვთ დამყარებული როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე უცხოელ არმენოლოგებთან. ისინი აქტიურად მონაწილეობენ არმენოლოგიური პრობლემების კვლევისადმი მიძღვნილ როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მუშაობაში.

Elene Tsagareishvili

FROM THE HISTORY OF GEORGIAN ARMENOLOGY AT THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

SUMMARY

Research in the Armenological field has long history in Georgia. Armenian historical sources and literature has drawn specialists' attention from XIX century. For the study the problematical issues of Kartvelology and Armenology in academic way and to research it widely, special contribution made prominent scientists of Georgian Armenology – M. Brosset, Iv. Javakhishvili, A. Shanidze, L. Melikset-Beg, I. Abuladze.

The name of scientist Iv. Javakhishvili in Georgian Armenology is associated with the beginning of a new stage of scientific research. However, I. Abuladze was founder of a new stage of the research in the Georgian-Armenian literature. Although, he continued to keep old traditions in that research field. In his works he shed light Georgian-Armenian literary, linguistic and historical connections and relations in the field. He abolished many false considerations regarding to this subject and tried hard to find correct, objective definition and explanations to them.

In 1958 the new research institute was founded by Ilia Abuladze's initiative and great endeavor on the basis of the Museum of Georgian history (in the section of Manuscripts). At the beginning it was called Institute of Paleography, then it was renamed and called K.Kekelidze Institute of Manuscripts (nowadays National Centre of Manuscripts). Here I. Abuladze created the school not only for Kartvelology field, but also for Armenology, where Armenologists have worked in the textology and historical source studies.

It is worth to mention that some sources and works of Armenian historical literature were widely known from the 1960s. This was the period of time when "The committee of foreign sources about Georgia" was founded and the editor of its published Armenian sources series was I. Abuladze. After him was L. Janashia and nowadays Z. Alexidze.

The Armenologist employees (Z. Alexidze, E. Tsagareishvili, M. Raphava, D. Chitunashvili, Kh. Gaprindashvili, I. Khositashvili) of the National Centre of Manuscripts of Georgia have contacts to their colleagues not only in Georgia, but also in foreign countries. They actively take a part to the conference or symposium regarding to the Armenology and research in this field.

თამარ ჭუმბურიძე

ჰუბერტ ქაუფჰოლდი და მისი ქართველოლოგიური მოღვაწეობა

პროფ. დოქტორ ჰუბერტ ქაუფჰოლდს 2013 წელს 70 წელი შეუსრულდა და მისმა კოლეგებმა და მოსწავლეებმა საზეიმოდ აღნიშნეს ეს თარიღი. ჰ. ქაუფჰოლდს მიეძღვნა *Orientalia Christiana*-ს სერიის სპეციალური გამოშვება (*Orientalia* 2013) მასში იუბილარის ბიოგრაფიისა და მისი შრომების ბიბლიოგრაფიის გარდა ჩამოთვლილია იმ მეცნიერების, სასულიერო და საერო პირების სია, რომლებმაც სხვადასხვა ქვეყნიდან მიულოცეს იუბილარს ეს თარიღი. კრებულში 35 ნაშრომია დაბეჭდილი, რომლებიც ძირითადად ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის საკითხებს ეხება.

ჰ. ქაუფჰოლდის სამეცნიერო ნაშრომები ქართველოლოგიურ წრეებში ჩვენთანაც კარგადაა ცნობილი, მაგრამ ძირითადად მას იცნობენ როგორც ჟურნალ „*Oriens Christianus*“-ისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონის გამომცემელს. ბევრმა არც იცის, რომ ეს მისი ძირითადი საქმიანობა არ არის. მეც მხოლოდ მისი პირადად გაცნობის შემდეგ შევიტყვე, რომ იგი იურისპუდენციასთან ერთად სწავლობდა აღმოსავლურ ენებს და მოსამართლედ მუშაობის პარალელურად ეწეოდა ფილოლოგიურ მოღვაწეობას. მთელ თავის თავისუფალ დროს იგი სირიული, კოპტური, ეთიოპური, სომხური და ქართული წერილობითი ძეგლების კვლევას უთმობდა, განსაკუთრებით ძველი სამართილს ძეგლებისას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართველოლოგი არ არის, მისი დამსახურება ამ სფეროში ძალიან დიდია: მას მრავალი მეცნიერული თუ სალექსიკონო სტატია აქვს ქართული სასულიერო მწერლობისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე, მჭიდრო კავშირი აქვს ქართულ სამეცნიერო წრეებთან და მთელი თავისი მოღვაწეობით ძალიან უწყობს ხელს ქართული კულტურის პოპულარიზაციას ევროპაში. გვინდა რამდენიმე სიტყვით შევეხოთ მის ურთიერთობას საქართველოსთან და ქართველ მეცნიერებთან და მის გამოკვლავებს ქართველოლოგიის სფეროში.

ძველი ქართული ენა ქაუფჰოლდმა ცნობილ ქართველოლოგთან და "*Oriens Christianus*"-ის გამომცემელთან იულიუს ასფალგთან შეისწავლა, ახალი ქართული კი – მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკის თანამშრომელთან, თამარ ვესტ-

თან. მისი ინტერესი ქართული კულტურისადმი ადრინდანვე დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც პირველად იმოგზაურა საქართველოში.

1975 წელს ტუტციგის ევანგელისტური აკადემიის მიერ ორგანიზებულ მოგზაურობაში მასთან ერთად მონაწილეობდნენ პროფ. ფერი ლილიენფელდი და პროფ. გაბრიელე ვინკლერი. დელეგაციის წევრებს აეროპორტში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები დახვდნენ დაათვალიერებინეს თბილისი, მცხეთა, გორი, ქუთაისი, გელათი, უფლისციხე, მონამეთა. განსაკუთრებით სასიამოვნო კი ქართველ მეცნიერებთან და სასულიერო პირებთან შეხვედრები იყო, რაც იმ პერიოდითვის არც თუ ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. ჰ. ქაუფჰოლდი იხსენებს, რომ სწორედ მაშინ გაუცვნია საქართველოს პატრიარქი, (მაშინ მიტროპოლიტი) ილია მეორე. პროფ ასფალგის რჩევითა და შუამდგომლობით გაუცვნია ასევე ბატონი აკაკი შანიძე, რომელთანაც შემდეგშიც კარგი ურთიერთობა და მიმონერა ჰქონდა. ამ მოგზაურობისას გაიცნო მან ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე კოტე წერეთელიც. მასთან სტუმრობისას მის ვაჟს, სოსოს, ქაუფჰოლდის პორტრეტის ესკიზიც კი გაუკეთებია მისგან შეუმჩნეველად და მისთვის საჩუქრად გადაუცია. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ჰუბერტ ქაუფჰოლდისა და მთელი ჯგუფის ვიზიტი საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში. მაშინდელ დირექტორთან, ქალბატონ ელენე მეტრეველთან მან წლების მანძილზე შიენარჩუნა კარგი ურთიერთობა და საქმიანი მიმონერა. პროფ. ასფალგთან ერთად ჰ. ქაუფჰოლდიც გზავნიდა ინსტიტუტისათვის საჭირო ლიტერატურას, განსაკუთრებით რესტავრატორებისათვის საჭირო ჟურნალ "Maltechnik"-ს და "Oriens Christianus"-ის ახალ ნომრებს. 1977 წელს ელენე მეტრეველი და კონსტანტინე წერეთელი ქ. ერლანგენში გამართულ აღმოსავლეთმცოდნეების ყრილობაში მონაწილეობდნენ. ჰუბერტ ქაუფჰოლდი და იულიუს ასფალგი ბელგიელ ქართველოლგ ბერნარ უტიესთან ერთად რამდენიმე დღე დარჩნენ ბავარიაში და ქართველ მეცნიერებთან ერთად იქაური ეკლესია-მონასტრები დაათვალიერეს.

პროფ. ქაუფჰოლდის თქმით, მისი ინტერესი ქართული კულტურისადმი განსაკუთრებით გაცხოველდა მას შემდეგ, რაც თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართული ეკლესია-მონასტრები დაათვალიერა: ხახული, ბანა, ოშკი, დოლისყანა. სწორედ აქ, წარწერებში მოხსენებული სახელების ნახვის შემდეგ დაინტერესდა იგი ბაგრატიონთა დინასტიის ისტორიით და სპეციალური გამოკვლევაც გამოაქვეყნა. აქ იგი ბაგრატიონთა გვარის და მისი ზოგიერთი შტოს ისტორიას იკვლევს, ამასთან დაკავშირებით სომხურ და ქართულ ისტორიულ წყაროებს მიმოიხილავს, თუმცა დეტალების ანალიზისაგან თავს იკავებს და თავის დაკვირვებებში სიფრთხილეს იჩენს.

მეორე მოგზაურობა საქართველოში 1990 წელს შედგა, როდესაც ბიზანტიური სამართლის მკვლევართა ჯგუფის უფროსმა, სამართლის ისტორიის პროფესორმა მაინის ფრანკფურტიდან, დიტერ სიმონმა გადაწყვიტა მოეწყო მეცნიერთა შეხვედრა და ამ შეხვედრის თემა ყოფილიყო ბიზანტიის სამართლის რეცეფცია რუსეთში, სომხეთსა და საქართველოში, პირველი შეხვედრა ერევანში ჩატარდა 1986 წელს, მეორე – ბად ჰომბურგში 1998 წელს, მესამე კი – თბილისში 1990

წელს. ქართულ მხარეს წარმოადგენდნენ პროფესორები: რ. მეტრეველი, გ. ნადარეიშვილი, დ. ფურცელაძე, ასევე დოქტ. ბ. ზოიძე და ს. გოგინავა. ბუნებრივია, ყველა ამ შეხვედრის აქტიური მონაწილე იყო ჰ. ქაუფჰოლდი, რადგან ბიზანტიური სამართალი, და საერთოდ ქრისტიანული აღმოსავლეთის სამართალი, მისთვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. ამ შეხვედრების შედეგი იყო რუსული, სომხური და ქართული სამართლის ისტორიის ბიბლიოგრაფია. ეს იყო ძალიან ინტენსიური და ხანგრძლივი შრომის შედეგი. ამ შრომის შედეგი იყო ასევე ჰ. აუფჰოლდის მეტად საინტერესო მოხსენებაც, რომელიც მან თბილისში წაიკითხა და რომელშიც მიმოიხილა ქართული და სომხური სამართლის ისტორიის კვლევის მაშინდელი მდგომარეობა ევროპაში. მართალია, მას ზოგადი სურათი უნდა აესახა და ცალკეული ავტორების კვლევა არ ჰქონია მიზნად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ძალიან დანვრილებით შეეხო ბევრ მათგანს, მიუთითა კვლევის მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე და ამის შესაძლებლობებზე.

აქაც გამოჩნდა მისი მუშაობისთვის ზოგადად დამახასიათებელი სტილი: ესაა ჩატარებული სამუშაოს ზუსტი და დანვრილებითი ანალიზი დეტალების გათვალისწინებით, შემდეგ განზოგადება და პრობლემის გლობალური წარმოჩენა და ბოლოს დასკვნების გაკეთება.

პრობლემები, რომელთაც ჰ. ქაუფჰოლდი შეეხო, ბუნებრივია, მხოლოდ სამართლის ძეგლებს არ ეხებოდა. ქართული და სომხური ენების მცოდნეები ევროპაში ნაკლებად იყვნენ, ლიტერატურა არ ითარგმნებოდა და ევროპის ბიბლიოთეკებშიც არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი. თავის მხრივ ევროპული გამოკვლევებიც ძნელად და გვიან აღწევდა ქართველ მკითხველამდე. ეს ნაწილობრივ იდეოლოგიის ბრალი იყო, ნაწილობრივ კი იმისა, რომ საეკლესიო თემატიკა აქტუალური არ იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში. ამ ხარვეზის შევსებას ორივე მხრიდან ცდილობდნენ მეცნიერები პირადი ინიციატივის, პირადი კონტაქტების საშუალებით და ამისი საუკეთესო მაგალითს სწორედ პროფ. ჰ. ქაუფჰოლდი წარმოადგენს.

ქართული სამართლის ისტორიას მკვლევარმა მოგვიანებით სხვა ნაშრომებშიც მიუძღვნა *Fortleben byzantinischen Rechts bei Armeniern und Georgiern (Oriens Christianus 2009: 187-200)* და *საეკლესიო სამართალი აღმოსავლეთის ეკლესიებში (Sources of Canon Law in the Eastern Churches 2012: 215-342)*.

მესამედ ჰ. ქაუფჰოლდი 1998 წლის 20-27 მაისს იმყოფებოდა საქართველოში, როდესაც თბილისის უნივერსიტეტის 85 წლისთავთან დაკავშირებით კონგრესი ჩატარდა და მასში ევროპელმა ქართველოლოგებმა და აღმოსავლეთმცოდნეებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა. კონგრესზე მისი მოხსენება იყო: *საქართველოს მეფის ერეკლე II-ის ბრძოლები და მათი ექო იმ დროის ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში*. ეს მოხსენება შემდეგ დაიბეჭდა კიდევ ჟურნალ *Caucasica*-ში (*Die Kriege des Königs Heraklius II 1998: 110-119*). კონგრესის მონაწილეებისათვის ექსკურსია იყო დაგეგმილი თელავში და იყალთოში. ძველ ნაცნობებთან

შეხვედრებს და კოლეგების მონახულებას ახალი ნაცნობობაც დაემატა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მაშინდელ დირექტორთან ა. კარტოზიასთან.

ჰ. ქაუფჰოლდის მოგზაურობებზე საქართველოში დაწვრილებით შეეჩერდით, რადგან ისინი უშუალოდაა დაკავშირებული მის პუბლიკაციებთან, თუმცა მისი სხვა ნაშრომებიც არ უნდა დავივიწყოთ, უპირველეს ყოვლისა, სტატიები თეოლოგიისა და რელიგიის ისტორიის ლექსიკონში *Religion in Geschichte und Gegenwart* (1998, 2000, 2001), ამას გარდა ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონში *Kleines Wörterbuch des Christlichen Orients* (Krüger 1975; Kaufhold 2007), რომელიც ასფალგისა და კრიუგერის რედაქტორობით გამოვიდა და რომელშიც ქაუფჰოლდის სტატიებია საქართველოზე, ქართულ ანბანზე და ქართულ ლიტერატურაზე, და ბოლოს 2007 წელს ჰ. ქაუფჰოლდის მიერ გამოცემული *Kleines Lexikon des Christlichen Orients*. რადგან ბოლო წლებში მრავალრიცხოვანი გამოკვლევა და თარგმანი გამოქვეყნდა, ლექსიკონის ხელმეორე გამოცემა მნიშვნელოვანი საქმე იყო. რაკი პროფ. ი. ასფალგი გარდაცვლილი იყო, ეს საქმე ჰ. ქაუფჰოლდმა ითავა, ძველი გამოცემა მნიშვნელოვნად გადაამუშავა და განაახლა. საქართველოსადმი მიძღვნილი სპეციალური სალექსიკონო სტატიის გარდა ცალკე თავებადაა გამოყოფილი ქართული ხელნაწერები, ქართული წარწერები, საქართველოს ეკლესია, ქართული მონასტრები, საქართველოს ხელოვნება, ქართული ლიტერატურა, ქართული დამწერლობა, ქართული ენა, პეტრე იბერი, ექვთიმე ათონელი და სხვა. ამასთან საქართველოს შესახებ სხვა სტატიებშიცაა ცნობები (არქიეპისკოპოსი, კათოლიკოსი, საეკლესიო მუსიკა, ლიტურგიული წიგნები, ნუმიზმატიკა, პატრისტიკა, ქადაგებები, სამართლის წიგნები, ჟურნალები და სხვ.); მითითებულია ქართული გამოცემები და ბიბლიოგრაფიები, ცალკე თავი ეძღვნება ქართველოლოგიას. ჩატარებული სამუშაოს მოცულობა და სიზუსტე ყველა წვრილმანში კარგად წარმოაჩენს გამომცემლის დიდ პასუხისმგებლობას და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ საცნობარო ნამუშევრის სანდოობას. ძალიან მნიშვნელოვანია სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც ყოველ ცალკეულ საკითხთან დაკავშირებითაა მითითებული, ესენია არა მარტო მეცნიერული გამოკვლევები, არამედ ხელნაწერთა კატალოგები, ტექსტების გამოცემები და თარგმანები, რომლებიც არც ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონის ძველ გამოცემაში იყო მითითებული, არც რომელიმე სხვა საცნობარო სახის ნაშრომში, და ამით კიდევ უფრო ზრდის ამ გამოცემის მნიშვნელობას.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია ჰ. ქაუფჰოლდის წვლილი ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ისტორიაში (*Lexikon für Theologie und Kirche* 2001: 1249). ამ სფეროში მას განსაკუთრებით ბევრი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, ესაა ახალი გამოცემების მიმოხილვა, რეცენზიები, ნეკროლოგები თუ მილოცვები.

ყველაზე მნიშვნელოვანი მისი ვრცელი ნაშრომია *ქრისტიანული აღმოსავლეთის შესწავლა. მოსაზრებები ამ დარგის ისტორიასთან და მის მომავალთან დაკავშირებით* (*Die Wissenschaft vom Christlichen Orient. Gedanken zur Geschichte und Zukunft des Faches*, Kaufhold 2012: 15-214). მასში ვრცელი ნაწილი ეთმობა

ქართველოლოგიას, რომელიც, ქუფჰოლდის აზრით, „ყველაზე მოკრძალებულადაა წარმოდგენილი ევროპულ აღმოსავლეთმცოდნეობაში“ (Kaufhold 2012: 118). ავტორი მიმოიხილავს რომაელი მისიონერების მოღვაწეობას საქართველოში, სხვადასხვა დანესებულებებს, სტამბებს, სადაც ქართული წიგნები იბეჭდებოდა მოგზაურთა ჩანაწერებს თუ ცალკეული მეცნიერის მოღვაწეობას, რომელიც ქართულ თემატიკაზე მუშაობდა, ევროპელ მეცნიერთა (ფ. ც. ალტერი, ი. ც. ადელინგი, მ. ფ. ბროსე, ჰ. გუსენი, გ. ფერაძე, გ. დეეტერსი, რ. მეკელაინი, ფ. ჰენგსტენბერგი, გ. პეჩი, გ. გრაფი, ი. ასფალგი) აზრს. განსაკუთრებით დანვრითებით შეეხო კ. კეკელიძის მოსაზრებას და იმ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ევროპაში მოღვაწეობდნენ. საქართველოს ეკლესიის ისტორიას იკვლევდნენ სპეციალისტები და თავიანთ ნაშრომებს გერმანულ, ფრანგულ ან იტალიურ ენებზე აქვეყნებდნენ, რითაც ხელს უწყობდნენ საქართველოს ეკლესიისა და ქართული სასულიერო ლიტერატურის შესწავლას ევროპაში (მ. თამარაშვილი, მ. თარხნიშვილი, გ. ფერაძე)

კიდევ უფრო დანვრითებით ინფორმაციაა ამ საკითხებთან დაკავშირებით ჟურნალ Oriens Christianus 1989 წლის სპეციალურ გამოცემაში (Oriens Christianus 1989, 437 გვერდი), რომელშიც მოცემულია ავტორთა სია, კონგრესებზე წაკითხული მოხსენებების ჩამონათვალი, წიგნების მიმოხილვა, პერსონალია, თარგმანები, წიგნს კი ჰ. ქუფჰოლდის ვრცელი შესავალი წერილი აქვს წამძღვარებული, რომელშიც ავტორი ჟურნალის ისტორიასთან ერთად მე-20 საუკუნეში ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ისტორიასაც იძლევა, რითაც საშუალება გვძლევს თვალი გავადევნოთ ქართველოლოგიურ კვლევას გერმანიაში. სწორედ ამ წერილზე დაყრდნობით გამოვაქვეყნეთ გერმანიაში ქართველოლოგიური კვლევის შესახებ წერილი მრავალთავში (ჭუმბურიძე 2003: 359-372). საკმარისია მხოლოდ გვარების დასახელებაც კი იმ მეცნიერებისა, რომლებიც აქა მოხსენიებული, და რომლებიც ქართული სასულიერო ლიტერატურისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს იკვლევდნენ: ანტონ ბაუმშტარკი (1872-1948), ჰაინრიხ გუსენი (1863-1927), გერჰარდ დეეტერსი (1892-1961), გეორგ გრაფი (1875-1955), ვილჰელმ ჰენგსტენბერგი (1885-1963), იოზეფ მოლიტორი (1903-1987), პაულ კრიუგერი (1904-1975), იულიუს ასფალგი (1919-2001), გერტრუდ პეჩი, ჰაინც ფენრიხი, ჰერმან გოლცი და სხვ. ეკლესიის ისტორიის მკვლევართა გარდა ნახსენებია სამართლის ისტორიკოსები, არქეოლოგები, ხელოვნებამცოდნეები, ჩამოთვლილია გერმანიის უნივერსიტეტები, სადაც სასწავლო პროგრამაში შედიოდა ქართული ენა ან ლიტერატურა. მნიშვნელოვანია ასევე ქართული წიგნების მიმოხილვა და ქართველი მეცნიერების პერსონალიები (ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ე. მეტრეველი და სხვ.).

ჰ. ქუფჰოლდს ცალკე სტატიაში აქვს მიმოხილული გერმანელი აღმოსავლეთმცოდნის გეორგ გრაფის (1875-1955) ქართველოლოგიური მოღვაწეობა. გ. გრაფი უფრო არაბულის მკვლევარია და მისი ქართველოლოგიური ნაშრომები ნაკლებადაა ცნობილი. ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა ჰ. ქუფჰოლდის ეს სტატია (Kaufhold 2002: 145-170) და მისი დამსახურების ხაზგასმა

ქართველოლოგიური საკითხების კვლევის საქმეში. ამავე სტატიაში მოცემულია ექსკურსი ფრანც ცორელზე და მის საქმიანობაზე (ქართული ენისა და ბიბლიის ქართული რედაქციის კვლევა) .

ჰ. ქაუფჰოლდის დამსახურებაა სტრასბურგელი ენათმეცნიერისა და ქართველოლოგის იოზეფ კარსტის (1871-1962) მანამდე უცნობი ხელნაწერის აღმოჩენა ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ (Kaufhold 2002: 201-232). ავტორი დანვრილებით აღწერს ხელნაწერის ბედს, როგორ მოხვდა იგი ა, ლანდშოტისა და გ. გრაფის შემდეგ მ. თარხნიშვილის დახმარებით ი. ასფალგის კოლექციაში, აღწერს ხელნაწერის აგებულებას, მდგომარეობას, და რაც მთავარია, მის მნიშვნელობასა და ღირებულებაზე მიუთითებს. იგი იძლევა კარსტის ბიოგრაფიულ ცნობებს და მის ბიბლიოგრაფიასაც. ი. კარსტს ეპიგრაფიკული და ლიტერატურული ცნობები აქვს მოყვანილი ქართული ეკლესია-მონასტრების შესახებ, და მით უფრო დასაინათ, რომ ეს ნაშრომი დიდ ხანს უყურადღებოდ იყო დარჩენილი. „ეს წიგნი რომ 50 წლის წინ გამოსულიყო, მნიშვნელოვან ხარვეზს შეავსებდა ქართველოლოგიურ ლიტერატურაში“, აღნიშნავს ავტორი „მას შეეძლო მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო გეოგრაფიის საქმეში. თუმცა კარსტი ძირითადად გამოქვეყნებულ ლიტერატურას ეყრდნობა, სისტემატიზაცია და კარსტისეული დანართები ახლაც არ არის ინტერესს მოკლებული, მით უმეტეს, რომ მე-19 საუკუნის გამოცემები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის, რომელიმე ევროპულ ენაზე ასეთი აღწერილობა კი დღესაც არ მოგვეპოვება“. (Kaufhold 2002: 214). ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა, რომ ეს ხელნაწერი ჰ. ქაუფჰოლდის ხელში მოხვდა და თუნდაც დაგვიანებით, მაინც გამოქვეყნდა.

დიდი დამსახურება მიუძღვის ჰ. ქაუფჰოლდს ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის გრ. ფერადის ნაშრომების გამოქვეყნებაშიც. მისი ავტობიოგრაფიული წერილი „ქართული კულტურის სამსახურში“ 1999 წელს გამოქვეყნდა Oriens Christianus-ის ფურცლებზე მეცნიერის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით (Kaufhold 1999: 193-199). გრ. ფერადის ცხოვრება და მისი მეცნიერული მემკვიდრეობა დღეისათვის უკვე კარგადაა შესწავლილი, ახლა მისი შრომების სრული კრებული გამოდის პოლონურ, ინგლისურ და ქართულ ენებზე,¹ მაგრამ 1999 წელს ფერადის ავტობიოგრაფიული წერილის გამოქვეყნება მაინც მეტად მნიშვნელოვანი საქმე იყო, მით უფრო, რომ გამომცემელმა მას ვრცელი შესავალი წერილი დაურთო გრ. ფერადის ბიოგრაფიული ცნობებითა და ბიბლიოგრაფიით.

მასალები გერმანიაში ქართველოლოგიური კვლევების შესახებ ჰ. ქაუფჰოლდის სხვა წერილებშიც გვხვდება, რომლებიც უშუალოდ ამ თემას არ ეძღვნება, მაგრამ ჩვენთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავენ., ესენია: ჰ. გუსენის კოლექცია ბონის უნივერსიტეტში (Die Sammlung Goussens in der Universitätsbiblio-

¹ Die Gesamtausgabe wird unter der Leitung H. Paprockis vorbereitet. Die ersten Bände sind schon erschienen.

thek Bonn) (Kaufhold 1997: 213-227), *ორი ახალი ჟურნალი ქრისტიანული აღმოსავლეთის სფეროში* (Zwei neue Zeitschriften für das Gebiet des Christlichen Orients) (Oriens Christianus 2000: 232-236), *წმინდა ადგილების სამართლებრივი მდგომარეობა იერუსალიმში* (Die Rechtslage der Heiligen Stätten in Jerusalem) (Jahres und Tagungsbericht der Görres Gesellschaft 2001: 75-88), *ნეკროლოგები პროფ. იულიუს ასფალგზე* (Nachruf auf Professor Dr. Julius Abfalg) (Oriens Christianus 2001: 1-12) და *პროფ მიშელ ვან ესბროკზე* (Nachruf auf Prof. Dr. P. Michel van Esbroeck) (Oriens Christianus 2004: 257-261). ცხადია, აქ ყველა მათგანს ვერ შევხებით და ეს არც იყო ჩვენი მიზანი. გვინდოდა მხოლოდ, რომ მოკლედ აღგვენიშნა ჰ. ქაუფჰოლდის დამსახურება ქართველოლოგიის სფეროში. რაც შეეხება მის კონტაქტებს საქართველოსთან და ქართველ მეცნიერებთან, არ შეიძლება არ ვახსენოთ, რომ ბევრი ქართველი მეცნიერი სწორედ მისი დახმარებითა და ხელშეწყობით აქვეყნებს სტატიებს Oriens Christianus-ში, ხოლო ისინი, ვისაც სამეცნიერო მივლინებით უხდება ყოფნა მიუნხენში, მისგან ყოველთვის თანადგომასა და დახმარებას იღებენ. ქართულ ბიბლიოთეკებს კი იგი დღესაც აწვდის ახალ გერმანულ გამოცემებს ქართველოლოგიაში.

გვინდა მივულოცოთ სასიქადულო იუბილარს 70 წლის იუბილე და კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ მის მრავალმხრივ საქმიანობაში.

დამოწმებული ლიტერატურა

1. **ჭუმბურიძე** 2003: ჭუმბურიძე თ., Oriens Christianus-ის ისტორიისათვის (ჰ. ქაუფჰოლდის შესავალი ნერილის მიხედვით), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
2. **Die Kriege des Königs Heraklius II** 1998: Die Kriege des Königs Heraklius II. von Georgien und ihr Echo in einer zeitgenössischen deutschen Zeitung, in: *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, Band 2, Tbilisi 1998.
3. **Jahres- und Tagungsbericht der Görres-Gesellschaft** 2001: Jahres- und Tagungsbericht der Görres-Gesellschaft 2000, Köln 2001.
4. **Kaufhold** 1997: Kaufhold H., Die Sammlung Goussens in der Universitätsbibliothek Bonn, in: *Oriens Christianus*, Band 81, Wiesbaden, 1997
5. **Kaufhold** 1999: H. Kaufhold, Einleitung zu: Gregor Peradze, Im Dienste der georgischen Kultur (1926-1940), in: *Oriens Christianus*, Band 83, 1999.
6. **Kaufhold** 2002: Kaufhold H., Georg Graf und die georgischen Studien (mit einem Exkurs über Franz Zorell), in: *Oriens Christianus*, Band 86, Wiesbaden 2002.
7. **Kaufhold** 2002: Kaufhold H., Ein bisher unbekanntes Manuskript von Joseph Karst über Kirchen und Klöster in Georgien, in: *Oriens Christianus*, Band 83, Wiesbaden 2002.
8. **Kaufhold** 2007: Mehrere Artikel sind unter dem Namen von H. Kaufhold nachgewiesen, aber ihre aktuelle Fassungen findet sich im Kleinen Lexikon des Christlichen Orients, hrsg. H. Kaufhold, 2007

9. **Kaufhold** 2012: Khaufhold Die Wissenschaft vom Christlichen Orient. Gedanken zur Geschichte und Zukunft des Faches, in: Vom Euphrat an die Altmühl. Die Forschungsstelle Christlicher Orient an der Katholischen Universität Eichstätt-Ingolstadt. Hrsg. Von Peter Bruns und Heinz Otto Luthé (= Eichstätter Beiträge zum Christlichen Orient, Band 1), Wiesbaden 2012.
10. **Krüger** 1975: Kleines Wörterbuch des Christlichen Orients, hrsg. Von J. Abfalg in Verbindung mit P. Krüger, Wiesbaden, 1975.
11. **Lexikon für Theologie und Kirche** 2001: Wissenschaft vom Christlichen Orient, in: Lexikon für Theologie und Kirche, 3. Aufl., Freiburg, 2001.
12. **Oriens Christianus** 1989: Oriens Christianus, Hefte für die Kunde des Christlichen Orients. Gesamtregister für die Bände 1 (1901) bis 70 (1986), Wiesbaden 1989
13. **Oriens Christianus** 2000: Oriens Christianus, Band 84, 2000.
14. **Oriens Christianus** 2001: Oriens Christianus, Band 85, 2001.
15. **Oriens Christianus** 2004: Oriens Christianus, Band 88, 2004.
16. **Oriens Christianus** 2009: Oriens Christianus, Band 93, Wiesbaden 2009 [2010].
17. **Orientalia Christina** 2013: Orientalia Christina, Eichstätter Beiträge zum Christlichen Orient, 3, (Festschrift für Hubert Kaufhold zum 70. Geburtstag) Herausgegeben von Peter Bruns und Heinz Otto Luthé, Wiesbaden, 2013.
18. **Religion in Geschichte und Gegenwart** 1998-2001: Religion in Geschichte und Gegenwart. Handwörterbuch für Theologie und Religionswissenschaft, 4. Aufl., hrsg. von H. D. Betz u.a., Tübingen: Band 1, 1998. Anton I., Band 3 (2000), Sp. 596-597; Gelati, Sp. 695-697; Georgien, Sp. 697-698 Georgische Klöster, Sp. 698-699; Georgische Schrift und Georgische Literatur, Band 4 (2001) Sp. 881 Katholikos, Sp. 919 Kekelidze, Korneli.
19. **Sources of Canon Lais in the Eastern Churches** 2012: Sources of Canon Lais in the Eastern Churches in The History of Byzantine and Eastern Canon Law to 1500, edited by Winfried Hartmann and Kenneth Pennington, Washington, D.C. 2012.

Tamar Tchumburidze

HUBERT KAUFHOLD AND HIS TOIL IN KARTVELOLOGY

SUMMARY

The letter deals with the short discussion about the work, letters, vocabulary related and scientific articles of Hubert Kaufhold, about his publishing work, contacts with Georgian scientists and travels in Georgia. Hubert Kaufhold studied the history of old Georgian law, Georgian clerical literature and church history and has published many interesting works associated to these issues. His special desert is to carry out research on the history of Kartvelology in Germany. He is also a publisher of the Journal *Oriens Christianus* and the concise dictionary of Christian East and has played a big role in the development of Kartvelology and popularization of Georgian culture in Europe.

Around 112 H. / 730 A.D., two factors led to a change in Umayyad policy towards Georgia. First, in that year, the Khazars managed to invade Northwestern Iran and went all the way to Mosul before being defeated. The tributary buffer states of the Caucasus had not been able to prevent that invasion.³

The Abbasid Caliphate weakened after the Abbasid civil war in the 195 H./810 A.D., and caliph power was challenged by secessionist tendencies among peripheral rulers, including those of Tbilisi.⁴ At the same time, the emirate became a target of the resurgent Georgian Bagrationi dynasty who were expanding their territory from Tao-Klarjeti across Georgian lands.⁵ The Emirate of Tbilisi grew in relative strength under Ishaq ibn Isma'il (218-239 H./833-853A.D.), who was powerful enough to quell the energies of the Georgian princes and to contend with the Abbasid authority in the region. He withheld his annual payment of tribute to Baghdad, and declared his independence from the Caliph.⁶

Tbilisi was a large city with a strong double wall pierced by five gates. It lay on both banks of the Kura River (Kura)⁷ The houses were primarily built, to the surprise of contemporary Arab travelers, of pine wood in the first half of the ninth century.⁸

THE TEXT OF THE INSCRIPTION: (FIG. 1)

A monumental inscription, it is made of port sand stone, it consists of three lines executed in a simple *Kufic*, the three lines read as follows:

- 1 - و (قصره ؟) و (حصنه ؟) و حاميته و كوره و (حدھا ؟)
- 2 - ع ... ؟ وكتبه سلام بن (حيان ؟) شهر
- 3 - شعبان سنة سبع (وسبعين ؟) ومائة

Transliteration of the text:

- 1 - *Wa (qasrahu ?) Wa (Hisnahu ?) wa hamuathu wa kiwarhu wa (hadeha?)*
- 2 - *a.....? wa katabhu Salaam bin (Hauan?) shahr*
- 3 - *Sha'aban sanat sab'a (wa sab'ain) wa mayh.*

Translation of the Text:

- 1 - And (his palace?), (his fortress), his garrison, his locality and its borders
- 2 - It was written by *Salaam bin (Hauan?)* month
- 3 - *Sha'aban*, year one hundred and seventy seven.

Comment about the Inscriptions. Regarding Form

Kufic script⁹ played an important and effective role in the decoration of many buildings and applied arts in eastern world in general, because it was suitable for the decorative purposes especially in the heads of Arabic letters which were flexible in decoration, thus this script was matching any surface.

This Arabic script used for many monumental inscriptions on the early of Islamic period in Caspian Sea, Central Asia and Iran. Among this monumental inscription, the

subject study inscription is engraved in relief in sample *Kufic*, one of the most commonly used script for a monumental inscription on the early of Islamic period.

The important of this inscription is determined by the fact of being the oldest monumental inscription in the entire eastern world – to our knowledge – dated *Sha'aban* 177 H./793 A.D.

So it is previous of the Darband monumental inscription, dated 195 H./821A.D., it made from stone plaque with five lines of sample *Kufic* engraved too, and reads;

1 – بسم الله الرحمن الرحيم

..... - 2

3 – محمد ؟

..... - 4

5 - في سنة خمس وتسعين ومائة .

Translation of the Text:

In the name of Allah, the Compassionate, the Merciful.

.....
 Muhammad ?

.....
 In the year one hundred and ninety five.¹⁰

Regarding this inscription, we are in a difficult situation, we through the program of auto Cade an attempt was made to show discreet and unclear letters (Fig. 2).

After the identification of the inscription, we compared it with another contemporary one to make sure of the rate from the second century H./8th A.D.

This inscription is located in *bab Al-Safa* in Haram at Mecca, and it is attributed to the Abbasid caliph al-Mahdi amir al-mu'minin (158-169 H./774-785A.D.), dated 167 H./783A.D (Fig. 3)

while comparing between the letter shapes in the inscription under study and the one of *bab Al-Safa*, we note that there is a great similarity between the ends of the uppermost stroke in vertical letters like *alif* and *lām*, there are also similarities between some ending letters in two inscriptions words, as *Sha'aban*, *wa sab'ain* in our inscription, and words *Yaktin* , *stein* in the eleventh and fifteenth lines of the inscription of *bab Al-Safa* (Fig. 4).

As a result of the pervious comparison, we can say that the distorted parts containing the date of the inscription on the fences of Tbilisi are dated from the second century H./8th A.D.

Regarding Content

According to the remained part from the inscription on the fences of Tbilisi, we can see that it contains three lines, the first line is:

And (his palace?), his fortress, his garrison, his locality and its borders

The first word in this line may be *and (his palace?)* referring to Governor's palace in Arabic sources (*Dar Al-emara*) meaning residence of rule, while the second word *his fortress*. *Al-Istakhry* said: The old castle of Tbilisi was representing a conclusive evidence of this hypothesis. And the meaning of the *garrison*, the Muslim soldiers living in the fort.

The fourth word in this line *his locality (Korah)*: purely Persian name called on one part of *Astan*, in a later stage Arabs borrowed this name (*Korah*), and became *Astan* and *Korah* have one meaning.

In Arabic (*Korah*) is an area including a number of villages, and every village has been named after a town or a river.¹¹

Its borders concerned the fences of Tbilisi, *Al-Idrissy* said that the city was surrounded by two walls of mud,¹² and it also had five gates as stated by *Al-Tabari*.¹³

The Carver's name:

The second line contain the name of writer, unfortunately the last name is not clear, maybe we can read, *Salaam bin (Hauan?)*.

As for the nationality of the person, he is Arabic by nationality, it is clear through the name; it is noticeable that we have not found a biography for this writer.

The date of the inscription:

The date is there at the end of the second line and also all along the third line. It was stated as follows: *Sha'aban, the year sevenand one hundred*.



Trying to read the date and thinking of the obscure decimal digit, it became certain that the digit is (seventy) with relevance to the empty space left in between the other digits. In addition, some letters such as "ع" "e" that often comes medially in this form and the letter "ن" "n" that comes finally in this form. At the very beginning we thought that the missing decimal digit may be forty, but by tracing the historical events that took place in that era, we found out that the Korgs had seized Tbilisi. As a result, we gave up such perception.¹⁴

The date 177 H. was in the reign of Harun al-Rashid (170-193 H. / 786-808A.D.). During that era, Tbilisi had witnessed a lot of stability and security. That was a natural outcome of the good treatment of its governors for both Muslim and Christian Tbilisi people. Such stability lasted up till 180 H./796 A.D., and that paved the way for the renewal of Tbilisi fences in 177 H.¹⁵

Footnotes

1. *The Encyclopaedia of Islam*, Edt.by C.E.Bosworth,E. Van donzel, B. Lewis and Ch. Pellat, new edition, Vol. V (Leiden, 1984), p. 993.
2. Ezaat, Y., *The history of Kukaz*, Trans. Galeb, A. H. (Cairo, 1933), pp. 23-24.
3. Ibn Khayyat, *Abu 'Amr Khalifa ibn Khayyat, Tarik khalifa ibn Khayyat,Tahkek; Alemari, A,d.* (Baurot 1397 H.), Vol. 1, p. 341.

4. Rayfield, D., *The literature of Georgia a history*, Routledge (New York, 2013), p. 46.
5. Al-Ya'akoubi, *Ahmad ibn Abi Ya'akoub ibn J'afar: Tarikh al- Ya'akoubi* (Burot 1407 H.), Vol. 2. p. 464.
6. Ibn-Taghribirdi, *Jamal al-din Yusuf: Al-Nujum Al-Zahira fi Muluk Misr wa'l-Qahira*, comment: Muhammad Husain Shams Al-Dein, First published, 1992, Vol. 2, p. 219.
7. Strange G. L., *The lands of the Eastern Caliphate: Mesopotamia, Persia and Central Asia from the Moslem conquest to the time of Timur*, Cambridge University press, 1905, p. 178.
8. Al-Tabari, *Abi J'afar Muhammad Ibn Jarir; Tarikh al-Rusul wa' l-Muluk*, Lughdunum Batavorum, Leiden, 1879, Vol. 5, p. 316.
9. *Kufic script*: named after the city of Kufa, where it was developed. It consists largely of straight lines and angles, and it was the style in which the very early copies of the Qur'an were written. With the only variation being a slanting script; Ali O., Essa A., *Studies in Islamic civilization: The Muslim contribution to the Renaissance*, The international institute of Islamic though, London, 2010, p. 204.
10. Blair S., *The monumental inscriptions from Islamic Iran and Transoxiana*, Brill, 1992, p.17.
11. Al-Hamawi, *Yāqūt ibn 'Abd Allāh; Mu'jam al-boldan*, Dar Sader, Burot, 1977, Vol. 1, pp. 36-37.
12. Al-Idrisi, *Abo'Abd Allāh Muhammad ibn Muhammad; Nuzhat al- mushtaq fi ikhtiraq al-afaq*, Burot, 1989, Vol. 6, p. 116.
13. Al-Tabari, *Tarikh al-Rusul wa' l- Muluk*, p.316.
14. Silogava V., Shengelia K., *History of Georgia from the ancient times through the Rose revolution*,Caucasus university publishing house, Tbilisi, 2007, p. 60.
15. Al-Tabari, *Tarikh al-Rusul wa' l- Muluk*,Dar Al-Turas, Burot, 1387 H., Vol. 8, p. 7.



თამარ მასხი

**„პეტრინონის წესდების“ ერთი ბუნდოვანი
მონაკვეთის განმარტებისათვის¹**

„პეტრინონის წესდების“ 35-ე თავში წარმოდგენილია სია იმ ოქრობეჭდებისა და საბუთებისა (ლიველონი, სიმოსინი, სამეფო წიგნები, პიტაკიონები), რომლებიც გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ერთგული სამსახურისათვის მიუღია და დაცული ყოფილა „სამეუფოსა ქალაქსა“. ამ ჩამონათვალის ერთ-ერთი მუხლიდან (ქართ. ტექსტ. 35ა, 12; ბერძნ. 35, 10) ვიგებთ, რომ გრიგოლ ბაკურიანის ძეს ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VII-საგან მიუღია სიმოსინი (სიგელი), მაგრამ რა დამსახურებისათვის, ბოლომდე ნათელი არ არის. „წესდების“ ამ მონაკვეთმა მკვლევართა ყურადღება მიიპყრო და მათი აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია.

მ. თარხნიშვილის მიერ გამოცემულ სოფიის ხელნაწერში ეს მონაკვეთი ასე იკითხება: „სიმოსინი ერთი მიხაელ მეფისა პენინაგისა ჰარბევისათვს“ (დოლიძე 1970: 98).

ს. ყაუხჩიშვილმა შესატყვისი ბერძნული ტექსტი («Ἡ στυμείνωσις τοῦ κερδοῦ Μιχαήλ πατρὸς τοῦ κερδοῦ τὸτε ὑποθήσεως τοῦ Μπατρίνακου», 35, 10) ასე თარგმნა: „სიგელი კირ მიხაელისა შესახებ პაჭინაკის მაშინ მომხდარი ამოძრავებული თავდასხმისა“ (ტიპიკონი 1963: 153).

მიუხედავად იმისა, რომ თარგმანი ზედმინევენითი სიზუსტითაა შესრულებული, აზრი მაინც ბუნდოვანია. ამას გრძნობს მთარგმნელი და ამიტომ სქოლიოში განგვიმარტავს: „იგულისხმება სასამართლოს განაჩენი (1078 წლის მახლობლად) გრიგოლ ბაკურიანსა და პენინაგს შორის ამტყდარი საქმის გამო“ (ტიპიკონი 1963: 199). იმონმებს Dölger-ს (ტიპიკონი 1963: 153). ტექსტის ბოლოს დართულ ლექსიკონში კი, Dölger-თან ერთად, იმონმებს შესატყვისი ძველ ქართულ ტექსტს მ. თარხნიშვილის გამოცემის მიხედვით (ტიპიკონი 1963: 199).

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

აკ. შანიძე შეეცადა, სიცხადე შეეტანა „ნესდების“ ზემოთ მოხმობილ მონაკვეთში. მან ყურადღება გაამახვილა სიტყვაზე „**ჰარბევისათჳს**“. მისი აზრით, სოფიის ხელნაწერიდან მ. თარხნიშვილმა მცდარად ამოკითხა აღნიშნული სიტყვა. თარგმნა pro incursione-დ („დარბევად“), მაგრამ, ამავე დროს, კითხვის ნიშანი მიუწერა (შანიძე 1971: 230-231).

აკ. შანიძის განმარტებით, „პეტრიწონის ნესდების“ ქიოსურ ხელნაწერში „**ჰარბევისათჳს**“ კი არა, სიტყვა „**ჰარშივისათჳს**“ წერია (რადგანაც შ და ზ თითქმის ერთნაირად იწერება), „ჰარშივის“ მნიშვნელობა კი იგივე უნდა იყოს, რაც სომხური **ჰაშივ**-ისა, რომელიც „ანგარიშს“ ნიშნავს. ამასთან, აკ. შანიძემ საკმაოდ მკაცრი შეფასება მისცა ს. ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანს და აღნიშნა, რომ იგი (ს. ყაუხჩიშვილი) „დამოკიდებულია სოფიის ხელნაწერში მ. თარხნიშვილის მიერ მცდარად ამოკითხული სიტყვისაგან (თარხნიშვილი 76, 29) და მისი ლათინური თარგმანისაგან“ (შანიძე 1971: 230-231).

ერთი სიტყვით, „ნესდების“ აკ. შანიძისეულ გამოცემაში სადავო მონაკვეთი ასე იკითხება: „**სიმოსინი ერთი მიხაელ მეფისა პენინაგისა ჰარშივისათჳს**“ (შანიძე 1971: 122).

ვფიქრობთ, საკითხი ვერც აკ. შანიძისეული განმარტებით განათდა. აზრი მაინც ბუნდოვანი და გაუგებარია. ამ გაუგებრობის მიზეზი კი ის არის, რომ ამ ხუთსიტყვიან წინადადებაში ერთი ანთროპონიმია, ხოლო დანარჩენი ოთხი სიტყვა უცხოა. ამიტომ მათ სათითაოდ განვიხილავთ:

1. „სიმოსინი“ ბერძნული სიტყვაა. ს. ყაუხჩიშვილის განმარტებით, „სიგელს“ ნიშნავს;

2. „კირ“ ნიშნავს „მეუფეს“. მეუფე მიხაილში („კირ მიხაილისა“) ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VII დუკა იგულისხმება;

3. სიტყვა „პენინაგი“ „ტიპიკონის“ ტექსტში, უკვე მოხმობილის გარდა, სხვა მონაკვეთშიც (2, 18) დასტურდება: „დაამჴუა ჩვენ მიერ უშჴულო და ფრიად მძლავრი მტერი ქრისტიანეთა და საბერძნეთისა ნათესავი **პენინაგთაჲ**“ (შანიძე 1971: 73) – «τὸς λίαν δεινὸς καὶ θρασύτατος ἔχθρὸς αὐτοῦ συστῆρα τῆ καὶ κατεπάταξα, τοὺς ἀντιπασσομένους οἱ μόνον τῆ Ρωμανίᾳ, ἀλλὰ καὶ πάντι τᾶ γένει τῶν χριστιανῶν, φημί δὲ τοὺς **Πατζινάκους**...» (ტიპიკონი 1963: 34);

ე. ი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში „პენინაგი“ ნიშნავს პანანიკებს (Πατζινάκοι), რუსული ისტორიოგრაფიით – **печенеги**. ასე განმარტავს კიდევაც ამ სიტყვას აკ. შანიძე (შანიძე 1971: 239).

„ნესდების“ ძველი ქართული ტექსტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ტექსტის ორ სხვადასხვა მონაკვეთში დაფიქსირებული მსგავსი ფლერადობისა და დაწერილობის სიტყვების (**პენინაგთაჲ**, 2, 18 / **პენინაგისა** 35ა, 12) დიფერენციაცია მოვახდინოთ და მათ შორის არსებული სემანტიკური განსხვავება ამოვიცნოთ. ამ სიტყვების ბერძნული შესატყვისების დაწერილობაში კი ეს განსხვავება შესამჩნევია. ერთ შემთხვევაში გვაქვს Πατζινάκους (2, 18), ხოლო მეორეში – Μπατζινάκου (35, 10).

„პეტრინონის წესდების“ ერთი ბუნდოვანი მონაკვეთის განმარტებისათვის

ს. ყაუხჩიშვილს ეს ფაქტი მხედველობიდან არ გამორჩენია. ცხადია, მან იცოდა, რომ ბიზანტიური ხელნაწერები ამგვარი შეცდომებისაგან (**Π-Μ**-ს მონაცვლეობა) დაზღვეული არ არის. მაგრამ, როგორც ჩანს, მეცნიერულმა ალლომ და გამოცდილებამ უკარნახა, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნებლიე შეცდომასთან არ ჰქონდა. ამიტომ თავის მიერ თარგმნილ ტექსტში შეეცადა, წარმოეჩინა ამ ორ სიტყვას შორის არსებული განსხვავება. სიტყვას **Πατρίνακους პანინაკები** (2, 18) შეუსატყვისა, ხოლო **Μπατρίνακου პაჭინაკად** (35, 10) თარგმნა; საკუთარ სახელთა საძიებელში კი „**პაჭინაკი**“ კითხვითი ნიშნით აქვს წარმოდგენილი (**Μπατρίνακης ?**) (ტიპიკონი 1963: 206).

„ტიპიკონის“ ამ მონაკვეთმა სხვა მეცნიერებაც დააფიქრა. გ. ლიტავრინის აზრით, 35-ე თავში ნახსენები **Μπατρίνακης** ან ანთროპონიმია, ან ისევე, როგორც წინა მონაკვეთში, კვლავ პანინაკების ტომი იგულისხმება (Литаврин 1960: 136).

გ. ლიტავრინის აზრს იზიარებენ „პეტრინონის წესდების“ ბულგარელი მკვლევარნიც (Извори... 1968: 63).

ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება სრულიად განსხვავებულია. ვფიქრობთ, **Μπατρίνακης** (ნათ. ბრ. **Μπατρίνακου**) გაბერძნულებული ფორმაა თურქული სიტყვისა *bacanak* (ბაჩანაკ), რაც „ქვისლს“ ნიშნავს.² თანამედროვე სალაპარაკო ბერძნულში სიტყვამ **Μπατρίνακης** სრულიად განდევნა ტრადიციული *σῦγγαμψιδος*. როდიდან დამკვიდრდა იგი ბერძნულ ენაში, ამის თქმა ძნელია. რაკი „პეტრინონის წესდებაში“ გვხვდება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკვე XI საუკუნიდან. ამაში მოულოდნელი არაფერია. ცნობილია, რომ თურქიზმები ბერძნულ ენაში სწორედ XI საუკუნიდან ჩნდება, მას შემდეგ, რაც თურქ-სელჩუკები ბიზანტიის პროვინციებს მოედევნენ, ანუ 1040 წლიდან (Κοπιδάκης 1999: 176-177).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი დასკვნა ასეთია: „წესდების“ II თავში ნახსენები **პენინაკთა** ნიშნავს დუნაის სანაპიროებთან მცხოვრებ მომთაბარე ტომებს, რომლებიც ბიზანტიელების დაუძინებელი მტრები იყვნენ (რუს. печенеги), ხოლო 35-ე თავში ნახსენები **პენინაკისა** (**Μπατρίνακου**) ნიშნავს **ქვისლს**. შესაბამისად, სადავო მონაკვეთის («*Ἡ τομείνωσ τῶν κερδῶν Μιχαήλ*

² თანამედროვე ბერძნულში **β** ბგერა **Μπ** თანხოვანთა კომპლექსით გადმოიცემა. „ტიპიკონში“ მისი გამოყენება იმის დასტურია, რომ ეს პროცესი უკვე ბიზანტიურ პერიოდში დაწყებულია. „ტიპიკონის“ ტექსტი ამ მხრივაც მეტად მნიშვნელოვანია. რაც შეეხება **τξ** თანხმოვანთა კომპლექსს, იგი ხშირად გამოიყენება ქართული **ძ**-სა და სლავური **ч**-ს გადმოსაცემად. აკ. შანიძის დაკვირვებით, „წესდების“ ქართულ რედაქციაში გეოგრაფიული სახელები, რომლებშიც სლავურ **ч**-ს ბერძნული **τξ** ჩაენაცვლა, ქართულში **წ** ბგერით არის გადმოცემული, რადგან ქართველის ყურს იგი უფრო **წ**-დ ესმოდა. მაგალითებად კი ასახელებს ტოპონიმებს: პეტრინონი, ლაპინონი, ზაუნ და ეთნონიმს **პენინაკი**, ანუ печенеги (შანიძე 1971: 146).

περὶ τῆς κινήσεως τότε ὑποθέστωσθε τοῦ Μπατζινάκου», 35, 10) ჩვენეული თარგმანი ასეთია: „სიგელი კირ მიხაილისა, ქვისლის მიერ აღძრულ საკითხთან დაკავშირებით“.

წარმოდგენილი თარგმანის სისწორეში რომ დავრწმუნდეთ, სადავო მონაკვეთს მასში მოხმობილი ისტორიული პირებისა და მოვლენების ფონზე განვიხილავთ.

სადავო წინადადებაში ნახსენები „კირ მიხაილი“ ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VII დუკაა. იგი ბაგრატ IV-ის ასულის, მართა-მარიამის, მეუღლე იყო. იმის გასაგებად, თუ ვინ იყო მიხეილის ქვისლი („პაჭინაკი“), მართა-მარიამის სანათესავოს უნდა გადავხედოთ.

ცნობილია, რომ ბაგრატ IV-ის ნახევარძმის, დემეტრეს,³ ასული ირინე, რომელიც ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში ირინე ალანელის სახელით არის ცნობილი, იმპერატორ ალექსი I კომნენოსის უფროსი ძმის, სევასტოკრატორ ისააკის, ცოლი იყო.⁴ მართა-მარიამი და ირინე ბიძაშვილები იყვნენ. ბიძაშვილთა ქმრები (ისევე, როგორც დებისა) ქვისლებად იწოდებიან. ე. ი. სიტყვაში **Μπατζινάκης** („პაჭინაკი“) ისააკ კომნენოსი იგულისხმება.

ამ გადასახედიდან, სადავო მონაკვეთი საკმაოდ საინტერესო ინფორმაციის შემცველია როგორც საქართველოს, ასევე ბიზანტიის ისტორიისათვის. გამოდის, რომ ისააკ კომნენოსი მიხეილ VII დუკას დაჰპირისპირებია. გრიგოლ ბაკურიანის ძეს თავისი წვლილი შეუტანია საკითხის იმპერატორის სასარგებლოდ მოგვარებაში, რაც მიხეილ VII-ს საგანგებო სიგელით აღუნიშნავს.

ერთი შეხედვით, თითქოს საკითხი განათდა, მაგრამ, ამავე დროს, ახალი კითხვები წარმოიშვა:

1) რამდენად შეესატყვისება ჩვენ მიერ ამოკითხული ინფორმაცია სინამდვილეს? 2) რატომ მოიხსენიება „წესდებაში“ ისააკ კომნენოსი ნათესაური კავშირის მიხედვით და არა თავისი სახელით?

პირდაპირ ცნობას მიხეილ VII-სა და ისააკ კომნენოსს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ. მაგრამ, თუკი იმ ეპოქის ბიზანტიის კულუარებში შევიხედავთ, ცხადი გახდება, რომ ასეთი რამ მართლაც მომხდარა.

³ ბაგრატ IV-ის მამას, გიორგი I-ს, დემეტრე შეეძინა ოვსთა მეფის ასულისაგან, სახელად ალდე. დემეტრე ბიზანტიას აფარებდა თავს. იგი რამდენჯერმე გამოემართა ბიზანტიიდან სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად.

⁴ „კომნენოსები ყველანაირი გზით ცდილობდნენ მეფის სასახლესთან დაახლოებას. ისინი დიდი მეცადინეობით აძლიერებდნენ მარიამ დედოფლის კეთილგანწყობას მათდამი და არწმუნებდნენ მას, რომ მას შესცქერიან უპირატესად და მისით სუნთქავენ. განსაკუთრებით გაბედულად იყო მასთან ისააკი, როგორც ნათესავი, მისი ბიძაშვილის ქმარი“ (ანა კომნენე 1966: 56; იხ. აგრეთვე: Κομνηνή 1992: 94).

„პეტრიწონის წესდების“ ერთი ბუნდოვანი მონაკვეთის განმარტებისათვის

ისააკ კომნენოსი საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი მხედართმთავარი იყო. მან დიდი წარმატებით მოიგერია პანანიკების თავდასხმები და ბიზანტიის სამეფო კარის ძალაუფლება აღადგინა დუნაის სანაპიროებზე. სახელი გაითქვა აგრეთვე თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბიზანტიურ ისტორიო-გრაფიაში ის ისააკ სევასტოკრატორის სახელითაა ცნობილი. ეს ტიტული მას მისმა ძმამ, იმპერატორმა ალექსი I-მა, მიანიჭა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად უფრო ადრინდელ მოვლენებს უნდა შევხვით.

ისააკ კომნენოსი იმპერატორ ისააკ I კომნენოსის (1057-1059 წწ.) ძმისწული იყო. როდესაც იმპერატორი ისააკ I კომნენოსი გადადგა, მისმა ძმამ, იოანემ, მიუხედავად ისააკის დიდი სურვილისა, უარი განაცხადა იმპერატორობაზე. შედეგად, იმპერიის სადავეები დუკების ხელში გადავიდა. ამ ფაქტმა ძალზე გაანაწყენა იოანეს მეუღლე ანა დალასენა. პატივმოყვარე ქალი ვერაფრით შეეგუა იმ აზრს, რომ ქმრის უნიათობის გამო ავგუსტას ტიტული ვერ მოიხრგო. მიუხედავად ამისა, ანა დალასენას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია ფიქრი და ოცნება იმაზე, რომ საიმპერატორო ტახტი კვლავ კომნენოსების ხელში დაბრუნებულიყო. საამისოდ იმედს თავის შვილებზე ამყარებდა. ასე დაიწყო მრავალწლიანი ფარული მტრობა კომნენოსებსა და დუკებს შორის. პატივმოყვარე და მიზანდასახულმა ქალმა ბოლოს მაინც მიაღწია საწადელს. შარლ დილის თანახმად, 1081 წლის სახელმწიფო გადატრიალება, რომელმაც ბიზანტიის იმპერიის სადავეები ას წელიწადზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში კომნენოსების ხელში დააბრუნა, სწორედ მისი დაუცხრომელი ენერჯის შედეგი იყო (Дьяч 1914: 138).

1067 წელს გარდაიცვალა იმპერატორი კონსტანტინე X დუკა. იმპერიის მმართველობა მისი ქვრივის, ევდოკიასა და მცირეწლოვანი ვაჟიშვილის, მიხეილის, ხელში გადავიდა. მაგრამ სულ მალე ევდოკია აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდალს, რომანოზ დიოგენესს, მისთხოვდა. რომანოზ დიოგენესს გამეფება მძიმედ გადაიტანა კონსტანტინე დუკას ძმამ, იოანემ. სამაგიეროდ, ამ ქორწინებით ძალიან გაიხარა ანა დალასენამ, რადგან ამ ფაქტმა შეასუსტა მისი მტრები – დუკები. იგი მაშინვე დაუახლოვდა იმპერატორს და თავისი ერთგულება დაუდასტურა. ისიც კი მოახერხა, რომ უმცროსი ქალიშვილი რომანოზ დიოგენესს ძმიშვილს, კონსტანტინეს, მიათხოვა.⁵ უფროსი ვაჟიშვილი ემმანუელი კი აღმოსავლეთის ჯარების სარდლად დაანიშნინა, რითაც კომნენოსების გვარი კვლავ პოპულარული გახდა.

1071 წელს რომანოზ დიოგენე მანძიკერტთან ბრძოლისას ტყვედ ჩაუვარდა თურქების სულთანს. ტყვეობამ სულ რვა დღეს გასტანა. სულთანმა ის შეინყნარა და საკმაოდ დიდი პატივით უკან გამოისტუმრა. თუმცა, ამასობაში დრო იხელთა

⁵ ნიკიფორე ვრიენიოსის თანახმად, კონსტანტინე რომანოზ დიოგენესს შვილი იყო (Βρυέννιος 1996: 59, 195).

იოანე დუკამ (კონსტანტინე დუკას ძმამ), რომელიც რომანოზისადმი მტრულად იყო განწყობილი, და დედოფალი ევდოკია აიძულა, მონასტერში წასულიყო, იმპერიის სადავები კი კონსტანტინე დუკას შვილს, მიხეილ VII-ს, გადასცა.

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დუკებისა და რომანოზ დიოგენეს მომხრეები. ანა დალასენა ჩამოგდებული იმპერატორის მხარეს დადგა. მალე ის იმპერატორთან ფარულ მიმონერაში დაადანაშაულეს.⁶ შედგა სასამართლო პროცესი. განაჩენის თანახმად, ანა დალასენა და მისი შვილები, ისააკი და ალექსი (უფროსი ვაჟიშვილი ემმანუელი უკვე გარდაცვლილი იყო), კუნძულ პრინკიპოსზე გადაასახლეს (Βδελύσιος 1996: 108). მართალია, იმ დროს ალექსი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, მაგრამ ისააკი მთავარსარდალი გახლდათ. არაერთმა მკვლევარმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ასეთი დიდი თანამდებობის პირს მხოლოდ დედის წერილების გამო არ გადაასახლებდნენ, თუმცა რეალური მიზეზი არავის დაუსახელებია.

„ტიპიკონის“ სადავო მონაკვეთის ახლებური წაკითხვის შემდეგ ნათელი ეფინება ისააკ კომნენოსის გადასახლების მიზეზსაც. თამამად შეიძლება დავუშვათ, რომ ის დედასთან ერთად მოქმედებდა დუკების წინააღმდეგ. ეს არც არის გასაკვირი. ბიზანტიური ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ანა დალასენას დიდი გავლენა ჰქონდა თავის შვილებზე და, ფაქტობრივად, ის წარმართავდა ყოველ მათ ქმედებას (Κομνηνὴ 1992: 137).

ისააკ კომნენოსი რომ დედის მიერ მოწყობილი შეთქმულების უშუალო მონაწილე ყოფილა, კიდევ უფრო ნათლად ჩანს „ტიპიკონის“ ქართული ტექსტიდან. ეს იმით აიხსნება, რომ „ტიპიკონი“ კი არ ითარგმნა ბერძნულიდან ქართულად ან პირიქით, არამედ დაინერა „წერილითა ბერძნულითა და ქართულითა“. მიუხედავად ამისა, ტექსტები ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან და კვლევისას ერთმანეთს ავსებს. აკ. შანიძე სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ „ქართული ტექსტი, ზოგიერთ შემთხვევაში, საშუალებას გვაძლევს უფრო დამაჯერებლად ვიმსჯელოთ XI საუკუნის II ნახევრის ბულგარეთსა და საბერძნეთში მომხდარი საომარი და პოლიტიკური ამბების შესახებ, რომლებიც აქ მოხსენიებულია პირდაპირ ან ირიბად“ (შანიძე 1971: 11).

ეს რომ მართლაც ასეა, „ტიპიკონის“ სადავო მონაკვეთიდანაც ჩანს. ამის ნათელსაყოფად, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ მ. თარხნიშვილისა და აკ. შანიძის მიერ ამოკითხულ სიტყვას **ჰარბევისათვის//ჰამივისათვის** სოფიისა და ქიოსის ხელნაწერებიდან.

ისტორიული მოვლენებიდან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ მ. თარხნიშვილის მიერ სოფიის ხელნაწერში ამოკითხული „**ჰარბევისათვის**“, რომელსაც მან

6 ნიკიფორე ვრიენიოსის თანახმად, ეს წერილები ანა დალასენას მტრებმა შეითხნეს (Βδελύσιος 1996: 103-107).

„პეტრინონის წესდების“ ერთი ბუნდოვანი მონაკვეთის განმარტებისათვის

pro incursione „დარბევა“ შეუსატყვისა, სწორია, მიუხედავად იმისა, რომ ამაში თავად ეპარებოდა ეჭვი და კითხვითი ნიშანიც მიუწერა.

რადგან ბერძნული **Μπατλανάκις** მნიშვნელობა თურქული ენის მეშვეობით აიხსნა, გადავწყვიტეთ, იმავე გზით აგვეხსნა სიტყვა „**ჰარბევისათვს**“ („**ჰარბევი**“), რადგან თურქიზმები ქართულშიც უხვად დასტურდება. აღმოჩნდა, რომ თურქულში არსებობს სიტყვა **Harb**, რომელიც მომდინარეობს არაბული სიტყვიდან **Harb**.⁷ ამ სიტყვათა მნიშვნელობები კი ორივე ენაში, არაბულსა და თურქულში, მსგავსია და ნიშნავს: 1. ბრძოლა, ომი; 2. ჯანყი, დავა, ჩხუბი; 3. ბრძოლა, შეტაკება (Deuellioglu 1962; Türkçe... 1988; Турецко-Русский... 1977). ამრიგად, არ არის გამორიცხული, სიტყვა „**ჰარბევი**“ („დარბევის“ მნიშვნელობით) არაბული **Harb**-იდან მომდინარეობდეს. თუკი სომხური **ჰაშივ**-ის დამკვიდრება შესაძლებელია (შანიძე 1971: 231), ვფიქრობთ, არაბული „**ჰარბევის**“ დამკვიდრებაც დასაშვებია.

სიტყვა „დარბევის“ წარმომავლობა სულხან-საბას ლექსიკონში მითითებული არ არის, მაგრამ იგი მას ასე განგვიმარტავს: „**დარბევა** (რბევა) არს ერთისა ანუ ორისა კაცისა ხვასტაგთა წარტაცება; აფორიაქება – ყოველთავე რაჲცა აქუნდეს, ყოვლითურთ წარსხმა. მორბევა – სოფლებთა და თემთა ყოვლისავე წარტაცება; აკლება, რომელ არღარა დაუშთინოს რა“ (სულხან-საბა ორბელიანი 1993: 7).

განხილულ სიტყვათა („**ჰარბევი**“ და „**დარბევა**“) მსგავსება და სემანტიკურ მნიშვნელობათა იგივეობა გვაფიქრებინებს, რომ **ქართულ ენაში სიტყვა „ჰარბევისათვის“, არაბული ან თურქული ენის მეშვეობით, ჯერ „ჰარბევის“ სახით შემოვიდა, შემდეგ კი „დარბევად“ დამკვიდრდა.**

ამრიგად, თუკი „წესდების“ ქართულ ტექსტში უცხო სიტყვების ნაცვლად მათ ქართულ შესატყვისებს ჩავსვამთ, მივიღებთ: „**სიგელი ერთი მიხაელ მეფისა ქვისლის დარბევისათვის**“.

ახლა კი შევეცდებით, პასუხი გავცეთ კითხვას: **რატომ მოიხსენიება „ტიპიკონში“ ისააკ კომნენოსი ნათესაური კავშირის მიხედვით და არა თავისი სახელით?**

ეს ფაქტი გაცილებით მარტივი ასახსნელია. მაშინ, როდესაც გრიგოლ ბაკურიანის ძემ პეტრინონის მონასტერი დააარსა (1083 წ.) და „ტიპიკონი“ დაიწერა (1084 წ.), ბიზანტიის სამეფო ტახტი უკვე კომნენოსების ხელში იყო (ალექსი I კომნენოსი 1181 წელს გამეფდა). ვფიქრობთ, გრიგოლ ბაკურიანის ძეს, ერთი მხრივ, ჯილდოების ჩამონათვალში მიხეილ VII-ს მიერ მისთვის ბოძებული სიგელის მოხსენიება სურდა, მეორე მხრივ კი, არ უნდოდა აშკარად შეხებოდა კომ-

⁷ სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევაში დაგვეხმარა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თურქოლოგი მაკა შონია, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

ნენოსებისათვის უკვე არასასურველ ეპიზოდს. იმ შემრიგებლური პოლიტიკის ფონზე, რასაც ალექსი კომნენოსი დუკების მიმართ ახორციელებდა,⁸ ისააკის შეთქმულებაში მონაწილეობის გახსენება, ცხადია, იმპერატორის გულისწყრომას გამოიწვევდა.

ამ აზრს განამტკიცებს კიდევ ერთი გარემოება: როდესაც „ტიპიკონში“ ისააკ კომნენოსი დადებით კონტექსტში მოიხსენიება, იგი თავისი ტიტულით არის წარმოდგენილი. ხაზგასმულია ისიც, რომ ის იმპერატორის ძმაა: „...ეგრევე იგიცა შესამოსლები მივეც, რომელ, ოდეს კუმანთა ტყუეობისაგან გამომიხსნა ღმერთმან წყალობითა თჳსითა, წარმოეცნეს ჩემდა წმიდასა მეფესა და ძლიერსა სევასტოკრატორსა, ძმასა მეფობისა მისისასა“ (შანიძე 1971: 74).

გარდა ამისა, როგორც ვნახეთ, ბერძნულ ტექსტში საუბარია „ქვისლის მიერ აღძრულ საკითხზე“, ქართულში კი – „დარბევასა“ და „აჯანყებაზე“. ანუ უფრო ნათლად და დაუფარავად არის ნათქვამი ის, თუ რის გამო მიიღო ჯილდო გრიგოლ ბაკურიანის ძემ. ეს იმიტომ მოხდა, რომ ბერძნული ტექსტი, ვითარცა მონასტრის იურიდიული დოკუმენტი („სიმტკიცისა ქონებად უბრძანებთ ბერძულსა წერილსა“), კონსტანტინოპოლში მდებარე პანაგისის მონასტერში უნდა შენახულიყო. იქ კი არაერთი ბერძენი მოხელის ხელში მოხვდებოდა.

ერთი სიტყვით, **სადავო წინადადება ბიზანტიური ან, თუ გნებავთ, ქართული დიპლომატიის არაჩვეულებრივ ნიმუშსაც წარმოადგენს.**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია:

1. **განხილული წინადადების მიხედვით, გრიგოლ ბაკურიანის ძემ მონაწილეობა მიიღო ანა დალასენასა და ისააკ კომნენოსის მიერ მოწყობილი შეთქმულების ჩახშობაში. მიხეილ VII-ს კი ერთგულება საგანგებო სიგელით აღუნიშნავს;**
2. **გრიგოლ ბაკურიანის ძე რომ იმპერატორის მომხრეთა შორის აღმოჩნდა, ბუნებრივია. ერთი მხრივ იმიტომ, რომ ეს მისი პირდაპირი მოვალეობა იყო, ვითარცა ბიზანტიის სამეფო კარის მხედართმთავრისა, მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ იმპერატორი მიხეილ VII ქართველთა მეფის, ბაგრატ IV-ის, ასულის, მართა-მარიამის, ქმარი იყო;**
3. **ნათელი გახდა ისიც, რომ მ. თარხნიშვილის მიერ სოფიის ხელნაწერიდან ამოკითხული „ჰარბევისათჳს“ სწორია და სომხური „ჰაშივისათჳს“ („არჩივი“) ადგილი აღარ რჩება.**

⁸ დუკების საგვარეულო ბიზანტიის იმპერიაში იმდენად ძლიერი და გავლენიანი იყო, რომ ალექსი I-მა, ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, ცოლად ირინე დუკა შეირთო. მიუხედავად უსაზღვრო სიძულვილისა, ამ ქორწინებას ანა დალასენაც დასთანხმდა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. დოლიძე 1970: ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
2. სულხან-საბა ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
3. შანიძე 1971: შანიძე აკ., ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), ძველი ქართული ენის ძეგლები, 13, თბ., 1971.
4. ანა კომნენე 1966: ანა კომნენე, აღექსიადა, წგნ: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966.
5. ტიპიკონი 1963: გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონი, პეტრიწონის წესდება, ცალკე ამონაბეჭდი, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1963.
6. Deuellioglu 1962: Deuellioglu Ferit, Osmanlica-Türkçe Ansiklopedik Lûgat, Ankara, 1962.
7. Türkçe... 1988: Türkçe Sözlük, c.1-2, Ankara, 1988.
8. Βασιλειφ 1999: Βασιλειφ Α. Α., Ιστορία της Βυζαντινής Αυτοκρατορίας (324-1453), τ. Β', Αθήνα, «Πάπυρος», 1995.
9. Βρυσένιος 1996: Βρυσένιος Νικηφόρος, Ἰλη Ιστορίας, Αθήνα, 1996.
10. Κομνηνή 1995: Κομνηνή Αννα, Αλεξιάς, τ.Α', Αθήνα, 1992.
11. Κοπιδάκης 1999: Κοπιδάκης Μ. Ζ. (რედაქტორი), Ιστορία της Ελληνικής Γλώσσας, επιστημονική επιμέλεια: Μ. Ζ. Κοπιδάκης, Αθήνα 1999.
12. Ζωναράς 1999: Ζωναράς Ιωάννης, Επιτομή Ιστοριών, Αθήνα 1999.
13. Диль 1914: Диль Шарль, Византийские Портреты, М., 1914.
14. Извори... 1968: Извори за Българската История, т. VII, София, 1968.
15. Литаврин 1960: Литаврин Г., Болгария и Византия в XI-XII вв., М., 1960
16. Турецко-Русский... 1977: Турецко-Русский словарь, М., 1977.

Tamar Meskhi

TUWARD THE INTERPRETACION OF ONE OBSCURE OF THE PETRITSONI MONASTERY TYPIKON

SUMMARY

A list of chrysobulls and other deeds received by Gregory Pakourianos for his faithful service to the Byzantine Royal Court is found in the chapter 35 of the “Typikon of Petritsoni”. One of the chrysobulls was issued by the Byzantine Emperor Michael VII Doukas: «Η σημείωσις τοῦ κυροῦ Μιχαήλ περὶ τῆς κινήσεως τότε ὑποθέσεως τοῦ Μπατζίνακου» (35,10).

From the above Greek text one cannot see for what kind of services was granted

Gregory Pakourianos this deed. It cannot be learned from the corresponding Georgian text either. Vagueness is associated with understanding of the word «Μπατζινάκου». According to certain scholars Μπατζινάκης should denote the nomadic tribe of the Pechenigs (Печенеги in the Russian historiography). In support of their assumption these scholars cite another piece of text from the same Typikon where the Pechenigs are indeed implied (...τοὺς λίαν δεινοὺς καὶ θραυστάτους ἐχθροὺς ... τοὺς ἀντι-τασσομένους οὐ μόνον τῇ Ῥωμανίᾳ ἀλλὰ καὶ παντὶ τῷ γένει τῶν χριστιανῶν, φημὶ δὴ τοὺς Πατζινάκους... 2,18). According to other opinion, Πατζινάκης might be an antroponym.

The following has been established in a course of our studies:

«Μπατζινάκης» is a Greek version for the Turkish word *Bacanak* which means “brother-in-law”.

As it turned out, the problematic piece of the text from the Typikon contains an account of significance both for Georgian and Byzantine history:

1. Sebastokrator Issac, the elder brother of Alexius I Comnenus is implied by the word «Μπατζινάκης» (“brother-in-law”);
2. Isaac Comnenus was one of the initiators of a rebellion against Michael VII Doukas;
3. Gregory Pakourianos contributed to crushing of the uprising. He was granted deed for his efforts;
4. By the time of writing of the Petritsoni Typikon (1084), Alexius I Comnenus was an emperor of Byzantium. Taking into consideration that the emperor endorsed a conciliatory policy towards the Doukas, recollection of Isaac’s participation in a plot against Doukas would rouse indignation in him. This is the reason that Isaac Comnenus is not mentioned by the name, but only by blood relationship;
5. Taking the above-mentioned into consideration, the text of the Typikon is an excellent example of the Byzantine diplomacy;
6. Authenticity of chapter 24, which mentions guileful Greeks, stands under suspicion taking into consideration that the Typikon was written very cautiously and diplomatically.

მზია სურგულაძე

ოსეალაოზის პერიოდის მცხეთის ორი დოკუმენტი

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დოკუმენტების საცავში ინახება ორი, XIX საუკუნეში გადანერილი საბუთის პირი, შიფრებით: Hd-14531 და Hd-14532.

ამ საბუთთაგან ერთ-ერთის (Hd-14532) ორი ნუსხა: 1) 6 (29b; 46)-37, II. 596-70a; 2) 73 (102)-76. II. 1826-1996), როგორც ჩანს, მარი ბროსეს კოლექციიდან, მოხვდა სანკტ-პეტერბურგის სააზიო მუზეუმში (დღევანდელი რუსეთის ფედერაციის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პეტერბურგის განყოფილება). მისი აღწერილობა გამოაქვეყნა საურმაგ კაკაბაძემ 1967 წელს (Какабадзе 1967: 165-166). კიდევ ერთი, 1912 წელს გადანერილი პირი ინახება მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ЦГИАГ), რომლის არქეოგრაფიული მონაცემების შესახებ ინფორმაცია არ გვაქვს.

ორივე საბუთი გადანერილია ერთი ხელით, ორივე თავნაკლულია, რის გამოც უცნობია საბუთების გამცემთა და მიმღებთა სახელები. არ ერთვის არც თარიღი, არც დამამტკიცებელი ხელრთვები, რაც გააიოლებდა საბუთების დანიშნულების განსაზღვრას და მათ მიახლოებით მაინც დათარიღებას. ორივე საბუთი აშკარად ერთი დროისაა, ორივე შეეხება მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიის მფლობელობისა და იურისდიქციის საკითხებს. ამ ორი საბუთიდან ერთ-ერთს (Hd-14532), რომელიც ყურადღებას იპყრობს უაღრესად საინტერესო შინაარსით, ამასთანავე ქართული დიპლომატიკისათვის უჩვეულო პასაჟებით და ფორმულებით, ბოლოში ერთვის ბერძნული მინაწერი. თავისი ადგილისა და დანიშნულების მიხედვით, მინაწერი უნდა ადასტურებდეს ორიგინალში თარიღისა და ხელრთვის არსებობას, მაგრამ ბერძნული გრაფემები იმდენად დამახინჯებულად არის გადმოღებული, რომ მისი ამოკითხვა დღესდღეობით შეუძლებელი აღმოჩნდა.

ორივე საბუთი შინაარსობრივად აშკარად ერთმანეთთანაა დაკავშირებული. ტექსტების შედარება ადასტურებს, რომ საქმე ეხება ქართლის საკათალიკოსო მამულებს. ერთ მათგანში, რომელსაც პირობით პირველ საბუთს ვუწოდებთ (Hd-14532), ჩამოთვლილია ქართლის საკათალიკოსო მამულები მის ისტორიულ საზღვრებში – ქართლსა და სამცხე-საათაბაგოში, მეორეში – მხოლოდ კახეთ-

ში (Hd-14531). საბუთებში ასახული პოლიტიკური იერარქიის მიხედვით, ორივეს ფორმალური ავტორი ოსმალეთის სულთანი ჩანს, ადრესატი – ქართლის კათალიკოსი. საკათალიკოსო საყდარს უახლდება ძველი სამფლობელოები ხსენებულ რეგიონებში ვაკუფის („ვახშიათი“) წესით. კათალიკოსთან ერთად საბუთებში მოხსენებულნი არიან „ქართლისა და კახეთის ფაშები“, რომელთაც სულთანი უბრძანებს ხელი არ შეუშალოს ქართლის კათალიკოსს მისი უფლებების განხორციელებაში. ამკარა ხდება, რომ საბუთი გაცემულია ოსმალეთის ბატონობის პირობებში, მაგრამ სადავოა, როდის.

პირველი საბუთის მოკლე შინაარსი ფრანგულად გამოაქვეყნა მ. ბროსემ (Brosset 1835: CX-CXI, CLVI-CLVII). მან საბუთი დაუკავშირა ოსმალთა ბატონობას XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში, ამიტომ სავარაუდო თარიღად მიუთითა 1724 წელი. ბროსეს შემდგომ საბუთს ყურადღება მიაქცია თ. ჟორდანიამ, რომელსაც იგი უნახავს სინოდის კანტორის მცხეთის საბუთებში. „ქრონიკების“ II ტომში თ. ჟორდანიამ გამოსცა საბუთის ფრაგმენტი, რომელიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე 1638 წლით დაათარიღა (ჟორდანი 1897: 453). სულ ბოლოს საბუთის დათარიღება სცადა საურმაგ კაკაბაძემ. მან საბუთი მიიჩნია 1590-1599 წლებში (ვიდრე სვიმონ I-ის აჯანყებამდე) შედგენილად, როცა ირან-ოსმალეთს შორის 1590 წლის სტამბულის საზავო ხელშეკრულებით მთელი აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთის ხელქვეით აღმოჩნდა მოქცეული.

ამრიგად, მ. ბროსე საბუთის შედგენას უკავშირებს აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის მეორე პერიოდს, საურმაგ კაკაბაძე – პირველს. ცხადია, თეორიულად ორივე პერიოდში შეიძლებოდა ამგვარი შინაარსის საბუთის შედგენა, მაგრამ დაზუსტებული პასუხის მიღებაში გვეხმარება საბუთში შეტანილი სვეტიცხოვლის მამულების ჩამონათვალი. აქ ასახულია ტენდენცია, რომელიც კახეთში სამცხეთო მამულების მართვის სფეროში გამოიკვეთა XVI-XVII საუკუნეებში. XVI საუკუნეში კახეთის სამეფო კარი ცდილობდა კახეთში კათალიკოსის კომპეტენცია შეეზღუდა და თვითონ დაენიშნა კახური მამულების მმართველი მოხელეები, მაგრამ მცხეთის სამამულე მფლობელობა არ შეუზღუდავს. XVII საუკუნეში კი, შაჰ-აბასის გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად კახეთში არათუ მცხეთის მმართველობა, მფლობელობაც მოიშალა. ამ საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც კახეთში გამეფებულმა არჩილ მეფემ ზრუნვა დაიწყო სვეტიცხოვლის კახური მფლობელობის აღორძინებაზე, 1664 წელს სვეტიცხოველს შესწირა მტკვრის პირას მდებარე შაბადინი და ენჩო. 1670 წელს არჩილმა სვეტიცხოველს განუახლა ამავე ადგილების შეწირულება, დაუმატა ჭალა და მინდორი, აგრეთვე სარწყავი რუს სათავე, რის საფუძველზეც გაიჩინა ალაპი (ანოტირებული ლექსიკონი 1991: 229). არჩილის საბუთის ამ პასაჟს დამატარებელი მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ, რადგან მასში დასახელებული სამფლობელოები XVI საუკუნის მცხეთის არც ერთ კახურ სიგელში არ დასტურდება. არჩილის მიერ შეწირული სამფლობელოები ჩვენთვის საინტერესო საბუთში ასეა განვრცობილი: – „მტკვრის პირს შაბადინი-აზნაურის არხი ამ წესით: აზნაურის

საჩალთუკე აბდულას გამოდებული რუს არხი და ობა მისის მამულითა და თავისის გასადევრითა, რასაც რომ სარწყავს ალაგს დაიტანს, მისის სამძვრით და საძვრითა, როგორადაც ძველად ჰქონებოდეს. იქ მსახლობელის თარაქამას საკახო და საკახვაშო სათხოვარი არ ეთხოვებოდეს-რა“. უეჭველია, ამგვარი დასახლება ხსენებულ ადგილებში XVII საუკუნეში წარმოიქმნა, მას შემდეგ, რაც კახეთში, იქ დატრიალებული დრამატული მოვლენების შედეგად თურქმანული ტომები ჩაასახლეს. ეს პასაჟი ერთ-ერთი მოწმობაა იმისა, რომ XVI საუკუნის 90-იანი წლების ოსმალობის დროს იგი არ შეიძლებოდა შეეტანათ მცხეთის საბუთში. მეორე მოწმობა, რომელიც ასევე დამატარებულ ორიენტირად შეიძლება გამოდგეს, არის ვრცელი პასაჟი ქართლის კათალიკოსის კანონიკური უფლებების თაობაზე, რომელშიც ჩართულია ცნობა VI მსოფლიო კრებაზე ქართლის კათალიკოსისათვის ავტოკეფალური უფლებების დამტკიცების შესახებ. ეს ცნობა XVI საუკუნის მიწურულს შედგენილ საბუთში რომ ყოფილიყო, XVIII საუკუნის დასაწყისში მას უეჭველად შეიტანდნენ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებში ე. წ. „სწავლული კაცები“, რომელთა მთავარ ამოცანას „ქართლის ცხოვრების“ შევსება შეადგენდა სწორედ საეკლესიო ისტორიის ამსახველი ფაქტებით. მართალია, ამგვარი ინფორმაცია მაინც არის შეტანილი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ დამატებაში (ყაუხჩიშვილი 1955: 232), მაგრამ არა „სწავლული კაცების“ მიერ, რომლებმაც, როგორც ირკვევა, მის შესახებ არაფერი იცოდნენ, არამედ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (ყაუხჩიშვილი 1655: 034).¹ ამრიგად, ჭეშმარიტებასთან ახლო დგას მარი ბროსეს დათარიღება, რითაც საბუთი ქართლ-კახეთში ოსმალთა ბატონობის მეორე პერიოდს (1723-1735) უკავშირდება. პირველი საბუთის დათარიღებით ავტომატურად თარიღდება მეორე საბუთიც (Hd-14531).

საბუთის ტექსტზე დაკვირვებამ აფიქრებინა საურმაგ კაკაბაძეს, რომ იგი თურქულად შედგენილი დედნის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს. მართლაც, საბუთის ტექსტის გარკვეული მონაკვეთები თარგმანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნაწილი ტექსტისა, რომლის გამართვა შეიძლებოდა ქართული დიპლომატიკის წესების მიხედვით, იყენებს კიდევ ქართულ დიპლომატიკურ ფრაზეოლოგიას, მაგრამ ტექსტში შერეულია მთელი რიგი პასაჟები, რომლებიც არ შეესაბამება ქართული საბუთის ტრადიციულ სტრუქტურას არც შინაარსობრივად და არც ფორმობრივად. შედარებამ აჩვენა, რომ საბუთის ტექსტი ასევე არ შეესაბამება

¹ ქართული წყაროები, რომლებიც ადასტურებენ VI მსოფლიო კრებაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვას, სულ სამია: 1. ჩვენი საბუთი; 2. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართი (ყაუხჩიშვილი 1955: 232) და მარტვილის ხელნაწერის მინაწერი (ხეც, Q-92, 230v). ამ ტექსტების ურთიერთმიმართება დანვრისებრი განხილულია ავტორის სხვა ნაშრომში, რომელიც დასაბეჭდად არის გამზადებული. ძირითადი დასკვნები წარმოდგენილია სტატიაში: ქართული საისტორიო ტრადიცია მეექვსე მსოფლიო კრების შესახებ (სურგულაძე 2013: 190-196).

ოსმალურ ფირმანებსა და ბერათებს.² სამაგიეროდ, საბუთი თავისი სისრულით, თემატური მრავალფეროვნებით და მდიდარი შინაარსით უახლოვდება ბერძნულ დოკუმენტებს. ამიტომ საფუძვლიანი შეიძლება იყოს ვარაუდი, რომ საბუთის თავდაპირველი ენა ბერძნული იყო. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ბერძნული საკანცელარიო მინაწერიც, რომელიც პირველ საბუთს ბოლოში აქვს დართული.

საბუთი უაღრესად საინტერესო შინაარსისაა და მრავალ კითხვას ბადებს, რომელთა განხილვა სიცხადეს სძენს მისი შექმნის გარემოებებს და მიზანდასახულობას. საბუთში ლაპარაკია მცხეთის საკათალიკოსო ეპარქიისათვის მისი ძველადვე (ერთიანი ქართული მონარქიის დროინდელი მასშტაბით, სამცხე-საათაბაგოს ჩათვლით) კუთვნილი მიწების ვაკუფის წესით („ვახშიათი“) ბოძებაზე. საინტერესოა ისიც, რომ მცხეთის მამულების ჩამონათვალში დასახელებულია კათალიკოსის „სახასო“ მიწები და გამოკვეთილია მისი განსაკუთრებული უფლებები კახურ მამულებზე, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მათი მართვა მხოლოდ კათალიკოსის მიერ დანიშნულ მოხელეს შეეძლო.

საქმე ის არის, რომ კახეთის მიწები, ქართლის მიწებისაგან განსხვავებით, XVII საუკუნიდან ირანის სახელმწიფო დავთარში იყო აღნუსხული და მათი გაცემა-დამტკიცება შაჰის პრეროგატივას შეადგენდა. ამ დროს სვეტიცხოვლის კუთვნილი საგარეჯოს მიწების დიდი ნაწილი ადგილობრივ დიდგვაროვნებს ჰქონდათ დატაცებული, რაზედაც მათ შაჰის ფირმანებიც ჰქონდათ მიღებული. გარდა ამისა, კახეთის საეკლესიო საქმეებს ფაქტობრივ ალავერდელი ეპისკოპოსი განაგებდა და ქართლის კათალიკოსის გავლენა, როგორც კახეთის ეპისკოპოსებზე, ისე სვეტიცხოვლის კუთვნილ მიწა-წყალზე, ფაქტობრივად ნულის ტოლი იყო. 1705 წელს, როდესაც ქართლის კათალიკოსი დომენტი IV გახდა, თავდაპირველად იგი ადგილობრივ შეეცადა კახ დიდებულებთან საქმის მოგვარებას, მაგრამ, ვახუშტის ცნობით, კათალიკოსს „არა აუფლეს კახთა კახეთს მამული თესი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 482). ამის შემდეგ, 1707 წელს კათალიკოსი პირადად ჩასულა ისპაჰანში და ირანის შაჰისაგან მამულების დამტკიცების ფირმანი მიუღია. „მისრულსა კათალიკოზს პატივ-სცა ყვენმან და მისცნა ყოველნი მამულნი თესნი და ნიჭი დიდი“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 482). 1708 წელს შაჰსულთან ჰუსეინისაგან მან მიიღო ფირმანი, რომელიც უბრძანებდა კახეთის მმართველს, რომ „კახეთში მდებარე საეკლესიო სანახები, თანახმად გარდასულ წელთა ჩვევებისა და წესებისა, მიაწებოს მოხსენებულ კათალიკოსს, არ ხელყოს სამონასტრო-საეკლესიო ადგილები, გამოიჩინოს სრული მზრუნველობა და დახმარება საეკლესიო ადგილების მოწესრიგებისა და მოვლისადმი (ხუბუა 1949: 52), წარუდგენია კათალიკოსს კახეთის იმჟამინდელი მმართველის

² ოსმალურ დოკუმენტებთან საბუთის სტრუქტურა შეადარა თურქოლოგმა ცისანა აბულაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ.

დავით იმამყული-ხანისათვის. 1713 და 1715 წლებში შაჰი კვლავ განუახლებს ფირმანებს დომენტი კათალიკოსს კახურ მიწებზე (ფუთუურიძე 1965: 72, 88).

1722 წელს, როცა ვახტანგ VI ირანს აშკარად განუდგა, ოსმალეთმა სცადა მასთან შეკავშირება ირანის წინააღმდეგ, რაზედაც რუსეთით დაიმედებულმა ვახტანგმა უარი შეუთვალა (პაიჭაძე 1973: 418). ამ საკითხთან დაკავშირებით ქართლის მმართველ წრეებში აზრი ორად გაიყო. როგორც ჩანს, დომენტი კათალიკოსი ვახტანგის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა. იგი ეჭვის თვალთ უცქეროდა რუსეთის იმჟამინდელ შესაძლებლობებს და ოსმალეთთან პოლიტიკურ კავშირს უფრო რეალისტურ გზად მიიჩნევდა. ამ წლებში დომენტი კათალიკოსს მიმონერა ჰქონია კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, რომელიც თავისი სტატუსით სხვა არავინ იყო, თუ არა სულთნის მოხელე. ცნობილია დომენტის მიერ 1722 წელს გაგზავნილი წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი, რომელშიც კათალიკოსი პატრიარქს დახმარებას სთხოვს შემოსეული დაღესტნელებისაგან სამწყსოს დასაცავად. ამ წერილის საპასუხოდ არის გამოცემული სულთნის ჰუქმი, რომელშიც სულთანი ისპაკ ფაშას (არზრუმის ფაშა) უბრძანებს ზომების მიღებას (სეა, ფ. 1453, №78).³ ეს დოკუმენტი შესანიშნავი მონმობაა დომენტი კათალიკოსის პოლიტიკური ალღოიანობისა. იგი, როგორც მოქმედი პოლიტიკოსი, შესაძლოა, ვახტანგის გვერდის ავლითაც კი აწარმოებდა დიპლომატიურ მიმონერას კონსტანტინოპოლის პატრიარქთან. ვახტანგსა და კათალიკოსს შორის პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულ ფარულ კონფლიქტზე მიაწინებს ერთი ანონიმური სომხური ქრონიკაც, რომლის თანახმად, 1723 წლის მაისში კონსტანტინე-მაჰმადყული-ხანი კათალიკოს დომენტის შეჰპირებია კახურ მამულებს, თუკი ეს უკანასკნელი დაეხმარებოდა მას მცხეთის დაჭერაში (</Texts/rus16/Arm-Chr-1722-1736/frametext.htm>).⁴

აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალური მმართველობის დამყარებამ (ოსმალები ქართლში 1723 წელს შემოვიდნენ, კახეთი მათ 1725 წელს დაიმორჩილეს), თავისთავად დააყენა ქართლის ეკლესიის მომავალი სტატუსის საკითხი. ამჯერად დომენტი კათალიკოსს სტამბოლში მოუწია ჩასვლა თავისი კანონიკური უფლებების და მცხეთის სამფლობელოების დასამტკიცებლად. როგორც ცნობილია, დომენტი კათალიკოსმა სტამბულში 2 წელიწადზე მეტი ხანი დაჰყო სულთნის ბრძანების მოლოდინში. ვახუშტის თანახმად, თავდაპირველად კათალიკოსი ოსმალთა ხელისუფლებს დიდ პატივში ჰყავდათ: „მისცეს პატივი დიდი, უმეტესი პატრიარქთა და უსმინეს ყოველნი“. მაგრამ ჩასვლიდან მესამე წელს იგი ქართ-

³ სულთნის აღნიშნული ჰუქმი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. ცნობა მის შესახებ მომანოდა თურქოლოგმა ცისანა აბულაძემ, რისთვისაც კვლავ დიდ მადლობას მოვასხენებ.

⁴ ეს ანონიმური სომხური წყარო მოიცავს 1722-1736 წწ. პერიოდს. იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში კრიტიკულად შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის.

ლიდან წმოსული დასმენის საფუძველზე კ. თენადოსზე გადაასახლეს (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 508-309).

ამ მოვლენებთან უნდა იყოს დაკავშირებული ზემოხსენებული მცხეთის ორი საბუთი. საბუთები დაუსრულებელია, მათ არც თავი აქვთ, არც ბოლო, არც რაიმე ოფიციალური მოწმობა, გარდა ბერძნულენოვანი საკანცელარიო მინანერისა პირველ საბუთზე, რომელიც, ჩვეულებრივ, დედანში თარიღისა და ხელმოწერის არსებობას ადასტურებდა. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული საბუთები იურიდიული აზრით არც შეიძლება ოფიციალურ საბუთებად მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, ორივე საბუთი უაღრესად საინტერესოა, როგორც მოწმობა იმდროინდელ ქართველ პოლიტიკოსთა გარკვეული ჯგუფის გეგმებისა და მცდელობებისა. პირველი საბუთი ეძღვნება ქართლის კათალიკოსს ზოგადად, მის კანონიკურ უფლებებს, მის სამწყსო ტერიტორიას და საზღვრებს. ტექსტის ეს ნაწილი უხვად შეიცავს ტერმინოლოგიურ და ისტორიულ-გეოგრაფიულ ანაქრონიზმებს – მცხეთის სამწყსოს საზღვრები შეესაბამება საქართველოს ერთიანობის ხანას, ხოლო გეოგრაფიული ნომენკლატურა შერეულია – ნაწილი საბუთის შედგენის თანადროულია, ნაწილი ძველი. პირველად სწორედ ტექსტის ამ ნაწილშია ნახსენები VI მსოფლიო კრება, რომელზედაც ქართლის კათალიკოსის ავტოკეფალური უფლებები დაუმტკიცებიათ.

ჩემი აზრით, ეს საბუთები, როგორც სამუშაო მონახაზები, შედგენილი უნდა იყოს სტამბულში დომენტი IV კათალიკოსის მიერ ბერძნულ ენაზე (რომელსაც იგი შესანიშნავად ფლობდა) კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის, რომელსაც ებარა ოსმალეთის იმპერიის ქრისტიან ხალხთა საეკლესიო საკითხები. სავარაუდოდ, იმჟამინდელმა პოლიტიკურმა გარემოებებმა უკარნახა ქართლის კათალიკოსს კონსტანტინოპოლის პატრიარქის როლის წინ წამოწევა და, შეიძლება ითქვას, გაზვიადებაც ქართლის ეკლესიის კანონიკური უფლებების ისტორიის გადმოცემისას. აქიდან გაჩნდა ვერსია VI მსოფლიო კრებაზე ქართლის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დამტკიცების შესახებ.⁵

ორივე საბუთი ეხმიანება იმგვარ პოლიტიკურ ვითარებას, როგორც შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოში კონსტანტინოპოლში დადებული რუსეთ-ოსმალეთის ზავის (1724) შედეგად (პაიჭაძე 1973: 421). შესაძლოა, ქართველ პოლიტიკოსთა გულის მოსაგებად, იმ პირობებში, როცა ვახტანგ VI რუსეთში იყო

⁵ VI მსოფლიო კრების ამსახველ ისტორიულ რეალიებს ზუსტად და მოკლედ გადმოსცემს ექვთიმე ათონელიც „მცირე სჯულისკანონის“ დასაწყის ნაწილში, მაგრამ მისთვის სრულიად უცნობია საქართველოს ეკლესიის საკითხის განხილვის ფაქტი ამ კრებაზე (გიუნაშვილი 1972: 1516). თეორიულად რომც დაუშვავთ შესაძლებლობა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში მართლაც ყოფილიყო დაცული ამგვარი ცნობის შემცველი დოკუმენტი, რომელსაც „მარტვილის ხელნაწერი“ მოიხსენიებს „კონსტანტინეპოლის ტახტიკონის“ სახელწოდებით, საეჭვოა, რომ მსოფლიო კრებების ისტორიის მკვლევართ ასეთი ნყარო გამორჩენოდათ.

გახიზნული, ოსმალეთი კიდევ გეგმავდა ქართლის კათალიკოსისათვის მისი ისტორიული სამწყობებს დამტკიცებას, როგორც ეს ჩვენი საბუთიდან ჩანს. ყოველ შემთხვევაში, საბუთების შემდგენს რალაც საფუძველი უნდა ჰქონოდა, როცა ასეთ გაბედულ გეგმას სახავდა.

მაგრამ ამ საბუთებს ოფიციალური მსვლელობა არასოდეს მისცემია, რადგან, როგორც ცნობილია, დომენტი კათალიკოსი სტამბულში ჩასვლიდან მესამე წელს კ. თენადოსზე გადასახლეს (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 508-309). საქართველოში დომენტი კათალიკოსის ბრუნდება 1739 წელს, როცა ოსმალთა ბატონობა დასრულებული იყო. მხოლოდ მისი ჩამოსვლის შემდეგ ჩნდება სხვა ქართულ წყაროებში („ქართლის ცხოვრება“, „მარტვილის ხელნაწერი“) ინფორმაცია VI მსოფლიო კრებაზე ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვის შესახებ.

საბუთთა ტექსტები

პირველი საბუთი – ხეც, Hd-14532

... და რომელიც ქათალიკოზის წილი იყოს და კათალიკოზისათვის ემსახუროს, და ძველითაგან გარიგებ[ულ]ა⁶ წესი და მართებულა⁷, ისრე დაანებონ და ამსახურონ. კათალიკოზების მეტს ხელი ნურავის აქვს. საგარეჯოს მოურავს ხუთი მსახური ხლებია, მის მეტს ნუ იახლებს, და ნურც სამოურავოს მეტს რასმე წაიღებს, ნურც დაარბევ[ს]⁸, ძალასა და უსამართლოსა უზამს, ნურცა ვის გაა[ა]ზატებს. რომელიც კათალიკოზის გამოსავალი⁹ და წილი იყოს, ნურცა-ვინ დაუხარჯავს, ნურც ჩვენის ბრძანებით მჯდომნი – ფაშა იჯდეს, თუ მეფე და ნურც კახნი და ნურც საგარეჯოს მოურავი. იმის გამოსავალია, ხელს ნურავინ ახლებს, ნურც კათალიკოზის უნდომს და უამებელს მოხელეს ნუ დააყენებენ. ვინც უნდოდეს კათალიკოზს, თავისი მოხელე დააყენოს, ხელი ნურავის აქვს. რადგანაც არც კახთ მეფეს, არც სხვას ვისმეს სასახლე არა სდგომია, არცა მდგარა საგარეჯოში, ნურც დადგებიან¹⁰ და ნურც ჩვენის ბრძანებით მჯდომნი ფაშა, გინდა მეფე, სასახლეს გაიკეთებენ. ეს ასრე ყველა გვიბრძანებია და შემოგვინირავს.

თვალზედ რომ მღებარი დაჯდეს, იმის გამოსავალს კათალიკოზს მიართმევენ, სხვას ხელი ნუ აქვს. კიდევ სვეტისცხოვლის კათალიკოზის

⁶ გარიგება ნსხ.

⁷ მართებულია ნსხ.

⁸ დაარბევთ ნსხ.

⁹ გამსავალია ნსხ.

¹⁰ დადგობიან ნსხ.

საკუთარი მხვედრი სახასო [ყოფილა]¹¹ კახთ მეფეთა და მეპატრონეთგან უცილობელი, მოუდევარი – მტკვრის პირს შაბადინი – აზნაურის არხი ამ წესით: აზნაურის საჩალთუკე* აბდულას გამოღებულის რუს არხი და ობა** მისის მამულითა და თავისის გასადევრითა, რასაც რომ სარწყავს ალავს დაიტანს, მისის სამძღვრით და საძოვრითა, როგორადაც ძველად ჰქონებოდეს, იქ მსახლობელის თარაქამას*** საკახო და საკახვაშო სათხოვარი არ ეთხოვებოდეს რა. ამ წესით შეგვინირავს, როგორათაც ძველითგან შესწირვია მტკვრის პირს შაბადინი, ამ წესით.

ენჩო და ენჩოს დაბლა მინდორი და მინდვრით მტკვრამდის ჭალა, ნახევარი აქათ, კახეთისაკენ, საკახო საკერძო მტკვარი და სანაო; ზემოთ, ენჩოზედ რომ მტკვარი მიადგების, იქიმდინ. და რუის გამოსაღები სათავე და ქვემოთ მტკვარი რომ შემობრუნდების, ენჩოს მიადგების იქიმდინ.

ასრე შემოგვინირავს სახელმწიფო, საბატონო სათხოვარი და გამოსაღები. ბეგარა, ყალანი არ ეთხოვებოდეს-რა, არა ეწერებოდეს-რა: არა პური, არა ღვინო, არა ბრინჯი, საკლავი, არა ცხვარი და ძროხა, არა ტიკი, ტომარა, ულაცი და მუშაობა, არა საბალახე, არა პირისთავი და ბაშმალი, არა აბრეშუმი და საური, სხვა ხარჯი და შესანიერი არა ნივთისაგანი, – ყველა თქვენთვინ შემოგვინირავს ყოვლის მისის გამოსავალითა: ფაგაფაშითა,**** თუთუნჯაგითა,***** იათალჰყითა,***** ნავის ბაჟითა, ერთის საჩვენო ჩობანბეგის***** მეტი არა ეთხოვებოდეს-რა.¹²

არხისა, ობისა და შაბადინისა მოურავი კათალიკოზის აზნაურ{ი}შვილი მაღალასშვილი სახლთუხუცესი ყოფილა, ისრეც იმისთვინ გვიბოძებია. ნურც კახეთის ფაშა, გინა მეფე, ნურც კახნი თავის მოურავს ამ მამულებში ნუ დაუყენებენ, თუ კათალიკოზის უნდომი და უამებელი იყოს, ან კათალიკოზს უნდოდეს. ვინც უნდოდეს, მოურავი ის დააყენოს.

ქ. სხვა აზნაურშვილი ქვემო ხოდაშენს თექთურმანიძე-გოგნიაშვილი თავისის მამულითა, ყმითა და სახლითა¹³. კიდევ, ამას გარდაისად, სვეტის-ცხოველისა და კათალიკოზისა საკუთარი მხვედრი სახასო – ყოველთა კახთა მეფეთაგან უცილებელი, მოუდევარი მამულნი, სოფელნი და აგარაკნი ყოვლისფერითა მისის სამართლიანის წესით და სამძღვარი: ნაპირნი და რაჯას წმიდის გიორგის საყდარნი და შესავალნი, სოფელი ჯიმიითი მისითა მითა, ბართა და [შე]სავლითა;

¹¹ ყოველი ნსხ.

¹² ერთხოვებოდეს-რა ნსხ.

¹³ სახელითა ნსხ.

* თურქ. ბრინჯის სარწყავი მინდორი; ** თურქ. მოდგმა, გაერთიანება; *** XVII საუკუნეში საქართველოში ჩამოსახლებული მომთაბარე თურქმანთა ტომი; **** გადასახადის სახეობა; ***** გადასახადის სახეობა; ***** საძოვარი; ***** ჩობანების უფროსი, საძოვრის გამგე.

საყარაულოს კომპოტაკენ, თუთუბოს ღელე, ნასოფლარი ნაკვერცხა-ლა, ჩავლით ღრმაღელე, მიდგმით საგველე ქვაგაღმით, დავით აღმაშენებლის აღშენებული ჭიაბერთ ეკლესია. ფხოველთაკე წამოვლით... სოფელი წითლაანი.

ამათ მამულთა, მთათა და ბართა, მინდორთა თუ ტყეთა, რაც რომ საძოვარი პირუტყვი დადგებოდეს, ზამთარ თუ ზაფხულ, ამათ საძოვარის სარგოს კათალიკოზი აიღებდეს: ცხვარი იყოს თუ ზროხა, თუ ღორი, როგორათაც უნინ.

ბოლოსჯიმითელთა სადგომი, საძოვარი და საბანბე ქონებია, ახლაც ისრე წყალობა გვიქნია [და] გვიბძანებია. ჯიმითსა და ახალშენს მღებარი დაჯდეს, თუ ბელბაში მთხრელი დადგეს, იმის გამო[სავალს] კათალიკოზს მიართმევდენ უკლებლად. ქორმან რომ იბუდოს და გამოჩნდეს, კათალიკოზს მიართმევდენ, სხვას ხელი ნუ აქვს. ჯიმითს კათალიკოზის მოურავი მდგარა, ჟამთა ვითარებისაგან ჯანდიერისშვილს უშოვნია. ჯანდიერისშვილი ძველითგან კათალიკოზის მემკვიდრე ყმა ყოფილა, თუ დაანებონ და შესწირონ, იმასვე ჰქონდეს, თუ არა, რომელიც კათალიკოზს უნდოდეს, ის დააყენოს მოურავათ.

სოფელი ახალშენი და თოლა[ა]ნი მისით მზვრითა, მთითა, ბარითა, გლეხითა, სახასოთა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა, სათიბითა, ველითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათევზოთა, – ყოვლის მისის შესავალ-გამოსავლითა, სახმარითა, უხმარითა, საძებრითა, უძებრითა, სამართლიან[ი]თ,¹⁴ ერთობ და უკლებლათ. მოურავი კათალიკოზის მდგარა... თუ კათალიკოზის უნდომი და უამებელი იყოს, კათალიკოზმან, ვინც უნდა, დააყენოს მოურავად.

სოფელი შალვაური აზნაურიშვილი სვიმონელი(სვიმერნელი?) მისით მამულითა, მთითა, ბარითა, წყლითა, სამართლიანის სამძღვრითა; მარჯანი, ჯვარა; ალაზანს გაღმა, ფითხოვანი, თორმეტი მთელი საკომლო მოსახლე საგლეხო მამული... სოფელი ფაშანი... ყოვლის მისის სამძღვრითა... იქაურს გმოსავალს ... კათალიკოზი აიღებდეს... ქორმან რომ იბუდოს, კათალიკოზი წაიყვანდეს... გავაზს საკომლო შვიდი ზვარი; ერთი ბარაუნთ, რაც მცხეთის სოფელნი, მონასტერნი, საკონე, საფიჩხულე სათევზით. ლაგოდები, ღანუხი, რაც მცხეთისა არის; ვარდიანში შვიდი მთელი საკომლო, ენისელში ლერწანი და სოფელი გელჯანნი; ბაზარს სასახლე, საყდარნი და თვრამეტი კომლი საკომლო.

ერწოს მონასტერი, ბოჭორმის წმიდა გიორგი მისის შესავლითა, იქავ მონასტერი წმიდა არჩილისა სამარხო, კათალიკოზის მხვედრი მონასტერი და მეფეთ სამარხი, ახლა ტუსიშვილისათვინკახთ მეფეს სასაფლაოდ მიუცია. ტუსიშვილს ხელი ააღებინონ, როგორც ყოფილიყოს, ისრევე იყოს...

¹⁴ სამართლიანათ ნსხ.

დაგნაკორას რაც მცხეთისა არის, თორმეტი მეტი მთელი საკომლო მამუ-
ლი ლაფანაშვილნი; და მოურაობა სვეტისცხოვლის დეკანოზისა ყოფილა.
კახ[თ] მეფეს ტუსიშვილისათვინ მიუცია, ისევ გამოართონ, დეკანოზს მის-
ცენ, გვიბოძებია, ხელი ნურავის აქვს.

ანემ¹⁵ მონასტერი ყოვლად წმიდისა და სოფელი ანეში და სრულიად
ოდიშელიძენი... სოფელი ილი; ხარჭამანს, თიანეთისა თავს, სოფელი ჯიჯე-
თი; ეკლესია სვეტისცხოვლისა და გლეხი ბანძურიძენი... სოფელი ჭოპორ-
ტი, სოფელი ბინმენდი... სოფელი ბოკონინი, სოფელი არჯაკალი და მიწო-
ბლიძენი მათითა მამულითა, მითა, ბართა... სოფელი ზაქარანი...

რომელიც მამული სვეტისცხოვლისა და კათალიკოზისა ჭართალსა და
კახეთში სოფელი და ბარი, მიწა და წყალი გასყიდული იყოს, შინაურზედ
თუ გარეულზედ, ჩვენის ბძანებით, ფაშებო და მეფეებო, ქართლისა და კა-
ხეთისა ბატონებო და უფროსნო კაცნო, ვისაც გაეყიდოს, ისევ დაახსენე-
ნეთ და ისევ საყდრისა და კათალიკოზისათვინ დადევით. შინაურს ეყიდოს
თუ გარეულს, ისევ ალაგს დააყენე.

სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის სოფელი არასდროს იჯარით არ გა-
ცემულა, ნურც ეხლა გაციემა იჯარით და ნურც გასცემენ; არც სოფელი
უცხოხოსა მოლაშქრეს სტუმარზედ და გარეკაცზედ არც გაციემულა და არც
უთხოვებია, ნურც ახლა გასცემენ და ათხოვებენ; ნურც არავის, უცხოხოსა და
მეცნიერსა შეუშვენენ და, ნურც სახლ-კარში დაუდგებიან, დაუყენებენ ჩვე-
ნის ბრძანებითა.

ტფილისს ქალაქსა და ქართლსა და კახეთსა მჯდომნო ფაშებო და მე-
ფენო, უფროსნო გამრიგენო! რომელიც სოფელი წართმეოდეს, ან სოფელს
რომელიც სამზღვარი მოშლოდეს, მთა, ბარი, მიწა, წყალი დაკლებოდეს და
შესცილებოდეს ვინმე, სამართლიანის საქმით სამართალი უყავით, გაური-
გეთ და მოეცით, და მოაბარეთ კათალიკოზსა. და სვეტისცხოვლის სოფელ-
სა, მიწასა და წყალთან, მთასა და ბართან ხელი ნურავის აქვს...

გვიბოძებია და შეგვიწირავს და ვახშიათი* გვიქმნია, ნურავის ხელი ნუ
აქვს კათალიკოზების მეტს, ამის ბრძანების ქვეშ იყოს. ქართლისა და კა-
ხეთისა ბატონებმაც შეწირულობა, როგორც სამკვიდრო ყოფილიყოს, კათა-
ლიკოზისა და იმის ბრძანებაში იყოს.

ქართლისა და კახეთისა ბატონებო, რაც შეწირულება ქართლსა და
კახეთში არის, როგორათაც უწინ ყოფილიყოს, ისრე მიეცით, თქვენთვინ
ნუ დაიჭერთ, როგორათაც პირველიდგან დღეს აქამდის ყოფილა და არას
დროსა და ჟამში არ მოუშლია, ჩვენც აგრევე თავისუფლად ვახშიათი გვიქმ-
ნია და გვიბოძებია თარხნად და ხელშეუშლელად ყოვლის ნივთისაგან, რომ
არაფერი ეთხოვბოდეს, არც რა ეწერებოდეს: არა პური, არა ღვინო, არა

¹⁵ აქაც და სხვაგანაც ნუსხაში წერია ანუში.

* ეკლესიისათვის შეწირული ქონება, იგივეა, რაც ვაკუფი.

ცხვარი არა ძროხა, არა ქათამი არა ბატი, არა ხილი, არა სამასპინძლო, არა საჯინიბო, არა საახორსალარო, არა ქერი, არა ბზე, არა შეშისა და წყლის ზიდვა, არა ნახშირი, არა მუახლე, არა ძიძა არა ქორწილის ხარჯი, არცა მიცვალებულისა, არა ტყვე, არა ტიკი არა ტომარა, არა ბაზიერთა და მეჯოგეთა არაფერი, რაც მოიგონების ანუ მწერლისაგან დაინერება არა დიდი არა ცოტა გარნა ჩვენის ხარჯის მეტი არა გეთხოვებოდეს-რა.

ეს ბრძანება და სიგელი არც ჩვენგან, არცა სხვათა ხემნიფეთაგან და მეპატრონეთა არა მოგეშალოს... სხვას მეპატონისა და მოსამართლისა იასაული ნუ შევა ნურასფერზედ ქათალიკოზის მამულში, რაც ოდენი ჩვენი სამსახური და ხარჯი მიდგებოდეს და ეთხოვებოდეს. კათალიკოზი თავისის კაცის ხელით მოკრეფდეს და ისრე მოგვართმევდეს. სხვის იასაულს იმის მამულში ხელი არა ჰქონდეს, როგორც რომ კათალიკოზის აზნაურმა აგრევე.

როგორათაც კათალიკოზის ლაშქართან სხვა [სარდ]ლებსა და სპასალარებსა ხელი არა ჰქონებია, ლაშქარ-ნადირობას კათალიკოზს ხლებიან, ისევე ახლდენ.¹⁶ და თუ კათალიკოზი არ იყოს, კათალიკოზის სარდალს ეახლნენ, სხვას ხელი არავის აქვს და არა ჰქონია (ჩვენის ბრძანებითა ქართლსა და კახეთში მჯდომნი ფაშების და მეფის დროშაზედ იყვნენ და, ვინცა-ვინ სამცხეთო ჯარია ქართლსა და კახეთში, სულ ყველა კათალიკოზს იახლებოდნენ, თუ კათალიკოზი არ იყოს, იმის სარდალს)*.

როდესაც გორგასლანს მცხეთის წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია სვეტის ცხოველზედ აღუშენებია და კათალიკოზი მას ზედან პატრიარქად განუწესებია და მას შეუწირავს სვეტისცხოვლისათვის და მეექვსე კრებაში კონსტანტინე ჰოგონატისა და კიდევ კონსტანტინეს და სხვათა, ანტიოქიის კრებაშიც, მიუციათ სამწყსოდ და ხელქვეშ ტფილისი, ზემო და ქვემო ქართლი, კახეთი, ალვანია, შაქისი, შირვანი დარუბანდის ზღვამდე, დარუბანდიდამ წამოსვლით მთის ალაგები ოვსეთისა სამზღვრამდისინ, საბარათიანო, სომხეთი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი... ჩილდირი, რომელ არს პალაკაციო და იმისი გარეშამო ანისი, იმისი გარეშამო და იალათი, არზრუმისა და საქართველოს სამზღვარს იქით, ზემო საქართველო, რომელ არს სამცხე-საათაბაგო, ტაო, ფასიანი, თორთომი, ოლთისი, ფანეკი, იმისი გარეშამო და იალათი, ლიგანის ხევი, ართვინი, შავშეთ, კოლა, კლარჯეთი, აჭარა, ქობულიანი და იმისი გარეშამო, ახალციხე და აწყური... ოვსეთი სრულიად ჩერქეზის და სვანეთის სამზღვრამდის და მასში ნაუდაბნონნი მონასტერნი, ეკლესიანი, საყდრის მჭირავნი და ზედა მჯდომელნი მთავარეპისკოპოზნი, მიტროპოლიტნი და ეპისკოპოზნი, არქიმანდრიტნი, წინამძღვარნი და სხვანი ყოველნი ბერნი, მღვდელნი და ერნი, და მცირენი და ერისთავნი, აზნაურნი, მსახურნი და გლეხნი სამწყსოდ და ხელქვეშ.

¹⁶ ახლდეს ნსხ.

* ეს წინადადება ფრჩხილებში ჩაუსვამს პირის გადამწერს.

ესენი მოუშლელად და მკვიდრათ მისცემია, სხვას ხელი არავის არ ჰქონებია¹⁷ კათალიკოზების მეტსა. აგრევე ჩვენც მკვიდრათ და მოუშლელად გვიბოძებია. კათალიკოზების მეტს ხელი ნურავის აქვს, კათალიკოზებისაგან იმწყსებოდნენ და იმის ხელქვეშ იყვნენ, სულიერსა სამართალსა კათალიკოზი იქმოდეს და ის სამართლობდეს, სხვას მებატონეს და მოსამართლეს ხელი ნუ აქვსთ. რომელიც სვეტიცხოვლისა და კათალიკოზის წესი და სამართალი იყოს, სარგო მკვდარზედ თუ ცოცხალზედ, ბაჟი, ნიშანი და სანირავი, ანუ საკანონო, ანუ სხვა რამე იყოს, ნურავინ დაუჭერს და ნურცავინ მოუშლის... ნურცა კათალიკოზის უნინ ნიშანსა და სანირავსა აიღებენ, ნურც ურჩობასა და წინააღმდეგობასა იქმნენ მთავარეპისკოპოზნი, მიტროპოლიტნი, მანყვერელი, ალავერდელი და ეპისკოპოზნი.

თუ ვინმე რამე დააშაოს და გაუწყრეს, ვერავინ დაუშალოს ქართლ{ი}სა და კახეთისა, სამცხისა და საათაბაგოსა ბატონებმა, ზურგი მოაბან, მოეხმარნენ და შეენივნენ. მთავარეპისკოპოზთა, მიტროპოლიტთა, ეპისკოპოზთა, არქიმანდრიტთა და წინამძღვართა კათალიკოზი გამოარჩევდეს და აკურთხებდეს, კათალიკოზი დასვამდეს და გამოსცვლიდეს, უკათალიკოზოთ ნურც გამოცვლიან და ნურც დასმენ. ყველაფერს კათალიკოზი გაარიგებდეს, და სხვას ხელი ნუ აქვს, როგორც ამა ათას წელიწადს, დღეს აქამდის თავისუფალი ყოფილა კათალიკოზი და პატრიარქი ყოვლისა საქართველოსი. სხვას პატრიარქს ხელი არაზედ ჰქონია. ახლაც სხვას პატრიარქს და მოხელეს და მოსაქმეს ხელი ნუ აქვს და ნურც არას ეცილება და სჯულიერ{ი}ს წესითა სამღთოსა და საეროსა საქმესა კათალიკოზი იკითხვიდეს და არიგებდეს. ვინც ტყვეს გაჰყიდდეს, ან ტყვის საქმე იყოს, ან ცოდვას იქმოდეს, ან ცოდვის საქმე იყოს და საკანონო, ყოველსავე კათალიკოზი იკითხევდეს და მოიკითხევდეს. და ეს გარდაახდევინებდეს, როგორც პირველ დღეს აქამდის სამწყსოთ და ხელქვეშეთნი ყოფილიყოთ, აგრევე ახლაც იყვენით მკვიდრათ და მოუშლელად.

ჩვენი ბრძანება არის ქართველო ბატონო, კახო ბატონო, სამცხე-საათაბაგოს ბატონებო, თუ ვინმე კათალიკოზს წინა აღუდგეს: მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოზნი, ეპისკოპოზნი, არქიმანდრიტნი და წინამძღვარნი, სხვანი ყველანი ბერნი და მღვდელნი და ერნი, დიდნი და მცირენი – მეფენი, დედოფალნი, ერისთავნი, თავადნი, აზნაურნი, მსახურნი და გლეხნი, კათალიკოზმან შეაჩვენოს. საყდრის მჭირავნი და საყდარზედ მჯდომნი გადააყენეთ და სახელ[ო]¹⁸ გამოართვით და სხვათა ყოველთავე თქვენ დატუქსეთ; და უპატიო, რომელიც შეენოდეს, უყავით და დაუმორჩილეთ ყოველნი, ვისაც რომელსაცა სჯულიერის წესით გაუწყრეთ. შემწე ექმენით და ზურგი მოაბით, თუ ვისიმე მოსაქმე¹⁹ იყოს, მღვდელთმთავარი, გინა წინამძღვარი,

¹⁷ ჰქონებიათ ნსხ.

¹⁸ სახელი ნსხ.

¹⁹ ვისიმე მოსაქმე ვისიმე ნსხ.

კათალიკოზის უნებურ[ს]²⁰ და მონასტრის და სამწყსოს მაზიანებელს, ნუ დააყენებთ, გამოცვალებთ. რაც სახასო სამწყსო არის კათალიკოზისა ქართლისა და კახეთისა, უკლებლივ და მოუშლელად, მკვიდრად გვიბოძებია, სხვას ხელი ნუ აქვს.

მონასტერიმღვიმისა დაზედაძნისა და ულუმბისა, როგორაც კათალიკოზის ხელი ზდებოდეს, ისე ხელი ედვას. (ვინც ჩვენის ბრძანებით ქართლისა და კახეთში ფაშები იჯდეთ, გინა მეფენი, კათალიკოზსა რაც ამისი საფერი იყოს, პატივი ეცით. რაც ძველთაგან პატივი ჰქონიათ, ისე მიიჩნიეთ და ნურას მოუშლით და ნურცა არავის დააჩაგვრინებთ, ნურცა არავინ რასმეს წაქართმევთ, მომხმარი იყავით. თუ მტერნი აუჩინდეს, თამბა* უყავით, მოაშორეთ და გაუგდევით, თუ ყმა არ დაემორჩილოს, თამბა უყავით, დაუმორჩილეთ და ამსახურეთ. კათალიკოზის უნებურს ნუ დააყენებთ. კარგათ ემსახურეთ თავადთა, აზნაურთა, დიდთა, მცირეთა, ედვას.²¹

... გვაკლია და ხელთა აღარა გვიჭირავსთ ჩვენი მხვედრი შემონირული სოფლები და ალაგი, და მონასტერი ტფილისს ქალაქს ყოვლად წმიდის საყდარი, მეტეხთა ღვთისმშობელი, ტფილისის ქალაქის პირს სოფელი შინდისი, ნახევარი ნავკისის სოფლისა.

ქ. ერტს ერთი კომლი კაცი გოგასშვილი, სომხეთსა ხუცის სოფელი, რომელ არს ტერტერას სოფელი, მახარაღაჯი, დარბაზს ერთი კომლი კაცი, სოფელი ახტალა, ლორეს სოფელი ამუჭი,თრიალეთზედ სოფელი ახალდაბა, სოფელი ჭიტები, სოფელი გრაკალი... მონასტერი ყოვლად წმიდა მალემნისა, სოფელი ქოროზნა და ქორაზნის ციხე;მუხაურსურია მისის ნასყიდობით... არაგვის საერისთაოში გრემისხევი... ესენი, რომელიც ხელს არ გვიჭირავს, სამართლიანის საქმით გვაკლია და ხელთ აღარ გვიჭირავს.

ჩვენი შენირული: მკვიდრი სამწყსო არზრუმისა და საქართველოს სამზღვარს იქით ზემო საქართველო, რომელ არს სამცხე-საათაბაგო.

²⁰ უნებური ნსხ.

²¹ ფრჩხილებში ჩასმულ ნაწყვეტთან გადამწერის შენიშვნა: „ეს შიგ ჩამატებულია“.

* გაფრთხილება, დასჯა

მეორე საბუთი – ხეც, Hd-14531

... შეგვიწირავს და ვახშიათი გვიქნია. ნურავის ხელი ნუ აქვს ქათალიკოზების მეტსა, ამის ბრძანებას ქვე იყოს. აგრევე რასაც ალაგს²²... სვეტს ცხოველს და ქათალიკოზებს შეწირული ჰქონებია და არასდროს არ მოშლია ან შიგნით კახეთში ან ალაზანს გაღმა ან ნაპირს²³... და სამართლით ჩვენც შეგვიწირავს და წყალობა გვიქნია. და გვიბოძებია და შეგვიწირავს უდაბნონი მონასტერნი, ეკკლესიანი, სოფელნი, აგარაკნი, შეწინი [და] უშენნი, მთანი და ბარნი, აზნაურნი და გლეხნი.

ქ. იორზედა – მონასტერი სიონი, მონასტერი ქვაბნი მთითა, ბარითა, შესავლითა, გასავლითა, წყლითა, წისქვილითა, სამთო წყლითა.

ქ. ხორაუგს – სანინამძღვრო მონასტერი [ყუა]ვისთავი მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, შესავალ-გასავლითა, როგორათაც ქათალიკოზის საკუთარი ყოფილა და ემსახუროს, ისრე მსახუროსა. თუ უნდოდეს, ქათალიკოზმა თავის წინამძღვარი დასვას, უნდოდეს, სახასოდ დაიჭიროს.

ქ. სოფელი კილმატი, ასკილოვანი, კილმატის ციხე მთითა, ბარითა.

ქ. ვერენა ციხითა, ციხეთ გარდაღმა საფსიტეს ციხემდე.

ქ. გარდამოღმა სოფელი ფადლაშენი.

ქ. სოფელი ტაძრები მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ქათალიკოზისათვის სადგომია. ვისაც რა უდგამს და ბარებია, ისრევე ჩაუდგან. წინ არცავის ჩაუდგამს, ნურც ახლა ჩაუდგემნ.

ქ. სოფელი კეხთა, სოფელი ყანობი და საბანმინდა მათითა მთითა, ბარითა; კიდევე სვეტის ცხოვლითითა მთითა და ბარითა, წყლით და წისქვილითა; კათალიკოზს სადაც ზვარი და ხოდაბუნი ჰქონდეს, აგრევე ჰქონდეს სახასოდდა მოუშლელად, როგორათაც ძველთაგან გარიგებია და გასაზღვრებია, იმავ სამძღვროთ.

სამებას აქეთ, კანარეთს, ძმარაშვილის სახლს აქათ რომე ღრმა ღელე ამოვა, ჩამოსწორ-ჩამოსწორ ჩამოვლით, იორს გაღმა, რაჟიანთ ეკლესიის ქვემოთ, სამგორში, თამარ მეფისაგან აღებულს რუს შიგნით ჩავლით, ბოსტან-ქალაქის მზვარამდის ჩავლით, ს[ა]ჯერნეს ტბამდინ მიდგომით, გრძელს ტბამდინ ჩავლით, ამართულს ქვამდინ ჩავლით, შურთხანთ კლდემდი ჩავლით, ლურჯს ფლატამდის ჩავლით, მაჰმადის გორამდის მიდგომით, საქალაქოს შარამდი ამოვლით, დამპალის კერძო იორსთაკენმარტვილთ მონასტერთ წამოვლით, წინ გამოვლით იორის პირს, საყდრის ჩამოსწორ, სამნი გორანი სხენან დედოფლის წისქვილით თავს, იორს გაღმა, ხშირს მუხებთან; ისპიანთ ბოლოს რომ დიდი ლია[ა], ამოსწვრივ მცხეთის გორაკი, თარაქთ

²² ამ სიტყვის შემდეგ გადამწერის შენიშვნა: „დახეულია, ვერა გავიგე-რა“.

²³ ამ სიტყვის შემდეგ გადამწერის შენიშვნა: „ამოხეულია“.

ბოლოს ამოვლით, ბრმა წყარო[ს] ამოვლით, შავქედით ღელე ამოვლით, დავ-
ლათისასა იქით რომ ცოტა ღელე არის, რომელს ეწოდების მარიამჯვარი.

ამას გარდა, წინა საგარეჯო სოფელი შაშიანი, სოფელი კალაური, სოფელი ვანთა, მონასტერი და სოფელი ბუშატი, მონასტერი [და] სოფელი აკ[უ]რა,²⁴ სოფელი ხოდაშენი მათითა მითთა, ბართთა, წყლით, წისქვილით, შესავალ-გასავლითა.

ამ წინ საგარეჯოში, სადაც ზვარი და ხოდაბუნი კათალიკოზს სახასოდ ჰქონებოდეს, აგრევე ჰქონდეს მოუშლელად, რაგვარადაც ძველითგან შეს-
წირვია, იმავ საზღვართა შიგნით გარდავლით; შიგნით კერძო და სტაფის თავს ძველი ეკლესია ჩავლით; ველტყიანი ჩავლით; შავწყაროს ღელე ჩავ-
ლით; წინანდლის თავს ქედ-ქედნი მიადგებიან ხოდაშენს; წინანდალს შუა ოლე ჩაივლის, დაბლა ბაღთ კარნი ამოვლით; ვანთა, ბუშატი და აკურა.

შაშიანთ თავს მთავარანგელოზთ საყდარი მარმაროვანი[ს] სამზღვრამ-
დინ, მოდამნახის ციხემდის, წავლით გოგას წყარომდის... მიდგმით გომთ წყლამდინ, სადაც გომის წყალი ქერემის ხევს შეერთვის, იქიმდინ. ვარცა და დუმას უბანი, შენოანთ უბანი, სოფელი კახის [უ]ბანი თავისის მზღვრითა, მითთა და ბართთა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა, სათიბითა, ყოვლის მისის შესავლითა, გასავლითა, სახმართა, უხმართა, სამართლიანის სამზ-
ღვრითა, ერთობ სრულიად და უკლებლთ. ახაშანს ხუთ[ი] საკომლო მსახ-
ლობარი და ერთი ზვარი.

რაგვარათაც ამ საგარეჯოების გამოსაღები ძველითგან კათალიკოზს [ა]უღია, ნურც ახლა დააკლებთ მთისა თუ ბარისა, თუ გზის ბაჟსა. მიწისა, ბელბაშისა* შენანერისა თუ შენანერისა პურისა, თუ ღვინისა, ძროხისა, კამბეჩისა, ცხვრისა, ღორისა, ცხენისა, ჯორისა, თეთრისა, საბალახისა სახეოსთაოსი, ხილისა, თუ რისაც ფერის ნივთისა გამოვა, ნახევარს კათა-
ლიკოზი აიღებდეს და ნახევარს უდაბნონი მიიღებდნენ საგარეჯონი, მითა არც [არასა] ფა[ი]მში არ გაცემულა, არც გაყოფილა.

თუ რამ გაცემული იყოს, მოსახლე თუ უსახლო, მიწა-წყალი, ველით თუ ტყე, მიწდორი, მთა-ბარი, ჩვენის ბრძანებით მჯდომნი ვინც კახეთს ფაშა იჯდეს, გინა მეფემ და კახთ მოაგრო[ონ], ისრე ალავს დააყენონ. ნურას დროსა და ფაშს ნუ გასცემენ, ნურც გაჰყოფენ. მოურავს თუ სხვას ვისმეს ან გარეშეს ვინ გინდა-ვის საგარეჯოს მამული ეყიდოსთ, რაც ფასი აედოს, მიაცემინონ. მამულზედ ხელი ააღებინონ საგარეჯოს. რაც გააზატებულა, ისრევე აზატა[თ] იყოს.

²⁴ აკურა, წსხ.

* ბელბაში- ადმინისტრ. მოხელე.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ანოტირებული ლექსიკონი 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, გამო-საცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, თბ., 1991.
2. გიუნაშვილი 1972: გიუნაშვილი ელ., მცირე სჯულისკანონი, თბ., 1972.
3. ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქარ-თველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელ-ნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
4. პაიჭაძე 1973: პაიჭაძე გ., ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIII საუკუნი 20-იან წლებში, კრებ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1973.
5. ჟორდანიას 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრე-ბილი, ქრონოლოგიურად დანყოფილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფილისი, 1897.
6. სურგულაძე 2013: სურგულაძე მ., ქართული საისტორიო ტრადიცია მეექვსე მსოფლიო კრების შესახებ, ჟურნ. „ლოგოსი“, თბ., 2013.
7. ფუთურიძე 1955: სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთ-საცავებში, წიგნი I, ნაკვეთი 3, გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955.
8. ყაუხჩიშვილი 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1973.
9. ხუბუა 1949: ხუბუა მ., საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰუ-ქმები, I, თბ., 1949.
10. Brosset 1835: Brosset M., Introduction dans l'histoire de la Géorgie, Paris, 1835.
11. Какабадзе 1967: Какабадзе С., Грузинские документы Института народов Азии, М., 1967.

Mzia Surguladze

TWO DOCUMENTS OF MTSKHETA OF THE PERIOD OF OTTOMANS RULE

SUMMARY

The present publication is dedicated to two documents of Mtskheta Catholicos Epar- chy. Neither their authors nor their date has been known. According to the content the documents are compiled in East Georgia in the period of Ottomans rule and determine the canonical and administrative rights of Catholicos of Kartli, within the scale that Catholicos of Kartli possessed in terms of united monarchy of Georgia. Author of the present article proves that texts of the documents are prepared in East Georgia in the period of Ottomans second rule (1723-1735) by Domenti IV, Catholicos of Kartli, when

he was in Constantinople (1724-1828). Initially the documents should have been compiled in the Greek language on the agreement with Patriarch of Constantinople. One of the documents specially highlights a historical role of Patriarch of Constantinople in approving autocephaly of the Kartli Church. Passage concerning presence of the Kartli Church delegation at the VI World Meeting in Constantinople serves this purpose. Georgians received evidence from the Meeting in regard to their autocephaly rights. The mentioned document had no official procedure, because Catholicos Domenti was accused of treason and was exiled to the island. He managed to return from there only in 1739, when the Ottomans rule in East Georgia ended. The information on granting the Kartli Church the autocephaly rights by the VI World Meeting was introduced into other Georgian sources (Kartlis Tskhovreba, Martvili Manuscript) in the second half of 18th century, which chronologically coincides with the period after Catholicos Domenti returned to Georgia.

თეო ჯოჯუა

XV-XVIII საუკუნეების ხელნაწერი კრეპულის (H-375) შედგენილობაში გამოვლენილი XV საუკუნის ორი ხელნაწერი წიგნი – ტაოს უცნობი ერისთავის ბიორგი კავკასიის (1535/1536-1545 წწ.) ფეოდალური სახლის კუთვნილი მარხვანი (H-375ა) და უცნობი იშხნელი ეპისკოპოსის ჯერასიმეს დაკვეთით იშხანში გადაწერილი ზატიკი (H-375ბ)

ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ხელნაწერი წიგნებისა და მათი ანდერძ-მინაწერების შესწავლა თანამედროვე ქართული საისტორიო, ფილოლოგიური და სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერებების წინაშე მდგომი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ამოცანაა. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ამოცანის გადაჭრისაკენ გადადგმულ ერთ კონკრეტულ ნაბიჯს წარმოადგენს და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების H კოლექციაში 375-ე ნომრით დაცული ხელნაწერი წიგნის, იგივე H-375 ხელნაწერისა და მისი უცნობი ანდერძ-მინაწერების კოდიკოლოგიურ და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით შესწავლას ისახავს მიზანად.

დღეისათვის H-375 ხელნაწერის ერთადერთი მეცნიერული აღწერილობა არსებობს. ეს აღწერილობა ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის მიერ არის შედგენილი და H კოლექციის ხელნაწერთა აკადემიური „აღწერილობის“ 1946 წელს დაბეჭდილ I ტომში შემდეგი სახითაა შეტანილი: „მარხვანი და ზატიკი – XV-XVI. 400 ფ.; 27,5×20,5; ქაღალდი; ხის გატეხილი ყდა; დაშლილი; დაზიანებული (განსაკუთრებით ბოლო ფურცლები გაცრეცილი და მოხეულია); თავბოლო ნაკლული; ნუსხური (სხვადასხვა ხელით; სათაურები სინგურით); თავბოლო კაზმულობიანი (218r, 268v, 280v); [XV-XVI]. 1. „მარხვანი“. „[...]დეს ერთი ზუაობითა დაინთქა, ხოლო მეზუჭრე ცხონდა კეთილად სიმდაბლითა სანატრელითა, სანუ-თო ესე განყვის ცოდვად და სათნოებად...“ (თავიდან, რომელიც წინ უსწრებს „კკსა უძღვებისასა“) 1r-299v; 2. „ზატიკი“. „კკსა მეზვერისა და ფარისეველისასა: სამოციქულო, ტიმოთეს მიმართ. – შვილო ტიმოთე, განძლიერდი მადლითა იესუ ქრისტესითა რაჲ-იგი გესმა ჩემგან მრავლითა მოწმობათა...“ 300r-400v. წყდება:

„...ჭეშმარიტითა სასჯელითა ჰყავ ესე ყოველი ჩნ ზედა ცოდვათა ჩნთათს, რამეთუ შეგცოდეთ ჩნდა ურჩულოა“... შენიშვნა: ა. ხელნაწერის უძველესი ნაწილები მოკაზმული საზედაო ასოებით არის შემკული: 56v, 127r, 165v, 181v, 219v, 225r, 226v, 260r, 277r, 280v, 282r, 289v. ბ. აქვეა კიდევზე შენიშვნები ტექსტის სხვადასხვა ადგილისათვის. კიდევებზე აღნიშნულია ზოგიერთი საგალობლების ავტორი, ზოგჯერ ქართველ მთარგმნელთან ერთად: ეფრემ მცირე – 219v. 292r; არსენი – 277r, 297r; გიორგი – 295v, 297r). მინაწერები: 6r, 21v, 47r, 48v, 87v, 94v-95r, 98r, 121v, 125v, 185rv, 202v, 204v, 217r-v, 219v, 250v, 252v, 257r, 258r, 263r, 297v, 307v)“ (H ფონდის აღწერილობა 1946: 275).

როგორც ვხედავთ, H-375 ხელნაწერის ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის მიერ შედგენილ აღწერილობაში არათუ პირდაპირ, არამედ ირიბადაც კი არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ეს ხელნაწერი წიგნი ტაო-კლარჯეთთან რაიმე სახით არის დაკავშირებული. აღნიშნული მიზეზის გამო H-375 ხელნაწერი და მისი კოლოფონები ტაო-კლარჯეთის სიძველეებით დაინტერესებულ მკვლევართა მიერ არასოდეს ყოფილა შესწავლილი. არადა, სინამდვილეში, ამ ხელნაწერი წიგნის ანდერძ-მინაწერები XV-XVI საუკუნეების ტაო-კლარჯეთის, უფრო ზუსტად კი, ტაოს პროვინციის საერო და საეკლესიო ისტორიის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვანდის, რომელთა დეტალური ანალიზი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ქვემოთ H-375 ხელნაწერსა და მის ანდერძ-მინაწერებთან დაკავშირებულ კოდიკოლოგიურ და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით საკითხებს დაწვრილებით განვიხილავ. თავდაპირველად ხელნაწერის შედგენილობასთან დაკავშირებულ საკითხებს შევეხები.

I. H-375 ხელნაწერის შედგენილობაში გამოვლენილი ოთხი ნაწილის რაობა და ურთიერთმიმართება, მათი ერთ ნივნად აკინძვის დრო და მიზეზები

1) H-375 ხელნაწერის შედგენილობა

H-375 ხელნაწერის შედგენილობასთან დაკავშირებული საკითხებით პირველად ლილი ქუთათელაძე და ნადია კასრაძე დაინტერესდნენ და ამ საკითხების შესახებ საკუთარი მოსაზრებები ზემოთ ციტირებული აღწერილობის ფარგლებში გამოთქვეს. მკვლევრებმა H-375 ხელნაწერი „მარხვან-ზატიკად“ ანუ დიდმარხვისა და ზატიკის საგალობლების შემცველ კრებულად მიიჩნიეს და იქვე, დააკონკრეტეს, რომ მარხვანის ტექსტი H-375 ხელნაწერის 1rv-299rv-ზე, ხოლო ზატიკის ტექსტი 300rv-400rv-ზეა წარმოდგენილი: „მარხვანი და ზატიკი... 1. „მარხვანი“.[...]დეს ერთი ზუაობითა დაინთქა, ხოლო მეზუჴრე ცხონდა კეთილად სიმდაბლითა სანატრელითა, სანუთო ესე განყვის ცოდვად და სათნოებად...“ (თავიდან, რომელიც წინ უსწრებს „კკსა უძღებისასა“) 1r-299v; 2. „ზა-

ტიკი“. „კკსა მეზვერისა და ფარისეველისასა: სამოციქულო, ტიმოთეს მიმართ. – შვილო ტიმოთე, განძლიერდი მადლითა იესუ ქრისტესითა რაჲ-იგი გესმა ჩემგან მრავლითა მოწმობათა...“ 300r-400v. წყდება: „...ჭეშმარიტითა სასჯელითა ჰყავ ესე ყოველი ჩნ ზედა ცოდვათა ჩნთათს, რამეთუ შეგცოდეთ ჩნდა ურჩულო...“ (H ფონდის აღწერილობა 1946: 275). გარდა ამისა, ლილი ქუთათელაძემ და ნადია კასრაძემ, დამატებით, ისიც აღნიშნეს, რომ H-375 ხელნაწერის ნუსხურით შესრულებული ტექსტი „სხვადასხვა ხელით“ არის დაწერილი, თუმცა კი, ამ, „სხვადასხვა ხელით“ დაწერილი ნაწილების რაოდენობა, მათი დასაწყისი და დასასრული გვერდები, აგრეთვე, ამ ნაწილების ქრონოლოგია, არ მიუთითებს: „ნუსხური (სხვადასხვა ხელით...“, H ფონდის აღწერილობა 1946: 275). დასასრულ, მკვლევრებმა იმ ფაქტზეც გაამახვილეს ყურადღება, რომ H-375 ხელნაწერის თორმეტ სხვადასხვა გვერდზე ორნამენტირებული საზედაო ასოებია შესრულებული და ეს თორმეტი გვერდი „ხელნაწერის უძველეს ნაწილებს“ მიაკუთვნეს, თუმცა კი, ამ, „უძველესი ნაწილების“ რაოდენობა, მათი დასაწყისი და დასასრული გვერდები, აგრეთვე, ამ ნაწილების ქრონოლოგია, არც ამ შემთხვევაში მიუთითებს: „ხელნაწერის უძველესი ნაწილები მოკაზმული საზედაო ასოებით არის შემკული: 56v, 127r, 165v, 181v, 219v, 225r, 226v, 260r, 277r, 280v, 282r, 289v“ (H ფონდის აღწერილობა 1946: 275).

H-375 ხელნაწერის შედგენილობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის გარდა, ენრიკო გაბიძაშვილიც შეეხო. მკვლევარმა მის მიერ შედგენილი „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიის“ 2011 წელს გამოცემულ მე-5 ტომში, ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძისაგან განსხვავებით, დაასკვნა, რომ H-375 ხელნაწერის შედგენილობაში ზატიკის ტექსტი საერთოდ არ არის წარმოდგენილი და მისი ოთხასივე ფურცელი (Irv-400rv) მარხვანის ტექსტს უჭირავს (გაბიძაშვილი 2011: 107-108, 147-148).

H-375 ხელნაწერის შედგენილობასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოოდ გარკვევის მიზნით, ხელნაწერი დეტალურად შევისწავლე. კვლევამ აჩვენა, რომ H-375 ხელნაწერის ამჟამინდელ შედგენილობაში სხვადასხვა ხელით დაწერილი ოთხი ნაწილი გამოიყოფა. ეს ნაწილებია:

1. XV საუკუნის ხელით დაწერილი თავნაკული მარხვანი, რომლის ტექსტიც დიდმარხვის მეექვსე, იგივე ბზობის შვიდეულის პარასკევი დღის ცისკრის საგალობლებით მთავრდება (Irv-217rv).

2. XV საუკუნის ხელით დაწერილი დიდმარხვის ბოლო რვადღენახევრის საგალობლების შემცველი ტექსტი, რომელიც მარხვანის დასასრულ ან ზატიკის დასაწყის ფრაგმენტს წარმოადგენს (218rv-299rv).¹

¹ H-375 ხელნაწერის II ნაწილის საბოლოო იდენტიფიკაციის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ.

3. XVIII საუკუნის ხელით დაწერილი სახარებიდან და სამოციქულოდან გამოკრებილი დიდმარხვის საკითხავები (300rv-331rv).

4. XVIII საუკუნის ხელით დაწერილი ძველი ალექსიდან, სანინასწარმეტყველოდან და სამოციქულოდან გამოკრებილი დიდმარხვის ბოლონაკლული საკითხავები (332rv-400rv).

H-375 ხელნაწერის შედგენილობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ლილი ქუთათელაძისა და ნადია კასრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც H-375 ხელნაწერის პირველი ორასოთხმოცდაცხრამეტი ფურცელი (1rv-299rv) მარხვანის ტექსტს უკავია, ბოლო ას ერთი ფურცელი (300rv-400rv) ზატიკის ტექსტს უჭირავს, მთლიანად ხელნაწერი კი მარხვან-ზატიკს წარმოადგენს, აგრეთვე, ენრიკო გაბიძაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც H-375 ხელნაწერის ოთხასივე ფურცელი (1rv-400rv) მხოლოდ მარხვანის ტექსტს უჭირავს, მთლიანად ხელნაწერი კი მარხვანს წარმოადგენს, მართებული არ არის. სინამდვილეში, H-375 ხელნაწერის პირველი ორას ჩვიდმეტი ფურცელი (1rv-217rv) მარხვანის, მომდევნო ოთხმოცდაორი ფურცელი (218rv-299rv) მარხვანის ან ზატიკის, შემდეგი ოცდათორმეტი ფურცელი სახარებიდან და სამოციქულოდან გამოკრებილი დიდმარხვის საკითხავების (300rv-331rv), ბოლო სამოცდაცხრა ფურცელი (332rv-400rv) ძველი ალექსიდან, სანინასწარმეტყველოდან და სამოციქულოდან გამოკრებილი დიდმარხვის საკითხავების ტექსტებს უჭირავს და მთლიანად ხელნაწერიც, მისი ამჟამინდელი შედგენილობის გათვალისწინებით, დიდმარხვის საგალობლებისა და საკითხავების კრებულს წარმოადგენს.

2) H-375 ხელნაწერის შედგენილობაში გამოვლენილი I და II ნაწილების რაობა და ურთიერთმიმართება

H-375 ხელნაწერის შედგენილობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მასში, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, ორი პლასტი – ძველი და მოგვიანო ფენები გამოიყოფა. აქედან, ხელნაწერის ძველ ფენას XV საუკუნეში დაწერილი I და II ნაწილები, ხოლო მოგვიანო ფენას XVIII საუკუნეში დაწერილი III და IV ნაწილები მიეკუთვნება. ქვემოთ ამ ორ ქრონოლოგიურ პლასტს ცალ-ცალკე განვიხილავ. თავდაპირველად ძველ ფენას ანუ H-375 ხელნაწერის I და II ნაწილებს შევხვები. ხელნაწერის აღნიშნულ ნაწილებზე დაკვირვებისას ექვსი ძირითადი გარემოება იპყრობს ყურადღებას:

1. ხელნაწერის I და II ნაწილები სხვადასხვა ხელით არის დაწერილი, თუმცა კი, ორივე ეს ხელი, პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XV საუკუნეს მიეკუთვნება;

2. ხელნაწერის I და II ნაწილებს თავისი დამოუკიდებელი, მათი გადამწერების ხელით შესრულებული, ერთმანეთის პარალელური რვეულებრივი სათვალავი აქვს: I ნაწილის ფურცლების პაგინირება ა (1) რვეულით იწყება და

ლბ (31) რვეულით მთავრდება,² ხოლო II ნაწილის ფურცლების პაგინირება ა (1) რვეულით იწყება და ია (11) რვეულის ორ ფურცელზე წყდება;

3. ხელნაწერის II ნაწილის ტექსტი I ნაწილის ტექსტს უშუალოდ აგრძელებს: I ნაწილის ტექსტი დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის ცისკრის საგალობლებით მთავრდება, ხოლო II ნაწილი იმავე მეექვსე შვიდეულის იმავე პარასკევი დღის მწუხრის საგალობლებით იწყება;

4. ხელნაწერის I ნაწილში შეტანილი საგალობლების ტექსტები ერთმანეთს მიჯრით, რაიმე ინტერვალის გარეშე მისდევს და ამ ტექსტებს შორის დაუნერლად დატოვებული სტრიქონი ან სტრიქონები თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისს მხოლოდ I ნაწილის ბოლო ფურცელი ანუ H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 217rv წარმოადგენს: ამ ფურცლის recto-ს პირველი ოცდასამი სტრიქონი I ნაწილის უკანასკნელ ტექსტს – დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის ცისკრის საგალობლებს უჭირავს, ხოლო იმავე recto-ს ბოლო ხუთი სტრიქონი და მთელი verso ანუ, საერთო ჯამში, ოცდაცამეტი სტრიქონი, დაუნერლად არის დატოვებული;

5. ხელნაწერის II ნაწილის დასაწყისი საგანგებოდ არის გამშვენებული: H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 218r-ზე დაწყებული დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის საგალობლების ზემოთ ფერადოვანი დეკორატიული თავსამკაულია შესრულებული;

6. ხელნაწერის I ნაწილში შეტანილი საგალობლების ტექსტებს ფურცლის არშიებზე შესრულებული განმარტებები და კომენტარები საერთოდ არ ახლავს, II ნაწილში წარმოდგენილი საგალობლების ტექსტები კი ფურცლის არშიებზე შესრულებული მრავალრიცხოვანი განმარტებებისა და კომენტარების ტექსტებით არის აღჭურვილი.³

² მართალია, I ნაწილის ა (1), ბ (2) და გ (3) რვეულები, აგრეთვე, დ (4) რვეულის პირველი ოთხი ფურცელი, ამ რვეულებისა ფურცლების რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელ ასომთავრულ გრაფემებთან ერთად, I ნაწილის თავნაკლულობის გამო, დაკარგულია, მაგრამ I ნაწილის მომდევნო, დაკარგვას გადარჩენილ ფურცლებზე წარმოდგენილ ტექსტსა და ამ ფურცლების რვეულებრივ სათვალავზე დაკვირვება თვალნათლივ აჩვენებს, რომ I ნაწილის პაგინირება უეჭველად ა (1) რვეულით იწყებოდა.

³ ამ განმარტებებსა და კომენტარებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ხუთი კოლოფონი, რომლებიც აღდგომის შვიდეულის ცალკეული საგალობლების გასწვრივ, ფურცლის არშიებზეა შესრულებული და რომლებშიც აღნიშნულია, რომ ეს საგალობლები ქართულ ენაზე XI-XII საუკუნეების სახელოვანი ქართველი მწიგნობრების – გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელის მიერ არის ნათარგმნი: 1. 277r-ზე, ძირითად ტექსტში ვკითხულობთ: „ხუჭდრნი / დიდისა პარასკევისანი, რ(ომელ)თა თ(ა)ვნი იტყვან ბერ|ძ(უ)ლ(ა)დ პ(ირუ)ელ შ(ა)ბ(ა) თისაცა“. იქვე, მარჯვენა არშიაზე, მინერილია: „კ|ო|ზ|მ|ა|ნ - || მ|თ|ქ|მ|ელ|ი, || ა|რ|ს|ე|ნ|ი - || თ|ა|რ|გ|მ|ა|ნ|ი“; 2. 292r-ს ძირითად ტექსტში ვკითხულობთ: „გ(ა)ლ(ო)ბ(ა)ნი გოდებისა წ(მიდ)ისა ლ(მრთ)ისმშ(ო)ბლისა დაფლ|ვასა ზ(ედ)ა ლ(მრ)

ჩემი დაკვირვებით, ჩამოთვლილი ექვსი გარემოების გათვალისწინებით, H-375 ხელნაწერის I და II ნაწილების რაობისა და ურთიერთმიმართების შესახებ სამი ჰიპოთეტური ვარიანტის დაშვებაა შესაძლებელი:

1) H-375 ხელნაწერის I და II ნაწილები ორი სხვადასხვა გადამწერის მიერ თანადროულად იყო გადაწერილი და ისინი იმთავითვე ერთი ხელნაწერი წიგნის ორ სხვადასხვა ნაწილს წარმოადგენდა, რომელთაგან II ნაწილის ტექსტი I ნაწილის ტექსტს უშუალოდ მისდევდა და აგრძელებდა. თავად ეს ხელნაწერი წიგნი მარხვანს წარმოადგენდა, შუა საუკუნეების ბიზანტიურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიღებული მარხვანის ორი ტიპიდან I ტიპს მიეკუთვნებოდა და ამ ტიპის შესაბამისი შედგენილობა ჰქონდა: მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის შაბათის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა.

აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ წინამდებარე ნაშრომში მარხვანისა და ზატიკის ტიპებზე საუბრისას მხედველობაში მაქვს არა ამ ორი, ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ტექსტის რედაქციული კუთვნილების საკითხი, არამედ მათი ერთმანეთისაგან განყოფა-გამიჯვნის პრინციპი, უფრო ზუსტად კი ის გარემოება, თუ რომელი დღის რომელი ნაწილის საგალობლებით მთავრდება მარხვანი და რომელი დღის რომელი ნაწილის საგალობლებით იწყება ზატიკი. მარხვანისა და ზატიკის ტიპების შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ლილი ხევსურიანს. მკვლევრის დაკვირვებით, მარხვან-ზატიკის „ორ წიგნად გაყოფა არ არის მხოლოდ ქართული მოვლენა. ეს, უწინარეს ყოვლისა, ბერძნულ კრებულებში ჩანს. ბერძნებს ამ გაყოფის ორი ტრადიცია აქვთ: 1. მარხვანი თავდება ვნებისშაბათის მწუხრზე და აღვსებით იწყება ზატიკი. 2. მარხვანი წყდება ლაზარობის წინაღღის ანუ მეექვსე პარასკევის ცისკარზე, ხოლო იმავე დღის მწუხრით იწყება ზატიკი“ (ხევსურიანი 2008: 239).⁴

2) თავდაპირველად არსებობდა ერთი გადამწერის მიერ გადაწერილი მარხვანი, რომელიც მარხვანის ზემოხსენებულ I ტიპს მიეკუთვნებოდა და ამ ტიპის

თ(ი)ვგუ<e>{ა}მ{ო}ვანთა წორცთა ო(ვფლის)<e>{ა} | ჩ(უე)ნისა ი(ეს)კს ქ(რის)ტი ს(ა)თა გოლგოთას“. იქვე, მარჯვენა არშიაზე, მინერილია: „თქმულნი თეოფილესნი, | თ{ა}რგმნილნი ეფრემ მცი|რის(ა)ნი“; 3. 295v-ს ძირითად ტექსტში ვკითხულობთ: „გ(ა)ლობ(ა)ნი დიდისა შ(ა)ბ(ა)თისანი“. იქვე, მარცხენა არშიაზე, შემდეგი ორი მინაწერია: „თ|ე|ო|ფ|ა|ნ|ე“ და „თარგმნილნი | გ(იორგ)ისნი“; 4. 297r-ს ძირითადი ტექსტის გასწვრივ (ეს ტექსტი დიდი შაბათის საგალობლებს შეიცავს), მარჯვენა არშიაზე, მინერილია: „მ|თ|ქ|უ|მ|ე|ლ|ი - || კ|ო|ზ|მ|ა|ნ, || თ|ა|რ|გ|მ|ა|ნ|ი - || ა|რ|ს|ე|ნ|ი“; და 5. იმავე, 297r-ს ძირითადი ტექსტის გასწვრივ (ეს ტექსტი, აგრეთვე, დიდი შაბათის საგალობლებს შეიცავს), მარჯვენა არშიაზე, მინერილია: „რ|ო|მ|ა|ნ|ო|ზ. || თ(ა)რგმ(ა)ნი - | გ|ო|რ|გ|ი“.

⁴ ვსარგებლობ შემთხვევით და მარხვან-ზატიკის ტიპების შესახებ განეული კონსულტაციისა და შესაბამის ნაშრომზე მითითებისათვის მადლობას მოვასხენებ ლილი ხევსურიანს.

შესაბამისი შედგენილობა ჰქონდა: მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის შაბათის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა (ხევსურიანი 2008: 239). მარხვანის გადანერიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ მისი ბოლო რამდენიმე ათეული ფურცელი, რომლებიც დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის, შაბათ-კვირა დღეების, მეშვიდე შვიდეულის ორშაბათ-პარასკევი დღეებისა და შაბათი დღის ცისკრის საგალობლებს შეიცავდა, გარკვეული მიზეზების გამო, დაიკარგა. დაახლოებით, იმავე პერიოდში ფურცლების დაკარგვის გამო დაკლებული ტექსტი სხვა გადამწერს გადაწერიწეს და ეს ახლადდაწერილი ტექსტი ხელნაწერის თავდაპირველ ტექსტს ბოლოში დაურთეს. შედეგად, მარხვანის შედგენილობაში გაჩნდა ორი ნაწილი, რომელთაგან თავდაპირველი ნაწილი H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის I, ხოლო ახლადდაწერილი ნაწილი მის II ნაწილს შეესაბამება.

3) H-375 ხელნაწერის I და II ნაწილები თავდაპირველად ორი სხვადასხვა გადამწერის მიერ გადანერილი ორი დამოუკიდებელი ხელნაწერი წიგნი იყო. აქედან, პირველი ხელნაწერი წიგნი ანუ H-375 ხელნაწერის I ნაწილი მარხვანს წარმოადგენდა, მარხვანის ორი ტიპიდან II ტიპს მიეკუთვნებოდა და ამ ტიპის შესაბამისი შედგენილობა ჰქონდა: მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა (ხევსურიანი 2008: 239). რაც შეეხება მეორე ხელნაწერ წიგნს ანუ H-375 ხელნაწერის II ნაწილს, ის ზატიკს წარმოადგენდა, შუა საუკუნეების ბიზანტიურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიღებული ზატიკის ორი ტიპიდან II ტიპს მიეკუთვნებოდა და ამ ტიპის შესაბამისი შედგენილობა ჰქონდა: დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის საგალობლებით იწყებოდა და მარტვილის მომდევნო შვიდეულის კვირა დღის საგალობლებით მთავრდებოდა (ხევსურიანი 2008: 239). მოგვიანებით, ზატიკს მიზანმიმართულად მოხსნეს პირველი ოთხმოცდაორი ფურცელი, რომლებიც დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის, შაბათ-კვირა დღეების, მეშვიდე შვიდეულის ორშაბათ-პარასკევი დღეებისა და შაბათი დღის ცისკრის საგალობლებს შეიცავდა, ეს ოთხმოცდაორი ფურცელი ანუ H-375 ხელნაწერის II ნაწილი ზემოხსენებულ მარხვანს ანუ H-375 ხელნაწერის I ნაწილს ბოლოში მიაკინძეს და შედეგად, შექმნეს ახალი ხელნაწერი წიგნი, რომელიც, მართალია, კვლავინდებურად მარხვანს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ის უკვე არა მარხვანის II, არამედ I ტიპს მიეკუთვნებოდა და შესაბამისად, სულ სხვაგვარი შედგენილობა ჰქონდა: მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის შაბათის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა.

აქ დაშვებული სამი შესაძლო ვარიანტიდან პირველ ვარიანტს, რომლის თანახმადაც H-375 ხელნაწერის I და II ნაწილები ორი სხვადასხვა გადამწერის მიერ თანადროულად იყო გადამწერილი და იმთავითვე ერთი ხელნაწერი წიგნის ორ სხვადასხვა ნაწილს წარმოადგენდა, a priori, გამოვრიცხავ.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას, პირველ რიგში, შემდეგ არგუმენტს ვემყარები: H-375 ხელნაწერის I და II ნაწილებს თავისი დამოუკიდებელი, მათი გადამწერების ხელით შესრულებული, ერთმანეთის პარალელური რვეულებრივი სათვალავი აქვს: I ნაწილში ფურცლების პაგინაცია 2 (1) რვეულით იწყება და 31 (31) რვეულით მთავრდება, ხოლო II ნაწილში – 2 (1) რვეულით იწყება და 11 (11) რვეულის ორ ფურცელზე წყდება. აღნიშნული დეტალი, ვფიქრობ, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ I და II ნაწილები ერთი ხელნაწერი ნიგნის თანადროულად გადაწერილი ნაწილები არ იყო, რადგან, ამ შემთხვევაში, II ნაწილის გადამწერი საკუთარი ტექსტის რვეულებრივ პაგინირებას 2 ანუ პირველი რვეულიდან კი არ დაიწყებდა, არამედ ოცდათერთმეტი რვეულისაგან შედგენილი I ნაწილის რვეულებრივ სათვალავს პირდაპირ გააგრძელებდა და საკუთარი ტექსტის პაგინირებას 32 ანუ ოცდამეთორმეტე რვეულიდან შეუდგებოდა.

გარდა ამისა, აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისაკენ ორი სხვა არგუმენტიც მიბიძგებს: ა) H-375 ხელნაწერის I და II ნაწილები უეჭველად სხვადასხვა ხელნაწერი ნიგნებიდან იყო გადაწერილი: I ნაწილის გადასაწერად ისეთი ხელნაწერი ნიგნი იყო შერჩეული, რომელშიც ძირითად ტექსტს არშიებზე შესრულებული რაიმე განმარტებები და კომენტარები არ ახლდა, ხოლო II ნაწილის გადასაწერად ისეთი ხელნაწერი ნიგნი ჰქონდათ აღებული, რომელშიც ძირითადი ტექსტი არშიებზე შესრულებული მრავალრიცხოვანი განმარტებებითა და კომენტარებით იყო აღჭურვილი. ჩემი დაკვირვებით, ეს გარემოება აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ H-375 ხელნაწერის I და II ნაწილები ერთი ხელნაწერი ნიგნის თანადროულად გადაწერილი ნაწილები არ იყო: ამ შემთხვევაში, ლოგიკური იქნებოდა, რომ II ნაწილიც იმავე ხელნაწერი ნიგნიდან გადაწერათ, რომელი ხელნაწერი ნიგნიდანაც I ნაწილი ჰქონდათ გადაწერილი ან პირიქით, I ნაწილის გადასაწერადაც ის ხელნაწერი ნიგნი აეღოთ, რომელი ხელნაწერი ნიგნიდანაც II ნაწილის გადაწერა ჰქონდათ განზრახული; და ბ) H-375 ხელნაწერის I ნაწილის ტექსტის ბოლო ნაკვეთი – დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის ცისკრის საგალობლები H-375 ხელნაწერის 217r-ს XXIII სტრიქონზე მთავრდება, იმავე 217r-ს მომდევნო ოცდაცამეტი სტრიქონი დაუწერლად არის დატოვებული, ხოლო II ნაწილის ტექსტის პირველი ნაკვეთი – დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის საგალობლები H-375 ხელნაწერის 218r-ზე იწყება. აღნიშნული გარემოება თვალნათლივ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ I და II ნაწილები ერთი და იმავე ხელნაწერი ნიგნის თანადროულად გადაწერილი ნაწილები არ იყო: ნაკლებად მოსალოდნელია, რომ II ნაწილის გადამწერს, რომელიც I ნაწილის ტექსტს აგრძელებდა და რომელსაც მის მიერ გადაწერილ საკმაოდ ვრცელ, ოთხმოცდაორფურცლიან ტექსტში ერთი სტრიქონიც კი არ აქვს დაუწერლად დატოვებული, I ნაწილის ბოლო ფურცლის დაუწერლად დარჩენილი ოცდაცამეტი სტრიქონი ანუ ერთ სრულ გვერდზე მეტი მოცულობის

არე საერთოდ გამოეტოვებინა და საკუთარი ტექსტის წერა ახალი ფურცლიდან დაეწყო.

ზემოთ განხილული პირველი შესაძლო ვარიანტის გამორიცხვის შემდეგ მეორე შესაძლო ვარიანტის განხილვაზე გადავალ. ამ ვარიანტის თანახმად, თავდაპირველად არსებობდა ერთი გადამწერის მიერ გადამწერილი მარხვანი, რომელიც მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის შაბათის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა. მისი გადამწერიდან მცირე ხნის შემდეგ ხელნაწერის ბოლო რამდენიმე ათეული ფურცელი დაიკარგა. დაახლოებით, იმავე პერიოდში დაკარგულ ფურცლებთან ერთად დაკლებული ტექსტი სხვა გადამწერს გადაწერინეს და ეს ახლადდაწერილი ტექსტი თავდაპირველ ტექსტს ბოლოში დაურთეს. ამ სამნიგნობრე ოპერაციის შედეგად მარხვანის შედგენილობაში გაჩენილი ორი ნაწილიდან თავდაპირველი ნაწილი H-375 ხელნაწერის I, ხოლო ახლადდაწერილი ნაწილი H-375 ხელნაწერის II ნაწილს შეესაბამება.

ჩემი დაკვირვებით, მეორე შესაძლო ვარიანტი, პირველი შესაძლო ვარიანტის მსგავსად, აგრეთვე, გამოსარიცხია. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას ორ ძირითად არგუმენტს ვემყარები, რომელთაგან პირველი არგუმენტი ზემოთ უკვე მქონდა მოტანილი: H-375 ხელნაწერის I და II ნაწილებს თავისი დამოუკიდებელი, მათი გადამწერების ხელით შესრულებული, ერთმანეთის პარალელური რვეულებრივი სათვალავი აქვს, რაც, თავის მხრივ, ცალსახად გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ II ნაწილი I ნაწილის მოგვიანებით გადამწერილი გაგრძელება იყო: II ნაწილი იმთავითვე I ნაწილისათვის ბოლოში დასართავ ტექსტად რომ ყოფილიყო ჩაფიქრებული, მაშინ მისი გადამწერი ტექსტის რვეულებრივ პაგინირებას ანუ პირველი რვეულიდან კი არ დაიწყებდა, არამედ ოცდათერთმეტი რვეულისაგან შედგენილი I ნაწილის რვეულებრივ სათვალავს პირდაპირ გააგრძელებდა და საკუთარი ტექსტის პაგინირებას ლზ ანუ ოცდამეთორმეტე რვეულიდან შეუდგებოდა.

ზუსტად ანალოგიური დასკვნისაკენ მიბიძგებს მეორე არგუმენტიც: H-375 ხელნაწერის I ნაწილის მრავალრიცხოვან ფურცლებზე დაუნერლად დატოვებული სტრიქონი ან სტრიქონები თითქმის არ გვხვდება. გამონაკლისს მხოლოდ I ნაწილის უკანასკნელი ფურცელი ანუ 217rv წარმოადგენს: ამ ფურცლის recto-ს პირველი ოცდასამი სტრიქონი I ნაწილის უკანასკნელი საგალობლების ტექსტებს უჭირავს, ხოლო იმავე recto-ს ბოლო ხუთი სტრიქონი და მთელი verso დაუნერლად არის დატოვებული. ეს გარემოება, ვფიქრობ, აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ I ნაწილი იმთავითვე 217rv-ზე მთავრდებოდა და მას ბოლოში არანაირი ათეულობით დაკარგული ფურცელი არ აკლია: პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, H-375 ხელნაწერის I ნაწილიდან, დაზიანების გამო, ზუსტად იმ რაოდენობის ფურცლები დაკარგულიყო, რომ მისი დაკარგვას გადარჩენილი ბოლო ფურცლის ადგილას მაინცადამაინც 217rv აღმოჩენილიყო, რომელიც, ხელნაწერის I ნაწილის ასეულობით ფურცელს შორის, ერთადერთი ნახევრად-

დაუნერილი ფურცელია და რომელიც, ამ ნიშნით, ორგანულ მსგავსებას ამ-
ულავნებს შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ბოლო ფურცლებთ-
ან, რომელთა სხვადასხვა ზომის ფრაგმენტებიც, აგრეთვე, დაუნერლად არის
დატოვებული.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ დაშვებული სამი
შესაძლო ვარიანტიდან უპირატესობას ბოლო, მესამე ვარიანტს ვაძლევ და
გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის
ძველ ფენაში გამოყოფილი I და II ნაწილები თავდაპირველად დამოუკიდებელ
ხელნაწერ წიგნებს წარმოადგენდა, რომლებიც XV საუკუნეში ორი სხვადასხვა
გადამწერის მიერ იყო გადანერილი (ამ გადამწერების შესახებ ვრცლად ქვემოთ
მექნება საუბარი). აქედან, პირველი ხელნაწერი წიგნი ანუ H-375 ხელნაწერის I
ნაწილი მარხვანს წარმოადგენდა, ბიზანტიურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიღებ-
ული მარხვანის ორი ტიპიდან II ტიპს მიეკუთვნებოდა და ამ ტიპის შესაბამისად,
მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხ-
ვის მეექვსე შვიდეულის პარასკევის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა,
ხოლო მეორე ხელნაწერი წიგნი ანუ H-375 ხელნაწერის II ნაწილი ზატიკს წარ-
მოადგენდა, ბიზანტიურ ლიტურგიკულ პრაქტიკაში მიღებული ზატიკის ორი
ტიპიდან II ტიპს მიეკუთვნებოდა და ამ ტიპის შესაბამისად, დიდმარხვის მეექვსე
შვიდეულის პარასკევის მწუხრის საგალობლებით იწყებოდა და მარტვილიის
მომდევნო შვიდეულის კვირა დღის საგალობლებით მთავრდებოდა. H-375 ხელ-
ნაწერის შედგენილობაში გამოვლენილი მარხვანი და ზატიკი ერთმანეთისაგან
განსხვავებული სახის დედნებიდან იყო გადანერილი: მარხვანი – ისეთი დედნი-
დან, რომელში შეტანილ საგალობლებსაც ფურცლის არშიებზე შესრულებული
განმარტებები და კომენტარები საერთოდ არ ახლდა, ხოლო ზატიკი – ისეთი
დედნიდან, რომელში წარმოდგენილი საგალობლებლებიც ფურცლის არშიებზე
შესრულებული მრავალრიცხოვანი განმარტებებითა და კომენტარებით იყო აღ-
ჭურვილი. მარხვანის ტექსტი მისი ბოლო ფურცლის ანუ H-375 ხელნაწერის ამ-
ჟამინდელი შედგენილობის 217r-ს XXIII სტრიქონზე მთავრდებოდა, იმავე 217rv-ს
დანარჩენი ოცდაცამეტი სტრიქონი კი, შუა საუკუნეების სხვა ქართული ხელ-
ნაწერი წიგნების ბოლო ფურცლების მსგავსად, დაუნერლად იყო დატოვებული.
ზატიკის ტექსტი H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 218r-ზე იწყე-
ბოდა და მისი დასაწყისი, შუა საუკუნეების სხვა ქართული ხელნაწერი წიგნების
დასაწყისის მსგავსად, ფურცლის მთელს სიგანეზე შესრულებული ფერადოვანი
დეკორატიული თავსამკაულით იყო გამშვენებული. მარხვანსა და ზატიკს თა-
ვისი დამოუკიდებელი, მათი გადამწერების ხელით შესრულებული, ერთმანეთის
პარალელური რვეულებრივი სათვალავი ჰქონდა: მარხვანის ფურცლების პაგ-
ინირება ა (1) რვეულით იწყებოდა და ლბ (31) რვეულით მთავრდებოდა, ხოლო
ზატიკის ფურცლების პაგინირება ა (1) რვეულით იწყებოდა და ქვემოდან ზე-
მოთ აღმავალი პრინციპით გრძელდებოდა. დღეისათვის ზატიკის ფურცლების
პაგინირება, მისი ნაკლებობის გამო, იბ (11) რვეულის ორი ფურცელზე წყდება.

მოგვიანებით ზატიკს, რომელიც ზატიკის II ტიპს მიეკუთვნებოდა, მიზანმიმართულად მოხსნეს პირველი ოთხმოცდაორი ფურცელი, რომლებიც დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის, შაბათ-კვირა დღეების, მეშვიდე შვიდეულის ორშაბათ-პარასკევი დღეებისა და შაბათი დღის ცისკრის საგალობლებს შეიცავდა, ეს ოთხმოცდაორი ფურცელი მარხვანის ასეულობით ფურცელს ბოლოში მიაკინძეს და შედეგად, შექმნეს ახალი ხელნაწერი ნიგნი, რომელიც, მართალია, ამ, ახლადშექმნილი ნიგნის ძირითადი ნაწილის მსგავსად, კვლავინდებურად მარხვანს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ის უკვე არა მარხვანის II, არამედ I ტიპს მიეკუთვნებოდა და შესაბამისად, სულ სხვაგვარი შედგენილობა ჰქონდა: მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკის საგალობლებით იწყებოდა და დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის შაბათის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა.

3) H-375 ხელნაწერის შედგენილობაში გამოვლენილი III და IV ნაწილების რაობა და ურთიერთმიმართება

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ H-375 ხელნაწერის მოგვიანო ფენას მის შედგენილობაში გამოვლენილი, XVIII საუკუნის ორი განსხვავებული ხელით დაწერილი III და IV ნაწილები მიეკუთვნება. ქვემოთ მოკლედ განვიხილავ ამ ორი ნაწილის რაობასა და ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

H-375 ხელნაწერის III ნაწილი, რომელიც ოცდათორმეტი ფურცლისაგან შედგება, სახარებიდან და სამოციქულოდან გამოკრებილ დიდმარხვის საკითხავებს შეიცავს (300rv-331rv). ამ ტექსტის შედგენილობაში მეზვერისა და ფარისეველის შვიდეულისა და უძღების შვიდეულის კვირა დღეების, ხორციელის, ყველიერის, დიდმარხვის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე შვიდეულების შაბათ-კვირა დღეებისა და დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის ორშაბათ-პარასკევი დღეების საკითხავებია წარმოდგენილი.

H-375 ხელნაწერის IV ნაწილში ძველი ალთქმიდან, სანიხასწარმეტყველოდან და სამოციქულოდან გამოკრებილი დიდმარხვის საკითხავებია შეტანილი (332rv-400rv). ამ ბოლონაკლულ ტექსტში, რომელიც ამჟამად სამოცდაცხრა ფურცელს შეიცავს, ყველიერის ოთხშაბათი და პარასკევი დღეების, დიდმარხვის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე შვიდეულების ორშაბათი-პარასკევი დღეების საკითხავებია წარმოდგენილი.

H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილებს მათი გადამწერების ხელით შესრულებული პაგინაცია არ ახლავს: როგორც ჩანს, ამ ნაწილების რვეულებრივი ან ფურცლობრივი სათვალავის აღმნიშვნელი გრაფემები ფურცლების არშიების შემოჭრის შედეგად არის დაკარგული. აღნიშნული ხარვეზის მიუხედავად, მაინც სრულებით ცხადია, რომ H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილები თავდაპირველად ორი სხვადასხვა ხელნაწერი ნიგნის ფრაგმენტებს წარმოადგენდა. ამგვარი დასკვნისაკენ ორი გარემოება მიბიძგებს: 1. ამ ნაწილებს დამოუკიდებელი ხელ-

ნაწერი წიგნებისათვის არასახასიათო შედგენილობა და უჩვეულოდ მცირე მოცულობა აქვს; და 2. ისინი ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხელით არის დაწერილი. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად, რომელი ან, დაახლოებით, როგორი შედგენილობის მქონე ხელნაწერი წიგნების ფრაგმენტებს წარმოადგენდა H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილები, ამის შესახებ, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, არაფრის თქმა არ შემიძლია. სამაგიეროდ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ეს ხელნაწერი წიგნი, III და IV ნაწილების პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, XVIII საუკუნეში იყო გადაწერილი.

მაშასადამე, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილების რაობის შესახებ მხოლოდ იმის გარკვევა ხერხდება, რომ III ნაწილი სახარებიდან და სამოციქულოდან, ხოლო IV ნაწილი ძველი ალექსიდან, სანინასწარმეტყველოდან და სამოციქულოდან გამოკრებილ დიდმარხვის საკითხავებს წარმოადგენს. გარდა ამისა, ირკვევა ისიც, რომ ეს ნაწილები XVIII საუკუნეში გადაწერილი, ჯერჯერობით დაუდგენელი შედგენილობის მქონე ხელნაწერი წიგნებიდან არის ამოღებული.

H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილების ურთიერთმიმართებაზე დაკვირვებისას ერთი საინტერესო გარემოება იპყრობს ყურადღებას: მართალია, ორივე ეს ნაწილი დიდმარხვის საკითხავებს წარმოადგენს, მაგრამ ისინი კი არ ფარავს და იმეორებს ერთმანეთს, არამედ ავსებს და განასრულებს ერთიმეორეს. ეს საინტერესო მოვლენა, თავის მხრივ, ორი მიზეზით არის განპირობებული: 1. III ნაწილში, ძირითადად, დიდმარხვის შვიდეულების შაბათ-კვირა დღეების, ხოლო IV ნაწილში, ძირითადად, დიდმარხვის შვიდეულების ორშაბათ-პარასკევი დღეების საკითხავებია შეტანილი; და 2. III ნაწილში, ძირითადად, სახარებიდან და სამოციქულოდან, ხოლო IV ნაწილში, ძირითადად, ძველი ალექსიდან და სანინასწარმეტყველოდან გამოკრებილი საკითხავებია წარმოდგენილი.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილების ურთიერთმიმართების შესახებ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას შემდეგი: ეს ნაწილები არათუ რაიმე წინააღმდეგობაში არ მოდის ერთმანეთთან, არამედ სრულად ავსებს ერთიმეორეს. უფრო მეტიც, XVIII საუკუნის ორი სხვადასხვა ხელნაწერი წიგნიდან ამოღებული ამ ორი ნაწილის ერთი ხელნაწერი წიგნის ანუ H-375 ხელნაწერის ფარგლებში გაერთიანების შედეგად, სახეზე ვიღებთ დიდმარხვის საკითხავების თითქმის სრულ კრებულს, რომელშიც დიდმარხვის ყოველი დღისათვის განკუთვნილი, პრაქტიკულად, ყველა ტიპის საკითხავია წარმოდგენილი.

4) H-375 ხელნაწერის შედგენის დრო და მიზეზები

მას შემდეგ, რაც მეტნაკლებად ზუსტად გავარკვევით H-375 ხელნაწერის, ერთი მხრივ, I და II, ხოლო, მეორე მხრივ, III და IV ნაწილების ქრონოლოგიასთან, რაობასა და ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული საკითხები, ამ ხელნაწერის შედგენის დროისა და მიზეზების გარკვევა საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს. დავიწყებ H-375 ხელნაწერის შექმნის მიზეზებით.

H-375 ხელნაწერის შედგენილობაზე დაკვირვებისას სამი ძირითადი გარემოება იპყრობს ყურადღებას: 1. H-375 ხელნაწერში მხოლოდ და მხოლოდ დიდმარხვისასთან დაკავშირებული ტექსტებია წარმოდგენილი: I და II ნაწილებში – დიდმარხვის საგალობლები, ხოლო III და IV ნაწილებში – დიდმარხვის საკითხავები; 2. H-375 ხელნაწერის შედგენილობაში გამოვლენილი ოთხი ნაწილი თავდაპირველად ოთხ სხვადასხვა ხელნაწერ წიგნსა თუ წიგნის ფრაგმენტს წარმოადგენდა და ისინი ერთი წიგნის ანუ H-375 ხელნაწერის ფარგლებში მოგვიანებით გააერთიანეს; და 3. ხსენებული ოთხი ხელნაწერი წიგნი თუ წიგნის ფრაგმენტი H-375 ხელნაწერში შესატანად ისეთი პრინციპით შეარჩიეს, რომ მათი ერთად აკინძვის შემდეგ ხელნაწერში დიდმარხვის საგალობლებისა და საკითხავების, პრაქტიკულად, სრულმა ტექსტმა მოიყარა თავი.

აღნიშნული სამი გარემოება, ვფიქრობ, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ H-375 ხელნაწერი სხვადასხვა დროის, წარმომავლობისა და შინაარსის მქონე ტექსტების მექანიკური, უსისტემო ერთობლიობა არ არის და საპირისპიროდ ამისა, სავსებით კონკრეტული მიზანდასახულობის მქონე კრებულია, რომლის შექმნის პროცესიც, დაახლოებით, შემდეგი სახით უნდა წარმართულიყო: H-375 ხელნაწერის შემდგენელმა, ჯერჯერობით, დაუდგენელმა პირმა, გადაწყვეტა, რომ მის ხელთ არსებული სხვადასხვა ხელნაწერი წიგნებისა თუ წიგნების ფრაგმენტების ერთად აკინძვის გზით, შეექმნა ახალი ხელნაწერი წიგნი, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ დიდმარხვის საგალობლები და საკითხავები იქნებოდა შეტანილი. ამ მიზნით, მან, პირველ რიგში, შეარჩია XV საუკუნეში გადაწერილი ორი ხელნაწერი წიგნი – მარხვანი და ზატიკი, რომელთაგან პირველი წიგნის – მარხვანის ტექსტი დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევის ცისკრის საგალობლებით მთავრდებოდა და დიდმარხვის ბოლო რვა დღენახევრის საგალობლებს არ შეიცავდა, ხოლო მეორე წიგნი – ზატიკი, პირიქით, დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევის მწუხრის საგალობლებით იწყებოდა და შესაბამისად, მის დასაწყის ფრაგმენტშიც დიდმარხვის ბოლო რვა დღენახევრის საგალობლები სრული სახით იყო წარმოდგენილი. H-375 ხელნაწერის შემდგენელმა ზატიკს დიდმარხვის ბოლო რვა დღენახევრის საგალობლების შემცველი პირველი ოთხმოცდაორი ფურცელი მოხსნა, ეს ოთხმოცდაორი ფურცელი მარხვანს ბოლოში მიაკინძა და შედეგად, მიიღო სრულებით ახალი შედგენილობის მქონე მარხვანი, რომელიც დიდმარხვის უკლებლივ ყველა დღის საგალობლებს შეიცავდა. ამის შემდეგ H-375 ხელნაწერის შემდგენელმა XVIII

საუკუნეში გადანერილ ორ, ჯერჯერობით, დაუდგენელ ხელნაწერ წიგნს მიაპყრო ყურადღება და ამ წიგნებიდან ამოიღო ორი ფრაგმენტი, რომლებიც დიდმარხვის საკითხავებს შეიცავდა. მართალია, ეს ორი ფრაგმენტი, მარხვანისა და ზატიკის დასაწყისისაგან განსხვავებით, უშუალოდ არ მისდევდა და აგრძელებდა ერთმანეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი ტექსტები თითქმის მთლიანად ავსებდა და განასრულებდა ერთიმეორეს: პირველ ფრაგმენტში, ძირითადად, დიდმარხვის შვიდეულების შაბათ-კვირა დღეებში წასაკითხი, სახარებიდან და სამოციქულოდან გამოკრებილი, ხოლო მეორე ფრაგმენტში, ძირითადად, დიდმარხვის შვიდეულების ორშაბათ-პარასკევ დღეებში წასაკითხი, ძველი აღთქმიდან და სანინასწარმეტყველოდან გამოკრებილი საკითხავები იყო წარმოდგენილი. H-375 ხელნაწერის შემდგენელმა ეს ორი, XVIII საუკუნის ხელით დანერილი ფრაგმენტი XV საუკუნის ხელით დანერილ და უკვე გაერთიანებულ მარხვანსა და ზატიკის დასაწყის ფრაგმენტს ბოლოში მიაკინძა და საბოლოოდ, ამ საკმაოდ რთული, მრავალფაზიანი სამნიგნობრე ოპერაციის შედეგად, შექმნა სრულებით ახალი ხელნაწერი წიგნი, რომელშიც, მისი თავდაპირველი ჩანაფიქრის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ დიდმარხვის საგალობლები და საკითხავები იყო წარმოდგენილი.

თუ H-375 ხელნაწერის შექმნის ჩემს მიერ რეკონსტრუირებული პროცესი სწორია, მაშინ ამ მოვლენის მიახლოებითი ქრონოლოგიის განსაზღვრა არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს: მე უკვე არაერთგზის აღვნიშნე ზემოთ, რომ H-375 ხელნაწერის III და IV ნაწილები XVIII საუკუნის ხელით არის დანერილი. იმავდროულად, ცნობილია, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ხელნაწერი წიგნის შექმნის ტრადიცია, სასტამბო საქმის უდიდესი აღმავლობის კვალდაკვალ, სწრაფად დაემცრო და XX საუკუნის დასაწყისისათვის თითქმის საერთოდ მოიშალა კიდეც. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ H-375 ხელნაწერი, რომლის შედგენილობაშიც არამხოლოდ XV საუკუნის ორი ხელნაწერი წიგნი, არამედ XVIII საუკუნის ხელნაწერი წიგნებიდან ამოღებული ორი ფრაგმენტიც არის წარმოდგენილი, ამჟამინდელი სახით, იმავე XVIII საუკუნეში იყო შექმნილი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება, რომ H-375 ხელნაწერი XVIII საუკუნეში, წინასწარი ჩანაფიქრის მიხედვით არის შედგენილი: მისმა შემდგენელმა, XVIII საუკუნეში მოღვაწე ვინმე უცნობმა პირმა, გადაწყვეტა შეექმნა ისეთი ხელნაწერი წიგნი, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ დიდმარხვის საგალობლები და საკითხავები იქნებოდა წარმოდგენილი. ამ მიზნით, მან მის ხელთ არსებული ოთხი ხელნაწერი წიგნი თუ წიგნის ფრაგმენტი გამოიყენა: 1. XV საუკუნის მარხვანი (H-375ა); 2. XV საუკუნის ზატიკის დასაწყისი ფრაგმენტი (H-375ბ); 3. XVIII საუკუნის ხელნაწერი წიგნიდან ამოღებული სახარებიდან და სამოციქულოდან გამოკრებილი დიდმარხვის საკითხავები (H-375გ); და 4. ძველი აღთქმიდან, სანინასწარმეტყველოდან და სამოციქულოდან გამოკრებილი საკითხავები (H-375დ). ხსენებულმა უცნობმა პირმა დასასხ-

ელეზული ოთხი ხელნაწერი წიგნი თუ წიგნის ფრაგმენტი ერთად აკინძა და ამ გზით, მისთვის სასურველი შედგენილების მქონე ახალი ხელნაწერი წიგნი ანუ H-375 ხელნაწერი შექმნა.

ამით H-375 ხელნაწერის შედგენის დროსა და მიზეზებზე მსჯელობას საბოლოოდ ვამთავრებ და ამ ხელნაწერის შედგენილობაში გამოვლენილი I და II ნაწილების ანუ ორი დამოუკიდებელი ხელნაწერი წიგნის – მარხვანისა (H-375ა) და ზატიკის (H-375ბ) შედგენილობისა და ანდერძ-მინაწერების დეტალურ კოდიკოლოგიურ და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით ანალიზზე გადავდივარ.

II. უცნობი ტაოელი კალიბრაფის ქაროზინის მიერ გადაწერილი XV საუკუნის მარხვანი (H-375ა) და მისი ანდერძები

1) მარხვანის შედგენილობა

თავდაპირველად მარხვანი, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, დამოუკიდებელი ხელნაწერი წიგნი იყო. ეს უკანასკნელი შეიცავდა ოცდათერთმეტ რვეულს ანუ ორას ორმოცდარვა ფურცელს, რომლებიც ხელნაწერის გადამწერის მიერ შესრულებული რვეულებრივი სათვალავით იყო პაგინირებული.

მარხვანის თავდაპირველი შედგენილობის ორას ორმოცდარვა ფურცლიდან ჩვენამდე მხოლოდ ას სამოცმა ფურცელმა და ამ ფურცლებზე შესრულებული რვეულებრივი სათვალავის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემების უმეტესობამ მოაღწია. ამ, ჩვენამდე მოღწეულ ფურცლებს შორისაა: IV რვეულის ოთხი ფურცელი (22rv-25rv), V, VI, VII, VIII, IX, X, XI, XII და XIII რვეულები სრულად (26rv-97rv), XIX, XX, XXI, XXII და XXIII რვეულები სრულად (126rv-165rv), XXIV რვეულის ექვსი ფურცელი (166rv-171rv), XXV და XXVI რვეულები სრულად (172rv-187rv), XXVII რვეულის ექვსი ფურცელი (188rv-193rv), XXVIII რვეული სრულად (194rv-201rv) და XXXI რვეული სრულად (210rv-217rv). შესაბამისად, დღეისათვის მარხვანის თავდაპირველი შედგენილობის ოთხმოცდარვა ფურცელი უკვალოდაა დაკარგული. ეს, დაკარგული ფურცლებია: I, II და III რვეულები სრულად, IV რვეულის ოთხი ფურცელი, XIV, XV, XVI, XVII და XVIII რვეულები სრულად, XXIV რვეულის ორი ფურცელი, XXVII რვეულის ორი ფურცელი, XXIX და XXX რვეულები სრულად.

მარხვანის ნაკლები ოთხმოცდარვა ფურცელი, როგორც ჩანს, ხელნაწერის გადამწერიდან გარკვეული დროის შემდეგ დაიკარგა. მართალია, ამ ფურცლების დაკარგვის ზუსტი დრო და მიზეზები, შესაბამისი მასალის არქონის გამო, ჯერჯერობით, უცნობია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ფურცლების უმეტესობა XVII საუკუნეში უკვე დაკარგული იყო. ამგვარი დასკვნისაკენ შემდეგი გარემოება მიბიძგებს: მარხვანში, მისი თავდაპირველი შედგენილობის დაკარგული ფურცლების ნაცვლად, XVII საუკუნის ხელით დაწერილი ორმოცდარვა ახალი ფურცელია ჩაკინძული: დაკარგული I, II,

III რვეულებისა და IV რვეულის ოთხი ფურცლის ანუ, მთლიანობაში, ოცდარვა ფურცლის ნაცვლად – ოცდაერთი ახალი ფურცელი (1rv-21rv), ხოლო დაკარგული XIV, XV, XVI, XVII და XVIII რვეულების ანუ, მთლიანობაში, ორმოცი ფურცლის ნაცვლად – XVII საუკუნის ხელით დაწერილი ოცდაშვიდი ახალი ფურცელი (98rv-124rv).

ეს, XVII საუკუნის ხელით დაწერილი და მარხვანში ახლადჩაკინძული ფურცლები მათი დამწერის ხელით შესრულებული რვეულებრივი სათვალავით არის პაგინირებული. ამ რვეულებრივ სათვალავზე დაკვირვება აჩვენებს შემდეგს: 1. ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის დაკარგული I, II, III რვეულებისა და IV რვეულის ოთხი ფურცლის ანუ, მთლიანობაში, ოცდარვა ფურცლის ნაცვლად, მარხვანში XVII საუკუნის ხელით დაწერილი სამი რვეული და ორი ფურცელი (I, II, III რვეულები და IV რვეულის ორი ფურცელი) ანუ ოცდაექვსი ფურცელი იყო ჩაკინძული. ამ ოცდაექვსი ფურცლიდან ჩვენამდე მხოლოდ I რვეულის ხუთმა ფურცელმა (1rv-5rv), II რვეულმა (6rv-13rv), III რვეულის ექვსმა ფურცელმა (14rv-19rv) და IV რვეულის ორმა ფურცელმა (20rv-21rv) ანუ, მთლიანობაში, ოცდაერთმა ფურცელმა მოაღწია, დანარჩენი ხუთი ფურცელი კი (I რვეულის სამი ფურცელი და III რვეულის ორი ფურცელი) დაიკარგა; და 2. ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის დაკარგული XIV, XV, XVI, XVII და XVIII რვეულების ანუ, მთლიანობაში, ორმოცი ფურცლის ნაცვლად, მარხვანში XVII საუკუნის ხელით დაწერილი სამი რვეული და სამი ფურცელი (XIV, XV და XVI რვეულები და XVII რვეულის სამი ფურცელი) ანუ ოცდაშვიდი ფურცელი იყო ჩაკინძული. ამ ოცდაშვიდმა ფურცელმა ჩვენამდე სრულად მოაღწია (98rv-124rv).

მაშასადამე, ირკვევა, რომ XVII საუკუნეში მარხვანი უკვე ძალზედ დაზიანებული იყო და მას სამოცდარვა ფურცელი (I, II, III რვეულები, IV რვეულის ოთხი ფურცელი, XIV, XV, XVI, XVII და XVIII რვეულები) ანუ თავდაპირველი შედგენილობის მესამედზე მეტი აკლდა. იმავე XVII საუკუნეში ხელნაწერი საფუძვლიანად განაახლეს: ფურცლების დაკარგვის გამო დაკლებული ტექსტი ორმოცდაცამეტ ახალ ფურცელზე დაწერეს და ეს ახლადდაწერილი ფურცლები ხელნაწერის შესაბამის ადგილებზე ჩაკინძეს. ამ, XVII საუკუნის ხელით დაწერილი და მარხვანში ახლადჩაკინძული ორმოცდაცამეტი ფურცლიდან ჩვენამდე მხოლოდ ორმოცდარვა ფურცელმა მოაღწია (1rv-21rv, 98rv-124rv), დანარჩენი ხუთი ფურცელი კი დაიკარგა.

მარხვანის ამჟამინდელ შედგენილობაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ XVII საუკუნის შემდეგ ხელნაწერი კიდევ ერთხელ დაზიანდა და ის უკვე მეორედ განაახლეს. ამ, რიგით მეორე განახლების ფაქტზე შემდეგი გარემოება მიუთითებს: მარხვანის ამჟამინდელი შედგენილობის ცხრა ფურცელი XVIII საუკუნის ხელით არის დაწერილი და ხელნაწერში მარხვანის თავდაპირველი შედგენილობის დაკარგული ფურცლების ნაცვლად არის ჩაკინძული: ერთი ახალი ფურცელი (125rv) – დაკარგული XVIII რვეულის ბოლო ფურცლის, ხოლო რვა ახალი ფურცელი (202rv-209rv) – დაკარგული XXIX და XXX რვეულების ნაცვლად. აქვე აღვნიშ-

ნავ, რომ ხელნაწერის მეორე განმარტებელმა მარხვანში მცირე ტექსტოლოგიური ცვლილებაც შეიტანა: მან ხელნაწერში მისი პირველი განახლების დროს ჩაკინძული, XVII საუკუნის ხელით დაწერილი სამფურცლიანი XVII რვეულის მესამე ფურცლის (124rv) verso-ს XI სტრიქონის მარჯვენა ნახევარი და XII-XX სტრიქონები გადახაზა და XXI, დაუნერლად დატოვებული სტრიქონიდან ახალი ტექსტის წერა დაიწყო, რომელიც მის მიერ მარხვანში ჩაკინძულ მომდევნო ფურცელზე (125rv) უწყვეტად გააგრძელა და ამ ფურცლის სრულად დაწერის შემდეგ მის verso-ზე XVII რვეულის დამთავრების აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემა დასვა. აღნიშნული ტექსტოლოგიური ოპერაციის შედეგად, მარხვანის ამ ნაწილში შემდეგი სურათი მივიღეთ: ა) ხელნაწერში მისი პირველი განახლების დროს ჩაკინძული ერთ-ერთი ფურცლის (124rv) recto-ს უკლებლივ ყველა სტრიქონი, verso-ს I-X სტრიქონები და XI სტრიქონის მარცხენა ნახევარი XVII საუკუნის ხელით არის დაწერილი; ბ) იმავე ფურცლის verso-ს XI სტრიქონის მარჯვენა ნახევარი და XII-XX სტრიქონები XVII საუკუნის ხელითაა დაწერილი, თუმცა ეს ტექსტი მარხვანის მეორე განმარტებლის მიერ არის გადახაზული; და ბოლოს, გ) აღნიშნული ფურცლის verso-ს XXI-XXVIII, პირველი განმარტებლის მიერ დაუნერლად დატოვებული სტრიქონები ხელნაწერის მეორე, XVIII საუკუნის განმარტებლის ხელით არის დაწერილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ XVII საუკუნეში განახლებული მარხვანი XVIII საუკუნეში კვლავ დაზიანებული იყო და მას დამატებით, კიდევ ჩვიდმეტი ფურცელი აკლდა (ხელნაწერის თავდაპირველი შედგენილობის XVIII რვეულის ბოლო ფურცელი, XXIX და XXX რვეულები). იმავე XVIII საუკუნეში ხელნაწერი მეორედ განახლეს: ხსენებული ჩვიდმეტი ფურცლის დაკარგვის გამო დაკლებული ტექსტი ცხრა ახალ ფურცელზე დაწერეს და ეს ახლადდაწერილი ფურცლები მარხვანის შესაბამის ადგილებზე ჩაკინძეს (125rv, 202rv-209rv). გარდა ამისა, ამ, მეორე განახლების დროს ხელნაწერის ერთ-ერთ ფურცელზე (124rv), რომელიც მარხვანში მისი პირველი განახლების დროს იყო ჩაკინძული, მცირე ტექსტოლოგიური ცვლილებაც შეიტანეს: ხსენებული ფურცლის verso-ზე XVII საუკუნის ხელით დაწერილი რამდენიმე სტრიქონი გადახაზეს და მომდევნო რამდენიმე, დაუნერლად დატოვებულ სტრიქონზე ახალი ტექსტი დაწერეს.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მარხვანის ამჟამინდელ შედგენილობაში, რომელიც ორას ჩვიდმეტ ფურცელს შეიცავს (1rv-217rv), სამი სხვადასხვა ქრონოლოგიური პლასტი გამოიყოფა: 1. მარხვანის თავდაპირველი შედგენილობიდან შემორჩენილი ას სამოცი ფურცელი (22rv-97rv, 126rv-201rv, 210rv-217rv); 2. მარხვანში XVII საუკუნეში, მისი I განახლების დროს ჩაკინძული ორმოცდარვა ფურცელი (1rv-21rv, 98rv-124rv); და ბოლოს, 3. მარხვანში XVIII საუკუნეში, მისი II განახლების დროს ჩაკინძული ცხრა ფურცელი (125rv, 202rv-209rv).

2) მარხვანის ანდერძები

მარხვანს მისი გადამწერის ხელით შესრულებული ორი ანდერძი აქვს დართული. მოვიტან ამ ანდერძების ტექნიკურ აღწერილობას, მათ გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით და ტექსტების ჩემეულ ნაკითხვებს.

1. ანდერძი შესრულებულია H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 81v-ს ქვედა არშიაზე, მარხვანის Oa (11) რვეულის დასასრულის აღმნიშვნელი ასომომთავრული გრაფემების მარცხნივ, ხელნაწერის ძირითადი ტექსტის გრაფემებთან შედარებით, უფრო მცირე ზომის გრაფემებით. ერთი სტრიქონი. დაუმთავრებელი. კოლოფონის ზომა – 4,3×0,3 სმ. ნუსხური. მოშავო-მოყავისფრო მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. ანდერძი გამოცემული არ ყოფილა.

w̃o R̃o w̃o Zrĩel o w̃o u

„წ(მიდა)ო ღ(მერთ)ო, წ(მიდა)ო ძრიელო, წ(მიდა)ო უ(ფალო)“.

2. ანდერძი შესრულებულია მარხვანის საგანგებოდ შერჩეულ ადგილას – H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 181v-ს მარცხენა არშიის ზედა ნაწილში გამოსახულ ადამიანის მკლავზე, რომელსაც ტექსტის V-X სტრიქონების გასწვრივ წარმოდგენილი დიდი ზომის საზედაო ასო – ҃ (ყ) უპყრია ხელთ, თავდაყირა, ხელნაწერის ძირითადი ტექსტის გრაფემებთან შედარებით, უფრო მცირე ზომის გრაფემებით (სურ. 1 და სურ. 2). ერთი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 1,5×0,3 სმ. ნუსხური. მოშავო-მოყავისფრო მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. ანდერძი გამოცემული არ ყოფილა.

R̃o S̃e qrb̃n

„ღ(მერთ)ო, შ(ეიწყალ)ე ქ(ე)რ(ო)პ(ი)ნ“.

3) მარხვანის გადანერის დრო და ადგილი

მარხვანის ანდერძებში მისი გადანერის დროისა და ადგილის შესახებ რაიმე პირდაპირი ან ირიბი ცნობები დაცული არ არის. შესაბამისად, იმის თქმა, თუ, ზუსტად, როდის ან, კონკრეტულად, სად იყო მარხვანი გადანერილი, ჯერჯერობით, არ შემძლია. აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს მარხვანის ტექსტის პალეოგრაფიული მონაცემები და მისი მოგვიანო ხანის მინაწერები, რომლებზე დაკვირვებაც ხელნაწერის გადანერის მიახლოებითი დროისა და ადგილის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის.

დავინყებ მარხვანის გადანერის მიახლოებითი ქრონოლოგიის საკითხით. მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ მარხვანის ტექსტი, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, XV საუკუნეს მიეკუთვნება. შესაბამისად, ირკვევა, რომ მარხვანი XV საუკუნეში იყო გადანერილი. ამ მოსაზრების მართებულობას მთლიანად ადასტურებს მარხვანის ბოლო ფურცლის (217rv) verso-ზე დაწერილი მოგვიანო ხანის

ორი მინანერი, რომლებიც ტაოს ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური სახლის – კავკასიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლების: დესპინხათუნ კავკასიძისა და გიორგი კავკასიძის რძლის გულფაიქ წმედისძის მიერ არის შესრულებული. ამ ორ კოლოფონს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავ, აქ კი, წინმსწრებად, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ მინანერები XVI საუკუნის I ნახევარით თარიღდება. დესპინხათუნ კავკასიძისა და გულფაიქ წმედისძის კოლოფონების შესრულების დრო, იმავდროულად, მარხვანის გადაწერის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარსაც წარმოადგენს. შესაბამისად, საბოლოოდ დგინდება ისიც, რომ მარხვანი ნამდვილად XV საუკუნეში იყო გადაწერილი.

მარხვანის გადაწერის მიახლოებითი ადგილის შესახებ გარკვეულ მითითებას კავკასიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა XVI საუკუნის I ნახევრის ორი ზემოხსენებული კოლოფონი გვანდის. მართლაც, ის გარემოება, რომ XV საუკუნეში გადაწერილი მარხვანის ფურცლებზე მისი გადაწერიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ ანუ XVI საუკუნის I ნახევარში კავკასიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები საკუთარ კოლოფონებს ასრულებდნენ, ვფიქრობ, ირიბად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მარხვანი ტაოში, კავკასიძეთა სათავადოს ფარგლებსა თუ მის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ სამნიგნობრე ცენტრში იყო გადაწერილი.

4) მარხვანის გადამწერი

მარხვანს, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, გადამწერის ხელით დაწერილი ორი ანდერძი აქვს დართული. ამათგან, I ანდერძში ვინმე კონკრეტული პირი მოხსენიებული არ არის, II ანდერძში კი, რომელიც ხელნაწერის ერთ-ერთ საზედაო ასოსთან გამოსახულ ადამიანის მკლავზე, დეკორატიული შემკულობის უმნიშვნელო დეტალის სახით, პანანინა გრაფემებით, თავდაყირაა შესრულებული, ვინმე ქერობინი იხსენიება: „ღმერთო, შეიწყალე ქერობინ“. მართალია, მარხვანის II ანდერძში განმარტებული არ არის, თუ მის ტექსტში მოხსენიებულ ქერობინს ხელნაწერის გადაწერასთან, კონკრეტულად, რა სახის კავშირი ჰქონდა, მაგრამ, შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი ნიგნების ანდერძ-მინანერების საერთო ხასიათის გათვალისწინებით, ვფიქრობ, სრულებით აშკარაა, რომ მარხვანის ანდერძებში მოხსენიებული ეს ერთადერთი პირი ხელნაწერის გადაწერის საქმესთან დაკავშირებული ორი უმთავრესი სუბიექტიდან ერთ-ერთი – გადამწერი ან მომგებელი იყო. ჩემი დაკვირვებით, ამ ორი შესაძლო სუბიექტიდან მეორე სუბიექტი ანუ მომგებელი ამთავითვე უნდა გამოირიცხოს: ნაკლებად სარწმუნოა, რომ მარხვანის გადამწერს ნიგნის მომგებლის ანუ ხელნაწერის გადაწერისათვის საფასურის გამღებისა და მისი მფლობელის მოსახსენებელი ანდერძი ხელნაწერის ერთ-ერთი საზედაო ასოს დეკორატიული შემკულობის უმნიშვნელო დეტალის სახით, პანანინა, ძლივს შესამჩნევი გრაფემებითა და თანაც, თავდაყირაა შესრულებინა. პირიქით, ბევრად უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ,

რომ მარხვანის გადამწერის მიერ ასეთ უცნაურ ადგილას ასეთი უჩვეულო სახით შესრულებულ ანდერძში თავად გადამწერი იყო მოხსენიებული, რომელმაც ორიგინალური მხატვრული ხერხი გამოიყენა და მკითხველს საკუთარი თავი ერთ-ერთ საზედაო ასოში „ჩახატულ“-„ჩანწერილი“ ანდერძის დახმარებით გააცნო. შესაბამისად, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი დავასკვნი, რომ მარხვანის II ანდერძში მოხსენიებული ქერობინი არა მომგებელი, არამედ გადამწერი იყო.

მარხვანის ანდერძებში ქერობინის მოღვაწეობის დროისა და ადგილის შესახებ რაიმე პირდაპირი ან ირიბი ცნობა დაცული არ არის. მიუხედავად ამისა, ჩემს მიერ ხელნაწერის გადამწერის დროისა და ადგილის თაობაზე გამოთქმული მოსაზრებებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ქერობინი XV საუკუნეში მოღვაწე კალიგრაფი იყო იყო და ტაოს ერთ-ერთ სამნიგნობრე ცენტრში მოსაგრეობდა. დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ XV საუკუნის ტაოში მოღვაწე კალიგრაფი ქერობინი წერილობით წყაროებში მოხსენიებული არ არის და მისი სახელი სამეცნიერო ლიტერატურისათვის სრულებით უცნობია.

5) მარხვანის მომგებელი

მარხვანის ანდერძებში მისი მომგებლის შესახებ რაიმე პირდაპირი თუ ირიბი ცნობა დაცული არ არის. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხის შესახებ გარკვეული ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებელია. მე უკვე ორგზის აღვნიშნე ზემოთ, რომ მარხვანის ბოლო ფურცელზე დაწერილია XVI საუკუნის I ნახევრით დათარიღებული ორი კოლოფონი, რომლებიც კავკასიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლების მიერ არის შესრულებული. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ბუნებრივად იბადება კითხვა – იქნებ, მარხვანი იმთავითვე კავკასიძეთა საგვარეულოს წარმომადგენელთა დაკვეთით იყო გადამწერი? სამწუხაროდ, დასმულ კითხვაზე კატეგორიული პასუხის გაცემა, შესაბამისი მასალის არქონის გამო, ჯერჯერობით, არ შემძლია, თუმცა კი, უფრო იმ მოსაზრისაკენ ვიხრები, რომ მარხვანის მომგებელი მართლაც კავკასიძეთა ფეოდალური სახლის რომელიმე წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო.

III. მარხვანისათვის (H-375A) დართული დესპინესათუნ კავკასიისა და გულფანიძე ნამდისძის მინანერები (XVI საუკუნის I ნახ.) და მათი ცნობები ხელნაწერის კოდიკოლოგიისა და კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვანვდის. მოვიტან ამ მინანერების ტექნიკურ აღწერილობას, მათ გადმონანერებს დედნის შრიფტის დაცვით და ტექსტების ჩემეულ ნაკითხვებს.

1) მარხვანის ორი მინანერი.

მარხვანის ბოლო, 217-ე ფურცლის დაუნერლად დატოვებულ verso-ზე შესრულებულია ექვსი მინანერი, რომელთაგან ორი კოლოფონი ხელნაწერის კოდიკოლოგიისა და კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვანვდის. მოვიტან ამ მინანერების ტექნიკურ აღწერილობას, მათ გადმონანერებს დედნის შრიფტის დაცვით და ტექსტების ჩემეულ ნაკითხვებს.

I. მინანერი შესრულებულია H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 217v-ს ზედა ნახევარზე (სურ. 3 და სურ. 4). ექვსი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 16,8×5,3 სმ. მხედრული. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები: სამი ნერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმა გამოყენებული არ არის. მინანერი გამოცემული არ ყოფილა.

- 1. ძ.: ღამერთაო:.. და:.. საშინელო:.. ნამანადანო:
- 2. მთავარა:.. ანაგელაოზნო:.. და:.. ამა:.. მარახ:..
- 3. ვათა:.. მადალაო: შინაყალაეთა:.. ორასავე:.. ცხო
- 4. რაბასა:.. ფარაიად:.. ცოდვილია:.. კავკასიძე:.. დისაპი
- 5. ნახთუნა:.. და:.. საყურაელანი:.. უდაღებრაქელა
- 6. ენა:.. ამინა:..

„ქ. ღამერთაო და საშინელო ნამანადანო | მთავარანაგელაოზნო და ამა მარახ/ვათა მადალაო, შქეინაყალაეთა ორასავე ცხო/რებასა ფარაიად ცოდვილია კავკასიძე დესპინ/ნახქათუნა და საყურაელანი უდაღებრაქელა/ენა, ამინა“.

II. მინანერი შესრულებულია H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 217v-ს შუა არესა და ქვედა ნახევარზე (სურ. 5). ხუთი სტრიქონი. V სტრიქონი, ფურცლის ქვედა არშის მოხვევის გამო, თითქმის მთლიანადაა დაკარგული. კოლოფონის შემორჩენილი ნაწილის ზომა – 14,9×8,2 სმ. მხედრული. შავი ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები: ორნერტილი ან სამი ნერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. V სტრიქონის ტექსტი, რომელიც ფურცლის დაზიანების გამო დაკარგულია, კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი. მინანერი გამოცემული არ ყოფილა.

1. ქ: ლ“მართოჲ. შეინყალე. ორსავე. ცხორებასა: ფრიდა:
2. ცოდავილი: წმედიძისა ასაულიასა: ერსათვათა
3. ერისთვისა: კავაკასიძისა: ბატონისა: გორბისა
4. რძალი: გულფაქ: და: ქმარი: უღღებარძელე:
5. [---]

*„ქ. ლმ(ე)⟨ა⟩რთო, შეინყალე ორსავე ცხორებასა ფრი⟨ა⟩დ⟨ა⟩
| ცოდ⟨ა⟩ვილი, წმედიძისა ას⟨ა⟩ული⟨ასა⟩, ერ⟨ი⟩ს⟨ა⟩თვათ⟨ა⟩
ვ⟨ა⟩თ⟨ა⟩/ერისთ⟨ა⟩ვისა, კავ⟨ა⟩კასიძისა, ბატონისა გ⟨ი⟩ორგისა |
რძალი გულფა⟨ი⟩ქ და ქმარი უღღეგ⟨ა⟩რძელე, | [ამინ]“.*

როგორც ვხედავთ, ორივე ციტირებული მინაწერი სავედრებელი ხასიათისაა. აქედან, პირველი კოლოფონი დესპინხათუნ კავკასიძის, ხოლო მეორე მინაწერი წმედისძის ასულის, ერისთავთერისთავ გიორგი კავკასიძის რძლის, გულფაიქის მიერ არის დაწერილი. სამწუხაროდ, არც ერთ კოლოფონს თარიღი არ უზის. რაც შეეხება მინაწერების პალეოგრაფიულ მონაცემებს, მათზე დაყრდნობით, მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კოლოფონები XVI საუკუნეშია შესრულებული. ამ დათარიღების მართებულობას, ერთი მხრივ, ადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, კიდევ უფრო აზუსტებს გულფაიქ წმედისძის მინაწერის დეტალური ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი, რომელიც ქვემოთ მექნება წარმოდგენილი და რომლიდანაც ირკვევა, რომ გულფაიქ წმედისძის კოლოფონი მისი მამამთილის, გიორგი კავკასიძის ტაოს ერისთავად ყოფნის პერიოდში – 1535/1536-1545 წლებში იყო შესრულებული. რაც შეეხება დესპინხათუნ კავკასიძის მინაწერის ქრონოლოგიას, აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გულფაიქ წმედისძის 1535/1536-1545 წლების კოლოფონი დესპინხათუნ კავკასიძის მინაწერის შემდეგ, ამ უკანასკნელის არსებობის გათვალისწინებით არის დაწერილი. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ დესპინხათუნ კავკასიძის მინაწერი გულფაიქ წმედისძის 1535/1536-1545 წლების კოლოფონის შესრულებამდე ანუ XVI საუკუნის I მესამედში იყო დაწერილი.

2) მინაწერების ცნობები მარხვანის კოდიკოლოგიის შესახებ

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ მარხვანის ორი ციტირებული მინაწერი ხელნაწერის კოდიკოლოგიის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვანვდის. მართლაც, ამ კოლოფონებზე დაკვირვება, პირველ რიგში, იმაზე მიუთითებს, რომ მათი შესრულების დროს ანუ XVI საუკუნის I ნახევარში მარხვანი კავკასიძეთა ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოადგენდა და ამ საგვარეულოს კუთვნილ ერთ-ერთ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა: სხვა შემთხვევაში, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, რომ კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ასულსა და რძალს, შესაბამისად, დესპინხათუნ კავკასიძესა და გულფაიქ წმედისძეს, საკუთარი სავედრებელი მინაწერები მაინცადამაინც ამ ხელნაწერი წიგნის ფურცლებზე შეესრულებინათ.

გარდა ამისა, დესპინხათუნ კავკასიის სავედრებელი მინანერი მარხვანის კოდიკოლოგიის შესახებ, დამატებით, სხვა მნიშვნელოვან მითითებასაც გვანვდის. კოლოფონის დამწერი „ორსავე ცხოვრებასა შეწყალებასა“ და „საყუარელთა დღეგრძელობას“, „ღმერთის“ ანუ ყოვლადწმიდა სამების გარდა, „საშინელ წმიდა მთავარანგელოზებსა“ და „ამა მარხვათა მადლს“-აც შესთხოვს: „ქღმერთო და საშინელო წმინდანო მთავარანგელოზნო და ამა მარხვათა მადლო, შეიწყალებო ორსავე ცხოვრებასა ფრიად ცოდვილი კავკასიდე დესპინხათუნ და საყუარელნი უღღეგრძელებ, ამინ“. ვფიქრობ, სრულებით აშკარაა, რომ კოლოფონში მოხსენიებულ „ამა მარხვათა“-ში“ კონკრეტული ხელნაწერი წიგნი ანუ ჩვენთვის საინტერესო მარხვანი იგულისხმება, რომლის ერთ-ერთ ფურცელზეც სავედრებელია დაწერილი. რაც შეეხება „საშინელ წმიდა მთავარანგელოზებს“, ის, ჩემი დაკვირვებით, წმ. მიქაელ და წმ. გაბრიელ მთავარანგელოზების ერთ-ერთ კონკრეტულ ხატს უნდა გულისხმობდეს, რომელიც იმ ეკლესიისა თუ მონასტრის უმთავრეს სინმიდესა და სალოცავს წარმოადგენდა, რომელშიც დესპინხათუნ კავკასიის კოლოფონის დაწერის დროს მარხვანი ინახებოდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ დესპინხათუნ კავკასიისა და გულფაიქ წმედისძის მინანერების შესრულების დროს ანუ XVI საუკუნის I ნახევარში მარხვანი კავკასიძეთა საგვარეულოს კუთვნილ იმ კონკრეტულ ეკლესიასა თუ მონასტერში ინახებოდა, რომლის უმთავრეს სინმიდესა და სალოცავს აქ დაბრძანებული წმ. მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ხატი წარმოადგენდა.

მიღებული დასკვნის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა – ხომ არ იყო კავკასიძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილი ის ეკლესია, რომელშიც XVI საუკუნის I ნახევარში მარხვანი ინახებოდა და ტაოში, მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე მდებარე, სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ თეკალეს, იგივე კავკასიძეების ციხეში აღმართული მცირე დარბაზული ეკლესია ერთი და იგივე ტაძარი?

დასმულ კითხვაზე რაიმე საბოლოო პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, ორი კონკრეტული საკითხის გარკვევაა საჭირო: 1. სახელდობრ, რომელი წმიდანის სახელზე იყო აგებული კავკასიძეების ციხის ეკლესია; და 2. კონკრეტულად, რომელი ხატი წარმოადგენდა ამ ეკლესიის უმთავრეს სინმიდესა და სალოცავს.

აღნიშნული ორი საკითხი საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი ნაშრომში „კავკასიძეების ციხის ეკლესია და მისი სიძველეები (შემოქმედის მონასტრიდან დაკარგული ღმრთისმშობლის მიძინების ხატი; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კლარჯული მრავალთავი)“. ამ ნაშრომს სამეცნიერო საზოგადოებას უახლოეს ხანებში გავაცნობ, წინამდებარე ნაშრომში კი ხსენებული ორი საკითხის განხილვისაგან თავს შევიკავებ და წინმსწრებად, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ კავკასიძეების ციხის ეკლესია ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობისა იყო, მის უმთავრეს სინმიდესა და სალოცავს კი ღმრთისმშობლის მიძინების ხატი წარმოადგენდა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ კავკასიძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილი ის ეკლესია, რომელშიც XVI საუკუნის I ნახევარში მარხვანი ინახებოდა და კავკასიძეების ციხის ეკლესია ერთი და იგივე ტაძარი არ იყო: პირველი ეკლესიის უმთავრეს სინამდვიდე მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზთა ხატი, ხოლო მეორე ეკლესიის უპირველეს სალოცავად ღმრთისმშობლის მიძინების ხატი ითვლებოდა. შესაბამისად, ჯერჯერობით, გადაუწყვეტელი რჩება ის საკითხიც, თუ კავკასიძეთა საგვარეულოს კუთვნილ რომელ კონკრეტულ ეკლესიაში ინახებოდა ჩვენთვის საინტერესო მარხვანი XVI საუკუნის I ნახევარში.

3) მინაწერების ცნობები კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ისტორიის (XV საუკუნის შუახან. – XVI საუკუნის შუახან.) შესახებ

დესპინხათუნ კავკასიძისა და გულფაიქ წმედისძის მინაწერებს, არამხოლოდ მარხვანის კოდიკოლოგიის, არამედ კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ისტორიის შესწავლისათვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. დაგინყებ იმით, რომ კოლოფონებში კავკასიძეთა არისტოკრატიული ოჯახის სამი წევრია მოხსენიებული: 1. დესპინხათუნ კავკასიძე; 2. გულფაიქ წმედისძე; და 3. გიორგი კავკასიძე.

ამ სამი პირიდან პირველი ორი პირი – დესპინხათუნ კავკასიძე და გულფაიქ წმედისძე ჩემთვის ცნობილ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული არ არიან. მარხვანის მინაწერები აღნიშნულ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს და ამ პირთა შესახებ გარკვეულ მითითებებს გვანვდის.

დესპინხათუნი მარხვანის მინაწერში საკუთარ თავს კავკასიძედ მოიხსენიებს: „ქ. ღმერთო და საშინელო წმინდანო მთავარანგელოზნო და ამა მარხვათა მადლო, შეინყალეთ ორსავე ცხორებასა ფრიად ცოდვილი კავკასიძე დესპინხათუნ“. აღნიშნული გარემოება ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დესპინხათუნი კავკასიძეთა საგვარეულოს წევრი, უფრო ზუსტად კი, ამ ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წარმომადგენლის ასული იყო. სამწუხაროდ, დესპინხათუნ კავკასიძის მინაწერში მისი მშობლებისა და ნათესავების შესახებ რაიმე პირდაპირი თუ ირიბი ცნობები დაცული არ არის. შესაბამისად, იმის თქმა, დესპინხათუნი კავკასიძეთა საგვარეულოს, კონკრეტულად, რომელ განშტოებასა თუ ოჯახს ეკუთვნოდა, ჯერჯერობით, არ შემოიძლია. სამაგიეროდ, შემოიძლია, დაბეჯითებით ვთქვა, რომ დესპინხათუნ კავკასიძე, რომლის მინაწერიც ზემოთ XVI საუკუნის I მესამედით დავათარიდე, XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწეობდა და შესაბამისად, ამავე პერიოდში მოღვაწე კავკასიძეების ოჯახის წევრი იყო.

გულფაიქს მარხვანის მინაწერში საკუთარი თავი „წმედისძის ასულად“ და „ბატონი გიორგი კავკასიძის რძლად“ ჰყავს მოხსენიებული: „ქ. ღმერთო, შეინყალეთ ორსავე ცხორებასა ფრიად ცოდვილი, წმედისძისა ასული... კავკასიძისა, ბატონისა გიორგისა რძალი გულფაიქ“. შესაბამისად, ირკვევა, რომ გულფაიქი ტაოში მოსახლე ერთ-ერთ არისტოკრატიულ საგვარეულოს, წმედისძეთა ფეოდა-

ლურ სახლს ეკუთვნოდა, კავკასიძეთა ფეოდალურ სახლში იყო გათხოვილი და ვინმე გიორგი კავკასიძეს რძლად ანუ ვაჟის ცოლად ერგებოდა.

სამნუხაროდ, დღეისათვის წმედისძეთა ფეოდალური სახლის ისტორია, პრაქტიკულად, შეუსწავლელია და მის შესახებ სამეცნიერო საზოგადოებისათვის ძალზედ ცოტა რამ არის ცნობილი. გულფაიქ წმედისძის მინაწერი წმედისძეთა ფეოდალური სახლის შესახებ არსებულ საკმაოდ მწირ წყაროთმცოდნეობით ბაზას ახალი საინტერესო ცნობით ამდიდრებს და გვაუწყებს, რომ XVI საუკუნის I ნახევარში წმედისძეთა ფეოდალური სახლი კავკასიძეთა ფეოდალურ სახლთან ქორწინება-კეთილმოყვრობის გზით იყო დაკავშირებული.

გულფაიქ წმედისძის მინაწერში მისი მშობლებისა და მოგვარე-ნათესავების, აგრეთვე, თანამეცხედრის ვინაობა მითითებული არ არის. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს მინაწერში მოხსენიებული გიორგი კავკასიძის ოჯახურ წრეზე დაკვირვება: ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ გიორგი კავკასიძეს ერთადერთი ვაჟი – გედეონი ჰყავდა. შესაბამისად, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ გულფაიქ წმედისძის ქმარი, რომელიც მინაწერში სახელის გარეშეა მოხსენიებული: „ქ. ღმერთო, შეინყალე... გულფაიქ და ქმარი უდღეგრძელე“, გიორგი კავკასიძის ვაჟი, გედეონ კავკასიძე იყო.

გულფაიქ წმედისძის მინაწერში მოხსენიებული გიორგი კავკასიძის სახელი ჩემთვის ცნობილ სამ წერილობით ძეგლში დასტურდება. ეს წერილობითი ძეგლებია: 1. შემოქმედის მონასტრიდან დაკარგული ღმრთისმშობლის მიძინების მოოქროვილი ვერცხლის ხატის პირველი კუბოს შიდა მხარის ზედა ნაწილზე წარმოდგენილი ჭედური ასომთავრული უთარილო წარწერა; 2. იმავე ღმრთისმშობლის მიძინების ხატის მეორე კუბოდან მოხსენილ ვერცხლის ფირფიტაზე შესრულებული ჭედური ასომთავრული უთარილო წარწერა; და 3. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული X საუკუნის კლარჯული მრავალთავის (A-144) 52r-ს ქვედა და მარჯვენა არშიებზე მოშავო-მოყავისფრო მელნით შესრულებული მხედრული უთარილო სავედრებელი მინაწერი. მოვიტან ამ სამი წერილობითი ძეგლის ჩემეულ ნაკითხვებს, რომელთაგან პირველი ორი, დღეისათვის დაკარგული წერილობითი ძეგლის ნაკითხვა მათი ტექსტების დიმიტრი ბაქრაძისეულ გადმონაწერებზე, ხოლო ბოლო, მესამე წერილობითი ძეგლის ნაკითხვა მის დედანზეა დამყარებული.

1. ღმრთისმშობლის მიძინების ხატის პირველი კუბოს წარწერა: „წ. სჯა ხელქითჯა ღმრთისაითჯა, მე, კჯაკჯასისძემჯან გჯიორგჯი, მოვჭედე ორივე ესე კუბო მიძქინების ხჯატისჯა, ბჯარძიმი და ფეშხუმი, ძელის ჭემქარითის ბჯარძიმი და ბერედვენის და უდჯაბნოთ მთჯაკჯარმონჯა მე, რაჯათჯა გჯეიოხო დღჯესჯა გჯანკითხვისჯასჯა, მეუღლითურთ და ძე ჩვენი გედჯეონ მშვიდობით დაქიცევ და მჯამა-დედანი ჩემნი იჯანე და ულუქმქია და ბიძა ჩემი გედჯეონ და მეცხედრე მჯათი ლილიბქელჯახში“ (შდრ.: Бақрадзе 1878: 139).

2. ღმრთისმშობლის მიძინების ხატის მეორე კუბოს წარწერა: „ქ. რომელი ჯვარს ეცუი და მიიძინე წსნისათუის ჩუენისა, ადიდე მადიდებელი შენი გციორგი და მოსაქვი შენი გედეონ, მეცხედრე მათი ლელიბელახში-ყოფილი ირიწე. მე, კავკასისძემან გციორგი, ვიგულსმოდგინე მცირე ესე სქამსახური, მოვქაჭედინე ორივე თქუენი სქასვენი კუბო, თქუენით სქა ყოფელქით შევქამკვე, დავდგი ბქარძიმი, ფეშხუმი, რქათა გუცვიდე ორთქვე ცხოვრებასსა შინა, მეულლითურთ ჩემით და სქულსა მამისა ჩემისა ივანესა და დედისა ჩემისა და მქძმქით ჩემითურთ გუიოხე დღესა მას საშინელსა [განკითხვისასა] [...]“ (შდრ.: Бакрадзе 1878: 146).

3. კლარჯული მრავალთავის მინაწერი: „ქ. ღ(მერ)თო და ყოველნო მისანო წმიდანო და შობაო, ნათანა|ლისანაღებაო, ხარებაო, აღდგომაო, ამალღებაო, ფერისანაცვალღებაო, | სანაულისა წმიდისა მოსანაღვაო, უფლისა ჩუენისა იესანანსა ქრისატესაო, | შექინყალენ ორსავე შინანსა ცხოვრებასა დიასამისანძისა ასანაული | ანა და ძენი მისნი: ივანე, გედეონ და გულბად, აღდგერძელენ, მონყალეო ღ(მერ)თო და მე, ასანაული მისანაი შუენიერი, შემინყალე და მიხსანენ სატანჯველთაგან, მოსამარ|თლეო ღ(მერ)თო და ვინცა შენდობა ბანარძანოთან, | თქუენცა შეგინდანესან ღ(მერ)თანმან, ა(მე)ნ, ა(მე)ნ, ა(მე)ნ, კან(კრიელე)სანქონ. უფალო ღ(მერ)თო ჩემო, შემინყალეან მანარედ ცოდვილი მნერელი შუენიერი და ჩემი ღონე მამა მიცხოვნე. ქან(რი)სან(ტ)ე, შე(ი)წყალე კანკასანისანძე გი(ორ)გი, ა(მე)ნ“ (ხეც, A-144: 52r. შდრ.: A ფონდის აღწერილობა 1976: 197).

როგორც ვხედავთ, ციტირებულ წერილობით ძეგლებსა და გულფაიქ წმინდისძის ზემოთ განხილულ მინაწერში კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი განშტოების – გიორგი კავკასიძის ოჯახის ოთხი თაობის თერთმეტი წარმომადგენელია მოხსენიებული. ამასთან, ეს წერილობითი ძეგლები ამ თერთმეტი პირის შესახებ, გენეალოგიური თვალსაზრისით, იმდენად ზუსტ ცნობებს გვანვდის, რომ მათი ნათესაური ურთიერთმიმართების გარკვევა საკმაოდ იოლ ამოცანას წარმოადგენს.

ციტირებული წერილობითი ძეგლების მიხედვით, გიორგი კავკასიძის ფეოდალური ოჯახის I თაობას გიორგის პაპა (მამის მამა) და მისი თანამეცხედრე, ანა დიასამიძე ეკუთვნოდნენ. მართალია, გიორგი კავკასიძის პაპის სახელი ზემოთ მოტანილ ოთხ წერილობით ძეგლში მოხსენიებული არ არის, მაგრამ ამ ხარვეზს მთლიანად ავსებს ზემოთ უკვე ნახსენები კლარჯული მრავალთავის 166r-ზე შესრულებული მინაწერი, რომელიც, ამ უძვირფასესი ხელნაწერი წიგნის სხვა კოლოფონებთან ერთად, ზემოთ ნახსენებ ნაშრომში „კავკასიძეების ციხის ეკლესია და მისი სიძველეები (შემოქმედის მონასტრიდან დაკარგული ღმრთისმშობლის მიძინების ხატი; ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული კლარჯული მრავალთავი)“ დეტალურად მაქვს შესწავლილი. ამ ნაშრომს სამეცნიერო საზოგადოებას, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, უახლოეს ხანებში

გავაცნობ, აქ კი, წინმსწრებად, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ გულფაიქ წმედისძის კოლოფონში მოხსენიებული გიორგი კავკასიძის პაპას სახელად, აგრეთვე, გიორგი ერქვა და იგი ივანე კავკასიძისა და რუსა ბოცოსძის ერთ-ერთი ვაჟი იყო. გულფაიქ წმედისძის კოლოფონში მოხსენიებული ჩვენთვის საინტერესო უმცროსი გიორგი კავკასიძის ოჯახის II თაობას უფროსი გიორგი კავკასიძისა და ანა დიასამიძის სამი ვაჟი და ერთი ქალი: ივანე, გედეონი, გულბადი და შუენიერი შეადგენდნენ. აქედან, ივანე კავკასიძეს ცოლად ჰყავდა ულუმპია, ხოლო გედეონ კავკასიძეს – ლელიბელახში, რომელიც მოგვიანებით ირინეს სახელით შემონაზვნდა. ულუმპიასა და ლელიბელახშის საგვარეულო კუთვნილება, ჯერჯერობით, დაუდგენელია. უმცროსი გიორგი კავკასიძის ოჯახის III თაობას ივანე კავკასიძისა და ულუმპიას ორი შვილი: თავად გიორგი და კიდევ ერთი ვაჟი ეკუთვნოდნენ. ივანე კავკასიძისა და ულუმპიას მეორე ვაჟის სახელი, ჯერჯერობით, უცნობია. უმცროსი გიორგი კავკასიძეს ჰყავდა მეუღლე, რომლის სახელიც, ჯერჯერობით, აგრეთვე, უცნობია. უმცროსი გიორგი კავკასიძის ოჯახის IV თაობას გიორგისა და მისი თანამეცხედრის ერთადერთი ვაჟი – გედეონ კავკასიძე შეადგენდა. გედეონ კავკასიძეს ცოლად გულფაიქ წმედისძე ჰყავდა.

უმცროსი გიორგი კავკასიძის ფეოდალური ოჯახის ჩამოთვლილი ოთხი თაობის წარმომადგენელთა მოღვაწეობის ქრონოლოგიის შესახებ, პრაქტიკულად, პირდაპირ მითითებას გვანვდის გულფაიქ წმედისძის მინაწერი, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, გიორგი კავკასიძის ტაოს ერისთავად ყოფნის პერიოდში – 1535/1536-1545 წლებში იყო შესრულებული. ამ კოლოფონის ქრონოლოგია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ მისი შესრულების დროს უმცროსი გიორგი კავკასიძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ხოლო მის ვაჟს გედეონს გულფაიქ წმედისძე უკვე ცოლად ჰყავდა მოყვანილი, ვფიქრობ, ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ უმცროსი გიორგი კავკასიძე, დაახლოებით, 1480-1490-იან წლებში იყო დაბადებული და აქტიურ მოღვაწეობას XV საუკუნის I ნახევარში ეწეოდა.

თუ ჩემი ბოლო დასკვნა სწორია, მაშინ ჩვენთვის საინტერესო გიორგი კავკასიძის ოჯახის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი თაობის წარმომადგენელთა მოღვაწეობის მიახლოებითი ქრონოლოგია შემდეგი სახით უნდა განისაზღვროს: I თაობა (უფროსი გიორგი კავკასიძე და მისი თანამეცხედრე ანა დიასამიძე) – XV საუკუნის შუახანები და იმავე საუკუნის II ნახევარი; II თაობა (უფროსი გიორგი კავკასიძის ოთხი შვილი: ივანე, გედეონ, გულბად და შუენიერ კავკასიძეები, აგრეთვე, ივანეს მეუღლე ულუმპია და გედეონის ცოლი ლელიბელახშ-ყოფილი ირინე) – XV საუკუნის II ნახევარი და XVI საუკუნის დასაწყისი; III თაობა (ივანე კავკასიძის შვილები: უმცროსი გიორგი კავკასიძე და კიდევ ერთი ვაჟი, აგრეთვე, გიორგის უცნობი თანამეცხედრე) – XV საუკუნის ბოლო და XVI საუკუნის I ნახევარი; და IV თაობა (უმცროსი გიორგი კავკასიძის ვაჟი გედეონ კავკასიძე და მისი მეუღლე გულფაიქ წმედისძე) – XVI საუკუნის I ნახევარი და ამავე საუკუნის შუახანები.

კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი განშტოების, მარხვანის (H-372ა) მინაწერში მოხსენიებული, XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის I ნახევარში მოღვაწე გიორგი კავკასიძის ოჯახზე საუბრის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საინტერესო საკითხს. მე ზემოთ ციტირებული მქონდა სამი უთარილო წერილობითი ძეგლი, რომლებშიც გიორგი კავკასიძეა მოხსენიებული და რომლებიც მისი ფეოდალური ოჯახის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვანვდის. ეს ძეგლებია: შემოქმედის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ხატის ორი წარწერა და კლარჯული მრავალთავის მინაწერი. არც ერთ ამ წერილობით ძეგლს თარიღი უზის. გარდა ამისა, დღეისათვის, არც მათი მიახლოებითი ქრონოლოგიაა განსაზღვრული. ეს გარემოება მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს და მკვლევრებს ამ წერილობითი ძეგლებით სარგებლობის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად უზღუდავს. გიორგი კავკასიძის ოჯახის ოთხი თაობის წარმომადგენელთა მოღვაწეობის ქრონოლოგიის დადგენა საშუალებას მაძლევს, რომ ეს ხარვეზი თითქმის მთლიანად დავძლიო და დასახელებული სამი წერილობითი ძეგლის ქრონოლოგია მეტნაკლებად ზუსტად განვსაზღვრო.

დავინწყებ შემოქმედის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ხატის ორი წარწერის დათარიღებით. წარწერებზე დაკვირვებისას სამი გარემოება იპყრობს ყურადღებას: 1. ორივე წარწერა გიორგი კავკასიძის სახელით არის შედგენილი; 2. წარწერებში გიორგი კავკასიძე, გულფაიქ წმედისძის მინაწერისაგან განსხვავებით, ერისთავის წოდების გარეშე, მხოლოდ სახელითა და გვარით არის მოხსენიებული; და 3. წარწერებში გიორგი კავკასიძის ოჯახის საკმაოდ მრავალრიცხოვან წევრებს შორის დასახელებული არ არის გულფაიქ წმედისძე, რომელიც მარხვანის (H-375ა) მინაწერში გიორგი კავკასიძის რძლად არის მოხსენიებული. ჩამოთვლილი სამი გარემოება ავტომატურად მიბიძგებს იმ დასკვნისაკენ, რომ შემოქმედის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ხატის წარწერები, ერთი მხრივ, გიორგი კავკასიძის დაბადების (1480-1490-იანი წწ.) შემდგომ პერიოდში, ხოლო, მეორე მხრივ, გულფაიქ წმედისძის კოლოფონის დაწერისა და გიორგი კავკასიძის მიერ ერისთავის წოდების მიღების (1535/1536-1545 წწ.) წინარე ხანებში ანუ, დაახლოებით, XVI საუკუნის I მესამედში იყო შესრულებული.

კლარჯული მრავალთავის 52r-ზე შესრულებული მინაწერის ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის ორი ძირითადი გარემოების გათვალისწინებაა საჭირო: 1. კოლოფონი გიორგი კავკასიძის მამიდის, შუენიერ კავკასიძის მიერ არის დაწერილი; და 2. მინაწერში შუენიერის მამა, უფროსი გიორგი კავკასიძე გარდაცვლილად, ხოლო მისი ძმისწული, უმცროსი გიორგი კავკასიძე ცოცხლად არის მოხსენიებული. აღნიშნული ორი გარემოების გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შევცდები, თუკი დავასკვნი, რომ განსახილველი კოლოფონი, ერთი მხრივ, უფროსი გიორგი კავკასიძის გარდაცვალებისა (XV ს-ის II ნახ.) და უმცროსი გიორგი კავკასიძის დაბადების (1480-1490-იანი წწ.) შემდგომ პერიოდში, ხოლო,

მეორე მხრივ, შუენიერ კავკასიძის გარდაცვალების (XVI ს-ის დასაწყ.) წინარე ხანებში ანუ, დაახლოებით, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე იყო შესრულებული.

ამგვარად, ზემოთ ციტირებული იმ სამი წერილობითი ძეგლის ქრონოლოგია, რომლებშიც გიორგი კავკასიძეა მოხსენიებული, შემდეგი სახით უნდა განისაზღვროს: 1. კლარჯული მრავალთავის მინანერი – XV-XVI საუკუნეების მიჯნა; 2. შემოქმედის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ხატის I ნარწერა – XVI საუკუნის I მესამედი; და 3. იმავე შემოქმედის მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების ხატის I ნარწერა – XVI საუკუნის I მესამედი.⁵

IV. მარხვანისათვის (H-375ა) დართული გულფაიქ წმედისძის მინანერის ცნობები უცნობი ერისთავთერისთავის გიორგი კავკასიძის (1535/1536-1545 წწ.) შესახე და ტაოს საერისთავოს XVI საუკუნის I ნახევრის ისტორიის საკითხები

მარხვანისათვის დართულ გულფაიქ წმედისძის მინანერში, ისტორიულ-წყართმცოდნეობითი თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ კოლოფონში გულფაიქის მამამთილი გიორგი კავკასიძე „ერისთავთერისთავის“ ანუ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს უმაღლესი „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელის, ქვეყნის ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს მმართველის ნოდებით არის მოხსენიებული: „ქ. ღმერთო, შეინყალე... წმედიძისა ასული, ერისთავთერისთავისა, კავკასიძისა, ბატონისა გიორგისა რძალი გულფაიქ...“. გულფაიქ წმედისძის მინანერში დაცული ამ ცნობის სამეცნიერო ღირებულებას ერთიორად ზრდის ის გარემოება,

⁵ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აუცილებლად უნდა აღვნიშნო ერთი საინტერესო ფაქტი: ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული XII საუკუნის ბერთის II სახარების (Q-906) 263v-ს ქვედა არშიაზე ყავისფერი მელნით შესრულებულია უთარილო ნუსხური სავედრებელი მინანერი, რომელშიც ვინმე გიორგი კავკასიძე „სულკურთხეულად“ ანუ გარდაცვლილად არის მოხსენიებული: „ს(უ)ლსა ს(უ)ლკურთხეულისა კავკასიძ(ი)სა | გ(იორგ)ისა შ(ეუნდ)ენ(ე)ს ღ(მერთ)მან, ა(მ)ი(ნ)“ (ხეც, Q-906: 263v. შდრ.: Q ფონდის აღწერილობა 1958: 322). სამწუხაროდ, შესაბამისი მასალის არქონის გამო, ჯერჯერობით, არ შემოძლია ვთქვა, ბერთის II სახარების მინანერში, კონკრეტულად, რომელი გიორგი კავკასიძეა მოხსენიებული: XV საუკუნის შუახანება და იმავე საუკუნის II ნახევარში მოღვანე უფროსი გიორგი კავკასიძე თუ ამ უკანასკნელის შვილიშვილი, XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის I ნახევარში მოღვანე უმცროსი გიორგი კავკასიძე. სამაგიეროდ, დაბეჯითებით შემოძლია ვთქვა, რომ თუკი მინანერში უფროსი გიორგი კავკასიძეა მოხსენიებული, მაშინ ამ უთარილო კოლოფონის ქრონოლოგია, უფროსი გიორგი კავკასიძის გარდაცვალების შემდგომი ახლო პერიოდით ანუ, დაახლოებით, XV-XVI საუკუნეების მიჯნით უნდა განისაზღვროს, ხოლო თუკი მინანერში უმცროსი გიორგი კავკასიძეა მოხსენიებული, მაშინ კოლოფონი ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომი ახლო ხანებით ანუ, დაახლოებით, XVI საუკუნის შუახანებით უნდა დათარიღდეს.

რომ გიორგი კავკასიძის ერისთავობის ფაქტი ქართული ისტორიოგრაფიისათვის აქამდე სრულებით უცნობი იყო. ქვემოთ, ამ მეტად საინტერესო ფაქტთან დაკავშირებულ საკითხებს მაქსიმალური სისრულით განვიხილავ.

1) ერისთავთერისთავ გიორგი კავკასიძის საგანმგებლო საერისთავოს იდენტიფიკაცია და მისი ერისთავობის ქრონოლოგია

გულფაიქ წმედისძის კოლოფონში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ, სახელდობრ, რომელი საერისთავოს მმართველი იყო გიორგი კავკასიძე ან, კონკრეტულად, რომელ პერიოდში ფლობდა იგი ერისთავის სახელს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხების გარკვევა მაინც შესაძლებელია.

დავინწყებ იმით, რომ XV საუკუნეში გადაწერილი მარხვანისათვის დართული გულფაიქ წმედისძის მინაწერი, მისი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XVI საუკუნით თარიღდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ კოლოფონში მოხსენიებული ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე იმავე XVI საუკუნეში მოღვაწე ერისთავი იყო.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ XVI საუკუნის საქართველოში სულ ხუთი საერისთავო არსებობდა: 1. ოდიშის საერისთავო; 2. გურიის საერისთავო; 3. რაჭის საერისთავო; 4. ქსნის საერისთავო; და 5. არაგვის საერისთავო. გარდა ამისა, დღეისათვის გარკვეულია ისიც, რომ XVI საუკუნეში ოდიშის ერისთავობას დადიანები ფლობდნენ (არახამია 2003: 50-53),⁶ გურიის ერისთავობას – დადიანების გვერდითი შტოს წარმომადგენლები და კობალაძეები (არახამია 2003: 63-65; სოსელია 1973: 255),⁷ რაჭის ერისთავობას – ჩხეტისძეები (სოსელია 1973: 74, 110-111),⁸ ქსნის ერისთავობას – ქვენიფნეველები

⁶ XVI საუკუნეში ოდიშის ერისთავები იყვნენ: 1. ლიპარიტ II დადიანი (1482-1503 წწ.); 2. მამია III დადიანი (1503-1533 წწ.); და 3. ლევან I დადიანი (1533-1556 წწ.) (არახამია 2003: 50-53). იმავე XVI საუკუნეში, უფრო ზუსტად კი, 1556 წელს, ოდიშის ერისთავმა ლევან I-მა დადიანმა (1533-1556 წწ.) ერისთავის წოდებაზე უარი თქვა და თავი ოდიშის „ველმწიფედ“ ანუ მთავრად გამოაცხადა. შედეგად, ოდიშის საერისთავომ არსებობა შეწყვიტა (არახამია 2003: 14-15, 52).

⁷ XVI საუკუნეში გურიის ერისთავები იყვნენ: 1. გიორგი III გურიელი (1483-1512 წწ.), ძე ლიპარიტ I დადიანის შვილის თუ შვილიშვილის კახაბერ II გურიელისა; 2. მამია II გურიელი (1512-1533 წწ.), ძე გიორგი III გურიელისა; და 3. სეხნია კობალაძე (1534-1566 წწ.-ს ახლობან.) (არახამია 2003: 62-65; სოსელია 1973: 255).

⁸ XVI საუკუნეში რაჭის ერისთავები იყვნენ: 1. კახაბერ ჩხეტისძე (1497-1503 წწ.-ის ახლობან.); 2. აბესალომ ჩხეტისძე (1503 წ.-ის შემდგ. პერიოდი); 3. ბედან ჩხეტისძე (1534 წ.-ის წინარე ხან.); 4. შოშიტა I ჩხეტისძე (1534-1565 წწ.); და 5. ლომინ I ჩხეტისძე (1565 წლის შემდგ. პერიოდი, სოსელია 1973: 74, 110-111).

(ჟორდანია 1897: 22-26, 28),⁹ ხოლო არაგვის ერისთავობას – თექთურმანიძეები, ჭარმაულები და სიდამონისძეები (ბახტაძე 2005: 5-14) ფლობდნენ.¹⁰

როგორც ვხედავთ, დასახელებული საერისთავოების გეოგრაფიასა და მათი მმართველი ერისთავების საგვარეულო კუთვნილებაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ XVI საუკუნის საქართველოში დღეისათვის დადასტურებულ ხუთივე საერისთავოს, რომელთაგან სამი საერისთავო (ოდიშის, გურიისა და რაჭის საერისთავოები) დასავლეთ, ხოლო ორი საერისთავო (ქსნისა და არაგვის საერისთავოები) აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობდა, ერთი საერთო თავისებურება ახასიათებდა: უკლებლივ ყველა ამ საერისთავოს უეჭველად იმ არისტოკრატიული საგვარეულოების წარმომადგენლები მართავდნენ, რომლებიც ან ძველთაგანვე შესაბამის საერისთავოში ცხოვრობდნენ ან კიდევ, ამ საერისთავოში რომელიმე მეზობლად მდებარე პროვინციიდან იყვნენ გადასახლებული. კერძოდ, ოდიშის საერისთავოს განაგებდნენ დადიანები, რომლებიც ძველთაგანვე ოდიშში მკვიდრობდნენ, გურიის საერისთავოს – მეზობელი ოდიშიდან გადასული დადიანები და ძველთაგანვე გურიაში მცხოვრები კობალაძეები, რაჭის საერისთავოს – მეზობელი იმერეთიდან გადასახლებული ჩხეტიძეები, ქსნის საერისთავოს – ამ მხარეში, ყველაზე უფრო გვიან, XIII საუკუნეში დამკვიდრებული ქვენიფნეველები, ხოლო არაგვის საერისთავოს – თექთურმანიძეები, ჭარმაულები და სიდამონისძეები, რომელთაგან თექთურმანიძეები და ჭარმაულები ძველთაგანვე თერგისა და არაგვის ხეობებში ცხოვრობდნენ, ხოლო სიდამონისძეები მეზობელი ლიახვის ხეობიდან იყვნენ გადასულნი.

აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, ვფიქრობ, არ შეეცდები, თუკი დავასკვნი, რომ გულფაიქ წმედისძის მინაწერში მოხსენიებული ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე XVI საუკუნის საქართველოში დღეისათვის დადასტურებული ხუთი საერისთავოდან ვერც ერთი საერისთავოს მმართველი ვერ იქნებოდა: ეს ხუთი საერისთავო დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობდა, კავკასიძეთა საგვარეულო კი, რომელსაც ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე ეკუთვნოდა, ამ რეგიონებიდან ასეულობით კილომე-

⁹ XVI საუკუნეში ქსნის ერისთავები იყვნენ: 1. ქვენიფნეველ III ქვენიფნეველი (XV საუკუნის მიწურ. – XVI საუკუნის დასაწ.); 2. ლარგველ III ქვენიფნეველი (XVI საუკუნის I ნახ. და შუახან.); 3. ერასტი I ქვენიფნეველი (XVI საუკუნის შუახან.); 4. იესე I ქვენიფნეველი (XVI საუკუნის II ნახ.); 5. ელიზბარ ქვენიფნეველი (XVI საუკუნის II ნახ.); და 6. ქვენიფნეველ IV ქვენიფნეველი (XVI საუკუნის მიწურ. – XVII საუკუნის დასაწ., ჟორდანია 1897: 22-26, 28).

¹⁰ მიხეილ ბახტაძის აზრით, XVI საუკუნეში არაგვის ერისთავები იყვნენ: ბაინდურ თექთურმანიძე თუ ჭარმაული (1527 წლის ახლოხან.); და 2. ნუგზარ სიდამონისძე (1578-1619 წწ., ბახტაძე 2005: 5-14). განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მე განსხვავებული მოსაზრება მაქვს, თუმცა ამ მოსაზრების მოტანისაგან წინამდებარე ნაშრომში თავს შევიკავებ და მას საგანგებოდ არაგვის ძველი ერისთავებისადმი მიძღვნილ ნაშრომში წარმოვადგენ.

ტრის დაშორებით, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ტაოს პროვინციაში შემავალ ასისფორის მხარეში სახლობდა და შესაბამისად, ოდიშის, გურიის, რაჭის, ქსნისა და არაგვის საერისთავოებთან რაიმე პირდაპირი ისტორიულ-გეოგრაფიული, სამხედრო-პოლიტიკური თუ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული კავშირი არ ჰქონდა.¹¹

მამასადამე, აღნიშნულის გათვალისწინებით, ირკვევა შემდეგი:

1. გულფაიქ ნმედისძის მინაწერში მოხსენიებული ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე XVI საუკუნის საქართველოში დღეისათვის დადასტურებული ოდიშის, გურიის, რაჭის, ქსნისა და არაგვის საერისთავოების მმართველი არ იყო და იგი სულ სხვა საერისთავოს განაგებდა, რომლის XVI საუკუნეში არსებობის ფაქტიც მკვლევართათვის აქამდე უცნობი იყო.

2. ის საერისთავო, რომელსაც ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე განაგებდა, კავკასიძეთა ფეოდალური სახლის საცხოვრებელი არეალისა და XVI საუკუნის ქართული საერისთავოებისათვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული თავისებურების გათვალისწინებით, ტაოს პროვინციის ტერიტორიის მომცველი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო.

¹¹ იმ ფაქტს, რომ კავკასიძეთა საგვარეულო ნამდვილად ისტორიულ ტაო-კლარჯეთში სახლობდა, დოკუმენტურად ადასტურებს 1516 წლის ახლოხანებით დათარიღებული წერილობითი ძეგლი, ე. წ. „მცხეთის საპატრიარქოს ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს თავადნი და სოფელნი“. ეს დოკუმენტი გვაუწყებს: „ქ. ნ(მი) დისა და ცათა მოზადვისა კათოლიკე სამოციქულოსა საპატრიარქოსა [მცხეთისა] ეკლესიისა ძუელითგან საქონებელნი და სამწყსონი სამცხეს (იგულისხმება სამცხის საათაბაგო – თ. ჯ.) თავადნი და [სო]ფელნი: 1. კავკასიძე მისითა მამულითა“ (შარაშიძე 1961: 31, 33). მართალია, ციტირებულ დოკუმენტში მითითებული არ არის, ისტორიული ტაო-კლარჯეთის, კონკრეტულად, რომელ პროვინციაში ცხოვრობდა კავკასიძეთა ფეოდალური სახლი, მაგრამ ამ ხარვეზს მნიშვნელოვნად ავსებს ზემოთ უკვე არაერთგზის ნახსენებ თეკალეს, იგივე კავკასიძეების ციხეში აღმართული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე შესრულებული ხუთსტრიქონიანი ბოლონაკლული ფრესკული ქტიტორული წარწერა, რომლის ტექსტიც გვაუწყებს, რომ ამ ტაძრის „მეორედ აღმშენებელი“ კავკასიძეთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, მურვან კავკასიძე იყო: „სახელითა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისათა მე, მურვან კავკასიძემან, აღვაშენე ეკლესიაჲ ესე მე(ო)რედ განსრულებით, სალოცველად სულისა...“ (თაყაიშვილი 1960: 81). ვფიქრობ, ციტირებული ქტიტორული წარწერიდან თვალნათლივ ჩანს, რომ თეკალეს ციხის ეკლესიაცა და თავად ციხეც, ამ ციხესთან ერთად კი, მისი მიმდებარე ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა ანუ ტაოს პროვინციის ასისფორის მხარე კავკასიძეთა ფეოდალური სახლის საკუთრებას წარმოადგენდა. აქედან, უკვე ავტომატურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ კავკასიძეების საგვარეულო, ძირითადად, სწორედ ასისფორის მხარეში სახლობდა და მათი ფეოდალური მამულებიც, უპირატესად, ამ მხარეში იყო განთავსებული.

მიღებული დასკვნების შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა: კონკრეტულად, რომელი საერისთავოს არსებობაა სავარაუდებელი ტაოს პროვინციის ტერიტორიაზე XVI საუკუნეში?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მაინცადამაინც რთული ამოცანა არ არის: ერთადერთი საერისთავო, რომელიც XVI საუკუნის წინარე ახლო ხანებში, უფრო ზუსტად კი, XIV-XV საუკუნეებში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მოქმედებდა, ტაოს საერისთავო იყო (ბახტაძე 2003: 260-271, 276-280). შესაბამისად, თუკი ტაოს პროვინციის ტერიტორიაზე XVI საუკუნეში რომელიმე საერისთავოს არსებობაა სავარაუდებელი, ეს მხოლოდ ტაოს საერისთავო შეიძლება იყოს.

ამგვარად, დგინდება, რომ XVI საუკუნეში მოღვაწე ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე, რომელიც ტაოში მოსახლე კავკასიძეთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა, ტაოს პროვინციის მომცველი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის ანუ ტაოს საერისთავოს განმგებელი იყო.

თუ ჩემი ბოლო დასკვნა სწორია და ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე ნამდვილად ტაოს ერისთავი იყო, მაშინ ლოგიკურად დაისმის კიდევ ერთი კითხვა: XVI საუკუნის, კონკრეტულად, რომელ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ფლობდა გიორგი კავკასიძე ტაოს ერისთავის თანამდებობას?

დასმულ კითხვაზე მსჯელობისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ერისთავობის ინსტიტუტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამეფო ხელისუფლების შემადგენელი ორგანული ნაწილი იყო: ერისთავები მეფის მიერ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მოქმედი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულების – საერისთავოების მმართველად დადგენილი დიდმოხელეები იყვნენ, რომლებიც შესაბამის საერისთავოს მეფის სახელით მართავდნენ და ამ საერისთავოში უმაღლეს სამხედრო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და ფისკალურ ძალაუფლებას ფლობდნენ (შოშიაშვილი 1979: 192). შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ამა თუ იმ ტერიტორიაზე ერისთავის, როგორც მეფის ხელქვეითი „საქვეყნოდ გამრიგე“ დიდმოხელის ინსტიტუტი, ტრადიციულად, მხოლოდ მაშინ არსებობდა, როცა მოცემული ტერიტორია სამეფო კარის იურისდიქციის ქვეშ იყო მოქცეული.

ამ ბოლო დასკვნას ჩემი შემდგომი მსჯელობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში არგუმენტირებულად არის დადგენილი, რომ XVI საუკუნეში ისტორიული ტაო-კლარჯეთი სამცხის საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა და მასზე სამეფო ხელისუფლება XVI საუკუნის მხოლოდ ერთ კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში – 1535/1536-1545 წლებში ვრცელდებოდა, როდესაც ისტორიული ტაო-კლარჯეთი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510-1565 წწ.) მიერ იყო დაპყრობილი (რეხვიაშვილი 1992: 57-93).

შესაბამისად, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე ტაოს ერისთავის თანამდებობას უეჭველად 1535/1536-1545 წლებში

ფლობდა: XVI საუკუნის რომელიმე სხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში გიორგი კავკასიძე ერისთავის წოდებას, უბრალოდ, ვერ მიიღებდა, ვინაიდან 1535/1536-1545 წლის წინარე ხანებსა თუ მომდევნო პერიოდში ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ერისთავის ინსტიტუტი გაუქმებული იყო.

ერისთავთერისთავ გიორგი კავკასიძის ერისთავობის ქრონოლოგიის განსაზღვრას, ამ უკანასკნელის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევის გარდა, გულფაიქ წმედისძის მინაწერის ქრონოლოგიის დაზუსტებისათვისაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ განსახილველი კოლოფონი, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XVI საუკუნით თარიღდება. ახლა, ვითვალისწინებ იმ ფაქტს, რომ მინაწერში გიორგი კავკასიძე ერისთავთერისთავის წოდებით არის მოხსენიებული, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ გიორგი კავკასიძე ტაოს ერისთავის თანამდებობას 1535/1536-1545 წლებში ფლობდა და გამოთქვამ მოსაზრებას, რომ გულფაიქ წმედისძის კოლოფონი გიორგი კავკასიძის ტაოს ერისთავად ყოფნის პერიოდში ანუ იმავე 1535/1536-1545 წლებში იყო შედგენილი.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

1. მარხვანისათვის დართულ გულფაიქ წმედისძის მინაწერში მოხსენიებული ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე ტაოს ერისთავი იყო;
2. ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე ტაოს ერისთავის თანამდებობას 1535/1536-1545 წლებში ფლობდა;
3. გულფაიქ წმედისძის მინაწერი მის ტექსტში ერისთავთერისთავად მოხსენიებული გიორგი კავკასიძის ტაოს ერისთავად ყოფნის პერიოდში ანუ 1535/1536-1545 წლებში იყო შედგენილი.

2) ტაოს საერისთავოს XVI საუკუნის I ნახევრის ისტორიის საკითხები

გულფაიქ წმედისძის მინაწერს ერისთავთერისთავ გიორგი კავკასიძის ცხოვრება-მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების გარდა, ტაოს საერისთავოს XVI საუკუნის I ნახევრის ისტორიის შესწავლისათვისაც უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს.

დღეისათვის ქართველი მკვლევრების მიერ დადგენილია, რომ ტაოს საერისთავო XIII საუკუნის ბოლოს, ფანასკერტის საერისთავოს დაშლის შედეგად შეიქმნა. თავად ფანასკერტის საერისთავო, რომლის არსებობაც წერილობით წყაროებში XII საუკუნის II ნახევრიდან დასტურდება, ვრცელი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო: ის თითქმის მთელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და მის შემადგენლობაში ჭოროხის აუზში მდებარე სამი დიდი პროვინცია – ტაო, კლარჯეთი და შავშეთი შედიოდა. XII საუკუნის მიწურულიდანვე ფანასკერტის საერისთავოს შავშეთიდან გამოსული ასპანისძე-ფანასკერტელები განაგებდნენ. XIII საუკუნის მიწურულს ჯაყელ-ციხისჯვარელთა ძლე-

ვამოსილმა ფეოდალურმა სახლმა ფანასკერტის საერისთავოს უმეტესი ნაწილი მიიტაცა და კლარჯეთზე, შავშეთსა და ტაოს ზოგიერთ მხარეზე საკუთარი ძალაუფლება გაავრცელა. ფანასკერტელთა დაქვემდებარებაში მხოლოდ ტაოს ნაწილია დარჩა. შედეგად, ფანასკერტის საერისთავომ არსებობა შეწყვიტა, ტაოს იმ ნაწილში კი, რომელზეც ჯაყელ-ციხისჯვარელებმა საკუთარი იურისდიქციის გავრცელება ვერ მოახერხეს, ახალი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – ტაოს საერისთავო შეიქმნა, რომელსაც ფანასკერტელები ჩაუდგნენ სათავეში. XIV-XV საუკუნეებში ტაოს საერისთავო ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე მოქმედი ერთადერთი საერისთავო იყო და მას კვლავინდებურად ფანასკერტელები განაგებდნენ. 1460-იან წლებში ჯაყელ-ციხისჯვარელებმა, რომლებიც სამცხის ათაბაგობას ფლობდნენ და ჭოროხის აუზსა და მტკვრის ხეობის ზემო წელზე საქართველოს მეფეებისაგან დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას ცდილობდნენ, სამეფო კარის ერთგული ტაოს ერისთავი ზაზა ფანასკერტელი თანდათანობით შეავიწროვეს და ბოლოს ტაო-კლარჯეთიდან საერთოდ განდევნეს კიდეც. ზაზა ფანასკერტელი ქართლში გადასახლდა, ტაოს საერისთავო კი, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, სამუდამოდ გაუქმდა (ბერძენიშვილი 1960: 100-109; კლდიაშვილი 2002: 217-219, 221, 225, 229-230, ჩანართი; ბახტაძე 2003: 277-280).

ჩემი დაკვირვებით, გულფაიქ წმიდისძის მინაწერს ქართველ მკვლევართა მიერ რეკონსტრუირებულ და დღეისათვის საყოველთაოდ გაზიარებულ ამ საისტორიო სურათში მეტად მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს: კოლოფონი აქამდე სრულებით უცნობ ისტორიულ ფაქტს გვამცნობს, უფრო ზუსტად კი, გვაუწყებს, რომ 1460-იან წლებში სამცხის ათაბაგების მიერ გაუქმებული ტაოს საერისთავო 1535/1536-1545 წლებში აღდგა და მას ტაოს პროვინციაში მცხოვრებ კავკასიძეთა საგვარეულოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე ჩაუდგა სათავეში.

ცალკე მსჯელობის საგანია ის ისტორიული პროცესები, რომლებმაც ტაოს საერისთავოს აღდგენა განაპირობა. მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ ტაოს საერისთავოს აღდგენა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მიერ სამცხის საათაბაგოს დაპყრობასთან იყო დაკავშირებული. თავად მეფე ბაგრატ III-ის მიერ სამცხის საათაბაგოს დაპყრობის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. დღეისათვის დადგენილია, რომ 1535 წელს მეფე ბაგრატ III-ემ ჯავახეთში, მურჯახეთთან გამართულ ბრძოლაში სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III (1515-1535 წწ.) სასტიკად დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო. ათაბაგი ყვარყვარე III ტყვეობაში გარდაიცვალა, მისი მემკვიდრე, მცირეწლოვანი ქაიხოსრო, შემდგომში, ათაბაგი ქაიხოსრო III (1545-1573 წწ.) დახმარების სათხოვნელად ოსმალეთში წავიდა, მეფე ბაგრატ III კი სამცხის საათაბაგოს დაპყრობას შეუდგა. 1536 წელს ოსმალები სამცხის საათაბაგოში შეიჭრნენ, ტაოსა და კლარჯეთის პროვინციები დაიკავეს და ამ ტერიტორიაზე ოთხი ოსმალური სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – სანჯაყი შექმნეს. მეფე ბაგრატ III-ემ ოსმალებს

შეუტია და სულ მოკლე ხანში მთელს სამცხის საათაბაგოზე საკუთარი იურისდიქცია გაავრცელა. შედეგად, 1535-1536 წლებში სამცხის საათაბაგო, როგორც სახელმწიფოებრივი ერთეული, გაუქმდა და მისი ტერიტორია იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. 1543 წელს ოსმალთა ლაშქარი სამცხის საათაბაგოში შეიჭრა და ციხე-ქალაქ ოლთისს ალყა შემოარტყა. მეფე ბაგრატ III-ემ ოსმალები დიპლომატიური ხერხის დახმარებით უკან გააბრუნა, შემდეგ მოულოდნელად თავს დაესხა და ქარაღაქთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. 1545 წელს ოსმალთა ახალი ლაშქარი სამცხის საათაბაგოსაკენ დაიძრა. გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც ბასიანში, სოხოისტასთან გაიმართა, ქართველებმა დიდი მარცხი განიცადეს. მეფე ბაგრატ III დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ოსმალებმა კი სამცხის საათაბაგო დაიკავეს და სამთავრო ტახტზე ქაიხოსრო III აიყვანეს. ამგვარად, 1545 წელს სამცხის საათაბაგო იმერეთის სამეფოს შემადგენლობიდან გამოვიდა და კვლავ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა (გუჩუა 1973: 104, 106-17; რეხვიაშვილი 1976: 29-39; რეხვიაშვილი 1989: 33-40; რეხვიაშვილი 1992: 66-68).

სამწუხაროდ, დღეისათვის ცნობილი ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, პრაქტიკულად, ვერანაირ წარმოდგენას ვერ გვიქმნის იმის თაობაზე, თუ სახელდობრ, რა სახის სამხედრო, ადმინისტრაციული, სამოხელეო, საკადრო თუ ფისკალური პოლიტიკა გაატარა მეფე ბაგრატ III-ემ მის მიერ დაპყრობილი სამცხის საათაბაგოს ტერიტორიაზე 1535/1536-1545 წლებში.¹² უფრო მეტიც,

¹² ცოტა უფრო უკეთესი ვითარება გვაქვს მეფე ბაგრატ III-ის მიერ ახლად-შემოერთებულ სამცხის საათაბაგოში გატარებულ საეკლესიო პოლიტიკასთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, მეფე ბაგრატ III გეგმაზომიერად ცდილობდა, რომ ისტორიულ ტაო-კლარჯეთში მოქმედ საეპისკოპოსო კათედრებზე იმერეთის სამეფოდან გადაყვანილი მღვდელთმთავრები დაედგინა და ამ გზით, სამცხის საათაბაგოს ეკლესია იმერეთის სამეფო კარის ერთგულ მომხრედ და მოკავშირედ ექცია. მეფე ბაგრატ III-ის მიერ 1535/1536-1545 წლებში იმერეთის სამეფოდან ისტორიულ ტაო-კლარჯეთში გადაყვანილ და სამცხის საათაბაგოს სხვადასხვა საეპისკოპოსო კათედრებზე დადგენილ მღვდელთმთავართაგან დღეისათვის ორი ეპისკოპოსის სახელია ცნობილი. ესენი არიან: 1. მანყვერელი ეპისკოპოსი მანოელ ჩხეტიძე (1538 წ-ის შემდეგ), რომელიც აწყურის საეპისკოპოსო საყდრის დაკავებამდე ჯერ ხონელი (1529-1534 წწ.), შემდეგ კი ნიკორწმიდელი (1534 წ. – 1540-იანი წწ-ს I ნახ.) ეპისკოპოსი იყო (გაფრინდაშვილი 2014: 157-158, 188-191, 212. შდრ.: გურგენიძე 2013: 85-86) და რომელიც, ჩემი დაკვირვებით, მანყვერელ ეპისკოპოსად ყოფნის დროს გარდაიცვალა; და 2. იშხნელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე (დაახლ. 1535-1545 წწ.) რომელიც იშხნის საეპისკოპოსო საყდრის დაკავებამდე გენათელი ეპისკოპოსი (1529-1535/1545 წწ.) იყო და რომელიც, 1545 წლის შემდეგ უკან, იმერეთის სამეფოში დაბრუნდა და 1565-1573 წლებში ნიკორწმიდის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა (ჭლენტი 2014: 44-46; გაფრინდაშვილი 2014: 79-82, 156, 193-194, 212). მანყვერელი მანოელ ჩხეტიძისა და იშხნელი მელქისედეკ საყვარელიძის გარდა, მეფე ბაგრატ III-ის მომხრე და თანამოაზრე მღვდელთმთავარი იყო მანყვერელი ეპისკოპოსი ანტონიც,

დღეისათვის ისიც კი არ ვიცით, იმერეთის მეფემ სამცხის საათაბაგოში მანამდე არსებული სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემა უცვლელი დატოვა თუ ამ ტერიტორიაზე ახალი, ერისთავობის ინსტიტუტზე დამყარებული სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემა შემოიღო.

გულფაიქ წმედისძის მინაწერი ამ ბოლო საკითხის შესახებ უძვირფასეს ცნობებს გვანვდის. კერძოდ, კოლოფონი გვაუწყებს, რომ მეფე ბაგრატ III-ემ მისი იურისდიქციის ქვეშ მოქცეულ სამცხის საათაბაგოში ერისთავობის ინსტიტუტზე დამყარებული სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემის შემოღება სცადა და ამ მიზნით, ტაოს პროვინციის ტერიტორიაზე სამცხის ათაბაგების მიერ ჯერ კიდევ 1460-იან წლებში გაუქმებული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული – ტაოს საერისთავო აღადგინა.

მართალია, გულფაიქ წმედისძის მინაწერი ტაოს ახლად აღდგენილი საერისთავოს სტატუსისა და მისი ერისთავის უფლება-მოვალეობების შესახებ რაიმე კონკრეტულ მითითებას არ გვანვდის, მაგრამ, ვფიქრობ, სრულებით აშკარაა, რომ ტაოს საერისთავოს, რომელიც იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო, დაახლოებით ისეთივე სტატუსი ჰქონდა, როგორი იურიდიული სტატუსიც იმერეთის სამეფოს სხვა სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებს – ოდიშის, გურიისა და რაჭის საერისთავოებს გააჩნდათ, ტაოს ერისთავი კი, რომელიც იმერეთის მეფის ქვეშევრდომი „საქვეყნოდ გამრიგე“ დიდმოხელე იყო, მეტნაკლებად, იმავე უფლება-მოვალეობებით იყო აღჭურვილი, როგორი უფლება-მოვალეობებიც იმერეთის მეფის სამსახურში მდგომ სხვა „საქვეყნოდ გამრიგე“ დიდმოხელეებს – ოდიშის, გურიისა და რაჭის ერისთავებს ჰქონდათ.

მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ ტაოს საერისთავოს აღდგენა მეფე ბაგრატ III-ის მიერ სამცხის საათაბაგოს დაპყრობასა და ამ ტერიტორიაზე ერისთავობის ინსტიტუტზე დამყარებული სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემის შემოღებასთან იყო დაკავშირებული, შემიძლია, ტაოს საერისთავოს აღდგენისა და მისი საბოლოოდ გაუქმების ქრონოლოგიის შესახებაც გამოვთქვა მოსაზრება: ვფიქრობ, ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, რომ მეფე ბაგრატ III-ემ ტაოს საერისთავო მის მიერ სამცხის საათაბაგოს დაპყრობის უახლოეს ხანებში ანუ იმავე 1535-1536 წლებში აღადგინა, ხოლო ათაბაგმა ქაიხოსრო III-ემ იმერეთის მეფის

რომელიც აწყურის საეპისკოპოსო საყდარს, ჩემი დაკვირვებით, მანყვერელი მანოელ ჩხეტიძის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ფლობდა. მართალია, ჯერჯერობით, უცნობია, მეფე ბაგრატ III-ემ ეს მღვდელთმთავარიც იმერეთიდან გადაიყვანა სამცხის საათაბაგოში თუ არა, მაგრამ, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 1545 წლის შემდეგ ანტონმა აწყურის საეპისკოპოსო საყდარი დატოვა, იმერეთის სამეფოში გადავიდა და 1550-იანი წლებიდან 1567-1568 წლებამდე პერიოდში გაენათის საეპისკოპოსო კათედრა დაიკავა (გაფრინდაშვილი 2014: 82-86, 156. შდრ.: გურგენიძე 2013: 84, 86).

მიერ შექმნილი ეს სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული მეფე ბაგრატ III-ის დამარცხებისა და სამცხის საათაბაგოზე საკუთარი იურისდიქციის აღდგენიდან უმოკლეს პერიოდში ანუ იმავე 1545 წელს გააუქმა. მაშასადამე, ირკვევა, რომ 1460-იან წლებში გაუქმებული ტაოს საერისთავო 1535-1536 წლებში აღდგა, ათი წლის განმავლობაში იარსება და 1545 წელს საბოლოოდ გაუქმდა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

1. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც ტაოს საერისთავო 1460-იან წლებში სამუდამოდ გაუქმდა, მართებული არ არის. სინამდვილეში, სამცხის ერისთავების მიერ 1460-იან წლებში გაუქმებული ტაოს საერისთავო 1535-1536 წლებში აღდგა, ათი წლის განმავლობაში იარსება და 1545 წელს საბოლოოდ გაუქმდა.

2. 1535-1536 წლებში იმერეთის მეფე ბაგრატ III-ემ სამცხის საათაბაგო დაიპყრო და ამ ტერიტორიაზე ახალი, ერისთავობის ინსტიტუტზე დამყარებული სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობის სისტემა შემოღება სცადა. მან იმავე 1535-1536 წლებში ტაოს პროვინციის ტერიტორიაზე 1460-იან წლებში გაუქმებული ტაოს საერისთავო აღადგინა და მის მმართველად ერისთავთერისთავი გიორგი კავკასიძე განაწესა.

3. 1535/1536-1545 წლებში ტაოს საერისთავო იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში შემავალი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული იყო და მას, დაახლოებით, ოდიშის, გურიისა და რაჭის საერისთავოების იდენტური იურიდიული სტატუსი ჰქონდა. აღნიშნულ პერიოდში ტაოს ერისთავი იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა და იგი, დაახლოებით, ოდიშის, გურიისა და რაჭის ერისთავების მსგავსი უფლება-მოვალეობებით იყო აღჭურვილი.

4. 1545 წელს ათაბაგმა ქაიხოსრო III-ემ მეფე ბაგრატ III დაამარცხა, სამცხის საათაბაგოზე საკუთარი იურისდიქცია აღადგინა და იმერეთის მეფის მიერ შექმნილი ტაოს საერისთავო საბოლოოდ გააუქმა. რა ბედი ეწია ერისთავთერისთავ გიორგი კავკასიძეს ტაოს საერისთავოს გაუქმების შემდეგ, ეს, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ვერჯერობით, უცნობია.

V. უცნობი იხსნაელი კალიგრაფის ეფრემის მიერ უცნობი იხსნაელი ეპისკოპოსის ჯერასიმეს დაკვეთით იხსნაში გადაწერილი XV საუკუნის ზატიკი (H-375ბ) და მისი ანღერძები

1) ზატიკის შედგენილობა

ზატიკი დღეისათვის ათ რვეულსა და მეთერთმეტე რვეულის ორ ფურცელს ანუ სულ ოთხმოცდაორ ფურცელს შეიცავს, რომლებმაც ჩვენამდე, პრაქტიკულად, დაუზიანებლად მოაღწია. ფურცლები ზატიკის გადამწერის მიერ შესრულებული რვეულებრივი სათვალავით არის პაგინირებული. ამ, რვეულებრივი

სათვალავის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემები, ა (1) რვეულის დასაწყისის აღმნიშვნელი ასომთავრული გრაფემის გარდა, რომელიც, შესაბამისი ფურცლის (218rv) ზედა არშიის მოხვევის გამო, დაკარგულია, გარკვევით იკითხება. ზატიკის ტექსტში რაიმე მოგვიანო განახლება-გაცხოველების კვალი არშეინიშნება.

ზატიკის ჩვენამდე მოღწეული ოთხმოცდაორფურცლიანი ფრაგმენტის შედგენილობაში დიდმარხვის მეექვსე შვიდეულის პარასკევი დღის მწუხრის, იმავე მეექვსე შვიდეულის შაბათ-კვირა დღეებისა და მეშვიდე შვიდეულის ორშაბათ-პარასკევი დღეების, აგრეთვე, მეშვიდე შვიდეულის შაბათი დღის ცისკრის საგალობლებია წარმოდგენილი. ზატიკის მომდევნო ნაწილის შედგენილობის დეტალური დახასიათება, ამ ნაწილის დაკარგვის გამო, ცხადია, შეუძლებელია. თუმცა კი, საფიქრებელია, რომ ზატიკის ეს, დაკარგული ნაწილი, ზატიკის II ტიპის სხვა ნუსხების მსგავსად, დიდმარხვის მეშვიდე შვიდეულის შაბათი დღის მწუხრის, აღვსების (აღდგომის), აღვსებიდან პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე შვიდეულების საგალობლებს შეიცავდა. დასასრულ, აღვნიშნავ იმასაც, რომ ზატიკის დაკარგულ ნაწილში, ამ ნაწილის ტექსტის მოცულობის გათვალისწინებით, დაახლოებით, ასორმოცდაათი ფურცელი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

2) ზატიკის ანდერძები

ზატუკს მისი გადამწერის ხელით შესრულებული ხუთი ანდერძი აქვს დართული. მოვიტან ამ ანდერძების ტექნიკურ აღწერილობას, მათ გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით და ტექსტების ჩემეულ წაკითხვებს.

1. ანდერძი შესრულებულია საგანგებოდ შერჩეულ ადგილას – ზატიკის დასაწყისში, H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 218r-ს ზედა არშიაზე გამოსახული ფერადოვანი მცენარეული მოტივებით შემკული თავსართის ქვემოთ, ტექსტის I-II სტრიქონებსა და III სტრიქონის მარცხენა ნახევარზე (სურ. 6 და სურ. 7). სამი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 13,5×2,6 სმ. ნუსხური. ანდერძის პირველი გრაფემა (ო) – ასომთავრულით. ნითელი ფერის სანერ-საღებავი. განკვეთილობის ნიშნები: წერტილი ან სამი წერტილი ალაგ-ალაგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ექვსი წერტილი. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. კოლოფონის რამდენიმე ადგილი, ფურცლის ზედა არშიის მოხვევისა და სანერ-საღებავის გადასვლის გამო, ძნელად განირჩევა. ანდერძი გამოცემული არ ყოფილა.

1. Oo R`o mxebiTa wisa mSbl isa S`isaTa:
2. adide. S`nmr kx`l i. iSxnel mT`v r epsk`posi j er sime:.
3. or T`v e. S`a cx`r bTa::

„ო[(ვვალ)]ო ლ(მერთ)ო, მჭეოხებითა ნ[(მიდი)]ისა მშ[(ო)]ბლისა შე(ენ) ისათა, | ადიდე შე(ენ) მი(ერ) კ(ურთ)ხ(ეუ)ლი იშხნელ მთ(ა)ვ(ა)რეპ(ი)სკ(ო) პოსი ჯერ(ა)სიმე | ორთ(ა)ვე შ(ინ)ა ცხ(ო)რ(ე)ბ(ა)თა“.

2. ანდერძი შესრულებულია ზატიკის საგანგებოდ შერჩეულ ადგილას – H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 219v-ს მარცხენა არშიის ქვედა ნაწილში, ტექსტის XXII-XXIV სტრიქონების გასწვრივ, ფერადოვანი საღებავებით გამოსახულ ორ, ერთმანეთისაკენ მიბრუნებულ, ერთმანეთზე ცხვირებით მიბჯენილ და კუდებგადანასკვულ უცნობ ცხოველს შორის მოქცეულ არეზე, ხელნაწერის ძირითადი ტექსტის გრაფემებთან შედარებით, უფრო მცირე ზომის გრაფემებით (სურ. 8 და სურ. 9). ოთხი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 1 X 1,1 სმ. ნუსხური. მოშავო-მოყავისფრო მელანი. განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ერთგან. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ან სწორი ხაზი. ანდერძი გამოცემული არ ყოფილა.

1. codvi
2. l sa ef
3. r ems: S~n
4. s R~n-

„ცოდვი/ლსა ეფ/რემს შ(ეუ)ნ(დენე)/ს ლ(მერთმა)ნ“.

3. ანდერძი შესრულებულია H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 266v-ს ქვედა არშიაზე, აქ წარმოდგენილი ვრცელი, ხუთსტრიქონიანი განმარტებითი ხასიათის მინაწერის V სტრიქონის ბოლოს, მის მარჯვენა კიდესთან, ხელნაწერის ძირითადი ტექსტის გრაფემებთან შედარებით, უფრო მცირე ზომის გრაფემებით (სურ. 10 და სურ. 11). ერთი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 4×0,8 სმ. ასომთავრული. მოშავო-მოყავისფრო მელანი. განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. ანდერძი გამოცემული არ ყოფილა.

სტრიქონი: ორწერტილი: ორწერტილი: ორწერტილი:

„ცოდვი/ლს<e>{ა} ეფრემს შ(ეუ)ნ(დენე)ს ლ(მერთმა)ნ“.

4. ანდერძი შესრულებულია H-375 ხელნაწერის ამჟამინდელი შედგენილობის 277r-ს ქვედა არშიაზე, აქ წარმოდგენილი საკმაოდ ვრცელი, ორსტრიქონიანი განმარტებითი ხასიათის მინაწერის II სტრიქონის ბოლოს, მის მარჯვენა კიდესთან და იქვე, ქვემოთ წარმოდგენილ III სტრიქონზე, ხელნაწერის ძირითადი ტექსტის გრაფემებთან შედარებით, უფრო მცირე ზომის გრაფემებით (სურ. 12 და სურ. 13). ორი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 3,5×0,6 სმ. ნუსხური. მოშავო-მოყავისფრო მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვის შემდეგ. ტექსტის ბოლოს დასმულია ორწერტილი და ხაზი. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი. ანდერძი გამოცემული არ ყოფილა.

1. f~d cd~vil sa ef r ems
2. S~ns R~n a~n:-

„ფ(რია)დ ც(ო)დვილსა ეფრემს / შ(ეუ)ნ(დენე)ს ლ(მერთმა)ნ, ა(მე)ნ“.

სილობის ჩამოცვენის გამო, უკვალოდ არის დაკარგული. როგორც ამ წარწერიდან ირკვევა, იშხნის ეკლესიის ერთ-ერთ უპირველეს სალოცავს სწორედ კარის ღმრთისმშობლის ხატი, სავარაუდოდ, ათონის ქართველთა მონასტერში დაბრძანებული ხატის ასლი წარმოადგენდა და ამიტომაც წარწერის შემდგენელმა, იშხნელმა მთავარეპისკოპოსმა ეგნატემ, ტაძრის შემომწირველების – საქართველოს მეფის დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.), მისი დის, დედოფალ თამარის, მეფე დემეტრე I-ის ვაჟების – დავითის, შემდგომში საქართველოს მეფის დავით V-ისა (1156-1157 წწ.) და გიორგის, შემდგომში საქართველოს მეფე გიორგი III-ისათვის (1157-1184 წწ.) განწესებული სამი დაუვსებელი კანდელიდან რიგით მეორე კანდელი სწორედ კარის ღმრთისმშობლის ხატის წინ დაჰკიდა: „*პ(ირველა)დ დაჰკიდენით კ(ა)ნდელნი დლ(ი)თ და ლამ(ი)თ: ერთი მეთ[?]ა ზ(ედ)ა, მეორე – წ(მიდის)ა ღ(მრთ)ისმშ(ო)ბ(ე)ლ(ი)სა წ(ინა)შე კ(ა)რისა და მეს(ა)მე – წ(მიდის)ა ს(ვ)მ(ე)ონ(ი)ს წ(ინა)შე ს(ა)კ(ვ)რვ(ე)ლთმ(ო)ქმ(ე)დ(ი)სა*“ (სილოგავა 2006: 39).

სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, ეგნატე იშხნელის 1155 წლის წარწერის ციტირებულ ფრაგმენტს ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძემ მიაქცია ყურადღება და ამ ფრაგმენტზე დაყრდნობით, თავის 1873 წელს გამოცემულ წიგნში “*Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства*” გამოთქვა მოსაზრება, რომ იშხნის საეპისკოპოსო ტაძარი სულაც კარის ღმრთისმშობლის სახელობისა იყო (Бакрадзе 1873: 1035; შდრ.: Бакрадзе 1875: 75).

საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, არ შემიძლია, გადაჭრით ვთქვა, იშხნის მთავარი ეკლესია ნამდვილად კარის ღმრთისმშობლის სახელობისა იყო თუ არა. სამაგიეროდ, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ კარის ღმრთისმშობლის ხატი იშხნის საეპისკოპოსო ტაძრის ერთ-ერთი უპირველესი სალოცავი იყო და ჩვენთვის საინტერესო ზატიკის V ანდერძშიც სწორედ ეს ხატი იყო მოხსენიებული.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ ზატიკის გადამწერი იშხნის საეპისკოპოსო ეკლესიასა თუ ამ ტაძართან არსებულ მონასტერში მოღვაწეობდა და შესაბამისად, განსაკუთრებული სასოებაც სწორედ იშხნის ეკლესიის ერთ-ერთი უპირველესი სალოცავის – კარის ღმრთისმშობლის ხატისადმი ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ ზატიკის მომგებელიცა და გადამწერიც იშხანში მოღვაწეობდნენ, თამამად ვუბრუნდები ხელნაწერის გადწერის ადგილის საკითხს და გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ზატიკი იშხანში, ან უშუალოდ საეპისკოპოსო ეკლესიაში ან კიდევ, ამ ტაძართან არსებულ ერთ-ერთ სამონასტრო ნაგებობაში (მცირე ეკლესია, სკრიპტორიუმი, სატრაპეზო, სენაკი და სხვ.) იყო გადამწერილი.

4) ზატიკის გადამწერი

ზატიკის გადამწერის ვინაობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ხელნაწერის II, III და IV ანდერძები, რომლებშიც ვინმე ეფრემია მოხსენიებული:

II ანდერძი – „ცოდვილსა ეფრემს შეუნდვნეს ღმერთმან“;¹³ III ანდერძი – „ცოდვილსა ეფრემს შეუნდვნეს ღმერთმან“; და IV ანდერძი – „ფრიად ცოდვილსა ეფრემს შეუნდვნეს ღმერთმან, ამენ“. მართალია, ამ ანდერძებში პირდაპირ არ არის ნათქვამი, რომ ეფრემი გადამწერი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, სრულებით ცხადია, რომ ზატიკი სწორედ მის მიერ იყო გადანერილი. ამგვარი დასკვნისაკენ შემდეგი გარემოება მიბიძგებს: ხელნაწერს სულ ხუთი ანდერძი აქვს დართული. ამ ხუთ კოლოფონში ორად ორი პირია მოხსენიებული: I ანდერძში – იშხნელი მთავარეპისკოპოსი ჯერასიმე, ხოლო II, III და IV ანდერძებში – ეფრემი (V კოლოფონში ვინმე კონკრეტული პირი მოხსენიებული არ არის). ვფიქრობ, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ ამ ორი პირიდან ერთ-ერთი ზატიკის გადამწერი, ხოლო მეორე – მომგებელი იყო. ამასთან, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, რომ ჯერასიმე, რომელიც საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და პატივდებულ ეპარქიას – იშხნის საეპისკოპოსოს განაგებდა და მთავარეპისკოპოსის მაღალ საეკლესიო წოდებას ატარებდა, რაიმე საერო ან საეკლესიო ხარისხისა თუ წოდების გარეშე მოხსენიებული პირის – ვინმე ეფრემის დაკვეთით შექმნილი ზატიკის გადამწერი ყოფილიყო. პირიქით, ბევრად უფრო ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ანდერძებში რაიმე საერო ან საეკლესიო ხარისხისა თუ წოდების გარეშე მოხსენიებული ეფრემი ხელნაწერის გადამწერი, ხოლო საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უპირველესი მღვდელმთავარი, იშხნელი მთავარეპისკოპოსი ჯერასიმე ზატიკის მომგებელი იყო.

სამწუხაროდ, ჩემთვის ცნობილ წერილობით წყაროებში იშხანში მოღვაწე XV საუკუნის მწიგნობრის ეფრემის შესახებ რაიმე ცნობებს, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიე. შესაბამისად, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ეფრემი, რომელსაც აქამდე ქართული ისტორიოგრაფია საერთოდ არ იცნობდა, განაფული კალიგრაფი და საკამოდ დახელოვნებული მხატვარი იყო. ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, ეფრემის მიერ გადანერილი ზატიკი მიბიძგებს: ამ ხელნაწერის ტექსტი, განსაკუთრებით კი, მისი მცენარეული მოტივებითა თუ ნადირ-ფრინველთა გამოსახულებებით გამშვენებული ფერადოვანი თავსამკაული და საზედაო ასოები უეჭველად განაფული კალიგრაფისა და დახელოვნებული მხატვრის მიერ არის შესრულებული.

დასასრულ, აუცილებლად უნდა შევეხო ზატიკის V ანდერძს, რომელიც ეფრემის პიროვნული პორტრეტის შესახებ ერთ პატარა, მაგრამ საინტერესო შტრიხს გვთავაზობს. როგორც ამ ანდერძიდან ირკვევა, ეფრემი ხელნაწერზე მუშაობის დროს ავად გახდა. კალიგრაფმა შეუძლოდ ყოფნა ველარ დაითმინა და თავისი ავადმყოფობის ამბავი, აგრეთვე, უფლისა და კარის ღმრთისმშობ-

¹³ დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმული ის მოსაზრება, რომ იშხნის საეპისკოპოსო ტაძარი კარის ღმრთისმშობლის სახელობისა იყო, მოგვიანო ხანის ზოგიერთმა მკვლევარმა უპირობოდ გაიზიარა (ამბროსი ხელაია 2011: 75, 527).

ლის ხატისადმი მიმართული ვედრება გამოჯანმრთელების შესახებ, ხელნაწერის შესაბამის ფურცელს ანდერძის სახით დაურთო: „ვაჰმე, რა უნდომად შევიქენ. ღმერთო და კარისა ღმრთისმშობელო, განჰკურნე უძღურებაჲ ჯორცთა და სულისა ჩემისა“.

5) ზატიკის მომგებელი

ზატიკის მომგებლის ვინაობის შესახებ, პრაქტიკულად, პირდაპირ ცნობას გვანვდის მისი I ანდერძი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ხელნაწერი იშხნელი მთავარეპისკოპოსის ჯერასიმეს დაკვეთით იყო გადაწერილი: „ოვფალო ღმერთო, მეოხებითა წმიდისა მშობლისა შენისათა, ადიდე შენმიერ კურთხეული იშხნელ მთავარეპისკოპოსი ჯერსიმე ორთავე შინა ცხოვრებათა“. მართალია, ამ ანდერძში ჯერასიმე იშხნელი ზატიკის მომგებლად პირდაპირ არ არის დასახელებული, მაგრამ ზემოთ, ხელნაწერის გადამწერის ვინაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისას, უკვე გავარკვიე, რომ ზატიკის მომგებელი სწორედ მის I ანდერძში მოხსენიებული იშხნელი მთავარეპისკოპოსი ჯერასიმე იყო.

ჯერასიმე იშხნელი, ზატიკის გადამწერის ეფრემის მსგავსად, ქართული ისტორიოგრაფიისათვის სრულებით უცნობი პირია. სამწუხაროდ, ჩემთვის ცნობილ წერილობით წყაროებში, ჯერჯერობით, ვერც მის შესახებ მივაკვლიე რაიმე ცნობებს. შესაბამისად, დღეისათვის ჯერასიმე იშხნელის შესახებ მხოლოდ შემდეგის თქმა შემიძლია: 1. იგი ზატიკის გადამწერის, XV საუკუნეში მოღვაწე ეფრემის თანამედროვე იყო და თავადაც XV საუკუნეში მოღვაწეობდა; და 2. ჯერასიმე იშხნელი მნივნობრობისაკენ მიდრეკილი განათლებული მღვდელმთავარი იყო. მართალია, მის მიერ მოგებული ხელნაწერი წიგნებიდან დღეისათვის მხოლოდ ეფრემის მიერ იშხანში გადაწერილი ზატიკია ცნობილი, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ჯერასიმე იშხნელის დაკვეთით სხვა ხელნაწერი წიგნებიც უნდა ყოფილიყო გადაწერილი.

VI. ზატიკის (H-375ბ) ანდერძის ცნობები უცნობი იშხნელი მთავარეპისკოპოსის ჯერასიმეს (XV ს.) შესახებ, ურზნისის ოთხთავის (A-28) მოსახსენებლის ცნობები იშხნელი ეპისკოპოსის ბრიგოლ თაქთაქისძის (XVI ს.) შესახებ და იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი (VII-XVII სს.)

1. ზატიკის (H-375ბ) ანდერძის ცნობები უცნობი იშხნელი მთავარეპისკოპოსის ჯერასიმეს (XV ს.) შესახებ

ზატიკის მომგებლის ვინაობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა მხოლოდ ამ ხელნაწერის კოდიკოლოგიისათვის არ არის მნიშვნელოვანი და მას იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგის შევსებისათვისაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, უკანასკნელად ვალერი სილოგავამ დაადგინა. მკვლევარმა ამ რიგში, რომელიც იშხნელ ეპისკოპოსთა დღეისათვის არსებულ ყველაზე უფრო სრულ ქრონოლოგიურ რიგს წარმოადგენს, სულ თოთხმეტი მღვდელთმთავრის სახელი შეიტანა. მოვიტან ამ ქრონოლოგიურ რიგს:

1. ნერსე (630-იანი წწ.);
2. საბა//საბანი (830-840-იანი წწ.);
3. ბასილი (917-936 წწ.);
4. სტეფანე (940-960-იანი წწ.);
5. ილარიონ I (X ს-ის IV მეოთხ.);
6. ანტონ I (XI საუკუნის I მესამ.);
7. ილარიონ II მასურისძე (1033 წ-დან);
8. ეგნატი (XII საუკუნის შუახანი);
9. ანტონ II (1230-იანი წწ.);
10. აბერკი (XVI ს.);
11. მაკარი (XVII საუკუნის I ნახ.);
12. გედეონ საფრიძე, იშხნელ-მანყვერელი (1650-იანი წწ.);
13. გერმანოს (XVII საუკუნის II ნახ.);
14. ნიკოლოზი (XVII საუკუნის V მეხუთ.) (სილოგავა 2006: 45).

როგორც ვხედავთ, იშხნელ ეპისკოპოსთა ვალერი სილოგავას მიერ დადგენილ ქრონოლოგიურ რიგში ზატიკის მომგებლის, XV საუკუნეში მოღვაწე იშხნელი მთავარეპისკოპოსის ჯერასიმეს სახელი შეტანილი არ არის, რაც, ცხადია, იმით არის განპირობებული, რომ მკვლევარი ზატიკის იმ ანდერძს, რომელშიც ჯერასიმე იშხნელია მოხსენიებული, არ იცნობდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, იშხნელ ეპისკოპოსთა ვალერი სილოგავას მიერ დადგენილ ქრონოლოგიურ რიგში გარკვეული კორექტივი შევიტანე და ამ რიგის შესაბამის ადგილას, უფრო ზუსტად კი, 1230-იან წლებში მოღვაწე იშხნელი ანტონ II-ისა და XVI საუკუნეში მოღვაწე ამბა იშხნელი აბერკის სახელებს შორის, XV საუკუნეში მოღვაწე აქამდე უცნობი იშხნელი მთავარეპისკოპოსის ჯერასიმეს სახელს აღვადგინე.

2. ურბნისის ოთხთავის (A-28) მოსახსენებლის ცნობები იშხნელი ეპისკოპოსის გრიგოლ თაქთაქისძის შესახებ (XVI საუკუნის II ნახ.)

იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგზე მუშაობისას ჩემი ყურადღება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების A კოლექციის აში 28-ე ნომრით დაცულმა XI საუკუნის სახარებამ მიიპყრო, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ურბნისის ოთხთავის სახელით არის ცნობილი. ოთხთავს XIII-XVI საუკუნეებით დათარიღებული ასამდე მოსახსენებლის ტექსტი აქვს დართული. ამ კოლოფონებს შორის გვხვდება XVI საუკუნის ხელით დაწერილი

მოსახსენებელი, რომელშიც იშხნელი გრიგოლ თავთაქისძე და მისი ძმა, აშქაშ თავთაქისძე არიან მოხსენიებული. მოვიტან ამ კოლოფონის ტექნიკურ აღწერილობას, მისი ტექსტის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მოსახსენებლის ჩემეულ ნაკითხვას.

მოსახსენებელი შესრულებულია ურბნისის ოთხთავის (A-28) 59v-ს ქვედა არშიაზე (სურ. 16 და სურ. 17). ორი სტრიქონი. კოლოფონის ზომა – 4×1,8 სმ. ნუსხური. პირველი გრაფემა (ს) – ასომთავრულით. ღია მწვანე ფერის მელანი. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმად გამოყენებულია პატარა განივი კლაკნილი ხაზი.

1. ႁ sa TqTqisZesa gr igl iSxnel isa
2. da misa Zmsa aSqaSs S`s R`n

„ს(უ)ლსა თ(ა)ქთ(ა)ქისძ(ე)ისა გრიგ(ო)ლ იშხნელისა | და მის(ს)ა ძმ(ა)სა აშქაშს შ(ე)უნდენეს ღ(მ)ერთმან“.

მინაწერში მოხსენიებული ორი პირიდან განსაკუთრებით საინტერესო პირველი პირი – იშხნელი გრიგოლ თავთაქისძე ჩანს. სამწუხაროდ, მის შესახებ რაიმე დამატებით ცნობებს სხვა წერილობით ძეგლებში, ჯერჯერობით, ვერ მივაკვლიე. შესაბამისად, საკითხის შეწავლის ამ ეტაპზე, იშხნელი გრიგოლ თავთაქისძის შესახებ ჩემს განკარგულებაში მხოლოდ ხუთმა ბიოგრაფიულმა მონაცემმა მოიყარა თავი: 1. მას სახელად გრიგოლი ერქვა; 2. იგი არისტოკრატიული წოდების წარმომადგენელი იყო და თავთაქისძე//თავთაქიშვილთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნოდა; 3. გრიგოლი სასულიერო პირი იყო და იშხნელი ეპისკოპოსის მაღალ საეკლესიო წოდებას ფლობდა; 4. მას ჰყავდა ძმა – აშქაშ თავთაქისძე; და 5. გრიგოლი და აშქაში, მათი XVI საუკუნის ხელით დაწერილი მოსახსენებლის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, იმავე XVI საუკუნის მოღვაწეები იყვნენ.

ურბნისის ოთხთავის კოლოფონში მოხსენიებული გრიგოლ თავთაქისძის სახელი იშხნელ ეპისკოპოსთა ვალერი სილოგავას მიერ დადგენილ ქრონოლოგიურ რიგში შეტანილი არ არის, რაც საკმაოდ უცნაური და მოულოდნელი ფაქტია, ვინაიდან ეს კოლოფონი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი ნიგნების A კოლექციის „აღწერილობის“ 1973 წელს დაბეჭდილ I ტომში სრული სახითაა გამოქვეყნებული (A ფონდის აღწერილობა 1973: 94) და სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად არის ცნობილი.

წინამდებარე ნაშრომში ეს ხარვეზი, ცხადია, გავითვალისწინე, იშხნელ ეპისკოპოსთა ვალერი სილოგავას მიერ დადგენილ და ჩემს მიერ ახლახანს შევსებულ ქრონოლოგიურ რიგში კიდევ ერთი კორექტივი შევიტანე და ამ რიგის შესაბამის ადგილას, უფრო ზუსტად კი, XV საუკუნეში მოღვაწე იშხნელი მთავარეპისკოპოსის ჯერასიმესა და XVII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე იშხნელი მთავარეპისკოპოსის მაკარის სახელებს შორის, XVI საუკუნეში მოღვაწე ამბა-

იშხნელი ეპისკოპოსის აბერკის სახელის გვერდით, იმავე XVI საუკუნეში მოღვაწე მეორე იშხნელი ეპისკოპოსის გრიგოლ თავთაქისძის სახელი აღვადგინე.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა უკვე დასრულებული მქონდა, როცა 2014 წლის 17-21 ოქტომბერს თბილისში გამართულ III საერთაშორისო კონფერენციაზე „ტაო-კლარჯეთი“ ნიკოლოზ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება სათაურით „ძმუისის წმიდა გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებული მელქისედეკ იშხნელის იდენტიფიკაციისათვის: მელქისედეკ საყვარელიძე – უცნობი იშხნელი ეპისკოპოსი?“. მკვლევარმა მოხსენების ფარგლებში სამეცნიერო საზოგადოებას XVI საუკუნეში მოღვაწე კიდევ ერთი უცნობი იშხნელი ეპისკოპოსის მელქისედეკ საყვარელიძის სახელი გააცნო და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს უკანასკნელი იშხნის საეპისკოპოსო კათედრას 1535-1545 წლებში განაგებდა (ჟღენტი 2014: 44-46).


მაშასადამე, ირკვევა, რომ დღეისათვის ჩვენთვის XVI საუკუნეში მოღვაწე სამი იშხნელი ეპისკოპოსის ვინაობაა ცნობილი. ესენი არიან: აბერკი, გრიგოლ თავთაქისძე და მელქისედეკ საყვარელიძე. სამწუხაროდ, საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, არ შემიძლია ვთქვა, ზუსტად, რა თანამიმდევრობით განაგებდნენ ეს მღვდელთმთავრები იშხნის საეპისკოპოსო კათედრას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი სახელები იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში, პირობითად, შემდეგი თანამიმდევრობით შევიტანე: მელქისედეკ საყვარელიძე, აბერკი და გრიგოლ თავთაქისძე.

3) იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი (VII-XVII სს.)


მე უკვე აღვნიშნე ზემოთ, რომ იშხნელ ეპისკოპოსთა დღეისათვის არსებულ ყველაზე სრულ ქრონოლოგიურ რიგში, რომელიც ვალერი სილოგავას მიერ არის დადგენილი, სულ თოთხმეტი მღვდელთმთავრის სახელია შეტანილი (სილოგავა 2006: 45). წინამდებარე ნაშრომის დახმარებით, ეს ქრონოლოგიური რიგი მანამდე უცნობი ორი იშხნელი მღვდელთმთავრის – XV საუკუნის ზატიკის (H-375) მომგებლის, მთავარეპისკოპოს ჯერასიმესა და XI საუკუნის ურბნისის ოთხთავის (A-28) XVI საუკუნის მოსახსენებელში მოხსენიებული ეპისკოპოსის გრიგოლ თავთაქისძის სახელებით შევავსე. გარდა ამისა, ნიკოლოზ ჟღენტმა 2014 წელს წაკითხული მოხსენების საშუალებით, სამეცნიერო საზოგადოებას კიდევ ერთი უცნობი იშხნელი მღვდელთმთავრის – ძმუისის წმ. გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებული ეპისკოპოსის მელქისედეკ საყვარელიძის სახელი გააცნო. შედეგად, იშხნელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიურ რიგში შეტანილი მღვდელთმთავრების საერთო რაოდენობა თოთხმეტიდან ჩვიდმეტამდე გაიზარდა და ქრონოლოგიურმა რიგმაც, საბოლოოდ, შემდეგი სახე მიიღო:

1. ნერსე (630-იანი წწ.).
2. საბა//საბანი (830-840-იანი წწ.).
3. ბასილი (917-936 წწ.).
4. სტეფანე (940-960-იანი წწ.).


5. ილარიონ I (X საუკუნის IV მეოთხ.).
6. ანტონ I (XI საუკუნის I მესამ.).
7. ილარიონ II მასურისძე (1033 წ-დან).
8. ეგნატი (XII საუკუნის შუახან.).
9. ანტონ II (1230-იანი წწ.).
10. ჯერასიმე (XV ს.).
11. მელქისედეკ საყვარელიძე (1535-1545 წწ.).
12. აბერკი (XVI ს.).
13. გრიგოლ თაქთაქისძე (XVI ს.).
14. მაკარი (XVII საუკუნის I ნახ.).
15. გედეონ საფრიძე, იშხნელ-მანყვერელი (1650-იანი წწ.).
16. გერმანოსი (XVII საუკუნის II ნახ.).
17. ნიკოლოზი (XVII საუკუნის V მეხუთ.).




სურ. 1.
მარხვანის გვერდი, რომელზეც მისი II ანდერძია წარმოდგენილი
(ხეც, H-375, 181v)




სურ. 2
მარხვანის II ანდერძი
(ხეც, H-375, 181v)




სურ. 3
მარხვანის გვერდი, რომელზეც მისი I და II
მინანერებია წარმოდგენილი
(ხეც, H-375, 217v)




სურ. 4
მარხვანის I მინაწერი
(ხეც, H-375, 217v)




სურ. 5
მარხვანის II მინაწერი
(ხეც, H-375, 217v)



სურ. 6
ზატეკის გვერდი, რომელზეც მისი I ანდერძია წარმოდგენილი
(ხეც, H-375, 218r)




სურ. 7
ზატეკის I ანდერძი
(ხეც, H-375, 218r)




სურ. 8
ზატიკის გვერდი, რომელზეც მისი II ანდერძია წარმოდგენილი (ხეც, H-375, 219r)




სურ. 9
ზატიკის II ანდერძი (ხეც, H-375, 219r)




სურ. 10
ზატიკის გვერდი, რომელზეც მისი III ანდერძი
წარმოდგენილი
(ხეც, H-375, 266v)




სურ. 11. ზატიკის III ანდერძი
(ხეც, H-375, 266v)




სურ. 12
ზატიკის გვერდი, რომელზეც მისი IV ანდერ-
ძი წარმოდგენილი
(ხეც, H-375, 277r)




სურ. 13
ზატიკის IV ანდერძი
(ხეც, H-375, 277r)




სურ. 14
ზატიკის გვერდი, რომელზეც მისი V ანდერძია წარმოდგენილი
(ხეც, H-375, 297r)



სურ. 15. ზატიკის V ანდერძი
(ბეც, H-375, 297r)



სურ. 16
ურბნისის ოთხთავის გვერდი, რომელზეც იმხნელი გრიგოლ
თაქათაქისძისა და მისი ძმის აშქაშის სავედრებელია წარმოდგენილი
(ბეც, A-№28, 59v)



სურ. 17
იმხნელი გრიგოლ თაქათაქისძისა და მისი ძმის აშქაშის სავედრებელი (ბეც, A-№28, 59v)

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **A ფონდის აღწერილობა 1973:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973.
2. **A ფონდის აღწერილობა 1976:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, I, შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, თ. მგალობლიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ და ც. ჯღამაიამ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1976.
3. **ამბროსი ხელაია 2011:** ამბროსი ხელაია, მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, მწიგნობრობა ქართული, მრავალტომეული, 12, სასულიერო მწერლობა, ამბროსი ხელაია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, I, მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, ჭელიშის ვარიანტი „ქართლის მოქცევისა“, თბ., 2011.
4. **არახამია 2003:** არახამია გ., ოდიშის საერისთავოს ისტორიიდან (XI საუკუნე – XVI საუკუნის I ნახევარი), თბ., 2003.
5. **ბახტაძე 2005:** ბახტაძე მ., არაგვის ერისთავთა ქრონოლოგია (XVI-XVIII საუკუნეები), თბ., 2005.
6. **ბერძენიშვილი 1960:** ბერძენიშვილი დ., ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ ნარწერასთან დაკავშირებით), საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960.
7. **გაბიაშვილი 2011:** გაბიაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 5, ლიტურგიკა, ჰიმნოგრაფია, თბ., 2011.
8. **გაფრინდაშვილი 2014:** გაფრინდაშვილი ბ., რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა), 1529-1820 წლები, სადოქტორო ნაშრომი, შესრულებული ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014.
9. **გურგენიძე 2013:** გურგენიძე ნ., მანყვერელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, რელიგიის ისტორიის საკითხები, II, თბ., 2013.
10. **გუჩუა 1973:** გუჩუა ვ., ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI საუკუნის I ნახევარში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973.
11. **თაყაიშვილი 1960:** თაყაიშვილი ექ., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960.
12. **კლდიაშვილი 2002:** კლდიაშვილი დ., სინას სულთა მატინე. ფანასკერტელციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმიდა მინასა და სინაზე, ანამკი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2002.
13. **ჟორდანია 1897:** ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, II (1213 წლიდან 1700 წლამდე), ტფ., 1897.
14. **ჟლენტი 2014:** ჟლენტი ნ., ძმუისის წმიდა გიორგის ხატის წარწერაში მოხსენიებული მელქისედეკ იშხნელის იდენტიფიკაციისათვის: მელქისედეკ საყვარელიძე – უცნობი იშხნელი ეპისკოპოსი?, III საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მოხსენებათა თეზისები, თბ., 2014.

15. **რეხვიაშვილი** 1976: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში (პოლიტიკური ისტორია), თბ., 1976.
16. **რეხვიაშვილი** 1989: რეხვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო (1462-1810 წლები), თბ., 1989.
17. **რეხვიაშვილი** 1992: რეხვიაშვილი მ., სამცხის სამთავრო, XIII-XVI საუკუნეები, თბ., 1992.
18. **სილოგავა** 2006: სილოგავა ვ., იშხნის ეპარქია, ვ. სილოგავა, კ. შენგელია, ტაოკლარჯეთი, თბ., 2006 წ.
19. **სოსელია** 1973: სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, სათავადოები, I, თბ., 1973.
20. **Q ფონდის აღწერილობა** 1958: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექციისა, II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958.
21. **შარაშიძე** 1961: სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI საუკუნეები), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961.
22. **H ფონდის აღწერილობა** 1946: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, I, დასაბეჭდად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კასრაძის მიერ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1946.
23. **შოშიაშვილი** 1979: შოშიაშვილი ნ., ერისთავი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 4, ეგვესი-თუთა, თბ., 1979.
24. **ხევსურიანი** 2008: ხევსურიანი ლ., ზატიკის ორი ძველი ქართული რედაქცია, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, I, თბ., 2008.
25. **Бакрадзе** 1873: [Бакрадзе Дм.], Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, Акты собранные Кавказскою Археологическою Коммиссіею, Архивъ Главнаго Управленія Наместника Кавказскаго, V, Изданъ подъ редакціею председателя Коммиссіи Ад. Берже, Тиф., 1873.
26. **Бакрадзе** 1875: Бакрадзе Дм., Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства, Записки Общества Любителей Кавказской Археологіи, I, Изданная подъ редакціею помощника председателя Общества Адд. Берже и члена комитета Общества Дм. Бакрадзе, Тиф., 1875.
27. **Бакрадзе** 1878: Бакрадзе Дм., Археологическое путешествіе по Гурии и Адчаре (Съ атласомъ), С-П., 1878.

TEMO JOJUA

TWO DIFFERENT 15TH CENTURY MANUSCRIPTS BOUND INTO ONE, 15TH-18TH-CENTURY VOLUME (H-375): LENTEN TRIODION (H-375A), PROPERTY OF THE FEUDAL FAMILY OF AN UNKNOWN ERISTAVI OF TAO GIORGI KAVKASIDZE (1535/1536-1545), AND EASTER TRIODION (H-375B) COMMISSIONED BY AN UNKNOWN BISHOP JERASIME OF ISHKHANI AND COPIED IN ISHKHANI

SUMMARY

The paper concerns the manuscript H-375 from the collection of the National Center of Manuscripts and its colophons. Historical and Source Study methods were used in a process of conducting the research. The following main conclusions have been drawn:

I. According to the only description (1949) of the manuscript H-375, it is a Lenten and Easter Triodion. The study has shown that the manuscript is a collection of the Great Lent chants and readings. The manuscript acquired its recent form in the 18th century, when four parts of it written in different hand writing styles, were bound into one volume. The manuscript consists of the following four parts:

1. The 15th century Lenten Triodion (lacking its beginning). In difference from the most of Lenten Triodions in Georgian language, it ends not with the chants of the Saturday morning of the seventh week of Lent, but with the chants of the Friday morning of the sixth week of Lent (H-375a, 1rv-217rv).

2. The 15th century Easter Triodion. In difference from the most of Easter Triodions in Georgian language, it starts not with the chants of the Saturday evening of the seventh week of Lent, but with the chants of the Friday evening of the sixth week of Lent (H-375b, 218rv-299rv).

3. The Great Lent Readings compiled from the 18th-century Gospel, Acts of the Apostles, Catholic Epistles, and Paul's Epistles (H-375c, 300rv-331rv).

4. The Great Lent Readings compiled from the 18th-century Old Testament Readings, Acts of the Apostles, Catholic Epistles, and Paul's Epistles (H-375d, 332rv-400rv).

II. Study of two Testaments found in the 15th century Lenten Triodion (H-375a) has shown that the manuscript was copied by Kerobini, an unknown calligrapher from Tao, probably on the commitment of a representative of the Kavkasidzes' feudal family, residents of Tao. Two colophons dating to the first half of the 16th century are found in the Lenten Triodion. They were written by unknown historical persons, Despinkhatun Kavkasidze and Gulpaik Tsmedisdze, daughter-in-law of *Eristavteristavi* Giorgi Kavkasidze. Analysis of the colophons suggests that in the first half of the 16th century the manuscript under consideration was held in a church or monastery of Archangels. Apart from that, analysis of the above-mentioned colophons together with two dedicatory inscriptions found on the Dormition icon from Shemokmedi Monastery, and with

the colophons found in the Tetracephalon from Klarjeti and Berta II Gospel, gave me an opportunity to trace the genealogy of four generations of Giorgi Kavkasidze's feudal family, the names mentioned in the colophon by Gulpaik Tsmedisdze, more or less exhaustively. The chronology falls on the 15th and 16th centuries.

III. Colophon by Gulpaik Tsmedisdze, written by her on a folio of the Lenten Triodion (H-375a), provides valuable accounts about the 16th century history of Tao Principality. The general assumption accepted by the scholarship was that the Tao Principality finally collapsed in 1450s-1460s, when under oppression of Kvarqvare II, *Mtavari* (dynastic prince) of Samtskhe, Zaza Panaskerteli, *Eristavi* of Tao, left south-east Georgia forever and settled in Kartli. Colophon by Gulpaik Tsmedisdze introduces correction to the above consideration, and provides us with interesting historical information: Bagrat III, king of west Georgia, who after his victory in the Murjakheti Battle in 1535-1536 occupied Principality of Samtskhe, restored *Eristavi's* rule in Tao Principality and made Giorgi Kavkasidze, Gulpaik Tsmedisdze's father-in-law, *Eristavi* of Tao. Principality of Tao lasted only for several years. In 1545, after King Bagrat III's defeat in Sokhoista Battle against the Ottomans, Tao Principality finally collapsed.

IV. Study of five colophons found on the folia of the 15th century Easter Triodion (H-375b) has shown that the manuscript was copied in the Ishkhani Cathedral or in a monastic building at the Cathedral by Ephrem, an unknown calligrapher from Ishkhani, on the commission of an unknown Bishop Jerasime. The fifth colophon mentions Portaitissa icon of the Mother of God as the main icon of Ishkhani Cathedral. It was probably a copy of the Panagia Portaitissa at Iveron, Georgian monastery on Mount Athos. Prior to this, existence of this icon was corroborated by large historical inscription of 1155 on the Ishkhani Cathedral wall.

V. Name of the 15th century Archbishop Jerasime of Ishkhani, who had commissioned copying of the Easter Triodion (H-375b), cannot be found in any other written source and is unknown to the scholarship. Hence, colophon of the Easter Triodion is the only written source, based on which we can include Jerasime's name into chronological list of the bishops of Ishkhani. Apart from that, study of the issue has shown that one more name must be added to the chronological list. This is Bishop Grigol Taktakidze of Ishkhani who carried out his activities in the 16th century, and is mentioned in a colophon of Urnisi Tetraevangelion (A-28).

ღარაჯან კლდიაშვილი


ფერადი ბრავიურა რუსეთის იმპერატრიცა კაატარინა I-ისა და იმპერატორ პეტრა I დიდის პორტრეტით ლნანერთა ეროვნული ცენტრიდან¹

ხელნაერთა ეროვნული ცენტრის საისტორიო დოკუმენტების ფონდში დაცული მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიის გუჯარი (Ad-505) ყურადღებას ტექსტის ზემოთ ნამძღვანებული ფერადი გრავიურით იპყრობს. მოყვითალო ფერის, სქელ, საიმპერატორო გერბიან ქალაღდზე ნანერი, ორი კეფისაგან შედგენილი გრაგნილი, მისი შემამკობელი გრავიურით, მხატვრული გაფორმებითა და შინაარსის თვალსაზრისით საკმაოდ უჩვეულოა; XVIII საუკუნის მდივანმწიგნობრული მხედრული ხელით, შავი მელნით ნანერი საბუთის ტექსტი ჩარჩოშია განთავსებული; ჩარჩოს ქვედა მარცხენა კუთხეში დასმულია გრაფიკული მცენარეული ორნამენტით გაფორმებული, მწვანე წრით შემოწერილ ოვალში ჩასმული რუსული საიმპერატორო მრგვალი ბეჭედი, მონოგრამით: **MII – M(agnus) P(etrus)**.

სიგელის თავში დანებებულ საშუალო ზომის ფერად გრავიურაზე (32,5×35,4 სმ) გამოსახული ორი საიმპერატორო პირის პორტრეტი (I – 16×24 სმ; II – 17×24 სმ) შავი ხაზებით შემოსაზღვრულ, ორად გაყოფილ ჩარჩოში ზის. ფერადი გრავიურა, საიმპერატორო წყვილის გამოსახულებით, საშუალო ზომისაა. მასზე წარმოდგენილი ისტორიული პირების ვინაობის გარკვევა შესაძლებელია მათი თანმხლები ლათინური და ქართული განმარტებითი წარწერებიდან.

ორად გაყოფილი ჩარჩოს ზედა ნაწილში პორტრეტების შემომსაზღვრავ ზოლს გარედან დაუყვება შავი მელნით, XVIII საუკუნის კალიგრაფიული მხედრულით შესრულებული ქართული წარწერები; ისინი გრავიურის შექმნის შემდგომ ხანებში, საბუთის შედგენისას ჩანს ჩანერილი:

¹ წარმოდგენილი ნარკვევი შესრულებულია რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული, სპარსული და ოსმალური საისტორიო მოხატული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან“ ფარგლებში. დოკუმენტის აღწერილობისათვის იხ.: მოხატული ისტორიული დოკუმენტები 2011: 106-108.



მარჯვნივ – ქ :: დედოფალთ :: დედოფალი :: ეკატერინა :: | ასული :: ალექსისა ::

მარცხნივ – ქ :: მეფეთ :: მეფე :: ჩვენი :: მპყრობელი :: რუსეთისა :: პეტრე :: | ალექსის :: შვილი ::

გრავეურის ქვედა, შავი მელნით შესრულებულ ორმაგ ჩარჩოში პორტრეტების თანმხლები ლათინური წარწერებია განთავსებული; მათ შორის (ნაწილობრივ, კეფების გადაბმის ადგილას) ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი საიმპერატორო ბეჭედია დასმული. ბეჭედს შემოწნერს მწვანე ჩარჩო, რომლის შიდა, ორმაგი წრე ასევე მუქი მწვანე საღებავითა და ოქროთია დაფერილი. გრავეურაზე გამოსახულ საიმპერატორო წყვილის პორტრეტებს ახლავს ლათინურად შესრულებული შესაბამისი განმარტებითი წარწერები:

Catharina Imperatrix Russorum – ეკატერინე, რუსეთის იმპერატორი

Petrus Alexowitz | Magnus Dux Moscovice – პეტრე ალექსის ძე, მოსკოვის დიდი მთავარი

გრავეურის მარჯვენა, ქვედა კუთხეში, შავი მელნით, წვრილი ასოებით მითითებულია გრავეურის შემსრულებელი მხატვრის ვინაობა – **Rischel exc. Halce**; მოსკოვის დიდი მთავრის პეტრე ალექსის ძის პორტრეტის ქვემოთ (საიმ-

პერატორო ბეჭდის თავზე), სავარაუდოდ, აღნიშნულია გრავიურის შესრულების ადგილი: **execut Lips** – ლაიფციგი, ხოლო მარცხენა კიდეში გრავიურის რიგითი ნომერი – 43.

გვერდიგვერდ განლაგებული, წვრილი შავი ჩარჩოთი გამოყოფილი პორტრეტები ორ დამოუკიდებელ კომპოზიციას ქმნის და სიგელის მთელი განი უკავია. ფურცელი, რომელზედაც გრავიურაა დანებებული, გრაგნილის მეორე კეფისაგან გამიჯნულია გადაბმის ადგილზე გავლებული მსხვილი წითელი ხაზით. როგორც პორტრეტების განმარტებითი წარწერებიდან ირკვევა, გრავიურაზე გამოსახულია რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე I (1725-1727) და მოსკოვის დიდი მთავარი პეტრე I დიდი (1682-1725).

გრავიურის მარცხენა ნაწილში წარმოდგენილი ეკატერინე I საიმპერატორო გერბიან სავარძელში ზის, მის გარშემო მდიდრულად გაფორმებული ინტერიერის დეტალები მოჩანს. იმპერატრიცა სამი მეოთხედით მსუბუქადაა შებრუნებული, მარჯვენა ხელით ტახტის სახელურს ეყრდნობა, განზე გაშლილი მარცხენა ხელი კი კაბის კალთაზე აქვს დაშვებული. დედოფლის მედიდური პოზა, მდიდრული სამოსი, სამეფო გერბიანი სავარძელი და მის უკან, კომპოზიციის მთელ სიგანეზე გადაჭიმული ბალდაქინის ფარჩის ქსოვილი, ბალიშზე დასვენებული სამეფო გვირგვინი თუ დედოფლის ფეხქვეშ ამოდებული ბალიში, ინტერიერის ცალკეულ დეტალებთან ერთად, საზეიმო, პარადული პორტრეტის შთაბეჭდილებას ქმნის.

ეკატერინეს სავსე სახის ოვალი, გადაკალმული წვრილი წარბები, ნუშისებური თვალები, მოკლე ცხვირი და ვარდისფერი მოკუმული ბაგეები აქვს. ნაკვთები მსუბუქი მოდელირებითაა ამოყვანილი. პორტრეტს სახასიათო ელფერს სძენს მუქი ფერის ხვეული ზემოთ აწეული თმა, ზურგს უკან, მხრებზე დაყრილი გრძელი კულულებით.

იმპერატრიცას ტანთ მოსავს თეთრი მაქმანებითა და დეკორაციული საბნევეებით განყოფილი, გულისპირზე ღრმად ამოჭრილი, ოქროსფერკორსეტიანი კაბა, რომლის მენამული ფერის ქვედატანი წერტილებითა და რგოლებით შედგენილი მარტივი ორნამენტითაა გამშვენებული; ასევე მენამული ფერის, უკან გაშლილი მოსასხამი მარჯვენა მხართან ძვირფასთვლებიანი გულსაბნევით მაგრდება, ხოლო მკლავზე გადადებული ლურჯი მოსახვევი კაბის კალთაზე ფართო ნაკეცებად ეფინება. იმპერატრიცას ჩაცმულობის ფერადოვნება – ოქროსფერი, მენამული, მომწვანო ლურჯი და თეთრი – დიდებულების შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებს.

იმპერატრიცა რუსეთის იმპერიის ორთავიანი არწივის გამოსახულებიანი გერბით შემკულ საიმპერატორო სავარძელში ზის. მდიდრულ, ოქროთი მოვარაყებულ, განიერ ჩარჩოში ჩასმული მომწვანო ფერის გერბი სხვადასხვაგვარი მცენარეული მოტივებითაა გაფორმებული. სავარძლის ყავისფერ ტონს ესადაგება კომპოზიციის ფონად გამოყენებული კედლების ღია მოყავისფრო შეფერილობა; მასზე მკაფიოდ გამოიყოფა მონაცრისფროდ ტონირებული, გრაფიკულად შესრულებული, კანელიურებიანი სვეტები.

მოსკოვის დიდი მთავარი პეტრე ალექსის ძე გრავიურის მარჯვენა ნახევარში ზარბაზნისა და კარვების ფონზეა წარმოდგენილი. კომპოზიციის მარცხენა კიდესთან ხეს მიჯაჭვული, აღმოსავლურ სამოსში ჩაცმული მამაკაცი ზის, ხოლო უკანა პლანზე მოჩანს ბატალური სცენა და შორეული ნაგებობები.

პეტრე I-ის ფეხზე მდგომი ფიგურა კომპოზიციის ცენტრშია წარმოდგენილი და კარგად ცნობილი პორტრეტული ნიშნებითაა აღბეჭდილი. მას აბჯარი და მდიდრული მენამული ფერის მოსასხამი მოსავს, მარცხენა ხელში ჭოგრიტი უჭირავს და იდაყვით ზარბაზნის ლულას ეყრდნობა. მოსკოვის დიდ მთავარს მკერდს უმშვენებს ლურჯ, განიერ ბაფთაზე დაკიდებული ჯვრის გამოსახულებიანი ორდენი, ხოლო წელზე ზურგს უკან გადაკიდებული ხმლის ვადა მოუჩანს; ტანთ მომდგარი ლითონის აბჯარი აცვია, ლურჯ პანტალონებზე მუხლამდე ლითონის სამუხლებები აქვს შემოკრული, ხოლო ფეხთ მოსავს წინ გადმოკეცილ განიერენიანი მუქი ფერის ფეხსაცმელი.

შუბლზე ორად გაყოფილი დატალღული თმით, დიდი შავი თვალებითა და განზე განკეპილი უღვაშებით წარმოდგენილი იმპერატორის სახე პორტრეტულობით გამოირჩევა. პოზის მედიდურობა, სამოსის, აბჯრისა და მოსასხამის დიდებულება უფრო მეტად წარმოაჩენს კომპოზიციის რეპრეზენტაციულ ხასიათს. მოსასხამის სარჩული მდიდრული ორნამენტითაა დამუშავებული, გარე პირი კი შინდისფერზე დატანილი მარტივი, წერტილოვანი სახეებითაა გამშვენებული. ეს დეტალიც, ისევე, როგორც ბაფთიანი ორდენი, ისეთივე საზეიმო ხასიათისაა, როგორც სამეფო გვირგვინი ეკატერინეს პორტრეტში.

გრავიურაზე წარმოდგენილი სიუჟეტის მიხედვით, ჭოგრიტით ხელში მდგომი იმპერატორი შორიდან ადევნებს თვალყურს საბრძოლო მოქმედებას. ფიგურის აშკარა პოზირება, ისევე, როგორც კომპოზიციის სხვა დეტალები, ამ შემთხვევაშიც წარმოაჩენს იმპერატორის პორტრეტის პარადულ ხასიათს.

საიმპერატორო წყვილის სამოსი, ნახატის დახვეწილი გრაფიკულობა და ფაქიზი დაპტრიხვა გრავიურის შესრულების უთუოდ მაღალ პროფესიულ დონეზე მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ მოდელირებისას და პერსპექტივის მხატვრულად გადმოცემისას ოსტატი ყოველთვის ვერ ახერხებს მის ზედმინევენით გადაჭრას.

გრავიურაზე წარმოდგენილი საიმპერატორო წყვილი უშუალოდაა დაკავშირებული დოკუმენტთან. ქართულ ენაზე შედგენილი ტექსტიდან ირკვევა, რომ საბუთი გაცემულია რუსეთის საიმპერატორო ოჯახის მიერ. მასში დოკუმენტის გამცემად იხსენიებიან: „მპყრობელი ჩრდილოვეთისა და ყოვლისა რუსეთისა, მეფეთ მეფე იმფერადორი“ პეტრე ალექსიშვილი, დედოფალთ-დედოფალი ეკატერინა ალექსინი და მათი ძის ძე (შვილიშვილი) პეტრე ალექსიშვილი. მათთან ერთად იხსენიებიან ქართველთა მეფე ვახტანგი, დედოფალი რუსუდანი და მათი ძე ბაქარი. საკმაოდ მოკლე ტექსტის თანახმად, საიმპერატორო ოჯახი სიგელით ამტკიცებს ვახტანგ მეფის მიერ მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის მიცემულ სოფელ კიანეთისა და მანგლისის მთის ნასოფლარების შეწირულებას.

სიგელი თარიღიანია; იგი გაცემულია ქრისტეს აქეთ **ათას შვიდას ოცდახუთ** წელს, ქორონიკონს **უიგ**.

დოკუმენტი, მისი შემამკობელი გრავიურის მხატვრული ღირებულების გარდა, ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, საბუთის შექმნასთან დაკავშირებულ ისტორიულ-პოლიტიკური რეაქციებით იპყრობს.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთ-საქართველოს შორის დამყარებული ახლო ურთიერთობა, რომელიც ერთმორწმუნე რუსეთთან ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის (ჯანიშინი – 1703-1704, მეფე – 1716-1724), სამხედრო კავშირსა და ირანის წინააღმდეგ ერთობლივ საბრძოლო მოქმედებას ითვალისწინებდა, პეტრე I-ის სპარსეთის ლაშქრობის (1722) მოულოდნელ შეწყვეტასთან დაკავშირებით გაურკვეველი დროით გადაიდო. რუსეთთან პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსში დადანაშაულებული ვახტანგ VI ირანის მიერ დასჯილ იქნა. 1724 წელს ირანის შაჰმა ქართლში მეფობა კახეთის მეფე კონსტანტინე II მაჰმადყული-ხანს გადასცა, რომელმაც ლეკების დახმარებით თბილისი დაიკავა (მალე თურქებმა კონსტანტინეც გააძევეს თბილისიდან და ქალაქი ერზერუმის ფაშას გადასცეს). გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ვახტანგ VI-მ, ოჯახთან და მრავალრიცხოვან ამაღასთან ერთად, 1724 წლის ივლისში სამშობლო დატოვა და რუსეთს გაემგზავრა. რუსეთში ემიგრაციის პერიოდი დანვრილებით აისახა ვახტანგ VI-ის თანმხლები, ვინმე ფავლენიშვილის მიერ 1727 წლის ახლო ხანებში დაწერილ ისტორიულ პოემაში „ვახტანგიანი“ (ვახტანგიანი 1947: 175-219). პოემიდან ვიგებთ, რომ საიმპერატორო კარზე ელჩად მივლინებულ ამილახვარს ასტრახანში მრავალრიცხოვანი ამალით („ქალი და კაცი ვიყავით ათას ორასის სწორებით“) ჩასული ვახტანგისათვის უცნობებია პეტრე I-ის სურვილი მისი სასწრაფოდ საიმპერატორო კარზე გამგზავრებისა და მგზავრობის უსაფრთხოების მიზნით მისი „უკაზით“ დაცვის თაობაზე (ვახტანგიანი 1947: 194, 198, 199).

ჯერ კიდევ გზაში მყოფ ვახტანგ VI-ს ცარიცინში თავზარდამცემი ამბავი შეუტყვია პეტრე I-ის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ („დაჭმუნდა მეფე მწუხარეთ, აღევსო გული წყენითა: „აჰა ესერა მენია ცოდვა კითხვისა ჩემისა,“ ხმოვანთა სტირს, სისხლი ზდის თავსა ხელისა შენითა, და არ მოგვასვენე სოფელ სიბოროტითა შენითა“ (ვახტანგიანი 1947: 199-200).

1725 წლის 28 იანვარს მოსკოვში ჩასულ ვახტანგ VI-ს გააცნეს პეტრე I-ის დანატოვარი ანდერძი და იმპერატრიცა ეკატერინეს სამძიმრის წიგნი. ანდერძის წიგნში ხაზგასმით იყო აღნიშნული რუსეთის ტახტზე ეკატერინეს უფლებები, რომლის იმპერატრიცად გამოცხადებაც ჯერ კიდევ პეტრე I-ის სიცოცხლეში, 1721 წელს, მოხდა (Боркраз... 1894: 569); პოემიდან კარგად ჩანს პეტრე I-ის დამოკიდებულება, როგორც იმპერატრიცას, ისე შვილიშვილის, პეტრეს მიმართ („ყველამ უწყით, სამ წელ არის, მეფედ დავსვი დედოფალი, ... შვილისშვილს იცნობთ, ვეჭვ მე მგავს, ჩვილი წვრტოა, ჯერ ყმანვილი, ღმერთი გაზდის, კაცობისა მას მიხვდების კაი წილი“ (ვახტანგიანი 1947: 200).

პეტრე I-ის ანდერძი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ გადამწყვეტი აღ-

მოჩნდა ეკატერინე I-ის იმპერატორად გამოცხადებისას, რაც აისახა კიდევ რუსეთის საიმპერატორო კარზე იმ ხანებში განვითარებულ მოვლენებში. პეტრე I-ის მცირეწლოვანი შვილიშვილის, პეტრე ალექსის ძის მხარდამჭერებმა ძალაუფლების მოპოვება ვერ მოახერხეს, იმპერატორის ტიტული ეკატერინე I-მა (მართა სკავრონსკაია, პეტრე I-ის მეორე თანამეცხედრე 1705-1725 წლებში) მიიღო. პომიდან ჩანს, რომ ქართველი მეფე და მისი ამაღლა თავიდანვე ეკატერინეს მხარდამჭერთა შორის იყვნენ. პეტერბურგში ამაღლის ნაწილის თანხლებით სასწრაფოდ ჩასული ვახტანგ VI იმპერატრიცას მხოლოდ მესამე დღეს მიუღია და უხვად დაუსაჩუქრებია. ვახტანგს პეტრე I-ის საფლავიც მოუწახულებია (ვახტანგიანი 1947: 204).

მართალია, დედაქალაქში ქართველი მეფე ღირსეული პატივით მიიღეს, წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვეს და მატერიალურადაც უზრუნველყვეს, მაგრამ მას საიმპერატორო კარმა ქმედითი დახმარება მაინც არ გაუწია. სწორედ იმ პერიოდს, 1725-1726 წლებს უნდა განეკუთვნებოდეს პეტერბურგში ვახტანგ VI-ის ზეთით შესრულებული პორტრეტი, სადაც იგი რუსული სამეფო მანტიითაა წარმოდგენილი (Брокгауз... 1899: 259-261; 1946 წელს ამ პორტრეტს ქ. გორკში მიაკვლია თორნიკე ჭყონიამ – ჭყონია 1947: 259-260). 1727 წელს, ეკატერინეს გარდაცვალებისა და ნარიშკინის გადასახლების შემდეგ, ტახტზე ასულმა პეტრე ალექსის ძემ უარი თქვა დიდი პაპის სახელმწიფოებრივ კურსზე, თუმცა არც პეტრე II-ის მმართველობა აღმოჩნდა ხანგრძლივი. მას 1730 წელს ყვავილი შეეყარა და ახალგაზრდა გარდაიცვალა. ჯერ პეტრე I-ისგან, შემდეგ კი მისი მემკვიდრეებისაგან შეპირებული სამხედრო დახმარებისა და მხარდაჭერის ამო მოლოდინში მყოფ ვახტანგ VI-ს კიდევ კარგა ხანს მოუწია მოსკოვში შეყოვნება. 1730 წლით დათარიღებულ ლექსში მოსკოვს მყოფი სასონარკვეთილი მეფე-პოეტი შემდეგნაირად აფასებდა საკუთარ ყოფას: „ვაი, რა ცუდათ ვაშრომებ ჩემსა დღეთა და ჟამსაო, რუსთ ზაფხულისებრ მალ გავლით ამა სოფლისა წამსაო, არცა რა მიმდევს, არც მრჩების, ვით როგორ ჩემთვის ხამსაო, უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რასამე გვამსაო“ (ვახტანგ მეექვსე 1975: 168-171). 1734 წელს, ირანთან დიპლომატიური კონიუნქტურის გამწვავებისთან დაკავშირებით (განჯის ზავის შემდეგ ირანს უკან დაუბრუნდა პეტრე I-ის მიერ დაპყრობილი მიწები), ასტრახანში მყოფი ვახტანგი მოსკოვში აღარ დაბრუნებულა. მოსკოვში შვილების სანახავად მიმავალი ვახტანგ VI 1737 წლის 27 მარტს გარდაიცვალა. იგი დაკრძალულ იქნა ასტრახანში, ღვთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძარში (გორგიძე 1976: 19-23; ჭყონია 1947: 259-260).

მანგლისის სიგელი დათარიღებულია 1725 წლით. ამდენად, ის ვახტანგ VI-ის რუსეთში ემიგრაციის პირველ წელს, ქართველი მეფის პეტერბურგში ჩასვლისას არის გაცემული. ეს ის პერიოდია, როცა, მიუხედავად პეტრეს მოულოდნელი გარდაცვალებით გამოწვეული არეულობისა, რუსეთის საიმპერატორო ოჯახი ვახტანგს ყურადღებას არ აკლებდა და მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი რუსეთის მხარდაჭერის და დაკარგული ტახტის დაბრუნების. ამაზე მიუთითებს საბუთის

თარიღი და საიმპერატორო კარის მიერ გაცემულ მანგლისის ღვთისმშობლის სიგელზე დართული გრავიურა, სადაც საიმპერატორო ტახტზე ასული ეკატერინე I რუსეთის იმპერატორად იწოდება; თუმცა ყოველივე ამაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს იმ ფაქტს, რომ დოკუმენტის ტექსტში საბუთის გამცემებად ერთად არიან მოხსენიებულნი უკვე გარდაცვლილი „მპყრობელი ჩრდილოეთისა და ყოვლისა რუსეთისა, მეფეთ მეფე იმფერადორი“ პეტრე ალექსიშვილი, დედოფალთ-დედოფალი ეკატერინა ალექსინი და მათი ძის ძე პეტრე ალექსიშვილი; გრავიურის ქვემოთ განთავსებულ ლათინურ განმარტებითი წარწერაში (განსხვავებით საბუთის შედგენის დროს გრავიურის თავზე შესრულებული ქართული წარწერისაგან) პეტრე I მხოლოდ მოსკოვის დიდ მთავრად იწოდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს შეუსაბამობა გამოწვეულია იმ დროისათვის რუსეთში შექმნილი შიდაპოლიტიკური არეულობით, იმ დაპირისპირებით და გაურკვევლობით, რომელიც, პეტრე დიდის მოულოდნელი გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საიმპერატორო ტახტზე პრეტენზიების მქონე მის მემკვიდრეებსა და მათ მხარდამჭერ დაჯგუფებებს შორის შეიქმნა. გრავიურის მრავალპლანიანი სიუჟეტის ფონზე რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე I-ის, ხოლო მის გვერდით იმხანად უკვე გარდაცვლილი იმპერატორის გამოსახვა ერთგვარად მიანიშნებს პეტრე I-ის მოღვაწეობისა და პოლიტიკის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რუსეთისათვის, ასევე ახლად ხელდასხმული იმპერატრიცა ეკატერინე I-ის ხელისუფლების კანონიერებას და პეტრე I-ის მიერ გატარებული სახელმწიფო კურსის მემკვიდრეობითობას.

რაც შეეხება რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ მანგლისის ღვთისმშობლისათვის სიგელის გაცემის ფაქტს, მას ფორმალური ხასიათი უნდა ჰქონოდა და მხოლოდ ერთგვარ დიპლომატიურ ყესტს წარმოადგენდა. იგი ერთგვარად ხაზს უსვამდა რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მჭიდრო კავშირის ურყეობას და, იმავდროულად, საიმპერატორო კარის მხრივ რუსეთში მყოფი ქართველი მეფისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ყურადღების ერთგვარ გამოხატულებასაც წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში მანგლისის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი გამორჩეული ყურადღება შეიძლება აიხსნას იმ განსაკუთრებული დამსახურებითა და სიახლოვით, რომლითაც იმ დროს რუსეთში მყოფი მანგლელი იერარქები გამოირჩეოდნენ ვახტანგ VI-ის მიმართ. მანგლელი ეპისკოპოსი არსენი, რომელიც თან ახლდა ვახტანგ VI-ს ემიგრაციაში, გვარად დოლენჯიშვილი ყოფილა. „ვახტანგთანში“ შეტანილი სამეფო ამაღლის ჩამონათვალში მანგლელი არსენი მეფის ერთ-ერთ დაახლოებულ პირად არის დასახელებული („მანგლელი არსენ, შეილობა აქს დოლენჯიათ გვარისა, მოძღვართ-მოძღვარი – გერმანე, სულიერთ მამათ კმარისა, ეკურნოს მისგან მონაფეს ცოდვების გემო მწარისა, და აქეს პეტრესგან იმედი, დაუხშაობა კარისა“ – ვახტანგისანი 1947: 192).

მანგლელი ეპისკოპოსი არსენ დოლენჯიშვილი, თანადროულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებით, ჯერ კიდევ საქართველოში მოღვაწეობის პე-

რიოდში გამოირჩეოდა სამეფო სახლის ერთგულებით. 1713 წლით დათარიღებული სამანგლელი ღალის ამოკვეთის წიგნიდან ცნობილი ხდება, რომ არსენი 1703-1709 წლებში თან ახლდა შაჰ სულთან ჰუსეინის მიერ ყანდაარში (ავღანეთი) ბეგლარბეგად და ირანის სპასალარად დანიშნულ, 1709 წელს ავღანელების მიერ ვერაგულად მოკლულ, ვახტანგ VI-ის ბიძას, ქართლის მეფე გიორგი XI-ს (1676-1688, 1703-1709). ამასთან დაკავშირებით საბუთში არსენი მანგლელის შესახებ აღნიშნულია: „დიდად სახელოვანის და წამებულის მეფეთ-მეფის გიორგის ნამსახურმა და ყანდაარს თან ნაახლებმაო“ (ქართული სამართლის ძეგლები 1970: 693-694; საქართველოს მეფეები 2007: 195-196). მისი სახელი ასევე შეტანილია ვახტანგ VI-ის ამაღლის ნუსხაში (1724 წ.), საიდანაც ირკვევა, რომ რუსეთში გამგზავრებულ ვახტანგ VI-ს არსენი თან გაჰყვა. იგი ვახტანგთან დაახლოებული პირი და მისი მოძღვარი ყოფილა (ლომიძე 2007: 41). 1730-იან წლებში არსენ მანგლელი ვახტანგ VI-ის ამაღლის ერთ ჯგუფთან ერთად, სავარაუდოდ, სამშობლოში დაბრუნდა. მას სწორედ ამ დროს უნდა ჩამოეთანა რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც რუსეთის სამეფო სახლი ამტკიცებდა ემიგრაციაში მყოფი ვახტანგ VI-ის მიერ მანგლისის ტაძრისათვის მიცემულ შეწირულებას. ამ ვარაუდს არაპირდაპირ ამყარებს ისიც, რომ ვახტანგ VI-ის სიცოცხლის ბოლო წლებში მეფის მოძღვრად და მის უახლოეს პირად უკვე სხვა მანგლელი ეპისკოპოსი – იოვანეა დასახელებული (მას შეუცვლია მღვდელმონაზონი გერმანე – მეტრეველი 2007: 75).

დოკუმენტის შემამკობელი გრავიურა უცხოელი ოსტატის მიერ ლაიფციგშია შესრულებული. რუსეთში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, ტიპოგრაფიული საქმიანობისა და ბეჭდური წიგნის გავრცელების პარალელურად გრავირებაც სწრაფად ვითარდება. ამ ტენდენციას ხელს უწყობდა ისიც, რომ გრავირების საქმე პეტრე I-მა სახელმწიფოებრივ დონეზე აიყვანა და ამ მიზნით ჰოლანდიიდან მინვეულ იქნენ ისეთი დახელოვნებული ოსტატები, როგორებიც იყვნენ ა. სხონებეკი და პ. პიკარტი (Брокрайз... 1899: 672). ამის მიზეზი გეოგრაფიული რუკებისა და საინჟინრო ტექნიკური ნახაზების გრავირების გარდა, საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებების ესტამპებზე გადატანა, მათი ისტორიისათვის შენახვა და დიპლომატიური გზებით მიღწეულის საყოველთაო პოპულარიზაცია იყო. გრავიურის მასობრივად დამზადების ერთ-ერთ მიზანს ასევე წარმოადგენდა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციის გავრცელება და პროპაგანდა. ამ მხრივ პეტრე I განსაკუთრებით დიდ ყურადღებას ანიჭებდა სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბატალური და სიუჟეტური სცენებისა და პორტრეტული გამოსახულებების მქონე გრავიურების დამზადებას და დიპლომატიური მიზნით მათ გავრცელებას. ცნობილია ფაქტები, როცა თავად პეტრეს უშუალო ზედამხედველობით მზადდებოდა გრავიურა, რომელიც მის მიერ პირადად გადაეცემოდა სხვა ქვეყნის მეთაურებსა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს (Алексеева 1990: 176). ვფიქრობ, ამავე მიზეზით უნდა მოხვედრილიყო გრავიურა მანგლი-

სის ღვთისმშობლის დოკუმენტზეც. ეს რომ ასეა, ადასტურებს „ვახტანგიანში“ დაცული ცნობა იმის თაობაზე, რომ პეტრეს გამოსახულებიანი სხვადასხვა ნივთი (უფრო ფულის ერთეული) შედიოდა იმ საჩუქრებში, რომელიც პეტრე I-მა ძღვნად გადასცა პეტერბურგში ელჩად მივლინებულ ამილახვარს („ბევრი ებოძა იმისთვის თეთრი და ფლური ქისებით, თავისი სახე უცხონი აღმასით გარმოქევიშრებით“ – ვახტანგიანი 1947: 198). ისიც ცნობილია, რომ იმპერატრიცა ეკატერინე I-მა 1725 წელს პეტერბურგში საიმპერატორო კარზე მისულ ვახტანგ VI-ს „უძღვნა ქმრისა სახენი“ და ფული, პეტრე I-ის გამოსახულებით („იქ უძღვნა ქმრისა სახენი, ფლური გავს ფრანგეთისასა, ზედ იქონიეთ იმისთვის, ნახვას სუროდით ვისასა“ – ვახტანგიანი 1947: 204). არც ისაა გამორიცხული, რომ დოკუმენტი, შემკული საიმპერატორო წყვილის გამოსახულებიანი გრაფიურით, 1725 წელს პეტრე I-ის გარდაცვალებისას პეტერბურგში საიმპერატორო კარზე, მყოფ ვახტანგ VI-ს და მის თანმხლებ მანგლელ იერარქს გადაეცა ეკატერინე I-ის ინტრონიზაციასთან დაკავშირებით.

გრაფიურაზე წარმოდგენილი პეტრე I დიდის გამოსახულება ზედმინვნით პორტრეტულ მსგავსებას ამჟღავნებს ი. ნიკიტინის (1688-1741) მიერ პეტრეს სიცოცხლის ბოლო წლებში შესრულებულ მის ფერწერულ პორტრეტებთან. სხვათა შორის, იმავე მხატვარს ეკუთვნის იმპერატორის ბოლო პორტრეტი – „პეტრე I სასიკვდილო სარეცელზე“, რომელიც 1725 წლის იანვარში მომაკვდავი მეფის სარეცელთან იქნა შესრულებული (Русское искусство 1952: 17-33; 25-26, 27 – პეტრე I-ის პორტრეტი; Всемирная история 1958: 361 – 1721 წელს ი. ნიკიტინის მიერ შესრულებული პეტრე I-ის პორტრეტი). მანგლისის სიგელის გრაფიურის ფონზე წარმოდგენილი რეალიები (აბჯარი, ჭოგრიტი, ზარბაზანი, მინიატიურულად შესრულებული ბატალური სცენა, ხეზე მიბმული აღმოსავლურსამოსიანი პირი) უშუალოდ პეტრეს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უკავშირდებოდა და ხშირად ფიგურირებდა მისადმი მიძღვნილ გრაფიურებზე.

პეტრე I-ის და ეკატერინეს I-ის პორტრეტულ გამოსახულებებს საფუძვლად უნდა დასდებოდა პორტრეტების ფერწერული ორიგინალი. ფერწერული ნამუშევრის მიხედვით დამზადებული ამგვარი გრაფიურები მრავლად იქმნებოდა იმ პერიოდში პეტერბურგისა და მოსკოვის ტიპოგრაფიულ სახელოსნოებში, ასევე საზღვარგარეთაც. ასე მაგალითად, 1717 წელს საიმპერატორო წყვილის საზღვარგარეთ, პარიზში მოგზაურობისას, ფრანგი ფერმწერის, ჟ. ნატიეს მიერ შესრულებული ერთი ამგვარი ფერწერული ტილო გახდა საფუძველი იმისა, რათა ცნობილ რუს გრაფიურის ოსტატს, ი. ზუბოვს დაემზადებინა პეტრე I-ისა და ეკატერინეს წყვილპორტრეტიანი გრაფიურები. მათ შორის, აღსანიშნავია 1717 წლის მარტში ა. მენშიკოვის შეკვეთით შესრულებული გ. მუსიკიისკის მინიატიურა და ი. ზუბოვის მიერ დამზადებულ გრაფიურა, სახელწოდებით – „შეთანხმება ტახტის მემკვიდრეობის შესახებ“ (Алексеева 1990: 97, 181-184). მოგვიანებით, 1721 წელს, ზუბოვმა დაამზადა გრაფიურები ეკატერინე I-ის და პეტრე I-ის პორტრეტებით, აგრეთვე გრაფიურა ეკატერინე I-ის კორონაციასთან დაკავშირებით

(Алексеева 1990: 91-97). ოთხი ათეული წლის შემდეგ, 1760 წელს, ასევე ჯ. ნატ-იეს ტილოს მიხედვით შესრულებულ იქნა მეორე ცნობილი გრავიურის ოსტატის, ე. ჩემესოვის მიერ გრავიურა პეტრე I-ის პორტრეტით (Русское искусство 1952: 126). ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფერადი გრავიურა ასევე ფერწერული ტილოს (გამორიცხული არაა ჯ. ნატიეს ფერწერული პორტრეტების) მიხედვით უნდა იყოს შექმნილი ლაიფციგში. გრავიურა, სავარაუდოდ, დამზადებულ იქნა 1721 წელს – ეკატერინე I-ის იმპერატრიცად გამოცხადებასთან ან 1725 წელს – ეკატერინეს ინტრონიზაციასთან დაკავშირებით.

მანგლისის სიგელის ფერადი გრავიურა სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში ცნობილი არაა. ვერ მივაკვლიე მის შესახებ ცნობას ვერც პეტრე დიდის ეპოქის გრავიურისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში. არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ პეტრე II-ის ტახტზე ასვლის შემდეგ ეკატერინე I-ის ინტრონიზაციასთან დაკავშირებული გრავიურის ცალები განადგურდა. ასეთი შემთხვევები არაერთი ყოფილა რუსეთის ისტორიაში. რამდენადაც ცნობილია, თავად პეტრე I-მა თავის დროზე მოიძია თავისი უფროსი დის და პოლიტიკური მონინალმდგის, სოფიო პორტრეტის ყველა ეგზემპლარი, შესრულებული მოსკოვში, ერთ-ერთი საუკეთესო გრავიურის ოსტატის, ლ. ტარასევიჩის მიერ და იმდენად საგულდაგულოდ განადგურებინა ისინი, რომ ამ გრავიურის არც ერთ ცალს არ მოუღწევია (Брокгауз... 1899: 672). შეიძლება განხილული გრავიურაც ჩვენამდე მოღწეულ იმ ერთადერთ ცალს წარმოადგენს, რომელიც 1725 წელს პეტერბურგში ეკატერინე I-ის გაცემულმა ქართულმა დოკუმენტმა შემოინახა.



დამატება

იმპერატრიცა ეკატერინას და მოსკოვის დიდი მთავარის პეტრეს მიერ მანგლისის ღვთისმშობლის ტაძრისათვის მიცემული შეწირულების დამტკიცების სიგელი

დედანი – ხეც, Ad-505. საბუთისათვის გამოყენებულია მოყვითალო ფერის სქელი საიმპერატორო გერბიანი ქალაღდი, შედგება ორი კეფისაგან (62×34 სმ.); პირველ კეფზე დაკრულია ფერადი გრავიურა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს და მოსკოვის დიდი მთავარის პეტრე ალექსის ძის პორტრეტული გამოსახულებებით.

საბუთის ტექსტი სპეციალურად დახაზულ ჩარჩოშია ჩაწერილი, რომლის დასასრულსაც მარცხენა, ზედა კუთხეში დასმულია რუსული საიმპერატორო მრგვალი ბეჭედი მონოგრამით – **МІІ**. ტექსტი დაწერილია შავი მელნით, XVIII საუკუნის მდივანმწიგნობრული მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგომ იხმარება ნერტილი, ტექსტის დასაწყისში და დასასრულს – სამი ნერტილი. საბუთს უზის თარიღი – ქრისტეს აქეთ **ათას შვიდას ოცდახუთი წელი**, ქრონიკონი – **უიგ**.

ქ. ზე ადიდენეს ღ(მერ)თმ(ა)ნ ძლიერი და უძლეველი ზეშთა აღმატებული და დიდი მთავარი, მპყრობელი ჩრდილოვეთისა და ყოვლისა რუსეთისა, მეფეთ-მეფე, იმფრადორი, ჴელმწიფე პეტრე ალექსიშვილი და დედოფალთ-დედოფალი ეკატერინა და ძის ძე მათი პეტრე ალექსიშვილი. ვამტკიცებ წყალობითა ღვთისათა და ყოვლად უხრწნელისა დედისა მისისათა, ქართველთა მეფის ვახტანგისა, დედოფლის რუსუდანისა და ძისა მათისა მეფის ბაქარისა შეწირულობისა სიგელსა, ოდეს მანგლისისა მღთისმშობლისათვის ძველთაგან შეწირული ყოფილიყო ქართველის ბატონებისაგან კიანეთის სოფელი და მანგლის მთის ნასოფლარები, როგორათაც მანგლელელს გამოეფიცნა. ამათი ჴელახლა სიგლები დაედვათ მეფეს ვახტანგს და შეენირათ. და ჩვენ დიდმან ჴელმწიფემან ამ სიგლის პირზედ დავამტკიცეთ, რომე ეს შეწირულობა ჟამთა უკუნისამდე არ მოიშალოს დასაბამითგან ვიდრე აქამომდე **შვიდი ათას ოცდა ხუთსა**, ქრისტეს აქეთ **ათას შვიდას ოცდა ხუთსა**, ქრონიკონსა **უიგ**.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ვახტანგ მეექვსე** 1975: ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1975.
2. **ლომიძე** 2007: ლომიძე დ., ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2007.
3. **მეტრეველი** 2007: მეტრეველი რ., ჯადუგიშვილი ნ., „მკვიდრი უმკვიდრო შვეიქმენ.“ საარქივო მასალები ვახტანგ VI-ის მემკვიდრეთა ურთიერთობის შესახებ, თბ., 2007.
4. **ვახტანგისანი** 1947: ყუბანიშვილი ს., ვახტანგისანი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, თბ., 1947.
5. **ჭყონია** 1947: ჭყონია თ., გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, თბ., 1947.
6. **მოხატული ისტორიული დოკუმენტები** 2011: მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან, დარეჯან კლდიაშვილის რედაქციით, თბ., 2011.
7. **საქართველოს მეფეები** 2007: საქართველოს მეფეები, რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, თბ., 2007.
8. **ქართული სამართლის ძეგლები** 1970: ქართული სამართლის ძეგლები, III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970.
9. **Алексеева** 1990: Алексеева М., Гравюра Петровского времени, М., 1990.
10. **Всемирная история** 1958: Всемирная история, т. 5, М., 1958.
11. **Горгидзе** 1976: Горгидзе М., Грузины в Петербурге, Тб., 1976.
12. **Русское искусство** 1952: Русское искусство, Очерки о жизни и творчестве художников, восемнадцатый век, под редакцией А. И. Леонова, М., 1952.
13. **Брокгауз...** 1899: Энциклопедический словарь, изд. Ф. Брокгауз и И. Ефрон, т. XX-VIII, СПб, 1899.
14. **Брокгауз...** 1894: Энциклопедический словарь, изд. Ф. Брокгауз и И. Ефрон, XI, СПб, 1894.

Darejan Kldiashvili

THE COLOUR ENGRAVING WITH THE PORTRAITS OF THE EMPRESS CATHERINE I AND THE EMPEROR PETER I THE GREAT FROM THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

The charter of the Manglisi church of the Virgin, deposited at the National Centre of Manuscripts in Tbilisi (Ad-505) attracts the attention with the colour engraving inserted above the text of the document.

Yellowish, thin paper with imperial coat of arms, scroll, 2 leaves: 62×34 cm; black ink, 18th c. written with the Georgian *mkhedruli* script. The text of the document is

inserted in a frame, at the end of which, in the left top corner, the Russian imperial round seal with a Latin monogram **MP** – **M(agnus) P(etrus)** is attached; all this is given in a frame with a green circle designed with floral ornament. A colour engraving (32,5×35,4 cm) is glued on the first leaf, with images of two imperial persons. The figures represented in the engraving in a frame divided in two and bounded with black lines, have explanatory inscriptions in Latin and Georgian. Outside the frame are Georgian inscriptions in black ink, done in calligraphic *mkhedruli*, probably written after the engraving was created:

To the right: ქ. დედოფალთ :: დედოფალი :: კატერინა :: ასული :: ალექსისა: – *Queen of Queens Catherina, Daughter of Alexi.*

To the left: ქ. მეფეთ: მეფე :: ჩვენი :: მპყრობელი :: რუსეთისა :: პეტრე: ალექსის :: შვილი :: – *Our King of Kings, Ruler of Russia Peter, Son of Alexi.*

In the middle area of the lower double frame the accompanying Latin inscriptions are given; between them the imperial seal is placed in a double circle coloured with a dark green paint and gold, with an image of a two-headed eagle.

At right engraving is the phrase: **Cathrina Imperatrix Russorum** – *Catherina, Empress of Russia*; at the left: **Petrus Alexowitz Magnus Dux Moscovice** – *Peter Alekssevich, Grand Duke of Moscow.*

At the figure of the Empress Catherine the name of the artist who executed the engraving is given: **Pischel exc. Halce**, and at the figure of the Emperor Peter, is indicated: **Execut Lips** (Leipzig). At the left edge the number of the engraving is given – 43.

The leaf on which the engravings are pasted is documented from the second leaf of the scroll with a thick red line drawn along the joining. The portraits, separated by a thin black frame, arranged side by side, create two independent compositions (I – 16×24 cm; II – 17×24 cm), occupying the whole space of the charter.

The imperial couple given on the engraving is directly connected with the document. From the Georgian text of the documents it becomes evident that it was issued by the Russian royal family. According to the text the document was issued by the Emperor Peter I (1682-1725), Empress Catherine I (1725-1727), and their grandson Peter Alekseevich. The King of Kartli Vakhtang VI (Viceroy of Kartli – 1703-1704, King – 1716-1724) and his family members are also mentioned in it. According to the relatively short text of the document, imperial family has confirmed the charter of the donation of the Manglisi church of the Virgin to the King Vakhtang, while his visit to Russia for the possible support.

The charter is dated to 1725, the period of the demise of Peter I; it is issued to Vakhtang VI and the Manglisi hierarch accompanying him, presumably timed to the enthronement of Catherine I.

No colour engraving adorning the charter is known in the art historical literature. The engraving of the National Centre of Manuscripts is presumably the only copy preserved by the Georgian document.

რუსუდან გვარამია, ნანა ყანჩაველი

შუა აზიის არაბული ხელნაწერების კოლექცია
ზოგადი მიმოხილვა

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ აღმოსავლურ ხელნაწერთა კოლექციებს შორის, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია შუა აზიის არაბულ ხელნაწერთა კოლექცია. იგი შეიცავს 661 ხელნაწერს, მათ შორის 1306 ერთეულ თხზულებას და წარმოადგენს ნაწილს იმ უდიდესი კულტურული მემკვიდრეობისა, რომელიც შუა აზიაში შეიქმნა მისი ხანგრძლივი ისლამიზაციის შედეგად. აღნიშნული კოლექციის ხელნაწერები, თურქულ და სპარსულ ხელნაწერებთან ერთად, 1935 წელს შუა აზიაში შეიძინეს და თბილისში გადმოაგზავნეს ცნობილმა არაბისტმა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა და ენათმეცნიერმა, პროფესორმა სტეფანე ჩხენკელმა, სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას, მივლინების მიზანი იყო შუა აზიის არაბული დიალექტების შესწავლა, რის გამოც, გ. წერეთელი კიდევ არაერთგზის ჩავიდა იქ, ამავე დროს, „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებული ზოგიერთი დეტალის გარკვევა, კერძოდ, სახელ „ნესტან-დარეჯანის“ ეტიმოლოგიის დადგენა, რომელიც გავრცელებული იყო შუა აზიის არაბულ ფოლკლორში. მივლინების მიზანს წარმოადგენდა ქართული მასალის ძიებაც. გიორგი წერეთელმა შუა აზიის არაბულ დიალექტებს არაერთი ნაშრომი უძღვნა; გამოაქვეყნა ბუხარის არაბულ დიალექტზე შექმნილი ფოლკლორული მასალა რუსული თარგმანითურთ (Церетели 1956) და ასევე, სტატია სათაურით: „Нестан-Дареджан“ в среднеазиатском арабском фольклоре (Церетели 1938: 1-15), რომელსაც დაურთო ნესტან-დარეჯანთან დაკავშირებული არაბული ზღაპარი და მისი რუსული თარგმანი. გ. წერეთელმა ცხადყო, რომ „ნესტან-დარეჯანი“ ეპითეტია და არა საკუთარი სახელი. მისი მნიშვნელობაა „არაჩვეულებრივად ლამაზი“, ირანული წარმომავლობისა და მასთან დაკავშირებულ ზღაპარს არავითარი საერთო არა აქვს „ვეფხისტყაოსანთან“.

სავარაუდოა, რომ გ. წერეთელმა და სტ. ჩხენკელმა აღმოსავლური ხელნაწერები შეიძინეს ბაზრებში, სადაც ხელნაწერებით მოვაჭრეთა ჯიხურები იყო

ჩამწკრივებული. ხელნაწერების შექმნა აგრეთვე შესაძლებელი იყო ვაკუუფური ქონებიდანაც (საღვთო მიზნით შეწირული ქონება).

შუა აზიიდან გადმოგზავნილი ხელნაწერები, თავდაპირველად, ინახებოდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. შემდგომ ისინი ამ განყოფილების ბაზაზე გახსნილ ხელნაწერთა ინსტიტუტის, ამჟამად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საკუთრებაში გადავიდნენ, სადაც დაიწყო მათი შესწავლა და კატალოგიზაცია. უპირველეს ყოვლისა, მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ხელნაწერთა ევაკუაციის შედეგად ერთმანეთში არეული აღმოსავლური ნუსხების ენების მიხედვით დალაგება და მათში კოლექციების გამოყოფა. შუა აზიის აღმოსავლური ხელნაწერები AC შიფრით გამოცალკევდა, რომელსაც სხვადასხვაენოვანი შუააზიური კოლექციების ერთმანეთისაგან გასარჩევად დაემატა საგანგებო ლიტერები: ArAC, PAC, TurAC.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუააზიური არაბული ხელნაწერები XIII–XIX საუკუნეებით თარიღდება. შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება ადრეული ხელნაწერები. ადრეულია, მაგალითად, ArAC 278 – 666/1268 წ. ესაა *كتاب فى القراءات السبع* – ყურანის შემსწავლელ დარგებს განეკუთვნება. ადრეულია აგრეთვე გრამატიკული თხზულება ArAC 711 – *عرايس المحصل من نفائس المفصل* გადაწერილი 675/1276 წელს.

დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი გვიანდელი, XVI–XVII საუკუნეების ნუსხები, უფრო მეტად კი XVIII–XIX საუკუნეების. გადანერის ადგილებად სახელდება: სამარყანდი, ბუხარა თავისი შემოგარენით, ხორეზმი, ბალხი და სხვ. გამორჩეულად ხშირად სახელდება ბუხარა, რაც ბუნებრივიცაა: ბუხარა საუკუნეების მანძილზე შუა აზიის კულტურის ცენტრი იყო, განსაკუთრებით მოგვიანო საუკუნეებში, XVI საუკუნის შუა წლებში ბუხარის სახანოს შექმნის შემდეგ. ბუხარა ხშირად ფიგურირებს გადანერთა ნისბებშიც (სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში).

შუააზიური არაბული ხელნაწერების კოლექცია მდიდრულად გაფორმებული ხელნაწერებით არ გამოირჩევა, თუმცა გვხვდება, არცთუ იშვიათად, უვნანები (თავსამკაულები) და ზოგჯერ მოხატული ჩარჩოებიც. ამონაკლისია ერთი ხელნაწერი ArAC 196, რომელშიც ბევრი ნატიფი და გემოვნებით შესრულებული უვნანი და ჩარჩოა.

მნიშვნელოვანი ნაწილი ხელნაწერთა შემადგენელი თხზულებებისა, წარმოადგენს ერთი ძირითადი თხზულებისათვის დაწერილ კომენტარს, კომენტარის კომენტარებს, მათ გლოსებს და სუპერგლოსებს, გალექსილ ვერსიებს, შემოკლებებს, რაც არაბული სქოლასტიკური ლიტერატურის დამახასიათებელი თავისებურებაა. მთლიანობაში, კოლექცია, თავისი შედგენილობითა და ხასიათით, მსგავსებას ამჟღავნებს სანკტ-პეტერბურგში დაცულ ბუხარის არაბულ ხელნაწერთა კოლექციასთან, რაც, გარკვეულწილად, მათი საერთო წარმომავლობით უნდა იყოს განპირობებული (Беляев 1952). დასახელებულ კოლექციათა ხელნაწერებში, ისევე როგორც საერთოდ ხელნაწერებში ასახულია იმ რეგიონებისა

და გარემოს სულიერი ინტერესები და მოთხოვნილებები, რომლებშიც ისინი იქმნებოდნენ. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება მსჯელობა იმ ტრადიციულ სასწავლო-სქოლასტიკურ დარგებზე, რომლებითაც მოსახლეობის მმართველი და განათლებული წრეები იყვნენ დაინტერესებული, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა უამრავი ხელნაწერის შექმნასა და გავრცელებას.

ჩვენს კოლექციაში მნიშვნელოვნად ჭარბობს საღვთისმეტყველო და სამართლებრივი ხასიათის დარგები, როგორცაა: ყურანი და მისი კომენტარები, ლოცვები, ჰადისები, დოგმატიკა, ფილოსოფია, სამართალი. საერო დარგებიდან, დიდი რაოდენობით გვხვდება: გრამატიკა, ლოგიკა, რიტორიკა, განსაკუთრებით გრამატიკა. ნაკლებად არის წარმოდგენილი სხვა დარგები: მათემატიკა (8 ერთეული), ასტრონომია (6 ერთ.), მედიცინა (10 ერთ.), ბიოგრაფია (4 ერთ.), ლექსიკოგრაფია (6 ერთ.), პედაგოგიკა (8 ერთ.). ასევე ცოტაა მხატვრული პროზა (7 ერთ.) და პოეზია (6 ერთ.), ისტორია მხოლოდ ერთ ხელნაწერშია.

ოლექცია, ძირითადად, შეიცავს მუსლიმურ სამყაროში ცნობილ და პოპულარულ ნაწარმოებებს, რომელთაგან არაერთი მნიშვნელოვანი თხზულება შეიძლება დასახელდეს, მაგალითად, *ابن سينا*-ს – იბნ სინას, იმავე ავიცენას, საყოველთაოდ ცნობილი სამედიცინო ენციკლოპედია *القانون في الطب* – მედიცინის კანონი (ArAC 655, XII-XIII სს.); სამართლის ჰანეფიტური სკოლის ფუძემდებლის *أبو هنيفة* – დიდი სამართალი, რომლის უამრავი კომენტარი არსებობს: ArAC 701 (7v-10v), 1194/1780 წ.; 615 (116v-123v), XVIII ს.; 192 (156v-159v), 1225/1810 წ.; 213 (171v-176v), 1255/1839 წ. *الجامع الصحيح* –ის *محمد بن اسمعيل البخاري*, რომელიც ჰადისების პირველ კრებულს წარმოადგენს და თავისი მნიშვნელობით თითქმის უთანაბრდება ყურანს (ArAC 325, 1209/1795 წ.). ამ თხზულებაზეც უამრავი კომენტარი დაიწერა. *الجوهري*-ის არაბული ენის ცნობილი განმარტებითი ლექსიკონი – *تاج اللغة وصحاح العربية* (ArAC 728, XV ს.) და მისი ძალზე მნიშვნელოვანი დამატება ორ ტომად: *كتاب التكميلة والنيل والصلة لكتاب تاج اللغة* – რომლის ავტორია *الصغاني* (ArAC 588 – XV ს., 589 – XV ს.); *الزرنجي*-ის პოპულარული პედაგოგიური ტრაქტატი, განკუთვნილი მეცნიერების შემსწავლელთათვის – *تعليم المتعلم في طريق التعلم* – ArAC 213 (189r-209v), XVIII-XIX სს., 272 (35v-50 r), 1222/1807-8 წწ., 434 (33r-56r), 1254/1838-39 წწ. და სხვ.

კოლექცია სხვა ასპექტებითაც არის საყურადღებო. მასში გვხვდება ქრონოლოგიურად დედანთან ახლოს მდგომი, და, ამდენად, სავარაუდოა, გადამწერთა მიერ ნაკლებად შეცვლილი ტექსტები. ასეთია ავტოგრაფული ნუსხებიდან ან ავტორის გარდაცვალებიდან მცირე ხნის შემდეგ, ზოგჯერ პირველი ათეული წლების განმავლობაში, გადანერილი ხელნაწერები (ArAC 222, 298, 362, 72, 643, 338, 708 და სხვ.).

ზოგჯერ ამ კოლექციის ხელნაწერები, გარკვეულწილად, აღსაწერ თხზულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაზუსტება-დადგენის საშუალებას იძლევა, სახელდობრ, თხზულების სახელწოდების, ავტორის სახელის და სხვ. მაგ., სუფისტური შინაარსის თხზულებას – *الرسالة المكية*-ს (ArAC 322, 3v-50v,

1101/1690 წ.) ანალოგი ეძებნება მხოლოდ უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა კატალოგში, სადაც აღნიშნულია, რომ თხზულება უსათაუროა და ავტორად მითითებულია **قطب الدين الدمشقي** (Семенов 1955: 2781). ჩვენს ხელნაწერში კი თხზულების ანდერძში (50v) მოცემულია ამ თხზულების დასახელებული სათაური, და აქვე და მინაწერებშიც (3r, 93v) მოტანილია ავტორის სრული სახელი – **محمد بن حسين المكي الشافعي ملقب بشيخ قطب الدين الدمشقي** ასე რომ, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერში მოცემული სახელი ყოფილა მხოლოდ ზედწოდება, შერქმეული სახელი – ლაკაბი.

უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლური ხელნაწერების დასახელებულ კატალოგში ფიქსირებულია **سماط الفقهاء** – „მოსამართლეთა კატეგორიები“ და აღნიშნულია, რომ იგი ნასესხებია უცნობი ავტორის წიგნიდან, **زينة الفتاوي** –დან, რომელიც არ იხსენიება არც ჰაჯი ხალქასთან, არც კ. ბროკელმანთან და არც სხვა ცნობილ ხელნაწერთსაცავების კატალოგებში (Семенов 1957: 3026). მაგრამ უცნობად მიჩნეული ავტორის ეს თხზულება **زينة الفتاوي** წარმოდგენილია ჩვენი კოლექციის ხელნაწერში – ArAC 639-ში, ამაზე პირდაპირი მითითებაა გაკეთებული თხზულების წინასიტყვაობასა და მინაწერში ხელნაწერის პირველ გვერდზე. აქვეა მითითებული აქამდე უცნობი ავტორის სახელიც. იგი აღმოჩნდა **محمد بن يوسف القرمانى الاركانى**

მნიშვნელოვანია, შუააზიელ ავტორთა ორიგინალური თხზულებების საკითხი. კოლექციაში, ერთი მხრივ, წარმოდგენილი არიან მუსლიმურ სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი ავტორები, მაგალითად, იბნ სინა (ავიცენა), რომელიც ბუხარელი სწავლულია. ზემოთ დასახელებული ჰადისების პირველი კრებულის ავტორიც ბუხარელია – **محمد بن اسمعيل البخاري**; ბუხარელები კიდევ სხვებიცაა. ცნობილი სამარყანდელი ავტორების მთელი წყებაა წარმოდგენილი: **ابو الليث نصر بن محمد بن احمد السمرقندي** ' **نصير الدين ابو القاسم محمد بن يوسف السمرقندي** ' **محمد بن اشرف السمرقندي** და სხვ.

ამათ პარალელურად კოლექციაში მცირე რაოდენობით გვხვდება ნაკლებად ცნობილ, ან სულაც უცნობ ადგილობრივ ავტორთა თხზულებები, რომელთაც პარალელები არ ეძებნებათ ჩვენთვის ხელმისაწვდომ არაბულ ხელნაწერთა ძირითად გავრცელებულ კატალოგებში და საცნობარო ლიტერატურაში; ანალოგიური შემთხვევები სხვა შუააზიურ არაბულ ხელნაწერთა კოლექციებშიც დასტურდება და მათი კატალოგების შემდგენლები ასეთი ხელნაწერების უნიკუმებად ჩათვლას სავსებით შესაძლებლად მიიჩნევენ (Беляев 1952; Семенов 1957: 3290). ვფიქრობთ, ამის შესაძლებლობა ჩვენი კოლექციის აღნიშნულ ხელნაწერებთან დაკავშირებითაც არ არის გამორიცხული, მით უფრო, რომ ზოგიერთ მათგანში სრულიად უცნობი ავტორის ნისბა – სადაურობის აღმნიშვნელი სახელი – მის შუააზიურ წარმომავლობაზე მიგვანიშნებს. მაგალითად, ბუხარელია შემდგენელი სამართლის დარგის თხზულებისა, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს **تحرير الكتب الفقهية** – ArAC 701(11r-17r), 1194/1780 წ., ავტორის სახელია **رومელიق ليقير-باقياري (?مفتي بن ملا بن باباء حاجي المحتيب البخاري**

ატურაში არ იძებნება. ბუხარელია აგრეთვე უცნობი, დოგმატიკური ხასიათის თხზულების გლოსების – *س-حاشية علي شرح التفتازاني علي العقائد النسفي* – ავტორი – *بن محمد أمين محمد عبيد الله البخاري* – ArAC 604 (242v-293v), XIX ს. უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა კატალოგში აღწერილია *محمد قاسم بن محمد صالح البخارزي* – იმავე დოგმატიკური თხზულების სუპერგლოსები – *الخياي علي شرح التفتازاني في العقائد النسفي حاشية علي حاشية*, რომლებსაც პარალელები არ დაეძებნა შესაბამის ლიტერატურაში და რომლებსაც აღმწერლები უნიკუმად მიიჩნევენ (Семенов 1957: 3290). დასახელებულ სუპერგლოსებს პარალელი აღმოაჩნდათ ჩვენი კოლექციის ArAC 389 ხელნაწერის სახით. ასე რომ, ეს ხელნაწერი უნიკუმების კატეგორიას უნდა განეკუთვნებოდეს და საერთოდ, როგორც ჩანს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუააზიური არაბული ხელნაწერების კოლექციას თავისი გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია შუააზიელ სწავლულთა ორიგინალური თხზულებების შესწავლის საქმეში. ჩამოვთვლით, აღნიშნული თვალსაზრისით, მხედველობაში მისაღებ ხელნაწერებს.

ხელნაწერები, რომელთა შემადგენელი თხზულების სახელწოდება და ავტორის სახელი მოცემულია, მაგრამ რომელთაც პარალელები არ ეძებნებათ სათანადო ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის ხელმისაწვდომში, ასეთებია: *قصائد بالابجدية* (პოეზია) – ArAC 72 (124r-130r), 726/1326 წ., რომლის ავტორია *ساعد الهروي يحيى بن*; ArAC 708, 938/1531 წ. – *يوسف بن عبد اللطيف الطبيب عرب الشامي محمد* (მედიცინა) ავტორი – *عبد السلام بن عبد العزيز بن الهداد* – *رسالة العجيبة* (სამართალი), ავტორი – *عبد السلام بن عبد العزيز بن الهداد* – ArAC 555 (22v-237r), 1288/1871 წ. – *كنز الكنوز* (სამართალი), ავტორი – *عبد الرسول الازبكي* თხზულებები, რომელთა ავტორები არ ჩანს: ArAC 72 (29r-60v), 716/1317 წ. – *الصراف كتاب منبغ في علم* (გრამატიკა); ArAC 716 (108v-109r), 1023/1614 წ. – *رسالة الحمل والمحال* (ლოგიკა); ArAC 599 (6v-12r), 1261/1845 წ. – *حل اللغة الكتاب* ArAC 535 (81v-124r), 1234/1818-19 წწ. – *شرح علي مطالب المصلي للكيدابي* (სამართალი) და სხვ. საერთოდ უავტორო კომენტარები და გლოსები საკმაოდ ბევრია.

თხზულებები, რომლებიც მხოლოდ ერთ, ან ორ კატალოგში დასტურდება: ArAC 582 (219r-224r), XIX ს. – *الرسالة الشمسية المخصوصة* (ლოგიკა), უკავშირდება ანალოგიური თხზულება დაფიქსირებულია მხოლოდ თურქმენეთის არაბულ ხელნაწერთა კატალოგში (Халимов 1988: 531-532). სევე, მხოლოდ ამ კატალოგში ფიქსირდება *حاشية علي التهذيب* – ArAC 482, 1178/1764-65 წწ. (ლოგიკა), რომლის ავტორია *عناية الله البخاري* (Халимов 1988: 566).

სავარაუდოა, რომ ნაკლებად ცნობილი შუააზიური ორიგინალური არაბული თხზულებების შექმნა ადგილობრივი პირობებით და საჭიროებით იყო განპირობებული. ყოველ შემთხვევაში ასეთი ჩანს, როგორც სათაურიდანაც ირკვევა, ბუხარის მოსახლეობისადმი განკუთვნილი ფეთეების (იურიდიული დასკვნები) შესავალი, რომელიც წარმოდგენილია XVIII საუკუნის ხელნაწერში ArAC 502

(37r-182r): *كتاب فتاري اهل بخاري* – წიგნი ბუხარის ხალხის ფეთეებისა.

შესაძლებელია, ადგილობრივი ყოფითი პირობებით იყოს ნაკარნახევი ჰადისების შემცველი თხზულებებიდან გამოკრებილი ამონარიდებით საგანგებო კრებულის შედგენა: *هداية المسلمين* – „მუსლიმთა საჩუქარი“, რომლის ავტორია *حبيب الله بن عبد الرسول الأسطني* – ArAC 555 (3v-15v), XIX ს.

ყოველივე აღნიშნული, ვფიქრობთ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის შუაბზიურ არაბულ ხელნაწერთა კოლექციას ფასეულს ხდის. იგი შუა აზიის მოსახლეობის კულტურულ დონეს წარმოაჩენს, ამასთანავე, საინტერესო და მნიშვნელოვანია მათი ლიტერატურისა და ისტორიის შემსწავლელთათვის. ამდენად, ამ კოლექციის კატალოგის გამოქვეყნება საშური საქმეა, რაზეც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა. მისი გამოქვეყნებით დასრულდება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბულ ხელნაწერთა მთელი ფონდის კატალოგიზაცია და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. მომავალში შესასწავლი იქნება მხოლოდ ახლად შემოსული ხელნაწერები.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **Беляев** 1952: Беляев В. И., Арабские рукописи Бухарской коллекции Азиатского музея Института востоковедения АНССР, Ленинград, 1952.
2. **Семенов** 1955: Семенов А. Л., Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, под редакцией и при участии проф. А. Л.Семенова, т. III, Ташкент, 1955.
3. **Семенов** 1957: Семенов А. Л., Собрание восточных рукописей Академии наук Узбекской ССР, под редакцией и при участии проф. А. Л.Семенова, т. IV, Ташкент, 1957.
4. **Церетели** 1938: Церетели Г. В., „Нестан-Дареджан“ в среднеазиатском арабском фольклоре, Сборник Руставели, к 750-летию „Вепхისტკაოსანი“, Тб., 1938.
5. **Церетели** 1956: Церетели Г. В., Арабские диалекты Средней Азии – Бухарский арабский диалект, т. III, Тб., 1956.
6. **Халимов** 1988: Халимов Н. Б., Каталог арабских рукописей Академии наук Туркменской ССР, Ашхабад, 1988.

Rusudan Gvaramia, Nana Kanchaveli

National Centre of Manuscripts, Tbilisi, Georgia

COLLECTION OF CENTRAL ASIAN ARABIC MANUSCRIPTS FROM THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

General Overview

Arabic collection is one of the numerous among the collections of the Central Asian Manuscripts kept at the National Centre of Manuscripts of Georgia. In 1935, two famous Georgian scholars – Arabist, Academician Giorgi Tsereteli and linguist Stephene Chkhenkeli bought the Arabic manuscripts with Persian and Turkish ones during their scientific sabbatical in Central Asia. In the beginning these Manuscripts were kept in Simon Janashia Museum of Georgia, however, later on, they became property of National Centre of Manuscripts that was opened based on the manuscripts' department of the same museum, wherein their study and catalogization began. Firstly, the manuscripts, mixed up in each other due to their evacuation process during the 2nd world war period, were classified according to the languages and the consecutive collections were singled out. The Oriental manuscripts of Central Asia were separated by special AC type.

The Arabic collection of manuscripts from Central Asia consists of 665 pieces, the largest part of it represents commentaries written for main literary work, also annotations of the commentaries, glosses, superglosses and abbreviations that are all very characteristic to the Arabic scholastic literature. The chronologic framework of the collection is within XII-XIII centuries. Manuscripts that belonged to earlier period are found very few, however, the ones of the later period, for example, of XVII-XIX centuries are presented in large numbers. Among the names of places where the manuscripts have been rewritten we meet Samarkand, Bukhara with its surroundings, Khvarazm, Balkh etc. Bukhara is mentioned particularly often, which shall be normal as during centuries and especially that of the later period Bukhara represented a cultural centre of Central Asia. According to the artistic point of view, in fact, there could not be found richly decorated manuscripts except in one collection (ArAc 196), which has many *ḥunwans* (adorned titles) and decorated frames.

The Arabic collection of the Central Asian manuscripts kept at the National Centre of Manuscripts of Georgia shows similarity with the Bukhara collection of Arabic manuscripts protected at the Institute of Oriental Studies of StPetersburg. According to the former it is possible to argue about those traditional research and scholastic fields that were in the center of interest from government circles of Central Asia. They give us a representation on the common spiritual mood of such circles conditioning the creation and dissemination of manuscripts in large numbers.

In our collection there are presented fields of theology and law abundantly: Koran and its comments, prayers, Hadiths, dogmatics, phylosphy, law etc. As for the secular fields most of the manuscripts are from logic, grammar (above all) and rhetoric and less are found from mathematics, astronomy, medicine, lexicography, pedagogics, artistic prose and poetry. As for the field of history there is only one manuscript which belongs to the field. The collection mainly contains famous and popular works of the Muslim world among which we could distinguish not only one but many as remarkably important. It is worth noting that local authors could also be found in the manuscripts. Some manuscripts do not even have parallels in the well-known catalogues and reference literature and some are only mentioned in one or two Central Asian manuscript catalogues. Such manuscripts according to the specialists' point of view sometimes are counted as unica. As it seems they are matching with local conditions. Some of them according to the titles are obviously of such character as introduction of the law verdicts, so called Fatwas (ArAe 502 | III) designated for Bukhara population. All these add value to the abovementioned collection. It shows the cultural level of the central Asian population and is also interesting and significant for those who study the Central Asian literature and history.

ბიორგი ქავთარაძე

ტორე დელ გრეკოს ქართული ხელნაწერები¹

ევროპულ-ქართული ურთიერთობის ისტორიაში ერთ-ერთი მთავარი როლი მისიონერულმა მოძრაობამ შეასრულა, რაც აღმოსავლურ ქვეყნებთან ევროპის დიპლომატიური ურთიერთობების გააქტიურებამ გამოიწვია. კათოლიკური ეკლესიის მისიონერული საქმიანობა აღმოსავლეთის მიმართულებით სათავეს ჯვაროსნული ლაშქრობებიდან იღებს და XIX საუკუნემდე გრძელდება. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს XVII საუკუნის მეორე ნახევარი წარმოადგენს, რომელიც რომის პაპმა ალექსანდრე VII-მ (1655-1667 წწ.) 1661 წლის 13 ივნისის დეკრეტით საქართველოში გამოგზავნა კაპუცინთა ორდენის მისიონი (ლათ. Capucino (კაპუცინი); იტალ. Cappuccino (კაპუჩინი), თამარაშვილი 1902: 122-123). სწორედ კაპუცინთა ორდენის წარმომადგენელი არის ჩვენთვის საინტერესო პიროვნება ბერნარდე-მარია ნეაპოლელი (იტალ. Bernardo Maria da Napoli (1629-1707), ერისკაცობაში – Antonio Cioffi), რომელმაც საქართველოდან იტალიაში დაბრუნებისას უამრავი ქართული ხელნაწერი წაიღო, მის მიერ შედგენილი და ქართული ბიბლიოთეკებიდან გადაწერილი. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ საქართველოდან წაღებულ ხელნაწერებს XIX საუკუნის მინურულს მიაკვლიეს ავსტრიელმა ქართველოლოგმა ჰუგო შუხარტმა (გერმ. Hugo Schuchardt, შუხართი 1896) და ქართველმა ისტორიკოსებმა: ალექსანდრე ცაგარელმა და მიხეილ თამარაშვილმა (ლათ. Michel Tamarati). ეს ხელნაწერები ინახებოდა ნეაპოლის რეგიონში, ვულკან ვეზუვის მახლობლად მდებარე დაბა ტორე დელ გრეკოში (იტალ. Torre del Greco – სიტყვასიტყვით – ბერძნული კოშკი).

როგორც ცნობილია, ქართული ხელნაწერები საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა მიზეზის გამო ნადგურდებოდა. მიგვაჩნია, რომ დღესდღეობით მსოფლიოში თუ სადმე არის შემონახული და გადარჩენილი ქართული ხელნაწერები, უნდა მოხდეს მათი მოძიება და შესწავლა. ამჯერად ჩვენ შევეცადეთ საუკუნის წინ ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ ერთმანეთისგან და-

¹ მოხსენება ნაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

მოუკიდებლად მიკვლევული ხელნაწერების აღწერილობათა შეჯგერებას, რათა დაგვეზუსტებინა ქართული ხელნაწერების კიდევ ერთი სავანის, ტორე დელ გრეკოს, ხელნაწერთა სია. ტორე დელ გრეკოდან ხელნაწერები XX საუკუნის განმავლობაში იტალიის სხვადასხვა საცავში გადანაწილდა. ასევე შევისწავლეთ ტორე დელ გრეკოდან გადატანილი ქართული ხელნაწერების ისტორია, შევეცადეთ გაგვერკვია, რამდენად ზუსტია ქართველი და ევროპელი მეცნიერების აღწერილობები. ჩვენ შევეცდებით, პასუხი გავცეთ კითხვებს: რა სახის აღწერილობას გვთავაზობენ ჰუგო შუხართი, ალექსანდრე ცაგარელი და მიხეილ თამარაშვილი; რა საერთო და განსხვავებაა მათ მიერ შედგენილ სიებს შორის და როგორია ამ ქართული ხელნაწერების შესწავლის ისტორიოგრაფია.

ბერნარდე ნეაპოლელის ბიოგრაფიიდან ცოტა რამ ვიცით: ის 1629 წელს იტალიაში დაიბადა; 1653 წელს მისიონერულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, ამ მისიონერულ საქართველოში ორჯერ ჩამოვიდა: პირველად 1661 წელს კაპუცინთა პირველ მისიონს ჩამოჰყვა და იმავე წელს გაბრუნდა; მეორედ ბერნარდე საქართველოში 1670 წელს ჩამოვიდა (პაპაშვილი 1995: 683). მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მ. თამარაშვილი აღნიშნავს: „პროპაგანდა, 7 ივლისსა 1670 წ., სწერს... პატრს სერაფინოს (იმ დროს თბილისში მყოფი კაპუცინი – გ. ქ.), რომ ორი ახალგაზრდა ქართველი გაგზავნოს პროპაგანდის კოლეგიაში სასწავლებლად. ამ ორი ქართველის სამგზავროდ ფული მიუცია 50 სკუდე იმ კაპუცინებისათვის, რომლებიც ამ დროს რომიდგან საქართველოს მოდიოდნენ. ამათგან ერთი იყო შესანიშნავი პატრი ბერნარდე ნეაპოლელი“ (თამარაშვილი 1902: 238), ამჯერად მან საქართველოში ათი წელი დაჰყო (პაპაშვილი 1995: 329) ყოველ შემთხვევაში 1681 წელს ის უკვე იტალიაში იყო. იტალიაში დაბრუნებულმა ფილოსოფია და თეოლოგია შეისწავლა; 1686 წლამდე პროვინციის მინისტრად მუშაობდა; 1707 წლის 2 თებერვალს 78 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბერნარდეს ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით ნ. კ. ორლოვსკაია სწორად შენიშნავს, რომ ბერნარდე ნეაპოლელს ჯერ კიდევ იტალიაში ყოფნის დროს უნდა შეესწავლა ქართული, სადაც 1629 წელს დაიბეჭდა ნიკიფორე ირბახის მიერ ქართული ტიპოგრაფიული შრიფტით შედგენილი ქართულ-იტალიური ლექსიკონი და ანბანი, ხოლო 1643 წელს კი ფრანცისკე-მარია მაჯომ (იტალ. Francesco maria maggio) გამოსცა ქართული ენის გრამატიკა. ამიტომ, როცა ბერნარდე საქართველოში ჩამოვიდა, მან მალევე შეძლო მთარგმნელობითი საქმიანობის შესრულება (Орловская 1986: 96-97).

როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენეს, ბერნარდე ნეაპოლელის მიერ საქართველოდან წაღებული ქართული ხელნაწერები, რომლებსაც XIX საუკუნის ბოლოს მიაკვლიეს იტალიის დაბა ტორე დელ გრეკოში, კაპუცინთა მონასტერში, სამწუხაროდ, საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. ჰუგო შუხართი 1896 წელს ნეაპოლში გამოქვეყნებულ სტატიაში – „ქართული ხელნაწერები ტორე დელ გრეკოში“ (Schuchardt 1896: 5-6) ბერნარდეს ნიგნების აღწერისას მისიონერის მიერვე შედგენილ ხელნაწერთა კატეგორიებს ჩამოთვლის:

1) თეოლოგიური ხელნაწერები, მისგან ნათარგმნი და გადაწერილი.

2) ლექსიკონები, ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული, დიდი ნაწილი ქართული ენის ზეპირსიტყვიერი ნიმუშების.

3) ქართული ლიტერატურის გადაწერილი ნაშრომები, თარგმანები (სახარების, მოციქულთა წერილების) ან ორიგინალები (ლექსის მონაკვეთის, ისტორიული ნაშრომის, ბაამანის ვრცელი რომანის, მეფე ერანხერის, რეშანი და მანიჟანის პოემის, ნოველების წიგნის).

ეს ჩამონათვალი ემთხვევა ჰუგო შუხართის მიერ საქართველოში გაზეთივერიისადმი მოწერილ წერილში აღნიშნულ ჩამონათვალს (შუხართი 1896: 2-3):

1) ორი ლექსიკონი: ქართულ-იტალიანური და იტალიანურ-ქართული, საკმაოდ ვრცელი და სადაც არის მოყვანილი ზმნათა უღვლილების სხვადასხვა ფორმა (განსაკუთრებით წარსული დროისა).

2) თეოლოგიური თხზულებები დაწერილი ანუ ნათარგმნი თვით მამა ბერნარდო დე ნაპოლისა.

3) გადმოწერილი ქართული თხზულებები: თარგმანი...² მოციქულთა ეპისტოლეები, ქართველ დიდებულთა მიწერ-მოწერა (პირველი მათგანი არის Lettera d'Alessio de Ghiorghianani scritta al soma pontifice), მოთხრობები (ჩემი აზრით, ისინი უნდა ეკუთვნოდნენ სულხან-საბა ორბელიანს) ერთი პოემის ნაწყვეტი. ისტორიული წიგნის ნაწყვეტი, რომელიც ეხება 1250 წ. (?) პოემას „რეიანიანი“ (de Reiani de marizana). რომანი (ძალიან გრძელი) მეფე ბაამანისა (?) (gran re d'Erani).

რამდენადმე განსხვავდება ამ ხელნაწერების ქართველი აღმომჩენების, ალექსანდრე ცაგარლისა და მიხეილ თამარაშვილის აღწერილობები (სილოგავა 2009: 682-683). ჰუგო შუხართის აღწერიდან ორი წლის შემდეგ, 1898 წ. ალექსანდრე ცაგარელმა ეს ხელნაწერები აღწერა, უფრო სწორად კი, ბერნარდეს მიერ შედგენილი კატალოგი გადმოწერა (ხეც, ა. ცაგარელის არქივი, №8), ამ კატალოგის მსგავსია მ. თამარაშვილის არქივში დაცული აღწერაც (ხეც, მ. თამარაშვილის არქივი, №105), რომელიც ა. ცაგარლის აღწერასთან შედარებით უფრო მცირეა. კატალოგის სია ასეთია:

1. სამი ეგზემპლარი 1671 წელს დაბეჭდილი კატეხიზმოსი ქართულ ენაზე.

2. ხელნაწერი – ქართულად ამბავი მცირერიცხოვანი კუნტი ნეაპოლელის განთქმული ამბავი.³ რომ მე დავუჩქარე ხელნაწერის შენახვა – ნაწილი ზღაპრის, ანუ ქართული პოემის, მიკვლეულ იქნა ერთადერთ დიდ სიაშია, დაწერილია საუკეთესო ხელით და ლამაზი სტილით, დასაწყისიდან მოყოლებული სრულად.

3. სომხური წიგნი, ნამდვილად კატეხიზმო 1666 წლის.

² ...სიტყვა, რომელიც აქ არის მოყვანილი დიდად პატივცემულის პროფესორის წერილში ვერ გავარჩიეთ, რადგან მელანი აქვს დასხმული.

³ დანარჩენი ზღაპრები არ არის შემორჩენილი ორიგინალში, ეს იყო ერთადერთი, რადგან ზღაპარი უნდა ყოფილიყო ძალიან ვრცელი.

4. ხელნაწერი – იტალიურ-ქართული ლექსიკონი.

5. ხელნაწერი – წერილი ქართულ ენაზე, სამი სახის უწყება (წერილი განსხვავებულად დაწერილი ალექსი გიორგიანანის (ალექსი ქართველის (გ. ქ.) ჩემთან მოწერილი):

პირველი განსხვავებული აზრების ასევე განსხვავებულ აზრებში.

მეორე განსხვავებულად დაჭრილი ავტორის მიერ, ვინც ეს შეადგინა.

მესამე მამა ბერნარდე მარიამ ნეაპოლელის მქადაგებელი კაპუცინის და მისიონერი მოციქულის წერილები.

6. ხელნაწერი – ღვთის ნებაში ვარჯიშობა ქართულ ენაზე.

7. ხელნაწერი – პავლეს ეპისტოლე და მოციქულთა საქმენი: კანონიკე, დაწერილი ჩემგან მამა ბერნარდე მარიამ ნაპოლოლელი კაპუცინი და მისიონერი მქადაგებელი.

საქართველოს ეკლესიის სამოციქულო (კათოლიკე) (ქართულად ნაწერი) ხუცურიდან საერო ქართულ ენაზე.

8. ხელნაწერი – თეოლოგიური შეთანხმება ქართულად, იტალიურად ნათარგმნი, რომელსაც აქვს სათაური: „წმინდა სულზე, მამაზე და ძეზე გადანერის შედეგად წარმოქმნილი კამათის თარგმანი“, ქართულად მამა ბერნარდე მარიამ ნეაპოლელის მქადაგებელი კაპუცინის და მისიონერი მოციქულის შედგენილი საქართველოში და მისივე თარგმანი იტალიურად.

9. ხელნაწერი – ა) გვერდები ქართული პოემის სამყაროს აღსასრულის თაობაზე „ვრცელი პოემა რესკანიანო“ და მათ შორის „რესკიანო და მანისგინა“.

ბ) მოთხრობა „ერანის დიდი მეფე ბაამა“ ჩემი გადმოწერილი მამა ბერნარდე მარიამ ნეაპოლელი კაპუცინი (მქადაგებელი და მისიონარი მოციქული საქართველოში) ქართლის პრინცის ძის პრინც გიორგი ბაგრატიონის წიგნიდან.

გ) რომელიღაც გვერდებზე, რომლის ბოლოში მინაწერია: „ეს, რომელიც ეკუთვნის საქართველოს ისტორიის წიგნს დაახლოებით ქრისტეს აქეთ 1250 წელს (როგორც ჩანს), დაწერილი ხუცურად ანუ სამღვდლო ენაზე, მაგრამ გადმოვწერე ხალხური ენაზე მხედრულად მე, მამა ბერნარდე მარიამ ნაპოლოლელმა კაპუცინმა და მისიონერმა მქადაგებელმა საქართველოს მოციქულმა“.

დ) ისტორიის გვერდები, ასლი საქართველოს ძველი წიგნიდან, რომელსაც არ აქვს დასაწყისი, არასრულია.

10. ორი ფურცელი ქართული ანბანის სამღვდლო და საერო ენაზე (ხუცურად და ნუსხურად – გ. ქ.).

11. დიდი ქრისტიანული დოქტრინა კარდინალ ბელარმინის ქართულად ნათარგმნი მამა ფრანჩისკე პიემონთელისაგან [გარკვეულ] თავამდე და დანარჩენი მხედრულიდან თარგმანი მამა ბერნარდე ნეაპოლელის.

12. საეჭვო სათაურის წიგნაკი – როგორც ჩანს, ის იყო, რათა ყოველდღე ეფიქრა ქრისტიანულ სიონზე.

13. წ. ფრანჩესკო ლალეს ფილოტეა, ნათარგმნი მამა ბერნარდე მარიამ ნეაპოლელის, ნამდვილად შედგენილი ორად, რომელსაც ვუბრუნებ ქართველ ერს.

14. შავად გაკეთებული ქართულ-იტალიური ლექსიკონი მამა ბერნარდე მარიამ ნეაპოლელის კაპუცინი და მოციქული მისიონერის.

15. ასლი = „ოთხივე სახარება“ ქართულად – ქართული ვერსია გადმოვწერე მე, მამა ბერნარდე მარიამ ნეაპოლელმა კაპუცინმა და მისიონერმა მოციქულმა.

რაც შეეხება მიხილ თამარაშვილს, მისი მიკვლევის თარიღი უცნობია, მაგრამ 1902 წელს მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში – „ისტორია კათოლიკოსობისა ქართველთა შორის“ – არის ხელნაწერთა შემდეგი სია:

1) რომანცი ან ქართული ზღაპარი „ბაამა“ ერანის დიდი მეფის თავგადასავალი. გადმოუწერია ერთი ძველი წიგნიდან, რომელიც უთხოვია მეფე შაჰნავაზის შვილს გიორგის, როდესაც ჯერ გამეფებული არ ყოფილა. წიგნი in-folio, შეიცავს 113 გვერდსა.

2) ამავე წიგნთან ერთად შეკრულია ქართლის ცხოვრება მხედრულად, რომელიც გადმოუწერია ერთი ხუცური ძველი წიგნიდან, ხუცურ წიგნს თავიც და ბოლოც ჰკლებია და სიძველისაგან შიგაც გაფუჭებული ყოფილა; ეს მშვენიერი წმინდა ნაწერია და ეხება 1250 წ. ისტორიას, შეიცავს 40 გვერდამდე; ცოტათი განსხვავდების ბროსეს მიერ გამოცემული ქართლის ცხოვრებიდან.

3) ლექსიკონი იტალიანური და ქართული მოდიდო წიგნი არ არის.

4) შემოკრებული რავდენიმე ქართული წერილი, რომელიც თვითონ მიუღია, ანუ მიუწერია და ან თავის აქ ყოფნის დროს ხელში ჩავარდნია, რომელთაგან რავდენიმე მოვიყვანეთ ამ წერილში.

5) სასულიერო წიგნი ღვთის ნებაში ვარჯიშობა; არ ვიცი, ნათარგმნია, თუ თავისი შედგენილი.

6) სამოციქულო, მხედრულით გადმოუწერია იმ ხუცური წიგნებიდან, რომელსაც იმ დროს ხმარობდნენ საქართველოს ეკლესიებში.

7) სახარება ოთხივე მახარებელიც, მხედრულად გადმოწერილი.

8) კატეხიზმო ზოგი თავისი ნათარგმნი და ზოგიც ფრანჩისკე პიერმონთელისაგან.

9) პატარა სასულიერო წიგნი განზრახვისა.

10) ქართულად თარგმანი შესანიშნავი „ფილოტეა“ სასულიერო წიგნისა.

11) ბჭობა კათოლიკე სარწმუნოებაზე; თვითონ შეუდგენია და იტალიანური თარგმანიც შიგვე ჩაურთავს.

12) ქართული ზღაპრები; პატარა წიგნია და შეიცავს 10 ზღაპარს.

13) განთქმული პატარა პოემა რესკარიანისა რომელშიც მოთხრობილია რესკარის და მანისკანის თავგადასავალი სულ შეიცავს ხუთ გვერდს; გადმოუწერია მეფის შვილის გიორგის ნათხოვი წიგნისგან.

მათი შეჯერებისას ვიღებთ 13 დასახელების ხელნაწერს, რა თქმა უნდა, ყველა ამ ხელნაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისთვის, მაგრამ მათგან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია „ქართლის ცხოვრების“ ნაწყვეტი, რომელშიც ყამთააღმწერლის ასწლოვანი მატანია. ის დღემდე აღმოჩენილი ქართლის ცხოვრებების ამ ნაწილის ნუსხებს შორის უძველესია.

ასევე მნიშვნელოვანი ხელნაწერებია XVII საუკუნის საქართველოს ეკლესიის ისტორიის, იტალია-საქართველოს ურთიერთობის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურის შესწავლის თვალსაზრისით.

1. ბერნარდესეული „ქართლის ცხოვრება“ (ჟამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანე (1235-1303 წწ.)).

ეს ხელნაწერი ფიქსირდება სამივე მეცნიერის აღწერებში, მ. თამარაშვილს მითითებული აქვს მისი მოცულობა „40 გვერდამდე“, ხოლო ა. ცაგარელი ადასტურებს მ. თამარაშვილის ცნობას და აზუსტებს მოცულობას, ის უფრო მეცნიერულად აღწერს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერს: მის დასაწყის, შიგადაშიგ რამდენიმე გვერდს, თუ რომელ გვერდზე რა წერია და დასასრულს. წინასწარი შედარებით ტექსტი განსხვავდება დღემდე მიკვლეული „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებისაგან, როგორც ბერნარდესე შედგენილი კატალოგების აღწერიდან არის ცნობილი, მას, მართლაც, „ქართლის ცხოვრებისა“ და ჟამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანის თხზულება არასრულყოფილად ჰქონია და „თავიც და ბოლოც ჰკლებია“, დღემდე ცნობილ ამ ისტორიულ თხზულებას რომ შევადაროთ, ბერნარდესე თითქმის მთელი ასწლოვანი მატიანე გადაუწერია. დაწყებული რუსუდან მეფის დასავლეთ საქართველოში გადასვლიდან და ავაგ ათაბაგის მიერ ანისს დაბანაკებული ჩორმადანისადმი გაგზავნილი ელჩობიდან ვახტანგ III-ის მეფობის ჩათვლით და ყაზან ყაენის მიერ იერუსალიმის აოხრებამდე (დაახ. 1235-1303 წწ.). ა. ცაგარელი უფრო აზუსტებს ხელნაწერის მოცულობას და, მისი ცნობით, ის შედგებოდა ოცდათექვსმეტნახევარი გვერდისაგან (ხეც, ა. ცაგარელის არქივი, N8).

2007 წელს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების კიდევ ერთხელ შესწავლის დროს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვალერი სილოგავამ ყურადღება მიაქცია „ქართლის ცხოვრების“ ორფურცლიან ფრაგმენტს. მან მეცნიერულად შეისწავლა ეს ხელნაწერი (H-1067), რომელიც ისევე, როგორც ა. ცაგარელის აღწერილობა, განსხვავდება დღემდე მიკვლეული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებისაგან. ხელნაწერის ფრაგმენტი, სათაურით „ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი)“ გამოიცა ორჯერ: 2008 წელს „ქართლის ცხოვრების“ ახალ გამოცემაში როინ მეტრეველის რედაქციით, რომელიც ვალერი სილოგავამ მოამზადა გამოსაცემად (ქართლის ცხოვრება 2008: 713-728, 730) და 2009 წელს ცალკე წიგნად გამოსცა (სილოგავა 2009: 19). ამ ფრაგმენტის ისტორიოგრაფიასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული „ქართლის ცხოვრების“ ორფურცლიანი ხელნაწერის კონვერტზე არის მინაწერი – „თამარაშვილის ბიბლიოთეკიდან“ მასზე ექვთიმე თაყაიშვილს უმუშავია, რომელსაც მინაწერიც კი გაუკეთებია ხელნაწერზე: „ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებისა“, შეადარე ბროსეს გამოცემა, ტ. I, გვ. 409-419, ტორე დელ გრეკოს წიგნთსაცავიდან. ე. თ.“; ქრისტიანე შარაშიძეს ეკუთვნის მისი მეცნიერული აღწერილობა, სათაურია: „ქართლის ცხოვრება (ნაწყვ.) [მე-17-18 ს.]“. მიუხედავად

იმისა, რომ აღმწერი ხელნაწერს, სავარაუდოდ, XVII-XVIII საუკუნეებით ათარი-ლებს, აქვე შენიშვნაში აღნიშნავს, „ასო ნ-ს დამწერლობა და ზოგიერთი ასოების გადაბმის მანერა გვაფიქრებინებს, რომ ტექსტი ვახტანგ VI-ზე ადრინდელი – XVII საუკუნისა – შეიძლება იყოს“. ჩვენთვის უცნობია, თუ საიდან მოხვდა ეს ხელნაწერი ტორე დელ გრეკოს არქივიდან მიხეილ თამარაშვილის ბიბლიოთეკაში, შესაძლოა, არქივის თანამშრომლებს გადაეცათ.

ხელნაწერის მეცნიერულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჟამთააღმწერლის „ასნლოვანი მატინის“ ეს ნუსხა დღემდე მოძიებულ და შესწავლილ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებს შორის უძველესია (ქართლის ცხოვრება 2008: 8-10). ამასთან, როგორც მ. თამარაშვილთან, ისე ა. ცაგარელთან მოიპოვება ცნობა, რომ ეს ხელნაწერი ბერნარდემ გადაწერა ძველი ნუსხური ხელნაწერიდან მხედრულად. ამ ხელნაწერს აქვს დიდი მნიშვნელობა „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორიისთვის, რადგან ის ერთადერთი ქართული ნუსხაა, რომლის არც დამკვეთი და არც გადამწერი არ არის ქართველი. ეს არის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა, რომელიც თავისი სურვილით დაახ. 1670-1679 წლებში გადაწერა იტალიელმა კათოლიკე მისიონერმა. აქედან გამომდინარე, თავს უფლებას ვაძლევთ, „ქართლის ცხოვრების“ აღნიშნულ ნუსხას ვუნოდოთ „ბერნარდესეული ქართლის ცხოვრება“.

XX საუკუნის განმავლობაში ქართველი მეცნიერები ცდილობდნენ, მიეკვლიათ ამ ხელნაწერისთვის იტალიაში, 50-იან წლებში იტალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერი მიხეილ თარხნიშვილი მიხეილ თამარაშვილის ზემოთ აღნიშნული ცნობით დაინტერესებულა და წერილით მიუმართავს ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკის გამგეობისთვის. ბიბლიოთეკიდან მიხეილ თარხნიშვილმა 1952 წლის 29 ნოემბერს პასუხად მიიღო ბერნარდესეული ხელნაწერების სია, მაგრამ მათ შორის არ არის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა. მ. თარხნიშვილი აქვე აღნიშნავს: „გავიგე, რომ მ. ბერნარდოს ხელნაწერთა ზოგი ცალი შეუძენია აღმოსავლეთის ინსტიტუტს ნეაპოლშივე. იქაც მივწერე, მაგრამ ჯერედ პასუხი არ ჩანს“ (თარხნიშვილი 1994: 298). აღსანიშნავია, რომ ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიხეილ თარხნიშვილისადმი მიწერილ წერილში არ ფიქსირდება ბერნარდეს მიერ ჩაწერილი ქართული ზღაპრები, რომელებიც 1957 წელს თბილისის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას მრავალჯერადი მცდელობის შემდეგ გაცვლის საფუძველზე ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიკროფილმის სახით მოუპოვებია (ჩიქოვანი 1964: 61). ეს უკანასკნელი ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ არ არის გამორიცხული „ქართლის ცხოვრების“ ნაწყვეტის ნაწილი სწორედ ნეაპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახებოდეს, ან, როგორც მიხეილ თარხნიშვილი ვარაუდობდა, ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

შემდგომი მკვლევარი, ვინც დაინტერესდა ამ ხელნაწერით და მოიძია, 1976 წელს იტალიაში ჩასული ილია ტაბალუა იყო, მას პირველ რიგში „ტორე დელ გრეკოს“ მონასტერი მოუნახულებია, საიდანაც დიდი ხნის გატანილი იყო ქარ-

თული ხელნაწერები ნეაპოლის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში. ილია ტაბალუა 1984 წელს გამოცემულ ნაშრომში – „საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნოსაცავებში“ – აღნიშნავს: „ჩვენ ამჟამადაც განვაგრძობთ ბერნარდო მარია ჩოფის პირადი არქივის ძებნას იტალიაში და იმედი გვაქვს, ვიპოვოთ“ (ტაბალუა 1984: 52). სამწუხაროდ, როგორც დრომ გვიჩვენა, ქართველი მკვლევრის იმედი არ გამართლდა.

უკანასკნელი ცნობა კი, რაც ამ ხელნაწერთან დაკავშირებით გვაქვს, ეკუთვნის იტალიაში მოღვაწე ქართველი მეცნიერს, გაგა შურლაიას, წერილი, რომელმაც 2008 წლის 27 ივლისს ვალერი სილოგავას მოსწერა: „გავეცანი ნეაპოლის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდს... სამწუხაროდ, ფონდში არ აღმოჩნდა „ქართლის ცხოვრების“ ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტი (ბერნარდესეული „ქართლის ცხოვრება“ – გ. ქ.)“ (სილოგავა 2009: 12-13).

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ხელნაწერის ნაწილი მიკვლეული იქნება და ქართველი მეცნიერები შეისწავლიან მას.

2. ქართული ზღაპრების კრებული, რომელიც 12 ზღაპარს შეიცავს.

ამის შესახებ ვრცელი გამოკვლევა აქვთ ელენე ვირსალაძესა და მიხეილ ჩიქოვანს. XX საუკუნის პირველ ნახევარში ელენე ვირსალაძემ შეისწავლა ხელნაწერთა ინსტიტუტში მიხეილ თამარაშვილის არქივი, სადაც ამ უკანასკნელის მიერ ბერნარდეს ხელნაწერებში მიკვლეული ორი ქართული ზღაპარია გადანიშნული (ვირსალაძე 1948: 365-382). ხოლო მიხეილ ჩიქოვანმა 1957 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან მიღებული მიკროფირი შეისწავლა, სადაც 12 ზღაპარი და ერთი პოემის ნაწყვეტია, მისი შეფასებით, ბერნარდესეული ითვლება ქართული ზღაპრების შესწავლის ფუძემდებლად (ჩიქოვანი 1964: 115).

3. ქართულ – იტალიური ლექსიკონი (628-გვერდიანი).

4. იტალიურ – ქართული ლექსიკონი (360-გვერდიანი).

ამ ლექსიკონების თაობაზე გამოკვლევა ეკუთვნის ნ. კ. ორლოვსკაიას, მან ნეაპოლის ნაციონალური ბიბლიოთეკიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის მოპოვებული მიკროფირები შეისწავლა. „იტალიურ-ქართული ლექსიკონი შედგება 360, ხოლო ქართულ-იტალიური – 628 გვერდისგან“ (Orlovskaya 1986: 99).

5. ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართული ვერსიის, ანუ როსტომიანის, ნაწყვეტები.

ჰუგო შუხართთან ეს ნაწყვეტები წარმოდგენილია ცალკე ხელნაწერებად შემდეგი სახელწოდებებით: „ბაამანის ვრცელი რომანი“, „მეფე ერანერი“, „რეშანი და მანიჟანის პოემა“; ხოლო ალექსანდრე ცაგარელთან მე-9 ნომრითაა გადატანილი: ა) გვერდები ქართული პოემის სამყაროს აღსასრულის თაობაზე „ვრცელი პოემა რესკანიანო“ და მათ შორის „რესკიანო და მანისგინა“. ბ) მოთხრობა „ერანის დიდი მეფე ბაამა“ ჩემი გადმოწერილი მამა ბერნარდესეული

მარიამ ნეაპოლელი კაპუცინი (მქადაგებელი და მისიონერი მოციქული საქართველოში) ქართლის პრინცის ძის პრინც გიორგი ბაგრატიონის წიგნიდან“. ა. ცაგარელსა და მ. თამარაშვილთან მათი სახელწოდებები ცოტა განსხვავდება, ეს უკანასკნელი ასე აღწერს: „ბაამანის ვრცელი რომანი“ და „მეფე ერანიერი“ ერთი სახელწოდებითაა წარმოდგენილი – „რომანცე ან ქართული ზღაპარი „ბაამა“ ერანის დიდი მეფის თავგადასავალი“. ხოლო „რეშანი და მანიჟანას პოემას“ ის შემდეგნაირად ასათაურებს: „პოემა რესკარიანისა, რომელშიც მოთხრობილია რესკანის და მანისკანის თავგადასავალი“, (თამარაშვილი 1902: 683). ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მ. თამარაშვილის არქივში დაცულია მ. თამარაშვილის მიერ ბერნარდეს ხელნაწერებიდან გადმოწერილი ამ პოემის დიდი ნაწილი, რომელშიც „ბეჟანისა და მანიჟანისა“ შესახებაა მოთხრობილი, მას პოემის 799 სტრიქონი გადმოუწერია, პოემის დანარჩენ ნაწილზე ფრჩხილებში აქვს მითითებული – „კიდევ გადმოსაწერია ბოლო 64 სტრიქონი“ (ხეც, მ. თამარაშვილის არქივი, №102). ჩვენი აზრით, როგორც ეს უკანასკნელი, ისე ჩვენ მიერ დანომრილი მეოთხე და მეხუთე ხელნაწერი XVII საუკუნეში საქართველოში გავრცელებული ფირდოუსის „შაჰნამეს“ ქართული ვერსიის, ანუ „როსტომიანის“, ნაწყვეტებს უნდა ეკუთვნოდეს (კეკელიძე 1987: 310-319).

6. სასულიერო წიგნი ღვთის ნებაში ვარჯიშობა.

7. პატარა სასულიერო წიგნი განზრახვისა.

8. ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ქართულად ნათარგმნი სასულიერო წიგნი „ფილოტეა“ (წ. ფრანჩესკო ლალეს ფილოტეა ა. ც.).

9. ოთხივე მახარებლის სახარება. სახარებებთან დაკავშირებით საინტერესოა ა. ცაგარელის ცნობა, რომ „ოთხივე სახარება“ გადმოუწერია ბერნარდე ნეაპოლელს (ხეც, ა. ცაგარელის არქივი, №8).

10. სამოციქულო (პავლეს ეპისტოლე და მოციქულთა საქმენი ა. ც.), რომელიც XVII საუკუნეში საქართველოში გამოიყენებოდა, ბერნარდე ნეაპოლელის მიერ ხუცტური წიგნიდან მხედრულად გადაწერილი.

11. კატეხიზმო (კარდინალ ბელარმინის დიდი ქრისტიანული დოქტრინა ა. ც.), ბერნარდეს მიერ ქართულად ნათარგმნი (დაბეჭდილი, 1671 წ.), რომელზედაც მ. თამარაშვილი აღნიშნავს, რომ ბერნარდე ნეაპოლელისა და ფრანჩისკე პიერმონთელის ერთობლივი თარგმანია იტალიურიდან ქართულად (თამარაშვილი 1902: 682). ცოტა გაუგებარია, მ. თამარაშვილის ცნობა 1681 წელს რომში ბერნარდეს მიერ ქართულად ნათარგმნი კატეხიზმოს დაბეჭვდასთან დაკავშირებით, როცა ის ფრანჩისკე პიერმონთელს არ ასახელებს (თამარაშვილი 1902: 255), თუმცა არაა გამორიცხული, სხვა კატეხიზმოსთან გვეკონდეს საქმე.

12. ბჭობა კათოლიკე სარწმუნოებაზე, ბერნარდე ნეაპოლელის მიერ შედგენილი.

13. წერილები, რომლებიც ქართველებისგან ბერნარდესადმი ან სხვა პიროვნებებისადმი (მათ შორის პაპისადმიც) არის მიწერილი. ამ წერილებზე მიხედვით თამარაშვილის არქივსა და ნაშრომებში ხელი არ მიგვიწვდება, სამწუხ-

აროდ, არ ვიცით, რამდენად სრულყოფილადაა წარმოდგენილი ეს წერილები მ. თამარაშვილის შრომებში. ბერნარდე ნეაპოლელის წერილებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 1673 წელს, მისი მეორედ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, პროპაგანდისტის მიწერილი ვრცელი მოხსენება საქართველოში კაპუცინთა მოღვაწეობის შესახებ (ხეც, მ. თამარაშვილის არქივი, №103) და 1681 წელს, იტალიაში დაბრუნების შემდეგ, ასევე პროპაგანდისტის წარდგენილი ვრცელი მოხსენება საქართველოს თაობაზე (თამარაშვილი 1902: 254).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰუგო შუხართის, ალექსანდრე ცაგარლისა და მიხეილ თამარაშვილის მიერ ტორე დელ გრეკოს არქივის აღწერილობის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ, შეგვესწავლა ქართული ხელნაწერების ბედი. გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მიკვლეული ხელნაწერების ნაწილი XX საუკუნის განმავლობაში ქართველი მეცნიერებისთვის ცნობილი და ხელმისაწვდომი გახდა, რასაც მათი მეცნიერული შესწავლა მოჰყვა. მაგრამ გაირკვა ისიც, რომ ნაწილი ხელნაწერებისა კვლავაც იტალიის წიგნსაცავებში ინახება და შეუსწავლელია.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **თამარაშვილი 1902:** თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
2. **თარხნიშვილი 1994:** თარხნიშვილი მ., წერილები, თბ., 1994.
3. **პაპაშვილი 1995:** პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995.
4. **სილოგავა 2009:** სილოგავა ვ., ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე (ნაწყვეტი – ხელნაწერი H-1067), თბ., 2009.
5. **ტაბალუა 1984:** ტაბალუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბ., 1984.
6. **კეკელიძე 1987:** კეკელიძე კ., ბარამიძე ა., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987.
7. **ქართლის ცხოვრება 2008:** ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008.
8. **ვირსალაძე 1948:** ვირსალაძე ე., მასალები ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის, ლიტერატურული ძიებანი, ტ. 4, თბ., 1948.
9. **ჩიქოვანი 1964:** ჩიქოვანი მ., კრებ. „მრავლათავი“, I, თბ., 1964.
10. **შამელაშვილი 1975:** შამელაშვილი რ., რომელია სწორი?, გაზ. „თბილისი“, 1975, 7 იანვარი.
11. **შუხართი 1896:** შუხართი ჰ., წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია“, 1896, 26 აპრილი, №90.
12. **ქსე 1977:** ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977.

13. ხეც, მ. თამარაშვილის არქივი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, მიხეილ თამარაშვილის პირადი არქივი.
14. ხეც, ა. ცაგარელის არქივი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ალექსანდრე ცაგარელის პირადი არქივი.
15. Schuchard 1896: Schuchardt H., Georgische Handschriften in Torre del Greco, Beilage zur Allgemeinen Zeitung (Augsburg, München) 101 , 5-6, 1896.
16. Орловская 1986: Орловская Н. К., Вопросы литературных связей Грузии с Западом, Тб., 1986.

Giorgi Kavtaradze

THE GEORGIAN MANUSCRIPTS FROM TORRE DEL GRECO

SUMMARY

The main goal of the Capuchins' order mission in Georgia was investigation of Georgian people and Catholicism dissemination. Capuchin missionaries have positive relationships with Georgian orthodox church despite their confessional difference. As to relationships between Georgian royal authorities and Georgians, Capuchins did their best to establish good relationships with those. They saved many people from death and diseases which were widespread all along the world at those times. Owing to the missionaries' educational activities Georgian society became better educated. Bernardo di Napoli (1629-1707) contributed greatly to Capuchin order establishment in Georgia whereas despite fiasco of the first mission he came back to Georgia and resumed his educational efforts. He studied Georgian language profoundly which is testified by his dictionaries and manuscripts. As to historical importance of Bernardo di Napoli's activities, besides the fact that she provides us with data about Georgian society of 17th century, in the aspect of Georgian people and Georgian language study, he may be considered as one of the first researcher of Georgian culture. He saved a lot of manuscripts for us. We hope that Georgian scientist will be able to study manuscripts drawn up and saved by Bernardo di Napoli which are in Italy and are to be researched yet.

Bernardo di Napoli's Georgian Manuscripts:

1. Georgian fairytales book consisting of 12 fairytales;
2. Georgian-Italian dictionary (626 pages);
3. Italian-Georgian dictionary (360 pages);
4. Letters written to Bernardo di Napoli from Georgians and other people (including Pope);
5. Bernardo di Napoli's interpretation of Kartli Life (abstract from centenary chronicle which describes 1235-1303 period of time);

6. Georgian version of Firdousi Shakhname i. e. Rostomian abstracts;
7. Spiritual book Exercises on Lord's will;
8. Small spiritual intentions book translated in Georgian by Bernardo di Napoli;
9. Spiritual book Filotea;
10. Gospel of the four messengers;
11. Samotsikulo which was used in Georgia in 18th century copied by Bernardo di Napoli from Khetsuri kind of Georgian font into Mkhedruli kind;
12. Catechesis translated by Bernardo di Napoli into Georgian (printed in 1671);
13. Judgement about catholic confession drawn up by Bernardo di Napoli;

თამარ ჭუმბურიძე, ნინო ქიქარიძე

გერმანულენოვანი ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში¹

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს და სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ქართველი მეცნიერებისათვის და ქართული კულტურის მკვლევართათვის, ბუნებრივია, საინტერესოა, რომ გერმანიისა და ავსტრიის ბიბლიოთეკებსა და წიგნთსაცავებში მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერები ინახება – გარკვეული ნაწილი ქართული ისტორიისა და კულტურისა. საინტერესოა, რომ საქართველოშიც არის გერმანული საბუთები, წერილები თუ ხელნაწერები. არქივებისა და საჯარო თუ პირადი ბიბლიოთეკების გარდა, ამ მხრივ, საყურადღებოა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდი.

წლების განმავლობაში, ამ ფონდში დაგროვდა არაერთი უცხოენოვანი ხელნაწერი, რომელთა სისტემატიზაციის ერთადერთი ნიშანი მათი უცხოენოვნება იყო. აქ დაცულ ხელნაწერთა შორისაა სხვადასხვა ევროპულ ენაზე შესრულებული ტექსტი სხვადასხვა ეპოქიდან. ჩვენ დავინტერესდით გერმანულენოვანი ხელნაწერებით. ეს ხელნაწერები, გარკვეული დროის განმავლობაში, სპეციალისტთა ყურადღების მიღმა დარჩა და მხოლოდ ზედაპირულად იყო აღწერილი. მათი დათვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ გერმანულენოვანად მიჩნეული ტექსტების ერთი ნაწილი ლათინურ, ნაწილი კი – ჩეხურ და პოლონურ ენაზე იყო შესრულებული. აღნიშნულ ტექსტებს დართული ჰქონდა აღწერილობა რუსულ ენაზე, ძირითადად, მხოლოდ ტექსტის მოკლე შინაარსი. ტექსტებს გასდევდა ძველი პაგინაცია, რიგ შემთხვევაში არასრულფასოვანი.

გერმანულენოვან ხელნაწერთა სისტემატიზაცია აუცილებელი წინაპირობაა შემდგომში მათი კვლევისათვის.

აღნიშნული კოლექცია მცირერიცხოვანია (16 ერთეული), ხოლო მისი თემატიკა – არაერთგვაროვანი. აქ წარმოდგენილია, როგორც ლიტერატურული, ისე

¹ მოხსენება ნაკითხვლია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

სხვა სახის ტექსტები. თავის მხრივ, ლიტერატურული ტექსტები არის საერო და სასულიერო ხასიათის. რაც შეეხება არალიტერატურულ ტექსტებს, ესენია, სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის და საკანცელარიო ტექსტები: ამონარიდი (ექსცერპტი), რეფერატი, სამეცნიერო სტატია, რეცენზია სამეცნიერო ნაშრომზე, საკვალიფიკაციო ნაშრომი (დიპლომი) ტექნიკურ დარგში (სამთო ინჟინერია), ოფიციალურ-საქმიანი ტექსტები, მოხსენებითი ბარათი, სიგელები.

ხელნაწერთა უმრავლესობა საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოხვედრილა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმიდან, რაც დასტურდება ზემოხსენებული დანესებულების ბეჭდით. როგორც ჩანს, პირველადი პაგინაცია (ლურჯი ფერის ფანქრით) და ზედაპირული აღწერილობა რუსულ ენაზე, რომელიც ზოგიერთ მათგანს ბარათის სახით თან ერთვის, სწორედ აქ უნდა შესრულებულიყო.

ამრიგად, ეს ტექსტები სრულყოფილად არ არის შესწავლილი და, ფაქტობრივად, დღემდე უცნობია, როგორც ქართული, ისე უცხოური სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ ხელნაწერთა გერმანულენოვანი კოლექცია შედგება შემდეგი ტექსტებისაგან:

➤ **ხელით გადაწერილი რვეული – გერმანულენოვან ავტორთა ლექსების კრებული** (მათ შორის: მ. ლუთერი, ი. მოზენი, ფრ. ჰაგედორნი, ი. ვ. გოეთე, ფრ. შილერი, ა. ფრანცი და სხვ.). საინტერესო იქნება ამ ტექსტების შედარება შესაბამის აკადემიურ გამოცემებთან.

➤ **დოქტ. გუსტავ რადეს ნაშრომები**, კერძოდ: მისი ავტობიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც აღწერილია მისი მოგზაურობა გდანსკიდან დალესტანამდე. ამ ტექსტს ერთვის მისივე მოხსენება მდინარე ამურის შესახებ. ზომოხსენებული ნაშრომი ავტორის მიერ გავლილი ტერიტორიების გეოგრაფიული და ბოტანიკური მონაცემების აღწერას მოიცავს. ხელნაწერს დართული აქვს დანცინგის ადგილობრივი გაზეთის საკვირაო გამოშვების (Sonntagsblatt Unterhaltungsbeilage der Danzinger Zeitung) 1902 წლის 2 მარტის დამატება, სადაც გამოქვეყნებულია დოქტორ რადეს სტატია სათაურით – „შორეული წარსულიდან“ (Aus längst vergangener Zeit). ავტობიოგრაფიის ტექსტში შემავალი მოგზაურობის შთაბეჭდილებები შეიძლება დაიყოს ორ ნაკვეთად, რაც ხელნაწერშიც თვალში საცემია: პირველი ნაწილი „მოგზაურობის საბაბი – ყირიმი“ (Veranlassung zur Reise – die Krim) და მეორე ნაწილი – „აღმოსავლეთ ციმბირი“ (Ost-Sibirien). ტექსტის გარკვეული ნაწილი თავად ავტორის მიერ არის რედაქტირებული და შესაძლოა, ისევე, როგორც ზემოხსენებულ სტატიას, ამ უკანასკნელსაც ის გამოსაქვეყნებლად ამზადებდა. სამეცნიერო წრეებისათვის გ. რადე კარგადაა ცნობილი, როგორც გერმანელი კავკასიოლოგი, კარლ ჰანთან და არნოლდ მორიტიცთან ერთად. მათ ექსპედიციებს კავკასიაში წინ უსწრებდა ცნობილი გერმანელი პროფესორის კარლ კოხის სამეცნიერო ექსპედიციები, რომელთაგან ერთ-ერთში მონაწილეობას იღებდა ენათმეცნიერი გუსტავ როზენი და ამ სამეცნიერო

მუშაობის ერთ-ერთი ხელშემწყობი იყო ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტი. გერმანელთა ამ მოგზაურობებს ხელს ისიც უწყობდა, რომ საქართველოში იმხანად უკვე არსებობდა არაერთი გერმანული კოლონია. გუსტავ რადე იყო მეცნიერი, რომელმაც პეტერბურგის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე, დღის წესრიგში დააყენა კავკასიის მუზეუმის გახსნა, რომელიც 1870 წელს „გოლოვისნსკის პროსპექტზე“ გუბერნატორის სასახლის წინ გაიხსნა და, როგორც იურგენ ბროსტე აღნიშნავდა, ერთადერთი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იყო მთელი რუსეთის იმპერიაში (Breuste 1982; შპრინგჰორნი 2004: 23). ამრიგად, საინტერესოდ მიგვაჩნია ზემოხსენებული ხელნაწერების შესწავლა, მით უფრო, რომ ეს ხელნაწერი რადეს გამოქვეყნებულ ნაშრომთა სიაში ვერ მოვიძიეთ.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გერმანულენოვან კოლექციაში შედის ასევე, დოქტორ გუსტავ რადეს ჩანაწერები ანატომიასა და ფიზიოლოგიაში (Notizen zur vergleichenden Anatomie und Physiologie), რასაც თან ახლავს ავტორისეული ჩანახატებიც.

➤ **ლოცვათა წიგნი** მიძღვნილი ღვთისმშობლისადმი. ლოცვათა კრებული (Sammlung der Lobgedichte der Mutter Gottes gewidmet und Gebetbuch) შეუდგენია გერმანულ კოლონიაში ვინმე გ. ვანდრუსმანს ოდესაში 1827 წელს. ტექსტი სხვადასხვა კალიგრაფიითაა შესრულებული, აქვს სამგზის პაგინაცია. ლოცვის ტექსტში ჩართულია ამონარიდი კატეხიზმოდანაც. ხელნაწერი დაზიანებულია და საჭიროებს რესტავრაციას (3).

➤ მეორე ხელნაწერი, ასევე ლიტურგიკული ხასიათისაა, დაწერილი ძველ გერმანულ ენაზე და აკინძულია მცირე ზომის, ტყავის ყდაში ჩასმულ, ლითონის შესაკრავიან წიგნად. ტექსტს თან ერთვის რამდენიმე ფერადი მინიატიურა (პირველ გვერდზე ხარების სცენაა). ხელნაწერი ავსტრიიდანაა, რასაც მიუთითებს მინაწერი ტექსტზე „ბირკენი – ვენის უნივერსიტეტი“ (Birken – Universität Wien) ამ ხელნაწერში თარიღი მითითებული არ არის და მის დასათარიღებლად საჭიროა შემდგომი სპეციალური კვლევა. ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებულია და საჭიროებს რესტავრაციას (1).

➤ ასევე გამოსაკვლევი რელიგიური შინაარსის მესამე ტექსტი, რომელიც შეკრულია და ჩასმულია ტყავადაკრულ ხის ყდაში. ტექსტი წარმოადგენს პალიმფსესტს (ქვედა ფენა ლათინურენოვანი ტექსტია) და საჭიროებს დათარიღებას (2).

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს გერმანულ ხელნაწერებს გაეცნო თბილისში სამეცნიერო მივლინებით მყოფი დიუსელდორფის უნივერსიტეტის პროფესორი მედიევსტი დოქტ. ჰელმუტ ბრალ-ტუხელი, რომლის აზრით, ეს ტექსტები შესრულებული უნდა იყოს ქვემო რაინისპირა გერმანულ დიალექტზე (ქ. კოელნის მიდამოებში). რადგან მათში დასტურდება რაინ-ფრანკული (რიპუარული) დიალექტური ფორმები და ისინი შეიძლება დათარიღდეს გვიანი XIV საუკუნის ბოლოთი ან XV საუკუნის დასაწყისით. მესამე ხელნაწერი გადაწერილია XVI

საუკუნეში, მაგრამ ტექსტის მონაცემების მიხედვით, შესაძლოა, უფრო ადრინდელი იყოს.

➤ **ვინმე დებოლავსკის ექსცერპტი** ლესინგის, გოეთესა და შილერის რამდენიმე დრამიდან. ეს ტიპური კონსპექტებია ზემოხსენებული ავტორების რამდენიმე ნაწარმოებისა.

ხელნაწერების გარდა, გერმანულენოვანი ტექსტების ფონდში დაცულია:

➤ **გუსტავ შმიდტის** ნაშრომის „Über verbale Stammbildung in der sog. tschetschenischen Gruppe der Kaukasischen Sprachen“ („ზმნის ფუძეთა წარმოქმნისათვის კავკასიურ ენათა ე.წ. ჩაჩნურ ჯგუფში“) მანქანაზე ნაბეჭდი დედანი. ეს ნაშრომი გამოქვეყნდა 1928 წელს უგრო-ფინური საზოგადოების ჟურნალში.

➤ **რამდენიმე რეცენზია** (მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტები), რომლებიც გამოქვეყნებულა 1930 წელს ქალაქ ვენის ჟურნალში (Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes). მათ შორის არის ჰერბერტ იანსკის ორი რეცენზია: პირველი წარმოადგენს ოტო შპისის გამოკვლევას თურქულ ხალხურ ზღაპრებზე (Autor: Otto Spies. Türkische Volksbücher, ein Beitrag zur vergleichenden Märchenkunde), რომელიც გამოქვეყნებულია 1929 წ. ქ. ლაიპციგში.

➤ ამავე ავტორის მეორე რეცენზია ეხება ტადეუშ კოვალსკის გამოკვლევას კარაიმულ ტექსტებში დიალექტოლოგიური ფორმების შესახებ (Autor: Tadeusz Kowalski. Karaimische Texte im Dialekt von Troki, eingeleitet, erläutert und mit einem karaimi-polnisch-deutschen Glossar versehen). ხსენებული ნაშრომი გამოქვეყნებულია 1929 წ. ქ. კრაკოვში და ერთვის სამენოვანი გლოსარი: კარაიმულ-პოლონურ-გერმანული. რეცენზიების ჯგუფში უნდა დასახელდეს აგრეთვე თეოდორ ზაიფერის რეცენზია ფრანც ბაბინგერის ნაშრომზე „ოსმანთა ისტორიკოსები და მათი ნაშრომები“ (Autor: Franz Babinger. Die Geschichtschreiber der Osmanen und ihre Werke Mit einem Anhang: Osmanische Zeitrechnungen von Joachim Mayr) გამოქვეყნებული 1927 წ. ქ. ლაიპციგში. რეცენზიას დართული აქვს ოსმალური წელთაღრიცხვის ცხრილი, რომელიც იოახიმ მაირს შეუდგენია.

➤ **ჩვიდმეტკვერდიანი ამონარიდი ი. ფრიდრიხის წიგნიდან** „მცირე აზიის ძეგლები“, რომელიც დათარიღებულია: 1932 წ. ბერლინი. მასში საუბარია პროტოხეთურ, სუბარულ და ლუვიურ ტექსტებზე.

➤ **გენერალ ვასილ გავაშვილის სადიპლომო ნაშრომი** სამთო ინჟინერიაში, რომლის საჯარო დაცვა შედგა გერმანიაში გასული საუკუნის დასაწყისში.

➤ **გერმანულ ენაზე შესრულებული მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფისნაცვლისადმი**, რომელშიც მოხსენიებულია კავკასიის მუზეუმის ნივთები და წიგნები. ამ წიგნებთან ერთად იყო, ალბათ, ზემოხსენებული ხელნაწერებიც, რომლებიც შემოწირულობის სახით გადაუტანიათ ბიბლიოთეკაში.

➤ **ორი სამართლებრივი ძეგლი**, სახელდობრ, პრუსიის მეფის ვილჰელმისა და ავსტრიის იმპერატორ იოზეფ მეორის მიერ გრაფ გეორგ მენგდენის სახელზე გაცემული სიგელები, რომელთა გაცნობა მკვლევრებს XV საუკუნის სათავადაზნაურო გვარის, მენგდენების ისტორიის შესწავლაში დაეხმარება.

მენგდენები მიიჩნეოდნენ ერთ-ერთი გერმანული ორდენის მნიშვნელოვან და დანინაურებულ ნევრებად ბალტიისპირეთში. ისინი ბალტიისპირეთის ქ. რიგის დამაარსებელთა შორის იყვნენ, შემდგომში კი მათი ისტორია და კვალი კავკასიამდე მოდის.

ამ ეტაპზე გავეცანით გერმანულენოვანი ხელნაწერების შინაარსს, აღვწერთ ისინი და გავუკეთეთ ახალი პაგინაცია. ხელნაწერებზე მუშაობის შემდგომი ეტაპი ითვალისწინებს ტექსტების დეტალურ ანალიზს, თარიღების დაზუსტებას, ტექსტური მონაცემების მიხედვით პირთა და საგანთა საძიებლის შექმნასა და კომენტარების დართვას. შესაძლოა, ზოგიერთი ტექსტი ითარგმნოს კიდევ, რადგან ისინი მნიშვნელოვანია, როგორც ისტორიკოსების, ისე კულტურის კვლევების პრობლემებით დაინტერესებულ პირთათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **შპრინგჰორნი** 2004: შპრინგჰორნი დ., გერმანელები საქართველოში, თბ., 2004.
2. **Breuste** 1982: Breuste Jr., Deutsch-russische Wissenschaftsbeziehungen und die Beteiligung Deutscher an der geographischen Erforschung Kaukasiens im 19. und im beginnenden 20. Jahrhundert, Bd.1, Halle, 1982.

Tamar Chumburidze, Nino Kimeridze

GERMAN LANGUAGE MANUSCRIPTS IN THE GEORGIAN NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

SUMMARY

German documents, letters and manuscripts preserved in the foreign language manuscripts' fund of the National Centre of Manuscripts are left beyond the attention of specialists' attention and until now have been described only superficially. The systematization of the German manuscripts was a necessary prerequisite for their future study. The abovementioned collection is small, consisting of 16 pieces with no homogenous thematic content. Mainly, the texts with a literary as well as other character are represented. The literary texts are of secular and clerical character. As for the nonliterary texts, these are educational, scientific, chancellery texts: excerpt, synopsis, scientific article, review on a scientific work, qualification degree (diploma) in the technical field (mining engineering), official and business related texts, memos, deeds, namely, the deeds

issued by the King of Prussia, Wilhelm and the Emperor of Austria, Joseph the Second to counts of Mengden.

We studied the content of the German language manuscripts, described and paginated them. The following stage of working on manuscripts foresees the detailed analysis of the texts, adjustment of dates, creation of the personal and subject index according to the textual data and adding comments to it. It is possible for some texts to be translated, as this would be undoubtedly interesting for the researchers of the general as well as the cultural history.

ხელნაწერი ნიშნის ხელოვნება

ნიმუ აბაკელია

ზოგიერთი ვეგეტაციური და ზოომორფული გამოსახულებისა და სიმბოლოს მნიშვნელობისთვის ქართულ უძველეს ხელნაწერებში¹

ორნამენტული მოტივების უღვევი რეპლიკები, რომლითაც, ზოგადად, რელიგიური ხასიათის ხელნაწერებია შეკაზმული, ტრადიციულად დაქვემდებარებულ ხელოვნებად და არა არსებითად ითვლებოდა.

ქართულ ხელნაწერებში ფრაგმენტულად შემორჩენილ ორნამენტულ ხელოვნებაში (რამდენადაც სრული სურათი არ გვაქვს ორნამენტული ხელოვნების განვითარებისა) ჩვენი ყურადღება მიიპყრო გარკვეული სახის მცენარეებისა და ფრინველების მონაწილეობამ სახარებებისა და სხვა რელიგიური ხელნაწერების შეკაზმვაში.

რელიგიურ სიმბოლიკაში მცენარეები და ფრინველები ფართოდ გამოიყენება და მრავალ ტრადიციაში დასტურდება. ვეგეტაციური და ზოომორფული სიმბოლიკა რთულია, რამდენადაც მას მნიშვნელობა ეცვლება, ერთი მხრივ, არჩეული სახეობის მიხედვით და ასევე რელიგიური სტრუქტურის შესაბამისად, რომელშიც ის ხვდება. სიმბოლოთა სიმრავლეში არჩეულია ყვავილი და ფარშავანგი, რომლებიც ხშირად მეორდება ქართულ უძველეს ხელნაწერებში.

რამდენადაც შეკაზმულ ხელნაწერებში (და არა მარტო ხელნაწერებში) მცენარეებს დეკორატიულისა და სიმბოლოურის გარდა რეალისტური განზომილება აქვთ, იმის ამოსაცნობად, თუ რა გზავნილს უნდა გულისხმობდეს ესა თუ ის მცენარე, უპირველესად ის უნდა იდენტიფიცირებულ იქნეს. ამგვარად, ნაშრომის ერთ-ერთ (მაგრამ არა ერთადერთ) მიზანს მცენარის იდენტიფიკაცია წარმოადგენს.

¹ მოხსენება ნაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

მულტივალენტური ყვავილის სიმბოლო, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ქალურ, მდედრულ) სანყისთან, ანუ პასიურ სანყისთან, შესაბამისად, პრაკრიტის უნივერსალურ სუბსტანციასთან (როგორც ეს სუბსტანცია ზოგადად განისაზღვრება) და თასთან, როგორც სათავსთან, და ამიტომ ყვავილზე ხშირად მსჯელობენ, როგორც „ბარძიმზე“ ან თასზე (რომელიც შეიძლება იყოს სავსე ან ცარიელი). აღნიშნული მსგავსება თასთან თავისთავად გრაალის ასოციაციას იწვევს დასავლეთის ტრადიციებში. მეორე მხრივ, გაშლილი ყვავილი თვითონ არის გამოვლენა, ჩენა (Генон 2006: 98-103). ეს ორმაგი აზრი განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღმოსავლეთში ლოტოსის და ვარდისა და შროშანის შემთხვევებში დასავლეთში.

ქართულ ხელნაწერებში ყვავილი თითქმის ყველა დღესასწაულის თანამდევი ატრიბუტია და სხვადასხვა მიმართებაში სხვადასხვა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. მაგ.: უცვლელად ფიგურირებს ხარების სცენაში,² ის ხან ბუჩქის თუ ხის სახით არის წარმოდგენილი, ხან ლარნაკში მოთავსებული ყვავილების სახით და სხვ.

მაგრამ არის მცენარეების განმეორებადი მონანილეობა შემთხვევითი ხასიათის და, უბრალოდ, დეკორატიული, თუ რაიმე ფუნქცია აქვთ?

მათი მონანილეობა რომ შემთხვევითი ხასიათის არ არის, ამაზე ბიბლიური წიგნის ესაიას პასაჟი მიგვითითებს, რომელშიც მეტაფორულადაა აღწერილი მხსნელის მიწიერი წარმომავლობა:

„და გამოვიდეს კუერთხი ძირისაგან იესესსა და ყუავილი ძირისაგან აღმოხდეს“ (ესაია: 11. 1).

² ხარების სცენის მრავალი ვერსიიდან გამოვყოფდი სვეტიცხოვლის გულანის ყვავილებით მოწარჩობულ გამოსახულებას (იხ. ილუსტრაციები (A-31), რომელშიც სივრცის ტრადიციული დიქოტომიური დაყოფა დატულია (შდრ. ჭედურ იკონოგრაფიას ე. ედიშერაშვილის ნაშრომში: „ხარების“ სცენის ერთი იკონოგრაფიული დეტალის შესახებ (სალოლაშენის ჭედური ფირფიტის მაგალითზე), სამაგისტრო ნაშრომი, თბ., 2004). გაბრიელ მთავარანგელოზი და ქალწული მარიამი ერთმანეთისგან განცალკევებულნი არიან სიმბოლოთა მთელი წყებით, რომელნიც ვერტიკალურ ჭრილში არიან განლაგებულნი: ცენტრში, ზემოთ მინიშნებაა შარავანდედის სახით მამაზეციერზე, რომელიც მთლიანად მანათობელი შარავანდედითაა წარმოდგენილი. შარავანდედიდან გამოსული სხივები ქალწულისკენ არის მიმართული. შარავანდედის ქვეშ ცარიელი ლარნაკია და წმინდანი ან წმინდა მამა, რომელსაც მარჯვენა ხელში გაშლილი გრაგინილი უწყურია, ხოლო მარცხენა ზეადმართული ხელით, საჩვენებელი თითით მინიშნებს ლარნაკზე (რომელიც, სავარაუდოდ, ყვავილით უნდა დამშვენდეს მომავალში). ლარნაკის ზემოთ გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ მარცხენა ხელში დაჭერილი გახსნილი გრაგინის ნაწილიც ხვდება და ისევე, როგორც არქიტექტურული იდეოგრამა, რომელიც ჰორიზონტულ პლანში საერთო არქიტექტურულ ფონს ქმნის, ხოლო ვერტიკალურ პლანში ზემოთ დასახელებულ ელემენტებთან ერთად – სვეტს (სამყაროს ღერძის ნაირსახეობას).

ქრისტიანები აღნიშნულ პასაჟს იესო ქრისტესთან აკავშირებენ და იგი შუა საუკუნეების ხელოვნებაში ხშირად გვხვდება.

მაგრამ მაინც რას უნდა ნიშნავდეს ეს პასაჟი ქრისტიანთათვის?

მათეს სახარება იწყება იესო ქრისტეს გენეალოგიით, იგი ღმერთის რჩეული ხალხისგან არის, აბრაამის შთამომავალია, იესეს ყვავილია. ხელოვნებაში ის „იესეს ძირითაა/ხითაა“ წარმოდგენილი. ამ ხის მნიშვნელობა XII საუკუნეში ბერმა ჰერვეუსმა ვულგატას ტექსტზე დაყრდნობით შემდეგნაირად ახსნა: „პატრიარქი იესე მიეკუთვნება სამეფო ოჯახს. ამიტომაცაა, რომ იესეს ძირი//ფესვი აღნიშნავს მეფეების წარმომავლობას, შტო – მარიამს, ხოლო ყვავილი – იესო ქრისტეს“ (მოგვიანებით აქედან განვითარდა საგვარეულო გენეალოგიური ხეც).

ქრისტიანულ ხელოვნებაში იესეს ძირი და მასთან დაკავშირებული გამოსახულებები საკმაოდ მოულოდნელად ჩნდება (XI საუკუნეში, Ladner 1992) თითქოს არსაიდან. ამის მიზეზი, კუმარასვამის მიხედვით, შეიძლება იყოს ფაქტი, რომ სიმბოლოების გადაცემა მათივე მეტაფიზიკური მნიშვნელობებით ხდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერებით ან სწავლებებით, რაც, თავის მხრივ, დოკუმენტურ კვალს არ ტოვებს.

იესეს ძირის თვალში საცემი ანალოგია ბრაჰმას („ლოტოსიდან დაბადებულის“, „ჭიპიდან დაბადებულის“) შობის ცნობილი ინდური კომპოზიციაა, რომელიც ნარაიანას ჭიპიდან გაზრდილ ლოტოსის ყვავილზე მჯდომარე ბრაჰმას აჩვენებს. ნარაიანა აქ კოსმიურ წყლებზე წამოწოლილი უზენაესი ღვთაებაა, რომელიც (სამყაროს) მანიფესტაციის ორ ციკლს შორის არსებულ ინტერვალშია გამოსახული. ბრაჰმა დემიურგია, უშუალო შემოქმედია სამყაროსი, რომელიც უნდა იშვას. ამ თემის უძველესი გამოსახულება (ბადამის II და IV გამოქვაბულების რელიეფები) თარიღდება ახალი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნის დასასრულით (Coomaraswamy 1935: 18-19).

მიუხედავად იმისა, რომ ბრაჰმას დაბადების გამოსახულების ა. წ. VI საუკუნეზე ადრინდელი ვარიანტი არ არსებობს, ეს მოვლენა მკაფიოდ არის აღწერილი მაჰაბჰარატაში (III, 272, 44 და XII, 207, 13). ამ ნარატივის მიხედვით, მარადიული არსება (ნარაიანა) როგორც კი კონცენტრირდება სამყაროს ხელახალ შექმნაზე, მაშინვე მისი ჭიპიდან ლოტოსის ყვავილი ჩნდება და ოთხსახოვანი ბრაჰმა იშვება. რამდენადაც მაჰაბჰარატას უკიდურესი საზღვრები ძვ. წ. 400-დან ახ. წ. 400-მდე მერყეობს, ტექსტი ნამდვილად სცდება უადრესი რელიეფების თარიღებს (Coomaraswamy 1935: 18-19).

შუა საუკუნეების ქრისტიანულ და აღმოსავლურ აზროვნებასა და სიმბოლიზმში არსებული ახლომდგომი პარალელები კუმარასვამის (Coomaraswamy 1935: 18-19) აფიქრებინებს, რომ მათ ერთი საერთო (ცოდნის ამ დონეზე – შუმერული) წყაროთი უნდა ესაზრდოვათ და გამოსახულებათა სიმრავლეს

ადარებს დიალექტთა სიმრავლეს, რომელიც კაცობრიობის ერთი სულიერი ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს.

ხელოვნებაში და (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელი და განვითარებულია ჩრდილო ევროპაში) იესე წარმოდგენილია მძინარე ან დახრილი, რომლის ფეხებთან (ან სხვა გამოსახულებებში – გვერდიდან ან ჭიპიდან) იზრდება ხე, რომლის ხვიარა პნკალებით ხის ორივე მხარეს მედალონებში იესედან ქრისტემდე 43 თაობაა წარმოდგენილი სრულად (ან შერჩევით). მიუხედავად იმისა, რომ კუმარასვამი აჩვენებს გაცილებით ადრინდელ გამოგონებელ ინდურ პარალელებს იესეს ძირისას, ის შესაძლებლად არ თვლის ინდურიდან დასავლურის ფორმების წარმოქმნას.

აქ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჭიპის, ან უფრო ზუსტად, საკრალური ცენტრის სიმბოლიზმი, რომელიც ქართული ხელნაწერების შეკაზმვის ხელოვნებაში თავისებურადაა გააზრებული.

ინდოეთი არის ის ქვეყანა, სადაც ჭიპს ვეგეტაციური ენერჯის ცენტრის მნიშვნელობა ენიჭება; „უკვდავების ჭიპი“, „ვარუნას ჭიპი“ და მსგავსი ფრაზები მუდმივად მეორდება ვედურ ლიტერატურაში. ზემოთ აღნიშნულ იკონოგრაფიაში ვეგეტაცია, სიცოცხლის ნაირსახეობა, წარმოდგენილია ლოტოსის რტოთი, რომელსაც აქვს ფოთლები და ყვავილები და სხვ. ცენტრის პრინციპი შესაქმის ნიაღში მოქმედებს, ხოლო გაშლა, გაფურჩქვნა ცენტრის გარშემო გამოსხივებას ნიშნავს გენონისეული გაგებით.

ხელთ არსებულ ქართულ ხელნაწერებში ყვავილი, ყვავილების თაიგული ლარნაკში ან ხე აყვავებული ყვავილებით (ან ცარიელი ლარნაკი) საკრალური ცენტრის ერთ-ერთი გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს და, სიმბოლიკიდან გამომდინარე, მომავალი თაობების ჩანასახს განასახიერებდეს; აქედან გამომდინარე, აღნიშნული გამოსახულებები იესეს ძირის მნიშვნელობას ნაწილობრივ იზიარებენ.

საინტერესოა, რომ, ზოგადად, საკრალური ხე, რომელიც ქართულ ტრადიქიაში ძირითადად მოიაზრებოდა, როგორც ვაზი, ალვის ხე, კვიპაროსი, ბროწეულის ხე, ვაშლის ხე და სხვ., ჩვენი აზრით, ხელნაწერებში (და ასევე ხელოვნების სხვა ნიმუშებში, მაგ.: ტიხრულ მინანქარში) დაცული პიქტოგრაფიული გამოსახულებები აღნიშნულ ვეგეტაციურ მწკრივში კიდევ ერთ სახეობას ამატებს, კერძოდ, ვაზისებრთა ოჯახში შემავალ ხვიარა მცენარეს – ვნების ყვავილს, პასიფლორას, რომელიც ქრისტეს ვნებისა და ჯვარცმის მისტიკის იდეებთან უნდა იყოს დაკავშირებული, გგონია, ყვავილისა და ასევე მისი ნაყოფის ფორმის გამო.

მრავალსართულიანი ყვავილის ცალკეული ელემენტი ედარება შოლტს, შუბს, ლურსმნებს, ეკლიან გვირგვინს, შარავანდედს და სხვ.

ჩვენი დაკვირვებით, ხელნაწერებში (და ასევე ტიხრულ მინანქარში) ვაზს ხშირად ჩაენაცვლება პასიფლორა (იგივე ვნების ყვავილით), რომელთანაც ჯვარცმისა და აღდგომის სიმბოლიკა ასოცირდება. აღნიშნული იდენტიფიკაციის საფუძველს გვაძლევს ყვავილის ფორმა, შეფერილობა და კომპოზიცია, რომელშიც ის მონაწილეობს (ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ალავერდის ოთხთავი (A-484)), ყვავილებიანი თაღებითა და ჯვრით, რომელიც ფარშავანგებითაა ფლანკირებული; ოთხთავში (A-496) ლუკა მახარებელი გამოსახულია ყვავილებით შეკაზმულ ჩარჩოში და ფარშავანგით, რომელიც ნინკნის ყვავილებს; A-496 ხელნაწერში მარკოზ მახარებელი გამოსახულია ყვავილების მოჩარჩოებაში. აქ ვნების ყვავილი უკვე ორი ფარშავანგითაა ფლანკირებული.

აღსანიშნავია ხარების სცენის გამოსახვის ტრადიცია ქართულ ხელნაწერებში (104, XVII, გურიანთული გულანი, რომელშიც ვნების ყვავილი ისევ ფიგურირებს და გამოსახულია მთავარანგელოზის მხარეს). როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, პასიფლორა ქართულ ხელნაწერებში ხშირად წარმოდგენილია ფარშავანგებთან ერთად (ფარშავანგის სიმბოლიკაზე იხ. ქვემოთ). გვხვდება სიმეტრიაში, პასიფლორას ორივე მხარეს, რომლებიც კენკავენ საკვებს მის ძირში. ან უფრო რთულ კომპოზიციაში, როგორც არის ზურგშექცევით მდგომი ფარშავანგები, რომლებიც გადაჯაჭვულნი არიან კისრებით, ზოგან ფეხებით ან ფრთებით) დომინანტურ კვერთხთან (ხესთან, ლერძთან), ამ შემთხვევაში პასიფლორასთან, რომელიც ამავე დროს სამყაროს ლერძსაც განასახიერებს (მდრ.: A-922 იოანე ოქროპირის ჟამისწირვა, XIII, ტექსტის გვერდით არშიაზე გადაჯაჭვული ფარშავანგები; A-496 მარკოზ მახარებელი. ვნების ყვავილი ფლანკირებული ორი ფარშავანგით; H-1667 ჯრუჭის ოთხთავი (XII-XIII) კისრებით გადახლართული, გადაჯაჭვული ზურგშექცევით მდგომი ფარშავანგები), რომელთაც ნისკარტებით სამყურები (სამების სიმბოლო) უჭირავთ.

ორიოდე სიტყვით შევჩერდებით ფარშავანგის სიმბოლიკაზე. ფარშავანგის სიმბოლოური მნიშვნელობა იცვლება იმ რელიგიური სტრუქტურის შესაბამისად, რომელშიც ის ხვდება. მაგ.; ინდოელებისთვის გაშლილი, რადიალური კუდის გამო, იგი მზის, სხვადასხვა ღვთაების სამოგზაურო ასამხედრებელი ფრინველია (მაგ.: ბუდიზმში – ბუდასი; ანტიკურობაში თავისი სიმშვენიერის გამო – ჰერასი, შემდეგ – იუნონასი). ანტიკურ ხანაში ფარშავანგი ითვლებოდა სიცოცხლის ფრინველად, რამდენადაც გავრცელებული (და, როგორც ჩანს, ძველევგვიპტური წარმომავლობის) წრმენით, მისი ხორცი არ იხრწნებოდა. ფარშავანგის მშვენიერ სამოსზე მრავალი თქმულება არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით, მან ის საჩუქრად მიიღო გველთან ბრძოლის შემდეგ ჩაყლაპული შხამის გარდასახვის შედეგად. იგი გველთან მებრძოლ ფრინველთა ჯგუფში შედის (Chevalier... 1994).

ისლამში მახვილი კუდის წრიულ გაშლაზე კეთდებოდა, რის გამოც სამყაროს ერთ-ერთ სიმბოლოდ ან სავსე მთვარის, ან შუადღის მზის სიმბოლოდ ითვლებოდა. ფარშავანგის მიერ შემოხაზული წრებორბალი, რომელიც თავის თავში ყველა ფერს მოიცავდა, ეზოტერულ ტრადიციაში მთლიანობის მნიშვნელობა ენიჭებოდა (Chevalier... 1994).

საინტერესოა აგრეთვე ფარშავანგის სამოსის კიდევ ერთი ატრიბუტი – მისი ქორორი თუ გვირგვინი. ფსიქიკის დონეზე, გვირგვინი სრული ცნობიერი გონების ბრწყინვალეობისა და დიდებულების სიმბოლოა. მზის სხივებიდან მომდინარე სინათლე თავდაპირველად მხოლოდ ღმერთების ატრიბუტი იყო, ხოლო მოგვიანებით – მათი წარმომადგენლებისა დედამიწაზე. შესაბამისად, იქმნება ახალი მიმართება: ფარშავანგი – თვალი – გვირგვინი – მეფე. თითოეული შემადგენელი ასე იშლება: ცნობიერი თვალი / ფხიზელი თვალი / ქრისტე; გვირგვინი / მზე / შარავანდედი / ქრისტე. თვალი, როგორც ცნობილია, ერთი ასპექტით ცნობიერი ეგოს სიმბოლოა. შესაბამისად, ფსიქოლოგებისთვის ფარშავანგის კუდი კოლექტიური არაცნობიერის სიმბოლოა, რომელიც უთვალავი ინდივიდუალური კომპლექსების თვალებითაა მოფენილი. ეს დამოუკიდებელი თვალეები (ანუ ცნობიერების ცენტრები) იძლევა ისეთ ხილვას, რომელიც ეგოს ცნობიერების მიღმა ვრცელდება. იგი შეიცავს მკაფიო შინაგანი ხედვის ბრწყინვალეობას, რომელიც ფარშავანგის ბრწყინვალედ შეფერილ კუდს ედარება (იუნგი 2005).

ფარშავანგი, როგორც სიმბოლო, ზოგადად, ფართოდ გამოიყენებოდა ადრექრისტიანულ ხელოვნებაში და, მათ შორის, საქართველოშიც. იგი გამოსახული იყო ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე (თუმანიშვილი 2001: 57-73). არსებული მასალის მიხედვით, იგი გვხვდება: აკაურთის ეკლესიაზე (V-VI სს. – ფიალის მსგავს ჩაკეტილ მედალიონს ავსებს ბოლოგაშლილი ფარშავანგი); აკვანებაში (VI ს.) – არქიტრავის რელიეფზე, წრეში მოქცეული ჯვრიდან ემანირებულ ვაზის მტევნებს კენკავს ექვსი ფარშავანგი (შდრ. ექვსიანისა და ერთიანის სიმბოლიკას), გველდესის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის (XVIII-XIX სს.) საკურთხევლის კანკელის ფირფიტაზე, რომელზედაც, გეომეტრიულ სიმბოლოებთან ერთად, ფირფიტის მარცხენა მხარეს გამოსახულია სტილიზებული ფარშავანგი გრძელი კისრით, მკვეთრად აქცენტირებული თვალითა და მაღლა აწეული გაშლილი კუდით; ფირფიტის მარჯვენა მხარეს ოთხმარყუჟიანი წრეა, რომელშიც ოქტაგონია³ ჩანერილი და რომლის ინტერიერი ასევე მარყუჟებითაა მორთული, შიგნით კი ისევ წრეა ჩახატული); კუმურდოში (964წ.) – ჰორიზონტალურად დაწვენილი რვიანის (ლემნისკატას) წრეებში გამოსახული ორი ფარშავანგი ერთმანე-

³ ოქტაგონის მნიშვნელობაზე იხ. თუმანიშვილი 2001.

თის პირისპირ. აქედან ერთს, სავარაუდოდ, ჭია (გველი) უპყრია, ხოლო მეორე ბარტყს კვებავს); ზემო კრიხის ეკლესიაში (X-XI სს.) სადაც ისინი საკურთხევლის აფსიდის ზურგზე არიან გამოსახული. პირველი ფენაა ფერწერისა (X ს.); პარხლის მონასტრის ეკლესიის ჩრდილო ფასადის ფანჯრის თალის ქვაზე, ექსტერიერზე, რომელზედაც ჯვარია გამოსახული, ფლანკირებული ორი ფარშავანგით, რომელთაგან ერთს ნისკარტში სამყურა აქვს გამოჩრილი (იგივე მოტივი ხელნაწერებშიც მეორდება. ამაზე უფრო ქვემოთ); იმხნის სამხრეთის კარის საპირეზე მარცხენა მხარეს ორი, ერთმანეთის პირისპირ მდგარი, ფარშავანგია შემორჩენილი. იმავე საპირის მარჯვენა მხარეს გამოსახულია ფარშავანგი სხვა ცხოველებთან ერთად პროცესიაში, რომლებიც მიემართებიან ყურძნის მტევნისკენ. ამ უკანასკნელს დომინანტური ადგილი უკავია საპირეზე, ხობის ტაძრის ფასადზე, მრამრის საკურთხევლის კანკელის ფირფიტაზე – ფარშავანგებით ფლანკირებული ბარძიმი. დიდმის ეკლესიაზე X-XI საუკუნეების პროფილში გამოსახული კუდანეული (კუდგაშლილი) ფარშავანგი; ნიკორწმინდაზე (1014-1027 წწ.) – ფარშავანგები ერთმანეთის პირისპირ; პატარა ონის – XI საუკუნის ეკლესიაზე, განედლებული ჯვარი ფლანკირებული ორი კუდანეული ფარშავანგით; ყაურმა (XI ს.) და სხვ. (აბაკელია 2004).

ფარშავანგები გვხვდებიან საფლავის ქვებზე, ყოფით საგნებზე: ხალიჩებზე, პირსახოცებზე, ძირითადად, ჯვრის ორ მხარეზე, სტელებზე და სხვ. (აბაკელია 2004).

ფარშავანგები, როგორც აღინიშნა, გვხვდება უძველეს ქართულ ხელნაწერებში. რამდენადაც ეს სიმბოლოები ზოგადქრისტიანულ ენას მიეკუთვნებიან, შესაძლებელია შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენება.

ფარშავანგი, ძირითადად, ერთსა და იმავე სიმბოლოებთან გვხვდება ჯვართან, ბარძიმთან, შადრევანთან, ვაზთან (ან ვაზისებრ მცენარეებთან), სამყურასთან, გველთან, ბარტყებთან და სხვ. უფრო მეტიც, ეს მიმართებები მრავალ ქრისტიანულ ქვეყანაში მეორდება (მაგ.: კოპტურ ფარშავანგის ხის სარკოფაგზე, კელზის (ირლანდია) სახარების შეკაზმულობაში (Meehan 1994), იტალიურ სარკოფაგებზე, რუსულ ხალიჩებზე და სხვ.).

ფარშავანგთა შორის და ხატებებს შორის კავშირები უცვლელი ჩანს: არის ბარძიმი, რომლიდანაც მაგ., ირლანდიურ მანუსკრიპტებში ევქარისტიული ვაზი იზრდება. ზოგჯერ ბარძიმი გადმოზრუნებულია და იქიდან კვლავ ორ შტოდ ვაზი იზრდება, რომელიც ჯვარცმულის სხეულიდან გამოსულ ორ ნაკადს – სისხლისა და წყლის ნაკადს – ადარებენ. ფარშავანგების პირისპირ ხშირად თავსდება ქრისტეს უკვდავების ალუზია. დეკორაციის მოდელი, რომელიც ასე ხშირად თავსებს ფარშავანგებს ბარძიმებთან, ჯვარსა და ვაზთან (ან ვაზისებთა ოჯახის მცენარეებთან), ან მტევანთან, როგორც ეტყობა, საფუძველს უნდა იძლეოდეს

იმისთვის, რომ ფრინველთა სიმრავლეში, რომლებიც სხვადასხვა ნივთსა და მანუსკრიპტებში დასტურდება, შეცნობილ იქნენ ფარშავანგები. გამოსახულებები დამოკიდებულია მხატვრის ინდივიდუალობასა და მის ოსტატობაზე, ან მისი მოდელის რეალიზმზე, ანუ დეკორაციას აქვს ნათელი პროგრამული მიზანი და გამოსახულება გასაგები ხდება. შესაბამისად, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მხატვრის თუ ხუროს (თუ მქსოველის, თუ მქარგველის და ა. შ.) ერთხელ გაგებული (და ადაპტირებული) პროგრამა შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო მეტ-ნაკლებად რეალისტური ან უფრო სქემატური მანერით. აქედან გამომდინარე, ფარშავანგს სხვადასხვაგვარი შტრიხი აქვს დამატებული სხვადასხვა სურათზე: ქოჩორი, გვირგვინი, ბიბილო, ფრთები, ზოგან თვალი აქვს აქცენტირებული, ზოგან კუდი დაშვებულია, ზოგან ანეული, ზოგან გადახლართულია და სხვ. ფარშავანგის ფორმა ხდება განსაკუთრებულად სტილიზებული. ქრისტიანები მასში ხედავენ სამოთხის ფრინველს, წმინდა ფრინველს. ქრისტიანობის ადრინდელ ხანაში ის დამკვიდრდა, როგორც აღდგომის სიმბოლო. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა გველდესის ზემოთ ხსენებული გამოსახულება ფარშავანგისა ოქტაგონთან ერთად. ამგვარ კონტექსტში მოხვედრილი რვაკუთხედი, როგორც ო. ზ. სოლტერი (Solter 1997) აღნიშნავს, აღდგომის სიმბოლოს წარმოდგენს, რამდენადაც, ტრადიციის თანახმად, ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შესვლიდან მერვე დღეს მოხდა იესო ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით, ხოლო ფარშავანგი, თავისი ურიცხვი თვალებით კუდზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყოვლისმხილველი ეკლესიის სიმბოლოს წარმოდგენს.

ჯრუჭის ოთხთავში, შესაძლებელია, ორნამენტის განვითარებასაც მივადევნოთ თვალი: აქ მე-80 გვერდზე ყვავილები და ფარშავანგები ერთმანეთს ერწყმიან და სტილიზებული ფარშავანგებიდან, რომელთა იდენტიფიკაცია თავებით, ნისკარტებითა და ყვავილის წვეროს ფორმითაა მხოლოდ შესაძლებელი, ვნების ყვავილის ფორმაა მიღებული.

გადაჯაჭვულობა//შეკვრა კი მათეს სიტყვებით შეიძლება აიხსნას:

„და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათისანი, და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი გაჰხსნა ქუეყანასა ზედა, ხსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე, 16. 19).

საკითხთან მიმართებაში ჯრუჭის სახარება ჩვენთვის კიდევ იმითაა საინტერესო, რომ ხარების სცენა უჩვეულოდ არის წარმოდგენილი. მინიატიურის მარცხენა მხარეს გამოსახულია მჯდომარე მარიამი დოქისა და გობის თუ დიდი თასის (ევეპარისტრიული სიმბოლოების) წინ, რომელთა უკან წითელფურცლებიანი (ქრისტეს სისხლის წვეთების სიმბოლოები) ვნების ყვავილია.

ქართულ ხელნაწერებში ხარების სცენის იკონოგრაფიაზე საგანგებოდ შევჩერდებით. მანამდე, ალბათ, უპრიანია გახსენება, რომ ხარების იკონოგრა-

ფია ადრექრისტიანულ ხანამდე ჩადის (შესაძლოა, III საუკუნის ე. წ. პრისკილას კატაკომბის ფრესკა: ბაზილიკის მოზაიკა სანტა მარია მაჯორე რომში, V საუკუნე (Robb 1936: 480-526). სიუჟეტი მომდინარეობს ლუკას სახარებიდან (1. 28) და აპოკრიფული ვერსიებიდან და მოქმედების ადგილი გვიან შუა საუკუნეებამდე საკმაოდ აბსტრაქტულია: თითქმის ყოველთვის ეს იოსების სახლია (თუმცა აპოკრიფული ვერსია, რომელიც II საუკუნით თარიღდება და რომელიც აისახა სახვით ხელოვნებაში, ყოფს ხარების სცენას ორად: პირველი სცენა ნაზარეთში არსებულ ერთადერთ ქასთანაა, ხოლო მეორე, უფრო მნიშვნელოვანი – იოსების სახლში). გარემო ყოველთვის სავსეა სიმბოლური საგნებით (მართლმადიდებლურ იკონოგრაფიაში ნაჭრის მოტივი, რომელიც ერთი კომპიდან მეორეზეა გადაკიდებული, ქალწული მარიამის ღირსების აღმნიშვნელია. ასევე სავარაუდოა კავშირი ძველ და ახალ აღთქმას შორის და სხვ. (Eliade 1974)).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველ ქართულ ხელნაწერებში ხარების სცენაში ვეგეტაცია ხან ბუჩქის სახითაა წარმოდგენილი, ხან ხით და ხან ლარნაკში მოთავსებული ყვავილებით ან უბრალოდ ვაზით/ლარნაკით, რომელზედაც წმინდანი ან წმინდა მამა ხელით მიაწინებებს (იხ. A-31, სვეტიცხოვლის გულანი, ხარება, 36v).

რას უნდა ნიშნავდეს აღნიშნულ სცენაში მიმართება მთავარანგელოზი – ლარნაკი (ხე ან ბუჩქი, ან ლარნაკი ყვავილებით, ან მათ გარეშე) – მარიამი.

ლარნაკს, რომლის შიგთავსად წყალი იგულისხმება, მითოლოგიურ სფეროში გადაყვავართ. ზოგადი მითოლოგიიდან ცნობილია, რომ სავსე ლარნაკი (pūrā ghata) ან მაკარას გაღებული ხახა, ან სპილო თევზის კუდით – სიმბოლოა, რომელთანაც ყოველთვის დაკავშირებულია „სიცოცხლის მცენარე“ ან ნაყოფიერების რომელიმე ემბლემა. გუდაეს მეფობის დასასრულის შემდეგ „საკრალური ხე“ გაუჩინარდა აქადურ-შუმერული სცენიდან და შეიცვალა „სიცოცხლის მცენარით“,“ რომელიც ლარნაკიდან ამოდიოდა. აქ სხვა მნიშვნელობებთან ერთად სამყაროს ცენტრის, სიცოცხლის წყაროს და უკვდავების იდეებია გამოხატული. საკრალურობა, სიცოცხლე და უკვდავება მოთავსებულია ცენტრში. წყალი სიმბოლოა პოტენციისა, ყველანაირი არსებობის წყაროსი. წყალი წინ უსწრებს არსებობის ყველანაირ ფორმას და მპყრობელია ყველანაირი შესაქმისა. წყლიდან ამოსვლა ახალ შობასთან, დაბადებასთან არის დაკავშირებული, გამეორებაა შესაქმისა, რომელშიც ფორმა პირველად გამოიხატება. წყალი სიცოცხლის სიმბოლოა, „ცოცხალი წყალი“ (Eliade 1974).

⁴ გავისხენოთ, რომ ახლო აღმოსავლეთში სიცოცხლის მცენარესთან ვაზი იყო გაიგივებული, ხოლო შუმერული სიცოცხლის ნიშანი თავდაპირველად გაიგივებული იყო ვაზის ფოთოლთან.

რელიგიების ისტორიაში წყალი, მთვარე და ქალი განიხილებიან, როგორც ნაყოფიერების ორბიტის შემქმნელნი, როგორც ადამიანისთვის, ასევე სამყაროსთვისაც (Аверинцев 2006)

ხარების სცენაშიც იგივე თანამიმდევრობაა წარმოდგენილი მხოლოდ რელიგიური აზრის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე: მთავარანგელოზი (მთვარე⁵) – ლარნაკი წყლით – ღვთისმშობელი.

ხელნაწერებში გამეორებული ელემენტები: ხე და ფარშავანგები ქრისტიანულ ხელოვნებაში სხვადასხვა რელიგიურ კომპლექსთან ასოცირდება: „ფარშავანგი კენკავს ყურძენს“, „ფარშავანგი წინკნის პასიფლორას ყვავილებს“, „კურდღელი ტკვერს ყურძენს“, „ირმები ენაფებიან წყაროს“, „ფარშავანგები ენაფებიან შადრეენის წყალს“ (რომელშიც ზოომორფული პერსონაჟები განასახიერებენ მართლმორწმუნეებს, რომელნიც ეზიარებიან უმაღლეს სიბრძნეს და გაერთიანებული არიან აღმდგარ ქრისტესთან).

ეს ორი სიმბოლო – ფარშავანგი და ვნების ყვავილი – ჯრუჭის ოთხთავში სხვადასხვა კომპოზიციაში გვხვდება. აღნიშნულ ოთხთავში ისევე მეორდება ფარშავანგები გადახლართული (თუ გადაჯაჭვული) კისრებით, რომელთაც ნისკარტებით სამყურები უჭირავათ. მათ ქვემოთ ვნების ყვავილია, უფრო ქვემოთ – საიდუმლო სერობა. ამგვარად კომპოზიცია შეკრული და ელემენტების განლაგება სრულიად გააზრებულია.

განხილული განმეორებადი მცირე ზომის გამოსახულებები ქართულ ხელნაწერებში გარკვეული ლოგიკითაა დალაგებული და უფრო დიდი ერთიანობის ნაწილს წარმოადგენენ (ისინი ერთად უნდა იქნან ნაკითხულნი). საიდუმლო სერობა, რომელიც მიგვანიშნებს გაცემაზე (თანამდევე ვნებასა და ჯვარცმაზე), ლონგინის შუბზე მიჯაჭვული ფარშავანგებსა და იმავე ფორმაში გამოსახულ ვნების ყვავილს აღდგომის კონოტაცია აქვთ.

ყვავილის ფორმა, ფერი და მისი მონანილეობა გარკვეულ სცენებში შესაძლებელს ხდის მის იდენტიფიკაციას პასიფლორასთან, რომელიც საქართველოშიც იყო და არის კულტივირებული.

ფარშავანგები, როგორც სიმბოლოები, თვითონ ასოცირდებიან აღდგომის იდეასთან და, შესაბამისად, პასიფლორასთან, რომელთანაც ვნებისა და აღდგომის მისტიკაა დაკავშირებული. გარდა ამისა, ხელნაწერები⁶ საშუალებას

⁵ გაბრიელ მთავარანგელოზი მთვარესთან არის მისტიკურად დაკავშირებული. მის თავსაბურავში ხშირად არის გამოსახული ნახევარმთვარე (განსაკუთრებით ადრინდელ გამოსახულებებში). (Абакелия 1991).

⁶ ილუსტრაციების დიგიტალური ვერსიების მონოდებისთვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციას.

იძლევიან თვალი მივადევნოთ ამ ორი სიმბოლოს განვითარებას, შერწყმასა და გაერთიანებას ერთი იდეის – აღდგომის იდეის – გარშემო.


გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაკელია 2004: აბაკელია ნ., ქრისტოლოგიური ხატებები (ფარშავანგი, როგორც სიმბოლო) საინსტიტუტო სამეცნიერო სესია, მოხსენებების მოკლე შინაარსები, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2004.
2. თუმანიშვილი 2001: თუმანიშვილი დ., წერილები, ნარკვევები, თბ., 2001.
3. იუნგი 2005: იუნგი კ. გ., ფსიქოლოგია და ალქიმია, თბ., 2005.
4. Chetwynd 1986: Chetwynd T., A Dictionary of symbols , London, 1986.
5. Chevalier 1994: Chevalier J., Gheeban A., Dictionary of Symbols London, 1994.
6. Coomaraswamy 1935: Coomaraswamy A., The tree of Jesse and oriental parallels, Parnasus, Vol.6. No 8, Jan., 1935.
7. Eliade 1974: Eliade M., Patterns in comparative religion, The United States of America, 1974.
8. Ladner 1992: Ladner G., Handbuch der frühchristlichen Symbolik (Gott, Kosmos, Mensch. Belser Verlag, Suttgart), Zürich, 1992.
9. Meehan 1994: Meehan Bernard, The book of Kells, London , 1994.
10. Robb 1936: Robb D. M., The Iconography of the Annunciation in the fourteenth and fifteenth centuries, The Art Bulletin, Vol. 18, No.4, Dec., 1936.
11. Solter 1997: Z. Solter (Ed), National treasures of Georgia, the Foundation for International Arts and Education, 1997.
12. Абакелия 1991: Абакелия Н., Миф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.
13. Аверинцев 2006: Аверинцев С.А., София – Логос., Словарь, 2006.
14. Генон 2006: Генон Р., Символы священной науки, Беловодье, М., 2006.


ილუსტრაციები:



(A-31. სვეტიცხოვლის გულანი.) ხარება



H-1667. ჯრუჭის ოთხთავი(2)



A-922. იოანე ოქროპირი



H-1667. ჯრუჭის ოთხთავი(2)



H-49, კრებული

Nino Abakelia

TOWARDS THE INTERPRETATION OF SOME VEGETATIVE AND ZOOMORPHIC DECORATIVE IMAGES IN GEORGIAN ILLUMINATED MEDIEVAL MANUSCRIPTS

SUMMARY

The present article is focused upon the most frequently recurred vegetative and zoomorphic motifs (a definite species of flower and peacock) by which the old Georgian manuscripts (in our case: *Svetiskhoveli gulani*, *Guriantuli gulani*, *Jamistsirva XIII*, the Gospels of Jruč'i) used to be decorated and traditionally were thought to be adherent art and insignificant.

Generally, in Georgian tradition, the sacred trees were represented by a vine tree, poplar, cypress, pomegranate tree, apple tree, etc. In the present paper the examined pictographic images in the mentioned manuscripts (as well as in other artifacts e.g. in the enamels, architectural monuments, etc.) might add one more species, that of a pas-

siflora or passion flower or passion vine, which is thought to be associated with the Christian mystique ideas of Passion and Crucifixion because of its form, fruit and place in which it is inserted.

In our opinion, passiflora or the reference to it in the scene of Annunciation is logical as far as the mentioned scene in itself implies the mystic idea of the forthcoming passion, crucifixion and resurrection.

In Georgian manuscripts passion flower is often depicted together with peacocks in symmetry, on both sides of the passion flower, which pick the food below it, or into the more complicated compositions, found in back to back standing peacocks, which are interlaced with the necks, or foot or wings near the dominant pole (tree or pillar), in this particular case, near to the passionflower, which at the same time, to our mind, represents the sacred centre and *axis mundi*.

Taking into consideration the above said, the recurred meaningful small-sized images scattered throughout the Georgian manuscripts are arranged in a particular logic and consequently comprise a part of the definite entity, which should be read in a conceptual integrity.

ელენე მაჭავარიანი

შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის ფასი

როდესაც შუა საუკუნეების ხელით გადაწერილი წიგნის საფასურზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ორი გარემოება: ერთი – წიგნის შესაქმნელად გაღებული ხარჯი და მეორე – ღირებულება ტყვეობიდან გამოხსნილი ან კერძო პირთაგან შეძენილი ხელნაწერისა.

უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში ზოგადად არის მითითებული ხელნაწერის საფასურის შესახებ, ხოლო ცალკეულ ოსტატთა გასამრჯელოსა თუ წიგნის შექმნისათვის საჭირო თანხაზე მინიშნებანი იშვიათია.

წიგნის საფასურს, როგორც ცნობილია, დამკვეთი იხდიდა. რაც უფრო მდიდარი იყო დამკვეთი – მეფე თუ კათალიკოსი, ხელნაწერი უფრო მდიდრულად შემკული და მოჭედილი იყო (იხ. თამარის დაკვეთილი ვანის ოთხთავი, ეპიფანე კათალიკოსის დაკვეთილი იენაშის ოთხთავი, დანიელ მოქველ ეპისკოპოსის დაკვეთილი მოქვის ოთხთავი და სხვ.).

დამკვეთი ეკლესიას სწირავდა ხელნაწერს თავისი სულის საოხად, გარდაცვლილთა სულის მოსახსენებლად, მათთა ცოდვათა შესანდობელად. არის შემთხვევები, როცა ხელნაწერს კერძო პირი თავისთვის წერს: „ეს ლოცვის წიგნი ზოსიმემ, ძემან ორბელ მდივანბეგისამან აღწერა თავისა თვისსათვს“ – ვკითხულობთ ანდერძში (H-770, 55v: H ფონდის აღწერილობა 1951: 146-147).

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, შუა საუკუნეების საქართველოში, ხელით გადაწერილი წიგნი ძვირად ფასობდა (ჯავახიშვილი 1949: 97-101). წიგნის გადამწერი დახელოვნებული და განთქმული უნდა ყოფილიყო. მას ლამაზად უნდა ეწერა. ხელოვნებითი გადამწერლობა წიგნის ფასზეც მოქმედებდა. უსასყიდლოდ კი წიგნს არავინ გადაწერდა. თუმცა ამის შემთხვევებიც აღინიშნება.

წიგნის ფასს, თავის მხრივ, განაპირობებდა, არა მარტო, შემქმნელ ოსტატთა – ეტრატაას, გადამწერის, მომხატველის, ამკინძავის, შემმოსველის, მომჭედელის შრომა და ხელოვანება, არამედ სიძვირე იმ მასალისა, რომელსაც ოსტატები იყენებდნენ. მაგ., ქილი – პაპირუსი ძვირადღირებული იყო, როგორც დამზადების, ასევე გადატანის თვალსაზრისით. ტექსტისა და მხატვრობის შესრულება ეტრატზეც ძვირი ჯდებოდა. ამიტომაც შემოდის ქალაქი – უფრო

იაფი მასალა სანერად. ეტრატის სიძვირეზე ხაზგასმით აღნიშნულია XIV ს. გადამწერისა და მხატვრის ავგაროზ ბანდაისძის ანდერძში; „დავინყე, წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატისა სიძვრესა“ (პარაკლიტონი, A-575, 1348-1365: 154v: A ფონდის აღწერილობა 2004: 176-191).

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დროთა განმავლობაში იზრდებოდა წიგნებზე მოთხოვნილება და გადამწერსაც სწრაფად უნდა ეწერა. ხელის სწრაფადობა, მასალისა და დროის ეკონომიასთან ერთად, დამწერლობის სახეობათა ცვალებადობამაც განაპირობა. ხელის რამდენჯერმე ალებით ასომთავრულს თანდათანობით ხომ ერთიანი კონტურული მონახაზები ცვლიან.

ხელნაწერის შესრულების დროზე, წიგნის ხარისხზე თვით გადამწერის ფიზიკური მდგომარეობაც მოქმედებდა:

წყაროსთავის ოთხთავის (Q-907) კალიგრაფი იოვანე ფუკარალისძე აღნიშნავს; „დღითა მოხუცებულ ვიყავ, ოდეს ესე დავწერე და თუალთა სინათლეცა მომკლება“ (114r: Q ფონდის აღწერილობა 1958: 322-327) ან „ჟამის წირვის“ გადამწერი ზაქარია გაბაშვილი შენდობას ითხოვს: „თუ რაიმე ცთომილი ჰპოვოთ, სიმშვიდით განმართეთ, რამეთუ სამოცდახუთისა ჟამისა წელნი წარმეცლნეს და მოხუც – მწყვანებითა გამო მხედველობითნი უძღურ-ქმნილ ვიყავ“ (Q-331 (XVIII ს.), 113-114: Q ფონდის აღწერილობა 1957: 349-350).

გადამწერს ხშირად რთულ პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა: „ღმერთმან იცის ვაჟმე და ვაჟმე ჭირნი უსახლობისა და უადგილობისანი, რომელთა სხვასა არავის წაჰკიდებია ესე ვითარი, რამეთუ სოფლისა ღელვათა და განსაცდელთა შინა ვეფალი ყელამდისინ“, – წერს ათანასე გადამწერი (იხ. სვინაქსარი, XI ს. (A-840, გვ.171), Жордания 1908: 57).

„შფოთის, სიგლახაკესა და უცალობისა“ გამო, როგორც აღნიშნავს ავგაროზ ბანდაისზე, გაუხანგრძლივდა ხელნაწერის შესრულების დრო: „უნყის ღმერთმან, ოდეს ვინყე წერად, ყრმა ვიყავ და აქა მიმწყვანებულმან სრულ-ვყავ“. მითითებული ქორონიკონების მიხედვით, მას პარაკლიტონი (A-575) დიდტანიანი, 500 გვერდიანი, ზომით 34×24 წიგნი, 17 წელიწადში გადაუწერია (A-575, 154v).

„ღამე მუხლზე დავჩხაბე, მკითხუწლნო! ნუ მწყევთ“, – წერს დიაკვანი სვიმონი აღდგომის ღამე რომ თენდებოდა (S-181, S ფონდის აღწერილობა 1959: 196-197).

მომგებელთა ანდერძებში, ხელნაწერის საფასურის შესახებ, უმეტესად ნივთიერ შეწირულობაზე ან ზოგადად, თანხის გაღებაზეა საუბარი. მაგ., „სრულ იქმნეს ბრძანებითა და საფასითა მეფეთ-მეფისა კონსტანტინეს ძისა ბაგრატი-სათა“ (H-76, თვენი, XVI ს. გადამწერი წილკნელი ბასილი, 105v: H ფონდის აღწერილობა 1946: 61), „ადიდენ უფალმან ქართლისა და კახეთისა დედოფალი დარეჯან, რომლისა ბრძანებითა და საფასითა ადვწერე ოთხნი ესე თთუწნი“ (Q-57, ანტონ I თვენი, 1779, გადამწერი სიონის დეკანოზი ნიკოლოზ, 804v: Q ფონდის აღწერილობა 1957: 79). „სასყიდლით წერაჲ დასტურა არა მიშლის ლოცვასა“ – წყაროსთავის ოთხთავის გადამწერი იოვანე ფუკარალისძე (Q-907, 114r: Q ფონდის აღწერილობა 1958: 322-327), ან „მომიჭედინებია მე ცაცურაშ-

ვილს ნიკოდიმოვს ეს ოთხთავი ჩემის ალალის ფასითა ჩემის სულის საოხად და შესანდობლად, ჩემგანცა ნაშოვნი არის“ (H-1782, XII-XIII სს. იოვანე მელა-
 ათას ანდერძი (170v), H ფონდის აღწერილობა 1950: 211-212).

ბეშქენ ოპიზარის მიერ ბერთის ოთხთავის (Q-906) ჭედური ყდის ზურგის მხარეს ასომთავრული წარწერიდან ვიგებთ: „ქ. ოქროპირისა ნივითა მოიჭედა სახარებაჲ ესე“ (Q ფონდის აღწერილობა 1958: 317-322). ანჩის მთავარი სალო-
 ცავი – მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი თამარ მეფის ბრძანებითა და ნივით-
 სა ბოძებითა ანჩელმა ეპისკოპოსმა იოანემ ბეჟა ოპიზარს ჩარჩო მოაჭედინა
 (იხ. ჭედური მოჩარჩოების ქვედა არშიაზე წარწერა, ამირანაშვილი 1937: 8).

ჭედური ყდის მოჭედვის შესახებ ნათქვამია XIII საუკუნის ლავსყალდის ოთხთავის მინაწერში. დავით ნარინს (რუსუდანის ძეს) ოპიზიდან გელათს ჩამოუყვანია ბერი ილარიონ სოფრომის-ძე, რომელსაც ჭედური სამუშაოები შეუსრულებია „**პატრონისა ნაბოძვართა**“ (თაყაიშვილი 1937: 402).

კიდევ ერთი ამ სახის საინტერესო ვრცელი ანდერძი, რომელიც ახლავს მდივანბეგ ბეგთაბეგ თანიაშვილის მიერ შესრულებულ მდიდული ორნამენტე-
 ბითა და იშვიათი კალიგრაფიული ხელით ქაღალდზე ნაწერ გიორგი XI-ის მიერ დაკვეთილ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს (H-54, 1680 წ.). აქ ორი რამ არის გასათვალისწინებელი: ის, რომ ხელნაწერის შესასრულებლად დიდი თანხაა გაღებული და რომ, როგორც ჩანს, ბეგთაბეგს უნახავს სხვა მეფეების მიერ შემკული მოხატული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები, რომლებსაც ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ მიუღწევია.

ბეგთაბეგის ანდერძში ვკითხულობთ: „**უფალმან ჩუენმან გიორგი ბრძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად ნიგნისა ამის ვეფხის-ტყაოსნისა და წარავო მრავალი წარსაგებელი ვითარცა საცნაურ ჰყოფენ თუალნი მხიარულთანი ჳელოვნებასა ამის ნიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილ-შუენიერ ყოფილიყო, რომელ არსცა ფრიად კეთილ და შუენიერ, თუნიერ ხოლო ნაწერისაგან კიდე. ესეცა უწყოდით, უფალნი ჩემნი, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეუმკია ნიგნი ვეფხისტყაოსანი მსგავსად პატრონისა ჩუენისად**“ (H ფონდის აღწერილობა 1946: 42-45).

რაც შეეხება ნიგნის საერთო ღირებულებას. თ. ყორდანი ქრონიკებში მიუთითებს XI საუკუნის ნიკორწმინდის სიგელს, სადაც წინამძღვარი (მისი სახელი უცნობია) „ნახევარწერილი“ იადგარის შესახებ აღნიშნავს: „მისისა დაწერისა და შეკაზმისათვის მივეც დრაჰჰანი დუკატი იე“ და იქვე: „ვიყიდე პარაკლიტონი და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი“ (ყორდანი 1892: 49). თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზმა ნიკოლოზ ოსესძემ 1764 წელს გადაწერა 700 გვერდიან ნიგნში მიიღო 7 თუმანი (იოანე ოქროპირი, თარგმანება მათეს თავი სახარებისა A-20, 05r): „შვიდი თუმანი არის ამ წმიდას სახარების თარგმანში მიცემული“ (A ფონდის აღწერილობა 1973: 71-76).

წყაროსთავის ოთხთავის ანდერძში, როდესაც ნიგნის ჭედური ყდის შესაქმნელად საჭირო თანხაზეა საუბარი, გათვალისწინებულია როგორც ოქრომ-

ჭედლის ხელობის საფასური, ასევე მოოქრული ვერცხლის ყდისათვის საჭირო მასალის რაოდენობაც. ბექა ოპიზარის შრომის საფასური და ყდის მოჭედვაზე დახარჯული ოქრო-ვერცხლის ოდენობა განსაზღვრულია მომგებელის – იოვანე საფარელ-მტბევარის ანდერძში: „ამას ოთხთავსა ზედა არს ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქრო“ და იქვე მითითებულია ბექა ოპიზარის გასამრჯელო: „**ოქრომჭედლისა ხელფასი კვ**“ (Q-907 (273r), Q ფონდის აღწერილობა 1958: 322-327).

ხელნაწერისა თუ ხატების ტყვეობიდან გამოსყიდვის თუ შესყიდვის შესახებ, აღნიშნულია გვიანი ხანის მინაწერებში. ჩვენ რამდენიმე მათგანს დავასახელებთ. იხ. ალავერდის ოთხთავის XVII საუკუნის ერთ-ერთი მინაწერი: „ვიყიდე ჩემითა ალალითა თეთრითა“ (A ფონდის აღწერილობა 1986: 210-216). იორამ ბოქაულთუხუცესი სტამბოლში შექმნილი „სჯულის კანონის“ (A-76 (312r), A ფონდის აღწერილობა 1973: 261-263) შესახებ წერს: „დავიხსენით და ვიყიდეო 80 ფლურად“.

თ. ჟორდანიას მიერ მითითებულ მცხეთის სიგელში (N179, ქორონიკონი ტნზ) აღნიშნულია შესყიდვის თანხა – საფასური ათი ხატისა (მათ შორის, ანჩის ხატისა), რომელებიც თბილისელმა ვაჭარმა შესაძენად მიუტანა დომენტი II კათალიკოსს და, რომელმაც ორი ათასი მარჩილი გადაიხადა. ათი ხატი მცოდნე პირთა მიერ შეფასებული ყოფილა 1800 **მარჩილად** (ჟორდანია 1897: 482).

შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის გადასაწერად, მოსაჭედად თუ შესაძენად საჭირო თანხის დაანგარიშება შესაძლებელია ანდერძ-მინაწერებში მითითებული დრაჰკნის, დრამის, მარჩილის, ფლურის მიხედვით. მათი მნიშვნელობანი სხვადასხვა ლექსიკონებშია განმარტებული.

ვიმეორებთ ზემოთ დასახელებულ ანდერძ-მინაწერებს, სადაც საფასურია მითითებული: XI ს. ნიკორწმინდის სიგელში მითითებული „ნახევარწერილი“ იადგარის გადასაწერად და შეკაზმვისათვის წინამძღვარს 15 (იე)დრაჰკანი გადაუხდია. დრაჰკანი ოთხგრამიანი ოქროს ფულია (იმნაიშვილი 1986: 146). მაშასადამე, წინამძღვარს (15×4) 60 გრამი ოქროს ფასი გადაუხდია. რაც შეეხება, ამ სიგელშივე მითითებულ პარაკლიტონის თანხას, იგი წინამძღვარს ცხენის ნახევარ ფასად უყიდია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, ცხენის ღირებულება XI საუკუნეში.

იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრების შესახებ, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გიორგი მთაწმიდელს მითითებული აქვს, რომ ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს – თეოფანე ხუცესს 1500 დრაჰკნის ღირებულების წიგნები გადაუწერია (გიორგი მთაწმინდელი 1946: 48). ივ. ჯავახიშვილის აზრით, საღვდელმსახურო წიგნის საშუალო ფასი 20 დრაჰკანი უნდა ყოფილიყო. წიგნის ფასს, თავის მხრივ, გადამწერლობის შრომის ნაყოფიერება განსაზღვრავდა, ე. ი. გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო წიგნი მხოლოდ გადაწერილი იყო თუ ნათარგმნი ან რედაქტირებული. ამის შესაბამისად, ეფთვიმესა და გიორგის თავისი ცხოვრების განმავლობაში

(სამონასტრო მოღვაწეობის გარეშე), წელიწადში 2-3 წიგნი უნდა შეესრულებინათ და მრავალი წიგნის შესრულებაში დიდი რაოდენობის თანხაც უნდა მიეღოთ (ჯავახიშვილი 1949: 98). სიონის ტაძრის დეკანოზს, ნიკოლოზს, გადანერილ წიგნში (A-20) შვიდი თუმანი ფული აუღია. ივ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, ერთი გვერდი მას 2 შაურად გადაუწერია (ჯავახიშვილი 1949: 98).

ბექა ოპიზარის მიერ ყდის მოჭედლობისათვის გაღებული თანხისა და ყდის მოსაჭედად დახარჯული ოქრო-ვერცხლის რაოდენობაზე მითითებულია წყაროსთავის ოთხთავის დამკვეთის – ტბეთის ეპისკოპოსის იოანე საფარელ-მტბევარის ანდერძში: „ამას ოთხთავსა ზედა არს ორასისა დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქრო“, ხოლო ბექა ოპიზარის გასამრჯელოს შესახებ ვკითხულობთ: „ოქრომჭედლისა ხელფასი კვ დრამისა ოქრო“. აქვე ჩანს, რომ ყდის მოსაჭედად დახარჯულა 200 დრამისა ვერცხლი და 20 დრამისა ოქრო ე.ი. ოქრო 10 ჯერ ნაკლებია დახარჯული. ეს ასეც უნდა ყოფილიყო – ყდა ხომ ვერცხლისაა, რომელიც შემდეგ ოქროთი იყო დაფერილი. ბექას გასამრჯელოდ მიუღია 23 დრამისა ოქრო.

გამოსაანგარიშებელია დრამის წონა:

- დრამა = ექვსი დანგის (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 224) წონას;
- დანგი = სამი კერატის (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 196) წონას;
- კერატი = ოთხი ქრთილის (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 366) მარცვლის წონას;
- ქრთილი = ქერის მარცვალთან არის გაიგივებული (აბულაძე 1973: 490; იმნაიშვილი 1981: 611; სულხან-საბა ორბელიანი 1993: 220). მაშასადამე, ერთი დრამა 72 ქრთილის წონის ტოლია. მაშინ ყდის დასამზადებლად $200 \times 72 = 14.400$ ქრთილის წონა ვერცხლია დახარჯული, ხოლო ოქროთი დაფერვისათვის ათჯერ ნაკლები ე. ი. $72 \times 20 = 1.440$ ქრთილის წონა ოქრო. რაც შეეხება ანდერძში მითითებულ ბექას გასამრჯელოს – კვ (23) დრამისა ოქროს, მას მიუღია 72×23 ე. ი. 1656 ქრთილის წონა ოქრო.

გამოსასყიდი თანხის შესახებ, სადაც მარჩილია მითითებული: დომენტი II კათალიკოსმა 10 ხატში 2 ათასი მარჩილი გადაიხადა. 10 ხატი შეფასებული იყო 1800 მარჩილად. მარჩილი (სულხან-საბა ორბელიანი 1958: 73) – ძველი ქართული ვერცხლის ფული უდრიდა სამ აბაზს ე. ი. დომენტი II კათალიკოსს ათი ხატი და მათ შორის, ანჩისა, შეუსყიდნია სამი აბაზი \times 2000 ე. ი. 6000 აბაზად (შეფასებული კი 10 ხატი იყო 1800 მარჩილად ე. ი. სამი აბაზი \times 1.800 = 5.400 აბაზად).

ალავერდის ოთხთავის (A-484) მინაწერში ხელნაწერის გამოსასყიდი თანხა მითითებულია თეთრებით ე.ი. ვერცხლით (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 303), მხოლოდ თანხის ოდენობა არ არის განსაზღვრული. იორამ ბოქაულთუხუცესმა კი „სჯულის კანონის“ (A-76) დასახსნელად 80 ფლური (სულხან-საბა ორბელიანი 1991: 225) ე. ი. 80 დრაჰკანი $\times 4 = 240$ ოქროს წონა გადაიხადა.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში იშვიათად არის მითითებული გადამწერთა და მომჭედელთა საფასური ან წიგნის შექმნისა თუ შესაძენად საჭირო თანხა, თუმცა არსებული ცნობებიც გარკვეულ წარმოდგენას იძლევა, თუ რა ძვირად ფასობდა შუა საუკუნეებში ხელით გადამწერილი წიგნი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე 1973: აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
2. ამირანაშვილი 1937: ამირანაშვილი შ., ბეჟა ოპიზარი, თბ., 1937.
3. გიორგი მთაწმიდელი 1946: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, თბ., 1946.
4. თაყაიშვილი 1937: თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.
5. იმნაიშვილი 1986: იმნაიშვილი ი., ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1986.
6. ჟორდანიას 1897: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1897.
7. სულხან-საბა ორბელიანი 1958: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, თბ., 1958.
8. სულხან-საბა ორბელიანი 1991: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.
9. სულხან-საბა ორბელიანი 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
10. ჯავახიშვილი 1949: ჯავახიშვილი ივ., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949.
11. A ფონდის აღწერილობა 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ. I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1973.
12. A ფონდის აღწერილობა 1986: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, II, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1986.
13. A ფონდის აღწერილობა 2004: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, II, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 2004.
14. H ფონდის აღწერილობა 1951: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), II, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1951.
15. H ფონდის აღწერილობა 1946: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1946.

16. **Н ფონდის აღწერილობა** 1950: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (Н კოლექცია), IV, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1950.
17. **Q ფონდის აღწერილობა** 1957: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1957.
18. **Q ფონდის აღწერილობა** 1958: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, II, ილ. აბულაძის რედაქციით, თბ., 1958.
19. **S ფონდის აღწერილობა** 1959: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, I, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1959.
20. **Жрдания** 1908: Жрдания Ф., Описание рукописей Тифлисского церковного музея, III, Тиф., 1908.

Elene Matchavariani

PAYMENT FOR MANUSCRIPT BOOKS IN THE MEDIEVAL CENTURIES

SUMMARY

In wills and postscripts there is generally displayed information about fees paid for a manuscript book or the specific masters' work, however, the amounts themselves are rarely mentioned. The existing facts, by its hand, give us a partial representation how expensive was the cost of manuscript books.

The manual rewriting of books was considered as a type of handcraft in Georgia. The master had to write beautifully. The fee for a manuscript book was determined by the productiveness of the master's labour. By Iv. Javakhishvili it was necessary to be foreseen if the book was only rewritten by hand or it was also translated and edited.

Especially interesting is Tskarostavi Evangel (Q-907, 12th c.) will, whereas the sum paid for book cover plating work and the amount of gold and silver needed for making the coated cover are mentioned.

Sometimes the later period postscripts point up the amounts paid for the purchase of manuscript books and icons or for their redemption from the slavery.

ელენე მაჭავარიანი

ქართულ მოხატულ ხელნაერთა შესწავლის ისტორია¹

ქართული მოხატული ხელნაწერი წიგნი მდიდარ მასალას შეიცავს შუა საუკუნეების ორნამენტული შემკულობისა თუ მინიატიურული მხატვრობის შესასწავლად. წიგნის მოხატულობა შინაარსის მიხედვით მრავალფეროვანია. შემკული და დასურათებულია უმთავრესად სასულიერო ხასიათის ხელნაწერები (ძირითადად, ოთხთავები) და ასევე საერო ხასიათის ძეგლები. შესრულების მანერით, საფერწერო ტექნიკით, ნაირსახოვანი ორნამენტული მოტივებით, შინაარსის დამასურათებელი მინიატიურებით ქართული მოხატული ხელნაწერები შუა საუკუნეების წიგნის მხატვრობის მსოფლიო შედეგებს არ ჩამოუვარდებიან. როგორც ცნობილია, პირველი მოხატული წიგნი IX საუკუნიდანაა შემორჩენილი, თუმცა IX-X საუკუნეების ხელნაწერთა შესრულების მხატვრული დონე მიგვითითებს ადრეული მოხატული ხელნაწერების არსებობაზე.

ქართული მოხატული ხელნაწერები ძირითადად თავმოყრილია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ერთეულების სახით ისინი დაცულია საქართველოსა და ასევე უცხოეთის წიგნსაცავებსა და მუზეუმებში.

ქართული ხელნაწერებით ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაინტერესდნენ ქართველი თუ უცხოელი მკვლევრები და მოგზაურები, მაგრამ ხელნაწერი წიგნები მათ აინტერესებდათ, როგორც ფილოლოგიური და საისტორიო დოკუმენტი.

1929 წელს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში ჩამოყალიბდა ხელნაწერთა განყოფილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ხელნაწერი წიგნების, საისტორიო საბუთებისა და პირადი არქივების შეგროვებასა და ერთად თავმოყრას. 1939 წელს ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა ინსტრუქცია ამ მასალის შესასწავლად. 1953 წლიდან ხელნაწერთა განყოფილებას პროფ. კ. გრიგოლიას შემდეგ ხელმძღვანელობდა ილ. აბულაძე. მისივე თაოსნობით, ამ განყოფილების

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

საფუძველზე, 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ჩამოყალიბდა ხელნაწერთა ინსტიტუტი. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სამეცნიერო დაწესებულება მაშინ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა. 1962 წელს ინსტიტუტს მიენიჭა კ. კეკელიძის სახელი. ამჟამად, იგი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრია.

ხელნაწერი წიგნის მოხატულობის შესწავლა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაიწყო. პირველი ნაშრომი მოხატული ხელნაწერების შესახებ, გამოქვეყნდა 1940 წელს. ეს არის რ. შმერლინგის მიერ გამოცემული ალბომი, სადაც თავმოყრილია მხატვარ პოლტორაცკის მიერ 1904 წელს შესრულებული ასლები, რომლებიც გ. ჩუბინაშვილმა ჩამოიტანა მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო სარესტავრაციო სახელოსნოდან.

ქართული მოხატული ხელნაწერების შესწავლაზე მუშაობდნენ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლები: რ. შმერლინგი – IX-XI საუკუნეების მოხატულ ხელნაწერებზე, ლ. შერვაშიძე – დავითნის ბატალურ სცენებზე, გ. ალიბეგაშვილი – XI-XIII საუკუნეების სვინაქსარის, ზატიკისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულის დასურათების პრინციპებზე. ს. ბარნაველმა ამოიკითხა ჯრუჭის II ოთხთავში გადამწერისა და მხატვრის – მიქაელის – ანდერძი. ვ. ბერიძემ ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების საფუძველზე წარმოადგინა ძველ ქართველ ოსტატთა შესახებ ცნობები. მნიშვნელოვანია ასევე, ი. ხუსკივაძის გამოკვლევები ირანული გავლენით შექმნილ საერო შინაარსის მინიატიურებზე, ფ. დევედარიანის ნაშრომი XVII საუკუნის დასურათებული გულანების შესახებ. ქართული სამინიატიურო ხელოვნების მიმოხილვა IX-XVII საუკუნეების ფარგლებში ეკუთვნის შ. ამირანაშვილს. მანვე შეისწავლა ვეფხისტყაოსნის დასურათებული ხელნაწერები.

ქართული ხელნაწერი წიგნის მოხატულობით დაინტერესდნენ ხელოვნებათმცოდნეები: ი. ჭიჭინაძე (მას ეკუთვნის მონოგრაფია მოქვის ოთხთავის მოხატულობის შესახებ), ლ. ოსეფაშვილი (გამოიკვლია ოთხთავის თავფურცლის კომპოზიციები) და მ. აბუთიძე (შეისწავლა სახელმწიფო ეროვნულ მუზეუმში დაცული დასურათებული ფსალმუნი). უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხელოვნებათმცოდნეების კვლევის საგანი იყო არა მარტო ცალკეული ხელნაწერები, არამედ თემატურად გაერთიანებული მოხატულობის ნიმუშები. თითქმის ყველა მკვლევარს დაცული აქვს საკანდიდატო ან სადოქტორო დისერტაციები. მათი ნაშრომები გამოქვეყნებულია სტატიებისა და მონოგრაფიების სახით. ისინი მონაწილეობას იღებდნენ ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე. ვ. ბერიძის ხელმძღვანელობით მოეწყო ოთხი ასეთი სიმპოზიუმი.

ქართული მოხატული ხელნაწერებით დაინტერესდნენ უცხოელი კოლეგებიც: ო. პოდობედოვა, ვ. ლიხაჩოვა, ტ. ველმანსი, სირარპი დერ-ნერსესიანი, ჰ. ბუშპაუზენი, ალ. სამინსკი, ა. პუცკო, დ. ლაზარევი და სხვანი.

საქართველოს პოლიტიკურმა ურთიერთობამ განაპირობა კონტაქტი ჯერ ელინისტურ სამყაროსთან, ხოლო შემდეგ ბიზანტიასა და ირანის მხატვრულ წრეებთან. განსაკუთრებით საზღვარგარეთის სამნიგნობრო კერებში ქართველი და უცხოელი ოსტატების ურთიერთთანამშრომლობამ თავისი კვალი დააჩნია ქართული წიგნის მოხატულობაზე. ამიტომაც მეცნიერთა ძირითად ამოცანად რჩება ამ ურთიერთობათა ფონზე ეროვნული თავისებურებების გამოვლენა. ამის დასტურად ხელოვნებათმცოდნეების ნაშრომებში მოხმობილია შედარებითი მასალა ბიზანტიური, სომხური, ირანული ხელნაწერი წიგნებიდან.

ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებამ 1958 წლიდან დასაბამი მისცა ქართული მოხატული ხელნაწერების სისტემურ შესწავლას. დღიდან დაარსებისა ილია აბულაძის ინიციატივით ელ. მაჭავარიანის მიერ დაიწყო მოხატულ ხელნაწერთა აღწერა და შესწავლა. დაიბეჭდა კითხვარი თითოეული ხელნაწერისათვის მხატვრული ელემენტებისა და მოხატულობის დახასიათების მიზნით. ეს ის პერიოდია, როცა მხოლოდ ნაწილობრივ იყო დაბეჭდილი ხელნაწერთა ფილოლოგიური ხასიათის აღწერილობანი, კერძოდ, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების (H კოლექციის) ექვსი ტომი, საეკლესიო ფონდის (A კოლექცია) IV და V ტომები და ახალი (Q კოლექციის) ორი ტომი.

ელ. მაჭავარიანის მეცნიერული მუშაობა წარმართა ორი მიმართულებით: ქართული დამწერლობის განვითარებისა და ხელნაწერთა მხატვრული შემკულობის შესწავლის თვალსაზრისით. მის მიერვე შესრულებული გრაფიკული ჩანახატები და ფერადი ასლები დაერთვის საილუსტრაციოდ მის ნაშრომებს. პარალელურად იგი ასრულებდა ასლებს საგამოფენო ექსპოზიციებისათვის. მისი ხელმძღვანელობით შედგა ჯგუფი მხატვრებისა, რომელთაც შეასრულეს ამჟამად ეროვნულ ცენტრში მოქმედი საგამოფენო ექსპოზიცია (მულაჟების სახით წარმოდგენილი ასლების უმეტესობა შესრულებულია მხატვარ ლ. ქავთარაძის მიერ). ელ. მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამ ასპირანტს: ნ. კვიციანს (მუშაობდა ლარგვისის მხატვრული სკოლის ხელნაწერებზე), ელ. ამირანაშვილს (სადისერტაციო თემა ეხებოდა IX-XI საუკუნეების მახარებელთა გამოსახულებებს), მ. კარანაძეს (გამოაქვეყნა ნაშრომი ხელნაწერთა ყდების გაფორმების შესახებ).

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. ქავთარიამ დისერტაცია დაიცვა საზღვარგარეთის მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის – შავი მთის – ხელნაწერთა მოხატულობაზე. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მუშაობა მიმდინარეობს მინიატიურათა კორპუსის გამოსაცემად მომზადებაზე (IX-XV საუკუნეების დასურათებული ხელნაწერები აღწერილია ელ. მაჭავარიანის, ხოლო XVI-XVIII საუკუნეების ხელნაწერები – ნ. ქავთარიას მიერ). ელ. მაჭავარიანის მიერ შესრულებულია ენციკლოპედიური ხასიათის სამუშაო: „ქართული ხელნაწერი წიგნის მომხატველები“. ამჟამად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებამ განსაზღვრა ხელნაწერთა შესწავლის ტემპი და ხარისხი. წიგნის მოხატულობის ნიმუშებთან დაკავშირებით, მრავალი მნიშ-

ვენელოვანი საკითხია წარმოჩენილი, კერძოდ, ხელნაწერი წიგნის შემქმნელ ოსტატთა შორის შრომის განაწილება, ორნამენტული დეკორის თავისებურებანი, ანდერძ-მინანერებში დაცული ცნობების მიხედვით შემკულობის ელემენტების ტერმინებისა თუ მომხატველთა ეპითეტებისა და სახელების გამომზეურება, დასურათების პრინციპების განსაზღვრა და სხვ. მაგრამ დღეისათვის ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი და გამოსაქვეყნებელი.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში პერიოდულად ეწყობა მოხატული ხელნაწერებისა და საისტორიო საბუთების ექსპოზიცია. საეკლესიო სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, ხშირია სატელევიზიო გადაცემები. იბეჭდება ცალკეული თუ თემატურად გაერთიანებული მინიატიურების ბუკლეტები. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ხელს უწყობს ჩვენი ეროვნული საგანძურის პოპულარიზაციას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მოხატულ ხელნაწერთა ფერადი რეპროდუქციებისა თუ ფაქსიმილური გამოცემები ხელს შეუწყობენ ორიგინალების დაცვას მომხმარებლებისაგან.

Elene Matchavariani

THE HISTORY OF THE STUDY OF GEORGIAN ILLUMINATED MANUSCRIPTS

SUMMARY

An interest to Georgian manuscripts appeared in the 19th century. Historical and philological notices about separate manuscripts kept in different depositories were published by scientists and travelers. The first research about the Georgian manuscripts was presented in an album published by R. Shmerling in 1940.

Considerable researches about illuminations of Georgian manuscript books were made by R. Shmerling, Sh. AmiranaSvili, L. Shervashidze, M. Alibegashvili, I. Khuskivadze, E. Matchavariani, E. Amiranashvili, Ph. Devdariani, I. Chichinadze, N. Kavtaria, L. Osephashvili, M. Abutidze. A subject of the researches was to study manuscripts which were unified according to separate or concrete periods and themes. At present the National Centre of Manuscripts is working on a complete publication of miniature paintings.

ნიკოლოზ ჟღანტი, მიხეილ ღარჯანიას

კველი ქართული ხელნაწერის შექმნისთვის საჭირო იარაღების სამბანსომილებიანი ვიზუალიზაცია-რეკონსტრუქცია

ხელნაწერთა მინიატიურების მიხედვით¹

დღესდღეობით ძალიან მწირი ინფორმაცია მოიპოვება იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა ძველი ქართული ხელნაწერი, თუ რა ტექნოლოგიები არსებობდა ამ სამუშაოს შესასრულებლად. ჩვენამდე მოღწეული სხვადასხვა წყაროს მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია, წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ როგორი იყო ამ საქმეში გამოყენებული იარაღ-დანადგარები.

ერთ-ერთ წყაროდ შეგვიძლია, გამოვიყენოთ ძველ ქართულ ხელნაწერ სახარებებში შესრულებული მახარებლების მინიატიურები, რომლებზედაც გამოსახულია ჩვენთვის საინტერესო ხელსაწყოები. აღსანიშნავია, რომ ამავე მეთოდს იყენებდა ივ. ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1941). ჩვენი აზრით, სწორედ ეს ხელსაწყოები გამოიყენებოდა ხელნაწერის შესაქმნელად იმ მინიატიურის შექმნის დროს, რომელზედაც ეს ინსტრუმენტებია გამოსახული. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა მინიატიურაზე გამოსახული ხელსაწყოები ყოველთვის ერთმანეთის მსგავსი არ არის, ხშირ შემთხვევაში კი ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შესაძლოა, ხელნაწერებზე მახარებელთა გამოსახვის კულტურა (კერძოდ, ხელნაწერის შექმნისათვის განკუთვნილი იარაღების გამოსახვის კულტურა) იყო ერთგვარი ტრადიცია, რაც შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მინიატიურებზე გამოსახულ ხელსაწყოებს იმ ხელნაწერის შექმნის დროს კი არ იყენებდნენ, რომელშიც ეს მინიატიურაა შესრულებული, აქ საქმე გვაქვს მინიატიურის გამოსახვის უძველესი ტრადიციის ნიმუშებთან და, ანალოგიურად, მასზე გამოსახული ხელსაწყოების ტიპიც ამ ტრადიციის ნაწილია. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მახარებელთა გამოსახვის მჯდომარე ტიპი XI საუკუნეში დადგინდა (მაჭავარიანი 2008: 17). თუმცა, ჩვენი აზრით, მინიატიურებზე გამო-

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

სახული ხელსაწყოების განსხვავებებისა და ერთგვარი განვითარების გათვალისწინება, ასევე დედუქციის მეთოდით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მინიატიურაზე გამოსახული ხელსაწყოები თანადროულია მისი შექმნის პერიოდისა. ამავე აზრისაა ე. მაჭავარიანი (მაჭავარიანი 2008: 2, 39-40, 108).

უფრო ზუსტად რომ წარმოვიდგინოთ ამ იარაღ-დანადგარების ფორმა და მათი ფუნქცია, ჩვენ მივმართეთ საქართველოში ჯერ კიდევ დაუნერგავ მეთოდს, კერძოდ, სამგანზომილებიან გამოსახულებას, რაც მეტ-ნაკლებად გადმოგვცემს რეალურად არსებული იარაღების ფორმებსა და პროპორციებს და იმას, რაც აუცილებელია მათი ფუნქციის დასადგენად. ამ იდეის განხორციელებაში, კერძოდ, ზემოთ აღნიშნული სივრცული რეპროდუქციის შექმნაში, დაგვეხმარა დიზაინისა და კომპიუტერული გრაფიკის სტუდია „Digital Artist“.

სამუშაო შემდეგნაირად შესრულდა:

1. უპირველეს ყოვლისა, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოვიძიეთ ისეთი მინიატიურები, რომლებზედაც ნათლად ჩანს მახარებლების წინ სამუშაო მაგიდაზე განწყობილი იარაღები;

2. აღვრიცხეთ მინიატიურებზე დაფიქსირებული სხვადასხვა ტიპის იარაღის რაოდენობა და კუთვნილება მინიატიურების მიხედვით;

3. შევეცადეთ მსგავსი ტიპის იარაღები გამოგვეჩინა ურთიერთშედარების გზით და დაგვეხარისხებინა. ვცადეთ აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო მინიატიურების გადარჩევა;

4. შევიმუშავეთ მსგავსი და, სავარაუდოდ, ერთი და იმავე დანიშნულების მქონე იარაღების საბოლოო ფორმები და პროპორციები;

5. კომპიუტერული პროგრამა Autodesk „Maya“-ის მეშვეობით გავაკეთეთ ამ იარაღების სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია-რესტავრაცია;

6. არსებული მწირი წერილობითი ინფორმაციისა და მიღებული ვიზუალური შედეგის მიხედვით შევეცადეთ, გვემსჯელა და დაგვედგინა აღდგენილი იარაღების რაობა და დანიშნულება, რაშიც ჩვენ დაგვეხმარნენ ხელოვნების მონათესავე სფეროებში მოღვაწე ოსტატები (ოქრომჭედელი, მჭედელი, ღურგალი, აქაქი (გრავირების ოსტატი), ტყავის დამუშავების სპეციალისტი), ვინაიდან მათ აქვთ მსგავსი ფორმისა და დანიშნულების იარაღებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება.

ჩვენი მოხსენების სქემა ამგვარად დავალაგეთ: მოვიყვანეთ მინიატიურა სრული სახით, მასთან კი მინიატიურის ის მონაკვეთი, რომელზედაც გამოსახულია ჩვენთვის საინტერესო იარაღები. შემდეგ მოვიყვანეთ კონკრეტული იარაღის გადიდებული სურათი, რომელსაც ახლავს ინსტრუმენტის ორთოგრაფიული ნახაზი და საბოლოო სამგანზომილებიანი რეკონსტრუქცია. ინსტრუმენტის ორთოგრაფიული ნახაზის მოშველიება საჭიროდ მივიჩნიეთ იმის გამო, რომ მხატვრობის იკონოგრაფიული სტილი არ ითვალისწინებს სივრცის პერსპექტივის კანონს, ანუ ობიექტის ზომები და პროპორციები განისაზღვრებოდა სულიერების თვალსაზრისით და არა რეალური მასშტაბებითა და გაბარიტებით. ეს

_____ ძველი ქართული ხელნაწერის შექმნისთვის საჭირო იარაღების ...

ორთოგრაფიული ნახაზები კი წარმოადგენს მინიატიურებზე გამოსახული იარაღების მიახლოებით ზომებს.



იმ იარაღების ნაწილს, რომელთა სახელებიც არაა ცნობილი, ჩვენ შევეურჩით გარეგნობის შესაფერისი სახელები, რომლებიც მოვათავსეთ ბრჭყალებში.

**ალავერდის ოთხთავი (A-484). 1054 წ.
მინიატიურა მათე მახარებლის გამოსახულებით**



მოცემულ მინიატიურაზე გამოსახულია შემდეგი იარაღები: საკალმე ორი კალმითა და წითელი მელნით (სინგურით), ჯაჭვი დამჭერებით, „მრგვალი“ დანა,² „კაუჭა“ დანა, ფარგალი. მინიატიურაზე გამოსახული დანარჩენი ორი საგნიდან ერთი აშკარად გრაგნილია, ხოლო მეორე, სავარაუდოდ – ღრუბელი, რომლის აღდგენა მიზანშეწონილად არ მივიჩნით.

„მრგვალი“ დანა



² არ არის გამორიცხული, რომ ეს იარაღი იყოს იგივე „თევა“ (მაჭავარიანი 2008: 39).

„მრგვალი“ დანის მსგავსი ანალოგიები მოიპოვება შემდეგ მინიატიურებზე: იმავე ალავერდის ოთხთავის მარჯვ მახარებლის მინიატიურაზე, ლაბეჭინის (A-1563) XIII საუკუნის ოთხთავის ლუკა მახარებლის მინიატიურაზე (117v), XII-XIII საუკუნეების ოთხთავის მარჯვ მახარებლის მინიატიურაზე (H-1453, 75v), ვანის (A-1335) XII-XIII საუკუნეების ოთხთავის მათე მახარებლის მინიატიურაზე, ასევე, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ოთხთავის, (№76) მათე, მარჯვ და ლუკა მახარებლების მინიატიურებზე (მუმლაძე 2008: 120-122).



სხენებული იარაღის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობა არ გავაჩნია.

ჩვენი ვარაუდით, ეს იარაღი შეიძლება იყოს ტყავის დამუშავებისათვის განკუთვნილი დანა, რომელიც ცნობილია აგრეთვე როგორც „დემური“. ტყავის დამუშავების დროს ამ იარაღის გამოყენების შესახებ შემონახულია ეთნოგრაფიული ცნობები.

ახლად დაკლული ცხოველის ტყავს ამუშავებდნენ შემდეგი თანამიმდევრობით: ჯერ რეცხავდნენ მას, შემდეგ – ჰიპოდერმისს, ბოლოს კი აცილებდნენ ეპიდერმისს. ჰიპოდერმისის მოცილების დროს დერმას სცილდება ტყავქვეშა უჯრედისი და გატყავების პროცესში გამოყოფილი სხვადასხვა ზომის ზედმეტი ნაწილი: ხორცი, ქონი და სხვ. ხოლო ეპიდერმისის მოშორების დროს დერმა თავისუფლდება ეპიდერმისისაგან და მასთან ერთად ყველა ეპიდერმული წარმონაქმნისაგან (უმეტესად ბენვისაგან). საამისოდ იყენებდნენ ე. წ. „ვარაჩოს“ და „დემურის“. „ვარაჩო“ კედელზე დამრეცად მისაყუდებელი, რკალისებურად ოდნავ ამოზნექილი, გლუვი ზედაპირის მქონე ფიცარი იყო. ასეთივე ამოზნექილ ფორმას იმეორებდა მოხრილი დანა „დემურიც“. ის ორი სახის იყო: ბასრპირიანი და ბლაგვიპირიანი. ბასრპირიანს იყენებდნენ ჰიპოდერმისის, ხოლო ბლაგვიპირიანს – ეპიდერმისის მოცილების დროს, რათა თავიდან აეცილებინათ დერმის გაჭრა ან დაზიანება (გოგაშვილი 2003: 407; ნანობაშვილი 1973: 65). მსგავს ბლაგვიპირიან მოხრილ დანას ეწოდებოდა „ნიზამი“ (ნანობაშვილი 1973: 65).

ვინაიდან ამ დანის მოცემული მინიატიურა არ იძლევა საშუალებას, ზუსტად დადგინდეს, ალესილი პირი ჰქონდა მას თუ ბლაგვი, ჩვენ მხოლოდ ვვარაუდობთ, რომ ეს დანა „დემურია“.

„კაუჭა“ დანა



„კაუჭა“ დანის ზუსტი ანალოგი მოიპოვება ალავერდის ოთხთავის იოანე მახარებლის მინიატიურაზე. მის იარაღის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს დანა გამოიყენებოდა კალმის სათლელად (რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი), თუმცა მისი მოკაუჭებული თავი საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მისი მთავარი ფუნქცია სულ სხვა იყო, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მას კალმის გასათლელადაც იყენებდნენ.

ამ დანის მოკაუჭებული ნაწილის ფუნქციის დასადგენად, პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ, თუ რომელი მხარე იყო ბასრი. სავსებით შესაძლებელია, ორივე მხარე ბასრი ყოფილიყო.



ვთქვათ, ბასრი მხარე იყო შიგა, ანუ კაუჭის მხარე. ამ მხარით ტყავის ან ეტრატის (ისევე, როგორც ნებისმიერი რბილი მასალის) გასერვა აზრს მოკლებულია, რადგან ელემენტარული ცდით შეიძლება დამტკიცდეს, რომ ამგვარად ჭრის მეთოდი არა მარტო არაპრაქტიკული და მოუხერხებელი, არამედ არაზუსტიცაა, რადგან ის ეწინააღმდეგება აზრს, რომ კალიგრაფები სანერ მასალას ფრთხილად ეპყრობოდნენ. ასე რომ, ჩვენ უარვყოფთ „კაუჭა“ დანის ამ ფუნქციით გამოყენებას. თუმცა კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუ რისთვის იყო განკუთვნილი ნაწვეტებული კაუჭის ბოლო.

ახლა განვიხილოთ მეორე ვარიანტი:

თუ დანის მეორე მხარე იყო ბასრი, ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან პრაქტიკული იქნებოდა ნებისმიერი მატერიის დასასერად და ზუსტად დასაჭრელად, ვინაიდან დანის მომრგვალებული ბოლოს გამო, გარდა იმისა, რომ შეუძლებელი იყო სანერი მატერიის დაზიანება, ასევე ძალიან პრაქტიკული იყო გასასერად, რადგან რა დახრილობითაც არ უნდა სჭეროდა იგი გადამწერს, ის ერთნაირად კარგ შედეგს მიიღებდა. მაგრამ აქაც ხელის შემშლელი ფაქტორია დანის კაუჭის ნაწვეტებული ბოლო, მისი არარსებობა დანის ამ ფუნქციით გამოყენების შემთხვევაში მას უფრო უსაფრთხოს გახდიდა.

ამგვარად, ეს ორი მოსაზრება ერთმანეთს აბათილებს და ბუნდოვანი რჩება დანის მთავარი ფუნქცია.

ჯაჭვი დამჭერებით






ანალოგიური ჯაჭვი გვხვდება ალავერდის ოთხთავის, ლუკასა და მარკოზ მახარებლის მინიატიურებზე, აგრეთვე ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ოთხთავ №76-ის მათე, მარკოზ და ლუკა მახარებლების მინიატიურებზე (მუმ-ლაძე 2008: 120-122).

ამ იარაღის შესახებაც არ მოგვეპოვება ინფორმაცია.

მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ მას ჰქონდა ეტრატის გასაშრობად საჭირო საკიდის ფუნქცია. სხვა დასკვნამდე ჩვენ ვერ მივდით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ინსტრუმენტი იშვიათად გვხვდება ოთხთავის მინიატიურებზე, რაც უნდა მეტყველებდეს იმაზე, რომ ის მხოლოდ დამხმარე საშუალება იყო და აუცილებელ კომპონენტს არ წარმოადგენდა ხელნაწერის შექმნისას.


ფარგალი



სამწუხაროდ, ამ ინსტრუმენტზედაც არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია.

ერთადერთი, რაც შეიძლება ფარგლის ფუნქციად მოვიაზროთ, არის ზუსტი ზომების დაფიქსირება და გადატანა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იარაღი ხელნაწერის შექმნისას თუ არა, მისი გადანერის დროს აუცილებელ იარაღს წარმოადგენდა. ის ფაქტიც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული იარაღი თითქმის ყველა მინიატიურაზე დაფიქსირებული.

საკალმე



საკალმე ყველა მინიატიურაზე სხვადასხვა ფორმით წარმოგვიდგება.

საკალმისა და კალმების შესახებ, საბედნიეროდ, ჩვენ გარკვეული ინფორმაცია მოგვეპოვება.

სანერი იარაღის უძველესი ქართული სახელწოდებაა „სანერელი“.

„სანერელს“ სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც მთელ სანერ მასალას (ორბელიანი 1993: 69). XVII-XVIII საუკუნეებში სანერელი საკმაოდ ხშირად გვხვდება: „აქ სანერელი წამექცა და წამიშალა...“, „სანერელი განყობილი კარგი“, „სანერელი თავებით და მაკრატლით...“ (სურგულაძე 1978: 49; ჯავახიშვილი 1996: 51).

კალმებს ინახავდნენ „საკალმეში“. „საკალმე მარანსა შინა ჩამივარდა და კალმები შემეშალა, წვერი დაიღენა“ (სურგულაძე 1978: 53).

თუ ვიმსჯელებთ საკალმეში მოთავსებული კალმების ფერის მიხედვით, ეს კალმები მეტაღისაა, რადგან მათი ფერი ემთხვევა მინიატიურაზე გამოსახული მეტაღის იარაღების შეფერილობას. საინტერესოა ამის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, სახელდობრ, ღვთაების 1721 წლის გუჯარში, იხსენიება „კალამნი ფოლადისანი“. რაც გასაკვირი არაა, რადგან, თუ დასავლეთ ევროპაში ლითონის კალმები XVI საუკუნეზე ადრე არ ჩანს, სამაგიეროდ, აღმოსავლეთში ცნობები მათ შესახებ შუა საუკუნეებშიც კი გვხვდება და ამიტომ, შესაძლებელია, საქართველოში ფოლადის კალმის არსებობაზე უფრო ადრინდელი ცნობაც აღმოჩნდეს“ (ჯავახიშვილი 1996: 51).


მზია სურგულაძის მიხედვით კი, „X საუკუნის ერთ-ერთ ნათარგმნ ტექსტში გვხვდება „კალამი რკინისა“, მაგრამ ეს ერთი მოწმობა, რა თქმა უნდა, არ გამოდგება ჩვენში რკინის კალმების გავრცელებულობის დასადასტურებლად მოცემულ ეპოქაში. გვიანდელ ეპოქაში კი რკინის კალმებს საქართველოში ხმა-რობდნენ“ (ჯავახიშვილი 1996: 51).

ამგვარად, თუ ამ მინიატიურაზე საკალმეში მოთავსებული კალმები მართლაც რკინისაა, ე.ი. მათ იყენებდნენ ალავერდის ოთხთავის შექმნის დროს, ანუ XI საუკუნეში.

სავარაუდოდ, საკალმეში მოთავსებული კალმები სპეციალურ „ხუცურ“ და მხედრულ „კალმებს“ წარმოადგენენ, რადგან მინიატიურაზე დაკვირვებით ნათელია მათ შორის არსებული განსხვავება.


განსხვავებას „ხუცურ“ და „მხედრულ“ კალმებს შორის ქმნიდა მათი სხვადასხვაგვარი ფორმა. ნუსხურის კალმის წვერი თხლად და ოდნავ განივრად უნდა ყოფილიყო გამოჭრილი, რათა ასოების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ნაკვთებს შორის მკვეთრი განსხვავება ყოფილიყო ხაზების სისქის მხრივ. რაც შეეხება „მხედრულის კალამს“, მისი წვერი არ უნდა ყოფილიყო ძალიან განიერი (სურგულაძე 1978: 49-52).

ალავერდის ოთხთავი (A-484) 1054 წ. მინიატიურა მარკოზ მახარებლის გამოსახულებით




ამ მინიატიურაზე გამოსახულია შემდეგი ინსტრუმენტები: ე. წ. „მრგვალი“ დანა, „კაუჭა“ დანა, „საფხეკი“ დანა და ჯაჭვი დამჭერებით. უკვე აღდგენილი იარაღების გამოვლენით აღდგენა საჭიროდ არ მივიჩნით. აღვადგინეთ მხოლოდ „კაუჭა“ დანის ერთი ნაირსახეობა და „საფხეკი“ დანა.

„კაუჭა“ დანა



აღნიშნულ მინიატიურაზე ჩვენთვის საინტერესოა „კაუჭა“ დანა, რომლის თავისებურება ისაა, რომ მისი კაუჭი ბოლომდე მომრგვალებული, ანუ ეს კიდეც უფრო მეტად ხდის საეჭვოს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „კაუჭა“ დანის შიგა მხარე იყო ბასრი. თუმცა კაუჭის ამგვარი მომრგვალებული ბოლო შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მინიატიურის შემქმნელის დამახასიათებელი სტილი იყო.

„საფხეკი“ დანა






მსგავსი ანალოგი ამ იარაღს მოეძებნება ალავერდის ოთხთავის იოანე მახარებლის მინიატიურაზე, აგრეთვე H-1453 ოთხთავის ლუკა მახარებლის მინიატიურაზე (119v).

ზემოთ ნახსენები სპეციფიკური ფორმის დანას, ჩვენი აზრით, აქვს საფხეკი დანის დანიშნულება, რითაც ეტრატის ზედაპირიდან აშორებდნენ ხარვეზებს. „საქართველოში მიღებული ყოფილა გასასწორებელი ადგილის ამოფხეკა. ამოფხეკილ ადგილს უსვამდნენ სანდალოზს ანუ სანდრაკს“ (სურგულაძე 1978: 48). მისი ფორმიდან სხვა დასკვნა არ გამომდინარეობს.

**ალავერდის ოთხთავი (A-484) 1054 წ. მინიატიურა ლუკა მახარებლის
გამოსახულებით**



„მრგვალი“ დანა







ზუსტად ამგვარი ფორმის დანა სხვა მინიატიურაზე არ მეორდება. ვფიქრობთ, რომ ესეც „მრგვალი“ დანის ერთ-ერთი ნაირსახეობაა, რომელიც, შესაძლებელია, სხვა ფუნქციითაც იხმარებოდა.

გელათის ოთხთავის (Q-908) XII ს. იოანე მახარებლის მინიატიურა.







ხისფეხებიანი ფარგალი



ამ ფარგალს, განსხვავებით სხვა ფარგლებისაგან, აქვს ხის ფეხები, რომელთა გამოცვლაც შეიძლებოდა დაზიანების შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ, რკინისგან განსხვავებით, ხე ნაკლებად საშიშია ხელნაწერის დაზიანების თვალსაზრისით.

„მრგვალი“ დანა



ამგვარი დანა მეორდება H-1453 ოთხთავის იოანე მახარებლის მინიატიურაზე (190v).





ჩვენი ვარაუდით, ეს იარაღი ე. წ. „მრგვალი“ დანაა. მისი ფორმიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ეს დანაც იმავე ფუნქციის მატარებელია, რისიც ზემოთ არნიშნული მსგავსი ტიპის დანები.

**ჯრუჭის ოთხთავი (H-1667) XII ს. მინიატიურა ლუკა მახარებლის გამო-
სახულებით.**



მინიატიურაზე გამოსახულია შემდეგი იარაღები: საკალმე, ფარგალი, „მრგვალი“ დანა და კალმის სათლელი დანა. ამ შემთხვევაში აღვადგინეთ მხოლოდ „მრგვალი“ დანის ერთ-ერთი საინტერესო სახეობა, რადგან სხვა იარაღები უკვე აღდგენილი იარაღების იდენტურია. კალმის სათლელ დანაზე კი ჩვენ ბოლოს გვექნება საუბარი.


„მრგვალი“ დანა



ანალოგიური იარაღი მოიპოვება H-498 ოთხთავის მარკოზ მახარებლის მინიატიურაზე (85v).





ეს იარაღი ტიპური „მრგვალი“ დანაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მთლიანად ერთი ჩამოსხმისაა. აღსანიშნავია ერთი დეტალიც: განსხვავებით ზემოთ ნაჩვენები „მრგვალი“ დანებისაგან, ტარის სპეციფიკური ფორმის გამო, განსხვავებული იყო მისი ხელში ჭერის მანერაც.

**ლაბეჭინის ოთხთავი (A-1563) XIII ს. მინიატიურა მარკოზ მახარებლის
გამოსახულებით, 71v.**



მინიატიურაზე ჩვენ ვხვდებით ფარგლის ერთ-ერთ ნაირსახეობასა და იარაღს, რომელსაც პირობითად „სადგისი“ ვუწოდეთ.



„სადგისი“



სადგისის სხვადასხვაგვარი ანალოგია მოიპოვება იმავე ლაბეჭინის ოთხთავის იოანე მახარებლისა და პროხოორეს მინიატიურებზე (191v), Q-900 ოთხთავის ლუკა (114v), მათე (5v) და მარკოზ მახარებლის (69v) მინიატიურებზე.

ჩვენი აზრით, ამგვარი სადგისი, რომელიც მრავლად გვხვდება მინიატიურებში, განკუთვნილი იყო ეტრატის რვეულებად ასაკინძად, რვეულებისა კი – ნიგნად. იმავე პროცესის აღმნიშვნელი ტერმინები იყო „კაზმვა“, „შეკვრა“ (სურგულაძე 1978: 35, 133, 138, 140-141). „შემოსვა“ რვეულებად და ნიგნად აკინძვას უნდა ნიშნავდეს. ეს რთული საქმე არ არის და ზოგჯერ მწერალი შემოსველიცაა“ (ჯავახიშვილი 1996: 82).

ფარგალის ერთ-ერთი ნაირსახეობა



ზემოთ მოყვანილი ფარგლის თავისებურება ისაა, რომ მას აქვს დამატებითი წვეროები, რაც, სავარაუდოდ, აიოლებდა გადაზომვის პროცესს.

ვანის ოთხთავი (A-1335) XII-XIII სს. ლუკა მახარებლის მინიატიურა



ამ მინიატიურაზე ყურადღებას იქცევს ინსტრუმენტი, რომელსაც პირობითად „ფლაკონი“ ვუწოდეთ.



როგორც ჩანს, ფლაკონი სავსე იყო თხევადი ნივთიერებით, რომლითაც წერის წინ ეტრატს ამზადებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ასეთი ქიმიური დამუშავებისთვის იყო განკუთვნილი ეს ნივთი. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ აღნიშნულ მინიატიურაზე მახარებელს ხელთ უჭირავს ცარიელი ეტრატი (განსხვავებით სხვა მინიატიურებისგან, სადაც მახარებლების ხელთ არსებულ ეტრატებზე შეიჩნევა რამდენიმე ასო მაინც), რომელთანაც მიტანილი აქვს ეს ფლაკონი.


ჩვენ ამ ნივთს ვუნოდეთ ფლაკონი, თუმცა, შესაძლებელია, ეს ყოფილიყო ჩვეულებრივი ჭრაქიც.

ოთხთავი (H-1453) XII-XIII სს. იოანე მახარებლის მინიატიურა, 190v.



ამ მინიატიურიდან ჩვენ აღვადგინეთ მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი.


სათლელი დანა



ჩვენ მიგვაჩნია, აშკარაა, რომ ეს დანა კალმის სათლელი დანაა. ამ იარაღზე და მის დანიშნულებაზე საისტორიო წყაროებში ბევრი ცნობაა შემონახული.

ამ იარაღის სახელი „ყალამთარში“ გვხვდება, რაც სპარსულად კალმის მჭრელს, კალმის დანას ნიშნავს.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული იარაღის ფორმა ჩვეულებრივი დანებისგან არ განსხვავდება, მისი აღდგენა დიდად საჭირო არ ყოფილა. თუმცა ჩვენ მაინც აღვადგინეთ ის, რადგან სათლელი დანის გამოყენების პროცესი ალბეჭდილია ოთხთავის მათე მახარებლის მინიატიურაზე (5v), რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ჩვენი ნაშრომის მთავარი აზრის რეალისტურობაზე.



დასკვნა

ჩვენი მიზანი იყო, კომპიუტერული პროგრამის, „Autodesk Maya“- ის, გამოყენებით წარმოდგენა შეგვექმნა ძველი ქართული ხელნაწერების შესაქმნელად გამოყენებული იარაღების შესახებ.

და ბოლოს, აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ იარაღების ფუნქციის დასადგენად აუცილებელია მათი დამზადება და გარკვეული ცდების ჩატარება.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **გოგაშვილი 2003:** გოგაშვილი დ., ეტრატი-სანერი მასალა და მისი დამზადების წესი (ეთნოგრაფიული მონაცემებისა და წერილობით ძეგლებში დაცული ცნობების მიხედვით), კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N20, თბ., 2003.
2. **მაჭავარიანი 2008:** მაჭავარიანი ე., წიგნის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 2008.
3. **მუმლაძე 2008:** მუმლაძე ც., „შენამებაჲ დიად მიხარკება“ (ფილოლოგიური ძიებანი), ქუთ., 2008.
4. **ნანობაშვილი 1973:** ნანობაშვილი ი., ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, თბ., 1973.
5. **სულხან-საბა ორბელიანი 1993:** სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993.
6. **სურგულაძე 1978:** სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
7. **ჯავახიშვილი 1941:** ჯავახიშვილი ივ., ავეჯი ძველ ქართულ ფრესკებსა, მინიატურებსა და ჭედურ ხელოვნებაში (ნიმუშების კრებული), თბ., 1941.
8. **ჯავახიშვილი 1996:** ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. IX, თბ., 1996.

Nikoloz Zhgenti

Mikheil Darjania

THREE-DIMENSIONAL VISUALIZATION-RECONSTRUCTION OF TOOL OF OLD GEORGIAN MANUSCRIPT (ACCORDING TO MANUSCRIPT MINIATURES)

SUMMARY

Making of manuscript books in Georgia has many centuries history. Though, there are few historical sources about the tools that were used at this process. Mainly, this kind of historical and ethnographical sources are about ink, parchment, paper, also about knives that were used for sharpening a wooden pen.

To know which were the other instruments that were used for making manuscript books we need other kind of historical source. We consider that miniatures of Christ's

apostles in Georgian manuscript gospels of middle ages are truly that kind of sources we can use. Most of these gospels are reserved in Tbilisi, at National Centre of Manuscripts.

On these miniatures st. apostles are sitting and writing gospels. On the table in front of them are many kind of tools – different kind of knives, scissors, wooden and iron pens, drawing compasses, etc. Though this kind of visualisation of st. apostles was iconographical style, we consider that these are the tools that were used in middle ages during making of manuscript.

After working on these miniatures we have made three-dimensional visualization-reconstruction of these tools. For this work we used 3D program Autodesk "Maya". We also gathered information from historical and ethnographical literature and worked out our opinions about these tools and their functions.

ნესტან ჩნიკვაძე

მაია კარანაძე

უძველესი ქართული ყდები სვანური კოლექციიდან¹

ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორიაში IX-X საუკუნეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ეპოქიდან დაწყებული წიგნი გასცდა მხოლოდ რელიგიური განათლების პრაქტიკულ სფეროს და კულტურული ფენომენის მნიშვნელობა შეიძინა, რასაც განსაზღვრავდა რამდენიმე ფაქტორი: შექმნის მოტივაცია, გავრცელების სოციო-კულტურული არეალი, წიგნის წარმოებასთან დაკავშირებული ხელოსნური დარგების მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობად გარდაქმნა.

წიგნის კულტურულ-ისტორიული ღირებულების შეფასებისას საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ყდას. წიგნის შემადგენელი ყველა კომპონენტიდან (საწერი მასალა და მელანი, ტექსტობრივ-რედაქციული თავისებურებები და მხატვრულ-დეკორატიული სისტემა) იგი ყველაზე ნაკლებად უძლებს დროს და საჭიროებს განახლებას. უძველეს ხელნაწერებს არ შემორჩა თავდაპირველი ყდები არა მხოლოდ წიგნების გადანაცვლების, არამედ მათი ხშირი გამოყენების გამოც, რაზედაც ნუსხებზე დართული ანდერძ-მინაწერებიც კი მეტყველებს. ამიტომაც წიგნები ხელახლა ჯდება ყდებში. 864 წელს გადანერილი სინური მრავალთავის ცნობილი ანდერძი – სამგზის, ხოლო 1156 წ. გადანერილი (H-1661) ხელნაწერის ანდერძ-მინაწერები წიგნის ოთხგზის შეკაზმვაზე მიუთითებენ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ყდა ასახავს როგორც კოდექსის შექმნის თანადროულ, ასევე შემდგომი დაცვა-განახლების ეპოქებისთვის დამახასიათებელ მხატვრულ-ესთეტიკურ თავისებურებებს.

მიუხედავად IX-XI სს. გადანერილი წიგნების ხელახალი შეკვრისა, ყდებზე გვხვდება ხელნაწერის შეკაზმვის ადრეული ნიშნები, რაც იმით აიხსნება, რომ

¹ მოხსენება ნაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ხელნაწერი ნიგნის ყდები დროთა განმავლობაში, მართალია, განიცდიან ევოლუციას, მაგრამ ტექნიკა და იარაღები უცვლელი რჩება. ქართული ყდების შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ X-XVI საუკუნეებში შექმნილი ტყავის ტვიფრული ყდების წარმოების პროცესს არ განუცდია მნიშვნელოვანი ცვლილებები. სტაბილურ სახეს ინარჩუნებს როგორც ნიგნის შეკვრის, ხის დაფების მომზადებისა და მიმაგრების ტექნიკა, ისე მათი ზედაპირის მხატვრულად გაფორმება. მხედველობაში გვაქვს საბორდიურე ტვიფრების შემავსებელ ტვიფრებად გამოყენება (ცენტრალური ნაწილში) და პირუკუ. გაფორმების ამგვარი ტენდენცია დამახასიათებელია ადრეული ყდებისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX-XI საუკუნეების ქართულ ხელნაწერ ნიგნთა ყდები ნაკლებადაა შემონახული. ბოლო დრომდე ცნობილი იყო X საუკუნეებით დათარიღებული ტვიფრული ტყავის მხოლოდ სამი ყდა, რომლებიც დაცულია სინის მთის ნმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული კოლექციის ხელნაწერებზე: Sin.geo.O.32-57-33 (სინური მრავალთავი), Sin.geo.O.46 (სვიმეონ მესვეტის ცხოვრება) და Sin.geo.26 (ლიტურგიკული კრებული, კარანაძე 2007: 346-351). თანადროული სხვა მასალის უქონლობისა და ყდებზე დადასტურებული აღმოსავლური ტოლფერდა ჯვრის სტილიზებული ორნამენტის საფუძველზე გამოთქმული იყო ვარაუდი, რომ ამ ტიპის ტვიფრული ყდების წარმოება დამახასიათებელი იყო მხოლოდ სინური წარმომავლობის X საუკუნის ქართული ხელნაწერი ნიგნებისათვის (კარანაძე 2002: 9-16). 2008 წელს ადიშის ოთხთავისა (897 წ.) და ადიშის იადგარის (X-XI სს.) სახელწოდებით ცნობილ ხელნაწერებზე გამოვლინდა ნიგნების შექმნის თანადროული, სინური ყდების ანალოგიური ტყავის ორი ტვიფრული ყდა.

ზემოთ დასახელებულ ხელნაწერთა ყდების შესწავლა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. კერძოდ, იმან, რომ ორივე ეს ნუსხა შექმნილია თითქმის ერთ პერიოდსა და გარემოში, დაცულობის მხრივაც ერთი გზა განვლო: ორივე ხელნაწერი გადანერილია კლარჯეთში (სურ. 1), მათ არანაირი შეხება არ ჰქონიათ სინის მთის სკრიპტორიუმთან და საუკუნეების განმავლობაში ინახებოდა სოფელ ადიშში, ამჟამად კი დაცულია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

ამჯერად წარმოვადგენთ სვანეთში დაცულ ორი ადრეული ყდის ტიპოლოგიურ ანალიზს (სურ. 2, 3) (გრაფიკული მონახაზი შესრულებულია ჩვენ მიერ, ხოლო მისი მხატვრული ასლი ჩვენი თხოვნითა და მითითებით – მ. ებრალიძის მიერ).

ადიშის ოთხთავი (სურ. 2), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IX საუკუნის მნიშვნელოვანი ხელნაწერი ნიგნია. შესრულებულია ეტრატზე, შატბერდის მონასტერში. მასში დაცულია ოთხთავის ქართული თარგმანის უძველესი რედაქცია. ნიგნის მომგებელი ანუ დამფინანსებელია შატბერდელი მოღვაწე სოფრონი, გადამწერი – მიქაელი; თავდაპირველი ყდის ოსტატი – მიქაელ დიაკონი. ხელნაწერი გამოიზნულია ქართველ მეფე ადარნესე კურაპალატის, მისი ფეოდალური სახლისა და შატბერდელი მამების დიდებისა და სულის ცხონებისათვის. მოგ-

ვიანებით შატბერდიდან წიგნი წამოღებულია ჯუმათის მონასტრის ყოფილ მამასახლის ნიკოლაოსის მიერ. XIV საუკუნიდან დღემდე იგი ინახება სვანეთში.

ეს მეტად ცნობილი ხელნაწერი წიგნი ორგზისაა აღწერილი და გამოცემული (ქართული ოთხთავის... 1945; ადიშის ოთხთავი 2003). ნუსხის ენობრივმა და ტექსტის რედაქციულმა თავისებურებებმა, ანდერძ-მინანერებში მოხსენიებულმა ისტორიულმა პირებმა და მხატვრულმა გაფორმებამ არაერთი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. მისი თავდაპირველი აღწერილობა ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს (ხახანაშვილი 1904); 1892 წელს ადიშის სახარება შეისწავლა დეკანოზმა ბესარიონ ნიჟარაძემ (ფსევდონიმი – „თავისუფალი სვანი“), მაგრამ მისი ნაშრომი მხოლოდ 1903 წელს გამოქვეყნდა (ნიჟარაძე 1903). მისი შემდგომ ნუსხა ფოტოტიპირად გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე თაყაიშვილმა (თაყაიშვილი 1937); ხელნაწერს შეეხნენ კ. კეკელიძე (კეკელიძე 1941: 392-397), რ. შმერლიმგი (შმერლინგი 1979: 16-33) ზ. ჭუმბურიძე (ჭუმბურიძე 1983: 114-120), პ. ინგოროყვა (ინგოროყვა 1941: 309), ივ. იმნაიშვილი (იმნაიშვილი 1946,1947) ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა ზ. სარჯველაძის ხელმძღვანელობით შეისწავლა და ხელახლა გამოსცა აღნიშნული ძეგლი (ადიშის 2003).²

ხელნაწერის ყდის ზომა: 30×27; სწორად მოთლილ ხის სქელ (დაახლოებით 1 სმ. სისქის) დაფებზე გადაკრულია მუქი ყავისფერი ტყავი. გამოიყოფა რამდენიმე ფენა: IX-X საუკუნეების ტყავის, XIV საუკუნის ტყავისა და მეტალის ელემენტების კომბინირებით შექმნილი ყდა (თვალში საცემია ადრეული რესტავრაციის კვალი) და ყუაზე გვიანდელი შეკაზმვის შედეგად დატოვებული (სავარაუდოდ XVI-XVII სს.) ტყავის ფრაგმენტი. ყუაზე ასევე შემორჩენილია წითელი კაპტალის მცირე ფრაგმენტი. ზედა ფრთის მარჯვენა ზედა და ქვედა კიდეები ჩამოტეხილია. ხელნაწერს ახლავს თანადროული რვეულებრივი პაგინაცია (ადიშის ოთხთავი 2003: 6), რაც იმაზე მეტყველებს, რომ ნუსხა გადაწერისთანავე აკინძული და ყდაში ჩასმული უნდა ყოფილიყო. რაზედაც თავად გადამწერის ანდერძიც კი მეტყველებს.³ მოვიტანთ ანდერძს შემოკლებული სახით: „...მწერალი ამისი მიქაელ ლოცვასა მომიწსენეთ და შემინდვეთ სიუცბე ჩემი. და მოსველიცა მიქელ დიაკონი მომიწსენეთ ნმიდასა ლოცვასა თქუენსა...“.

ამოტივიფრული ტყავი, რომელიც დღესდღეობით გააჩნია ოთხთავს არის სწორედ იმ ყდის ფრაგმენტი, რომელიც პირველი შემოსვის დროს (IX ს.) ხელნაწერს გაუკეთა მიქაელ დიაკვანმა (სურ. 2).

² სრული ბიბლიოგრაფიისათვის იხ. ადიშის ოთხთავის 2003 წლის გამოცემა.

³ იყო შემთხვევები, როდესაც ტყავის უქონლობის გამო ხელნაწერს ყდა არ უკეთდებოდა. ამ მხრივ საყურადღებოა XIV საუკუნეში სპეციალურად სვანეთისთვის იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში გადაწერილი ხელნაწერი ლაჰილის ოთხთავი, რომელშიც ვკითხულობთ: „... ტილოსა შინა შემიკრავს, ჩემო ძმაო მიქაელ, შენად სასუდრედ დაიმჭირე“ (172v).

ტვიფრული ტყავი შენარჩუნებულია მხოლოდ ზედა ფრთის ცენტრალურ ნაწილში. ძლიერ დაზიანებულ ტყავზე ტვიფრის სახით მაინც იკითხება წრეში ჩახაზული ჯვრის სტილიზებული ფორმა – რომბისებური წნული ორნამენტი ჩახვეული ბოლოებით. ეს არის X საუკუნისთვის დამახასიათებელი ტიპური ტვიფრული ყდის ფრაგმენტი, რომელზედაც იკითხება წრეში ჩახატული ტოლფერდა აღმოსავლური ჯვრის სტილიზებული ორნამენტი, სწორედ ამ ტიპის X საუკუნის ყდები დაცულია სინის მთის ქართული კოლექციის ხელნაწერ ნიგნებზე, მხედველობაში გვაქვს სინური მრავალთავისა (Sin.Geo.O.32-57-33) და Sin.Geo.O.46, ზედა ფრთები, რომელთა შემქმნელია X საუკუნეში საბანძინდასა და სინის მთაზე მოღვაწე ცნობილი ქართველი მწიგნობარი იოვანე-ზოსიმე. ბოლო დრომდე, ადიშის ოთხთავის უძველესი ყდის აღმოჩენამდე, ივარაუდებოდა, რომ აღმოსავლური ჯვრის სტილიზაციით შექმნილი ტყავის ტვიფრული ყდები დამახასიათებელი იყო მხოლოდ სინური წარმოშობის ხელნაწერი ნიგნებისათვის (სურ. 2).

ამოტვიფრული ტყავის ზედაპირზე დამაგრებულია გრავირებული, საშუალო ზომის ტოლფერდა ჯვარი. ვერცხლზე ამოკვეთილი ნახატის სახეს ფოთლოვან-ყვავილივანი ორნამენტი ქმნის. ჯვრის მარცხენა მკლავი ჩამოტეხილია, რაც, თავის მხრივ, არქაულობის იერს კიდევ უფრო ამძაფრებს მნახველში. რუსუდან ყენია ადიშის სახარების ყდის განხილვისას ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ გრავირებულ ვერცხლის ჯვარზე: „Единственное украшение оклада Адишского евангелия это – маленький серебряный крест, укрепленный в кожаной обложки, украшенной простым гравированным рисунком. Центр креста подчеркнут рельефной полусферой“ (ყენია 1983: 2). ადიშის ოთხთავის აღწერილობაში ვ. სილოგავა გამოთქვამს ვარაუდს, რომლის თანახმადაც ჯვარი შესაძლოა ხელნაწერის თანადროულიც კი იყოს (სილოგავა 1986: 46). შეიძლება თუ არა გავიზიაროთ მეცნიერის ეს ვარაუდი? ვფიქრობთ, მისი წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ყდაზე არსებული ჭედური ჯვრის ფორმა. იგი მიჰყვება აღმოსავლური, სირიულ-პალესტინური ჯვრის ტიპს, რომლის კლასიკური გამოსახულება წარმოადგენს წრეში ჩახაზულ ჯვარს. იგი, უდავოდ, დამახასიათებელი იყო V-X საუკუნეთა ქრისტიანული ძეგლებისათვის, მაგრამ უკვე X საუკუნედან დანელებული ბიზანტიური გავლენის სასულიერო-საეკლესიო ძეგლებზე იგი შეცვალა სწორკუთხა ჯვრის გამოსახულებამ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წრეში ჩახაზულმა ტოლფერდა ჯვარმა, როგორც ტრადიციულმა ფორმამ, თითქმის გვიან შუა-საუკუნეებამდე შეინარჩუნა არსებობა პალესტინა-სირიის კულტურულ არეალში (ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დაუბრუნდებით).

რაც შეეხება ვერცხლის გრავირებულ ჯვარს, რომელიც რელიეფური სამსჭვალეებითაა დამაგრებული ტყავის ამოტვიფრული ყდის ზედაპირზე (მეორე შრის ცენტრში), ვფიქრობთ, იგი ძველი ყდის გამყარებისა და გაფორმების მიზნით მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში არაუადრეს XIV საუკუნისა უნდა დამაგრებინათ სახარების ყდაზე სწორედ სვანეთში. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ყდაზე ვერცხლის სამსჭვალეებით დამაგრების ტექნიკა. რის შესახებაც ალ. სამინსკი წერდა: “Сере-

брянные гвозди были излюбленным средством украшения кожаных книжных переплетов в Грузии” (Саминский 2004: 259). სხვათა შორის, ამავე ტექნიკითაა შესრულებული მესტიის ოთხთავის ყდაც (Саминский 2002: 148-178) (სურ. 4) და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამოფენილი სვანური ადგილობრივი წარმოების შუასაუკუნეების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელიწვების ეთნოგრაფიული ნიმუში, კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ლითონის საკმაოდ მოზრდილი ქვაბი.

ყდის ტყავითა და ლითონით კომბინირება, ლითონის ელემენტების სამსჭვალეებით დამაგრება დამახასიათებელია XIV-XVI საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნებისათვის (Q-241, A-505, H-1660, A-499, A-502) (სურ. 5, 6). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯრუჭი I-ის (H-1660) ყდას ყველა ნიშნის მიხედვით XVI-XVII საუკუნეებით ვათარილებთ (მხედველობაში გვაქვს როგორც ხის დაფების მოყვანილობა, ისე, ყდის ზედაპირის ტვიფრებით გაფორმება). ამდენად, ადიშის ოთხთავის ყდაზე ჯვრის ამ არქაული ფორმის არსებობა ჯერ კიდევ არ გულისხმობს, რომ მისი გამოჩენა ყდაზე წიგნის გადანერის თანადროულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ზოგადად ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის წარმოების ახალ ტრადიციას, რომელიც გულისხმობს ტყავის ყდებიდან ჭედური ან შერეული სახის (ტყავი და ჭედური ელემენტები) ყდებზე გადასვლას. დღემდე არსებული მონაცემებით (ანდერძ-მინაწერები, ჩვენამდე მოღწეული ძველი ყდები ან მათი ფრაგმენტები) X-XI საუკუნეების წიგნის ტრადიცია ცნობდა მხოლოდ ტყავის ყდებს (იქნებოდა ეს ამოტვიფრული თუ ამოუტვიფრავი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი ვარაუდით ოთხთავის ყდაზე ჯვარი გაჩნდა მოგვიანებით, მაშინ, როდესაც ქართული ხელნაწერი წიგნის ყდის წარმოების ტრადიციაში დაიწყო ჯერ ერთიანი მდიდრული ჭედური ყდების (სურ. 7), ხოლო მოგვიანებით – ჭედური ელემენტებით შემკული ტყავის ზედაპირის წარმოება. ერთიანი ჭედური ყდები ქართულ ხელნაწერ წიგნზე ჩნდება XI-XII საუკუნეებში, ისიც მხოლოდ საგანგებო ქტიტორულ ეგზემპლარებზე. 1054 წლის ალავერდის ოთხთავის ანდერძის თანახმად, წიგნი ჩასმული იყო ერთიან ჭედურ ყდაში (ქტიტორი ლიპარიტ ერისთავის ძე ივანე პროედროსი); ყდა, რომელიც დღეისათვის გააჩნია ალავერდის ოთხთავს გაკეთებულია XVII საუკუნეში, ლევან დადიანის სახელსნოში (სურ. 8). ჩვენამდე მოაღწია XII-XIII საუკუნეების ბერთის, ტბეთისა და წყაროსთავის სახარებების ჭედურმა ყდებმა. საგანგებოდ დაკვეთილი ამ ყდების ავტორები არიან ბექა და ბეშქენ ოპიზრები.

რაც შეეხება ტყავის ზედაპირის ჭედური ელემენტებით შემკობას, ამგვარი ტრადიცია თავს იჩინს XIV საუკუნიდან (ოთხთავი, A-499), ჯრუჭი პირველი – H-1660 (სურ. 6); განსაკუთრებული სიხშირით იგი ჩნდება XVI-XVII საუკუნეებში, როდესაც ფეოდალური სახლების წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან საგანგებოდ მოხატული ძველი ხელნაწერი წიგნების დაცვა-რესტავრაციის საქმეში; მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ ალავერდის ოთხთავის დღეს შემორჩენილი ყდა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა შექმნილიყო

სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის უზრუნველყოფით მისსავე სახელოსნოში. სხვათა შორის, სწორედ ამ ხელახლა მოჭედილ ყდებს რიგ შემთხვევაში ამკობდნენ ძველი ელემენტებითაც. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე XVII საუკუნეში მოჭედილი ალავერდის ოთხთავის ყდაზე, რომლის ერთ-ერთ სამკაულად გამოყენებულია XI საუკუნის მინანქრული გამოსახულება (სურ. 8).

ადიშის ოთხთავის ყდის ქედური ჯვრის დათარიღებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც. ხელნაწერი წიგნის წარმოება, ანუ მისი გადანერა, კინძვა, შემკობა ერთიანი, გააზრებული პროცესია. ყდის შემქმნელი, როგორც დასტურდება ხელნაწერი წიგნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ყოველთვის ითვალისწინებს თავად წიგნის შინაარსობრივსა და მხატვრულ თავისებურებებს და არასდროს გადის კონკრეტული ეპოქისა თუ არეალის საღვთისმეტყველო სიმბოლოების მიღმა (შდრ. სინის მთის ხელნაწერები და ყდები); სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყდის ოსტატის ნამუშევარი, მის მიერ გამოყენებული იკონოგრაფიული თუ ორნამენტული ელემენტები ზუსტად ასახავენ თავად წიგნის ისტორიას. თუ ყდა წიგნის გადანერის თანადროულია, მასზე ჩნდება სწორედ იმ ეპოქისა და წიგნისათვის ბუნებრივი სიმბოლოკა, ხოლო თუ გვიანდელია, იგი აირეკლავს იმ სივრცისა და დროისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს, რომელშიც და როდესაც შეიქმნა კონკრეტული ყდა. ადიშის ოთხთავის ყდაზე გამოსახული ჯვრის ფორმა, მიუხედავად მისი ადრეული ელფერისა, არ ეთანხმება თავად ამ წიგნში გამოყენებულ ქრისტიანულ სიმბოლოებს, ვგულისხმობთ წიგნის თავშივე, ოთხთავის ტექსტის წინ, ხელნაწერის 1v-ზე გამოსახულ ჯვარს – კვადრიფოლიუმს. სწორედ ამ ფორმის ჯვრებია დამახასიათებელი IX-X საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნებისათვის. მაგალითისათვის მოვიტანთ ჯრუჭის (პირველი) სახარებას, რომელიც, ადიშის ოთხთავის მსგავსად, კლარჯეთის სამონასტრო ცენტრში – შატბერდშია შექმნილი. ამ ორ ხელნაწერ წიგნს ახლავს იდენტური კვადრიფოლიუმი (სურ. 9).

რაც შეეხება ქართულ სამწიგნობრო ტრადიციას, ხელნაწერი წიგნის ჩვენამდე მოღწეული ეგზემპლარების მიხედვით, წრეში ჩახატული ტოლფერდა ჯვარი მრავალფეროვანი სტილიზებული ორნამენტით დასტურდება ძირითადად X საუკუნის სინური ხელნაწერების (Sin.Geo.N.20, Sin.Geo.O.47, 38, 34 (ასევე იხ. ამავე ნომრის პეტერბურგში დაცული ფრაგმენტები) ფურცლებსა და უძველეს ყდებზე (864 წლის სინური მრავალთავი – Sin.Geo.O.32-47-33, Sin.Geo.O.46, Sin.Geo.N.26). ამავე ფორმის კლასიკური ჯვრები სტილიზაციის გარეშე გამოსახულია 1054 წელს ანტიოქიის მახლობლად შავ მთაზე გადანერილ ალავერდის ოთხთავში (A-484) ხელთუქმნელი ხატის მინიატურაზე.⁴

⁴ საინტერესოა, რომ ამ ხელნაწერის ტექსტი, რომელსაც ახლავს მინიატურა, სირიული გავლენის ამსახველი რედაქციაა.

მოვუბრუნდეთ თავად ადიშის ოთხთავის ყდას. მისი შრეების ვიზუალური შესწავლა სავსებით არაორაზროვნად მიუთითებს, რომ იგი მოგვიანებითაა რესტავრირებული, სქელი ტყავის შრე, რომელიც ამჟამად მოხეულია, ჩვენი ვარაუდით, უკვე კომბინირებულ ყდაზე უნდა გადაეკრათ ძველი ყდის დაცვის მიზნით, მსგავსად ლახამულის სახარებისა (სწორედ სვანეთში, ლახამულაში დაცულ ხელნაწერ ნიგნზე არსებული ტყავის ყდის ქვეშ ფიქსირდება ტყავისა და მეტალის კომბინირებული ყდა (სურ. 10).

ადიშის ოთხთავი XIV საუკუნიდან, როგორც ზემოთ უკვე აღვიშინეთ, დაცულია სვანეთში. შესაბამისად, სიძველეებისადმი სვანეთში არსებული დამოკიდებულების გათვალისწინებით, ყდაც სწორედ ამ კუთხეში მიტანიდან მალევე უნდა იყოს განახლებული, რაც გამოიხატა თავდაპირველი შემოსვის შედეგად (IX ს.) შემორჩენილ ტვიფრული ყდის ზედაპირზე საკმაოდ მოზრდილი გრავირებული ტოლფერდა ჯვრის ფიქსაციით. სავარაუდოა, რომ სწორედ სვანეთში ამოტანისთანავე (XIV ს.) მისმა მცველმა და მფლობელმა წრემ ძველი ყდის განახლების მიზნით დაამაგრა მასზე ვერცხლის გრავირებული ჯვარი. ხოლო, რაც შეეხება ნიგნის მეორედ მკაზმველს (XVI-XVII), მის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ მას შეუნარჩუნებია ადრეული ხელნაწერი ნიგნის ყდისათვის დამახასიათებელი თითოეული დეტალი, მხედველობაში გვაქვს თავდაპირველი შემოსვის შედეგად შემორჩენილი დეტალები: მასიური, სწორად მოთლილი ხის დაფები დაფარული ამოტვიფრული ტყავით, რომელზეც შეიმჩნევა აღმოსავლური ტოლფერდა ჯვრის კვალი. ხოლო, როგორც ჩანს, მეორედ შეკაზმვის დროს სახარება მთლიანად ჩაისვა შედარებით უხეშად დამუშავებულ ყავისფერ ტყავში. რაც შეეხება ყდის ზედა ფრთის ცენტრალურ ნაწილს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ტყავის ზედა შრე საგანგებოდაა მოხსნილი ცენტრალური ნაწილის გამოსაჩენად (სურ. 2). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეორე შრე ნიგნს გადაეკრა არა მხოლოდ ახალი ყდის გაკეთების, არამედ ძველი ყდის უცხო თვალისაგან დაცვის მიზნითაც, ლახამულის სახარების მსგავსად (სურ. 10). სხვაგვარად გაუგებარი რჩება, რატომაა იგი ახეული ზუსტად ცენტრალური ნაწილისა და ჯვრის სივრცის დონეზე.

დაკვირვების შედეგად თამამად უნდა ითქვას, რომ ნიგნი ორჯერ ჩაუსვამთ ყდაში: ჯერ კლარჯეთში (IX ს.) და მეორედ სვანეთში (XVI-XVII სს.), ხოლო XIV საუკუნეში ყდას მხოლოდ მცირე სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა (ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა ნიგნის სვანეთში მიტანიდან მალევე).

ადიშის ოთხთავის უძველესი ყდის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ყდის ეს ტიპი გავრცელებული იყო არა მხოლოდ სინის, არამედ კლარჯეთის სამნიგნობრო ცენტრებშიც.

წრესა და კვადრატში ჩახაზული ტოლფერდა ჯვრის ტვიფრული ორნამენტით შესრულებული უძველესი ყდის საქართველოში დაცული მეორე ეგზემპლარიც, რომელიც ცნობილია ადიშის იადგარის სახელით (სურ. 3), X-XI

საუკუნეებით თარიღდება.⁵ იგი ქალაღზე გაღანერილი ერთ-ერთი უღველესი კლარჯული ნარმომავლობის ხელნანერია. ნიღნზე დართული ანდერძ-მინანერი-ბიდან ვიღებთ, რომ იადგარის მომღებელია სტეფანე ერუშნელი ეპისკოპოსი,⁶ რომელიღ მინანერებში „მამამთავრაღაც“ იხსენიება (82r, 121v, 164v, 184r 197r და სხვ.). მჩხრეკალი ნუსხისა არის იოვანე (197r). ამ ანდერძებიდანვე გამოიკვეთა ნუსხის გაღანერის ადგილი – ერუშეთი. ცნობას ერუშეთის საეპისკოპოსოს შესახებ გვანღვის „ქართლის ცხოვრება“, საიდანაც ვიღებთ, რომ ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს 12 საეპისკოპოსოს შორის ერთ-ერთი ყოფილა ერუშეთისა (ჯუანშერი 1955.: 198). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ჯავახეთის კრებასთან დაკავშირებულ ეპიზოღში, იხსენიება ერუშნელი ეპისკოპოსი (გიორგი მერჩულე 1963: 287). XIII ს. დათარიღებულ ძეღღში „განღება დარბაზობისა“ 35 ეპისკოპოსთა შორის მეთხუთმეტე ადგიღზე ჩანს ერუშნელი ეპისკოპოსი (ქართული სამართლის ძეღღები 1965: 47-49). ამ დროიდან მოყოღებული ერუშეთის როგორც მღვეღლთმთავარი, ისე საეპისკოპოსო აღარ იხსენიება.

არ შეიღლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ადიშის იადგარზე დართული ანდერძ-მინანერები სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენებისაგან შეღღება (ჯანდიერი 1971: 328, 332). მასში ყველაზე ადრეული ფენაა XIII ს., ხოლო ყველაზე გვიანღელი კი XVIII ს. (ერეკლე II-ის პერიოღი).

ადიშის იადგარი ჩასმულია ახალ ყავისერ ტყავის ყდაში, რომელზეც დაკრულია ძველი ტვიფრული ყდის ფრაღმენტები (რესტავრირებულია ხელნანერთა ეროვნულ ცენტრში).

ტვიფრული ყდის ზედაპირზე ფარღლისა და სპეციალური ნვერნამახვილებული, მაგრამ რამღენადმე ზღავგი, ხელსანყოს მეშვეობით ამოტვიფრულია სტილიზებული ტოღვერდა ჯვარი, რომელსაც ახღავს წრე და კვადრატი. როგორც ვხეღავთ, ადიშის იადგარის ყდა გაფორმებისა და ტექნიკის მიხეღვით ძლიერ ჰგავს (შეიღლება იღენტურიც კი ვუნოღოთ) სინური მრავალთავის (Sin. Geo. O. 32-57-33) ყდის ქვეღა ფრთასა და სინის ახალი კოღექციის Sin. Geo.N. 26 ხელნანერის ყდაზე გამოსახულ ჯვრებს.

⁵ ამ პერიოღით ათარიღებს ხელნანერს ეღ. მეტრეველი (იხ.: ხეც, ეღენე მეტრეველის არქივი, N369, მესტიის მუზეუმის ხელნანერთა აღნერიღობა, მანქანაზე აკრეფიღი). აღნიშნული ხელნანერის რაობასთან დაკავშირებით ხელნანერთა ეროვნულ ცენტრში უღველეს ლიტურგიკულ კრებულებზე ნღების განმავლობაში მომუშავე ჯგუფი ვარაუღობს, რომ კრებული თვენის ადრეული რეღაქციაა.

⁶ სტეფანე ერუშნელი ეპისკოპოსი იხსენიება XI ს. დათარიღებულ კრებულში H-341. ტვიფრული ყდა, რომელიც დღეისათვის გააჩნია ხელნანერს (H-341) გაუკეთა XVIII-XIX სს. ცნობიღმა კალიგრაფმა და მწიგნობარმა ნიკოლოზ ჩაჩიკაშვიღმა. ყდის ცენტრში ამოტვიფრულია ჩაჩიკაშვიღების ოვალური მოყვანიღობის ტვიფრი. მღღალიონზე გამოსახული ორნამენტებისა და ქართული ასოების შერწყმა მეტყველებს იმაზე, რომ ტვიფრი დამზადებულია საქართველოში და მისი ავტორი ქართველი გრავიორია.


ქართული ქრისტიანული ხელოვნება, რომელიც აღმოსავლურ ქრისტიანობასთან (სირია-პალესტინა) მჭიდრო კავშირში ვითარდებოდა (კურტუასი 2004: 80, 107, 109), ბუნებრივია ადრევე მიიღო ჯვრის ეს ფორმა. ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე აღმოსავლური ჯვარი ჩნდება V საუკუნით დათარიღებულ ბოლნისის სიონის, VII საუკუნის მცხეთის ჯვრის ტაძრების ბარელიეფებზე. მოგვიანო საუკუნეებში მას ცვლის სწორკუთხა ჯვარი, რომელიც X საუკუნიდან დომინირებს ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში. იგი დასტურდება IX-XI სს.-თა საეკლესიო ნაგებობებზე (მაგ.: ოშკის ტაძარი, ნიკორწმინდა), მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ხახულის, ოშკის და იშხნის გუმბათებში გვხვდება წრეში ჩახატული ტოლფერდა ჯვრები.

სვანეთში გასვლითი სამუშაოს დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე შენარჩუნებულმა ბარელიეფებმა (უშგულის ლამარია, ლენჯერი). ბარელიეფებზე წარმოდგენილია აღმოსავლური ჯვრის ფორმა, თუმცა გამარტივებულია მისი ორნამენტული ჩარჩო.


სვანეთის საეკლესიო არქიტექტურულ ძეგლებზე არსებული ეს გამოსახულებები XII-XIII საუკუნეებით თარიღდება.⁷

ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ადიშური სახელით ცნობილ ორივე ხელნაწერის შემთხვევაში საქმე გვაქვს უძველეს ყდებთან, რომლის ანალოგსაც ვხვდებით X საუკუნის სინური ხელნაწერების ყდებზე. სწორედ, ეს ფაქტები გვავარაუდებინებს, რომ აღმოსავლური სტილიზებული ჯვრის ორნამენტით ყდის შემკობა-წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო IX-X საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნებისათვის სამხრეთ საქართველოდან დანყებული ვიდრე სინის მთამდე.


⁷ ამავე დროს ამ სივრცეში, რომელიც მყარად მიჰყვება დადგენილ ტრადიციას, აღმოსავლური ჯვარი შენარჩუნებულია XX საუკუნეში გაკეთებულ უშგულის ლამარიას კომპლექსის (კოშკის) ჭედურ კარებზეც კი.




სურათი 1



სურათი 2




სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6



სურათი 7



სურათი 8



სურათი 9



სურათი 10

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ადიშის ოთხთავი 2003:** ადიშის ოთხთავი, 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა დალექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მახხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით, თბ., 2003.
2. **გიორგი მერჩულე 1963:** გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-Xსს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით და რედაქციით, თბ., 1964.
3. **თაყაიშვილი 1937:** თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.
4. **იმნაიშვილი 1946:** იმნაიშვილი ი., ადიშის ოთხთავი რედაქციულად, თსუ შრომები, ტ. 28, თბ., 1946.
5. **ინგოროყვა 1941:** ინგოროყვა პ., სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბ., 1941.
6. **კარანაძე 2002:** კარანაძე მ., ქართული წიგნის ყდის ისტორია, თბ., 2002.
7. **კარანაძე 2007:** კარანაძე მ., X საუკუნის კიდევ ერთი ხელნაწერის ყდა სინის მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N22, თბ., 2007.
8. **კეკელიძე 1923:** კეკელიძე კ., როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, II, 1923.
9. **ნიჟარაძე 1903:** ნიჟარაძე ბ., სვანეთის მანუსკრიპტები, გაზ. „ივერია“, N194 (12. IX), 1903.
10. **სილოგავა 1986:** სილოგავა ვ., სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, თბ., 1986.
11. **ქართული სამართლის ძეგლები 1965:** ქართული სამართლის ძეგლები, II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1965.
12. **ქართული ოთხთავის...1947:** ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკ. შანიძემ, თბ. 1945
13. **ჭუმბურიძე 1983:** ჭუმბურიძე ზ., ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983.

14. **ჯანდიერი** 1971: ჯანდიერი გ., XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), რეზ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N1, თბ., 1971.
15. **ჯუანშერი** 1955: ჯუანშერი, ცხოვეება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
16. **Courtois** 2004: Courtois (de) Sébastien, Les derniers Araméens, Paris, 2004.
17. **Кения** 1983: Кения Р. Особенности декоративного убранства окладов Евангелий, IV Миждународный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.
18. **Саминский** 2002: Саминский А., Местийское евангелие, Лик Грузии на фоне Византии. Древнерусское искусство, С.-Петербург, 2002.
19. **Саминский** 2004: Саминский А., Оклад лабскалдского евангелия Грузинской константинопольской рукописи второй четверти XII в., Древнерусское искусство, С.-Петербург, 2004.
20. **Шмерлинг** 1979: Шмерлинг Р. Художественное оформление грузинской рукописной книги IX-X столетий, Тб., 1979.
21. **Хаханов** 1904: Хаханов А., Сванетские рукописные евангелия, Материалы по археологии Кавказа, X, 1904.

Nestan Chkhikvadze, Maia Karanadze

OLDEST GEORGIAN COVERS FROM SVANETIAN COLLECTION

SUMMARY

The work is based on the typological analysis of two early covers, namely, covers of Adishi Gospels, re-written in 897 and Adishi Iadgari, dated 10th-11th cc.

With both Adishi manuscripts we deal with oldest covers, analogue of which we witness on the covers of the 10th c. Sinai manuscripts (Sin.Geo.O.32-47-33, Sin.Geo.O.46., Sin.N.26).

In the work are specially discussed the stages of restauration of the cover of Adishi Gospels, which was covered at least three times: twice in Klarjeti (9th c. and 10th c.), once in Svaneti (16th-17th cc.), and in 14th century the cover was under minor restauration. On the surface of stamped cover of an old skin, where oriental stylized cross is stamped, in order of renovation, silver graved cross was fixed. Covers mastered with such technique is characteristic for 14th-16th cc. Georgian manuscripted books (Q-241, A-505, H-1660, A-499, A-502).

The fragment of skin, left after the late binding of Adishi Gospels' backbone (16th-17th cc.) is worth attention, for, as Lakhamura Gospels, the plated cover of which is still covered by whole skin, Adishi cover was completely covered as well. The ladder was, as it seems, inaccurately cut at the backbone.

Thus, decorating the cover with orientally stylized cross must have been characteristic for 10th-11th centuries Georgian manuscripted books from Tao-Klarjeti to Sinai.

რესტავრაცია-კონსერვაცია

ასამთ გვაზავა

ეტირატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალების მიხედვით

ხელნაწერი წიგნის შექმნას მასალისა და ზომის მიუხედავად, თან ახლავს სხვადასხვაგვარი დაზიანება, ამის მიზეზი კი, შესაძლოა იყოს, როგორც მექანიკური, ასევე ბუნებრივი ფაქტორები (ადამიანის მიერ ნებით თუ უნებლიედ მიყენებული ზიანი). ამ თვალსაზრისით, გამონაკლისი არც ეტრატზე შესრულებული ხელნაწერი წიგნია. პერგამენტი ზიანდებოდა, როგორც ტყავის სანერ მასალად მომზადების, ასევე შემდგომ, მასზე ტექსტის დაწერისას. სხვადასხვა სახის დაზიანების გაჩენის კვალდაკვალ, ეპოქის შესაბამისად, ჩნდება მისი პრევენციისა და აღმოფხვრის მეთოდები, რაც დროთა განმავლობაში რესტავრაციის სახეს იღებს და ცალკე დარგად ყალიბდება.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრაცია-კონსერვაციის ლაბორატორია, პრაქტიკულ სამუშაოსთან ერთად, თავს უყრის ყველა იმ სარესტავრაციო მეთოდს, რომელიც სხვადასხვა სანერ მასალაზე შესრულებულ ხელნაწერებში (ჭილი, ეტრატი, ქალაღი) გვხვდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რესტავრაციის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ კვალს პერგამენტზე შესრულებულ ხელნაწერებში ვხვდებით. შესაბამისად, წინამდებარე პუბლიკაციაში თავი მოვუყარეთ ეტრატის ხელნაწერების რესტავრაციისა და კონსერვაციის იმ მეთოდებს, რომლებიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ხელნაწერებში გვხვდება.

საქართველოში ეტრატის რესტავრაციის საკითხები მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.¹

¹ ცნობებს წიგნის „განახლება“, „გაახლება“-ისა და „ჩამატებ“-ის შესახებ, ეხება ივანე ჯავახიშვილი თავის ნაშრომში „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (ჯავახიშვილი 1926: 78-79). ეტრატის რესტავრაციის შესახებ, ცნობებს ვხვდებით დარეჯან გოგაშვილის სადისერტაციო ნაშრომში, სადაც საუბარია საქართველოში საქონლის ტყავისაგან ეტრატის სანერი მასალის დამზადებაზე (გოგაშვილი 2004).

ჩვენთან, სხვა ქვეყნების მსგავსად, საწერ მასალად ეტრატს იყენებდნენ. ხელნაწერი წიგნის შექმნასთან დაკავშირებით ცნობები გვხვდება ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებში. სამწუხაროდ, კოლოფონებში ეტრატის დამზადების სრული პროცესი წარმოდგენილი არ არის. ამის მიზეზად იმ ფაქტს მიიჩნევენ, რომ გადამწერები იშვიათად მონაწილეობდნენ ეტრატის დამზადების პროცესში (სურგულაძე 1978: 36). ეტრატის დამუშავების საკითხი გამოკვლეული აქვს დ. გოგაშვილს სადისერტაციო ნაშრომში, რომელიც ეყრდნობა ტყავის დამზადების ეთნოგრაფიულ მასალებს, ხელნაწერებში დაცულ ანდერძ-მინაწერებს, შუა საუკუნეების დასავლეთ-ევროპულ, ბერძნულ, სომხურ წყაროებში არსებულ რეცეპტებსა და ქართულ ხელნაწერებზე ვიზუალური დაკვირვების საფუძველზე მიღებულ ცოდნას.

ნაშრომში მოცემული კვლევა საქართველოში ეტრატის დამზადების მთლიანი პროცესის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა (გოგაშვილი 2004: 11).

პერგამენტს ცხვრის, კრავის, თხისა და ხბოს ტყავისაგან ამზადებდნენ. ეს ფაქტი დადასტურებულია ხელნაწერებზე დართულ ანდერძ-მინაწერებში: „თიკნის უქნა ესე ეტრატი“ (K-261 (25v), XIII-XIV ს.); „აქა ირმის ტყავი მომივიდა“ (Q-87 (914v), 1578-1605 წწ.); „კარგო რო დაგინერე, განა, კარგს ტყავებს გამოგიგზავნი ბატკნისას ან ხუთსა და ექვს“ (S-1409b (7v), XIX ს.). ძროხის ან სხვა ცხოველის შედარებით უხეშ და სქელ ტყავს იყენებდნენ ყდის შესამოსად: „კვირიელწისონ, სახელთა ღმრთისაჲთა შეიმოსა მესამედ წ[მი]დაჲ ესე წიგნი მრავალთავი ტყავითა ზროხისაჲთა სინა წ[მი]დასა ჴელითა იოვანე ფ[რია]დ ცოდ[ვი]ლისა, ზოსიმესითა დღეთა ოდენ ბოროტად მოხუცებ[ულ]ო[ბისა] ჩემისა...“ (სინური მრავალთავი (864 წ.) მესამედ შეიმოსა 981 წ., სურგულაძე 1978: 36).

ეტრატს შემდეგი თანმიმდევრობით ამზადებდნენ: ცხოველის ტყავს კარგად რეცხავდნენ, ამუშავებდნენ ნაცრით, ნაცრისა და კირის ნარევით ან კირიანი წყლით. შემდეგ აცლიდნენ ბენვს და ხორცის ფენას. გასუფთავებულ ტყავს რეცხავდნენ და ჭიმავენდნენ ხის ჩარჩოზე. გაშრობის პარალელურად ამუშავებდნენ მრგვალპირიანი დანითა და პემზით ერთგვაროვანი ზედაპირის მიღებამდე. ეტრატის ზედაპირის საბოლოოდ დასამუშავებლად, სავარაუდოდ, იყენებდნენ ცარცს, კირს, კვერცხის ცილასა და სელის ზეთს.

ასეთი წესით დამუშავებული ეტრატი საკმაოდ გამძლე საწერი მასალა იყო, მაგრამ პერგამენტსაც მოეპოვება ის თვისებები, რომლებიც მის დაზიანებას იწვევს. პერგამენტი მგრძნობიარეა გარემო პირობების მიმართ, ნესტიან გარემოში ადვილად ითვისებს ტენს და მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების დროს, ადვილადვე კარგავს ქსოვილში შემავალ სითხეს. მიუხედავად ამისა, სხვა საწერ მასალებთან შედარებით, იგი მაინც უფრო გამძლეა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით ეტრატზე, შესრულებული ხელნაწერების დაზიანების გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც მისი დამუშავების დროს მიღებული მექანიკური დაზიანება, ასევე შენახვის არასწორი პირობები ან მკითხველისა თუ სხვა პირის მიერ წიგნის განზრახ

დაზიანება. იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე პირისათვის საზიანო ცნობის შემცველ ფურცელს ამოჰკვეთდნენ და გაანადგურებდნენ. ამის მაგალითია კორიდეთის სახარება (Gr-28), სადაც მურვანის ხელით დაწერილი მინანერისგან ჩანს, რომ ამ ხელნაწერში გადასახადების გარიგების შემცველი ფურცელი განზრახ ამოუჭრიათ: „ფორცელი ამოკოეთილი იყო და არა...[გარდაგაჟ]დევინე (გადასახადი)... (Mapp 1911: 227; ჯავახიშვილი 1926: 78-79).

ასეთი დაზიანებული ექსპონატების გამოსწორებას მათივე მფლობელები ცდილობდნენ, მაგრამ წიგნების აღდგენა-შეკეთებას მხოლოდ მაშინ ახერხებდნენ, როცა საამისო შესაძლებლობა ჰქონდათ. დღეისათვის ბოლომდე არ არის ცნობილი შუა საუკუნეებში წიგნის რესტავრაციის თანმიმდევრობა, თუმცა თავად ხელნაწერებში არსებობს ფურცლის ფორმატის შევსებისა და ერთმანეთზე გადაბმის ფორმები, რაზე დაკვირვებაც საშუალებას გვაძლევს, მეტ-ნაკლები სიცხადით აღვადგინოთ წიგნის დაზიანების ფაქტორები და მისი რესტავრაციის მეთოდები. ხელნაწერებში ხშირად გვხვდება ისეთი ფურცლები, რომლებსაც სხვადასხვა ზომის მრგვალი ან ოვალური ფორმის ხვრელები აქვთ. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ხვრელები ცხოველის ფეხების ადგილებია. თუმცა ამ ფაქტს გამორიცხავს უშუალოდ ხვრელის დიამეტრი და მისი ფორმატზე მდებარეობა. ხშირ შემთხვევაში, ასეთი დეფექტი, ფურცლის შუაში მდებარეობს (გოგაშვილი 2004). რაც შეეხება დაზიანების გამომწვევ მიზეზს, სავსებით შესაძლებელია ეტრატის დანით დამუშავების დროს, შემთხვევით გაჭრილი ან დერმის გაჭიმვის პროცესში წარმოქმნილი სიცარიელე იყოს, რომელიც დერმის გაჭიმვისას გაფართოვდა და ოვალური, ან მრგვალი ფორმა მიიღო. მსგავსი სახის დაზიანებებს, როგორც წესი, ეტრატზე ტექსტის დაწერამდე ამაგრებდნენ. ხშირ შემთხვევაში გაჭრილ ადგილს ბამბის ძაფით ამოკერავდნენ და ასე ამაგრებდნენ.

მსგავსი სახის დაზიანებას ვხვდებით Ad-14 დოკუმენტის კეფების რამდენიმე ადგილას. ხელნაწერზე ვიზუალური დაკვირვება შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეტრატი ტექსტის დაწერამდე უნდა იყოს დაზიანებული და შემდეგ გაკერილი. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანება დაწერილ ადგილს კვეთს, დაზიანებამდე და დაზიანების შემდეგ, სიტყვები უწყვეტად გრძელდება. გარდა ამისა, კიდების პირები გაკერვისას ერთმანეთთან მჭიდროდ არის მიტანილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ გამაგრებითი სამუშაო ჯერ კიდევ ნედლ ეტრატს ჩაუტარეს (სურ. 1).

მსგავს შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ დოკუმენტი Sd-723. ამჟამად, რომ ეტრატი დერმის დამუშავების დროს დაზიანებულია, რაც ოვალური ფორმის დანაკლისის სახით გამოიხატება. ეს დანაკლისი შეიძლება მივიჩნიოთ იმ გახევა-დაზიანების გამომწვევ მიზეზად, რომელიც კიდიდან ფორმატის თითქმის შუაგულამდე გრძელდება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამაგრება გაკეთებულია მხოლოდ გახეულ ეტრატზე და არა ოვალური ფორმის დანაკლისზე, სავარაუდოდ ეტრატის კვლავ დაზიანების თავიდან აცილების მიზნით (სურ. 2).

—— ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში

სტრიქონების განლაგებაზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „რესტავრაცია“ – შეკეთება ამ შემთხვევაშიც ტექსტის დაწერამდეა ჩატარებული.

მსგავსი სახის დაზიანებები გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: A-86, X ს. (იხ. ფ. 45); A-97, XI ს. (იხ. ფფ. 7, 95, 140, 48, 192, 203, 227); A-98, X-XI ს. (იხ. გვ: 18, 24, 62, 129, 132, 136, 140, 156, 173, 183, 187, 188 277); A-192, XI ს. (იხ. გვ: 20, 36, 60); A-137, XIII-XIV სს. (იხ. გვ: 8); A-195, XII ს. (იხ. გვ: 20, 24, 34, 42, 55, 61, 63, 86, 123); A-43, XIII ს. (იხ. გვ: 53, 60, 62, 66, 87); (იხ. გვ: 32, 71, 74) და სხვ.

მცირე სხვაობით შეიძლება განვიხილოთ გრაგნილი Qd-6937. ეტრატს მრავლად აქვს მრგვალი ფორმის დანაკლისები და დღეისათვის საკმაოდ დაზიანებული სახით არის შემონახული. ეტრატი ძირითადად მექნიკურად არის დაზიანებული, რაც გამოიხატება გახეული კიდეებისა და დანაკლისების სახით. ერთ-ერთი ასეთი დაზიანება ზემოთ ხსენებული ექსპონატებისგან განსხვავებით გაკერილია უხეშად. გახეული ნაწილი სტრიქონის საწყის სიტყვას კვეთს და კიდეზე გრძელდება. რაც ნათელს ხდის, რომ ეტრატი ტექსტის დაწერის შემდეგ არის დაზიანებული, ამას უნდა ამტკიცებდეს ის ფაქტიც, რომ დაზიანებული ეტრატის კიდეები კვლავაც დაშორებულია ერთმანეთს და ძაფებიც მხოლოდ ფრაგმენტებად არის შემორჩენილი.

როგორც ჩანს, ეტრატის ფურცლების ძაფით დამაგრება ერთ-ერთ გავრცელებულ და ხელმისაწვდომ ფორმას წარმოადგენდა ქართველი ოსტატებისათვის. ამ მეთოდს მიმართავდნენ, როგორც ეტრატის დეფექტის გასამაგრებლად, ისე ეტრატის ფრაგმენტების შესაერთებლად და ფურცლების ყუის გასამაგრებლადაც.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ეტრატის ხელნაწერებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ეტრატის ფურცლების დაზიანებული უბნების გასამაგრებლად, მხოლოდ ძაფი არ გამოიყენებოდა. დაზიანებულ ადგილებს, ზოგ შემთხვევაში, გადამწერები ან მათი დამხმარე პირები რესტავრაციას უტარებდნენ. ასეთი შემთხვევა გვხვდება X-XI საუკუნეების ერთ-ერთ ხელნაწერზე (A-40), სადაც ყუა ეტრატის ფრაგმენტებით საგულდაგულოდ არის გამაგრებული (სურ. 3).

ეტრატის დეფექტის შევსების ფაქტი გვხვდება XI-XII საუკუნეების ერთ ხელნაწერზე (H-2251, 87v). ფურცელს მრგვალი ფორმის დანაკლისი აქვს. დაზიანება ფურცლის დაწერილ ადგილას, ფორმატის მარცხენა ნაწილში მდებარეობს. ნაკლებად ადგილი შეესებოდა თხელი გამჭვირვალე ეტრატის ფრაგმენტით, რომელიც დაუწერელია (სურ. 4).

ასეთი შემთხვევა გვხვდება აგრეთვე სხვა ხელნაწერზეც (H-1661, 286-ე ფურცელი, 1156 წ.), სადაც მცირე ზომის ხვრელი შეესებოდა ეტრატივით და ზედ ტექსტია გადაწერილი (სურ. 5).

მსგავსი სახის რესტავრაცია გვხვდება XIII საუკუნის კიდე ერთი ხელნაწერის შემთხვევაში (A-85, 46-ე ფურცელი), რომელზეც დეფექტი საგულდაგულოდ

არის შევსებული ეტრატის ფრაგმენტით და ზედ ტექსტია გადაწერილი. ეტრატის ფრაგმენტით არის რესტავრირებული ხელნაწერი A-143 (XII ს.) მე-4 ფურცლის ზედა კიდე (სურ. 6).

როგორც ხელნაწერებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ფორმატის შევსებისას ჩამოყალიბებული ნორმები არ არსებობდა, ოსტატის ინტერესია ფურცლის იმ დონეზე გამაგრება, რომ ზედ ტექსტის გადაწერა ყოფილიყო შესაძლებელი და რესტავრაციის ვიზუალურ მხარეს ნაკლებად ექცეოდა ყურადღება. ამის თვალსაჩინო მაგალითია, 1047 წლით დათარიღებული ხელნაწერი A-1101. ვიზუალური დაკვირვებით ადვილი შესამჩნევია და 1975 წელს შესრულებული ხელნაწერის პასპორტშიც აღნიშნულია, რომ ფურცლებზე ძველი რესტავრაციის კვალი შეინიშნება. მაგ., მე-2 ფურცელს მარჯვენა ქვედა კიდეტან, დაახლოებით 3,3×5 სმ. ზომის ეტრატის დეფექტი შევსებულია თხელი ეტრატივით, რომლის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი. დანაკლისი შევსებულია ფურცლის verso-დან და შემავსებელი ეტრატის ზომა თითქმის ორჯერ აღემატება დაზიანებული უბნის ზომას (სურ. 7).

ადვილად შესამჩნევია ისიც, რომ აბსტრაქტული ფორმის შემავსებელი ეტრატი მხოლოდ ნაკლებად ადგილას კი არა, ფურცლის დაუზიანებელ ადგილზეც არის დაკრული. საწინააღმდეგო შემთხვევას ვხვდებით მე-40 ფურცელზე, სადაც ეტრატის შემავსებელი ფურცლის recto-დან არის დაკრული. გამაგრება გაკეთებულია ყუაში ქვედა მხარეს, შემავსებელი ამ შემთხვევაშიც უფორმოა და დაკრულია არა მხოლოდ ფურცლის დეფექტურ უბანზე, არამედ ეტრატის მთელ, დაუზიანებელ ნაწილზე გადადის (სურ. 8).

ამავე ხელნაწერის 154 ფურცელზე ეტრატის მოზრდილი ნაჭერი ყოფილა დაკრული ფურცლის verso-დან (სურ. 9).

ეს გავფიქრებინებს, რომ ყველა ოსტატი ინდივიდუალურად, შეძლებისდაგვარად, მუშაობდა კონკრეტული წიგნის აღდგენაზე და იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული რესტავრაციის მეთოდები. ოსტატი სარესტავრაციოდ იყენებდა იმ მასალას, რაც მისთვის ხელმისაწვდომი იყო და დაზიანებულ უბნებს რესტავრაციას უკეთებდა ისე, როგორც მისთვის იყო მოსახერხებელი. ყველა ეს მოქმედება გამიზნული იყო მხოლოდ კონკრეტული წიგნის მთლიანობის აღსადგენად და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჩატარებული სამუშაოების ვიზუალურ მხარეს.

საქართველოში სარესტავრაციო მასალად მხოლოდ ეტრატი არ გამოიყენებოდა. მას შემდეგ, რაც საწერ მასალად ქალაქი გავრცელდა, ოსტატები მას აქტიურად იყენებენ რესტავრაციაში. ქალაქი დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სარესტავრაციო პრაქტიკაში. არის ისეთი ხელნაწერები, რომლებზეც რესტავრაციის რამდენიმე კვალა შემორჩენილი, მაგალითის სახით შეგვიძლია XIV-XV საუკუნეებით დათარიღებული ერთი ხელნაწერი (A-147) მოვიყვანოთ.

ხელნაწერი აკინძული და ყდაში ჩასმულია, შემორჩენილია კაპტალის ფარგმენტიც, თუმცა მისი ფურცლების მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. მე-

—— ეტრატის რესტავრაციის ნიშნები შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში

18 ფურცელს ყუის ქვედა ნაწილში, ჰორიზონტალურად (6×1,5 სმ.), მართკუთხედის ფორმის ეტრატი აქვს ჩადგმული.

მსგავსი სახით არის რესტავრირებული 23-ე ფურცელიც, რომელსაც ქვემო კიდეში მთელ სიგრძეზე ეტრატი აქვს დაკრული (სურ. 10).

43-ე ფურცელზე შეინიშნება დანაკლისი, რომელიც შევსებულია ქალაღდით და ზედ ტექსტია გადანერილი (სურ. 11).

44-ე ფურცელს მოხეული აქვს ქვედა კიდე, ის შევსებულია ეტრატით და მისი მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი (სურ. 12).

57-ე ფურცელზე, ქვედა კუთხეში ყუასთან ახლოს, აბსტრაქტული ფორმის (3×3; 3×2 სმ.) მოყავისფრო შეფერილობის ეტრატია დაკრული (სურ. 13).

ბამბის ძაფით არის გაკერილი 73-ე ფურცელი. ერთმანეთზეა გადაკერილი 114-115 ფურცლების ქვედა კუთხეები. შედარებით მოზრდილი 3×4, 5×8 სმ. სიდიდის, ოვალური ფორმის დაზიანება გვხვდება 204-ე და 205-ე ფურცლებზე, რომელიც შევსებულია ქალაღდით და ზედ ტექსტია გადანერილი.

ქალაღდით რესტავრაციის საინტერესო შემთხვევას ვხვდებით XII-XIII საუკუნეების ერთ ხელნაწერზე (H-1667). მთელ ხელნაწერში დაზიანებული ფურცლების უმეტესობას კონსერვაცია ჩატარებული აქვს თეთრი ფერის ქალაღდით, რომელიც ოსტატს ძირითადად გამოყენებული აქვს ფურცლის ისეთი უბნების გასამაგრებლად, სადაც ტექსტი, საზედაო ასო ძნელად იკითხება.

აშკარაა, რომ საკონსერვაციოდ დაკრული ფურცლების ფუნქცია დესტრუქციული ეტრატის გამაგრება არაა. ის გამოყენებულია დაზიანებული ნაწერის აღსადგენად. მაგ., 178v კიდეზე დაკრულია ქალაღდი და ზედ საზედაო ასოებია გადახატული (სურ. 14), 212v ზედა კიდეში ორ სვეტად დაკრულ ქალაღდზე, გადანერილია ტექსტი, საკონსერვაციო ქალაღდსა და დედანს შორის კავშირი დარღვეულია და ადვილი შესამჩნევია გადღაბნილი ტექსტი, რომელიც ოსტატს საკონსერვაციო ქალაღდზე აღუდგენია.

ასეთივე შემთხვევაა 242v ფურცლის ქვედა კიდეზე, სადაც აღდგენილია ტექსტი და საზედაო ასოები, რომლის ზუსტი ასლია გაკეთებული (სურ. 15). ხელნაწერში ფერწერული ფენის დაზიანებისგან დასაცავად ოსტატს გამოყენებული აქვს აბრეშუმის ქსოვილი. მაგ., 24v ფურცლის მინიატიურის ერთ კიდეტან დაკრულია სპილოს ძვლისფერი შეფერილობის აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც ფერწერული ფენის მთელ ნაწილს ფარავს (სურ. 16).

ასეთივე შემთხვევას ვხვდებით 160v, 183v, 200v-ზე და ყველა იმ ფურცელზე, სადაც მინიატურაა შესრულებული.

ქალაღდითაა რესტავრირებული შემდეგი ხელნაწერები: A-144 (X ს.); A-98 (X-XI სს.); A-193 (XI ს.); A-145 (XI ს.); A-89 (XI ს.); A-87 (XI ს.); A-217 (XI-XII სს.); A-133 (XIII-XVIII სს.) და სხვ. ეტრატის ხელნაწერების ფურცლების კონსერვაცია-რესტავრაციისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ფერისა და ხარისხის ქალაღდი, სავარაუდოდ ის მასალა, რაც ოსტატისთვის ხელმისაწვდომი იყო და არა სპეციალურად შერჩეული ქალაღდი. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ერთი და

იმავე ხელნაწერის ფურცლების გასამაგრებლად, ხშირ შემთხვევაში, გამოყენებულია სხვადასხვა ფერისა და სისქის ქაღალდი, რაც ხელნაწერის ფურცლების შეფერილობას და სისქეს არ შეესაბამება. სარესტავრაციო მასალის შექმნა უფრო მოგვიანებით დაიწყო და დღემდე წამყვან როლს ასრულებს სარესტავრაციო პრაქტიკაში. სარესტავრაციო მასალისა და მეთოდის გარდა, მნიშვნელოვანია წებო და მისი მომზადების წესი, მაგრამ ძნელი სათქმელია, წიგნის რესტავრაციის პროცესში რა წებოს იყენებდნენ შუა საუკუნეების ოსტატები.

ამრიგად, ნაშრომში განხილული მასალა საშუალებას გვაძლევს, მეტ-ნაკლებად აღვადგინოთ შუა საუკუნეებში ქართველი ოსტატების მიერ ხელნაწერი წიგნების რესტავრაცია-კონსერვაციის ზოგადი მეთოდიკა. მსგავსი კვლევების შემდგომი ეტაპი ხელნაწერების ლაბორატორიულად შესწავლაა.

ბამოყენებული ლიტერატურა


1. **გოგაშვილი 2004:** გოგაშვილი დ., მასალის დამზადების ისტორია ქართულ ხელნაწერებში დაცული ცნობების მიხედვით, სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებელი ნაშრომი, თბ., 2004.
2. **სურგულაძე 1978:** სურგულაძე მ., ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
3. **ჯავახიშვილი 1926:** ჯავახიშვილი ივ., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926.
4. **ნ ფონდის აღწერილობა 1950:** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (ნ კოლექცია), IV, კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, თბ., 1950.
5. **Март 1911:** Март Н., Грузинские приписки греческого Евангелия из Коридии, Статья в Известиях Императорской Академии Наук, N4, 1911.

Asmat Gvazava


THE FEATURES OF THE PARCHMENT RESTORATION IN THE MIEVAL GEORGIAN MANUSCRIPTS

SUMMARY

The report is dedicated to the restoration of the Georgian manuscripts fulfilled on a writing material of parchment and aims at collecting and describing the facts of the restoration and maintenance of book leaves in mediaeval centuries and to make this as a specific question of study. The research endeavors to reinstate as much as possible the sequence, distinctive or alike features, methods and materials that were used by the master in the process of leaf repairing and reestablish them with the mere precision.



სურ. 1




სურ. 2



სურ. 3



სურ. 4




სურ. 5



სურ. 6




სურ. 7



სურ. 8



სურ. 9



სურ. 10



სურ. 11



სურ. 12



სურ. 13



სურ. 14



სურ. 15



სურ. 16

იზოლდა ჯიქიძე

**ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული
ქართული ძველნაბეჭდი წიგნების მდგომარეობა
ქალაქის „დაბერების“ თვალსაზრისით
და მათი რესტავრაცია-კონსერვაცია**

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის ძველნაბეჭდი წიგნების ფონდში დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე გამოცემული წიგნები. ფონდში არსებული წიგნები გამოცემულია სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ქვეყანაში. წიგნები გამოცემულია: რომში, კონსტანტინეპოლში, მოსკოვში, მილანში, ტფილისში, ქუთაისში და სხვა. მათი უმრავლესობა დაბეჭდილი და გამოცემულია XVII-XIX საუკუნეებში.

ვინაიდან, წიგნებმა გამოიარეს საუკუნეები და სხვადასხვა ფაქტორების გავლენა მათი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია, როგორც ფიზიკური, ისე ქიმიურ-ბიოლოგიური თვალსაზრისით და მოითხოვდნენ გადაუდებელ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას.

მრავალმხრივი კვლევებისა და ვიზუალური დაკვირვებების შედეგად ცნობილი და დადგენილია ქალაქის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გაუარესების („დაბერების“) პროცესის გარდუვალობა (Привалова 1960: 93; Бланк 1963: 42-60). ამ უაღრესად არასასურველი მოვლენის ძირითად მიზეზად აღიარებულია ურთიერთ გაპირობებული პროცესები. ერთის მხრივ – ქალაქის შემადგენლობაში არსებული მჟავური თვისებების მქონე ნაერთებისა და ატმოსფეროს მავნე მინარევების (მტვერი, ბოლი, ჭვარტილი, აგრესიული აირები) მოქმედება და მეორე – მიკროორგანიზმების (ობის სოკოები, ბაქტერიები, მწერები, მღრნელები) მოქმედებით გამოწვეული დაზიანება. ამასთან ერთად დიდ გავლენას ახდენს დროის ფაქტორი.

ამ მიმართულებით ჩატარებულ კვლევათა მიზანს შეადგენს აღნიშნული პროცესების შენელებისა და აღკვეთის რეალურ ღონისძიებათა გამომუშავება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საკაცობრიო კულტურის გადარჩენა და მომავლისათვის შემონახვა.

მცენარეული წარმოშობის მასალისაგან ქალაქის დამზადების საიდუმლოებას ჩინელები (Непенин 1940) ჯერ კიდევ, ახალი ნელთალრიცხვის დასაწყისში დაეუფლნენ. მცენარეული ბოჭკო (თუთის ნორჩი ტოტების ქერქი, ბამბუკი, ბრინჯის ნამჯა და სხვა) იხარშებოდა ტუტე რეაგენტის (ნაცარი, კირი, პოტაში და სხვა) ხსნარში. მიღებული მასის თხელი ფენა იწურებოდა, გლუვად მუშავდებოდა, შრებოდა და ინებებოდა გუმფისით, რის შედეგად საკმაოდ მაღალხარისხოვან ქალაქს იღებდნენ. მოგვიანებით ქალაქის დამზადების ტექნოლოგია გავრცელდა შუა აზიაში, სირიასა და ეგვიპტეში, შემდეგ კი ევროპის ქვეყნებში. ამისათვის, ძირითად ნედლეულად გამოყენებული იყო: სელი, ბამბის ნამჯა, ჩვრები, თოკის ნარჩენები და სხვა. მათ ხარშავდნენ ღია ქვაბებში პოტაშთან, კირთან ერთად. XIII საუკუნეში ქალაქის გასაწვავად გუმფისის ნაცვლად დაიწყეს ცხოველური წარმოშობის ნებოს(ძვლებისა და ტყავის ხარშვის შედეგად მიღებული) გამოყენება. შემდეგ იგი შეცვალეს კანიფოლით. განების გარეშე ქალაქი სანერად უვარგისია, ვინაიდან მასზე წერისას მელანი განირთხმევა.

ქალაქის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განების გარდა, საჭიროდ იქნა მიჩნეული ქალაქის მასისათვის სხვადასხვა შემავსებლების-მინერალური ნივთიერებების, ძირითადად კაოლინის(თიხა მიწის) დამატება. ამით ქალაქი ხდება უფრო გლუვი, უმჯობესდება მისი ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებები. ქალაქის საბოლოო გამოყვანისათვის (გასათეთრებლად) მიმართავენ მის დამუშავებას ქლორიანი კირით ან ქლორით.

ქალაქის დამზადების პროცესი საუკუნეთა მანძილზე ხელით შრომას ემყარებოდა და ამიტომ, ცხადია, ნაკლებ მწარმოებლური იყო. პირველი ქალაქის მკეთებელი მანქანა მხოლოდ 1779 წელს შექმნა ფრანგმა რობერმა, ხოლო თვით ქალაქის ნედლი მასის მიღების ტექნოლოგიის გაუმჯობესება უფრო გვიან (1853 წ.) გახდა შესაძლებელი, როდესაც საფრანგეთსა და ინგლისში მელიემ (Непенин 1940) დააპატენტა ნამჯისა და ხის მერქნის ხარშვის მეთოდი კაუსტიკური სოდის (ნატრიუმის ტუტე) 3%-იან ხსნარში. შემდგომში ტუტის დეფიციტურობის გამო, დაიწყეს უფრო იაფი და ხელმისაწვდომი ნატრიუმის სულფატის გამოყენება. ამგვარად მოხარშული სულფატური ცელულოზისაგან საკმაოდ მაღალხარისხოვანი ქალაქი მზადდებოდა.

მას შემდეგ, რაც ქალაქის ნედლი მასის მისაღებად ადრე გამოყენებულ ნედლეულთან ერთად შესაძლებელი გახდა ხის მერქნის გამოყენება, მრეწველობის ამ დარგს საგრძნობი ბიძგი მიეცა და განვითარდა სათანადო ნედლეულის მქონე ქვეყნებში. ქალაქისათვის დამახასიათებელ ყველა დადებით თუ უარყოფით, ფიზიკურ-მექანიკურ და ქიმიურ თვისებებს(დეფორმაციის უნარს, ჰიგროსკოპულობას, კოროზიამდეგობას) მთლიანად განაპირობებს მისი ძირითადი შემადგენლის – ბუნებრივი (მცენარეული) წარმოშობის პოლიმერული ბოჭკოს ცელულოზის თვისებები.

— ხელნაერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ძველნაბეჭდი წიგნების ...

ცელულოზა ერთერთი საკმაოდ მედეგი ბუნებრივი პოლიმერია და სწორედ ის ანიჭებს ქალღმერთს სიმტკიცეს, ელასტიურობას და წარმოქმნის მის ჩონჩხს.

მცენარეული მასა, ცელულოზის გარდა, შეიცავს აგრეთვე სხვა ნივთიერებებსაც როგორცაა: – ლიგნინი, ნახშირწყლები, ფისები, ცხიმები, პენტოზანები და ე. წ. ჰემიცელულოზა, რომელიც არასასურველ მინარევად ითვლება. მათი რაოდენობა სხვადასხვა ნედლეულში სხვადასხვაა. მაგალითად, ბამბაში 9%-ს არ აღემატება, სელის მასაში ორჯერ მეტია, ხოლო ზოგიერთ ხის მერქანში 45%-საც შეიძლება აღწევდეს.

ამ მინარევებიდან ქალღმერთის ხარისხზე ყველაზე უფრო უარყოფითად მოქმედებს ლიგნინი, რომლის შემცველობა ნაძვისა და ფიჭვის მერქანში 23%-მდეა. სწორედ ლიგნინი ანიჭებს მცენარეულ ქსოვილს სიმკვრივეს და არის ქალღმერთის უმდგრადობის ერთერთი მიზეზი.

ქალღმერთის წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის მიუხედავად, მისი „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ და შენახვის საიმედოობა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, დროთა განმავლობაში საგრძნობლად მცირდება. ამის მიზეზია, ერთის მხრივ – ქალღმერთის რაოდენობისა და მოთხოვნილების უაღრესად გაზრდა, მეორეს მხრივ – კი ნედლეულის ბაზის შემცირება და ამის გამო წარმოების სფეროში ძალაუვნებურად უფრო დაბალხარისხოვანი მასალის იძულებითი ჩართვა; ქალღმერთის მასის საბოლოო დამუშავებისათვის კი, აგრესიული ქიმიური რეაგენტების გამოყენება.

ხელით – „კუსტარულად“ ჩერებისაგან დამზადებული ქალღმერთის მასა თითქმის სუფთა α -ცელულოზას შეიცავს, რომელიც მკვრივი და გრძელბოჭკოვანია, არასასურველი მინარევების გარეშე; ამიტომ უფრო მტკიცე, მედეგი და გამძლეა მისგან დამზადებული ქალღმერთი.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქიმიური დამუშავების ახალი სულფატური და სულფიტური პროცესების შემოღებამ, ამასთანავე ქალღმერთის მასაში ლიგნინის მომეტებული რაოდენობით შემცველი ხის მერქნის დამატებამ, მყავა გარემოში ხარშვამ, გათეთრების პროცესმა- ქალღმერთის ხარისხისა და გამძლეობის შემცირება გამოიწვია.

არაბოჭკოვანი თვისების მქონე ლიგნინი ადვილად იჟანგება სინათლის, სინესტის და ჰაერის ჟანგბადის ზემოქმედებით. მყავური თვისების წარჩენების უწყვეტი ზემოქმედება იწვევს α -ცელულოზის ჰიდროლიზს, წარმოიქმნება ახალი, ძლიერ განსხვავებული ქიმიური თვისებების მქონე ნაერთები, რომლებიც იწვევენ უჯრედის ბოჭკოვანი სტრუქტურის გარდაქმნას.

ქალღმერთისათვის მავნებელია აგრეთვე ხილული გამოსხივება (Голбраих 1963: 42-60), 400 მილიმიკრონზე ნაკლები ტალღის მქონე უხილავი ულტრაიისფერი სხივები, ნესტიანი გარემო პირობები; ასევე არასასურველია 25⁰-ზე უფრო მაღალი ტემპერატურა.

ქალღმერთის „დაბერებისადმი“ მისწრაფებას განსაკუთრებით აძლიერებს ატმოსფეროში მყავა ბუნების (Алексева 1965: 18-29), კერძოდ, გოგირდის ორჟანგის

მოქმედება (Голбраих 1963: 42-60). ჭარბი ტენის დროს ქალაქში ჰიდროლიზის პროცესი ვითარდება, რასაც თავის მხრივ მოსდევს ბოჭკოვანი ნივთიერებების ჯაჭვის დესტრუქცია. მცირდება პოლიმერიზაციის ხარისხი-ცელულოზის ძირითადი α -მოდიფიკაცია გადადის β -მოდიფიკაციაში. ამასთანავე წარმოიქმნება დაბალმოლეკულური ფრაქციები კარბოქსილური და კარბონილური ფუნქციონალური ჯგუფებით, რაც აგრეთვე იწვევს ქალაქის თვისებების საგრძნობ დაქვეითებას. სუსტდება მისი გამძლეობის უნარი, კარგავს პირვანდელ სახეს (ქალაქი იცვლის ფერს, მაგ., გაზეთის ქალაქი ძალიან მალე ყავისფერდება) და ელასტიურობას, ხდება მყიფე და ტყუპი. პროცესის მიმდინარეობას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ α -ცელულოზა, როგორც მაღალმოლეკულური ნივთიერება, გამოირჩევა დიდი ფორიანობით და კაპილარების კედლების ელასტიურობით. ამის გამო ის ერთერთი ყველაზე ჰიგროსკოპული ნაერთია; ქალაქის მასის ძირითად ელემენტს კი სწორედ ცელულოზის ბოჭკო შეადგენს. აქედან გამომდინარე, ასევე ძლიერ ჰიგროსკოპულია ქალაქი და იგი დიდი რაოდენობით შთანთქავს მავნე აირებს და სინესტეს, რაც უარყოფითად მოქმედებს მის მახასიათებლებზე.

ქალაქის „დაბერების“ მიზეზებზე და მის მიმდინარეობაზე აზრი გამოთქვა სანტუჩიმ (Santuchi 1963). ის თვლის, რომ პოლიმერიზაციის ხარისხის დაცემა და დაბალი მოლეკულური წონის კარბოქსილური ჯგუფის შემცველი პროდუქტები თავის მხრივ მოქმედებენ გლუკოზიდურ კავშირებზე. ამის გამო წარმოიქმნება მჭავა ხასიათის უჯერი ნაერთები, რომლებიც აგრეთვე მონაწილეობენ გლუკოზიდური კავშირების ავტოკატალიზურ ჰიდროლიზში, რაც საბოლოოდ ცელულოზის ჯაჭვის რღვევას იწვევს. ამიტომ, თუ ქალაქის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები დროზე არ ჩატარდა შეიძლება ის მთლიანად დაიშალოს, დაიფშუნას, განადგურდეს.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც მოქმედებენ ქალაქის „დაბერებაზე“ დიდი როლი უჭირავს აგრეთვე კლიმატურ გავლენას – ჰაერის ფარდობით ტენიანობას და გარემოს ტემპერატურას. განსაკუთრებით მავნედ მოქმედებს წიგნსაცავის მიკროკლიმატის გაუარესება, რაც ქალაქის ტიპის ადგილებსა და სამრეწველო ობიექტების მახლობლად სულ უფრო და უფრო საგრძნობი და საშიში ხდება.

ცნობილია, რომ ორი ათეული წლის მანძილზე ატმოსფეროში მკვეთრად გაიზარდა არა მარტო მტვრისა და ქვარტლის, არამედ მჭავური თვისების მქონე ისეთი აგრესიული აირების მინარევების რაოდენობა, როგორიცაა გოგირდოვანი და ნახშირჟანგა აირები, აზოტის ჟანგეულები, ოზონი და სხვა. აღსანიშნავია, აგრეთვე სამრეწველო ობიექტების, საქვებთა და განსაკუთრებით ავტომანქანების გამოწვეული აირები, რომელთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება (Родовин 1953; Яброва 1957; Никитин 1960; Трайберг 1959). მათი უაღრესად მავნე ქმედება ქალაქზე საკმაოდ ერთმნიშვნელოვნად არის დადასტურებული (Голбраих 1963: 42-60).

მავნე მინარევები წლების მანძილზე ადსორბირდება ქალაქის ზედაპირზე მტვერთან ერთად, შემდეგ ჰაერის ჟანგბადთან ურთიერთქმედების შედეგად (განსაკუთრებით გოგორდის შემცველი ნაერთები) გარდაიქმნება გოგირდოვან ანჰიდრიდად, რომელიც ნესტიან გარემოში წარმოქმნის გოგირდმჟავას. მათი მოქმედების შესაწავლად ერთ-ერთი მკვლევარი (Родовин 1953), მიზანშეწონილად თვლის ქალაქის მასაში შესაბამისი ინჰიბიტორების დამატებას, რაც ავტორის ვარაუდით გარკვეული დოზით ზრდის ქალაქის გამძლეობას.

ქალაქზე კლიმატური ცვლილების მავნე ზეგავლენისაგან დაცვის ერთერთი გარანტორი არის ექსპონატებისათვის შენახვის საჭირო კრიტერიუმების დადგენა, მისი განხორციელება და დაცვა. ამ თემაზე მიძღვნილია მრავალი შრომა (Беленкая 1981: 45-58; Привалов 1970: 27-37; Бобкова: 21-47; Привалов 1981: 63-68; Вопросы архивной климатологии 1976; Вопросы архивной климатологии 1982), თუმცა არ არის ცნობილი ბოლომდე კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ეტაპობრივი ცვლილებები ქალაქის სტრუქტურაში. სეზონურად ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილება, როგორც შენობაში, ასევე ატმოსფეროში მოქმედებს ექსპონატებზე სხვადასხვანაირად – იცვლება ქალაქის სტრუქტურა, შემცველობა, ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებელი და რეაქციული თვისებები.

ნ.ბელენკაიამ (Беленкая 1987: 71-83) გამოიკვლია ქალაქზე ნესტიანი კლიმატის, კლიმატის მკვეთრი ცვლილების, შენახვის კლიმატური პირობების გავლენა ქალაქის „სიცოცხლის“ ხანგრძლივობაზე და მის სტრუქტურაზე. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ხანგრძლივი მოქმედება კლიმატური პირობების ცვლილებისა ახდენს გავლენას ქალაქის შემადგენლობაზე და თვისებებზე. ძველ (მჩვრისაგან დამზადებულ) ქალაქზე ნესტიანი გარემო მოქმედებს ძლიერად და იწვევს შეუქცევად პროცესებს, როგორცაა ქსოვილებს შორის ჯაჭვის განწყვეტა და საბოლოოდ ცელულოზის დაშლა. იგი აღნიშნავს, რომ კლიმატური პირობების დაცვა თამაშობს ერთერთ მთავარ როლს დოკუმენტური მასალის შენახვაში. მისი ცვლილება არის ქალაქის „დაბერების“ დასაწყისი. მისი აზრით და გამოკვლევებით $20^{\circ}+3^{\circ}$ ტემპერატურა და $50\%+2\%$ ტენიანობა არის ოპტიმალური პირობები ქალაქზე შესრულებული დოკუმენტური მასალების და წიგნების შენახვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ქალაქი ბუნებრივად ძველდება (Фляте Д. М.), რის შედეგადაც მიმდინარეობს იგივე პროცესები ქალაქის სტრუქტურაში, მაგრამ ეს დაძველება მიმდინარეობს ძალიან ნელა და უმთავრესად იმ ქალაქის, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით მყავური ბუნების ნაერთებს.

როგორც აღინიშნა, ქალაქის „დაბერებას“ განაპირობებს მიკროორგანიზმების (ობის სოკოები, ბაქტერიები) ბიოქიმიური მოქმედება. ბუნებაში არსებობენ დიდი რაოდენობა (ალექსი-მესხიშვილი 1992) სოკოები და ბაქტერიები (Апрелова 1989: 51), რომლებიც განსაკუთრებით სინესტის არსებობის შემთხვევაში ძლიერ აზიანებენ ცელულოზის ბოჭკოს. მათი ბიოქიმიური მოქმედების შედეგად ქალაქი მომჩვარულია, შეცვლილია სტრუქტურა, მასზე აღინიშნება

სხვადასხვა შეფერილობის პიგმენტაცია (რუხი, შავი, ყვითელი, ვარდისფერი, იასამნისფერი), რომლის მოცილება შეუძლებელია. პიგმენტების ფერი, დაზიანების ხარისხი დამოკიდებულია მიკროორგანიზმების ზრდის პირობებზე, ქალაქის შემადგენლობაზე, შემავსებლებზე და მასში არსებულ მინარევებზე.

ქალაქის დაზიანების ერთერთი გამოვლენაა აგრეთვე მისი დეფორმაცია, მჟავიანობის მომატება. ცელულოზის ბოჭკოს დესტრუქციის შედეგად მიიღება მჟავე ბუნების უჯერი ნაერთები, რომლებიც მონაწილეობენ შემდგომ ავტოკატალიზურ პროცესებში. შედეგი სავალალო იქნება თუ არ მოხდა შესაბამისი პრევენციული და საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარება.

ჩვენს საცავებში დაცული ქართული ძველნაბეჭდი წიგნების მდგომარეობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ როგორც ფურცლები, ასევე ყდები (Белая 1972), მუყაო და ტყავი შეიცავენ სხვადასხვა სახის და ხარისხის დაზიანებებს. დაზიანებები სავარაუდოდ გამოწვეულია წლების განმავლობაში არახელსაყრელ პირობებში მოხვედრამ, ბუნებრივმა დაძველებამ – დრომ. ზოგი წიგნი ადრე იყო რესტავრირებული. სარესტავრაციოდ გამოყენებული იყო სხვადასხვა წარმოშობის (მცენარეული, ცხოველური და ა.შ.) ნებო და ქალაქი. არც ერთი სარესტავრაციოდ გამოყენებული მასალა არ იყო წიგნის ფურცლების შესაბამისი, რესტავრაცია – შეკეთება იყო სახელდახლოდ შესრულებული. ყველაფერმა ერთად უფრო დაამძიმა წიგნების მდგომარეობა. წიგნების უმრავლესობას არ ჰქონდა ყდები ან ჰქონდა ძალიან დაზიანებული ყდებისათვის გამოყენებული მუყაო იყო მომჩვარული, დაძინილი, დეფორმირებული, მიკროორგანიზმებით დაავადებული. ყდის ფიცარი იყო გატეხილი, ნაკლული, დეფორმირებული, დაბზარული, ცუდად გარანდული, გაცვეთილი კიდეებით და ენტომოლოგიურად დაზიანებული. მათზე გადაკრული ტყავების უმრავლესობა იყო დაზიანებული მექანიკურად და ბიოქიმიურად. ტყავი იყო მყიფე, გაუხეშებული, დამწვარი და მომჩვარული. რთული და მძიმე იყო ფურცლების მდგომარეობა. მათზე აღინიშნებოდა როგორც მექანიკური, ასევე ბიოქიმიური დაზიანებები. ფურცლები იყო დაობებული, დაძინილი, მომჩვარული, გაცვეთილი, ენტომოლოგიურად დაზიანებული. ფურცლებზე იყო სინესტის, პიგმენტაციის და სანთლის ლაქები. მძიმე იყო ფურცლების მდგომარეობა მექანიკური დაზიანებების თვალსაზრისით: ჩახეული და ნაკლული ფორმატი, კიდეები და წვეროები გაცვეთილი, მოხეული (მაგ.: RAR32/1, N-197, N-92, N17, N-211, N-267, N-19) და ა.შ.

პირველ რიგში სარესტავრაციოდ გადარჩეულ დაზიანებულ წიგნებს ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. აღინერა წიგნების მდგომარეობა, როგორც ფურცლების ასევე ყდების მდგომარეობის დაზიანებების თვალსაზრისით და მოხდა მათი ფოტოფიქსირება.

წიგნის ფურცლები გაინმინდა მშრალი ტამპონით, შემდეგ ეთანოლის წყალხსნარში დასველებული ბამბის ტამპონით. საჭიროების შემთხვევაში ფურცლები დამუშავდა გამოხდილი წყლის აბაზანით. ამ დროს ქალაქის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები იზრდება, რადგან ხსნარში გადადის მჟავე ბუნების ცე-

—— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ძველნაბეჭდი წიგნების ...

ლულოზის დესტრუქციის პროდუქტები (Бланк 1965: 57), იცვლება ქალაღის PH და აქედან გამომდინარე ნელდება მისი „დაძველების“ პროცესი. შემდეგ წიგნის ფურცლებს ჩაუტარდათ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები. ფურცლების ნაკლები ადგილების შესავსებად გამოყენებული იყო პეტერბურგის „გოზნაკის“ ქარხნის მიერ სარესტავრაციო სამუშაოებისათვის გამოშვებული ქალაღი. კიდეების და ყუის გასამაგრებლად იაპონური საკონსერვაციო ქალაღი. წებო მზადდებოდა ხორბლის სახამებლისაგან.

წიგნების რესტავრირებული ფურცლები აიკინძა იგივე მიდგომით და მეთოდით, როგორც იყო ადრე აკინძული. ყდად გამოვიყენეთ წიგნის შესაბამისი სისქის მუყაო. თუ ყდის ფიცარი იყო ვარგისი ყდისათვის ვიყენებდით მას სათანადო შეკეთებისა და დამუშავების შემდეგ.

სადეზინფექციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა ყდებისათვის გამოყენებულ ძველ ტყავს (Белая 1972; Юсупова 1958; Белая 1958), მის ფრაგმენტებს. გაიწმინდა ჭუჭყისა და წებოს ნარჩენებისაგან, დამუშავდა ეთანოლით, გლიცერინით, სამედიცინო ნალველით. გაშრობის შემდეგ ძველი ტყავის დუბლირება მოხდა ყდის ახალი ტყავის ზედაპირზე. წიგნებს რომელთაც ჰქონდათ შესაკრავი მოხდა მისი განახლება. საბოლოოდ ძველი ტყავი დამუშავდა სპეციალური საცხით, რომელიც შეიცავს ძვლის ზეთს, თაფლის სანთელს, პარაოქსიდიფენილამინს და ანტისეპტიკის (თიმოლი) სპირტხსნარს. საცხის გაშრობის შემდეგ ყდის ზედაპირი დამუშავდა მაუდით.

ძველნაბეჭდი წიგნების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მათგანის ყდაზე დაკრული იყო ხელნაწერი ფურცლები, ან რიგი მნიშვნელოვანი მინაწერები. ყველა ეს ინფორმაცია ისევ დაუბრუნდა იგივე წიგნს რესტავრაციის შემდეგ. გამონაკლისი მოხდა მარტო – RAR 29/1-ის შემთხვევაში, რომლის ყდაზე დაკრული იყო ეტრატზე შესრულებული ქართული ხელნაწერის ერთი ფურცელი. მისი ყდიდან მოცილების, სათანადო დამუშავების შემდეგ ის აღირიცხა ხელნაწერების ფრაგმენტების ფონდში.

P. S. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულ 70-მდე ძველნაბეჭდ წიგნს ჩაუტარდა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. ეს სამუშაოები შეასრულეს ცენტრის რესტავრატორებმა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. **ალექსი-მესხიშვილი** 1992: ალექსი-მესხიშვილი., ჯიქიძე ი., ხელნაწერთა საცავებ-ბიდან გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შედგენილობა, კრებ. „მრავალთავი“, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, N18, თბ., 1992.
2. **Алексеева** 1965: Алексеева Т. В., Беленкая Н. Г., Функциональные группы целлюлозы и их роль при старении бумаги., в кн., старение бумаги, М-Л, 1965.
3. **Апрелова** 1989: Апрелова М. В., Колмакова Е. А., Причины роста плесневых грибов в некоторых помещениях государственного русского музея. Теория и практика сохранения книг в библиотеке, Вып. Сб. Научных трудов, Л. 1989.
4. **Белая** 1958: Белая И. К., Смягчение кожи переплетов, В кн. "Сборник материалов по сохранности книжных фондов", М., 1958.
5. **Белая** 1972: Белая И. К., Причины разрушения пергаментной и красnodубной кожи и методы их укрепления, Сохранность книжных фондов, Вып. 6. М., 1972.
6. **Беленкая** 1981: Беленкая Н. Г., Влияние на свойства бумаги климатических условия хранения. Долговечность документа, Л., 1981.
7. **Беленкая** 1987: Беленкая Н.Г., Микроклимат и сохранность документов, АН СССР Сохранность документов, М., 1987.
8. **Бланк** 1963: Бланк М. Г., Гольбраих Г. Н., Нюкша Ю. П., Старение реставрационной бумаги. Сообщения 1, в кн. "Старение бумаги, произведений печати и рукописей", Л. 1963.
9. **Бланк** 1965: Бланк М. Г., Голбраих Э. И., Нюкша Ю. П., Старение реставрированной бумаги, В кн. "старение бумаги", М., 1965.
- 10.
11. **Вопросы архивной климатологии** 1976: Сохранность документов на бумажной основе. Вопросы архивной климатологии, Методическое руководство, М., 1976.
12. **Вопросы архивной климатологии** 1982: Условия хранения документов на бумажных носителях в районах континентальным и влажным субтропическим климатом. Вопросы архивной климатологии, Методическое пособие, М., 1982.
13. **Голбраих** 1963: Голбраих Э. И., Нюкша Ю. П., Соколова В. И., Изменение свойств бумаги под воздействием сернистого газа, светового излучения и теплового искусственного старения, В кн. "О сохранении бумаги, произведений печати и рукописей", Л., 1963.
14. **Непенин** 1940: Непенин Н. Н., Производство целлюлозы, М., 1940.
15. **Никитин** 1960: Никитин Н. И., Химия целлюлозы и древесины, М., 1960.
16. **Привалова** 1960: Привалова Т. А., О старении бумаги в кн., Новые методы реставрации и консервации документов и книг, М.-Л., 1960.
17. **Привалов** 1970: Привалов В. Ф., Тарасова В. В., Применение электрометрических датчиков для изучения влагообмена документа в архивохранилищах с нерегулируемым климатом, М., 1970.
18. **Привалов** 1981: Привалов В. Ф., Бобкова В. Н., Щербакова И. А., Хранение документов и вопросы архивной климатологии, Долговечность документа, Л., 1981.
19. **Родовин** 1953: Родовин Н. А. Шеригина Н. Н., Химия целлюлозы и ее спутников, М.-Л., 1953.

—— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართული ძველნაბეჭდი წიგნების ...

20. **Трайберг** 1959: Трайберг Е, Абрагамсон В., О растворимости целлюлозы в щелочах, Химия и технология полимеров, М., 1959.
22. **Яброва** 1957: Яброва Р. Р., Как предохранить от разрушения старие книги, Библиотекарь, М., 1957.
23. **Юсупова** 1958: Юсупова М. В., О консервации и смягчения кож книжных переплетов, Сохранность книжных фондов, М., 1958.
24. **Santuchi** 1963: Santuchi M., A survey of literature data and carried aut at tde Instituto di patalogia del libro, London, 1963.

Izolda Jikidze

STATE OF OLD PRINTED BOOKS IN TERMS OF PAPER “AGING” IN THE NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS AND THEIR RESTORATION AND CONSERVATION

SUMMARY

In the fund of old printed books of the national centre of manuscripts the books printed on different languages and in various countries are preserved that belong to 17th-19th centuries.

In result to manifold studies the following conditions upholding the deterioration (“aging”) process of the physical, chemical and mechanic characters of the paper have become known and established: the harmful admixtures of the atmosphere (dust, smoke, soot, aggressive gasses, etc.), the effect of micro organisms (mould fungi, bacteria), in some cases, the bad quality of raw materials used in paper production; the drastic change of the light and climate (temperature, humidity) conditions, the time factor.

The state of old Georgian manuscript books preserved in the fund as well as the level of their damage have been studied and later on, the appropriate works of restoration and conversation were carried out.

კულტუროლოგია

მაღსაზ თორია

ისტორიული ნარატივის ტიპები და შუა საუკუნეების ქართული ისტორიული აზროვნება¹

წარსულის მოვლენათა დასამახსოვრებლად აუცილებელია მათი გადმოცემა სხვადასხვა ჟანრის ნარატივების სახით, რომელთა მეშვეობით ადამიანები აღიქვამენ წარსულს და ახდენენ მის ინტერპრეტაციას. ე. ზერუბაველის აზრით, ადამიანის მეხსიერების თავისებურებაა ის, რომ იგი არსებითად სტრუქტურის არმქონე მოვლენათა სერიას მენტალურად ურთიერთდაკავშირებულ ისტორიულ ნარატივებად გარდაქმნის. ჩვეულებრივ, წარსულის მოვლენები მოთხრობის ეპიზოდებად წარმოიდგინება. სწორედ ეს „მოთხრობები“ სძენს ამ მოვლენებს ისტორიულ მნიშვნელობას. წარსულის თხრობისა და წერის გარკვეული სქემატური ტიპები გავრცელებული და მიღებულია რიგ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში. ისინი, უეჭველად, დამახსოვრების სოციალური ტრადიციების გამომხატულებაა (Zerubavel 2004: 14).

შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში ეს უნივერსალური ისტორიული ნარატივები ქრისტიანული შინაარსითა და პროვიდენციალიზმით იყო გამსჭვალული და, ძირითადად, სწორხაზოვანი დროისა და ისტორიის იუდაურ-ქრისტიანულ კონცეფციას შეესაბამებოდა.

ნაშრომში წარმოდგენილია შუა საუკუნეების ქართულ ტექსტებში ამ უნივერსალური ნარატივების დაფიქსირების მცდელობა. ეს ხელს უწყობს იმდროინდელ ქართულ კულტურაში დროის აღქმისა და ისტორიის გააზრების თავისებურებების გამოვლენას. დროის აღქმა და მასთან დაკავშირებული ისტორიის გაგება კი, კულტურის ფუნდამენტური მახასიათებლებია.

¹ მოხსენება წაკითხულია I საერთაშორისო სიმპოზიუმზე „ქართული ხელნაწერი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2009 წლის 19-25 ოქტომბერი).

ე. ზერუბაველის მიერ შემოთავაზებული ნარატივის მოდელების ფარგლებში „ქართლის ცხოვრების“ ტექსტები ძალიან საინტერესო კუთხით გამოჩნდა. კერძოდ, მათში კარგად ფიქსირდება აღმასვლის, ზიგზაგის (აღმასვლისა და დაღმასვლის, დაღმასვლისა და აღმასვლის), მნემონიკური სისავსის, ლეგატო და სტაკატო ნარატივები, რომლებიც ქრისტიანული შინაარსით არის გამსჭვალული.

„აღმასვლის“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ნარატივი მნემონიკურ ერთობებში ზოგადი ისტორიული ხედვის ნაწილია, რომელიც გამოხატავს პროგრესის, განვითარების, სრულყოფის პროცესს. ქართულ ტექსტებში ეს ნარატივი განსაზღვრულია პროვიდენციული იდეით, რომლის თანახმად, ყველაფერი, რაც ხდება, ღვთის ნების გამოხატულებაა.

„აღმასვლის“ ნარატივის მაგალითები „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში საკმაოდ ბევრია. მაგალითად, დავითის ისტორიკოსი დავითის მეფობას უკავშირებს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას. მაგალითად, ასე აფასებს ის მეფის მიერ ეკლესიაში გატარებულ ღონისძიებებს:

„რამეთუ წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უნესთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა... სამეფოსა თვისსა კათალიკოსი, მღვდელთმთავარნი, მეუღაბნოენი, მოძღუარნი და მეცნიერნი შემოკრიბნა... კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს, კეთილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი განკუთვნეს და შეაჩუენნეს... და ესეცა მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესსა აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 1955: 327-328).

საერთოდ, დავითის მოღვაწეობა ავტორის მიერ მთლიანად ასეთი ნარატივის კონტექსტშია აღწერილი. ის ხაზს უსვამს, რომ მისი წარმატებები განპირობებულია ღმერთისა და წმინდანების მხარდაჭერით. სულთანმა მოუწოდა ყველა მაჰმადიანს ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად და ამ ომში

„აჩინა სპასალარად ელლაზი... ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი... იოტა ბანაკი მათი... რამეთუ ჭელი მალლისა შეეწეოდა და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმიდა მონამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძლოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწვენულთა უსჯულოთა მათ წარმართთა“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 1955: 340-341).

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეტანი“-ს ავტორის თქმით, თამარის დროს „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაჭელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა, რომელი აწ ჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევათა ჟამთა თამარ, სამგზის სანატრელისათა, რომელმან სიმშკდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმწნითა და საურავთა დღესისთა ხვალისა არმიგდებითა ალექსანდრიანითა იპყრნა ზღვთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერიტგან დარუბანდამდის და ყოველნი

კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვთათამდის“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 34).

ასევე აფასებს ავტორი თამარის დროს ქვეყანაში ქრისტიანული რწმენის მდგომარეობას და ხაზს უსვამს ამ პერიოდის მშვიდობიანობას: „საეკლესიო ლოცვად ნესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდის, ვითარცა ტიბიკონი მოასწავებდა და განწესება პალესტინისა მონასტრისა მოგვთხრობს, ყოველი სრულიად. დარბაზის კარს მყოფი ნირვად ვერვინ დააკლდებოდა: მწუხრი, დილეულ, სამხრი, ვითარცა თქმულ არს... ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 81).

ე. ზერუბაველი საუბრობს „ზიგზაგის“ ნარატივზე, რომელიც პროგრესსა და დაღმასვლას ერთად გამოხატავს. ამ კონტექსტში მოიაზრება „დაღმასვლა-დაღმასვლის“ და „დაღმასვლა-აღმასვლის“ ნარატივები. ეს ნარატივები ისტორიული პროცესის დრამატულ ცვლილებას, მისი მიმართულების კრიტიკულ შემობრუნებას ზემოთ ან ქვემოთ, ხშირად მთლიანად უკუმიქცევასაც გულისხმობს. ეს ხდება გარდატეხის, შემობრუნების მომენტიდან (Zerubavel 2004: 15-19). მაგალითად, ასეთ „დაღმასვლისა და აღმასვლის ნარატივად“ შეიძლება მივიჩნიოთ იმავე დავითის ისტორიკოსის სიტყვები, რომ ხანგრძლივი ძნელბედობის ჟამის შემდეგ სამეფო ტახტზე დავით მეფე ავიდა და აქედან მოყოლებული, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვალა. სწორედ დავითის გამეფებასთან არის დაკავშირებული, მისი აზრით, კარდინალური შემობრუნება ისტორიაში.

„ესე ყოველი მოიწინა და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრად უფროს ამათ წამოთქმულთასა... ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულისწყრომა უფლისა ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევიწინეთ... ამისთვისცა ქუეყანით მავალთა ბოროტთა ზედა სხუანიცა საშინელებანი ზეგარდამონი, ღმრთისა მიერ მოვლინებულნი გუემანი მოიწინეს ქუეყანასა ჩუენსა ზედა...“

ამისთვისცა დღესა აღვსებასა, თვთ მას აღდგომასა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესსა, რომელსა შინა სიხარული და განსუენება ჯერ იყო, მოხედნა უფალმან რისხვითა და შეძრა ქუეყანა საფუძველითურთ... და განგრძელდა ესევითარი ძვრა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 1955: 322-23).

ავტორის თანახმად, ეს იყო საშინელი მიწისძვრა, დაინგრა სოფლები და ქალაქები, დაინგრა თმოგვი. მაგრამ ამ ხანგრძლივი ნეგატიური პერიოდის შემდეგ **რისხვასა შინა მოიწესნა წყალობა მან, რომელი „სწავლის ყოველსა შვილსა, რომელი უყუარს, მოაკუდინებს და აცხოვნებს“**, რომელი მზა არს წყალობად, უფროს მამისა მოწყალისა, რამეთუ წერილისაებრ: „არათუმცა უფალმან დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით. რამეთუ **ამიერითგან იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად და ღრუბელთა მაცხოვრებისათა აღმოჭვრობად, ვინათგან ათორმეტ წელ ამათ თვთოსახეთა ჭირთა განგრძობითა ბნელსა უკუნსა შინა**

ინყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისამან, დავით“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 1955: 323-24).

ისტორიული ნარატივები განსხვავდებიან იმის მიხედვითაც, თუ რა სისავსით გამოხატავენ ისინი წარსულს. „მნემონიკური სისავსე“ გულისხმობს იმას, თუ რა ინტენსივობით იმახსოვრებს საზოგადოება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს.

დრო თავისთავად ჰომოგენურია, თუმცა მის სხვადასხვა მონაკვეთს ადამიანები სხვადასხვა ხარისხს ანიჭებენ. ამიტომაც დროის თანაბარი მონაკვეთი, სოციალური თვალსაზრისით, არათანაბარი ხდება. ისტორიაში ერთმანეთისაგან განირჩევა ექსტრაორდინალური (გამორჩეული) და ორდინარული (არაფრით გამორჩეული) დროები. დროისადმი ამგვარი ხარისხობრივი მიდგომის შედეგად ისტორია იყოფა მოვლენებით დატვირთულ და მოვლენებით ღარიბ ისტორიულ პერიოდებად. წარსულის ასეთი „ოპტიკური“ ხედვა ისტორიული ფოკუსირების გარკვეული ნორმების პროდუქტია, რომელიც გვკარნახობს, რა დავიმახსოვროთ და რა – არა. მაგალითად, საერთო ტენდენციის მიხედვით, ომიანობა ყოველთვის „მოვლენებით სავსე“ პერიოდად არის მიჩნეული (Zerubavel 2004: 25-28).

ქართველი ავტორებიც განარჩევენ ერთმანეთისგან ასეთ პერიოდებს. მაგალითად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორს ლაშა გიორგის დაბადება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიაჩნია და აღნიშნავს, რომ ამ მოვლენას მიუძღვნეს ქართველებმა სამხედრო ლაშქრობა:

„იხარებდეს, იშუებდეს, იმოთხვიდეს სამოთხესა შინა ამის სანუთოსასა, განმათავისუფლებელნი ტყუეთანი, შემწირველნი ეკლესიათანი, მწირვებელნი მღვდელთანი და მიმცემელნი მონაზონთანი, მონყალენი გლახაკთანი... ესევეთარი იქმნა გალაშქრება, რომელი არაოდეს ვისგან ქმნილ იყო ბაგრატიანისა“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 57-58).

ზერუბაველი საუბრობს აგრეთვე წარსულის რეტროსპექტული სტრუქტურის ორ ფორმაზე: პირველის მიხედვით, ისტორია არის უწყვეტი პროცესი. ისტორიის ამგვარი ხედვის აღსანიშნავად ავტორი იყენებს ლეგატოს² მეტაფორას; მეორე ფორმის მიხედვით, ისტორიაში არის წყვეტილები, რომლებითაც ერთმანეთისაგან გამოყოფილია სხვადასხვა ისტორიული პერიოდი. ეს ხედვა გამოხატულია სტაკატოს მეტაფორით.³

„ლეგატო“ ნარატივი აუცილებელია ისტორიული თანამიმდევრობის, „სტაკატო“ ნარატივი კი, პირიქით, ისტორიული პროცესის წყვეტის დასანახად. წარსულის ორგანიზებისათვის ორივე ნარატივი ხშირად გამოიყენება (Zerubavel 2004: 36).

² მუსიკალური ნოტების ერთობლიობა, რომლებიც ლეგატოს ფრაზას ქმნიან.

³ სტაკატოს ფრაზის წარმომქმნელი მუსიკალური ნოტები.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში მრავალი მაგალითია, რომლებიც ისტორიის ამ ორივე ხედვას მიესადაგება. შუა საუკუნეების ქართველებიც ისტორიის უწყვეტ პროცესად წარმოადგენისთვის, ანმყოსა და წარსულის დასაკავშირებლად სხვადასხვა ხერხს იყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ წარსულთან „ხიდის გადაბა“ მენტალური აქტია, მაშინდელი ადამიანები მის განხორციელებას მყარ საგნობრივ რეალობაზე დაფუძნებით ცდილობდნენ.

ერთ-ერთ ასეთ დამაკავშირებელ ხიდად გამოიყენებოდა გარკვეული სივრცე, ტერიტორია. ე. ზერუბაველის თქმით, „კონკრეტული ტერიტორიის, ადგილის უცვლელობა მნიშვნელოვანი საფუძველია „იგივეობის“ განცდისთვის. ადამიანებს, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, დრამატული ცვლილებების პირობებში უხდებათ არსებობა. ასეთ დროს მათ გარშემო არსებული ფიზიკური რეალობა, ჩვეულებრივ, შედარებით უცვლელი რჩება. ეს კი ხელს უწყობს იმ ილუზიის შექმნას, რომ ძირითადი არაფერი შეცვლილა. მაგალითად, 1236 წელს ფერდინანდ III-მ არ დაანგრია მავრების მეჩეთი და ის კათედრალად გადააკეთა, ამით ესპანეთის მუსლიმური წარსული და ქრისტიანული ანმყო გააერთიანა“ (Zerubavel 2004: 40-42).

ქართულ ტექსტებშიც ვხვდებით ისეთ მომენტებს, როცა გარკვეული ტერიტორია, მაგალითად, ქალაქი, ლამის საკრალური მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ის საზოგადოებას საკუთარ წარსულთან აკავშირებს, ან სიმბოლურად ამ კავშირს განასახიერებს. ეს განსაკუთრებით მაშინ არის საგრძნობი, როცა შუა საუკუნეების ისტორიკოსი აღწერს დიდი ხნით დაკარგული ქალაქის მტრისგან გათავისუფლებას. მაგალითად, დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის აღება ასეთ მნიშვნელოვან აქტად არის განხილული დავითის ისტორიკოსის მიერ. ამიტომ ხაზს უსვამს, რომ ქალაქი დიდი ხნის განმავლობაში სხვას ჰქონდა დაპყრობილი: **„აილო მეფემან ქალაქი ტფილისი პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა... ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაორი“** (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 1955: 342).

თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ აღწერილია ქართველების ბარდავში ლაშქრობის ამბავი. აქ ჩანს, რომ ავტორი ბარდავს ერთ-ერთ იმ ქალაქად გაიაზრებს, რომლის დაარსებაც ქართველთა დიდი წინაპრების სახელებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ბარდავი, გარკვეული გაგებით, იმ მყარი ხიდის როლს ასრულებდა, რომელიც აუცილებელი იყო „ქართლის“ ისტორიის უწყვეტობის დასანახად: **„პირველად შემკრებელთა ბედსა და სუესა ზედა ლაშასა, რომელი განმანათლებელად სოფლისა ითარგმნა [აფსართა ენითა], მიჰმართეს ბარდავად, დიდად და ძუელად ქალაქად. ამომწყუდელთა არანისათა გამოიღეს დიდალთა ომთა პირველ ნებროთისა ჰეროსის ძმისა ბარდოსის მამული და შენებული“** (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 58).

საკუთარი ისტორიის უწყვეტობის წარმოსაჩენად მნემონიკური ერთობები „წინაპრებთან“, წარსულში არსებულ ჯგუფთან თუ პოლიტიკურ ერთეულთან

კავშირს ეძებენ და მათ მემკვიდრედ წარმოაჩენენ თავს. ზერუბაველის თქმით, წარსულ თაობებთან „კონტაქტი“ ხშირად ბიოლოგიური ტერმინებით გამოიხატება. წარსულში არსებულ ჯგუფთან სისხლით ნათესაობის ხაზგასმა ფუნქციურად იმავე როლს თამაშობს ისტორიის უწყვეტობის დანახვაში, როგორსაც ასრულებს კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცესთან იდენტიფიცირება.

თანამიმდევრობა და მემკვიდრეობითობა გულისხმობს უწყვეტობას ორ დასაკავშირებელ რგოლს შორის. მაგალითად, კაროლინგები რომის ბოლო იმპერატორიდან კარლოს დიდის რომის იმპერატორად კურთხევამდე სამსაუკუნოვან პერიოდს ერთი და იმავე პოლიტიკური ერთობის ცხოვრებაში დროებით პაუზად მიიჩნევდნენ. გამოგონილი თაობებით გენეალოგიების შევსების მანიპულაციური პრაქტიკის მსგავსად, რაც ისტორიულ ქრონიკებში სიცარიელის შევსებას ისახავდა მიზნად, გენეალოგიური ჯაჭვიც ხშირად უფრო მეტად ერთსახლოვანი, თანაბრად მდინარი ჩანს, ვიდრე ის სინამდვილეში შეიძლება ყოფილიყო (Zerubavel 2004: 56-61).

თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ შამქორის ბრძოლის შესახებ საუბრის დროს ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თამარი დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია:

„მოაჭსენებდეს ერთიერთისა სიმხნესა, მარჯუებულობასა პაპათა და მამათასა, თუ ვითარ ძუელ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაათშვიდმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხოთესლთა და ვითარ სპანი ვახტანგისნი წინაშე ვახტანგისა, და ვითარ სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისთა იერუსალემს ერთობდეს, ან შვილისა მის თამარისნი, რომელი დავით წინასწარმეტყუელითგან ოთხმეოცსა-ერთობს შვილად ცხებულად“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 69).

წარსულსა და წინაპრებთან ერთიანობის განცდას განსაზღვრავს საერთო წარმოშობის შეგნება, რადგან საერთო წარსული ასევე საერთო ანმყოს ქონას გულისხმობს. ყველაფერ ამასთან კავშირშია აგრეთვე ისტორიის „საწყისი მომენტის“ გაგება. ის, თუ სად ახდენენ ერთობები საკუთარი წარმოშობის, ისტორიის დასაწყისის ლოკალიზებას, მიუთითებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს. მაგ., 496 წელი ქრისტიანული საფრანგეთის საწყის თარიღად არის მიჩნეული, რადგან ამ დროს მოინათლა ხლოდვიგი. საერთო წარმოშობისა და ისტორიის დასაწყისის გაგებასთან ერთად, უნდა განვიხილოთ აგრეთვე ისტორიული სიძველის შეგრძნება. ისტორიული ფესვების, რაც შეიძლება, შორეულ წარსულში გადატანა ხელს უწყობს ამა თუ იმ მნემონიკური ერთობის იდენტიფიცირების, ლეგიტიმურობის გამყარებას. ადამიანები და ჯგუფები ხშირად პატივს მიაგებენ თავის „მესაძირკველ“ წინაპრებს, რომელთა შთამომავლადაც მიიჩნევენ თავს.

შუა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსებისთვის, როგორც ქრისტიანი ავტორებისთვის, ისტორია, რა თქმა უნდა, ღმერთის მიერ სამყაროს შექმნით იწყებოდა. ივ. ჯავახიშვილი ლეონტი მროველის შესახებ აღნიშნავდა, რომ

მასაც კაცობრიობის ყოფა-ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა ისევე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც სხვა ქრისტიან ერთა მემკვიდრეებს (ჯავახიშვილი 1977: 186). მროველი კავკასიელთა „მესაძირკველე წინაპრებს“ სწორედ „დაბადების“ პერსონაჟებში ხედავს:

„პირველად ვახსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა – ამათ თჳსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი და განეყვნეს მუნ ენანი და განიზნინეს მუნით ყოველსა ქუეყანასა. და წარმოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით და დაემკვდრა ორთა მათ მათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა“ (ლეონტი მროველი 1955: 3).

სუმბატ დავითის-ძეც თხრობას ბიბლიური სქემის შესაბამისად იწყებს და ბაგრატიონების წარმომავლობას ბიბლიურ პერსონაჟებს უკავშირებს.

შუა საუკუნეებში წარსულისა და აწმყოს დაკავშირების, მათ შორის „ხიდის გადების“ ტიპური მეთოდი წარსულთან ანალოგიების გავლენა იყო. საერთოდ, შუა საუკუნეების საზოგადოების დროის აღქმის თავისებურებები მნიშვნელოვანწილად ანალოგიებში ვლინდებოდა. ანალოგიების მოხმობის პრაქტიკა, რომელსაც „ალეგორიულ ტიპოლოგიასაც“ უწოდებენ, ძირითადად, ბიბლიური და, ხშირ შემთხვევაში, ანტიკური ისტორიის მოვლენებსა და დროული მოვლენათა შორის ტიპოლოგიური მსგავსების დანახვას გულისხმობდა. წარსული მომავალი მოვლენების პირველსახედ გაიაზრებოდა. ძველი აღთქმის პერსონაჟები და მოვლენები ახალი აღთქმის მოვლენებისა და გმირების პროტოტიპებად განიხილებოდნენ. ძველ და უტყუარ პერსონაჟებსა და მოვლენებთან პარალელების გავლების, ალეგორიული ტიპოლოგიის მეთოდი შუა საუკუნეებში ისტორიული ინტერპრეტაციის ერთ-ერთი მთავარი ხერხი იყო. ერთმანეთს უდარებდნენ არა მარტო ძველი და ახალი აღთქმის პერსონაჟებს, არამედ მათ და რეალურ ადამიანებსაც. გამოიყენებოდა. ისტორიულ და ბიოგრაფიულ თხზულებებში შუა საუკუნეების მეფეები, მმართველები, რელიგიური მოღვაწეები შედარებული არიან წმინდა წერილისა და სხვა ავტორიტეტული ტექსტების პერსონაჟებთან (Репина... 2004: 84).

შუა საუკუნეებში ანალოგიების პრაქტიკა რეალობის ყველა სფეროში ვლინდებოდა. ბიბლიური ანალოგია იყო, მაგალითად, გოთური იკონოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელიც კათედრალური ტაძრების პორტალებზე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის მოციქულთა ქანდაკებებში აისახა. არ იყო არაფერი, რაც ადამიანებს არ გაახსენებდა რაღაცას ან ვიღაცას, რომელიც ოდესღაც არსებობდა. წარსული წარმოიდგინებოდა, როგორც ცოცხალი რეალობა, პრაქტიკული სახელმძღვანელო სამოქმედოდ (Jle Гофд 2005: 209-213).

შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ ტექსტებში ანალოგიების მრავალი მაგალითი დავაფიქსირეთ. მაგალითად, თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ხშირია ისეთი ანალოგიები, რომელთა საშუალებით ავტორი ქვეყნისთვის სასიკეთო დროის დადგომას, დიდ გამარჯვებებს ან, პირიქით, ცუდი პერიოდის მოსვლას უსვამს ხაზს. მეფე გიორგი III-ის შესახებ ავტორი წერს: „და მამამან ძითურთ ძე ტკბილი, შემგუარი მამისა, აღამაღლა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა – **მზე მნათობთა შორის; ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის; აქილევ, სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის; სპანდიარ, თაჰამთა და სიაოშ გოლიათთა შორის; სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის**“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 3).

გიორგი მეფის გარდაცვალების მძიმე და შავ ფერებში აღწერის შემდეგ ავტორი ზეაღმატებულად აფასებს თამარის გამეფების ფაქტს, მის საეტაპო მნიშვნელობას: „**თუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამეზისაგანი, აქა კულა სამეზისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული**“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 25).

მეფედ კურთხევის სცენა ავტორი იქამდეც კი მიდის, რომ თამარის გამეფებას შესაქმის ექვს დღეს ადარებს: „**თამარ შვდმნათობიერი იდიდა მისგან, რომელმან წარმოაჩინნა და აღმოაჩინნა ექუსთა შინა დღეთა ყოველნი არსსაჩენნი და განსუენებად სცა მეშვდესა... ან მხილველმან იხილა და იყო ნათელი უმეტეს ნათლისა მის პირველისა, და იყო კეთილი და უწოდა ნათელსა მას დღე**“. ამას უწოდა ნათელი ულუმპიანთა შორის დიდსუეობისა. და ამან, განმზადებელმან სიბრძნისა შვდთა სუეტთამან, აღაშენა მათ ზედა ტაძარი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 27).

ქვეყნისათვის ნეგატიური მოვლენის შესაფასებლად, ავტორი კვლავ ანალოგიის მეთოდს იშველიებს. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი წერს, რომ თამარის სიკვდილის გამო: „**იქმნა ტყეზა მსგავსი კალოთა ატადესთა და გოდებანი, მსგავსნი მოოწრებისა იერუსალემისანი ერემიაჲს მგოდებელისა**“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 113).

ასეთივე მეთოდია გამოყენებული თამარის მეორე ისტორიკოსთან შამქორის ბრძოლის გადმოცემისას: „**მცირენი რა დღენი გარდაჯდეს, წარმოემართნეს ლაშქარნი დიდად მოხარულნი ულუმპიანსა ამას ზედა ძლევისა, ფრიად უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი ყო ალექსანდროს დარიოს ზედა... ამისი მონამე თვთ იგი ღმერთი უტყუელი არს და რათა არა ტყუილი ვისმე ეგონოს და ზღაპარი გიჩნდეს ესე მომავალთა ჟამთა**“ (ბასილი ეზოსმოძღუარი 1959: 128).

ქართულ ტექსტებში გვხვდება ასევე სხვა ტიპის ანალოგიებიც, რომელთა მიზანია რომელიმე მეფის დადებითი მხარის დახასიათება. ასეთ „სახასიათო ანალოგიებს“ ვხვდებით, მაგალითად, დავითის ისტორიკოსთან, რომელიც ამბობს, რომ საეკლესიო რეფორმა „**მიმსგავსებულად დიდისა კოსტანტინესა**

აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა“ (ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი 1955: 328).

თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გიორგი მეფის შესახებ ავტორი წერს: „მწნედ და მსწრაფლ მავლობისა მისისა რომელთანმე ვინლა თქვს? ნუჟუე და უმსწრაფლეს ამბაკომისა, დანიელისა ანუ თუ ილიასი, სინასა შინა წვიმისა ერთი ღრუბლითა შემკრებელისა ანუ თუ ელვისა ეტლითა აღმავლისა?“

ხოლო ან ესევიტარნი რა ენამან, ანუ რა გონებამან თვთეულისა ჯელ-ყო მოთხრობად, სანყენ სამე იქმნას აღწერილი განგრძობითა სათქმელთათა. ვინათგან **დავითიანობა და სოლომონიანობა მოჰგვარობდა ცხებულსა ღმრთისასა, ამასცა სოლომონიანებრ ჰმონებდეს ყოველნი მეფენი ქუეყანისანი**“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 16).

თამარის მეორე ისტორიკოსი თამარის შესახებ წერს: „ხოლო სჯულთათვს სულითთა **მეორე კოსტანტინე** იქმნებოდა და მისებრვე ჰგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა, რამეთუ იწყო აღლესვად ორპირსა მაჯვლსა მოსასრველად თესლთა ბოროტთა და ინება, რათა იქმნას შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ და მსოფლიოთა კრებათა“ (ბასილი ეზოსმოძღვარი 1959: 117).

ბიბლიური პერსონაჟებსა და, საერთოდ, ცნობილ წინაპართა ქმედებებთან პარალელის გავლებას სამაგალითო მნიშვნელობა ჰქონდა. როგორც წესი, ამ კუთხით მეხსიერების მობილიზაცია მიზნად ისახავს წარსული შეცდომების თავიდან აცილებას. „წინაპრების“ (როგორც საკუთარი, ასევე ბიბლიური) გამოცდილება ასწავლიდა და შეცდომებისაგან აზღვევდა ადამიანებს. ასეთი „სამაგალითო ანალოგიები“ მოყვანილი ტექსტში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. გიორგი მეფემ ერთ-ერთი ბრძოლის წინ ამგვარად მიმართა მხედრებს: **„გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათვს ტომმან ებრაელთამან არტარქსერქსის ზე, ელენტა ოდეს - იგი იძლუანებოდეს თქემისტოკლეოს მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელსა მძლესა არტარქსერქსის ზედა... ან ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთვს განლახურილისა აღვიხუნეთ ლახუარნი და ოროლნი, და უგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა“** (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 8).

ავტორის თანახმად, ქართველებმა მტერს „ადინეს ღუარი სისხლისა... **მხედველნი ვითარცა ერნი ისრაელისანი, და მზეცა, ისუ ნავეთებრ, მდეგი ველარა მპყრობელი ეტლთა განგებითა მსრბოლობისა[თა], შთაენურა დევნასა შინა მათსა**“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 9).

ანალოგიური ხერხია გამოყენებული ეპიზოდში: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათვს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს. **გასმია გედეონისთვს სამასნი და სიმრავლე ურიცხვ მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი, კუალად ასურასტანელთა**

ბანაკი ლოცვითა ეზეკიელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით“ (ბასილი ეზოსმოძღუარი 1959: 126).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში გვხვდება ისეთი ტიპის ანალოგიები, როცა ავტორები მნიშვნელოვანი მოვლენით გამორჩეულ კონკრეტულ დღეზე საუბრისას ქრისტეს ცხოვრების დღეებთან თუ სხვა ბიბლიურ მოვლენებთან ავლებენ პარალელს. ასეთი „დროითი ანალოგიის“ მაგალითი მოცემულია თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ავტორის მიერ შამქორის ბრძოლაში ქართველების გამარჯვება შედარებულია ქრისტეს გამარჯვებასთან. გარდა ამისა, აქ არის ქრისტეს ცხოვრების ამსახველი პერიოდებისა და დღეების ანალოგია: „წარსულთა დაიბანაკეს წყალსა ზედა ელეკეცისასა. და მუნით აყრილნი მოვიდეს სიახლესა შანქორისასა, თუესა ივნის[სა] ა, დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად, რომელსა შინა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან შემუსრა ძლიერება მბდომისა და დათრგუნა ორთავი იგი ვეშაპი“ (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი 1959: 68).

ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ბევრი „მენტალური ხიდი“ არსებობდა, რომლებიც მას წარსულთან აკავშირებდა და ისტორიული პროცესის უწყვეტობის განცდას უმყარებდა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, არსებობს ე. წ. „სტაკატო ნარატივები“, რომლებიც ისტორიულ პერიოდებს შორის წყვეტას გამოხატავენ.

„სტაკატო ნარატივის“ კონტექსტში სხვადასხვა „პერიოდი“ ერთმანეთისაგან გამიჯნულია ისტორიული მოვლენებით. ამ მოვლენებს ცალკეული მნიშვნელოვანი ერთობა თავისი ისტორიის მთავარ „წყალგამყოფ მომენტებად“ იმახსოვრებს, რითაც ხსნიან ისტორიის ახალ „თავეს“ და აჩვენებენ, სად იწყება და სად მთავრდება ეს თავები. ისტორიული მომენტები „წყალგამყოფად“ და „საეტაპოდ“ მხოლოდ რეტროსპექტიულად, აწმყოს გადასახედიდან ჩანს. ჩვეულებრივ, ეს ე. წ. „განმსაზღვრელი“ მომენტები ამ გაგებით არ აღიქმებოდა საკუთრივ იმ დროს, როცა ისინი ხდებოდა.

ერთმანეთის მომიჯნავე, მაგრამ პირობითად ცალკეული ისტორიული „პერიოდებისთვის“ სხვადასხვა მნიშვნელობის მინიჭება ხშირად იმითი გამოიხატება, რომ მათ ერთმანეთის საპირისპიროდ აღვიქვამთ. ორი, ერთმანეთის მოსაზღვრე, მაგრამ პირობითად სხვადასხვა პერიოდს შორის კონტრასტი და ახალი ერის დასაწყისი წინა პერიოდის სიკვდილს, მასთან ყოველგვარი კავშირის განწყვეტას გულისხმობს.

ისტორიული წყვეტილობის შეგრძნებისათვის არსებობისთვის აუცილებელია მენტალური „ხიდების“ მოსპობა. მაგალითად, რომაელებმა, წარსულთან სრული კავშირის განწყვეტის მიზნით, მთლიანად დაანგრიეს კართაგენი; გარდა ამისა, წყალგამყოფი მომენტები ხშირად ეფექტური ქრონოლოგიური „ღუზის“ როლს ასრულებენ. იესოს დაბადების, მუჰამედის მექიდან მედინაში წასვლის წელი ქრონოლოგიური სისტემის მთავარი საფუძველია. ისტორიული „დასაწყისის“ გაგება „ამნეზიის“ მომენტსაც გულისხმობს. წყვეტა ისტორიაში თავისთავად არაა მო-

ცემული. წარსულის დანაწევრება ცალკეულ „პერიოდებად,“ ძირითადად, მენტალური აქტია. ეს, ჩვეულებრივ, სოციალური სკალპელით ხდება. არსებობს არა ერთი, არამედ რამდენიმე ნერტილი, როლებმაც შეიძლება შექმნას ცალკეული ისტორიული ნარატივის ფორმალური დასაწყისი (Zerubavel 2004: 91-97).

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებისთვის ასევე დამახასიათებელია ისტორიის ტიპურად განსხვავებული პერიოდების დანაწევრება, ხშირია ისტორიისთვის მნიშვნელოვანი, საეტაპო მიჯნების ფიქსაცია. მაგ., „მეფეთა ცხოვრების“ ავტორი უკვე დასაწყისშივე მიუთითებს ასეთ მიჯნაზე: *„ხოლო აქათგან ვინყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე დღეთა ჩუენთამდე, და ვითარ-იგი განუყო ქვეყანა თარგამოს ნათესავსა მისსა და რვათავე შეილთა მისთა“* (ლეონტი მროველი 1955: 8).

ასეთივე მიჯნების გავლებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ავტორი ქართლში მეფობის დაწყებასთან დაკავშირებულ ცნობებს გვანვდის: *„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი“* (ლეონტი მროველი 1955: 26).

ფარნავაზს მიაწერს ავტორი ქართული კულტურისთვის არანაკლებ საეტაპო მნიშვნელობის მოვლენას: *„ამან განაერცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“* (ლეონტი მროველი 1955: 26).

ლეონტი მროველი საუბრობს სხვადასხვა დროს ქართლში მეფობის განსხვავებული წესების არსებობის შესახებ: *„ვიდრე ადერკის მეფობამდე ერთი დაჯდის ქართველთა მეფედ... ამას ადერკის ესხნეს ორნი ძენი, რომელთა ერქვა სახელად ერთსა ბარტომ და მეორესა ქართამ. და ამათ განუყო ყოველი ქვეყანა თვისი“* (ლეონტი მროველი 1955: 43).

ე. ი. გარკვეული პერიოდიდან ქართლის სამეფო ტახტზე ერთდროულად ორი მეფე იჯდა; სხვა ადგილას ავტორი წერს, რომ: *„აქამომდე ესე მეფენი ყოველნი ორ-ორნი იყვნეს მოყურობასა ზედა“* (ლეონტი მროველი 1955: 50).

ხოლო ამის შემდეგ ერთმანეთს გადაემტერნენო. საუბარია ფარსმან ქველსა და მის თანამეტახტე მირდატზე.

მოყვანილი ადგილებიდან ჩანს, რომ ლეონტი მროველს აუცილებლად მიაჩნია ისტორიულ პროცესში გარკვეული თანამიმდევრობით გამოყოფის საეტაპო მიჯნები, რაც, თავისთავად, ხელს უწყობს დროის პერსპექტივაში მოვლენების აღქმას.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანაწერებშიც ხშირად ფიქსირდება საეტაპო მიჯნები. ერთ-ერთ ასეთ საეტაპო მომენტის გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ ის პასაჟი, სადაც ლაპარაკია ქართლში კათალიკოსად ეთნიკურად ქართველი პირის დასმაზე. *„და მოკუდა კათალიკოსი ჩერმაგ, და ამანვე ფარსმან მეფემან დასუა საბა. აქათგან არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს“* (ჩანართი 1955: 207).

„მატიანე ქართლისას“ ავტორი საეტაპო მიჯნად მიიჩნევს არაბთა ბატონობის დასაწყისს: „პირველად უფლება სარკინოზთა განდიდნა და მიერთვან მიეცა ყოველი ესე ქვეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოჭრებასა. მეორედ იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა. შექნეს სახლად საყოფლად თვსად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰქვან ხარაჯა“ (მატიანე ქართლისა 1955: 250).

არაბების გამოჩენით სათავე დაედო მთელ რიგ მოვლენებს: „მეორედ იქმნა სიმრავლე მთავართა“ ქართლში, ჟამითი ჟამად ხდებოდა ქვეყნის დარბევა, შემოღებულ იქნა გადასახადები და ა. შ.

საინტერესოდაა მიჩნეული აგრეთვე მომენტი, როდესაც „მოუძღურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გააღდა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა“ (მატიანე ქართლისა 1955: 251).

ეს მომენტი ავტორისათვის მიჯნად იქცა იმ თვალსაზრისით, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გაჩნდა ახალი პოლიტიკური ერთეული – აფხაზთა სამეფო.

გაანალიზებული მასალიდან ჩანს, თუ რა ტიპის მოვლენები განიხილებოდა შუა საუკუნეების ქართველი ავტორების მიერ ისტორიაში საეტაპო, წყალგამყოფ მიჯნებად. ეს მოვლენები დაკავშირებული იყო პოლიტიკური სახის ცვლილებებთან, კულტურულ სფეროში მომხდარ გარდამტეხ ძვრებთან, მტრის შემოსევებთან და ა. შ. შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო თხზულებებში ამ საეტაპო მიჯნათა გამოკვეთა, მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება ისტორიის ფრაგმენტაციასა და მის ტიპურად ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პერიოდთა ერთობლიობად წარმოჩენას განაპირობებდა.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებიდან მოყვანილი მაგალითებიდან გამოვლინდა შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ისტორიის ორგანიზებისა და წარსულის დამახსოვრების თავისებურებები. სწორედ ეს თავისებურებები განსაზღვრავდა დიდწილად ამ საზოგადოების დამოკიდებულებას დროსა და ისტორიასთან. ისტორიკოსი და მის მიერ შექმნილი ნარატივები შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისთვის წარსულთან დაკავშირების ერთ-ერთი მთავარ მედიუმს წარმოადგენდა. ქართულ ტექსტებში მოცემული კონკრეტული ნარატივების (აღმასვლის, დაღმასვლის, ლეგატო, სტაკატო და სხვ.), მნემოტექნიკისა და წარსულის ორგანიზებისათვის გამოყენებული ფორმების ხასიათი მიუთითებს, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო ისტორიული წარსულის, მესხიერებისა და, საერთოდ, ისტორიული პროცესის მიმართ. უფრო მეტიც, თუ

ამ საკითხს მ. სატოს თვალსაზრისით მივუდგებით, შეიძლება ითქვას, რომ შუა საუკუნეების ქართული საზოგადოება „homo historicus“-ების ერთობა იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბასილი ეზოსმოდლუარი** 1959: ბასილი ეზოსმოდლუარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
2. **ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი** 1959: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
3. **ლაშა გიორგის დროინდელი მემატინე** 1955: ლაშა გიორგის დროინდელი მემატინე, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
4. **ლეონტი მროველი** 1955: ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
5. **მატიანე ქართლისა** 1955: მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
6. **სუმბატ დავითის-ძე** 1955: სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
7. **ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი** 1955: ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
8. **ჯავახიშვილი** 1977: ჯავახიშვილი, ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, VII, თბ., 1977.
9. **ჯუანშერი** 1955: ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა, ქართლის ცხოვრება, I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
10. **Zerubavel** 2004: Zerubavel E., Time Maps, Collective Memory and the Social Shape of the Past, Chicago and London, 2003.
11. **Sato** 2000: Sato M. The Construction and Division of Time: Periodisation and Chronology. მის: <http://www.oslo2000.uio.no/program/papers/m2a/m2a-sato.pdf>
12. **Ле Гофф** 2005: Ле Гофф Ж., Цивилизация средневекового запада, Енг, 2005.
13. **Репина...** 2004: Репина Л. П., Зверева, В. В., Парамонова, М. Ю., История исторического знания, М., 2004.

Malkhaz Toria

**THE TYPES OF NARRATIVES AND HISTORICAL
CONSCIOUSNESS IN MEDIEVAL GEORGIA**

SUMMARY

Medieval Georgian culture was a part of the Christian world and the mode of historical writing and attitude toward memory was defined by the Christian religion to a great extent. Medieval Historian had various tasks and aims, but he also was the “custodian of memory”. He had a great impact on the formation of collective memory. Medieval Georgian historiography tradition “Kartlis Tskovreba” (History of Georgia) reflects the mnemotechnique of this period. In the Middle Ages society remembered the past through certain historical narratives. These narratives reflected various mnemonic strategies, which helped people create the picture of historical continuity. Therefore, different types of “mental bridges” were used to “connect” the past and the present. But other narratives were employed for constructing historical discontinuity and transforming continuous historical process into series of seemingly distinct periods. These narratives were permeated by Christian ideas of divine predetermination and corresponded to Judeo-Christian conception of time. The article aims at analysing medieval Georgian historical narratives in the framework of models provided by American sociologist E. Zerubavel (narratives of progress, zigzag, historical continuity and discontinuity).

იზოლდა ჯიქია, შორანა თავაძე

მარტვილის გ. ელიაშას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რამოდენიმე ექსპონატის დიაგნოსტიკა-რესტავრაციის შესახებ

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს საფუძველი ჩაეყარა 1957 წლის 1 ივლისს, მისი დამფუძნებლის, ისტორიკოს გივი ელიაშას თაოსნობით. მუზეუმმა თავისი არსებობის ხუთი ათეული წლის მანძილზე დიდი შრომა გასწია. მუზეუმის თანამშრომლები ენეოდნენ შეკრებით-შეგროვებით საქმიანობას სამეგრელოს რეგიონში და მრავალფეროვან საინტერესო მასალას მოუყარეს თავი. მუზეუმის ფონდებში დაცულია არქეოლოგიური, გეოლოგიური, ეთნოლოგიური, ნუმისმატიკური მასალები, ისტორიული დოკუმენტები, ხელნაწერები, ძველნაბეჭდი წიგნები, ფოტო – მასალა, მხატვრული ტილოები და სხვა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მარტვილის მუზეუმში ჩატარებული ამბროსი ხელაიას საიუბილეო გამოფენის პერიოდში გვექონდა შესაძლებლობა გავცნობოდით მუზეუმის ხელნაწერთა და დოკუმენტთა ფონდის მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის მწირი დაფინანსების პირობაზე მათი განთავსება დამაკმაყოფილებელია. თვით ფონდის მდგომარეობა მათი ფიზიკური, ბიო-ქიმიური თვალსაზრისით მოითხოვს უმეტეს ნაწილში განმედიტ და სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ გამოთქვა სურვილი, დაეხმარებოდით მარტვილის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს. ჩატარებულიყო რამდენიმე ერთეულის რესტავრაცია-კონსერვაცია. ამ მიზნით შეირჩა ხუთი ერთეული: 1) ა-10 – იმპერატორ ალექსანდრეს წერილი მთავარ დავით ლევანის-ძე დადიანისადმი (1850 წ.); 2) ა-11 – დავით დადიანის განკარგულება სამეგრელოს უმაღლესი სასამართლოსადმი ჭუბაბრიების საჩივრის შესახებ (1851 წ.); 3) ა-18 – იოანე ასათიანის თხოვნა ეკატერინე ჭავჭავაძისადმი (ფრაგმენტი – საბუთის მეორე გვერდზე არის გრიგოლ ლევანის-ძე დადიანის ხელმოწერა, XIX ს.); 4) ა-15 – ბატონიშვილ ბეჟანის სიგელი გიორგი ასათიანისადმი ჯოლორია განერელიას მიყიდვის შესახებ (1700 წ.); 5) ა-8 – სოფრო მგალობლიშვილის წერილი ანტონ კეკელიასადმი (1898 წ.).

სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებამდე, აღინერა მათი მდგომარეობა: ა-10 შესრულებულია სქელ, მოყავისფრო ქალაღზე. მისი ზედაპირი ხორკლიანია, კიდეები გაცვეთილი, დაძიძგნილი და დეფორმირებულია. ფორმატი ნაკლულია. ფურცლის გადაკეცვის ადგილებში ქალაღი ძალიან გაცვეთილია; ა-11 ადრე ყოფილა რესტავრირებული. მისი მეორე მხარე დუბლირებულია ორი სხვადასხვა ქალაღით. თვით ქალაღი კიდეებში და ფურცლის გადაკეცვის ადგილებში გაცვეთილია. ტექსტის მელანი ძალიან გაღიავეებულია, ბოლო სტრიქონი არ იკითხება. კიდეებში ფურცელზე პატარ-პატარა ჩახევეები აღინიშნება. აქვს მცირე ენტომოლოგიური დაზიანება და გამოყენებული წებოს ლაქები; ა-18 მთელ ფურცელზე მუქი და ღია ფერის სინესტის ლაქებია, კიდეები გაცვეთილი, ჩახეული და მომჩვარულია, ქალაღის ბოჭკო დაშლილია, ზოგან ტექსტი დაზიანებულია და არ იკითხება. ა-18 საბუთი შედგება ორი სხვადასხვა წარმოშობის ერთმანეთთან მიწებებული ფურცლისაგან. ერთერთის rv-ზე ტექსტი შესრულებულია მხედრულით, ხოლო მეორეზე რუსული ტექსტია. მხედრულით შესრულებული ტექსტი დათარიღებულია 1700 წლით. ორივე ფურცელი ძალიან დაზიანებულია. ნესტიან და არახელსაყრელ პირობებში მოხვედრის გამო მათზე სინესტის ლაქები, რუხი და მოვარდისფრო პიგმენტაციაა. ქალაღი დაფლეთილი, ზოგან ამოგლეჯილი და ძალიან მომჩვარულია. ქალაღის სტრუქტურა დაშლილია. ფურცლის გადაკეცვის ხაზებზე ქალაღი ძალიან გაცვეთილია. ქართულ საბუთის მარცხენა მხარეს, მთელ სიგრძეზე, ტექსტი დაზიანებულია. ფურცლის ბოლოს დასმულია ორი ბეჭედი. რუსული ტექსტის ფურცელი დეფორმირებულია, გადაკეცვის ხაზებზე ქალაღი გაცვეთილი და ნაკლულია, ნაკლულია ტექსტი ფურცლის თავსა და ბოლოში. მასზე შეინიშნება რუხი და იასამნისფერი პიგმენტაცია. აღნიშნული ქალაღი სხვა შედგენილობისაა, მისი სტრუქტურაც ძალიან დაზიანებულია. ბოლოში საბუთზე დასმულია მრგვალი ბეჭედი; ა-8 წერილი ორი ფურცლისაგან შედგება. ქალაღი დაკუჭულია მცირედ. ორივე ფურცელი რამოდენიმე ადგილას ჩახეულია დიდ მანძილზე. ჩახევებია აგრეთვე ტექსტზე. ზოგან ტექსტი გახაზულია მელნით.

ზემოთ აღნიშნული საბუთების აღწერილობიდან ჩანს, რომ ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და მოითხოვენ გადაუდებელ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებას.

პირველ რიგში საბუთებს ჩაუტარდათ სადებინფექციო-განმენდითი სამუშაოები. მოსცილდა ძველი რესტავრაცია და გამოყენებული წებო, დამუშავდა ეთანოლის წყალხსნარით და დაინუნება. ამის შემდეგ ჩაუტარდათ სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები: ნაკლული ადგილები შეივსო იაპონური სარესტავრაციო ქალაღით, ფურცლის კიდეები და თვით მომჩვარული ქალაღი გამაგრდა იაპონური საკონსერვაციო ქალაღის და ხორბლის სახამებლის წებოს გამოყენებით.

რესტავრაციის შემდეგ ფურცლები დაინუნება და მოთავსდა მათთვის სპეციალურად მომზადებულ საქალაღეში.

სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩატარდა ხელნაერთა ეროვნულ ცენტრის რესტავრაციისა და კონსერვაციის ლაბორატორიაში.

რეცენზია

მზია სურგულაძე

რეცენზია გიული ალასანიას ნაშრომზე: „ქართველები და ისლამადელი თურქები“, თბილისი, 2008

გიული ალასანიას ნაშრომი, „ქართველები და ისლამადელი თურქები“, ეძღვნება ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებად შესწავლილ საკითხს – გვიანანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში ისლამადელი თურქების მონაწილეობას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ისლამადელ თურქებში ავტორი გულისხმობს იმ თუქრულენოვან ტომებს, რომლებიც ერთმანეთის მონაცვლეობით იკავებდნენ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და ჩრდილო კავკასიის ვრცელ სტეპებს, საიდანაც, კავკასიონის უღელტეხილების გავლით, სამხრეთ კავკასიაშიც აღწევდნენ. მათი მძლავრი სამხედრო პოტენციალი საუკუნეების განმავლობაში მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დიპლომატიას, რითაც ისინი ცდილობდნენ პოლიტიკური მანევრირების საშუალება შეენარჩუნებინათ მეზობელ მტრულ იმპერიებთან (რომი, ირანი, ბიზანტია, არაბთა სახალიფო) ურთიერთობაში.

ჩრდილო კავკასიიდან წამოსული საფრთხის გასანეიტრალებლად საქართველოს მეფეები, გარემოებათა კარნახით, ხან სამხედრო ძალას მიმართავდნენ, ხანაც დიპლომატიურ სვლებს (ეს უკანასკნელი, უპირატესად, დინასტიურ ქორწინებებში ვლინდებოდა). ყველა შემთხვევაში საქართველოს ხელისუფალნი კავკასიონის უღელტეხილთა გაკონტროლებას ცდილობდნენ, რითაც ისინი, გვიანანტიკური ხანიდან მოყოლებული შუასაუკუნეების მთელ სიგრძეზე, საერთაშორისო პოლიტიკის აქტორებად იქცნენ. ქართველ მეფეთა პოლიტიკურ წარმატებებს ხშირად სწორედ ჩრდილოკავკასიასთან მოკავშირეობა განსაზღვრავდა. რასაკვირველია, ასეთი კავშირების კონფიგურაციაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა მეზობელ იმპერიათა ინტერესები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, საბედისწეროდ უპირისპირდებოდა ერთმანეთს სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხებისათვის. ამ დაპირისპირებათა გამო განსაკუთრებით ზარალდებოდნენ საქართველო და ალბანეთი, რომლთაც უშუალოდ ემეზობლებოდნენ ჩრდილოელი თურქები. ეს ქვეყნები არაერთხელ გამხდარან სხვადასხვა თურქული

— რეცენზია გიული ალასანიას ნაშრომზე: „ქართველები და ისლამადელი თურქები“

ტომის გამანადგურებელი თავდასხმების ობიექტიც, მაგრამ იყო მშვიდობიანი თანაცხოვრების ხანგრძლივი პერიოდებიც, როდესაც კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ლიდერები მოხერხებულად იყენებდნენ ჩრდილოელ მეზობლებს საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ყოველივე ამის გამო სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკური ისტორიის სრულყოფილად შესწავლა წარმოუდგენელია ჩრდილო კავკასიის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. ძირითადად, ამ რიგის საკითხებია წარმოდგენილი სარეცენზიო ნაშრომში.

ავტორის მიერ დასახული ამოცანა განაპირობებს ნაშრომის ორიგინალურ სტრუქტურას – მასში განხილული საკითხები შეეხება ცალკეულ, ხშირად ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად დაშორებულ მოვლენებსა და ეპიზოდებს საქართველოს ისტორიული წარსულიდან, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი ძირითადი თემა – ისლამადელი თურქების ურთიერთობა საქართველოსთან, მათი სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა თუ დაპირისპირებები. ამიტომ აქვს ნაშრომს დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონი – ანტიკურობიდან თითქმის შუასაუკუნეების დასასრულამდე.

ყოველი საკითხის განხილვისას ავტორი იცავს ერთნაირ მეცნიერულ სტანდარტს: სვამს პრობლემურ საკითხს, კრიტიკულად მიმოიხილავს მის ირგვლივ არსებულ წყაროებს და სამეცნიერო ლიტერატურას, შემდეგ გვთავაზობს ისტორიული სურათის საკუთარ ორიგინალურ რეკონსტრუქციას. მაშინაც კი, როცა ავტორი ეთანხმება წინამორბედ მკვლევარებს, ყოველთვის ახალი არგუმენტი მოაქვს არსებული შეხედულებების გასამყარებლად. ხშირად ავტორი ახლებურად აშუქებს ისეთ საკითხებს, რომლებიც დიდი ხანია შესწავლილად ითვლება და, თითქოს, ორაზროვნებას აღარ უნდა იწვევდეს, მაგრამ ქართულ და უცხოურ წყაროთა ჩვენებების შეპირისპირება, მათი გააზრება რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში, მას საშუალებას აძლევს იპოვოს „სუსტ ნერტილები“, გამოაშკარავოს ისტორიოგრაფიული „თეთრი ლაქები“ და მკითხველს შესთავაზოს არაერთი ცნობილი ისტორიული მოვლენის ახლებური, მკაფიოდ დასაბუთებული ვერსიები.

ქართულ ისტორიულ წყაროებში ხშირად აღრეულია ჩრდილო კავკასიაში სხვადასხვა დროს დამკვიდრებულ ტომთა სახელწოდებები (თურქები, ჰონები, ალან-ოვსები, ხაზარები, ყივჩაყები...), ზოგჯერ თურქული წარმომავლობის ეთნონიმები გამოიყენება კრებითად, ზოგადად, მომთაბარე თავდამსხმელთა აღსანიშნად, განურჩევლად მათი წარმომავლობისა. ეთნონიმთა ამგვარი აღრევები სპეციფიკურ სირთულეს უქმნის ყველა მკვლევარს, ვინც კი მათ ინტერპრეტაციას ცდილა. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი შრე, რომელსაც აქამენიდური პერიოდის ქართლის სახელმწიფოებრივობის სათავეებთან მივყავართ, სწორედ არაქართული ეთნონიმებისა და მათთან დაკავშირებული უცხო ენების იდენტიფიკაციის სირთულით გამოირჩევა. ამ პრობლემას ეხება სარეცენზიო ნაშრომის პირველი თავი, რომელშიც, მრავალფეროვან წყაროთა და ფართო ისტო-

რიული კონტექსტის გათვალისწინებით, ავტორი, სხვა ავტორთა კვალდაკვალ, ასაბუთებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ბუნ-თურქები/თურქები, რომლებიც, წყაროს თანახმად, ალექსანდრე მაკედონელამდე იყვნენ ქართლში დამკვიდრებულნი, სინამდვილეში გულისხმობს სკვითებს, რომელთა ბატონობის კვალი აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური მასალით და ენობრივი მონაცემებითაც დასტურდება. აქვე ავტორი მსჯელობს „ქართლის ცხოვრების“ ცნობილ პასაჟზე ამავე პერიოდის ქართლის მოსახლეობაში ექვსი ენის გამოყენების შესახებ (სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული, ბერძნული). ეს ცნობა არაერთგზის გამხდარა სამეცნიერო ლიტერატურაში კამათის და მრავალრიცხოვანი ინტერპრეტაციის საგანი. მკვლევართა ნაწილი ვარაუდობდა, რომ ჩამონათვალი არასრულია და მას აკლია ორი ენა – სპარსული და თურქული. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი საგანგებოდ ეხება ამ საკითხს და დამაჯერებლად იცავს წყაროს „უტყუარობას“, ასაბუთებს, რომ ისტორიულ რეალობას შეესაბამება მართლაც ექვსი ენა და არა ამაზე მეტი; განმარტავს, თუ რატომ არ მოიხსენიება სპარსული (მას ცვლიდა არამეული, რომელიც ტექსტში ასურულად იხსენიება), ხოლო „ხაზარული“ გულისხმობდა არა თურქული მასივის არსებობას, არამედ სკვითურ-სარმატულ ენას.

ქართული წყაროებისათვის დამახასიათებელია ისლამამდელ თურქებთან დაკავშირებული ცნობების სიმწირე, ფრაგმენტულობა და ზოჯერ წინააღმდეგობრივობა. მათი ინტერპრეტაციისათვის ავტორი სრულად მოიხმობს საკონტროლო მასალას – ბერძნულ, სომხურ, სირიულ, არაბულ წყაროებს, ანალიზებს მათთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას და ცდილობს ამოხსნას წყაროთა წინააღმდეგობრივი ლოგიკა მაშინაც კი, როცა ისინი განსხვავებული ინტერპრეტაციების საბაზს იძლევიან. თურქული „ნაკვალევის“ ძიება ავტორს ეხმარება ახალი ანალიტიკური ინფორმაციის მოპოვებაში და ცნობილი ისტორიული ფაქტების ახლებურ ინტერპრეტაციებში, რითაც ასე მდიდარია სარეცენზიო ნაშრომი.

სამხრეთ კავკასიაში ჰუნების გამოჩენას ავტორი ადასტურებს მოვსეს ხორენაცისთან, რომელიც აღწერს III საუკუნის დასაწყისში სომეხთა და ჰუნთა საბრძოლო ეპიზოდს, ამასთანავე, უთითებს მათი შემოსვლის მარშრუტს (ჭორის კარი, ისტორიული ალბანეთი). ნაშრომში კარგად ჩანს, რომ უკვე ამავე საუკუნეში ყალიბდება ჰუნთა და სამხრეთ კავკასიის ხალხთა ურთიერთობის განსხვავებული მოდელი, რომელიც პერიოდულად საერთო მტრის წინააღმდეგ მათ გაერთიანებას გულისხმობდა. აქ ავტორი იყენებს „ქართლს ცხოვრების“ და აგათანგელოსის ცნობებს, რომელთა ურთიერთშეჯერებით ჩანს, რომ ქართველთა მეფე სპრსეთის წინააღმდეგ აჯანყებული სომეხთა მეფის შესაწევნად კავკასიონის კარებს უხსნის ჩრდილო კავკასიელ ტომებს, რომელთა შორის მოიხსენიებიან „ხაზარებიც“. აქაც, მართალია, საქმე გვაქვს ეთნონიმთა აღრევასთან, მაგრამ სინამდვილეში ლაპარაკია ჰუნებზე, რასაც ადასტურებს სომხური წყარო ამავე ეპიზოდის თხრობისას.

ქართულ და სომხურ წყაროთა ანალიზის შედეგად სარეცენზიო ნაშრომში არა ერთი მსგავსი ეპიზოდი გამოვლენილი IV-V საუკუნეების სამხრეთ კავკასიური ქვეყნების ისტორიიდან. თურქული ტომები მუდმივად მონაწილეობენ კავკასიურ პოლიტიკაში სხვა ავტოქტონურ კავკასიელ ტომებთან ერთად, რაც, ავტორისავე შენიშვნით, მონაწილეობს თურქულენოვანი ტომების ინტეგრაციის გარკვეულ დონეს, თუმცა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი მოხსენიების ფაქტი დამოუკიდებელ კვლევას და შეფასებას საჭიროებს. რასაკვირველია, თურქებთან ურთიერთობა არ შეიძლება ხანგრძლივად სტაბილური ყოფილიყო. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმგვარ ფაქტებს, როცა, პოლიტიკურ გარემოებათა წყალობით, ქართლის მეფეები (ზოგჯერ ერთი და იგივე მეფე) თურქულ ტომებთან მტრობას ცვლიან მათთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირებით. ამგვარი კავშირების დადგენა ავტორს ეხმარება სხვა ისტორიული ფაქტების გამოვლენაში ან დაზუსტებაში. მაგ., ნაშრომში დადგენილია, რომ V საუკუნის შუა ხანებში სომეხ-ალბანთა ანტიირანულ აჯანყებაში, რომელსაც დახმარებას უწევდნენ ჰუნები (ელიშე), მონაწილეობდნენ ქართველებიც, რაც დღემდე უარყოფილი იყო სპეციალურ ლიტერატურაში. V საუკუნის მეორე ნახევარში ჰუნებთან არაერთგვაროვანი ურთიერთობა ჰქონდა ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს. თავისი მეფობის დასაწყისში იგი წარმატებულად ლაშქრობს ჩრდილო კავკასიაში ოვსთა და ჰუნთა (წყაროშია ყივჩაყთა) წინააღმდეგ და ციხეებით ამაგრებს დარიალის ხეობას. ნაშრომში დანვრილებითაა განხილული ვახტანგისა და ჰუნების ჯერ დაპირისპირების, შემდეგ კი მოკავშირეობის პოლიტიკური გარემოებები; ახსნილია ასეთი ფაქტების კავშირი ბიზანტია-ირანის რეგიონალურ პოლიტიკასთან; გამოვლენილია ჰუნების ჩართულობის არა ერთი ფაქტი კავკასიის ხალხების ბრძოლაში ირანის წინააღმდეგ; განხილულია ჰუნთა მოძრაობის მარშრუტები სამხრეთის მიმართულებით და მოცემულია მათთან დაკავშირებული ბუნდოვანი ტოპონიმების იდენტიფიკაცია. ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ვახტანგ გორგასალის მცდელობებზე, ირანის წინააღმდეგ დაერაზმა ქართველთა, სომეხთა და ჰუნთა სამხედრო ძალები, ამ გეგმის წარუმატებლობის მიზეზებზე. მეტად საინტერესოა ნაშრომში დაკავშირებული ერთმანეთთან VI საუკუნის დასაწყისში ბიზანტია-ირანს შორის მიმდინარე ომის ორი საბრძოლო ეპიზოდი, რომელთაგან პირველი სპარსელების უპირატესობით მიმდინარეობდა ბიზანტიის სომხეთში, ხოლო მეორე – საქართველოში, „იორსა ზედა“ („ქართლის ცხოვრება“). სწორედ ამ ბრძოლაში დაიჭრა ვახტანგ გორგასალი სასიკვდილოდ. ამ ორ ბრძოლას შორის ლოგიკური კავშირის არსებობა, მართლაც, აშკარაა. სწორედ ამიტომ სრულიად მისაღები ჩანს ავტორის არგუმენტები, რომ ამ ბრძოლაში მონაწილეობისათვის ჰუნები, როგორც ბიზანტიის მოკავშირეები, საქართველოში დარიალის ხეობიდან შემოვიდნენ ქართლის მეფის ნებართვით. რამდენადაც სპეციალურ ლიტერატურაში გარკვეულია პირველი ბრძოლის თარიღი, ავტორს შესაძლებლობა ეძლევა, დაა-

ზუსტოს ვახტან გორგასლის გარდაცვალების თარიღიც (503 წ.), რომელიც სადავოდ არის ქცეული ისტორიკოსთა შორის.

ფართო სპექტრის წყაროთა (ისტორიოგრაფიული, ლიტერატურული, ფოლკლორული, ენობრივი) შეჯერებამ ავტორს უბიძგა გადაეხინჯა ხანგრძლივი ისტორიოგრაფიული ტრადიციის მქონე ზოგიერთი დებულება საქართველოს ისტორიული წარსულიდან. ასეთთა რიცხვს განეკუთვნება ისეთი მნიშვნელობის მქონე მოვლენის დათარიღება, როგორცაა VI საუკუნის ქართლში მეფობის გაუქმება და ერისმთავრობის შემოღება. მართალია, მიღებული დათარიღებების (523/532) მიმართ მკვლევართა შორის ეჭვები ადრეც იყო გამოთქმული, მაგრამ მათ ყოველთვის აკლდა დასაბუთება. სამხრეთ კავკასიის ხალხთა ანტიირანული აჯანყებების შესწავლამ და მათში თურქული ელემენტის მოძიებამ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს შეაძლებინა გაემიჯნა ერთმანეთისაგან წყაროთა ბუნდოვანი და გაუდიფერენცირებული მონაცემები, დაკვირვების ობიექტად ექცია, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალები, დაეზუსტებინა მოვლენათა ქრონოლოგია, რაც, საბოლოო ჯამში, საფუძვლად დაედო VI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების სრულიად ახლებურ რეკონსტრუქციას. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა გამოკვლევაში, როგორც ეს სარეცენზიო ნაშრომშია, ასეთი ცხადი დეტალებით არაა გამოკვეთილი ხელისუფლების საკითხი VI საუკუნის ქართლში. ავტორი თანამიმდევრულად ასაბუთებს, რომ მთელი VI საუკუნის განმავლობაში, მართალია, გარკვეული წყვეტილებით, სამეფო ხელისუფლება განგრძობს არსებობას. იგი გაუქმდა მხოლოდ 591 წელს ბიზანტია-ირანის კომპრომისული ზავის შედეგად, ხოლო ქართლის პირველი ერისმთავარი იყო სტეფანოზ I.

კავკასიოლოგთა უმრავლესობა იხრება იმ აზრისაკენ, რომ ჰერაკლე კეისრის ლაშქრობათა დასრულების შემდეგ ალბანეთი ხაზარებს დარჩათ, აღმოსავლეთ ქართლი კი, ვიდრე არაბთა გამოჩენამდე, ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული, თუმცა ფაქტობრივი დამოუკიდებლობით სარგებლობდა. მხოლოდ ვ. მინორსკისთან ვხვდებით მიახლოებულ ვარაუდს, რომ არაბთა შემოსვლამდე სამხრეთ კავკასიის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი ხაზართა ხელთ იყო. სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, რომელიც დაწვრილებით იკვლევს ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ურთიერთობის სამხედრო და პოლიტიკურ ასპექტებს, მიდის დასკვნამდე, რომ კეისარმა ხაზარებს ქართლიც დაუთმო ალბანეთთან ერთად. ამ შემთხვევაში ნაშრომის ავტორი ეყრდნობა არაბ გეოგრაფთა ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობებს (იბნ ხორდადბეჰი, ალ-ბალაზური, იბნ ალ-ასირი), რომლებიც ქართლს ალბანეთთან ერთად ხაზართა სამფლობელოებში მოიაზრებენ.

არაბთა ბატონობის პერიოდში, VII საუკუნის 60-იანი წლებიდან VIII საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებით იზრდება ხაზართა როლი. სარეცენზიო ნაშრომში შესწავლილია ხაზართა სამხედრო ექსპედიციათა ხასიათი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მათი დამანგრეველი შედეგები, კავშირი ბიზანტიის კავკასიურ პოლიტიკასთან, მონაწილეობა

— რეცენზია გიული ალასანიას ნაშრომზე: „ქართველები და ისლამადელი თურქები“

ანტიარაბულ აჯანყებებში და დიპლომატიური კავშირები ადგილობრივ დინასტიურ შტოებთან.

ცალკე თავი ეძღვნება ხაზართა პოლიტიკურ როლს დასავლეთ საქართველოს სამეფოს, ე. წ. „აფხაზთა სამეფოს“ ფორმირების პროცესში. დღემდე საკამათოდ რჩება აფხაზთა სამეფოს პირველი მეფის, ლეონის ვინაობა, რომლის შესახებ დანამდვილებით მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი დედის ხაზით ხაზართა ხაკანის შვილიშვილი იყო. ამასთანავე, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული იყო შეხედულება VIII საუკუნის განმავლობაში აფხაზთა სამეფო ტახტზე ორი სხვადასხვა ლეონის არსებობის შესახებ. სარეცენზიო ნაშრომში ეს აზრი უარყოფილია და გამოვლენილია შეცდომის წყარო, დასაბუთებულია არსებობა მხოლოდ ერთი ლეონისა, რომელმაც ხაზართა დახმარებით ეგრისის სამეფოს ნანგრევებზე აფხაზთა სამეფო ჩამოაყალიბა. გარკვეულია ლეონის გენეალოგიური კავშირი ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახთან (ლეონ ისავრიელის ძმისწული). ნაშრომის ამ ნაწილში საინტერესოაა გამოკვეთილი დინასტიური ქორწინებების მთელი ჯაჭვი – ბიზანტიის საიმპერატორო სახლი – ხაზართა ხაკანატი – აფხაზთა სამეფო – ქართლის ერისმთავარი. ეს კავშირები სავსებით სამართლიანად, შეფასებულია, როგორც მძლავრი ანტიარაბული კოალიციის გამოსატყულება.

ნაშრომში ცალკე თავი ეძღვნება იმ პოლიტიკურ ძვრებს, რომლებსაც იწვევდა VIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არაბებისა და ხაზარების დაპირისპირება. აქ განხილულია არაბთა მმართველობის ხასიათი პირველ აბასიანებამდე, როდესაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ადგილობრივი მმართველობა ერისმთავრობის ინსტიტუტის სახით, ქართველ მთიელთა მძლავრი ანტიარაბული აჯანყებები VIII საუკუნის 60-იან წლებში, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ ხაზარები და რომელთა ჩასახშობად არაბებს დიდი ძალების მობოლიზაცია დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერიოდი მრავალი ისტორიკოსის ინტერესის სფეროში იყო მოქცეული, წყაროთა ბუნდოვანება, გამოწვეული თხრობის სტილითა თუ ქრონოლოგიური ცნობების ნაკლებობით, არა ერთ პასუხგაუცემელ კითხვას ტოვებს. სარეცენზიო ნაშრომი ამ მხრივ ბევრ სიახლეს გვთავაზობს. აქ ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურადაა გამიჯნული ხაზართა რამდენიმე ლაშქრობა სამხრეთ კავკასიასა და კერძოდ, ქართლში, გამოკვეთილია ქართლის ერისმთავრების ფარული კავშირები აჯანყებულ მთიელებთან, რასაც მოჰყვა აბასიან ხალიფათა რეპრესიები და თბილისის საამიროს დაარსება. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მოვლენის დათარიღებას VIII საუკუნის შუა ხანებით იმდენი ხნის ტრადიცია აქვს, რომ, თითქოს, გადასინჯვას აღარც ექვემდებარებოდა. ხაზართა „მოძრაობის ლოგიკაზე“ დაკვირვებამ აღმოსავლეთ კავკასიაში ავტორს შეაძლებინა უფრო სრულად აღექვა წყაროთა ფრაგმენტული ჩვენებები და დაეკავშირებინა ისინი ქართულ სინამდვილესთან. გაირკვა, რომ არაბები იძულებულნი გახდნენ თბილისის საემირო დაეარსებინათ 60-იანი წლების მძლავრი აჯანყების შემდეგ, 771 წელს, რათა მეტად შეძლებო-

დათ ეკონტროლებინათ ქართველი მთიელები და ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც შემჩნეული იყო არაბთა წინააღმდეგ ხაზარებთან კავშირში. ამავე მოვლენასთან არის დაკავშირებული ქართლის ერისმთავრების ინსტიტუტის შერყევა და მისი საბოლოოდ გაუქმება. ავტორის მოსაზრებით, რომელიც ემყარება სომეხი მემატიანის ლევონდის ცნობას ხალიფა მუსას მიერ სომხეთსა და ქართლში ჩატარებული რეპრესიების შესახებ, ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი იყო სტეფანოზი, რომელიც 786 წელს არაბებმა სიკვდილით დასაჯეს (სტეფანოზის გაერისმთავრება ცნობილია ქართულ აგიოგრაფიული თხზულებით, „აბოს წამება“). ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება XI საუკუნის ქართული წყარო, რომელიც VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის ერისმთავრად აშოტ კურაპალატს მოიხსენიებს. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად მოცემული თავის ბოლოს ავტორი დანვრილებით მიმოიხილავს აშოტ კურაპალატთან დაკავშირებული ყველა წყაროს, იკვლევს აშოტ კურაპალატის ნოდებულებებს (მეფე, კურაპალატი) და ადასტურებს, რომ აშოტ ბაგრატიონი, ტაო-კლარჯეთის სამთავროს დამაარსებელი, არასოდეს ყოფილა ქართლის ერისმთავარი.

საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ერთხელ კიდევ გახდა აქტუალური ისლამამდელ თურქებთან თანამშრომლობის საკითხი. ამ დროს ასპარეზზე გამოსული იყვნენ ყივჩაყები, რომელთა ერთ-ერთი დიდი ტომი XI საუკუნის მიწურულს საქართველოს ჩრდილოეთით გაუმეზობლდა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენებელი ათავისუფლებს ქვეყანას მომთაბარე თურქ-სელჩუკებისაგან. მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, ქვეყნის სამხედრო კონტიგენტი არ იყო საკმარისი სამხრეთის საზღვრების დასაცავად, საიდანაც მუდმივად მოედინებოდა თურქ-სელჩუკთა ახალ-ახალი ტალღები. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად დაახლოებით 1118 წელს დავითმა იქორწინა ყივჩაყთა მეფის ასულზე, შემდეგ კი, საბრძოლო თვისებებით განთქმული ყივჩაყები საქართველოში ჩამოსახლა. ყივჩაყთა ჩამოსახლების საკითხს მრავალი ისტორიკოსი შეეხო, თუმცა მაინც საკამათოდ რჩება მათი რაოდენობის, განსახლებისა და ქართულ მოსახლეობასთან მათი ინტეგრაციის საკითხები. სწორედ ეს საკითხებია წინა პლანზე წამოწეული სარეცენზიო ნაშრომში. გავრცელებული მოსაზრებით, რომელსაც ავტორიც იზიარებს, ყივჩაყები ჩაასახლეს სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს სასაზღვრო ზოლში, მტკვრისა და ივრის გაყოლებაზე, სადაც გადიოდა თურქ-სელჩუკთა მოძრაობის მთავარი მარშრუტი. როგორც დავითის ისტორიკოსი იუნყება, დავითმა 40 ათასი კომლი ყივჩაყი ჩამოიყვანა. ეს ცნობა ისტორიკოსთა დიდმა ნაწილმა უკრიტიკოდ მიიღო და ჩამოსახლებულ ყივჩაყთა საერთო რაოდენობას დაახლოებით 225 ათასით ანგარიშობდნენ. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში საფუძვლიანი ეჭვები გამოითქვა ამ რაოდენობის მომთაბარეთა შემოყვანის შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ დავითმა ჩამოიყვანა დაახლოებით 5 ათასი მეომარი, ოჯახებიანად – დაახლ. 25 ატასი (მარგიშვილი), თუმცა, ზოგიერთი ავტორი, პირიქით, ზრდის ყივჩაყთა შესაძლო რაოდენობას (მურღულია, შუშა-

— რეცენზია გიული ალასანიას ნაშრომზე: „ქართველები და ისლამადელი თურქები“

რინი). სარეცენზიო ნაშრომის ავტორიც იმ აზრისაკენ იხრება, რომ ყვიჩაყთა რაოდენობა უფრო მცირე იყო, ვიდრე ამას დავითის ისტორიკოსი მიუთითებს. ამ შემთხვევაში იგი ეყრდნობა მათეოს ურჰაეცის ცნობას, რომ დავითის ჯარში ყვიჩაყთა რაოდენობა 15 ათასი იყო. ამ მოსაზრებას ავტორი ამაგრებს „რიცხვების მისტიფიკაციის გავრცელებული წესით შუა საუკუნეებში, რამაც ასახვა ჰპოვა ქართულ წყაროებშიც. მისი დაკვირვებით, ქართულ წყაროებში რიცხვი 40 და მისგან ნაწარმოები ათასეულები და ასეულათასეულები არასოდეს გამოხატავს ჯარების რეალურ რაოდენობას (რიცხვების მისტიკას გ. ალასანია იკვლევს ცალკე ნაშრომში: Г. Аласания, Классификация грузинских письменных исторических источников, Тб., 1986, сс.163-182).

ცნობილია, რომ ყვიჩაყების ასიმილაციის პროცესი საქართველოში რთულად მიმდინარეობდა და დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ მოკლე ხანში მათი ძირითადი ნაწილი უკან დაბრუნდა, მაგრამ ყვიჩაყები აქა-იქ მომდევნო პერიოდის ქართულ წყაროებში მაინც იხსენიებიან. ავტორი გულდასმით სწავლობს ყვიჩაყების მოხსენიების ყოველ ცნობას – წყაროთა უშუალო მონმოებებს თუ ლექსიკურ მასალას, საბრძოლო წყობასთან დაკავშირებულ ცალკეულ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც ადასტურებენ ყვიჩაყებთა უეჭველ კვალს ქართულ სინამდვილეში. ამგვარი მასალა ავტორს საშუალებას აძლევს დაასკვნას, რომ საქართველოს მეფეები ყვიჩაყებს, როგორც დამხმარე ძალას, შემდგომშიც იწვევდნენ და ავანგარდში აყენებდნენ. აქვე იგი განმარტავს გამოთქმას „ყვიჩაყნი ახალნი“, რომელიც ზოგიერთ ისტორიკოსს ადრე (დავითის დროს) ჩამოსახლებული „ძველი“ ყვიჩაყებისაგან განმასხვავებულ ცნებად მიაჩნია. ეს შეხედულება გულისხმობს ყვიჩაყთა ახალ-ახალი ტაღლების უწყვეტად ჩამოსვლას საქართველოში, რაც ავტორს ისტორიულ რეალობასთან შეუთავსებლად მიაჩნია. მისი მტკიცებით, „ყვიჩაყნი ახალნი“ ნიშნავს ახლადმოქცეულ, გაქრისტიანებულ ყვიჩაყს, რაშიც ძნელია არ დაეთანხმო მას, რადგანაც ეპითეტი „ახალი“ ძველ ქართულ ტექსტებში მართლაც ახლად მოქცეულის, გაქრისტიანებულის მიმართ გამოიყენება. მიუხედავად ამისა, წყაროებზე და ენობრივ ფაქტებზე დაყრდნობით ავტორი იმასაც ამტკიცებს, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველოში ყვიჩაყები ჩამოდიოდნენ, მაგრამ მხოლოდ დროებით, როგორც დაქირავებული მებრძოლები. უკანასკნელად მათი კვალი ჩნდება XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, მონღოლთა ბატონობის დროს. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში ორმეფობაა – მონღოლებმა მათთვის არასასურველ მეფეს დავით IX-ს (1292-1311) დაუპირისპირეს დაუპირისპირეს მისივე ძმა, ვახტანგ III (1293-138). ერთ-ერთ ეპიზოდში დავითს, რომელიც მთის რეგიონებში იყო გამაგრებული, თავს ესხმიან ყვიჩაყები. ავტორი ამ ეპიზოდში ოქროს ურდოსაგან ყვიჩაყთა (ისევე, როგორც ოსების) შვეინროების ანარეკლს ხედავს, რის გამოც ყვიჩაყები მზად იყვნენ ილხანთა სამსახურში ჩამდგარიყვნენ.


დასასრულს, ნაშრომში განხილულია საქართველოს ისტორიაში გამორჩეული მნიშვნელობის მქონე ფეოდალური საგვარეულოს, ორბელების, კავშირი

თურქულ სამყაროსთან. ორბელები საქართველოდან განიდევენ 1177 წელს გიორგი III-ის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მოთავეობის გამო. მათგან ერთ-ერთმა სათავე დაუდო ორბელიანთა სომხურ შტოს, რომლის წარმომადგენელია XIV საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი, სტეფანოზ ორბელიანი. XV საუკუნეში ორბელთა ნაქონი ვრცელი საგვარეულო მამულები ქვემო ქართლში გადადის ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის ხელში, რომლის ფუძემდებელი, ჩვენამდე მოღწეული იტორიული დოკუმენტების მიხედვით, იყო სამეფო კარის მოხელე ბარათა ქაჩიბას-ძე. ბარათაშვილთა წარმომავლობის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდხანს იყო გაზიარებული ს. ჯანაშიას წამოყენებული თვალსაზრისი, რომელიც აფხაზური ენის ფონეტიკურ სისტემას ემყარებოდა. მისი აზრით, ბარათაშვილთა წინაპარი ვინმე „ქაჩიბა“ დასავლეთ საქართველოდან ქართლში გადმოსული აფხაზი უნდა ყოფილიყო. სწორედ ეს შეხედულებაა უარყოფილი სარეცენზიო ნაშრომში და დასაბუთებულია, რომ ბარათაშვილები ძველ ორბელთა შთამომავლები იყვნენ და, რომ მათ თავიდან დაისაკუთრეს ქვემო ქართლში თავიანთ წინაპრების მამულები. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ნაშრომში წარმოდგენილია საინტერესო მასალა – ბარათაშვილთა საგვარეულო ლეგენდები და გადმოცემები, რომლებიც დიდ მსგავსებას პოულობენ სტეფანოს ორბელიანის მიერ მოთხრობილ ორბელთა წარმომავლობით მითებთან; გამოყოფილია მათ შორის საერთო ისტორიული პლასტები და სიუჟეტები, რომლებიც ადასტურებენ ამ ორი, დროში დაშორებული საგვარეულოს საერთო წარმომავლობას. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ავტორი გადმოცემებში დაცულ ტოპო-ეთნიკონებს (ჩინ/ჭენ, ბუნ-თურქნი) რომლებიც მხოლოდ თურქულენოვან ენობრივ ბაზაზე იხსნება და ქართულ და სომხურ სამყაროში ისინი განზოგადებულად აღნიშნავდნენ გარედან მოსულ უცხო მომთაბარე ძალას (სკვითები, ხაზარები). ორბელთა და ბარათაშვილთა შესახებ ისტორიოგრაფიული და ეპიგრაფიკული ცნობების, საგვარეულო გადმოცემებისა და მფლობელობის დამამტკიცებელი საბუთების ერთობლიობაში გააზრება ავტორს ეხმარება აღადგინოს ორბელთა და ბარათაშვილთა შორის განყვეტილი გენეალოგიური ხაზი. მათი შემაერთებელი რგოლის, „ქაჩიბას“ ეტიმოლოგიას ავტორი უკავშირებს თურქულ ძირს (Cürcü Kacik/ Kacuk.) რაც „გაქცეულ ქართველს“ ნიშნავს (მოხმობილია ანალოგიური ეტიმოლოგიის სხვა ქართული გვარები). ავტორის ვარაუდით, „ქაჩიბა“ უნდა ყოფილიყო საქართველოში დაბრუნებული ორბელთა სახლის უმცროსი წევრის, ქავთარ ორბელის (წყაროები მას ივანე ორბელის უმცროს ძმად ან ძმისწულად მოიხსენიებენ), თურქული ზედწოდება. გარდა ზედწოდების სავარაუდო ეტიმოლოგიისა, ავტორის მტკიცება ემყარება მოვლენათა განვითარების ლოგიკას, რომლის თანახმად, სამშობლოდან გაქცეული ფეოდალი, დიდი მამულების პატრონი, როცა ამისი შესაძლებლობა ეძლევა, უკან ბრუნდება. ქავთარმა დაიწყო ორბელთა ძველი მამულების შეკრება, ხოლო მისი შთამომავლები, უკვე განსხვავებული გვარსახელით, ქვემო ქართლის მფლობელები ხდებიან.

— რეცენზია გიული ალასანიას ნაშრომზე: „ქართველები და ისლამამდელი თურქები“

ასეთია იმ უმთავრეს საკითხთა წრე, რომელთა კვლევასაც ეძღვნება სარეცენზიო ნაშრომი. რასაკვირველია, ნაშრომი შინაარსობრივად გაცილებით მდიდარია, რადგან ყოველი პრობლემური საკითხის განხილვისას ავტორი სრულად იყენებს არსებულ წყაროთმცოდნეობით ბაზას და სამეცნიერო ლიტერატურას, აზუსტებს ფაქტებს და ყოველ ისტორიულ მოვლენას ახსნას უძებნის რეგიონალური პოლიტიკის ქრილში. ნაშრომი შესრულებულია მაღალი პროფესიონალიზმით და, შეიძლება ითქვას, მეცნიერული გაბედულებით, რაც მას, უდავოდ, საინტერესოს ხდის როგორც საქართველოს ისტორიის, ასევე კავკასიის ქვეყნების ისტორიის მკვლევართათვის.

2011-2015 წლების გამოცემები




გელათური ხელნაწერები, თბ., 2011 (80 გვ.)

„გელათური ხელნაწერებში“ შესულია დაცულობის ადგილის მიხედვით დაჯგუფებული მასალა. მასში წარმოდგენილია ქართული მწიგნობრობის გამორჩეულ ცენტრთან – გელათთან დაკავშირებული ხელნაწერები, ისტორიული დოკუმენტები და საარქივო მასალა.

სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერები თავბოლონაკლულია, დაკარგული ან დაზიანებულია ის ადგილები, სადაც, როგორც წესი, ანდერძ-მინაწერების სახით გარკვეული ინფორ-

მაციაა თავმოყრილი ხელნაწერის შექმნის, გადაადგილებისა თუ დაცულობის ადგილის შესახებ.

სწორედ ამის გამო, ალბომში მოხვდა მხოლოდ ის „რჩეული“ ნაწილი, რომლებიც ბოლო მონაცემებით გელათის მონასტერში ინახებოდა. ბევრი მათგანი სხვადასხვა ცენტრებშია შექმნილი და შემდეგაა მოხვედრილი გელათში. სწორედ ინფორმაციის დეფიციტის გამოა, რომ გელათის მონასტრიდან დაკარგული თუ გაფანტული მრავალი ხელნაწერის შესახებ არაფერი ვიცით და შესაბამისად, ვერ აისახა ამ ალბომში.



კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს მ. ქავთარიამ, მ. მეტრეველმა და ი. ხოსიტაშვილმა თბ., 2011 (102 გვ)

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას პირადი არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ 1978 წელს გადასცა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გარდა, საარქივო მასალები ამბროსი ხელაიას შესახებ დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმსა და რუსეთში.


ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული მასალა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს როგორც XX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ისე თავად კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას უაღესად საინტერესო ცხოვრება-მოღვაწეობის შესასწავლად.

აღწერილობას დართული აქვს ამბროსი ხელაიას შესახებ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო მასალის ცნობარი, ასევე სრული ინფორმაცია საქართველოს ეროვნულ არქივსა და ლიტერატურის ისტორიის მუზეუმში დაცული მასალისა და ამბროსი ხელაიას შვილიშვილის, ანა კლდიაშვილის პირად არქივში არსებული წერილების შესახებ.

აღწერილობაში მასალა დალაგებულია თემატურად და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ბოლოში ერთვის ამბროსი ხელაიას და მისი ოჯახის წევრების ფოტოები.

ილია აბულაძის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, შეადგინა ხ. გაფრინდაშვილმა, თბ., 2011 (134 გვ.)

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დამაარსებლის, დიდი ქართველი მეცნიერის, ქართველოლოგისა და არმენოლოგის, ილია აბულაძის ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია მეცნიერის გამოკვლევები, სამეცნიერო-პოპულარული წერილები, რეცენზიები, ასევე შეფასებები და გამომხაურებები მის გამოკვლევებზე. ცალკე თავებად არის გამოყოფილი მისი თანაავტორობითა და რედაქტორობით გამოქვეყნებული ნაშრომები და ლიტერატურა მეცნიერის შესახებ. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად, ერთვის შრომებისა და სახელთა ანბანური საძიებელი.



მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან,

დ. კლდიაშვილის რედაქციით, თბ., 2011 (281 გვ.)


პუბლიკაცია განხორციელდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ფარგლებში. ავტორები: დ. კლდიაშვილი, თ. აბულაძე, ც. აბულაძე, ზ. სხიტლაძე, ი. კოშორიძე.

კატალოგში შეტანილია 200-მდე ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული დოკუმენტი საქართ-



ველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და ეროვნული არქივის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, რეგიონალური (ქუთაისი, გორი, ზუგდიდი, ბათუმი) მუზეუმების ძველი საისტორიო დოკუმენტების კოლექციების ბაზაზე. ნაშრომი შედგება რედაქტორის შესავალი წერილისა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) და სამი ძირითადი ნაკვეთისაგან ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული ისტორიული დოკუმენტების შესახებ. თითოეულ ნაკვეთში მიმოხილულია მოხატულ ისტორიულ საბუთთა კოლექციები, საბუთთა სახეობები, მათი დიპლომატიკური, პალეოგრაფიული და მხატვრული თავისებურებები, მხატვრული გაფორმებისათვის გამოყენებული ელემენტები – მინიატურა, ორნამენტი, ინიციალი, ხელრთვა, ბეჭედი და სხვ. დახასიათებულია აგრეთვე მოხატულ ხელნაწერთა შექმნის პოლიტიკური გარემო და მხატვრულ სტილთა ურთიერთხემოქმედების ისტორიული პირობები.

კატალოგი მნიშვნელოვანია ქართული მინიატურული მხატვრობის მკვლევართათვის, აგრეთვე ბიზანტინისტიკისა და ორიენტალისტიკისათვის, რამდენადაც მასში წარმოდგენილია დღემდე ნაკლებ შესწავლილი შუა საუკუნეების კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფენომენი – ისტორიული დოკუმენტების მხატვრული გაფორმება.



თამარ ოთხმეზური, კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. ეფრემ მცირე და გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2011 (318 გვ.)

წიგნში განხილულია შუა საუკუნეების კომენტარული ჟანრის თხზულებათა ქართული თარგმანების როლი XI-XII საუკუნეების მთარგმნელობითი, მნიგნობრული, ზოგადად, სააზროვნო პროცესების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

დიდი კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებების შუა საუკუნეების კომენტარების, კერძოდ, გრიგოლის თხზულებათა X საუკუნის კომენტატორის, ბასილი მინიმუსის განმარტებათა ქართული თარგმანის კვლევის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია თვალსაზრისი, რომ კომენტარული ჟანრის თხზულებების თარგმნამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი მთარგმნელის, ეფრემ მცირის მთარგმნელობითი კონცეფციის, ელინოფილიზმის, ჩამოყალიბებაში. სპეციფიკური მთარგმნელობითი მიდგომა, ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობის მთარგმნელობითი მეთოდების კომბინაცია არის ის ხერხი, რომელსაც ეფრემი ირჩევს ექსპოზიციური ხასიათის ტექსტის, ბასილი მინიმუსის კომენტარების თარგმნისას. მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ ეს არის გააზრებული, მწყობრ მეთოდოლოგიურ პრინციპზე


აგებული მთარგმნელობითი პოზიცია, რომლის შემუშავება ხდება სათარგმნი მასალის ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინებით.

ნაშრომში გამოკვეთილია კომენტირებული ბერძნული ხელნაწერების როლი XI-XII საუკუნეების შავი მთის მნიგნობრული სკოლის ქართული ხელნაწერი წიგნის განვითარებაში. მდიდარი ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის წინასიტყვაობებისა თუ ბოლოსიტყვაობების, პინაქსების, პუნქტუაციის ნიშნებით გამართული ტექსტის და მრავალფეროვანი მარგინალური ატრიბუტიკის შემცველი ამ პერიოდის ქართული კრებულები ბერძნულის გავლენით შექმნილი ელინიზებული ნუსხებია, რომლებშიც, ამავე დროს, იკვეთება ეფრემის შემოქმედებითი მიდგომა ხელნაწერი წიგნის მიმართ.

ქართული კომენტირებული კრებულების აშიებზე დადასტურებულ ეფრემ მცირის განმარტებით შენიშვნებში გამოკვეთილია ქართველი მნიგნობრის აზროვნების მეცნიერული სტილი: ლიტერატურულ-თეორიული, გრამატიკული, ლექსიკოლოგიური ინტერესები, საბუნებისმეტყველო ცოდნა და სხვ. ნათარგმნი ტექსტებიდან და ქართველი მთარგმნელის კოლოფონებიდან მაგალითებისა და ანალოგიების მოხმობით, აშკარა ხდება, რომ კომენტარულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო XI-XII საუკუნეებში ქართველთა მნიგნობრულ წრეებში ახალი სტილის სამეცნიერო აზროვნების ჩამოყალიბებას და გარკვეულწილად განსაზღვრა მისი სამომავლო განვითარების გზები.

გამოკვლევას მოსდევს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილი ბასილი მინიმუსის ეპისტოლე კონსტანტინე პორფიროგენეტისადმი (ბასილის კომენტარების შესავალი), და გრიგოლ ღვთისმეტყველის ორი საკითხავის (I, XXXIX) ბასილი მინიმუსის კომენტარები. ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე და პირთა საძიებელი.

**ქეთევან ბეზარაშვილი, ბიზანტიური
და ძველი ქართული რიტორიკის თეორიისა
და ლექსთწყობის საკითხები ანტიოქიური
კოლოფონების მიხედვით: ეფრემ მცირე,
წიგნები: I-II-III, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბ, 2011, 2012 (372; 324; 256 გვ.)**




ნაშრომში, რომელიც სამ წიგნად არის წარმოდგენილი, წარმოჩენილია XI საუკუნის შავი მთის ცნობილი მნიგნობრის, ეფრემ მცირის კოლოფონების მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში, ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის – ელინოფილიზმის კვლევაში. დეტალურად არის განხილული XI საუკუნეში ელინოფილური მიმდინარეობის ჩამოყალიბების მიზეზები და მიზნები, ბერძნული ენისა და ბერძნული სწავლა-განათლების სისტემის გავლენის საკითხი ქართულ

თარგმანებსა და ქართველ მწიგნობრებზე. გამოკვეთილია ბერძნული ქრისტიანული მწერლობის მწიგნობრული გარემოს როლი და მისი გავლენა ქართველ ელინოფილთა მთარგმნელობით რეპერტუარზე. ეფრემ მცირის კოლოფონების მიხედვით, განხილულია სხვადასხვა მთარგმნელობითი, ლიტერატურული თუ რიტორიკული ტერმინი და დადგენილია მათი მნიშვნელობა.

ნაშრომში ასევე განხილულია ეფრემ მცირის შეხედულებები კლასიკური სალიტერატურო ფორმისა და ქრისტიანული შინაარსის ურთიერთმიმართების შესახებ და ამ კონტექსტში განსაზღვრულია ტერმინების: „ელინურის“, „ჰინდურის“, „გარეშეს“ და სხვ. მნიშვნელობა. ნაშრომის ერთი ნაწილი ეთმობა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების ეფრემისეული კორპუსის კვლევას ბერძნულ კორპუსებთან მიმართებით და ქართული კორპუსის სპეციფიკის წარმოჩენას.

ეფრემ მცირის კოლოფონებსა და მის თარგმანებზე (ძირითადად, კაპადოკიელი მამის, გრიგოლ ღვთისმეტყველის პოეზია) დაყრდნობით, გამოკვლეულია ბიზანტიურ-ქართული პოეზიის ურთიერთმიმართებისა და ბერძნულ-ქართული ლექსთწყობის საკითხები, სალექსთწყობო ტერმინოლოგია (იამბიკო, მუხლი, რიცხვედი და მარცვლენი, იროიკო და სხვ.), ბერძნული კლასიკური საზომების შემოსვლის საკითხი ძველ ქართულ მწერლობაში.

სამივე წიგნს ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე.



ამბავი ერთი ხელნაწერისა, ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან, შემდგენლები: ე. დუღაშვილი, ნ. ქავთარია, თბ., 2012 (100 გვ.)

ქართული მწიგნობრობისა და მხატვრული აზროვნების უნიკალური ნიმუში – XV-XVI საუკუნეების ქართულ-ბერძნული ხელნაწერი რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკა-

შია დაცული. ხელნაწერი შინაარსით ლიტურგიკული კრებულია. შეიცავს ორენოვანი – ქართული და ბერძნული – ტექსტების თავისებურ ერთიანობას. ტექსტი მოიცავს სახარებისეულ საკითხავებს, ტროპარებს, სავედრებელ ლოცვებს, თვენს, მაცხოვრისა და ავგაროზ მეფის მიმონერის აპოკრიფულ ისტორიას. ტექსტის ძირითადი ნაწილი ქართულია, ნაწერია ორ სვეტად, ნუსხურად. ტროპარები, სავედრებელი ლოცვები და ცალკეული საკითხავები კი ბერძნულ ენაზეა.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერის მხატვრული ანსამბლი ექვსი რთული შედგენილობის ციკლისგან შედგება. პირველ სერიაში გაერთიანებულ მინიატიურათა რიგი სახარებისეულ საკითხავებს მოსდევს და ქრისტოლოგიურ სიუჟეტებს მოიცავს. მეორე სერიაში ტროპარების ბერძნულენოვან ტექსტს ძველი ალექ-

ისეული სიუჟეტები, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ცალკეულ დღესასწაულთა ამსახველი სცენები და წმინდანთა გამოსახულებები შემოწერს. მესამე სერიაში წარმოდგენილია გამოსახულებების რიგი წმინდანებსა და შესაბამის თვეთა პერსონიფიკაციები; მეოთხე სერია თავისი შედგენილობით უნიკალურია. მეხუთე სერია ქრონოლოგიურ რიგზე განყოფილი თვეების დასურათებულ ციკლს მოიცავს; მეექვსე სერია განკურნებათა და სასწაულთა თოთხმეტ სცენას აერთიანებს.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერის შედგენილობაში და გაფორმებაში ნათლად აისახა იმდროინდელი ქრიატიანული სამყაროს მხატვრული გემოვნება, ტრადიციისადმი ერთგულება, იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებანი და ის ძიებები, რომლებიც ლიტერატურულ და მხატვრულ შემოქმედებას წინსვლისკენ უბიძგებდა.

მოქვის სახარება, თბ., 2012 (276 გვ.)

რამდენიმე წლის წინ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით დაიგეგმა პროექტი, რომლის მიზანიც ცენტრში დაცული ხელნაწერების შესახებ ცალ-ცალკე ალბომების გამოცემა იყო. რაც პოპულარიზებას გაუწევდა უძველეს ქართულ ხელნაწერ მემკვიდრეობას და ერთი ხელნაწერის მაგალითზე ამ მემკვიდრეობის უნიკალურობის ჩვენების შესაძლებლობას შექმნიდა. ამასთან, ხელი შეეწყობდა გამორჩეული ხელნაწერების ცალ-ცალკე კვლევასაც.



აღნიშნული საგამომცემლო მიმართულება მოქვოს სახარებით დაიწყო – ხელნაწერთ, რომელიც გამორჩეულია არა მხოლოდ მინიატიურათა სიუხვითა და შესრულების ხარისხით, სიუჟეტური მრავალფეროვნებითა და ფერთა მრავალგვარობით, არამედ გამორჩეულ ხელნაწერთა შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობით – მისი უნიკალური მხატვრობა განადგურების პირას იყო მისული.


2011 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების მხარდაჭერით, იუნესკოს, კერძო შემომწირველებისა და დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით, შეძლო მოქვის სახარების დიაგნოსტიკისთვის სამი უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანა. ჩატარდა წინასწარი სამუშაოები, მომზადდა და გამოიცა წინამდებარე ალბომი.



მოქვის სახარების დიაგნოსტიკა, თბ., 2012 (32 გვ.)

საქველმოქმედო კამპანიის „გადავარჩინოთ მოქვის სახარება“ ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება ჩატარდა. მათ შორისაა ხელნაწერის დაზიანებების რაობის დასადგენი სადიაგნოსტიკო სამუშაოები, რომლებიც შჩ-ს თანადგომით სამმა უცხოელმა ექსპერტმა ჩაატარა, ესენია: მაგდალენა ლიდკე (გერმანია), დრ. ანდრეა პატაკი-ჰუნდტი (გერმანია)

და ანდრეა ჯიოვანინი (შვეიცარია). ექსპერტებმა, 2011 წლის 23-28 ოქტომბერს, შეისწავლეს მოქვის სახარება, შეაფასეს და განიხილეს ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა, დაზიანების ხარისხი და რეკომენდაციები გასცეს საკონსერვაციო სამუშაოების ჩასატარებლად.



კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი (ხელაია) – ეპისტოლური მემკვიდრეობა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, ბიოგრაფიული ცნობები, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. საითიძემ, თბ., 2012 (142 გვ.)

გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ამბროსი ხელაიას ეპისტოლური ხასიათის მემკვიდრეობის ერთი ნაწილი. ქრონოლოგიურად იგი 1900-1926 წლებს მოიცავს. წერილების შინაარსი ფართოა და შეიცავს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს

როგორც ამბროსი ხელაიას ცხოვრება-მოღვაწეობის, ისე XX საუკუნის პირველი მესამედის საქართველოს ეკლესიისა და ზოგადად, საქართველოს ისტორიის შესახებ.



ელენე მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერები – დამწერლობისა და შემკულობის საკითხები, თბ., 2012 (420 გვ.)

გამოცემა წარმოადგენს ქართველი ხელოვნებათმცოდნის ელენე მაჭავარიანის სტატიების კრებულს. იგი მოიცავს ნაშრომებს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსებიდან – 1958 წლიდან 2012 წლამდე. კრებულს ამდიდრებს წერილები ქართველ შემოქმედთა და მოღ-

ვანეთა შესახებ, ასევე ავტორის სამეცნიერო მუშაობის ამსახველი მასალა. წიგნს ერთვის სურათები და საოჯახო ფოტო-მასალა.


სტატიებში შუა საუკუნეების წიგნის ხელოვნების მნიშვნელოვანი საკითხებია წარმოდგენილი. დახასიათებულია საგანმანათლებლო კერებთან არსებული მხატვრული სკოლების თავისებურებანი, ოსტატთა შორის შრომის განაწილების პრინციპი, მრავალი მინიატიურით შემკულ ხელნაწერთა დასურათების სისტემა და სხვ. ბიზანტიურ, ირანულ, სომხურ ხელნაწერთან ურთიერთმიმართების საფუძველზე გამოვლენილი ტრადიციები.

ქართული დამწერლობის საკითხების განხილვის დროს წარმოჩენილია ძველი ქართული დამწერლობის – ასომთავრულის გრაფიკული სისტემის შექმნის პრინციპები და ასევე პალეოგრაფიული და ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შესწავლილია ქართული ანბანის სამივე სახეობის – ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის განვითარება საუკუნეების განმავლობაში.

ხელნაწერთა შემკულობიდან თუ ისტორიული საბუთებიდან გადმოღებული ტაბულები ავტორის მიერაა შესრულებული.

**ენრიკო გაბიძაშვილი, ქართული ნათარგმნი
კანონიკა, დოგმატიკა პოლემიკა,
VI, თბ., 2012 (334 გვ.)**


ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნ თხზულებათა დარგობრივი ბიბლიოგრაფიების სერიის მეექვსე წიგნში დამოუკიდებელ ნაკვეთებად შევიდა კანონიკა ანუ საეკლესიო სამართალი და დოგმატიკა-პოლემიკა. თითოეული ნაკვეთი წიგნის დამოუკიდებელი ნაწილია, თითოეული თავისი სამეცნიერო აკრიბიით.




**ზაზა ალექსიძე, ქრისტიანული კავკასია II,
თბ., 2012 (398 გვ.)**

კრებულში თავმოყრილია ქართველი ისტორიკოსისა და ფილოლოგის, პროფ. ზაზა ალექსიძის შრომები, რომლებიც სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული იყო ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებსა თუ სამეცნიერო კრებულებში.

გარდა სტატიებისა, კრებულში შეტანილია ავტორის სხვა მონოგრაფიებიდან შერჩეული გარკვეულად დასრულებული მონაკვეთები, რომლებიც მკითხველს დაეხმარება ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის ერთიანად გააზრებაში საერთო კავკასიურ კონტექსტში. კრებულში ასევე შესულია ორი გამოუქვეყნებელი ნაშრომი.



მასალა დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით. თითოეულ სტატიას ახლავს ორიგინალის გამოცემის ადგილი, თარიღი და გვერდების მითითება.



**მუშაკი სულიერისა ვენახისა –
მიხეილ ქავთარია 80, თბ., 2012 (292 გვ.)**

გამოცემა ეძღვნება გამოჩენილი მეცნიერის, ფილოლოგის, მიხეილ ქავთარიას 80 წლის იუბილეს.

წიგნი იწყება მიხეილ ქავთარიას სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი წერილით, რომლის ავტორები არიან ლია კიკნაძე და ლალი ჯღამაია. წერილში აღნიშნულია მიხეილ ქავთარიას უდიდესი დამსახურება ქართული კულტურისა და საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში. ქართული ხელნაწერების შესწავლასა და გააზრებას მოაზროვნა ბატონმა მიხეილმა მთელი თავისი ცხოვრება. სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა იგი ფართო დიაპაზონის ფილოლოგად, გამორჩეულ არქეოგრაფად და ლიტერატურათმცოდნედ, მაღალკვალიფიციურ მეცნიერ-მკვლევარად. სწორედ ეს მხარე განსაზღვრავს მისი მრავალრიცხოვანი შრომების (ასამდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის) განსაკუთრებულ მეცნიერულ ღირებულებას. წიგნის პირველ ნაწილში მიხეილ ქავთარიას პატივისმცემელთა რამდენიმე მისასალმებელი წერილია, რასაც მოსდევს ქართველ მეცნიერთა ნაშრომები ქართული მწერლობისა და ისტორიის უაღრესად საინტერესო საკითხებზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მიხეილ ქავთარიასადმი მიძღვნილ კრებულში გამოქვეყნებულია რ. სირაძის, ნ. სულავას, ჯ. ვათეიშვილის, თ. დოიაშვილის, რ. ჩაგუნავას, რ. ხალვაშის მეტად მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური ხასიათის სტატიები.

კრებული უაღრესად საინტერესოა მიხეილ ქავთარიას პიროვნებისა და მეცნიერული მოღვაწეობის პირუთენელი შეფასებისა და აღიარების თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული სტატიებით.

ქართული ხელნაწერი, შეადგინეს:

მ. კარანაძემ, ლ. შათირიშვილმა,

ნ. ჩხიკვაძემ (რედ.), თ. აბულაძემ,



თბ., 2012 (ქართულ და ინგლისურ ენებზე, 190 გვ.)

გამოცემა წარმოადგენს ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორიის შემაჯამებელ პირველ გამოცემას. ალბომი დაყოფილია 5 მონაკვეთად, რომელთაგან თითოეული ეხება ხელნაწერი წიგნის განვითარების ქრონოლოგიურ ზღვრებს და წერილობითი კულტურის ისტორიაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თანამონაწილეობის განსხვავებულ მოტივებს, წიგნის შემეცნებით-საგანმანათლებლო და მხატვრულ-დეკორატიული ასპექტების განვითარების ეტაპებს. თითოეულ მონაკვეთს ახლავს ზოგადი შინაარსის საინფორმაციო ტექსტი 200-მდე ეგზემპლარის ამსახველი ვიზუალური მასალისა და ანოტაციების თანხლებით. გამოცემაში წარმოდგენილია V-XIX საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნების ის ეგზემპლარები, რომლებიც დაცულია როგორც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებში (A, H, S, Q), ასევე სინის მთისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავებში და რომელთა ფოტოასლების გამოყენების უფლებასაც ფლობს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალბომში შესული ადიშის ოთხთავის მხატვრული ასლი შესრულებულია ავტორთა მიერ შედგენილი აღწერილობისა და მითითებების საფუძველზე.

ალბომი შედგება ოთხი თავისაგან. მასში თავმოყრილ მასალას ახლავს ზოგადი შინაარსის საინფორმაციო ტექსტი და სათანადო ფოტონიმუშები ანოტაციების თანხლებით. ერთვის ძირითადი ბიბლიოგრაფია.

ალბომი გამიზნულია ქართული წერილობითი კულტურის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

წიგნი ითარგმნა და 2014 წელს გამოიცა ინგლისურ ენაზეც.





ელენე მეტრეველი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი II, რედ. თ. ოთხმეზური, თ. ცერაძე, ნ. მიროტაძის თანამონაწილეობით, თბ., 2012 (368 გვ.)

ელენე მეტრეველის „ფილოლოგიურ-ისტორიულ ძიებათა“ მეორე ტომში წარმოდგენილია ცნობილი ქართველი მეცნიერის, ძველი ქართული მწერლობის მკვლევრის, კოდიკოლოგისა და არქეოგრაფის ნაშრომები, რომლებიც სხვადასხვა წლებში იყო გამოქვეყნებული ქართულ და უცხოურ პერიოდულ გამოცემებსა თუ სამეცნიერო კრებულებში.

ნაშრომები ეძღვნება ძველი ქართული ლიტერატურის სხვადასხვა საკითხს. ცალკე რუბრიკაშია გაერთიანებული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი დარგის, ლიტურგიკის კვლევისადმი მიძღვნილი სტატიები. შეტანილია ასევე ელენე მეტრეველის მოგონებები მასწავლებლებისა და კოლეგების შესახებ, რომლებიც წარმოთქმულია სხვადასხვა დროს ამა თუ იმ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით. პირველად არის გამოქვეყნებული მეცნიერის ორი ნაშრომი პირადი არქივიდან.

კრებულში ნაშრომები დალაგებულია რუბრიკების მიხედვით, ცალკეული რუბრიკის ფარგლებში კი – ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.



ტაო-კლარჯეთი – ხელნაწერი მემკვიდრეობა, შემდგენლები: ვ. კეკელია, ნ. ჟღენტაძე, დ. ჩიტუნაშვილი, თ. ჯოჯუა, რედ., ბ. კუდავა, თბ., 2012 (84 გვ.)

გამოცემა წარმოადგენს დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ისტორიული ტაო-კლარჯეთის ხელნაწერი მემკვიდრეობის ილუსტრირებულ კატალოგს. გამოცემაში წარმოდგენილია ცნობები იმ ხელნაწერების შესახებ, რომლებიც გადაინერა ან ერთხანს


ინახებოდა ტაო-კლარჯეთში. კატალოგში მოცემულია შემდეგი ცნობები: ხელნაწერის ფურცლების რაოდენობა, ზომა, გადაწერის ადგილი და თარიღი, დაცულობის ადგილი, გადამწერისა და დამკვეთ/მომგებლის ვინაობა. თითოეულ ერთეულს ახლავს ანდრეძ-მინაწერი, რომელთაგან კარგად ჩანს ხელნაწერის ტაო-კლარჯეთის მონასტრებთან კავშირი. დღეისათვის ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებულ ხელნაწერთა რაოდენობა რამდენიმე ათეულს მოითვლის, თუმცა

ადვილი წარმოსადგენია რა რაოდენობით იქმნებოდა და ინახებოდა ხელნაწერები მონასტრებში, რომელთა რაოდენობაც ასევე რამდენიმე ათეულს აღწევდა.

გამოცემის მიზანია კიდევ ერთხელ შეუქმნას საზოგადოების დაინტერესებულ ნაწილს ზოგადი წარმოდგენა ტაოსა და კლარჯეთის განსაკუთრებულ როლზე ქართული კულტურის განვითარების საქმეში.


**საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“
– მასალები, თბ., 2012 (400 გვ.)**


კრებულში წარმოდგენილია I საერთაშორისო კონფერენციის „ტაო-კლარჯეთი“ მასალები, რომელიც გაიმართა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით თბილისში, 2010 წლის ოქტომბერში. მკვლევრებს და დაინტერესებულ პირებს საშუალება ეძლევა ვრცლად გაეცნონ ტაო-კლარჯეთის რეგიონთან დაკავშირებულ ფილოლოგიურ, ისტორიულ, კულტუროლოგიურ და ხელოვნების ისტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს.



**შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი –
ხელნაწერი მემკვიდრეობა, სარედაქციო
ჯგუფი: შ. გლოველი, ნ. თარგამაძე, ლ. კიკნაძე,
ვ. კეკელია, ნ. ქავთარია, ა. ჭეიშვილი,
რედ. ბ. კუდავა, თბ., 2013 (356 გვ.)**

წიგნში შედის „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების შევსებული და რედაქტირებული სრული კატალოგი, რომელსაც ერთვის ტექსტის ილუსტრაცია ყველა ხელნაწერიდან, პოემის დღეისთვის შემორჩენილი ყველა მინიატურა, სანიმუშო გვერდები დეკორატიულად გაფორმებული ხელნაწერებიდან, ყდების ნიმუშები, ზოგადი ინფორმაცია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მემკვიდრეობის შესახებ. გამოცემა აერთიანებს როგორც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ნუსხებს, ასევე სრულად მოიცავს მის ფარგლებს გარეთ – საქართველოსა და უცხოეთში – არსებულ ხელნაწერებს. წიგნში დანართის სახით მოცემულია ინფორმაცია პოემის 1712 წლის გამოცემის შესახებ.





**მოსმენილი და მონაყოლი –
მოგონებები ილია აბულაძის შესახებ,
თბ., 2013 (226 გვ.)**

კრებულში წარმოდგენილია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, ყოფილი ხელნაწერთა ინსტიტუტის დამაარსებლისა და მისი პირველი დირექტორის ილია აბულაძის მონაფეხების, კოლეგებისა და ოჯახის წევრების მოგონებები მეცნიერზე. მოგონებებში ასახულია XX საუკუნის ძალზედ საინტერესო მოვლენები (ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების ისტორია), რომელთა მონაწილეც ილია აბულაძე იყო. გარდა ამისა, მკვლევარი დახასიათებულია არა მხოლოდ როგორც მეცნიერი, არამედ როგორც ერთ-ერთი ყველაზე მზრუნველი ხელმძღვანელი თავისი სტუდენტების, კოლეგებისა და საკუთარი ახლობლებისა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გასულ საუკუნეში ქართველოლოგიისა თუ არმენოლოგიის კვლევის საქმეში არ მომხდარა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ილია აბულაძის სახელთან არ იყო დაკავშირებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი არა მხოლოდ სამეცნიერო წრისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისაც მრავალი კუთხით იქნება საინტერესო.



**ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, II,
შემდგენლები: თ. ენუქიძე, ნ. თარხნიშვილი, ბ. ლომინაძე,
რედ. მ. სურგულაძე, თბ., 2013 (352 გვ.)**

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ II ტომი ქრონოლოგიურად აგრძელებს ამავე სერიის I ტომს, რომელიც 1984 წელს გამოიცა. მასში სრულადაა თავმოყრილი ის ისტორიული საბუთები, რომლებიც, დედნებისა თუ პირების სახით, შემორჩენილია XIV საუკუნიდან ვიდრე XV საუკუნის შუა ხანებამდე. აქ შეკრებილი საისტორიო მასალა უდიდესი წყაროთმცოდნეობითი ღირებულებისაა, რადგან მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ერთადერთი წყაროა აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიისათვის. გამოცემაში წარმოდგენილი ისტორიულ საბუთთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტები, სამეცნიერო აპარატი და დედნების ფოტოასლები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

**ნიკიტა სტიოტი, თხზულებანი,
დოგმატიკონი, მ. რაფავას, მ. კასრადისა
და ნ. ჩიკვატიას გამოცემა, II, თბ., 2013 (506 გვ.)**

არსენ იყალთოელის დოგმატიკურ-პოლემიკური თხზულებების კრებულმა „დოგმატიკონმა“ მთელი ეტაპი შექმნა ქართული მწერლობისა და ზოგადად, კულტურის განვითარების ისტორიაში. „დოგმატიკონი“ წარმოადგენს უნიკალურ ძეგლს, როგორც ენობრივ-ლიტერატურული თვალსაზრისით, ისე ქართული სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინტერესებისა და ქართული ეკლესიის მართლმადიდებლურ-აღმსარებლობითი პოზიციის გამოხატვის თვალსაზრისით.

„დოგმატიკონი“ მართლმადიდებლური ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემებს ეხება.


„დოგმატიკონთან“ დაკავშირებული პრობლემატიკა საკითხთა მრავალგვარობით ხასიათდება: 1. „დოგმატიკონში“ ქართული თარგმანების სახით დაცული ისეთი თხზულებები, რომელთა ბერძნული დედანი ცნობილი არ არის; 2. „დოგმატიკონში“ დაცული თხზულებები რედაქციულად განსხვავდებიან დღეს ცნობილი ბერძნული ტექსტებისაგან; 3. არსენ იყალთოელის თარგმანები, მისი ენა და სტილი, მთარგმნელობითი პრინციპები, ტერმინთქმნადობა, ხელნაწერების აგების პრინციპები ლიტერატურული თვალსაზრისით წარმოაჩენს ელინოფილურ მიმართულებას ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში, რაც შემოქმედების ახალი, რეფორმატორული ნიშნით არის აღბეჭდილი და გაპირობებულია ბიზანტიის კულტურულ ფასეულობებზე ორიენტაციით.


წინამდებარე ტომში წარმოდგენილია XI საუკუნის ბიზანტიელი მწერლისა და თეოლოგის, ნიკიტა სტიოტის თხზულებების თარგმანები:

ნაწილი I – ხუთი სიტყვა სომხური მონოფიზიტობის წინააღმდეგ (გამოცემელი მ. რაფავა); ნაწილი II – ა. „სათნობითთა აღსავალთათჳს“. ევსების მონაზონსა ნიკიტა მონაზონი; ბ. სიტყუაჲ სულისათჳს; გ. მისივე, სამოთხისათჳს (გამოცემელი მ. რაფავა); ნაწილი III – ეპისტოლეები, სულ არის 9 ეპისტოლე (გამომცემელი მ. კასრადე).

ლექსიკონი და საძიებლები მოამზადეს მაია რაფავამ და ნანა ჩიკვატიამ.


არსენ იყალთოელის თარგმანები უაღრესად ფასეულია ნიკიტა სტიოტის თხზულებათა ბერძნული ორიგინალის ტექსტების კორექტირებისა და დაზუსტებისათვის, რადგან ქართულ თარგმანებს, როგორც გაირკვა, შემოუნახავთ ორიგინალის ბერძნული ხელნაწერებით ცნობილ ტექსტებზე ადრეული, არქექტიპის სახე. ეს ფაქტი კი თავისთავად ზრდის ნიკიტა სტიოტის თხზულებების ქართული თარგმანების მნიშვნელობას ბიზანტიური მწერლობის ისტორიისათვის.





**ქართული ისტორიული დოკუმენტები (ალბომი),
რედ. თ. ქართველიშვილი, თბ., 2014. (140 გვ.)**

ალბომი გამოიცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო საგრანტო პროექტის – „ისტორიული საბუთების დედნების დიგიტალიზაცია და მონაცემთა ბაზა“ – ფარგლებში. ალბომში წარმოდგენილია შესავალი წერილი ქართულ და ინგლისურ ენებზე და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საისტორიო დოკუმენტების შერჩეული ნაწილის ფოტოილუსტრაციები. გამოცემა განკუთვნილია საქართველოს ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და სამართალმცოდნეობით დაინტერესებულ მკვლევართა და ასევე, ფართო საზოგადოებისათვის.



**ქართული აგიოგრაფიული ძეგლების
სიმფონია-ლექსიკონი, III, გამოსაცემად
მომზადეს: ლ. ახოზაძემ, ნ. გოგუაძემ (რედ.),
მ. კვაჭაძემ, ნ. ნატრაძემ, თბ., 2014**


(394 გვ.)


მესამე ტომში წარმოდგენილია ქართული აგიოგრაფიული თხზულებებიდან ამოკრეფილი სალექსიკონო მასალა ასოებზე ს-ყ. ლექსიკონი შედგენილია ქართულ ლექსიკოლოგიაში მიღებული პრინციპების გათვალისწინებით: სახელები დალაგებულია ბრუნვათა რიგისა და რიცხვის მიხედვით, ზმნა – მწკრივის, პირისა და რიცხვის მიხედვით; მითითებულია პირთა რაოდენობა, გვარი, ქცევა. მოცემულია სალექსიკონო ერთეულთა ძირები; მოცულობის სიდიდის გამო ნაცვალსახელები და უდრეტები მხოლოდ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი. ლექსიკონი განკუთვნილია ფილოლოგების, ისტორიკოსებისა და ენათმეცნიერებისათვის.

იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა
ძუელსიტყუაობისანი, ქართული თარგმანის
ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა,
ლექსიკონი და საკუთარ სახელთა
საძიებელი დაურთო ნ. მელიქიშვილმა,
თბ., 2014 (378 გვ.)

ნაშრომით – იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუ-
დაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, III – დასრულდა ახ.
ნ. I საუკუნის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლა-
ვიოსის მიერ ბერძნულ ენაზე დაწერილი, 20 წიგნის
შემცველი თხზულების – „მოთხრობანი იუდაებრი-
ვისა ძუელსიტყუაობისანი“ – ქართული თარგმანის
პუბლიკაცია. I-XV წიგნები ქართულ ენაზე ბერძნული დედნიდან უკვე XII საუ-
კუნეში ითარგმნა. თარგმანმა ჩვენამდე XIII საუკუნის ხელნაწერით მოაღწია. ეს
ნაწილი სამეცნიერო აპარატიურთ 1987-1988 წწ-ში გამოქვეყნდა ორ ტომად.
უკანასკნელი ხუთი წიგნის გამოცემით (XVI-XX წიგნები) შეივსო ხარვეზი, რომე-
ლიც დღემდე არსებობდა ამ კუთხით. თხზულების ეს ნაწილი ქართულად XIX
საუკუნეში იქნა გადმოღებული ლათინურიდან მომდინარე რუსული თარგმანი-
დან სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის ინიციატივით მისი
კარის მღვდლის, დავით ინანიშვილის მიერ. ფლავიოსის ნაშრომი ძირითადად
XI-XX წიგნების ფარგლებში იქნეს უძველესი ისტორიული წყაროს მნიშვნელო-
ბას, რადგან ეფუძნება ანტიკური პერიოდის ბევრ ისეთ ავტორს, რომელთა
ნაშრომებმა დღევანდლამდე ვერ მოაღწია. გარდა ამისა, იოსებ ფლავიოსი არის
ის პირველი, მაცხოვრის თითქმის თანამედროვე ავტორი, რომელიც გარკვეულ
კონტექსტში საუბრობს იესო ქრისტეზე, იოანე ნათლისმცემელსა და უფლის
ხორციელ ძმაზე, იაკობზე (XVIII წიგნი), რაც, რა თქმა უნდა, ზრდის ნაშრომის
ამ ნაწილის ღირებულებას.


პუბლიკაციაში ტექსტს უძღვის მიმოხილვითი ხასიათის გამოკვლევა, რო-
მელშიც საუბარია იოსებ ფლავიოსის თხზულების შექმნის მიზეზსა და მიზანზე,
ქართული თარგმანის ტექსტის ისტორიასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.
ტექსტს დართული აქვს ლექსიკონი, თხზულებაში დადასტურებულ საკუთარ
სახელთა საძიებელი და იოსებ ფლავიოსის ნაშრომისადმი მიძღვნილი როგორც
ქართული, ასევე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია.





თეოფილე ხუცესმონაზონის „მამათა სწავლანი და თხრობანი“, ტექსტი გამოსაცემად მომზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს მ. დვალმა და დ. ჩიტუნაშვილმა, რედ. მ. დოლაქიძე, თბ., 2014 (738 გვ.)

თეოფილე ხუცესმონაზონის „მამათა სწავლანი და თხრობანი“ პატერიკების უკვე ორ ტომად გამოცემული ქართული თარგმანების მესამე ნაწილია. პირველ ნაწილში მოცემულია სისტემური პატერიკების ეფთვიმე მთანმიდელისეული თარგმანი, მეორეში – ანბანურ-ანონიმური კრებულის ქართული თარგმანები სინური და ათონური ხელნაწერების მიხედვით; მესამე ნაწილის გამოცემა აპოთეგმატას სისტემატური კოლექციის თეოფილე ხუცესმონაზონისეულ თარგმანს წარმოადგენს. ამ გამოცემით სრულდება პატერიკების ქართული თარგმანების მკითხველთა ფართო წრისათვის წარდგენა.



ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, შეადგინეს: თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ (რედ.), თბ., 2014 (604 გვ.)

„ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ III ტომში თავმოყრილია XV საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული დოკუმენტები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად ქვეყნდება. ტომის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოქცეული საბუთებით მკითხველს საშუალება მიეცემა მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული წარმოდგენა შეიქმნას იმდროინდელ შიდაპოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე, რომლებმაც განაპირობეს ერთიანი ქართული მონარქიის დაშლა. მკითხველი ასევე გაეცნობა იმდროინდელი ქართული სახელმწიფოს სამოხელეო სისტემას, მართლმსაჯულებას, სასამართლო პრაქტიკას, სოციალურ ურთიერთობებს. ტომში შეტანილ საბუთთა კრიტიკულად დადგენილ ტექსტებს ახლავს სრული ბიბლიოგრაფია და წინარე გამოცემების კითხვასხვაობანი. „კორპუსის“ III ტომი დიდ სამსახურს გაუწევს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართ.

**ქართული კალიგრაფია,
თბ., 2014 (100 გვ.)**

ალბომი „ქართული კალიგრაფია“ არის ერთგვარი შეჯამება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წლიდან დაწყებული გამორჩეული პროექტისა – კონკურსი ქართული კალიგრაფია. 5 წლის განმავლობაში ამ კონკურსით ერთგვარად გამოცოცხლდა და ახალი სიცოცხლე დაიწყო ქართული კალიგრაფიის მივიწყებულმა ტრადიციამ: გამოვლინდა ათობით ნიჭიერი კალიგრაფი, რომელთათვისაც ამ მიმართულებით პროფესიული ზრდა იქცა მნიშვნელოვან საქმედ, დაარსდა არაერთი კალიგრაფიული სკოლა თბილისსა და რეგიონებში, ჩატარდა 20-მდე გამოფენა საქართველოში და 2 უცხოეთში.

ქართული კალიგრაფიული ტრადიციის სრულად ასახვის მიზნით ალბომი ორი ნაწილისაგან შედგება: ქართული კალიგრაფია VII-XVIII საუკუნეებში, სადაც შესულია ხელნაწერი მემკვიდრეობის მიხედვით შერჩეული 31 გამორჩეული კალიგრაფიული ნიმუში და ქართული კალიგრაფია XXI საუკუნეში. ამ ნაწილში შევიდა თანამედროვე 35 კალიგრაფის ნამუშევარი. საგულისხმოა, რომ კალიგრაფები წარმოდგენილი არიან მთელი საქართველოდან: ქვემო და შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი, სვანეთი. მნიშვნელოვანია, კალიგრაფიის ხელოვნების განვითარების ახალ ეტაპზე ქალი კალიგრაფების დაინტერესება ამ უძველესი, მამაკაცებისათვის განკუთვნილი პროფესიით თანდათან იზრდება. ეს ტენდენციაც ნათლად არის ასახული ალბომში.

ალბომი ორენოვანი – ქართულ-ინგლისურია, ახლავს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის, ბუბა კუდავას და პროფესორ ელენე მაჭავარიანის შესავალი წერილები. ის განკუთვნილია ქართული კალიგრაფიული ხელოვნებითა და ზოგადად, ქართული კულტურით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.



**საბანმიდური ოთხთავი – პალიმფსესტი,
ტექსტი ამოიკითხა, გამოსაცემად მოამზადა,
შესავალი სიტყვა და სიმფონია
დაურთო ლ. ქაჯაიამ, თბ., 2014 (84 გვ.)**

გამოცემაში თავმოყრილია H-999 ხელნაწერში დაცული მათესა და ლუკას სახარების V საუკუნის მეორე ნახევრის პალიმფსესტური ტექსტები. ამ წიგნით მკითხველს საშუალება ეძლევა გაეცნოს სახარების უძველეს ქართულ თარგმანს. ავტორი



ვარაუდობს, რომ ხელნაწერში დაცული ტექსტი წარმოადგენს ე.წ. „საბანმიდური ოთხთავის“ რედაქციას, რომლის იდენტიფიკაციაც დღემდე ვერ ხერხდებოდა. ასევე, ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „საბანმიდური ოთხთავის“ რედაქციას უნდა წარმოადგენდეს ადიშის ოთხთავში დაცული ლუკას სახარების ტექსტი. ტექსტს ახლავს პალიმფსესტის ყველა გვერდის ფოტო და გაშიფრული ტექსტი ასომთავრული და მხედრული გრაფიკით.



ილია აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, რედაქტორები: მ. რაფავა, ც. ქურციკიძე, ე. ცაგარეიშვილი, თბ., 2014 (1078 გვ.)

ნაშრომი თავისი ფუნქციით, შედგენილობითა და მოცულობით საეტაპო მნიშვნელობის შრომაა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის ურთიერთშემხვედრი პრობლემებისა და ამოცანების კვლევა-ძიების საქმეში.

ლექსიკონში მასალა შესულია ძველი ქართული და ძველი სომხური მწერლობის ძეგლებიდან. მაქსიმალურად

სრულადაა წარმოდგენილი მასალა ბიბლიიდან, ნაკლები სისრულით – ჰაგიოგრაფიული და ჰომილეტიკური ძეგლებიდან. მასალა ამოღებულია როგორც ხელნაწერებიდან, ასევე ძველნაბეჭდი წიგნებიდან. მასში გამოყენებული წყაროები, ძირითადად, ადრებიზანტიური ხანის თარგმანებია, როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე. ამდენად, ეს ლექსიკონი ბიზანტიური კულტურის კვლევის კონტექსტში თავსდება და მნიშვნელოვნად ამდიდრებს, როგორც ბიზანტიური, ისე ქართულ-სომხური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების კვლევის ისტორიას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლექსიკონს ერთვის ინვერსიული საძიებელი. ეს არის ნიმუში ორენოვანი დოკუმენტირებული ლექსიკონისა, და ზოგადად, უდიდესი მნიშვნელობის ნაშრომია ლექსიკოგრაფიაში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ილია აბულაძის აღნიშნული ნაშრომი არის ყველაზე სრულყოფილი ძველი ქართული ენის დოკუმენტირებული ლექსიკონი, რომელიც სამაგიდო წიგნი გახდება ქართული ლიტერატურით, ენითა და ქართულ-სომხური ენობრივი თუ ლიტერატურული ურთიერთობებით დაინტერესებული ქართველი და უცხოელი მკვლევარებისათვის; იგი ასევე ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს ძველი სომხური საისტორიო წყაროების ქართულ ენაზე მთარგმნელებს.

ხელმოწერა – ძალა ისტორიასა

და სამართალში (ფოტო-ალბომი), თბ., 2014 (გვ. 100)


ალბომი შედგება შესავალი წერილისა (ქართულ-ინგლისურ ენებზე) და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ისტორიულ საბუთთა კოლექციიდან შერჩეული XII-XVIII სს. სამეფო და საკათალიკოსო სიგელების ფოტო-ლუსტრაციებისაგან, რაც ათვალსაჩინოებს ქართველ მეფეთა, დედოფალთა, უფლისწულთა და კათალიკოსთა ხელმოწერებს (ხელრთვებს) (80 ერთელი). ალბომი მკითხველს დაეხმარება წარმოდგენა შეიქმნას შუასაუკუნეების დოკუმენტების იურიდიული გაფორმების საქართველოში არსებულ ტრადიციაზე, ხელრთვათა დანიშნულებაზე, მათ გრაფიკულ თავისებურებებზე და მათ ამოკითხვასთან დაკავშირებულ სირთულეებზე.



ოქტომბრის მეტაფრასები, ძველი ქართული თარგმანები,

რედ. ნ. გოგუაძე, თბ., 2014 (482 გვ.)

პირველად გამოქვეყნდა „ოქტომბრის თვის მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის ძველი ქართული თარგმანები“, რომელთაც ახლავს ლექსიკონი და საკუთარ სახელთა საძიებელი. წიგნში წარმოდგენილია ქრისტიანულ სამყაროში აღიარებული იმ წმინდანების ცხოვრებათა მეტაფრასული ვერსიები, რომელთა ხსენება დაწესებულია ოქტომბრის თვეში შესაბამის თარიღზე (1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით).




თარგმანები შესრულებულია XI საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მიერ.

ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო

მწერლობის ისტორიიდან, I, თბ., 2014 (600 გვ.)

ნაშრომი ერთ-ერთი ნაკვეთია ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული სერიისა: „ძველი ქართული სასულიერო მწერლობა“. ის დაფუძნებულია კორნელი კეკელიძის ფუნდამენტურ გამოკვლევაზე – „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ და, ამასთან ერთად, ითვალისწინებს უკანასკნელი რამდენიმე ათეული



ნლის განმავლობაში ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებს. ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: ბიბლიოლოგია და ჰომილეტიკა.

I ნაწილში – ბიბლიოლოგია (ნ. მელიქიშვილი) – მონოდებულია ცნობები ზოგადად ბიბლიის, აგრეთვე ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანების შემცველ ხელნაწერთა შესახებ; საუბარია იმ მეთოდოლოგიაზე, რომლითაც ხდებოდა და ხდება ამჟამად ქართულ თარგმანთა პირველწყაროს ძიება. მიმოხილულია ის მთარგმნელობითი პრინციპები, რომლითაც განხორციელდა წმიდა წერილის ქართულ ენაზე გადმოღება. ნაშრომში მეტ-ნაკლები სისრულითაა ასახული ის, რაც უკვე სრულყოფილად არის შესწავლილი; წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებები, რათა მკითხველს საშუალება ჰქონდეს, თვალი მიადევნოს ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანების კვლევის პროცესს. ნაშრომს დართული აქვს ბიბლიოგრაფიის სფეროში გამოქვეყნებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის და გამოცემული ბიბლიური ტექსტების ვრცელი ბიბლიოგრაფია. ვფიქრობთ, თავმოყრილი მასალა დახმარებას გაუწევს როგორც ძველი ქართული საეკლესიო მწერლობის მკვლევართ, ასევე ამ დარგით დაინტერესებულ სტუდენტებს.


II ნაწილში – ჰომილეტიკა (მ. მაისურაძე) – მიმოხილულია V-XX საუკუნეების როგორც ნათარგმნი, ასევე ორიგინალური ჰომილეტიკური ლიტერატურა. ბიზანტიელი საეკლესიო მამების ღრმა აზრითა და მაღალი სულიერებით გამსჭვალული ქადაგებები ქართულ ენაზე უკვე უძველეს პერიოდში (V-IX სს.) გადმოიღეს ანონიმმა მთარგმნელებმა, ხოლო XI საუკუნეში – დიდმა ქართველმა მამებმა: ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებმა, ეფრემ მცირემ, თეოფილე ხუცეს-მონაზონმა... ბევრი ამ თარგმანთაგანი მთარგმნელობითი ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშია, ზოგიერთი კი, რომელთა ბერძნული დედანი დაკარგულია, ქართულ ვერსიას წარმოადგენს და, ამდენად, მათი ღირებულება და მნიშვნელობა დიდია არა მხოლოდ ქართული მწერლობის თვალსაზრისით. უძველესი ქართული თარგმანები დაცულია აგიოგრაფიულ-ჰომილეტიკურ კრებულებში, „მრავალთავეებში“ (VIII-XI სს.), აგრეთვე - X-XI სს-ისა და შემდეგი პერიოდის ნუსხებში. მასალა ქრონოლოგიური პრინციპით არის სისტემატიზებული, ხოლო მათი შემცველი კრებულები – შესწავლილი ყველა შესაძლებელი კუთხით. რაც შეეხება ქართულ ორიგინალურ ჰომილეტიკას, ის ათვლის წერტილს ძირითადად XVII ს-იდან იწყებს, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდიდან. ნაშრომში წარმოდგენილია XVII-XX სს-ის ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მესვეურთა ჰომილეტიკური მემკვიდრეობა. მათი ქადაგებები ნასაზრდოებია ქვეყნის მძიმე მდგომარეობით, ხშირად კი – პიროვნული ტრაგედიით; ამ ვითარების გათვალისწინებით, მოკლედ არის მოტანილი ქადაგებათა ავტორთა ბიოგრაფიებიც.

ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან, II, თბ., 2014 (620 გვ.)

გამოვიდა მეორე ტომი ნაშრომისა „ნარკვევები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან“. ეს ტომი მოიცავს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სამ დარგს: 1. ნათარგმნ და ორიგინალურ ჰაგიოგრაფიას (ავტორები: ე. გაბიაშვილი, ნ. გოგუაძე); 2. დოგმატიკასა და პოლემიკას (ავტორი მ. რაფაეა); 3. ფილოსოფიას (ავტორი ნ. ჩიკვატია). ამ ტომში, ისევე როგორც 2012 წელს გამოსულ I ტომში (ბიბლიოლოგია, ჰომილეტიკა) რეზიუმირებული სახით არის თავმოყრილი ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომები ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სფეროში, შესრულებული უკანასკნელი ხუთი ათეული წლის განმავლობაში, კერძოდ, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ფუნდამენტური ნაშრომის „ძველი ქართული ლიტურატივის ისტორიის“ I ტომის უკანასკნელი გამოცემის შემდეგ (1980).


ამომწურავი ბიბლიოგრაფია, „ნარკვევებში“ შესულ ყოველ დარგს აქვს დართული. ასევე საყურადღებოა, რომ თითოეული დარგის თითოეული ავტორისა და თხზულების განხილვისას, სრულად არის მითითებული მათთან დაკავშირებული ხელნაწერები.

ულმეს მაღლობას იმსახურებს ნაშრომის გამომცემელი და რედაქტორი, წმიდა მაქსიმე აღმსარებლის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ცენტრის ხელმძღვანელი, მთავარეპისკოპოსი სტეფანე კალიაჯიშვილი, აგრეთვე რუსთაველის ეროვნული ფონდი, რომლის დაფინანსებითაც შეიქმნა ეს წიგნი.



ალბომი „მოქვის სახარება“ (ქართულ, აფხაზურ და ინგლისურ ენებზე), თბ., 2015 (340 გვ.)

მოქვის სახარებას, ისევე როგორც ბევრ სხვა ხელნაწერს, შექმნიდან დღემდე საინტერესო ისტორია აქვს. ხელნაწერი გადაიწერა 1300 წელს მოქველი მთავარეპისკოპოსის დანიელის დაკვეთით. სახარება შესრულებულია ყავისფერი მელნით კარგად გამოყვანილ, მაღალი ხარისხის ეტრატზე. საგანგებოდ არის აღსანიშნავი მინიატურების შესრულების ტექნიკა – ყველა მათგანი ფურცლოვან ოქროზეა შესრულებული. ქართულ ნიმუშებს შორის ეს ერთადერთი შემთხვევაა, რაც



მოქვის მხატვრულ გაფორმებას განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებს. მოქვის სახარება ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის ერთ-ერთ ყველაზე უხვად და მდიდრულად ილუსტრირებულ ნიმუშს წარმოადგენს. ოთხთავს ამკობს 160 მინიატურა, 10 კამარა, 4 თავსართი, 531 საზედაო ასო და ინიციალი.

მოქვის სახარების ხელნაწერი წლების განმავლობაში არა მხოლოდ დამთვალიერებლისათვის, არამედ მკვლევართა ვიწრო წრისათვისაც ხელმიუწვდომელი იყო. დაზიანებული იყო ხელნაწერის ფერწერული ფენა, რომელიც მცირე მექანიკური ზემოქმედების შედეგად ოქროს ფენასთან ერთად ცვიოდა. თანამედროვე ტექნოლოგიებით მისი დიგიტალური ასლის დამზადებას დაზიანებათა შეუქცევადი პროცესი აფერხებდა. 2010 წლიდან მოქვის სახარების ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით დაიგეგმა ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო კამპანია – „გადავარჩინოთ მოქვის სახარება“, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ მოქვის სახარების დაზიანებათა დიაგნოსტიკისა და კონსერვაციისათვის საჭირო თანხის მოძიება. 2011 წლის ოქტომბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში UNESCO-ს თანადგომით დაიწყო ხელნაწერის დიაგნოსტიკის პროცესი. დიაგნოსტიკა სამმა უცხოელმა ექსპერტ-რესტავრატორმა ჩაატარა. მათ შეისწავლეს ხელნაწერის ფიზიკური მდგომარეობა, დაზიანების ხარისხი და დასახეს კონსერვაციის გზები.

2013 წელს ექსპერტ-რესტავრატორი ანდრეა პატაკი-ჰუნდტი ორჯერ (თებერვალსა და სექტემბერში) ეწვია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს. საკონსერვაციო სამუშაოების შედეგად, შეჩერდა ხელნაწერის ფერწერული ფენის შემდგომი აშრეება-ამოშლის პროცესი. დამზადდა მაღალი ხარისხის დიგიტალური ასლი, რომელიც საშუალებას მისცემს მკვლევრებს დედნის გარეშე შეისწავლონ ხელნაწერი. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ხელნაწერის შერჩეული ფურცლების ექსპოზიცია.

2014 წლის 6 ოქტომბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა გამოფენა-პრეზენტაცია სახელწოდებით – „ერთად გადარჩენილი მოქვის სახარება“, რომელზეც ფართო საზოგადოების წინაშე პირველად გამოიფინა ხელნაწერის ორიგინალი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემული წინამდებარე სამენოვანი წიგნი, მოქვის სახარების ისტორიას, შექმნიდან დღემდე, მეტ-ნაკლები სისრულით წარმოაჩენს. ვფიქრობთ, გამოცემა არამხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ ქართულ, აფხაზურ და ინგლისურენოვან მკითხველთა ფართო წრისათვისაც საინტერესო იქნება.

ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები, ავტორები: ი. ახვლედიანი, ა. გვაზავა, თ. დვალიშვილი, მ. კარანაძე, მ-კ. პასერი. მთავარი რედაქტორი ბ. კუდავა, რედაქტორი ვ. კეკელია, თბ., 2015

(ქართულ და ინგლისურ ენებზე, 158 გვ.)

„ქართული ხელნაწერების ჭედური ყდები“ ნაწილია პროექტისა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართულ ხელნაწერთა მოჭედული ყდების დიაგნოსტიკას. პროექტი შესრულდა აშშ საელჩოს დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: შერჩეულ იქნა ჭედური ყდების დიაგნოსტიკის მეთოდები, ყდების მეტალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა დაზიანებათა კატეგორიები, ამოკითხულ იქნა დამღები და მოხდა მათი სისტემატიზაცია, ჩატარდა ყდების მორთვისას გამოყენებული ძვირფასი თვლების საიდენტიფიკაციო სამუშაოები.

პროექტის შედეგად შეიქმნა მოჭედულყდიანი ქართული ხელნაწერების ალბომი, რომელიც გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე. ალბომში ხელნაწერები დალაგებულია ქრონოლოგიის მიხედვით, მოცემულია ყდების არქეოგრაფიული აღწერილობა: ყდების შექმნისა და განახლების თარიღები, ზომები, მხატვრული გაფორმება, ეპიგრაფიკული წარწერები, მეტალი, დამლა (არსებობის შემთხვევაში), თვლების რაობა და რაოდენობა, ყდასთან დაკავშირებული ანდერძ-მინაწერები.

პროექტის ერთ-ერთი საინტერესო ასპექტია თვლებით შემკული ყდების ვირტუალური რეკონსტრუქცია ჯრუჭის I ოთხთავის მაგალითზე. რესტავრაციული დასინჯვის, გემოლოგიური და კოდიკოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ვირტუალურად განხორციელდა თვლების დანაკლისის შევსება და ყდის სავარაუდო პირვანდელი იერსახის წარმოდგენა.




ახალციხური ქრონიკები, დღიური-მატიანე, თბ., 2015 (432 გვ.)

ნიგნში წარმოდგენილია XVIII-XIX საუკუნეების სამი ახალციხელი კათოლიკე სასულიერო პირის დღიურების ახალი და დაზუსტებული პუბლიკაცია. ამ დოკუმენტებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მათი ავტორების ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ისე აღნიშნული ეპოქის



საქართველოს საეკლესიო, კულტურული და პოლიტიკური ვითარების შესასწავლად.

გამოცემა განკუთვნილია საქართველოს საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.



ნმ. იოანე ოქროპირის ჰომილეთიკური კრებული „მარგალიტი“, ქართული ნათარგმნი ჰომილეთიკური ძეგლები, ნ. მელიქიშვილის გამოც., თბ., 2015

სერიით „ქართული ნათარგმნი ჰომილეთიკური ძეგლები“ პირველად ქვეყნდება. IV-V საუკუნეების დიდი ბიზანტიელი ლეთისმეტყველის, ნმ. იოანე ოქროპირის ჰომილიათა კრებულის, „მარგალიტის“ ქართული თარგმანი შესრულებულია X-XI საუკუნეებში უდიდესი ქართველი საეკლესიო მამისა და მოაზროვნის, ეფთვიმე მთაწმიდელის მიერ. კრებული წარმოადგენს სწავლების ფორმის

მქონე ამონარიდებს იოანე ოქროპირის ქადაგებებიდან, თარგმანებებიდან და საუბრებიდან. „მარგალიტის“ ქართული თარგმანის სტრუქტურა შემუშავებულია მთარგმნელის მიერ – ბერძნული წყაროს მისთვის დამახასიათებელი მეთოდით გადამუშავების შედეგად ეფთვიმე მთაწმიდელმა ღრმა სალეთისმეტყველო ნაზრევი უაღრესად გამარტივებული და რიგითი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი ფორმით გადმოსცა.

ტექსტზე დართულ გამოკვლევაში მიმოხილულია ის უძველესი, XI-XIII საუკუნეების ნუსხები, რომელთაც ემყარება გამოცემა, ნაჩვენებია მათი ურთიერთდამოკიდებულება და, ასევე, კავშირი „მარგალიტის“ შემცველ გვიანდელ, XVIII-XIX საუკუნეების ნუსხებთან; შესწავლილია ქართული რედაქციის მიმართება ბერძნულ წყაროსთან.



ზ. ალექსიძე, „თეოლოგიური კამათი კავკასიაში, VI საუკუნე“, თბ., 2015 (316 გვ.)


VII საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში დიდი საეკლესიო განხეთქილება მოხდა. განხეთქილების მთავარი მონაწილეები იყვნენ ქართლი და სომხეთი. ქართლი მტკიცედ დადგა ქალკედონურ (დიოფიზიტურ) მრწამსზე, ხოლო სომხეთი – ანტიქალკედონურ (მონოფიზიტურ) მრწამსზე. ეს საკითხები ჩვენს მეცნიერებაში განხილულია. თარგმნილი, გამოქვეყნებული და შესწავლილია სომხური წყაროები. ასევე გამოქვეყნებული და კრიტი-

კულად შესწავლილია ქართული წყაროები. რატომ იფეთქა ასე მძლავრად VII საუკუნის დასაწყისში საეკლესიო განხეთქილებამ და რა უძლოდა მას წინ? ამის შესახებ ანდრის ავტორი მასალასა და თავის მოსაზრებებს მკითხველს ამ ნიგნში. მასში თარგმნილი და შესწავლილია სომხურ ენაზე შემონახული ყველა წყარო, ხოლო გამოკვლევაში გათვალისწინებულია ასევე ყველა წყაროს ცნობა ბერძნულ, სირიულ და ქართულ ენებზე. ავტორის ხედვა ასეთია: V საუკუნის დასაწყისში დვინის პირველ კრებაზე ქრისტიანულმა კავკასიამ მიიღო ქალკედონიტა და ანტიქალკედონიტა შემარიგებელი ზენონის „ჰენოტიკონი“ (482 წ.). ამავე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში (დვინის მეორე კრებაზე) სომხეთმა მკვეთრად გადაუხვია შემარიგებლური პოლიტიკიდან და ქალკედონური ბიზანტიის სანინალმდეგოდ, ირანის მხარდაჭერით, მიიღო უკიდურესად მემარცხენე მონოფიზიტობა იულიანიტობის სახელით. სომხეთის ეკლესიამ სცადა ამ მრწამსის გავრცელება ქრისტიანული კავკასიის ქვეყნებში (სივნიეთი, ალბანეთი და ქართლი), მაგრამ უარი მიიღო. ყველაზე მკაცრი პასუხი ამ ცდას გასცა ქართლის ეკლესიამ. ამასობაში ქართლის კათალიკოსის ტახტზე აღსაყდრდა კირონ მცხეთელი და საეკლესიო განხეთქილებაც გარდაუვალი გახდა.

ნიგნს ერთვის „ეპისტოლეთა ნიგნში“ დაცული წერლები ძველ სომხურ ენაზე და მათ ქართულ თარგმანები; ასევე მასში შესულია სტატიები „იოანე იერუსალიმელის ეპისტოლე აბას ალბანეთის კათალიკოსისადმი“ და „ტაოს საეპისკოპოსო VI საუკუნესა და VII საუკუნის დასაწყისში“, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნულ პერიოდში ამიერკავკასიაში წარმოებული თეოლოგიური კამათის შესასწავლად.

**ეკა დულაშვილი,
კოზმა იერუსალიმელის საგალობელთა
უძველესი ქართული
თარგმანები X საუკუნის იადგარების
მიხედვით, თბ., 2014 (262 გვ.)**

ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰიმნოგრაფიის თარგმანებს. საეკლესიო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ერთად საგალობელმა ელემენტმა ქრისტიანობის პირველივე საუკუნეებიდან დაიმკვიდრა ადგილი ღვთისმსახურებაში. ქართული ჰიმნოგრაფიის ჩასახვა და განვითარება კვალდაკვალ მიჰყვება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიულ ტრადიციას და განვითარების თავისებურ მიმართულებას წარმოაჩენს. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ქართული თარგმანების სტილი საუკუნეების მიხედვით (IX-XI სს.) იცვლებოდა. ამ ცვლილებას განაპირობებდა სწორედ ბიზანტიურ სამყაროსთან ლიტერატურული ურთიერთობები. IX-X საუკუნეებში ბიზანტიურ პალესტინასთან და X ს-ის შემდგომ კონსტანტი-



ნეპოლთან კულტურული კავშირები განსაზღვრავდა საეკლესიო ლიტერატურის (ჰიმნოგრაფიის) ბერძნულიდან ქართულად თარგმანების ხასიათს.

საბა განწმენდილის ლავრაში მოღვაწე ჰიმნოგრაფოსების სახელებს უკავშირდება საეკლესიო საგალობლის საბოლოო, სრულყოფილი ფორმის, ჰიმნოგრაფიული კანონის შექმნა და ლიტურგიაში მტკიცედ დამკვიდრება. მათ შორის გამორჩეულია მაიუმის ეპისკოპოსი კოზმა იერუსალიმელი. მკვლევართა საერთო მოსაზრებით საბანძინდური – კოზმა იერუსალიმელის (იოანე დამასკელის გვერდით) ჰიმნოგრაფია და გალობის მოდელი უნივერსალურად იქცა აღმოსავლურ ეკლესიაში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიის უძველესი, X ს-ში შესრულებული ქართული თარგმანები, წარმოჩენილია მათი ტესტობრივ-შინაარსობრივი და ფორმალური თავისებურებანი ბერძნულ დედნებთან მიმართებით. X ს-ის სხვადასხვა ხელნაწერებში დადასტურებული ქართული თარგმანების მსგავსება – განსხვავებანი. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიის ქართული თარგმანები უნიკალურია სიძველისა და თვითმყოფადი თავისუფალი მთარგმნელობითი სტილის მიხედვით. ამ თავისებურებათა გათვალისწინება მნიშვნელოვანია თვით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიისა და ქართული თარგმანის ისტორიის კვლევაში.



**პირთა ანოტირებული ლექსიკონი,
ტ. V, თბ., 2015 წ. (524 გვ.)**

ამ ტომით დასრულდა „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ხუთტომეულის პუბლიკაცია. მისი საშუალებით მკითხველი გაეცნობა შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებულ გვარსახელებს და ცალკეულ ისტორიულ პერსონებს, რომელთა შესახებ არსებული ინფორმაცია ამოკრებილია XI-XVII საუკუნეების ისტორიული საბუთებიდან. V ტომში შესული გვარსახელები განყოფილია ანბანურ-ქრონოლოგიური რიგით ყ-ჰ ასოებზე. დაინტერესებული მკითხველი შეძლებს წიგნში მოიძიოს მასალები

შუასაუკუნეების საქართველოს იმ დიდგვაროვანთა სახლებზე (შანშიაშვილები, ჩხეიძეები, ჩოლოყაშვილები, ციციშვილები, ჯავახიშვილები, ჯაყელები, ჯორჯაძეები და სხვ.), როლებსაც მუდამ ნამყვანი პოზიციები ეკავათ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ტომში შესული ცნობები მკითხველს წარმოდგენას შეუქმნის შუასაუკუნეების ქართული საზოგადოების სოციალურ და ეთნიკურ შემადგენლობაზე, მათ საქმიანობაზე, განსახლების ადგილებსა და დემოგრაფიულ ვითარებაზე.


საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), შემდგენლები: გ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე. შ. გლოველის რედაქციით, თბ., 2015 (422 გვ.).



პროექტის „საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები: მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა (ქართულ და ინგლისურ ენებზე)“ შედეგად მოხდა რეგიონულ კოლექციათა ადგილზე შესწავლა, გამოვლენა-მოძიება, ასევე შეიქმნა უკვე არსებული, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი, აღწერილობების გადასინჯვის საფუძველზე, საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების ერთიანი ელექტრონული კატალოგისა და მონაცემთა ბაზა ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე, XX საუკუნის 60-70-იან წლებში შედგენილი რეგიონული ხელნაწერების აღწერილობების გამოუცემელი ნაწილის რევიზია-რედაქტირება. პროექტის დასარულს გამოიცა ერთიანი კატალოგი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც მოთავსებულია სამეცნიერო ექსპედიციების ფარგლებში აღნუსხული მასალები. საქართველოს რეგიონების მიხედვით ხელნაწერების რაოდენობები ასე გამოიყურება: აჭარა – 34 ერთეული; კახეთი – 177 ერთეული; სამეგრელო – 68 ერთეული; იმერეთი – 731 ერთეული; რაჭა – 5 ერთეული; სვანეთი – 79 ერთეული; სამცხე-ჯავახეთი – 98 ერთეული; ქართლი – 112 ერთეული; გურია – 1 ერთეული. საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერები შინაარსობრივად საკმაოდ მრავალფეროვანია. სოლიდურადაა წარმოდგენილი ისეთი დარგები, როგორცაა – სასულიერო მწერლობა, საერო მხატვრული ლიტერატურა, საისტორიო ქრონიკები, მედიცინა, ასტროლოგია, ფილოსოფია, სამართალი და სხვ.

თარიღიანი ქართული ხელნაწერი, IX-XVI საუკუნეები, თბ., 2015 (386 გვ.)

აღბომი დააინტერესებს ქართული პალეოგრაფიითა და კოდისკოლოგიით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას, მასში წარმოდგენილია საქართველოსა და უცხოეთის სიძველეთსაცავებში დაცულია თარიღიანი ქართული ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების ნიმუშები. თითოეულ ნიმუშს ახლავს მოკლე ანოტაცია დაცულობის ადგილის, რაობისა, და გადამწერის მითითებით ქართულ და ინგლისურ ენებზე. აღბომს ახლავს საძიებლები ტექნიკური პარამეტრების, გადამწერების, დამწერებისა და ლეგენდებში მოხსენიებული პრებისა და გეოგრაფიული სახელებისა.



რაც ღაპინყებით არ იზინდება...

55 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პროფ. ილია აბულაძის დიდი მეცადინეობით დაარსდა ხელნაწერთა ინსტიტუტი – დღევანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ეს ფაქტი დაედო საფუძვლად ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას, რომელმაც ფილოლოგიური და წყაროთმცოდნეობითი კვლევებით დაინტერესებული არაერთი ახალგაზრდა მეცნიერი შემოიკრიბა გარშემო. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია აბულაძემ დამწყებ მკვლევრებს ხელნაწერების შესწავლის მდიდარი მეთოდოლოგიური გამოცდილება გაუზიარა და სამეცნიერო მუშაობის პერსპექტივები დაუსახა. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა მრავალდარგოვანი ქართული საეკლესიო მწერლობის ძეგლები, დაარსდა ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სერია, მომზადდა ისტორიული საბუთების კორპუსული გამოცემები და მრავალი სხვა. შემდგომში ილია აბულაძის პირველმონაფეები, ე. წ. „ძველი თაობა“, თავად ედგნენ სათავეში ხელნაწერი მემკვიდრეობის კვლევის სხვადასხვა მიმართულებას. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში „ძველი თაობა“ ქრონოლოგიური განსაზღვრება არ არის. ეს ცნება ჩვენს ცნობიერებაში აცოცხლებს ერთიანი მიზნებითა და ინტერესებით შეკავშირებულ ადამიანებს, რომლებისთვისაც ხელნაწერი მემკვიდრეობის ამტყვევლება ჩვენი წარსულის კულტურული რაობის გამორკვევას ნიშნავდა. განვლილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ თაობის მრავალი შესანიშნავი წარმომადგენელი გამოაკლდა წუთისოფელს და აუნაზღაურებელი დანაკლისის გრძნობა დატოვა მეგობარ კოლეგათა და მათ აღზრდილ მონაფეთა გულებში.

ჩვენი მცირე „მოსახსენიებელიც“ უკანასკნელ წლებში წასულ კოლეგებს ეძღვნება.

რუსუდან გვარამია (1930-2012)

რუსუდან გვარამია ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღიარებული მკვლევარი, ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლების ცნობილი პუბლიკატორი, არაბულ ხელნაწერთა აღმწერი, „აკადემიური ორიენტალიზმის“ გამორჩეული წარმომადგენელია.



ქალბატონმა რუსუდანმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევის საქმეში. მან 1965

წელს გამოსცა იოანე მოსხის პატრისტიკული კრებული „ლიმონარის“ არაბული ვერსია – „ალ-ბუსთანი“ ქართული თარგმანითა და გამოკვლევით; ასევე, პირველ ქართულ თარიღიან ხელნაწერში – 864 წლის სინურ მრავალთავში – შესული თხზულების, „სინა-რაითის მამათა მოსრვის“, არაბულიდან შესრულებული ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი არაბული რედაქციების მიხედვით; „პანტელეიმონის წამების“ მეტაფრასულ ვერსიებამდელი ტექსტი, რომლის წყარო, მეცნიერის დასკვნით, ბერძნულიდან მომდინარე არაბული თარგმანია. რუსუდან გვარამიას მიერ 1986 წელს გამოცემულ „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ ქართული თარგმანის ბერძნულ და არაბულ ვერსიებთან შეჯერების საფუძველზე დადგენილია, რომ იგი ბერძნული წყაროდან მომდინარეობს, ძეგლში დადასტურებული არაბული ლექსიკა კი შედეგია იმ პალესტინური კულტურული გარემოსი, რომელშიც შეიქმნა თხზულება. აღნიშნულ საკითხებს მკვლევრის განმარტებელი სტატიებიც მიეძღვნა.

უაღრესად დიდია ქალბატონი რუსუდანის მეცნიერული კვლევის შედეგები – სინური და საბანშიდური არაბული ხელნაწერების მინაწერების, როგორც ქართველი და ქრისტიანი არაბების ლიტერატურული თანამშრომლობის ამსახველი წყაროების კვლევა და პუბლიკაცია, ქართული თარგმანების ორიგინალებისა და თხზულებების ავტორთა იდენტიფიკაცია, რედაქციული მიმართებების გამოვლენა და სხვ. ამ მხრივ მკვლევარი საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მეცნიერია.

მეცნიერის ინტერესთა სფეროში შედიოდა, ზოგადად, ქრისტიანული და ისლამური კულტურის კვლევა, რაც მის ფართო ერუდიციას და უშუალოდ პირველწყაროებზე განუვლ მუშაობას ეფუძნებოდა. იგი იკვლევდა პოლემიკური ხასიათის თხზულებებს; შეადგინა ამ ტიპის ძეგლების VIII-XIV საუკუნეების ავტორთა ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებების ბიბლიოგრაფია, შეისწავლა თეოდორე აბუკურას ანტიმუსლიმური თხზულება.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 1500-მდე არაბული ხელნაწერის კოდიკოლოგიური კვლევა და კატალოგების შედგენა ქალბატონ რუსუდანის სახელს უკავშირდება. მისი ავტორობით, თანაავტორობით და უშუალო ხელმძ-

ღვანელობით გამოიცა არაბულ ხელნაწერთა ყაჯარული და ადგილობრივი ხელნაწერების კატალოგი; ადგილობრივ კოლექციაში გამოიყო დალესტნური ქვეკოლექცია შენიშვნებით, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს „XVIII-XIX საუკუნეების დალესტნური ქრონიკები“.

ცნობილმა მეცნიერმა, უაღრესად თავმდაბალმა, კულტურით, ნიჭიერებით, ერუდიციით გამორჩეულმა პიროვნებამ თავისი განუმეორებელი და მისაბაძი კვალი დატოვა კოლევების, მეგობრების, მოწაფეების მეხსიერებაში.



მანანა მაისურაძე (1947-2013)

არსებობენ ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული პიროვნული ხიბლითა და ინდივიდუალობით გამოირჩევიან. ისინი ყველგან ტოვებენ კვალს – ოჯახში, მეგობრებსა და კოლევებს შორის, უბრალო ნაცნობებს შორისაც; უშურველად გასცემენ სიტბოს, ემოციას, არიან აქტიურები, ხმაურიანები, მებრძოლენი, მუდამ მოვლენების ცენტრში აღიქვამენ თავს. სწორედ ასეთი იყო მანანა მაისურაძე. მისი არსი არც დიდ უბედურებას შეუცვლია...

მანანა მაისურაძეს უკავშირდება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა. ქართველი მწიგნობრები იშვიათად თარგმნიდნენ სირიულიდან. ამდენად, არსებული ნათარგმნი ძეგლების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული სურათის წარმოსადგენად. მანანა მაისურაძემ გამოავლინა სირიულიდან თარგმნილი თხზულება „წმ. დროსის ცხოვრება“ და მონოგრაფიულად შეისწავლა ის. ათონის მრავალთავის საკითხავების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების კვლევის შედეგად მკვლევარმა გაარკვია, რომ ამ კრებულში შემავალი სხვადასხვა დროს თარგმნილი მასალა სხვადასხვა ენიდან კი არა, არამედ უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობს, რომ ქართული ჰომილეტიკური კრებულები ტიპოლოგიური თვალსაზრისით დიდ სიახლოვეს იჩენს VIII-XI საუკუნეების სირიულ და X-XI საუკუნეების არაბულ კრებულებთან. 1999 წელს ათონის მრავალთავზე მომუშავე მკვლევრებთან (მ. მამულაშვილი, ა. ლამბაშიძე, მ. ჩხენკელი) თანაავტორობით გამოსცა ათონის მრავალთავში შესული იოანე ბოლნელის ქადაგებანი.

მანანა მაისურაძე არის ერთ-ერთი ავტორი კრებულისა „ნარკვევები ძველი ქართული მწერლობის ისტორიიდან“, კერძოდ, ვრცელი ნაკვეთისა – „ქართული ნათარგმნი და ორიგინალური ჰომილტიკური ლიტერატურა“ (გვ. 265-598) ნინო მელიქიშვილთან ერთად. ნარკვევი მოიცავს ჰომილტიკურ კრებულებში დაცული როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ძეგლების ვრცელ მიმოხილვას.

მანანა ადრე გამოგვაკლდა. „არარაი არს უღუან, არარაი არს შეურაცხ წინაშე ღმრთისა“ – მასაც ასე სჯეროდა. სევდა გაიყოლა თან, ტკივილი და ცოცხალი ხსოვნა.

მაია მამაცაშვილი (1930-2011)

მაია მამაცაშვილის, ცნობილი ირანისტიკოსი და მკვლევრის, მეცნიერული მოღვაწეობა ფართო ხედვითა და დიაპაზონით, განსაკუთრებული ნიჭიერებითაა აღბეჭდილი. მისი პიროვნული თვისებები, არაორდინალობა და უკომპრომისობა მსჯელობის სითამამეში, სიახლის მუდმივ ძიებაში, საკვლევ საკითხთა სიღრმისეულ შესწავლაში ვლინდებოდა.



მ. მამაცაშვილის კვლევის ობიექტი არ იყო მკაცრად შემოსაზღვრული. იგი მოიცავდა სპარსული და ქართული ხელნაწერების კოდიკოლოგიურ შესწავლას, ქართულ-სპარსული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის ცალკეული საკითხების კვლევას, ქართული და სპარსული საერო მწერლობის ძეგლების მსოფლმხედველობის, ჟანრისა და ლექსიკის საკითხებს, ცნობილ მეცნიერთა საარქივო მასალების შესწავლა-გამომზეურებას.

მისი თანაავტორობით 1969 წელს გამოიცა ინსტიტუტში დაცული სპარსული ხელნაწერების K კოლექციის, ხოლო 1977 წელს კი მისი უშუალო ავტორობით – შუააზიური AC კოლექციის აღწერილობა (ვლ. ფუთურის პირველად აღწერილობაზე დაყრდნობით); ქალბატონი მაიას მიერაა მომზადებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადგილობრივი კოლექციის აღწერილობაც, რომელიც არაა გამოცემული. ცნობილმა ირანელმა მეცნიერმა სეიფულლა მოდაბერმა მაია მამაცაშვილთან უშუალო თანამშრომლობით გამოსცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მუსლიმური ფონდის სპარსულ ხელნაწერთა სამივე კოლექციის (K, AC, L) კატალოგი 3 ტომად (დაიბეჭდა თეირანში).

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მეცნიერს ქართული ნათარგმნი „გარდათქმული“ ძეგლების შესწავლის, მათი სპარსული წყაროების ძიებისა და დადგენის საქმეში. მან თეიმურაზ პირველის „ლეილმაჯუნუნიანის“ აღმოსავ-

ლური წყაროების, ქართული ხელნაწერების, ძეგლების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, პოემის მრავალრიცხოვან ვერსიათაგან გამოავლინა ის სახე, რომელთანაც ქართული თხზულება მეტ მსგავსებას იჩენს – ეს არის ჰათეფის პოემა. ქალბატონმა მაიამ მონოგრაფიულად შეისწავლა გორგანის „ვის ო რამინის“ ქართული თარგმანი და მოგვცა ძეგლის თეორიული შესწავლით, მთარგმნელობითი მეთოდის, კულტურულ-ისტორიული, ტექსტობრივ-კოდიკოლოგიური საკითხების კვლევით შეჯერებული მეცნიერული ნაშრომი. კიდევ ერთი ადრეული საერო ძეგლი, რომელმაც მიიპყრო მკვლევრის ყურადღება, იყო „ამირანდარეჯანიანი“, რომელიც მან სარაინდო უანრის თხზულებად მიიჩნია.

ქალბატონმა მაიამ გამოავლინა და მონოგრაფიულად შეისწავლა არაერთი სპარსული და სპარსულ წყაროებთან დაკავშირებული საერო შინაარსის ქართული ხელნაწერი, მათ შორის: „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების შემცველი ნუსხა; 1971 წელს კი გამოქვეყნდა მის მიერ მომზადებული „ქალაქ თბილისის აღწერა“ – სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, რომლის ავტორია თბილისში მცხოვრები ირანელი გენერალი მაჯდ-ოს-სალთანე.

ქალბატონი მაიას ფართო ინტერესები, მისი ღვაწლმოსილი მეცნიერებისადმი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოვლინდა მისი მონაწილეობით დამუშავებული საარქივო მასალების პუბლიკაციაში: ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა (1991 წ., რუსუდან კავილაძესთან თანაავტორობით), რომელიც ასახავს ამ ორი დიდი ადამიანის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრების საკმაოდ ვრცელ ეტაპს და წარმოაჩენს მათ მეცნიერულ ინტერესებს, ღვაწლს, მრავალმხრივ ერთობლივ საქმიანობას. მან ეთერ ქავთარაძესთან ერთად დაამუშავა და გამოსაცემად მოამზადა გამორჩეული ქართველი მეცნიერის, ხელნაწერთა ინსტიტუტის დიდი მოამაგის, ქალბატონი მაიას პირადი მეგობრის, ელენე მეტრეველის პირადი არქივის აღწერილობა.

მაია მამაცაშვილი უშურველად გასცემდა თავის ცოდნასა და ენერგიას; იგი იყო ახალგაზრდა ირანისტების აღმზრდელი და დიდი ქომაგი.

ქალბატონი მაია, ნიკო მარის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიცოცხლეში მართლაც ცოცხლობდა“. ამიტომაც ასეთი ცოცხალი დღეს ამ გამორჩეული პიროვნებისა და მეცნიერის ხსოვნა.

ვალერი სილოგავა (1945-2011)

ვალერი სილოგავა 60-იანი წლების ბოლოს მოიყვანა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში შესანიშნავმა ისტორიკოსმა, მისმა ლექტორმა და მომავალმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ნოდარ შოშიაშვილმა. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ამჟღავნებდა ვალერი სილოგავა ნიჭიერებას და განსაკუთრებულ ინტერესს ისტორიკოსის პროფესიისადმი. უფროს კოლეგებთან თანამშრომლობით, ვალერიმ წყაროთმცოდნეობისა და ტექსტოლოგიის საუკეთესო სკოლა გაიარა და ტექსტებზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება შეიძინა. მაღალი პროფესიული ჩვევების გამო მას სრულიად ახალგაზრდას მიანდეს მონაწილეობა ისეთ დიდ პროექტებში, როგორც იყო ეპიგრაფიკული ძეგლებისა და ისტორიულ საბუთთა „კორპუსული“ გამოცემების მომზადება. პროფესიული საქმიანობა ვალერის იმდენად დიდ სიხარულს ანიჭებდა, რომ მთლიანად უძღვნიდა მას თავის სასიცოცხლო დროს. მისი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობის დადასტურებაა მისი ავტორობით გამოცემული უამრავი ნაშრომი, რომელთა შორის თავისი მასშტაბურობით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს ლაპიდარული ნარჩენების კორპუსი (1980), ორტომეული „სვანეთი“ ((1986-1988), სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა (2006). ვალერი სილოგავა ერთნაირი პროფესიონალიზმით მუშაობდა ეპიგრაფიკულ ძეგლებზე და ხელნაწერნიგებზე, ამზადებდა ხელნაწერების ისტორიული მინაწერების კორპუსს და „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა ვრცელ აღწერილობას. მაგრამ მაინც მისი ნამდვილი გატაცება ეპიგრაფიკა იყო. გარდა მუზეუმების ლაპიდარიუმებისა, იგი ეპიგრაფიკულ ძეგლებს ეცნობოდა ადგილებზე – ამ მიზნით სერავდა მთელ საქართველოს, მათ შორის მის ისტორიულ მინა-წყალსაც, აკვირდებოდა ძეგლების დღევანდელ მდგომარეობას, ამზადებდა მათ დანვრელებით აღწერილობებს, იღებდა ფოტოებს, ამზადებდა პუბლიკაციებს, რომლებშიც ხშირად ახლებურ წაკითხვებს და ინტერპრეტაციებს გვთავაზობდა. ვალერი სილოგავამ დიდი ამაგი დასდო ახალციხის უნივერსიტეტს, სადაც იგი წლების განმავლობაში საქართველოს ისტორიის კათედრას ხელმძღვანელობდა და ადგილობრივ სტუდენტობას ისტორიისადმი პროფესიულ ინტერესს უღვივებდა.





ნინო ქაჯაია (1944 - 2013)

ნინო ქაჯაია შედარებით გვიან მოვიდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. იგი ერთგვარი შუამავალი ხიდი იყო „ძველ თაობასა“ და ახლად მოსულებს შორის. ყველას კარგად გვახსოვს სალიების კაბინეტში თავის სამუშაოში ჩაფლული ნინო, როგორც მუდმივი და განუყოფელი ნაწილი ამ კაბინეტში დაცული ბიბლიოთეკისა და მემორიალური ნივთებისა. ალბათ, გარშემო არსებულმა აურამ უბიძგა მას, ფართო კონტაქტები დაემყარებინა უცხოელ მეცნიერებთან. მათგან მოწოდებულ ინფორმაციასა და უცხოურ ლიტერატურას უხვად იყენებდა ქართული ტექსტების კვლევისას. მის მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევის შედეგია არაჩვეულებრივად ინფორმაციული და ახალი მეცნიერული პრობლემატიკის შემცველი წიგნი: „ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები“ (თბილისი, 1992). უფრო მოგვიანებით (2006 წ.), დღის სინათლე იხილა მისმა მომდევნო წიგნმა: „ბასილი დიდის წერილებმა“. სიცოცხლის ბოლო წლებში ნინო დიდი გატაცებით იკვლევდა ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებს. მისი უდიდესი შრომის შედეგია მონოგრაფია „საღმრთო ჟამისწირვის სახსმეტყველება“, რომელიც თითქმის 900 გვერდს აღწევს და, რომელსაც, იმედია, მალე იხილავს დაინტერესებული მკითხველი. გარდა ამ სქელტანიანი ნაშრომებისა, იგი რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომის ავტორიცაა.



ციალა ქურციკიძე (1930-2010)

ძველი ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის შესანიშნავი მკვლევარი, ფილოლოგი, ტექსტოლოგი, ძველი ქართული ენის უბადლო მცოდნე. იგი თანაბარი სიღრმითა და ინტერესით იკვლევდა ძველი ქართული მწერლობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგებს, როგორცაა ბიბლიოლოგია, ძველი და ახალი აღთქმის აპოკრიფული წიგნები, ორიგინალური და ნათარგმნი აგიოგრაფია.

მრავალრიცხოვან სამეცნიერო პუბლიკაციებსა და ფილოლოგიურ გამოკვლევათა შორის მნიშვნელოვანია ქალბატონი ციალას შრომები აპოკრიფული მწერლობის შესახებ: „ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები: X-XVIII სს.“, (თბილისი, 1970); „აღამის

აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია“ (თბილისი, 2003); „განძობა ქვაბი“ (თბილისი, 2007), რომლებიც კარგად არის ცნობილი ამ ჟანრის არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევართა წრეებშიც.

ქალბატონ ციალას უდიდესი წვლილი მიუძღვის დიდი ქართველი მწიგნობრისა და მთარგმნელის, ექვთიმე ათონელის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მისი მთარგმნელობითი მეთოდოლოგიის შესწავლის საქმეში. მის მიერ გამოცემულია დიდი კაპადოკიელი მამის, ბასილი დიდის „სწავლანის“ ექვთიმე ათონელისეული თარგმანი გამოკვლევითურთ. ამ გამოცემამ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა და გეზი მისცა ამ დიდი მოღვაწის ნათარგმნი მემკვიდრეობის შესწავლას ქართულ მეცნიერებაში. ქალბატონი ციალა მონაწილეობას იღებდა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანების კორპუსის მომზადებაში, რომელიც საერთაშორისო პროექტით ცხრა წელიწადი გაგრძელდა. ამ პროექტის ფარგლებში მან შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა გრიგოლის საკითხავთა ექვთიმესეული თარგმანები, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ „ბასილი დიდის ეპიტაფიის“ ექვთიმესეულ თარგმანს.

სიცოცხლის ბოლო წლებში ის მუშაობდა „ქართლის ცხოვრების“ აკადემიურ გამოცემაზე და განსაკუთრებული გატაცებით იკვლევდა ბიბლიას. ამ სფეროში გამორჩეულია მისი ნაშრომი „ქართული ბიბლია“ (თბილისი, 2010), რომელშიც მისთვის ჩვეული სიცხადით, ლაკონურობით და ამავე დროს სიღრმისეულად არის გაშუქებული ბიბლიის ქართული თარგმანის შესწავლასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

განსაკუთრებულია ქალბატონი ციალას როლი ძველი ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარებაში. ელენე მეტრეველთან ერთად მან რედაქტირება გაუწია ილია აბულაძის მიერ მომზადებულ „ძველი ქართული ენის ლექსიკონსა“ და სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონს“.

ციალა ქურციკიძის ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური დაკვირვებანი უმაღლესი პროფესიონალიზმის ნიმუშებს წარმოადგენს და სანდოობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მათ გზამკვლევის ფუნქცია აქვს და მომავალშიც ექნება ახალგაზრდა მკვლევართათვის. 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და 10 მონოგრაფიის ავტორი ძალას არ იშურებდა სამეცნიერო კადრების მომზადებაში. წლების განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა ინსტიტუტში ძველი ქართული ენის შემსწავლელ სემინარს, ამზადებდა ასპირანტებს, ასევე კითხულობდა ძველი ქართული ლიტერატურის სისტემურ კურსს თბილისის სასულიერო აკადემიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი ციალა კითხულობდა და ასწორებდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოსაცემად მომზადებულ თითქმის ყველა ტექსტს, რის გამოც ძალიან მაღლიერები ვართ მისი.

წავიდა ჩვენგან ღვანლმოსილი, მაღალი ზნეობის, არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე, ძველ ქართულ მწერლობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რაც დიდი დანაკლისია ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისთვის.



ნანა ყანჩაველი (1930-2010)

ნანა ყანჩაველი მეცნიერთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთა ინტერესი საკვლევი საკითხების მიმართ მათი ცხოვრებისეული გზის განუყოფელი ნაწილი ხდება და შედეგი ამ გარჯისა, თავისი მეცნიერული ღირებულების გარდა, ასახავს თავად ავტორის სწრაფვასა და სულიერ ფასეულობებს.

ქალბატონი ნანა ერთნაირი გულმოდგინებით და ინტერესით სწავლობდა არაბულ ხელნაწერებს, ისტორიულ დოკუმენტებს, საარქივო მასალას.


მეცნიერის კვლევის ძირითადი ობიექტი საქართველოსა და კავკასიის კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლა იყო. მან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მოსვლისთანავე შესწავლის საგნად აირჩია დალესტნური წარმომავლობის არაბული დოკუმენტები და წერილები, რომლებიც ასახავს საქართველო-დალესტნის ისტორიულ ურთიერთობას. მან გამოაქვეყნა ქართველ მეფეთა წერილები დალესტნელი ხანების მიმართ. ქალბატონი ნანა გატაცებით იკვლევდა საარქივო დოკუმენტებსაც, რომლებიც ეხებოდა კავკასიელი ხალხების ისტორიას. იგი წლების განმავლობაში ამუშავებდა ე. ვეიდენბაუმის არქივს და სწავლობდა მასალებს დალესტნის შესახებ.

1975 წელს ნანა ყანჩაველმა გამოსცა აბდ-არ-რაჰმან ლაზი ლუმუკის ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება „1296 /1877/ წ. დალესტნისა და ჩეჩნეთის დაცემა ოსმალთა ნაქეზებით“. მის მიერ მომზადებულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაბულენოვანი დოკუმენტების მიმოხილვა, ასევე არაბულ ხელნაწერთა ადგილობრივი კოლექციის ორი ნაკვეთი ქართულ და რუსულ ენებზე რ. გვარამიასთან, ლ. მამულიასთან და ლ. სამყურაშვილთან ერთად (1978, 2002 წწ.); გამოსაცემად მზად არის შუააზიური ხელნაწერების კატალოგი (ავტორები: რ. გვარამია, ლ. სამყურაშვილი, ნ. ყანჩაველი).

ქალბატონი ნანას გულითადი, ემოციური, სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება ადამიანების მიმართ, თითქოს ვრცელდებოდა იმ ხელნაწერებზე, რომლებზეც ის მუშაობდა. ასეთად დარჩა იგი ბოლომდე, ასეთად გვახსოვს.

უჩა ცინდელიანი (1936-2013)

სვანური სიჯიუტით და ერთგულებით შემოაბიჯა ხელნაწერთა ინსტიტუტის ცხოვრებაში. სვანეთის საგანძურის საუკეთესო მცოდნე და მის ჯადოსნურ ძალას ზიარებული, ბეჯითად შეუდგა ამ საგანძურის შემქმნელი ეპოქის შესწავლას. იგი იმთავითვე ჩაება ქართული ბიბლიური ტექსტების კრიტიკული გამოცემის მზადების პროექტში. მრავალი წელი მოანდომა მეფეთა წიგნების ქართული თარგმანების რაობის, წარმომავლობის, რედაქციული თავისებურებების შესწავლას. თავის ძიებებს იგი ბიბლისტიკის ფართო მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე ამყარებდა. ამიტომაც მეფეთა წიგნების შესახებ მისმა გამოკვლევებმა სრულიად გამორჩეული ადგილი მოიპოვა და მაღალი მეცნიერული შეფასება დაიმსახურა. ქართული ბიბლიის მკვლევართა შორის, უჩა ცინდელიანის შრომები მეფეთა წიგნების ქართული თარგმანების შესახებ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი საკეთესო თანამედროვე ქართულ ბიბლისტიკაში.



ბურამ ჯანდიერი (1936-2011)

კოლეგებისათვის მუდამ დაუფინყარი იქნება გურამ ჯანდიერი, აღსავეს თანდაყოლილი არისტოკრატიზმით, ამავე დროს იშვიათი თავმდაბლობითა და მოკრძალებით გამორჩეული პიროვნება. გარეგნულად ჩუმი და ოდნავ ასკეტურიც კი, უზომოდ გულლია ხდებოდა მეგობრებთან, იცოდა თანაგრძნობის ფასი და ჭირისა და ლხინის გაზიარება. გურამ ჯანდიერი „ძველ თაობას“ ეკუთვნოდა და შესისხლხორცებული ჰქონდა ამ თაობისათვის დამახასიათებელი უმაღლესი პასუხისმგებლობის გრძნობა. იგი დიპლომატიკის განყოფილებაში მუშაობდა და თითქმის ზეპირად ცნობდა ასეულობით საბუთს, თავად მონაწილეობდა ისტორიულ საბუთთა მრავალათასიანი კოლექციების კატალოგების შედგენაში. საბუთების საუკეთესო ცოდნა გამოსჭვივის მის ნაშრომებში, რომლებიც ისტორიული ქრონოლოგიისა და გენეალოგიის სფეროს განეკუთვნება. მას დიდი წვლილი მიუძღვის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომის მომზადებაში, როგორცაა „პირთა ანოტირებული



ლექსიკონი“. სიცოცხლის ბოლო წლებში, როცა ავადმყოფობა მოეძალა, მაინც ცდილობდა საქმეს არ მოწყვეტოდა და მისთვის ჩვეული გულმოდგინებით გამუდმებით ხვენდა ისტორიულ საბუთთა კატალოგებს, აზუსტებდა მონაცემებს და ავსებდა ახლად შემოსული მასალით.

თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, მზია სურგულაძე, მაია რაფაეა

მოგონება ილია აბულაძეზე¹

ჩემი საყვარელი ძია ილია

კარგად მახსოვს ბავშვობის წლები, დედას ოთხი ძმა და ერთი და ჰყავდა. მათ შორის ყველასათვის ძვირფასი, სათაყვანებელი და მისაბაძი ბატონი ილია, ჩვენთვის კი, ძია ილია იყო. დედამამიშვილები მას მხოლოდ ძმად კი არა, მამა-დაც მიიჩნევდნენ. რჩევის მისაღებად მიმართავდნენ და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ წყვეტდნენ ამა თუ იმ საკითხს.

ძია ილია ძალიან თავმდაბალი და დიდბუნოვანი ადამიანი იყო. მეცნიერებს – ივანე ჯავახიშვილს და კორნელი კეკელიძეს „დიდი ივანესა“ და „დიდი კორნელის“ სახელით მოიხსენიებდა, მუდამ ქედს იხრიდა მათ წინაშე.

ძია ილიას გამორჩეულად უყვარდა მისი სოფელი ზედა-საქარა. ჩვენც შეგვაყვარა და ბავშვები სიამოვნებითა და დიდი სიხარულით ვატარდებდით ზაფხულს ამ უმშვენიერეს მხარეში. ძია ილიას სტუმრობა სოფელში დიდი ზეიმი იყო ჩვენთვის. მარო ბებო კეცზე გამომცხვარ ცხელ-ცხელ პურებს, მჭადებსა და ხაჭაპურებს ახვედრებდა.

ჩამოსვლისთანავე მოგვანოდებდა წიგნებს. ბაბუა ვლადიმერი, რომელსაც ჩვენ პაპა ლადოს ვეძახდით, საქარის საშუალო სკოლაში ასწავლიდა რუსულ ენას. მას უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. ძია ილია ასაკის მიხედვით გვირჩევდა წიგნებს და შემდეგ გვამოწმებდა რამდენად ვაანალიზებდით ნაწარმოებს და რა იყო მისი დედა-აზრი. მისი უდიდესი სურვილი იყო ყველა განათლებული და მნივნობარი ჰყოლოდა ირგვლივ.

ძია ილია ხშირად გვესაუბრებოდა ილია II-სთან მისი უშუალო ურთიერთობის შესახებ, რაც არაერთხელ აღნიშნა თავად პატრიარქმა. როგორც კი თავისუფალ დროს გამონახავდა მოგვითხრობდა საქართველოს უძველესი ქართული ძეგლების არსებობისა და მნიშვნელობის შესახებ. ქართველმა კაცმა უნდა შეიყვაროს საქართველო თავისი უმშვენიერესი და უძველესი წარსულით. ეს მისი მონოდება იყო.

¹ ილ. აბულაძესთან დაკავშირებული მოგონებები წარმოადგენს კრებულის „მოსმენილი და მონაყოლი – მოგონებები ილია აბულაძის შესახებ“ დამატებას.

მღვდლის ოჯახში გაზრდილებს (მოგეხსენებათ, პაპა ლადო მღვდელი იყო) აღდგომა და შობა უდიდეს დღესასწაულებად მიგვაჩნდა. ძია ილიას ხომ განსაკუთრებით უყვარდა ეს დღეები. დედა ჩუმად ლეზავდა კვერცხებს, მიგვექონდა ძია ილიასთან და ყველა ერთად აღვნიშნავდით აღდგომის ამ ბრწყინვალე დღესასწაულს.

საოცარია, როგორ იტევდა ამდენ სიყვარულსა და ყურადღებას მისი გული. ის ხომ მუდამ სხვისი ტკივილითა და ცხოვრებით იყო დაკავებული, საკუთარი თავისთვის კი არასოდეს ეცალა. ასეთი დიდი სითბო, რაც მას მშობლების, დედამამიშვილებისა და მათი მონაგრების მიმართ გააჩნდა, გასაოცარი და სამაგალითო იყო ყველასთვის.

საზარლად მახსენდება დღე, როდესაც მე და ლეილა მამამ მიგვატოვა. მოყვარული მამის ამ უეცარმა ნაბიჯმა ჩვენი ლალი ბავშვობა დაგვაგინყდა და დედასთან ერთად საშინლად ვიტანჯებოდით. დედა დილიდან საღამომდე მუშაობდა მთავარ ექიმად და ცდილობდა ჩვენთვის არაფერი დაეკლო. ასევე საოცარი ხალხი იყო მამაჩემის დედ-მამა. მათ საკუთარ შვილს არ აპატიეს ოჯახის ლალატი, მამა სახლიდან გაისტუმრეს და ჩვენ შეგვიფარეს. მისმა უფროსმა ძმამ (მას ჩვენ ძია ლადოს ვეძახდით) ჩვენ ასეთი სიტყვებით დაგვანყნარა: „ნუ ინერვიულებთ შვილებო, დღეიდან მე თქვენი ბიძაც ვიქნები და მამაცო.“ ამ დროს მახსოვს ძია ილია, რომელიც სამ ძმისშვილს ზრდიდა, მისთვის ჩვეული ყურადღებით ჩვენთან გაჩნდა, ძია ლადოს მხარში ამოუდგა. გაოგნებული იყო ჩვენი ოჯახის წევრების ამგვარი საქციელით. სიცოცხლის ბოლომდე აფასებდა და დიდ პატივს მიაგებდა მათ.

ძია ილია დედას, ლეილას და მე მოგვეხვია, დაგვანყნარა და დაგვიპირდა, რომ არასოდეს დაგვეტოვებდა უყურადღებოდ. მამაჩემის ნაცვლად ის დადიოდა სკოლაში და ყოველთვის ურად გვამონებდა.

ლეილა ავად გახდა. სიცხეს ვერ უკლებდნენ და სეფსისის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანეს. დედა, რომელსაც კარგად ესმოდა ამ ავადმყოფობის სირთულე, სასონარკვეთილი ადგილს ვერ პოულობდა. ძია ილიამ მოინვია საუკეთესო ექიმები, დედა დაამშვიდა: „შენ მხოლოდ ფიზიკურად მიხედვე შენს შვილს, სხვა მხრივ კი მე შენს გვერდით მიგულეო“.

ძია ილიასა და მის ძმისშვილებთან მისვლა ჩვენთვის უდიდესი სიხარული იყო. მე და ლეილას შაბათს გაკვეთილები უკვე მზად გვექონდა, რათა კვირა დღე მათთან გაგვეტარებინა. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა. ძია ილიას უმზადებდა მის საყვარელ ქოთნის ლობიოს და მჭადს. დედა მისი მხოლოდ და კი არა, დედაც იყო და სულიერი მეგობარიც. პატარა ბავშვივით უმზადებდა წვრილად დაჭრილ ხილს და შეჰქონდა კაბინეტში. ძია ილია მახსოვს დილიდან საღამომდე ჩაფული იყო შრომებსა და ხელნაწერებში. ხელნაწერთა ინსტიტუტს ის ცოდნის ტაძრად და მეორე ოჯახად თვლიდა, ხოლო ხელნაწერები და თანამშრომლები მისი უსაყვარლესი და ერთგული შვილები იყო. მათ გარეშე ბატონ ილიას არსებობა არ შეეძლო. უფრთხილდებოდა თითოეულ ქალაქს, უვლიდა

ჩვილი ბავშვივით, სწამდა მისი საქმე უკვალოდ არ ჩაივლიდა და მის შემდგომაც გააგრძელებდა ინსტიტუტი ჩვეული სტილით არსებობას და მოღვაწეობას.

დიდ სიყვარულთან ერთად ჩვენ ძია ილიასი თითქოს გვეშინოდა კიდევ, უფრო სწორად გვერიდებოდა. მის მოჩვენებით მრისხანებასა და სიმკაცრეში ბავშვური გულუბრყვილობა და სისპეტაკე იგრძნობოდა. წამში ავინყდებოდა გაბრაზება და სახეზე მშვიდი ღიმილი ეფინებოდა. ის გადაღლილი იყო ცხოვრებისგან.

არ შემიძლია ძია ილიასთან ერთად არ გავიხსენო 15 წლის უნახავი, ტყვედ ჩავარდნილი და გადასახლებაში მყოფი ძია ბიძინას დაბრუნება თბილისში. რკინიგზის სადგური სავსე იყო ძია ბიძინას ახლობლებითა და მეგობრებით. დედაჩემი პირველი მიიჭრა ძმასთან. ეს უბედნიერესი დღე იყო ჩვენს ცხოვრებაში. ძია ილიამ უვნებლად ჩააბარა დიდი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით გაზრდილი სამი შვილი მამას. დღესაც თვალწინ მიდგას მისი მომღიმარი და დაბნეული სახე. მე მგონი, ეს ერთადერთი დღე იყო მის ცხოვრებაში, როცა მას თავისი შრომები და ხელნაწერები აღარ ახსოვდა.

ძია ბიძინა ავად გახდა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გარდაცვალებაზე იგი ძია ილიას კაბინეტში იწვა და დედა გვერდიდან არ შორდებოდა. ძია ილია მუდამ შეგვაგონებდა, რომ ჩვენც, ახალგაზრდებს, ისეთივე ურთიერთობა გვექონოდა ერთმანეთში, როგორც მის დედამიწვილებს ჰქონდათ.

ძია ილიას განსაკუთრებულად უყვარდა დედაჩემი. იგი მას დიდ პატივს სცემდა და მოგვინოვებდა მე და ლეილას: „პატივი ეცით და გიყვარდეთ დედა. იგი უანგარო, ერთგული და უსპეტაკესი ადამიანიაო“.

ალბათ, შემთხვევითი არაა ის, რომ ძია ილიამ დედაჩემის ხელში (მის სახლში ყოფ. ორჯონიკიძის ქ. 7) დალია სული და მის გამწარებულ დას დაუტოვა უამრავი სურათი და მოკრძალებული ანდერძი.

ლეილას გარდაცვალების შემდეგ სიბერეგამწარებულ დედას სიცოცხლე აღარ უნდოდა. იგი მხოლოდ ძია ილიას დაბადების 100 წლისთავის იუბილეს ელოდა. ავადმყოფობის გამო დედა ძია ილიას სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს, რომელიც სიონის საკათედრო ტაძარში მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აღავლინა, ვერ დაესწრო. ასევე ვერ შეძლო ხელნაწერთა ინსტიტუტში ბატონ ილიას იუბილის ღირსეულად აღნიშვნაზე მისვლა. ამ დღის შემდეგ დედამ მხოლოდ 20 დღე იცოცხლა.

მე მსურს დედის სამადლობელი სიტყვა შეუცვლელად შევიტანო ჩემს მოგონებებში, რათა ეს ცნობილი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის, როგორც გამოხატულება და-ძმის უანგარო, დიდი სიყვარულის და ერთგულებისა.

მზია თუშმალიშვილი-იმნაძე

ილია აბულაძის დის, ნინოს ქალიშვილი.

19 აპრილი, 2012 წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს
2001 წლის 24 ნოემბერს შესრულდა 100 წელი ჩემი ძმის, ილია აბულაძის
დაბადებიდან.

უპირველესად, მადლობას ვუხდის მის უნმინდესობას და უნეტარესობას,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს სიონის საკათედრო
ტაძარში მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის აღსრულებისა, უაღრესად
ამაღლებული ქადაგებისა და მასთან პირადი ურთიერთობის მოგონებისათვის.

მადლობა მასში მონაწილე ყველა სასულიერო პირს.

მადლობა დიდუბის პანთეონში გადახდილი პანაშვიდისა, საფლავის კურთხ-
ევისა და უაღრესად გულთბილი სიტყვის წარმოთქმისათვის სასულიერო აკა-
დემიის რექტორს დეკანოზ გიორგი ზვიადაძეს.

მადლობა ხელნაწერთა ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს და პირადად
დირექტორს პროფ. ზაზა ალექსიძეს იუბილის ღირსეულად აღნიშვნისა და სა-
მეცნიერო სესიის ორგანიზებისათვის, დიდუბის პანთეონსა და სიონის ტაძარში
მობრძანებისათვის.

მადლობა მთელ ქართველ საზოგადოებას.

მადლობა ყველა სტუმარს.

შევთხოვ უფალს, აკურთხოს მომავალი თქვენი მოღვაწეობა უდიდესი საგან-
ძურის, უძველესი ქართული ხელნაწერების დაცვის, შესწავლისა და გამოცემის
საქმეში, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე სრულიად და მოუკლებლივ მი-
უძღვნა ჩემმა სათაყვანებელმა აღმზრდელმა ძმამ და მეგობარმა ილია აბულა-
ძემ და რომელიც დაადასტურა ანდერძით.

ფიზიკური უძღურების გამო გთხოვთ მომიტეოთ დაუსწრებლობა სესიაზე
ამ უდიდეს, ღირს-სახსოვარ დღეს და ჩამითვალთ იგი, როგორც ჩემთვის პი-
რადი უდიდესი ტკივილი და განსაცდელი თქვენთან არ ყოფნისა.

სამგზის მადლობა უფალს ყველაფრისათვის.

მადლობა თქვენ ილია აბულაძის ხსოვნისათვის და მისი მოგონების სიყვარ-
ულით აღსრულებისათვის.

ნინო აბულაძე
27 ნოემბერი, 2001 წ.

საგამომცემლო ჯგუფი

ირმა ბერიძე

თეა ბაგნიძე

ლანა გრძელიშვილი

ვლადიმერ კეკელია

შორენა მურუსიძე

ვლადიმერ პერანიძე

ირმა ხოსიტაშვილი



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

0193 თბილისი, მ. ალექსიძის 1/3. 247 42 42.

www.manuscript.ge

NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

0193 Tbilisi, 1/3, M. Alexidze street. 236 41 85.